Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press – 2012

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

კ. მარქსი
ფ. ენგელსი

რჩეული ნაწერები

ტომი

II

საქართველოს კპ ცკ კ-თან არსებული პარტიის ისტორიის
ინსტიტუტი — სკკპ ცკ კ-თან არსებული მარქსიზმ-
ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

პ. მარქსი
ფ. ენგელსი
რჩეული
ნაწერები
ორ ტომად

*

ტომი
II

თბილისი · 1950

კ. მარქსი

გოთას პროგრამის კრიტიკა

ფ. ენგელსის წინასიტყვაობა[1]

აქ დაბეჭდილი ხელნაწერი — პროგრამის პროექტის კრიტიკა თანდართული წერილით ბრაკესადმი, — 1875 წელს, გოთას გამაერთიანებელი ყრილობის წინ[2], გაეგზავნა ბრაკეს თხოვნით, გაეცნო ია გაიბის, აუერის, ბებელისა და ლიბკნეხტისათვის, ხოლო შემდეგ უკანვე დაებრუნებინა მარქსისთვის. ვინაიდან ჰალეს პარტიულმა ყრილობამ დღის წესრიგში შეიტანა დისკუსია გოთას პროგრამის გამო, ვფიქრობ, დანაშაულს ჩავიდენდი, თუ ამ დისკუსიისათვის ასე-

---

[1] მარქსის «გოთას პროგრამის კრიტიკა» გამოაქვეყნა ენგელსმა მიუხედავად გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის წინააღმდეგობისა. კ. კაუცკისადმი ენგელსის წერილი, რომელიც ამ ტომის 44—48 გვერდ. მოთავსებული, გვიჩვენებს რომ ენგელსს უნდა დაეძლია აგრეთვე კ. კაუცკის წინააღმდეგობა და უნდა შეერბილებინა «გოთას პროგრამის კრიტიკის» ზოგიერთი მეტად მძაფრი ადგილი. წინამდებარე გამოცემაში მთლიანად აღდგენილია თავდაპირველი ტექსტი დაცული ხელნაწერის მიხედვით. რ ე დ.

[2] ყრილობაზე გოთაში (1875 წ. 22—27 მაისი) გაერთიანდა იმ დროს არსებული ორი გერმანული მუშათა პარტია—ლიბკნეხტის და ბებელის ხელმძღვანელობით არსებული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (ეგრეთწოდებული აიზენახელები) და ჰაზენკლევერის, ჰასელმანისა და ტელკეს მეთაურობით არსებული ლასალური ორგანიზაცია (საყოველთაო გერმანული მუშათა კავშირი) — გერმანიის ერთიან სოციალისტურ მუშათა პარტიად. რ ე დ.

თი მნიშვნელოვანი — ან იქნებ უმნიშვნელოვანესი — საბუთის გამოქვეყნებას კიდევ დავაყოვნებდი.

მაგრამ ამ ხელნაწერს სხვა, კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობაც აქვს. აქ პირველად არის ნათლად და მკაფიოდ ნაჩვენები მარქსის დამოკიდებულება ლასალის იმ მიმართულებისადმი, რომელიც მან აირჩია საგიტაციო საქმიანობის დაწყებიდან, თანაც დამოკიდებულება, როგორც ლასალის ეკონომიური პრინციპებისადმი, ასევე მისი ტაქტიკისადმი.

დაუნდობელი სიმკაცრე, რომლითაც მარქსს პროგრამის პროექტი აქვს განხილული, პირდაპირობა, რომლითაც იგი დასკვნებს აკეთებს და პროექტის სუსტ ადგილებს ააშკარავებს, — ყოველივე ეს ახლა, თხუთმეტი წლის შემდეგ, უკვე აღარ შეიძლება ვინმესათვის შეურაცხმყოფი იყოს. სპეციფიკურ ლასალელთაგან მხოლოდ ცალკეული ნამსხვრევები დარჩა უცხოეთში, ხოლო გოთას პროგრამაზე, როგორც სრულიად არადამაკმაყოფილებელზე, ჰალეში ხელი აიღეს თვით მისმა შემქმნელებმა [1].

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პირადი ხასიათის მკაცრი გამოთქმა და მსჯავრი, სადაც ამას საქმისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, გამოვტოვე და წერტილებით შევცვალე. მარქსი თვით მოიქცეოდა ასე, მას რომ ეს ხელნაწერი ახლა გამოექვეყნებინა. მისი ადგილადგილ მკვახე კილო ორი გარემოებით იყო გამოწვეული. ჯერერთი, მარქსი და მე გერმანულ მოძრაობას უფრო მჭიდროდ შევეზარდეთ, ვიდრე რომელიმე სხვას; ამიტომ გადამწყვეტ უკუსვლას, რაც ამ პროგრამის პროექტში გამოჩნდა, ჩვენ განსაკუთრებით ძლიერ უნდა ავეღელვებინეთ. მეორეც, მაშინ (თითქმის ორი წელიწადი არც კი იყო გასული ინტერნაციონალის ჰააგის კონგრესს შემდეგ [2]) ჩვენ ცხარედ ვებრძოდით ბაკუნინსა და მის ანარქისტებს, რომელნიც ჩვენ ყოველივე იმის პასუხისმგებლად გვთვლიდნენ,

[1] გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობამ ჰალეში — პირველმა ყრილობამ სოციალისტების წინააღმდეგ საგანგებო კანონის გაუქმების შემდეგ — 1890 წ. 16 ოქტომბერს, ვ. ლიბკნეხტის, გოთას პროგრამის მთავარი ავტორის, წინადადებით გადაწყვიტა მომზადებულიყო შემდეგი პარტიული ყრილობისათვის ახალი პროგრამის პროექტი. ახალი პროგრამა მიღებულ იქნა 1891 წ. ოქტომბერში ერფურტის ყრილობაზე (ერფურტის პროგრამა). რ ე დ.

[2] I ინტერნაციონალის ჰააგის კონგრესი ჩატარდა 1872 წ. სექტემბერში ბაკუნისტებთან ბრძოლის ნიშნით. კონგრესის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა გენერალურ საბჭოს, რომელსაც მარქსი ხელმძღვანელობდა. ბაკუნინი გაირიცხა ინტერნაციონალიდან. რ ე დ.

რაც გერმანიის მუშათა მოძრაობაში ხდებოდა: მაშასადამე. იმის მოლოდინიც უნდა გვქონოდა, რომ ამ პროგრამის საიდუმლო მამობასაც ჩვენ მოგვაწერდნენ. ეს მოსაზრებანი ახლა უკვე აღარ არსებობენ, მათთან ერთად აღარ არსებობს სათანადო ადგილების საჭიროებაც.

ცენზურულ მოსაზრებათა გამოც ზოგიერთი წინადადების ნაცვლად წერტილებია დასმული. სადაც მე შერბილებული გამოთქმა ვარჩიე, იქ ეს სწორ ფრჩხილებში მაქვს ჩასმული. სხვა მხრივ ხელნაწერი სიტყვასიტყვით არის გადმობეჭდილი.

ლონდონი, 1891 წ. 6 იანვარი.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ
დაბეჭდილია ჟურნალში «Neue Zeit»
1891 წ.

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის
მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან.

სრულიად უვარგისი და პარტიის მორალურად გამხრწნელი პროგრამა.

ნამდვილი მოძრაობის თვითეული ნაბიჯი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ათეული პროგრამა. ამიტომ, თუ აიზენახელთა პროგრამაზე შორს წასვლა არ შეიძლებოდა, — და გარემოებები ამის ნებას არ იძლეოდნენ, — მაშინ უბრალო შეთანხმება მაინც უნდა დადებულიყო საერთო მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ. პრინციპული პროგრამების შედგენით კი, ნაცვლად იმისა, რომ ეს იმ დრომდე გადადონ, ვიდრე იგი უფრო ხანგრძლივი საერთო საქმიანობით მომზადდებოდეს, მთელი ქვეყნის წინაშე აღმართავენ მიჯნებს, რომელთა მიხედვით ადამიანები პარტიული მოძრაობის დონეს განსაზღვრავენ. ლასალელთა მეთაურები ჩვენთან იმიტომ მოვიდნენ, რომ გარემოებებმა აიძულეს ისინი ასე მოქცეულიყვნენ. მათთვის რომ იმთავითვე გამოეცხადებინათ, არავითარ პრინციპებით ვაჭრობას ჩვენ არ შევუდგებითო, მაშინ ისინი უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ მოქმედების პროგრამით ან საერთო მოქმედების საორგანიზაციო გეგმით. ნაცვლად ამისა, მათ ნება მისცეს მანდატებით შეიარაღებული გამოცხადებულიყვნენ და, თავის მხრით, ეს მანდატები სავალდებულოდ აღიარეს, მაშასადამე, მიენდვნენ იმათ წყალობას და რისხვას, ვინც თვით საჭიროებს დახმარებას. საქმის დასაგვირგვინებლად ისინი მართავენ კიდევ ერთ ყრილობას შემთანხმებელი ყრილობის მოწვევამდე, მაშინ როდესაც საკუთარი პარტია თავის ყრილობას მხოლოდ post festum [1] მართავს. აქ აშკარად ცდილობდნენ ყოველგვარი კრიტიკა ჩაეშალათ და საშუალება არ მიეცათ საკუთარი პარტიისათვის გონს მოსულიყო. ცნობილია, თუ როგორ კმაყოფილებას გვრის მუშებს გაერთიანების უბრალო ფაქტი; მაგრამ ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ეს წუთიერი წარმატება მეტად ძვირად არაა ნაყიდი.

სხვა მხრივ პროგრამა არაფრად ვარგა, თუნდაც მხედველობაში არ მივიღოთ ის, რომ იგი წარმოადგენს ლასალური სარწმუნოების სიმბოლოს კანონიზაციას.

უახლოეს დროში მე თქვენ გამოგიგზავნით «კაპიტალის» ფრანგული გამოცემის ბოლო ნაკვეთებს [2]. ბეჭდვა დიდი ხნით იყო შეჩერებული იმის გამო, რომ იგი საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა

---

[1] დღესასწაულს შემდეგ, ე. ი. დაგვიანებით. რედ.

[2] «კაპიტალის» პირველი ტომის ფრანგული თარგმანი, თვით მარქსის რედაქციით, ნაკვეთებად გამოდიოდა 1872 — 1875 წლებში პარიზში. რედ.

ამ კვირაში ან მომავალი კვირის დამდეგს წიგნი მზად იქნება. მიიღეთ თუ არა ადრინდელი ექვსი ნაკვეთი? მომწერეთ, გეთაყვა, ბერნჰარდ ბეკერის მისამართიც. მასაც უნდა გავუგზავნო აგრეთვე ბოლო ნაკვეთები.

„Volksstaat"-ის წიგნის გამომცემლობას [1] თავისებური ზნე ჩვევია. მას დღემდე არ გამოუგზავნია ჩემთვის, მაგ., «კომუნისტთა კელნის პროცესის» ახალი გამოცემის არც ერთი ეგზემპლარი.

გულითადი სალამი.

თქვენი **კარლ მარქსი**

[1] ლაპარაკია პარტიული გამომცემლობის შესახებ, რომელიც არსებობდა ლაიპციგში გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანოს «Volksstaat»-ის («სახალხო სახელმწიფო») რედაქციასთან (1869 — 1876). რ ე დ.

კ. მარქსი

შენიშვნები გერმანიის მუშათა პარტიის პროგრამის შესახებ

I

1. «შრომა არის წყარო ყოველი სიმდიდრისა და ყოველი კულტურისა, და ვინაიდან სარგებლობის მომტანი შრომა მხოლოდ საზოგადოებაში და საზოგადოების საშუალებით არის შესაძლებელი, ამიტომ შრომის შემოსავალი შეუკვეცავად და თანასწორი უფლებით საზოგადოებია ყველა წევრს ეკუთვნის».

პარაგრაფის პირველი ნაწილი: «შრომა არის წყარო ყოველი სიმდიდრისა და ყოველი კულტურის».

შრომა არ არის წყარო ყოველი სიმდიდრისა. ბუნება ისევეა წყარო სახმარ ღირებულებათა (და ხომ ამათგან შედგება ნივთიერი სიმდიდრე!), როგორც შრომა, რომელიც თვით მხოლოდ ბუნების ერთ-ერთი ძალის, ადამიანის სამუშაო ძალის გამოვლინებაა. ზემოაღნიშნული ფრაზა ყველა საბავშვო ანბანაში მოიპოვება, და იგი სწორია იმდენად, რამდენადაც მასში იგულისხმება, რომ შრომა სათანადო საგნებით და საშუალებებით წარმოებს. მაგრამ სოციალისტური პროგრამა ვერ დაუშვებს ასეთ ბურჟუაზიულ გამოთქმებს, რაც უგულვებელჰყოფს იმ პირობებს, მარტოოდენ რომელნიც აძლევენ მათ აზრს. რამდენადაც ადამიანს «მთავითვე ბუნების მიმართ — შრომის ყველა საშუალებისა და საგნის ამ პირველწყაროს მიმართ — ისეთი დამოკიდებულება აქვს, როგორც მესაკუთრეს, და იგი მას ექცევა როგორც თავის კუთვნილებას, იმდენადვე მისი შრომა ხდება სახმარ ღირებულებათა წყაროდ, მაშასადამე, აგრეთვე სიმდიდრის წყაროდაც. ბურჟუებს ფრიად კარგი საფუძველი აქვთ იმისათვის, რომ შრომას ზებუნებრივი შემოქმედი ძალა მიაწერონ, ვინაიდან სწორედ შრომის ბუნებრივი პირობადებულობიდან გამომდინარეობს ის, რომ ადამიანი, რომელსაც თავისი სამუშაო ძალის გარდა არაერთარი სხვა საკუთრება არ გააჩნია, საზოგადოების და კულტურის ყველა მდგომარეობაში მონა უნდა იყოს სხვა ადამიანთა, რომელნიც შრო-

მის ნივთიერი პირობების მესაკუთრენი გახდნენ. მას მხოლოდ მათი ნებართვით შეუძლია იმუშაოს, მაშასადამე, — მხოლოდ მათი ნებართვით იცხოვროს.

მაგრამ დავტოვოთ ეს დებულება ისე, როგორც ის არის, რა ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს მას. რა დასკვნას უნდა ველოდეთ აქედან? ცხადია ასეთს:

«ვინაიდან შრომა არის წყარო ყოველი სიმდიდრისა, ამიტომ საზოგადოებაში არავის შეუძლია მიითვისოს სიმდიდრე სხვანაირად, თუ არ როგორც შრომის პროდუქტი. მაშასადამე, ვინც თვითონ არ მუშაობს, ის ცხოვრობს სხვისი შრომით და თავის კულტურასაც აგრეთვე სხვისი შრომის ხარჯზე ითვისებს».

ამის ნაცვლად, სიტყვების საშუალებით: «ხ ო ლ ო ვ ი ნ ა ი დ ა ნ», წაუბამთ მეორე წინადადება, რათა დასკვნა აქედან, და არა პირველი წინადადებიდან, გამოიტანონ.

პ ა რ ა გ რ ა ფ ი ს მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი: «სარგებლობის მომტანი შრომა მხოლოდ საზოგადოებაში და საზოგადოების საშუალებით არის შესაძლებელი».

პირველი დებულების თანახმად, შრომა იყო წყარო ყოველი სიმდიდრის და ყოველი კულტურისა, მაშასადამე, შრომის გარეშე არავითარი საზოგადოება არ იყო შესაძლებელი. ახლა კი, პირიქით, ვგებულობთ, რომ არავითარი «სარგებლობის მომტანი» შრომა არაა შესაძლებელი საზოგადოების გარეშე.

ასევე შეიძლებოდა თქმა იმისა, რომ მხოლოდ საზოგადოებაში შეიძლება უსარგებლო და საზოგადოებისათვის მავნებელი შრომაც კი სამეურნეო საქმიანობის დარგი გახდეს, რომ მხოლოდ საზოგადოებაში შეიძლება უსაქმური ცხოვრება და სხვ., — მოკლედ, შეიძლებოდა მთელი რუსოს გადმოწერა.

და რა არის «სარგებლობის მომტანი» შრომა? ცხადია, მხოლოდ ის შრომა, რომელიც დასახულ სასარგებლო ეფექტს მოიტანს. ველური. — და ადამიანი ველურია მას შემდეგ, რაც იგი უკვე მაიმუნი აღარაა, — რომელიც ცხოველს ქვით კლავს, ნაყოფს აგროვებს და სხვ. «სარგებლობის მომტან» შრომას ეწევა.

მ ე ს ა მ ე. დ ა ს კ ვ ნ ა: «და ვინაიდან სარგებლობის მომტანი შრომა მხოლოდ საზოგადოებაში და საზოგადოების საშუალებით არის შესაძლებელი, ამიტომ შრომის შემოსავალი შეუკუცავად და თანასწორი უფლებით საზოგადოების ყველა წევრს ეკუთვნის».

საუცხოო დასკვნაა! თუ სარგებლობის მომტანი შრომა მხოლოდ საზოგადოებაში და საზოგადოების საშუალებით არის შესა-

ძლებელი, შრომის შემოსავალი საზოგადოებას ეკუთვნის, ხოლო ცალკეულ მომუშავეს აქედან მხოლოდ ის ერგება, რაც საჭირო არაა შრომის «პირობის» — საზოგადოების შესანახად.

მართლაც, ამ დებულებას აყენებდნენ ხოლმე ყოველთვის ყოველგვარი არსებული საზოგადოებრივი წყობილების დამცველნი. უპირველესად ადგილი აქვს მთავრობის და ყველა მასზე მიწებებულთა პრეტენზიას, ვინაიდან ის არის საზოგადოებრივი ორგანო საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავადო; შემდეგ მიდის სხვადასხვა ჯურის კერძო საკუთრების პრეტენზია, ვინაიდან სხვადასხვა ჯურის კერძო საკუთრება საზოგადოების საფუძველს შეადგენსო და ა. შ.. როგორც ვხედავთ, ასეთი ფუყე ფრაზები შეიძლება როგორც გნებავთ ისე ატრიალოთ და აბრუნოთ.

პარაგრაფის პირველ და მეორე ნაწილს რამდენადმე გონივრული კავშირი აქვს მხოლოდ ასეთი დალაგებით:

«სიმდიდრისა და კულტურის წყაროდ შრომა ხდება მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი შრომა» ანუ, რაც იგივეა, «საზოგადოებაში და საზოგადოების საშუალებით».

ეს დებულება უცილობლად სწორია, ვინაიდან ცალკეულ შრომასაც (თუ მის ნივთიერ პირობებს ვიგულისხმებთ) შეუძლია აგრეთვე სახმარ ღირებულებათა შექმნა, მაგრამ არ შეუძლია არც სიმდიდრისა და არც კულტურის შექმნა.

მაგრამ ასევე უცილობელია მეორე დებულებაც:

«რა ზომითაც შრომა საზოგადოებრივად ვითარდება და ამით სიმდიდრისა და კულტურის წყაროდ ხდება, იმ ზომითვე ვითარდება სილატაკე და უმწეობა მუშის მხარეს, ხოლო სიმდიდრე და კულტურა — არამუშის მხარეს».

ეს არის მთელი დღემდე არსებული ისტორიის კანონი. მაშასადამე, ზოგადი ფრაზების ნაცვლად «შრომის» და «საზოგადოების» შესახებ, აქ გარკვევით უნდა ყოფილიყო ნაჩვენები, თუ როგორ შეიქმნა, დაბოლოს, ახლანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მატერიალური და სხვ. პირობები, რომლებიც მუშებს უნარს აძლევს და აიძულებს ამ საზოგადოებრივ წყეევას ბოლო მოუღონ.

ნამდვილად კი მთელი ეს სტილისტურად და შინაარსით უხეირო პარაგრაფი მხოლოდ იმისთვის დაჭირდათ, რომ პარტიულ დროშაზე პირველ ლოზუნგად ჩაეწერათ ლასალური ფორმულა «შრომის შეუკვეცავი შემოსავლის» შესახებ. მე კვლავ დავუბრუნდები «შრომის შემოსავალს», «თანასწორ უფლებას» და სხვ., ვინაიდან იგივე მეორდება შემდეგშიც მცირეოდენ შეცვლილი ფორმით.

2. «თანამედროვე საზოგადოებაში შრომის საშუალებები კაპიტალისტთა კლასის მონოპოლიას შეადგენს. ამით გამოწვეული დამოკიდებულება მუშათა კლასისა არის ყველა ფორმის სიღატაკისა და მონობის მიზეზი».

ინტერნაციონალის წესდებიდან გადმოღებული ეს დებულება ამ «გაუმჯობესებული» რედაქციით ყალბია.

თანამედროვე საზოგადოებაში შრომის საშუალებები შეადგენს მიწის მესაკუთრეთა (მიწის საკუთრების მონოპოლია კაპიტალის მონოპოლიის საფუძველსაც კი წარმოადგენს) და კაპიტალისტთა მონოპოლიას. ინტერნაციონალის წესდება სათანადო ადგილას არ ასახელებს მონოპოლისტთა არც ერთ და არც მეორე კლასს. იქ ლაპარაკია «შ რ ო მ ი ს ს ა შ უ ა ლ ებ ებ ი ს, ე. ი. ს ა ა რ ს ებ ო წ ყ ა ro ებ ი ს მ ო ნ ო პ ო ლ ი ი ს» შესახებ. დამატება: «ს ა ა რ ს ებ ო წ ყ ა ro ებ ი» საკმარისად მიუთითებს, რომ მიწაც შრომის საშუალებებშია ჩარიცხული.

გაუმჯობესება იმისთვის იქნა შეტანილი, რომ ლასალი, ახლა უკვე საყოველთაოდ ცნობილ მიზეზთა გამო, თავს ესხმოდა მ ხ ო ლ ო დ კაპიტალისტთა კლასს და არა მიწის მესაკუთრეთ. ინგლისში კაპიტალისტი, უმრავლეს შემთხვევაში, იმ მიწის მესაკუთრეც კი არაა, რომელზეც მისი ფაბრიკა დგას.

3. «შრომის განთავისუფლება მოითხოვს შრომის საშუალებათა ამაღლებას საზოგადოების საერთო საკუთრებად და ერთობლივი შრომის კოლექტიურად მოწესრიგებას შრომის შემოსავლის სამართლიანი განაწილებით».

«შრომის საშუალებათა ამაღლება საზოგადოების საერთო საკუთრებად», რასაკვირველია, უნდა ნიშნავდეს მათ «გარდაქმნას საერთო საკუთრებად». მაგრამ ეს მხოლოდ გაკვრით.

რა არის «შრომის შემოსავალი»? შრომის პროდუქტი თუ მისი ღირებულება? ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში პროდუქტის საერთო ღირებულება თუ ღირებულების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც შრომამ მოხმარებულ საწარმოო საშუალებათა ღირებულებას ახლად მიუმატა?

«შრომის შემოსავალი» — ბუნდოვანი წარმოდგენაა, რომელიც ლასალმა გარკვეული ეკონომიური ცნებების ადგილას წამოაყენა.

რა არის «სამართლიანი განაწილება»?

განა ბურჟუები არ ამტკიცებენ: თანამედროვე განაწილება «სამართლიანიაო»? და განა ის, მართლაც, თანამედროვე წარმოების

წესის საფუძველზე, ერთადერთ «სამართლიან» განაწილებას არ წარმოადგენს? განა ეკონომიურ ურთიერთობებს უფლებრივი ცნებები აწესრიგებს, თუ, პირიქით, უფლებრივი ურთიერთობანი წარმოიშობიან ეკონომიურიდან? განა სოციალისტურ სექტანტებს სულ სხვადასხვანაირი წარმოდგენა არა აქვთ «სამართლიანი» განაწილების შესახებ?

იმისათვის, რომ ვიცოდეთ, თუ რა იგულისხმება ამ შემთხვევაში ფრაზაში: «სამართლიანი განაწილება», საჭიროა პირველი პარაგრაფი დავუპირისპიროთ ამ პარაგრაფს. ეს უკანასკნელი გულისხმობს საზოგადოებას, რომელშიც «შრომის საშუალებები საერთო საკუთრებას შეადგენს და ერთობლივი შრომა კოლექტიურადაა მოწესრიგებული», ხოლო პირველ პარაგრაფში ვხედავთ, რომ «შრომის შემოსავალი შეუკვეცავად და თანასწორი უფლებით საზოგადოების ყველა წევრს ეკუთვნის».

«საზოგადოების ყველა წევრს»? არამომუშავეთაც? მაშინ სადღაა «შრომის შეუკვეცავი შემოსავალი»? საზოგადოების მხოლოდ მომუშავე წევრთ? მაშინ სადღაა საზოგადოების ყველა წევრთა «თანასწორი უფლება»?

მაგრამ «საზოგადოების ყველა წევრი» და «თანასწორი უფლება» უთუოდ მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. საქმის არსი ისაა, რომ ამ კომუნისტურ საზოგადოებაში თვითეულმა მუშაკმა უნდა მიიღოს ლასალური «შრომის შემოსავალი შეუკვეცავად».

თუ, უპირველს ყოვლისა, გამოთქმას: «შრომის შემოსავალი» ავიღებთ შრომის პროდუქტის მნიშვნელობით, მაშინ კოლექტიური შრომის შემოსავალი შეადგენს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს.

აქედან ახლა გამოსარიცხია:

პირველი: რაც მოხმარებულ საწარმოო საშუალებათა ასანაზღაურებლადაა საჭირო.

მეორე: დამატებითი ნაწილი წარმოების გასაფართოებლად.

მესამე: სარეზერვო ანუ სადაზღვევო ფონდი უბედური შემთხვევებისაგან, სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზიანისაგან და სხვ. დასაზღვევად.

ეს ანარიცხები «შრომის შეუკვეცავი შემოსავლიდან» წარმოადგენს ეკონომიურ აუცილებლობას და მათი სიდიდე უნდა განისაზღვროს არსებულ საშუალებათა და ძალთა საფუძველზე, ნაწილობრივ — ალბათობის თეორიის საფუძველზე, მაგრამ არასგზით არ შეიძლება მათი გამოანგარიშება სამართლიანობის საფუძველზე.

რჩება ერთობლივი პროდუქტის მეორე ნაწილი, რომელიც მოხმარების საშუალებებადაა განკუთვნილი.

ვიდრე მისი ინდივიდუალური გაყოფა მოხდებოდეს, მას ისევ უნდა გამოაკლდეს:

• პირველი: საერთო, არა წარმოების კუთვნილი, მმართველობის ხარჯები.

ეს ნაწილი თავიდანვე შეტად მნიშვნელოვნად შეიზღუდება იმასთან შედარებით, რაც თანამედროვე საზოგადოებაში არის, და თანდათან შემცირდება ახალი საზოგადოების განვითარებასთან ერთად.

• მეორე: რაც საერთო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არის დანიშნული, როგორიცაა: სკოლები, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი და. ა. შ.

ეს ნაწილი თავიდანვე ნნიშვნელოვნად გაიზრდება იმასთან შედარებით, რაც თანამედროვე საზოგადოებაში არის, და ახალი საზოგადოების განვითარებასთან ერთად თანდათან იმატებს.

• მესამე: ფონდი შრომის უნარმოკლებულთათვის და სხვ., მოკლედ, ის, რაც ამჟამად ღარიბთა ეგრეთწოდებული ოფიციალური დახმარების საქმეს ეკუთვნის.

მარტოოდენ ახლა მივაღწიეთ ჩვენ იმ «განაწილებას», რაც პროგრამას მხოლოდ გონებაშეზღუდულად აქვს მხედველობაში მიღებული ლასალის ზეგავლენით, სახელდობრ — მოხმარების საშუალებათა იმ ნაწილს, რომელიც კოლექტივის ინდივიდუალურ მწარმოებელთა შორის განაწილდება.

«შრომის შეუკვეცავი შემოსავალი» ხელსა და თვალს შუა «შეკვეცილი» გახდა, თუმცა, რაც მწარმოებელს როგორც კერძო ინდივიდუუმს გამოერთვა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ მის, როგორც საზოგადოების წევრის, სასარგებლოდ მიდის.

როგორც გაჰქრა ფრაზა «შრომის შეუკვეცავი შემოსავლის» შესახებ, ისევე ჰქრება ახლა ფრაზა «შრომის შემოსავლის» შესახებ საერთოდ.

კოლექტივიზმზე, წარმოების საშუალებათა საერთო მფლობელობაზე დაფუძნებული საზოგადოების შიგნით, მწარმოებლები თავიანთი პროდუქტების გაცვლას არ აწარმოებენ; ასევე ნაკლებ ჩანს აქ პროდუქტების წარმოებაზე დახარჯული შრომა როგორც ამ პროდუქტთა ღირებულება, როგორც მათი კუთვნილი ნივთიერი თვისება, ვინაიდან ახლა, წინააღმდეგ კაპიტალისტური საზოგადოებისა, ინდივიდუალური შრომა უკვე შემოვლილი გზით კი არა, არამედ უშუალოდ წარმოადგენს ერთიანი შრო-

მის შემადგენელ ნაწილს. გამოთქმა «შრომის შემოსავალი», ამჟამად მიუღებელი მისი ორაზროვნობის გამო, ამრიგად, ყოველგვარ აზრს ჰკარგავს.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა ისეთ კომუნისტურ საზოგადოებასთან, რომელიც თავის საკუთარ საფუძველზე გ ა ნ ვ ი თ ა რ დ ა, არამედ, პირიქით, ისეთთან, რომელიც ეს არის ახლა გ ა მ ო დ ი ს კაპიტალისტური საზოგადოებიდან; ამიტომ, მას ყოველ მხრივ,—ეკონომიურად, ზნეობრივად, გონებრივად, ჯერ კიდევ დაღი აზის ძველი საზოგადოებისა, რომლის წიაღიდან ის გამოვიდა. ამის შესაბამისად ცალკე მწარმოებელი — გამოკლების შემდეგ — საზოგადოებისაგან სწორედ იმას იღებს, რაც მას მისცა. მისცა კი მას თავისი ინდივიდუალური შრომის რაოდენობა. მაგალითად, საზოგადოებრივი სამუშაო დღე შედგება ინდივიდუალური სამუშაო საათების ჯამიდან; ცალკე მწარმოებლის ინდივიდუალური სამუშაო დრო არის მის მიერ შესრულებული ნაწილი საზოგადოებრივი სამუშაო დღისა, მისი წილი ამ უკანასკნელში. საზოგადოებისაგან ის მოწმობას იღებს იმის შესახებ, რომ მას ამდენი და ამდენი შრომა მისცა (საზოგადოებრივი ფონდებისთვის დანიშნული შრომის გამორიცხვის გარდა), და ამ მოწმობით საზოგადოებრივი მარაგიდან იმდენ მოხმარების საშუალებებს იღებს, რამდენიც ამავე რაოდენობის შრომა ღირს. რა რაოდენობის შრომაც მისცა მან საზოგადოებას ერთი ფორმით, იმდენსვე ღებულობს უკანვე სხვა ფორმით.

აქ, ცხადია, იგივე პრინციპი ბატონობს, რაც საქონლის გაცვლას აწესრიგებს, რამდენადაც ეს უკანასკნელი ტოლ ღირებულებათა გაცვლაა. შინაარსი და ფორმა აქ შეიცვალა, ვინაიდან შეცვლილ პირობებში არავის არ შეუძლია სხვა რამის მიცემა, თუ არ თავისი შრომისა, და, მეორე მხრივ, არაფერი არ შეიძლება გადავიდეს ცალკე პირის საკუთრებაში, გარდა ინდივიდუალური მოხმარების საშუალებებისა. მაგრამ რაც შეეხება ამ უკანასკნელთა განაწილებას ცალკე მწარმოებელთა შორის, აქ იგივე პრინციპი ბატონობს, რაც საქონლის ეკვივალენტთა გაცვლისას: განსაზღვრული რაოდენობის შრომა ერთი ფორმით გაიცვლება ტოლი რაოდენობის შრომაზე მეორე ფორმით.

ამიტომ აქ თ ა ნ ა ს წ ო რ ი უ ფ ლ ე ბ ა, პრინციპის მიხედვით, ჯერ კიდევ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი უ ფ ლ ე ბ ა ა, თუმცა პრინციპი და პრაქტიკა აქ აღარ ეწინააღმდეგება ერთი მეორეს, მაშინ როდესაც საქონელთა გაცვლისას ეკვივალენტთა გაცვლა მხოლოდ ს ა შ უ ა ლ ო დ და არა ცალკეული შემთხვევისთვის არსებობს.

ამ პროგრესის მიუხედავად, ეს თანასწორი უფლება ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ ზღუდეებშია მოქცეული. მწარმოებელთა უფლება მათ მიერ მიწოდებული შრომის პროპორციულია; თანასწორობა იმაში მდგომარეობს, რომ გაზომვა თანასწორი მასშტაბით, შრომით ხდება.

მაგრამ ერთი ადამიანი მეორეს სჯობნის ფიზიკურად ან გონებრივად, მაშასადამე, იმავე დროში მეტ შრომას იძლევა ან უფრო ხანგრძლივად შეუძლია მუშაობა; ხოლო შრომა, რათა ის საზომად გამოდგეს, უნდა განისაზღვრებოდეს ხანგრძლივობით ან ინტენსივობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის აღარ იქნება მასშტაბი. ეს თანასწორი უფლება უთანასწორო უფლებაა უთანასწორო შრომისათვის. ის არ სცნობს არავითარ კლასობრივ განსხვავებას, ვინაიდან თვითეული მხოლოდ მუშაა, როგორც სხვები; მაგრამ ის უხმოდ სცნობს ბუნებრივ პრივილეგიას — უთანასწორო ინდივიდუალურ ნიჭს და, ამიტომ, უთანასწორო შრომისუნარიანობას. ამიტომ, თავისი შინაარსით, ის უთანასწორობის უფლებაა, როგორც ყოველი უფლება. თავისი ბუნებით უფლება შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ თანასწორ მასშტაბთა გამოყენებაში; მაგრამ უთანასწორო ინდივიდები (და ისინი სხვადასხვა ინდივიდები არ იქნებოდნენ, უთანასწორონი რომ არ იყვნენ) მხოლოდ იმდენად განიზომებიან ერთი და იმავე მასშტაბით, რამდენადაც მათ ერთი და იგივე თვალსაზრით განიხილავენ, განიხილავენ მხოლოდ განსაზღვრული მხრით, მაგალითად, აღებულ შემთხვევაში, მხოლოდ როგორც მუშებს; და მათში სხვას არაფერს დაინახავენ, ყველაფერს დანარჩენს მხედველობიდან გაუშვებენ. შემდეგ: ერთი მუშა ცოლიანია, მეორე — არა; ერთს მეტი ბავშვები ჰყავს, ვიდრე მეორეს, და სხვ., და სხვ.. თანასწორი მუშაობით და, მაშასადამე, თანასწორი წილით საზოგადოებრივი მოხმარების ფონდში ფაქტიურად ერთი მეტს მიიღებს, ვიდრე მეორე, ერთი უფრო მდიდარი აღმოჩნდება, ვიდრე მეორე, და სხვ.. ყველა ამ ნაკლთა თავიდან ასაცილებლად უფლება, თანასწორის ნაცვლად, უთანასწორო უნდა იყოს.

მაგრამ ამ ~~ნაკლთა თავიდან აცილება~~ შეუძლებელია კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზაში, როდესაც ივი ეს არის წარმოიშვა კაპიტალისტური საზოგადოებიდან ხანგრძლივი მშობიარობის ტკივილების შემდეგ. უფლება არასოდეს არ შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე არის საზოგადოების ეკონომიური წყობილება და მით შეპირობებული კულტურული განვითარება საზოგადოებისა.

კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ფაზაში, მას შემდეგ, რაც გაჰქრება ინდივიდთა დამმონავებელი დაქვემდებარება შრომის დანაწილებისადმი და მასთან ერთად გონებრივი და ფიზიკური შრომის წინააღმდეგობაც; როდესაც შრომა არა მარტო ცხოვრების საშუალება იქნება, არამედ — თვით პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება; როდესაც ინდივიდთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდება და საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო უხვად გადმოდინდება, — მხოლოდ მაშინ შეიძლება სრულად გადალახულ იქნეს ბურჟუაზიული უფლების ვიწრო ჰორიზონტი და საზოგადოებამ თავის დროშას წააწეროს: ყველამ — თავისი უნარის მიხედვით, ყველას — მისი მოთხოვნილების მიხედვით.

მე ვრცლად შევეხე, ერთი მხრივ, «შრომის შეუკვეცავ შემოსავალს», ხოლო, მეორე მხრივ, «თანასწორ უფლებას» და «სამართლიან განაწილებას», რათა ვაჩვენო, თუ რა დიდ დანაშაულს ჩადიან, როცა სურთ, ერთი მხრივ, წარმოდგენები, რომელთაც ერთ დროს ერთგვარი აზრი ჰქონდათ, ხოლო ახლა მოძველებული ფრაზების ხარახურად გადაიქცნენ, ისევ თავს მოახვიონ ჩვენს პარტიას დოგმათა სახით, მეორე მხრივ კი, როცა რეალისტურ გაგებას, რომელიც პარტიამ ასე დიდი ჯაფით მოიპოვა და რომელმაც ახლა მასში უკვე ფესვები გაიდგა, ისევ ამახინჯებენ იდეოლოგიური უფლებრივი და სხვა ფუყე ფრაზებით, რასაც ასე ჩვეული არიან დემოკრატები და ფრანგი სოციალისტები.

ზემოთ თქმულსაც რომ თავი დავანებოთ, საერთოდ შეცდომა იყო საქმის არსად ეგრეთწოდებული გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს ჩათვლა და მთავარი მახვილის მასზე დასმა.

მოხმარების საშუალებათა ყოველგვარი განაწილება ყოველთვის მხოლოდ შედეგია თვით წარმოების პირობათა განაწილებისა. ამ უკანასკნელთა განაწილება კი თვით წარმოების წესის ხასიათს გამოსახავს. მაგალითად, კაპიტალისტური წარმოების წესი იმაზეა დამყარებული, რომ წარმოების ნივთიერი პირობები კაპიტალის საკუთრებისა და მიწის საკუთრების ფორმით არამუშებს ეკუთვნის, მაშინ როდესაც მასა წარმოების მხოლოდ პირადი პირობის — საშუაო ძალის მესაკუთრეა. რაკი წარმოების ელემენტები ასეა განაწილებული, აქედან თავისთავად გამომდინარეობს მოხმარების საშუალებათა თანამედროვე განაწილება. როდესაც წარმოების ნივთიერი პირობები თვით მუშების კოლექტიური საკუთრება იქნება, მაშინ აქედან მიიღება მოხმარების საშუალებათა თანამედროვეო-

ბისაგან განსხვავებული განაწილება. ვულგარულმა სოციალიზმმა (და მისგან, თავის მხრით, დემოკრატიის ერთმა ნაწილმა) ბურჟუაზიული ეკონომისტებისაგან გადმოიღო განაწილების განხილვა წარმოების წესისაგან დამოუკიდებლად და, ამიტომ, სოციალიზმის ისე დასახვა, თითქოს იგი უმთავრესად განაწილების საკითხების გარშემო ტრიალებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნამდვილი ურთიერთობა დიდი ხანია ნათელყოფილია, რალა საჭიროა ისევ უკუსვლა?

4. «შრომის განთავისუფლება უნდა იყოს საქმე მუშათა კლასისა, რომლის მიმართ ყველა სხვა კლასი მ ხ ო ლ ო დ ე რ თ რ ე ა ქ ც ი ო ულ მ ა ს ა ს შ ე ა დ გ ე ნ ს».

პირველი სტროფი აღებულია ინტერნაციონალის წესდების შესავალი სიტყვებიდან, მაგრამ «შესწორებულია». იქ ასეა ნათქვამი: «მუშათა კლასის განთავისუფლება თვით მუშათა საქმე უნდა იყოს»; აქ კი, პირიქით, «მუშათა კლასმა» უნდა გაანთავისუფლოს — რა? «შრომა». გაიგე, ვისაც შეგიძლია.

სამაგიეროდ, პირიქით, მიმატებულია ანტისტროფი — წმინდა წყლის ლასალური ციტატი: «რომლის (მუშათა კლასის) მიმართ ყველა სხვა კლასი მ ხ ო ლ ო დ ე რ თ რ ე ა ქ ც ი ო ულ მ ა ს ა ს შ ე ა დ გ ე ნ ს».

«კომუნისტურ მანიფესტში» ნათქვამია: «ყველა იმ კლასთა შორის, რომელნიც დღეს ბურჟუაზიის პირისპირ დგანან, მხოლოდ პროლეტარიატია ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ერ ი კ ლ ა ს ი. ყველა სხვა კლასი უძლურდება და ისპობა მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად, პროლეტარიატი კი ამ მრეწველობის საკუთარი პროდუქტია»[1].

ბურჟუაზია, როგორც მსხვილი მრეწველობის მატარებელი, გაგებულია აქ როგორც რევოლუციური კლასი ფეოდალებისა და საშუალო წოდებათა მიმართ, რომელნიც ცდილობენ შეინარჩუნონ ყველა ის საზოგადოებრივი პოზიცია, რაც წარმოების მოძველებული წესების მიერ არის შექმნილი. მაშასადამე, ისინი ა რ შ ე ა დ გ ე ნ ე ნ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ მხოლოდ ერთ რეაქციულ მასას.

მეორე მხრივ, პროლეტარიატი რევოლუციურია ბურჟუაზიის მიმართ, ვინაიდან ის, თვით აღმოცენებულია მსხვილი მრეწველობის ნიადაგზე, ცდილობს ჩამოაცალოს წარმოებას კაპიტალისტუ-

[1] იხ. ამ გამოცემის პირველი ტომის გვ. 23. რ ე დ.

რი ხასიათი, რის გამარადისებასაც ბურჟუაზია ცდილობს. მაგრამ «მანიფესტი» ამასთანავე უმატებს: რომ «საშუალო წოდებები» რევოლუციური ხდებიან «იმდენად, რამდენადაც მათ მოელით პროლეტარიატში გადასვლა».

შაშასადამე, ამ თვალსაზრისით ისევ უაზროობაა, თითქოს ისინი, ბურჟუაზიასა და დამატებით კიდევ ფეოდალებთან ერთად, მუშათა კლასის მიმართ «მხოლოდ ერთ რეაქციულ მასას შეადგენენ».

განა უკანასკნელ არჩევნებში ხელოსნებს, წვრილ მრეწველებს და სხვ., აგრეთვე გლეხებს შეძახოდნენ: ჩვენს მიმართ თქვენ, ბურჟუაზიასა და ფეოდალებთან ერთად, მხოლოდ ერთ რეაქციულ მასას შეადგენთო?

ლასალმა ზეპირად იცოდა «კომუნისტური მანიფესტი», როგორც მისმა მართლმორწმუნეებმა იციან მისი შედგენილი საღვთო წერილი. და თუ მან ასე უხეშად გააყალბა «მანიფესტი», — ეს მხოლოდ იმისთვის ჩაიდინა, რომ შეელამაზებინა თავისი კავშირი ბურჟუაზიის აბსოლუტისტურ და ფეოდალურ მოწინააღმდეგეებთან.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნულ პარაგრაფში მისი ბრძნული გამოთქმა თმებით არის მოთრეული, ყოველგვარი კავშირის გარეშე ინტერნაციონალის წესდებიდან აღებულ დამახინჯებულ ციტატთან. მაშასადამე, აქ უბრალო თავხედობაა, თანაც სრულიად არაუსიამოვნო ბატონი ბისმარკისათვის, ერთ-ერთი ის იაფფასიანი კადნიერება, რომელსაც ბერლინელი მარატი მიმართავს ხოლმე.[1]

5. «მუშათა კლასი მოქმედებს თავისი განთავისუფლებისათვის, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე ნაციონალური სახელმწიფოს ჩარჩოებში, იმ შეგნებით, რომ აუცილებელი შედეგი მისი მისწრაფებისა, რაც საერთოა ყველა კულტურული ქვეყნის მუშებისათვის, ხალხთა საერთაშორისო ძმობა იქნება».

ლასალი, «კომუნისტური მანიფესტისა» და მთელი წინანდელი სოციალიზმის წინააღმდეგ, მუშათა მოძრაობას განიხილავდა მეტად ვიწრო ნაციონალური თვალსაზრისით. ამ მხრივ მას ბაძავენ, და ეს ხდება ინტერნაციონალის საქმიანობის შემდეგ!

თავისთავად გასაგებია, რომ მუშათა კლასი, რათა მან საერთოდ ბრძოლა შესძლოს, უნდა შეკავშირდეს შინ როგორც კლასი და რომ საკუთარი ქვეყანა შეადგენს მისი ბრძოლის უშუ-

[1] ბერლინელ მარატს უწოდებს მარქსი აქ ირონიულად, ფთუოდ, ჰასელმანს, «Neuer Social-Demokrat»-ის («ახალი სოციალ-დემოკრატის»), ლასალელთა ცენტრალური ორგანოს, მთავარ რედაქტორს. რედ.

ალო ასპარეზს. ამდენად მისი კლასობრივი ბრძოლა, არა თავისი შინაარსით, არამედ — როგორც «კომუნისტური მანიფესტი» ამბობს — «ფორმით» ნაციონალურია. მაგრამ «თანამედროვე ნაციონალური სახელმწიფოს ჩარჩოები», მაგალითად, გერმანიის იმპერიისა, თავის მხრივ, თვით არის მოქცეული ეკონომიურად მსოფლიო ბაზრის «ჩარჩოებში» და პოლიტიკურად სახელმწიფოთა სისტემის «ჩარჩოებში». ყოველმა ხეირიანმა ვაჭარმა იცის, რომ გერმანიის ვაჭრობა იმავდროულად საგარეო ვაჭრობაცაა, და ბ-ნი ბისმარკის სიდიადეც სწორედ ერთგვარი საერთაშორისო პოლიტიკის გატარებაში მდგომარეობს.

და რაზე დაჰყავს გერმანიის მუშათა პარტიას თავისი ინტერნაციონალიზმი? შეგნებაზე, რომ მისი მისწრაფების შედეგი «ხალხთა საერთაშორისო ძმობა იქნება». ეს არის ბურჟუაზიული მშვიდობიანობისა და თავისუფლების ლიგიდან[1] ნასესხები ფრაზა, რამაც მუშათა კლასის საერთაშორისო ძმობის ეკვივალენტობა უნდა გასწიოს საერთო ბრძოლაში გაბატონებული კლასებისა და მათი მთავრობების წინააღმდეგ. ამრიგად, გერმანიის მუშათა კლასის საერთაშორისო ფუნქციების შესახებ სიტყვაც არაა დაძრული! და ასე უპასუხებს ის მის წინააღმდეგ ყველა სხვა ქვეყნის ბურჟუაზიასთან დაძმობილებულ თავის საკუთარ ბურჟუაზიას და ბ-ნი ბისმარკის საერთაშორისო შეთქმულების პოლიტიკას!

ფაქტიურად პროგრამის ინტერნაციონალიზმი უსასრულოდ დაბლა დგას, ვიდრე თავისუფალი ვაჭრობის პარტიის ინტერნაციონალიზმი. ეს პარტიაც ამტკიცებს, რომ მისი მისწრაფების შედეგი იქნება «ხალხთა საერთაშორისო ძმობა». მაგრამ ის ზოგ რამესაც აკეთებს, რათა ვაჭრობა საერთაშორისო გახადოს და სრულიადაც არ კმაყოფილდება იმ შეგნებით, რომ ყველა ხალხი შინ ვაჭრობას აწარმოებს.

მუშათა კლასის საერთაშორისო საქმიანობა არავითარი სახით არაა დამოკიდებული «მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის» არსებობაზე. ეს უკანასკნელი მხოლოდ იმის პირველი

---

[1] მშვიდობიანობისა და თავისუფლების საერთაშორისო ლიგა — 1867 წ. ჟენევაში დაფუძნებული ბურჟუაზიული დემოკრატებისა და პაციფისტების ორგანიზაცია. პირველი ინტერნაციონალი, მარქსის დაჟინებითი მოთხოვნით და ხელმძღვანელობით, გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებდა ლიგის დემაგოგიური ლოზუნგების წინააღმდეგ, რომლებიც პროლეტარიატს კლასობრივი ბრძოლისაგან აშორებდნენ. რედ.

ცდა იყო, რომ შექმნილიყო ამ საქმიანობის ცენტრალური ორგანო; ცდა, რამაც, მის მიერ მიცემული ბიძგის გამო, წარუშლელი შედეგები დატოვა, მაგრამ რომლის გატარება მისი პირველი ისტორიული ფორმით პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ უკვე აღარ შეიძლებოდა.

ბისმარკის «Norddeutsche» სრულიად მართალი იყო, როდესაც თავისი პატონის საამებლად გამოაცხადა: გერმანიის მუშათა პარტიამ ახალ პროგრამაში ინტერნაციონალიზმი დაგმოო. [1]

II

«ამ პრინციპებიდან გამომდინარე, გერმანიის მუშათა პარტია ყველა კანონიერი საშუალებით ცდილობს დაამყაროს თავისუფალი ხალხელმწიფო — და — სოციალისტური საზოგადოება; გააუქმოს ხელფასის სისტემა მისი რკინის კანონით ურთ — და — ყველა სახის ექსპლოატაცია; მოსპოს ყველა სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობა».

«თავისუფალ» სახელმწიფოს მე შემდეგ დავუბრუნდები.

ამრიგად, მომავალში გერმანიის მუშათა პარტიამ ლასალის «ხელფასის რკინის კანონი» უნდა იწამოს! რომ ეს უკანასკნელი არ დაიკარგოს, თხზავენ უაზრობას, ლაპარაკობენ რა «ხელფასის სისტემის (უნდა ეთქვათ: დაქირავებული შრომის სისტემის) გაუქმებაზე მისი რკინის კანონითურთ». თუ მე დაქირავებულ შრომას ვაუქმებ, ბუნებრივად, აგრეთვე მის კანონებსაც ვაუქმებ, გინდ «რკინის» იყოს ეს კანონები, გინდ ღრუბლისა. მაგრამ ლასალის ბრძოლა დაქირავებული შრომის წინააღმდეგ თითქმის მხოლოდ ამ ეგრეთწოდებული კანონის ირგვლივ ტრიალებს. ამიტომ, რომ დაემტკიცებინათ ლასალის სექტამ გაიმარჯვეო, უნდა გაუქმებულიყო «ხელფასის სისტემა მისი რკინის კანონითურთ» და არა უამისოდ.

როგორც ცნობილია, «ხელფასის რკინის კანონიდან» ლასალს არაფერი არ ეკუთვნის, გარდა სიტყვისა: «რკინის», რაც მან გადმოიღო გოეთეს «მარადიული, რკინის დიადი კანონებიდან». სიტყვა

[1] მარქსს მხედველობაში აქვს მოწინავე წერილი, გამოქვეყნებული 1875 წლ. 20 მარტის «Nord-deutsche Allgemeine Zeitung»-ის («ჩრდილო-გერმანული საყოველთაო გაზეთის») № 67-ში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის 5 პუნქტის გამო მოწინავე წერილი აღნიშნავდა, რომ «სოციალ-დემოკრატიული აგიტაცია მრავალმხრივ უფრო ფრთხილი გახდა» და რომ მან «ხელი აიღო ინტერნაციონალზე». რ ე დ.

«რკინის» არის ნიშანი, რომლითაც მართლმორწმუნენი ერთმანეთს გამოიცნობენ. მაგრამ თუ მე ვღებულობ ამ კანონს ლასალის დაღით და, მაშასადამე, ლასალის აზრით, მაშინ უნდა მივიღო აგრეთვე მისი დასაბუთებაც. რა არის ეს დასაბუთება? როგორც ლანგემ სულ მალე ლასალის სიკვდილს შემდეგ გამოარკვია, ეს არის — (თვით ლანგეს მიერ ნაქადაგევი) მალთუსის მოსახლეობის თეორია. მაგრამ თუ ეს თეორია სწორია, მაშინ მე არ შემიძლია «რკინის კანონი» გავაუქმო, თუნდ ასჯერაც გავაუქმო დაქირავებული შრომა, ვინაიდან მაშინ ეს კანონი ბატონობს არა მარტო დაქირავებული შრომის სისტემაზე, არამედ — ყოველ საზოგადოებრივ სისტემაზეც. სწორედ ამ თეორიაზე დაყრდნობით ეკონომისტები უკვე ორმოცდაათ წელზე მეტია ამტკიცებენ, რომ სოციალიზმი ვერ გააუქმებს ბუნებრივად დამყარებულ სიღატაკეს, არამედ მხოლოდ საყოველთაოს გახდის მას, ვინაიდან იგი თანაბრად გაანაწილებს მას საზოგადოების მთელ ზედაპირზე!

მაგრამ ყოველივე ეს არაა მთავარი. სრულიად მხედველობაში რომ არ მივიღოთ კანონის ყალბი ლასალური გაგება, ჭეშმარიტად ალმაშფოთებელი ნაბიჯი უკან შემდეგში მდგომარეობს:

ლასალის სიკვდილს შემდეგ ჩვენს პარტიაში გზა გაიკაფა მეცნიერულმა შეხედულებამ, რომ ხელფასი ის არ არის, რადაც იგი ჩანს, იგი არის არა შრომის ღირებულება ანუ ფასი, არამედ — სამუშაო ძალის ღირებულების ანუ ფასის მხოლოდ შენიღბული ფორმა. ამით ერთხელ და სამუდამოდ გადაყირავდა ხელფასის მთელი დღემდე არსებული ბურჟუაზიული გაგება, აგრეთვე აქამდე მის წინააღმდეგ მიმართული მთელი კრიტიკა, და ნათლად დადგინდა, რომ დაქირავებულ მუშას იმის ნებართვას აძლევენ, რომ საკუთარი თავის სარჩენად იმუშაოს, ე. ი. იცხოვროს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის განსაზღვრული დროის განმავლობაში მუქთად მუშაობს კაპიტალისტის სასარგებლოდ (მაშასადამე, აგრეთვე მასთან ერთად ზედმეტი ღირებულების სხვა მშთანთქმელთა სასარგებლოდ); რომ მთელი კაპიტალისტური წარმოების სისტემა იმის გარშემო ბრუნავს, რომ ეს მუქთი შრომა გაადიდოს სამუშაო დღის გახანგრძლივებით ან შრომის ნაყოფიერების გადიდებით, სათანადოდ — სამუშაო ძალის მეტი დაძაბვით და სხვ.; რომ, მაშასადამე, დაქირავებული შრომის სისტემა მონობის სისტემაა, სახელდობრ — ისეთი მონობის, რომელიც მით უფრო მკაცრი ხდება, რაც უფრო ვითარდება შრომის

საზოგადოებრივი საწარმოო ძალები, მიუხედავად იმისა, მუშის შრომა მეტად ნაზღაურდება თუ ნაკლებად. და მას შემდეგ, რაც ამ შეხედულებამ თანდათან გზა გაიკვლია ჩვენს პარტიაში, ისევ ლასალის დოგმებს უბრუნდებიან, თუმცა ახლა უნდა იცოდნენ, რომ ლასალს არ ესმოდა, რა არის ხელფასი, და ბურჟუაზიულ ეკონომისტთა მსგავსად, საქმის გარეგნული მხარე მის არსად მიიჩნდა.

ეს იმას ჰგავს, რომ მონები, რომელნიც, დაბოლოს, მონობის საიდუმლოებას მისწვდნენ, აჯანყდნენ, ხოლო ერთმა მათგანმა, მოძველებულ წარმოდგენათა ტყვეობაში მყოფმა, აჯანყების პროგრამაში ჩაწეროს: მონობა უნდა გაუქმდეს, ვინაიდან მონების შესანახი ხარჯი მონობის სიტემის დროს განსაზღვრულ, მეტად დაბალ მაქსიმუმს ვერ გადააჭარბებსო!

მარტოდმარტო ეს ფაქტი, რომ ჩვენი პარტიის წარმომადგენლებს უნარი შესწევდათ ასეთი საოცარი თავდასხმა მოეხდინათ პარტიულ მასებში გავრცელებულ შეხედულებაზე, განა მარტო ეს არ მოწმობს, თუ რაოდენ დანაშაულებრივი ქარაფშუტობით, რაოდენი უსინდისობით შეუდგნენ ისინი კომპრომისული პროგრამის შედგენის საქმეს!

ნაცვლად პარაგრაფის გაურკვეველი ბოლო ფრაზისა: «მოსპოს ყველა სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობა», უნდა ვთქვათ: რომ კლასობრივ განსხვავებათა გაუქმებასთან ერთად თავისთავად გაჰქრება ყოველგვარი მათგან გამომდინარე სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობა.

III

> ‹ჯერმანიის მუშათა პარტია, სოციალური საკითხის გადაჭრისათვის გზის გასაკვალად, მოითხოვს საწარმოო ამხანაგობათა დაარსებას სახელმწიფოს დახმარებით მშრომელი ხალხის დემოკრატიული კონტროლის ქვეშ. საწარმოო ამხანაგობანი მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში იმ ზომით უნდა დაარსდნენ, რომ მათგან ერთობლივი შრომის სოციალისტური ორგანიზაცია წარმოიშვას›.

ლასალურ «ხელფასის რკინის კანონს» თან მოსდევს იმავე წინასწარმეტყველის სამკურნალო საშუალება. ამ საშუალებას ღირსეულად «გზას უკვლევენ». არსებული კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად ჩნდება საგაზეთო მჯღაბნელთა ფრაზა: «სოციალური საკითხი», რომლის

«გადაჭრისათვის გზას კაფავენ». საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის პროცესის ნაცვლად «წარმოიშობა» ერთობლივი შრომის სოციალისტური ორგანიზაცია» «სახელმწიფოს დახმარებით», რასაც იგი საწარმოო ამხანაგობებს უწევს, ამხანაგობებს, რომლებსაც სახელმწიფო «აარსებს» და არა მუშები. სავსებით შეესატყვისება ლასალის ფანტაზიას ის, რომ თითქოს სახელმწიფო სესხებით ისევე ადვილად შეიძლება ახალი საზოგადოების აგება, როგორც ახალი რკინიგზის გაყვანა!

სირცხვილის ნარჩენის გამო «სახელმწიფო დახმარებას» «მშრომელი ხალხის» დემოკრატიულ კონტროლს უქვემდებარებენ.

ჯერ ერთი, «მშრომელი ხალხის» უმრავლესობა გერმანიაში შედგება გლეხებისაგან და არა პროლეტარებისაგან.

მეორეც, სიტყვა «დემოკრატიული» გერმანულად იგივეა, რაც «ხალხის ბატონობა» («volksherrschaftlich»). მაგრამ რა არის «მშრომელი ხალხის ბატონობის კონტროლი»? და ამასთან იმ მშრომელი ხალხის, რომელიც, სახელმწიფოსადმი წარდგენილი ამ მოთხოვნებით, თავის მხრით, მთლად იმ შეგნებას გამოთქვამს, რომ იგი არც გაბატონებულია და არც ბატონობისათვის მომწიფებული!

აქ ზედმეტია გავაკრიტიკოთ ის რეცეპტი, რომელიც ბუშემ გამოწერა ლუი ფილიპეს დროს ფრანგი სოციალისტების წინააღმდეგ და მიღებულ იქნა «Atelier»-ს[1] რეაქციონერი მუშების მიერ. მთავარი უბედურება ის კი არ არის, რომ ეს სპეციფიკური სასწაულმოქმედი სამკურნალო საშუალება იქნა პროგრამაში შეტანილი, არამედ ის, რომ საერთოდ კლასობრივი მოძრაობის თვალსაზრისიდან სექტური მოძრაობის თვალსაზრისს უბრუნდებიან.

თუ მუშებს სურთ კოლექტიური წარმოების პირობები დაამყარონ სოციალური და, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალური მასშტაბით შინ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი წარმოების ახლანდელი პირობების გადატრიალებისათვის იბრძვიან, და ამას არაფერი აქვს საერთო კოოპერაციულ საზოგადოებათა დაარსებასთან სახელმწიფოს დახმარებით. ხოლო რაც შეეხება ახლანდელ კოოპერაციულ ამხანაგობებს, მათ მხოლოდ იმდენად აქვთ ღირებულება, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ მუშების მიერ შექმნილ დამოუკიდებელ ორგანიზაციებს, რომელთაც არც მთავრობა უწევს მფარველობას და არც ბურჟუაზია.

---

[1] «Atelier» («სახელოსნო») — მუშათა ყოველთვიური ორგანო, გამოდიოდა პარიზში 1840 — 1850 წლ.-ში; განიცდიდა ბუშეს კათოლიკური სოციალიზმის იდეის გავლენას. რედ.

IV

ახლა დემოკრატიულ განყოფილებაზე გადავალ.

A. «სახელმწიფოს თავისუფალი საფუძველი».

უპირველეს ყოვლისა, II განყოფილების თანახმად, გერმანიის მუშათა პარტია ცდილობს დაამყაროს «თავისუფალი სახელმწიფო».

თავისუფალი სახელმწიფო — რა არის ეს?

ის, რომ თავისუფალი გახადონ სახელმწიფო, არავითარ შემთხვევაში არ შეადგენს მიზანს მუშებისა, რომლებმაც უკუაგდეს ეს ქვეშევრდომული გონებაშეზღუდულობა. გერმანიის იმპერიაში «სახელმწიფო» ისევეა «თავისუფალი», როგორც რუსეთში. თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო საზოგადოების დამქვემდებარებელ ორგანოდან სრულად საზოგადოებისადმი დაქვემდებარებულ ორგანოდ გარდაიქმნას. და ამჟამადაც სახელმწიფოს ფორმები იმ ზომით არიან თავისუფალნი თუ არათავისუფალნი, რა ზომითაც ისინი «სახელმწიფოს თავისუფლებას» ზღუდავენ.

გერმანიის მუშათა პარტია — ყოველ შემთხვევაში, თუ ის ამ პროგრამას სცნობს — ააშკარავებს, თუ რამდენად არაღრმად აქვს მას გამჯდარი სოციალისტური იდეები; იმის ნაცვლად, რომ არსებული საზოგადოება (და ეს შეეხება ყოველ მომავალ საზოგადოებასაც) არსებული სახელმწიფოს (ან მომავალი საზოგადოება მომავალი სახელმწიფოს) საფუძვლად განიხილოს, ის, პირიქით, სახელმწიფოს განიხილავს როგორც დამოუკიდებელ არსებას, რომელსაც საკუთარი «სულიერი, ზნეობრივი და თავისუფალი საფუძვლები» აქვს.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ ბოროტად იყენებს პროგრამა სიტყვებს: «თანამედროვე სახელმწიფო», «თანამედროვე საზოგადოება» და როგორ კიდევ უფრო მეტ გაუგებლობას იჩენს იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელსაც თავის მოთხოვნებს უყენებს!

«თანამედროვე საზოგადოება» კაპიტალისტური საზოგადოებაა, რომელიც ყველა კულტურულ ქვეყანაში არსებობს და რომელიც შეა საუკუნეების ნაშთებისაგან მეტ-ნაკლებ თავისუფალია, თვითეული ქვეყნის თავისებური ისტორიული განვითარებით მეტ-ნაკლებ სახეშეცვლილი და მეტ-ნაკლებ განვითარებულია. «თანამედროვე სახელმწიფო», პირიქით, ქვეყნის საზღვრებთან ერთად იცვლება. პრუსია-გერმანიის იმპერიაში ის სხვანაირია, ვიდრე შვეიცარიაში, ინგლისში სხვანაირია, ვიდრე შეერთებულ შტატებში. ამრიგად, «თანამედროვე სახელმწიფო» ფიქციაა.

მაგრამ სხვადასხვა კულტურული ქვეყნის სხვადასხვა სახელმწიფოს, მიუხედავად მათი ფორმების ჭრელი სხვადასხვაობისა, საერთო ის აქვს, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული, მხოლოდ მეტნაკლებ კაპიტალისტურად განვითარებული, საზოგადოების ნიადაგზე დგანან. ამიტომ მათ აქვთ აგრეთვე ზოგი არსებითი საერთო ნიშნეულობანი. ამ აზრით შეიძლება ლაპარაკი «თანამედროვე სახელმწიფოს» შესახებ წინააღმდეგ მომავლისა, როდესაც მისი ახლანდელი ფესვები, ბურჟუაზიული საზოგადოება თანდათან მოკვდება.

შემდეგ საკითხავია: რა გარდაქმნას განიცდის სახელმწიფო კომუნისტურ საზოგადოებაში? სხვა სიტყვებით: რა საზოგადოებრივი ფუნქციები დარჩება იქ ახლანდელი სახელმწიფო ფუნქციების ანალოგიური? ამ კითხვას მხოლოდ მეცნიერება თუ უპასუხებს, და რამდენჯერაც არ უნდა შეახამოთ სიტყვა «ხალხი» სიტყვა «სახელმწიფოსთან», ამით პრობლემის გადაწყვეტას იოტისოდენადაც ვერ დავუახლოვდებით.

კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის მდებარეობს ერთის მეორედ რევოლუციური გარდაქმნის პერიოდი. ამ პერიოდს შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არ პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა.

მაგრამ პროგრამა არ ეხება არც უკანასკნელს და არც კომუნისტური საზოგადოების მომავალ სახელმწიფოებრიობას.

მისი პოლიტიკური მოთხოვნა სხვას არაფერს შეიცავს, გარდა ძველი, საქვეყნოდ ცნობილი დემოკრატიული ლათაიებისა: საყოველთაო საარჩევნო უფლება, პირდაპირი კანონმდებლობა, სახალხო სამართალი, სახალხო შეიარაღება და ა. შ.. ეს არის ბურჟუაზიული სახალხო პარტიის [1], მშვიდობიანობისა და თავისუფლების ლიგის უბრალო გამოძახილი. ეს სულ ისეთი მოთხოვნებია, რომლებიც რამდენადაც ფანტასტიკურ წარმოდგენაში არ გადადიან, უკვე განხორციელებულია. მხოლოდ — სახელმწიფო, სადაც ეს

[1] სახალხო პარტია დაარსდა 1865 წლ. სექტემბერში დარმშტადტში და ორგანიზაციულად გაფორმდა შტუტგარტის ყრილობაზე 1868 წლ. სექტემბერში. ეს იყო უმთავრესად სამხრეთ გერმანიის, წვრილი ბურჟუაზიის პარტია, რომელიც ფედერალიზ ის წვრილბურჟუაზიულ პრინციპებს უპირისპირებდა იუნკრული პრუსიის ჰეგემონიით გერმანიის გაერთიანების ბისმარკულ პოლიტიკას. რედ.

განხორციელებულია, მდებარეობს არა გერმანიის იმპერიის საზღვრებს შიგნით, არამედ — შვეიცარიაში, შეერთებულ შტატებში და ა. შ.. ამ ჯურის «მომავლის სახელმწიფო» თანამედროვე სახელმწიფოა, თუმცა — გერმანიის იმპერიის «ჩარჩოებს» გარეთ არსებული.

მაგრამ ერთი რამ კი დაავიწყდათ. ვინაიდან გერმანიის მუშათა პარტია გარკვეულად აცხადებს, რომ იგი «თანამედროვე ნაციონალური სახელმწიფოს», მაშასადამე, თავისი სახელმწიფოს, პრუსია-გერმანიის იმპერიის შიგნით მოძრაობს, — წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მოთხოვნები მეტწილად უაზრო იქნებოდა, ვინაიდან საერთოდ მხოლოდ იმას მოითხოვენ, რაც არა აქვთ, — მას არ უნდა დავიწყებოდა მთავარი, სახელდობრ, რომ ყველა ეს მშვენიერი საქმე დამყარებულია ეგრეთწოდებული ხალხის სუვერენობის აღიარებაზე, რომ, ამიტომ, მათ ადგილი აქვთ მხოლოდ დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

რადგან ვერ გაბედეს — და გონივრულადაც, ვინაიდან პიროზები სიფრთხილეს ითხოვს — დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნა, როგორც ამას ფრანგი მუშების პროგრამები აკეთებდნენ ლუი ფილიპეს და ლუი ნაპოლეონის დროს, ამიტომ არ უნდა მიემართათ არც «პატიოსანი» [1] და არც ღირსეული ოინისათვის: რომ ისეთ რამეს, რასაც მხოლოდ დემოკრატიულ რესპუბლიკაში აქვს აზრი, მოითხოვენ სახელმწიფოსაგან, რომელიც სხვა არაფერია, თუ არ პარლამენტური ფორმებით შელამაზებული, ფეოდალური ნაშთებით შენარევი, უკვე ბურჟუაზიის გავლენას დაქვემდებარებული, ბიუროკრატიულად შედგენილი და პოლიციის საფარველ ქვეშ მყოფი სამხედრო დესპოტიზმი, და, გარდა ამისა, ამ სახელმწიფოს უცხადებენ ნდობას, თითქოს სჯეროდეთ, რომ შეუძლიათ «კანონიერი საშუალებებით» აიძულონ იგი მსგავსი საქმეები გააკეთოს!

თვით ვულგარული დემოკრატია, რომელიც დემოკრატიულ რესპუბლიკაში ათასწლიურ სუფევას ხედავს და არავითარი წინაგრძნობა არა აქვს იმის შესახებ, რომ სწორედ ბურჟუაზიული საზოგადოების ამ უკანასკნელ სახელმწიფოებრივ ფორმაში გადაიჭრება იერარქიით კლასობრივი ბრძოლა საბოლოოდ, — თვით ეს დემოკრატიაც კი მთასავით მაღლა დგას ასეთგვარ დემოკრატიზმ-

[1] «პატიოსანს» უწოდებდნენ აიზენახელებს. მარქსს აქ სიტყვების თამაში აქვს. რედ.

ზე, რომელიც პოლიციის მიერ ნებადართულისა და ლოგიკის მიერ ნებადაურთველის ფარგლებშია მოქცეული.

«სახელმწიფოდ» რომ ნამდვილად მთავრობის მანქანა მიაჩნიათ ან სახელმწიფო, რამდენადაც ის შრომის დანაწილების მეოხებით საზოგადოებისაგან განცალკევებულ თავისებურ ორგანიზმს შეადგენს, ამას შემდეგი სიტყვები მოწმობს: «გერმანიის მუშათა პარტია მოითხოვს, როგორც სახელმწიფოს ეკონომიურ საფუძველს: ერთიან პროგრესიულ საშემოსავლო გადასახადს» და ა. შ. გადასახადები — მთავრობის მანქანის ეკონომიური საფუძველია და სხვა არაფერი. შვეიცარიაში არსებულ «მომავლის სახელმწიფოში» ეს მოთხოვნა თითქმის განხორციელებულია. საშემოსავლო გადასახადი გულისხმობს სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასთა შემოსავლის სხვადასხვა წყაროს, — მაშასადამე, კაპიტალისტურ საზოგადოებას. ამიტომ არაფერია გასაოცარი იმაში, რომ ლივერპულის საფინანსო რეფორმის დამცველები — ბურჟუები გლადსტონის ძმის მეთაურობით, — იმავე მოთხოვნებს აყენებენ, რასაც ეს პროგრამა.

B. «გერმანიის მუშათა პარტია მოითხოვს როგორც სახელმწიფოს სულიერ და ზნეობრივ საფუძველს:

1. საყოველთაო და თანასწორ სახალხო აღზრდა-განათლებას სახელმწიფოს საშუალებით. საყოველთაო სავალდებულო სწავლებას, უფასო განათლებას».

თანასწორი სახალხო აღზრდა-განათლება? რას გულისხმობენ ამ სიტყვებით? ნუთუ ფიქრობენ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში (და საქმე მხოლოდ მასთან აქვთ) აღზრდა-განათლება შეიძლება თანასწორი იყოს ყველა კლასისთვის? თუ — მოითხოვენ, რომ უმაღლესი კლასებიც იძულებით დაყვანილი უნდა იქნენ დაბალ აღზრდა-განათლებაზე, — სახალხო სკოლის დონეზე, რომელიც მარტოდმარტო შეეთავსება არა მარტო დაქირავებული მუშების, არამედ აგრეთვე გლეხების ეკონომიურ პირობებს?

«საყოველთაო სავალდებულო სწავლება. უფასო განათლება». პირველი ამათგანი არსებობს გერმანიაშიც კი, მეორე — შვეიცარიასა და შეერთებულ შტატებში სახალხო სკოლების მიმართ. თუ ამერიკის ზოგიერთ შტატში უფრო მაღალ სასწავლებლებში სწავლებაც აგრეთვე «უფასოა», ფაქტიურად ეს მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ უმაღლესი კლასები თავიანთი აღზრდა-განათლების ხარჯებს საერთო საგადასახადო ქისიდან ფარავენ. გაკვრით აღვნიშნავ, რომ იგივე შეეხება A, 5 მუხლში მოთხოვილ «უფასო სა-

მართლის წარმოებას». სისხლის სამართლის იუსტიცია ყველგან უფასოა; სამოქალაქო სამართლის წარმოება კი თითქმის მხოლოდ საკუთრების კონფლიქტების გარშემო ტრიალებს, მაშასადამე, მხოლოდ მქონებელ კლასებს ეხება. ამათაც სახალხო ქისის ხარჯზე ხომ არ უნდა აწარმოონ თავიანთი პროცესები?

პარაგრაფს სკოლების შესახებ, ყოველ შემთხვევაში, უნდა მოეთხოვა ტექნიკური სკოლები (თეორიული და პრაქტიკული) სახალხო სკოლასთან დაკავშირებით.

სრულიად უვარგისია «სახალხო აღზრდა-განათლება სახელმწიფოს საშუალებით». საყოველთაო კანონის საშუალებით სახალხო სკოლების ხარჯების, სამასწავლებლო პერსონალის კვალიფიკაციის, სასწავლო დისციპლინების და სხვ. განსაზღვრა, და, როგორც ეს შეერთებულ შტატებშია, სახელმწიფო ინსპექტორების მეშვეობით ამ, კანონის მიერ დადგენილ, წესებზე მეთვალყურეობა, — სულ სხვა რამ არის, ვიდრე სახელმწიფოს დანიშვნა ხალხის აღმზრდელად! პირიქით, მთავრობისა და ეკლესიის ყოველგვარი გავლენა სკოლაზე თანაბრად გამოსარიცხავია. პრუსია-გერმანიის იმპერიაში (და ამაოა თავის მართლება იმით, რომ «მომავლის სახელმწიფოზეა» ლაპარაკიო; ჩვენ დავინახეთ, თუ როგორაა ამ მხრივ საქმე) სახელმწიფო, პირიქით, საჭიროებს მეტად მკაცრ აღზრდას ხალხის მიერ.

მთელი პროგრამა, მიუხედავად დემოკრატიული ჟღარუნისა, სრულიად დასნეულებულია ლასალური სექტის ქვეშევრდომული რწმენით სახელმწიფოს მიმართ, ანუ, რაც სრულიადაც არაა უკეთესი, დემოკრატიული სასწაულრწმენით, ანდა, უფრო უკეთ, ის წარმოადგენს კომპრომისს, ამ ორ, სოციალიზმისაგან თანაბრად დაშორებულ, სასწაულრწმენას შორის.

პრუსიის კონსტიტუციის ერთი პარაგრაფი მოითხოვს «მეცნიერების თავისუფლებას». რისთვის არის ეს აქ შეტანილი? «სინდისის თავისუფლება»! თუ ახლა, «კულტურკამპფის» [1] პერიოდში სურდათ ლიბერალიზმისათვის მისი ძველი დევიზები გაეხსენებინათ, ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ამ ფორმით: «თვითეულს უნდა შეეძლოს თავისი რელიგიური, ისევე როგორც თავისი ხორციელი საჭიროებანი დაიკმაყოფილოს, ისე, რომ პო-

[1] «კულტურკამპფ» («ბრძოლა კულტურისათვის») — ბრძოლა, რომელსაც ბისმარკი აწარმოებდა 1870-იან წლებში კათოლიკეთა გერმანული პარტიის, «ცენტრის» პარტიის, წინააღმდეგ კათოლიციზმის პოლიციური დევნით. რედ.

ლიციამ იქ ცხვირი არ ჩაჰყოს». მაგრამ მუშათა პარტიას უნდა ესარგებლნა ამ შემთხვევით და გამოეთქვა თავისი რწმენა იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიული «სინდისის თავისუფლება» სხვა არაფერია, თუ არ ყველა ჯურის რელიგიური სინდისის თავისუფლების მოთმენა, ხოლო იგი, მუშათა პარტია, პირიქით, ცდილობს სინდისი რელიგიური მოჩვენებიდან გაანთავისუფლოს. მაგრამ სურვილი არა აქვთ «ბურჟუაზიულ» დონეს გასცდნენ.

ახლა მე დასასრულს მივაღწიე, ვინაიდან პროგრამის შემდგომი დანართი მის დამახასიათებელ შემადგენელ ნაწილს არ შეადგენს. ამიტომ აქ მოკლე შენიშვნებით დავკმაყოფილდები.

2. «ნორმალური სამუშაო დღე».

არც ერთი სხვა ქვეყნის მუშათა პარტია არ კმაყოფილდებოდა ასეთი გაურკვეველი მოთხოვნით, არამედ ყოველთვის ზუსტად აღნიშნავდა სამუშაო დღის ხანგრძლივობას, რომელსაც ის არსებულ პირობებში ნორმალურად თვლის.

3. «ქალთა შრომის შეზღუდვა და ბავშვთა შრომის აკრძალვა».

ნორმალური სამუშაო დღის დაწესება უკვე უნდა შეიცავდეს ქალთა შრომის შეზღუდვას, რამდენადაც ის ეხება სამუშაო დღის ხანგრძლივობას, შესვენებას და სხვ.; გარდა ამისა, ის შეიძლება ნიშნავდეს ქალთა შრომის აკრძალვას შრომის იმ დარგებში, რომლებიც განსაკუთრებით მავნებელია ქალის ორგანიზმისათვის ანდა ზნეობრივად უარსაყოფელია დედრობითი სქესისათვის. თუ ამის თქმას ფიქრობდნენ, ეს უნდა ეთქვათ კიდევაც.

«ბავშვთა შრომის აკრძალვა». აქ აბსოლუტურად საჭირო იყო ასაკობრივი საზღვრის აღნიშვნა.

ბავშვთა შრომის საყოველთაო აკრძალვა შეუთავსებელია მსხვილი მრეწველობის არსებობასთან და, ამიტომ, ფუჭე კეთილ სურვილს წარმოადგენს.

მისი განხორციელება — შესაძლებელიც რომ ყოფილიყო— რეაქციული იქნებოდა, ვინაიდან, სამუშაო დროის მკაცრი მოწესრიგებისას სხვადასხვა ასაკობრივი საფეხურების მიხედვით და ბავშვთა დასაცავად მიღებულ სხვა საზედამხედველო ღონისძიებებით, პროდუქტიული შრომის ადრეული დაკავშირება სწავლა-განათლებასთან თანამედროვე საზოგადოების გარდაქმნის ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებას წარმოადგენს.

4. «სახელმწიფოს ხედამხედველობა ფაბრიკულ, ხელოსნურ და ოჯახურ მრეწველობაზე».

პრუსია-გერმანიის სახელმწიფოს მიმართ გარკვევით უნდა ყოფილიყო მოთხოვილი: რომ ინსპექტორების შეცვლა მხოლოდ სასამართლოს საშუალებით ხდებოდეს; რომ ყოველ მუშას შეეძლოს სასამართლოში უჩივლოს მათ სამსახურებრივ ვალდებულებათა დარღვევის გამო; რომ ინსპექტორი განათლებით უეჭველად ექიმი უნდა იყოს.

5. «პატიმართა შრომის მოწესრიგება».

წვრილმანი მოთხოვნაა საყოველთაო მუშათა პროგრამაში. ყოველ შემთხვევაში, ნათლად უნდა ეთქვათ, რომ მუშებს სრულიადაც არ სურთ კონკურენციის შიშით ჩვეულებრივი დამნაშავენი პირუტყვად მიიჩნიონ და, განსაკუთრებით, წაართვან მათ გამოსწორების ერთადერთი საშუალება — პროდუქტიული შრომა. ეს მინიმუმია იმისა, რისი მოლოდინიც უნდა გვქონოდა სოციალისტებისაგან.

6. «მომქმედი კანონი პასუხისმგებლობის შესახებ».

საჭირო იყო ეთქვათ, თუ რას გულისხმობენ «მომქმედ» კანონად პასუხისმგებლობის შესახებ.

გაკვრით აღვნიშნავ, რომ სადაც ნორმალური სამუშაო დღის შესახებ არის ლაპარაკი, იქ გამოტოვებულია საფაბრიკო კანონმდებლობის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ჯანმრთელობის დასაცავ ღონისძიებებს, უბედური შემთხვევებისაგან დასაცავ საშუალებებს და სხვ... კანონი პასუხისმგებლობის შესახებ ძალაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს წესები დაირღვევა.

მოკლედ ეს დანართიც უხეირო რედაქციით ხასიათდება.

Dixi et salvavi animam meam [1].

დაწერილია კ. მარქსის მიერ
1875 წ. მაისის დამდეგს
პირველად გამოაქვეყნა ფ. ენგელსმა
(გამოტოვებული ადგილებით) ჟურნალში
«Neue Zeit», 1891 წ.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

[1] ვთქვი და შვება მიგვეც სულსა ჩემსა. რ ე დ.

ფ. ენგელსი

წერილი ა. ბებელისადმი

ლონდონი, 1875 წლ. 18—28 მარტი

ძვირფასო ბებელ!

მივიღე თქვენი 23 თებერვლის წერილი და მოხარული ვარ, რომ ფიზიკურად თქვენ კარგად ხართ.

თქვენ მეკითხებით, თუ რას ვფიქრობთ ჩვენ გაერთიანების ისტორიის შესახებ? სამწუხაროდ, ჩვენც იგივე მოგვივიდა, რაც თქვენ. არც ლიბკნეხტს და არც სხვა ვინმეს არაფერი უცნობებია ჩვენთვის, და ამიტომ ჩვენც მხოლოდ ის ვიცით, რაც გაზეთებშია მოთავსებული, ხოლო იქ არაფერი იყო, ვიდრე რვა დღის წინათ პროგრამის პროექტი მოვიდოდა. რასაკვირველია, ამ პროექტმა ჩვენ დიდად განგვაცვიფრა.

ჩვენი პარტია ისე ხშირად უწვდიდა ხელს ლასალელებს შესარიგებლად ანდა, ყოველ შემთხვევაში, თანამშრომლობისათვის და ისე ხშირად და კადნიერად ღებულობდა უარს ჰაზენკლეველების, ჰასელმანებისა და ტოლკეებისაგან, რომ აქედან თვით ბავშვსაც კი ასეთი დასკვნა უნდა გამოეტანა: თუ ახლა ეს ვაჟბატონები თვით მოდიან და შერიგებას გვთავაზობენ, მაშ, ეტყობა, მეტისმეტად მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგრამ ამ ხალხის ხასიათი რომ ვიცით, ჩვენი მოვალეობაა ეს მათი მძიმე მდგომარეობა გამოვიყენოთ, რათა ყველა და ყოველი შესაძლებელი გარანტია მოვიპოვოთ, რომ ამ ვაჟბატონებმა ჩვენი პარტიის ხარჯზე ისევ არ განიმტკიცონ თავიანთი შერყეული პოზიცია მუშების თვალში. მათ მეტისმეტად ცივად და უნდობლად უნდა შეხვედროდნენ, გაერთიანების პირობად უნდა გამხდარიყო მათი მზადყოფნის ხარისხი, ე. ი. ის, რომ ისინი თავიანთ სექტანტურ ლოზუნგებსა და თავიანთ «სახელმწიფო დახმარებაზე» ხელს აიღებდნენ

და არსებითად აიზენახელთა 1869 წლის პროგრამას ან მის, თანამედროვე მომენტთან შეხამებულ, გაუმჯობესებულ გამოცემას მიიღებდნენ. ჩვენს პარტიას აბსოლუტურად არაფერი აქვს სასწავლი ლასალელებისაგან თეორიული მხრივ, მაშასადამე, იმაში, რასაც პროგრამისათვის გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს; ლასალელებს კი, რა თქმა უნდა, შეეძლოთ ბევრი რამ ესწავლათ ჩვენი პარტიისაგან; გაერთიანების პირველი პირობა ის უნდა ყოფილიყო, რომ მათ თავი დაენებებინათ სექტანტობისთვის, ლასალელობისათვის, — მაშასადამე, თუ, უწინარეს ყოვლისა, მთლად ხელს არ აიღებდნენ სახელმწიფო დახმარებაზე, როგორც საყოველთაო სასწაულმოქმედ საშუალებაზე, დაქვემდებარებულ გარდამავალ ღონისძიებად მაინც უნდა ჩაეთვალათ იგი მრავალ სხვა შესაძლებელ ღონისძიებათა შორის და მათ გვერდით. პროგრამის პროექტი ადასტურებს, რომ ჩვენები ლასალელთა ბელადებს ასწილ სჯობნიან თეორიაში, მაგრამ ამდენადვე ჩამორჩებიან მათ პოლიტიკურ გაქნილობაში; «პატიოსნები» ამჯერადაც საშინლად პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს უპატიოსნებმა.

ჯერ ერთი, მიღებულია მაღალფარდოვანი, მაგრამ ისტორიულად ყალბი ლასალური ფრაზა: მუშათა კლასის მიმართ ყველა სხვა კლასი მხოლოდ ერთ რეაქციულ მასას შეადგენსო. ეს დებულება სწორია მხოლოდ ცალკეულ გამონაკლის შემთხვევაში, მაგალითად, ისეთ პროლეტარულ რევოლუციაში, როგორიც იყო კომუნა, ანდა ისეთ ქვეყანაში, სადაც არა მარტო ბურჟუაზიამ შექმნა სახელმწიფო და საზოგადოება თავის მსგავსად და ხატად, არამედ სადაც მის კვალდაკვალ დემოკრატიულმა წვრილმა ბურჟუაზიამაც ეს გარდაქმნა მის უკანასკნელ შედეგებამდე მიიყვანა. თუ, მაგალითად, გერმანიაში დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზია ამ რეაქციულ მასას ეკუთვნოდა, მაშინ როგორღა შეეძლო სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას წლების განმავლობაში მასთან, სახალხო პარტიასთან, ხელიხელჩაკიდებული ევლო? როგორ შეეძლო «Volksstaat»-ს თითქმის მთელი თავისი პოლიტიკური შინაარსი წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული «Frankfurter Zeitung»-იდან გადმოეღო? და როგორ შეიძლებოდა სწორედ ამ პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო არანაკლებ შვიდი მოთხოვნისა, რომელიც პირდაპირ და სიტყვასიტყვით იმეორებს სახალხო პარტიისა და წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის პროგრამას? მე ვგულისხმობ შვიდ პოლიტიკურ მოთხოვნას: 1-დან 5-დე და 1-დან

2-დე, რომელთაგან არც ერთი არაა ისეთი, რომ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დემოკრატიული არ იყოს[1].

მეორე: მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალობის პრინციპი პრაქტიკულად თანამედროვეობისათვის სრულიად უარყოფილია, და უარყოფილია იმ ადამიანთა მიერ, რომელნიც ხუთი წლის განმავლობაში და უძნელეს პირობებში ამ პრინციპს სახელოვნად იცავდნენ. გერმანელი მუშები უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ იმიტომ აღმოჩნდნენ ევროპის მუშათა მოძრაობის სათავეში, რომ მათ ომის დროს ნამდვილად ინტერნაციონალური პოზიცია ეჭირათ; ვერც ერთი სხვა ქვეყნის პროლეტარიატი ვერ მოიქცეოდა ასე კარგად. და ახლა ეს პრინციპი უნდა იქნეს უარყოფილი ისეთ მომენტში, როდესაც უცხოეთში ყველგან მუშები მას იმ ზომითვე ხაზს უსვამენ, რა ზომითაც მთავრობანი ცდილობენ ჩაახშონ ამ პრინციპის რაიმე ორგანიზაციაში განხორციელების ყოველგვარი ცდა! რაღა რჩება მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალიზმისაგან? უბრალო იმედი — და ისიც არა ევროპის მუშათა შემდგომი თანამშრომლობისა თავიანთი განთავისუფლებისათვის, არამედ მომავალი «ხალხთა საერთაშორისო ძმობის», «მშვიდობიანობის ლიგის» მონაწილე ბურჟუათა «ევროპის შეერთებული შტატების» სუსტი იმედი!

რასაკვირველია, სრულიად არ იყო საჭირო ლაპარაკი ინტერნაციონალზე როგორც ასეთზე. მაგრამ სულ მცირე რამ მაინც აუცილებელი იყო — არც ერთი ნაბიჯი უკან არ უნდა გადაედგათ 1869 წლის პროგრამასთან შედარებით და დაახლოებით ასე უნდა ეთქვათ: თ უ მ ც ა გერმანიის მუშათა პარტია, უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ყ ო ვ-

---

[1] გოთას პროგრამის პროექტის ეს პოლიტიკური მოთხოვნები იყო:

«სახელმწიფოს თავისუფალი საფუძვლის სახით გერმანიის მუშათა პარტია მოითხოვს:

1. საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და საიდუმლო საარჩევნო უფლებას ყველა მამაკაცისთვის, დაწყებული 21 წლიდან, სახელმწიფოს და თემის ყველა არჩევნებში. 2. პირდაპირ სახალხო კანონმდებლობას წინადადების შეტანისა და უარყოფის უფლებით. 3. საყოველთაო სამხედრო სწავლებას. სახალხო ლაშქარს მუდმივი ჯარის ნაცვლად. ომისა და ხავის საკითხის გადაწყვეტის მინიჭებას სახალხო წარმომადგენლობისათვის. 4. ყველა საგანგებო კანონის გაუქმებას, განსაკუთრებით — ბეჭდვითი სიტყვის, კავშირების და კრებების კანონებისას. 5. სახალხო სასამართლოს. სამართლის უფასო წარმოებას.

სახელმწიფოს სულიერ და ზნეობრივ საფუძვლად გერმანიის მუშათა პარტია მოითხოვს:

1. საყოველთაო და ყველასათვის თანასწორ სახალხო აღზრდა-განათლებას სახელმწიფოს საშუალებით. საყოველთაო საკალდებულო სწავლებას. უფასო სწავლებას. 2. მეცნიერების თავისუფლებას. სინდისის თავისუფლებას». რ ე დ. .

ლ ი ს ა, მისთვის დაწესებულ სახელმწიფო საზღვრების შიგნით მოქმედებს (მას აბავითარი უფლება არა აქვს ევროპის პროლეტარიატის სახელით ილაპარაკოს, განსაკუთრებით — რაიმე სიყალბე თქვას). მიუხედავად ამისა, მას მაინც შეგნებული აქვს თავისი სოლიდარობა ყველა ქვეყნის მუშებთან და მუდამ მზადაა, როგორც აქამდე, ამ სოლიდარობით დაკისრებული ვალდებულებანი შეასრულოს. ასეთი ვალდებულებანი არსებობს «ინტერნაციონალის» ნაწილად თავის გამოუცხადებლობის ან ასეთად თავის მიუჩნეველობის შემთხვევაშიც, მაგალითად: დახმარება და შტრაიკბრეხერობის დაუშვებლობა გაფიცვების დროს, ზრუნვა იმისათვის, რომ პარტიული ორგანოები ცნობებს აწვდიდნენ გერმანელ მუშებს უცხოეთის მოძრაობის შესახებ. აგიტაცია მოსალოდნელი ან უკვე გაჩაღებული დინასტიური ომების წინააღმდეგ, ხოლო ასეთი ომების დროს მოქმედების ისეთი ტაქტიკა, როგორიც სანიმუშოდ გატარდა 1870 და 1871 წლებში, და ა. შ..

მესამე: ჩვენებმა ნება მიცეს თავს მოეხვევინებინათ ლასალური «ხელფასის რკინის კანონი», რომელიც სრულიად მოძველებულ ეკონომიურ შეხედულებაზეა დამყარებული, სახელდობრ, თითქოს მუშა საშუალოდ ღებულობს მხოლოდ ხელფასის მ ი ნ ი მ უ მ ს, და ეს ხდება იმის გამო, რომ მალთუსის მოსახლეობის თეორიის თანახმად, მუშები ყოველთვის მეტისმეტად ბევრნი არიან (ასეთი იყო ლასალის მტკიცება). მარქსმა კი «კაპიტალში» დაწვრილებით დაამტკიცა, რომ ხელფასის მომწესრიგებელი კანონები ფრიად რთულია, რომ, გარემოებათა მიხედვით, ხან ერთი სჭარბობს და ხან მეორე, რომ, მაშასადამე, ეს კანონები სრულიადაც არაა რკინის კანონები, არამედ, პირიქით, ფრიად ელასტიურია, და რომ ეს საკითხი ორიოდე სიტყვით, ვერ გადაიჭრება, როგორც ეს ლასალს ჰქონდა წარმოდგენილი. ლასალის მიერ მალთუსისა და რიკარდოსგან (ამ უკანასკნელის გაყალბებით) გადმოწერილი კანონის მალთუსისებური დასაბუთება, როგორც, მაგ., ის ციტირებულია «მუშათა საკითხავი წიგნის» 5 გვერდზე ლასალის სხვა ბროშურიდან, დაწვრილებით დარღვეულია მარქსის მიერ განყოფილებაში: «კაპიტალის დაგროვების პროცესი», ამრიგად, ლასალის «რკინის კანონის» მიღებით მათ მიიღეს მისი ყალბი დებულება და ყალბი დასაბუთებაც.

მეოთხე: პროგრამა ე რ თ ა დ ე რ თ ი ს ო ც ი ა ლ უ რ ი მოთხოვნის სახით აყენებს ლასალის სახელმწიფო დახმარებას მისი უაღრესად გაშიშვლებული სახით, როგორც ის ლასალმა ბუშეს

მოპარა. და ეს იმის შემდეგ, რაც ბრაკემ საუცხოოდ გამოაშკარავა ამ მოთხოვნის სრული არარაობა[1], იმის შემდეგ, რაც ჩვენი პარტიის თითქმის ყველა ორატორი, თუ სულ ყველა არა, ლასალელებთან ბრძოლაში იძულებული გახდა ამ «სახელმწიფო დახმარების» წინააღმდეგ გამოსულიყო! ჩვენი პარტიის ამაზე მეტად დამცირება წარმოუდგენელია. ინტერნაციონალიზმი ამანდ გოეგის დონემდე ჩამოქვეითდა, სოციალიზმი — ბურჟუაზიულ-რესპუბლიკელ ბუშეს დონემდე, რომელმაც ეს მოთხოვნა სოციალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად წამოაყენა.

მაგრამ უკეთეს შემთხვევაში «სახელმწიფო დახმარება» ლასალური აზრით მხოლოდ ერთადერთ ღონისძიებას წარმოადგენს, სხვა მრავალ ღონისძიებათა შორის, იმ მიზნის მისაღწევად, რაც აქ უმწეო სიტყვებით არის გამოთქმული: «სოციალური საკითხის გადაჭრისათვის გზის გასაკვალად», — თითქოს ჩვენთვის თეორიულად ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი სოციალური საკითხი არსებობდეს! ამრიგად, თუ ვიტყვით: «გერმანიის მუშათა პარტია იქითკენ მიისწრაფის, რომ მოსპოს დაქირავებული შრომა და მით კლასობრივი განსხვავებანი კოლექტიური წარმოების განხორციელების საშუალებით მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში ნაციონალური მასშტაბით; ის მომხრეა ყოველი ღონისძიებისა, რომელიც ამ მიზნის მისაღწევადაა გამოსადეგიო», — მაშინ არც ერთ ლასალელს არ ექნებოდა ამის საწინააღმდეგოდ რაიმე სათქმელი.

მეხუთე: სიტყვაც არაა დაძრული მუშათა კლასის, როგორც კლასის, ორგანიზაციის შესახებ პროფესიული კავშირების საშუალებით. ეს კი ფრიად მნიშვნელოვანი პუნქტია, ვინაიდან ეს არის პროლეტარიატის ნამდვილი კლასობრივი ორგანიზაცია, რომელშიც ის ყოველდღიურ ბრძოლას აწარმოებს კაპიტალთან, რომელშიც ის იწვრთნება და რომელსაც უკვე ბოლოს ვეღარ მოუღებენ უცუდესი რეაქციის დროსაც კი (როგორიცაა ამჟამად პარიზში). იმ მნიშვნელობის გამო, რომელსაც ეს ორგანიზაცია აგრეთვე გერმანიაშიც იძენს, ჩვენი აზრით, უეჭველად საჭიროა პროგრამაში მისი მოხსენება და შეძლებისდაგვარად მისთვის ადგილის დათმობა პარტიის ორგანიზაციაში.

ყველაფერი ეს ჩვენებმა გააკეთეს ლასალელთა გულის მოსაგებად. და რა დათმობაზე წავიდნენ ისინი? იმაზე, რომ პროგრამაში

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს ვ. ბრაკეს ბროშურა «ლასალის წინადადება», გამოცემული 1873 წ. რედ.

შეტანილია საკმაოდ აბნეული წმინდა დემოკრატიულ მოთხოვნათა მთელი გროვა, რომელთაგან ზოგიერთი ნამდვილი მოდის საქმეა, მაგალითად, «პირდაპირი სახალხო კანონმდებლობა», რომელიც შვეიცარიაში არსებობს და რომელსაც უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებლობა, თუ კი საზოგადოდ მას რაიმე მოაქვს. მართველობა ხალხის მეშვეობით, — ამას კიდევ რაიმე აზრი ექნებოდა. პროგრამაში არ არის აგრეთვე ყოველგვარი თავისუფლების პირველი პირობა: რომ ყველა მოხელე მთელი თავისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის ყოველი მოქალაქის მიმართ პასუხისმგებელია ჩვეულებრივი სასამართლოს წინაშე და საერთო სამართლის საფუძველზე. იმის შესახებ, რომ ასეთი მოთხოვნანი, როგორიცაა: მეცნიერების თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, ყოველ ლიბერალურ ბურჟუაზიულ პროგრამაშია შეტანილი და აქ რაღაც საოცრად გამოიყურება, — ამის შესახებ მეტს არას ვიტყვი.

თავისუფალი სახალხო სახელმწიფო თავისუფალ სახელმწიფოდ გადაიქცა. გრამატიკულად თავისუფალი სახელმწიფო ისეთი სახელმწიფოა, რომელიც თავისუფალია თავის მოქალაქეთა მიმართ, მაშასადამე, — სახელმწიფო დესპოტური მთავრობით. მთელ ამ უბედობაზე სახელმწიფოს შესახებ ხელი უნდა აეღოთ, განსაკუთრებით — კომუნის შემდეგ, რომელიც უკვე აღარ წარმოადგენდა სახელმწიფოს ნამდვილი მნიშვნელობით. ანარქისტები «სახალხო სახელმწიფოს» ჩვენ პირში გვაჩრიან თავმობეზრებამდე, თუმცა უკვე მარქსის თხზულება პრუდონის წინააღმდეგ[1] და შემდეგ კი «კომუნისტური მანიფესტი» პირდაპირ ამბობს, რომ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების შემოღებასთან ერთად სახელმწიფო თავისთავად გაითქვიფება (sich auflöst) და გაქრებაო. მაგრამ ვინაიდან სახელმწიფო მხოლოდ გარდამავალი დაწესებულებაა, რომლითაც ბრძოლაში, რევოლუციაში უნდა ვისარგებლოთ, რათა მოწინააღმდეგენი ძალდატანებით დავთრგუნოთ, ამიტომ ნამდვილი უაზრობაა «თავისუფალი სახალხო სახელმწიფოს» შესახებ ლაპარაკი: ვიდრე პროლეტარიატი ჯერ კიდევ საჭიროებს სახელმწიფოს, საჭიროებს არა თავისუფლების ინტერესებისათვის, არამედ თავისი მოწინააღმდეგის დასამხობად, ხოლო როგორც კი შესაძლებელი გახდება თავისუფლების შესახებ ლაპარაკი, სახელმწიფო, როგორც ასეთი, არსებობას შეწყვეტს. ამი-

[1] იგულისხმება «ფილოსოფიის სიღატაკე». რედ.

ტომ ჩვენი წინადადება იქნებოდა «სახელმწიფოს» ნაცვლად ყველგან ეხმარათ «თემი» (Gemeinwesen), მშვენიერი ძველი გერმანული სიტყვა, რომელსაც საუცხოოდ შეესაბამება ფრანგული «კომუნა».

«ყოველგვარი სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის მოსპობა» აგრეთვე ფრიად საეჭვო ფრაზაა ნაცვლად: «ყოველგვარი კლასობრივი განსხვავების მოსპობისა». ცალკე ქვეყნებსა, პროვინციებსა და თვით ადგილებს შორისაც კი ყოველთვის ადგილი ექნება ცხოვრების პირობების განსაზღვრულ უთანასწორობას, რომლის მინიმუმამდე დაყვანა შეიძლება, მაგრამ სრულიად მოსპობა კი — არა. ალპებში მცხოვრებთ ყოველთვის სხვა საარსებო პირობები ექნებათ, ვიდრე ბარის მცხოვრებთ. წარმოდგენა სოციალისტური საზოგადოების, როგორც თანასწორობის სამეფოს შესახებ ცალმხრივი ფრანგული წარმოდგენაა, დაკავშირებული ძველ «თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის» ლოზუნგთან, — წარმოდგენა, რომელსაც თავის დროსა და თავის ადგილას გამართლება ჰქონდა როგორც განვითარების გარკვეულ საფეხურს, მაგრამ ახლა დაძლეული უნდა იქნეს ისევე, როგორც წინანდელ სოციალისტურ სკოლათა ყველა ცალმხრივობა, ვინაიდან ადამიანთა თავში ის მხოლოდ არევდარევას იწვევს და თანაც საკითხის გადმოცემის უფრო ზუსტი ფორმები უკვე ნაპოვნია.

მე ვამთავრებ, თუმცა ამ დუნედ და უფერულად დაწერილ პროგრამაში თვითეული სიტყვაა გასაკრიტიკებელი. ეს პროგრამა ისეთია, რომ იმ შემთხვევაში თუ იგი მიღებულ იქნა, მარქსი და მე არასოდეს არ დავთანხმდებით მივემხროთ ამ საფუძველზე აგებულ ახალ პარტიას და ფრიად სერიოზულად უნდა მოვიფიქროთ, რა პოზიცია (ასევე საჯაროდაც) დავიჭიროთ მის მიმართ. მხედველობაში იქონიეთ ის გარემოება, რომ უცხოეთში ჩვენ პასუხისმგებლად გვთვლიან გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყოველი გამოსვლისა და მოქმედებისათვის. ასე, მაგალითად, ბაკუნინი თავის თხზულებაში: «სახელმწიფოებრიობა და ანარქია», ჩვენ პასუხისმგებლად გვთვლის ყოველი მოუფიქრებელი სიტყვისთვის, რაც ლიბკნეხტს «Demokratisches Wochenblatt»-ის დაარსებიდან უთქვამს ან დაუწერია. ამ ხალხს ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს ჩვენ ვმეთაურობდეთ აქედან მთელ მოძრაობას, მაშინ როდესაც თქვენ ისევე კარგად იცით, როგორც მე, რომ თითქმის არასოდეს უმნიშვნელოდაც კი

არ ჩავრეულვართ შინა-პარტიულ საქმეებში, ხოლო თუ ჩავრეულ-ვართ, — მხოლოდ იმისათვის, რომ, ჩვენი აზრით, დაშვებული შეცდომები და ისიც — მ ხ ო ლ ო დ თ ე ო რ ი უ ლ ი, შეძლებისდაგვარად გამოგვესწორებინა. მაგრამ თვით დაინახავთ, რომ ეს პროგრამა წარმოადგენს მობრუნების პუნქტს, რასაც ძალიან ადვილად შეუძლია იძულებული გაგვხადოს უარი ვთქვათ ყოველგვარ პასუხისმგებლობაზე იმ პარტიისთვის, რომელიც ასეთ პროგრამას აღიარებს.

საერთოდ, პარტიის ოფიციალურ პროგრამას უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმას, რასაც პარტია სინამდვილეში აკეთებს. მაგრამ ა ხ ა ლ ი პროგრამა მაინც ყოველთვის საჯაროდ აღმართულ დროშას წარმოადგენს, და გარესამყაროც პარტიაზე ამ დროშის მიხედვით მსჯელობს. ამიტომ პროგრამა არავითარ შემთხვევაში უკან გადადგმულ ნაბიჯს არ უნდა წარმოადგენდეს, როგორიც არის ეს პროგრამა ჟიზენახის პროგრამასთან შედარებით. იმაზედაც ხომ უნდა ეფიქრათ, თუ რას იტყვიან სხვა ქვეყნების მუშები ამ პროგრამის შესახებ: რა შთაბეჭდილებას მოახდენს მთელი გერმანიის სოციალისტური პროლეტარიატის კაპიტულაცია ლასალიზმის წინაშე.

ამასთან მე დარწმუნებული ვარ, რომ ა ს ე თ ბაზისზე მომხდარი გაერთიანება ერთ წელიწადსაც კი ვერ გაძლებს. ნუ თუ ჩვენი პარტიის საუკეთესო ადამიანები თანახმანი გახდებიან თუთიყუშივით იმეორონ გაზეპირებული ლასალური ფრაზები ხელფასის რკინის კანონისა და სახელმწიფო დახმარების შესახებ? რა იქნებოდა, მაგალითად, თქვენ რომ მენახეთ ამ როლში! და თუ ისინი ამას ჩაიდენენ, მათ მათივე მსმენელები სტვენით შეხვდებიან. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ლასალელები პროგრამის სწორედ ა მ ნაწილს მოითხოვენ დაჟინებით, როგორც მევახშე შეილოკი — თავის გირვანქა ხორცს. გათიშვის დრო დადგება! მაგრამ ჩვენ წინასწარ ჰასელმანებს, ჰაზენკლევერებს, ტოლკეებს და კომპანიას აღვუდგენთ «პატიოსან» სახელს; გათიშვის შემდეგ ჩვენ დასუსტებულნი აღმოვჩნდებით, ხოლო ლასალელები — გაძლიერებულნი; ჩვენი პარტია დაკარგავს თავის პოლიტიკურ უმწიკვლობას და ვერასოდეს ვერ შესძლებს ისევ ენერგიულად გამოვიდეს ლასალური ფრაზების წინააღმდეგ, რომლებიც თვით პარტიას ჰქონდა განსაზღვრული დროის განმავლობაში დროშაზე წარწერილი; და თუ მაშინ ლასალელები კვლავ განაცხადებენ: ისინი არიან ნამდვილი და ერთადერთი მუშათა პარტია, ჩვენი მომხრეები კი ბურჟუები, — ამის დასამტკიცებლად შეუძლიათ ეს პროგრამა დაიმოწმონ. ყვე-

ლა სოციალისტური ლონისძიება ამ პროგრამაში მ ა თ ეკუთვნით. ხოლო ჩ ვ ე ნ მ ა პარტიამ მასში შეიტანა მხოლოდ იმ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მოთხოვნები, რომელიც თ ვ ი თ მ ა ნ დაახასიათა ამ პროგრამაში როგორც «რეაქციული მასის» ნაწილი.

მე შევაჩერე ამ წერილის გამოგზავნა, ვინაიდან თქვენ გაგანთავისუფლებენ მხოლოდ 1 აპრილს ბისმარკის დაბადების დღის აღსანიშნავად, და აღარ მინდოდა რისკი გამეწია, რომ ეს წერილი კონტრაბანდად გადაგზავნის ცდის დროს დაეჭირათ. ამასობაში ბრაკეს წერილიც მოვიდა, რომელსაც აგრეთვე სერიოზული ეჭვები აქვს პროგრამის შესახებ და სურს ჩვენი აზრი გაიგოს. ამიტომ საქმის დასაჩქარებლად წერილს მას ვუგზავნი, რათა ის მან წაიკითხოს და აღარ დამჭირდეს მთელი ამ წილადობილას ხელახლა წერა. სხვა მხრივ მე სრული სიმართლე მივახალე რამსაც[1], ხოლო ლიბკნეხტს მხოლოდ მოკლედ მივწერე. მე მას ვერ ვაპატივებ, რომ ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ი თ ა ც კ ი არ გვაცნობა მთელი ამ საქმის შესახებ (მაშინ როდესაც რამი და სხვები ფიქრობდნენ, რომ მან ზუსტი ცნობები მოგვაწოდა), ვიდრე, ასე ვთქვათ, ძალიან არ დაგვიანდა. თუმცა, მართალია, ის ასე იქცევა იმთავითვე — და ამიტომ მასთან მრავალი უსიამოვნო მიწერმოწერა გვქონდა ჩვენ, მარქსსა და მე, — მაგრამ ამჯერად მან მეტისმეტი ჩაიდინა, და ჩ ვ ე ნ გ ა დ ა ჭ რ ი თ უ ა რ ს ვ ა ც ხ ა დ ე ბ თ მ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ ა მ გ ზ ი თ ვ ი ა რ ო თ.

ეცადეთ ისე მოაწყოთ საქმე, რომ ამ ზაფხულს აქ ჩამოხვიდეთ; თქვენ, რა თქმა უნდა, ჩემთან იცხოვრებთ, და, თუ კარგი ამინდი დაგვესწრო, შეგვეძლება ორიოდე დღით ზღვაზეც წავიდეთ, რაც თქვენ, ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ, ფრიად გარგებთ.

მეგობრული სალამით. თქვენი ფ. ე.

1 ჰ ე რ მ ა ნ რ ა მ ი — გაზეთ «Volksstaat»-ის ერთ-ერთი რედაქტორი. რ ე დ

ფ. ენგელსი

წერილი კაუცკისადმი

ლონდონი, 23 თებერვალი 1891 წელი.

ძვირფასო კაუცკი!

ჩემს მიერ გუშინწინ სასწრაფოდ გამოგზავნილი მილოცვა შენ, ალბათ, უკვე მიიღე. ახლა კი დავუბრუნდეთ ისევ მარქსის წერილს [1].

შიში იმისა, რომ იგი მოწინააღმდეგეებს ხელში იარაღს ჩაუგდებდა, დაუსაბუთებელი აღმოჩნდა. რასაკვირველია, ბოროტი ინსინუაციები შეიძლება გაავრცელონ ყველაფრის გამო, მაგრამ საერთოდ და მთლიანად ამ დაუნდობელმა თვითკრიტიკამ მოწინააღმდეგეებზე სრულიად გამაცბუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა და მათში ასეთი გრძნობა გამოიწვია: რა შინაგანი ძალა უნდა ჰქონდეს პარტიას, რომელიც შესძლებს თავის თავს ამგვარი რამ წაუყენოს! ეს ნათლად ჩანს შენს მიერ გამოგზავნილი (რისთვისაც მადლობას მოგახსენებ!) და ჩემს მიერ სხვა ადგილებიდან მიღებული მოწინააღმდეგეთა გაზეთებიდან. გულახდილად რომ გითხრა, ჩემი აზრიც სწორედ ეს იყო, როდესაც ამ დოკუმენტს ვაქვეყნებდი. მე ვიცოდი, რომ იგი პირველ მომენტში ზოგიერთებს ძალიან არასასიამოვნოდ შეეხებოდა, მაგრამ ამის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, მით უმეტეს, რომ დოკუმენტის საგნობრივი შინაარსი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო. მე ვიცოდი, რომ პარტია საკმაოდ ძლიერი იყო იმისათვის, რომ ეს გადაეტანა და დარწმუნებული ვიყავი, რომ დღესაც ისე, როგორც 15 წლის წინ, პარტია გაუძლებს ამ გულახდილ გამოსვლას; რომ შესაძლებელი იქნება დამსახურებული სიამაყით დავამოწმოთ ძალთა ეს გასინჯვა და ვთქვათ: სადაა სხვა ასეთი პარტია, რომელსაც შეუძლია ასეთი

[1] ლაპარაკია მარქსის «გოთას პროგრამის კრიტიკაზე», რომელიც ენგელსის დაინებითი მოთხოვნით გამოქვეყნდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის თეორიულ ორგანოში — «Neue Zeit» («ახალი დროება»), რომლის რედაქტორი იყო კ. კაუცკი. რედ.

რამ გაბედოს? სხვათა შორის, ამის თქმის საშუალება მისცეს საქსონიისა და ვენის «Arbeiter Zeitung»-ს და «Züricher Post»-ს[1].

თუ შენ «Neue Zeit»-ის № 21-ში პასუხისმგებლობას კისრულობ გამოქვეყნებისათვის, ეს შენი მხრივ ძალიან სანაქებო საქმეა, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ პირველი ბიძგი მაინც მე მოგეცი და რომ, გარდა ამისა, მე ერთგვარად გაიძულე გემოქმედნა. ამიტომ მთავარ პასუხისმგებლობას მე ვიტოვებ. რაც შეეხება ცალკეულ წვრილმან საკითხებს, ამაზე ყოველთვის შეიძლება სხვადასხვა აზრი იყოს. მე ყველაფერი წავშალე და შევცვალე, რაზეც შენ და დიტცი წინააღმდეგი იყავით და დიტცს რომ კიდევ უფრო მეტი აღენიშნა, მაშინაც კი მე შეძლებისდაგვარად დამყოლი ვიქნებოდი, როგორც ამას მე ყოველთვის გიმტკიცებდით საქმით. მაგრამ რაც შეეხება მთავარ საქმეს, ჩემი მოვალეობა იყო გამომექვეყნებინა ეს დოკუმენტი, როგორც კი პროგრამა განსახილველი შეიქნა. ამასთან ლიბკნეხტის მიერ ჰალეში წაკითხული რეფერატის შემდეგ, რომელშიც ის ნაწილობრივ მოურიდებლად ისაკუთრებს თავის ამონაწერებს მარქსის «კრიტიკიდან», ნაწილობრივ კი მის წინააღმდეგ ილაშქრებს ისე, რომ თვით დოკუმენტს არ ახსენებს, მარქსი ამ გადამუშავებას უსათუოდ დაუპირისპირებდა თავის ორიგინალს, ხოლო მე ვალდებული ვიყავი ეს მის მაგიერ გამეკეთებინა. სამწუხაროდ, მაშინ ეს დოკუმენტი ჯერ კიდევ ხელთ არ მქონდა, და მხოლოდ დიდი ხნის ძებნის შემდეგ ძალიან დაგვიანებით ვიპოვნე.

შენ ამბობ, რომ ბებელი გწერდა, მარქსის მიერ ლასალის შეფასებამ ძველი ლასალელები ძალიან გააბრაზაო. ადვილი შესაძლებელია. ამ ადამიანებმა ხომ არ იციან ნამდვილი ისტორია და ცუდი არ იქნება ამ მხრივ მათი განათლება. თუ მათ არ იციან, რომ ლასალის მთელი სიდიადე იმაზე იყო დამყარებული, რომ მარქსი მას ნებას აძლევდა წლების მანძილზე მორთულიყო მარქსის მეცნიერული გამოკვლევების შედეგებით როგორც საკუთარი გამოკვლევების შედეგებით, და ამასთანავე თავისი არასაკმარისი ეკონომიური მომზადების გამო ემახინჯებინა იგი, ეს ჩემი ბრალი არაა. მაგრამ მე მარქსის ლიტერატურული ანდერძის აღმსრულებელი ვარ და ამიტომ ეს გარკვეულ ვალდებულებებს მაკისრებს.

ლასალი 26 წელიწადია უკვე ისტორიას ეკუთვნის. თუ საგანგებო კანონების პერიოდში მის ისტორიულ კრიტიკას არ აწარ-

[1] ამ გაზეთებიდან პირველი ორი გაზეთი სოციალ-დემოკრატიული იყო, უკანასკნელი კი — ბურჟუაზიული. რ ე დ.

მოებდნენ, ახლა, დაბოლოს, დადგა დრო, როდესაც ეს კრიტიკა თავის უფლებებში უნდა შეკიდეს და გამოარკვიოს ლასალის ნამდვილი პოზიცია მარქსის მიმართ. ხომ არ შეიძლება, რომ პარტიის რწმენის სიმბოლოდ იქცეს ლეგენდა, რომელიც ლასალის ჭეშმარიტ სახეს ფარავს და ცამდე ადიდებს მას. როგორი მაღალი შეფასებაც არ უნდა მივცეთ ლასალის დამსახურებას მოძრაობის წინაშე, მისი ისტორიული როლი მასში მაინც ორჭოფული რჩება. სოციალისტ ლასალს ყოველ ნაბიჯზე თან სდევს ლასალი დემაგოგი. აგიტატორ და ორგანიზატორ ლასალში ყველგან გამოსჭვივის ჰაცფელდის პროცესის[1] ხელმძღვანელი ადვოკატი: იგივე ცინიზმი საშუალებათა ამორჩევაში, იგივე მიდრეკილება ისეთი საეჭვო და ნამუსგარეცხილ ადამიანებთან დაახლოვებისა, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ როგორც უბრალო იარაღი და შემდეგ გადააგდო. იგი 1862 წლამდე პრაქტიკულად იყო სპეციფიკური — პრუსიული ვულგარული დემოკრატი ძლიერი ბონაპარტისტული მიდრეკილებებით (მე ახლახან გადავხედე მის წერილებს მარქსისადმი), მოულოდნელად მან წმინდა პირადი მიზეზებით ფრონტი იცვალა და თავისი აგიტაცია დაიწყო. ორი წელიწადიც არ გასულა და მან მოითხოვა, რომ მუშებს სამეფო ხელისუფლებისათვის დაეჭირათ მხარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ხასიათით თავის მონათესავე ბისმარკთან იმგვარი ინტრიგა გაბა, რომ იგი მას აუცილებლად მოძრაობის ფაქტიურ ღალატამდე მიიყვანდა, მისდა საბედნიეროდ დროზე სასიკვდილოდ რომ არ დაეჭრათ. მის სააგიტაციო თხზულებებში ის სწორი რამ, რაც მას მარქსიდან აქვს გადალებული, იმდენად გადახლართულია მის საკუთარ, ლასალისეულ, და როგორც წესი, ყალბ მსჯელობებთან, რომ თითქმის შეუძლებელია ერთის მეორისაგან გამოყოფა. მუშათა ის ნაწილი, რომელიც მარქსის კრიტიკისაგან თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, ლასალს იცნობს მხოლოდ ორწლიანი აგიტაციით და ისიც შეფერადებული სათვალეებით. მაგრამ ამგვარი ცრურწმენის წინაშე ისტორიული კრიტიკა სამუდამოდ ქუდმოხდილი ვერ გაჩერდება. ჩემი მოვალეობა იყო ერთხელ და სამუდამოდ გამომეაშკარავებინა ნამდვილი დამოკიდებულება მარქსსა და ლასალს შორის. ეს ახლა გაკეთებულია. მე შემიძლია ჯერჯერობით ამით დავკმაყოფილდე. ამასთან მე თვითონ ახლა სხვა საქმეები მაქვს გასაკეთებელი. ხო-

[1] ლაპარაკია გრაფინია ჰაცფელდის განქორწინების პროცესზე, რომელსაც ლასალი ხელმძღვანელობდა როგორც ადვოკატი 1845—1854 წ. წ. რ ე დ.

ლო მარქსის გამოქვეყნებული დაუნდობელი კრიტიკა ლასალზე თავადაც უკვე სათანადო გავლენას მოახდენს და სხვას მხნეობას შემატებს. მაგრამ თუ მდგომარეობა გამოსვლას მაიძულებს, მე სხვა არჩევანი არც დამრჩენია: ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოვუღებდი ლასალის ლეგენდას.

ჭეშმარიტად საუცხოოა, რომ ფრაქციაში ხმა გაისმა «Neue Zeit»-ზე ცენზურა დავაწესოთო. რა არის ეს? სოციალისტების საწინააღმდეგო საგანგებო კანონის პერიოდის ფრაქციის[1] დიქტატურა (რომელიც მაშინ აუცილებელი იყო და ჩინებულად ტარდებოდა), თუ მოგონებანი ფონ-შვაიცერის დროინდელი მკაცრად გამოწვრთნილი ორგანიზაციის შესახებ? ეს ფაქტიურად ბრწყინვალე აზრია — ბისმარკის სოციალისტთა საწინააღმდეგო კანონისაგან გერმანიის სოციალისტური მეცნიერების განთავისუფლების შემდეგ იგი უნდა დაემორჩილოს სოციალისტთა საწინააღმდეგო, თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიული უფროსების მიერ შეთითხნილ და ცხოვრებაში გატარებულ კანონს. თუმცა თვითონ ბუნება ზრუნავს იმისათვის, რომ ხეები ცამდე არ იზრდებოდნენ.

«Vorwärts»[2]-ის სტატია მე ნაკლებ მაღელვებს. მე დავუცდი, ვიდრე ლიბკნეხტი მთელ ისტორიას თავისებურად მოგვითხრობს, მაშინ კი, მართლაც, ერთად ვუპასუხებ ორივეზე რაც შეიძლება მეგობრული კილოთი. «Vorwärts»-ის სტატიაში მხოლოდ ზოგიერთი უსწორ-მასწორობანია შესასწორებელი (მაგ. ის, რომ ჩვენ თითქოს გაერთიანება არ გვინდოდა, რომ მოვლენებმა თითქოს დაამტკიცეს მარქსის არასისწორე და ა. შ.) და დასადასტურებელია ის, რაც თავისთავად საგულისხმოა. ამ პასუხით ვფიქრობ დავამთავრო ჩემი მხრით ეს კამათი, თუ კი ახალი თავდასხმანი ან არასწორი მტკიცებანი შემდგომი ნ. ბიჯის გადადგმას არ მაიძულებენ.

დიტცს უთხარი, რომ მე ვმუშაობ «წარმოშობა»-ზე[3]. მაგრამ აგერ დღეს მოვიდა წერილი ფიშერისაგან, რომელსაც აგრეთვე სურს მიიღოს ჩემგან სამი ახალი წინასიტყვაობა!

შენი ფ. ე.

---

[1] ლაპარაკია გერმანიის რაიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაზე. რ ე დ.

[2] სარედაქციო წერილი გაზეთ «Vorwärts»-ში («წინ»), გერმანული სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოში (1691 წ 13/II ნომერში), რომელიც გამოხატავდა პარტიის მმართველობის ოფიციალურ პოზიციას «გოთას პროგრამის კრიტიკისადმი». ეს სტატია სასტიკად გმობდა მარქსის მიერ ლასალის შეფასებას და პარტიის დამსახურებად მიაჩნდა ის, რომ მან მიიღო პროგრამის პროექტი, მიუხედავად მარქსის კრიტიკისა. რ ე დ.

ლაპარაკია «ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობაზე», რომლის მეოთხე გამოცემასაც ენგელსი ამზადებდა. რ ე დ.

ფ. ენგელსი

რუსეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის შესახებ

ბ-ნი ტკაჩოვი გზადაგზა მოუთხრობს გერმანელ მუშებს, რომ მე რუსეთის შესახებ არა მაქვს «მცირეოდენი ცოდნაც» კი, რომ, პირიქით, სრულ «უვიცობას» ვამჟღავნებ, და ამიტომ იგი იძულებულადაც თვლის თავს აუხსნას მათ საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობა — სახელდობრ, ის მიზეზები, რომელთა გამო სწორედ ახლა სრულიად ადვილად და ხუმრობით შეიძლება რუსეთში სოციალური რევოლუციის მოხდენა, — გაცილებით უფრო ადვილად, ვიდრე დასავლეთ ევროპაში.

ჩვენ არა გვყავს ქალაქის პროლეტარიატი, ეს მართალია; მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ არ გვყავს ბურჟუაზიაც... ჩვენს მუშებს დასჭირდებათ ბრძოლა მარტო პოლიტიკურ ძალასთან; კაპიტალის ძალა ჩვენში ჯერ კიდევ ჩანასახის სახითაა. და თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, კარგად უწყით, რომ პირველთან ბრძოლა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე უკანასკნელთან».

გადატრიალება, რომლისადმი თანამედროვე სოციალიზმი მიისწრაფის, მდგომარეობს, თუ მოკლედ ვიტყვით, პროლეტარიატის გამარჯვებაში ბურჟუაზიაზე და საზოგადოების ახალი ორგანიზაციის შექმნაში ყოველგვარი კლასობრივი განსხვავებების მოსპობის გზით. ამისათვის საჭიროა არსებობდეს არა მარტო პროლეტარიატი, რომელიც ამ გადატრიალებას მოახდენს, არამედ ბურჟუაზიაც, რომლის ხელშიც საზოგადოებრივი საწარმოო ძალები ისეთ განვითარებას აღწევენ, როდესაც შესაძლებელი ხდება კლასობრივი

განსხვავების საბოლოო მოსპობა. ველურებს და ნახევრადველურებს აგრეთვე ხშირად არა აქვთ არავითარი კლასობრივი განსხვავებები, და ასეთი მდგომარეობა ყოველ ხალხს გაუვლია. მაგრამ ჩვენ არ შეიძლება თავში მოგვივიდეს იმ მდგომარეობის ხელახლა აღდგენა თუნდ მარტო იმიტომაც, რომ ამ მდგომარეობიდან, საზოგადოებრივი საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად, აუცილებლად წარმოდგება კლასობრივი განსხვავებები. საზოგადოებრივი საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრულ—ჩვენი დროის პირობებისთვის უაღრესად მაღალ საფეხურზე ხდება შესაძლებელი წარმოების იმ დონეზე აყვანა, რომ კლასობრივი განსხვავებების მოსპობა ნამდვილ პროგრესად იქცეს, რომ იგი იქნეს მტკიცე და არ გამოიწვიოს შეყოვნება—ან უკუსვლაც კი—საზოგადოებრივ წარმოების წესში. განვითარების ასეთ ხარისხს საწარმოო ძალებმა მიაღწია მხოლოდ ბურჟუაზიის ხელში. მაშასადამე, ბურჟუაზია ამ მხრივაც ისეთივე აუცილებელი წინასწარი პირობაა სოციალისტური რევოლუციისთვის, როგორც თვით პროლეტარიატი. ამიტომ ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია თქვას, რომ ამ რევოლუციის გატარება უფრო ადვილია ისეთ ქვეყანაში, სადაც თუმცა პროლეტარიატი არაა, მაგრამ სამაგიეროდ არც ბურჟუაზია არისო, მხოლოდ იმას ცხადჰყოფს, რომ მან ჯერ კიდევ სოციალიზმის ანბანი უნდა ისწავლოს.

ამრიგად, რუსეთის მუშებისთვის, — და ეს მუშები, როგორც თვით ტკაჩოვი ამბობს, არიან «მიწათმოქმედები და როგორც ასეთნი — არაპროლეტარები, არამედ მესაკუთრეები», — უფრო ადვილია ამის გაკეთება იმიტომ, რომ ისინი უნდა ებრძოლონ არა კაპიტალის ძალას, არამედ «მარტო პოლიტიკურ ძალას», რუსეთის სახელმწიფოს. და ეს სახელმწიფო «მხოლოდ შორიდან მოჩანს ძალად... მას არავითარი ფესვები არა აქვს ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში, იგი არც ერთი წოდების ინტერესებს არ ანხორციელებს... თქვენში სახელმწიფო როდია მოჩვენებითი ძალა. იგი ორივე ფეხით ეყრდნობა კაპიტალს; იგი ანხორციელებს თავის თავში(!) ვანსაზღვრულ ეკონომიურ ინტერესებს... ჩვენში ამ მხრივ საქმე სწორედ პირიქითაა, — ჩვენი საზოგადოებრივი ფორმა სახელმწიფოს წყალობით არსებობს, ეს სახელმწიფო, ასე ვთქვათ, ჰაერში ჰკიდია, მას არაფერი აქვს საერთო არსებულ საზოგადოებრივ წყობილებასთან, მას ფესვები წარსულში აქვს და არა აწმყოში».

ნუ შევჩერდებით არეულ წარმოდგენაზე, თითქოს ეკონომიური ინტერესები საჭიროებდეს თავის ხორცშესასხმელად მათ მიერვე შექმნილ სახელმწიფოს. განზე დავტოვოთ ავრეთვე გაბედული

მტკიცება, თითქოს რუსეთის «საზოგადოებრივი ფორმა (რომელსაც აგრეთვე გლეხთა სათემო საკუთრებაც ხომ ეკუთვნის) სახელმწიფოს წყალობით არსებობს» და აგრეთვე საწინააღმდეგო მტკიცება იმის შესახებ, რომ ამ სახელმწიფოს «არაფერი აქვს საერთო» — არსებულ საზოგადოებრივ წყობილებასთან, რომელიც თითქოს მის საკუთარ ქმნილებას წარმოადგენდეს. დავაკვირდეთ, უკეთესია, ახლავე ამ «ჰაერში ჩამოკიდებულ სახელმწიფოს», რომელიც არც ერთი წოდების ინტერესების წარმომადგენელი არაა.

რუსეთის ევროპულ ნაწილში გლეხები ფლობენ 105 მილიონ დესეტინა მიწას, თავადაზნაურობა (ასე ვუწოდებ მე აქ, სიმოკლისათვის, ყველა მხვილ მემამულეს) — 100 მილ. დესეტინას, საიდანაც თითქმის ნახევარი ეკუთვნის 15000 თავადაზნაურს, რომელთაგან თვითეულს, ამგვარად, საშუალოდ 3300 დესეტინა აქვს. გლეხების მიწა, მაშასადამე, სულ მცირეოდენით არის თავადაზნაურების მიწაზე მეტი. როგორც ხედავთ, თავადაზნაურები სრულიად არ არიან დაინტერესებული იმაში, რომ არსებობდეს რუსეთის სახელმწიფო, რომელიც მათ საშუალებას აძლევს ფლობდნენ ქვეყნის ნახევარს! შემდეგ გლეხები თავის ნახევარში საადგილმამულო გადასახადის სახით წლიურად 195 მილ. მანეთს იხდიან, თავადაზნაურები — 13 მილიონს! თავადაზნაურების მიწები საშუალოდ ორჯერ უფრო ნაყოფიერია, ვიდრე გლეხების, რადგან გაყოფისას, რომელიც ბეგარის გამოსყიდვასთან დაკავშირებით მოხდა, სახელმწიფომ არა მარტო მეტი მიწა წაართვა გლეხებს და გადასცა თავადაზნაურებს, არამედ საუკეთესოც, და ამასთან გლეხები იძულებული იყვნენ ამ ცუდ მიწაში თავადაზნაურობისათვის საუკეთესო მიწის ფასი გადაეხადათ. და რუსეთის თავადაზნაურობა თურმე სრულიად არაა დაინტერესებული რუსეთის სახელმწიფოს არსებობაში!

გლეხობის მასა მათი გამოსყიდვის გამო მეტისმეტად გაჭირვებულ, სრულიად აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა. მათ არა მარტო მათი მიწის უდიდესი და საუკეთესო ნაწილი წაართვეს, ასე რომ იმპერიის უნაყოფიერეს ოლქებშიც კი გლეხების მიწა — რუსეთის სამიწათმოქმედო პირობებისათვის — ნამეტნავად მცირეა, რათა მათ შეეძლოთ მასზე თავის რჩენა. ამ მიწისთვის გლეხებს არა მარტო გადაჭარბებული ფასი უანგარიშეს, რაც მათ მაგიერ წინასწარ გადაიხადა სახელმწიფომ, რომელიც ახლა მათ ახდევინებს სარგებლითურთ. მათ არა მარტო აწვებათ თითქმის მთელი სიმძიმე საადგილმამულო გადასახადისა, რომლისაგან თავადაზნაურები თითქმის სრულიად განთავისუფლებული არიან, ასე რომ მარტო საადგილ-

მამულო გადასახადიც კი ნთქავს — აღემატება კიდეც — გლეხის მიწის რენტის მთელ ღირებულებას, ხოლო ყველა სხვა გადასახდელი, რომელიც უნდა გაისტუმროს გლეხმა და რომელზედაც ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ, შეადგენს უკვე პირდაპირ გამოკლებას შემოსავლის იმ ნაწილიდან, რომელიც მის შრომის ხელფასს წარმოადგენს. არა, არა მარტო ეს. საადგილმამულო გადასახადს, გამოსყიდვის გადასახდელს და სარგებელს გამოსყიდვისათვის, რომელიც სახელმწიფომ წინასწარ გადაიხადა, ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღების შემდეგ ემატება კიდევ საგუბერნიო და სამაზრო გამოსაღებები. ამ «რეფორმის» ყველაზე არსებითი შედეგი იყო გლეხების ახალი გადასახადებით დატვირთვა. სახელმწიფომ მთლიანად შეინარჩუნა თავისი შემოსავალი, მაგრამ ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დააკისრა გუბერნიებს და-მაზრებს, რომელთაც მათ დასაფარავად ახალი გადასახადები შემოიღეს, რუსეთში კი წესია, რომ უმაღლესი წოდებები თითქმის თავისუფალი არიან გადასახადებისაგან, ხოლო გლეხი თითქმის ყველაფერს იხდის.

ასეთი მდგომარეობა თითქოს განგებაა შექმნილი მევახშისათვის და რუსების დაბალ ფორმებში ვაჭრობის, ხელსაყრელი პირობების გამოყენებისა და მასთან განუყრელად დაკავშირებულ მატყუარობის უმაგალითო ნიჭთან ერთად, იქ არსად არაა მევახშის ნაკლებობა: ჯერ კიდევ პეტრე I ამბობდა, რომ ერთი რუსი სამ ებრაელს აიწონისო. როდესაც გადასახადების აკრეფის დრო მოახლოვდება, — გამოჩნდება მევახშე, კულაკი, — ხშირად იმავე თემის მდიდარი გლეხი, და სთავაზობს ნაღდ ფულს. გლეხმა ფული უნდა იშოვოს, რაც არ უნდა მოხდეს, და იგი იძულებულია სიტყვის შეუბრუნებლად მიიღოს მევახშის პირობები. ამით იგი კიდევ უფრო ღრმად ექცევა კლანჭებში, მას სულ უფრო და უფრო მეტი ნაღდი ფული სჭირდება. მოსავლის მოწევის დროს მოდის ხორბლით მოვაჭრე, და ფულის მოთხოვნილება აიძულებს გლეხს გასცეს ნაწილი ხორბლისა, რომელიც მისი ოჯახის გამოსაკვებადაა საჭირო. ხორბლით მოვაჭრე ავრცელებს ხორბლის ფასის დამცემ ყალბ ხმებს, აძლევს ხორბალში დაბალ ფასს და ამასთან ამ ფასსაც ნაწილობრივ ხშირად მაღალ ფასებში ნაანგარიშევი სხვადასხვა საქონლით იხდის, ვინაიდან ფულის ნაცვლად საქონლით გადახდის სისტემა (Truck-system) რუსეთში ძალიან განვითარებულია. რუსეთის ხორბლის დიდი ექსპორტი, როგორც ხედავთ, გლეხი მოსახლეობის პირდაპირ შიმშილზეა დამყარებული. გლეხთა ექსპლოატაციის მეორე წესი იმაში მდგომარეობს, რომ სპეკულიანტი იჯარით იღებს გრძე-

ლი ვადით სახელმწიფოსაგან სახაზინო მიწის ნაკვეთს, თვით ამუშავებს მას, ვიდრე მიწა კარგ მოსავალს იძლევა უსასუქოდ, ხოლო შემდეგ ჰყოფს ამ გამოფიტულ მიწის ნაკვეთს პატარ-პატარა ნაჭრებად და იჯარით აძლევს დიდ რენტაში მეზობელ გლეხებს, რომელთაც თავიანთი მიწა არ ჰყოფნით. თუ ჩვენ ზემოთ ვნახეთ ფულით გადახდის ნაცვლად საქონლით გადახდის ინგლისური სისტემა, აქ ირლანდიელ შუამავალთა (Middlemen) სისტემის ზუსტი ასლი გვაქვს. მოკლედ, — არ არსებობს მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც, ბურჟუაზიული საზოგადოების მთელ პირველყოფილ ველურობასთან ერთად ისე განვითარებული იყოს კაპიტალისტური პარაზიტიზმი, როგორც სწორედ რუსეთშია, სადაც მთელი ქვეყანა, მოსახლეობის მთელი მასა დაჩაგრულია და მის ბადეშია გახვეულ-გახლართული. და ყველა ეს გლეხობის სისხლის-მწოველები სრულიად არ არიან დაინტერესებული რუსეთის სახელმწიფოს არსებობაში, რომლის კანონები და სასამართლოები მათ მარჯვე და მომგებიან საქმეებს იცავენ!

პეტერბურგის, მოსკოვის, ოდესის მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც გაუგონარი სისწრაფით ვითარდება უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით რკინიგზების მშენებლობის წყალობით, და რომელსაც მეტად საგრძნობლად შეეხო უკანასკნელი კრიზისი, მარცვლეულის, კანაფის, სელის და ქონის ყველა ეს ექსპორტერები, რომელთა ყველა საქმე მთლიანად გლეხების სიღატაკეზეა აგებული, რუსეთის მთელი მსხვილი მრეწველობა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მისთვის ბოძებული მფარველობითი ბაჟების მეოხებით არსებობს, განა მოსახლეობის ყველა ეს გავლენიანი და სწრაფად მზარდი ელემენტები დაინტერესებული არ არიან რუსეთის სახელმწიფოს არსებობაში? არას ვამბობთ მოხელეთა ურიცხვ არმიაზე, რომლითაც წალეკილია რუსეთი, რომელიც ძარცვავს მას და რომელიც იქ ნამდვილ წოდებას შეადგენს. და როდესაც ამის შემდეგ ბ-ნი ტკაჩოვი გვარწმუნებს, რომ რუსეთის სახელმწიფოს „არავითარი ფესვები არა აქვს ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში, იგი არც ერთი წოდების ინტერესებს არ ანხორციელებს და ჰაერში ჰკიდიაო", — ჩვენ გვგონია, რომ არა რუსეთის სახელმწიფო, არამედ თვით ბ-ნი ტკაჩოვია ჰაერში დაკიდებული.

რუსი გლეხების მდგომარეობა ბატონყმური დამოკიდებულებიდან მათი განთავისუფლების შემდეგ რომ აუტანელი გახდა, რომ ასე **აღარ შეიძლება** გაგრძელდეს და რომ უკვე ამიტომ რევოლუცია **რუსეთში მოახლოებულია**, — ეს ცხადია. საკითხი მხოლოდ იმაშია,

როგორი შეიძლება იყოს, როგორი იქნება ამ რევოლუციის შედეგი. ბ-ნი ტკაჩოვი, ამბობს ეს რევოლუცია სოციალური რევოლუცია იქნებაო. ეს უბრალო ტავტოლოგიაა. ყოველი ნამდვილი რევოლუცია არის სოციალური რევოლუცია, რამდენადაც იგი ახალ კლასს გააბატონებს და შესაძლებლობას აძლევს მას თავის სახისამებრ გარდაჰქმნას საზოგადოება. მაგრამ ბატონ ტკაჩოვს სურს თქვას, რომ რევოლუცია იქნება სოციალისტური, რომ იგი შეიტანს რუსეთში, ვიდრე ჩვენ ამას მივაღწევდეთ დასავლეთში, იმ საზოგადოებრივ ფორმას, რომლისადმი დასავლეთ ევროპის სოციალიზმი მიისწრაფის, და ეს მოხდება ისეთ საზოგადოებრივ პირობებში, როდესაც როგორც პროლეტარიატი, ისე ბურჟუაზია ჯერ კიდევ სპორადულად გვევლინება და განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფება. და ყველაფერი ეს თითქოს შესაძლებელია იმიტომ, რომ რუსები შეადგენენ სოციალიზმის, ასე ვთქვათ, რჩეულ ხალხს, ვინაიდან არტელები და მიწის სათემო საკუთრება აქვთ.

არტელს მხოლოდ გაკვრით იხსენიებს ბ-ნი ტკაჩოვი, მაგრამ ჩვენ მასზე შევჩერდებით, რადგან გერცენის შემდეგ ბევრი რუსი იდუმალ როლს მიაწერს მას. არტელი რუსეთში ფართოდ გავრცელებული ასოციაციის ფორმას წარმოადგენს, თავისუფალი კოოპერაციის უმარტივეს ფორმას, როგორიც მონადირე ტომებს აქვთ ნადირობის დროს. როგორც სახელწოდება, ისე მისი არსიც თათრული წარმოშობისაა და არა სლავური. ერთიც და მეორეც გვხვდება ყირგიზებსა, იაკუტებსა და სხვ., ერთი მხრივ, და საანებსა, ნანელებსა და სხვა ფინელ ხალხებში, მეორე მხრივ [1]. ამიტომ არტელი ვითარდება თავდაპირველად არა რუსეთის სამხრეთ-დასავლეთში, არამედ ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში, ფინელებთან და თათრებთან კონტაქტის ადგილებში. მკაცრი ჰავა მოითხოვს სხვადასხვაგვარ სამრეწველო მოქმედებას, ხოლო ქალაქური განვითარების და კაპიტალის ნაკლებობის ანაზღაურება ხდება შეძლებისამებრ კოოპერაციის ამ ფორმით. არტელის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშანი, — არტელის წევრთა საერთო თავდებობა ურთიერთისათვის მესამე პირთა წინაშე, — თავდაპირველად დამყარებულია სისხლის ნათესაობის კავშირზე, ისევე როგორც ურთიერთავდებობა (Gewere) ძველ გერმანელებში, სისხლის აღება და სხვ. ისე კი სიტყვა არტელი იხმარება რუსეთში არა

[1] არტელების შესახებ იხ. სხვათა შორის, «Сборник материалов об артелях в России», გამოშვება I, ს.-პეტერბურგი, 1873 . (ენგელსის შენიშვნა).

მარტო ყოველგვარი საერთო მოქმედების, არამედ საერთო დაწესებულებების აღსანიშნავადაც. ბირჟაც არტელია. მუშათა არტელებში ყოველთვის ირჩევენ უფროსს (სტაროსტას, მამასახლისს,) რომელიც ასრულებს ხაზინადრის, მოანგარიშის და სხვა მოვალეობას, ხოლო საჭიროების მიხედვით, მმართველის მოვალეობასაც და ამისათვის განსაკუთრებულ ჯამაგირს იღებს. ასეთი არტელები წარმოიშობიან:

1) დროებითი საწარმოებისათვის, რომელთა დასრულების შემდეგ ისინი დაიშლებიან;

2) ერთი და იმავე ხელობის ადამიანებს შორის, მაგალითად, ტვირთმზიდავებს შორის და სხვ.

3) მუდმივი საწარმოებისათვის, — სამრეწველო საწარმოებისათვის, სიტყვის ნამდვილი აზრით.

არტელი იქმნება ხოლმე ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს მისი ყველა წევრი. თუ მათ თვითონ არ შეუძლიათ საჭირო კაპიტალის შეგროვება, როგორც ამას ადგილი აქვს ძალიან ხშირად, მაგალითად, ყველის წარმოებაში, მეთევზეობაში (ბადეების, გემებისა და სხვ. საყიდლად), მაშინ არტელი ხელში უვარდება ნევახშეს, რომელიც მაღალი სარგებელით სესხად აძლევს არტელს საჭირო თანხას, და ამ მომენტიდან იჯიბავს შრომის პროდუქტის დიდ ნაწილს. მაგრამ კიდევ უფრო საზიზღრად წარმოებს ექსპლოატაცია იმ არტელებისა, რომელნიც მწარმოებლებს მიექირავებიან ხოლმე დაქირავებული მუშების სახით. ისინი თვითონ განაგებენ თავიანთ სამრეწველო საქმიანობას, რითაც კაპიტალისტს უზოგავენ ზედამხედველობის ხარჯებს. კაპიტალისტი ქირით აძლევს მათ საცხოვრებელ ქოხებს და სესხად სურსათ-სანოვაგეს, და აქ ისევ ვითარდება ყოვლად საზიზღარი სახით საქონლით გადახდის სისტემა. ასეა საქმე არხანგელსკის გუბერნიის, ხისმეჭრელებსა და ფისისმხდელებს შორის, ციმბირის ბევრ საწარმოებში და სხვ. (შეად. **Флеровский**, «Положение рабочего класса в России», С.-Петербург, 1869 г.). ამგვარად, არტელი აქ წარმოადგენს საშუალებას, რომელიც კაპიტალისტს არსებითად უადგილებს დაქირავებული მუშების ექსპლოატაციას. მაგრამ, მეორე მხრივ, არიან ისეთი არტელებიც, რომელთაც თვითონ ჰყავთ დაქირავებული მუშები; ეს მუშები არ არიან არტელის წევრები.

როგორც ვხედავთ, არტელი არის პირველყოფილი და ამიტომ კოოპერაციული ამხანაგობის ჯერ კიდევ მეტად განუვითარებელი ფორმა და, როგორც ასეთი, იგი არაერთგვარ შემთხვევაში არ

წარმოადგენს რაღაც სპეციფიკურად რუსულს ან თუნდაც სლავურ მოვლენას. ასეთი საზოგადოებები იქმნებიან ყველგან, სადაც მათი საჭიროებაა: შვეიცარიაში სარძეო საქმეში, ინგლისში — მეთევზეობაში, სადაც ისინი სხვადასხვაგვარიც კი არიან. სილეზიის მიწის მთხრელი მუშები (გერმანელები, და არა პოლონელები), რომელთაც ორმოციან წლებში მრავალი რკინიგზა ააგეს, ორგანიზებული იყვნენ ნამდვილ არტელებში. ამ ფორმის უპირატესად არსებობა რუსეთში ამტკიცებს, რასაკვირველია, რუს ხალხში, ასოციაციისადმი ძლიერი მისწრაფების არსებობას, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამტკიცებს იმას, რომ ამ ხალხს ძალუძს, ამ მისწრაფებების მეოხებით, არტელიდან პირდაპირ სოციალისტურ საზოგადოებრივ წყობილებაში გადახტეს. ამისთვის საჭიროა პირველ ყოვლისა, რომ თვით არტელი გახდეს განვითარების უნარმქონე, რომ მან მოიცილოს თავისი პირველყოფილი ფორმა, — რომელშიაც იგი, როგორც ვნახეთ, უფრო კაპიტალს ემსახურება, ვიდრე, მუშას, და აიწიოს, სულ ცოტა, დასავლეთ ევროპის კოოპერაციულ ამხანაგობათა დონემდე მაინც. მაგრამ თუ ჩვენ ამჯერად დავუჯერებთ ბ-ნ ტკაჩოვს (რაც, ყველა ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, მეტად გაბედული საქმე იქნებოდა), — აქამდე ჯერ კიდევ შორს არის. პირიქით, მისი თვალსაზრისისათვის მეტისმეტად დამახასიათებელი ამაყობით ბ-ნი ტკაჩოვი გვარწმუნებს: «რაც შეეხება გერმანული (!) ნიმუშის კოოპერაციულ და საკრედიტო ასოციაციებს, რომელნიც უკანასკნელ დროს რუსეთში ხელოვნურად დანერგეს, მათ ჩვენი მუშების უმრავლესობა სრული გულგრილობით ხვდება, და თითქმის ყველგან მარცხი განიცადეს». თანამედროვე კოოპერაციულმა ამხანაგობამ ყოველ შემთხვევაში დაგვიმტკიცა თავისი უნარი, რომ მას ძალუძს დამოუკიდებლად და წარმატებით წარმართოს მსხვილი სამრეწველო საწარმოები (სართავი და საფეიქრო ფაბრიკები ლანკაშირში). არტელს კი, არა თუ არ გამოუჩენია დღემდე ამის უნარი, არამედ იგი აუცილებლად დაიღუპება მსხვილი მრეწველობის მეოხებით, უკეთუ იგი შემდგომი განვითარების გზით არ წავა.

რუსი გლეხების სათემო საკუთრება აღმოჩენილ იქნა 1845 წელს პრუსიის მთავრობის მრჩეველის ჰაქსტჰაუზენის მიერ, და მან მსოფლიოს მოსდო მის, როგორც რაღაც სრულიად საოცარ მოვლენის შესახებ, თუმცა ჰაქსტჰაუზენს შეეძლო კიდევ საკმაო რაოდენობით ეპოვნა მის ნაშთები თავის სამშობლო ვესტფალიაში, ხოლო როგორც მთავრობის მოხელე ის ეალდებულიც იყო კარგად სცოდნოდა ეს. გერცენმა, რომელიც თვითონ იყო რუსი მემამულე,

ჰაქსტჰაუზენისაგან გაიგო პირველად, რომ მისი გლეხები სათემოდ ფლობდნენ მიწას. და ისარგებლა ამით იმისათვის, რომ დაეპირისპირებინა რუსეთის გლეხები, როგორც სოციალიზმის ჭეშმარიტი მატარებელნი, დაბადებითვე კომუნისტები, სიბერეში შესულ ლპობის გზაზე დამდგარ დასავლეთ ევროპის მუშებისათვის, რომელთაც უბდებათ მხოლოდ ხელოვნურად მოაცოდვილონ სოციალიზმი. გერცენიდან ეს ცნობა გადავიდა ბაკუნინთან და ბაკუნინიდან — ბ-ნ ტკაჩოვთან. მოვუსმინოთ ამ უკანასკნელს:

«ჩვენი ხალხის... დიდი უმრავლესობა... გაჟღენთილია სათემო მფლობელობის პრინციპებით; იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინსტინქტურად, ტრადიციულად კომუნისტია. კოლექტიური საკუთრების იდეა ისე ღრმად შეესისხლხორცა რუსეთის ხალხის მსოფლმხედველობას (ჩვენ ახლავე ვნახავთ, თუ რაოდენ ფართოა რუსეთის გლეხის მსოფლიო), რომ ამჟამად, როდესაც რუსეთის მთავრობა იწყებს იმის გაგებას, რომ ეს იდეა შეუთავსებელია «ქეთილ-ბოწყობილი» საზოგადოების პრინციპებთან და ცდილობს ამ პრინციპთა სახელით, ხალხის ცნობიერებასა და ცხოვრებაში კერძო საკუთრების იდეა ჩანერგოს, — მას მხოლოდ ხიშტების და მათრახის დახმარებით შეუძლია ამის მიღწევა. აქედან ცხადია, რომ ჩვენი ხალხი, მისი უვიცობის მიუხედავად, გაცილებით უფრო ახლო დგას სოციალიზმთან, ვიდრე დასავლეთ ევროპის ხალხები, თუმცა ესენი უფრო განათლებულები არიან».

სინამდვილეში კი მიწის სათემო საკუთრება ისეთი დაწესებულებაა, რომელსაც განვითარების დაბალ საფეხურზე ყველა ინდოევროპულ ხალხებში ვპოვებთ ინდოეთიდან დაწყებული ირლანდიამდე და მალაველებშიც კი, — მაგალითად, იავაზე, — რომელთა განვითარება ინდოეთის ზეგავლენის ქვეშ წარმოებს. ჯერ კიდევ 1608 წელს მიწის სათემო საკუთრების არსებობა ახლად დაპყრობილ ირლანდიის ჩრდილოეთში შეიქნა საბაბი ინგლისელებისათვის, რომ მათ მიწა უპატრონოდ გამოეცხადებინათ და გვირგვინის სასარგებლოდ მისი კონფისკაცია მოეხდინათ. ინდოეთში დღემდე არსებობს მთელი რიგი სათემო საკუთრების ფორმები. გერმანიაში ასეთი საკუთრება საყოველთაო მოვლენა იყო და ის სათემო მიწები, რომლებსაც აქა-იქ დღესაც ვხვდებით, მის ნაშთებს წარმოადგენენ; ხშირად, განსაკუთრებით მთებში, კიდევ ვპოვებთ მის ცხად კვალს: სათემო მიწების პერიოდულ დაყოფას და სხვ. უფრო ზუსტი ცნობები და დეტალები ძველი გერმანული სათემო მიწათმფლობელობის შესახებ მკითხველს შეუძლია იპოვოს

მ ა უ რ ე ر ი ს სხვადასხვა თხზულებებში, რომელნიც ამ მხრივ კლასიკურ თხზულებებს წარმოადგენენ. დასავლეთ ევროპაში, პოლონეთის და მალოროსიის ჩათვლით, ეს სათემო საკუთრება, განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, გადაიქცა ბორკილად, დაბრკოლებად სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის და თანდათანობით მოსპობილ იქნა. პირიქით, ველიკოროსიაში (ე. ი. საკუთრივ რუსეთში) იგი შენარჩუნებულია დღემდე, რაც ამტკიცებს იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მისი შესაბამისი სასოფლო საზოგადოებრივი ურთიერთობანი აქ ჯერ კიდევ ძალიან განუვითარებელ მდგომარეობაში იმყოფებიან, და ეს ნამდვილად ასეც არის. რუსი გლეხი ცხოვრობს და მოქმედებს მხოლოდ თავის თემში; მთელი დანარჩენი მსოფლიო მისთვის მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც იგი მისი თემის საქმეებში ერევა. თუ რამდენად სწორია ეს, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ რუსულ ენაზე ერთი და იგივე სიტყვა **мир**, ნიშნავს, ერთი მხრივ, «მსოფლიოს» და, მეორე მხრივ,—ს ა გ ლ ე ხ ო თ ე მ ს. **Весь мир** (მთელი მსოფლიო) გლეხის ენაზე ნიშნავს თემის ყველა წევრთა კრებას, მაშასადამე, როდესაც ბ-ნი ტკაჩოვი რუსი გლეხის «მ ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა ზ ე» ლაპარაკობს, — ცხადია, მან ყალბად თარგმნა რუსული სიტყვა **мир**. თემების ასეთი სრული განცალკევება ერთიმეორესგან ყოველთვის ბუნებრივი საფუძველია ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი დ ე ს პ ო ტ ი ზ მ ი ს თ ვ ი ს; იგი, მართალია, ერთნაირ ინტერესებს ჰქმნის მთელ ქვეყანაში, მაგრამ იმავე დროს — საერთო ინტერესების პირდაპირ საწინააღმდეგოს, და ყველგან ინდოეთიდან დაწყებული რუსეთამდე, სადაც კი იგი უპირატეს საზოგადოებრივ ფორმას შეადგენდა, ჰქმნიდა ყოველთვის დესპოტიზმს, პოულობდა თავის დამატებას. არა თუ რუსეთის სახელმწიფო საზოგადოდ, არამედ მისი სპეციფიკური ფორმაც, — მეფური დესპოტიზმიც, სრულიადაც არაა ჰაერში დაკიდებული, — იგი წარმოადგენს აუცილებელ და ლოგიკურ შედეგს რუსეთის საზოგადოებრივი მდგომარეობისა, რომელთანაც მას, ბ-ნი ტკაჩოვის სიტყვით, «საერთო არა აქვს რა»! რუსეთის შემდგომი განვითარება ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი მიმართულებით აქაც თანდათან მოსპობდა სათემო საკუთრებას რუსეთის მთავრობის «ხიშტისა და მათრახის» სრულიად ჩაურევლად. და ეს მით უფრო, რომ გლეხები რუსეთში ეწევიან სათემო მიწების ერთად დამუშავებას არა იმისთვის, რათა მარტოოდენ პროდუქტი გაინაწილონ, როგორც ამას ადგილი აქვს დღესაც ინდოეთის ზოგ ოლქებში. პირიქით, რუსეთში ხდება პერიოდულად

მიწის დაყოფა ცალკეულ ოჯახის მეთაურებს შორის, და თვითეული ეწევა თავისი წილის დამუშავებას თავისთვის. ეს ჰქმნის იმის შესაძლებლობას, რომ წარმოიშვას თემის ცალკეულ წევრთა კეთილდღეობაში ფრიად დიდი უთანასწორობა, რომელიც სინამდვილეში კიდეც არსებობს. თითქმის ყველგან ვხვდებით იქ მდიდარ გლეხებს, — ზოგჯერ მილიონერებს, — რომელნიც მევახშეობას ეწევიან და გლეხთა მასას ყუათს აცლიან. ეს ბ-ნმა ტკაჩოვმა სხვაზე უკეთ იცის. მაშინ როდესაც ეგი გერმანელ მუშებს არწმუნებს, რომ მხოლოდ ხიშტებსა და მათრახს შეუძლია რუს გლეხს, ამ ინსტინქტით, ტრადიციით კომუნისტს, ხელი ააღებინოს «კოლექტიური საკუთრების იდეაზეო», იგი თავის რუსულ ბროშურაში, გვ. 15, ამასთანავე მოგვითხრობს: «გლეხებში იქმნება კლასი კულაკებისა, — გლეხთა და მემამულეთა მიწების შემსყიდველების და მოიჯარეებისა, — გლეხური არისტოკრატია».

სწორედ ამ ტიპის სისხლისმწოველები არიან ისინი, რომელნიც ჩვენ ზემოთ ავწერეთ.

უძლიერესად დაჰკრა სათემო საკუთრებას სწორედ ბეგრის გამოსყიდვამ. მებატონეს ხვდა მიწის უდიდესი და საუკეთესო ნაწილი: გლეხებს — არსებობისთვის გაჭირვებით საკმარისი მიწა, ხშირად კი სრულიად არასაკმარისი. ამასთან ტყეები მებატონეებს მიეკუთვნა: შეშა, იარაღებისთვის და შენობებისთვის საჭირო ხე-ტყე, რომელიც გლეხს წინათ მუქთად შეეძლო მიეღო, ახლა იძულებულია იყიდოს. ამგვარად, გლეხს ახლა აღარაფერი არა აქვს, გარდა ქოხისა და ცარიელი მიწისა. მას არა აქვს საშუალებები ამ მიწის დასამუშავებლად; ჩვეულებრივ აკლია მიწაც, რათა მოსავლიდან მოსავლამდე თავის და თავისი ოჯახის გამოკვება შეეძლოს. ასეთ პირობებში, გამოსაღებებისა და მევახშეების უღელქვეშ, მიწის სათემო საკუთრება აღარ შეადგენს სიკეთეს, იგი ბორკილადაა ქცეული. გლეხები ხშირად გარბიან თემიდან ოჯახითურთ ან უოჯახოდ, სტოვებენ მიწას, და თავის სარჩენად საშოვარზე მიდიან.[1]

ჩვენ ვხედავთ, რომ სათემო საკუთრებამ რუსეთში დიდიხანია განვლო თავისი აყვავების ხანა, და ყველაფერზე ეტყობა, რომ თა-

[1] გლეხების მდგომარეობის შესახებ იხ. სხვათა შორის, მთავრობის კომისიის ოფიციალური ანგარიში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესახებ (1873 წ.), შემდეგ Скалдин, В захолустье и в столице, С.-Петербург, 1870 г. ეს უკანასკნელი შრომა ზომიერი კონსერვატორის კალამს ეკუთვნის. (ენგელსის შენიშვნა).

ვისი დაშლისაკენ მიექანება. მიუხედავად ამისა, მაინც უცილობელია, რომ არსებობს შესაძლებლობა მისი უმაღლეს ფორმაში გადაყვანისა, უკეთუ იგი შენარჩუნებულ იქნა მანამდე, ვიდრე გარემოება მომწიფდება ამისათვის, და უკეთუ იგი განვითარების უნარმქონე აღმოჩნდა იმ აზრით, რომ გლეხებმა მიწის დამუშავება აწარმოონ არა ცალკ-ცალკე, არამედ ერთად [1]. ამასთანავე რუსეთის გლეხობის გადასვლა ამ უმაღლეს ფორმაზე უნდა მოხდეს ბურჟუაზიული პარცელური საკუთრების შუალედი საფეხურის გაუვლელად. მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ დასავლეთ ევროპაში, რუსეთის თემის საბოლოო დაშლამდე, მოხდება ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუცია, რომელიც რუს გლეხს შეუქმნის აუცილებელ წინაპირობებს ასეთი გადასვლისათვის, მისცემს მას განსაკუთრებით მატერიალურ საშუალებებსაც, რომლებიც მას დასჭირდება, რათა ამასთან აუცილებლად დაკავშირებული გადატრიალება გაატაროს მთელს თავის სამიწათმოქმედო სისტემაში. ამგვარად, ბ-ნი ტკაჩოვი წმინდა ზღაპარს გვეუბნება, როდესაც ამტკიცებს, რომ რუსეთის გლეხები, თუმცა «მესაკუთრეები» არიან, «უფრო ახლოს დგანან სოციალიზმთან», ვიდრე დასავლეთ ევროპის საკუთრებას მოკლებული მუშები. სრულიად პირიქით. თუ კიდევ რაიმეს შეუძლია რუსული სათემო საკუთრების ხსნა და მისთვის იმის შესაძლებლობის მიცემა, რომ იგი ახალ ნამდვილ სიცოცხლის უნარმქონე ფორმად გარდაიქმნეს, ეს არის სწორედ პროლეტარული რევოლუცია დასავლეთ ევროპაში.

პოლიტიკური რევოლუციაც ისევე ადვილად აქვს წარმოდგენილი ბ-ნ ტკაჩოვს, როგორც ეკონომიური რევოლუცია. რუსეთის ხალხი, მოგვითხრობს იგი, «შეუწყვეტლივ აცხადებს პროტესტს» მონობის წინააღმდეგ, და ამას გამოთქვამს იგი «რელიგიური სექტების... გამოსაღებების გადახდაზე უარისთქმის, ყაჩაღების ბრბოების (გერმანელ მუშებს შეუძლიათ მიულოცონ თავიანთ თავს, რომ იოჰან - ტყავმძრობელი[2], ამგვარად, მამა ყოფილა გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა)... ცეცხლწაკიდების... აჯანყებების ფორმაში...

[1] პოლონეთში განსაკუთრებით გროდნოს გუბერნიაში, სადაც თავადაზნაურობა, 1863 წლის აჯანყების შედეგად, მეტწილ განადგურებულია, ამჟამად გლეხები ხშირად ყიდულობენ ან იჯარით იღებენ თავადაზნაურთა საკარმიდამო მიწებს და მათ დამუშავებას ეწევიან ერთად და ს ა ე რ თ ო ხ ა რ ჯ ზ ე. ამ გლეხებს უკვე მთელი საუკუნეებია აღარ აქვთ არავითარი სათემო საკუთრება, და ამასთან ისინი ველიკოროსები კი არ არიან, არამედ პოლონელები, ლიტველები და ბელორუსები. (ენ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

[2] იოჰან ბუკლერის — გერმანელი ყაჩაღის ზედმეტი სახელი. რ ე დ.

და ამიტომ რუს ხალხს ინსტინქტით რევოლუციონერი შეიძლება ეუწოდოთ». ყველაფერი ეს არწმუნებს ბ-ნ ტკაჩოვს, რომ «საჭიროა მხოლოდ ერთსა და იმავე დროს ბევრ ადგილას გაღვივდეს გაპოოოტებისა და უკმაყოფილების დაგროვილი გრძნობა, რომელიც... ყოველთვის დუღს ჩვენი ხალხის გულში». მაშინ «რევოლუციური ძალების შეერთება უკვე თავისთავად მოხდება, ხოლო ბოძოლა... უნდა დასრულდეს ხალხის საქმისათვის სასარგებლოდ. პრაქტიკული აუცილებლობა, თავშენახვის ინსტინქტი» უკვე თავისთავად შეჰქმნის «მჭიდრო და განუყრელ კავშირს პროტესტანტ თემებს შორის».

უფრო ადვილი და სასიამოვნო რევოლუციის წარმოდგენა შეუძლებელია. საკმარისია ერთდროულად სამ-ოთხ ადგილას ამბოხების დაწყება, და «ინსტინქტით რევოლუციონერი», «პრაქტიკული აუცილებლობა», «თავშენახვის ინსტინქტი», «თავისთავად» შეასრულებს სხვას ყველაფერს. პირდაპირ გაუგებარია, რატომ უკვე დიდი ხნის წინ არაა მომხდარი ასე უზომოდ ადვილი რევოლუცია. რატომ არაა ხალხი განთავისუფლებული და რუსეთი სანიმუშო სოციალისტურ ქვეყნად გადაქცეული.

სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად არის. რუსი ხალხი, ეს «ინსტინქტით რევოლუციონერი», აწყობდა, მართალია, უამრავ აჯანყებას თავადაზნაურობისა და ცალკეული მოხელეების წინააღმდეგ, მაგრამ არასოდეს არ გამოდიოდა მეფის წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცრუმეფე უდგებოდა მას მეთაურად და თავისთვის ტახტს მოითხოვდა. უკანასკნელი გლეხთა დიდი აჯანყება ეკატერინე მე-II-ის დროს მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ემელიან პუგაჩოვმა თავი გამოაცხადა ეკატერინეს ქმრად, პეტრე მე-III-დ, რომელიც ვითომ კი არ მოუკლავს მის ცოლს, არამედ ტახტიდან იყო ჩამოგდებული და საპყრობილეში დამწყვდეული, საიდანაც ახლა იგი გამოიპარა. მეფე, პირიქით, გლეხს მიწიერ ღმერთად ჰყავს წარმოდგენილი. ღმერთი მაღლაა, მეფე შორსაა, წამოიძახებს ხოლმე იგი გაჭირვებაში. რომ გლეხი მოსახლეობის მასა, განსაკუთრებით ბეგარის გამოსყიდვის შემდეგ, ისეთ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომელიც უფრო და უფრო აიძულებს მას მთავრობასა და მეფესთან ბრძოლას — ეს უეჭველია; მაგრამ ზღაპრები «ინსტინქტით რევოლუციონერის» შესახებ ბ-ნმა ტკაჩოვმა დეე სხვა ვინმეს უამბოს.

და გარდა ამისა, რუსეთის გლეხთა მასა რომ კიდეც იყოს ინსტინქტით ესოდენ რევოლუციონერი; რომ კიდეც წარმოვი-

დგინოთ, რომ რევოლუციის მოხდენა შეიძლება შეკვეთით, როგორც სახოვანი ჩითი ან ჩაიდანი, — მაშინაც ნება მოგვეცით ვიკითხოთ: განა ადამიანს, რომელიც ხნით თორმეტ წელს გადასცილებია, შეჰფერის ჰქონდეს ასეთი ზებავშვური წარმოდგენა რევოლუციის მსვლელობაზე, როგორსაც ჩვენ აქ ვხედავთ? აბა ჩაუფიქრდით: ეს დაწერილია მას შემდეგ, რაც ესპანეთში 1873 წელს ბრწყინვალე მარცხი განიცადა ამ ბაკუნინისტური ნიმუშის მიხედვით დამზადებულმა პირველმა რევოლუციამ. იქაც აჯანყება დაიწყეს ერთდროულად რამდენიმე ადგილას. იქაც მოელოდნენ, რომ პრაქტიკული აუცილებლობა, თავშენახვის ინსტინქტი უკვე თავისთავად დაამყარებდა მტკიცე, განუყრელ კავშირს პროტესტანტ თემებს შორის. და რა მოხდა? თვითეული თემი, თვითეული ქალაქი იცავდა მხოლოდ თავის თავს, ურთიერთ დახმარებაზე ლაპარაკიც კი არ იყო, და პავიამ, რომელსაც მხოლოდ 3000 ჯარისკაცი ჰყავდა, 14 დღეში ერთი მეორეზე დაიპყრო ქალაქები და ბოლო მოუღო მთელ ანარქისტულ სიდიადეს (შეად. ჩემი სტატია: «ბაკუნინისტები სამუშაოზე», სადაც ეს დაწვრილებითაა მოთხრობილი).

რუსეთში, უეჭველად, რევოლუციის წინადღეა დამდგარი. რუსეთის ფინანსების საქმე უკიდურესობამდე არეულია. საგადასახადო მუხრუჭი ვეღარ ეწევა სამსახურს. სახელმწიფოს ძველი ვალების პროცენტების გადახდა წარმოებს ახალ-ახალი სესხის აღების გზით, ხოლო ყოველი ახალი სესხი სულ უფრო და უფრო დიდ დაბრკოლებას ხვდება; მხოლოდ ახალი რკინიგზების აგების საბაბით ხერხდება ფულის შოვნა! ადმინისტრაცია დიდი ხანია მთლიანად გაიხრწნა; მოხელეები ცხოვრობენ უფრო ქურდობით, ქრთამებით და შანტაჟით, ვიდრე ჯამაგირით. მთელ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში — რაც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რუსეთისათვის — სრული არევდარევაა შეტანილი 1861 წლის საბეგრო გამოსყიდვის მეოხებით; მსხვილ მიწათმფლობელობას აკლია მუშახელი, გლეხებს აკლიათ მიწა, ისინი გასრესილი არიან გადასახადების სიმძიმით და ილაჯგამოცლილი მევახშეების მიერ; სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია კლებულობს წლიდან წლამდე. მთელი ეს შენობა დიდი გაჭირვებით და გარეგნულადაა შემაგრებული ისეთი აზიური დესპოტიზმის გზით, რომლის თვითნებობაზე ჩვენ, დასავლეთში, წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია გვქონდეს. ეს არის დესპოტიზმი, რომელიც არათუ დღითიდღე სულ უფრო და უფრო აშკარა წინააღმდეგობაში ვარდება განათლებული კლასების შეხედულებებთან, განსაკუთრებით დედაქალაქის სწრაფად მზარ-

დი ბურჟუაზიის შეხედულებებთან, არამედ რომელსაც მისი ახლანდელი წარმომადგენლის სახით სულ აებნა გზა-კვალი: დღეს იგი დათმობებზე მიდის ლიბერალიზმის მიმართ, რათა ხვალ, შეშინებულმა, უკანვე წაიღოს, და ამგვარად თვითონვე სულ უფრო და უფრო უთხრის ძირს ყოველ ნდობას თავის მიმართ. ამასთან დედაქალაქში თავმოყრილ ერის განათლებულ ფენებში მტკიცდება ის შეგნება, რომ ასეთი მდგომარეობა აუტანელია, რომ გადატრიალება მოახლოვებულია, მაგრამ იმავე დროს წარმოდგება ილუზიაც, თითქოს შესაძლებელია ამ გადატრიალების წარმართვა მშვიდ კონსტიტუციურ კალაპოტში. აქ შეერთებულია ყველა პირობა რევოლუციისათვის, რომელსაც დაიწყებენ დედაქალაქის უმაღლესი კლასები, შესაძლებელია — თვით მთავრობაც, მაგრამ გლეხობა განაგრძობს მას და სწრაფად გაიტანს პირველი კონსტიტუციური ფაზის ფარგალს იქით. ამ რევოლუციას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი ევროპისთვის უკვე მარტო იმიტომ, რომ იგი ერთი დაკვრით მოსპობს მთელი ევროპული რეაქციის უკანასკნელ, დღემდე ხელუხლებელ რეზერვს. ეს რევოლუცია უეჭველად ახლოვდება. მხოლოდ ორი მოვლენა შესძლებდა ხანგრძლივად მის დაყოვნებას: წარმატებით დასრულებული ომი თურქეთის ან ავსტრიის წინააღმდეგ, — მაგრამ ამისათვის საჭიროა ფული და საომედო მოკავშირეები, — ანდა... ნაადრევი ცდა აჯანყებისა, რაც ისევ მთავრობას გადაახვევს მქონებელ კლასებს.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ 1874 წ. ივნისს — 1875 წ. აპრილს. დაბეჭდილია «Volksstaat»-ში 1875 წ., იმავე წელს გამოვიდა ცალკე ბროშურად.

იბეჭდება ბროშურის ტექსტთან შედარებული გაზეთის ტექსტის მიხედვით. თარგმანი გერმანულიდან.

ფ. ენგელსი

«ბუნების დიალექტიკის» შესავალი

ბუნების თანამედროვე კვლევა, ერთადერთი კვლევა, რომელმაც მეცნიერულ, სისტემატურ, ყოველმხრივ განვითარებას მიაღწია, წინააღმდეგ ანტიკურ მოაზროვნეთა გენიალური ნატურფილოსოფიური ინტუიციებისა და არაბების უაღრესად მნიშვნელოვანი, მაგრამ სპორადული და მეტნაწილად უშედეგოდ გამქრალი აღმოჩენებისა, — ბუნების თანამედროვე კვლევა, ისე როგორც მთელი ახალი ისტორია, იმ მძლავრი ეპოქიდან თარიღდება, რომელსაც ჩვენ, გერმანელები, იმ დროს ჩვენს თავს დამტყდარი ნაციონალური უბედურების გამო, რეფორმაციას ვუწოდებთ, ფრანგები — რენესანსს, ხოლო იტალიელები ჩინკვეჩენტოს[1] უწოდებენ, და რომელსაც ვერც ერთი ეს სახელწოდება ამომწურავად ვერ გამოხატავს. ეს არის ის ეპოქა, რომელიც მე-15 საუკუნის მეორე ნახევრით იწყება. მეფის ხელისუფლებამ, მოქალაქეებზე დაყრდნობით, ფეოდალური თავადაზნაურობის ძლიერება გასტეხა და დიდი, არსებითად ეროვნებაზე დაფუძნებული მონარქიები დაამკვიდრა, რომლებშიაც ევროპის თანამედროვე ერები და თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება განვითარდა; და მაშინ როდესაც მოქალაქენი და თავად-აზნაურნი ჯერ კიდევ ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, გერმანიის გლეხთა ომმა წინასწარმეტყველურად მიუთითა

[1] სიტყვასიტყვით: ხუთასიანი წლები, ე. ი. მეთექვსმეტე საუკუნე. რ ე დ.

მომავალ კლასობრივ ბრძოლებზე, ვინაიდან ამ ომმა სცენაზე გამოიყვანა არა მარტო აჯანყებული გლეხები — ეს ახალი ამბავი აღარ იყო, — არამედ მათ უკან გამოჩნდნენ თანამედროვე პროლეტარიატის წინამორბედნი, რომელთაც ხელში წითელი დროშა ეჭირათ და პირზე ქონების ერთობის მოთხოვნა ეჭერათ. ბიზანტიის დაცემისას გადარჩენილი ხელნაწერებიდან, რომის ნანგრევებიდან ამოთხრილი ანტიკური ქანდაკებებიდან გაკვირვებული დასავლეთის წინაშე წარმოსდგა ახალი ქვეყანა, ბერძნული ანტიკურობა; მისი ნათელი სახეების წინაშე გაჰქრნენ შუა საუკუნეების მოჩვენებანი; იტალიაში ხელოვნებამ ჯერარნახულ აყვავებას მიაღწია, რომელიც მოგვევლინა როგორც კლასიკური ანტიკურობის ანარეკლი და რომლისთვისაც შემდეგში არასოდეს აღარ მიუღწევია. იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში წარმოიშვა ახალი, პირველი თანამედროვე ლიტერატურა; ამის შემდეგ მალე ინგლისმა და ესპანეთმა განიცადეს თავიანთი ლიტერატურის კლასიკური ეპოქა. ძველი «Orbis terrarum»[1]-ის ზღუდეები გაირღვა; მხოლოდ ახლა იქნა დედამიწა ნამდვილად აღმოჩენილი; საფუძველი ჩაიყარა შემდგომი მსოფლიო ვაჭრობისათვის და ხელოსნობის მანუფაქტურაში გადასასვლელად, რაც თავის მხრივ თანამედროვე მსხვილი ინდუსტრიის გამოსავალ წერტილს წარმოადგენდა. ეკლესიის სულიერი დიქტატურა დაიმსხვრა; გერმანელ ხალხთა უმრავლესობამ პირდაპირ უკუაგდო იგი და პროტესტანტიზმი მიიღო, მაშინ, როდესაც რომანულ ხალხებში უფრო და უფრო ფესვს იდგამდა არაბებისაგან გადმოღებული და ახლად აღმოჩენილი ბერძნული ფილოსოფიის მიერ ნასაზრდოები ნათელი, თავისუფალი აზროვნება, რომელიც მე-18 საუკუნის მატერიალიზმს ამზადებდა.

ეს იყო უდიდესი პროგრესული გადატრიალება, როგორიც კი მანამდე კაცობრიობას განუცდია, ეს იყო დრო, რომელსაც ბუმბერაზები ესაჭიროებოდა და რომელმაც ბუმბერაზები წარმოშვა, ბუმბერაზები აზრის სიძლიერით, გზნებითა და ხასიათით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით. ადამიანები, რომლებიც ბურჟუაზიის თანამედროვე ბატონობას ამყარებდნენ, ყველაფერი იყვნენ, მაგრამ ბურჟუაზიულად შეზღუდულნი არ ყოფილან. პირიქით, მათ მეტნაკლებად აჩნდათ თავიანთი დროის ავანტიურისტული

[1] «Orbis terrarum» — სიტყვასიტყვით: დედამიწის სფერო, დედამიწის ხურგი; ასე უწოდებდნენ ძველი რომაელები ქვეყნიერებას, მსოფლიოს, დედამიწას. რ ე დ.

ხასიათი. იმ დროს არ ცხოვრობდა თითქმის არც ერთი ღირსშესანიშნავი ადამიანი, რომელიც შორეულ მოგზაურობაში არ ყოფილიყოს, რომელსაც ოთხ-ხუთ ენაზე ლაპარაკი არ შეძლებოდეს, რომელიც რამდენიმე სპეციალობაში ბრწყინვალედ არ გამოჩენილიყოს. ლეონარდო და ვინჩი მარტო დიდი მხატვარი როდი იყო, იგი ამასთან ერთად დიდი მათემატიკოსი, მექანიკოსი და ინჟინერიც იყო, რომლის წყალობით ფიზიკას სხვადასხვა ნაწილში მნიშვნელოვანი აღმოჩენები აქვს მოპოვებული; ალბრეხტ დიურერი იყო მხატვარი, გრავიორი, მოქანდაკე, ხუროთმოძღვარი და, გარდა ამისა, მან გამოიგონა ფორტიფიკაციის სისტემა, რომელიც უკვე შეიცავდა ზოგ ისეთ იდეებს, რომლებიც გაცილებით უფრო გვიან ხელახლა წამოაყენა მონტალამბერმა და უახლესმა გერმანულმა საფორტიფიკაციო მოძღვრებამ. მაკიაველი იყო სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი, პოეტი და ამასთანავე ახალი დროის პირველი, მოხსენების ღირსი, სამხედრო მწერალი. ლუთერმა გასწმინდა არა მარტო ეკლესიის ავგიას საჯინიბე, არამედ გერმანული ენისაც, მან შეჰქმნა თანამედროვე გერმანული პროზა და იმ გამარჯვების რწმენით სავსე ქორალის ტექსტი და მელოდია შეთხზა, რომელიც მე-16 საუკუნის მარსელიეზად იქცა. იმდროინდელი გმირები ჯერ კიდევ არ ჰყავდა დამონებული შრომის დანაწილებას, რომლის შემზღუდავ, გამაცალმხრივებელ ზეგავლენას ჩვენ ასე ხშირად ვამჩნევთ მათს შთამომავლობას. მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელი მათთვის მაინც ის არის, რომ ისინი, თითქმის ყველანი, მათი დროინდელი მოძრაობის შუაგულში ტრიალებენ, პრაქტიკულ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი, ამა თუ იმ პარტიის მხარეზე დგანან და მასთან ერთად იბრძვიან, ვინ სიტყვითა და კალმით, ვინ ხმლით, ხოლო ვინ კიდევ ორივეთი ერთად. აქედან წარმოდგება ხასიათის ის სისრულე და ძალა, რომელიც მათ მთლიან ადამიანებად ხდის. კაბინეტის სწავლულნი გამონაკლისს შეადგენდნენ: ასეთნი იყვნენ ან მეორე და მესამე რანგის ადამიანები ანდა ფრთხილი ფილისტერები, რომელთაც თითების დაწვა არ სურთ.

ბუნების კვლევაც მაშინ საყოველთაო რევოლუციის ვითარებაში მიმდინარეობდა და თვითონაც თავიდან ბოლომდე რევოლუციური იყო; მას ჯერ კიდევ ბრძოლით უნდა მოეპოვებინა არსებობის უფლება. ხელიხელჩაკიდებული დიდ იტალიელებთან, რომლებითაც ახალი ფილოსოფიის დასაწყისი თარიღდება, იგი თავის წამებულთ იძლევა ინკვიზიციის კოცონებისა და საპყრობილეები-

სათვის. და დამახასიათებელია, რომ პროტესტანტებმა დაასწრეს კათოლიკებს ბუნების თავისუფალი კვლევის დევნაში. კალვინმა დასწვა სერვეტი, როდესაც ამ უკანასკნელს ის იყო უნდა აღმოეჩინა სისხლის მიმოქცევის პროცესი; ამასთან იგი ორი საათის განმავლობაში ცოცხლად იწვოდა კალვინის ბრძანებით. ინკვიზიცია ყოველ შემთხვევაში იმით დაკმაყოფილდა, რომ ჯორდანო ბრუნო უბრალოდ დასწვა.

რევოლუციური აქტი, რომლითაც ბუნების კვლევამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და, თითქოს, ლუთერის მიერ პაპის ბულის დაწვა გაიმეორა, იმ უკვდავი ნაწარმოების გამოცემა იყო, რომლითაც კოპერნიკმა, თუმცა მოკრძალებით და, ასე ვთქვათ, სიკვდილის საბეჭდელზე, საბრძოლველად გამოიწვია ეკლესიის ავტორიტეტი ბუნების საკითხებში. აქედან იწყება ბუნების კვლევის თეოლოგიისაგან განთავისუფლების თარიღი, თუმცა მათი ცალკეული საერთიერთო პრეტენზიების გარკვევამ ჩვენს დრომდეც კი მოაღწია და ზოგიერთის თავში იგი დღესაც არ დამთავრებულა. მაგრამ ამავე დროიდან გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ აგრეთვე მეცნიერებათა განვითარებაც, რომელიც ძლიერდებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი გამოსავალი წერტილიდან (დროული) დაშორების კვადრატული პროპორციის შესაბამისად. თითქოს ქვეყნისათვის უნდა დაემტკიცებინათ, რომ ამიერიდან ორგანული მატერიის უმაღლესი პროდუქტისათვის, ადამიანის გონებისათვის ძალა აქვს მოძრაობის ისეთ კანონს, რომელიც არაორგანული ნივთიერების მოძრაობის შებრუნებულ კანონს წარმოადგენსო.

ბუნებისმეტყველების ახლად დაწყებულ პირველ პერიოდში მთავარი სამუშაო ხელთარსებული მასალის დაუფლება იყო. ძალიან ბევრ სფეროში საქმე სრულიად დაუმუშავებელი ნედლი მასალით უნდა დაწყებულიყო. ანტიკურობამ ევკლიდე და პტოლომეს მზის სისტემა დაგვიტოვა, არაბებმა — ათწილადი აღნიშვნა, ალგებრის საწყისები, თანამედროვე რიცხვები და ალქიმია; ქრისტიანულ შუა საუკუნეებს კი სულ არაფერი დაუტოვებია. ამ ვითარებაში უელემენტარეს ბუნებისმეტყველებას, მიწიერ და ციურ სხეულთა მექანიკას, აუცილებლად პირველი ადგილი უნდა დაეჭირა, ხოლო მის გვერდით და მის სამსახურში მათემატიკური მეთოდების აღმოჩენას და გაუმჯობესებას. აქ დიდი საქმეები შესრულდა. ამ პერიოდის დასასრულს, რომელიც ნიუტონისა და ლინეის სახელებითაა აღნიშნული, ჩვენ ვხედავთ, რომ მეცნიერების ეს დარგები გარკვეულ დასრულებამდეა მიყვანილი. ყველაზე არ-

სებითი მათემატიკური მეთოდები ძირითად ხაზებში უკვე დადგენილია: ანალიზური გეომეტრია — უმთავრესად დეკარტეს მიერ, ლოგარითმები — ნეპერის მიერ, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა — ლაიბნიცის მიერ და შეიძლება ნიუტონის მიერ. იგივე ითქმის მყარ სხეულთა მექანიკაზეც, რომლის მთავარი კანონები ერთხელ და სამუდამოდ გაშუქებული იყო. დასასრულ, მზის სისტემის ასტრონომიაში კეპლერმა აღმოაჩინა პლანეტათა მოძრაობის კანონები, და ნიუტონმა ეს კანონები ჩამოაყალიბა მატერიის მოძრაობის ზოგადი კანონების თვალსაზრისით. ბუნებისმეტყველების სხვა დარგები ჯერ კიდევ ძალიან შორს იყვნენ ასეთი წინასწარი დასრულებულობისაგანაც კი. თხევადი და აირისებური სხეულების მექანიკა უფრო ამ პერიოდის დასასრულისათვის იქნა დამუშავებული <ტორიჩელი, ალპიური მთების ნაკადების რეგულირების თაობაზე> [1]. საკუთრივ ფიზიკა ჯერ კიდევ ვერ გასცდა პირველ საწყისებს, ოპტიკის გამოკლებით, რომლის განსაკუთრებული მიღწევები ასტრონომიის პრაქტიკული საჭიროებით იყო გამოწვეული. ქიმია ის იყო განთავისუფლდა ალქიმიისაგან ფლოგისტონის თეორიის წყალობით. [2] გეოლოგია ჯერ კიდევ არ გაშორებოდა მინერალოგიის ემბრიონულ საფეხურს; მაშასადამე, პალეონტოლოგია ჯერ არც შეიძლებოდა არსებულიყო. დასასრულ, ბიოლოგიის სფეროში ჯერ კიდევ არსებითად უზარმაზარი, როგორც ბოტანიკური და ზოოლოგიური, ისე ანატომიური და საკუთრივ ფიზიოლოგიური, მასალის დაგროვებასა და პირველ სისტემატიზაციას ეწეოდნენ. ჯერ კიდევ თითქმის ლაპარაკიც არ შეიძლებოდა სიცოცხლის ფორმების ერთმანეთთან შედარებაზე, მათი გეოგრაფიული გავრცელების, მათი კლიმატოლოგიური და სხვა სასიცოცხლო პირობების გამოკვლევაზე. აქ მხოლოდ ბოტანიკამ და ზოოლოგიამ მიაღწია დაახლოებით დასრულებულობას ლინეის წყალობით.

მაგრამ ის, რაც ამ პერიოდს განსაკუთრებით ახასიათებს თავისებური საერთო მსოფლმხედველობის გამომუშავებაა, რომლის ცენტრს

---

[1] აქ და შემდეგშიაც კუთხოვან ფრჩხილებში (< >) მოთავსებულია ენგელსის მიერ ხელნაწერის არეებზე მიწერილი სიტყვები. რ ე დ.

[2] XVII — XVIII საუკუნეების ქიმიაში გაბატონებული იყო თეორია, რომელიც აღიარებდა, რომ წვის პროცესი გამოწვეულია სხეულებში არსებული განსაკუთრებული უწონადი ნივთიერებით – ფლოგისტონითო. რ ე დ.

წარმოადგენს შეხედულება ბუნების აბსოლუტურ უცვლელობაზე. ამ შეხედულების თანახმად, რა გზითაც არ უნდა წარმოშობილიყო თვით ბუნება: იგი, ერთხელ მოცემული, თავისი არსებობის მანძილზე ისეთივე დარჩა, როგორიც იყო. პლანეტები და მათი თანამგზავრნი, იდუმალი «პირველი ბიძგით» ერთხელ მოძრაობაში მოყვანილნი, განაგრძობდნენ ბრუნვას მათთვის მიკუთვნილ ელიპსებზე მარადისობიდან მარადისობამდე ანდა, ყოველ შემთხვევაში, ყველა ნივთთა დასასრულამდე. ვარსკვლავები სამუდამოდ მტკიცედ და უძრავად განისვენებდნენ თავიანთ ადგილებზე და ერთმანეთს ამ მდგომარეობაში «საყოველთაო მიზიდულობით» აჩერებდნენ. დედამიწა იმთავითვე თუ მისი შექმნის დღიდან (თვალსაზრისის მიხედვით) უცვლელად ერთი და იგივე დარჩა. ქვეყნის ახლანდელი «ხუთი ნაწილი» ყოველთვის არსებობდა, ყოველთვის არსებობდნენ იგივე მთები, ველები და მდინარეები, იგივე ჰავა, იგივე ფლორა და ფაუნა, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რაც ადამიანის ხელს შეუცვლია ან გადაუნერგავს. მცენარეთა და ცხოველთა სახეები მათი წარმოშობისთანავე ერთხელ და სამუდამოდ იყო დადგენილი, თანაბარი მუდამ თანაბარს წარმოშობდა, და ისიც კი უკვე დიდი საქმე იყო, როდესაც ლინეი აღიარებდა, რომ აქა თუ იქ შეჯვარების გზით შეძლებისდაგვარად ახალი სახეები შეიძლება წარმოშობილიყვნენო. წინააღმდეგ კაცობრიობის ისტორიისა, რომელიც დროში ვითარდება, ბუნების ისტორიას მხოლოდ სივრცეში გაშლას მიაწერდნენ. უარყოფდნენ ყოველგვარ ცვლილებას, ყოველგვარ განვითარებას ბუნებაში. დასაწყისში ესოდენ რევოლუციური ბუნებისმეტყველება უეცრივ თავიდან ბოლომდე კონსერვატული ბუნების წინაშე აღმოჩნდა, სადაც ყველაფერი დღესაც ისეა, როგორც თავიდან იყო და სადაც ყველაფერი სამყაროს დასასრულამდე თუ მარადის ისე უნდა დარჩენილიყო, როგორც დასაბამიდან იყო.

რამდენადაც მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ბუნებისმეტყველება ბერძნულ ანტიკურობაზე მაღლა იდგა ცოდნისა და თვით მასალის სისტემატიზაციის მხრივაც კი, ამდენადვე მასზე ბევრად დაბლა იდგა ამ მასალების იდეური დაუფლების, ბუნების ზოგადი განჭვრეტის თვალსაზრისით. ბერძენი ფილოსოფოსებისათვის სამყარო არსებითად ქაოსიდან წარმომდგარი რაღაც იყო, განვითარებაში მყოფი, რაღაც ქმნილი. ჩვენს მიერ განხილული პერიოდის ბუნების მკვლევართათვის კი, სამყარო იყო რაღაც გაქვავებუ-

ლი, რაღაც უცვლელი, ხოლო უმეტესობისათვის — ერთი დაკვრით გაკეთებული რაღაც. მეცნიერება ჯერ კიდევ ღრმად იყო ჩაფლული თეოლოგიაში. იგი ყველგან ეძებს და კიდევაც ჰპოვებს ბიძგს გარედან როგორც უკანასკნელ მიზეზს, რომელიც თვითონ ბუნებიდან ვერ აიხსნება. თუ ნიუტონის მიერ ზარზეიმით საყოველთაო გრავიტაციის სახელწოდებით მონათლული მიზიდულობა გაგებული იქნება როგორც მატერიის არსებითი თვისება, მაშინ საიდან მოდის აუხსნელი ტანგენციალური ძალა, რომელიც პირველად ანხორციელებს პლანეტების მოძრაობას ორბიტებზე? როგორ წარმოიშვნენ მცენარეთა და ცხოველთა უთვალავი სახეობანი? და განსაკუთრებით როგორ წარმოიშვა თვითონ ადამიანი, რომლის მიმართ მაინც მტკიცედ იყო დადგენილი, რომ იგი მარადისობიდან არ არსებობდა? ყველა ამგვარ კითხვას ბუნებისმეტყველება ხშირად მხოლოდ იმით პასუხობდა, რომ ყველა ამაებისათვის პასუხისმგებლად ყველა ნივთთა შემოქმედს აცხადებდა. ამ პერიოდის დასაწყისში კოპერნიკმა თეოლოგიას გამოსათხოვარი ბარათი მიართვა; ნიუტონი ამ პერიოდს ღვთაებრივი პირველი ბიძგის პოსტულატით ამთავრებს. უმაღლესი ზოგადი აზრი, სადამდისაც ამ ბუნებისმეტყველებამ მიაღწია, იყო აზრი ბუნების დანაწესის მიზანშეწონილებისა, უშნო ვოლფიანური ტელეოლოგია, რომლის თანახმად კატები იმისათვის იყვნენ გაჩენილი, რომ თაგვები შეეჭამათ, თაგვები იმისათვის, რომ კატებს შეეჭამათ, ხოლო მთელი ბუნება კი იმისთვის, რომ შემოქმედის სიბრძნე დაემტკიცებინა. იმდროინდელი ფილოსოფიის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან თავისი დროის ბუნებისმეტყველური ცოდნის შეზღუდულ მდგომარეობას თავი შეცდომაში არ შეაყვანინა და სპინოზადან დაწყებული დიდ ფრანგ მატერიალისტებამდე დაჟინებით ცდილობდა, რომ სამყარო თვით მისგანვე აეხსნა, ხოლო ამის დეტალურ გამართლებას მომავლის ბუნებისმეტყველებას უტოვებდა.

მეთვრამეტე საუკუნის მატერიალისტებსაც მე ჯერ კიდევ ამ პერიოდს მივაკუთვნებ, რადგან მათ განკარგულებაში არავითარი სხვა საბუნებისმეტყველო მასალა არ მოიპოვებოდა, გარდა ზემოთ აღწერილისა. კანტის თხზულება, რომელმაც ეპოქა შექმნა, მათთვის საიდუმლოებად დარჩა, ლაპლასი კი მათ შემდეგ მოვიდა დაგვიანებით. ნუ დავივიწყებთ, რომ თუმცა მეცნიერების წინსვლამ ყველა კუთხესა და გზაჯვარედინზე სრულიად შეარყია ეს მოძველებული

შეხედულება ბუნებაზე, მაგრამ იგი მაინც მეცხრამეტე საუკუნის მთელს პირველ ნახევარზე ბატონობდა და არსებითად ახლაც ისწავლება ყველა სკოლაში[1].

ეს გაქვავებული შეხედულება ბუნებაზე პირველად გაარღვია არა ბუნების მკვლევარმა, არამედ ფილოსოფოსმა. 1755 წელს გამოქვეყნდა კანტის «ცის ზოგადი ბუნებრივი ისტორია და თეორია». პირველი ბიძგის საკითხი უკუგდებულ იქნა; დედამიწა და მთელი მზის სისტემა მოგვევლინა როგორც დროის მიმდინარეობაში წარმოშობილი რამ. ბუნებისმკვლევართა დიდ უმრავლესობას რომ ნაკლებად ჰქონებოდა შიში აზროვნების წინაშე, რაც ნიუტონმა გამოთქვა გაფრთხილებით: ფიზიკავ, ერიდე მეტაფიზიკასო! — მაშინ მათ კანტის მარტო ამ ერთი გენიალური აღმოჩენიდან ისეთი დასკვნები უნდა გამოეყვანათ, რომლებიც მათ დაუსრულებელ მრუდ გზებზე ხეტიალისაგან გაანთავისუფლებდა და მკაცარი მიმართულებით დახარჯულ უამრავ დროსა და შრომას დააზოგვინებდა. ვინაიდან კანტის აღმოჩენაში მართლაც მოიპოვებოდა გამოსავალი წერტილი მთელი შემდგომი წინსვლისათვის. თუ დედამიწა წარმოშობილი რამ იყო, მაშინ მისი აწმყო გეოლოგიური, გეოგრაფიული, კლიმატური მდგომარეობაც, მისი მცენარეები და ცხოველებიც აგრეთვე წარმოშობილი რამ უნდა ყოფილიყვნენ, მას ისტორია უნდა ჰქონებოდა, არა მარტო სივრცეში ერთი მეორის გვერდით, არამედ დროშიაც ერთი მეორის შემდეგ. ამ მიმართულებით მაშინ-

---

[1] თუ როგორ შეურყევლად შეეძლო ჯერ კიდევ 1861 წელს ეს შეხედულება ვაეხიარებინა ისეთ ადამიანს, რომლის მეცნიერული მიღწევები უაღრესად მნიშვნელოვან მასალას იძლეოდნენ ამ შეხედულების დასაძლევად, ამას გვიჩვენებს შემდეგი კლასიკური სიტყვები:

«ჩვენი მზის სისტემის მთელი აგებულება, რამდენადაც მისი განვრეტა შეგვიძლია, მიმართულია არსებულის დაცვისაკენ და მისი უცვლელი გახანგრძლივებისაკენ. ისე როგორც დედამიწის არც ერთი ცხოველი, არც ერთი მცენარე უძველესი დროიდან დღემდე არ გამხდარა უფრო სრულქმნილი ანდა საერთოდ არ გამხდარა სხვა რამ, ისე როგორც ყველა ორგანიზმში საფეხურებრივ თანმიმდევრობას მხოლოდ ერთი მეორის გვერდით ვხვდებით და არა ერთი მეორის შემდეგ, ისე როგორც ჩვენი საკუთარი მოდგმა სხეულებრივი მიმართულებით სულ ერთი და იგივე დარჩა, — სწორედ ასევე თანაარსებულ სამყაროს სხეულების თვით უდიდესი მრავალსახეობა უფლებას არ გვაძლევს ვაღიაროთ, რომ ეს ფორმები მხოლოდ განვითარების სხვადასხვა საფეხურები არიან, პირიქით, ყოველივე შექმნილი ერთნაირად სრულქმნილია თავის თავში». მედლერი, პოპულარული ასტრონომია, მე-5 გამოცემა. ბერლინი, 1861, გვ. 316. ლაპარაკია შემდეგ წიგნზე: Mädler J. H., Der Wunderbau des Weltalls oder populäre Astronomie. 5 Aufl. Berlin, 1861. რედ.

ვე გაბედულად რომ ეწარმოებინათ კვლევა-ძიებანი, ბუნებისმეტყველება დღეს მნიშვნელოვნად წინ იქნებოდა წასული, ვიდრე ჰრის. მაგრამ აბა რა სიკეთე შეიძლებოდა ფილოსოფიიდან წარმომდგარიყო? კანტის თხზულება ისე დარჩა, რომ უშუალო შედეგი არ მოჰყოლია იქამდე, ვიდრე ხანგრძლივი წლების შემდეგ ლაპლასი და ჰერშელი მის შინაარსს განავითარებდნენ და უფრო ზედმიწევნით დაასაბუთებდნენ და ამით «ნისლოვანების ჰიპოთეზას»[1] თანდათან პატივისცემასა და აღიარებას მოუპოვებდნენ. შემდეგმა აღმოჩენებმა ამ ჰიპოთეზს საბოლოოდ გამარჯვება მიანიჭა. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო: უძრავ ვარსკვლავთა საკუთარი მოძრაობის დადგენა, მსოფლიო სივრცეში წინამღობი გარემოს არსებობის დამტკიცება, სპექტრალური ანალიზით დადგენილი ქიმიური იგივეობა მსოფლიო მატერიისა და ისეთი გავარვარებული ნისლოვანი მასების არსებობა, როგორც მათ კანტი გულისხმობდა < ასევე კანტის მიერ აღმოჩენილი მიმოქცევის ტალღის დამამუხრუჭებელი მოქმედება დედამიწის ბრუნვაზე მხოლოდ ახლაა შეგნებულ-შეთვისებული >.

მაგრამ შეიძლება დავეეჭვდეთ იმაში, რომ ბუნების მკვლევართა უმრავლესობას ასე მალე შეეგნო ეს წინააღმდეგობა ცვალებად დედამიწასა და მასზე არსებულ ვითომდა უცვლელ ორგანიზმებს შორის, უკეთუ სხვა მხრიდან არ მიეღო დახმარება შეგნების გზაზე დამდგარ იმ შეხედულებას, რომ ბუნება არა მხოლოდ ა რ ს ე ბ ო ბ ს, არამედ ქ მ ნ ა დ ო ბ ი ს ა და წ ა რ მ ა ვ ა ლ ო ბ ი ს პროცესშია. წარმოიშვა გეოლოგია და მან აღმოაჩინა არა მარტო ერთი მეორის შემდეგ შექმნილი და ერთი მეორეზე დალაგებული ფენები მიწისა, არამედ მანვე აღმოაჩინა ამ ფენებში დაცული ნიჟარები და ჩონჩხები უკვე ამომწყდარ ცხოველთა, ღეროები, ფოთლები და ნაყოფები ისეთ მცენარეთა, რომლებიც დღეს აღარ გვხვდებიან. უნდა გაებედათ და ეღიარებინათ, რომ არა მარტო საერთოდ და მთლიანად აღებულ დედამიწას ჰქონდა დროში გაშლილი ისტორია, არამედ მის ახლანდელ ზედაპირსაც და მასზე მცხოვრებ მცენარეებსა და ცხოველებსაც. თავიდან ამის აღიარება საკმაოდ უხალისოდ ხდებოდა. კიუვიეს თეორია დედამიწის რევოლუციების შესახებ რევოლუციური იყო ფრაზით, საქმით კი რეაქციული. ერთი ღვთაებრივი შემოქმედების ადგილას ეს თეორია განმეორებითი შემოქმედების აქტების მთელ რიგს აყენებდა და სასწაულს ბუნების არსებით ბერკეტად ხდიდა. პირველად

[1] ჰიპოთეზა გავარვარებულ ნისლოვანებათაგან ციურ სხეულთა წარმოშობის შესახებ.

მხოლოდ ლიაიელმა შეიტანა საღი გაგება გეოლოგიაში იმით, რომ უეცარი, შემოქმედის ენინით გამოწვეული რევოლუციები შესცვალა დედამიწის ნელი გარდაქმნის თანდათანობითი მოქმედებით [1].

ლიაიელის თეორია კიდევ უფრო შეუთავსებელი იყო მუდმივი ორგანული სახეების აღიარებასთან, ვიდრე ყველა მისი წინამორბედი თეორიები. დედამიწის ზედაპირისა და ყველა სასიცოცხლო პირობების თანდათანობითი გარდაქმნის აზრს პირდაპირ მიჰყავდა ადამიანი ორგანიზმების თანდათანობითი გარდაქმნისა და მათი ცვალებად გარემოსთან შეგუების, სახეობათა ცვალებადობის მოძღვრებამდე. მაგრამ ტრადიცია ძალას წარმოადგენს არა მარტო კათოლიკურ ეკლესიაში, არამედ ბუნებისმეტყველებაშიც. თვითონ ლიაიელი მრავალი წლის მანძილზე ვერ ამჩნევდა ამ წინააღმდეგობას, ხოლო მისი მოწაფეები კიდევ უფრო ნაკლებ ხედავდნენ მას. ეს აიხსნება მხოლოდ იმ ხანებში ბუნებისმეტყველებაში გაბატონებული შრომის დანაწილებით, რომელიც თვითეულ მკვლევარს მეტნაკლებად მისი სპეციალური დარგით ზღუდავდა და ნხოლოდ მცირეოდენსღა შერჩენოდა ზოგადისა და მთლიანის მიმოხილვის უნარი.

ამასობაში ფიზიკა ძალიან წინ წავიდა, რომლის შედეგებიც საბმა სხვადასხვა ადამიანმა თითქმის ერთდროულად შეაჯამა ბუნების კვლევის ამ დარგისათვის ეპოქის შემქმნელ 1842 წელს. მაიერმა ჰაილბრონნში და ჯოულმა მანჩესტერში დაამტკიცეს სითბოს გარდაქმნა მექანიკურ ძალად და მექანიკური ძალის სითბოდ გარდაქმნა, სითბოს მექანიკური ეკვივალენტის დადგენამ ეს შედეგი ყოველ ეპეს გარეშე დააყენა. იმავე დროს გროვმა, პროფესიით არა ბუნების მკვლევარმა, არამედ ინგლისელმა ადვოკატმა, ფიზიკის მიერ უკვე მიღწეული ცალკეული შედეგების უბრალო გადამუშავებით დაამტკიცა ის ფაქტი, რომ ყველა ეგრეთწოდებული ფიზიკური ძალა, მექანიკური ძალა, სითბო, სინათლე, ელექტრობა, მაგნეტიზმი და თვით ეგრეთწოდებული ქიმიური ძალაც კი განსაზღვრულ პირობებში ერთი მეორეში გადადიან, და ეს ისე ხდება, რომ ძალის არავითარ დაკარგვას არა აქვს ადგილი;

---

1 ლიაიელის შეხედულების ნაკლი — ყოველ შემთხვევაში მისი პირველი ფორმით მაინც — იმაში მდგომარეობდა, რომ დედამიწაზე მოქმედი ძალები მას გაგებული ჰქონდა როგორც მუდმივი, მუდმივი როგორც თვისებრიობის, ისე რაოდენობის მიხედვით. დედამიწის გაცივება მისთვის არ არსებობს, დედამიწა არ ვითარდება გარკვეული მიმართულებით, იგი იცვლება მხოლოდ კავშირმოკლებული, შემთხვევითი წესით. [ენგელსის შენიშვნა].

ამრიგად, ერთხელ კიდევ დაამტკიცა დამატებით ფიზიკური გამოკვლევების გზით დეკარტეს დებულება, რომ სამყაროში არსებულ მოძრაობათა რაოდენობა უცვლელია. ამით განსაკუთრებული ფიზიკური ძალები, ფიზიკის, ასე ვთქვათ, უცვლელი «სახეები», მატერიის სხვადასხვაგვარად დიფერენცირებულ, გარკვეული კანონებით ერთმანეთში გარდამავალ მოძრაობის ფორმებად იქცნენ. ამდენი და ამდენი ფიზიკური ძალების არსებობის შემთხვევითობა მეცნიერებიდან იმით იქნა განდევნილი, რომ დამტკიცებულ იქნა მათი ურთიერთკავშირი და გადასვლები. ფიზიკა, ისევე როგორც უფრო ადრე ასტრონომია, იმ შედეგამდე მივიდა, რომელიც აუცილებლობით მიუთითებდა მოძრავი მატერიის მარად წრებრუნვაზე როგორც მეცნიერების უკანასკნელ დასკვნაზე.

ქიმიის განსაცვიფრებლად სწრაფმა განვითარებამ ლავუაზიეს და განსაკუთრებით დალტონის შემდეგ ბუნების ძველ წარმოდგენებს სხვა მხრიდან შეუტია. არაორგანული გზით ისეთი ქიმიური ნაერთების მიღებამ, რომლებიც აქამდე მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმში წარმოიშობოდნენ, დაამტკიცა, რომ ქიმიის კანონებს ორგანული სხეულებისათვის იგივე ძალა აქვთ, რაც არაორგანული სხეულებისათვის და ამით ამოავსო არაორგანულ და ორგანულ ბუნებას შორის არსებული იმ უფსკრულის დიდი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ კანტიდან მოკიდებული მარად გარდუვალ უფსკრულად იყო აღიარებული.

დასასრულ, აგრეთვე ბიოლოგიური კვლევა-ძიების სფეროში სისტემატურად მოწყობილმა სამეცნიერო მოგზაურობებმა და ექსპედიციებმა, სახელდობრ, გასული საუკუნის შუა წლებიდან[1], მსოფლიოს ყველა ნაწილში ევროპის კოლონიების უფრო ზუსტმა შესწავლამ იქ მცხოვრები სპეციალისტების მხრივ, შემდეგ, პალეონტოლოგიის მიღწევებმა, საერთოდ ანატომიისა და ფიზიოლოგიის მიღწევებმა, განსაკუთრებით მიკროსკოპის სისტემატური გამოყენებისა და უჯრედის აღმოჩენის შემდეგ, იმდენი მასალა დააგროვა, რომ შედარებითი მეთოდის გამოყენება შესაძლებელი და ამავე დროს აუცილებელი გახდა <ემბრიოლოგია.> ერთი მხრივ, შედარებითი ფიზიკური გეოგრაფიის მიერ დადგენილ იქნა სხვადასხვა ფლორებისა და ფაუნების სიცოცხლის პირობები, მეორე მხრივ, სხვადასხვა ორგანიზმები მათი ჰომოლოგიური ორგანოების მიხედვით ერთმანეთთან იქნენ შედარებული და სახელდობრ, არა მარტო სიმ-

[1] — ე. ი. XVIII საუკუნის. რედ.

წიფის ასაკში, არამედ მათი განვითარების ყველა საფეხურზე. რაც უფრო ღრმად და ზუსტად ტარდებოდა ეს გამოკვლევა, მით უფრო ხელში ქრებოდა ზემოაღნიშნული უცვლელად ფიქსირებული ორგანული ბუნების გაქვავებული სისტემა. არა თუ მცენარეთა და ცხოველთა ცალკეული სახეები სულ უფრო და უფრო ერთმანეთში გადადიოდნენ, არამედ ისეთი ცხოველებიც ამოტივტივდნენ, როგორც, მაგალითად, ამფიოქსი და ლეპიდოსირენი [1], რომლებიც ყველა მანამდე არსებულ კლასიფიკაციას სასაციღო მდგომარეობაში აყენებდნენ <ცერატოდუსი. იგივე არქეოპტერიქსი და ა. შ.>; [2] ბოლოს, ისეთ ორგანიზმებს წააწყდნენ, რომლებზეც იმის თქმაც კი აღარ შეიძლებოდა, მცენარეთა სამეფოს უკუთვნოდნენ, თუ ცხოველთა სამეფოს. პალეონტოლოგიური არქივის ხარვეზები უფრო და უფრო ამოივსო და ამან უკიდურესი მოწინააღმდეგენიც კი აიძულა ეცნოთ დამაჯერებელი პარალელიზმი, რომელიც საერთოდ და მთლიანად ორგანული სამყაროს განვითარების ისტორიასა და ცალკეული ორგანიზმის განვითარების ისტორიას შორის არსებობს, ე. ი. ეცნოთ არიადნას ძაფი, იმ ლაბირინტიდან რომ გამოიყვანდა, რომელშიაც. როგორც ჩანდა, სულ უფრო მეტად და მეტად აბნეოდა გზა ბოტანიკასა და ზოოლოგიას. დამახასიათებელია, რომ მზის სისტემის მარადისობის მოძღვრებაზე კანტის თავდასხმის თითქმის ერთდროულად კ. ფ. ვოლფი 1759 წელს პირველი დაესხა თავს სახეების მუდმივობის თეორიას და სახეთა წარმოშობის თეორია გამოაცხადა. მაგრამ ის, რაც მასთან ჯერ კიდევ გენიალური წინასწარმეტყველება იყო, მან ოკენის, ლამარკის, ბერის შემოქმედებაში გარკვეული მტკიცე ფორმა მიიღო და სწორედ ასი წლის შემდეგ, 1859 წელს, იგი დარვინმა ძლევამოსილად განახორციელა. თითქმის ერთდროულად დადასტურდა, რომ პროტოპლაზმა და უჯრედი, რომლებიც ადრე ყველა ორგანიზმის ფორ-

[1] ამფიოქსი — პატარა (დაახლ. 5 სმ. სიგრძის) თევზისებური ცხოველია, რომელიც რიგ ზღვებსა და ოკეანეებში ბინადრობს (ინდოეთის ოკეანე, წყნარი ოკეანე, მალაის არქიპელაგისა და იაპონიის ნაპირებთან, ხმელთაშუა ზღვა, შავი ზღვა და სხ.) და წარმოადგენს გარდამავალ ფორმას უხერხემალოთაგან ხერხემლიანებზე. ლეპიდოსირენი — ცხოველი, რომელიც ეკუთვნის ფილტვიან ანორმაგად მსუნთქავ თევზებს, რომელთაც ფილტვებიც აქვთ და ლაყუჩებიც; იცის, სამხრეთ ამერიკაში. რედ.

[2] ცერატოდუსი — ორმაგად მსუნთქავი თევზი. იცის ავსტრალიაში. არქეოპტერიქსი — ამომწყდარი ცხოველია, რომელიც ფრინველთა კლასის უძველესი წარმომადგენელია და ამავე დროს გააჩნია ქვეწარმავალთა ზოგიერთი ნიშანი. რედ.

მათა უკანასკნელ შემადგენელ ნაწილებად იყო აღიარებული, გვხვდებიან აგრეთვე როგორც დამოუკიდებლად მცხოვრები უდაბლესი ორგანული ფორმები. ამით უფსკრული არაორგანულ და ორგანულ ბუნებას შორის მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, აგრეთვე თავიდან იქნა აცილებული ერთი ყველაზე არსებითი სიძნელე, რომელიც ჯამდე ორგანიზმთა წარმოშობის თეორიას წინ ეღობებოდა. ახალი ბუნებისმეტყველური შეხედულება მის ძირითად ხაზებში მზად იყო: ყოველი გაყინული დენადი გახდა, ყოველი უძრავი აქროლვადი, ყოველი სამარადისოდ მიჩნეული კერძოობა წარმავალი აღმოჩნდა, დამტკიცდა, რომ მთელი ბუნება მარად მდინარებასა და წრებრუნვაში მოძრაობს.

* * *

და, ამრიგად, ჩვენ კვლავ დავუბრუნდით ბერძნული ფილოსოფიის დიდ ფუძემდებელთა თვალსაზრისს, რომ მთელი ბუნება, უმცირესი ნაწილებიდან დაწყებული უდიდესამდე, პაწია კენჭიდან მზემდე, პროტისტიდან ადამიანამდე, მარად წარმოშობასა და წარმავალობაში, შეუწყვეტელ მდინარებაში, დაუდგრომელ მოძრაობასა და ცვალებადობაში იმყოფება. მხოლოდ იმ არსებითი განსხვავებით, რომ ის, რაც ბერძნებში გენიალური ინტუიცია იყო, ჩვენში მკაცრი მეცნიერული, ცდაზე დამყარებული კვლევის შედეგი არის, და ამიტომაც ბევრად უფრო გარკვეული და ნათელი ფორმით გამოდის. მართალია, ამ წრიული ბრუნვის ემპირიული დასაბუთება ჯერ კიდევ მთლიანად ვერ არის ხარვეზებისაგან თავისუფალი, მაგრამ ეს ხარვეზები უმნიშვნელონია იმასთან შედარებით, რაც უკვე მტკიცედ არის დადგენილი და ამასთან ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო ხდება მათი შევსება. და როგორ შეიძლებოდა ეს დასაბუთება დეტალებში ხარვეზებისაგან თავისუფალი ყოფილიყო, თუ დავუფიქრდებით, რომ მეცნიერების უარსებითესი დარგები — ტრანსპლანეტარული ასტრონომია, ქიმია, გეოლოგია — მეცნიერული არსებობის ერთ საუკუნესაც ძლივს ითვლიან, შედარებითი მეთოდები ფიზიოლოგიაში კი — ძლივს ორმოცდაათ წელს, ხოლო სიცოცხლის თითქმის ყოველგვარი განვითარების ძირითადი ფორმა, უჯრედი, ორმოცი წელიწადიც არაა, რაც აღმოჩენილია!.

* * *

გრიგალისებურად მბრუნავი გავარვარებული ნისლოვანი მასებიდან, — რომელთა მოძრაობის კანონები, შესაძლებელია, აღმოჩენილ იქნენ მას შემდეგ, რაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში

წარმოებული დაკვირვებანი ნათელ წარმოდგენას მოგვცემენ ვარსკვლავთა საკუთარი მოძრაობის შესახებ, — განვითარდნენ შეკუმშვისა და გაცივების გზით ცის იკანკლედის [ირმის ნახტომის] უკიდურესი ვარსკვლავთა რგოლებით შემოსაზღვრული ჩვენი სამყაროს კუნძულის უთვალავი მზეები და მზის სისტემები. ეს განვითარება, ცხადია, ყველგან ერთნაირი სიჩქარით არ მიმდინარეობდა. ასტრონომია უფრო და უფრო იძულებული ხდება აღიაროს ბნელი, არა მარტო პლანეტარული სხეულების, მაშასადამე, ჩამქრალი მზეების არსებობა ჩვენს ვარსკვლავთა სისტემაში (მედლერი); მეორე მხრივ, (სეკკის თანახმად) აირისებური ნისლოვანი ლაქების ერთი ნაწილი, როგორც ჯერ კიდევ დაუმთავრებელი მზეები, ჩვენს ვარსკვლავთა სისტემას ეკუთვნის, რითაც გამორიცხული არაა ის, რომ სხვა ნისლოვანებანი, როგორც მედლერი ამტკიცებს, სამყაროს შორეული დამოუკიდებელი კუნძულები იყოს, რომელთა განვითარების შეფარდებითი საფეხური სპეკტროსკოპმა უნდა დაადგინოს.

ლაპლასმა დეტალურად და დღემდე სწორუპოვარი სახით დაამტკიცა, თუ ცალკეული ნისლოვანი მასიდან როგორ ვითარდება მზის სისტემა; შემდგომმა მეცნიერებამ სულ უფრო და უფრო დაადასტურა მისი შეხედულებანი.

ამ სახით წარმოშობილ ცალკეულ სხეულებზე — მზეებზე, ისე, როგორც პლანეტებსა და თანამგზავრებზე — დასაწყისში ბატონობს მატერიის მოძრაობის ის ფორმა, რომელსაც ჩვენ სითბოს ვუწოდებთ. ხოლო ელემენტთა ქიმიურ ნაერთებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია მზის დღევანდელი ტემპერატურის პირობებშიც კი; მზის შემდგომი დაკვირვებები გვიჩვენებენ, თუ ამ დროს რამდენად გარდაიქმნება სითბო ელექტრობად ან მაგნეტიზმად; ახლაც უკვე დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მზეზე მიმდინარე მექანიკური მოძრაობანი მხოლოდ და მხოლოდ სითბოს და სიმძიმის კონფლიქტისაგან წარმოსდგებიან.

ცალკეული სხეულები მით უფრო ჩქარა ცივდებიან, რაც უფრო პატარები არიან. პირველად ცივდებიან თანამგზავრები, ასტეროიდები, მეტეორები, ისე როგორც ჩვენი მთვარე უკვე დიდი ხნის მკვდარია. უფრო ნელა ცივდებიან პლანეტები, ყველაზე ნელა კი — ცენტრალური სხეული.

პროგრესიულ გაცივებასთან ერთად სულ უფრო და უფრო წინა რიგში გამოდის ერთმანეთში გარდამავალ ფიზიკურ მოძრაობათა ფორმების ურთიერთზემოქმედება, მანამდე, სანამ, დასასრულ, მილ-

წეული არ იქნება ისეთი წერტილი, საიდანაც ქიმიური თვისობა იწყებს გაჩენას, და სადაც აქამდე ქიმიურად ინდიფერენტი ელემენტები ერთი მეორეზე მიყოლებით ქიმიურად დიფერენცირდებიან, ქიმიურ თვისებებს იძენენ, ერთმანეთთან ნაერთებს ჰქმნიან. ეს ნაერთები მუდმივად იცვლებიან ტემპერატურის კლებასთან ერთად, რომელიც სხვადასხვანაირად გავლენას ახდენს არა მარტო თვითეულ ელემენტზე, არამედ ელემენტთა თვითეულ ცალკე ნაერთზედაც; ისინი იცვლებიან აგრეთვე ამ გაციებისაგან დამოკიდებულ აირისებური მატერიის ერთი ნაწილის ჯერ თხევად და შემდეგ მყარ მდგომარეობაში გადასვლასთან და ამის გამო შექმნილ ახალ პირობებთან ერთად.

დრო, როდესაც პლანეტას მაგარი ქერქი უჩნდება და მის ზედაპირზე წყალი გროვდება, იმ დროს ემთხვევა, როცა მისი საკუთარი სითბო სულ უფრო და უფრო უმნიშვნელო ხდება იმ სითბოსთან შედარებით, რომელსაც მას ცენტრალური სხეული უგზავნის. მისი ატმოსფერო მეტეოროლოგიური მოვლენების ასპარეზად იქცევა იმ აზრით, რა აზრითაც ახლა ჩვენ ეს სიტყვა გვესმის, ხოლო მისი ზედაპირი გეოლოგიური ცვლილებების ასპარეზად ხდება, რომელთა დროსაც ატმოსფერული ნალექებით გამოწვეული დანაშრევები სულ უფრო მეტ უპირატესობას იძენენ, ვიდრე ის თანდათან დასუსტებული მოქმედებანი, რომელთაც გავარვარებული თხევადი შუაგული გარეთ იწვევს.

დასასრულ, თუ ტემპერატურა იმდენად გათანაბრდა, რომ ყოველ შემთხვევაში ზედაპირის მნიშვნელოვან ფართობზე იმ საზღვრებს აღარ გადასცილდება, რომელთა ფარგლებშიაც ცილას არსებობა შეუძლია, მაშინ სხვა ხელსაყრელ ქიმიურ წინაპირობებში ცოცხალი პროტოპლაზმა წარმოიშობა. დღეს ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ როგორი არიან ეს წინაპირობანი, რაც გასაკვირი არაა, რადგან დღემდე ცილის ქიმიური ფორმულაც არაა დადგენილი, და ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ რამდენი ქიმიურად განსხვავებული ცილოვანი სხეული არსებობს, და რადგანაც დაახლოებით სულ ათი წელიწადია, რაც ცნობილია ის ფაქტი, რომ სრულიად უსტრუქტურო ცილა სიცოცხლის ყველა არსებითს ფუნქციას ასრულებს: მონელებას, გამოყოფას, მოძრაობას, შეკუმშვას, რეაქციას გაღიზიანების წინააღმდეგ, გამრავლებას.

შეიძლება ათასეული წლები გავიდა, ვიდრე შეიქმნებოდა ისეთი პირობები, როდესაც შესაძლებელი გახდა შემდგომი წინსვლა და უფორმო ცილამ ბირთვისა და გარსის შექმნით შესძლო პირველი

უჯრედის წარმოშობა. მაგრამ ამ პირველ უჯრედთან ერთად მოცემული იყო აგრეთვე მთელი ორგანული ქვეყნის ფორმათა შექმნის საფუძველიც. პირველად განვითარდნენ, როგორც ჩვენ უფლება გვაქვს დავუშვათ პალეონტოლოგიური არქივის მთელი ანალოგიის მიხედვით, უუჯრედო და უჯრედიანი პროტისტების უთვალავი სახეები, რომელთაგან ჩვენამდე მარტო ერთადერთმა ეოძოონ კანადენზემ [1] მოაღწია, და რომელთაგან ერთნი თანდათანობით პირველ მცენარეებად იქნენ დიფერენცირებული, მეორენი კი პირველ ცხოველებად. ხოლო პირველ ცხოველთაგან, უმთავრესად და არსებითად შემდგომი დიფერენცირების გზით, განვითარდნენ ცხოველთა უთვალავი კლასები, მწკრივები, ოჯახები, გვარეობანი და სახეობანი: დასასრულს განვითარდა ის ფორმა, რომელშიც ნერვიული სისტემა თავის სრულ განვითარებას აღწევს, სახელდობრ, ხერხემლიან ცხოველთა ფორმა, სულ ბოლოს კი ამ უკანასკნელთა შორის განვითარდა ის ხერხემლიანი ცხოველი, რომელშიც ბუნება თავისი თავის ცნობიერებას აღწევს, ე. ი. განვითარდა ადამიანი.

ადამიანიც დიფერენცირების გზით წარმოიშობა და არა მარტო ინდივიდუალურად, — ერთადერთი კვერცხოვანი უჯრედიდან დიფერენცირების გზით იმ ურთულეს ორგანიზმამდე, რომელსაც ბუნება წარმოშობს, — არამედ ისტორიულადაც. როდესაც ათასწლოვანი ჰიდილის შემდეგ საბოლოოდ მოხდა ხელის დიფერენცირება ფეხისაგან და ამართული სვლა დამკვიდრდა, მაშინ ადამიანი მაიმუნს გამოეყო და დანაწევრებულ მეტყველებასა და ტვინის მძლავრ განვითარებას საფუძველი ჩაეყარა, რამაც მას შემდეგ უფსკრული ადამიანსა და მაიმუნს შორის გაუვალი გახადა. ხელის სპეციალიზაცია იარაღის გაჩენას ნიშნავს, იარაღი კი სპეციფიკურ ადამიანურ მოქმედებას ნიშნავს, ე. ი. ადამიანის გარდამქმნელ უკუმოქმედებას ბუნებაზე, — წარმოებას. იარაღები, სიტყვის ვიწრო გაგებით, ცხოველებსაც აქვთ, მაგრამ როგორც მხოლოდ საკუთარი სხეულის ასოები: ჭიანჭველებს, ფუტკრებს, წავებს; ცხოველებიც აწარმოებენ, მაგრამ მათი მწარმოებლური ზემოქმედება გარემო ბუნებაზე ამ უკანასკნელთან შედარებით ნულს უდრის. მხოლოდ ადამიანმა შეესძლო ბუნებისათვის თავისი დაღი დაესვა, ამასთან მან არა მარტო მცენარეებსა და ცხოველებს შეუცვალა ად-

[1] ეოძოონ კანადენზე — ამონათხარი, რომელიც იპოვეს კანადაში და რომელსაც განიხილავენ, როგორც უძველესი პრიმიტიული ორგანიზმების ნაშთს. 1878 წ. მიობიუსმა უარჰყო ახრი ამ ნამარხის ორგანული წარმოშობის შესახებ. რედ.

გილი, არამედ მან შესცვალა აგრეთვე თავისი საცხოვრებელი ადგილის გარეგანი სახე და ჰაერი, თვით მცენარეები და ცხოველებიც კი ისე შესცვალა, რომ მისი მოღვაწეობის შედეგები მხოლოდ დედამიწის საყოველთაო სიკვდილთან ერთად შეიძლება გაჰქრეს. ეს მან შესძლო და სისრულეში მოიყვანა უპირველეს ყოვლისა და არსებითად ხ ე ლ ი ს საშუალებით. თვით ორთქლის მანქანაც კი, რომელიც დღემდე მისი უძლიერესი იარაღია ბუნების გარდასაქმნელად, საბოლოო ანგარიშით, როგორც იარაღი, დამყარებულია ხელის მოქმედებაზე. მაგრამ ხელის განვითარების კვალდაკვალ თავიც ვითარდებოდა, წარმოიშვა პირველად ცალკეული პრაქტიკულად სასარგებლო ეფექტების პირობების ცნობიერება, და შემდეგ კი, ამის საფუძველზე, უფრო ხელსაყრელ პირობებში მყოფ ხალხებში განვითარდა ბუნების იმ კანონების შეგნება, რომლებიც ამ პრაქტიკულ სასარგებლო ეფექტებს განაპირობებენ. ხოლო ბუნების კანონების სწრაფად მზარდ ცოდნასთან ერთად იზრდებოდა ბუნებაზე უკუზემოქმედების საშუალებანიც. მარტო ხელი ორთქლის მანქანას ვერასოდეს ვერ შეჰქმნიდა, თუ ხელთან ერთად, მის გვერდით და ნაწილობრივ მისი მეოხებით შესაფერად არ განვითარდებოდა ადამიანის ტვინიც.

ადამიანთან ერთად ჩვენ შევდივართ ი ს ტ ო რ ი ა ში. ცხოველებსაც აქვთ ისტორია, ისტორია მათი წარმოშობისა და თანდათანობითი განვითარებისა მათს დღევანდელ მდგომარეობამდე. მაგრამ ისინი ამ ისტორიის პასიური ობიექტები არიან, ხოლო რამდენადაც თვითონ ისინი მასში მონაწილეობენ, ეს ხდება მათი ცოდნისა და სურვილის გარეშე. ადამიანები კი, პირიქით, რაც უფრო მეტად შორდებიან ცხოველს, სიტყვის ვიწრო გაგებით, იმდენად უფრო მეტად ჰქმნიან თვით ისინი თავიანთ ისტორიას, შეგნებით, იმდენად უფრო ნაკლები ხდება წინასწარგაუთვალისწინებელი მოქმედებების გავლენა, უკონტროლო ძალთა გავლენა ამ ისტორიაზე, მით ზუსტად შეესაბამება ისტორიული შედეგი წინასწარ დადგენილ მიზანს. მაგრამ თუ ამ მასშტაბს ადამიანთა ისტორიას მივუყენებთ, თანამედროვეობის თვით ყველაზე უფრო განვითარებულ ხალხებსაც კი, დავინახავთ, რომ აქ ჯერ კიდევ არსებობს მაინც კოლოსალური შეუსაბამობა წინასწარ დასახულ მიზნებსა და მიღწეულ შედეგებს შორის, რომ გაუთვალისწინებელი მოქმედებები მაინც სჭარბობენ, რომ უკონტროლო ძალები გაცილებით ძლიერი არიან, ვიდრე ის ძალები, რომლებიც მოძრაობაში გეგმაზომიერად არიან მოყვანილი. და ეს არც შეიძლება სხვაგვარად იყოს მანამ,

სანამ ადამიანთა უარსებითესი ისტორიული საქმიანობა, ის საქმიანობა, რომელმაც ისინი ცხოველობიდან ადამიანობამდე აამაღლა და რომელიც ყველა მისი დანარჩენი მოქმედებების მატერიალურ საფუძველს შეადგენს, ადამიანების საარსებო მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი წარმოება, ე. ი. საზოგადოებრივი წარმოება დღესდღეობით, უმეტესად დამორჩილებულია უკონტროლო ძალთა წინასწარ გაუთვალისწინებელ ზემოქმედებათა ცვალებად თამაშს, და სანამ სასურველი მიზნის მიღწევა მხოლოდ გამონაკლისის სახით ხდება, გაცილებით უფრო ხშირად კი სწორედ მისი საწინააღმდეგო რამ ხორციელდება. ყველაზე უფრო მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში ბუნების ძალები ჩვენ დავიმორჩილეთ და ადამიანის სამსახურში ჩავაყენეთ; ამით ჩვენ წარმოება უსასრულოდ გავამრავალკეცეთ, ასე რომ ახლა ერთი ბავშვი უფრო მეტს ჰქმნის, ვიდრე ადრე ასი მოწიფული ადამიანი ჰქმნიდა. მაგრამ რა შედეგი მივიღეთ? მზარდი ჭარბი შრომა, მასების მზარდი ხილატაკე და ყოველ ათ წელიწადს ვეებერთელა კრახი. დარვინმა არ იცოდა, თუ რა მწარე სატირა დაწერა მან ადამიანებზე, განსაკუთრებით კი თავის თანამემამულეებზე, როდესაც დაამტკიცა, რომ თავისუფალი კონკურენცია, არსებობისათვის ბრძოლა, რასაც ეკონომისტები ქება-დიდებას ასხამენ როგორც უმაღლეს ისტორიულ მონაპოვარს, ცხოველთა სამეფოსათვის ნორმალური მდგომარეობაა. საზოგადოებრივი წარმოების მხოლოდ შეგნებულ ორგანიზაციას, სადაც გეგმაზომიერად აწარმოებენ და ანაწილებენ, შეუძლია ადამიანები საზოგადოებრივ ურთიერთობაშიაც ისევე მაღლა ასწიოს და დანარჩენ ცხოველთა სამყაროზე მაღლა დააყენოს, როგორც ეს წარმოებამ შეასრულა საერთოდ ადამიანებისათვის სპეციფიკური მიმართებით. ისტორიული განვითარება ასეთ ორგანიზაციას დღითიდღე გარდუვალს და დღითიდღე შესაძლებელსაც ხდის. მისგან დაიწყება დათარიღება ახალი ისტორიული ეპოქისა, რომელშიაც თვითონ ადამიანები და მათთან ერთად მათი მოღვაწეობის ყველა დარგი, სახელდობრ, ბუნებისმეტყველებაც ისეთ აღმავლობას განიცდის, რომ ყველა აქამდე გაკეთებული მთლად დაიჩრდილება.

ამასთანავე ყოველივე, რაც კი ჩნდება, დაღუპვის ღირსია [1]. შეიძლება კიდევ მილიონობით წლები გავიდეს, ასიათასობით თაობანი დაიბადონ და დაიხოცონ, მაგრამ ულმობლად ახლოვდება ის დრო,

[1] მეფისტოფელის სიტყვები გოეთეს «ფაუსტში». რედ.

როდესაც ამოწურვის პროცესში მყოფი მზის სითბო საკმარისი აღარ იქნება იმისათვის, რომ პოლუსებიდან წამოსული ყინული გააადნოს, როდესაც სულ უფრო და უფრო ეკვატორთან მიქუჩებული ადამიანები, დასასრულ, იქაც ვეღარ ჰპოვებენ სიცოცხლისათვის საკმაო სითბოს, როდესაც თანდათანობით ორგანული სიცოცხლის უკანასკნელი ნიშანწყალიც გაჰქრება, და დედამიწა, მკვდარი, გათოშილი ბურთო, მთვარესავით, ღრმა წყვდიადში ჩაეფლობა, სულ უფრო და უფრო შევიწროვებულ-შემცირებული ორბიტებით ეგრეევ მკვდარი მზის ირგვლივ იტრიალებს და ბოლოს ზედ დაეცემა. ზოგი პლანეტა მას დაასწრებს ამას, ზოგი კი მას მიჰყვება; ჰარმონიულად დანაწევრებული, ნათელი, თბილი მზის სისტემის ნაცვლად დარჩება ცივი, მკვდარი სფერო, რომელიც გაჰყვება თავის განმარტოებულ გზას სამყაროს სივრცის წიაღში. იგივე ბედი, რაც ჩვენი მზის სისტემას, ადრე თუ გვიან ეწევა აგრეთვე ჩვენი სამყაროს კუნძულის ყველა სხვა სისტემასაც; ეს ბედი ეწევა ყველა დანარჩენ უთვალავ სამყაროს კუნძულებს, თვით ისეთებსაც, რომელთა სინათლე დედამიწამდე ვერ მოაღწევს თვით მანამდისაც, სანამ მასზე არსებობს ადამიანის თვალი, სინათლის ამთვისებელი.

მაგრამ როდესაც ამგვარი მზის სისტემა თავისი სიცოცხლის გზას დაამთავრებს და ყოველი ბოლოვადის ბედს — სიკვდილს დაემორჩილება, შემდეგ რაღა იქნება? გააგრძელებს მზის გვამი მარადისობაში როგორც გვამი უსასრულო სივრცის წიაღში სრბოლას, და ყველა, უწინ უსასრულო მრავალფეროვანებით დიფერენცირებული ბუნების ძალები მიზიდულობის ერთადერთ მოძრაობის ფორმაში ჩაინთქმება სამუდამოდ? «თუ, — როგორც სეკი კითხულობს (გვ. 810), — ბუნებაში არსებობს ისეთი ძალები, რომლებიც მკვდარ სისტემას გავარვარებული ნისლოვანების საწყის მდგომარეობაში დააბრუნებს და ახალი სიცოცხლისათვის კვლავ გამოაღვიძებს? ჩვენ ეს არ ვიცით».

ყოველ შემთხვევაში ჩვენ ეს არ ვიცით იმ აზრით, რა აზრითაც ვიცით, რომ $2 \times 2 = 4$, ანდა არ ვიცით ისე, როგორც ვიცით, რომ მატერიის მიზიდულობა მატულობს და კლებულობს დაშორების კვადრატის შესაბამად. მაგრამ თეორიულ ბუნებისმეტყველებაში, რომელიც ცდილობს თავისი შეხედულება ბუნებაზე რაც შეიძლება ერთ ჰარმონიულ მთლიანობად გადაამუშაოს და ურომლისოდაც დღეს თვით ყველაზე უფრო აზრმოკლებული ემპირიკოსიც კი ერთი ადგილიდან ფეხს ვერ დასძრავს, ძალიან ხშირად ანგარიში უნდა გავუწიოთ არც თუ სრულიად ცნობილ სიდიდე-

ებს; აზრის თანმიმდევრობა ყველა დროში უნდა დახმარებოდა ნაკლოვან ცოდნას ნაპიჯის წინ გადასადგმელად. და აი თანამედროვე ბუნებისმეტყველებას ფილოსოფიიდან უნდა მიეღო მოძრაობის მოუსპობლობის დებულება; უამისოდ მას უკვე არსებობაც აღარ შეუძლია. მაგრამ მატერიის მოძრაობა მარტო უხეში მექანიკური მოძრაობა, უბრალო ადგილგადანაცვლება როდია, იგია სითბო და სინათლე, ელექტრული და მაგნეტური ძაბვა, ქიმიური შეერთება და დაშლა, სიცოცხლე და, ბოლოს, ცნობიერება. იმის თქმა, რომ მატერიას მთელი თავისი უსაზღვრო დროის არსებობის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, და ისიც მის მარადისობასთან შედარებით წუთიერად ჰქონდა თავისი მოძრაობის დიფერენციირებისა და ამით ამ მოძრაობის მთელი სიმდიდრის გაშლის შესაძლებლობა, და რომ ის მანამდისაც და მის შემდეგაც სამარადისოდ უბრალო ადგილგადანაცვლებითაა შეზღუდულიო, — ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ მატერია მოკვდავია და მოძრაობა წარმავალი. მოძრაობის მოუსპობლობა გაგებული უნდა იქნეს არა მარტო რაოდენობრივად, არამედ თვისებრივადაც. ისეთ მატერიას, რომლის წმინდა მექანიკური ადგილგადანაცვლება მართალია თავის თავში შესაძლებლობას ატარებს ხელსაყრელ პირობებში გადაიქცეს სითბოდ, ელექტრობად, ქიმიურ მოქმედებად, სიცოცხლედ, მაგრამ რომელსაც უნარი არა აქვს ეს პირობები თავისი თავიდან შეჰქმნას, ასეთ მატერიას მ ო ძ რ ა ო ბ ა დ ა კ ა რ გ უ ლ ი ა ქ ვ ს; მოძრაობა, რომელსაც დაუკარგავს უნარი მისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა ფორმაში გადავიდეს, თუმცა ჯერ კიდევ გააჩნია **Dynamis**,[1] მაგრამ აღარ აქვს **Energeia**,[2] და, ამრიგად, ნაწილობრივ მოსპობილია. მაგრამ ორივე წარმოუდგენელია.

ერთი რამ მაინც უდავოა: იყო ისეთი დრო, როდესაც ჩვენი სამყაროს კუნძულის მატერიამ სითბოდ გადააქცია ისეთი უზარმაზარი რაოდენობის მოძრაობა, — თუ რა სახისა იყო ეს მოძრაობა, ეს ჩვენ დღემდე ჯერ კიდევ არ ვიცით, — რომ მისგან შესაძლებელი გახდა განვითარებულიყო მზის სისტემები, რომლებიც (მედლერის მიხედვით) სულ ცოტა 20 მილიონ ვარსკვლავს ეკუთვნის და რომელთა თანდათანობითი კვდომაც ეგრეევე უეჭველია. როგორ ხდებოდა ეს გარდაქმნა? ჩვენ ისევე ნაკლებ ვიცით ის, იქცევა თუ არა ოდესმე ჩვენი მზის სისტემის მომავალი caput mor-

---

[1] — შესაძლებლობა. რ ე დ.
[2] სინამდვილე. რ ე დ.

tuum[1] ხელახლა ნედლ მასალად ახალი მზის სისტემების წარმოსაქმნელად, როგორც პატრმა სეკიმ. მაგრამ აქ ჩვენ ან შემოქმედს უნდა მივმართოთ, ანდა იძულებული ვართ დავასკვნათ, რომ ჩვენი სამყაროს კუნძულის მზის სისტემებისათვის გავარვარებული ნედლი მასალა ბუნებრივი გზით მოძრაობათა იმ გარდაქმნების საშუალებით წარმოიშვა, რომლებიც ბუნებით მოსდგამს მოძრავ მატერიას, და რომელთა პირობები, მაშასადამე, კვლავ აღდგენილ უნდა იქნეს ისევ მატერიის მიერ, თუნდაც მილიონთა მილიონი წლების შემდეგ, მეტნაკლები შემთხვევითობით, მაგრამ აგრეთვე შემთხვევითობისათვისაც დამახასიათებელი აუცილებლობით.

თანდათან სულ უფრო მეტად აღიარებენ ამგვარი გარდაქმნის შესაძლებლობას. იმ შეხედულებამდე მიდიან, რომ სამყაროს სხეულთა საბოლოო დანიშნულება ერთმანეთზე დაცემაა, და სითბოს იმ რაოდენობასაც კი ანგარიშობენ, რომელიც ასეთი ურთიერთდაჯახებების დროს უნდა განვითარდეს. ახალ ვარსკვლავთა უეცარი აელვარება, ხოლო უკვე ცნობილთა ასევე უეცარი და უფრო მკვეთრი აკაშკაშება, რის შესახებაც ჩვენ ასტრონომია გვაუწყებს, ყველაზე ადვილად ასეთი ურთიერთდაჯახებებით აიხსნება. ამავე დროს არა მარტო ჩვენი პლანეტათა ჯგუფი მოძრაობს მზის ირგვლივ, ხოლო ჩვენი მზე კი — ჩვენი სამყაროს კუნძულის შიგნით, არამედ თვით ჩვენი სამყაროს მთელი კუნძული მოძრაობს სამყაროს სივრცეში და სამყაროს სხვა კუნძულებთან დროულ შეფარდებითს წონასწორობაში იმყოფება, რადგან თავისუფლად მოძრავ სხეულთა თვით შეფარდებითი წონასწორობაც მხოლოდ ურთიერთ-გაპირობებული მოძრაობის დროს შეიძლება არსებობდეს; გარდა ამისა, ზოგიერთი აღიარებს, რომ ტემპერატურა სამყაროს სივრცეში ყველგან ერთი და იგივე არაა. დასასრულ: ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი სამყაროს კუნძულის უთვალავი მზეების სითბო უმნიშვნელოდ მცირე ნაწილის გამოკლებით სივრცეში იკარგება და ამაოდ ცდილობს, სამყაროს სივრცის ტემპერატურა ცელსიუსის გრადუსის თუნდ ერთ მემილიონედ ნაწილით ასწიოს. რა მოსდის სითბოს ამ უამრავ რაოდენობას? იკარგება იგი სამუდამოდ იმის ცდაში, რომ სამყაროს სივრცე გაათბობს, თუ სწყვეტს პრაქტიკულად არსებობას და მხოლოდ თეორიულად-ღა ინახება იმ ფაქტში, რომ სამყაროს სივრცე გათბა გრადუსის ისეთი ათწილადი ნაწევრის ოდე-

[1] Caput mortuum — სიტყვასიტყვით: მკვდარი თავი; აქ ნახმარია მკვდარი ნაშთების აზრით. რედ.

ნობით, რომელიც ათი თუ მეტი ნულით იწყება? ეს ვარაუდი მოძრაობის მოუსპობლობას უარყოფს; ის დაუშვებს შესაძლებლობას, რომ სამყაროს სხეულთა თანმიმდევრულად ერთმანეთზე დაცემით ყველა არსებული მექანიკური მოძრაობა სითბოდ გადაიქცევა და ეს სითბო სამყაროს სივრცეში გამოსხივდება, რითაც, მიუხედავად «ძალის» ყოველგვარი «მოუსპობლობისა» ყოველგვარი მოძრაობა საერთოდ მოისპობოდა. (სხვათა შორის, აქ ჩანს, თუ რარიგ არა სწორია გამოთქმა: «ძალის მოუსპობლობა», ნაცვლად იმისა, რომ ითქვას «მოძრაობის მოუსპობლობა»). ამრიგად, ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ სამყაროს სივრცეში გამოსხივებულ სითბოს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს რაიმე გზით, — თუ რა გზით, ამის გარკვევა შემდგომში ბუნების კვლევის ამოცანა იქნება, — მოძრაობის რომელიმე სხვა ფორმაში გადავიდეს, რომელშიაც მას კვლავ შეეძლება თავმოყრა და მოქმედება. და ამით ისპობა ის მთავარი სიძნელე, რომელიც მკვდარი მზეების გავარვარებულ ნისლოვანებად უკუგარდაქმნას წინ ეღობებოდა.

სხვაფრივ, სამყაროთა მარად განმეორებადი ურთიერთმომდევნობა დაუსრულებელ დროში მხოლოდ ლოგიკური შევსებაა უთვალავ სამყაროთა ერთმანეთის გვერდით არსებობისა დაუსრულებელ სივრცეში — ეს ისეთი დებულებაა, რომლის აუცილებლობა იძულებული იყო ეღიარებინა თვით იანკი დრეპერის ანტითეორიულ ტვინსაც კი.[1]

ესაა მარადი წრებრუნვა, რომელშიაც მატერია მოძრაობს, წრებრუნვა, რომელიც თავის გზას დროის ისეთ პერიოდებში ამთავრებს, რომლებისათვისაც ჩვენი დედამიწის წელიწადი საკმაო მასშტაბს აღარ წარმოადგენს, წრებრუნვა, რომელშიაც დრო უმაღლესი განვითარებისა, ორგანული სიცოცხლის დრო და, კიდევ უფრო მეტი, თვით ისეთ არსებათა სიცოცხლის დრო, რომლებიც შეიცნობენ თავიანთ თავსა და ბუნებას, ისევე მოკლედ არის მოზომილი, როგორც სივრცე, რომელშიაც სიცოცხლე და თვითცნობიერება არსებობს; ესაა წრებრუნვა, რომელშიაც მატერიის ყოველი სასრულოვანი არსებობის ფორმა, — იქნება ეს მზე თუ ნისლოვა-

---

[1] «სამყაროთა სიმრავლეს დაუსრულებელ სივრცეში ჩვენ მივყევართ დაუსრულებელ დროში სამყაროთა თანმიმდევრობის წარმოდგენამდე» (დრეპერი, «ევროპის გონებრივი განვითარების ისტორია», II ტ. ლონდონი, 1864, გვ. 325, ენგელსის შენიშვნა). — Draper J. W. History of the Intellectual Development of Europe. Vol. I — II. London, 1864 რედ.

ნება, ცალკეული ცხოველი თუ ცხოველთა გვარეობა, ქიმიური შეერთება თუ დაშლა, — ერთნაირად წარმავალია, და რომელშიაც მარადი აღარაფერია, გარდა მარად ცვალებადი, მარად მოძრავი მატერიისა და იმ კანონებისა, რომელთა თანახმადაც იგი მოძრაობს და ცვალებადობს. მაგრამ როგორც უნდა ხშირად და ულმობლად ხდებოდეს ეს წრებრუნვა დროსა და სივრცეში, რამდენი მილიონი მზეები და დედამიწანი არ უნდა წარმოიშვან და დაიღუპონ, რაც უნდა დიდი ხანი გავიდეს მანამ, სანამ რომელიმე მზის სისტემაში მის მხოლოდ ერთ რომელიმე პლანეტაზე ორგანული სიცოცხლის პირობები შეიქმნებოდეს, რაც უნდა უთვალავი ორგანული არსებანი წარმოიშვან და დაიღუპონ იქამდე, ვიდრე მათი წრიდან აზროვნების უნარიანი ტვინის მქონე ცხოველები განვითარდებოდნენ და სულ მოკლე ხნით სიცოცხლისათვის გამოსადეგ პირობებს ნახავდნენ იმისათვის, რომ შემდეგ ისევ ულმობლად აღმოიფხვრან, — ჩვენ მაინც დარწმუნებული ვართ, რომ მატერია ყველა თავის გარდაქმნაში მარად ერთი და იგივე რჩება, რომ მისი არც ერთი ატრიბუტი არ შეიძლება დაიკარგოს, და რომ ამიტომ მან იმავე რკინისებური აუცილებლობით, რომლითაც ის დედამიწაზე თავის უმაღლეს ყვავილს, მოაზროვნე გონს კვლავ აღმოფხვრის, სადმე სხვაგან და სხვა დროს ის ხელახლა უნდა შეჰქმნას.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ
1875 — 1876 წ. წ., პირველად
გამოქვეყნდა 1925 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან

ფ. ენგელსი

შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში

„შრომა არის წყარო ყოველი სიმდიდრისა,—ამბობენ პოლიტიკური ეკონომისტები. ის მართლაც ასეთია — ბუნებასთან ერთად, რომელიც მას მასალას აწვდის, ხოლო შრომა ამ მასალას სიმდიდრედ აქცევს. მაგრამ ის კიდევ უფრო უსაზღვროდ მეტია, ვიდრე სიმდიდრის წყარო. შრომა ადამიანის მთელი სიცოცხლის პირველი ძირითადი პირობაა და მასთან იმდენად, რომ ჩვენ გარკვეული აზრით უნდა ვთქვათ: შრომამ შეჰქმნა თვით ადამიანი.

მრავალი ასი ათასი წლის წინათ, დედამიწის განვითარების იმ პერიოდის ჯერ კიდევ მტკიცედ დაუდგენელ მონაკვეთში, რომელსაც გეოლოგები მესამეულ პერიოდს უწოდებენ, საფიქრებელია, ამ პერიოდის დამლევს, სადღაც დედამიწის ცხელ ზონაში — ალბათ, რომელიღაც დიდ, ამჟამად ინდოეთის ოკეანეში ჩაძირულ ხმელეთზე — ცხოვრობდა განსაკუთრებით მაღალგანვითარებული ჯიში ადამიანისმსგავსი მაიმუნებისა. დარვინმა მოგვცა ამ ჩვენი წინაპრების დაახლოებითი აღწერილობა. ისინი მთლად ბალნით იყვნენ დაფარული, წვერები და წვეტიანი ყურები ჰქონდათ, და ხეებზე ჯოგებად ცხოვრობდნენ.

საფიქრებელია, რომ უწინარეს ყოვლისა თავიანთი ცხოვრების წესის გამო, რაც ცოცვის დროს ხელებს სხვა ფუნქციებს აკისრებს, ვიდრე ფეხებს, ამ მაიმუნებმა დაიწყეს ვაკე მიწაზე სიარულის დროს ხელების დახმარების გადაჩვევა და სულ უფრო და-

უფრო ამართული სიარულის შეთვისება. ამით გადამწყვეტი ნაბიჯი იქნა გადადგმული მაიმუნიდან ადამიანზე გადასასვლელად.]

ამჟამადაც არსებულ ადამიანისმსგავს ყველა მაიმუნს შეუძლია ამართული დგომა და მხოლოდ ორ ფეხზე სიარული. მაგრამ მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში და ისიც მეტისმეტად უმწეოდ. მათი ბუნებრივი სიარული ნახევრადამართულ მდგომარეობაში ხდება და ხელების გამოყენებას შეიცავს. მათი უმეტესობა სიარულის დროს დამუჭული ხელის თითების შუა ფალანგებს მიწას აბრჯენს და ყავარჯნებით ‹ოსიარულე კოჭლი კაცივით ტანს მოკეცილი ფეხებით გრძელ ხელებს შორის წინ გადასწევს. საერთოდ ჩვენ ახლაც შეგვიძლია დავაკვირდეთ მაიმუნებში ყველა გარდამავალ საფეხურს ოთხით სიარულიდან ორ ფეხზე სიარულამდე. მაგრამ არც ერთი მათგანისათვის ორ ფეხზე სიარული მეტ არაფრად ქცეულა, თუ არა იძულებით ხერხად, რომელსაც ისინი უკიდურესი საჭიროების დროს მიმართავენ.

თუ ამართული სიარული ჩვენი ბალნიანი წინაპრებისათვის ჯერ წესად, ხოლო დროთა განმავლობაში კი აუცილებლობად უნდა ქცეულიყო, მაშინ ეს იმას გულისხმობს, რომ ამასობაში ხელებს სულ უფრო და უფრო მეტი სხვაგვარი საქმიანობა ხვდებოდა წილად. თვით მაიმუნებშიაც კი უკვე ხელისა და ფეხის გამოყენების გარკვეული დანაწილებაა გაბატონებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცოცვის დროს ხელი სხვაგვარად გამოიყენება, ვიდრე ფეხი. ხელს უმთავრესად საზრდოს მოსაგროვებლად და დასაჭერად იყენებენ, როგორც ამას უკვე ზოგიერთი დაბალი ძუძუმწოვარი ცხოველი აკეთებს წინა თათებით. ხელით ზოგიერთი მაიმუნი ხეზე ბუდეს იშენებს ანდა, როგორც შიმპანზე, ტოტებს შუა სახურავსაც კი იკეთებს ავდარში თავის შესაფარებლად. მტრებისაგან თავის დასაცავად ისინი ხელს ჰკიდებენ კეტს ანდა ნაყოფებსა და ქვებს უშენენ მათ. ისინი ტყვეობაში უამრავ მარტივ, ადამიანებისაგან გადმოღებულ ოპერაციებს ხელით ასრულებენ. მაგრამ სწორედ აქ მჟღავნდება, თუ რა დიდია მანძილი თვით ყველაზე უფრო ადამიანისმსგავსი მაიმუნის განუვითარებელ ხელსა და ადამიანის ასი ათას წლობით შრომით უაღრესად გაწაფულ ხელს შორის. ძვლებისა და კუნთების რიცხვი და საერთო განლაგება ორივეს ერთნაირი აქვთ; მაგრამ მაინც თვით ყველაზე უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი ველურის ხელს ასობით ისეთი ოპერაციების შესრულება შეუძლია, რომელთაც ვერც ერთი მაიმუნის ხელი ვერ წაბა-

ძავს. არც ერთ მაიმუნის ხელს არასოდეს არ გაუკეთებია თუნდაც სულ უხეში ქვის დანაც კი.

ამიტომ ეს ოპერაციები, რომელთაც ჩვენი წინაპრები მაიმუნიდან ადამიანზე გადასვლის ეპოქაში მრავალი ათასი წლის მანძილზე თანდათან აჩვევდნენ თავის ხელს, თავიდან მხოლოდ ძალიან მარტივი შეიძლებოდა ყოფილიყო; სულ უდაბლეს საფეხურზე მყოფი ველურები, თვით ისინიც კი, რომელთა მიმართ შეიძლება დავუშვათ, რომ ისინი უფრო მეტად, ერთდროულ ფიზიკურ გადაგვარებასთან ერთად, ცხოველის მაგვარ მდგომარეობას უბრუნდებიანო, მაინც გაცილებით უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ის გარდამავალი ქმნილებანი. ვიდრე ადამიანის ხელი პირველ კაჟს დანად გადააქცევდა, ალბათ, დროის ისეთი გრძელი პერიოდი უნდა გასულიყო, რომელთან შედარებით ჩვენთვის ცნობილი ისტორიული ხანა უმნიშვნელო პერიოდად მოჩანს. მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგმული იყო: ხელი განთავისუფლდა და ახლა უკვე შეეძლო სულ ახალ-ახალი ხერხიანობა შეეთვისებინა, ხოლო ამ გზით შეძენილი უფრო მეტი მოქნილობა მემკვიდრეობით გადადიოდა და თაობიდან თაობამდე იზრდებოდა.

ამრიგად, ხელი არის არა მარტო შრომის ორგანო, იგი მისი პროდუქტიცაა. მხოლოდ შრომის წყალობით, სულ ახალ-ახალი ოპერაციებისადმი შეგუებით, კუნთების, იოგებისა და, დროის ხანგრძლივ პერიოდებში, აგრეთვე ძვლების, ამ გზით შეძენილი განსაკუთრებული განვითარების მემკვიდრეობით გადაცემის წყალობით, და ამ მემკვიდრეობით მიღებულ დახვეწილობათა ახალ, სულ უფრო და უფრო გართულებულ ოპერაციებზე მუდამ განახლებული გამოყენებით, ადამიანის ხელმა სრულქმნილობის იმ მაღალ საფეხურს მიაღწია, რომელზედაც მან შესძლო ჯადოსნური ძალით შეექმნა რაფაელის ნახატები, თორვალდსენის ქანდაკებანი, პაგანინის მუსიკა.

მაგრამ ხელი განმარტოებით როდი იდგა. იგი მთლიანის, უაღრესად რთული ორგანიზმის მხოლოდ ერთ-ერთი წევრი იყო. და ის, რაც ხელისათვის სასარგებლო იყო, სასარგებლო იყო აგრეთვე მთელი სხეულისათვის, რომელსაც ის ემსახურებოდა, და თანაც სასარგებლო ორმხრივ.

უპირველეს ყოვლისა, ზრდის თანაფარდობის კანონის გამო, როგორც მას დარვინმა უწოდა. ამ კანონის თანახმად ორგანული არსების ცალკეული ნაწილების გარკვეული ფორმები მუდამ დაკავშირებული არიან სხვა ნაწილების გარკვეულ ფორმებთან, რო-

მელთაც, ასე ჩანს, თითქოს არავითარი კავშირი არ აქვთ მათთან. ასე, მაგალითად, ყველა ცხოველს, როჟელსაც სისხლის წითელი უჯრედები ბირთვის გარეშე გააჩნია და რომელსაც კეფა ხერხემლის პირველ მალთან ორი სასახსრე ბორცვით აქვს შეერთებული, ჩვილთა ძუძუს საწოვებლად გამოუკლებლივ სარძევე ჯირკვლებიც მოეპოვება. ასევე ძუძუმწოვარ ცხოველებში გაყოფილი ჩლიქი, როგორც წესი, ცოხნისთვის საჭიროა რთულ კუჭთანაა დაკავშირებული. გარკვეული ფორმების ცვლილებანი სხეულის სხვა ნაწილთა ფორმების ცვლილებებს იწვევენ, თუმცა ამ კავშირის ახსნა ჩვენ არ შეგვიძლია. მთლად თეთრი, ლურჯთვალებიანი კატები მუდამ ან თითქმის ყოველთვის, ყრუები არიან. ადამიანის ხელის თანდათანობით გაფაქიზება-დახვეწილობამ და მასთან ერთად ამართული სიარულისათვის ფეხის განვითარებამ იმავე თანაფარდობის კანონის ძალით უეჭველად უკუზეგავლენა მოახდინა ორგანიზმის სხვა ნაწილებზეც. მაგრამ ამგვარი ზეიოქმედება ჯერ კიდევ ძალიან ნაკლებად არის გამოკვლეული და ამიტომ ჩვენ აქ მეტი არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, გარდა იმისა, რომ იგი ზოგადად დავადასტუროთ.

ბაცილებით უფრო მნიშვნელოვანია დანარჩენ ორგანიზმზე ხელის განვითარების პირდაპირი უკუზემოქმედება, რაც უფრო ადვილდასამტკიცებელია. როგორც უკვე ვთქვით, მაიმუნის მსგავსი ჩვენი წინაპრები საზოგადოებრივი ცხოველები იყვნენ; ცხადია, რომ შეუძლებელია ადამიანის, ამ ყველაზე უფრო საზოგადოებრივი ცხოველის, არასაზოგადოებრივი უახლოესი წინაპრებისაგან გამოყვანა. ხელის განვითარებასთან, შრომასთან ერთად დაწყებული ბუნებაზე ბატონობა ყოველ ახალ წინსვლასთან ერთად აფართოებდა ადამიანის თვალთახედვის არეს. ბუნებრივ საგნებში იგი განუწყვეტლივ აღმოაჩენდა ახალ, მანამდე უცნობ თვისებებს. მეორე მხრივ, შრომის განვითარება აუცილებლად ხელს უწყობდა იმას, რომ საზოგადოების წევრები უფრო მჭიდროდ შეკავშირებულიყვნენ, ვინაიდან იგი ურთიერთ მხარდაჭერის, საერთო მოქმედების შემთხვევებს ამრავლებდა და ამ ერთად მოქმედების სარგებლობის შეგნებას თვითეული ცალკე ინდივიდუუმისათვის ნათელს ხდიდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადამიანები იქამდე მივიდნენ, რომ მათ ერთმანეთისათვის რაღაც უნდა ეთქვათ; მოთხოვნილებამ თავის ორგანო შეჰქმნა: მაიმუნის განუვითარებელი ხორხი ნელ-ნელა, მაგრამ ურყევად განიცდიდა გარდაქმნას მოდულაციის გზით სულ უფრო და

უფრო განვითარებული მოდულაციისათვის, ხოლო პირის ორგანოები თანდათან ეჩვეოდნენ დანაწევრებული ბგერების ერთიმეორეზე გამოთქმას.

შრომიდან და შრომასთან ერთად ენის წარმოშობის ეს ახსნა რომ ერთადერთი სწორი ახსნაა, ამას ამტკიცებს ცხოველებთან შედარება. ის მცირეოდენი რამ, რაც ამ უკანასკნელებმა, მათ შორის თვით ყველაზე უფრო განვითარებულებმაც კი, ერთმანეთს უნდა შეატყობინონ, შეუძლიათ ერთმანეთს დანაწევრებული მეტყველების გარეშეც გაუზიარონ. ბუნებრივ მდგომარეობაში არც ერთი ცხოველი არ გრძნობს ნაკლოვანებას იმის გამო, რომ არ შეუძლია ილაპარაკოს ანდა ადამიანის ენა გაიგოს. სულ სხვაა, როდესაც ცხოველი ადამიანის მიერ არის მოშინაურებული. ძაღლმა და ცხენმა ადამიანებთან ურთიერთობაში დანაწევრებული მეტყველების მიმართ ისეთი მახვილი სმენა განივითარეს, რომ ისინი ყოველი ენის გაგებას იმდენად ადვილად სწავლობენ, რამდენადაც მათი წარმოდგენების არე სწვდება. შემდეგ მათ შეიძინეს ისეთი გრძნობების უნარი, როგორიცაა ადამიანისადმი ერთგულების გრძნობა, მადლობის გრძნობა და ა. შ., რაც ადრე მათთვის უცხო იყო; ვისაც კი ასეთ ცხოველებთან ბევრჯერ ჰქონია საქმე, ძნელად თუ შეუძლია დაფაროს ის რწმენა, რომ საკმაო შემთხვევები არსებობს, როცა ეს ცხოველები თავიანთ ლაპარაკის უნარის უქონლობას ახლა შეიგრძნობენ როგორც ნაკლს, რასაც, რა თქმა უნდა, მათი ხმის ორგანოების გარკვეული მიმართულებით მეტისმეტი სპეციალიზაციის პირობებში, სამწუხაროდ, აღარაფერი ეშველება. მაგრამ სადაც სათანადო ორგანო არსებობს, იქ ეს უუნარობაც ჰქრება გარკვეულ ფარგლებში. ფრინველთა პირის ორგანოები, რასაკვირველია, რამდენადაც კი შეიძლება, უდავოდ განსხვავდება ადამიანის პირის ორგანოებისაგან, მაგრამ ფრინველები მაინც ერთადერთი ცხოველები არიან, რომელნიც ლაპარაკს სწავლობენ; და ყველაზე საზარელი ხმის პატრონი ფრინველი, თუთიყუში, ყველაზე უკეთესად ლაპარაკობს. ნუ ვიტყვით, რომ თუთიყუშს არ ესმის ის, რასაც ლაპარაკობს. რასაკვირველია, თუთიყუში მხოლოდ იმ სიამოვნების გამო, რომელსაც მას ლაპარაკი და ადამიანთა საზოგადოება ჰგვრის, საათობით განუწყვეტლივ იმეორებს ლაქლაქით სიტყვების მთელ თავის მარაგს. მაგრამ რამდენსაც მისი წარმოდგენათა წრე გასწვდება, იმდენად შეუძლია კიდევაც იმის გაგებაც ისწავლოს, რასაც ლაპარაკობს. ასწავლეთ თუთიყუშს სალანძღავი სიტყვები ისე, რომ მან მათს მნიშვნელო-

ბაზე წარმოდგენა ჰიიღოს (ერთ-ერთი მთავარი გასართობი ცხელი ქვეყნებიდან შინ მიმავალი მეზღვაურებისა), შემდეგ გააჯავრეთ, და მალე აღმოაჩენთ, რომ მან თავისი სალანძღავი სიტყვების ისევე სწორად გამოყენება იცის, როგორც ბერლინელმა მეშწვანილე ქალმა. ასევე იქცევა ის ტკბილეულობის გამოსაცინცლავად.

ჯერ შრომა, ოლო მის შემდეგ და ერე კი მასთან ერთად ენა — აი ის ორი ყველაზე უფრო ჯრსებითი სტიმული, რომელთა ზეგავლენითაც მაიმუნის ტვინი თანდათან იქცა ადამიანის ტვინად, რომელიც, მაიმუნის ტვინთან მთელი მსგავსების მიუხედავად, გაცილებით უფრო დიდია და უფრო სრულქმნილი. მაგრამ ტვინის შემდგომ განვითარებასთან ხელიხელჩაკიდებული ხდებოდა მისი უახლოესი იარაღების, გრძნობათა ორგანოების შემდგომი განვითარებაც; ისე, როგორც მეტყველების თანდათანობით განვითარებას აუცილებლად თან სდევს სმენის ორგანოს სათანადო დახვეწა-გაფაქიზება, ასევე ტვინის განვითარებას საერთოდ თან ახლავს ერთობლივ ყველა გრძნობის გაუმჯობესება. არწივი ბევრად უფრო შორს ხედავს, ვიდრე ადამიანი, მაგრამ ადამიანის თვალი ნივთებში გაცილებით მეტს ამჩნევს, ვიდრე არწივის თვალი. ძაღლს გაცილებით უფრო ფაქიზი ყნოსვა აქვს, ვიდრე ადამიანს, მაგრამ იგი ვერ არჩევს იმ სუნთა მეასედ ნაწილსაც კი, რომლებიც ადამიანისათვის სხვადასხვა ნივთის გარკვეულ ნიშნებს წარმოადგენენ. ხოლო შეხების გრძნობა, რომელიც მაიმუნს ძლივს მოეპოვება ყველაზე უფრო უხეში, ჩანასახოვანი ფორმით, მხოლოდ თვით ადამიანის ხელის განვითარებასთან ერთად, შრომის წყალობით, გამომუშავდა.

ტვინისა და მისდამი დაქვემდებარებული გრძნობების განვითარების, სულ უფრო და უფრო ნათელქმნილი ცნობიერების, აბსტრაქციისა და დასკვნის უნარის განვითარების უკუზეგავლენა შრომასა და ენაზე, ორივეს სულ ახალ-ახალ ბიძგს აძლევდა შემდგომი განვითარებისათვის, რომელიც არამც თუ არ დასრულდა მას შემდეგ, რაც ადამიანი საბოლოოდ მაიმუნს გამოეყო, არამედ მას შემდეგ საერთოდ და მთლიანად მძლავრი ნაბიჯით წავიდა წინ სხვადასხვა ხალხებსა და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ხარისხითა და მიმართულებით, თუმცა შიგადაშიგ ზოგჯერ წყდებოდა ხოლმე ეს შემდგომი განვითარება ადგილობრივ და დროებით უკუსვლათა გამო; ერთი მხრივ, ამ განვითარებამ მიიღო ახალი მძლავრი ბიძგი, ხოლო, მეორე მხრივ, უფრო გარკვეული მიმარ-

თულებით წარიმართა იმის მეოხებით, რომ [უკვე დასრულებული ადამიანის გაჩენასთან ერთად წარმოიშვა კიდევ ახალი ელემენტი— საზოგადოება]

[უთუოდ ასი ათასმა წლებმა განვლო — ეს დედამიწის ისტორიაში იმაზე მეტი როდია, რაც ერთი წამი ადამიანის ცხოვრებაში,[1] — ვიდრე ხეებზე მცოცავი მაიმუნების ჯოგიდან ადამიანთა საზოგადოება წარმოსდგებოდა. [მაგრამ საბოლოოდ საზოგადოება მაინც გაჩნდა. ხოლო კვლავ [რა დამახასიათებელ განსხვავებას ვხედავთ მაიმუნთა ჯოგსა და ადამიანთა საზოგადოებას შორის? შ რ ო მ ა ს] მაიმუნთა ჯოგი იმით კმაყოფილდებოდა ხოლმე, რომ სულ ერთიანად გადასჭამდა საზრდოს იმ რაიონს, რომელიც მას წილად ხვდებოდა გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ან მეზობელი ჯოგების წინააღმდეგობის შედეგად; იგი იწყებდა ხეტიალსა და ბრძოლებს საზრდოს ახალი რაიონის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ მას არ ჰქონდა იმის უნარი, რომ საზრდოს ამა თუ იმ რაიონიდან იმაზე მეტი მიეღო, რასაც ეს რაიონი ბუნებით იძლეოდა, გარდა იმისა, რომ ჯოგი შეუგნებლად აპოხიერებდა ნიადაგს თავისი ექსკრემენტებით. როგორც კი საზრდოს მომცემ ყველა შესაძლო რაიონს დაიკავებდნენ, მაიმუნთა მოსახლეობის გამრავლება შეუძლებელი ხდებოდა; უკეთეს შემთხვევაში, ცხოველთა რიცხვი ერთი და იგივე შეიძლებოდა დარჩენილიყო. მაგრამ ყველა ცხოველებში ადგილი აქვს საზრდოს უკიდურეს გაფლანგვას და ამასთან საზრდოს ნამატის ჩანასახშივე ჩაკვლას. მგელი, მონადირისაგან განსხვავებით, არ ზოგავს შველს, რომელიც მომავალ წელს მას ნოკრებს მისცემდა; საბერძნეთში თხებმა, რომლებიც წვრილი ბუჩქნარის ნორჩ ყლორტებს ჭკორტნიან და გაზრდას არ აცლიან, ამ ქვეყნის ყველა მთა გადასძოვეს და გაატიტვლეს. ცხოველთა ეს «მტაცებლური მეურნეობა» მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახეთა თანდათანობით გარდაქმნაში, აიძულებს მათ სხვა, მათთვის უჩვეულ საზრდოს შეეგუონ, რითაც მათი სისხლი სხვა ქიმიურ შემადგენლობას იძენს, და მთელი სხეულის კონსტიტუცია თანდათანობით სხვანაირდება, მაშინ როდესაც ერთხელ უკვე დადგენილი სახეები თანდათანობით გადაშენდებიან. უეჭველია, რომ ამ მტაცებლურმა მეურნეობამ ძლიერ შეუწყო ხელი ჩვენი წინა-

1 ამ საქმის ისეთმა დიდმა ავტორიტეტმა, როგორიცაა სერ უ. ტომსონი, გამოიანგარიშა, რომ შეიძლება ა ს მ ი ლ ი ო ნ წ ე ლ ი წ ა დ ხ ე ც ო ტ ა მ ე ტ დრის გაევლო იმ ხნიდან, რაც დედამიწა იმდენად გაცივდა, რომ მასზე მცენარეებმა და ცხოველებმა შეძლეს ცხოვრება. (ე ნ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

პრების ადამიანად გადაქცევას. მაიმუნების ის რასა, რომელიც გონიერებითა და შეგუების უნარით ყველა დანარჩენებს ბევრად წინ უსწრებდა, ამ მტაცებლურ მეურნეობას იქამდე უნდა მიეყვანა, რომ საკვები მცენარეების რიცხვი სულ უფრო და უფრო გაედიდებინა, რომ ამ საკვებ მცენარეთაგან სულ უფრო და უფრო მეტი საჭმელად ვარგისი ნაწილების მოხმარება ხდებოდა, მოკლედ, საზრდო სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანდებოდა და მასთან ერთად მრავალფეროვანი ხდებოდა აგრეთვე სხეულში შემავალი მასალა, ადამიანად ქცევის ქიმიური პირობები. მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო ნამდვილი შრომა. შრომა იარაღების დამზადებით იწყება. და რას წარმოადგენენ უძველესი იარაღები, რომელთაც ჩვენ ვპოულობთ? — უძველესი იარაღები, თუ ვიმსჯელებთ წინაისტორიულ ადამიანთა მიერ მემკვიდრეობით დატოვებული და ჩვენს მიერ ნახული ნივთების მიხედვით და ყველაზე უფრო ადრინდელი ისტორიული ხალხების, ისევე როგორც ახლანდელი ყველაზე პრიმიტიული ველურების ცხოვრების წესის მიხედვით? ესენი ნადირობისა და მეთევზეობის იარაღებია; პირველნი ამავე დროს საომარი იარაღიცაა. მაგრამ ნადირობა და თევზის ჭერა მარტოოდენ მცენარეულით საზრდოობიდან ხორცის ჭამაზე გადასვლასაც გულისხმობს; ეს კი კვლავ არსებითი ნაბიჯია ადამიანად გარდაქმნისაკენ. ხორცეულის საჭმელი თითქმის მზა სახით შეიცავდა ყველაზე არსებით მასალას, რომელსაც სხეული საჭიროებს თავის ნივთიერებათა ცვლისათვის; ხორცეულის საჭმელმა მონელებასთან ერთად შეამოკლა სხვა ვეგეტატური, მცენარეული ცხოვრების შესაბამი პროცესების ხანგრძლივობა სხეულში და ამით უფრო მეტი დრო, მეტი მასალა და ხალისი შეიძინა საკუთრივ ცხოველური (ანიმალური) ცხოვრების აქტიური გამოვლენისათვის, და რამდენადაც უფრო შორდებოდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადამიანი მცენარეს, იმდენად უფრო მეტად მაღლდებოდა იგი ცხოველზედაც. ისე, როგორც ხორცთან ერთად მცენარეულ საჭმელზე მიჩვევამ გარეული კატები და ძაღლები ადამიანის მსახურებად აქცია, ასევე მცენარეულ საჭმელთან ერთად ხორცეულის საჭმელზე მიჩვევამ არსებითად ხელი შეუწყო იმას, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ადამიანს ფიზიკური ძალა და დამოუკიდებლობა მისცემოდა. მაგრამ ყველაზე უფრო არსებითი იყო ხორცეულის საჭელის გავლენა ტვინზე, რომელმაც ამის გამო ახლა თავის გამოკვებისა და განვითარებისათვის საჭირო მასალა ბევრად უფრო უხვად მიიღო, ვიდრე უწინ იღებდა, და რომელ-

საც ამიტომ შეეძლო თაობიდან თაობამდე უფრო ჩქარა და უფრო სრულქმნილად განვითარებულიყო. ნება გვიბოძონ ბატონ ვეგეტარიანელებმა განვაცხადოთ, რომ ადამიანი ადამიანად ვერ იქცეოდა ხორცეულის საჭმელის გარეშე, და თუ ხორცის ჭამას ჩვენთვის ცნობილ ყველა ხალხებში ამა თუ იმ პერიოდში ერთხანს კაციჭამიობაც კი მოჰყვა (ბერლინელების წინაპრები, ველეტაბები ანუ ვილცები, ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში თავიანთ მშობლებს სჭამდნენ), დღეს ამას ჩვენთვის უკვე აღარ შეიძლება რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს.

ხორცეულის საკვებს მოჰყვა ორი ახალი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე წინსვლა: ცეცხლის გამოყენება და ცხოველთა მოშინაურება. პირველმა კიდევ უფრო შეამოკლა საჭმლის მონელების პროცესი, ვინაიდან იგი საჭმელს, ასე ვთქვათ, ნახევრად მონელებული სახით აწვდიდა პირს; მეორემ კი ხორცეულის საჭმლის მარაგი კიდევ უფრო გაამდიდრა, ვინაიდან ნადირობის გვერდით მან აღმოაჩინა ახალი წყარო, საიდანაც ამ საჭმლის მიღება უფრო რეგულარულად შეიძლებოდა, და, გარდა ამისა, რძისა და მისი ნაწარმების სახით ნივთიერებათა შემადგენლობით ყოველ შემთხვევაში ხორცის ტოლფასი საზრდო-საშუალება მისცა. ამრიგად, ორივე უშუალოდ, პირდაპირ გადაიქცა ადამიანისათვის ემანსიპაციის ახალ საშუალებად; მათი არაპირდაპირი შედეგების დაწვრილებით განხილვა აქ ძალიან შორს წაგვიყვანდა და მათზე ვერ შეეჩერდებით, რაგინდ დიდად მნიშვნელოვანი ყოფილიყვნენ ისინი ადამიანისა და საზოგადოების განვითარებისათვის.

ისევე, როგორც ადამიანმა ყოველივე საჭმელად ვარგისი საკვების ჭამა ისწავლა, ასევე ისწავლა და შეეჩვია იგი ყოველგვარ ჰავაში ცხოვრებასაც. იგი მოედო საცხოვრებლად გამოსადეგ მთელ დედამიწას; ის ერთადერთი ცხოველი იყო, რომელსაც საამისოდ თვით შესწევდა სრული ძალა. სხვა ცხოველებმა, რომლებიც ყოველნაირ ჰავას შეეჩვივნენ, ეს თვითონ კი არ შეითვისეს დამოუკიდებლად, არამედ მხოლოდ ადამიანთან თანხლებით: ასეთები არიან შინაური ცხოველები და პარაზიტი მწერები. ხოლო თავდაპირველი სამშობლოს თანაბრად ცხელი ჰავიდან უფრო ცივ მხარეებში გადასვლამ, სადაც წელიწადი ზამთრად და ზაფხულად იყოფოდა, ახალი საჭიროებანი წარმოშვა: — ბინისა და ტანსაცმლისა სიცივისა და სინესტისაგან დასაფარავად, მაშასადამე, წარმოიშვა შრომის ახალი დარგები და ამით საქმიანობის ახალი სახეები, რაც კიდევ უფრო აშორებდა ადამიანს ცხოველისაგან.

ხელის, მეტყველების ორგანოებისა და ტვინის ერთობლივი მოქმედებით არა მარტო ცალკ-ცალკე, არამედ საზოგადოებაშიც, ადამიანებმა შეიძინეს სულ უფრო და უფრო რთული ოპერაციების შესრულების, უფრო მაღალი მიზნების დასახვისა და მათი მიღწევის უნარი. თვით შრომა თაობიდან თაობამდე სხვანაირი, უფრო სრულქმნილი, უფრო მრავალ მხრივი ხდებოდა; ნადირობასა და მესაქონლეობას მიემატა მიწათმოქმედება, ამ უკანასკნელს რთვა და ქსოვა, ლითონის დამუშავება, მეთუნეობა, ნაოსნობა. ვაჭრობისა და ხელოსნობის გვერდით გაჩნდა ბოლოს ხელოვნება და მეცნიერება, ტომებიდან განვითარდნენ ერები და სახელმწიფოები. განვითარდა სამართალი და პოლიტიკა და მათთან ერთად ადამიანური ყოფის ფანტასტიკური ასახვა ადამიანის თავში: რელიგია. ყველა ამ წარმონაქმნის წინაშე, რომელნიც უპირველეს ყოვლისა ადამიანის თავის პროდუქტებს წარმოადგენენ და რომელნიც თითქოს ადამიანთა საზოგადოებებზე გაბატონებულად მოჩანდნენ, მომუშავე ხელის უფრო სადა ნაწარმოებნი უკანა რიგში დადგნენ; და სახელდობრ უფრო იმიტომ, რომ შრომის დამგეგმავ თავს საზოგადოების განვითარების ჯერ კიდევ ძალიან ადრინდელ საფეხურზე (მაგალითად, უკვე პირველყოფილ ოჯახში) შეეძლო სხვისი ხელები და არა თავისი აეძულებინა მის მიერ დაგეგმილი სამუშაო შეესრულებინათ. თავს, ტვინის განვითარებასა და მოღვაწეობას მიაწერდნენ სწრაფად წინმავალი ცივილიზაციის ყველა დამსახურებას; ადამიანები მიეჩვევნენ იმას, რომ თავიანთი მოქმედება თავიანთი აზროვნებით აეხსნათ, ნაცვლად იმისა, რომ აეხსნათ ის თავიანთი მოთხოვნილებებით (რომლებიც ამასთანავე, რასაკვირველია, თავში აისახებიან, შეიცნობიან) — და ამრიგად წარმოიშვა დროთა განმავლობაში ის იდეალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც სახელდობრ ანტიკური ქვეყნის დაღუპვის დღიდან დაეუფლა ადამიანთა გონებას. ის ჯერ კიდევ იმდენად ბატონობს, რომ დარვინის სკოლის თვით ყველაზე უფრო მატერიალისტ ბუნებისმკვლევართაც ჯერ კიდევ ვერ შეუდგენიათ ნათელი წარმოდგენა ადამიანის წარმოშობაზე, ვინაიდან ზემოაღნიშნული იდეალისტური ზეგავლენის გამო ვერ გაუგიათ ის როლი, რომელსაც მასში შრომა ასრულებდა.

ცხოველები, როგორც გაკვრით უკვე აღვნიშნეთ, თავიანთი მოქმედებით ისევე სცვლიან გარე ბუნებას, თუმცა არა იმდენად, როგორც ადამიანი, და მათ მიერვე მოხდენილი ეს ცვლილებანი გარემოსი, როგორც დავინახეთ, თავის მხრივ უკუზეგავლენას ახდენენ თავიანთ გამომწვევებზე და სცვლიან მათ. ბუნებაში ხომ განკერძოებულად

არაფერი არ ხდება. თვითეული მოქმედებს მეორეზე და პირიქით, და აი უმეტესად ამ ყოველმხრივი მოძრაობისა და ურთიერთმოქმედების დავიწყებაა, რომ ხელს უშლის ჩვენს ბუნებისმკვლევართ უმარტივეს საგნებში ნათლად ჩაიხედონ. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ აბრკოლებენ თხები ტყეების აღდგენას საბერძნეთში; წმინდა ელენეს კუნძულზე პირველ მეზღვაურთა მიერ ამ მიწაზე გადმოყვანილმა თხებმა და ღორებმა თითქმის ძირფესვიანად გაანადგურეს კუნძულის მთელი ძველი მცენარეულობა და ამრიგად მოამზადეს ის ნიადაგი, რომელზეც შემდგომი მეზღვაურებისა და კოლონისტების მიერ შემოტანილმა მცენარეებმა შესძლეს გავრცელება. მაგრამ როდესაც ცხოველები თავიანთ გარემოზე ხანგრძლივ ზეგავლენას ახდენენ, ეს განუზრახველად ხდება, და თვითონ ამ ცხოველებისათვის რაღაც შემთხვევითია. მაგრამ რაც უფრო მეტად შორდებიან ადამიანები ცხოველებს, მით უფრო მათი ზეგავლენა ბუნებაზე წინასწარ განზრახული, გეგმაზომიერი, გარკვეული, წინასწარ ცნობილი მიზნისაკენ მიმართული მოქმედების ხასიათს იღებს. ცხოველი ანადგურებს რომელიმე კუთხის მცენარეულობას და არ იცის რას სჩადის. ადამიანი კი მას იმისათვის ანადგურებს, რომ განთავისუფლებულ ნიადაგზე მარცვლეული დათესოს ან ხეები და ვაზები დარგოს, რადგან იცის, რომ ისინი მას ბევრად მეტ მოსავალს მისცემენ. მას სასარგებლო მცენარეები და შინაური ცხოველები ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაჰყავს, და ამრიგად სცვლის ქვეყნის მთელი მხარეების მცენარეულობასა და ცხოველთა ყოფაცხოვრებას. კიდევ მეტი. ხელოვნური მოშენების წყალობით როგორც მცენარეები ისე ცხოველები იმგვარად იცვლებიან ადამიანის ხელში, რომ მათი გამოცნობა შეუძლებელი ხდება. დღემდე ამაოდ ვეძებთ იმ გარეულ მცენარეებს, რომელთაგან ჩვენი მარცვლეულის სახები წარმოსდგებიან. ჯერ კიდევ მაინც სადავოა, თუ რომელი გარეული ცხოველისაგან წარმოსდგებიან ჩვენი ძაღლები, რომელნიც თვით ერთმანეთისაგანაც ესოდენ განსხვავდებიან, ანდა ცხენების ჩვენი ასევე მრავალრიცხოვანი ჯიშები.

თუმცა თავის თავად გასაგებია, რომ ჩვენ აზრადაც არ მოგვდის ცხოველთა გეგმაზომიერი, წინასწარმოფიქრებული მოქმედების უნარი უარვყოთ. პირიქით. გეგმაზომიერი მოქმედების წესი ჩანასახოვანი ფორმით უკვე ყველგან არსებობს, სადაც კი პროტოპლაზმაა, სადაც ცოცხალი ცილა არსებობს და რეაგირებას ახდენს, ე. ი. ასრულებს გარკვეულ, თუმცა ჯერ კიდევ სულ მარტივ მოძრაობებს როგორც გარედან გამოწვეული გარკვეული გა-

ლიზიანების შედეგს. ასეთ რეაქციას ადგილი აქვს იქ, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს არავითარი უჯრედი, ნერვის უჯრედზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ის ხერხი, რომლითაც მწერიჭამია მცენარეები თავიანთ მსხვერპლს იჭერენ, ასევე გეგმაზომიერია გარკვეული მიმართებით, თუმცა სრულიად არაცნობიერად. ცხოველებს ცნობიერი, გეგმაზომიერი მოქმედების უნარი უვითარდებათ ნერვიული სისტემის განვითარების შესაბამისად, და ძუძუმწოვარ ცხოველებში ეს უნარი უკვე მაღალ საფეხურს აღწევს. ინგლისში მელიებზე ძაღლებით ნადირობის დროს ყოველდღიურად შეგვიძლია დავაკვირდეთ, თუ როგორ ზედმიწევნით იცის მელიამ ადგილმდებარეობის თავისი დიდი ცოდნის გამოყენება, რათა თავი დაალწიოს თავის მდევრებს, რა კარგად იცნობს და იყენებს იგი ნიადაგის იმ მისთვის ხელსაყრელ თვისებებს, რომელნიც ხელს უწყობენ მისი კვალის დამალვას. ადამიანებთან ურთიერთობის გამო უფრო მაღალი განვითარების ჩვენს შინაურ ცხოველებში ყოველ დღე შეგვიძლია დავაკვირდეთ ეშმაკობის ისეთ საქციელს, რომელიც ადამიანის ბავშვების ასეთივე საქციელის სრულიად თანაბარ დონეზე დგას. რადგანაც ისე როგორც დედის საშოში ადამიანის ჩანასახის განვითარების ისტორია წარმოადგენს, ჰიიდან დაწყებული, ჩვენი ცხოველი წინაპრების სხეულებრივი განვითარების მილიონწლიანი ისტორიის მხოლოდ შემოკლებულ განმეორებას, ასევე ადამიანის ბავშვის სულიერი განვითარებაც წარმოადგენს იმავე წინაპრების, ყოველ შემთხვევაში უფრო გვიანდელი წინაპრების, გონებრივი განვითარების მხოლოდ კიდევ უფრო შემოკლებულ განმეორებას. მაგრამ ვერავითარი ცხოველის ვერავითარმა ვეგმაზომიერმა მოქმედებამ ვერ შესძლო დედამიწისათვის თავისი ნების დაღი დაეჩნია. ეს მხოლოდ ადამიანმა შესძლო.

მოკლედ, ცხოველი მარტო უბრალოდ სარგებლობს გარე ბუნებით, და მასში ცვლილებები მაოლოდ თავისი არსებობით შეაქვს; ადამიანი კი მის მიერ შეტანილი ცვლილებებით ბუნებას აიძულებს მის მიზნებს ემსახუროს, მასზე ბატონობს. და აი ეს არის სწორედ ადამიანის ის საბოლოო, არსებითი განსხვავება დანარჩენი ცხოველებისაგან, და აქაც კვლავ შრომაა, რომელიც ამ განსხვავებას იწვევს.

მაგრამ ძალიანაც ნუ მოვიტყუებთ თავს ბუნებაზე ჩვენი ადამიანური გამარჯვებებით მოხიბლულნი. ყოველი ასეთი გამარჯვებისათვის ბუნება შურს იძიებს ჩვენზე. მართალია, ყოველ ამ გამარჯვებას პირველ რიგში სწორედ ის შედეგები აქვს, რომელთაც

ჩვენ ვითვალისწინებდით, მაგრამ მეორე და მესამე რიგში მას აქვს სრულიად სხვა, გაუთვალისწინებელი შედეგები, რომელნიც ძალიან ხშირად იმ პირველ შედეგებს კვლავ აქარწყლებენ. იმ ადამიანებს, რომელთაც მესოპოტამიაში, საბერძნეთში, მცირე აზიასა და სხვაგან ტყეები ძირფესვიანად ამოაგდეს, რათა ამ გზით სახნავი მიწა ეშოვნათ, არც კი დასიზმრებიათ, რომ ამით საფუძველი ჩაუყარეს ამ ქვეყნების ახლანდელ გაუდაბნოებას და ტყეებთან ერთად ამ ქვეყნებს ტენიანობის შეგროვებისა და დაცვის ცენტრები გამოაცალეს. როცა ალპელი იტალიელები მთების ჩრდილოეთ კალთებზე ესოდენ მზრუნველობით დაცულ ნაძვის ტყეებს სამხრეთ კალთებზე სჩეხდნენ, მათ გუმანიც კი არ ჰქონდათ, რომ ამით ძირს უთხრიდნენ ალპიური მთის მეცხოველეობას თავიანთ მხარეში; კიდევ უფრო სულ ნაკლებად გრძნობდნენ, რომ ისინი ამით თავიანთ მთის წყაროებს წლის უდიდესი ნაწილის განმავლობაში წყალს აცლიდნენ და ამრიგად წვიმების პერიოდში ეს წყაროები მით უფრო გაშმაგებული ნიაღვრებით ვაკეებს გადარეცხავდნენ. ევროპაში კარტოფილის გამავრცელებლებმა არ იცოდნენ, რომ ისინი ფაშარ ბოლქვებთან ერთად საყმაწვილო სენსაც ავრცელებდნენ. და ამრიგად ყოველ ნაბიჯზე ფაქტები მოგვაგონებენ, რომ ჩვენ სრულიადაც არ ვბატონობთ ბუნებაზე ისე, როგორც დამპყრობელი ბატონობს უცხო ხალხზე, როგორც ბუნების გარეშე მდგომი ვინმე, არამედ ჩვენ ხორცით, სისხლითა და ტვინით ბუნებას ვეკუთვნით და მის შიგნით ვიმყოფებით, და რომ მთელი ჩვენი ბატონობა მასზე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ყველა სხვა ქმნილებასთან შედარებით უპირატესობის გამო შეგვიძლია ბუნების კანონები შევიცნოთ და სწორად გამოვიყენოთ.

და მართლაც, ჩვენ ყოველდღიურად ვსწავლობთ ბუნების კანონების სულ უფრო და უფრო სწორ გაგებას და ბუნების ჩვეულებრივ მსვლელობაში ჩვენი აქტიური ჩარევის როგორც უახლოესი, ისე უფრო შორეული შედეგების შემეცნებას. განსაკუთრებით ამ საუკუნეში ბუნებისმტყველების უდიდეს წარმატებათა დღიდან სულ უფრო და უფრო მეტი საშუალება გვეძლევა, რომ ვისწავლოთ აგრეთვე ყოველ შემთხვევაში ჩვენი ყველაზე ჩვეულებრივი საწარმოო მოქმედებების უფრო შორეული ბუნებრივი შედეგების გაგება და ამით მათი დაუფლებაც. მაგრამ რაც უფრო მეტად მოხდება ეს, მით უფრო ადამიანები არამც თუ მეტად იგრძნობენ კვლავ ბუნებასთან ერთიანობას, არამედ შეიგნებენ და ეცოდინებათ ეს თავიანთი ერთიანობა ბუნებასთან, და მით უფ-

რო შეუძლებელი გახდება ის უაზრო და ბუნების საწინააღმდეგო წარმოდგენა რაღაც დაპირისპირებაზე გონსა და მატერიას, ადამიანსა და ბუნებას, სულსა და სხეულს შორის, რომელიც ევროპაში კლასიკური ანტიკურობის დაცემის დღიდან გაჩნდა და რომელმაც ქრისტეანობაში უმაღლეს განვითარებას მიაღწია.

მაგრამ თუ ათასეული წლების შრომა დასჭირდა იმას, რომ რამდენადმე შეგვესწავლა წარმოებისკენ მიმართული ჩვენი მოქმედებების უფრო შორეული ბ უ ნ ებ რ ი ვ ი შედეგების წინასწარ გათვალისწინება, გაცილებით უფრო ძნელი იყო ამ მოქმედებათა უფრო შორეულ ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ შედეგთა მიმართ ამ წინასწარი გათვალისწინების დაუფლება. ჩვენ გავიხსენეთ კარტოფილი და მისი თანმხლები შედეგის, საყმაწვილო სენის გავრცელება. მაგრამ რაა საყმაწვილო სენი იმ შედეგებთან შედარებით, რაც მთელი ქვეყნების ხალხთა მასების სასიცოცხლო მდგომარეობისათვის ჰქონდა მუშათა მარტოოდენ კარტოფილით კვებაზე გადასვლას? რაა საყმაწვილო სენი იმ შიმშილსა და დუხჭირთან შედარებით, რომელიც 1847 წელს ირლანდიას დაატყდა თავს კარტოფილის ავადმყოფობის შედეგ... და რომელმაც კარტოფილით ან თითქმის მარტო კარტოფილით ხასაზრდოები ერთი მილიონი ირლანდიელი სამარეში ჩააწვინა, ხოლო ორი მილიონი ზღვას გაღმა გადატყორცნა? როცა არაბებმა ალკოჰოლის გამოხდა ისწავლეს, მათ ფიქრადაც არ მოუვიდოდათ, რომ მათ ამით ერთ-ერთი მთავარი იარაღი შეჰქმნეს, რომლითაც მაშინ ჯერ კიდევ აღმოუჩენელი ამერიკის თავდაპირველი მკვიდრი ბინადარნი უნდა გაწყვეტილიყვნენ. ხოლო როდესაც შემდეგ კოლუმბმა ეს ამერიკა აღმოაჩინა, მან არ იცოდა, რომ ამით ევროპაში დიდი ხნის გადავარდნილი მონობა მკვდრეთით აღადგინა და ზანგებით ვაჭრობას ჩაუყარა საფუძველი. იმ ადამიანებს, რომლებიც მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში ორთქლის მანქანის შექმნაზე მუშაობდნენ, გუმანიც კი არ ჰქონდათ იმისა, რომ ისინი ამით იმ იარაღს ამზადებდნენ, რომელიც სხვა ყველაფერზე უფრო მეტად გაარევოლუციურებდა მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივ მდგომარეობებს და რომელიც, განსაკუთრებით ევროპაში, უმცირესობის მხარეზე სიმდიდრის კონცენტრაციითა და მეორე მხარეზე უდიდესი უმრავლესობის პროლეტარიზაციით, ჯერ სოციალურ და პოლიტიკურ ბატონობას მიანიჭებდა ბურჟუაზიას, ხოლო შემდეგ გამოიწვევდა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის კლასობრივ ბრძოლას, რომელიც მხოლოდ ბურჟუაზიის დამხობითა და ყოველგვარი კლასობრივი დაპირისპირების მოსპობით შეიძლება დამთავრდეს. — მაგრამ ამ სფეროშიც

ჩვენ თანდათან ვსწავლობთ ხანგრძლივი, ხშირად მკაცრი გამოცდილებით და ისტორიული მასალის შედარებითა და გამოკვლევით ჩვენი პროდუქტიული მოღვაწეობის შუალობითი, უშორეესი საზოგადოებრივი შედეგების ნათელყოფას, ამით კი შესაძლებლობა გვეძლევა ეს შედეგებიც ჩვენს ბატონობას და რეგულირებას დავუმორჩილოთ.

მაგრამ იმისათვის, რომ ეს რეგულირება განვახორციელოთ, საჭიროა უფრო მეტი რამ, ვიდრე უბრალო შევიცნება. ამისათვის საჭიროა ჩვენი დღემდე არსებული წარმოების წესისა და მასთან ერთად მთელი ჩვენი ახლანდელი საზოგადოებრივი წყობილების სრული გადატრიალება.

წარმოების ყველა დღემდე არსებული წესი მიზნად ისახავდა მხოლოდ შრომის უახლოესი, ყველაზე უშუალო სასარგებლო ეფექტების მიღწევას. შემდგომი შორეული შედეგები კი, რომლებიც მხოლოდ მოგვიანებით იჩენდნენ თავს და მოქმედებას თანდათანი განმეორებისა და დაგროვების წყალობით იწყებდნენ, სრულიად უყურადღებოდ რჩებოდნენ. მიწის თავდაპირველი თემური საკუთრება შეესატყვისებოდა, ერთი მხრივ, ადამიანთა განვითარების ისეთ მდგომარეობას, რომელიც მათ თვალთახედვის არეს ყველაზე უახლოესით ზღუდავდა, მეორე მხრივ კი, იგი გულისხმობდა განკარგულებაში მყოფი თავისუფალი მიწების გარკვეულ ნაჭარბს, რაც ამ პრიმიტიული მეურნეობის შესაძლებელი ცუდი შედეგების წინააღმდეგ ერთგვარ გასაქანს იძლეოდა. როდესაც მიწების ეს ნაჭარბი ამოიწურა, თემური საკუთრებაც დაეცა. ხოლო წარმოების ყველა მომდევნო უფრო მაღალმა ფორმამ გამოიწვია მოსახლეობის დაყოფა სხვადასხვა კლასებად და ამით კი — წინააღმდეგობა გაბატონებულ და დაჩაგრულ კლასებს შორის; მაგრამ ამის გამო გაბატონებული კლასის ინტერესი წარმოების მამოძრავებელ ელემენტად იქცა, რამდენადაც ეს წარმოება არ კმაყოფილდებოდა ჩაგრულთა ვეიეგგლახით ცხოვრების შენარჩუნებით. ყველაზე სრულყოფილად ეს გატარებულია ამჟამად დასავლეთ ევროპაში გაბატონებულ წარმოების კაპიტალისტურ წესში. ცალკეულ, წარმოებასა და გაცვლა-გამოცვლაზე გაბატონებულ კაპიტალისტებს თავიანთი მოქმედებების მხოლოდ ყველაზე უფრო უშუალო სასარგებლო ეფექტებზე შეუძლიათ იზრუნონ. კიდევ მეტი, თვით ეს სასარგებლო ეფექტიც კი — რამდენადაც ლაპარაკია დამზადებული ან გასაცვლელი საქონლის სარგებლიანობაზე — სავსებით უკანა რიგში დგება; გაყიდვის დროს მისაღები მოგება ერთადერთ მამოძრავებელ ზამბარად ხდება.

* * *

ბურჟუაზიის საზოგადოებრივ მეცნიერებას, კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას, უმთავრესად აინტერესებს მხოლოდ უშუალოდ გათვალისწინებული საზოგადოებრივი შედეგები ადამიანთა იმ მოქმედებებისა, რომლებიც წარმოებასა და გაცვლა-გამოცვლაზეა მიმართული. ეს სავსებით შეესატყვისება იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლის თეორიულ გამოხატულებას ის წარმოადგენს. ვინაიდან ცალკეული კაპიტალისტები უშუალო მოგების გულისთვის მისდევენ წარმოებასა და გაცვლა-გამოცვლას, პირველ რიგში მხედველობაში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ უახლოესი, ყველაზე უშუალო შედეგები. როდესაც ცალკეული მეფაბრიკე ან ვაჭარი ნაწარმოებ ან ნაყიდ საქონელს ჩვეულებრივი მოგებით ჰყიდის, მაშინ ის კმაყოფილია და აღარ ნაღვლობს იმას, თუ რა მოუვა შემდგომ ამ საქონელს ან მის მყიდველს. ასეთივეა საქმის ვითარება იმავე მოქმედებათა ბუნებრივი შედეგების მიმართ. აბა რა ენაღვლებოდათ კუბაში ესპანელ პლანტატორებს, რომლებიც მთების კალთებზე ტყეებს სწვავდნენ და ნაცრის სახით საკმაო სასუქს იღებდნენ უაღრესად შემოსავლიანი ყავის ხეების ერთი თაობისათვის, თუ შემდეგ ტროპიკული კოკისპირული წვიმები ამიერიდან დაუცველ შავნიადაგებს რეცხდნენ და მხოლოდ ტიტველ კლდეებსღა სტოვებდნენ! როგორც ბუნების, ისე საზოგადოების მიმართ წარმოების დღევანდელი წესის დროს მხედველობაში იღებენ უმთავრესად მხოლოდ პირველ, ყველაზე ხელშესახებ შედეგს; და ამის შემდეგ კიდევ უკვირთ ის, რომ აქეთკენ მიმართული მოქმედებების უშორეულესი შედეგები სულ სხვა, უმეტესად სრულიად საპირისპირონი არიან ხოლმე, რომ ჰარმონია მოთხოვნილებასა და მიწოდებას შორის თავის პოლარულ წინააღმდეგობად იქცევა, როგორც ამას ყოველი ათწლიანი სამრეწველო ციკლის მსვლელობა გვიჩვენებს და როგორც ეს გერმანიაშაც «კრახის» დროს პატარა პრელუდიის სახით განიცადა[1]; რომ საკუთარ შრომაზე დამყარებული კერძო საკუთრება მუშებისათვის აუცილებლად საკუთრების უქონლობამდე ვითარდება, მაშინ როდესაც მთელი ქონება სულ უფრო და უფრო არამშრომელთა ხელში გროვდება; რომ [..][2]

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ 1876 წ.
პირველად დაიბეჭდა ჟურნალ
«Neue Zeit»-ში 1896 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან.

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს 1873 — 1874 წ.წ. ეკონომიური კრიზისი. რ ე დ.
[2] აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

ფ. ენგელსი

V

სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ

შესავალი
ინგლისური გამოცემისათვის

წინამდებარე ბროშურა თავდაპირველად უფრო ვრცელი მთელის ნაწილი იყო. დაახლოებით 1875 წ. ბერლინის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა, დ-რმა ე. დიურინგმა, უეცრად და საკმაოდ მყვირალად განაცხადა — სოციალიზმი ვიწამეო, და გერმანელ საზოგადოებას მიუძღვნა არა მარტო დაწვრილებით დამუშავებული სოციალისტური თეორია, არამედ საზოგადოების გარდაქმნის მთლიანი პრაქტიკული გეგმაც. რა თქმა უნდა, ის თავს დაესხა თავის წინამორბედთ; ყველაზე მეტი ხვდა მარქსს, რომელზედაც ანთხევდა იგი მთელ თავის მრისხანებას.

ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ის-იყო გერმანიაში მოხდა სოციალისტური პარტიის ორივე ნაწილის — აიზენახელებისა და ლასალელების — შეერთება და პარტია, ამრიგად, არათუ მეტისმეტად გაძლიერდა, არამედ — რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია — მან შესაძლებლობა მოიპოვა მთელი თავისი ძალები საერთო მტრის წინააღმდეგ მიემართა. სოციალისტური პარტია გერმანიაში სწრაფად ხდებოდა ძალად. მაგრამ იმისათვის, რომ იგი ძალა გამხდარიყო, უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო საფრთხე არ გაჩენოდა ახლად მოპოვებულ ერთიანობას. ამავე დროს დ-რმა დიურინგმა აშკარად დაიწყო თავის ირგვლივ სექტის, მომავალი დამოუკიდებელი პარტიის ბირთვის, შექმნა. ამიტომ იძულებული გავხდით ჩვენთვის გადმოგდებული ხელთათმანი აგვეღო და, ძალაუნებურად, ბრძოლაში ჩავბმულიყავით.

თუმცა ეს მაინც და მაინც ძნელს არა, მაგრამ აშკარად სადავიდარაბო საქმეს კი წარმოადგენდა. კარგად ცნობილია, რომ ჩვენ, გერმანელებს, საშინლად დიდწონიანი «საფუძვლიანობა» მოგვდგამს, უწოდეთ მას რაც გნებავთ — საფუძვლიანი ღრმააზროვნება თუ ღრმააზროვანი საფუძვლიანობა. როცა რომელიმე ჩვენგანი შეუდგება იმის გადმოცემას, რაც მისი აზრით, ახალ დოქტრინას წარმოადგენს, ის აუცილებლად მიიჩნევს უწინარეს ყოვლისა დაამუშაოს ის ყოვლის შემცველი სისტემის სახით. მან უნდა დაამტკიცოს, რომ როგორც ლოგიკის პირველი პრინციპები, ისე სამყაროს ძირითადი კანონები იმთავითვე არსებობდნენ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ბოლოს და ბოლოს მივეყვანეთ ახლად აღმოჩენილ და ყოვლის დამაგვირგვინებელ თეორიამდე. ამ მხრივ დ-რი დიურინგი სავსებით ნაციონალურ თარგზეა აჭრილი. არც მეტი, არც ნაკლები — «სისტემა ფილოსოფიისა», სულის, მორალის, ბუნების და ისტორიის ფილოსოფიისა, სრული «სისტემა პოლიტიკური ეკონომიის და სოციალიზმისა» და, ბოლოს, «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკული ისტორია» — სამი სქელი ტომი მერვედი ფურცლის ზომისა, მძიმე როგორც წონით, ისე შინაარსით, სამი საარმიო კორპუსი დამამტკიცებელი საბუთებისა, მობილიზებული საერთოდ წინანდელი ფილოსოფოსებისა და ეკონომისტების და განსაკუთრებით მარქსის წინააღმდეგ, — პეშმარიტად, ცდა სრული «გადატრიალებისა მეცნიერებაში» — აი რასთან მომიხდა საქმის დაჭერა. მე იძულებული ვიყავი მემსჯელა ყველა და ყოველგვარ საგანზე: დროისა და სივრცის კონცეპციებიდან ბიმეტალიზმამდე; მატერიისა და მოძრაობის მარადიულობიდან მორალური იდეების გარდამავალ ბუნებამდე; დარვინის ბუნებრივი შერჩევიდან მომავალ საზოგადოებაში ახალგაზრდობის აღზრდამდე. ყოველ შემთხვევაში ჩემი მოწინააღმდეგის ყოვლის შემცველი სისტემა საბაბს მაძლევდა მასთან პოლემიკაში განმემარტა მარქსის და ჩემი შეხედულებანი ყველა ამ სხვადასხვაგვარ საგანზე, თან გაცილებით უფრო მთლიანი სახით, ვიდრე ოდესმე წინათ. სწორედ ეს იყო იმის მთავარი მიზეზი, რამაც მაიძულა ხელი მოვეკიდა ამ, სხვა მხრივ უმადლიერო, ამოცანისათვის.

ჩემი პასუხი ჯერ გამოქვეყნდა სტატიების სახით ლაიპციგის «Vorwärts»-ში — სოციალისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოში[1],

[1] «Vorwärts» — («წინ») გოდას გამაერთიანებელი ყრილობის შემდეგ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ლაიპციგში 1876—1878 წ. წ. რ ე დ.

ხოლო შემდეგ — წიგნად: «გადატრიალება მეცნიერებაში, მოხდენილი ბ-ნი ევგენი დიურინგის მიერ», რომლის მეორე გამოცემა ციურიხში გამოვიდა 1886 წელს.

ჩემი მეგობრის პოლ ლაფარგის — ამჟამად საფრანგეთის პალატაში ლილის დეპუტატის — თხოვნით მე ამ წიგნის სამი თავიდან შევადგინე ბროშურა, რომელიც მან გადათარგმნა და გამოსცა 1880 წ. სახელწოდებით: «უტოპიური სოციალიზმი და მეცნიერული სოციალიზმი». ეს ფრანგული ტექსტი დაედო საფუძვლად პოლონურ და ესპანურ გამოცემებს. 1883 წ. ჩვენმა გერმანელმა მეგობრებმა ბროშურა გამოაქვეყნეს იმ ენაზე, რომელზედაც ის თავდაპირველად იყო დაწერილი. შემდეგ ამ გერმანული ტექსტიდან გადაითარგმნა იტალიურად, რუსულად, დანიურად, ჰოლანდიურად და რუმინულად. ამრიგად, ამ ინგლისური გამოცემის ჩათვლით, ეს ბროშურა გავრცელებულია ათ ენაზე. მგონია, არც ერთი სოციალისტური ნაწარმოები, ჩვენი პირველად 1848 წ. გამოცემული «კომუნისტური მანიფესტის» და მარქსის «კაპიტალის» გამოუკლებლადაც კი, არ ყოფილა ამდენჯერ გადათარგმნილი. გერმანიაში ბროშურა ოთხჯერ გამოვიდა, დაახლოებით 20000 ცალი საერთო ტირაჟით.

დამატება «მარკა»[1] დაიწერა იმ მიზნით, რომ გერმანიის სოციალისტურ პარტიაში გავრცელებულიყო ზოგიერთი ელემენტარული ცნობა გერმანიაში მიწის საკუთრების წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესახებ. იმ დროს ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ ქალაქის მუშების გაერთიანება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ უკვე მტკიცედ ადგა დამთავრების გზას, და პარტიის წინაშე დაისვა ამოცანა სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და გლეხებისადმი ყურადღების მიქცევისა. ეს დამატება დაერთო გამოცემას იმ მოსაზრებათა გამო, რომ მიწათმფლობელობის პირველყოფილი ფორმები, რომლებიც საერთოა ქვეტევტონურ ტომებს, და მათი დაშლის ისტორია კიდევ უფრო ნაკლებ ცნობილია ინგლისში, ვიდრე გერმანიაში. ტექსტი მე პირვანდელი სახით დავტოვე და არ შევეხე ჰიპოთეზას, ამას წინათ წამოყენებულს მაქსიმ კოვალევსკის მიერ, რომლის თანახმად მარკის წევრებს შორის სახნავი და მდელო მინდვრების დანაწილებას

[1] «მ ა რ კ ა» — ძველგერმანული თემი. ენგელსმა ამ სათაურით მოათავსა ბროშურის «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ» პირველი გერმანული გამოცემის დამატებაში მოკლე ნარკვევი გერმანიის გლეხთა ისტორიისა უძველესი დროიდან. რ ე დ.

წინ უსწრებდა ამ მიწის საერთო დამუშავება თემის დიდი პატრიარქალური ოჯახის მიერ, რომელიც რამდენიმე თაობას მოიცავდა (რის მაგალითად გამოდგება ჯერ კიდევ არსებული სამხრეთ-სლავური ზადრუგა); შემდეგში კი, როდესაც თემი გაიზარდა და მეტისმეტად დიდი გახდა მეურნეობის საერთო წარმართვისათვის, მოხდა თემის მიწების დანაწილება. კოვალევსკი, ალბათ, სავსებით მართალია, მაგრამ საკითხი ჯერ კიდევ sub judice [1] იმყოფება.

ამ წიგნში ნახმარი ეკონომიური ტერმინები, რამდენადაც ისინი ახალია, ემთხვევა მარქსის «კაპიტალის» ინგლისური გამოცემის ტერმინოლოგიას. «სასაქონლო წარმოებაში» ჩვენ ვგულისხმობთ ეკონომიური განვითარების იმ ფაზას, როდესაც საგნები მზადდება არა მარტო მწარმოებელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ გაცვლის მიზნითაც, ე. ი. მზადდება საქონლის და არა სახმარ ღირებულებათა სახით. ეს ფაზა მას აქეთ არსებობს, რაც დაიწყო წარმოება გაცვლისათვის და გრძელდება თვით ჩვენ დრომდე; თავის სრულ განვითარებას ის აღწევს მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების დროს, ე. ი. იმ პირობებში, როცა კაპიტალისტი, საწარმოო საშუალებათა მესაკუთრე, ხელფასით ქირაობს მუშებს, — ადამიანებს, რომელნიც ყოველგვარ საწარმოო საშუალებას არიან მოკლებულნი, გარდა თავიანთი საკუთარი სამუშაო ძალისა, — და ჯიბეში იდებს პროდუქტთა გასაყიდი ფასის გარდამეტს, დარჩენილს ხარჯების დაფარვის შემდეგ. მრეწველობის ისტორიას, შუა საუკუნეებიდან მოკიდებული, ჩვენ სამ პერიოდად ვყოფთ: 1) ხელოსნობა, წვრილი ოსტატხელოსნები მათი მცირერიცხოვანი ქარგლებით და შეგირდებით, როცა თვითეული მუშაკი საგანს მთლიანად ამზადებს; 2) მანუფაქტურა, როცა ერთ ფართო საწარმოში თავმოყრილ მუშათა უფრო დიდი რაოდენობა ამზადებს მთელ საგანს შრომის დანაწილების პრინციპის მიხედვით ე. ი. თვითეული მუშა ერთ რომელიმე ნაწილობრივ ოპერაციას ასრულებს, ასე რომ პროდუქტი მზადაა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან თანამიმდევრულად გაიარა ყველას ხელში; 3) თანამედროვე მრეწველობა, როცა პროდუქტი მზადდება მანქანით, რომელიც მოძრაობაში მოყავს რაიმე ძალას, ხოლო მუშის როლი ისაზღვრება მექანიზმის მოქმედების მეთვალყურეობით და მისი რეგულირებით.

მე მშვენიერად ვიცი, რომ ამ ბროშურის შინაარსი დიდად გაანაწყენებს ბრიტანელი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს. მაგ-

[1] მსჯელობის, დისკუსიის სტადიაში. რედ.

რამ ჩვენ, კონტინენტის მცხოვრებთ, რომ მცირეოდენი ანგარიში გაგვეწია ბრიტანული «რესპექტაბელობის», ე. ი. ბრიტანული ფილისტერობის ცრურწმენათათვის, საქმე კიდევ უფრო უარესად იქნებოდა, ვიდრე ახლაა. ეს ბროშურა იცავს იმას, რასაც ჩვენ «ისტორიულ მატერიალიზმს» ვუწოდებთ, ხოლო სიტყვა მატერიალიზმი ბოიტახელ ბკითხველთა უდიდესი უმრავლესობის სმენას ეჩოთირება. «აგნოსტიციზმი»[1] კიდევ ჰო, მაგრამ მატერიალიზმი — ყოვლად დაუშვებელი ამბავია.

მიუხედავად ამისა, დაწყებული XVII საუკუნიდან, მთელი თანამედროვე მატერიალიზმის თავდაპირველ სამშობლოს სწორედ ინგლისი წარმოადგენს.

«მატერიალიზმი — დიდი ბრიტანეთის ღვიძლი შვილია. უკვე მისი სქოლასტიკოსი დუნს სკოტი ეკითხებოდა თავის თავს: ხომ არ შეუძლია მატერიას აზროვნებაო?

«ამ სასწაულის მოსახდენად იგი შეღალადებდა ღმერთის ყოვლის შემძლეობას, ე. ი. მან თვით თეოლოგიას დააწყებინა მატერიალიზმის ქადაგება. გარდა ამისა იგი ნომინალისტი[2] იყო. ნომინალიზმი მთავარ ელემენტს წარმოადგენს ინგლისელი მატერიალისტების აზროვნებაში და საერთოდ იგი მატერიალიზმის პირველი გამოხატულებაა.

«ინგლისური მატერიალიზმის ნამდვილი მამამთავარი ბეკონია. მისთვის უშმარიტი მეცნიერება ბუნებისმეტყველებაა, ხოლო გრძნობად ცდაზე დამყარებული ფიზიკა ბუნებისმეტყველების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მის ავტორიტეტებად ხშირად გამოდიან ანაქსაგორი თავისი ჰომეომერიებითა და დემოკრიტე — თავისი ატომებით. მისი მოძღვრების თანახმად გრძნობები უცდომელნი არიან და ყოველი ცოდნის წყაროს წარმოადგენენ. მეცნიერება ცდაზეა დამყარებული და იმაში მდგომარეობს, რომ რაციონალური აზროვნება გამოიყენოს გრძნობადი მონაცემის მიმართ. ინდუქცია, ანალიზი, შედარება, დაკვირვება, ცდის მოხდენა რაციონალური მეთოდის მთავარ პირობებს წარმოადგენენ. მატერიის თანდაყოლილ თვისებებს შორის უპირველესი და უმთავრესი არის მოძრაობა, არა მარტო რო-

[1] აგნოსტიციზმი — ბერძნული სიტყვიდან: ა — არ, გნოსის — ცოდნა. აგნოსტიკოსი აღიარებს მატერიალურ საგანთა არსებობას, მაგრამ უარყოფს მათ შეცნობადობას. რედ.

[2] ნომინალიზმი — ლათინური სიტყვიდან: ნომენ-სახელი — მიმართულება შუა საუკუნეების ფილოსოფიაში, რომლის მიმდევრებიც ამტკიცებდნენ, რომ ზოგადი გვარეობითი ცნებანი ეს მხოლოდ მსგავს ნივთთა სახელებია. რედ.

გორც მექანიკური და მათემატიკური მოძრაობა, არამედ კიდევ უფრო როგორც მისწრაფება, ცხოველი სული, დაძაბვა, — ანდა, მატერიის Qual («ტანჯვა»), [1] იაკობ ბემეს გამოთქმა რომ ვიხმაროთ. მატერიის პირველადი ფორმები არის ცხოველი, მისი თანდაყოლილი და ყოფიერების სპეციფიკურ ინდივიდუალურ განსხვავებათა გამომწვევი ძალები.

«თავისი პირველი შემოქმედის — ბეკონის აზროვნებაში მატერიალიზმი გულუბრყვილო ფორმით ყოველმხრივი განვითარების ჩანასახებს შეიცავს. ერთი მხრივ, მატერია «პოეტურ» გრძნობად ელვარებაში ალერსიანად უღიმის მთელ ადამიანს. მეორე მხრივ, თვით დოქტრინა, აფორიზმის ფორმით გამოთქმული, პირიქით, თეოლოგიური არათანმიმდევრობითაა აღსავსე.

«თავის შემდგომ განვითარებაში მატერიალიზმი ცალმხრივი ხდება. ჰობსი ბეკონის მატერიალიზმის სისტემატიკოსია. გრძნობადობა თავის სურნელებას ჰკარგავს და გეომეტრის აბსტრაქტულ გრძნობადობად იქცევა. ფიზიკური მოძრაობა მსხვერპლად ეწირება მექანიკურ ან მათემატიკურ მოძრაობას, გეომეტრია მთავარ მეცნიერებად ცხადდება. მატერიალიზმი ადამიანისადმი მტრულად განწყობილი ხდება. რათა მატერიალიზმმა ადამიანისადმი მტრულად განწყობილი უხორცო სული მის საკუთარ სფეროში დასძლიოს, მან თვით თავისი სხეული უნდა დათრგუნოს და ასკეტი გახდეს. იგი გამოდის როგორც გონიერი არსება, და ის კიდეც ულმობელი თანამიმდევრობით ანვითარებს გონების დასკვნებს.

«თუ გრძნობადობა ადამიანის ყველა ცოდნის წყაროს წარმოადგენს, — ამტკიცებს ჰობსი, ბეკონიდან გამომდინარე, — განჭვრეტა, აზრი, წარმოდგენა და სხვ. — სხვა არაფერია, თუ არ გრძნობადი ფორმისაგან მეტად თუ ნაკლებად განძარცული სხეულებრივი ქვეყნიერების ფანტომები. მეცნიერებას მხოლოდ ამ ფანტომების სახელწოდების მოცემა შეუძლია. ერთი და იგივე სახელწოდება შეიძლება მრავალი ფანტომისათვის გამოვიყენოთ, შეიძლება სახელთა სახელიც არსებობდეს. მაგრამ წინააღმდეგობა იქნებოდა, რომ,

[1] «Qual» — ეს სიტყვის ფილოსოფიური თამაშია. Qual სიტყვასიტყვით ნიშნავს ტანჯვას, ტკივილს, რომელიც რაიმე მოქმედებას ჩაგვადენინებს. ამავე დროს მისტიკოს ბემეს ამ გერმანულ სიტყვაში შეაკვს რაღაც ლათინური qualitas-განაც (თვისება). მისი «Qual», — წინააღმდეგ გარედან მიყენებული ტკივილისა, — აქტიური საწყისია, რომელიც იბადება მისდამი დაქვემდებარებული და თავის მხრივ მისი გამომწვევი ნივთის, ურთიერთობის ან პიროვნების თვითნებური განვითარებიდან». (ენგელსის შენიშვნა ინგლისური გამოცემისათვის).

ერთი მხრივ, ყველა იდეის წყარო გრძნობად ქვეყანაში გვეძებნა, ხოლო, მეორე მხრივ, გვემტკიცებინა — სიტყვა მეტია, ვიდრე უბრალო სიტყვა, როცა გარდა წარმოდგენაში ასახული, ინდივიდუალური არსებებისა კიდევ ზოგადი არსებებიც არიანო. უსხეულო სუბსტანცია, პირიქით, ისეთივე წინააღმდეგობაა, როგორც უსხეულო სხეული. სხეული, ყოფიერება, სუბსტანცია ერთი და იგივე რეალური იდეაა. შეუძლებელია აზრის გამოთიშვა მატერიისაგან, რომელიც აზროვნებს. მატერია ყველა ცვლილების სუბიექტია. სიტყვა «უსასრულო» უაზროა, თუ იგი არ აღნიშნავს ჩვენი გონის უნარს დაუსრულებლივ აწარმოოს მიმატება რომელიმე მოცემული სიდიდისადმი. რადგან მხოლოდ მატერიალურის აღქმა და შეცნობა შეიძლება, ამიტომ არაფერი ვიცით ღვთის არსებობის შესახებ. მხოლოდ ჩემი საკუთარი არსებობაა უეჭველი. ყოველი ადამიანური მისწრაფება მექანიკური მოძრაობაა, რომელიც თავდება ან იწყება. მისწრაფებათა ობიექტი — აი ის, რასაც ჩვენ სიკეთეს ვეძახით. ადამიანი იმავე კანონებს ექვემდებარება, რასაც ბუნება. ძალა და თავისუფლება იდენტურია.

«ჰობსმა სისტემაში მოიყვანა ბეკონი, მაგრამ ყოველმხრივ არ დაუსაბუთებია მისი ძირითადი პრინციპი — ცოდნათა და იდეათა წარმოშობა გრძნობადი სამყაროდან.

«ბეკონის და ჰობსის ეს პრინციპი ლოკმა დაასაბუთა თავის «ცდაში ადამიანის გონების წარმოშობაზე».

«როგორც ჰობსმა ბეკონის მატერიალიზმის თეისტური [1] ცრურწმენანი გაანადგურა, ისე კოლინსმა, დოდუელმა, კოუარდმა, ჰარტლიმ, პრისტლიმ და სხვ. ლოკის სენსუალიზმის უკანასკნელი თეოლოგიური ზღუდე მოშალეს. დეიზმი [2]—ეს მხოლოდ რელიგიიდან თავის დაღწევის მოხერხებული და იოლი საშუალებაა, — ყოველ შემთხვევაში მატერიალისტისათვის»[3].

ასე წერდა კარლ მარქსი თანამედროვე მატერიალიზმის ბრიტანული წარმოშობის შესახებ. და თუ დღეს ინგლისელები ვერ არი-

---

[1] თეიზმი — ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველური მოძღვრება, რომელიც ცნობს სამყაროს შემოქმედს, პიროვნული ღმერთის არსებობას. რედ.

[2] დეიზმი — ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველური მიმართულება, რომელიც უარყოფს პიროვნული ღმერთის არსებობას, მაგრამ სცნობს უპიროვნო ღმერთს, როგორც ყველაფრის პირველ მიზეზს. რედ.

[3] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «წმინდა ოჯახი». ფრანკფურტი—მაინზე, 1845 წ. გვ. 201 — 204 (ენგელსის შენიშვნა) — იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. III, გვ. 157 — 158. რედ.

ან მაინც და მაინც დიდად კმაყოფილნი მათი წინაპრების დამსახურების ამ აღიარებით, ეს მხოლოდ სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს. და მაინც ეჭვს გარეშეა, რომ ბეკონი, ჰობსი და ლოკი იყვნენ მამამთავრები იმ ფრანგი მატერიალისტების ბრწყინვალე სკოლისა, რომელთაც მიუხედავად ყველა გამარჯვებისა, რაც გერმანელებმა და ინგლისელებმა მოიპოვეს ფრანგებზე ხმელეთსა და ზღვაზე, XVIII საუკუნე უმთავრესად ფრანგულ საუკუნედ აქციეს; და ეს ბევრად ადრე საფრანგეთის რევოლუციაზე, რომელმაც ამ საუკუნის ბოლო დააგვირგვინა და რომლის შედეგების გადმონერგვასაც ჩვენ, — როგორც ინგლისში, ისე გერმანიაში, — ჯერ კიდევ ვცდილობთ.

ამის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. როდესაც განათლებული უცხოელი მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში ინგლისში ჩადიოდა საცხოვრებლად, მას ყველაზე უფრო ეცემოდა თვალში, — სხვანაირად არც შეეძლო აეხსნა ეს, — ინგლისის «რესპექტაბელური» საშუალო კლასის სარწმუნოებრივი ფარისევლობა და სიჩლუნგე. ჩვენ მაშინ ყველანი მატერიალისტები ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან რადიკალური თავისუფალი მოაზროვნენი ვიყავით; ჩვენთვის გაუგებარი იყო ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა განათლებულ ადამიანს ინგლისში სწამდა სხვადასხვა წარმოუდგენელი სასწაული, და თვით გეოლოგებიც კი, როგორიც ბეკლენდი და მანტელი იყვნენ, ამახინჯებდნენ თავიანთი მეცნიერების ფაქტებს, რათა ძალიან მკვეთრად არ დაშორებოდნენ მოსეს ლეგენდის მითებს ქვეყნიერების შექმნის შესახებ. ჩვენთვის გაუგებარი იყო ის, რომ ისეთი ადამიანების აღმოსაჩენად, რომელნიც ბედავდნენ სარწმუნოებრივ საკითხებშიც საკუთარ გონებაზე დაყრდნობას, საჭირო იყო მისვლა გაუნათლებელ მასასთან, «პირდაუბანელ ბრბოსთან», როგორც მაშინ ამბობდნენ, — მუშებთან, განსაკუთრებით, რობერტ ოუენის მიმდევარ სოციალისტებთან.

მაგრამ მას შემდეგ ინგლისი ეზიარა «ცივილიზაციას». 1851 წლის გამოფენა სამგლოვიარო ზარად გაისმა ინგლისის კუნძულის კარჩაკეტილობისათვის. ინგლისი თანდათან ინტერნაციონალიზირდებოდა როგორც სმა-ჭამის, ისე ზნე-ჩვეულებების და წარმოდგენების სფეროში; ამ მხრივ იგი ისე შორს წავიდა, რომ მე სულ უფრო და უფრო ვიმსჭვალები სურვილით, რომ ზოგიერთმა ინგლისურმა ჩვეულებამ კონტინენტზე ისეთივე საყოველთაო გამოყენება ჰპოვოს, როგორც კონტინენტის ზოგიერთმა ჩვეულებებმა ჰპოვა ინგლისში. ეჭვს გარეშეა ერთი რამ: პროვანსის ზეთის (რომელიც

1851 წლამდე ცნობილი იყო მხოლოდ არისტოკრატიისათვის) გავრცელებას თან ახლდა სარწმუნოებრივ საკითხებში კონტინენტური სკეპტიციზმის საბედისწერო გავრცელება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აგნოსტიციზმი, თუმცა იგი ჯერ კიდევ არ ითვლება ისეთივე კეთილშობილად, როგორც ინგლისური სახელმწიფო ეკლესია, მაინც რესპექტაბელობის მხრივ თითქმის ერთ საფეხურზე დგას ბაპტისტურ სექტასთან და ყოველ შემთხვევაში უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება, ვიდრე «ხსნის არმია». და მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრისთვის, ვინც გულით და სულით სწუხს და წყევა-კრულვით იხსენიებს ურწმუნოების პროგრესს, სანუგეშო იქნება გაიგოს, რომ ეს ახლად გამომცხვარი იდეები არ არიან უცხოური წარმოშობისა, არ ატარებენ მარკას «Made in Germany»—დამზადებულია გერმანიაში,—როგორც სხვა მრავალი ყოველდღიურად სახმარი საგანი; რომ ისინი, პირიქით, ძველი ინგლისური წარმოშობის არიან და მათი ბრიტანელი მამამთავარნი ჯერ კიდევ ორასი წლის წინათ ბევრად უფრო შორს მიდიოდნენ, ვიდრე მათი ახლანდელი შთამომავალნი.

მართლაც. რა არის აგნოსტიციზმი, თუ არა მორცხვი მატერიალიზმი? აგნოსტიკოსის შეხედულება ბუნებაზე ერთიანად მატერიალისტურია. მთელ ბუნებრივ სამყაროს განაგებენ კანონები და ყოველგვარი ზემოქმედება გარედან აბსოლუტურად გამორიცხულია. მაგრამ, — უმატებს ფრთხილად აგნოსტიკოსი, —ჩვენ არ ძალგვიძს დავამტკიცოთ რომელიმე უმაღლესი არსების არსებობა ან არარსებობა ჩვენთვის ცნობილ სამყაროს მიღმაო. ამ დათქმას შეეძლო ღირებულება ჰქონოდა იმ დროს, როცა ლაპლასმა ნაპოლეონის შეკითხვაზე — ამ დიდებული ასტრონომის «ციურ მექანიკაში»[1] რატომ არც ერთხელ არ არის მოხსენებული ქვეყნის შემოქმედის სახელიო, — ამაყად უპასუხა: «Je n' avais pas besoin de cette hypothèse»[2]. დღეს კი ჩვენი წარმოდგენა სამყაროზე მის განვითარებაში სრულიად არ უტოვებს ადგილს არც შემოქმედსა და არც ყოვლისმპყრობელს. აღიარება რაღაც უმაღლესი არსებისა, რომელიც გამორიცხულია მთელი არსებული სამყაროდან, თავისთავად იქნებოდა წინააღმდეგობა და, გარდა ამისა, მგონია, მორწმუნე ადამიანთა გრძნობების დაუმსახურებელი შეურაცხყოფა.

---

[1] Laplace P. S., Traité de mécanique céleste. ტ I—V. პარიზი, 1799—1825 წ. რ ე დ.

[2] «არ მესაჭიროებოდა ასეთი ჰიპოთეზა». რ ე დ.

ჩვენი აგნოსტიკოსი აგრეთვე გვეთანხმება იმაში, რომ მეელი ჩვენი ცოდნა დამყარებულია იმ მონაცემებზე, რომელთაც ვღებულობთ ჩვენი გრძნობების საშუალებით. მაგრამ, — დასძენს იგი, — საიდან ვიცით, გვაძლევენ თუ არა ჩვენი გრძნობები მათი საშუალებით აღქმულ ნივთთა სწორ ანარეკლს. და იგი განაგრძობს, რომ როდესაც ის ლაპარაკობს ნივთებზე ან მათს თვისებებზე, სინამდვილეში მხედველობაში აქვს არა თვით ეს ნივთები და მათი თვისებები, რომელთა შესახებაც მას არაფერი არ შეუძლია დანამდვილებით იცოდეს, არამედ მხოლოდ ის შთაბეჭდილებანი, რომლებიც მათ მის გრძნობებზე მოახდინეს. ეს, რასაკვირველია, მსჯელობის იმგვარი წესია, რომლის დარღვევა მარტო არგუმენტებით არც ისე ადვილია. მაგრამ ადამიანები სანამ არგუმენტირებას დაიწყებდნენ, მოქმედებდნენ. «პირველიდან იყო საქმე». და ადამიანთა საქმიანობამ უკვე გადასჭრა ეს სიძნელე იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ადამიანური სიბრძნე მას აღმოაჩენდა. The proof of the pudding is in the eating[1]. იმ მომენტში, როდესაც ჩვენს სასარგებლოდ ვაქცევთ ამ ნივთებს ჩვენ მიერ მათში აღქმული თვისებების თანახმად, — შეუცდომელ გამოცდას ვუკეთებთ ჩვენ გრძნობად აღქმათა სისწორეს თუ უსწორობას. თუ ეს აღქმანი უსწორონი იყვნენ, მაშინ ჩვენი მსჯელობაც მოცემული ნივთის გამოსადეგობის შესახებ უსწორო უნდა იყოს, და ჩვენი ამ ნივთის გამოყენების ყოველგვარი ცდა აუცილებლად დამარცხდება, ხოლო თუ მიზანს ვაღწევთ, თუ ჩვენ ვხედავთ, რომ ნივთი შეესაბამება ჩვენ წარმოდგენას მასზე, რომ იგი ასრულებს იმას, რისთვისაც ჩვენ ის გამოვიყენეთ, — მაშინ ეს იქნება იმის დადებითი დამამტკიცებელი საბუთი, რომ ამ ფარგლებში ჩვენი აღქმანი ნივთისა და მისი თვისებებისა შეესაბამება ჩვენს გარეშე არსებულ სინამდვილეს. თუ კი, პირიქით, ვხედავთ, რომ ჩვენ შევცდით, უმეტეს ნაწილად ბევრი დრო არაა საჭირო შეცდომის მიზეზის გამოსარკვევად. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ცდის საფუძვლად დადებული აღქმა ან თვითონაა უსრული და ზერელე, ან იგი სხვა აღქმათა შედეგებთან იმგვარი წესითაა გადაჯაჭვული, რომელიც არ მართლდება საქმის მდგომარეობით; ამას ჩვენ მცდარ დასკვნას ვუწოდებთ. სანამ ჩვენ სწორად ვავითარებთ ჩვენ გრძნობებს, სწორად ვსარგებლობთ ამ გრძნობებით და ვმოქმედებთ სწორად მიღებულ და გამოყენებულ აღქმათა მიერ დამყარებულ ფარგლებში, — მანამ ჩვენ ყოველთვის ვრწმუნდებით,

[1] პუდინგის გასინჯვა მდგომარეობს იმაში, რომ მას ჭამენ. რ ე დ.

რომ ჩვენი მოქმედების შედეგი დამამტკიცებელია ჩვენი აღქმების დამთხვევისა აღქმულ ნივთების საგნობრივ ბუნებასთან. რამდენადაც ჩვენ დღემდე ვიცით, არც ერთ შემთხვევაში ჩვენ არ ვყოფილვართ იძულებული მივსულიყავით იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი მეცნიერულად შემოწმებული გრძნობადი აღქმანი ჰქმნიან ჩვენს ტვინში ისეთ წარმოდგენას გარეშე სამყაროზე, რომელიც თავისი ბუნებით უხვევს ამ სინამდვილეს, — ან რომ გარეშე სამყაროსა და ამ სამყაროს ჩვენს გრძნობად აღქმათა შორის თანდაყოლილი შეუთანხმებლობა არსებობს.

მაგრამ აქ გამოდის ნეოკანტიანელი აგნოსტიკოსი და ამბობს: დიახ, შესაძლებელია ჩვენ ძალგვიძს ნივთის თვისებათა სწორად აღქმა, მაგრამ თვით ნივთს ჩვენ ვერავითარი, ვერც გრძნობადი და ვერც აზროვნული პროცესით ვერ ჩავწვდებით. ეს ნივთი «თავისთავად» ჩვენი შემეცნების მიღმა ძევს. ამაზე დიდი ხანია უკვე ჰეგელმა გასცა პასუხი: თუ თქვენ ნივთის ყველა თვისება იცით, თქვენ იცით აგრეთვე თვით ნივთიც; მაშინ რჩება მხოლოდ გაშიშვლებული ფაქტი, რომ დასახელებული ნივთი არსებობს ჩვენს გარეშე, და როგორც კი თქვენმა გრძნობებმა დაადასტურეს ეს ფაქტიც, თქვენ ჩასწვდით ამ ნივთს საესებით, — მისწვდით კანტის ცნობილ შეუცნობად ნივთს თავისთავად. დღეს ჩვენ შეგვიძლია ამას დავუმატოთ მხოლოდ, რომ კანტის ხანაში ჩვენი შემეცნება ბუნებრივი ნივთებისა ჯერ ისევ იმდენად ფრაგმენტული იყო, რომ თვითეული მათგანის იქით შეიძლებოდა კიდევ დაგვეშვა განსაკუთრებული საიდუმლოებით აღსავსე ნივთი თავისთავად. მაგრამ მას შემდეგ, მეცნიერების გიგანტური პროგრესის მეოხებით, ამ მიუწვდომელ ნივთებს ერთი მეორეზე უკვე ჩასწვდნენ, გააანალიზეს და კიდევ მეტი — მათი რეპროდუქციაც მოახდინეს. ხოლო რის გ ა კ ე თ ებ ა ც ჩვენ შეგვიძლია, იმას, რასაკვირველია, არ შეგვიძლია შეუცნობადი ვუწოდოთ. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქიმიისათვის ორგანული ნივთიერებანი ასეთ საიდუმლოებით აღსავსე საგნებს წარმოადგენდნენ. ახლა ჩვენ ვახერხებთ ერთი მეორეზე მათ მიღებას ქიმიური ელემენტებისაგან ორგანული პროცესების დაუხმარებლადაც. თანამედროვე ქიმია აცხადებს: თუ კი ამა თუ იმ სხეულის ქიმიური შემადგენლობა ცნობილია, იგი შეიძლება შედგენილ იქნეს მისი ელემენტებისაგანო. მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან შორსა ვართ უმაღლეს ორგანულ ნივთიერებათა, ეგრეთწოდებულ ცილოვან სხეულთა შემადგენლობის ზუსტი ცოდნისაგან; მაგრამ არავითარი საბუთი არა გვაქვს დავეჭვდეთ, რომ ჩვენ საუკუნეების შემ-

დეგაც ვერ მივაღწევთ ამ ცოდნას და მისი შემწეობით ვერ მივიღებთ ხელოვნურ ცილას. ხოლო თუ ჩვენ ამას მივაღწევთ, მაშინ ამასთან ერთად შეგვეძლება შევქმნათ ორგანული სიცოცხლე. ვინაიდან სიცოცხლე მისი უმდაბლესი ფორმებიდან უმაღლესამდე სხვა არაფერია, თუ არ ცილოვან სხეულთა არსებობის ნორმალური სახე.

მაგრამ ჩვენი აგნოსტიკოსი, გააკეთა რა მან ერთხელ თავისი ფორმალური შენიშვნები, ლაპარაკობს და მოქმედებს სავსებით ისე, როგორც პირწავარდნილი მატერიალისტი, რომელსაც იგი არსებითად წარმოადგენს. მან შეიძლება თქვას: რამდენადაც ჩ ვ ე ნ ვიცით, მატერია და მოძრაობა ან, როგორც ახლა ლაპარაკობენ, ენერგია, არ შეიძლება შეიქმნას ან მოისპოს, მაგრამ ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ერთიც და მეორეც არ ყოფილიყოს შექმნილი რომელიმე უცნობ დროსო. მაგრამ როგორც კი შეეცდებით რამენაირად გამოიყენოთ მის წინააღმდეგ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში ეს აღიარება, ის მაშინვე ჩაგაჩუმებთ. თუ ის in abstracto[1] უშვებს სპირიტუალიზმის შესაძლებლობას, in concreto[2] მას გაგონებაც არ სურს ამ შესაძლებლობაზე. იგი გეტყვით: რამდენადაც ვიცით და შეგვიძლია ვიცოდეთ, არ არსებობს სამყაროს არავითარი შემქმნელი ან ყოვლისმპყრობელი; რამდენადაც ჩვენ ვიცით, ისევე შეუძლებელია მატერიისა და ენერგიის შექმნა, როგორც მათი მოსპობა. ჩვენთვის აზროვნება — მხოლოდ ენერგიის ფორმაა, ტვინის ფუნქციაა: ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით, მდგომარეობს იმაში, რომ მატერიალურ სამყაროს განაგებენ უცვლელი კანონები და სხვ. და სხვა. მაშასადამე, რამდენადაც იგი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ადამიანია, რამდენადაც მან ი ც ი ს რამე, იმდენად ის მატერიალისტია; ხოლო თავისი მეცნიერების გარეშე, იმ დარგებში, რომლებიც მისთვის უცხოა, იგი თავის უცოდინარობას ბერძნულად სთარგმნის და მას აგნოსტიციზმს უწოდებს.

ყოველ შემთხვევაში ეჭვს გარეშეა ერთი რამ: აგნოსტიკოსიც რომ ვიყო, ამ ბროშურაში განმარტებულ შეხედულებას ისტორიაზე მაინც ვერ ვუწოდებდი «ისტორიულ აგნოსტიციზმს». მორწმუნე ადამიანები დამცინებდნენ, ხოლო აგნოსტიკოსები აღშფოთებით შემეკითხებოდნენ: ნუთუ მე მათი სასაცილოდ აგდება მსურს? და

[1]—საბრთოდ, განყენებულად. რ ე დ.
[2]—კონკრეტულ შემთხვევაში. რ ე დ.

მე ვიმედოვნებ, რომ აგრეთვე ბრიტანული «რესპექტაბელობა», რომელსაც გერმანულად ფილისტერობა ეწოდება, დიდად არ იქნება აღშფოთებული, თუ ინგლისურ ენაზე, ისე როგორც სხვა მრავალ ენაზე, ვიხმარ გამოთქმას «ისტორიულ მატერიალიზმს» და ამ ტერმინით აღვნიშნავ იმ შეხედულებას მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე, რომელიც ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის საბოლოო მიზეზს და გადამწყვეტ მამოძრავებელ ძალას ხედავს საზოგადოების ეკონომიურ განვითარებაში, წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის წესების ცვლილებაში, საზოგადოების აქედან გამომდინარე დაყოფაში სხვადასხვა კლასებად და ამ კლასების ურთიერთ შორის ბრძოლაში.

შესაძლებელია მე კიდევ უფრო შეწყნარებით მომეპყრან, თუ დავამტკიცებ, რომ ისტორიული მატერიალიზმი შეიძლება სასარგებლო გამოდგეს ბრიტანელი ფილისტერის რესპექტაბელობისათვისაც კი. მე მივუთითე იმ ფაქტზე, რომ ორმოცი თუ ორმოცდაათი წლის წინათ ყოველ განათლებულ უცხოელს, რომელიც ინგლისში სახლდებოდა, არასასიამოვნოდ აოცებდა ის, რაც მას უნდა მოჩვენებოდა ინგლისის «რესპექტაბელური» საშუალო კლასის სარწმუნოებრივ ფარისევლობად ან შეზღუდულობად. ახლა მე დავამტკიცებ, რომ იმ დროის ინგლისის რესპექტაბელური საშუალო კლასი არც ისე სულელი იყო, როგორც ეს ეჩვენებოდა ინტელიგენტ უცხოელს. ამ კლასის სარწმუნოებრივ მისწრაფებას თავისი ახსნა აქვს.

როდესაც ევროპა შუა საუკუნეების ხანიდან გამოვიდა, მის რევოლუციურ ელემენტს წარმოადგენდა ქალაქის აღმავალი ბურჟუაზია. საყოველთაოდ აღიარებული მდგომარეობა, რომელიც მან მოიპოვა შუასაუკუნოებრივი ფეოდალური წყობილების შიგნით, მეტად ვიწრო შეიქნა გაფართოებისადმი მისი მისწრაფებისათვის. ბურჟუაზიის თავისუფალი განვითარება უკვე შეუთავსებელი შეიქნა ფეოდალურ წყობილებასთან, ფეოდალური სისტემა უნდა დაცემულიყო.

ფეოდალური სისტემის დიდ ინტერნაციონალურ ცენტრს კი წარმოადგენდა რომის კათოლიკური ეკლესია. მიუხედავად ყოველგვარი შინაური ომებისა, ეს ეკლესია მთელ დასავლეთ ევროპას აერთიანებდა ერთ უზარმაზარ პოლიტიკურ მთელად, რომელიც წინააღმდეგობაში იმყოფებოდა როგორც ბერძნულ სქიზმატურ, ისე მაჰმადიანურ ქვეყნებთან. ფეოდალური წყობილება მან ღვთაებრივი მადლის წმინდა შარავანდედით შემოსა. თავისი საკუთარი იერარქია მან მოაწყო ფეოდალური იერარქიის მსგავსად, და ბო-

ლოს იგი წარმოადგენდა ყველაზე უფრო მსხვილ ფეოდალურ მფლობელს, ვინაიდან მას ეკუთვნოდა მთელი კათოლიკური მიწათმფლობელობის მესამედი მაინც. სანამ საერო ფეოდალიზმთან ბრძოლა დაიწყებოდა ცალკ-ცალკე თვითეულ ქვეყანაში, აუცილებელი იყო ამ მისი ცენტრალური, საღვთო ორგანიზაციის დანგრევა.

მაგრამ ბურჟუაზიის აყვავებას ფეხდაფეხ მისდევდა მეცნიერების გიგანტური აღმავლობა. განახლდა ინტერესი ასტრონომიისადმი, მექანიკისადმი, ფიზიკისადმი, ანატომიისადმი, ფიზიოლოგიისადმი. თავისი მრეწველობის განსავითარებლად ბურჟუაზიას ესაჭიროებოდა მეცნიერება, რომელიც გამოიკვლევდა ფიზიკურ სხეულთა თვისებებს და ბუნების ძალთა მოქმედების ფორმებს. ამ დრომდე კი მეცნიერება იყო ეკლესიის მორჩილი მსახური, რომელსაც ნება არ ჰქონდა სარწმუნოების მიერ დადებული საზღვრები გადაელახა: მოკლედ — იგი ყველაფერი იყო, გარდა მეცნიერებისა. ახლა მეცნიერება აღუდგა ეკლესიას; ბურჟუაზია საჭიროებდა მეცნიერებას და ამ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო.

ამნაირად, მე შევეხე მხოლოდ ორ მუხლს, რომელშიაც აღმავალი ბურჟუაზია უნდა შეტაკებოდა არსებულ ეკლესიას. მაგრამ ეს საკმარისი იქნება იმის დასამტკიცებლად, რომ, ჯერ ერთი, კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე დიდი მონაწილეობა მიიღო სწორედ ამ კლასმა, ბურჟუაზიამ; მეორე, რომ ყოველ ბრძოლას ფეოდალიზმის წინააღმდეგ მაშინ უნდა მიეღო სარწმუნოებრივი გამოხატულება, უნდა მიმართულიყო პირველ რიგში ეკლესიის წინააღმდეგ. მაგრამ თუ ბრძოლის ყიჟინა უნივერსიტეტებიდან და ქალაქის საქმიანი ხალხიდან გამოდიოდა, სამაგიეროდ მან აუცილებელი და ძლიერი გამოძახილი ჰპოვა სოფლის მოსახლეობის მასებში, გლეხებში, რომელნიც ყველგან გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ თავიანთი სასულიერო და საერო ფეოდალების წინააღმდეგ და სახელდობრ, ბრძოლას თვით არსებობისათვის.

ევროპის ბურჟუაზიის დიადი ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ უმაღლეს დაძაბულობამდე მივიდა სამ დიდ გადამწყვეტ ბრძოლაში.

პირველი იყო ე. წ. რეფორმაცია გერმანიაში. ლუთერის მოწოდებამ ეკლესიის წინააღმდეგ ამბოხებისადმი გამოიწვია ორი პოლიტიკური აჯანყება: ჯერ დაბალი თავადაზნაურობისა ფრანც ფონ-ზიკინგენის მეთაურობით 1523 წ., ხოლო შემდეგ — გლეხთა დიდი ომი 1525 წელს. ორივე აჯანყება ჩაქრობილ

იქნა უმთავრესად ყველაზე დაინტერესებული პარტიის, ქალაქის ბურჟუაზიის, გაუბედაობის გამო, გაუბედაობისა, რომლის მიზეზებზედაც ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით. ამ მომენტიდან ბრძოლა გადაიქცა შუღლად ცალკეულ თავადებსა და ცენტრალურ საიმპერიო ხელისუფლებას შორის, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ გერმანია 200 წლით ამოიშალა ევროპის პოლიტიკურად აქტიური ერების რიცხვიდან. ლუთერანულმა რეფორმაციამ, ყოველ შემთხვევაში, დაამყარა ახალი სარწმუნოება, და სახელდობრ, ისეთი, როგორიც აბსოლუტურ მონარქიას ესაჭიროებოდა. გერმანიის ჩრდილო-აღმოსავლეთის გლეხებმა ვერც კი მოასწრეს ლუთერანობის მიღება, რომ ისინი თავისუფალი ადამიანებიდან ყმების მდგომარეობამდე იქნენ დაქვეითებულნი.

მაგრამ, სადაც ლუთერი დამარცხდა, იქ გაიმარჯვა კალვინმა. მისი დოგმა შეესაბამებოდა მაშინდელი ბურჟუაზიის ყველაზე გაბედული ნაწილის მოთხოვნებს. მისი მოძღვრება ბედისწერის შესახებ იმ ფაქტის სარწმუნოებრივი გამოხატულება იყო, რომ ვაჭრობის და კონკურენციის სფეროში წარმატება თუ გაკოტრება დამოკიდებულია არა ცალკეულ პიროვნებათა მოქმედებაზე ან ოსტატობაზე, არამედ მათგან დამოუკიდებელ გარემოებებზე. «ამრიგად, განმსაზღვრელია არა ვინმეს ნება ან მოქმედება, არამედ გულმოწყალება» უძლიერესი, მაგრამ შეუცნობელი ეკონომიური ძალებისა. და ეს განსაკუთრებით სწორი იყო ეკონომიური გადატრიალების ეპოქაში, როცა ყველა ძველ სავაჭრო გზასა და ცენტრს აძევებდა ახალი, როცა აღმოჩენილ იქნა ამერიკა და ინდოეთი, როცა თვით ძველთაგანვე პატივცემული ეკონომიური სიმბოლო სარწმუნოებისა — ოქროს და ვერცხლის ღირებულება— შეირყა და დაიმსხვრა. ამასთან კალვინის საეკლესიო წყობილება ერთიანად დემოკრატიული და რესპუბლიკური იყო; ხოლო სადაც უკვე ღვთის სასუფეველი რესპუბლიკური გახდა, განა შეიძლებოდა იქ ამქვეყნიური სამეფოები დარჩენილიყვნენ მეფეების, ეპისკოპოსებისა და ფეოდალების ერთგულ ქვეშევრდომებად? თუ გერმანიაში ლუთერანობა მოხერხებულ იარაღს წარმოადგენდა გერმანიის წვრილი მთავრების ხელში, კალვინიზმმა დაარსა რესპუბლიკა ჰოლანდიაში და ძლიერი რესპუბლიკური პარტიები ინგლისსა და, განსაკუთრებით, შოტლანდიაში.

კალვინიზმში ბრძოლის მზამზარეული თეორია ჰპოვა ბურჟუაზიის მეორე დიდმა აჯანყებამ. ეს აჯანყება მოხდა ინგლისში. მას პირველი ბიძგი მისცა ქალაქის ბურჟუაზიამ, ხოლო საშუალო

გლეხებმა, სოფლის ოლქების იომენრებმა (yeomanry) გამარჯვებამდე მიიყვანეს. საკმაოდ უცნაური რამ არის: სამივე დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციაში გლეხები იძლევიან მებრძოლ არმიას, ისინივე წარმოადგენენ სახელდობრ იმ კლასს, რომელიც მიღწეული გამარჯვების შემდეგ უეჭველად ნადგურდება ამ გამარჯვების ეკონომიური შედეგების გამო. კრომველიდან ასი წლის შემდეგ ინგლისელი იომენრები თითქმის სრულიად გაჰქრნენ. ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ამ იომენრების და ქალაქის პლებეური ელემენტების ჩარევის მეოხებით იქნა მიყვანილი ბრძოლა გადამწყვეტ ბოლომდე და კარლოს I ეშაფოტზე მოხვდა. იმისათვის, რომ ბურჟუაზიას შეძლებოდა მიეღო გამარჯვების ის ნაყოფი მაინც, რომელიც მაშინ უკვე სავსებით მომწიფებული იყო მოსაკრეფად, საჭირო იყო რევოლუცია საგრძნობლად გასცილებოდა ამ მიზანს — სწორედ ისე, როგორც 1793 წ. საფრანგეთში და 1848 წ. გერმანიაში. ჩანს, ასეთია ნამდვილად ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი კანონი.

რევოლუციური მოქმედების ამ სიჭარბეს მოჰყვა გარდუვალი რეაქცია, რომელიც თავის მხრივ, აგრეთვე გასცილდა თავის მიზანს. მთელ რიგ რყევათა შემდეგ, როგორც იქნა, დამყარდა სიმძიმის ახალი ცენტრი, რომელიც ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა შემდგომი განვითარებისათვის. ინგლისის ისტორიის შესანიშნავმა პერიოდმა, რომელიც ფილისტერებმა «დიდი ჯანყის» სახელით მონათლეს, და მისმა მომდევნო ბრძოლებმა თავიანთი დასასრული ჰპოვეს 1689 წლის იმ უმნიშვნელო შედეგში, რომელსაც ლიბერალური ისტორიკოსები «სახელოვან რევოლუციას» უწოდებენ.

ახალ ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა კომპრომისი აღმავალ ბურჟუაზიასა და ყოფილ ფეოდალურ მსხვილ მიწათმფლობელებს შორის. უკანასკნელნი, რომელნიც მაშინ, ისე როგორც ახლა, არისტოკრატიად იწოდებოდნენ, უკვე დიდი ხანია მიისწრაფოდნენ გამხდარიყვნენ ის, რადაც გაცილებით უფრო გვიან გახდა ლუი ფილიპე საფრანგეთში: ერის პირველი ბურჟუები. ინგლისის საბედნიეროდ, ძველმა ფეოდალურმა ბარონებმა ერთმანეთი ამოწყვიტეს იმ ომებში, რომელნიც წითელი და თეთრი ვარდის ომების სახელით არიან ცნობილი. მათი მემკვიდრეები, რომელნიც უმეტეს ნაწილად ამავე ძველი გვარების ჩამომავალნი იყვნენ აგრეთვე, ისეთი შორეული გვერდითი შტოებიდან წარმოდგებოდნენ, რომ მათ სრულიად ახალი კორპორაცია შეადგინეს; მათი ჩვეულებანი და მისწრაფებანი ბევრად უფრო ბურჟუაზიული იყვნენ,

ვიდრე ფეოდალური. მათ მშვენივრად იცოდნენ ფულის ფასი და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მიწის რენტის მაღლა აწევას, იმით, რომ მიწიდან ასობით წვრილი მოიჯარადრენი გააძევეს და ისინი ცხვრებით შესცვალეს. ჰენრიხ მერვე მასობრივად ჰქმნიდა ახალ ლენდლორდებს ბურჟუაზიიდან, რომელსაც ურიგებდა და გრო-შის ფასად ჰყიდდა საეკლესიო მამულებს; ამასვე იწვევდა XVII საუკუნის ბოლომდე გაგრძელებული განუწყვეტელი კონფისკაცია მსხვილი მამულებისა, რომლებიც შემდეგ მეტიჩრებს ან ნახევრად მეტიჩრებს ურიგდებოდათ. ამიტომ ინგლისის «არისტოკრატია» ჰენრიხ მეშვიდეს დროიდან არა თუ არ ეწინააღმდეგებოდა მრეწ-ველობის განვითარებას, არამედ, პირიქით, ცდილობდა სარგებ-ლობა მიეღო მისგან. სწორედ ასევე ყოველთვის მოიპოვებოდა მსხვილ მიწათმფლობელთა ნაწილი, რომელიც ეკონომიური თუ პოლიტიკური მოსაზრებების გამო მზად იყო ეთანამშრომლა საფი-ნანსო და სამრეწველო ბურჟუაზიის ბელადებთან. ამნაირად, ად-ვილად განხორციელდა 1689 წლის კომპრომისი. პოლიტიკური ნადავლი — თანამდებობანი, სინეკურები, დიდი ჯამაგირები — შერჩა მემამულე თავადაზნაურობის წარჩინებულ გვარებს იმ პი-რობით, რომ ისინი სათანადოდ დაიცავდნენ საფინანსო, სამრეწვე-ლო და სავაჭრო ბურჟუაზიის ეკონომიურ ინტერესებს. და ეს ეკონომიური ინტერესები იმ დროს უკვე საკმაოდ ძლიერი იყო; საბოლოო ანგარიშით ისინი საზღვრავდნენ ერის საერთო პოლი-ტიკას. რასაკვირველია, არსებობდა უთანხმოება ამა თუ იმ სა-კითხის შესახებ, მაგრამ არისტოკრატიულმა ოლიგარქიამ ძალიან კარგად იცოდა, თუ როგორ განუყრელად იყო გადაჯაჭვული მი-სი საკუთარი ეკონომიური კეთილდღეობა სამრეწველო და სავაჭ-რო ბურჟუაზიის აყვავებასთან.

ამ დროიდან ბურჟუაზია იქცა ინგლისის გაბატონებული კლა-სების თავდაბალ, მაგრამ საყოველთაოდ აღიარებულ ნაწილად. მათ-თან ერთად იგი დაინტერესებული იყო ხალხის უდიდესი მშრო-მელი მასის დათრგუნვაში, ვაჭარს ან ფაბრიკანტს თავიანთი ნოქ-რების, მუშების, შინამოსამსახურეების მიმართ თვითონ ეჭირა მრჩენელი პატრონის ანუ, როგორც ჯერ კიდევ ამას წინათ ამბობ-დნენ ინგლისში, «ბუნებრივი უფროსის» მდგომარეობა. მას უნდა გამოეწოვა მათგან რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება უკეთე-სი ხარისხის შრომა; ამ მიზნით მას უნდა აღეზარდა ისინი შესა-ფერ მორჩილებაში. იგი თვითონ მორწმუნე იყო; მისმა სარწმუ-ნოებამ მისცა მას ის დროშა, რომლითაც მან მეფე და ლორდები

დაამარცხა. მალე მან აღმოაჩინა აგრეთვე საშუალება, რომელსაც ეს რელიგია აძლევდა მას, რათა თავის ბუნებრივ ხელქვეითთა ცნობიერება დაემუშავებინა და დაემორჩილებინა ისინი იმ პატრონების ბრძანებისადმი, რომელნიც მათ დაუყენა მიუწვდომელმა ღვთის განგებამ. მოკლედ, ინგლისის ბურჟუა ამ დროიდან თანამონაწილე გახდა «დაბალი წოდებების» — ხალხის უზარმაზარი მწარმოებელი მასის დათრგუნვაში, და ამასთან ერთ-ერთ გამოსაყენებელ საშუალებას რელიგიის გავლენა წარმოადგენდა.

მაგრამ ამას დაერთო კიდევ მეორე გარემოება, რომელმაც გააძლიერა ბურჟუაზიის რელიგიური მიდრეკილებანი: მატერიალიზმის გაფურჩქვნა ინგლისში. ამ ახალ უღვთო მოძღვრებას არა თუ აღშფოთებაში მოჰყავდა მორწმუნე საშუალო წოდება, — მან გარდა ამისა, თავისი თავი გამოაცხადა ფილოსოფიად, რომელიც შეშვენის მხოლოდ მეცნიერებსა და განათლებულ ადამიანებს, წინააღმდეგ რელიგიისა, რომელიც საკმარისად კარგია გაუნათლებელი, ფართო მასისთვის, ბურჟუაზიის ჩათვლით. ჰობსთან ერთად იგი გამოვიდა მეფის ყოვლის შემძლებლობის დამცველის როლში და მოუწოდებდა აბსოლუტურ მონარქიას მოეთვინიერებინა ეს puer robustus sed malitiosus[1], ე. ი. ხალხი. აგრეთვე ჰობსის მიმდევრებთან — ბოლინგბროკთან, შეფტსბერისთან და სხვ. — მატერიალიზმის ახალი, დეისტური ფორმა დარჩა არისტოკრატიულ ეზოტერულ[2] მოძღვრებად და ამიტომაც მატერიალიზმი ბურჟუაზიას სძულდა არა მარტო მისი რელიგიური ერესებისათვის, არამედ მისი ანტიბურჟუაზიული პოლიტიკური კავშირისათვისაც. ამიტომ იყო, რომ წინაღმდეგ არისტოკრატიის მატერიალიზმისა და დეიზმისა, სწორედ პროტესტანტულმა სექტებმა, რომელნიც იძლეოდნენ დროშასაც და მებრძოლთაც სტიუარტებთან ბრძოლაში, წამოაყენეს აგრეთვე პროგრესული საშუალო კლასის მთავარი მებრძოლი ძალები და ახლაც შეადგენენ «დიდი ლიბერალური პარტიის» ძირითად ხერხემალს.

ამასობაში მატერიალიზმი ინგლისიდან გადაინერგა საფრანგეთში, სადაც მას დახვდა კარტეზიანული ფილოსოფიიდან გამოსული მეორე მატერიალისტური ფილოსოფიური სკოლა, რომელსაც იგი შეუერთდა კიდეც. იგი საფრანგეთშიაც თავდაპირველად დარჩა მხოლოდდამხოლოდ არისტოკრატიულ დოქტრინად. მაგ-

---

1 ბრგე, მაგრამ თავხედი ბიჭი. რ ე დ.

2 რჩეულთათვის. რ ე დ.

რამ მისი რევოლუციური ხასიათი მალე გამოაშკარავდა. ფრანგი მატერიალისტები თავიანთ კრიტიკას მხოლოდ რელიგიის სფეროთი როდი ზღუდავდნენ: ისინი აკრიტიკებდნენ ყოველ მეცნიერულ ტრადიციას, თავისი დროის ყოველ პოლიტიკურ დაწესებულებას; რათა თავისი თეორიის საყოველთაო გამოყენებადობა დაემტკიცებინათ, მათ უმოკლესი გზა აირჩიეს: მათ თამამად გამოიყენეს იგი ცოდნის ყველა ობიექტის მიმართ იმ უზარმაზარ შრომაში, რომლისგანაც მათ მიიღეს თავიანთი სახელწოდება, —«ენციკლოპედიაში». ამრიგად. მატერიალიზმი ამა თუ იმ სახით, — როგორც აშკარა მატერიალიზმი თუ როგორც დეიზმი, გადაიქცა საფრანგეთის მთელი განათლებული ახალგაზრდობის მსოფლმხედველობად. და ეს მოხდა ისეთი ზომით, რომ დიდი რევოლუციის დროს ამ ინგლისელი როიალისტების მიერ წარმოშობილმა მოძღვრებამ თეორიული დროშა მიანიჭა ფრანგ რესპუბლიკელებსა და ტერორისტებს და მისცა ტექსტი «ადამიანის უფლებათა დეკლარაციისათვის».

საფრანგეთის დიდი რევოლუცია იყო ბურჟუაზიის მესამე აჯანყება, ნაგრამ ამავე დროს პირველი, რომელმაც სავსებით გაიძრო რელიგიური სამოსელი და რომელშიაც ბრძოლა აშკარად პოლიტიკურ ნიადაგზე წარმოებდა. იგი იყო აგრეთვე პირველი აჯანყება, რომელიც მართლაც ბოლომდე, ერთ-ერთი მებრძოლი მხარეს, სახელდობრ, არისტოკრატიის, მოსპობამდე და მეორე მხარის, სახელდობრ, ბურჟუაზიის, სრულ გამარჯვებამდე იქნა მიყვანილი. ინგლისში მემკვიდრეობითმა კავშირმა რევოლუციის წინადროინდელ და რევოლუციის შემდეგდროინდელ დაწესებულებათა შორის და კომპრომისმა მსხვილ მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს შორის თავისი გამოხატულება ჰპოვა სასამართლო პრეცედენტების მონაცვლეობაში, ისე როგორც ფეოდალური იურიდიული ფორმების მოკრძალებით შენარჩუნებაში. საფრანგეთში, პირიქით, რევოლუციამ საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი წარსულის ტრადიციებთან, მოსპო ფეოდალიზმის უკანასკნელი ნაშთები და სამოქალაქო კოდექსში ოსტატურად შეუგუა ახალ კაპიტალისტურ ურთიერთობას ძველი რომაული სამართალი, — ეს თითქმის სრულყოფილი გამოხატულება ეკონომიური განვითარების იმ საფეხურიდან გამომდინარე იურიდიული ურთიერთობისა, რომელსაც მარქსი უწოდებს «სასაქონლო წარმოებას»; და იმდენად ოსტატურად შეუგუა რომ კანონთა ეს რევოლუციური ფრანგული კოდექსი ამჟამად ყველა სხვა ქვეყანაში — ინგლისის გამოუკლებლივ — საკუთრების უფლების რეფორმების მოხდენის დროს ნიმუშს წარმოადგენს. მაგრამ ამას-

თანავე არ უნდა დაივიწყოთ ერთი რამ: თუ ინგლისის სამართალი განაგრძობს კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიურ ურთიერთობათა ბარბაროსულ-ფეოდალური ენით გამოხატვას, რომელიც იმდენადვე შეესაბამება გამოსახატავ საგანს, რამდენადაც ინგლისური ორთოგრაფია ინგლისურ გამოთქმას — იწერება ლონდონი, ხოლო გამოითქმის კონსტანტინოპოლი, — თქვა ერთმა ფრანგმა, — სამაგიეროდ იგივე ინგლისური სამართალი ერთადერთია, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში დაუმახინჯებლად შეინარჩუნა და ამერიკასა და კოლონიებში გადაიტანა საუკეთესო ნაწილი იმ პირადი თავისუფლებისა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და უზრუნველყოფისა ყოველგვარი უცხო ჩარევისაგან, გარდა სასამართლოსი, — ერთი სიტყვით, ის ძველი გერმანული თავისუფლებანი, რომელნიც კონტინენტზე აბსოლუტური მონარქიების ბატონობის დროს სრულიად გაქრნენ და დღემდე არსად არ არიან სავსებით ხელახლა მოპოვებული.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ბრიტანელ ბურჟუას. საფრანგეთის რევოლუციამ მას მისცა დიდებული შესაძლებლობა კონტინენტური მონარქიების დახმარებით გაენადგურებინა საფრანგეთის საზღვაო ვაჭრობა, დაეპყრო საფრანგეთის კოლონიები და მოესპო საფრანგეთის უკანასკნელი პრეტენზიები საზღვაო მეტოქეობაზე. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ებრძოდა იგი საფრანგეთის რევოლუციას. მეორე ის იყო, რომ მას სრულიად არ დაუჯდა ჭკუაში ამ რევოლუციის მეთოდები, — არა მარტო მისი «დანაშაულებრივი» ტერორი, არამედ თვით მისი ცდაც — მიეყვანა ბურჟუაზიის ბატონობა უკიდურეს საზღვრებამდე. ან და რა უნდა ექნა ამ ქვეყნად ბრიტანელ ბურჟუას გარეშე თავისი არისტოკრატიისა, რომელიც მას მანერებსაც ასწავლიდა (მასწავლებლის შესაფერის მანერებს!), მოდებსაც იგონებდა მისთვის, აძლევდა მას ოფიცრებს არმიისა — ამ, ქვეყნის შიგნით წესრიგის დამცველისა, — და ფლოტისათვის, რომელიც იპყრობს ახალ კოლონიურ სამფლობელოებს და ახალ ბაზრებს? რასაკვირველია, ბურჟუაზიაში მაინც იყო პროგრესული უმცირესობა, — ხალხი, რომლის ინტერესებსაც ბევრი არაფერი მოუგია კომპრომისით. ეს უმცირესობა, რომელიც წერილი ბურჟუაზიისაგან შედგებოდა, სიმპატიით უყურებდა რევოლუციას, მაგრამ იგი უძლური იყო პარლამენტში.

მაშასადამე, რაც უფრო მეტად ხდებოდა მატერიალიზმი საფრანგეთის რევოლუციის სარწმუნოების სიმბოლოდ, მით უფრო მაგრად ებღაუქებოდა თავის რელიგიას ინგლისის ღვთისმოშიში

ბურჟუა. განა ტერორის ეპოქამ პარიზში არ დაგვიმტკიცა, თუ რა ხდება მაშინ, როცა ხალხი რელიგიას ჰკარგავს? რაც უფრო მეტად ვრცელდებოდა მატერიალიზმი საფრანგეთიდან მეზობელ ქვეყნებში და ძლიერდებოდა მონათესავე თეორიული მიმდინარეობებით, განსაკუთრებით გერმანული ფილოსოფიით; რაც უფრო მატერიალიზმი და საერთოდ თავისუფალი აზროვნება ნამდვილად ხდებოდა კონტინენტზე განათლებული ადამიანის აუცილებელ ნიშნად,—მით უფრო მედგრად იცავდა ინგლისის საშუალო კლასი თავის სხვადასხვაგვარ რელიგიურ რწმენას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაინც ყველანი გადაჭრით რელიგიურ ქრისტიანულ რწმენებს წარმოადგენდნენ.

იმ დროს, როდესაც საფრანგეთში რევოლუციამ უზრუნველჰყო ბურჟუაზიის პოლიტიკური ტრიუმფი, ინგლისში უატმა, არკრაიტმა, კარტრაიტმა და სხვ. დასაწყისი მისცეს სამრეწველო რევოლუციას, რომელმაც გამოიწვია ეკონომიური ძლიერების სიმძიმის ცენტრის სრული გადანაცვლება. ბურჟუაზიის სიმდიდრე ახლა გაცილებით უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მიწათმფლობელი არისტოკრატიისა. თვით ბურჟუაზიის შიგნით ფინანსიური არისტოკრატია, ბანკირები და სხვ. სულ უფრო და უფრო უკან იხევდნენ ფაბრიკანტებთან შედარებით. 1689 წლის კომპრომისი, თვით ბურჟუაზიის სასარგებლოდ თანდათან მომხდარი ცვლილებების შემდეგაც, უკვე ალარ შეესაბამებოდა ამ შეთანხმების მონაწილეების ძალთა თანაფარდობას. შეიცვალა აგრეთვე მონაწილეთა ხასიათიც: 1830 წ. ბურჟუაზია ძალიან დიდად განსხვავდებოდა გასული (XVIII) საუკუნის ბურჟუაზიისაგან. არისტოკრატიის ხელში კიდევ დარჩენილი პოლიტიკური ძალაუფლება, რომელიც მან გამოიყენა ახალი სამრეწველო ბურჟუაზიის მოთხოვნათა წინააღმდეგ, უკვე ალარ ეგუებოდა ახალ ეკონომიურ ინტერესებს. საჭირო შეიქნა ბრძოლის განახლება არისტოკრატიის წინააღმდეგ: და ეს ბრძოლა შეიძლებოდა დაბოლოვებულიყო მხოლოდ ახალი ეკონომიური ძალის გამარჯვებით. 1830 წ. საფრანგეთის რევოლუციის გავლენით, მიუხედავად ყოველგვარი წინააღმდეგობისა, პირველად იქნა გატარებული საპარლამენტო რეფორმა. ამან შეუქმნა ბურჟუაზიას საყოველთაოდ აღიარებული ძლიერი მდგომარეობა პარლამენტში. შემდეგ გაუქმდა პურის კანონები[1], რამაც

[1] ბრძოლა ინგლისში პურის შეზიდვის შემზღუდავი კანონის წინააღმდეგ 1846 წელს დამთავრდა სამი წლით პურის შეზიდვის ბაჟის გაუქმებით. 1849 წელს ბაჟები გაუქმდა. რ ე დ.

ერთხელ და სამუდამოდ დაამყარა ბურჟუაზიის, განსაკუთრებით მისი ყველაზე მოქმედი ნაწილის, ფაბრიკანტების, უპირატესობა მიწათმფლობელი არისტოკრატიის მიმართ. ეს იყო ბურჟუაზიის უდიდესი და ამავე დროს უკანასკნელი გამარჯვება, რომელსაც მან მიაღწია მხოლოდ და მხოლოდ თავისი საკუთარი ინტერესებისათვის. ყველა მერმინდელი გამარჯვება მას უნდა გაეზიარებინა ახალი სოციალური ძალისათვის, რომელიც თავდაპირველად მასთან კავშირში მოქმედებდა, მაგრამ შემდეგ მისი მეტოქის როლში გამოვიდა.

სამრეწველო რევოლუციამ შექმნა მსხვილ კაპიტალისტ-ფაბრიკანტთა კლასი, მაგრამ ამასთანავე შექმნა გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი კლასი ფაბრიკის მუშებისა. ეს კლასი განუწყვეტლივ იზრდებოდა რიცხვობრივად იმისდა მიხედვით, თუ როგორ გადადიოდა სამრეწველო რევოლუცია წარმოების ერთი დარგიდან მეორეში. მაგრამ მის რიცხვთან ერთად იზრდებოდა აგრეთვე მისი ძალაც და ამ ძალამ თავი იჩინა უკვე 1824 წ., როდესაც მან აიძულა პარლამენტი, მიუხედავად მისი მედგარი წინააღმდეგობისა, გაეუქმებინა კანონები კოალიციის თავისუფლების წინააღმდეგ. საპარლამენტო რეფორმის აგიტაციის დროს მუშები შეადგენდნენ რეფორმის პარტიის რადიკალურ ფრთას; როდესაც 1832 წ. აქტით მუშებს წაერთვათ ხმის უფლება, მათ თავიანთი მოთხოვნები ჩამოაყალიბეს სახალხო ქარტიაში (People's charter) და წინააღმდეგ პურის კანონების საპირდაპირო ძლიერი ბურჟუაზიული ლიგისა, დაარსეს ჩარტისტების დამოუკიდებელი პარტია. ეს იყო ჩვენი დროის პ ი რ ვ ე ლ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა.

შემდეგ იფეთქა კონტინენტურმა რევოლუციებმა 1848 წ. თებერვალსა და მარტში, რომლებშიაც მუშებმა ასეთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს და სადაც, ყოველ შემთხვევაში პარიზში, გამოვიდნენ მოთხოვნებით, რომლებიც პირდაპირ დაუშვებელი იყო კაპიტალისტური საზოგადოების თვალსაზრისით. ამას კი მოჰყვა საყოველთაო რეაქცია. ჯერ ჩარტისტების დამარცხება 1848 წლის 10 აპრილს, შემდეგ იმავე წლის ივნისში პარიზის მუშების აჯანყების ჩახშობა, მერე 1849 წელს მარცხი იტალიაში, უნგრეთში, სამხრეთ გერმანიაში, ბოლოს ლუი ბონაპარტის გამარჯვება პარიზზე 1851 წ. 2 დეკემბერს. ამრიგად, რამდენიმე ხნით მაინც თავიდან იქნა მოცილებული მუშათა მოთხოვნების საფრთხობელა, მაგრამ რა ფასით! თუ ბრიტანელი ბურჟუა ჯერ კიდევ წინათ იყო დარწმუნებული უბრალო ხალხის რელიგიურ ბურუსში

ყოლის აუცილებლობაში, რამდენად უფრო ძლიერად უნდა ეგრ-ძნო მას ეს აუცილებლობა ყველა ამ გამოცდილებათა შემდეგ? და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა რა კონტინენტური კოლეგების დაცინვას, იგი განაგრძობდა წლითი-წლობით ათასებისა და ათიათასების ხარჯვას ხალხის დაბალ წოდებათათვის სახარების საქადაგებლად. ის არ დაკმაყოფილდა საკუთარი რელიგიური აპარატით და მიმართა ძმია ჯონათანს [1], რელიგიური სპეკულაციის მაშინდელ უდიდეს ორგანიზატორს, და შემოიტანა ამერიკიდან მუდის, სანკის და მათ მსგავსთა რევივალიზმი; [2] დაბოლოს, იგი დათანხმდა იმ «ხსნის არმიის» საშიშარ დახმარებაზედაც კი, რომელიც აღადგენს ძველი ქრისტიანობის პროპაგანდის ხერხებს, მიმართავს ღარიბებს, როგორც ღვთის რჩეული, ებრძვის კაპიტალიზმს თავის სარწმუნოებრივ ყაიდაზე და, ამრიგად, ანვითარებს ძველ-ქრისტიანული კლასობრივი ბრძოლის ისეთ ელემენტს, რომელიც ერთ შშვენიერ დღეს შეიძლება ძალიან საბედისწერო აღმოჩნდეს მდიდრებისათვის, რომლებიც ამჟამად ამ საქმეზე ნაღდ ფულს ხარჯავენ.

როგორც ჩანს, ისტორიული განვითარების კანონია, რომ ვერც ერთ ევროპულ ქვეყანაში ბურჟუაზია ვერ ახერხებს,—ყოველ შემთხვევაში ხანგრძლივად,—დაეუფლოს პოლიტიკურ ხელისუფლებას ისეთივე უცილობელი სახით, როგორც ფეოდალური არისტოკრატია ფლობდა მას შუა საუკუნეების განმავლობაში. საფრანგეთშიაც კი, სადაც ფეოდალიზმი ძირფესვიანად იქნა ამოგდებული, ბურჟუაზია, როგორც მთლიანად აღებული კლასი, მხოლოდ სულ მოკლე პერიოდების განმავლობაში ფლობდა ხელისუფლებას. ლუი ფილიპეს დროს, 1830 დან 1848 წლამდე, ბატონობდა ბურჟუაზიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, გაცილებით უფრო დიდი ნაწილი მოკლებული იყო საარჩევნო უფლებებს მაღალი ცენზის შემოღებით. მეორე რესპუბლიკის დროს, 1848 — 1851 წ., ბრძანებლობდა მთელი ბურჟუაზია, მაგრამ სულ ეხოლოდ სამ წელიწადს; მისმა უუნარობამ გზა გაუხსნა მეორე იმპერიას. მხოლოდ ახლა, მესამე რეს-

---

[1] «ძ ა მ ი ა ჯ ო ნ ა თ ა ნ ი» — ასახიერებს ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისე როგორც «ჯ ო ნ ბ ულ ი» ასახიერებს ინგლისს. ეს სახელწოდება შემდეგში შეიცვალა სახელით «ძ ი ა ს ე მ ი». რ ე დ.

[2] რ ე ვ ი ვ ა ლ ი ზ მ ი — გასული საუკუნის რელიგიური მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა აღედგინა რელიგიის შერყეული გავლენა. მ უ დ ი და ს ა ნ კ ი — ამერიკელი მოძღვრები, რომელნიც ამ მოძრაობის ორგანიზატორთა რიცხვში იყვნენ. რ ე დ.

პუბლიკის დროს, ბურჟუაზია მთლიანად ოცი წლის განმავლობაში უდგას სათავეში მართვა-გამგეობას, მაგრამ მას უკვე ახლავე ეტყობა დაშლის სასიხარულო ნიშნები. ბურჟუაზიის ხანგრძლივი ბატონობა დღემდე შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთ ქვეყნებში, როგორიც ამერიკაა, სადაც ფეოდალიზმი არასოდეს არ ყოფილა და სადაც საზოგადოება იმთავითვე ბურჟუაზიულ საფუძველზე შეიქმნა. და თვით საფრანგეთსა და ამერიკაში ბურჟუაზიას უკვე მაგრად უკაკუნებენ კარზე მემკვიდრენი — მუშები.

ინგლისში ბურჟუაზიას არასოდეს არ ჰქონია განუყოფელი ბატონობა. თვით 1832 წ. გამარჯვების შემდეგაც თითქმის მთლად არისტოკრატიის ხელში დარჩა მთავრობის ყველა უმაღლესი თანამდებობა. ის მორჩილება, რომლითაც მდიდარი საშუალო კლასი ურიგდებოდა ამას, ჩემთვის გაუგებარი რჩებოდა მანამდე, სანამ ერთ მშვენიერ დღეს მსხვილმა ლიბერალურმა ფაბრიკანტმა ბატონმა ვ. ა. ფოსტერმა არ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც ის, მიმართავდა რა ბრედფორდის ახალგაზრდობას, სთხოვდა მას საკუთარი კეთილწარმატებისათვის შეესწავლა ფრანგული ენა; ამასთან იგი მოყვა, თუ რა სულელურ მდგომარეობაში ჩავარდა ის ერთხელ, როდესაც მინისტრად გახდომის შემდეგ ერთბაშად მოხვდა საზოგადოებაში, სადაც ფრანგული ენა, ყოველ შემთხვევაში, ისეთივე აუცილებელი იყო, როგორც ინგლისური! და მართლაც, მაშინდელი ინგლისელი ბურჟუები, როგორც წესი, სრულიად გაუნათლებელი მეტიჩრები იყვნენ, რომელთაც ნებით თუ უნებლიეთ არისტოკრატიისათვის უნდა გადაეცათ მთავრობის ყველა ის უმაღლესი პოსტი, სადაც საჭიროა სხვა თვისებები, ვიდრე კუნძულებრივი შეზღუდულობა და კუნძულებრივი მედიდურობა, შეზავებული საქმიან მოხერხებულობასთან[1]. ჯერ ახლაც კი დაუ-

[1] ნაციონალურ-შოვინისტური ყოყოჩობა თვით საქმიან ურთიერთობაშიაც ძალიან ცუდი მრჩეველია. სულ ბოლო ხანამდე ინლისელი ჩვეულებრივი ფაბრიკანტი ინგლისელისთვის დამამცირებლად თვლიდა სხვა ენაზე ლაპარაკს, გარდა თავისი საკუთარისა, და რამდენადმე ამაყობდა იმით, რომ «ლარიბი» უცხოელები სახლდებიან ინგლისში და ანთავისუფლებენ მას თავისი პროდუქტების საზღვარგარეთ გატანის შრომისაგან. იგი სრულიად ვერ ამჩნევდა იმას, რომ ამ უცხოელებმა, უმეტეს ნაწილად გერმანელებმა, ამის მეოხებით ხელში ჩაიგდეს ინგლისის საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი, — შემოზიდვა არა ნაკლებ, ვიდრე გაზიდვა, — და ინგლისელების უშუალო საგარეო ვაჭრობა თანდათან შემოიფარგლა კოლონიებით, ჩინეთით, შეერთებული შტატებით და სამხრეთ ამერიკით. კიდევ უფრო ნაკლებ ამჩნევდა ის, რომ ეს გერმანელები ვაჭრობდნენ სხვა გერმანელებთან უცხოეთში, და ყველა მათ, დროთა მსვლელო-

სრულებელი საგაზეთო კამათი» middle class education[1] შესახებ ააშკარავებს, რომ ინგლისის ბურჟუაზია ჯერ კიდევ მოუმზადებლად თვლის თავს უკეთესი აღზრდისათვის და ეძებს თავისთვის რაღაც უფრო უბრალოს. მაშასადამე, პურის კანონების გაუქმების შემდეგაც თავისთავად გასაგები იყო, რომ ის ადამიანები, რომელთაც გამარჯვებას მიაღწიეს, — ყველა ეს კობდენები, ბრაიტები, ფორსტერები და სხვანი, — მოკლებული იყვნენ ყოველგვარ მონაწილეობას ოფიციალურ მთავრობაში და მხოლოდ ოცი წლის შემდეგ ახალმა აქტმა რეფორმების შესახებ გაუხსნა მათ, როგორც იქნა, სამინისტროს კარები. დღემდეც კი ინგლისის ბურჟუაზია ისე ღრმადაა გამაჰვალული თავისი უფრო დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობის შეგნებით, რომ ის თავის საკუთარი და ხალხის ფულით ინახავს უსაქმურთა საპარადო კასტას, რომელმაც ყველა საზეიმო შემთხვევაში ღირსეულად უნდა წარმოადგინოს ერი და უმაღლეს პატივად მიაჩნია, როცა რომელიმე ბურჟუას ღირსეულად სცნობენ მიღებულ იქნეს ამ, ბოლოს და ბოლოს, თვით ბურჟუაზიის მიერ შექმნილ, კარჩაკეტილ კორპორაციაში.

ამრიგად. სამრეწველო და სავაჭრო საშუალო კლასმა ჯერ კიდევ ვერც კი მოასწრო საბოლოოდ ჩამოეშორებინა მიწათმფლობელი არისტოკრატია პოლიტიკური ხელისუფლებისაგან, რომ ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა ახალი მეტოქე, მუშათა კლასი. რეაქციამ, რომელიც დადგა ჩარტისტული მოძრაობისა და კონტინენტური რევოლუციების შემდეგ, და მასთან ერთად ინგლისის მრეწველობის გაუგონარმა აყვავებამ 1848-დან 1866 წლამდე (ამ აყვავებას ჩვეულებრივ ხსნიან მხოლოდ ვაჭრობის თავისუფლებით, მაგ-

---

ბაში შექმნეს მთელს მსოფლიოში სავაჭრო კოლონიების მთელი ქსელი. ხოლო როდესაც ორმოცი წლის წინათ გერმანიამ სერიოზულად დაიწყო წარმოება გაზიდვისათვის, მან ამ გერმანულ სავაჭრო კოლონიებში მზამზარეული აპარატი ნახა, რომელმაც მას დაუფასებელი სამსახური გაუწია მის გადასაცემად, ესოდენ მოკლე ხანში, პურის გამზიდავ ქვეყნიდან პირველხარისხოვან სამრეწველო ქვეყნად. მაშინ, ბოლოს, ათი წლის წინათ, როდესაც ინგლისელი ფაბრიკანტი შიშმა შეიპყრო, იგი შეეკითხა თავის ელჩებსა და კონსულებს — როგორ მოხდა, რომ ჩემი მყიდველები იფანტებიანო. ერთხმად გაცემული პასუხი ასეთი იყო: 1) თქვენ არ სწავლობთ თქვენი მყიდველის ენას, არამედ მოითხოვთ რომ იგი ლაპარაკობდეს თქვენს ენაზე და 2) თქვენ სრულიად არ ცდილობთ დააკმაყოფილოთ თქვენი მყიდველის მოთხოვნილება, ჩვეულება და გემოვნება, არამედ მოითხოვთ, რომ მან მიიღოს თქვენი, ინგლისური. (ენგელსის შენიშვნა.)

[1] ბურჟუაზიის აღზრდის შესახებ. რედ.

რამ ეს მოხდა, უფრო მეტად, რკინიგზების, საოკეანო გემებისა და საერთოდ მიმოსვლის საშუალებათა კოლოსალური განვითარების წყალობით) კვლავ გახადა მუშები ლიბერალური პარტიისაგან დამოკიდებული, რომელშიც ისინი, ისე როგორც ჩარტისტულ მოძრაობამდე, რადიკალურ ფრთას შეადგენდნენ. მაგრამ თანდათან საარჩევნო უფლების მოთხოვნა მუშების მხრივ დაუძლეველი გახდა. სანამ ვიგები, რომელთაც ლიბერალები ხელმძღვანელობდნენ, ჯერ ისევ გაუბედავად მოქმედებდნენ, დიზრაელიმ დაამტკიცა თავისი უპირატესობა; მან ისარგებლა ტორებისთვის ხელსაყრელი მომენტით, შემოიღო ქალაქის საარჩევნო ოლქებში კანონი საარჩევნო უფლებისა ბინის დამქირავებელთათვის (houshold suffrage) და ამას დაუკავშირა საარჩევნო ოლქების შეცვლა. ამას მალე მოჰყვა ფარული ხმის მიცემის (the ballot) შემოღება; შემდეგ. 1884 წ., ბინის დამქირავებელთა საარჩევნო უფლება გავრცელებულ იქნა ყველა ოლქზე, მათ შორის საგრაფოებზედაც, და მოხდა საარჩევნო ოლქების ახალი გადანაწილება, რომელმაც რამდენადმე მოახდინა მათი გათანასწორება. ყოველივე ამის მეოხებით მუშათა კლასის გავლენა არჩევნებში იმდენად გაიზარდა, რომ ამჟამად მუშები შეადგენენ ამომრჩეველთა უმრავლესობას 150 — 200 საარჩევნო ოლქში. მაგრამ არ არსებობს ტრადიციის თაყვანისცემის უკეთესი სკოლა, ვიდრე საპარლამენტო სისტემა! თუ საშუალო კლასი მოწიწებით და კრძალული შიშით შესცქეროდა იმ ჯგუფს, რომელსაც ლორდი ჯონ მანერსი ხუმრობით «ჩვენ ძველ თავადაზნაურობას» უწოდებდა, მუშათა მასაც პატივისცემით და მოკრძალებით უცქეროდა იმ კლასს, რომელიც მაშინ «უკეთეს კლასად» იწოდებოდა, — ბურჟუაზიას. და მართლაც, თხუთმეტი წლის წინათ ბრიტანელი მუშა სამაგალითო მუშა იყო, და მისი უაღრესად მოკრძალებითი დამოკიდებულება თავისი დამქირავებლის მდგომარეობისადმი, მისი თვითშეზღუდვა და თავდაბლობა იმ შემთხვევაში, როცა იგი მოითხოვდა თავისთვის უფლებებს, სამკურნალო ბალზამს ასხამდა იმ ჭრილობებს, რომელთაც აყენებდნენ ჩვენ გერმანელ კათედერ-სოციალისტებს მათი თანამემამულე გერმანელი მუშების გაუსწორებელი კომუნისტური და რევოლუციური მისწრაფებანი.

მაგრამ ინგლისელი ბურჟუები კარგი მოსაქმენი და ბევრად უფრო შორსმჭვრეტელნი იყვნენ, ვიდრე გერმანელი პროფესორები. მხოლოდ გარემოებათა ზეგავლენით უზიარებდნენ ისინი ხელისუფლებას მუშებს. ჩარტისტული მოძრაობის დროს მათ შეიგნეს, თუ რა შეუძლია ამ puer robustus sed malitiosus — ხალხს. იმ ხნიდან

სახალხო ქარტიის მოთხოვნების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ბურჟუაზიამ ძალაუნებურად მიიღო, და ეს მოთხოვნები ქვეყნის კანონად გადაიქცა. და ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭირო იყო ლაგამამოდებული ჰყოლოდათ ხალხი მორალური საშუალებებით. ხოლო პირველ და უმნიშვნელოვანეს მორალურ საშუალებად, რომლითაც მოქმედებენ მასებზე, ისევ რელიგია დარჩა. აქედან წარმოდგება ის, რომ ხუცები უმრავლესობას შეადგენდნენ სასკოლო სამმაოთველოებში, აქედანვე წარმოდგება ბურჟუაზიის მზარდი თვითდაბეგვრა ღვთისმოსავი დემაგოგიის ყოველგვარი ხერხებისათვის, დაწყებული ოიტუალობით და გათავებული «ხსნის არმიით».

და ახლა დაიწყო ბრიტანული რესპექტაბელური ფილისტეროების გამარჯვება კონტინენტალური ბურჟუას თავისუფალ აზროვნებასა და საერწმუნოებრივ ინდიფერენტიზმზე. ფრანგი და გერმანელი მეშები მეაბბოხეებად გადაიქცნენ. ისინი მთლიანად სოციალიზმით იყვნენ შეპყრობილნი — ამასთან, სავსებით საფუძვლიან მოსაზრებათა გამო, ისინი სრულებით არ ზრუნავდნენ კანონიერების დაცვაზე ხელისუფლების დასაპყრობ საშუალებათა არჩევის დროს. ეს puer robustus მართლაც იქ დღითი-დღე სულ უფრო და უფრო malitiosus ხდებოდა. რაღა დარჩენოდა ფრანგ და გერმანელ ბურჟუას უკიდურესი საშუალების სახით, თუ არა ის, რომ ჩუმად უკეგდო თავისი თავისუფალი აზროვნება მსგავსად იმ თავხედი ყმაწვილისა, რომელიც, როდესაც უფრო და უფრო ერევა ზღვის ავადმყოფობა, შეუჩნევლად გვერდზე აგდებს მოკიდებულ სიგარას, რომლითაც მას თავი მოჰქონდა გემის ქიმზე? ღვთისმგმობელებმა ერთი მეორეზე დაიწყეს გაოგნულად მორწმუნის იერის მიღება, მოწიწებით ალაპარაკდნენ ეკლესიაზე, მის დოგმებზე, მის წესებზე და თვითონ დაიწყეს მათი შესრულება, რამდენადაც არ შეიძლებოდა ნათი გვერდის ავლა. ფრანგმა ბურჟუებმა უარი თქვეს პარასკეობით ხორცის ჭამაზე, ხოლო გერმანელი ბურჟუები შაბათობით გულისშეწუხებამდე ისხდნენ თავიანთ საეკლესიო სკამებზე და უსმენდნენ დაუსრულებელ პროტესტანტულ ქადაგებას. თავიანთი მატერიალიზმით ისინი უბედურებაში ჩაცვივდნენ. «რელიგია უნდა იქნეს შენარჩუნებული ხალხისთვის», — ასეთია უკანასკნელი და ერთადერთი საშუალება საზოგადოების გადასარჩენად სრული დაღუპვისაგან. თავისდა საუბედუროდ, ეს მათ აღმოაჩინეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ თავის მხრივ ყოველივე შესაძლებელი მოიმოქმედეს რელიგიის სამუდამოდ გასანადგურებლად. და მაშინ დადგა მომენტი, როცა ბრიტანელ ბურჟუას, თავის მხრივ, შეეძლო

სასაცილოდ აეგდო ისინი და შეეძახნა მათთვის: «სულელებო, ეს მე შემეძლო მეთქვა თქვენთვის ჯერ კიდევ ორასი წლის წინათ!»

მაგრამ მე მაინც მეშინია, რომ ვერც ბრიტანელი ბურჟუას სარწმუნოებრივი სიჩლუნგე და ვერც კონტინენტური ბურჟუას post festum მომხდარი მოქცევა ვერ შეაჩერებს აზვირთებულ პროლეტარულ ნიაღვარს. ტრადიცია — ეს დიდი მუხრუჭია, ეს ისტორიის ინერციის ძალაა. მაგრამ იგი მხოლოდ პასიურია და ამიტომ უნდა დაიღუპოს. აგრეთვე ვერც რელიგია გაწვევს დიდხანს კაპიტალისტური საზოგადოების ბურჯობას. თუ ჩვენი იურიდიული, ფილოსოფიური და სარწმუნოებრივი წარმოდგენები მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებული ეკონომიური ურთიერთობის ახლობელ თუ შორეულ ყლორტებს შეადგენენ, ეს წარმოდგენები დიდხანს ვერ გასძლებენ მას შემდეგ, რაც ეკონომიური ურთიერთობანი ძირბუდიანად შეიცვლება. ან უნდა ვირწმუნოთ ზესთაბუნებრივი გამოცხადება, ან უნდა ვაღიაროთ, რომ არავითარ სარწმუნოებრივ ქადაგებას არ შეუძლია უშველოს დაღუპვის გზაზე დამდგარ საზოგადოებას.

და მართლაც, ინგლისშიაც მუშები კვლავ ამოძრავდნენ. უეჭველია, ისინი შებორკილი არიან ყოველგვარი ტრადიციებით. უწინარეს ყოვლისა ბურჟუაზიული ტრადიციებით: ასეთია, მაგალითად, მეტად გავრცელებული ცრურწმენა, თითქოს შესაძლებელია მხოლოდ ორი პარტია, კონსეოვატიული და ლიბერალური, და თითქოს მუშათა კლასმა თავის განთავისუფლებას უნდა მიაღწიოს მხოლოდ უძლიერესი ლიბერალური პარტიის საშუალებით. შემდეგ მოდის მუშათა ტრადიციები, რომლებიც მემკვიდრეობით გადმოცემულია მუშათა კლასის დამოუკიდებელი გაძოსვლების პირველი გაუბედავი ცდების დროიდან: ასეთ ტრადიციას წარმოადგენს პეერ ძველ ტრედ-უნიონში ყველა იმ მუშის გამოირცხვა, რომელთაც არ გაუვლიათ რეგულარული შეგირდობა. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ყოველი ასეთი პროფესიული კავშირი თვით ზრდის საკუთარ შტრაიკბრეხერებს. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ინგლისის მუშათა კლასი წინ მიდის, როგორც ეს იძულებული იყო მწუხარებით ეცნობებინა თავის კათედერ-სოციალისტურ მოძმეებისათვის თვითონ ბატონ პროფესორ ბრენტანოს. მუშათა კლასი მოძრაობს — როგორც ყოველივე ინგლისში — ნელი, განზომილი ნაბიჯით, ის ხან მერყეობს, ხან ხელის ფათურით გაუბედავ, ზოგჯერ უნაყოფო ცდებს აკეთებს. ის მოძრაობს ზოგჯერ გადაპარბებული უნდობლობით სიტყვა სოციალიზმისადმი, იმსჭვალება კი ამავე დროს მისი დედაარსით. ის მოძრაობს, — და ეს მოძრაობა ერთი მეორის მიყო-

ლებით ითრევს მუშათა ფენებს. დღეს მან გამოაღვიძა მკვდრისებური ძილისაგან ლონდონის ისტ-ენდის გაუწყფავი მუშები, და ჩვენ ვნახეთ, რა დიდებული ბიძგი მისცეს მუშათა კლასს თავის მხრივ ამ ახალმა ძალებმა. და თუ ამ მოძრაობის მსვლელობა ვერ ეწევა ზოგიერთ კრიტიკოსთა მოუთმენელ მოლოდინს, მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ სწორედ მუშათა კლასი ინარჩუნებს ინგლისური ნაციონალური ხასიათის საუკეთესო მხარეებს და რომ ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ერთხელ იქნა მოპოვებული ინგლისში, არასოდეს არ იკარგება. თუ ზემოთ განმარტებული მიზეზების გამო, ძველი ჩარტისტების შვილები ვერ იყვნენ სავსებით ისეთები, როგორიც მოსალოდნელი იყო, ისე ეტყობა, რომ შვილიშვილები მაინც იქნებიან თავიანთ მამა-პაპათა ღირსეული მემკვიდრენი.

მაგრამ ევროპის მუშათა კლასის გამარჯვება დამოკიდებულია არა მარტო ინგლისზე. იგი შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ, ყოველ შემთხვევაში, ინგლისის, საფრანგეთის, და გერმანიის ურთიერთქმედებით. ორ უკანასკნელ ქვეყანაში მუშათა მოძრაობამ საგრძნობლად გაუსწრო წინ ინგლისისას. გერმანიაში ის იმდენად მიუახლოვდა ტრიუმფს, რომ დარჩენილი მანძილის გაზომვაც კი შეიძლება. უბადლოა ის წარმატება, რომელსაც მან იქ მიაღწია უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში. იგი წინ მიდის თანდათან უფრო მზარდი სისწრაფით. თუ გერმანიის ბურჟუაზიამ დაამტკიცა თავისი ბეჩავი უბადრუკობა და პოლიტიკური ნიჭის, დისციპლინის, სიმტკიცის, ენერგიის უქონლობა, სამაგიეროდ გერმანიის მუშათა კლასმა დაგვანახვა, რომ ის ყველა ამ თვისებით საკმაოდ არის დაჯილდოებული. თითქმის ოთხასი წლის წინათ გერმანია ევროპის ბურჟუაზიის პირველი დიდი აჯანყების ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა. არსებული მდგომარეობის მიხედვით განა შეუძლებელი უნდა იყოს, რომ გერმანია გადაიქცეს აგრეთვე ევროპის პროლეტარიატის პირველი დიდი გამარჯვების ასპარეზად?

1892 წ. 20 აპრილი

ფრიდრიხ ენგელსი

პირველად გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე გამოცემულ ფ. ენგელსის შრომაში «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ», რომელიც გამოიცა ლონდონში 1892 წ. იმავედროულად დაბეჭდილი იყო გერმანულ ენაზე ჟურნალში «Neue Zeit»-ის 1892-1893 წწ. გამოცემაში.

იბეჭდება ჟურნალის ტექსტთან შეჯერებული ინგლისური გამოცემის ტექსტის მიხედვით. თარგმანი ინგლისურიდან.

სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ

I

თანამედროვე სოციალიზმი თავისი შინაარსით უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს შედეგს დაკვირვებისა, ერთი მხრივ, თანამედროვე საზოგადოებაში შეძლებულთა და ღარიბთა, კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშებს შორის გაბატონებულ კლასობრივ წინააღმდეგობებზე, ხოლო მეორე მხრივ, — წარმოებაში გაბატონებულ ანარქიაზე. მაგრამ თავისი თეორიული ფორმის მიხედვით იგი თავდაპირველად გვევლინება როგორც XVIII საუკუნის დიდი ფრანგი განმანათლებლების მიერ წამოყენებული პრინციპების შემდგომი, თითქოს უფრო თანამიმდევარი განვითარება. როგორც ყოველი ახალი თეორია, სოციალიზმიც უწინარეს ყოვლისა აზროვნების იმ მასალას უნდა დაყრდნობოდა, რომელიც მას დახვდა დაგროვებული, თუმცა მისი ფესვები მატერიალურ ეკონომიურ ფაქტებში იყო გადგმული.

დიდი ადამიანები, რომელთაც საფრანგეთში ადამიანთა თავები გაანათლეს მოახლოებული რევოლუციისათვის, თვითონაც უკიდურეს რევოლუციონერებად გამოდიოდნენ. ისინი არავითარ გარეგან ავტორიტეტს არ სცნობდნენ, რა სახისაც უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი. რელიგია, შეხედულება ბუნებაზე, საზოგადოება, სახელმწიფოებრივი წყობილება, — ყოველივე ეს უაღრესად დაუნდობელ კრიტიკას დაექვემდებარა; ყოველივე ამას თავისი არსებობა უნდა გაემართლებინა, გონების სამსჯავროს წინაშე ან უარი ეთქვა თავის არსებობაზე. მოაზროვნე გონება ერთადერთ მასშტაბად იქცა, რომლითაც ყველაფერს ზომავდნენ. ეს იყო დრო, როცა, როგორც ჰეგელი ამბობს, «სამყარო ყირამალა იქნა დაყენებული»[1],

[1] ი ი რას ლაპარაკობს ჰეგელი საფრანგეთის რევოლუციაზე: «სამართლის იდეამ, მისმა ცნებამ ერთბაშად მოიპოვა საყოველთაო აღიარება, უუფლებობის ძველ დასაყრდენთ არავითარი წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლოთ მისთვის, სამართლის იდეა საფუძვლად დაედო კონსტიტუციას, და ამიერიდან ყოველივე ამ საფუძველს უნდა დაყრდნობოდა. მას შემდეგ, რაც ცაზე მზე ანათებს და მის გარშემო პლანეტები ტრიალებენ, ჯერ არავის უნახავს, რომ ადამიანი

პირველად იმ აზრით, რომ ადამიანის თავი და მისი აზროვნებით აღმოჩენილი დებულებანი პრეტენზიას აცხადებდნენ, რათა ისინი ყოველივე ადამიანური მოქმედებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთადერთ საფუძვლად მიეჩნიათ; შემდეგ კი იმ ფართო აზრითაც, რომ სინამდვილე, რომელიც ამ დებულებებს ეწინააღმდეგებოდა, ფაქტიურად თავიდან ბოლომდე გადატრიალებულ იქნა. ყველა წინანდელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფორმა, ყველა ტრადიციული წარმოდგენა სანაგვეში იქნა გადასროლილი, როგორც არაგონიერი; დღემდე ქვეყანას მხოლოდ ცრურწმენანი ხელმძღვანელობდნენ, და მთელი მისი წარსული მხოლოდ შებრალების და ზიზღის ღირსია. განთიადი მხოლოდ ახლა დაიწყო, გონების სუფევა დადგა, და ამიერიდან ცრუმორწმუნეობამ, უსამართლობამ, პრივილეგიებმა და ჩაგვრამ ადგილი უნდა დაუთმოს სამართალდისა ჭეშმარიტებას, სამართალდისა სამართლიანობას, ბუნების კანონებზე დაფუძნებულ თანასწორობას და განუსხვისებელ ადამიანურ უფლებებსო.

ჩვენ ახლა ვიცით, რომ ეს გონების სამეფო სხვა არა იყო რა, თუ არ ბურჟუაზიის გაიდეალებული სამეფო; რომ სამართალდისა სამართლიანობამ თავისი განხორციელება ბურჟუაზიულ იუსტიციაში ჰპოვა; რომ თანასწორობა გადაიქცა ბურჟუაზიულ თანასწორობად კანონის წინაშე; რომ ბურჟუაზიული საკუთრება ერთ-ერთ ყველაზე არსებით ადამიანურ უფლებად გამოცხადდა; და რომ გონიერი სახელმწიფო, როუსოს «საზოგადოებრივი ხელშეკრულება», განხორციელდა და იგი შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიული რესპუბლიკა. XVIII საუკუნის დიდ მოაზროვნეთ ისევე არ შეეძლოთ თავიანთი ეპოქის ჩარ-

---

თავით დამუგარიყო, ე. ი. აზრს დამყარებოდა, და მისი მიხედვით აეგო სინამდვილე. ანაქსაგორამ პირველმა თქვა, რომ Nûs, ე. ი. გონება» განაგებს სამყაროსო, მაგრამ პირველად მხოლოდ ახლა მივიდა ადამიანი იმის აღიარებამდე, რომ აზრი უნდა მართავდეს სულიერ სინამდვილეს. ეს იყო მზის დიდებული ამოსვლა. ყველა მოაზროვნე არსება დღესასწაულობდა ახალი ეპოქის დადგომას. უაღრესი აღტაცება მბრძანებლობდა ამ დროს, და მთელი მსოფლიო გაიმსჭვალა სულის ენთუზიაზმით, თითქოს პირველად მოხდა ღვთაებრივი საწყისის შერიგება მსოფლიოსთან» (Hegel, «Philosophie der Geschichte», 1840, s. 535) (ჰეგელი, ისტორიის ფილოსოფია, 1840, გვ. 535). განა დრო არ არის, ბოლოს განსვენებული პროფესორის ჰეგელის ასეთი საშიშარი, სახოგადოებრივი საფუძვლების დამამზობელი მოძღვრების საწინააღმდეგოდ ამოქმედდეს კანონი სოციალისტების წინააღმდეგ? (ენგელსის შენიშვნა).

ჩოებს გასცილებოდნენ, როგორც ეს არ შეეძლოთ მათ წინამორბედთ.

მაგრამ ფეოდალური თავადაზნაურობის და იმ ბურჟუაზიის წინააღმდეგობის გვერდით, რომელიც მთელი დანარჩენი საზოგადოების წარმომადგენლად გამოდიოდა, არსებობდა საერთო წინააღმდეგობა ექსპლუატატორთა და ექსპლუატირებულთა, მდიდარ მუქთახორათა და მშრომელ ლატაკთა შორის. სწორედ ამ გარემოებამ შეაძლებინა ბურჟუაზიის წარმომადგენლებს გამოსულიყვნენ არა როგორც ერთი განსაკუთრებული კლასის, არამედ როგორც მთელი ტანჯული კაცობრიობის წარმომადგენელნი. კიდევ მეტს ვიტყვით: წარმოშობიდანვე ბურჟუაზია თავის წიაღში საკუთარ წინააღმდეგობას ატარებდა: კაპიტალისტებს არ შეუძლიათ არსებობა დაქირავებული მუშების გარეშე. და იმდენად, რამდენადაც შუა საუკუნეების ამქრის ოსტატი თანამედროვე ბურჟუად ვითარდებოდა, ქარგლები და ამქრის გარეშე მყოფი დღიური მუშები პროლეტარებად იქცეოდნენ. და თუმცა საერთოდ ბურჟუაზიას შეეძლო განეცხადებინა — თავადაზნაურობის საწინააღმდეგო ბრძოლაში აგრეთვე იმ დროის სხვადასხვა მშრომელი კლასების ინტერესების წარმომადგენელიც ვარო, მაინც ყოველი დიდი ბურჟუაზიული ამბოხების დროს თავს იჩენდა ხოლმე იმ კლასის დამოუკიდებელი მოძრაობა, რომელიც თანამედროვე პროლეტარიატის მეტად თუ ნაკლებად განვითარებული წინამორბედი იყო. ასეთი იყო ანაბაპტისტების და ტომას მიუნცერის მოძრაობა რეფორმაციისა და გლეხთა ომის დროს გერმანიაში; ლეველერების [1] მოძრაობა ინგლისის დიდი რევოლუციის დროს, ბაბეფის შეთქმულება საფრანგეთის დიდ რევოლუციაში. ამ, ჯერ კიდევ მოუმწიფებელი კლასის რევოლუციურ ამბოხებასთან ერთად შესატყვისი თეორიული გამოსვლებიც ხდებოდა; ასეთია იდეალური საზოგადოებრივი მდგომარეობის უტოპიური გამოსახვა XVI და XVII საუკუნეებში [2]. XVIII საუკუნეში კი — უკვე პირდაპირ კომუნისტური თეორიები (მორელი და მაბლი). თანასწორობის მოთხოვნა

---

[1] ლ ე ვ ე ლ ე რ ე ბ ი — სიტყვასიტყვით გ ა მ თ ა ნ ა ბ რ ე ბ ე ლ ნ ი: სახელწოდება ქალაქისა და სოფლის პლებეურ ელემენტთა მოძრაობის წარმომადგენლებისა, რომელნიც 1646 წ. რევოლუციის დროს ინგლისში ყველაზე რადიკალურ დემოკრატიულ მოთხოვნებს აყენებდნენ. რ ე დ.

[2] ენგელსს მხედველობაში აქვს უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლები — ტომას მორის (XVI საუკ.) და კამპანელას (XVII საუკ.) ნაწარმოებები. რ ე დ.

ალარ ისაზღვრებოდა პოლიტიკური უფლებებით, იგი თვითეული ცალკე პირის საზოგადოებრივ მდგომარეობაზეც უნდა გავრცელებულიყო; უნდა მოსპობილიყო არა მარტო კლასობრივი პრივილეგიები, არამედ თვით კლასობრივი განსხვავებანიც. ახალი მოძღვრების პირველი გამოსახულების ფორმა ასკეტურად მკაცრი, ცხოვრების ყოველი სიამოვნების აღმკვეთი, სპარტანული კომუნიზმი იყო. შემდეგ ასპარეზზე სამი დიდი უტოპისტი გამოვიდა: სენ-სიმონი, რომლის აზროვნებაში ბურჟუაზიულმა მიმართულებამ პროლეტარულის გვერდით ერთგვარი ძალა შეინარჩუნა, ფურიე და ოუენი, რომელმაც ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური წარმოების ქვეყანაში და ამ წარმოების მიერ შექმნილ წინააღმდეგობათა შთაბეჭდილებით, სისტემატურად განავითარა თავისი წინადადებანი კლასობრივ წინააღმდეგობათა მოსასპობად და ამ მხრივ პირდაპირ ფრანგულ მატერიალიზმს დაეყრდნო.

ამ სამ დიდ უტოპისტს ის აქვს საერთო, რომ ისინი არ გამოდიოდნენ როგორც წარმომადგენელნი ამ დროისათვის ისტორიულად შექმნილი პროლეტარიატის ინტერესებისა. გამანათლებელთა მსგავსად მათ სურდათ, პირველ ყოვლისა, არა განსაზღვრული კლასის, არამედ ერთბაშად მთელი კაცობრიობის განთავისუფლება. იმათ მსგავსად ამათაც გონების და სამართალიანობის სამეფოს დამყარება სურდათ; მაგრამ მათი სამეფო, როგორც ცა დედამიწისაგან, ისეა დაშორებული ფრანგ გამანათლებელთა სამეფოს. გამანათლებელთა პრინციპების მიხედვით მოწყობილი ბურჟუაზიული მსოფლიოც უგუნური და უსამართლოა, და ამიტომ იგი სანაგვე ყუთში უნდა გადავისროლოთ ფეოდალიზმისა და ყველა წინანდელი საზოგადოებრივი წყობილების მსგავსადო. თუ ნამდვილი გონება და სამართალიანობა აქამდე ქვეყანაზე არ გაბატონებულა, ეს იმით აიხსნება, რომ ისინი აქამდე სწორად არ შეუცნიათო. გვაკლდა სწორედ გენიოსი ადამიანი, რომელიც ახლა გამოვიდა და ჭეშმარიტება შეიცნოო; ის რომ ახლა გამოვიდა და ჭეშმარიტება რომ სწორედ ახლა იქნა შეცნობილი, ეს ისტორიული განვითარების კავშირიდან აუცილებლად გამომდინარე გარდაუვალ მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ უბრალო ბედნიერი შემთხვევაა. ეს გენიალური ადამიანი ისევე კარგად შეიძლებოდა ხუთასი წლის წინათ დაბადებულიყო, და მაშინ კაცობრიობა გადარჩებოდა ხუთასი წლის შეცდომებს, ბრძოლასა და ტანჯვასო.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ მიმართავდნენ გონებას, როგორც ყოველივე არსებულის ერთადერთ მსაჯულს, XVII საუკუნის ფრან-

გი ფილოსოფოსები, რომელნიც რევოლუციას ამზადებდნენ. უნდა შექმნილიყო გონიერი სახელმწიფო, გონიერი საზოგადოება, ხოლო ყოველივე, რაც სამარადისო გონებას ეწინააღმდეგებოდა, შეუბრალებლად გაუქმებულიყო. დავინახეთ აგრეთვე, რომ ეს სამარადისო გონება სინამდვილეში მხოლოდ იმ საშუალო წოდების მოქალაქის გაიდეალებული ჭკუა იყო, რომელიც სწორედ მაშინ ემზადებოდა ბურჟუად გადაქცეულიყო. ამიტომ, როცა საფრანგეთის რევოლუციამ ეს გონიერი საზოგადოება და ეს გონიერი სახელმწიფო განახორციელა, აღმოჩნდა, რომ ახალი დაწესებულებანი, რარიგ რაციონალურიც უნდა ყოფილიყვნენ ისინი წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით, სრულიადაც არ იყვნენ აბსოლუტურად გონიერი. გონების სამეფომ სრული მარცხი განიცადა. რუსოს საზოგადოებრივმა ხელშეკრულებამ თავისი განხორციელება ჰპოვა ტერორის ეპოქაში, საიდანაც თავის პოლიტიკურ უნარზე იმედგაცრუებულმა ბურჟუაზიამ თავი შეაფარა ჯერ დირექტორიის მექრთამეობას, ხოლო ბოლოს ნაპოლეონის დესპოტიზმს. აღთქმული მარადიული მშვიდობიანობის მაგივრად დაუსრულებელი დაპყრობითი ომები დაიწყო. არც გონიერი საზოგადოების საქმე წასულა უკეთ. იმის მაგივრად, რომ მდიდართა და ღატაკთა წინააღმდეგობა საყოველთაო კეთილდღეობით შეცვლილიყო, იგი კიდევ უფრო გამძაფრდა იმ ამქრული და სხვა პრივილეგიების მოსპობის გამო, რომელნიც ამ წინააღმდეგობაზე ხიდივით იყო გადებული, და იმ საეკლესიო საქველმოქმედო დაწესებულებათა გაუქმების გამო, რომელნიც მას არბილებდნენ. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ფეოდალური ბორკილებისაგან «საკუთრების განთავისუფლება» წვრილი ბურჟუებისა და გლეხებისათვის წარმოადგენდა იმის თავისუფლებას, რომ მათ მსხვილი კაპიტალისა და მსხვილი მიწათმფლობელობის ძლიერი კონკურენციით გასრესილი წვრილი საკუთრება შეეძლოთ ამ მაგნატებისათვის მიეყიდათ. ამრიგად, წვრილი ბურჟუებისა და გლეხებისათვის ის იქცა თავისუფლებად საკუთრებისაგან. მრეწველობის აყვავებამ კაპიტალისტურ საფუძველზე მშრომელი მასების სიღარიბე და დაბეჩავება საზოგადოების არსებობის პირობად აქცია. ნაღდი ანგარიში გახდა, კარლეილის თქმით, ამ საზოგადოების ერთადერთ დამაკავშირებელ ელემენტად. დანაშაულთა რიცხვი წლიდან წლამდე მატულობდა. წინათ დღის სინათლეზე უშიშრად გამოფენილი ფეოდალური ბიწიერება ახლა თუმცა არ მოსპობილა, მაგრამ დროებით მაინც მიიჩქმალა, სამაგიეროდ აყვავდა ბურჟუაზიული ბიწიერება, რასაც წინათ მხოლოდ ფარულად თუ იგემებ-

დნენ. ვაჭრობა თანდათან თაღლითობად იქცა. რევოლუციური დევიზი — «ძმობა» კონკურენციის გაიძვერობასა და შურიანობაში განხორციელდა. ძალდატანებითი ჩაგვრის ადგილი მოსყიდვამ დაიპირა, მახვილის ადგილას საზოგადოებრივი ძალის პირველ ბერკეტად ფული იქცა. პირველი ღამის უფლება ფეოდალური მებატონეებიდან ბურჟუა-ფაბრიკანტებზე გადავიდა. პროსტიტუცია გაუგონარი ზომით გაფართოვდა; თვით ქორწინება როგორც წინათ, ისე ახლაც პროსტიტუციის კანონიერად აღიარებულ ფორმად, მის ოფიციალურ საბურველად დარჩა, ამას გარდა იგი უხვად შეიესო ცოლქმრული ღალატით. ერთი სიტყვით, გამანათლებელთა მაღალ ფარდოვან აღთქმებთან შედარებით, «გონების გამარჯვებით» გამოწვეული საზოგადოებრივი და პოლიტიკური დაწესებულებანი იმედის გამცრუებელი, ბოროტი კარიკატურა აღმოჩნდა. საჭირო იყო მხოლოდ ადამიანები, რომელნიც დაადასტურებდნენ ამ იმედის გაცრუებას, და ეს ადამიანებიც გამოჩნდნენ ახალი საუკუნის დაბდეგს. 1802 წელს გამოქვეყნდა სენ-სიმონის «წერილები ჟენევიდან»; 1808 წელს გამოვიდა ფურიეს პირველი ნაწარმოები, თუმც მისი თეორიის საფუძველი 1799 წლით იყო დათარიღებული; 1800 წლის პირველ იანვარს რობერტ ოუენმა ნიუ-ლენარკის ხელმძღვანელობა იკისრა.

✓შაგრამ ამ დროისათვის კაპიტალისტური წარმოების წესი და მასთან ერთად ბურჟუაზიის და პროლეტარიატის წინააღმდეგობა ჯერ კიდევ მეტად განუვითარებელი იყო. მსხვილი მრეწველობა, რომელიც ის იყო ინგლისში წარმოიშვა, საფრანგეთში ჯერ კიდევ უცნობი იყო. პირველად კი მხოლოდ მსხვილი მრეწველობა ანვითარებს, ერთი მხრივ, კონფლიქტებს, რომელნიც წარმოების წესის გადატრიალებას, მისი კაპიტალისტური ხასიათის მოსპობას გარდუვალ აუცილებლობად ხდიან — კონფლიქტებს არა მარტო მის მიერ შექმნილ კლასებსა, არამედ აგრეთვე თვით მის მიერ შექმნილ საწარმოო ძალებსა და გაცვლა-გამოცვლის ფორმებს შორის; ხოლო მეორე მხრივ, მსხვილი მრეწველობა სწორედ საწარმოო ძალთა ამ უზარმაზარ განვითარებაში საშუალებასაც ჰქმნის ამ კონფლიქტების გადასაჭრელად. თუ, მაშასადამე, 1800 წელს ახალი საზოგადოებრივი წესწყობილებიდან გამომდინარე კონფლიქტები ჯერ კიდევ წარმოშობის პროცესში იმყოფებოდნენ, მით უმეტეს ეს ითქმის მათი გადაჭრის საშუალებებზე. თუმცა პარიზის ქონებას მოკლებულმა მასებმა ტერორის დროს ერთი წუთით დაიპყრეს ძალაუფლება, და შეეძლოთ მათ, ამრიგად, ბურჟუაზიული რევოლუცია

გამარჯვებამდე მიეყვანათ თვით ბურჟუაზიისავე წინააღმდეგ, მაგრამ ამით მხოლოდ ის დაამტკიცეს, რომ იმდროინდელ პირობებში მათი ბატონობა ხანგრძლივად შეუძლებელი იყო. პროლეტარიატი, რომელიც ის იყო ამ ქონებასმოკლებულ მასებს ემიჯნებოდა როგორც ახალი კლასის ჩანასახი, ჯერ კიდევ სრულიად მოკლებული იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქმედების უნარს, ჩაგრულ, ტანჯულ წოდებას წარმოადგენდა და, რადგან თავისი თავის შველა არ შეეძლო, მხოლოდ გარედან, მხოლოდ ზემოდან ელოდა ხსნას.

ამ ისტორიულმა მდგომარეობამ გავლენა მოახდინა სოციალიზმის ფუძემდებლებზეც. კაპიტალისტური წარმოების უმწიფარ ვითარებას, კლასების უმწიფარ მდგომარეობას უმწიფარი თეორიები შეეფერებოდა, საზოგადოებრივი ამოცანების გადაჭრა, რომელიც ჯერ კიდევ განუვითარებელ ეკონომიურ ურთიერთობაში იყო დამალული, ადამიანის თავში უნდა შექმნილიყო. საზოგადოება აღსავსე იყო ნაკლოვანებებით; მათი მოსპობა მოაზროვნე გონების ამოცანა იყო. საქმე იმას შეეხებოდა, რომ გამოგონებულიყო საზოგადოებრივი წესწყობილების ახალი, უფრო სრულქმნილი სისტემა და იგი საზოგადოებას გარედან მოხვეოდა თავს, პროპაგანდის შემწეობით, თუ შესაძლებელი იყო — სანიმუშო ექსპერიმენტების მაგალითითაც. ეს ახალი სოციალური სისტემები იმთავითვე განწირული იყვნენ უტოპიად დარჩენილიყვნენ; რამდენადაც უფრო დეტალურად ამუშავებდნენ მათ, მით უფრო წმინდა ფანტაზიაში უნდა გადასულიყვნენ ისინი.

ამ გარემოების დადასტურების შემდეგ, ჩვენ ერთი წუთითაც აღარ შევჩერდებით საკითხის ამ მხარეზე, რომელიც დღეს სავსებით წარსულს ეკუთვნის. ჩვენ შეგვიძლია ლიტერატურულ მეუვრილმანეებს დავუთმოთ დიდის ამბით ხელები აფათურონ ამ სასაცილოდ გადაქცეულ ფანტაზიებში და ასეთი «სიგიჟის» წინააღმდეგ თავიანთი საკუთარი ფხიზელი აზროვნების უპირატესობა ამტკიცონ. ჩვენ უფრო გვახარებს ის გენიოსური აზრები და აზრთა ჩანასახები, რომელნიც ყველგან გამოსჭვივიან ფანტასტიკური საბურველის ქვეშ და რომელთა დასანახად ის ფილისტერები ბრმები არიან.

სენ-სიმონი იყო შვილი საფრანგეთის დიდი რევოლუციისა, რომლის დასაწყისში იგი ჯერ კიდევ მიღწეული არ იყო ოცდაათი წლის ასაკს. რევოლუცია მესამე წოდების, ე. ი. წარმოებასა და ვაჭრობაში ჩაბმული ერის უმრავლესობის გამარჯვებას წარმოადგენდა თავადაზნაურობასა და სამღვდელოებაზე, რომელნიც მა-

ნამდე პრივილეგიური უსაქმური წოდებები იყვნენ. მაგრამ მალე გამომჟღავნდა, რომ მესამე წოდების გამარჯვება იყო მარტოდმარტო ამ წოდების პატარა ნაწილის გამარჯვება; რომ იგი იყო პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობა მისი სოციალურ-პრივილეგიური ფენის — შეძლებული ბურჟუაზიის მიერ. ამასთანავე ეს ბურჟუაზია სწრაფად განვითარდა ჯერ კიდევ რევოლუციის პროცესში, ერთი მხრივ, თავადაზნაურობისა და ეკლესიისაგან კონფისკაციით ჩამორთმეული და შემდეგ გაყიდული მამულების სპეკულაციით, ხოლო მეორე მხრივ, — სამხედრო მიმწოდებელთა მიერ ერის მოტყუებით. სწორედ ამ სპეკულანტების ბატონობამ დირექტორიის ეპოქაში საფრანგეთი და რევოლუცია დაღუპვის პირას მიიყვანა და ამით ნაპოლეონს საბაბი მისცა სახელმწიფოებრივი გადატრიალება მოეხდინა. ამრიგად, სენ-სიმონის თავში წინააღმდეგობამ მესამე წოდებასა და პრივილეგიურ წოდებებს შორის მიიღო ფორმა «მუშებისა» და «უსაქმურთა» წინააღმდეგობისა. უსაქმურთ ეკუთვნოდნენ არა მარტო ძველი პრივილეგიური ელემენტები, არამედ ყველა, ვინც მონაწილეობას არ იღებდა წარმოებასა და ვაჭრობაში და თავისი რენტით ცხოვრობდა. «მუშებად» კი ითვლებოდნენ არა მარტო დაქირავებული მუშები, არამედ ფაბრიკანტებიც, ვაჭრებიც, ბანკირებიც. უცილობელი იყო, რომ უსაქმურმა ელემენტებმა დაკარგეს სულიერი ხელმძღვანელობისა და პოლიტიკური ბატონობის უნარი, ეს საბოლოოდ დამტკიცებული იყო რევოლუციის მიერაც. მაგრამ სენ-სიმონის აზრით, ტერორის ეპოქის გამოცდილება იმასაც მოწმობდა, რომ ღარიბებს არ ჰქონდათ ამის უნარი. მაშ ვის უნდა გაეწია ხელმძღვანელობა და ბატონობა? სენ-სიმონის აზრით — მეცნიერებასა და მრეწველობას, გაერთიანებულთ ახალი რელიგიური კავშირით, აუცილებლად მისტიკური და მკაცრად იერარქიული «ახალი ქრისტიანობით», რომელსაც უნდა აღედგინა რეფორმაციის დროიდან დაშლილი მთლიანობა რელიგიური შეხედულებებისა. მაგრამ მეცნიერებას ოფიციალური სწავლულები წარმოადგენდნენ, ხოლო მრეწველობას, უწინარეს ყოვლისა, აქტიური ბურჟუები, ფაბრიკანტები, ვაჭრები, ბანკირები, მართალია, ეს ბურჟუები რაღაც სახელმწიფო მოხელეების, მთელი საზოგადოების რწმუნებულების მაგვარი რამ უნდა გამხდარიყვნენ, მაგრამ მუშების მიმართ უნდა შეენარჩუნებინათ განმკარგულებელი ფუნქციები და აგრეთვე პრივილეგიური ეკონომიური მდგომარეობა. რაც შეეხება ბანკირებს, ისინი მოწოდებული იყვნენ მთელი საზოგადოებრივი წარმოება

მოეწესრიგებინათ კრედიტის მოწესრიგების შემწეობით. ასეთი შეხედულება სავსებით შეეფერებოდა იმ ეპოქას, როცა საფრანგეთში ის იყო დაიწყო მსხვილი მრეწველობის და მასთან ერთად ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის წინააღმდეგობის წარმოშობა. მაგრამ სენ-სიმონი განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ ყველგან და ყოველთვის, უწინარეს ყოვლისა, «ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე ღარიბი კლასის» ბედი მაინტერესებსო («la classe la plus nombreuse et la plus pauvre»).

უკვე სენ-სიმონის «წერილებში ჟენევიდან» იმ დებულებას ვხვდებით, რომ «ყველამ უნდა იმუშაოს». იმავე ნაწარმოებში იგი უკვე აღნიშნავს, ტერორის ბატონობა საფრანგეთში ქონებასმოკლებული მასების ბატონობა იყოო. «შეხედეთ, — ეუბნება იგი ამ მასებს, — რა მოხდა საფრანგეთში იმ დროს, როცა იქ თქვენი ამხანაგები ბატონობდნენ; მათ შიმშილი გამოიწვიეს». მაგრამ 1802 წ. უაღრესად გენიოსური აღმოჩენა იყო იმის თქმა, რომ საფრანგეთის რევოლუცია კლასობრივი იყო, და ბრძოლა არა მარტო თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის, არამედ თავადაზნაურობასა, ბურჟუაზიასა და ქონებას მოკლებულ კლასებს შორისო. 1816 წელს იგი პოლიტიკას წარმოების მეცნიერებად აცხადებს და წინასწარმეტყველებს, პოლიტიკას სავსებით შთანთქავს ეკონომიკაო. თუ აქ მხოლოდ ჩანასახის ფორმით ვხედავთ იმ შეხედულებას, რომ ეკონომიური მდგომარეობა პოლიტიკური დაწესებულების საძირკველია, სამაგიეროდ სრულიად ნათლად არის გამოთქმული ის აზრი, რომ პოლიტიკური მმართველობა, რომელიც ადამიანებს განაგებს, უნდა გადავიდეს მმართველობაში, რომელიც საგნებს განაგებს და წარმოების პროცესებს ხელმძღვანელობს, ერთი სიტყვით, ნათლად გამოთქმულია «სახელმწიფოს გაუქმების» აზრი, რომელმაც ამ ბოლო დროს ამდენი ხმაურობა გამოიწვია. ასეთსავე უპირატესობას იჩენს სენ-სიმონი თავის თანამედროვეთა მიმართ, როცა 1814 წელს — უშუალოდ პარიზში მოკავშირეების შესვლის შემდეგ — და კიდევ 1815 წელს (ასი დღის ომის დროს) აცხადებს, პირველ რიგში საფრანგეთის და ინგლისის კავშირი, ხოლო მეორე რიგში ორივე ამ ქვეყნის კავშირი გერმანიასთან ერთადერთ საწინდარს წარმოადგენს ევროპის წარმატებით განვითარებისა და მშვიდობიანობისათვისო. ეშმარიტად, დიდი გამბედაობა და ისტორიული შორსმჭვრეტელობა იყო საჭირო იმისათვის, რომ ადამიანს 1815 წელს

ფრანგებისათვის ექადაგნა, კავშირი შეჰკარით ვატერლოოსთან გამარჯვებულებთანო.

თუ სენ-სიმონს ახასიათებს თვალთახედვის გენიოსური სიფართოვე, რის შემწეობითაც მის შეხედულებებში ჩანასახის სახით მოიპოვება შემდგომი დროის სოციალისტების თითქმის ყველა აზრი, რომელიც არ ეკუთვნის წმინდა ეკონომიურ დარგს, ფურიე იძლევა თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობის ფრანგულად გონებამახვილ, თანაც არანაკლებ ღრმა კრიტიკას. ფურიე პირში უდგება ბურჟუაზიას, მის რევოლუციის წინადროინდელ აღფრთოვანებულ წინასწარმეტყველთ და მის რევოლუციის შემდეგ-დროინდელ მოსყიდულ მლიქვნელებს. ის ულმობლად ამხელს ბურჟუაზიულ მსოფლიოს მატერიალურ და მორალურ უბადრუკობას, იგი მას უპირდაპირებს ადრინდელ გამანათლებელთა მიმზიდველ აღთქმებს საზოგადოებაზე, სადაც მხოლოდ გონება იმეფებს, ყოვლის გამაბედნიერებელ ცივილიზაციაზე, ადამიანის უსაზღვრო სრულყოფის უნარიანობაზე; იგი ამხელს აგრეთვე მის თანამედროვე ბურჟუა-იდეოლოგთა შეფერადებულ ფრაზეოლოგიას, ამტკიცებს, რომ მათ მაღალფარდოვან ფრაზას ყველგან უბადრუკი სინამდვილე შეესაბამება, და გესლიან დაცინვას ანთხევს ფრაზეოლოგიის ამ უიმედო მარცხის გამო. ფურიე მარტო კრიტიკოსი როდია, მისი მარად ნათელი ბუნება მას სატირიკოსად აქცევს, და თვით ყველა ეპოქის ერთ-ერთ უდიდეს სატირიკოსად. იგი არა მარტო ოსტატურად, არამედ სასაცილოდაც ხატავს რევოლუციის დამხობის შემდეგ აყვავებულ სპეკულაციას და საერთო მეწვრილმანურ სულს, რომელიც მაშინდელ საფრანგეთში ვაჭრობას მოედო. კიდევ უფრო ოსტატურია მისი კრიტიკა სქესობრივი ურთიერთობის ბურჟუაზიული ფორმისა და დედაკაცის მდგომარეობისა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მან პირველმა გამოთქვა ის აზრი, რომ ამა თუ იმ საზოგადოებაში ქალის განთავისუფლების დონე ბუნებრივი საზომია საერთოდ ყოველგვარი განთავისუფლებისა. მაგრამ ფურიე ყველაზე უფრო დიდებულად გვეჩვენება, როცა გადმოსცემს თავის შეხედულებებს საზოგადოების ისტორიის შესახებ. იგი მთელი ისტორიის ადრინდელ მსვლელობას განვითარების ოთხ საფეხურად ყოფს: ველურობა, ბარბაროსობა, პატრიარქატი და ცივილიზაცია; უკანასკნელი იგივეა, რასაც ამჟამად ბურჟუაზიულ საზოგადოებას ვუწოდებთ ე. ი. XVI საუკუნიდან განვითარებული საზოგადოებრივი წესწყობილება; ფურიე ამტკიცებს, «რომ ყოველ ბიწიერებას, რომელსაც ბარბაროსობა მარტივად ანხორციელებს, ცივი-

ლიზაციური წესწყობილება რთულ, ორაზროვან, ორპირ და ფარისევლურ მოვლენად აქცევსო», რომ ცივილიზაცია მოძრაობს «მოჯადოებულ წრეში», წინააღმდეგობებში, რომელთაც იგი მუდმივად განაახლებს და რომელთა დაძლევა მას არ ძალუძს, ისე რომ ცივილიზაცია შუდამ იმის საწინააღმდეგოს აღწევს, რაც მას ნამდვილად სურს ან რის სურვილსაც მოჩვენებით გვიმხელსო. ასე, მაგალითად, «ცივილიზაციაში ს ი ღ ა რ ი ბ ე თ ვ ი თ ს ი ჭ ა რ ბ ი ს ა-გ ა ნ წ ა რ მ ო დ გ ე ბ ა». როგორც აქედან ჩანს, ფურიე დიალექტიკას ისევე ოსტატურად ფლობს, როგორც მისი თანამედროვე ჰეგელი. იმავე დიალექტიკით იგი, წინააღმდეგ ადამიანის განუსაზღვრელ სრულყოფის უნარიანობაზე ლაყბობისა, ამტკიცებს, ყოველ ისტორიულ ფაზას აქვს თავისი აღმავალი, მაგრამ აგრეთვე დაღმავალი ხაზიც, ამ თვალსაზრისს იგი მთელი კაცობრიობის მომავალსაც უყენებს. როგორც კანტმა ბუნებისმეტყველებაში დედამიწის მომავალი დაღუპვის იდეა განავითარა, ისე ფურიემ ისტორიის გაგებაში კაცობრიობის მომავალი დაღუპვის იდეა შეიტანა.

იმ დროს, როცა საფრანგეთს თავზე რევოლუციის გრიგალმა გადაუარა, ეს ქვეყანა გასწმინდა, ინგლისში უფრო წყნარი, მაგრამ არანაკლებ ძალოვანი გადატრიალება ხდებოდა. ორთქლმა და ახალმა მანქანურმა წარმოებამ მანუფაქტურა თანამედროვე მსხვილ ინდუსტრიად აქცია და ამით ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი საფუძვლის რევოლუცია მოახდინა. მანუფაქტურის პერიოდის ტაატით მავალი განვითარება შესცვალა წარმოების ნამდვილმა «ქარიშხლისა და შეტევის» პერიოდმა. მუდმივად მზარდი სისწრაფით მოხდა საზოგადოების გათიშვა მსხვილ კაპიტალისტებად და ქონებასმოკლებულ პროლეტარებად, რომელთა შორის წინანდელი მყარი საშუალო წოდების ადგილას ახლა ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების ცვალებადი მასა მერყეე არსებობას ატარებდა და მოსახლეობის ყველაზე დენად ნაწილს შეადგენდა. წარმოების ახალი წესი ჯერ კიდევ თავისი აღმავალი განვითარების დასაწყისში იმყოფებოდა; იგი ჯერ კიდევ ნორმალური, წესიერი, იმ პირობებში ერთადერთი შესაძლებელი წარმოების წესი იყო; მაგრამ მან უკვე მოასწრო თვალსაჩინო სოციალური უბედურებანი შეექმნა: უსახლკარო მოსახლეობამ თავი მოიყარა დიდი ქალაქების უსაზიზღრეს კუნჭულებში, დაიშალა ყოველი ტრადიციული კავშირი წარმოშობისა, პატრიარქალური დაქვემდებარებისა, ოჯახისა; არაქათის გამომცლელმა გადაჭარბებულმა შრომამ შემაძრწუნებელ ზომას მიაღწია განსაკუთრებით დედაკაცებისა და ბავშვებისათვის; დაიწყო

მასობრივი დემორალიზაცია ანაზდეულად სრულიად ახალ პირობებში გადასროლილ მუშათა კლასისა: იგი სოფელს მოსწყდა და ქალაქს მიეკედლა, მიწათმოქმედებას მოსცილდა და მრეწველობაში ჩაება, მყარი ცხოვრების მაგიერ ჩავარდა არსებობის ყოველდღიურად ცვალებად, არასაიმედო პირობებში. და აი ამ დროს რეფორმატორის როლში გამოვიდა ოცდაცხრა წლის ფაბრიკანტი, კაცი, რომელიც დიდბუნებოვანი და ბავშვივით შეურყვნელი ხასიათით იყო დაჯილდოებული და ამავე დროს ადამიანების შეუდარებელი ხელმძღვანელი იყო. რობერტ ოუენმა შეითვისა XVIII საუკ. მატერიალისტ-გამანათლებელთა მოძღვრება, რომ ადამიანის ხასიათი წარმოადგენს პროდუქტს, ერთი მხრივ, თანდაყოლილი ორგანიზაციისა, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ცხოვრების გარემომცველი პირობებისა, განსაკუთრებით განვითარების პერიოდში. მის წოდებრივ თანამოძმეთა უმრავლესობა სამრეწველო რევოლუციაში მხოლოდ უწესრიგობასა და ქაოსს ხედავდა, გამოსადეგს მღვრიე წყალში თევზის დასაჭერად და სწრაფად გასამდიდრებლად. ოუენი კი სამრეწველო რევოლუციაში ეძებდა შემთხვევას თავისი საყვარელი იდეა განეხორციელებინა და ამ გზით ქაოსში წესრიგი შეეტანა. მან ეს ჯერ კიდევ მანჩესტერში სცადა, როგორც ხუთასმუშიანი ფაბრიკის ხელმძღვანელმა, და წარმატებასაც მიაღწია; 1800 წლიდან 1829 წლამდე იგი, როგორც ხელმძღვანელი კომპანიონი, იმავე მიმართულებით, მხოლოდ მოქმედების მეტი თავისუფლებით ნიუ-ლენარკის დიდ ბამბისსართავ ფაბრიკას ხელმძღვანელობდა შოტლანდიაში და ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ მას მალე ხმა გაუვარდა მთელს ევროპაში. ნიუ-ლენარკის მოსახლეობა, რომელმაც თანდათან 2500 სულს მიაღწია და რომელიც თავდაპირველად მეტისმეტად შერეული და მეტწილად ძლიერ დემორალიზებული ელემენტებისაგან შედგებოდა, მან ნამდვილ სანიმუშო ახალშენად აქცია, სადაც ლოთობა, პოლიცია, სისხლის სასამართლოები და პროცესები, ღარიბებზე ზრუნვა, ქველმოქმედების საჭიროება უცნობი ამბები გახდა. და ოუენმა ამას უბრალოდ იმით მიაღწია, რომ ადამიანები ღირსეულ ადამიანურ პირობებში ჩააყენა და განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა, რათა ნორჩი თაობა კარგად აღზრდილიყო. მან მოიგონა და პირველად აქ შემოიღო საბავშვო ბაღები. ორი წლის ასაკიდან ბავშვები მოჰყავდათ საბავშვო ბაღში და ისინი ისე კარგად ერთობოდნენ, რომ ძნელი ხდებოდა მათი შინ წაყვანა. მაშინ როცა მისი კონკურენტები მუშებს დღიურად 13 — 14 საათამდე ამუშავებდნენ, ნიუ-ლენარკში მუშაობა $10^1/_2$ საათს არ

აღემატებოდა. როცა ბამბის კრიზისმა ფაბრიკის მუშაობა ოთხი თვით შეაჩერა, უქმად დარჩენილ მუშებს სრული ხელფასი ეძლეოდა. ამავე დროს ფაბრიკის ღირებულება ორჯერ მეტად გაიზარდა და იგი ბოლომდე უხვ შემოსავალს აძლევდა მის მესაკუთრეებს.

მაგრამ ყოველივე ეს ოუენს როდი აკმაყოფილებდა. ის საარსებო პირობები, რომელიც მან თავის მუშებს შეუქმნა, მისი შეხედულებით, სრულიადაც არ შეეფერებოდა ადამიანის ღირსებას. «ეს ადამიანები ჩემი მონები იყვნენო», — ამბობდა იგი. შედარებით ხელსაყრელი პირობები, რომელშიც მან ისინი ჩააყენა, საკმაო არ იყო ხასიათისა და გონების ყოველმხრივ და რაციონალურად გასავითარებლად, მით უმეტეს სასიცოცხლო ძალთა თავისუფლად ასამოქმედებლად. «ამისდა მიუხედავად ამ 2500 კაცის მშრომელი ნაწილი იმდენსავე რეალურ სიმდიდრეს აწარმოებდა საზოგადოებისათვის, რამდენსაც სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინათ მხოლოდ 600000 სულიდან შემდგარი მოსახლეობა თუ შექმნიდა. მე ჩემს თავს ვეკითხებოდი: სად მიდის ის განსხვავება, რომელიც არსებობს 2500 პირის მიერ მოხმარებულ სიმდიდრესა და იმ სიმდიდრეს შორის, რომელიც 600000 პირს უნდა შთაენთქა?» პასუხი ნათელი იყო. ეს განსხვავება იმაზე იხარჯებოდა, რომ წარმოების მფლობელებს ძირითად კაპიტალზე ხუთი პროცენტი მისცემოდა და ამას გარდა 300000 გირვანქა სტერლინგზე (6000000 მარკაზე) მეტი მოგება დარჩენილიყო. და რაც ნიუ-ლენარკის შესახებ ითქმოდა, იგივე შეიძლებოდა კიდევ მეტი საფუძვლით ინგლისის ყველა ფაბრიკის შესახებ გამეორებულიყო. «ეს ახალი, მანქანების მიერ შექმნილი სიმდიდრე რომ არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა ომების წარმოება ნაპოლეონის დასამხობად და არისტოკრატიული საზოგადოებრივი პრინციპების შესანარჩუნებლად. ეს ახალი ძალა კი მუშათა კლასის შექმნილი იყო»[1]. ამიტომ მასვე უნდა ეკუთვნოდეს მისი ნაყოფიც. ახალი, მძლავრი საწარმოო ძალები, რომელნიც მანამდე მხოლოდ ცალკე პირების გამდიდრებასა და მასების დამონებას ემსახურებოდნენ, ოუენის შეხედულებით, საფუძველს წარმოადგენდნენ საზოგადოებრივი გარდა-

[1] მიმართვიდან: «The Revolution in Mind and Practice» («რევოლუცია აზროვნებასა და პრაქტიკაში»), მიმართული «ევროპის ყველა წითელ რესპუბლიკელისა, კომუნისტისა და სოციალისტისადმი» და 1848 წ. საფრანგეთის დროებითი მთავრობისადმი, მაგრამ გაგზავნილი აგრეთვე «დედოფალ ვიქტორიასა და მის პასუხისმგებელ მრჩეველებისათვის». (ენგელსის შენიშვნა).

ქმნისათვის, და მათი დანიშნულება ის იყო, რომ მათ, როგორც საზოგადო საკუთრებას, მხოლოდ საერთო კეთილდღეობისთვის გაეწიათ სამსახური.

ოუენის კომუნიზმი ასეთ წმინდა საქმიან საფუძველზე აღმოცენდა, როგორც, ასე ვთქვათ, სოვდაგრული ანგარიშიანობის ნაყოფი. მან ბოლომდე შეინარჩუნა ეს პრაქტიკული ხასიათი. ასე, 1823 წელს ოუენმა წინადადება შეიტანა — კომუნისტური ახალშენები დავაარსოთ ირლანდიაში სიღატაკის მოსასპობადო, და თან დაურთო ძირითადი ხარჯების, წლიური გასავლის და მოსალოდნელი შემოსავლის სრული ანგარიში. მის საბოლოოდ შედგენილ მომავლის გეგმაში დეტალების ტექნიკური დამუშავება ისეთი საქმის ცოდნითაა გატარებული, ამასთანავე თანდართულია ისეთი სავარაუდო გეგმები, სამუშაო ნახაზები, ფასადისა და ხედისა, ჩიტის საფრენ სიმაღლიდან, რომ, საზოგადოების გარდაქმნის ოუენისეულ მეთოდს თუ მივიღებთ, მისი დეტალების წინააღმდეგ ბევრს ვერაფერს ვიტყვით თვით სპეციალისტის თვალსაზრისითაც კი.

კომუნიზმზე გადასვლა გარდატეხის პუნქტს წარმოადგენდა ოუენის ცხოვრებაში. სანამ იგი გამოდიოდა როგორც უბრალო ფილანტროპი, მხოლოდ სიმდიდრეს, მოწონებას, პატივსა და სახელს იხვეჭდა. იგი ყველაზე პოპულარული ადამიანი იყო ევროპაში მას კეთილგანწყობილად ყურს უგდებდნენ არა მარტო მისი წოდებრივი თანამოძმეები, არამედ სახელგანთქმული მოღვაწეებიც და მეფე-მთავრებიც; მაგრამ როგორც კი იგი თავისი კომუნისტური თეორიებით გამოვიდა, საქმის ვითარება შეიცვალა. მისი აზრით, უწინარეს ყოვლისა, სამი დიდი დაბრკოლება აფერხებდა საზოგადოებრივ რეფორმას: კერძო საკუთრება, რელიგია და ქორწინების არსებული ფორმა. მან იცოდა, რა ელოდა, როცა იგი ამ დაბრკოლებათ თავს ესხმოდა: იგი გაძევებულ იქნებოდა ოფიციალური საზოგადოებიდან და მთელ თავის საზოგადოებრივ მდგომარეობას დაკარგავდა. მაგრამ მან უკან არ დაიხია და მედგარ შეტევაზე გადავიდა. მოხდა ის, რასაც ოუენი მოელოდა: იგი განდევნეს ოფიციალური საზოგადოებიდან; პრესამ დუმილის ბეჭედი დაადო მის სახელს; იგი გაღატაკდა მარცხით გათავებული კომუნისტური ცდების გამო ამერიკაში, რომლებმაც მთელი მისი ქონება შთანთქეს; ამის შემდეგ ოუენმა პირდაპირ მუშათა კლასს მიმართა და კიდევ ოცდაათი წელიწადი იმოღვაწა მის წრეში. ყოველი საზოგადოებრივი მოძრაობა, ყოველი რეალური წარმატება, რომელიც ინგლისში განხორციელდა მუშების ინტერესების კარნახით, ოუენის სახელთანაა დაკავში-

რებული. ასე, 1819 წელს მან, ხუთი წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ, გაატარებინა პირველი კანონი, რომელიც ქალებისა და ბავშვების მუშაობას ზღუდავდა ფაბრიკებში. იგი თავმჯდომარეობდა პირველ კონგრესს, სადაც მთელი ინგლისის ტრედ-უნიონები ერთ დიდ პროფესიულ კავშირში გაერთიანდნენ. მანვე მოაწყო, როგორც სრულ კომუნისტურ საზოგადოებრივ წესწყობილებაზე გადასასვლელი ღონისძიებანი, კოოპერაციული საზოგადოებანი (სამომხმარებლო და საწარმოო ამხანაგობანი), რომელთაც, ამის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, პრაქტიკულად დაამტკიცეს, რომ როგორც ვაჭარი, ისე ფაბრიკანტი მეტად ადვილად დასათმობი პირები ყოფილან; ამას გარდა მან მოაწყო მუშათა ბაზრები, სადაც შრომის პროდუქტები შრომითი ქალალდის ფულის შემწეობით იცვლებოდა; ამ ფულის ერთეულს სამუშაო საათი შეადგენდა; ამ ბაზრებს აუცილებლად მარცხი უნდა განეცადა, მაგრამ მათ სავსებით დაასწრეს გაცილებით უფრო გვიან წარმოშობილ პრუდონისეულ საცვლელ ბანკს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი, ამ ბანკის მსგავსად, ყოველი საზოგადოებრივი ბოროტების უნივერსალურ წამლად კი არ ითვლებოდნენ, არამედ მხოლოდ პირველ ნაბიჯად მთელი საზოგადოების უფრო რადიკალური გარდაქმნის გზაზე.

უტოპისტების მსოფლმხედველობა დიდხანს ბატონობდა XIX საუკუნის სოციალისტურ შეხედულებებზე და რამდენადმე იგი მასზე დღესაც ბატონობს. უკანასკნელ დრომდე მას ემხრობოდა ყველა ფრანგი და ინგლისელი სოციალისტი და აგრეთვე ადრინდელი გერმანული კომუნიზმი, ვაიტლინგის გაპოუკლებლივ. სოციალიზმი ყველა მათთვის აბსოლუტური ჭეშმარიტების, გონებისა და სამართლიანობის გამოხატულებაა და საჭიროა მხოლოდ მისი აღმოჩენა, რათა თავისი საკუთარი ძალით მსოფლიო დაიპყროსო; მაგრამ რადგან აბსოლუტური ჭეშმარიტება დამოუკიდებელია დროისა, სივრცისა და კაცობრიობის ისტორიული განვითარებისაგან, ამიტომ უბრალო შემთხვევის საქმეა — სად და როდის იქნება იგი აღმოჩენილიო. ამასთანავე აბსოლუტური ჭეშმარიტება, გონება და სამართლიანობა თვითეული სკოლის დამაარსებელს სხვადასხვანაირად ესმის და რადგან თვითეული მათგანისათვის აბსოლუტური ჭეშმარიტების, გონებისა და სამართლიანობის განსაკუთრებული სახე, თავის მხრივ, განსაზღვრულია მისი სუბიექტური გონებით, ცხოვრების პირობებით, ცოდნის მარაგითა და აზროვნების გაწვრთნის დონით, ამიტომ ამ აბსოლუტურ ჭეშმარიტებათა კონფლიქტში შეუძლებელია სხვა გამოსავალი, გარდა მათი ურთიერთმორიგე-

ბისა. შეუძლებელი იყო აქედან სხვა, რაიმე გამოსულიყო, გარდა ერთგვარი ეკლექტიკური საშუალო სოციალიზმისა, რომელიც დღეს მართლაც გაბატონებულია საფრანგეთისა და ინგლისის სოციალისტ მუშათა უმრავლესობაში; ეს ეკლექტიკური სოციალიზმი მრავალ ელფერს შეიცავს, იგი წარმოადგენს რამდენიმე ზომიერი კრიტიკული შენიშვნისა, ეკონომიური დებულებისა და საზოგადოებრივი მომავლის იდეალის ნარევს, რომელიც სხვადასხვა სექტის დამფუძნებლებმა შეიმუშავეს; ეს ნარევი მით უფრო ადვილად სდგება, რაც უფრო ბლაგვდება მისი შემადგენელი ნაწილების წამახული კუთხეები კამათის მიმდინარეობაში, როგორც რგვალი კენჭები მდინარეში. სოციალიზმი რომ მეცნიერებად გადაქცეულიყო, იგი, უწინარეს ყოვლისა, რეალურ ნიადაგზე უნდა დამდგარიყო.

II

ამასობაში, XVIII საუკუნის ფრანგული ფილოსოფიის გვერდით და მის შემდგომ, წარმოიშვა უახლესი გერმანული ფილოსოფია, რომელმაც თავისი დასრულება ჰეგელში ჰპოვა. მისი უდიდესი დამსახურება ის იყო, რომ იგი ხელახლა დაუბრუნდა დიალექტიკას, როგორც აზროვნების უმაღლეს ფორმას. ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ყველანი ბუნებით სტიქიური დიალექტიკოსები იყვნენ, და ყველაზე უნივერსალური თავის მქონე ადამიანმა მათ შორის — არისტოტელემ, უკვე დიალექტიკური აზროვნების ყველაზე არსებითი ფორმებიც გამოიკვლია. პირიქით, თუმცა ახალ ფილოსოფიაში დიალექტიკას ბრწყინვალე წარმომადგენლები ჰყავდა (მაგ., დეკარტე და სპინოზა), ეს ფილოსოფია მაინც, განსაკუთრებით ინგლისური ფილოსოფიის გავლენის წყალობით, უფრო და უფრო ეგრეთწოდებულ მეტაფიზიკურ აზროვნებაში ჩაეფლო; თვით XVIII საუკუნის ფრანგები, ყოველ შემთხვევაში თავიანთ სპეციალურ ფილოსოფიურ შრომებში, თითქმის მხოლოდ ამ აზროვნებას ემორჩილებიან. საკუთრივ ფილოსოფიის ფარგლებს გარეთ მათაც შეესძლეს დიალექტიკის სანიმუშო ნაწარმოებნი მოეცათ; გავიხსენოთ მხოლოდ დიდროს «რამოს ძმისწული» და რუსოს ტრაქტატი «უთანასწორობის წარმოშობაზე ადამიანთა შორის». — აქ მოკლედ შეეჩერდებით აზროვნების ორივე მეთოდის არსებით მხარეებზე.

თუ ჩვენ გონების თვალს გადავავლებთ ბუნებას, კაცობრიობის ისტორიას ან ჩვენივე საკუთარ სულიერ მოქმედებას, ჩვენს წინაშე, უწინარეს ყოვლისა, გამოჩნდება კავშირთა და ურთიერთზემოქმედებათა დაუსრულებელი გადახლართვის სურათი, სადაც არაფერი

იქ და ისე არ რჩება, სადაც და როგორც იყო, არამედ ყოველივე მოძრაობს, იცვლება, წარმოიშობა და ისპობა. ამრიგად, ჩვენ ჯერ ვხედავთ საერთო სურათს, რომელშიაც ცალკე მხარეები მეტნაკლებად უკანა რიგზე დგება, ჩვენ უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ მოძრაობას, გადასვლებსა და კავშირებს, ვიდრე იმას, თუ სახელდობრ, რა მოძრაობს, რა გადადის, რა იმყოფება კავშირში. ეს თავდაპირველი, გულუბრყვილო, მაგრამ არსებითად სწორი შეხედულება სამყაროზე ძველ ბერძნულ ფილოსოფიას ეკუთვნის და პირველად ნათლად ჰერაკლიტემ გამოთქვა: ყოველივე არის და არც არის, იმიტომ რომ ყოველივე მიმდინარეობს, ყოველივე მუდმივ ცვლილებას განიცდის, მუდმივ იქმნება და ისპობაო. მაგრამ, თუმცა ეს შეხედულება სწორად ასახავს მოვლენათა საერთო სურათის ზოგად ხასიათს, მაინც იგი საკმაო არაა იმ ცალკე მხარეების ასახსნელად, რომელთაგანაც ეს საერთო სურათი შედგება; ხოლო სანამ ჩვენ ამ ახსნას ვერ შევძლებთ, საერთო სურათსაც ნათლად ვერ წარმოვიდგენთ. ამ ცალკე მხარეების შესაცნობად საჭიროა, რომ ჩვენ ისინი გამოვთიშოთ მათი ბუნებრივი ან ისტორიული კავშირიდან და თვითეული მათგანი გამოვიკვლიოთ მათი თვისებისა, მათი განსაკუთრებული მიზეზებისა და შედეგების და სხვ. მიხედვით. ეს, უწინარეს ყოვლისა, ბუნებისმეტყველებისა და ისტორიული კვლევა-ძიების ამოცანას შეადგენს, ე. ი. კვლევის იმ დარგებისა, რომელთაც სრულიად გასაგები მიზეზების გამო მხოლოდ მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირათ კლასიკური დროის საბერძნეთში, იმიტომ რომ იქ ჯერ კიდევ საამისო მასალა უნდა დაგროვებულიყო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბუნებისმეცნიერული და ისტორიული მასალა დაგროვდებოდა საკმაო რაოდენობით, შეიძლებოდა დაწყებულიყო კრიტიკული გარჩევა, შედარება, ამის შესაბამად აგრეთვე კლასებად, რიგებად და სახეებად დაყოფა. ამიტომ ბუნების ზუსტი კვლევა-ძიების პირველი საწყისები პირველად ალექსანდრიული პერიოდის[1] ბერძნებმა, ხოლო შემდეგ, შუა საუკუნეებში

[1] მეცნიერების განვითარების ალექსანდრიული პერიოდი შეიცავს ხანას III საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის წინ ამ წელთაღრიცხვის VII საუკუნემდე; ეს სახელწოდება მან მიიღო ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიისაგან (ხმელთაშუაზღვის ნაპირზე), რომელიც წარმოადგენდა მაშინდელი საერთაშორისო სამეურნეო ურთიერთობის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს. ალექსანდრიულ პერიოდში დიდად განვითარდა მთელი რიგი მეცნიერებანი: მათემატიკა (ევკლიდე და არქიმედე), გეოგრაფია, ასტრონომია, ანატომია, ფიზიოლოგია და სხვ. რ ე დ.

არაბებმა განავითარეს; მაგრამ ნამდვილი ბუნებისმეტყველება თარიღდება მხოლოდ XV საუკუნის მეორე ნახევრიდან; ამ დროიდან იგი აჩქარებული ნაბიჯით წავიდა წინ. ბუნების დაშლა ცალკე ნაწილებად, ბუნების სხვადასხვა მოვლენებისა და საგნების დალაგება განსაზღვრულ კლასებად, ორგანული სხეულების შინაგნობის გამოკვლევა მათი მრავალნაირი ანატომიური აღნაგობის მიხედვით, — წარმოადგენდა იმ უზარმაზარი პროგრესის ძირითად პირობას, რომელიც უკანასკნელმა ოთხასმა წელმა მოგვიტანა ბუნების შემეცნების დარგში. მაგრამ მან დაგვიტოვა აგრეთვე ბუნების საგნებისა და მოვლენების განცალკევებულად განხილვის ჩვეულება, დიდი საერთო კავშირის გარეშე, ე. ი. არა მათს მოძრაობაში, არამედ მათს უძრაობაში, არა როგორც არსებითად ცვალებადი, არამედ როგორც მარად მყარი მდგომარეობანი, არა როგორც ცოცხალნი, არამედ როგორც მკვდარნი. ხოლო როცა ეს თვალსაზრისი ბეკონისა და ლოკის შემწეობით ბუნებისმეტყველებიდან ფილოსოფიაში იქნა გადატანილი, მან გამოიწვია უკანასკნელი საუკუნეების სპეციფიკური შეზღუდულობა — მეტაფიზიკური წესი აზროვნებისა.

მეტაფიზიკოსისათვის საგნები და მათი აზროვნებითი ასახვანი — ცნებანი, წარმოადგენენ კვლევა-ძიების განცალკევებულ, ერთიმეორის მიყოლებით და ერთიმეორის დამოუკიდებლად განსახილველ, მყარ, გაქვავებულ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ საგნებს. იგი აზროვნობს აშკარა უშუალო წინააღმდეგობებით; იგი ამბობს: «ჰო — ჰო, არა — არა, ამას გარდა ყოველივე ბოროტებაა». მისთვის საგანი ან არსებობს, ან არ არსებობს; აგრეთვე შეუძლებელია საგანი ერთსა და იმავე დროს თავისთავიც იყოს და სხვაც; დადებითი და უარყოფითი აბსოლუტურად გამორიცხავენ ერთმანეთს; მიზეზი და შედეგიც ერთიმეორისადმი გაქვავებულ წინააღმდეგობაშია. აზროვნების ეს წესი პირველი შეხედვით საკმაოდ ცხადი გვგონია იმიტომ, რომ იგი ეგრეთწოდებული საღი ადამიანური განსჯის დამახასიათებელია. მაგრამ საღი ადამიანური განსჯა, რომელიც მეტისმეტად პატივსადები თანამგზავრია შინაურობაში, ოთხ კედელს შუა, გასაოცარ თავგადასავალს განიცდის, როცა კი გაბედავს კვლევა-ძიების ფართო ასპარეზზე გამოსვლას. მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა, თუმცა საგნის ბუნების მიხედვით მართებულია და თვით აუცილებელიც გარკვეულ სფეროებში, მეტნაკლებად ფართო ასპარეზზე, ადრე თუ გვიან აღწევს იმ ზღუდეს, რომლის იქით იგი ცალმხრივი, შეზღუდული, აბსტრაქტული ხდება და გადაუჭრელ წინააღმდეგობებში იხლართება, იმიტომ რომ იგი ცალკე საგნებში

მათს კავშირს ივიწყებს, მათს მყოფობაში მათს წარმოშობასა და გაქრობას, მათი უძრაობის იქით მათს მოძრაობას, ხეებს ხედავს და ტყეს ვერა. ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგ., ჩვენ ვიცით და შეგვიძლია გარკვევით ვთქვათ, არსებობს ესა თუ ის ცხოველი თუ არა; მაგრამ უფრო ზუსტი გამოკვლევის დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ზოგჯერ მეტისმეტად რთული საკითხია, რაც კარგად იციან იურისტებმა, რომელთაც ამაოდ იმტვრიეს თავი, რათა აღმოეჩინათ რაციონალური საზღვარი, რომლის იქით ბავშვის მოსპობა დედის საშოში მკვლელობად ჩაითვლება. ასევე შეუძლებელია სიკვდილის მომენტის დადგენა, იმიტომ რომ ფიზიოლოგია ამტკიცებს, სიკვდილი ერთდროული, წუთიერი მოვლენა კი არაა, მეტად ხანგრძლივი პროცესიაო. აგრეთვე ყოველი ორგანული არსება ყოველ წუთს იგივეა და არც იგივეა; ყოველ წუთს იგი გარედან მიღებულ ნივთიერებას ამუშავებს, ხოლო თავისი თავისაგან სხვა ნივთიერებას გამოყოფს, ყოველ წუთს მისი სხეულის უჯრედები კვდებიან და ახალი უჯრედები იქმნებიან; ამრიგად, დიდი თუ მცირე ხნის შემდეგ ამ სხეულის ნივთიერება სავსებით ახლდება, მის ადგილს სხვა ატომები იჭერენ, ისე რომ ყოველი ორგანული არსება მუდამ ერთი და იგივე და მაინც სხვა არის. აგრეთვე უფრო ზუსტი დაკვირვების დროს ჩვენ ვხედავთ, რომ დაპირისპირების ორივე პოლუსი, დადებითი და უარყოფითი ისევე გაუთიშავი არიან ერთიმეორისაგან, როგორც ერთიმეორისადმი დაპირისპირებულნი არიან, და რომ ისინი, მ თ ე ლ ი ურთიერთდაპირისპირებულობის მიუხედავად, ერთმანეთს მსჭვალავენ; აგრეთვე ვხედავთ იმასაც, რომ მიზეზი და შედეგი წარმოდგენებია, რომელთაც ძალა აქვთ მხოლოდ ცალკე შემთხვევისადმი გამოყენებისას, მაგრამ როგორც კი ცალკე შემთხვევას განვიხილავთ მის ზოგად კავშირში მსოფლიო მთლიანობასთან, ეს წარმოდგენანი ერთდებიან და უნივერსალური ურთიერთზემოქმედების წარმოდგენაში გადადიან, სადაც მიზეზები და შედეგები მუდამ თავიანთ ადგილებს სცვლიან, და ის, რაც ახლა ან აქ შედეგი იყო, იქ ან მაშინ მიზეზი იქნება და პირიქით.

ყველა ეს პროცესი და აზროვნების მეთოდი ვერ ეგუება მეტაფიზიკური აზროვნების ჩარჩოებს. პირიქით, დიალექტიკისათვის, რომელიც საგნებსა და მათ გონებრივ ასახვათ არსებითად მათს კავშირსა, მათს გადაჯაჭვასა, მათს მოძრაობასა, მათს წარმოშობასა და წარმავალობაში იღებს, ისეთი მოვლენები, როგორიც ზემოთ აღვნიშნეთ, ადასტურებენ მისი კვლევის საკუთარ მეთოდს. ბუნება არის დიალექტიკის სასინჯარი, და ჩვენ უნდა დავადას-

ტუროთ, რომ თანამედროვე ბუნებისმეტყველებამ ამ სასინჯარისათვის მოგვცა უაღრესად მდიდარი მასალა, რაც დღითიდღე მატულობს, და ამით დაამტკიცა, რომ ბუნებაში, საბოლოოდ, ყველაფერი ხდება დიალექტიკურად და არა მეტაფიზიკურად, რომ ბუნება მოძრაობს არ ერთ-ერთ ერთგვაროვან წრეში, რომელიც მუდამ ხელახლა მეორდება, არამედ განიცდის ნამდვილ ისტორიას. აქ უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ დარვინი, რომელმაც უძლიერესი ლახვარი ჰასცა ბუნებაზე მეტაფიზიკურ შეხედულებას იმის დამტკიცებით, რომ მთელი თანამედროვე ორგანული ბუნება, მცენარეები და ცხოველები და, მაშასადამე, ადამიანიც, არის პროდუქტი განვითარების პროცესისა, რაც მილიონი წლობით გრძელდებოდა. ბაგრამ რადგანაც თითებზე შეიძლება ჩამოითვალოს იმ ბუნებისმეტყველთა რიცხვი, რომელთაც ისწავლეს დიალექტიკური აზროვნება, ეს წინააღმდეგობა მიღწეულ შედეგებსა და ტრადიციული აზროვნების მეთოდებს შორის ადვილად ხსნის იმ უსაზღვრო არევ-დარევას, რომელიც ამჟამად მეფობს თეორიულ ბუნებისმეტყველებაში და როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს, როგორც მწერლებს, ისე მკითხველებს სასოწარკვეთილებაში აგდებს.

ამრიგად, ზუსტი წარმოდგენა სამყაროსა, მის განვითარებასა და კაცობრიობის განვითარებაზე, ისევე, როგორც ამ განვითარების ასახვაზე ადამიანთა თავებში, შეიძლება შეძენილ იქნეს მხოლოდ დიალექტიკური გზით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხედველობაში მივიღებთ საერთო ურთიერთზემოქმედებას წარმოშობასა და წარმავალობას შორის, პროგრესულ და რეგრესულ ცვლილებებს შორის. და იმთავითვე სწორედ ამ თვალსაზრისზე დადგა უახლესი გერმანული ფილოსოფია. კანტმა თავისი მოღვაწეობის სარბიელი იმით დაიწყო, რომ ნიუტონის უცვლელი და მუდმივი მზის სისტემა,—მას შემდეგ რაც ერთხელ აბადაღებული პირველი ბიძგი აქვს მიცემული,—ისტორიულ პროცესად აქცია: მზე და პლანეტები მბრუნავი ნისლის მასიდან წარმოიშვნენო. ამავე დროს იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ წარმოშობასთან ერთად აუცილებლად მზის სისტემის მომავალი დაღუპვაც იგულისხმებაო. მისი შეხედულება ნახევარი საუკუნის შემდეგ ლაპლასმა დაასაბუთა მათემატიკურად. ხოლო კიდევ ნახევარი საუკუნის შემდეგ სპექტროსკოპმა დაამტკიცა შემჭიდროების სხვადასხვა საფეხურის გავრცელებული აიროვანი მასების არსებობა სამყაროს სივრცეში.

თავისი დასრულება ამ უახლესმა გერმანულმა ფილოსოფიამ ჰპოვა ჰეგელის სისტემაში, რომლის უდიდესი დამსახურება

ის არის, რომ მან მთელი ბუნებრივი, ისტორიული და სულიერი სამყარო პირველად გამოსახა როგორც პროცესი, ე. ი. როგორც მუდმივ მოძრაობასა, ცვალებადობასა, გარდაქმნასა და განვითარებაში მყოფი და შეეცადა ამ მოძრაობასა და განვითარებაში შინაგანი კავშირი გამოემჟღავნებინა. ამ თვალსაზრისით კაცობრიობის ისტორია აღარ წარმოადგენდა უაზრო ძალმომრეობათა უწესრიგო დომხალს, რომელიც დღეს ერთიანად უარსაყოფელია ახლა უკვე მომწიფებული ფილოსოფიური გონების სამსჯავროს წინაშე, და რომელიც რაც შეიძლება ჩქარა უნდა მიეცეს დავიწყებას; იგი წარმოადგენს თვით კაცობრიობის განვითარების პროცესს; და ახლა აზროვნების ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ კვალდაკვალ მიჰყოლოდა ამ პროცესის ერთიმეორის მიმდევნო საფეხურებს მისი ხეტიალის დროს და დაემტკიცებინა მისი შინაგანი კანონზომიერება ყველა მოჩვენებით შემთხვევითობათა შორის.

აქ მნიშვნელობა არა აქვს იმ საკითხს, გადაჭრა თუ არა ჰეგელის სისტემამ ეს ამოცანა. მისი ეპოქალური დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან დასვა ეს ამოცანა. ეს სწორედ ისეთი ამოცანაა, რომლის გადაჭრა არ შეუძლია ცალკე პირს. თუმცა ჰეგელი, სენ-სიმონის გვერდით, თავისი დროის ყველაზე უნივერსალური თავის მქონე ადამიანი იყო, მაგრამ იგი მაინც შებოჭილი იყო, ჯერ ერთი, თავისი საკუთარი ცოდნის აუცილებლად შეზღუდული მარაგით, ხოლო, მეორე, თავისი ეპოქის ცოდნისა და შეხედულებათა ნაკლებ ღრმა და ნაკლებ ფართო მარაგითაც. ამას კიდევ მესამე გარემოება დაემატა. ჰეგელი იდეალისტი იყო, ე. ი. თავისი აზრები მას მიაჩნდა არა ნამდვილი საგნებისა და ძოვლენების მეტნაკლებ აბსტრაქტულ ანასახებად, არამედ, პირიქით, საგნებსა და მათს განვითარებას თვლიდა სადღაც, უკვე სამყაროს დასაბამამდე არსებული «იდეის» განხორციელებულ ასახვად. ამით ყოველივე ყირამალა იყო დაყენებული და სამყაროს მოვლენათა ნამდვილი კავშირი სრულიად უკუღმა იყო შეტრიალებული. და ამიტომ როგორ სწორად და გენიოსურადაც არ შეიგნო ჰეგელმა მოვლენათა ზოგიერთი ცალკე კავშირი, მაინც, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, მისი სისტემის დეტალებშიც ბევრი რამ შეკოწიწებული, ხელოვნური, ნაძალადევი, მოგონილი, ერთი სიტყვით, გაყალბებული უნდა ყოფილიყო. ჰეგელის სისტემა როგორც ასეთი ერთი უზარმაზარი დღენაკლული არსება იყო, მაგრამ იგი უკანასკნელი იყო თავის გვარში. სახელდობრ, იგი კიდევ ერთი შინაგანი განუკურნებელი წინააღმდეგობით იყო დაავადებული: ერ-

თი მხრივ, მის არსებითს წანამძღვარს წარმოადგენდა ისტორიული შეხედულება, რომ ადამიანთა ისტორია არის განვითარების პროცესი, რომლის მსვლელობა თვით მისივე ბუნების მიხედვით თავის გონებრივ დასრულებას ვერ იპოვის ეგრეთწოდებული აბსოლუტური ჭეშმარიტების აღმოჩენითო; მეორე მხრივ, ეს სისტემა ამტკიცებს, სწორედ ამ აბსოლუტური ჭეშმარიტების დედაარსს წარმოვადგენო. ყოვლისშემცველი, ერთხელ და საბოლოოდ დამთავრებული სისტემა ბუნების და ისტორიის შემეცნებისა ეწინააღმდეგება დიალექტიკური აზროვნების ძირითად კანონებს; მაგრამ ეს კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს, რომ მთელი გარეგანი ქვეყნიერების სისტემატურ შემეცნებას შეუძლია უზარმაზარი ნაბიჯები გადადგას წინ თაობიდან თაობამდე.

იმის შეგნებას, რომ დღემდე არსებული გერმანული იდეალიზმი სრულიად მცდარიაო, აუცილებლად მატერიალიზმთან მივყავდით, მაგრამ, თავისთავად იგულისხმება, არა XVIII საუკუნის მეტაფიზიკურ, მარტოოდენ მექანიკურ მატერიალიზმთან. წინააღმდეგ მთელი წარსული ისტორიის გულუბრყვილო-რევოლუციური მარტივი უარყოფისა, თანამედროვე მატერიალიზმი ისტორიაში ხედავს კაცობრიობის განვითარების პროცესს, და მისი ამოცანაა ამ პროცესის მოძრაობის კანონები აღმოაჩინოს. წინაღმდეგ როგორც XVIII საუკუნის ფრანგების, ისე ჰეგელის აზროვნებაში გაბატონებული წარმოდგენისა ბუნებაზე, როგორც ვიწრო წრეში მოძრავ, მუდმივ თავისთავის თანასწორ მთელზე მარადიული ციური სხეულებით, როგორც ამას ნიუტონი გვასწავლიდა და ორგანული არსებების უცვლელ სახეებზე, როგორც ამას ლინეი გვასწავლიდა, თანამედროვე მატერიალიზმი ანზოგადებს ბუნებისმეცნიერების უახლეს მიღწევათ, რომელთა მიხედვით ბუნებასაც თავისი ისტორია აქვს დროში; ციური სხეულები, ისევე როგორც ორგანიზმების სახეობანი, რომელნიც მათზე ცხოვრობენ ხელსაყრელ პირობებში, წარმოიშობიან და ისპობიან, და ეს წრებრუნვანი, რამდენადაც საზოგადოდ ისინი დასაშვები არიან, დაუსრულებლად დიდი ზომის ხდებიან. ორივე შემთხვევაში ეს მატერიალიზმი არსებითად დიალექტიკურია და აღარ საჭიროებს სხვა მეცნიერებებზე მაღლა მდგომ ფილოსოფიას. როცა თვითეულ ცალკე მეცნიერებას ვუყენებთ მოთხოვნას — ნათლად გამოარკვიე შენი ადგილი საგნებისა და ცოდნის ერთობლივ კავშირშიო, ყოველი განსაკუთრებული მეცნიერება მათი ამ ერთობლივი კავშირის შესახებ ზედმეტი ხდება. და მაშინ მთელი ადრინდელ ფილოსოფია-

დან დამოუკიდებელ მნიშვნელობას კიდევ ინარჩუნებს მხოლოდ მოძღვრება აზროვნებასა და მის კანონებზე, ე. ი. ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა. ყოველივე დანარჩენი შედის პოზიტიურ მეცნიერებებში ბუნებისა და ისტორიის შესახებ.

მაგრამ მაშინ როდესაც გადატრიალება შეხედულებაში ბუნებაზე შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კვლევა-ძიება სათანადო პოზიტიური შემეცნების მასალას იძლეოდა, ბევრად უფრო ადრე მოხდა ისტორიული ფაქტები, რომელთაც ისტორიის გაგებაში გადამწყვეტი შემობრუნება მოახდინეს. 1831 წელს ლიონში მუშათა პირველი აჯანყება მოხდა; 1838 წლიდან 1842 წლამდე პირველმა ნაციონალურმა მუშათა მოძრაობამ, ინგლისელი ჩარტისტების მოძრაობამ, თავის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. კლასობრივმა ბრძოლამ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის უპირატესი ადგილი დაიჭირა ევროპის მოწინავე ქვეყნების ისტორიაში იმისდა მიხედვით, რაც იქ, ერთი მხრივ, მსხვილი მრეწველობა განვითარდა, ხოლო, მეორე მხრივ — ბურჟუაზიის მიერ ახლად დაპყრობილი პოლიტიკური ბატონობა. ფაქტები თანდათან უფრო თვალსაჩინოდ ამტყუნებდნენ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მოძღვრებას კაპიტალისა და შრომის ინტერესთა იგივეობაზე, საყოველთაო ჰარმონიასა და საყოველთაო სახალხო კეთილდღეობაზე, როგორც თავისუფალი კონკურენციის შედეგზე. ამიერიდან შეუძლებელი იყო ყველა ამ ამბების უგულებელყოფა, ისევე, როგორც შეუძლებელი იყო უგულებელყოფა ფრანგული და ინგლისური სოციალიზმისა, რომელიც მათი თეორიული, თუმცა უაღრესად არასრული გამოხატულება იყო. მაგრამ ისტორიის ძველი, იდეალისტური გაგება, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო განდევნილი, არ იცნობდა არავითარ მატერიალურ ინტერესებზე დაყრდნობილ კლასთა ბრძოლას, საზოგადოდ არავითარ მატერიალურ ინტერესებს; წარმოება, ისევე, როგორც ყველა ეკონომიური ურთიერთობა, მასში სხვათა შორის გვევლინებოდა, როგორც «კულტურის ისტორიის» მეორეხარისხოვანი ელემენტები.

ახალმა ფაქტებმა გვაიძულა ხელახლა გამოგვეკვლია მთელი ადრინდელი ისტორია, და აღმოჩნდა, რომ მ თ ე ლ ი წინანდელი ისტორია, პირველყოფილი მდგომარეობის გამოკლებით, კლასთა ბრძოლის ისტორია ყოფილა, რომ ეს ერთიმეორის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოებრივი კლასები ყოველთვის თავიანთი ეპოქის საწარმოო და გაცვლითი ურთიერთობის, ერთი სიტყვით,

ეკონომიური ურთიერთობის შედეგს წარმოადგენენ; მაშასადამე, ყოველი განსაზღვრული დროის საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა ქმნის იმ რეალურ საფუძველს, რომლითაც საბოლოო ინსტანციაში აიხსნება მთელი ზედნაშენი თვითეული ისტორიული პერიოდის სამართლებრივი და პოლიტიკური დაწესებულებებისა და აგრეთვე რელიგიური, ფილოსოფიური და სხვა წარმოდგენებისა. ჰეგელმა მეტაფიზიკისაგან გაანთავისუფლა ისტორიის გაგება, მან იგი დიალექტიკური გახადა, მაგრამ მისი გაგება ისტორიისა არსებითად იდეალისტური იყო. ახლა იდეალიზმი გაძევებულ იქნა მისი უკანასკნელი საფარიდან, ისტორიის გაგებიდან, მოცემულ იქნა ისტორიის მატერიალისტური გაგება და აღმოჩენილ იქნა გზა, რათა ადამიანების შეგნება ახსნილიყო მათი მდგომარეობით, ნაცვლად იმისა, რომ მათი მდგომარეობა ახსნილიყო მათი შეგნებით.

ამიტომ სოციალიზმი ახლა უკვე აღარ განიხილება როგორც ამა თუ იმ გენიალური გონების შემთხვევითი აღმოჩენა, არამედ როგორც ორი ისტორიულად წარმოშობილი კლასის — პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის — ბრძოლის აუცილებელი შედეგი. მისი ამოცანა არის უკვე ბრა ის, რომ გამოიგონოს საზოგადოების რაც შეიძლება უფრო სრულყოფილი სისტემა, არამედ ის, რომ გამოიკვლიოს ისტორიულ-ეკონომიური პროცესი, რომლის აუცილებელ შედეგს წარმოადგენენ ხსენებული კლასები მათი ურთიერთ ბრძოლით, და რომ ამ პროცესით შექმნილ ეკონომიურ მდგომარეობაში მონახოს საშუალება ამ კონფლიქტის გადასაწყვეტად. მაგრამ წინანდელი სოციალიზმი ისევე არ ეგუებოდა ისტორიის ამ მატერიალისტურ გაგებას, როგორც ფრანგული მატერიალიზმის გაგება ბუნებისა არ ეგუებოდა დიალექტიკასა და ახალ ბუნებისმეტყველებას. მართალია, წინანდელი სოციალიზმი აკრიტიკებდა არსებული კაპიტალისტური წარმოების წესსა და მის შედეგებს, მაგრამ მას არ შეეძლო არც მისი ახსნა, არც, მაშასადამე, მასთან ანგარიშის გასწორება; მას შეეძლო უბრალოდ მხოლოდ მისი უვარგისად გამოცხადება. რაც უფრო ძლიერად უმხედრდებოდა ის წარმოების ამ წესისათვის აუცილებელ მუშათა კლასის ექსპლუატაციას, მით უფრო ნაკლებად შეეძლო მას ნათლად აეხსნა, თუ რაში მდგომარეობს ეს ექსპლუატაცია და როგორ წარმოიშობა იგი. საკითხი იმას ეხებოდა, რომ წარმოების ეს კაპიტალისტური წესი ახსნილიყო, ერთი მხრივ, მის ისტორიულ კავშირსა და მის აუცილებლობაში განსაზღვრული ისტორიული პერიოდისათვის,

მაშასადამე, ახსნილიყო მისი დაღუპვის აუცილებლობაც, მეორე მხრივ, გამომჟღავნებულიყო წარმოების ამ წესის შინაგანი ხასიათი, რომელიც ჯერ კიდევ დაფარული იყო. ეს მოხდა ზედმეტი ღირებულების აღმოჩენის მეოხებით. დამტკიცდა, რომ გადაუხდელი შრომის მითვისება წარმოადგენს წარმოების კაპიტალისტური წესისა და მის მიერ მუშის ექსპლუატაციის ძირითად ფორმას; რომ მაშინაც კი, როცა კაპიტალისტი თავისი მუშის საშუშაო ძალას იმ სრული ღირებულების მიხედვით ყიდულობს, რომელიც მას საქონლის ბაზარზე აქვს როგორც საქონელს, მაინც მეტს ღირებულებას გამორჩება ხოლმე მას, ვიდრე მან სამუშაო ძალაში გადაიხადა, და რომ ეს ზედმეტი ღირებულება საბოლოო ინსტანციაში შეადგენს ღირებულებათა იმ ჯამს, რომლისგანაც მფლობელი კლასების ხელში მუდამ მზარდი კაპიტალის მასა გროვდება. ამრიგად, ახსნილ იქნა როგორც კაპიტალისტური წარმოების მსვლელობა, ისე თვით კაპიტალის წარმოება.

ამ ორივე დიდ აღმოჩენას, — ისტორიის მატერიალისტურ გაგებას და კაპიტალისტური წარმოების საიდუმლოების გამომჟღავნებას ზედმეტი ღირებულების შემწეობით, — ჩვენ მარქსს უნდა ვუმადლოდეთ. ამ აღმოჩენათა მეოხებით სოციალიზმი მეცნიერებად იქცა და ახლა საქმე, პირველ ყოვლისა, ისაა, რომ ეს მეცნიერება შემდგომ დამუშავდეს ყველა მისი დეტალითა და ურთიერთკავშირით.

III

ისტორიის მატერიალისტური გაგება იმ დებულებიდან გამოდის რომ წარმოება, და წარმოების კვალდაკვალ პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა, ყოველი საზოგადოებრივი წყობილების საფუძველია; რომ ყოველ ისტორიაში გამოსულ საზოგადოებაში პროდუქტების განაწილება და მასთან ერთად სოციალური დანაწილება კლასებად თუ წოდებებად იმის მიხედვით წარიმართება, თუ რა იწარმოება და როგორ იწარმოება და როგორ ხდება ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლა. ამისდა მიხედვით ყოველი საზოგადოებრივი ცვლილების და პოლიტიკური გადატრიალების საბოლოო მიზეზები უნდა ვეძიოთ არა ადამიანთა თავებში, არა მათ მიერ სამართალისა და ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის თანდათან მზარდ გაგებაში, არამედ წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის წესის ცვლილებებში; ისინი უნდა ვეძიოთ არა სათანადო ეპოქის ფილოსოფიაში, არამედ მისი ეკონომიკაში. იმ შეგნების

გალვიძება, რომ არსებული საზოგადოებრივი დაწესებულებანი უგუნურნი და უსამართლონი არიან, რომ «გონიერება უაზრობად იქცა, ხოლო სიკეთე — წამებად»[1], მხოლოდ იმის ნიშანია, რომ წარმოების მეთოდებსა და გაცვლა-გამოცვლის ფორმებში შეუმჩნეველად ისეთი ცვლილებები მოხდა, რომელთაც აღარ ეგუება წინანდელი ეკონომიური პირობების თარგზე გამოჭრილი საზოგადოებრივი წესწყობილება. ზემოთნათქვამით ისიც იგულისხმება, რომ საშუალებები გამომძღავნებული უწესრიგობის მოსასპობად — მეტნაკლებად განვითარებული სახით — უნდა მოიპოვებოდეს აგრეთვე თვით შეცვლილ საწარმოო ურთიერთობებში. შეუძლებელია ეს საშუალებანი ადამიანის თავის შემწეობით გამოგონებულ იქნეს; ისინი ადამიანის თავმა წარმოების მოცემულ მატერიალურ ფაქტებში უნდა აღმოაჩინოს.

როგორია ამასთან დაკავშირებით თანამედროვე სოციალიზმის ვითარება?

თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება, როგორც ეს ახლა თითქმის საყოველთაოდ აღიარებულია, შექმნა ამჟამად გაბატონებულმა კლასმა, ბურჟუაზიამ. ბურჟუაზიის დამახასიათებელი წარმოების წესი, რომელსაც მარქსის შემდეგ წარმოების კაპიტალისტური წესი ეწოდება, შეუთავსებელი იყო ფეოდალური წყობილების ადგილობრივ და წოდებრივ პრივილეგიებსა და საურთიერთო პიროვნულ კავშირებთან; ბურჟუაზიამ დაანგრია ფეოდალური წყობილება და მის ნანგრევებზე აღმართა ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილება, თავისუფალი კონკურენციის, თავისუფალი მიმოსვლის, საკონელთმფლობელთა თანასწორუფლებიანობისა და სხვა ბურჟუაზიულ მშვენიერებათა სამეფო. ახლა წარმოების კაპიტალისტურ წესს შეეძლო თავისუფლად გაშლილიყო. მას შემდეგ, რაც ორთქლმა და ახალმა მანქანურმა წარმოებამ ძველი მანუფაქტურა მსხვილ ინდუსტრიად აქცია, ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით შეეუშავებული საწარმოო ძალები მანამდე გაუგონარი სისწრაფითა და მანამდე გაუგონარი ზომით განვითარდნენ. მაგრამ როგორც ერთ დროს მანუფაქტურა და მისი ზეგავლენით განვითარებული ხელოსნობა შეეჯახა საამქროების ფეოდალურ ბორკილებს, ისე დღეს სავსებით განვითარებული მსხვილი ინდუსტრია ეჯახება იმ ვიწრო ჩარჩოებს, რომელშიც იგი წარმოების კაპიტალისტურმა წესმა მოაქცია. ახალმა საწარმოო ძალებმა ზრდით

[1] მეფისტოფელის სიტყვები გოეთეს «ფაუსტში». რ ე დ.

უკვე გადააჭარბეს მათი გამოყენების ბურჟუაზიულ ფორმებს; და ეს კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოების წესს შორის ადამიანების თავებში წარმოშობილ კონფლიქტს როდი წარმოადგენს, — როგორიცაა, მაგალითად, ადამიანის პირველყოფილი ცოდვის კონფლიქტი ღვთაებრივ სამართლიანობასთან, — არამედ იგი ფაქტებში არსებობს, ობიექტურად, ჩვენს გარეშე, თვით იმ ადამიანების ნებისყოფისა და ყოფაქცევისაგან დამოუკიდებლად, რომელნიც მას ქმნიან. თანამედროვე სოციალიზმი მხოლოდ ამ ფაქტიური კონფლიქტის აზროვნებითი ანარეკლია, მისი იდეალური უკუასახვაა, უწინარეს ყოვლისა, იმ კლასის წევრების თავებში, რომელიც უშუალოდ იტანჯება ამ კონფლიქტის მეოხებით, — სახელდობრ, მუშათა კლასისა.

ხოლო რაში მდგომარეობს ეს კონფლიქტი?

კაპიტალისტური წარმოების გაჩენამდე, ე. ი. შუა საუკუნეებში ყველგან წვრილი წარმოება არსებობდა, რომლის საფუძველს შეადგენდა მშრომელთა კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე; სოფლად—წვრილი თავისუფალი ან ყმა გლეხობის მიწათმოქმედება, ქალაქად — ხელოსნობა. შრომის საშუალებანი — მიწა, სამიწათმოქმედო იარაღები, სახელოსნოები, სახელოსნო იარაღები — ცალკე პირების შრომის საშუალებებს წარმოადგენდნენ და დანიშნული იყო მხოლოდ ინდივიდუალური გამოყენებისათვის, და, მაშასადამე, ისინი აუცილებლად მცირე ზომისა, დაჩიავებული, შეზღუდული იყვნენ. მაგრამ სწორედ ამიტომ ისინი როგორც წესი თვით მწარმოებელს ეკუთვნოდნენ. წარმოების კაპიტალისტური წესის და მისი მატარებლის, ბურჟუაზიის, ისტორიული როლი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ამ დაქსაქსული, ვიწრო საწარმოო საშუალებებისათვის თავი მოეყარა, ისინი გაეფართოებინა, თანამედროვე წარმოების მძლავრად მოქმედ ბერკეტად ექცია. თუ როგორ შეასრულა მან ეს როლი XV საუკუნის შემდეგ წარმოების სამ ისტორიულ — მარტივი კოოპერაციის, მანუფაქტურისა და მსხვილი მრეწველობის საფეხურზე — ეს მარქსმა დაწვრილებით გადმოსცა «კაპიტალის» მეოთხე განყოფილებაში. მაგრამ როგორც იქვე დამტკიცებულია, ბურჟუაზიას არ შეეძლო ის შეზღუდული საწარმოო საშუალებანი ძლიერ საწარმოო ძალებად ექცია ისე, რომ ამავე დროს ისინი ცალკე პირთა საწარმოო საშუალებებიდან არ გადაქცეულიყვნენ საზოგადოებრივ, მხოლოდ ადამიანთა მასის მიერ საერთოდ გამოყენებულ საწარმოო საშუალებებად. სართავი ჯარა, ხელის საქსოვი დაზგა, მექედლის ჩაქუჩი შესცვალა

სართავმა მანქანამ. მექანიკურმა საქსოვმა დაზგამ, ორთქლის ურმა; პატარა სახელოსნოს ადგილი დაიპირა ფაბრიკამ, რომელიც რამდენიმე ასი და რამდენიმე ათასი ადამიანის შეთანხმებულ მუშაობას მოითხოვს. და ისევე როგორც საწარმოო საშუალება, თვით წარმოებაც ცალკე მოქმედებათა რიგიდან იქცა საზოგადოებრივ მოქმედებათა რიგად, ხოლო პროდუქტი — ცალკე პირის პროდუქტიდან — საზოგადოებრივ პროდუქტად, ნართი, ქსოვილი, ლითონის საქონელი, რომელიც ახლა ფაბრიკიდან გამოდიოდა, იმ მრავალი მუშის საერთო პროდუქტი იყო, რომელთა ხელში მას უნდა გაევლო რიგრიგობით, სანამ მომზადდებოდა. არც ერთ პიროვნებას არ შეეძლო ცალკე ეთქვა: «ეს მე გავაკეთე. ეს ჩ ე მ ი პროდუქტიაო».

მაგრამ საზოგადოებაში, სადაც წარმოების ძირითად ფორმას შრომის სტიქიური, უგეგმო, თანდათან აღმოცენებული დანაწილება წარმოადგენს, იქ ეს უკანასკნელი პროდუქტებს ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ფორმით გამოხატავს; ამ საქონელთა გაცვლა-გამოცვლა, ყიდვა-გაყიდვა განცალკევებულ მწარმოებლებს შესაძლებლობას აძლევს თავიანთი მრავალნაირი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილონ. ასე ხდებოდა შუა საუკუნეებში. მაგალითად, გლეხი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ყიდდა ხელოსანზე და სამაგიეროდ მისგან ხელოსნობის ნაწარმოებს ყიდულობდა. ამ განცალკევებული მწარმოებლების, საქონლის მწარმოებლების საზოგადოებაში ახალი წარმოების წესი შეიჭრა. შრომის სტიქიურ, უ გ ე გ მ ო დანაწილებაში, როგორც იგი მთელს საზოგადოებაში იყო გაბატონებული, წარმოიშვა შრომის გ ე გ მ ი ა ნ ი დანაწილება ცალკე ფაბრიკაში; ც ა ლ კ ე ულ ი წარმოების გვერდით ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი წარმოება წარმოიშვა. ორივე დარგის პროდუქტი ერთსა და იმავე ბაზარზე იყიდებოდა, მაშასადამე, დაახლოებით ერთსა და იმავე ფასებში. მაგრამ გეგმიანი ორგანიზაცია უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სტიქიურად აღმოცენებული შრომის დანაწილება; საზოგადოებრივად მოქმედი ფაბრიკები თავიანთ პროდუქტებს უფრო იაფად აწარმოებდნენ, ვიდრე ცალკეული წვრილი მწარმოებლები. ინდივიდუალური წარმოება მარცხს მარცხზე განიცდიდა, საზოგადოებრივი წარმოება მთელი ძველი წარმოების წესის რევოლუციურ გარდაქმნას ახდენდა. მაგრამ მის ამ რევოლუციურ ხასიათს ისე ნაკლებ სცნობდნენ, რომ იგი, პირიქით, შემოღებულ იქნა როგორც საშუალება საქონლის წარმოების გასაძლიერებლად და ხელის შესაწყობად. საზოგადოებრივი წარმოება წარმოიშვა პირდაპირ კავშირ-

ში საქონლის წარმოებისა და საქონლის გაცვლა-გამოცვლის განსაზღვრულ, უკვე წინათარსებულ ბერკეტებთან: სავაჭრო კაპიტალთან, ხელოსნობასა და დაქირავებულ შრომასთან კავშირში. რამდენადაც იგი თვით გამოვიდა როგორც საქონლის წარმოების ახალი ფორმა, საქონლის წარმოების დამახასიათებელი მითვისების ფორმები მისთვისაც სრულად ინარჩუნებდნენ ძალას.

საქონლის წარმოების იმ ფორმაში, როგორც იგი შუა საუკუნეებში განვითარდა, შეუძლებელი იყო საკითხი დასმულიყო, ვის ეკუთვნის შრომის ნაწარმოებიო. ჩვეულებრივ მას ცალკეული მწარმოებელი ამზადებდა საკუთარი, ხშირად მის მიერვე დამზადებული ნედლი მასალისაგან, საკუთარი შრომის საშუალებებითა და თავისი საკუთარი ან თავისი ოჯახის ხელის მუშაობით. იგი სრულიადაც არ საჭიროებდა ამ პროდუქტის მითვისებას, იგი მას ეკუთვნოდა თავისთავად. მაშასადამე, პროდუქტების საკუთრება პ ი რ ა დ შ რ ო მ ა ზ ე იყო დაფუძნებული. თვით იქაც, სადაც სხვის დახმარებას იყენებდნენ, ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა და ხელფასს გარდა ხშირად სხვაფრივად ჯილდოვდებოდა: შეგირდი და ქარგალი იმდენად სარჩოსა და ხელფასისათვის არ მუშაობდნენ, რამდენადაც ხელობის შესწავლისა და ოსტატის წოდების მიღებისათვის. მაგრამ აი დაიწყო საწარმოო საშუალებათა კონცენტრაცია მსხვილ სახელოსნოებსა და მანუფაქტურებში, მათი გადაქცევა ნამდვილ საზოგადოებრივ საწარმოო საშუალებებად. ამ საზოგადოებრივ საწარმოო საშუალებებსა და პროდუქტებს ისე ეპყრობოდნენ, თითქოს ისინი წინანდებურად ცალკე პირთა საწარმოო საშუალებები და პროდუქტები იყვნენ. თუ მანამდე შრომის საშუალებათა მფლობელი პროდუქტს იმიტომ ითვისებდა, რომ იგი ჩვეულებრივ მისი საკუთარი პროდუქტი იყო, ხოლო სხვისი დამხმარე შრომა გამონაკლისს წარმოადგენდა, შრომის საშუალებათა მფლობელი ახლაც განაგრძობდა პროდუქტის მითვისებას, თუმცა იგი აღარ წარმოადგენდა მ ი ს პროდუქტს, არამედ მხოლოდ ს ხ ვ ი ს ი შ რ ო მ ი ს პროდუქტი იყო. ამრიგად, საზოგადოებრივად წარმოებული პროდუქტების მითვისება ახლა ხდებოდა არა მათ მიერ, ვინც საწარმოო საშუალებანი ნამდვილად აამოძრავა და პროდუქტები ნამდვილად შექმნა, არამედ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ებ ი ს მიერ. საწარმოო საშუალება და წარმოება არსებითად საზოგადოებრივი გახდა. მაგრამ ისინი დაექვემდებარნენ მითვისების იმ ფორმას, რომლის წანამძღვარს ცალკე პირის კერძო პროდუქცია წარმოადგენს, შესაფერი იმ დროისათვის, როცა თვითეული პირი ფლობს თავის საკუთარ პროდუქტს

და ბაზარზე გააქვს იგი. ახალი წარმოების წესი ემორჩილება ამ მითვისების ფორმას. თუმცა სპობს მის წინასწარ პირობებს[1]. ამ წინააღმდეგობაში, რომელიც წარმოების ახალ წესს მის კაპიტალისტურ ხასიათს ანიჭებს, უკვე თანამედროვეობის მთელი კოლიზია მოთავსებულია ჩანასახის სახით. რამდენადაც წარმოების ახალი წესი წარმოების ყველა გადამწყვეტ დარგში და ყველა ეკონომიურად მნიშვნელოვან ქვეყანაში ბატონდებოდა და ინდივიდუალური წარმოების ნაშთებს აძევებდა, მით უფრო მკაფიოდ უნდა გამომჟღავნებულიყო საზოგადოებრივი წარმოებისა და კაპიტალისტური მითვისების შეუთავსებლობა.

როგორც აღვნიშნეთ, პირველ კაპიტალისტებს მზამზარეულად დახვდათ დაქირავებული შრომის ფორმა. მაგრამ დაქირავებული შრომა არსებობდა როგორც გამონაკლისი, დროებითი, დამხმარე საქმე, გარდამავალი მდგომარეობა. სოფლის მუშას, რომელიც ხანდახან დღიურ სამუშაოს კიდებდა ხელს, ორიოდე დღიური საკუთარი მიწა ჰქონდა, რომლითაც მას შეეძლო გაჭირვებით ეცხოვრა. საამქროს დებულებანი ზრუნავდნენ იმისათვის, რომ დღევანდელი ქარგალი ხვალ ოსტატი გამხდარიყო. მაგრამ ეს ყოველივე შეიცვალა, როგორც კი საწარმოო საშუალებები საზოგადოებრივად იქცა და კაპიტალისტების ხელში დაგროვდა. წარმოების საშუალებების და წვრილი განცალკევებული მწარმოებლის პროდუქტის ღირებულება თანდათან დაეცა, ამ მწარმოებელს ისღა დარჩა, რომ კაპიტალისტს მიქირავებოდა. დაქირავებული შრომა, რომელიც წინათ გამონაკლისს და დამხმარე საშუალებას წარმოადგენდა, მთელი წარმოების წესად და ძირითად ფორმად იქცა; თუ იგი წინათ მუშის მეორეხარისხოვანი საქმიანობა იყო, ახლა მის ერთადერთ საქმია-

---

1 აქ საჭირო არაა იმის განმარტება, რომ თუ მითვისების ფორმა იგივე რჩება, მითვისების ხასიათი ზემოაღწერილი პროცესის გამო არანაკლებ რევოლუციას განიცდის, ვიდრე თვით წარმოების ხასიათი. ვითვისებ მე საკუთარ პროდუქტს თუ სხვის პროდუქტს, ეს, რასაკვირველია, მითვისების ორი მეტისმეტად განსხვავებული სახეა. გაკვრით აღვნიშნავთ, რომ დაქირავებული შრომა, რომელშიც ჩანასახისებურად უკვე მთელი კაპიტალისტური წარმოების წესია მოქცეული, ფეოდალ ხანაში არსებობს, ცალკეულად და აქა-იქ მას მთელი საუკუნეების მანძილზე ვხვდებით მონობის გვერდით. მაგრამ ფარული ჩანასახი წარმოების კაპიტალისტურ წესად მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა განვითარებულიყო, როდესაც ამისათვის აუცილებელი ისტორიული წინაპირობანი შეიქმნა. (ენგელსის შენიშვნა).

ნობად იქცა. დროებით დაქირავებული მუშა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პროფესიულ მუშად იქცა. ამავე დროს პროფესიულ დაქირავებულ მუშათა მასა არაჩვეულებრივად გადიდდა ფეოდალური წყობილების დამხობის გამო, ფეოდალი მებატონეების ამალის დაშლისა, თავიანთი კარმიდამოებიდან გლეხების აყრისა და სხვ. მეოხებით. მოხდა სრული გათიშვა, ერთი მხრივ, კაპიტალისტების ხელში თავმოყრილ საწარმოო საშუალებებსა, ხოლო, მეორე მხრივ, მწარმოებლებს შორის, რომლებსაც არაფერი გააჩნდათ, გარდა თავიანთი სამუშაო ძალისა. წინააღმდეგობამ საზოგადოებრივ წარმოებასა და კაპიტალისტურ მითვისებას შორის თავი იჩინა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგობის სახით.

ჩვენ დავინახეთ, რომ წარმოების კაპიტალისტური წესი სოლიდით შეიჭრა საქონლის მწარმოებელთა, ცალკეულ მწარმოებელთა საზოგადოებაში, რომელთა საზოგადოებრივი დაკავშირება ხდებოდა ამ მწარმოებელთა პროდუქტების გაცვლა-გამოცვლის საშუალებით. მაგრამ ყოველ საზოგადოებას, რომელიც საქონლის წარმოებაზეა დაყრდნობილი, ის თავისებურება ახასიათებს, რომ იქ მწარმოებლები ჰკარგავენ ძალაუფლებას თავიანთი საკუთარი საზოგადოებრივი ურთიერთობის მიმართ. თვითეული პირი თავისთვის აწარმოებს, თავისი შემთხვევითი საწარმოო საშუალებებით და თავისი განსაკუთრებული გაცვლა-გამოცვლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. არავინ იცის, რამდენი გავა მისი საკუთარი ნაწარმოებიდან ბაზარზე, რამდენი მათგანი შეევა საზოგადოდ მოხმარებაში; არავინ იცის, არის თუ არა მისი ერთპიროვნული შრომის პროდუქტი ნამდვილად საჭირო, აანაზღაურებს თუ არა იგი თავის ხარჯს და საზოგადოდ შესაძლებელი იქნება თუ არა მისი გაყიდვა. საზოგადოებრივ წარმოებაში ანარქია მეფობს. მაგრამ საქონლის წარმოებას, ისევე როგორც ყოველი სხვა წარმოების ფორმას, თავისი განსაკუთრებული, შინაგანი, მისგან გამოუყოფელი კანონები აქვს; და ეს კანონები, ანარქიის მიუხედავად, ანარქიაში და ანარქიის შემწეობით გზას იკვლევენ. ეს კანონები აშკარავდებიან საზოგადოებრივი კავშირის ერთადერთ გადარჩენილ ფორმაში, გაცვლაში, და განცალკევებული მწარმოებლების მიმართ თავს იჩენენ როგორც კონკურენციის იძულებითი კანონები. მაშასადამე, ისინი თავდაპირველად უცნობი არიან თვით მწარმოებლებისათვის და ამ უკანასკნელებმა ხანგრძლივი გამოცდილების შემდეგ თანდათან უნდა აღმოაჩინონ. ამრიგად, ისინი მყარდებიან მწარმოებელთა გარეშე

და მათ წინააღმდეგ, როგორც წარმოების ფორმის ბრმა ბუნებრივი კანონები. პროდუქტი ბატონობს მწარმოებლებზე.

შუა საუკუნეების საზოგადოებაში, განსაკუთრებით პირველ საუკუნეებში, წარმოება უმთავრესად თვითთხმარებას ემსახურებოდა. იგი, უწინარეს ყოვლისა, მხოლოდ მწარმოებლის და მისი ოჯახის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. სადაც, როგორც, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, პირადი დამოკიდებულება არსებობდა, წარმოება აგრეთვე ფეოდალური მებატონის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდა. მაშასადამე, აქ გაცვლა-გამოცვლა არ არსებობდა, ამიტომ პროდუქტები არ ღებულობდნენ საქონლის ხასიათს. გლეხის ოჯახი თითქმის ყველაფერს აწარმოებდა, რაც მას სჭირდებოდა,— როგორც ხელსაწყოებსა და ტანსაცმელს, ისე საარსებო საშუალებებს. საქონლის წარმოება მან მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა აღმოჩნდა, რომ იგი გარდამეტს აწარმოებდა თავისი საკუთარი მოთხოვნილებისა და ფეოდალი მებატონის მიერ დადებული ნატურალური გადასახადების დაკმაყოფილების შემდეგ; ეს გარდამეტი, საზოგადოებრივ გაცვლა-გამოცვლაში გადასროლილი, გასაყიდად დანიშნული, საქონლად იქცა. რაც შეეხება ქალაქის ხელოსნებს, მათ, რასაკვირველია, იმთავითვე გაცვლისთვის უნდა ეწარმოებინათ. მაგრამ ისინიც თავიანთი მოთხოვნილების უდიდეს ნაწილს თვითვე აკმაყოფილებდნენ; მათ ბაღები და პატარა მინდვრები ჰქონდათ, ისინი თავიანთ პირუტყვს სათემო ტყეში აბალახებდნენ, საიდანაც საშენ და საწვავ მასალასაც ღებულობდნენ; დედაკაცები სელსა, ბამბასა და სხვ. ართავდნენ. ის იყო იქმნებოდა წარმოება გაცვლის მიზნით, საქონლის წარმოება. ამით აიხსნებოდა გაცვლის ვიწრო ფარგლები, ბაზრის შეზღუდულობა, წარმოების წესის სტაბილურობა, კუთხური კარჩაკეტილობა გარე ქვეყნის მიმართ, ადგილობრივი ხასიათის გაერთიანებანი, მარკის[1] არსებობა სოფლად, ამქრები ქალაქად.

მაგრამ საქონლის წარმოების გაფართოებასა და განსაკუთრებით წარმოების კაპიტალისტური წესის გაჩენასთან ერთად აშკარად და ძალოვნად ამოქმედდნენ საქონლის წარმოების მანამდე მოქმედი კანონები. ძველი კავშირი მოდუნდა, ძველი კარჩაკეტილობის ზღუ-

---

[1] იხ. დამატება ბოლოს. (ენგელსის შენიშვნა. — აქ ენგელსი მიუთითებს თავის ნაშრომზე «მარკა», რომელიც დამატების სახით მოთავსებული იყო გერმანულ და ინგლისურ გამოცემებში წიგნისა — «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ». რ ე დ.

დეები დაირღვა, მწარმოებლები თანდათან დამოუკიდებელ, განცალკევებულ საქონლის მწარმოებლებად იქცნენ. საზოგადოებრივი წარმოების ანარქია გამომჟღავნდა და თანდათან გამძაფრდა. ის მთავარი იარაღი კი, რომლის შემწეობით წარმოების კაპიტალისტური წესი ამ ანარქიას აღვიფებდა საზოგადოებრივ წარმოებაში, სწორედ ანარქიის საწინააღმდეგო მოვლენა იყო: ეს იყო წარმოების მზარდი საზოგადოებრივი ორგანიზაცია თვითეულ ცალკეულ საწარმოო დაწესებულებაში. ამ ბერკეტის შემწეობით წარმოების კაპიტალისტურმა წესმა ბოლო მოუღო ძველ მშვიდობიან სტაბილურობას. როგორც კი იგი რომელიმე სამრეწველო დარგში შედიოდა, თავის გვერდით აღარ ითმენდა წარმოების ძველ მეთოდს. სადაც იგი ხელოსნობას ეუფლებოდა, ანადგურებდა ძველ ხელოსნობას. შრომის ასპარეზი ბრძოლის ასპარეზად იქცა. დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა და მათმა მომდევნო კოლონიზაციამ გაამრავლა საქონლის გასაღების სფერო და დაიჩქარა ხელოსნობის გადაქცევა მანუფაქტურად. ბრძოლა მარტო ცალკეულ, ადგილობრივ მწარმოებლებს შორის როდი გაჩაღდა; ადგილობრივი ბრძოლები ნაციონალურ ომებში, XVII და XVIII საუკუნეების სავაჭრო ომებში გადაიზარდნენ. ბოლოს მსხვილმა მრეწველობამ და მსოფლიო ბაზრის შექმნამ ბრძოლა უნივერსალური ვახადა და მას გაუგონარი სიმძაფრე მისცა. ახლა წარმოების ბუნებრივ ან ხელოვნურად შექმნილ ხელსაყრელ პირობებზეა დამოკიდებული როგორც ცალკე კაპიტალისტების, ისე მთელი სამრეწველო დარგების და ქვეყნების არსებობა. დამარცხებული უღმობლად ნადგურდება. ესაა დარვინისეული ბრძოლა ინდივიდუალური არსებობისათვის, რომელიც გაათკეცებული გაშმაგებით ბუნებიდან საზოგადოებაშია გადატანილი. ცხოველის ბუნებრივი მდგომარეობა გვევლინება როგორც ადამიანის განვითარების მწვერვალი. წინააღმდეგობა საზოგადოებრივ წარმოებასა და კაპიტალისტურ მითვისებას შორის მეღავნდება როგორც წინააღმდეგობა წარმოების ორგანიზაციასა ცალკეულ ფაბრიკაში და წარმოების ანარქიას შორის მთელ საზოგადოებაში.

წარმოების კაპიტალისტური წესი მოძრაობს მისი წარმოების დამახასიათებელი წინააღმდეგობის ამ ორ გამოვლინების ფორმაში და გარს უვლის «მოჯადოებულ წრეს», რომლიდანაც მას გამოსავალი ვერ უპოვია და რომელიც ჯერ კიდევ ფურიემ აღმოაჩინა. მაგრამ ფურიეს, რასაკვირველია, თავის დროს არ შეეძლო იმის დანახვა, რომ ეს წრე ნელნელა ვიწროვდება, რომ მოძრაობა უფრო

სპირალს წარმოადგენს და დასასრულს უნდა მიაღწიოს, მსგავსად პლანეტებისა, რომელნიც ცენტრს ეჯახებიან. ეს წარმოების საზოგადოებრივი ანარქიის მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ადამიანთა დიდ უმრავლესობას თანდათან პროლეტარებად აქცევს და ეს, თავის მხრივ, პროლეტართა მასებია, რომელნიც საბოლოოდ წარმოების ანარქიას ბოლოს მოუღებენ. ეს წარმოების სოციალური ანარქიის იგივე მამოძრავებელი ძალაა, რომელიც მსხვილი მრეწველობის ნანქანების დაუსრულებელი გაუმჯობესების შესაძლებლობას ყოველი ცალკე სამრეწველო კაპიტალისტისთვის მაიძულებელ კანონად აქცევს თავისი მანქანები უფრო და უფრო გააუმჯობესოს, თუ უნდა დაღუპვა თავიდან აიცილოს. მაგრამ მანქანათა გაუმჯობესება ნიშნავს ადამიანის შრომის გარკვეული რაოდენობის ზედმეტად გადაქცევას. თუ მანქანების შემოღება და გამრავლება ნიშნავდა რამდენიმე მილიონი ხელით მომუშავის განდევნას მანქანასთან მომუშავე რამდენიმე მუშის მიერ, მანქანების გაუმჯობესება ნიშნავს თვით უფრო მეტი და მეტი მანქანის მუშის განდევნას, ხოლო საბოლოო ინსტანციაში თავისუფალი მუშახელის მიწოდების გაძლიერებას, რომელიც სჭარბობს მათს საშუალო მოთხოვნას კაპიტალის მხრივ. იქმნება ნამდვილი სამრეწველო სარეზერვო არმია, — როგორც მე მას უკვე 1845 წელს ვუწოდე[1], რომელიც მრეწველობის განკარგულებაშია, როცა ეს უკანასკნელი ინტენსიურად მუშაობს და რომელიც ქუჩაში რჩება, როცა აუცილებელი კრახი იწყება; ყოველ პერიოდში ეს არმია ტყვიასავით ფეხებზე აწევს მუშათა კლასს არსებობისათვის ბრძოლის დროს, რომელსაც იგი კაპიტალის წინააღმდეგ აწარმოებს; იგი ხელფასის რეგულატორია, რომელიც ხელფასს მუდამ დაბალ დონეზე აჩერებს კაპიტალისტების მოთხოვნილების მიხედვით. ასე ხდება, რომ მანქანები, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, კაპიტალის უძლიერეს საომარ იარაღად იქცევიან მუშათა კლასის წინააღმდეგ, რომ შრომის იარაღი მუშას განუწყვეტლივ აცლის ხელიდან საარსებო საშუალებას, რომ მუშის საკუთარი პროდუქტი მუშის დამონების იარაღი ხდება. ასე ხდება, რომ შრომის საშუალებათა მომჭირნეობა იმთავითვე იმავე დროს წარმოადგენს სამუშაო ძალის ულმობელ განიავებას და შრომის ფუნქციის ნორმალური პირობების ტაციობას; რომ მანქანა, ეს უძლიერესი საშუალება სამუშაო დროის შესამოკლებლად, იქცევა უტყუარ სა-

---

[1] მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, გვ. 109. (ენგელსის შენიშვნა). რედ.

შუალებად მუშის და მისი ოჯახის მთელი სიცოცხლე აქციოს სამუშაო დროდ კაპიტალის ღირებულების გასადიდებლად. ასე ხდება, რომ მუშათა კლასის ერთი ნაწილის გადაჭარბებული შრომა გულისხმობს მეორე ნაწილის უმუშევრობას, და რომ მსხვილი მრეწველობა, რომელიც მთელ დედამიწის ზურგზე ახალ მომხმარებლებზე ნადირობს, შინ მასების მოხმარებას შიმშილის მინიმუმამდე საზღვრავს და ამით საკუთარ შინაურ ბაზარს ძირს უთხრის. «ის კანონი, რომელიც მუდამ იცავს წონასწორობას რელატურ ჭარბ მოსახლეობასა ანუ სამრეწველო სარეზერვო არმიასა და კაპიტალის დაგროვების მოცულობასა და ენერგიას შორის, — მიაჯაჭვავს კაპიტალზე მუშას უფრო მტკიცედ, ვიდრე ჰეფესტის ურო პრომეთეოსს მიაჯაჭვავდა კლდეზე. ეს კანონი იწვევს კაპიტალის დაგროვების შესაფერ სიღატაკის დაგროვებას. ამრიგად, სიმდიდრის დაგროვება ერთ პოლუსზე არის იმავე დროს დაგროვება სიღატაკის, შრომით დატანჯულობის, მონობის, უვიცობის, გაველურებისა და ზნეობრივი დეგრადაციისა მოპირდაპირე პოლუსზე, ე. ი. იმ კლასის მხარეზე, რომელიც თავის საკუთარ პროდუქტს კაპიტალის სახით აწარმოებს» (მარქსი, «კაპიტალი», გვ. 671)[1]. წარმოების კაპიტალისტური წესისაგან პროდუქტთა სხვა განაწილების ლოდინი იგივე იქნებოდა, რომ მოგვეთხოვა ბატარეის ელექტროდებმა დაუშლელად დასტოვონ წყალი იმ დროს, როცა ის ბატარეისთან შეერთებულია, და დადებით პოლუსზე მჟავადი არ დააგროვონ, ხოლო უარყოფით პოლუსზე — წყალბადი.

ჩვენ დავინახეთ, რომ თანამედროვე მანქანების უაღრესად განვითარებული გაუმჯობესების შესაძლებლობა, წარმოების ანარქიის გამო საზოგადოებაში, ცალკე სამრეწველო კაპიტალისტებისთვის იქცევა იძულებად თავიანთი მანქანები მუდამ გააუმჯობესონ, მათი საწარმოო ძალა მუდამ ზევით ასწიონ. ასეთსავე იძულებად იქცევა მათთვის უბრალო ფაქტიური შესაძლებლობა თავიანთი წარმოების სფეროს გაფართოებისა. მსხვილი მრეწველობის უზარმაზარი გაფართოების ძალა, რომელთან შედარებით აირების გაფართოების ძალა ნამდვილი ბავშვური თამაშობაა, გვევლინება ახლა როგორც ამ წარმოების თვისებრივი და რაოდენობრივი გაფართოების მოთხოვნილება, რომელიც ადვილად ლახავს ყოველ დაბრკოლებას. ეს დაბრკოლება იქმნება მოხმარებისაგან, გასაღებისაგან, ბაზრებისაგან

[1] იხ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 515. 1935 წ. გამოც. (ქართ. გამოც. გვ. 592). რედ.

მსხვილი მრეწველობის პროდუქტებისათვის. მაგრამ ბაზრების გაფართოების უნარიანობას როგორც ექსტენსივობისა, ისე ინტენსივობის მხრივ, უწინარეს ყოვლისა, სრულიად სხვა, ნაკლებ ენერგიულად მოქმედი კანონები განაგებს. ბაზრების გაფართოებას არ შეუძლია ფეხდაფეხ მისდიოს წარმოების გაფართოებას. შეჯახება აუცილებელი ხდება, და რადგან მას, სანამ თვით წარმოების კაპიტალისტური წესი არ აუფეთქებია, არ შეუძლია კონფლიქტის გადაჭრა, ამიტომ იგი პერიოდული ხდება. კაპიტალისტური წარმოება ახალ «მოჯადოებულ წრეს» ქმნის.

მართლაც, 1825 წლიდან, როცა პირველმა საყოველთაო კრიზისმა იფეთქა, მთელი სამრეწველო და სავაჭრო სამყარო, ყველა განათლებული ერისა და მათი მეტნაკლებად ბარბაროს დანამატთა წარმოება და ვაჭრობა დაახლოებით ათ წელიწადში ერთხელ კალაპოტიდან ვარდება. აღებმიცემობა ჩერდება, ბაზრები ავსებულია, გაუსაღებელი პროდუქტები მასობრივად ყრია, ნაღდი ფული უჩინარი ხდება. კრედიტი ქრება, ფაბრიკები უქმად დგანან, მშრომელ მასებს საარსებო საშუალებანი აღარ აქვთ, იმიტომ რომ მათ მეტად ბევრი საარსებო საშუალება აწარმოეს; გაკოტრება გაკოტრებას მოსდევს, აღჭაციონი — აუქციონს. მთელი წლები გრძელდება ეს მოდუნება, საწარმოო ძალები და პროდუქტები მასობრივად ნიავდება და ნადგურდება, სანამ დაგროვილი საქონლის მასა მეტნაკლები გაიაფების ზეგავლენით ბოლოს არ გასაღდება, და წარმოება და გაცვლა ხელახლა თანდათან არ ამოძრავდება. მოძრაობის ტემპი თანდათან აჩქარდება, მრეწველობის სიარული ნაბიჯიდან ნავარდში გადადის, ეს უკანასკნელი თავშეუკავებელ ჭენებად იქცევა, ნამდვილი სამრეწველო, სავაჭრო, საკრედიტო და სასპეკულაციო დოღად დაბრკოლებათა გადალახვით, რათა ბოლოს თავსამტვრევი ნახტომების შემდეგ ხელახლა კრახის ხრამში გადავარდეს. და ეს ამბავი მუდამ ხელახლა იწყება დაუსრულებლივ. 1825 წლის შემდეგ იგი ხუთჯერ განვიცადეთ და ახლა (1877 წ.) მას მეექვსეჯერ განვიცდით. ამ კრიზისების ხასიათი ისე ნათლადაა გამოკვეთილი, რომ ფურიემ ისინი ყველანი დაახასიათა, როცა პირველ მათგანს crise pléthorique, სიჭარბის კრიზისი უწოდა.

კრიზისების დროს წინააღმდეგობა საზოგადოებრივ წარმოებასა და კაპიტალისტურ მითვისებას შორის იძულებით აფეთქებამდე მიდის. საქონლის ბრუნვა დროებით წყდება; მიმოქცევის საშუალება, ფული, მიმოქცევის დაბრკოლებად ხდება; საქონლის წარმოებისა და საქონლის მიმოქცევის ყველა კანონი ყირამალა დგება. ეკონო-

მიუერი კოლიზია თავის მწვერვალს აღწევს: ხდება წარმოების წესის აჯანყება გაცვლა-გამოცვლის წესის წინააღმდეგ.

ის ფაქტი, რომ წარმოების საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ფაბრიკის შიგნით განვითარების იმ საფეხურს მიაღწია, სადაც იგი ვეღარ ეგუება მის გვერდით და მასზე მაღლა მდგომ წარმოების ანარქიას საზოგადოებაში, — ეს ფაქტი თვით კაპიტალისტებისთვის ხელშესახებია კაპიტალების ძალდატანებითი კონცენტრაციის შემწეობით, რომელიც კრიზისების დროს ხდება მრავალი მსხვილი და კიდევ უფრო მეტი წვრილი კაპიტალისტის გაპარტახების გამო. კაპიტალისტური წარმოების წესის მთელი მექანიზმი ვეღარ მოქმედებს მის მიერვე შექმნილი საწარმოო ძალების სიმძიმის ქვეშ. მას აღარ ძალუძს საწარმოო საშუალებათა მთელი ეს მასა კაპიტალად აქციოს; ეს საშუალებები უქმად რჩება. ამიტომ უქმად უნდა დარჩეს მრეწველობის სარეზერვო არმიაც. საწარმოო საშუალებანი, საარსებო საშუალებანი, კაპიტალის განკარგულებაში მყოფი მუშები, წარმოებისა და საერთო სიმდიდრის ყველა ელემენტი უხვად მოიპოვება. მაგრამ «სიჭარბე გაჭირვებისა და ნაკლებობის წყაროდ ხდება» (ფურიე), იმიტომ რომ სწორედ ის უშლის ხელს საწარმოო და საარსებო საშუალებათა კაპიტალად გადაქცევას; იმიტომ რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში საწარმოო საშუალებათ არ შეუძლიათ ამოქმედდნენ, თუ ჯერ კაპიტალად, ე. ი. ადამიანის სამუშაო ძალის ექსპლოატაციის საშუალებად არ იქცნენ. როგორც აჩრდილი, ისე დგას მუშებსა და საწარმოო და საარსებო საშუალებებს შუა ამ საშუალებათა კაპიტალად გადაქცევის აუცილებელი თვისება. მხოლოდ ის უშლის ხელს წარმოების საგნობრივი და პიროვნული ბერკეტების გაერთიანებას; მხოლოდ ის უშლის ხელს საწარმოო საშუალებათ იმოქმედონ, ხოლო მუშებს — იმუშაონ და იცხოვრონ. მაშასადამე, ერთი მხრივ, წარმოების კაპიტალისტური წესი თვით ამჟღავნებს თავის უუნარობას — განაგრძოს ამ საწარმოო ძალთა ხელმძღვანელობა. მეორე მხრივ, თვით ეს საწარმოო ძალები გაძლიერებული ძალღონით მიისწრაფიან მოსპონ ეს წინააღმდეგობა, განთავისუფლდნენ ყველა იმისაგან, რაც მათ აბასიათებს როგორც კაპიტალს, ფაქტიურად ცნობილ იქნენ თავიანთი ხასიათისროგორც საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა ხასიათის მიხედვით.

სწორედ ეს წინააღმდეგობა მძლავრად გაზრდილი საწარმოო ძალებისა თავიანთი კაპიტალის თვისების წინააღმდეგ, ეს გაძლიერე-

ბული იძულება, რომ აღიარებულ იქნეს მათი საზოგადოებრივი ბუნება, აიძულებს თვით კაპიტალისტთა კლასს უფრო და უფრო ხშირად, რამდენადაც ეს საზოგადოდ კაპიტალისტურ ურთიერთობაში შესაძლებელია, ისე მოეპყრონ მათ, როგორც ეს საზოგადოებრივ საწარმოო ძალებს შეფერის. როგორც სამრეწველო აღმავლობის პერიოდი მისი განუსაზღვრელად გაბერილი კრედიტითურთ, ისე კრახიც, რომელიც ანგრევს დიდ კაპიტალისტურ საწარმოებს, იწვევს საწარმოო საშუალებათა დიდი მასების განსაზოგადოების იმ ფორმას, რომელსაც საჯაქციო საზოგადოებათა სხვადასხვა სახით ეხვდებით. ზოგიერთი ეს საწარმოო და სამიმოსვლო საშუალება იმთავითვე ისე უზარმაზარია, რომ, როგორც, მაგალითად, რკინიგზა, შეუძლებლად ხდის კაპიტალისტურ ექსპლოატაციის ყოველ სხვა ფორმას. განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე არც ეს ფორმაა საკმარისი; ამა თუ იმ ქვეყნის მრეწველობის ერთი და იმავე დარგის ყველა მსხვილი მწარმოებლები ერთიანდებიან ერთ «ტრესტში», კავშირში, წარმოების მოწესრიგების მიზნით. ისინი საზღვრავენ დასამზადებელი პროდუქტის საერთო ჯამს, ანაწილებენ მას ურთიერთ შორის და თავზე ახვევენ წინასწარ დამყარებულ გასაყიდ ფასს. ხოლო რადგან ეს ტრესტები ვაჭრობის პირველ შეფერხებისთანავე მეტწილად იშლებიან, ამით ისინი წარმოების კიდევ უფრო მეტ კონცენტრირებულ განსაზოგადოებას იწვევენ: მრეწველობის მთელი დარგი იქცევა ერთ მთლიან კოლოსალურ საჯაქციო საზოგადოებად, კონკურენცია ქვეყნის შიგნით ადგილს უთმობს ამ საზოგადოების მონოპოლიას ამ ქვეყნის შიგნით. ასე დაემართა ეს 1890 წ. ინგლისში ტუტათა წარმოებას, რომელიც ახლა ყველა 48 მსხვილი ფაბრიკის შეერთების შემდეგ ერთადერთი, ერთი ცენტრის მიერ წარმართული, 120 მილიონი მარკა კაპიტალის მქონე, საზოგადოების ხელში გადავიდა.

ტრესტებში თავისუფალი კონკურენცია იქცევა მონოპოლიად, ხოლო კაპიტალისტური საზოგადოების უგეგმო წარმოება კაპიტულაციას ახდენს მომავალი სოციალისტური საზოგადოების გეგმიანი წარმოების წინაშე. მართალია, თავდაპირველად მხოლოდ კაპიტალისტების სასარგებლოდ და სასიკეთოდ. მაგრამ აქ ეს ექსპლოატაცია იმდენად ხელშესახები ხდება, რომ იგი უნდა დაემხოს. არც ერთი ხალხი არ შეურიგდება დიდი ხნით იმ წარმოებას, რომელსაც ტრესტები ხელმძღვანელობენ, არ შეურიგდება კუპონების ჭრით მცხოვრები მცირერიცხოვანი ბანდის მიერ მთელი საზოგადოების დაუფარავ ექსპლოატაციას.

ასე თუ ისე, ტრესტებით თუ უტრესტოდ, სახელმწიფო, როგორც კაპიტალისტური საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელი, საბოლოოდ, იძულებულია [1] წარმოების ხელმძღვანელობა იკისროს. ეს აუცილებლობა სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევისა, უწინარეს ყოვლისა, თავს იჩენს კავშირგაბმულობის დიდი საშუალებებისათვის: ფოსტის, ტელეგრაფისა და რკინიგზებისათვის.

თუ კრიზისები ამჟღავნებენ, რომ ბურჟუაზიას აღარ ძალუძს თანამედროვე საწარმოო ძალების მართვა-გამგეობა, დიდი საწარმოო და სამიმოსვლო საშუალებების გადაქცევა საჯაროო საზოგადოებებად, ტრესტებად და სახელმწიფო საკუთრებად, ამტკიცებს, რომ ბურჟუაზია უკვე ზედმეტი გახდა ამ მიზნისათვის. კაპიტალისტის ყველა საზოგადოებრივ ფუნქციას ამჟამად ჯამაგირიანი მოხელეები ასრულებენ. კაპიტალისტი საზოგადოებრივ მოღვაწეობას არ ეწევა, მხოლოდ შემოსავალს იჯიბავს, კუპონებს ჭრის და ბირჟა-

[1] ვამბობ: «ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა», იმიტომ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საწარმოო ან მიმოსვლის საშუალებანი თავის ზრდაში ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გასცილდებიან სააქციო საზოგადოებათა ხელმძღვანელობის ფარგლებს, მაშასადამე, როცა მათი გასახელმწიფოებრივება ე კ ო ნ ო მ ი უ რ ა დ აუცილებელი ხდება, მხოლოდ ამ შემთხვევაში, — თუნდაც მას თანამედროვე სახელმწიფო ახდენდეს, — იგი ეკონომიურ პროგრესს წარმოადგენს, ახალი პირველი საფეხურის მიღწევას იმ გზაზე, რათა თვით საზოგადოებამ დაიპყროს ყველა საწარმოო ძალა. მაგრამ ბოლო დროს, რაც ბისმარკი გასახელმწიფოებრივებას გამოუდგა, გაჩნდა ერთგვარი ყალბი სოციალიზმი, რომელიც აქა-იქ ნებაყოფლობით ლაქიობადაც გადაგვარდა და რომელიც ყ ო ვ ე ლ გასახელმწიფოებრივებას, თვით ბისმარკის მიერ მოხდენილსაც, მოურიდებლად სოციალისტურ ღონისძიებად აცხადებს. თამბაქოს სახელმწიფოებრივი მონოპოლია რომ სოციალისტური ღონისძიება ყოფილიყო, ნაპოლეონი და მეტეონიხი სოციალიზმის პირველ დამფუძნებელთა რიცხვში უნდა შეგვეყვანა. თუ ბელგიის სახელმწიფომ, ყოველდღიური პოლიტიკური და ფინანსიური მოსაზრებებით, მთავარი სარკინიგზო ხაზები თვით ააგო, თუ ბისმარკმა ყოველგვარი ეკონომიური აუცილებლობის კარნახის გარეშე პრუსიის მთავარი სარკინიგზო ხაზები სახელმწიფო საკუთრებად აქცია, უბრალოდ იმისათვის, რათა ისინი ომის შემთხვევაში უკეთ მოეწესრიგებინა და გამოეყენებინა, რათა რკინიგზის მოხელეები მთავრობის ხმის მიმცემ პირუტყვად ექცია და, უმთავრესად, რათა ახალი, პარლამენტისაგან დამოუკიდებელი შემოსავალი წყარო გაეჩინა, — ეს ყოველივე სრულიადაც არ წარმოადგენდა სოციალისტურ ნაბიჯებს, არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ, არც შეგნებულად და არც შეუგნებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალისტურ დაწესებულებებად უნდა გვეცნო სამეფო საზღვაო სავაჭრო საზოგადოება, სამეფო ფაიფურის მანუფაქტურა და თვით სამხედრო სამკერვალო სახელოსნოები ანდა ოცდაათიან წლებში ფრიდრიხ-ვილჰელმ III დროს ვიღაც ჰკუის კოლოფის მიერ წარმოდგენილი წინადადება... სამეძაო სახლების გასახელმწიფოებრივების შესახებ! (ე ნ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა.)

ზე თამაშობს, სადაც სხვადასხვა კაპიტალისტები ერთმანეთს კაპიტალს ართმევენ. თუ წარმოების კაპიტალისტურმა წესმა თავდაპირველად მუშები განდევნა, ახლა იგი კაპიტალისტებს სდევნის და, ისევე როგორც მუშებს, ჭარბ მოსახლეობაში ერეკება, თუმცა ჯერ კიდევ არა სამრეწველო სარეზერვო არმიაში.

მაგრამ არც სააქციო საზოგადოებად და ტრესტებად, არც სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა არ სპობს საწარმოო ძალთა კაპიტალისტურ თვისებებს. სააქციო საზოგადოებათა და ტრესტების მიმართ ეს ნათელია. რაც შეეხება თანამედროვე სახელმწიფოს, იგი მხოლოდ ისეთ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელსაც ბურჟუაზიული საზოგადოება ქმნის, რათა წარმოების კაპიტალისტური წესის საერთო, გარეგანი პირობები დაიცვას როგორც მუშების, ისე ცალკეულ კაპიტალისტთა თავდასხმებისაგან. როგორიც უნდა იყოს თანამედროვე სახელმწიფოს ფორმა, ეს სახელმწიფო თვით თავის არსებით კაპიტალისტურ მანქანას წარმოადგენს, კაპიტალისტების სახელმწიფოს, იდეალურ ერთობლივ კაპიტალისტს. რამდენადაც მეტს საწარმოო ძალას დაეპატრონება იგი, მით უფრო ნამდვილი ერთობლივი კაპიტალისტი გახდება, მით მეტ მოქალაქეს გაუწევს ექსპლოატაციას. მუშები დაქირავებულ მუშებად, პროლეტარებად რჩებიან. კაპიტალისტური ურთიერთობა კი არ ისპობა, არანაკლებ უალრესად მწვავდება. მაგრამ უმაღლესი მწვერვალის მიღწევისას ხდება გადატრიალება. საწარმოო ძალების სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა არ წარმოადგენს კონფლიქტის გადაჭრას, მაგრამ იგი შეიცავს მის ფორმალურ საშუალებას, მისი გადაჭრის შესაძლებლობას.

ეს გადაჭრა მხოლოდ იმაში შეიძლება მდგომარეობდეს, რომ ფაქტიურად აღიარებულ იქნეს თანამედროვე საწარმოო ძალების საზოგადოებრივი ბუნება, რომ, მაშასადამე, წარმოების მითვისებისა და გაცვლა-გამოცვლის წესი შეთანხმებულ იქნეს საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივ ხასიათთან. ეს კი მხოლოდ ისეთი გზით შეიძლება მოხდეს, თუ საზოგადოება აშკარად და პირდაპირ დაესაკუთრება საწარმოო ძალებს, რომელნიც აღარ ემორჩილებიან არავითარ ხელმძღვანელობას, გარდა თვით საზოგადოების ხელმძღვანელობისა. ამის გამო საწარმოო საშუალებებისა და პროდუქტების საზოგადოებრივი ხასიათი, რომელიც დღეს თვით მწარმოებლების წინააღმდეგია მიმართული, წარმოების და გაცვლა-გამოცვლის წესს პერიოდულად ირღვევს და ბრმად მოქმედი ბუნების კანონის მსგავსად ძალმომრეობითა და ნგრევით მიიკვლევს

გზას, მაშინ მწარმოებლების მიერ სრულიად შეგნებულად გატარდება ცხოვრებაში და შეფერხებისა და პერიოდული ნგრევის მიზეზისაგან წარმოების ყველაზე მძლავრ ბერკეტად იქცევა.

საზოგადოებრივი ძალები, სანამ ჩვენ მათ არ შევიცნობთ და ანგარიშს არ გავუწევთ, სავსებით ისევე მოქმედებენ როგორც ბუნების ძალები: ბრმად, ძალმომრეობით, გამანადგურებლად. ხოლო თუ ჩვენ ისინი შევიცანით, მათი მიმართულება, მათი მოქმედება, მათი შედეგები გავიგეთ, უკვე ჩვენზეა დამოკიდებული მათი სულ უფრო და უფრო დამორჩილება ჩვენი ნებისადმი და მათი შემწეობით ჩვენი მიზნების მიღწევა. განსაკუთრებით ეს ითქმის თანამედროვე მძლავრ საწარმოო ძალებზე. სანამ ჩვენ ჯიუტად უარს ვამბობთ მათი ბუნებისა და მათი ხასიათის გაგებაზე, — ამ გაგებას კი ეწინააღმდეგება წარმოების კაპიტალისტური წესი და მისი დამცველები, — მანამ ეს საწარმოო ძალები ჩვენგან დამოუკიდებლად, ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ, ჩვენზე ბატონობენ, როგორც ეს ზემოთ დაწვრილებით ავწერეთ. მაგრამ თუ ერთხელ მათი ბუნება გავიგეთ, ისინი შეიძლება შეკავშირებული მწარმოებლების ხელში დემონური ბატონობიდან მორჩილ მსახურებად იქცნენ. ეს ისეთივე განსხვავებაა, როგორიც გამანადგურებელი მეხის ელექტრობასა და ტელეგრაფის ან რკალიანი ნათურის დაურვებულ ელექტრობას შორის არსებობს, ან კიდევ ისეთი, რომელიც ხანძარსა და ადამიანის სამსახურში მყოფ ცეცხლს შორის არსებობს. როდესაც თანამედროვე საწარმოო ძალებს ბოლოს მათი შეცნობილი ბუნების მიხედვით მოვეპყრობით, საზოგადოებრივი წარმოების ანარქიის ადგილს დაიჭერს წარმოების საზოგადოებრივად გეგმაშეწონილი მოწესრიგება როგორც მთელი საზოგადოების, ისე ცალკე პირის მოთხოვნილების მიხედვით. მაშინ კაპიტალისტური მითვისების წესი, რომელშიც პროდუქტი ჯერ მწარმოებელს იმონებს, ხოლო შემდეგ მიმთვისებელსაც, ადგილს დაუთმობს პროდუქტების მითვისების ახალ წესს, რომელიც თვით თანამედროვე საწარმოო საშუალებათა ბუნებაზეა დაფუძნებული: ერთი მხრივ, პირდაპირ საზოგადოებრივ მითვისებას როგორც საშუალებას წარმოების შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, პირდაპირ ინდივიდუალურ მითვისებას როგორც არსებობისა და სიამოვნების საშუალებებს.

რამდენადაც წარმოების კაპიტალისტური წესი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას თანდათან პროლეტარებად აქცევს, იგი ქმნის ძალას, რომელიც დაღუპვის თავიდან ასაცილებლად იძულებულია

ეს გადატრიალება მოახდინოს. რამდენადაც კაპიტალისტური წარმოება მსხვილ, განსაზოგადოებულ საწარმოო საშუალებებს თანდათან სახელმწიფო საკუთრებად აქცევს, ის თვით უჩვენებს გზას ამ გადატრიალების მოსახდენად. პროლეტარიატი სახელმწიფო ხელისუფლებას იპყრობს და, უწინარეს ყოვლისა, საწარმოო საშუალებებს სახელმწიფოს საკუთრებად აქცევს. მაგრამ ამით იგი თავის თავს აუქმებს როგორც პროლეტარიატს, სპობს ყველა კლასობრივ განსხვავებასა და კლასობრივ წინააღმდეგობას და ამასთანავე სახელმწიფოს, როგორც სახელმწიფოს. დღემდე არსებულ საზოგადოებას, რომელიც კლასობრივ წინააღმდეგობებში მოძრაობს, აუცილებლად სახელმწიფო სჭირდებოდა, ე. ი. სჭირდებოდა ამა თუ იმ ეპოქის ექსპლოატატორი კლასის ორგანიზაცია მისი გარეგანი საწარმოო პირობების შესანარჩუნებლად. მაშასადამე, განსაკუთრებით იმისათვის, რომ ძალმომრეობის წემწეობით ექსპლოატირებული კლასი დამონების იმ პირობებში ჰყოლოდა, რომელიც არსებული წარმოების წესის ვითარებით იყო მოცემული (მონობა, ბატონყმობა ან ფეოდალური დამოკიდებულება, დაქირავებული შრომა). სახელმწიფო მთელი საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელი იყო, იგი მას აერთიანებდა ერთ თვალით დასანახ კორპორაციაში, მაგრამ იგი ასეთი იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იმ კლასის სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც თავის დროისთვის მთელს საზოგადოებას წარმოადგენდა: ანტიკურ ქვეყანაში ჩვენ გვაქვს მონათმფლობელი მოქალაქეების სახელმწიფო, შუა საუკუნეებში — ფეოდალური თავადაზნაურობისა, ხოლო ჩვენს დროში — ბურჟუაზიისა. როცა სახელმწიფო ბოლოს ნამდვილად იქნება მთელი საზოგადოების წარმომადგენელი, იგი თავის თავსვე ზედმეტად გახდის. როცა აღარ იარსებებს არც ერთი საზოგადოებრივი კლასი, რომლის დამორჩილება საჭიროა, როცა მოისპობა კლასობრივი ბატონობა და ბრძოლა ინდივიდუალური არსებობისათვის, რომელიც დაფუძნებულია წარმოების თანამედროვე ანარქიაზე, როცა მოისპობა აქედან გამომდინარე კოლიზია და ძალმომრეობანი, — მაშინ აღარავინ დარჩება დასათრგუნავი, რომლისათვისაც საჭირო იქნება განსაკუთრებული დამთრგუნავი ძალა, სახელმწიფო. პირველი აქტი, რომელშიაც სახელმწიფო მართლაც გამოდის როგორც მთელი საზოგადოების წარმომადგენელი, — საწარმოო ძალების დაპატრონება საზოგადოების სახელით, — აგრეთვე მისი უკანასკნელი დამოუკიდებელი აქტია, როგორც სახელმწიფოსი. სახელმწიფოებრივი ხელისუფლე-

ბის ჩარევა საზოგადოებრივ ურთიერთობაში თანდათან ზედმეტი გახდება და ბოლოს თავისთავად მოისპობა. იმ მთავრობის ადგილს, რომელიც პიროვნებათ განაგებს, დაიჭერს საგნების მმართველობა და საწარმოო პროცესების ხელმძღვანელობა. სახელმწიფო კი არ «უქმდება», ი გ ი თ ა ნ დ ა თ ა ნ კ ვ დ ე ბ ა. ამის საფუძველზე უნდა შეფასდეს ფრაზა «თავისუფალი სახალხო სახელმწიფოს» შესახებ, ფრაზა, რომელსაც დროებითი სააგიტაციო გამართლება ჰქონდა, მაგრამ საბოლოო ანგარიშით არადამაკმაყოფილებელია მეცნიერული თვალსაზრისით. ამის საფუძველზე უნდა შეფასდეს აგრეთვე ეგრეთწოდებული ანარქისტების მოთხოვნაც, სახელმწიფო ერთი ღამის განმავლობაში უნდა გაუქმდესო.

მას შემდეგ, რაც ისტორიულ ასპარეზზე კაპიტალისტური წარმოების წესი გამოვიდა, როგორც ცალკე პირებს, ისე მთელ სექტებს ხშირად მეტნაკლებ ბუნდოვანად მომავლის იდეალის სახით წინ უდგებოდა ყველა საწარმოო საშუალების დაპატრონება საზოგადოების მიერ. მაგრამ შესაძლებელი და ისტორიული აუცილებლობა იგი მხოლოდ მაშინ გახდა, როცა შეიქმნა მისი განხორციელების ფაქტიური პირობები. ყოველი სხვა საზოგადოებრივი პროგრესის მსგავსად, მისი განხორციელება შესაძლებელი ხდება არა იმ მოპოვებული შეგნებით, რომ კლასთა არსებობა ეწინააღმდეგება სამართლიანობას, თანასწორობასა და სხვ., არა იმ უბრალო სურვილით, რომ ეს კლასები მოისპოს, არამედ განსაზღვრული ახალი ეკონომიური პირობებით. საზოგადოების გათიშვა ექსპლოატატორ და ექსპლოატირებულ, გაბატონებულ და დაჩაგრულ კლასებად აუცილებელი შედეგი იყო წარმოების წინანდელი უმნიშვნელო განვითარებისა. სანამ საზოგადოებრივი ერთობლივი შრომა მხოლოდ იმდენ შემოსავალს იძლევა, რაც ცოტათი სჭარბობს საზოგადოების არსებობისათვის თვით აუცილებელ საშუალებებს, სანამ, მაშასადამე, შრომა ნთქავს საზოგადოების უდიდესი ნაწილის მთელ ან თითქმის მთელ დროს, შანამ ეს საზოგადოება აუცილებლად კლასებად ნაწილდება. ამ, მხოლოდდამხოლოდ მონური შრომით დაკავებული, დიდი უმრავლესობის გვერდით იქმნება უშუალო პროდუქტიული შრომიდან განთავისუფლებული კლასი, რომელიც განაგებს საზოგადოების საერთო საქმეებს: შრომის ხელმძღვანელობას, სახელმწიფო საქმეებს, მართლმსაჯულებას, მეცნიერებას, ხელოვნებას და სხვ. მაშასადამე, კლასობრივ დანაწილებას საფუძვლად შრომის დანაწილების კანონი უძევს. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა იმას, რომ ძალმომრეობასა და ძარცვა-გლეჯას, ვერაგობასა და მო-

ტყუებას მონაწილეობა მიეღო კლასებად დანაწილების საქმეში; ხოლო რაკი გაბატონებული კლასი ხელისუფლებას დაეპატრონა, მას არასოდეს ხელიდან შემთხვევა არ გაუშვია თავისი ბატონობა განემტკიცებინა მშრომელი კლასის ხარჯზე და საზოგადოების ხელმძღვანელობა მასების გაძლიერებულ ექსპლოატაციად გადაექცია.

მაგრამ თუ კლასებად დანაწილებას ერთგვარი ისტორიული გამართლება აქვს, იგი მხოლოდ განსაზღვრული დროისთვის, განსაზღვრული საზოგადოებრივი პირობებისათვის აქვს. იგი დაფუძნებული იყო წარმოების უკმარობაზე; იგი აღგვილ იქნება თანამედროვე საწარმოო ძალების სრული განვითარების წყალობით. მართლაც, საზოგადოებრივი კლასების მოსპობა გულისხმობს ისტორიული განვითარების იმ საფეხურს, რომელზედაც არა მარტო ამა თუ იმ განსაზღვრული გაბატონებული კლასის, არამედ ყოველი გაბატონებული კლასის არსებობა საერთოდ, მაშასადამე, თვით კლასობრივი განსხვავება ანაქრონიზმადაა ქცეული, დრომოჭმულია. მაშასადამე, იგი გულისხმობს წარმოების განვითარების ისეთ მაღალ დონეს, რომელზედაც წარმოების საშუალებათა და პროდუქტთა — და ამასთან ერთად პოლიტიკური ბატონობის, სწავლა-განათლების მონოპოლიის და სულიერი ხელმძღვანელობის — მითვისება განსაკუთრებული საზოგადოებრივი კლასის მიერ არა მარტო ზედმეტი ხდება, არამედ ეკონომიურად, პოლიტიკურად და გონებრივად განვითარებისათვის დამაბრკოლებელია. ეს პუნქტი ახლა მიღწეულია. ბურჟუაზიის პოლიტიკური და გონებრივი გაკოტრება თვით მისთვისაც ალარ წარმოადგენს საიდუმლოებას, ხოლო მისი ეკონომიური გაკოტრება რეგულარულად მეორდება ყოველ ათ წელიწადში ერთხელ. ყოველი კრიზისის დროს საზოგადოება იხრჩობა თავისი საკუთარი, მის მიერვე გამოუყენებელი საწარმოო ძალებისა და პროდუქტების სიმძიმის ქვეშ და უმწეოდ დგას უაზრო წინააღმდეგობის წინაშე, რომ მწარმოებლებს შესაძლებლობა არა აქვთ პროდუქტები მოიხმარონ, იმიტომ რომ მომხმარებლების ნაკლებობაა. საწარმოო საშუალებათა გაფართოების ძალა ამსხვრევს იმ ბორკილებს, რომელიც მათ წარმოების კაპიტალისტურმა წესმა დაადო. მისი განთავისუფლება ამ ბორკილებისაგან ერთადერთ წანამძღვარს წარმოადგენს საწარმოო ძალთა შეუწყვეტელი, მუდამ აჩქარებული განვითარებისა და ამასთანავე თვით წარმოების პრაქტიკულად უსაზღვრო გაძლიერებისა. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი მითვისება სპობს არა მარტო წარმოების ამჟამად არსებულ ხელოვნურ დაბრკოლებებს, არა-

მედ აგრეთვე საწარმოო ძალთა და პროდუქტთა პირდაპირ გაფლანგვასა და განიავებას, რაც დღეს წარმოების აუცილებელი თანამგზავრია და რაც თავის უმაღლეს წერტილს კრიზისების დროს აღწევს. ამას გარდა, იგი დიდძალ საწარმოო საშუალებებსა და პროდუქტებს გაანთავისუფლებს საზოგადოებისათვის იმით, რომ მოსპობს დღევანდელი გაბატონებული კლასების და მათი პოლიტიკური წარმომადგენლების უაზრო ფუფუნებასა და მფლანგველობას. ის შესაძლებლობა, რომ საზოგადოებრივი წარმოების შემწეობით საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფილ იქნეს არსებობა, რომელიც არა მარტო მატერიალურად საკმაოებით საკმაო იქნება და დღითი-დღე უფრო ბარაქიანი გახდება, არამედ აგრეთვე მათი ფიზიკური და სულიერი ნიჭის სრულიად თავისუფალი განვითარებისა და გამოყენების გარანტიას მისცემს, — ეს შესაძლებლობა ახლა პირველადაა მიღწეული, მაგრამ იგი მართლაც მიღწეულია [1].

როცა საზოგადოება საწარმოო საშუალებებს დაეპატრონება, მოისპობა სასაქონლო წარმოება და ამავე დროს პროდუქტის ბატონობა მწარმოებლებზე. საზოგადოებრივი წარმოების ანარქიას გეგმიანი შეგნებული ორგანიზაცია შეცვლის. განცალკევებული პიროვნების ბრძოლა არსებობისათვის მოისპობა. ამით ადამიანი — რამდენადმე საბოლოოდ გამოეთიშება ცხოველთა სამეფოს და პირუტყვული არსებობის პირობებიდან ნამდვილ ადამიანურ პირობებში გადავა. ადამიანის გარემომცველი ცხოვრების პირობების წრე, რომელიც დღემდე ბატონობდა ადამიანზე, ახლა ადამიანის ბატონო-

---

[1] ორიოდე ციფრმა შეიძლება დაახლოებითი წარმოდგენა მოგვცეს თანამედროვე საწარმოო საშუალებათა უზარმაზარი გაფართოების ძალაზე თვით კაპიტალისტური უღლის ქვეშ. გიუენის ახლად შედგენილ გაანგარიშებათა მიხედვით დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მთელი სიმდიდრე მრგვალი ციფრებით შემდეგი იყო:

1814 წ.	— 2200 მილიონი გირვ. სტერლ.	= 44	მილიარდი	მარკა
1865 „	— 6100 „ „ „ „ „	=122	„	„
1875 „	— 8500 „ „ „ „	=170	„	„

რაც შეეხება საწარმოო საშუალებათა და პროდუქტების განადგურებას კრიზისების დროს, გერმანელი მრეწველების მეორე კონგრესზე (ბერლინში, 1878 წ. 21 თებერვალს) მარტო გერმანიის რკინის მრეწველობის საერთო ზარალი უკანასკნელი კრიზისის დროს 455 მილიონ მარკად იყო ნაანგარიშები. (ენგელსის შენიშვნა).

ბასა და კონტროლს ექვემდებარება, ხოლო ადამიანი პირველად ხდება ბუნების შეგნებული, ნამდვილი ბატონი, სწორედ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც იგი თავისი საკუთარი განსაზოგადოებრივებული ცხოვრების ბატონი გახდება. ადამიანთა საკუთარი საზოგადოებრივი მოქმედების კანონები, რომელნიც მათ დღემდე უპირდაპირდებოდნენ როგორც უცხო, მათზე გაბატონებული ბუნების კანონები, ამიერიდან საქმის სრული ცოდნით გამოყენებული და დამორჩილებული იქნება ადამიანების მიერ. ადამიანთა საკუთარი საზოგადოებრივი ყოფა, როგორიც მათ დღემდე უპირდაპირდებოდა როგორც ბუნებისა და ისტორიის მიერ თავმოხვეული, ახლა მათი საკუთარი თავისუფალი საქმე ხდება. ობიექტური, უცხო ძალები, რომლებიც დღემდე ისტორიაზე ბატონობდნენ, თვით ადამიანის კონტროლს ექვემდებარება. მხოლოდ ამიერიდან შექმნიან თვით ადამიანები თავიანთ ისტორიას სრული შეგნებით, მხოლოდ ამიერიდან მოჰყვება მათ მიერ ამოძრავებულ საზოგადოებრივ მიზეზებს მნიშვნელოვანი და თანდათან გაძლიერებული ზომით მათ მიერ სასურველად მიჩნეული შედეგები. ესაა კაცობრიობის ნახტომი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში.

დასასრულ შევაჯამოთ ჩვენს მიერ გადმოცემული განვითარების მსვლელობა:

I. შუა საუკუნეების საზოგადოება: წვრილი ინდივიდუალური წარმოება. საწარმოო საშუალებანი დანიშნულია ინდივიდუალური მოხმარებისათვის და ამიტომ პრიმიტიულად უმწეო, წვრილი, უმნიშვნელო მოქმედების მქონეა. წარმოება უშუალო მოხმარების მიზნით, თვით მწარმოებლისა თუ მისი ფეოდალური ბატონის მიერ. მხოლოდ იქ, სადაც აღმოჩნდება წარმოების გარდამეტი უშუალო მოხმარებაზე, ეს გარდამეტი გადის გასასყიდად და გაცვლაში შედის: მაშასადამე, სასაქონლო წარმოება წარმოშობის პროცესში იმყოფება; მიგრამ ის უკვე ამ დროსაც შეიცავს საზოგადოებრივი წარმოების ანარქიის ჩანასახს.

II. კაპიტალისტური რევოლუცია: გადატრიალება მრეწველობაში თავდაპირველად მარტივი კოოპერაციისა და მანუფაქტურის საშუალებით. აქამდე გაფანტულ საწარმოო საშუალებათა კონცენტრაცია დიდ სახელოსნოებში და ამ გზით წარმოების ინდივიდუალური საშუალებებიდან მათი საზოგადოებრივად გადაქცევა, რომელიც, საერთოდ და მთლიანად, არ შეხებია გაცვლა-გამოცვლის ფორმას. მითვისების ძველი ფორმები ძალაში რჩება. გამოდის კაპიტალისტი: როგორც საწარმოო საშუალებათა მესაკუთრე, ის

ითვისებს აგრეთვე პროდუქტებსაც და აქცევს მათ საქონლად. წარმოება საზოგადოებრივ აქტად ხდება; გაცვლა და მასთან ერთად პროდუქტების მითვისება კი ინდივიდუალურ აქტად, ცალკეულ პირთა აქტად რჩება: საზოგადოებრივ პროდუქტს ითვისებს ცალკეული კაპიტალისტი. ეს შეადგენს ძირითად წინააღმდეგობას, საიდანაც გამომდინარეობს ყველა ის წინააღმდეგობა, რომლებშიაც მოძრაობს თანამედროვე საზოგადოება და რომელნიც განსაკუთრებული სიცხადით აშკარავდებიან მსხვილ მრეწველობაში.

ა) მწარმოებლის გათიშვა საწარმოო საშუალებათაგან. მუშა განწირულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაქირავებული შრომით იარსებოს. წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

ბ) სასაქონლო წარმოებაზე გაბატონებული კანონების მზარდი გამოაშკარავება და გაძლიერებული მოქმედება. აღვირახსნილი კონკურენცია. თვითეულ ცალკეულ ფაბრიკაში საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და მთელ წარმოებაში საზოგადოებრივ ანარქიას შორის არსებული წინააღმდეგობა.

გ) ერთი მხრივ — მანქანების გაუმჯობესება, რაც კონკურენციის მეოხებით გადაიქცა იძულებით კანონად თვითეული ფაბრიკანტისათვის და მოასწავებს ამავე დროს ფაბრიკებიდან მუშების თანდათან უფრო გაძლიერებულ განდევნას: სამრეწველო სარეზერვო არმია. მეორე მხრივ — წარმოების უსაზღვრო გაფართოება, რომელიც აგრეთვე გადაიქცა კონკურენციის იძულებით კანონად თვითეული ფაბრიკანტისათვის. ორივე მხრივ — საწარმოო ძალთა გაუგონარი განვითარება; მიწოდების სიჭარბე მოთხოვნაზე. ჭარბი წარმოება, ბაზრების ავსება, კრიზისები, ორმელნიც მეორდებიან ყოველ ათ წელში, ცთომილი წრებრუნვა: ერთი მხრივ, — საწარმოო საშუალებათა და პროდუქტთა სიჭარბე, მეორე მხრივ, — უსაქმოდ დარჩენილი და საარსებო საშუალებებს მოკლებული მუშების სიჭარბე. მაგრამ წარმოებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ეს ორი ბერკეტი შეუძლებელია შეერთდეს, იმიტომ რომ წარმოების კაპიტალისტური ფორმა არ ანებებს საწარმოო ძალებს მოქმედებას, ხოლო პროდუქტებს — მიმოქცევას ისე, თუ ისინი წინასწარ კაპიტალად არ გადაიქცნენ, რასაც ხელს უშლის სწორედ მათი სიჭარბე. ეს წინააღმდეგობა იზრდება უაზრობამდე: წარმოების წესი უჯანყდება გაცვ-

ლის ფორმას. ამნაირად, ბურჟუაზია ამყარებს თავისი საკუთარი საზოგადოებრივი საწარმოო ძალების შემდგომი მართვის უუნარობას.

დ) თვით კაპიტალისტები იძულებული არიან ნაწილობრივ აღიარონ საწარმოო ძალთა საზოგადოებრივი ხასიათი. წარმოებისა და მიმოსვლის მსხვილ ორგანიზმთა მისაკუთრება — ჯერ სააქციო კომპანიების, უფრო გვიან — ტრესტების, ხოლო შემდეგ — სახელმწიფოს მიერ. ბურჟუაზია ხდება ზედმეტ კლასად; მის საზოგადოებრივ ფუნქციას ახლა ასრულებენ დაქირავებული მოსამსახურეები.

III. პროლეტარული რევოლუცია, წინააღმდეგობათა გადაჭრა: პროლეტარიატი იპყრობს საზოგადოებრივ ხელისუფლებას და ამ ხელისუფლების მეოხებით საზოგადოებრივ საწარმოო საშუალებებს, რომელიც ბურჟუაზიას ხელიდან უსხლტება, საზოგადოებრივ საკუთრებად აქცევს. ამ აქტით ის ანთავისუფლებს საწარმოო საშუალებებს კაპიტალის თვისებიდან, რომელიც მათ დღემდე ჰქონდათ, და მათს საზოგადოებრივ ხასიათს განვითარების სრულ თავისუფლებას აძლევს. ამიერიდან შესაძლებელი ხდება საზოგადოებრივი წარმოება წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით. წარმოების განვითარება ანაქრონიზმად აქცევს სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასის შემდგომ არსებობას. იმდენად, რამდენადაც ქრება საზოგადოებრივი წარმოების ანარქია, თანდათან კვდება სახელმწიფოს პოლიტიკური ავტორიტეტიც. ადამიანები, რომელნიც, როგორც იქნა, თავიანთი საკუთარი საზოგადოებრივი ყოფის ბატონები გახდნენ, ამით იმავდროულად ხდებიან ბუნების ბატონები, თავიანთი თავის ბატონები — ხდებიან თავისუფალნი.

მსოფლიოს ამ გამათავისუფლებელი საქმის შესრულება თანამედროვე პროლეტარიატის ისტორიული მოწოდებაა. ამ გადატრიალების ისტორიული პირობებისა და ამით თვით ამ გადატრიალების ბუნების გამოკვლევა და, ამრიგად, მის მოსახდენად მოწოდებული, დღეს დაჩაგრული კლასისათვის მისი საკუთარი საქმის პირობებისა და ბუნების გამორკვევა — ასეთია ამოცანა მეცნიერული სოციალიზმისა, რომელიც პროლეტარული მოძრაობის თეორიულ გამოხატულებას წარმოადგენს.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ 1877 წ. დაიბეჭდა ცალკე ბროშურის სახით ფრანგულ ენაზე პარიზში 1880 წ., გერმანულ ენაზე — ციურიხში 1882 წ. და ბერლინში 1891 წ., ინგლისურ ენაზე — ლონდონში 1892 წ.

იბეჭდება 1891 წლის გერმანული გამოცემის ტექსტის მიხედვით. თარგმანი გერმანულიდან.

ფ. ენგელსი

კარლ მარქსი

კარლ მარქსი, — ადამიანი, რომელმაც სოციალიზმს და მით მთელ თანამედროვე მუშათა მოძრაობას პირველად ჩაუყარა მეცნიერული საფუძველი, — დაიბადა ტრირში 1818 წ. თავდაპირველად იგი ბონსა და ბერლინში სამართლის მეცნიერებას სწავლობდა, მაგრამ მალე შეუდგა მხოლოდ ისტორიისა და ფილოსოფიის შესწავლას და იგი 1842 წ. უკვე აპირებდა მიეღო ფილოსოფიის დოცენტობა, როცა ფრიდრიხ-ვილჰელმ III სიკვდილის შემდეგ წარმოშობილმა პოლიტიკურმა მოძრაობამ სხვა სარბიელზე გადაისროლა. მისი მონაწილეობით რაინის ლიბერალური ბურჟუაზიის ბელადების — ბ-ნ კამპჰაუზენის, ჰანზემანის და სხვ. მიერ დაარსებულ იქნა კელნში «რაინის გაზეთი» და მარქსი, რომლის კრიტიკულმა წერილებმა რაინის პროვინციულ ლანდტაგში წარმოებული კამათის გარშემო უდიდესი გამოძახილი ჰპოვა, მიწვეულ იქნა 1842 წლის შემოდგომაზე გაზეთის მეთაურად. თავისთავად ცხადია, რომ «რაინის გაზეთი» ცენზორის მეთვალყურეობის ქვეშ გამოდიოდა. მაგრამ ცენზურამ ვერაფერი გააწყო მასთან[1]. «რაინის გაზეთი» თითქმის მუდამ ახერხებდა საჭირო სტატიების დაბეჭდვას; თავდაპირველად ცენზორს ნაკლებ მნიშვნელოვან მასალას მიუგდებდნენ ამოსაშლელად, რის შემდეგ იგი ან თვითონ წავიდოდა დათმობაზე, ანდა იძულებული ხდებოდა დაეთმო იმ მუქარის ზეგავლენით, რომ ხვალ გაზეთი არ გამოვაო. ათიოდე გაზეთს რომ ისეთივე გამბედაობა ჰქონოდა, როგორც «რაინის გაზეთს» ჰქონდა და მათ

[1] «რაინის გაზეთის» პირველი ცენზორი იყო პოლიციის მრჩეველი დოლეშალი, სწორედ ის, რომელმაც ერთხელ ამოშალა «Kölnische Zeitung»-იდან განცხადება დანტეს «ღვთაებრივი კომედიის» თარგმანის შესახებ (მთარგმნელი ფილალეტესი იყო, შემდეგში საქსონიის მეფე იოჰანე) შემდეგი შენიშვნით: «ღვთაებრივი არ შეიძლება გახდეს კომედიის საგანიო». (ენგელსის შენიშვნა).

გამომცემლებს რომ რამდენიმე ასეული ტალერით მეტი ხარჯი გაეწიათ აწყობაზე, გერმანიაში უკვე 1843 წელს ცენზურის არსებობა შეუძლებელი გახდებოდა. მაგრამ გერმანული გაზეთების მფლობელები წკოლმანი, მშიშარა ფილისტერები იყვნენ, ამიტომ «რაინის გაზეთს» მარტო უხდებოდა ბრძოლა. ის ცენზორს ცენზორზე იცვლიდა; დაბოლოს, გაზეთი ორმაგი ცენზურის ქვეშ მოაქციეს, ისე რომ პირველი ცენზურის შემდეგ მმართველობის პრეზიდენტს[1] ის ხელმეორედ და საბოლოოდ უნდა გაეცხრილა. მაგრამ ამანაც ვერ უშველა. 1843 წლის დასაწყისს მთავრობამ გამოაცხადა, ამ გაზეთს თავი ვეღარ გავართვიო, და ყოველგვარი განმარტების გაოეშე აკოძალა.

მარქსმა ამ ხანებში ცოლად შეირთო ფონ-ვესტფალენის, შემდეგში პრუსიის რეაქციული მინისტრის, და, გადასახლდა პარიზში და იქ ა. რუგესთან ერთად «გერმანულ-ფრანგული წლიური კრებულების» გამოცემა დაიწყო, სადაც მან გამოაქვეყნა მთელი რიგი თავისი სოციალისტური ნაწარმოებები, რომელთაც წარუმძღვარა «ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკა». შემდეგ ფ. ენგელსთან ერთად გამოაქვეყნა: «წმინდა ოჯახი. ბრუნო ბაუერის და კომპ. წინააღმდეგ» — სატირული კრიტიკა ერთი იმ უკანასკნელი ფორმისა, რომელიც მიიღო მაშინდელმა გერმანულმა ფილოსოფიურმა იდეალიზმმა.

პოლიტიკური ეკონომიისა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის შესწავლა ხელს არ უშლის მარქსს, როგორც კი შემთხვევა მიეცემა, პრუსიის ხელისუფლების წინააღმდეგ გაილაშქროს; უკანასკნელმა შური იძია და 1845 წლის დამდეგს, გიზოს სამინისტროს, მარქსი საფრანგეთის ფარგლებიდან გააძევებინა. როგორც ჩანს, ამ საქმეში ბ-ნმა ალექსანდრე ფონ-ჰუმბოლტმა შუამავლობა იკისრა. მარქსმა საცხოვრებლად აირჩია ბრიუსელი და იქ ფრანგულ ენაზე 1847 წ. გამოაქვეყნა «ფილოსოფიის სიღატაკე» — პრუდონის «სიღატაკის ფილოსოფიის» კრიტიკა, ხოლო 1848 წ. — «სიტყვა ვაჭრობის თავისუფლების შესახებ». ამავე დროს მას შემთხვევა მიეცა ბრიუსელში გერმანელ მუშათა კავშირი დაეარსებინა და ამით პრაქტიკულ აგიტაციაში ჩაბმულიყო. მისთვის ეს გარემოება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შეიქნა მას შემდეგ, რაც იგი და მისი პოლიტიკური მეგობრები 1847 წელს უკვე კარგა ხანია

---

1 მმართველობის პრეზიდენტი — რეგირუნგსპრეზიდენტი — პრუსიაში, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი ოლქში. რედ.

არსებულ საიდუმლო «კომუნისტთა კავშირში» შეერიენ. მთელი ორგანიზაცია ძირფესვიანად შეიცვალა, აქამდე ცოტად თუ ბევრად კონსპირაციული კავშირი გადაიქცა კომუნისტური პროპაგანდის მარტივ, მხოლოდ აუცილებლობით გამოწვეულ, საიდუმლო ორგანიზაციად, — გერმანული სოციალ-დემოკრატიული პარტიის პირველ ორგანიზაციად. კავშირი არსებობდა ყველგან, სადაც კი გერმანელ მუშათა საზოგადოებები არსებობდნენ; ინგლისის, ბელგიის, საფრანგეთის და შვეიცარიის თითქმის ყველა წრის და გერმანიის მრავალი წრის ხელმძღვანელი წევრები ამ კავშირს ეკუთვნოდნენ და კავშირის როლი გერმანიის ახლად ფეხადგმულ მუშათა მოძრაობაში მეტად მნიშვნელოვანი იყო. ამასთანავე ჩვენი კავშირი პირველი იყო, რომელიც მთელი მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალურ ხასიათს ხაზგასმით აღნიშნავდა და ამას პრაქტიკულადაც ანხორციელებდა. ის თავის რიგებში ინგლისელებს, ბელგიელებს, უნგრელებს, პოლონელებს და სხვ. აერთიანებდა და, განსაკუთრებით ლონდონში, მუშათა ინტერნაციონალურ ყრილობებს აწყობდა.

კავშირის გარდაქმნა ჩატარდა 1847 წლის განმავლობაში მოწვეულ ორ კონგრესზე. მეორე კონგრესმა დაადგინა, შეეფუშავებინა და გამოექვეყნებინა პარტიის პროგრამის საფუძვლები მანიფესტის სახით, რომლის შედგენა მიენდო მარქსსა და ენგელსს. ასე წარმოიშვა «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», რომელიც პირველად 1848 წელს, თებერვლის რევოლუციის წინა დღეებში, გამოვიდა და მის შემდეგ თითქმის ყველა ევროპულ ენაზე გადაითარგმნა.

მარქსის თანაშრომლობამ «ბრიუსელის გერმანულ გაზეთში», რომელიც ულმობლად ააშკარავებდა გერმანიაში გამეფებულ პოლიციურ კეთილდღეობას, მისცა საბაბი პრუსიის მთავრობას ხელახლა მოეთხოვა მარქსის გაძევება, მაგრამ ცდა უნაყოფო გამოდგა. ხოლო როცა თებერვლის რევოლუციამ ბრიუსელშიაც ხალხის მღელვარება გამოიწვია და ბელგიაში გადატრიალების საშიშროება დღის წესრიგში დადგა, მაშინ ბელგიის მთავრობამ მარქსი დააპატიმრა და მოურიდებლად გააძევა. სწორედ ამ დროს საფრანგეთის დროებითმა მთავრობამ ფლოკონის პირით მარქსი ხელახლა მიიწვია პარიზში, და მან ისარგებლა ამ მიწვევით.

მარქსმა პარიზში უპირველეს ყოვლისა გაილაშქრა იქაურ გერმანელთა შორის გავრცელებული ავანტიურისტული გეგმის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით გერმანელ მუშებს საფრანგეთში შეიარაღებული ლეგიონები უნდა შეედგინათ, რათა მათი საშუალებით გერმანიაში რევოლუცია და რესპუბლიკა შეეტანათ.

ერთი მხრივ, გერმანიას თავისი რევოლუცია თვითონ უნდა მოეხდინა, მეორე მხრივ კი, დროებითი მთავრობის ლამარტინები საფრანგეთში უკეთეთის ყოველ ჩამოყალიბებულ რევოლუციურ ლეგიონს წინასწარ აძლევდნენ ხელში თვით იმ მთავრობას, რომელიც უნდა დაეხობილიყო, როგორც ეს მოხდა ბელგიასა და ბადენში.

მარტის რევოლუციის შემდეგ მარქსი ჩავიდა კელნში და იქ დააარსა «ახალი რაინის გაზეთი», რომელიც 1848 წ. 1 ივნისიდან 1849 წლის 19 მაისამდე გამოდიოდა — ერთადერთი გაზეთი, რომელიც მაშინდელ დემოკრატიულ მოძრაობაში პროლეტარიატის თვალსაზრისის წარმომადგენელი იყო; ეს გამოიხატა თუნდაც პარიზის 1848 წლის ივნისის აჯანყებულთა აშკარა გამოსარჩლებაში, რამაც გაზეთს თითქმის ყველა აქციონერი ჩამოაცილა. ამაოდ მიუთითებდა «Kreuzzeitung»[1] იმ «უტიფრობის ჩიმბორასოზე[2]», რომლითაც «ახალი რაინის გაზეთი» ყველაფერ წმინდას ბღალავს — ნეფიდან და სახელმწიფოს მმართველიდან დაწყებული და ჟანდარმით გათავებული, — და ყველაფერი ეს ხდება პრუსიის ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში, იმ დროს რვაათასიანი გარნიზონით; ამაოდ იყვნენ აღშფოთებული ანაზდეულად გარეაქციონერებული რაინელი ლიბერალი ფილისტერები; ამაოდ შეაჩერა ხანგრძლივად კელნის საალყო წესებმა 1848 წ. შემოდგომაზე გაზეთი; ამაოდ მოითხოვდა ფრანკფურტის საიმპერიო იუსტიციის სამინისტრო კელნის პროკურორისაგან გაზეთში დაბეჭდილ სხვადასხვა სტატიის გამო მის სამართალში მიცემას; გაზეთის რედაქტირება და ბეჭდვა პოლიციის თვალწინ არხეინად გრძელდებოდა, ხოლო მისი გავრცელება და პოპულარობა მატულობდა იმ ცხარე იერიშებთან ერთად, რომელიც მას მთავრობასა და ბურჟუაზიაზე მიჰქონდა. როცა 1848 წლის ნოემბერში პრუსიაში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, «ახალი რაინის გაზეთის» თვითეული ნომერი იწყებოდა მოწოდებით ხალხისადმი გადასახადებზე უარი ეთქვათ და ძალადობაზე ძალადობით ეპასუხნათ. ამ გარემოების და კიდევ ერთ-ერთი სხვა სტატიის გამო 1849 წ. გაზაფხულზე გაზეთი წარსდგა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე, მაგრამ ორივეჯერ გა-

---

[1] «Kreuzzeitung»-ის («ჯვაროსნული გაზეთი») სახელით ცნობილი იყო ყოველდღიური რეაქციული მონარქიული გაზეთი «Neue Preussische Zeitung» («ახალი პრუსიული გაზეთი»), რომელიც ბერლინში გამოდიოდა 1848 წლიდან. მის სათაურში გამოხატული იყო ჯვარი. რ ე დ.

[2] ჩიმბორასო — ერთ-ერთი უმაღლესი მთის მწვერვალი სამხრეთ ამერიკაში. რ ე დ.

მართლებულ იქნა. დაბოლოს, როცა 1849 წ. მაისის აჯანყება დრეზდენსა და რაინის პროვინციაში დამარცხდა, ხოლო ჯარის ნაწილთა მობილიზაციის და კონცენტრაციის შემდეგ დაიწყო პრუსიის გალაშქრება ბადენის და პფალცის აჯანყებულთა წინააღმდეგ, მთავრობამ თავისი თავი საკმაოდ ძლიერად ჩათვალა, რათა «ახალი რაინის გაზეთის» მიმართ ძალმომრეობა ეხმარა და მოესპო. უკანასკნელი ნომერი, წითელი ასოებით დაბეჭდილი, 19 მაისს გამოვიდა.

მარქსი ისევ პარიზს დაბრუნდა, მაგრამ 1849 წ. 13 ივნისის დემონსტრაციის შემდეგ არ გაუვლია რამდენიმე კვირას, რომ მას საფრანგეთის მთავრობამ შემდეგი არჩევანი წაუყენა: ან საცხოვრებელი ალაგის ბრეტანში გადატანა, ანდა საფრანგეთის საზღვრების დატოვება. მან უკანასკნელი აირჩია და ლონდონში გადასახლდა, სადაც მის შემდეგ მუდმივად ცხოვრობს.

ცდა—ისევ განეგრძოთ «ახალი რაინის გაზეთის» გამოცემა ჟურნალ-მიმოხილვის სახით (ჰამბურგში, 1850 წ.), რამდენიმე ხნის შემდეგ უშედეგოდ დამთავრდა რეაქციის თანდათან გამძაფრების გამო. მალე საფრანგეთში 1851 წ. დეკემბერში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ მარქსმა გამოაქვეყნა «ლუი ბონაპარტის 18 ბრიუმერი» (ბოსტონი, 1852 წ. მე-2 გამოცემა, ჰამბურგი, 1869 წ. ომის წინ). 1853 წელს მან დაწერა «მხილებანი კომუნისტთა კელნის პროცესისა» (პირველად გამოცემულ იქნა ბაზელში, შემდეგ ბოსტონში, ამას წინათ კვლავ ლაიპციგში).

კომუნისტთა კავშირის წევრების კელნში გასამართლების შემდეგ, მარქსი ჩამოშორდა პოლიტიკურ აგიტაციას და ათი წელიწადი შესწირა, ერთი მხრივ, იმ მდიდარი საგანძურის დამუშავებას, რაც პოლიტიკური ეკონომიის დარგში ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა, მეორე მხრივ, გაზეთ «ნიუ-იორკ ტრიბუნაში»[1] თანამშრომლობას, სადაც ამერიკის სამოქალაქო ომამდე არა მარტო მისი ხელმოწერილი კორესპონდენციები იბეჭდებოდა, არამედ, აგრეთვე, მის მიერ დაწერილი მრავალი მოწინავე წერილიც ევროპისა და აზიის მდგომარეობის შესახებ. მისი მკვეთრი სტატიები ლორდ პალმერსტონის წინააღმდეგ, რომლებიც ეყრდნობოდა ინგლისის ოფიციალური დოკუმენტების საფუძვლიან შესწავლას, ლონდონში ზედიზედ გამოდიოდა პამფლეტების სახით.

[1] «New-York Daily Tribune» — ყოველდღიური დემოკრატიული გაზეთი, გამოდიოდა ნიუ-იორკში 1841-დან 1924 წლამდე. მარქსი თანამშრომლობდა მასში 1851-დან 1862 წ. რ ე დ.

მისი მრავალი წლის ეკონომიური კვლევის პირველი ნაყოფი იყო 1859 წელს გამოცემული «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», პირველი ნაკვეთი (ბერლინი, გამოც. დუნკერი). ეს ნაწარმოები შეიცავს მარქსის ღირებულების თეორიის პირველ სისტემატურ დალაგებას ფულზე მოძღვრების თანდართვით. იტალიის ომის დროს მარქსი ლონდონის გერმანულ გაზეთ «Das Volk»-ის [1] ფურცლებზე ებრძოდა ბონაპარტიზმს, რომელიც ლიბერალურ სამოსელში ეხვეოდა და ჩაგრულ ეროვნებათა დამცველის როლს თამაშობდა; ებრძოდა აგრეთვე პრუსიის მაშინდელ პოლიტიკას, რომელიც ნეიტრალიტეტის ნიღაბქვეშ მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ცდილობდა. ამ პირობებში საჭირო გახდა აგრეთვე ბატონ კარლ ფოგტის წინააღმდეგ გალაშქრება, რომელიც, ლუი ნაპოლეონის ჯამაგირში მყოფი, პრინც ნაპოლეონის (პლონ-პლონი) დავალებით, აგიტაციას ეწეოდა გერმანიის მხრივ ნეიტრალიტეტის და თანაგრძნობის სასარგებლოდ. ფოგტის მიერ ურცხვ, განზრახ შეთითხნილ ცილისწაშებას მარქსმა უპასუხა წიგნით: «ბატონი ფოგტი», (ლონდონი, 1860 წ.), სადაც ფოგტს და სხვა ვაჟბატონებს ბონაპარტისტული ცრუდემოკრატიული ბანდიდან, მარქსმა ყალბი დემოკრატიული სამოსელი ჩამოგლიჯა და ფოგტს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ნიშნების მიხედვით ბრალი დასდო, რომ იგი დეკემბრის ინპერიის მიერ მოსყიდული იყო. სწორედ ათი წლის შემდეგ ეს დანტკიცდა: სექტემბრის მთავრობამ გამოაქვეყნა 1870 წელს ტუილერიში ნაპოვნი სია ბონაპარტის მიერ მოსყიდული პირებისა, სადაც ასო «ფ.»-ს ქვეშ შემდეგი ეწერა: «ფოგტს 1859 წლის აგვისტოში 40 000 ფრანკი გადაეცა».

დაბოლოს, 1867 წელს ჰამბურგში გამოვიდა «კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა». I ტომი — მარქსის მთავარი ნაწარმოები, რომელიც გადმოგვცემს მის ეკონომიურ და სოციალისტურ შეხედულებათა საფუძვლებს და არსებული საზოგადოების, კაპიტალისტური წარმოების წესისა და მისი შედეგების კრიტიკის ძირითად ხაზებს. ამ, ეპოქის შემქმნელი ნაწარმოების მეორე გამოცემა გამოქვეყნდა 1872 წელს. ამჟამად ავტორი მუშაობს მეორე ტომზე.

ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში ამ ხნის განმავლობაში მუშათა მოძრაობა კვლავ იმდენად გაძლიერდა, რომ მარქსს შეეძლო ეფიქრა თავისი დიდი ხნის საოცნებო სურვილის განხორციელებაზე:

---

[1] გერმანული გაზეთი «Das Volk» («ხალხი») გამოდიოდა ლონდონში მარქსის უახლოესი თანამშრომლობით 1859 წ. მაისიდან აგვისტომდე.

სახელდობრ, დაეარსებინა ისეთი მუშათა ასოციაცია, რომელიც მოიცავდა ევროპისა და ამერიკის ყველაზე მოწინავე ქვეყნებს და რომელიც როგორც მუშებს, ისე ბურჟუაზიას და მთავრობებს სოციალისტური მოძრაობის ინტერნაციონალურ ხასიათს, ასე ვთქვათ, ხელშესახებად წარმოუდგენდა, პროლეტარიატის სასიხარულოდ და გასაძლიერებლად და მისი მტრების შესაძრწუნებლად. სახალხო კრებამ, რომელიც მოწვეული იყო 1864 წ. 28 სექტემბერს ლონდონში, სენტ-მარტინს ჰოლის დარბაზში, რუსეთის მიერ იმ ხანებში კვლავ შემუსვრილი პოლონეთისადმი თანაგრძნობის გამოსაცხადებლად, საბაბი მისცა წამოეყენებინათ ეს წინადადება, რაც აღფრთოვანებით იქნა მიღებული. დაარსდა მ უ შ ა თ ა ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ა ს ო ც ი ა ც ი ა; კრებამ აირჩია დროებითი გენერალური საბჭო, რომლის რეზიდენციად ლონდონი გამოცხადდა; როგორც ამ, ისე ყველა მერმინდელ გენერალურ საბჭოს სულისჩამდგმელი ჰააგის კონგრესამდე მარქსი იყო. მისი შედგენილია ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოს მიერ გამოშვებული თითქმის ყველა დოკუმენტი — დაწყებული 1864 წელს გამოცემული დამფუძნებელი მანიფესტით და გათავებული მანიფესტით საფრანგეთის 1871 წ. სამოქალაქო ომის შესახებ. მარქსის მოღვაწეობის დახასიათება ინტერნაციონალში ნიშნავს ოვით ამ ასოციაციის ისტორიის შედგენას, — ასოციაციისა, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალია ევროპის მუშების ხსოვნაში.

პარიზის კომუნის დამარცხებამ ინტერნაციონალი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. იგი ევროპის ისტორიის ავანსცენაზე გამოვიდა იმ მომენტში, როცა მას გაძნელებული ჰქონდა ყოველგვარი წარმატებითი პრაქტიკული მოქმედების საშუალება. სწორედ ის მოვლენები, რომლებმაც იგი მეშვიდე დიდ სახელმწიფოს მდგომარეობამდე აიყვანეს, არ აძლევდნენ მას შესაძლებლობას მოეხდინა ამასთანავე თავისი მებრძოლი ძალების მობილიზაცია და აემოქმედებინა ისინი მუშათა მოძრაობის აუცილებელი დამარცხებისა და დაცემის შიშით მთელი ათეული წლების განმავლობაში. ამასთანავე სხვადასხვა მხრიდან ინტერნაციონალს ისეთი ელემენტები მიეტმასნენ, რომელნიც ცდილობდნენ ასოციაციის ასე სწრაფად გაზრდილი სახელის გამოყენებას პირადი მედიდურობისა თუ პირადი პატივმოყვარეობისათვის; ამ ელემენტებს არა გაეგებოდათ რა ინტერნაციონალის ნამდვილი მდგომარეობისა ან ანგარიშს არ უწევდნენ მას. საჭირო იყო გმირული გადაწყვეტილების მიღება, და სწორედ ისეე მარქსმა მიიღო და გაატარა იგი ჰააგის კონგრესზე. ინტერნა-

ციონალმა საზეიმო დადგენილებით მოიხსნა ყოველგვარი პასუხისმგებლობა ბაკუნისტთა მოქმედებისათვის, ვინაიდან სწორედ ბაკუნისტები შეადგენდნენ ამ უგუნურ და ბინძურ ელემენტთა ცენტრს. შემდეგ, ინტერნაციონალმა გაითვალისწინა, რომ საერთო რეაქციის პირობებში შეუძლებელია დასახულ, თანდათან უფრო გაძლიერებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და სრული აქტივობის შენარჩუნება მრავალი მსხვერპლის გაუღებლად, რაც სისხლიდან დასცლიდა მუშათა მოძრაობას; ამიტომ დროებით მან დასტოვა ასპარეზი და დაადგინა გენერალური საბჭო ამერიკაში გადაეტანა. შედეგებმა დაგვანახვა, თუ რამდენად სწორი იყო ეს დადგენილება, რომელიც მაშინაც და შემდეგაც ხშირად იკიცხებოდა. ერთი მხრივ, ბოლო მოეღო ინტერნაციონალის სახელით უსარგებლო ავანტიურების მოწყობის ყოველგვარ ცდას, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტურ მუშათა პარტიებს შორის განუწყვეტელმა მჭიდრო ურთიერთობამ დაამტკიცა, რომ ინტერნაციონალის მიერ გაღვიძებულ სხვადასხვა ქვეყნის პროლეტართა ინტერესების ერთობისა და სოლიდარობის შეგნებას შეუძლია გზა გაიკაფოს დროებით დაბრკოლებად ქცეულ გაფორმებულ ინტერნაციონალურ ასოციაციის გარეშეც.

ჰაგის კონგრესის შემდეგ მარქსმა, როგორც იქნა, კვლავ ჰპოვა სიმშვიდე და მოცალება, რომ კვლავ დაბრუნებოდა თეორიულ მუშაობას; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მოკლე ხანში იგი შეძლებს «კაპიტალის» II ტომის დასაბეჭდად გადაცემას.

ამ მრავალრიცხოვან მნიშვნელოვან აღმოჩენათა შორის, რომლითაც მარქსმა თავისი სახელი მეცნიერების ისტორიაში ჩასწერა, ჩვენ აქ მხოლოდ ორზე შევჩერდებით.

პირველია მის მიერ მოხდენილი გადატრიალება მსოფლიო ისტორიის მთელ გაგებაში. დღემდე გამეფებული შეხედულებანი ისტორიაზე ეფუძნებოდა იმ წარმოდგენას, რომ ყველა ისტორიულ ცვლილებათა მიზეზები უნდა ვეძიოთ, საბოლოო ანგარიშით, ადამიანთა ცვალებად იდეებში და რომ ყველა ისტორიულ ცვლილებათა შორის უმნიშვნელოვანესი, მთელი ისტორიის განმსაზღვრელი, პოლიტიკური ცვლილებაა. მაგრამ არავინ არ ცდილობდა გამოერკვია, საიდან იბადება ადამიანთა იდეები და როგორია პოლიტიკურ ცვლილებათა მამოძრავებელი მიზეზები. მხოლოდ ფრანგ და ნაწილობრივ ინგლისელ ისტორიკოსთა უახლეს სკოლაში დაიბადა ის რწმენა, რომ, დაწყებული შუა საუკუნეებიდან მაინც, ევროპის ისტორიის მამოძრაველელ ძალად იყო განვითარებაში მყოფი ბურ-

ჟუაზიის ბრძოლა ფეოდალურ თავადაზნაურობასთან პოლიტიკური და საზოგადოებრივი ბატონობისათვის. მარქსმა კი დაამტკიცა, რომ დღემდე არსებული კაცობრიობის მთელი ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა; მან აღნიშნა, რომ მრავალგვარ და რთულ პოლიტიკურ ბრძოლაში საქმე ეხებოდა ყოველთვის სწორედ საზოგადოებრივი კლასების პოლიტიკურ და სოციალურ ბატონობას; ბატონობის შენარჩუნებას ძველი კლასების მხრით, ბატონობის მიღწევას ახალი აღმავალი კლასის მხრით. მაგრამ რისი მეოხებით წარმოიშობიან და არსებობენ ეს კლასები? იმ ყოველთვის არსებული მატერიალური, ფიზიკურად შესაგრძნობი პირობების მეოხებით, რომლებშიაც საზოგადოება ამა თუ იმ ხანაში თავის საარსებო საშუალებებს აწარმოებს და სცვლის. შუა საუკუნეების ფეოდალური ბატონობა ემყარებოდა წვრილ თვითკმარ გლეხურ თემთა მეურნეობას, რომელიც თვითონ ამზადებდა თავისი მოხმარების თითქმის ყველა საჭირო საგანს და რომელშიაც გაცვლა-გამოცვლა თითქმის არ არსებობდა; ამ თემებს გარეშე მტრებიდან იცავდა და მათ ნაციონალურ ან, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურ გაერთიანებას უზრუნველყოფდა მეომარი თავადაზნაურობა. როდესაც წარმოიშვა ქალაქები და მათთან ერთად განცალკევებული ხელოსნობა და სავაჭრო ბრუნვა, ჯერ ქვეყნის შიგნით, ხოლო შემდეგ საერთაშორისო ხასიათისა, მაშინ განვითარდა ქალაქის ბურჟუაზია, რომელმაც თავადაზნაურობასთან ბრძოლაში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში პრივილეგიური წოდების ადგილი მოიპოვა ფეოდალურ წესწყობილებაში. მაგრამ ევროპის გარეშე მდებარე მატერიკის აღმოჩენამ, მეთხუთმეტე საუკუნის ნახევრიდან დაწყებული, ბურჟუაზიას გაცილებით უფრო ფართო სავაჭრო ასპარეზი გაუხსნა და მისი მრეწველობის განვითარებას ახალი ბიძგი მისცა. მანუფაქტურამ, რომელიც საფაბრიკო იყო თავისი ხასიათით, განდევნა ხელოსნობა უმნიშვნელოვანეს დარგებიდან; თავის მხრივ, მანუფაქტურა განდევნილ იქნა მსხვილი მრეწველობის მიერ, რომელიც შესაძლებელი გახდა გასული საუკუნის გამოგონებათა გამო, განსაკუთრებით ორთქლის მანქანის გამოგონების გამო. მსხვილმა მრეწველობამ კი თავის მხრივ უკუგავლენა მოახდინა ვაჭრობაზე, განდევნა ჩამორჩენილ ქვეყნებში დრომოჭმული ხელით შრომა, ხოლო უფრო განვითარებულ ქვეყნებში შექმნა თანამედროვე ახალი სამიმოსვლო საშუალებები: გემები, რკინიგზები, ელექტრული ტელეგრაფი. ამრიგად, ბურჟუაზია სულ უფრო და უფრო თავს უყრიდა საზოგადოებრივ სიმდიდ-

რეს და საზოგადოებრივ ძალას თავის ხელში, თუმცა ჯერ კიდევ დიდხანს იყო მოკლებული პოლიტიკურ ძალაუფლებას, რომელიც კარგა ხნით თავაკაზნაურობის და მასზე დაყრდნობილი მონარქიის ხელში დარჩა. მაგრამ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე — საფრანგეთში დიდი რევოლუციის შემდეგ — მან პოლიტიკური ძალაუფლებაც დაიპყრო და თავის მხრივ, როგორც გაბატონებული კლასი, დაუპირდაპირდა პროლეტარიატს და წვრილ გლეხობას. ამ თვალსაზრისით სულ უბრალოდ აიხსნება ყველა ისტორიული მოვლენა, თუ მკვლევარი აღჭურვილია თვითეული პერიოდის საზოგადოების ეკონომიური მდგომარეობის საკმაო ცოდნით, რაც არ გააჩნიათ ჩვენს ისტორიკოსებს; ასევე უბრალოდ აიხსნება თვითეული ისტორიული პერიოდის წარმოდგენები და იდეები ცხოვრების ეკონომიური პირობებით და მათ მიერ განსაზღვრული ამ პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობით. ისტორია პირველად იქნა დაყენებული თავის ნამდვილ საფუძველზე; ისეთმა თვალსაჩინო ფაქტმა, რომელსაც აქამდე სრულიად ვერ ამჩნევდნენ, იმ ფაქტმა, რომ ადამიანებმა უწინარეს ყოვლისა უნდა ჭამონ, სვან, საცხოვრებელი ბინა იქონიონ, ჩაიცვან და რომ, მაშასადამე, უნდა იშრომონ, სანამ ბატონობისათვის ბრძოლას შეძლებდნენ. პოლიტიკას, რელიგიას, ფილოსოფიას და სხვ. ხელს მოჰკიდებდნენ, — ამ თვალსაჩინო ფაქტმა ბოლოს და ბოლოს თავისი ისტორიული უფლებები მოიპოვა.

სოციალისტური მსოფლმხედველობისათვის ისტორიის ამ ახალ გაგებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მეოხებით დამტკიცდა, რომ მთელი ისტორია დღემდე კლასობრივი წინააღმდეგობისა და კლასობრივი ბრძოლის გზით მიმდინარეობდა, რომ კაცობრიობა მუდამ იყოფოდა გაბატონებულ და დამონებულ, ექსპლოატატორულ და ექსპლოატირებულ კლასებად, და ადამიანთა დიდი უმრავლესობის ხვედრი მუდამ მძიმე შრომა და უბადრუკი არსებობა იყო. რატომ ხდებოდა ასე? უბრალოდ იმიტომ, რომ კაცობრიობის განვითარების ყველა ადრინდელ საფეხურზე წარმოება ისე სუსტად იყო განვითარებული, რომ ისტორიულ განვითარებას შეეძლო წარმართულიყო მხოლოდ ამ წინააღმდეგობით სავსე ფორმაში, რომ ისტორიული პროგრესი საერთოდ მინდობილი იყო პატარა პრივილეგიური უმცირესობისათვის, მაშინ როდესაც უდიდესი მასა განწირული იყო ემუშავნა ლუკმა პურისათვის და გარდა ამისა პრივილეგიური წოდებების სულ უფრო და უფრო მეტი სიმდიდრის შესაქმნელად. მაგრამ ისტორიის ასეთი გაგება,

რომელიც ბუნებრივად და გონივრულად ხსნის მთელ აქამდე არსებულ კლასობრივ ბატონობას – რაც სხვანაირად შეიძლება აიხსნას მხოლოდ ადამიანთა ბოროტი ნებისყოფით — იწვევს აგრეთვე იმ რწმენას, რომ თანამედროვე საწარმოო ძალების უდიდესი განვითარების გამო ქრება უკანასკნელი საბუთი, ყოველ შემთხვევაში განვითარებულ ქვეყნებში, ადამიანთა დაყოფისა მჩაგვრელებად და დაჩაგრულებად, ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად; ისტორიის ასეთი გაგების ძიხედვით გაბატონებულმა მსხვილმა ბურჟუაზიამ თავისი ისტორიული დანიშნულება უკვე შეასრულა, რომ მან არა თუ დაკარგა საზოგადოების ხელმძღვანელობის უნარი, არამედ წარმოების შემდგომი განვითარების შემაფერხებელ მიზეზადაც გადაიქცა, როგორც ამას ამტკიცებს სავაჭრო კრიზისები, განსაკუთრებით უკანასკნელი დიდი კრახი და მრეწველობის შევიწროებული მდგომარეობა ყველა ქვეყანაში; ისტორიული ხელმძღვანელობა ახლა გადასულია პროლეტარიატის ხელში, იმ კლასის ხელში, რომელსაც თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის პირობებით განთავისუფლება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსპობს ყოველგვარ კლასობრივ ბატონობას, ყოველგვარ მონობას და ყოველგვარ ექსპლოატაციას საზოგადოდ. საზოგადოებრივი საწარმოო ძალები იმდენად გაიზარდა, რომ ბურჟუაზია ველარ უძღვება და მხოლოდ იმას ელოდება, რომ მას დაეპატრონოს გაერთიანებული პროლეტარიატი, რომელიც შექმნის ისეთ წყობილებას, როდესაც საზოგადოების თვითეულ წევრს მიეცემა საშუალება მონაწილეობა მიიღოს არა მარტო საზოგადოებრივ სიმდიდრეთა წარმოებაში, არამედ აგრეთვე მათ განაწილებასა და წარმართვაში და რომელიც მთელი წარმოების გეგმიანი ორგანიზაციით იმდენად გაზრდის საზოგადოების საწარმოო ძალებსა და მათ მიერ შექმნილ პროდუქტებს, რომ ყველა რაციონალურ, მუდამ მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება თვითეულისათვის უზრუნველყოფილი იქნება.

მარქსის მეორე მნიშვნელოვანი აღმოჩენა მდგომარეობს კაპიტალისა და შრომის ურთიერთობის საბოლოო განმარტებაში, სხვანაირად რომ ვთქვათ, იმის გამოაშკარავებაში, თუ როგორ ხდება მუშის ექსპლოატაცია კაპიტალისტის მიერ თანამედროვე საზოგადოებაში, არსებული კაპიტალისტური წარმოების წესის დროს. მას შემდეგ, რაც პოლიტიკურმა ეკონომიამ ის დებულება წამოაყენა, რომ შრომა ყოველი სიმდიდრის და ყოველგვარი ღირებულების წყაროა, აუცილებლივ წამოიჭრა კითხვა: როგორ

შეიძლება ეს აზრი შეუთავსდეს იმ ფაქტს, რომ დაქირავებული მუშა მთელი მისი შრომით შექმნილი ღირებულების რაოდენობას კი არ ღებულობს, არამედ ერთი ნაწილი აქედან კაპიტალისტს უნდა მისცეს? როგორც ბურჟუაზიული ეკონომისტები, ისევე სოციალისტები ამაოდ ცდილობდნენ მოენახათ მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი ამ კითხვაზე, სანამ, ბოლოს, მარქსმა თავისი ახსნა არ წამოაყენა. ეს ახსნა შემდეგში მდგომარეობს: წარმოების თანამედროვე კაპიტალისტური წესი გულისხმობს ორი საზოგადოებრივი კლასის არსებობას: ერთი მხრივ, კაპიტალისტები, რომელნიც საწარმოო და საარსებო საშუალებათა მესაკუთრენი არიან, მეორე მხრივ, პროლეტარები, რომელნიც მოკლებული არიან ამას და რომელთაც მარტო ერთი საქონელი გააჩნიათ გასაყიდად: თავისი სამუშაო ძალა; ისინი იძულებულნი არიან აუცილებელ საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად გაყიდონ თავიანთი სამუშაო ძალა. მაგრამ საქონლის ღირებულება ისაზღვრება მის წარმოებაზე და, მაშასადამე, მის რეპროდუქციაზე დახარჯული, განივთიერებული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობით; ხოლო საშუალო ადამიანის სამუშაო ძალის ღირებულება განისაზღვრება ერთი დღის, ერთი თვის, ერთი წლის განმავლობაში საჭირო შრომის იმ რაოდენობით, რომელიც განივთიერებულია ამ სამუშაო ძალის შენახვისათვის ერთი დღის, ერთი თვის, ერთი წლის განმავლობაში აუცილებელ საარსებო საშუალებებში. დავუშვათ, რომ ერთი დღით მუშისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოება ექვს სამუშაო საათს მოითხოვს ან, რაც იგივეა, მათში განხორციელებული შრომა წარმოადგენს ექვსი საათის შრომის რაოდენობას; მაშინ სამუშაო ძალის ღირებულება ერთი დღისათვის გამოიხატება ფულადი ჯამით, რომელიც აგრეთვე ექვს სამუშაო საათს შეიცავს. დავუშვათ კიდევ, რომ კაპიტალისტი, რომელიც მუშას ქირაობს, უხდის მას ამ თანხას, ე. ი. მისი სამუშაო ძალის სრულ ღირებულებას. თუ მუშა კაპიტალისტისათვის 6 საათს მუშაობს დღეში, მაშინ იგი მას მის დანახარჯს სავსებით აუნაზღაურებს: ექვსი საათის შრომას ექვსი საათის შრომისათვის. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, კაპიტალისტს არაფერი დარჩებოდა; ამიტომ იგი საქმეს სულ სხვანაირად უყურებს: მე მუშის სამუშაო ძალა, — მსჯელობს კაპიტალისტი, — მარტო ექვსი საათით კი არ მიყიდია, არამედ მთელი დღით, და ამიტომ იგი მუშას ამუშავებს გარემოების მიხედვით 8, 10, 12, 14 საათს და კიდევ მეტს, ასე რომ ამ მეშვიდე, მერვე და შემდგომი საათების

პროდუქტი გადაუხდელი შრომის პროდუქტია და პირდაპირ კაპიტალისტის ჯიბეში ჩადის. ამნაირად, მუშა კაპიტალისტის სამსახურში არა თუ ქმნის მარტო თავის სამუშაო ძალის ღირებულებას, რომელსაც მას უხდიან, არამედ ქმნის გარდა ამისა კიდევ ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც პირველ ყოვლისა კაპიტალისტი ითვისებს, და შემდგომ, განსაზღვრული ეკონომიური კანონების მიხედვით, ნაწილდება საერთოდ მთელ კაპიტალისტთა კლასში და ქმნის იმ წყაროს, საიდანაც იბადება მიწის რენტა, მოგება და კაპიტალის დაგროვება, — მოკლედ, ყველა ის სიმდიდრე, რომელთაც არამშრომელი კლასები ნთქავენ ან აგროვებენ. ამით დამტკიცებულ იქნა, რომ თანამედროვე კაპიტალისტების მიერ სიმდიდრის შეძენა მდგომარეობს სხვისი გადაუხდელი შრომის მითვისებაში, ისევე როგორც ამას სჩადიოდნენ მონათმფლობელები ან ბატონყმური შრომის ექსპლოატატორი ფეოდალები; განსხვავება ექსპლოატაციის ამ ფორმებს შორის მდგომარეობს მხოლოდ იმ წესში, რომლის მეოხებით ხდება გადაუხდელი შრომის მითვისება. მაგრამ ამით უკანასკნელი ნიადაგი გამოეცალა ფეხქვეშ გაბატონებულ კლასთა ყოვლად ფარისევლურ ფრაზეოლოგიას, თითქოს თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებაში გამეფებულია სამართალი და სამართლიანობა, უფლებათა და მოვალეობათა თანასწორობა და ინტერესთა საყოველთაო ჰარმონია. გამოაშკარავებულ იქნა აგრეთვე ისიც, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება არანაკლებ, ვიდრე მისი წინამორბედები, წარმოადგენს უზარმაზარ დაწესებულებას, სადაც ხდება ხალხის უდიდესი უმრავლესობის ექსპლოატაცია უმნიშვნელო უმცირესობის მიერ, რომლის რიცხვი სულ უფრო და უფრო კლებულობს.

ამ ორ მნიშვნელოვან დებულებაზე არის დაფუძნებული თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმი. კაპიტალისტური საზოგადოებრივი სისტემის შესწავლის დარგში ეს და სხვა, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენანი «კაპიტალის» მეორე ტომში ჰპოებენ შემდგომ განვითარებას, ამასთან ერთად ძირეული გადატრიალება მოხდება პოლიტიკური ეკონომიის იმ მხარეებისა, რომლებიც გარჩეული არ იყო პირველ ტომში. ვუსურვოთ მარქსს, რომ მალე შესძლოს ამ ტომის დასაბეჭდად გადაცემა.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ 1877 წ.
დაიბეჭდა ალმანახში «Volkskalender»,
რომელიც გამოვიდა ბრაუნშვაიგში 1878 წ.

იბეჭდება ალმანახის
ტექსტის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან.

V

ფ. ენგელსი

სიტყვა, ნარმოთქმული მარქსის საფლავზე

14 მარტს, ნაშუადღევს, სამს რომ თჩუთმეტი წუთი აკლდა, აზროვნება შეწყვიტა ჩვენი დროის უდიდესმა მოაზროვნემ. ჩვენ იგი მხოლოდ ორი წუთით დავტოვეთ; როდესაც დავბრუნდით, იგი დაგვხვდა საკარძელში ნშვიდად მიძინებული, — მაგრამ უკვე საუკუნოდ.

შეუძლებელია განსაზღვრა იმისა, თუ რა დაკარგა ამ კაცის სიკვდილით ევროპისა და ამერიკის მებრძოლმა პროლეტარიატმა, რა დაკარგა ისტორიულმა მეცნიერებამ. უკვე მალე ვიგრძნობთ იმ საშინელ სიცარიელეს, რაც ამ გიგანტის სიკვდილის შემდეგ დარჩა.

.როგორც დარვინმა აღმოაჩინა ორგანული ქვეყნის განვითარების კანონი, ისე მარქსმა კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონი აღმოაჩინა. მან აღმოაჩინა ის მარტივი ფაქტი, რომელიც მანამდე მიჩქმალული იყო იდეოლოგიურ მოსაზრებათა სამოსელში, რომ ადამიანებს პირველყოვლისა უნდა ჰქონდეთ საჭმელი, სასმელი, საცხოვრებელი ბინა და ტანისამოსი, რათა მათ შესძლონ ხელი მოჰკიდონ პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას და სხვ.; რომ, მაშასადაე, არსებობის უშუალო მატერიალური საშუალებების წარმოება და ამასთან ერთად ამა თუ იმ ხალხს ან ისტორიული ეპოქის ეკონომიური განვითარების შესაფერი საფეხური შეადგენს საფუძველს, საიდანაც ვითარდებიან სახელმწიფო დაწესებულებანი, უფლებრივი შეხედულებანი, ხელოვნება და თვით ადამიანთა რელიგიური წარმოდგენებიც კი და რომლიდანაც უნდა გამოვდიოდეთ ყველა ამ მოვლენის ახსნის საქმეში, — და არა პირიქით, როგორც აქამდე ეგონათ.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. მარქსმა აღმოაჩინა აგრეთვე წარმოების ახლანდელი კაპიტალისტური წესისა და მისგან წარმო-

შობილი ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების განსაკუთრებული კანონი. ზედმეტი ღირებულების აღმოჩენამ ამ საკითხებში ერთბაშად შეიტანა ნათელი, მაშინ როდესაც ყველა წინანდელი მკვლევარი — ბურჟუაზიული ეკონომისტი იყო იგი თუ სოციალისტი-კრიტიკოსი — ბნელში დაეხეტებოდა.

ორი ასეთი აღმოჩენა საკმარისია ერთი ადამიანის ცხოვრებისათვის. უკვე ბედნიერია ისიც, ვინც ერთს ასეთ აღმოჩენას შესძლებს. მაგრამ ყოველ დარგში, რომელსაც მარქსი იკვლევდა – იგი კი მრავალ დარგში მუშაობდა და არც ერთს ზერელედ არ ეპყროზოდა — მათემატიკის დარგშიც კი, — მან დამოუკიდებელი აღმოჩენები გააკეთა.

ასეთი იყო მარქსი, როგორც მეცნიერი. მაგრამ ეს სრულიადაც არ იყო ძთავარი მის ცოღვაწეობაში. მარქსისთვის მეცნიერება იყო ისტორიული მამოძრავებელი, რევოლუციური ძალა. მას განუსაზღვრელ სიხარულს გვრიდა ყოველი აღმოჩენა ყოველ თეორიულ დარგში, რომლის პრაქტიკული გამოყენების გათვალისწინებაც ჯერ კიდევ თითქმის შეუძლებელი იყო. მაგრამ სულ სხვა იყო მისი სიხარული ისეთ აღმოჩენათა გამო, რომელსაც ცრეწველობასა და, საერთოდ, ისტორიულ განვითარებაში, რევოლუცია შეჰქონდა. მაგალითად, იგი გულდასმით ადევნებდა თვალყურს აღმოჩენათა განვითარებას ელექტრობის დარგში, ხოლო უკანასკნელ ხანებში იგი თვალყურს ადევნებდა, კერძოდ, მარსელ დეპრეს ცდებს.

მარქსი, უპირველეს ყოვლისა, რევოლუციონერი იყო. მისი სიცოცხლის ნამდვილი მოწოდება იყო — ამა თუ იმ საშუალებით ხელის შეწყობა კაპიტალისტური საზოგადოებისა და მის მიერ შექმნილ სახელმწიფო დაწესებულებათა დამხობისათვის, ხელის შეწყობა თანამედროვე პროლეტარიატის განთავისუფლების საქმისათვის, რომელსაც პიოველად მან მისცა საკუთარი მდგომარეობისა და მოთხოვნილებების შეგნება, საკუთარი განთავისუფლების პირობების შეგნება. აი რა იყო მისი არსებობის მოწოდება სინამდვილეში. ბრძოლა მისი სტიქია იყო. და იგიც იბრძოდა ისეთი გატაკებით, ისეთი შეუპოვრობით, ისეთი წარმატებით, როგორიც ცოტას ღირსებია. პირველი «რაინის გაზეთი» 1842 წ., პარიზის «Vorwärts» 1844 წ.,[1]

---

[1] Vorwärts («წინ») გამოდიოდა პარიზში 1844 წ. გერმანულ ენაზე. გერმანელ სოციალისტ-ემიგრანტების რადიკალური გაზეთი, რომლის ერთ-ერთი თანამშრომელი იყო კ. მარქსი. რ ე დ.

«ბრიუსელის გერმანული გაზეთი» 1847 წ., «ახალი რაინის გაზეთი» 1848 — 1849 წწ., «ნიუ-იორკის ტრიბუნა» 1852 — 1861 წწ. და გარდა ამისა მრავალი საბრძოლო ბროშურა, მუშაობა პარიზის, ლონდონისა და ბრიუსელის ორგანიზაციებში, სანამ ყველაფერი ეს არ დაგვირგვინდა დიდი მუშათა საერთაშორისო ასოციაციით, — ეს ჯეშმარიტად დიადი საქმე იყო, რითაც შეეძლო ეამაყა მის შემქმნელს, თუნდაც მას სხვა არაფერი გაეკეთებინოს.

სწორედ ამიტომ იყო მარქსი თავისი დროის ყველაზე საძულველი ადამიანი, რომელსაც ათასგვარ ცილსა სწამებდნენ. მას აძევებდნენ სამფლობელოებიდან როგორც თვითმპყრობელური, ისე რესპუბლიკური მთავრობები; მისი სახელის გატეხაში ერთმანეთს ასწრებდა ყველა, კონსერვატიული თუ ულტრადემოკრატიული ბურჟუა. იგი, როგორც ობობას ქსელს, ისე იშორებდა გზიდან ყველაფერ ამას, ყურადღებას არავის აქცევდა და პასუხს იძლეოდა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის დროს. და იგი გარდაიცვალა პატივცემული, საყვარელი, დატირებული მრავალი მილიონი რევოლუციონერი თანამებრძოლებისაგან, რომელნიც გაფანტულნი არიან მთელ ევროპასა და ამერიკაში, ციმბირის მაღაროებიდან ვიდრე კალიფორნიამდე. და მე თამამად შემიძლია ვთქვა: მას ჰყავდა ბევრი მოწინააღმდეგე, მაგრამ საეჭვოა თუნდაც ერთი პირადი მტერი ჰყოლოდეს.

მისი სახელი და მისი საქმე იცოცხლებს საუკუნეთა განმავლობაში!

სიტყვა, წარმოთქმული ფ. ენგელსის მიერ პიგეიტის სასაფლაოზე ინგლისურ ენაზე 1883 წლის 17 მარტს.
დაბეჭდილია გერმანულ ენაზე გაზეთ «Sozialdemokrat»-ში 1883 წლის 22 მარტს.

იბეჭდება ინგლისურ ხელნაწერთან შედარებული გაზეთის ტექსტის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან

ფ. ენგელსი

ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა

წინასიტყვაობა
1884 წლის პირველი გამოცემისათვის

მომდევნო თავები რამდენიმედ ანდერძის შესრულებას წარმოადგენენ. თვითონ კარლ მარქსს და არა სხვა ვინმეს განზრახული ჰქონდა მორგანის გამოკვლევათა შედეგები გადმოეცა ისტორიის თავისი — გარკვეულ ფარგლებში, შეშიძლია ვთქვა, ჩვენი — მატერიალისტური შესწავლის მონაცემებთან დაკავშირებით და მხოლოდ ამ გზით გაერკვია მთელი მათი მნიშვნელობა. მორგანმა ხომ ამერიკაში თავისებურად ხელახლა აღმოაჩინა მარქსის მიერ ორმოცი წლის წინათ აღმოჩენილი მატერიალისტური გაგება ისტორიისა, და ამ გაგებამ იგი, ბარბაროსობისა და ცივილიზაციის შედარებისას, მთავარ პუნქტებში იმავე შედეგებამდე მიიყვანა, რა შედეგებიც მარქსმა ჩიიღო. და როგორც ნაფიცი ეკონომისტები გერმანიაში «კაპიტალს» მთელი წლების მანძილზე ისევე გულმოდგინედ გადმოიწერდნენ ხოლმე, როგორც ჯიუტად ჩქმალავდნენ მას, სწორედ ასევე ეპყრობოდნენ მორგანის «ძველ საზოგადოებას» [1] «წინაისტორიული» მეცნიერების წარმომადგენელნი ინგლისში. ჩემს ნაშრომს მხოლოდ ცოტათი თუ შეუძლია იმის მაგიერობა გა-

1 «Ancient society, or researches in the lines of human progress from savagery through barbarism to civilization». By Lewis H. Morgan. London, Macmillan and Co., 1877. წიგნი დაიბეჭდა ამერიკაში, და ლონდონში მისი შოვნა არაჩვეულებრივად ძნელია. ავტორი გარდაიცვალა რამდენიმე წლის წინათ. (ენგელსის შენიშვნა).

სწიოს, რის შესრულებაც ჩემს განსვენებულ მეგობარს აღარ დასცალდა. მაგრამ მორგანის[1] წიგნიდან ძაოქსის ვრცელ ამონაწერებს შორის მე ხელთ მაქვს მისი კრიტიკული შენიშვნები, რომელთაც, რამდენადაც ეს ამა თუ იმ ადგილს შეეფერება, აქ გადმოვცემ.

მატერიალისტური გაგების თანახმად, ისტორიაში საბოლოო ანგარიშით განმსაზღვრელი მომენტია: უშუალო ცხოვრების წარმოება და რეპროდუქცია. მაგრამ თვით ეს უკანასკნელი, თავის მარივ, ორგვარი სახისაა. ერთი მარივ, საარსებო საშუალებათა, კვების საგნების, ტანსაცმლის, ბინის და ამისათვის აუცილებელი იარაღების წარმოება; მეოთე მხრივ, — წარმოება თვით ადამიანებისა, განგრძობა მოდგმისა[2]. საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელშიც გარკვეული ისტორიული ეპოქისა და გარკვეული ქვეყნის ადამიანები ცხოვრობენ, განპირობებულია ორივე სახის წარმოებით: ერთი მხრივ, შრომის, მეორე მხრივ კი, ოჯახის განვითარების საფეხურით. რაც უფრო ნაკლებადაა ჯერ კიდევ განვითარებული შრომა, რაც უფრო შეზღუდულია მისი პროდუქტების რაოდენობა და, მაშასადამე, საზოგადოების სიმდიდრეც, მით უფრო მძლავრად იჩენს თავს ნათესაური კავშირის გაბატონებული გავლენა საზოგადოებრივ წყობილებაზე. მაგრამ ნათესაურ კავშირზე დაფუძნებული საზოგადოების ამ დანაწილების ფარგლებში სულ უფრო და უფრო ვითარდება შრომის ნაყოფიერება; მასთან ერთად კი ვითარდება კერძო საკუთრება და გაცვლა-გამოცვლა, განსხვავებანი სიმდიდრეში, შესაძლებლობა სხვისი სამუშაო ძალის გამოყენებისა და ამით კლასობრივ წინააღმდეგობათა საფუძველი: ახალი სოციალური ელემენტები, რომელნიც თაობათა მანძილზე ცდილობენ ძველი საზოგადოებრივი წყობილება ახალ პირობებს შეუგუონ, ვიდრე, ბოლოს, მათი შეუთავსებლობა სრულ გადატრიალებას არ გამოიწვევს. გვაროვნულ კავშირზე დამყარებული ძველი საზოგადოება ირღვევა ახლად განვითარებული საზოგადოებრივი კლასების შეჯახების შედეგად; მის ადგილს იკავებს

[1] ლაპარაკია ლ. მორგანის წიგნის — «ძველი საზოგადოების» — კონსპექტზე, რომელიც მარქსმა შეადგინა. იხ. მარქსი და ენგელსის არქივი, ტ. IX, 1945. რედ.

[2] ენგელსი აქ არაა ზუსტი, როცა იგი მოდგმის განგრძობას და საარსებო საშუალებათა წარმოებას თანაბრად აყენებს ერთი მეორის გვერდით და იმ მიზეზად სახავს, რომელნიც საზოგადოებისა და საზოგადოებრივი წესწყობილების განვითარებას განსაზღვრავენ. თვით შრომაში კი «ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა» ენგელსი კონკრეტული მასალის ანალიზით ცხადყოფს, რომ მატერიალური წარმოების წესი მთავარი ფაქტორია, რომელიც განაპირობებს საზოგადოებისა და საზოგადოებრივი წესწყობილების განვითარებას. რედ.

ახალი საზოგადოება, სახელმწიფოდ ორგანიზებული საზოგადოება, რომლის დაბალ გაერთიანებას შეადგენენ უკვე არა გვაროვნული, არამედ ტერიტორიული გაერთიანებანი, — საზოგადოება, სადაც ოჯახური წყობილება მთლიანად ექვემდებარება საკუთრების ურთიერთობას და სადაც ამიერიდან თავისუფლად იშლება ის კლასობრივი წინააღმდეგობანი და კლასობრივი ბრძოლები, რომელნიც დღემდე არსებული მთელი წ ერ ი ლ ობ ი თ ი ისტორიის შინაარს შეადგენენ.

მორგანის უდიდესი დამსახურება ისაა, რომ მან აღმოაჩინა და აღადგინა ჰთავარ ხაზებში ჩვენი წერილობითი ისტორიის ეს წინა-ისტორიული საფუძველი და ჩრდილო-ამერიკელი ინდიელების გვაროვნულ კავშირებში ძონახა გასაღები, რომელიც ხსნის ძველი ბერძნული, რომაული და გერმანული ისტორიის უმნიშვნელოვანეს, დღემდე გადაუჭრელ გამოცანებს. მაგრამ მისი თხზულება ერთი დღის ნაწარმოები როდია. დაახლოებით ორმოცი წელი იმუშავა მან თავის მასალაზე, სანამ მთლიანად დაეუფლებოდა მას. ამიტომაცაა სწორედ, რომ მისი წიგნი ეპოქის შემქმნელი ერთი იმ წიგნთაგანია. რომელიც ასე იშკიათია ჩვენს დროში.

ქვემოთ მოხსენებულში მკითხველი საერთოდ და მთლიანად ადვილად გაარჩევს, რა ეკუთვნის მორგანს და რა დავუმატე მე. ისტორიულ განყოფილებებში საბერძნეთისა და რომის შესახებ მე არ დავკმაყოფილდი მორგანის საბუთებით, არამედ დავუმატე ის, რაც ჩემს განკარგულებაში იყო. განყოფილებანი კელტებისა და გერმანელების შესახებ არსებითად მე მეკუთვნის; მორგანის განკარგულებაში აქ თითქმის მარტო სხვის მიერ დამუშავებული წყაროები იყო, გერმანელების შესახებ კი — გარდა ტაციტისა — მას ხელთ ჰქონდა მხოლოდ ცუდი ლიბერალური ფალსიფიკაციები ბატონი ფრიმანისა. ეკონომიური დასაბუთებანი, რომელნიც საკმარისი იყო მორგანის მიერ დასახული მიზნებისათვის, ბოლო ჩემთვის სრულიად არადამაკმაყოფილებელი, — ყველა ხელახლა გადავამუშავე. ბოლოს, რა თქმა უნდა, ყველა იმ დასკვნისათვის, რომელიც გაკეთებულია მორგანის პირდაპირი დამოწმების გარეშე, პასუხისმგებელი მე ვარ.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ მისი წიგნის — «ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობის» პირველი გამოცემისათვის; ეს წიგნი გამოვიდა ციურიხში 1884 წელს.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან.

წინასიტყვაობა
1891 წლის მეოთხე გამოცემისათვის

ამ წიგნის წინანდელი გამოცემანი, რომლებიც დიდი ტირაჟით გამოდიოდა, თითქმის ნახევარი წელიწადია მთლიანად გასაღებულია, და გამომცემელმა უკვე დიდი ხანია ახალი გამოცემის მომზადება მთხოვა. უფრო გადაუდებელმა საქმეებმა დღემდე ხელი შეეშალა ეს თხოვნა შეესრულებინა. პირველი გამოცემის გამოსვლის შემდეგ შვიდმა წელმა განვლო, და ამ წლების მანძილზე ოჯახის პირველყოფილი ფორმების შესწავლამ დიდ წარმატებებს მიაღწია. მაშასადამე, აქ აუცილებელი იყო გულმოდგინე მუშაობის ჩატარება შესწორებათა და დამატებათა შესატანად, მით უმეტეს, რომ ამ ტექსტის განზრახული სტერეოტიპირება ჩემთვის კარგა ხანით შეუძლებელს გახდის შემდგომი ცვლილებების შეტანას.

ამრიგად, მთელი ტექსტი გულდასმით გადავსინჯე და მთელი რიგი დამატებანი შევიტანე, რითაც, იმედი მაქვს, მართებულად გათვალისწინებულია მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა. შემდეგ ამ წინასიტყვაობაში მე ვიძლევი ოჯახის ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვას ბახოფენიდან დაწყებული მორგანამდე; ამას მე უმთავრესად იმიტომ ჩავდივარ, რომ პირველყოფილი ისტორიის ინგლისური სკოლა, რომელსაც შოვინისტური ელფერი გაჰკრავს, დღესაც უწინდებურად არაფერს ზოგავს, რათა მიჩქმალოს ის გადატრიალება, რომელიც მორგანის აღმოჩენებმა მოახდინეს პირველყოფილ ისტორიაზე არსებულ შეხედულებებში, თანაც, მიუხედავად ამისა, იგი სრულიადაც არ ერიდება იმას, რომ მიითვისოს მორგანის მიერ მიღებული შედეგები. და სხვა ქვეყნებშიც აქა-იქ ძალიან გულმოდგინედ მისდევენ ამ ინგლისურ მაგალითს.

ჩემი ნაშრომი ითარგმნა სხვადასხვა უცხო ენაზე. პირველად იტალიურ ენაზე: «L' origine della famiglia, della proprieta privata e dello stato, versione riveduta dall'autore, di Pasquale Martignetti», Benevento, 1885. შემდეგ რუმინულ ენაზე: «Origina familei, proprietatei private si a statului, traducere de Joan Nadejde», დაიბეჭდა იასის ჟურნალში: «Contemporanul», 1885 წლის სექტემბრიდან 1886 წლის მაისამდე; შემდეგ — დანურ ენაზე: «Familjens, Privatejendommens og Statens Oprindelse, Dansk, af Forfatteren gennemgaaet Udgave, besörget af Gerson Trier», Köbenhavn, 1888; იბეჭდება ჯერ რავეს ფრანგული თარგმანი, რომელსაც საფუძვლად უდევს ახლანდელი გერმანული გამოცემა.

* * *

სამოციანი წლების დასაწყისამდე ოჯახის რაიმე ისტორიაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ისტორიული მეცნიერება ამ დარგში ჯერ კიდევ მთლიანად მოსეს ხუთი წიგნის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ოჯახის პატრიარქალური ფორმა, რომელიც იქ უფრო დაწვრილებითაა აღწერილი, ვიდრე სხვაგან სადმე, არა მარტო უსიტყვოდ იყო მიჩნეული ყველაზე უძველეს ფორმად, არამედ გაიგივებულიც იყო — მრავალცოლიანობის გამოკლებით — დღევანდელ ბურჟუაზიულ ოჯახთან, ასე რომ, კაცმა რომ თქვას, ოჯახს თითქოს საერთოდ არ განუცდია არავითარი ისტორიული განვითარება. სულ დიდი-დიდი, რასაც აღიარებდნენ, ეს იყო ის, რომ შესაძლოა პირველყოფილ ხანაში უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობის პერიოდი არსებობდაო. [illegible] მრავალცოლიანობისა ცნობილი იყო აგრეთვე აღმოსავლური მრავალცოლიანობა და ინდურ-ტიბეტური მრავალქმრიანობა; მაგრამ ამ სამი ფორმის ისტორიული თანამიმდევრობითი დალაგება შეუძლებელი იყო, და ისინი გვევლინებოდნენ ერთი მეორის გვერდით ყოველგვარი ურთიერთკავშირის გარეშე. ის, რომ ძველი ქვეყნის ცალკეულ ხალხებში, ისევე როგორც ზოგიერთ დღესაც არსებულ ველურებში, წარმოშობა ითვლებოდა არა მამიდან, არამედ დედიდან, რომ, მაშასადამე, ერთადერთ მართებულ ხაზად აღიარებული იყო მდედრობითი ხაზი; ის, რომ მრავალ თანამედროვე ხალხში აკრძალულია ქორწინება გარკვეული, ცოტად თუ ბევრად დიდი, ჯგუფების შიგნით, რომელნიც იმ დროს ჯერ კიდევ დაწვრილებით გამოკვლეულნი არ იყვნენ, და რომ ეს ზნე-ჩვეულება დედამიწის ზურგზე ყველგან გვხვდება, — ეს ფაქტები, მართალია, ცნობილი იყო და ამდაგვარი მაგალითებიც სულ უფრო და უფრო მეტი გროვდებოდა. მაგრამ თუ როგორ მიდგომოდნენ ამ ფაქტებს, არავინ იცოდა და თვით ე. ბ. ტაილორის წიგნშიც კი «კაცობრიობის პირველყოფილი ისტორიის გამოკვლევანი და სხვ.» (1865) [1] ისინი გამოყვანილია უბრალოდ როგორც «უცნაური ზნე-ჩვეულებანი» ისეთი ჩვეულებების გვერდით, როგორიცაა, მაგალითად, ზოგიერთ ველურ ხალხში მიღებული აკრძალვა რკინის იარაღით ცეცხლმოკიდებული შეშის შეხებისა და სხვა ამგვარი რელიგიური ჩმახვა.

---

1 Tylor E. B., Researches into the early history of mankind and the development of civilization. ondon, 1865. რ ე დ.

ოჯახის ისტორიის შესწავლა იწყება 1861 წლიდან, როცა ბახოფენის «დედის უფლება» გამოქვეყნდა. ავტორი აქ შემდეგ დებულებებს აყენებს: 1) თავდაპირველად ადამიანები ცხოვრობდნენ შეუზღუდველ სქესობრივ ურთიერთობაში, რასაც იგი შეუსაბამო სიტყვით აღნიშნავს და «ჰეტერიზმს» უწოდებს; 2) ასეთი ურთიერთობა გამორიცხავს მამობის უტყუარი გამორკვევის ყოველგვარ წესაძლებლობას, და ამიტომ წარმოშობის გარკვევა შეიძლებოდა მხოლოდ მდედრობითი ხაზით — დედის უფლების მიხედვით, — და ეს თავდაპირველად ასეც ხდებოდა ძველი დროის ყველა ხალხში; 3) ამის გამო დედაკაცებს, როგორც დედებს, როგორც ახალგაზრდა თაობის ერთადერთ უტყუარად ცნობილ მშობლებს, დიდი პატივისცემა და ღირსება ჰქონდათ მინიჭებული, რაც, ბახოფენის შეხედულებით, დედაკაცთა სრულ ბატონობამდე (გინეკოკრატიამდე) აღწევდა; 4) გადასვლა ერთცოლიანობაზე, როცა დედაკაცი მარტოოდენ ერთ მამაკაცს ეკუთვნოდა, შეიცავდა უძველესი რელიგიური მცნების დარღვევას (ე. ი. ფაქტიურად იმავე დედაკაცის მიმართ დანარჩენი მამაკაცების ძველისძველი უფლების დარღვევას), დარღვევას, რომელიც მოითხოვდა სასჯელს ანდა, თუ მას შეურიგდებოდნენ, იგი გამოსყიდული უნდა ყოფილიყო იმით, რომ დედაკაცი გარკვეული დროის განმავლობაში სხვებს უნდა დანებებოდა.

ამ დებულებათა დამამტკიცებელ საბუთებს ბახოფენი პოულობს ძველი კლასიკური ლიტერატურის მრავალრიცხოვან, უაღრესი გულმოდგინებით შეგროვილ ციტატებში. განვითარება «ჰეტერიზმიდან» მონოგამიისაკენ [1] და დედის უფლებიდან მამის უფლებისაკენ წარმოებს, მისი აზრით, — განსაკუთრებით ბერძნებში, — რელიგიურ წარმოდგენათა შემდგომი განვითარების გამო; იმის გამო, რომ ახალი ღმერთები, ახალ შეხედულებათა წარმომადგენელნი, შედიან ღმერთების ტრადიციულ ჯგუფში, რომელიც ძველი შეხედულებების განმსახიერებელია, ასე რომ ამ ჯგუფს სულ უფრო და უფრო აძევებენ პირველნი და იგი უკანა რიგში დგება. მაშასადამე, ბახოფენის აზრით, არა ადამიანთა ცხოვრების ფაქტიური პირობების განვითარებამ, არამედ ამ ცხოვრების პირობების რელიგიურმა ასახვამ იმავე ადამიანების თავში გამოიწვია ისტორიული ცვლილებანი მამაკაცისა და დედაკაცის ურთიერთ საზოგადოებრივ მდგომარეობაში. ამის მიხედვით განმარტავს ბახოფენი ესქილეს «ორეს-

[1] მონოგამია (ბერძნული სიტყვიდან მონოს — ერთადერთი და გამოს — ქორწინება) — სიტყვასიტყვით ერთქორწინება. რედ.

ტეიას» როგორც დაღუპვისაკენ დაქანებულ დედის უფლებასა და გმირულ ეპოქაში აღმავალ და ძლევამოსილ მამის უფლებას შორის წარმოებული ბრძოლის დრამატულ გამოსახულებას. თავისი საყვარლის, ეგისტოსის, გულისთვის მოჰკლა კლიტემნესტრამ ტროადის ომიდან ახლად დაბრუნებული თავისი ქმარი აგამემნონი; მაგრამ მისი და აგამემნონის ვაჟი, ორესტი, შურს იძიებს მამის მკვლელობისათვის და იგი თავის დედას ჰკლავს. ამისათვის მას სდევნიან ერინიები, [1] დემონური დამცველები დედის უფლებისა, რომლის მიხედვით დედის მკვლელობა უღრმესი, გამოუსყიდავი დანაშაულია. მაგრამ აპოლონი, რომელმაც თავისი ორაკულის შემწეობით მოუწოდა ორესტს ამ საქმის ჩასადენად, და ათინა, რომელიც მსაჯულადაა გამოწვეული, — ორი ღმერთი, რომელნიც აქ ახალი, მამის უფლებაზე დაფუძნებული წყობილების წარმომადგენელნი არიან, — იცავენ ორესტს; ათინა ორივე ნხარეს უსმენს. მთელი სადავო საკითხი მოკლედ არის ფორმულირებული ორესტსა და ერინიებს შორის გამართულ პაექრობაში. ორესტს საბუთად მოჰყავს ის, რომ კლიტემნესტრამ ორმაგი ბოროტმოქმედება ჩაიდინა, როცა თ ა ვ ი ს ი ქმარი და ამასთანავე ჩ ე მ ი მამა მოკლაო. მაშ რატომ-ღა მდევნიან ერინიები მე და არა მას, ბევრად უფრო დამნაშავესო? პასუხი მოსწრებულია:

«იგი მის მიერ მოკლული ქმრის ს ი ს ხ ლ ი ე რ ი ნ ა თ ე ს ა ვ ი
რ ო დ ი ყ ო ფ ი ლ ა».

მკვლელობა მამაკაცისა, რომელიც არაა სისხლიერი ნათესავი, თუნდაც იგი მკვლელის ქმარი იყოს, შეიძლება მიტევებულ იქნეს, იგი ერინიებს სრულიად არ ეხება; მათი ვალდებულებაა შური იძიონ მხოლოდ იმ მკვლელობისათვის, რომელიც სისხლიერ ნათესავებს შორის ხდება, და აქ, დედის უფლების თანახმად, უმძიმესი და ყველაზე გამოუსყიდავი დედის მკვლელობაა. მაგრამ აი აპოლონი ორესტის დამცველად გამოდის; ათინა კენჭს აყრევინებს არეოპაგიტებს — ათენელ ნაფიც მსაჯულთ; ხმები იყოფა თანაბრად — გამართლებისათვის და დასჯისათვის; მაშინ ათინა, როგორც თავმჯდომარე, თავის ხმას აძლევს ორესტის სასარგებლოდ და მას ამართლებს. მამის უფლებამ გაიმარჯვა დედის უფლებაზე, «უმცროსი თაობის ღმერთები», როგორც მათ თვით ერინიები უწოდე-

[1] ე რ ი ნ ი ე ბ ი (ბერძ. მით.) — შურისძიების სულები, გამოსახულნი ქალების სახით, რომელთაც თმების მაგივრად გველები ჰქონდათ. რ ე დ.

ბენ, ამარცხებენ ერინიებს, და ეს უკანასკნელნიც, ბოლოს, თანხმდებიან ახალი თანამდებობა დაიკავონ და ახალ წესწყობილებას ემსახურონ.

«ორესტეას» ეს ახალი, მაგრამ სრულიად მართებული განმარტება ერთ-ერთი უმშვენიერესი და საუკეთესო ადგილია ბახოფენის მთელ წიგნში, მაგრამ იგი ამტკიცებს ამავე დროს, რომ ბახოფენს ყოველ შემთხვევაში იმდენადვე სწამს ერინიები, აპოლონი და ათინა, რამდენადაც თავის დროზე ესქილეს სწამდა ისინი; მას სწამს სახელდობრ, რომ საბერძნეთის გმირულ ეპოქაში მათ სასწაული მოახდინეს: დაამხეს დედის უფლება და იგი მამის უფლებით შესცვალეს. ცხადია, რომ ასეთი გაგება, რომლის მიხედვით რელიგიას მსოფლიო ისტორიის გადამწყვეტი ბერკეტის მნიშვნელობა ეძლევა, საბოლოო ანგარიშით წმინდა წყლის მისტიციზმს წარმოადგენს. ამიტომ ბახოფენის მსხვილტანიანი ტომის შესწავლა მძიმე და ხშირად უმადური შრომაა. მაგრამ ყოველივე ეს როდი ამცირებს მის — როგორც ახალი გზის გამკაფავი მკვლევარის — დამსახურებას; მან პირველმა შესცვალა ფრაზები უცნობი პირველყოფილი მდგომარეობის შესახებ, სადაც უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობა უნდა ყოფილიყო, იმის დასაბუთებით, რომ ძველ კლასიკურ ლიტერატურაში უამრავი კვალი მოჩანს, რომლის მიხედვით ბერძნებში და აზიელ ხალხებში ერთცოლიანობამდე ნამდვილად არსებობდა ისეთი მდგომარეობა, როცა არა მარტო ერთ მამაკაცს მრავალ დედაკაცთან ჰქონდა სქესობრივი ურთიერთობა, არამედ ერთ დედაკაცსაც მრავალ მამაკაცთან, და ეს სრულიადაც არ ბღალავდა ზნე-ჩვეულებას; რომ თავისი გაქრობის შემდეგ ამ ზნე-ჩვეულებამ კვალი დასტოვა იმ სახით, რომ ქალი იძულებული იყო ინდივიდუალური ცოლქმრობის უფლება შეეძინა იმით, რომ გარკვეული დროის განმავლობაში სხვა მამაკაცებს უნდა დანებებოდა; რომ ამიტომ წარმოშობა თავდაპირველად მხოლოდ მდედრობითი ხაზით, დედიდან დედაზე შეიძლებოდა გამოეანგარიშებინათ, რომ მარტოოდენ მდედრობითი ხაზის კანონიერება ჯერ კიდევ დიდ ხანს შემონახული დარჩა ერთცოლიანობის პერიოდშიც, როცა მამობა დადგენილი ანდა, ყოველ შემთხვევაში, აღიარებული მაინც იყო; და რომ დედების ამ თავდაპირველმა მდგომარეობამ, დედებისა, რომლებიც თავიანთი შვილების ერთადერთ უტყუარ მშობლებად ითვლებოდნენ, უზრუნველჰყო მათთვის, და ამასთანავე ერთად დედაკაცებისათვის საერთოდ, ისეთი მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა როგორიც მათ მას შემდეგ უკვე არასდროს

აღარ ჰქონიათ. ბახოფენს, მართალია, ასე ნათლად არ ჩამოუყალიბებია ეს დებულებანი, — ამას ხელი შეუშალა მისმა მისტიკურმა მსოფლმხედველობამ. მაგრამ მან ისინი დაამტკიცა, და ეს კი 1861 წელს სრულ რევოლუციას ნიშნავდა.

ბახოფენის სქელტანიანი წიგნი დაწერილი იყო გერმანულად, ე. ი. იმ ერის ენაზე, რომელსაც იმ დროს ყველაზე ნაკლებად აინტერესებდა თანამედროვე ოჯახის წინაისტორია. ამიტომ ეს წიგნი უცნობი დარჩა. ბახოფენის უახლოესი მიმდევარი ამავე დარგში ისე გამოვიდა 1865 წელს, რომ მას არასოდეს არაფერი გაუგონია ბახოფენზე.

ეს მიმდევარი იყო ჯ. ფ. მაკ-ლენანი, ნამდვილი წინააღმდეგობა თავისი წინამორბედისა. გენიალური მისტიკოსის ნაცვლად აქ ჩვენ თვალწინაა გამომშრალი იურისტი; შმაგი პოეტური ფანტაზიის ნაცვლად — დასაჯერი კომბინაციები სასამართლოში გამოსული ადვოკატისა. მაკ-ლენანმა ძველი და ახალი დროის ბევრ ველურ, ბარბაროსულ და ცივილიზებულ ხალხშიაც კი ქორწინების ისეთი ფორმა აღმოაჩინა, რომლის მიხედვითაც საქმრომ, მარტოდ მარტომ ან თავის მეგობრებთან ერთად, საცოლე მის ნათესავებს თითქოს ძალით უნდა მოსტაცოს. ეს ჩვეულება, ეტყობა, გადანაშთი უნდა იყოს იმ უფრო ადრინდელი ჩვეულებისა, როცა ერთი ტომის მამაკაცები თავიანთ საცოლეებს სხვა მხარეში, სხვა ტომებს მართლაც ძალით სტაცებდნენ. როგორღა წარმოიშვა ეს «ქორწინება მოტაცების გზით»? ვიდრე მამაკაცებს შეეძლოთ საკმაოდ ეპოვნათ ქალები საკუთარ ტომში, ასეთი ქორწინებისათვის არავითარი საბაბი არ არსებობდა. მაგრამ ასევე ხშირად ხდება, რომ განუვითარებელ ხალხებში არსებობს ზოგიერთი ჯგუფი (ამ ჯგუფებს 1865 წელს ჯერ კიდევ ხშირად აიგივებდნენ თვით ტომებთან), რომლის შიგნით ქორწინება აკრძალული იყო, ასე რომ მამაკაცებს თავიანთი ცოლები, ხოლო ქალებს თავიანთი ქმრები ჯგუფის გარეშე უნდა აერჩიათ; სხვა ჯგუფებში კი არსებობს ჩვეულება, რომლის მიხედვით განსაზღვრული ჯგუფის მამაკაცები იძულებულნი არიან თავიანთი ცოლები მხოლოდ თავიანთი საკუთარი ჯგუფის შიგნით აირჩიონ. მაკ-ლენანი პირველთ უწოდებს ეგზოგამიურ ჯგუფებს, მეორეს კი — ენდოგამიურს და იქვე, უყოყმანოდ, ეგზოგამიურ «ტომებს» შორის მკვეთრ წინააღმდეგობას აყალიბებს. და თუმცა მისივე საკუთარი გამოკვლევა ეგზოგამიისა მას აშკარად უჩვენებს იმ ფაქტს, რომ ეს წინააღმდეგობა მრავალ, თუ არ უმრავლეს და შეიძლება ყველა შემთხვევაშიც, მხოლოდ მის წარმო-

დგენაში არსებობს, — იგი მაინც ამ წინააღმდეგობას უდებს საფუძვლად მთელ თავის თეორიას. ამ თეორიის მიხედვით ეგზოგამიურ ტომებს თავიანთი ცოლების მოყვანა მხოლოდ სხვა ტომებიდან შეუძლიათ, ხოლო ტომებს შორის იმ განუწყვეტელი ომის მდგომარეობის პირობებში, რაც ველურობის პერიოდს შეეფერება, ეს მხოლოდ მოტაცების გზით შეიძლება მოხდესო.

შემდეგ „მაკ-ლენანი კითხულობს: საიდან წარმოდგება ეგზოგამიის ეს ჩვეულება? სისხლიერი ნათესაობისა და სისხლის აღრევის შესახებ წარმოდგენას ამასთან არაფერი საერთო არ შეიძლება ჰქონდეს, ეს ისეთი მოვლენებია, რომ მხოლოდ ბევრად უფრო გვიან ვითარდებაო. მაგრამ სულ სხვა საქმეა — ველურებს შორის ფართოდ გავრცელებული ჩვეულება დაბადებისთანავე მდედრობითი სქესის ბავშვების დახოცვისა. აქედან წარმოდგება მამაკაცების სიჭარბე ყოველ ცალკეულ ტომში, რასაც აუცილებელ უახლოეს შედეგად ის მოსდევს, რომ რამდენიმე მამაკაცი ერთად ფლობს ერთ დედაკაცს, ე. ი. მყარდება მრავალქმრიანობა. ხოლო აქედან, თავის მხრივ, გამომდინარეობს ის, რომ იცოდნენ, ვინ იყო ამა თუ იმ ბავშვის დედა, მაგრამ არ იცოდნენ ვინ იყო მისი მამა; ამიტომ ნათესაობის გამოანგარიშება ხდებოდა მხოლოდ მდედრობითი ხაზის მიხედვით და მამრობითი ხაზი კი გამორიცხული იყო. ეს იყო დედის უფლება. მეორე შედეგი კი დედაკაცების ნაკლებობისა ტომში, — ნაკლებობისა, რომელსაც არბილებდა მრავალქმრიანობა, მაგრამ ვერ სპობდა, — ეს იყო სწორედ უცხო ტომების დედაკაცთა სისტემატური, ძალით მოტაცება. «რადგან ეგზოგამიისა და მრავალქმრიანობის წარმომშობი წყარო ერთი და იგივე მიზეზია, — ორივე სქესის რიცხობრივი უთანასწორობა, — უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ეგზოგამიურ რასაში თავდაპირველად მრავალქმრიანობა არსებობდა... და ამიტომ უდავოდ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ეგზოგამიურ რასებს შორის ნათესაობის პირველი სისტემა ის იყო, რომელიც სისხლიერ ნათესაობას მხოლოდ დედის მხრიდან იცნობდა» (მაკ-ლენანი, «ნარკვევები ძველი ისტორიიდან», 1886. პირველყოფილი ქორწინება[1], გვ. 124).

„მაკ-ლენანის დამსახურება ისაა, რომ მან მიგვითითა იმის საყოველთაო გავრცელებასა და დიდ მნიშვნელობაზე, რასაც იგი ეგზოგამიას უწოდებს. მას სრულიადაც არ აღმოუჩენია ეგზოგა-

---

1 Mac-Lennan J. F., Studies in ancient history, comprising a reprint of primitive marriage, London, 1886. რედ.

მიური ჯგუფების არსებობის ფაქტი, და მან მით უმეტეს ვერც გაიგო იგი. მრავალი დამკვირვებლის უფრო ადრინდელ ცალკეულ შენიშვნებზეც რომ არაფერი ვთქვათ, — და სწორედ ეს შენიშვნები წარმოადგენენ მაკ-ლენანისათვის წყაროს, — ლატამმა («აღწერილობითი ეთნოლოგია», 1859 [1]) ზუსტად და სწორად ასწერა ეს წესწყობილება ინდიელ მაჯარებში და აღნიშნა, რომ იგი საყოველთაოდ გავრცელებულია და დედამიწის ყველა ნაწილში გვხვდებაო; ეს ადგილი თვით მაკ-ლენანს მოჰყავს. ჩვენმა მორგანმაც ასევე ჯერ კიდევ 1847 წელს თავის წერილებში ირიკეზების შესახებ («American Review»-ში) და 1851 წელს «ირიკეზების ლიგა»-ში [2] დაამტკიცა ასეთივე წესწყობილების არსებობა ირიკეზების ტომში და სწორად ასწერა იგი, მაშინ როდესაც მაკ-ლენანის ადვოკატურმა გონებამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აქ გაცილებით უფრო მეტი არევდარევა შეიტანა, ვიდრე ბახოფენის მისტიკურმა ფანტაზიამ დედის უფლების დარგში. მაკ-ლენანის შემდგომი დამსახურება ისაა, რომ მან აღიარა დედის უფლებაზე დაფუძნებული წარმოშობის წესი თავდაპირველ წესად, თუმცა ამ მხრივ, როგორც შემდეგში თვითონაც აღიარებს, მას ბახოფენმა დაასწრო. მაგრამ აქაც არა აქვს მას საკითხი ნათლად გარკვეული; იგი მუდამ ლაპარაკობს «ნათესაობაზე მხოლოდ მდედრობითი ხაზით» (kinship through females only) და ამ გამოთქმას, რომელიც მართებულია უფრო ადრინდელი საფეხურისათვის, განუწყვეტლივ იყენებს აგრეთვე განვითარების შემდგომი საფეხურების მიმართაც, როცა წარმოშობისა და მემკვიდრეობის უფლებას მართალია ჯერ კიდევ მარტოოდენ მდედრობითი ხაზით ანგარიშობენ, მაგრამ ნათესაობას აღიარებენ და განსაზღვრავენ აგრეთვე მამრობითი ხაზითაც. ესაა გონებრივი შეზღუდულობა იურისტისა, რომელიც თავისთვის მტკიცე იურიდიულ ტერმინს ჰქმნის და მის გამოყენებას განაგრძობს უცვლელად ისეთი პირობების მიმართაც, რომელთაც მისი გამოყენება უკვე შეუძლებელი გახადეს.

მაგრამ მიუხედავად მთელი თავისი დამაჯერებლობისა, მაკ-ლენანის თეორია თვით მისივე ავტორს, როგორც ჩანს, არც თუ ისე ძალიან მტკიცედ დასაბუთებულად ეჩვენებოდა. ყოველ შემთხვე-

---

1 Latham R. G., Descriptive ethnology. Vol. I—II. London, 1859. რედ.

2 Morgan L. H., League of the Ho-dé-no-sau-nee or Iroquois. Rochester, 1851. რედ.

ვაში მის ყურადღებას იპყრობს «ის ღირსშესანიშნავი ფაქტი, რომ დედაკაცებს (მოჩვენებითი) მოტაცების ფორმა ყველაზე მკაფიოდ და გარკვევით გამოხატულია სწორედ იმ ხალხებში, სადაც მამრობითი ნათესაობა (ე. ი. წარმოშობა მამრობითი ხაზით) ბატონობს» (გვ. 140). და შემდეგ: «საოცარი ფაქტია, რომ ბავშვებს არსად არ ხოცავენ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, სისტემატურად, სადაც კი ეგზოგამია და ნათესაობის უძველესი ფორმა ერთი მეორის გვერდით არსებობს» (გვ. 146). ორივე ეს ფაქტი პირდაპირ ეწინააღმდეგება ავტორის ახსნა-განმარტების წესს, და მას შეუძლია მათ დაუპირისპიროს მხოლოდ ახალი, კიდევ უფრო დახლართული ჰიპოთეზები.

მიუხედავად ამისა, მისმა თეორიამ ინგლისში დიდი მოწონება და თანაგრძნობა ჰპოვა; მაკ-ლენანი აქ ყველას მიერ მიჩნეული იყო ოჯახის ისტორიის ფუძემდებლად და პირველ ავტორიტეტად ამ დარგში. მის მიერ მოცემული დაპირისპირება ეგზოგამიური და ენდოგამიური «ტომებისა», მიუხედავად იმისა, რომ დადგენილი იქნა აგრეთვე ცალკეული გამონაკლისები და მოდიფიკაციები, მაინც გაბატონებულ შეხედულებათა საყოველთაოდ აღიარებულ საფუძვლად რჩებოდა და ერთგვარ თვალსაფარად იქცა, რომელმაც შეუძლებელი გახადა გამოსაკვლევი დარგის ყოველი თავისუფალი განხილვა და ამით ყოველი გადამწყვეტი წინსვლაც. მაკ-ლენანის მნიშვნელობის იმ გადაჭარბებული შეფასების საწინააღმდეგოდ, რომელიც ჩვეულებად იქცა ინგლისში, ხოლო ინგლისის მაგალითის წაბაძვით სხვაგანაც, ჩვენი ვალია ხაზგასმით აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მან ეგზოგამიური და ენდოგამიური «ტომების» თავისი დაპირისპირებით, რაც წმინდა გაუგებრობაზეა დამყარებული, მეტი ზიანი მოიტანა, ვიდრე თავისი გამოკვლევებით სასარგებლო რამ გაეკეთა.

ამასობაში უკვე მალე გამომეღავნდა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით ისეთი ფაქტები, რომლებიც ვეღარ თავსდებოდნენ მისი თეორიის მოჩუქურთმებულ ჩარჩოებში. მაკ-ლენანი იცნობდა ცოლქმრობის მხოლოდ სამ ფორმას: მრავალცოლიანობას, მრავალქმრიანობას და ერთცოლიანობას. მაგრამ რაკი ერთხელვე ამ პუნქტისაკენ იქნა მიპყრობილი ყურადღება, თანდათან მეტი საბუთი აღმოჩნდა იმის დასამტკიცებლად, რომ განუვითარებელ ხალხებში არსებულა ქორწინების ისეთი ფორმები, როცა რამდენიმე მამაკაცი თანაზიარად ფლობდა რამდენიმე დედაკაცს; და ლ ე ბ ო კ-

მა («ცივილიზაციის წარმოშობა», 1870 [1]) ეს ჯგუფობრივი ცოლქმრობა (Communal marriage) ისტორიულ ფაქტად აღიარა.

მალე ამის შემდეგ, 1871 წელს, გამოვიდა **მორგანი** ახალი და მრავალმხრივ გადამწყვეტი მასალით. იგი დარწმუნდა, რომ ნათესაობის ის თავისებური სისტემა, რომელიც გავრცელებულია ირიკეზებში, საერთოა შეერთებული შტატების ყველა მკვიდრი მცხოვრებისათვის და, მაშასადამე, გავრცელებულია მთელს კონტინენტზე, თუმცა იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება ნათესაობის იმ საფეხურებს, რომელნიც ფაქტიურად გამომდინარეობენ იქ არსებული ცოლქმრობის სისტემიდან. მან წააქეზა ამერიკის საკავშირო მთავრობა თვით მის მიერ შედგენილი კითხვარისა და ცხრილების საფუძველზე შეეკრიბა ცნობები სხვა ხალხების ნათესაობის სისტემების შესახებ და პასუხებიდან დაინახა: 1) რომ ამერიკულ-ინდიური ნათესაობის სისტემა გავრცელებულია აგრეთვე აზიის, ხოლო ცოტა შეცვლილი ფორმით აფრიკისა და ავსტრალიის მრავალ ტომში, 2) რომ ეს სისტემა სავსებით აიხსნება ჰავაიასა და ავსტრალიის სხვა კუნძულებზე არსებული ჯგუფობრივი ცოლქმრობით, რომელიც სწორედ მოსპობის სტადიაში იმყოფება და 3) რომ, მიუხედავად ამისა, სწორედ ცოლქმრობის ამ ფორმასთან ერთად იმავე კუნძულებზე გავრცელებულია ნათესაობის ისეთი სისტემაც, რომელიც მხოლოდ ჯგუფობრივად ცოლქმრობის კიდევ უფრო პირველყოფილი, ამჟამად მოსპობილი ფორმით შეიძლება აიხსნას. შეკრებილი ცნობები თავის დასკვნებთან ერთად მან გამოაქვეყნა თავის შრომაში «სისხლიერი ნათესაობისა და მოყვრობის სისტემები», 1871, [2] და ამით კამათი შეუდარებლად უფრო ფართო ასპარეზზე გადაიტანა. იმით, რომ იგი ნათესაობის სისტემებიდან გამოვიდა და ამ სისტემების შესაფერი ოჯახის ფორმები კვლავ ჩამოაყალიბა, მან კვლევა-ძიების ახალი გზა გაკაფა და შესაძლებლობა მოგვცა შორს ჩაგვეხედნა კაცობრიობის წინაისტორიაში. თუ ეს მეთოდი გაიმარჯვებდა, მაშინ მაკ-ლენანის ძოხდენილი კონსტრუქციებიც მტვრად იქცეოდა.

მაკ-ლენანმა თავისი თეორია დაიცვა «პირველყოფილი ცოლქმრობის» («ნარკვევები ძველი ისტორიიდან», 1875) ახალ გამოცემაში. მაშინ როცა თვითონ იგი ოჯახის ისტორიას მეტისმეტად ხელოვნურად, მარტოოდენ ჰიპოთეზების საშუალებით აკოწიწებს, ლე-

[1] Lubbok J., The origin of civilization and the primitive condition of man. Mental and social condition of savages. London, 1870. რედ.

[2] Morgan L. H., Systems of consanguinity and affinity of the human family. Washington, 1871. **რედ.**

ბოკისა და მორგანისაგან მოითხოვს არა მარტო დასაბუთებას ყოველი მათი დებულებისა, არამედ ისეთ უცილობელ დასაბუთებას, როგორიც საჭიროა მხოლოდ შოტლანდიის სასამართლოში. და ამას სჩადის სწორედ ის ადამიანი, რომელიც დედის ძმის და დის ვაჟის ვიწრო ურთიერთობიდან გერმანელებში (ტაციტი, «გერმანია», თავი 20), იულიუს კეისრის ნაამბობიდან იმის შესახებ, რომ ბრიტებში ყოველ ათ ან თორმეტ მამაკაცს საერთო ცოლები ჰყავთო, და ძველი მწერლების სხვა ცნობებიდან ცოლების ერთობის შესახებ ბარბაროსებში უყოყმანოდ იმ დასკვნას აკეთებს, რომ ყველა ამ ხალხში მრავალქმრიანობა ბატონობდაო! გეგონება, სახელმწიფო ბრალმდებელს უსმენ, რომელიც თავისი სიტყვის დალაგებისას სრულიად თავისუფლად ექცევა საბრალმდებლო მასალას, მაგრამ სამაგიეროდ დამცველისაგან მოითხოვს ყოველი სიტყვის უაღრესად ფორმალურ, იურიდიულად მართებულ დამტკიცებას.

ჯგუფობრივი ცოლქმრობა ნამდვილი ფანტაზიაა, ამტკიცებს ოგი, და ამით ბევრად ჩამორჩება ბახოფენს. ნათესაობის სისტემები, რომელთაც მორგანი აყენებს, საზოგადოებრივი ზრდილობის უბრალო წესებიაო და ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ინდიელები უცხოელსაც, თეთრსაც, სიტყვებით ძმა ან მამა მიმართავენო. ეს ისას ჰგავს, რომ ვამტკიცოთ, სახელწოდებანი მამა, დედა, ძმა, და მიმართვის უბრალო, უაზრო ფორმებია, რადგან კათოლიკე სასულიერო პირებს და მონასტრის წინამძღვარ ქალებს ასევე მამებს და დედებს უწოდებენ, ხოლო ბერები და მონაზნები, თვით მასონები და ინგლისის პროფესიული კავშირების წევრებიც კი საზეიმო სხდომებზე ერთმანეთს ძმებს და დებს უწოდებენ. ერთი სიტყვით, მაკ-ლენანის თავდაცვა უაღრესად სუსტი იყო.

მაგრამ რჩებოდა კიდევ ერთი პუნქტი, სადაც იგი დაუმარცხებელი იყო. ეგზოგამიური და ენდოგამიური «ტომების» დაპირისპირება, რომელზედაც დაფუძნებული იყო მთელი მისი სისტემა, არათუ არ შერყეულა, არამედ საყოველთაოდ აღიარებულიც კი იყო როგორც ოჯახის მთელი ისტორიის ქვაკუთხედი. არ უარჰყოფდნენ იმას, რომ მაკ-ლენანის ცდა ამ დაპირისპირების ახსნისა არაა საკმარისი და თვითონ მის მიერ ჩამოთვლილ ფაქტებს ეწინააღმდეგებაო. მაგრამ თვით ეს დაპირისპირება, არსებობა ორგვარი, ერთი მეორის გამომრიცხველი თავისთავადი და დამოუკიდებელი ტომებისა, რომელთაგან ერთნი თავიანთ ცოლებს ტომისავე შიგნით თხოულობდნენ, მაშინ როდესაც მეორეთათვის ეს აბსოლუტურად აკრძალული იყო, უცილობელ სახარებად ითვლებოდა. შეადარეთ, მაგალითად, ეირო-

ტელონის «ოჯახის წარმოშობა» (1874) [1] და თვით ლებოკის «ცივილიზაციის წარმოშობა» (მე-4 გამოცემა, 1882).

ამ პუნქტის წინააღმდეგ არის მიმართული მორგანის მთავარი ნაწარმოები: «ძველი საზოგადოება» (1877), — ნაწარმოები, რომელიც საფუძვლად უდიეს ამ შრომას. ის, რაც მორგანს 1871 წელს ჯერ კიდევ მხოლოდ ბუნდოვანად ჰქონდა წარმოდგენილი, აქ სრული შეგნებით და გარკვეულობითაა განვითარებული. ენდოგამია და ეგზოგამია არ წარმოადგენენ არავითარ დაპირისპირებას; ეგზოგამიური «ტომების» არსებობა დღემდე არსად არაა დამტკიცებული. მაგრამ იმ ეპოქაში, როცა ჯერ კიდევ ჯგუფობრივი ცოლქმრობა ბატონობდა, — ის კი, ალბათ, ოდესღაც ყველგან ბატონობდა, — ტომი იყოფოდა მთელ რიგ, დედის ხაზით სიახლოვნათესავე ჯგუფებად, გვარებად, რომელთა ფარგლებშიც სასტიკად აკრძალული იყო შეუღლება, ასე რომ ერთი გვარის მამაკაცებს მართალია შეეძლოთ ტომის ფარგლებში ცოლები ეთხოვათ და, როგორც წესი, კიდეც თხოულობდნენ, მაგრამ უნდა მოეყვანათ ისინი სხვა გვარიდან. ამრიგად, თუ გვარი მკაცრად ეგზოგამიური იყო, ამდენადვე ენდოგამიური იყო ტომი, რომელიც გვართა ერთობლიობას შეიცავდა. ამით საბოლოოდ დაინგრა მაკ-ლენანის ხელოვნურად აგებულ თეორიათა ხუხულას უკანასკნელი ნაშთი.

მაგრამ მორგანი ამით არ დაკმაყოფილებულა. ამერიკელი ინდიელები მას გამოადგა, შემდეგ, იმისათვის, რომ მეორე გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგა წინ თავის საკვლევ დარგში. ამ გვარში, რომელიც დედის უფლების მიხედვით იყო ორგანიზებული, მან აღმოაჩინა პირველადი ფორმა, საიდანაც შემდეგში განვითარდა მამის უფლების მიხედვით ორგანიზებული გვარი, — ისეთი გვარი როგორსაც ანტიკურ კულტურულ ხალხებში ვხვდებით. ბერძული და რომაული გვარი, რომელიც მანამდე გამოცანას წარმოადგენდა ყველა ისტორიკოსისათვის, ახსნილ იქნა ინდიური გვარის შემწეობებით, და ამით გამოინახა ახალი საფუძველი მთელი პირველყოფილი ისტორიისათვის.

ამ ხელახალ აღმოჩენას, რომ დედისუფლებიანი (mutterrechtliche) პირველყოფილი გვარები წინა საფეხურია კულტურულ ხალხთა მამისუფლებიანი (vaterrechtliche) გვარებისა, პირველყოფილი ისტორიისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც დარვინის განვითარების თეორიას ბიოლოგიისათვის და მარქსის ზედმეტი

[1] Giraud--Teulon A., Les origines de la famille. Genève, Paris, 1874. რედ.

ლირებულების თეორიას პოლიტიკური ეკონომიისათვის. ამ აღმოჩენამ შესაძლებლობა მისცა მორგანს პირველად მოეხაზა ოჯახის ისტორია, სადაც, ყოველ შემთხვევაში, განვითარების კლასიკური საფეხურები ზოგადად, რამდენადაც დღემდე ცნობილი მასალა ამის შესაძლებლობას იძლევა, წინასწარაა დადგენილი. ყველასთვის ნათელია, რომ ამით იწყება ახალი ეპოქა პირველყოფილი ისტორიის დამუშავებაში. დედისუფლებიანი გვარი გახდა ის ქვაკუთხედი, რომლის გარშემო მთელი ეს მეცნიერება ტრიალებს; მისი აღმოჩენის დროიდან ვიცით, რა მიმართულებით და რა უნდა გამოვიკვლიოთ და როგორ უნდა დავაჯგუფოთ მიღებული შედეგები. ამის შესაბამისად კი ამჟამად ამ დარგში სულ სხვაგვარად აღწევენ სწრაფ წარმატებებს, ვიდრე ეს მორგანის წიგნის გამოსვლამდე ხდებოდა.

მორგანის აღმოჩენები ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულია ან, უკეთ რომ ვთქვათ, მითვისებულია პირველყოფილი ისტორიის მკვლევართა მიერ ინგლისშიც. მაგრამ თითქმის არც ერთი მათგანი არ აღიარებს აშკარად, რომ სწორედ მორგანს უნდა ვუმადლოდეთ შეხედულებათა ამ რევოლუციას. ინგლისში მორგანის წიგნს რამდენადაც კი შეიძლება ჩქმალავენ, თვითონ მას კი მისი წინანდელი შრომების შემწყალებელი შექებით უმასპინძლდებიან. მისი ნარკვევის ცალკეულ ადგილებს გულმოდგინედ ჩიჩქნიან, ხოლო მის ნამდვილად დიდ აღმოჩენებზე ჯიუტად სდუმან. «ძველი საზოგადოების» პირველი გამოცემა გასაღებულია; ამერიკაში ასეთი რამეები ხელსაყრელ გასაღებას ვერ პოულობენ; ინგლისში, როგორც ეტყობა, ამ წიგნის გავრცელებას სისტემატურად გასაქანს არ აძლევდნენ, და ამ ეპოქის შემქმნელი ნაწარმოების ერთადერთი გამოცემა, რომელიც წიგნის ბაზარზე კიდევ მოიპოვება, — ეს არის გერმანული თარგმანი.

რაა მიზეზი ამ ათვალწუნებისა, რომელშიც ძალაუნებურად მოჩანს დუმილის შეთქმულება, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ მრავალრიცხოვან, უბრალო თავაზიანობის გამომხატველ, ციტატებს და სოლიდარობის დამამტკიცებელ სხვა საბუთებს, რომლებითაც ასე სავსეა პირველყოფილი ისტორიის ჩვენი აღიარებული მკვლევარების ნაწერები? ის ხომ არა, რომ მორგანი ამერიკელია, ხოლო პირველყოფილი ისტორიის ინგლისელ მკვლევართათვის მეტად არასასიამოვნოა, რომ ისინი, — მიუხედავად იმისა, რომ დიდად დასაფასებელ სიბეჯითეს იჩენენ მასალის დაგროვებაში, — იმ ზოგადი თვალსაზრისის გასარკვევად, რომელიც აუცილებელია ამ მასალის დასალაგებლად და დასაჯგუფებლად, მოკ-

ლედ რომ ვთქვათ, თავიანთი იდეების გასარკვევად, იძულებულნი არიან მიმართონ ორ გენიოს უცხოელს — ბახოფენსა და მორგანს? გერმანელს კიდევ შეურიგდებოდა კაცი, მაგრამ ამერიკელს? ამერიკელის მიმართ ყოველი ინგლისელი ხდება პატრიოტი; შეერთებულ შტატებში მე ამის სასაცილო მაგალითები ვნახე. ამას ემატება კიდევ ის გარემოება, რომ მაკ-ლენანი იყო პირველყოფილი ისტორიის ინგლისური სკოლის, ასე ვთქვათ, ოფიციალურად აღიარებული დამაარსებელი და ბელადი; პირველყოფილი ისტორიის დარგში ერთგვარ კარგ ტონად ის ითვლებოდა, რომ მხოლოდ უდიდესი მოწიწებით ელაპარაკნათ მაკ-ლენანის ხელოვნურად შეკოწიწებულ ისტორიულ კონსტრუქციაზე, რომელსაც ბავშვთა მკვლელობიდან მრავალქმრიანობისა და მოტაცებაზე დამყარებული ქორწინების გზით დედისუფლებიან ოჯახისაკენ მივყევართ; მცირეოდენი ეჭვის შეტანაც კი ერთი მეორის აბსოლუტურად გამომრიცხავი ეგზოგამიური და ენდოგამიური «ტომების» არსებობაში დანაშაულებრივ მწვალებლობად ითვლებოდა; მაშასადამე, მორგანმა, რომელმაც ყველა ეს ნაკურთხი დოგმა გააცამტვერა, ერთგვარი მკრეხელობა ჩაიდინა. ამასთანავე მან ეს გაცამტვერება მოახდინა ისეთი საბუთებით, რომელთა მხოლოდ გამოთქმა იყო საკმარისი იმისათვის, რომ ისინი მაშინვე ნათელი გამხდარიყო ყველასათვის; ასე რომ მაკ-ლენანის თაყვანისმცემელთ, რომელნიც მანამდე ეგზოგამიასა და ენდოგამიას შორის უმწეოდ ტორტმანებდნენ, თავზე ხელი უნდა შემოერტყათ და წამოეძახნათ: როგორ მოხდა, რომ ასეთი სულელები ვიყავით და დიდი ხანია ეს ამბები თვითონ ვერ შევამჩნიეთო!

და კიდეც რომ ეს დანაშაული საკმაო არ ყოფილიყო, იმისათვის რათა ოფიციალურ სკოლას აკრძალოდა მორგანის ნაწარმოებისადმი ყოველივე სხვა დამოკიდებულება, გარდა ცივად განზე გადადებისა, — მორგანმა მოთმინების ფიალა იმით აავსო, რომ მან არა მარტო გააკრიტიკა ცივილიზაცია, — სასაქონლო წარმოების საზოგადოება, ჩვენი დღევანდელი საზოგადოების ძირითადი ფორმა, ისეთ წესით, რომელიც ფურიეს მოგვაგონებს, არამედ ამ საზოგადოების მომავალ გარდაქმნაზე ისეთი სიტყვებით ლაპარაკობს, როგორიც კარლ მარქსს შეეძლო ეთქვა. ამიტომ სავსებით დამსახურებული იყო, როცა მაკ-ლენანმა მორგანს აღშფოთებით უსაყვედურა, «ისტორიული მეთოდი მისთვის სრულიად ანტიპატიურიაო», და როცა ენენველმა პროფესორმა ბ-ნმა ჟირო-ტელონმა მას ეს 1884 წელს დაუდასტურა. ეს ბ-ნი ჟირო-ტელონი ხომ ჯერ კიდევ 1874 წელს («ოჯახის წარმოშობა») უმწეოდ ხეტიალობდა მაკ-ლე-

ნანის ეგზოგამიის ლაბირინტში, საიდანაც იგი მხოლოდ მორგანმა გამოიყვანა!

აქ საჭირო აღარაა შევჩერდე სხვა წარმატებებზე, რომელთაც პირველყოფილი ისტორია მორგანს უნდა უმადლოდეს; ამის შესახებ ყველაფერი, რაც აუცილებელია, აღნიშნულია ჩემს ნაშრომში. ოთხმეტმა წელმა, რომელმაც მორგანის ამ მთავარი ნაწარმოების გამოსვლის შემდეგ განვლო, დიდად გაამდიდრა ჩვენი მასალა ადამიანთა პირველყოფილ საზოგადოებათა ისტორიის დარგში. ანთროპოლოგებს, მოგზაურებს და პირველყოფილი ისტორიის პროფესიონალ მკვლევარებს დაემატნენ შედარებითი იურისპრუდენციის წარმომადგენელნი, რომელთაც ნაწილობრივ ახალი მასალა, ნაწილობრივ კი ახალი თვალსაზრისი შეიტანეს. ამის შედეგად მორგანის ზოგიერთი ჰიპოთეზა შეირყა ანდა დაირღვა კიდეც. მაგრამ ახლად შეგროვილ მასალას არსად არ მოჰყოლია ის შედეგი, რომ მისი დიდად მნიშვნელოვანი ძირითადი თვალსაზრისი სხვა თვალსაზრისს განედევნა. ის წესრიგი, რომელიც მან პირველყოფილ ისტორიაში შეიტანა, ძირითად ხაზებში დღესაც ძალაში რჩება. კიდევ მეტი: შეიძლება ითქვას, იგი სულ უფრო და უფრო საყოველთაო აღიარებას პოულობს, და პოულობს იმ ზომით, რა ზომითაც იმის დაფარვას ცდილობენ, რომ სწორედ ისაა ამ უდიდესი პროგრესის ფუძემდებელი [1].

ლონდონი, 16 ივნისი 1891 წ.

ფრიდრიხ ენგელსი

პირველად დაიბეჭდა 1891 წელს ჟურნალში «Neue Zeit» სტატიის სახით, რომლის სათაური იყო «პირველყოფილი ოჯახის ისტორიისათვის».

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან

[1] როცა 1888 წლის სექტემბერში ნიუ-იორკიდან ვბრუნდებოდი, გზად შევხვედი კონგრესის ყოფილ დეპუტატს როჩესტერის საარჩევნო ოლკიდან, რომელიც ლუის მორგანი იცნობდა. სამწუხაროდ მან ბევრი ვერაფერი მიამბო მორგანზე. თურმე მორგანს როჩესტერში უცხოვრია როგორც კერძო პირს და გართული ყოფილა თავისი მეცნიერული მუშაობით. მისი ძმა ყოფილა პოლკოვნიკი და ვაშინგტონში სამხედრო სამინისტროში უმსახურნია, ამ ძმის შემწეობით მას მოუხერხებია მთავრობის დაინტერესება თავისი გამოკვლევებით და რამდენიმე თავისი ნაშრომის სახელმწიფო ხარჯზე გამოცემა; ჩემს თანამესაუბრესაც, როცა ის კონგრესის დეპუტატად იყო, როგორც გადმომცა, არაერთხელ გაუწევია მისთვის ამ მხრივ დახმარება (ენგელსის შენიშვნა).

ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა

I

კულტურის წინაისტორიული საფეხურები

მორგანი პირველი იყო, რომელიც საქმის ცოდნით შეეცადა გარკვეული წესრიგი შეეტანა კაცობრიობის წინაისტორიაში, და სანამ მნიშვნელოვნად გაფართოებული მასალა არ გვაიძულებს ცვლილებები შევიტანოთ, მის მიერ წარმოდგენილი პერიოდიზაცია უეჭველად ძალაში დარჩება.

სამი მთავარი ეპოქიდან — ველურობის, ბარბაროსობის, ცივილიზაციის ეპოქათაგან — მის ყურადღებას იპყრობს, რა თქმა უნდა, პირველი ორი და გადასვლა მესამეზე. ამ ორი ეპოქიდან თვითეულს იგი ჰყოფს დაბალ, შუა და უმაღლეს საფეხურად, იმისდა მიხედვით, თუ რა წარმატებაა მიღწეული საარსებო საშუალებათა წარმოებაში; ეს იმიტომ, ამბობს იგი, რომ «დახელოვნებას ამ წარმოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მოიპოვა ადამიანმა უპირატესობა და ბატონობა ბუნებაზე. ყველა ცოცხალ არსებათაგან მხოლოდ ადამიანმა მიაღწია თითქმის შეუზღუდველ ბატონობას კვების საშუალებათა წარმოებაზე. ადამიანის პროგრესის ყველა დიდი ეპოქა ცოტად თუ ბევრად პირდაპირ ემთხვევა საარსებო წყაროების გაფართოების ეპოქებს». ამის გვერდით მიმდინარეობს ოჯახის განვითარება, მაგრამ ეს განვითარება არ იძლევა ასეთ მკაფიო ნიშნებს პერიოდების დასაყოფად.

I. ველურობა

1. **დაბალი საფეხური:** ადამიანთა მოდგმის ბავშვობა. ადამიანები იმყოფებოდნენ ჯერ კიდევ თავიანთ თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილებში, ტროპიკულ და სუბტროპიკულ ტყეებში; ისინი ცხოვრობდნენ, ნაწილობრივ მაინც, ხეებზე; მხოლოდ ამით აიხსნება ის, რომ ისინი არსებობას ინარჩუნებდნენ ონავარ მტა-

ცებელ ცხოველთა შორის. მათ საკვებს შეადგენდა მცენარეთა ნაყოფი, კაკალი, მცენარის ფესვები; ამ პერიოდის მთავარი მიღწევა იყო დანაწევრებული მეტყველების განვითარება. ყველა იმ ხალხიდან, რომლებიც ცნობილნი გახდნენ ისტორიული პერიოდის მანძილზე, არც ერთი აღარ იმყოფებოდა უკვე ამ პირველყოფილ მდგომარეობაში. და თუმცა ასეთი მდგომარეობა, შესაძლოა, მრავალი ათასი წელი გრძელდებოდა, მაგრამ მისი დამტკიცება უშუალო დამოწმებათა საფუძველზე ჩვენ არ შეგვიძლია; მაგრამ თუ ვაღიარებთ, რომ ადამიანი ცხოველთა სამეფოდან წარმოიშვა, მაშინ ასეთი გარდამავალი მდგომარეობა აუცილებლად უნდა ვივარაუდოთ.

2. **შუა საფეხური.** ეს საფეხური იწყება საკვებად თევზის (რასაც ჩვენ მივაკუთვნებთ აგრეთვე კიბოებს, ნიჟარას და სხვა წყლის ცხოველებს) გამოყენებით და ცეცხლის მოხმარებით. ორივე მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან, რადგან საკვებად თევზის სავსებით გამოყენება მხოლოდ ცეცხლის შემწეობით შეიძლება. ამ ახალი საკვების წყალობით კი ადამიანები გახდნენ დამოუკიდებელნი ჰავისა და ადგილმდებარეობისაგან. ისინი გაჰყვნენ მდინარეთა მიმართულებას და ზღვის ნაპირებს და ველურ მდგომარეობაშიც კი შესძლეს დედამიწის უდიდეს ნაწილზე გადასახლება. ადრინდელი ქვის ხანის ტლანქად დამუშავებული, გაუხეხავი ქვის იარაღი, ეგრეთწოდებული პალეოლითური იარაღი, რომელიც მთლიანად ან უმეტეს წილად ამ პერიოდს ეკუთვნის, გავრცელებულია ყველა კონტინენტზე და ამ გადასახლებათა დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს. ახალი ადგილების დასახლებამ და დაულალავი ქმედითი ძიების წყურვილმა, დაკავშირებულმა ხეხვით მიღებული ცეცხლის დაპატრონებასთან, კვების ახალი საშუალებანი მისცა ადამიანებს; ასეთი საშუალება იყო სახამებლის შემცველი მცენარის ფესვები და ბოლქვები, გამომცხვარი ცხელ ღადარში ან თორნეში (მიწის ღუმელებში); ასეთი იყო ნანადირევი, რომელიც პირველი იარაღის, კეტის ან შუბის, გამოგონების შემდეგ შემთხვევითი დამატებითი საკვები საშუალება გახდა. მარტოოდენ მონადირე ხალხები, როგორც ისინი წიგნებშია აღწერილი, ე. ი. ისეთი ხალხები, რომელნიც მხოლოდ ნადირობით ცხოვრობენ, არასოდეს არ არსებობდნენ, და ეს იმიტომ, რომ ნადირობით მიღებული ნადავლი ამისათვის მეტად არასაიმედოა. იმის გამო, რომ კვების წყაროები მუდმივად უზრუნველყოფილი არ იყო, როგორც ეტყობა, ამ საფეხურზე გაჩენილა კაციჭამიობა, რომე-

ლიც ამ დროიდან მოყოლებული დიდ ხანს რჩება შემონახული. ავსტრალიელები და ბევრი პოლინეზიელი დღესაც კიდევ ველურობის ამ შუა საფეხურზე იმყოფებიან.

3. უმაღლესი საფეხური. იგი იწყება მშვილდ-ისრის გამოგონებით, რის მეოხებითაც ნანადირევი გახდა კვების მუდმივი საშუალება, ხოლო ნადირობა — შრომის ერთ-ერთი ნორმალური დარგი. მშვილდი, ლამბი და ისარი შეადგენენ უკვე მეტად რთულ იარაღს, რომლის გამოგონება ხანგრძლივად დაგროვილ გამოცდილებას და გამახვილებულ გონებრივ ძალებს გულისხმობს, მაშასადამე, გულისხმობს იმასაც, რომ ადამიანები ამავე დროს სხვა მრავალ გამოგონებას იცნობენ. როცა ერთმანეთს ვადარებთ იმ ხალხებს, რომელნიც მართალია მშვილდ-ისარს იცნობენ, მაგრამ ჯერ კიდევ არაფერი იციან მეთუნეობის ხელოვნებისა (ეს უკანასკნელი მორგანს მიაჩნია ბარბაროსობაზე გადასვლის დასაწყისად), ჩვენ მართლაც ვნახულობთ უკვე სოფლებად დასახლების ერთგვარ ჩანასახებს, საარსებო საშუალებათა წარმოების დაუფლების გარკვეულ დონეს: ხის ჭურჭელს და ავეჯეულობას, ხელით ქსოვას (საქსოვი დგიმის უქონლად) ხის ბოჭკოსაგან, ლაფანისაგან ან ლერწმისაგან დაწნულ კალათებს, გახეხილ (ნეოლითურ) ქვის იარაღს. ცეცხლი და ქვის ცული უკვე მეტწილად იმის შესაძლებლობას იძლევიან, რომ ადამიანმა გააკეთოს მთლიანი ხისაგან ნავი, ხოლო ალაგ-ალაგ მორები და ფიცრები სახლის ასაშენებლად. ყველა ამ მიღწევას ჩვენ ვხვდებით, მაგალითად, ამერიკის ჩრდილო-დასავლეთელ ინდიელებში, რომელნიც მართალია მშვილდ-ისარს იცნობენ, მაგრამ არ იცნობენ ჯერ კიდევ მეთუნეობას. ველურობის ეპოქისათვის მშვილდ-ისარი იგივე იყო, რაც რკინის მახვილი ბარბაროსებისათვის და ცეცხლმსროლელი იარაღი ცივილიზაციისათვის: იგი იყო გადამწყვეტი იარაღი.

II. ბარბაროსობა

1. დაბალი საფეხური. იგი იწყება მეთუნეობის შემოღებით. შეიძლება იმის დამტკიცება, რომ მეთუნეობა ბევრ შემთხვევაში და, ალბათ, ყველგან იქიდან წარმოიშვა, რომ დაწნულ ან ხის ჭურჭელს თიხით გლესავდნენ, რათა იგი ცეცხლგამძლე გაეხადათ; ამასთან მალე გამოირკვა, რომ დაყალიბებული თიხა შიდა ჭურჭლის დაუხმარებლადაც ამავე მიზანს ემსახურება.

აქამდე ჩვენ შეგვეძლო განვითარების მსვლელობა გაგვეხილა როგორც სავლებით საყოველთაო მსვლელობა, როშელიც ძალაში რჩება გარკვეული პერიოდის ყველა ხალხისათვის, განურჩევლად მათი ადგილსაბყოფელისა. მაგრამ ბარბაროსობის დაწყებასთან ერთად ჩვენ ისეთ საფეხურს მივაღწიეთ, სადაც დედამიწის ორივე დიდი კონტინენტის ბუნებრივი პირობების სხვაობა თავს იჩენს. ბარბაროსობის პერიოდის დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს ცხოველების-მოშინაურება და მოშენება და მცენარეების გაშენება. აღმოსავლეთ კონტინენტს, ე. წ. ძველ ქვეყანას, უკვე გააჩნდა თითქმის ყველა მოსაშინაურებლად გამოსადეგი ცხოველი და კულტურული მარცვლეულის ყველა სახეობა, გარდა ერთისა; დასავლეთის კონტინენტს კი, ამერიკას, მოსაშინაურებელი ძუძუმწოვარი ცხოველებიდან მხოლოდ ლამა ჰყავდა, და ისიც მხოლოდ სამხრეთის ერთ ნაწილში, ხოლო ყველა კულტურული პურეულიდან მას ჰქონდა მხოლოდ ერთი, მაგრამ სამაგიეროდ საუკეთესო — სიმინდი. ეს განსხვავებული ბუნებრივი პირობები იწვევს იმას, რომ ამიერიდან თვითეული ნახევარსფეროს მოსახლეობა თავისი განსაკუთრებული გზით ვითარდება და მიჯნები ცალკეული საფეხურების საზღვრებზე თვითეული მათგანისათვის განსხვავებულია.

2. შუა საფეხური. აღმოსავლეთში ეს საფეხური იწყება ცხოველების მოშინაურებით, დასავლეთში კი — საკვები მცენარეების გაშენებით, რაც მორწყვის საშუალებით ხდება, და აგრეთვე იმით, რომ ადობებს (მზეზე გამომშრალ აგურებს) და ქვას შენობებისათვის იყენებენ.

ჩვენ ვიწყებთ დასავლეთიდან, რადგან აქ, ევროპელების მიერ ამერიკის დაპყრობამდე, არსად ამ საფეხურს არ გასცილებიან.

ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე მყოფ ინდიელებს (მათ რიცხვს ეკუთვნოდა მისისიპის აღმოსავლეთით მაცხოვრებელი ყველა ტომი) მათი აღმოჩენის დროს უკვე ჰქონდათ სიმინდის ერთგვარი საბოსტნე კულტურა, და, შესაძლოა, აგრეთვე მათ მოჰყავდათ გოგრა, ნესვი და სხვა ბოსტნეული მცენარეები, რომელიც მათი კვების მეტად მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა; ისინი ცხოვრობდნენ ხის სახლებში, მესერშემოვლებულ სოფლებში. ჩრდილო-დასავლეთელი ტომები, განსაკუთრებით მდინარე კოლუმბიას ხეობაში მობინადრენი, ჯერ კიდევ ველურობის უმაღლეს საფეხურზე იდგნენ და არ იცნობდნენ არც მეთუნეობას, არც რაიმე მცენარეთა გაშენებას. პირიქით, ე. წ. პუებლო-ინდიელები ახალ მექსიკაში, მექსიკელები, ცენტრალური ამერიკის მობინად-

რენი და პერუელები დაპყრობის ხანაში ბარბაროსობის შუა საფეხურზე იმყოფებოდნენ; ისინი ცხოვრობდნენ ადობისაგან ან ქვისაგან აგებულ ციხე-სიმაგრის მაგვარ სახლებში, მოჰყავდათ ხელოვნურად მორწყულ ბოსტნებში სიმინდი და ადგილმდებარეობისა და ჰაერის მიხედვით დანარჩენი სხვადასხვა საკვები მცენარეები, რომლებიც მათთვის კვების მთავარ წყაროს წარმოადგენდნენ. მათ ზოგიერთი ფრინველი თუ ცხოველიც კი ჰყავდათ მოშინაურებული: მექსიკელებს — ინდაური და სხვა ფრინველი, პერუელებს კი — ლამა. თანაც მათ იცოდნენ ლითონის დამუშავება, რკინის გამოკლებით, და ამიტომაც ისინი ჯერ კიდევ ვერ ელეოდნენ ქვის იარაღსა და ხელსაწყოს. ესპანელების მიერ დაპყრობამ შეწყვიტა მათი ყოველი შემდგომი დამოუკიდებელი განვითარება.

აღმოსავლეთში ბარბაროსობის შუა საფეხური დაიწყო რძისა და ხორცის მომცემი ცხოველების მოშინაურებით, მაშინ როდესაც მცენარეთა კულტურა, როგორც ეტყობა, ამ პერიოდის მანძილზე აქ ჯერ კიდევ დიდხანს უცნობი რჩებოდა. როგორც ჩანს, პირუტყვის მოშინაურება და მოშენება და უფრო დიდი ჯოგების შექმნა გახდა იმის მიზეზი, რომ არრელები და სემიტები გამოეთიშნენ ბარბაროსთა დანარჩენ მასას. ევროპელ და აზიელ არიელებს შინაური პირუტყვისათვის ჯერ კიდევ საერთო სახელები აქვთ, კულტურული მცენარეებისათვის კი — თითქმის სრულიად არა.

ჯოგების შედგენამ გამოიწვია მწყემსური ცხოვრება ამისათვის გამოსადეგ ადგილებში; ასეთი ცხოვრება ჰქონდათ სემიტებს ეფრატისა და ტიგროსის ბალახოვან ველებზე, არიელებს კი — ინდოეთის, ამუ-დარიისა და სირ-დარიის, დონისა და დნეპრის ტრამალებზე. როგორც ჩანს, თავდაპირველად პირუტყვის მოშინაურება მომხდარა ასეთი საძოვარი ადგილების საზღვრებზე. ამიტომაცაა შემდგომ თაობებს ჰგონიათ, რომ მეჯოგე ხალხები გამოსული არიან ისეთი ადგილებიდან, რომელნიც სინამდვილეში არა თუ არ წარმოადგენდნენ ადამიანთა მოდგმის აკვანს, არამედ, პირიქით, მათი ველური წინაპრებისა და თვით ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე მყოფი ადამიანების საცხოვრებლადაც კი თითქმის სრულიად გამოუსადეგი იყვნენ. პირიქით, მას შემდეგ, რაც შუა საფეხურის ეს ბარბაროსები მწყემსურ ცხოვრებას შეეჩვივნენ, შეუძლებელია მათ ოდესმე აზრად მოსვლოდათ ის, რომ მდინარეთა ხეობებში მდებარე საძოვარი ველებიდან ნებაყოფლობით უკან დაბრუნებულიყვნენ ტყიან ადგილებში, სადაც მათი წინაპრები ბინად-

რობდნენ. მაშინაც კი, როცა სემიტებს და არიელებს მიაწვნენ და შორს — ჩრდილოეთისა და დასავლეთისაკენ გადარეკეს, მათ არ შეეძლოთ დასავლეთი აზიისა და ევროპის ტყიან ადგილებში გადასულიყვნენ, ვიდრე პურეულის მოყვანამ შესაძლებლობა არ მისცა მათ თავიანთი პირუტყვი ამ ნაკლებად ხელსაყრელ ნიადაგზე გამოეკვებათ და განსაკუთრებით კი ზამთრობით შეენახათ. თითქმის უეჭველია, რომ პურეულის მოყვანა აქ უწინარეს ყოვლისა პირუტყვისათვის საჭირო საკვების მოთხოვნილებამ გამოიწვია და იგი მხოლოდ შემდეგში გახდა მნიშვნელოვანი ადამიანთა კვებისათვის.

არიელებისა და სემიტების ხორცითა და რძით უხვ კვებას, განსაკუთრებით კი ამ კვების ხელსაყრელ გავლენას ბავშვების განვითარებაზე, უნდა მიეწეროს, შესაძლებელია, ამ ორივე რასის უფრო წარმატებითი განვითარება. მართლაც, ახალი მექსიკის პუებლო-ინდიელებს, რომელნიც იძულებული არიან თითქმის მარტო მცენარეულობით იკვებონ, უფრო პატარა ტვინი აქვთ, ვიდრე ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე მყოფ ინდიელებს, რომელნიც მეტწილად ხორცითა და თევზით საზრდოობენ. ყოველ შემთხვევაში, ამ საფეხურზე კაციჭამიობა თანდათან ჰქრება და შემონახული რჩება მხოლოდ როგორც რელიგიური აქტი ანდა, რაც აქ თითქმის იმავეს ნიშნავს, როგორც ჯადოქრობის საშუალება.

3. **უმაღლესი საფეხური.** იგი იწყება რკინის მადნის გადადნობით და ცივილიზაციაში გადადის ასოებრივი დამწერლობის გამოგონებისა და ლიტერატურული შემოქმედების ჩასაწერად მისი გამოყენების გზით. ეს საფეხური, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ აღმოსავლეთის ნახევარსფეროში იქნა დამოუკიდებლად განვლილი, უფრო მდიდარია წარმოების წარმატებებით, ვიდრე ერთად აღებული ყველა წინანდელი საფეხური. ამ საფეხურს ეკუთვნიან გმირული ეპოქის ბერძნები, იტალიელი ტომები სულ ახლო ხანაში რომის დაარსებამდე, ტაციტის გერმანელები და ვიკინგების დროის ნორმანები.

უწინარეს ყოვლისა აქ პირველად გვხვდება რკინის კავ-სახნისი, რომელსაც შინაური პირუტყვი ეწევა; მისი შემწეობით შესაძლებელი გახდა მიწათმოქმედება დიდი მასშტაბით, **მემინდვრეობა**, და ამით მაშინდელი პირობებისათვის საარსებო საშუალებების პრაქტიკულად შეუზღუდველი გადიდება; შემდეგ აგრეთვე — ტყის გაკაფვა და მისი გადაქცევა სახნავ ადგილებად და სათიბებად, რისი დიდი მასშტაბით განხორციელებაც რკინის ცულისა და რკინის

ბარის უქონლად ასევე შეუძლებელი იყო. მაგრამ ამას მოჰყვა აგრეთვე მოსახლეობის სწრაფი გამრავლება, მჭიდრო დასახლება მცირე ტერიტორიაზე. მინდვრების დამუშავებამდე სრულიად განსაკუთრებული პირობები უნდა შექმნილიყო იმისათვის, რომ ნახევარი მილიონი ადამიანის გაერთიანება ერთიანი ცენტრალური ხელმძღვანელობის ქვეშ შესაძლებელი გამხდარიყო; ეს ალბათ, არც მომხდარა არასოდეს.

ბარბაროსობის უმაღლესი საფეხურის სრულ აყვავებას ჩვენ ვხედავთ ჰომეროსის პოემებში, განსაკუთრებით «ილიადაში». გაუმჯობესებული რკინის იარაღი, სამჭედლოს საბერველი, ხელის წისქვილი, კეცი, მცენარეული ზეთისა და ღვინის დამზადება, ლითონის განვითარებული დამუშავება, რომელიც მხატვრულ ხელოვნებაში გადადის, ურემი და საომარი ეტლი, გემების მშენებლობა ძელებისა და ფიცრებისაგან, დასაწყისი ხუროთმოძღვრებისა როგორც ხელოვნებისა, გალავნითა და კოშკებით გარშემორტყმული ქალაქები, ჰომეროსის ეპოსი და მთელი მითოლოგია — აი მთავარი მემკვიდრეობა, რომელიც ბერძნებმა ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში გადმოიტანეს. როცა ამას ვადარებთ იულიოს კეისრისა და თვით ტაციტის მიერ აწერილ გერმანელებს, რომელნიც კულტურის სწორედ იმავე საფეხურის დასაწყისში იმყოფებოდნენ, საიდანაც ჰომეროსის დროის ბერძნები უმაღლეს საფეხურზე გადასვლისათვის ემზადებოდნენ, ჩვენ ვხედავთ, თუ რა დიდი სიმდიდრე გააჩნია წარმოების განვითარების მხრივ ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურს.

სურათი, რომელიც მე, მორგანის მიხედვით, აქ მოვხაზე იმის შესახებ, თუ როგორ მიიმართება კაცობრიობის განვითარება ველურობიდან დაწყებული ბარბაროსობის გზით ცივილიზაციის ჩანასახებისაკენ, უკვე საკმაოდ მდიდარია ახალი და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, უცილობელი ნიშნებით, რადგან ეს ნიშნები უშუალოდ წარმოებიდანაა აღებული. მიუხედავად ამისა, ეს სურათი მკრთალი და უბადრუკი მოგვეჩვენება იმ სურათთან შედარებით, რომელიც თვალწინ გადაგვეშლება ჩვენი მსჯელობის დასასრულს; მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი მთლიანად გავაშუქოთ გადასვლა ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში და განსაცვიფრებელი წინააღმდეგობა ორივეს შორის. ჯერჯერობით კი ჩვენ შეგვიძლია მორგანის მიერ მოცემული პერიოდიზაცია შემდეგნაირად განვაზოგადოთ: ველურობა — პერიოდი უმთავრესად ბუნების მზა პროდუქტების მითვისებისა; ადამიანის მიერ შექმნი-

ლი პროდუქტები უმთავრესად ასეთი მითვისების დამხმარე იარაღს წარმოადგენენ. ბარბაროსობა — მესაქონლეობის და მიწათმოქმედების შემოღების პერიოდი, პერიოდი, როცა ადამიანის საქმიანობის შემწეობით ბუნების პროდუქტების წარმოების გადიდების მეთოდების ათვისება ხდება. ცივილიზაცია — პერიოდი ბუნების პროდუქტების შემდგომი დამუშავების ათვისებისა, პერიოდი მრეწველობისა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და ხელოვნებისა.

II

ოჯახი

მორგანმა თავისი ცხოვრება უმეტესწილად იროკეზებს შორის გაატარა, რომელნიც ახლაც ნიუ-იორკის შტატში ცხოვრობენ; იგი იშვილა ერთმა ამ ტომთაგანმა (სენეკას ტომმა). მორგანმა აღმოაჩინა, რომ იროკეზებს შორის არსებობდა ნათესაობის სისტემა, რომელიც მათ ნამდვილ ოჯახურ ურთიერთობას ეწინააღმდეგებოდა. მათში გაბატონებული იყო ორივე მხარის მიერ ადვილად დასარღვევი ის ინდივიდუალური ცოლქმრობა, რომელსაც მორგანი «წყვილად ოჯახს» უწოდებს. მაშასადამე, ასეთი წყვილი ცოლქმრის შთამომავლობა ყველასათვის ცნობილი და საყოველთაოდ აღიარებული იყო: შეუძლებელი იყო დაეჭვება იმაში, თუ ვის მიმართ უნდა გამოეყენებინათ სახელწოდებანი მამა, დედა, ვაჟი, ქალიშვილი, ძმა, და. მაგრამ ამ გამოთქმათა ფაქტიური ხმარება ამას ეწინააღმდეგება. იროკეზი არა მარტო თავის საკუთარ შვილებს, არამედ თავისი ძმების შვილებსაც თავის ვაჟებსა და ქალიშვილებს უწოდებს, ისინი კი მას მამას უწოდებენ. თავისი დების შვილებს კი იგი დისწულებს უწოდებს, ხოლო ეს დისწულები მას ბიძას უწოდებენ. პირიქით, იროკეზი ქალი თავისი დების შვილებს, თავის საკუთარ შვილებთან ერთად, თავის ვაჟებსა და ქალიშვილებს უწოდებს, ისინი კი მას დედას ეძახიან. თავისი ძმების შვილებს იგი უწოდებს თავის ძმისწულებს, თვითონ მას კი მამიდა ეწოდება. ასევე ძმების შვილები ერთმანეთს ძმებსა და დებს უწოდებენ, ისე როგორც დების შვილებიც. პირიქით, დაძმის შვილები ერთმანეთს ბიძაშვილებს უწოდებენ. და ეს არის არა მარტო ცარიელი სახელები, არამედ გამოხატულებანი ფაქტიურად გაბატონებული შეხედულებებისა სისხლიერი ნათესაობის სიახლოვესა და სიშორეზე, თანაბრობასა და უთანაბრობაზე, ეს შეხედუ-

ლებანი წარმოადგენენ ნათესაობის იმ მთლიანად შემუშავებული სისტემის საფუძველს, რომელსაც შეუძლია გამოხატოს ცალკეული ინდივიდის რამდენიმე ასი სხვადასხვაგვარი ნათესაური დამოკიდებულება. კიდევ მეტი: ეს სისტემა მთლიანად ინარჩუნებს ძალას არა მარტო ყველა ამერიკელ ინდიელებში (დღემდე არც ერთი გამონაკლისი არ აღმოჩენილა), არამედ თითქმის შეუცვლელად მოქმედებს აგრეთვე ინდოეთის ძველთაძველ მოსახლეობაში, დეკანის დრავიდულ ტომებში და ინდოსტანის გაურა ტომებში. სამხრეთ ინდოეთის ტამილების და ნიუ-იორკის შტატის სენეკა-ირიოკეზების ნათესაობის გამომხატველი სახელწოდებანი დღესაც ერთნაირია ორასზე უფრო მეტი სხვადასხვაგვარი ნათესაური დამოკიდებულების აღნიშვნისათვის. ამ ინდიელ ტომებშიც, ისევე როგორც ყველა ამერიკელ ინდიელებში, ოჯახის არსებული ფორმიდან გამომდინარე ნათესაური დამოკიდებულებანი ეწინააღმდეგებიან აგრეთვე ნათესაობის სისტემას.

როგორ ავხსნათ ეს? იმ გადამწყვეტი როლის გამო, რომელსაც ყველა ველური და ბარბაროსი ხალხის საზოგადოებრივ წყობილებაში ნათესაობა ასრულებს, შეუძლებელია ამ ესოდენ ფართოდ გავრცელებული სისტემის მნიშვნელობა მარტოოდენ ფრაზებით მოვიშოროთ თავიდან. სისტემა, რომელიც ამერიკაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომელიც არსებობს აგრეთვე აზიაში სრულიად სხვა რასის ხალხებში, რომლის მეტად თუ ნაკლებად შეცვლილი ფორმები ყველგან აფრიკასა და ავსტრალიაში მასობრივად გვხვდება, — ასეთი სისტემა მოითხოვს ისტორიულ ახსნას, და არა ფრაზებით მიფუჩეჩებას, როგორც ამას, მაგალითად, მაკლენანი შეეცადა. სახელწოდებანი მამა, შვილი, ძმა, და უბრალო საპატიო სახელწოდებას როდი წარმოადგენენ, არამედ ისინი შეიცავენ გარკვეულ, მეტად სერიოზულ ურთიერთ ვალდებულებებს, რომელთა ერთობლიობა ამ ხალხების საზოგადოებრივი წყობილების არსებით ხაწილს შეადგენს. ახსნაც აღმოჩნდა. სახდვიჩის (ჰავაის) კუნძულებზე ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა ოჯახის ფორმა, რომელიც სწორედ ისეთ დედამამებს, და-ძმებს და ქალ-ვაჟებს, ბიძებს და მამიდა-დეიდებს, ძმისწულებსა და დისწულებს იძლეოდა, როგორსაც მოითხოვს ნათესაობის ამერიკული და ძველი ინდიური სისტემა. მაგრამ საოცარია! ნათესაობის სისტემა, რომელიც ჰავაის კუნძულებზე ბატონობდა, კელავ არ ემთხვეოდა ოჯახის იმ ფორმას, რაც იქ ფაქტიურად არსებობდა. სახელდობრ, იქ ღვიძლი და-ძმის ყველა შვილები.

გამოუკლებლივ, და-ძმებად ითვლებიან; ისინი ითვლებიან ამასთანავე საერთო შვილებად არა მარტო თავიანთი დედისა და მისი დებისა ან თავიანთი მამისა და მისი ძმებისა, არამედ თავიანთი მშობლების ყველა და-ძმის განურჩევლად. მაშასადამე, თუ ნათესაობის ამერიკული სისტემა გულისხმობს ოჯახის უფრო პრიმიტიულ ფორმას, რომელიც ამერიკაში უკვე აღარ არსებობს, ფორმას, რომელსაც ჩვენ ნამდვილად ჯერ კიდევ ვნახულობთ ჰავაის კუნძულებზე, მეორე მხრივ, ჰავაის სისტემა ნათესაობისა მიგვითითებს ოჯახის კიდევ უფრო პრიმიტიულ ფორმაზე, რომლის არსებობას ჩვენ, მართალია, უკვე ველარსად დავამტკიცებთ, მაგრამ რომელიც უ ნ დ ა არსებულიყო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი ნათესაობის სისტემის წარმოშობა შეუძლებელი იქნებოდა. «ოჯახი, — ამბობს მორგანი, — აქტიური ელემენტია; იგი არასოდეს არაა ერთ ადგილზე გაქვავებული, არამედ დაბალი ფორმიდან უმაღლესში გადადის, იმ ზომით, რა ზომითაც საზოგადოება დაბალი საფეხურიდან უმაღლესი საფეხურისაკენ ვითარდება. პირიქით, ნათესაობის სისტემები პასიურია; ისინი მხოლოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ აღნიშავენ იმ პროგრესს, რომელიც ოჯახმა დროთა ვითარებაში განვლო, და რადიკალურ ცვლილებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში განიცდიან, როცა ოჯახი რადიკალურად შეცვლილია». «და სწორედ ასევე, — დასძენს მარქსი, — ემართება პოლიტიკურ, იურიდიულ, რელიგიურ, ფილოსოფიურ სისტემებს საერთოდ». მაშინ როდესაც ოჯახი განაგრძობს არსებობას, ნათესაობის სისტემა ქვავდება, და მაშინ როდესაც ნათესაობის სისტემა განაგრძობს ჩვეულებისამებრ არსებობას, ოჯახი უსწრებს მას ზრდაში. მაგრამ იმავე უეჭველობით, როგორითაც კიუვიეს პარიზის მახლობლად აღმოჩენილი ჩანთოსანი ცხოველის ჩონჩხის ცალკეული ძვლების მიხედვით შეეძლო დაესკვნა, რომ ეს ჩონჩხი ჩანთოსან ცხოველს ეკუთვნის და რომ იქ ოდესღაც გადაშენებულ ჩანთოსან ცხოველებს უცხოვრიათ, — ასეთივე უეჭველობით შეგვიძლია ჩვენ ისტორიულად ჩვენამდე მოღწეული ნათესაობის სისტემის მიხედვით დავასკვნათ, რომ არსებულა ამ სისტემის შესაბამისი გადაგვარებული ოჯახის ფორმა.

ზემოაღნიშნული ნათესაობის სისტემები და ოჯახის ფორმები იმით განსხვავდებიან ამჟამად გაბატონებული სისტემებისა და ფორმებისაგან, რომ იქ ყოველ ბავშვს რამდენიმე დედ-მამა ჰყავს. ნათესაობის ამერიკული სისტემის მიხედვით, რომელსაც ჰავაის ოჯახი შეესაბამება, შეუძლებელია და-ძმა ერთი და იმავე ბავშვის დედ-

მამა იყოს; ჰავაის ნათესაობის სისტემა კი, პირიქით, გულისხმობს ოჯახს, სადაც ეს წესად იყო. აქ ჩვენ გვაქვს ოჯახის მთელი რიგი ისეთი ფორმები, რომელნიც პირდაპირ ეწინააღმდეგებიან იმ ფორმებს, რომელთაც დღემდე ჩვეულებრივ ერთადერთ ნამდვილ ფორმებად სთვლიდნენ. ტრადიციული წარმოდგენა იცნობს მხოლოდ ერთცოლიანობას, მის გვერდით მამაკაცის მრავალცოლიანობას და კიდევ, მგონი, დედაკაცის მრავალქმრიანობას, და ამასთანავე, როგორც ეს ზნეობის მქადაგებელ ფილისტერს შეეფერება, სდუმს იმის შესახებ, რომ პრაქტიკა ფარულად, მაგრამ მოურიდებლად არღვევს ოფიციალური საზოგადოების მიერ დაწესებულ ამ ზღუდეებს. პირველყოფილი ისტორიის შესწავლა, პირიქით, ნათელყოფს ჩვენთვის ისეთ მდგომარეობას, სადაც მამაკაცებს ჰყავთ მრავალი ცოლი, ხოლო მათ ცოლებს იმავდროულად — მრავალი ქმარი, რის გამოც მათი შვილები საერთო შვილებად ითვლებიან ყველა მათთვის; ეს მდგომარეობა თავის მხრივ, ვიდრე ის საბოლოოდ ინდივიდუალურ ცოლქმრობაში გადავიდოდეს, კვლავ მთელ რიგ ცვლილებას განიცდის. ეს ცვლილებანი ისეთი სახისაა, რომ ის წრე, რომელსაც საერთო ცოლქმრობის კავშირი ფარგლავს, და რომელიც თავდაპირველად მეტად ფართო იყო, სულ უფრო და უფრო ვიწროვდება, ვიდრე, ბოლოს, მხოლოდ ერთი წყვილი დარჩებოდეს, რომელიც ამჟამადაა გაბატონებული.

მორგანი ამნაირად აგებს ოჯახის ისტორიას შებრუნებული წესით და, თავისი კოლეგების უმრავლესობასთან ერთად, იმ დასკვნამდე მიდის, რომ არსებობდა პირველყოფილი მდგომარეობა, როცა ტომის შიგნით შეუზღუდველი სქესობრივი ურთიერთობა ბატონობდა, ასე რომ ყოველი დედაკაცი ყოველ მამაკაცს, ხოლო ყოველი მამაკაცი ყოველ დედაკაცს თანაბრად ეკუთვნოდა. ასეთ პირველყოფილ მდგომარეობაზე ლაპარაკობდნენ უკვე მეთვრამეტე საუკუნიდან, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ზოგადი ფრაზებით ლაპარაკი. პირველად მხოლოდ ბახოფენმა, — და ეს იყო მისი ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება, — მიაქცია ამ საკითხს სერიოზული ყურადღება და ამ მდგომარეობის კვალს ისტორიულ და რელიგიურ გადმოცემებში ეძებდა. ამჟამად ჩვენ ვიცით, რომ მის მიერ აღმოჩენილ კვალს მივყევართ არა უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობის საზოგადოებრივი საფეხურისაკენ, არამედ გაცილებით უფრო გვიანდელი ფორმისაკენ — ჯგუფობრივი ცოლქმრობისაკენ. ეს პრიმიტიული საზოგადოებრივი საფეხური, — თუ კი იგი ნამდვილად არსებობდა, — ისეთ შორეულ ეპოქას ეკუთვნის, რომ ძნელი მოსალოდნელია სოციალურ

ნამარხებში, განვითარების მხრივ ჩამორჩენილ ველურებში, იმის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები ვიპოვოთ, რომ აღნიშნული საფეხური ოდესმე წარსულში არსებობდა. ბახოფენის დამსახურება სწორედ ისაა, რომ მან ეს საკითხი გამოკვლევის წინა რიგში წამოაყენა[1].

დიდი ხანი არაა, რაც მოდად იქცა ადამიანის სქესობრივი ცხოვრების ამ დაწყებითი საფეხურის უარყოფა. ამით უნდათ კაცობრიობას «სამარცხვინო ლაქა» მოაშორონ. ამასთან იმოწმებენ არა მარტო რაიმე პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთის უქონლობას, არამედ განსაკუთრებით დანარჩენი ცხოველების სამყაროდან აღებულ მაგალითს: ცხოველთა სამყაროდან ლეტურნომ («ქორწინებისა და ოჯახის ევოლუცია», 1888 [2]) უამრავი ფაქტი შეაგროვა, რომელთა მიხედვით აქაც სრულიად უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობა განვითარების დაბალი საფეხურის დამახასიათებელი უნდა იყოს. მაგრამ ყველა ამ ფაქტიდან მე შემიძლია მხოლოდ ის დასკვნა გამოვიტანო, რომ ისინი ადამიანისა და მისი ცხოვრების პირველყოფილი პირობების შესახებ აბსოლუტურად არაფერს არ ამტკიცებენ. ხანგრძლივად დაწყვილებული თანაცხოვრება ხერხემლიან ცხოველებში საკმარისად აიხსნება ფიზიოლოგიური მიზეზებით: მაგალითად, ფრინველებში იმით, რომ დედალი დახმარებას საჭიროებს ბარტყების გამოჩეკის პერიოდში. მკაცრი მონოგამიის მაგალითები, რომელთაც ჩვენ ფრინველებში ვხვდებით, არაფერს არ ამტკიცებენ ადამიანების მიმართ, რადგან ადამიანები ხომ ფრინველებისაგან არ წარმოსდგებიან. და თუ მკაცრი მონოგამია ყო-

[1] თუ რამდენად ნაკლებად ესმოდა ბახოფენს, რა აღმოაჩინა ან, უკეთ რომ ვთქვათ, რა გამოიცნო მან, ამას იგი იმით ამტკიცებს, რომ ამ პირველყოფილ მეგობარეობას ჰეტერიზმს უწოდებს. ჰეტერიზმით ბერძნები აღნიშნავდნენ, როცა მათ ეს სიტყვა ხმარებაში შემოიღეს, უცოლო ან ინდივიდუალურ ცოლქმრობაში მცხოვრები მამაკაცების კავშირს უქმრო დედაკაცებთან; იგი გულისხმობს ყოველთვის ქორწინების გარკვეულ ფორმას, რომლის გარეშეც ეს კავშირი ხორციელდება, და შეიცვალა, ყოველ შემთხვევაში უკვე როგორც შესაძლებლობას, პროსტიტუციას. სხვა აზრით ეს სიტყვა არასოდეს არ იხმარებოდა, და ამ აზრით ვხმარობ მას ენეც მორგანთან ერთად. ბახოფენის უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩენანი ყველგან წარმოდგენილად მისტიკური ხასიათს ღებულობენ მისი იმ ყალბი წარმოდგენის გამო, თითქოს მამაკაცსა და დედაკაცს შორის ისტორიულად წარმოშობილი ურთიერთობის წყარო მუდამ უნდა ყოფილიყო შესაბამისი რელიგიური წარმოდგენანი ადამიანებისა, და არა მათი ნამდვილი ცხოვრების პირობები. (ენგელსის შენიშვნა).

[2] Letourneau Ch., L'évolution du mariage et de la famille. Paris, 1888. რედ.

ველგვარი სათნოების მწვერვალია, მაშინ პირველობის დაფნის გვირგვინი სამართლიანად სოლიტერს ეკუთვნის, რომელსაც 50—200 პროგლოტიდი, ანუ სხეულის რგოლი, აქვს და თვითეული მათგანი სრული მდედრობითი და მამრობითი აპარატითაა აღჭურვილი და სოლიტერი მთელ თავის ცხოვრებას იმაში ატარებს, რომ თვითეულ ამ რგოლში თავის თავს მამლავს. თუ ჩვენ მხოლოდ ძუძუმწოვარი ცხოველების მაგალითით დავკმაყოფილდებით, აქ ვნახავთ სქესობრივი ცხოვრების ყველა ფორმას: უწესრიგო ურთიერთობას, ჯგუფობრივი ცოლქმრობის მსგავს მოვლენას, მრავალცოლიანობას, ინდივიდუალურ ცოლქმრობას; გვაკლია მხოლოდ მრავალქმრიანობა, რომლის შექმნაც მარტო ადამიანებს შეეძლოთ. ჩვენი უახლოესი ნათესავებიც კი, ოთხხელიანი ცხოველები, ყოველ შესაძლებელ განსხვავებას ამჟღავნებენ დედლისა და მამლის დაჯგუფებაში; ხოლო თუ ჩვენ კიდევ უფრო ვიწრო ფარგალს შემოვავლებთ და ადამიანის მსგავსი მაიმუნის მხოლოდ ოთხ სახეს განვიხილავთ, აქ ლეტურნოს მხოლოდ ის შეუძლია გვითხრას, რომ მათში ხან მონოგამიას, ხან კი პოლიგამიას [1] ვხვდებითო, მაშინ როდესაც სოსიური, ჟირო-ტელონის მიხედვით, ამტკიცებს, ისინი მონოგამურნი არიანო. ასევე ვესტერმარკის მიერ ახლად წამოყენებული მტკიცებანი («ადამიანთა ცოლქმრობის ისტორია», ლონდონი, 1891 [2]) ადამიანის მსგავსი მაიმუნების მონოგამიის შესახებ სრულიად არ გამოდგება დამამტკიცებელ საბუთად. ერთი სიტყვით, არსებული ცნობები ისეთი ხასიათისაა, რომ კეთილსინდისიერი ლეტურნო აღიარებს: «თუმცაღა ძუძუმწოვარ ცხოველებში სრულიად არ არსებობს მტკიცე შესაბამისობა ინტელექტუალური განვითარების საფეხურსა და სქესობრივი კავშირის ფორმას შორის». ხოლო ესპინასი («ცხოველების საზოგადოებათა შესახებ», 1877 [3]) პირდაპირ ამბობს: «ჯოგი — ეს უმაღლესი სოციალური ჯგუფია, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ცხოველებში. იგი, როგორც ჩანს, ოჯახებისგან შედგება, მაგრამ თავიდანვე ოჯახი და ჯოგი ანტაგონიზმში იმყოფებიან, ისინი შებრუნებული შეფარდებით ვითარდებიან».

---

[1] პოლიგამია (ბერძნულიდან პოლი — ბევრი და გამოს — ქორწინება)— სიტყვასიტყვით მრავალქორწინება. ჩვეულებრივ ამას უწოდებენ მრავალცოლიანობას. რედ.

[2] Westermarck E. A., «The history of human marriage. London, 1891 რედ.

[3] Espinas A., Des sociétées animales. Étude de psychologie comparée. Paris 1877. რედ.

როგორც უკვე ზემონათქვამიდან ჩანს, ადამიანის მსგავსი მაიმუნების ოჯახურ და სხვა საზოგადოებრივ დაჯგუფებათა შესახებ არაფეი გარკვეული რამ ჩვენ არ ვიცით; ამ საკითხზე არსებული ცნობები პირდაპირ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ეს არც გასაკვირველია. როგორ წინააღმდეგურია და რა მაგარ კრიტიკულ შემოწმებასა და გაცხრილვას საჭიროებენ ის ცნობებიც კი, რომელნიც ჩვენ ადამიანთა ველურ ტომებზე მოგვეპოვება! ხოლო მაიმუნების საზოგადოებათა დაკვირვება და შესწავლა ბევრად უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე ადამიანთა საზოგადოებისა. მაშასადამე, ჯერჯერობით ჩვენ უნდა უკუვაგდოთ ყოველი დასკვნა, რომელიც ასეთი აბსოლუტურად არასაიმედო ცნობების საფუძველზეა გაკეთებული.

პირიქით, ესპინასის ზემოაღნიშნული დებულება უფრო მტკიცე დასაყრდენ პუნქტს გვაძლევს. ჯოგი და ოჯახი უმაღლეს ცხოველებში ერთი მეორეს კი არ ავსებენ, არამედ ერთმანეთის დაპირისპირებანი არიანო. ესპინასი შესანიშნავად ცხადყოფს, თუ ხვადის მოშურნეობა ამძუნების პერიოდში როგორ ასუსტებს ყოველ საზოგადოებრივ კავშირს ჯოგში ანდა სპობს კიდეც მას დროებით. «იქ, სადაც ოჯახი მჭიდროდაა შეკავშირებული, ჯოგები იქმნება მხოლოდ როგორც იშვიათი გამონაკლისი. პირიქით, იქ, სადაც თავისუფალი სქესობრივი ურთიერთობა, ანუ პოლიგამია, ბატონობს, ჯოგი თითქმის თავისთავად წარმოიშვება... იმისათვის, რომ ჯოგი წარმოიშვას, ოჯახური კავშირი უნდა შესუსტდეს და ინდივიდი კვლავ თავისუფალი უნდა გახდეს. ამიტომაცაა, რომ ფრინველებში ასე იშვიათად ვხვდებით ორგანიზებულ გუნდს... პირიქით, ძუძუმწოვარ ცხოველებში ჩვენ ვხვდებით რამდენადმე ორგანიზებულ საზოგადოებებს სწორედ იმიტომ, რომ აქ ოჯახი არ ნთქავს ინდივიდს... მაშასადამე, ჯოგის ჯოგური ერთობის გრძნობას მისი წარმოშობის დროს შეუძლებელია იმაზე უფრო დიდი მტერი ჰყავდეს, ვიდრე ოჯახური ერთობის გრძნობაა. არ დავაყოვნებთ და პირდაპირ ვიტყვით: თუ ოჯახზე უფრო მაღალი საზოგადოებრივი ფორმა განვითარდა, ეს მხოლოდ იმის შემწეობით შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ მან შთანთქა ეს ოჯახები, რომელთაც საფუძვლიანი ცვლილება განიცადეს; მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ამ ოჯახებს სწორედ ამის წყალობით მიეცათ შემდეგში იმის შესაძლებლობა, რომ შეუდარებლად უფრო ხელსაყრელ პირობებში ხელახლა ჩაშოყალიბებულიყვნენ» (ესპინასი, თავი

I; ციტირებულია ჟირო-ტელონიდან: «ცოლქმრობისა და ოჯახის წარმოშობა», 1884, [1] გვ. 518 — 520).

აქედან ჩანს, რომ ცხოველთა საზოგადოებებს, რა თქმა უნდა, ერთგვარი მნიშვნელობა აქვთ დასკვნების გასაკეთებლად ადამიანთა საზოგადოებების შესახებ, მაგრამ მხოლოდ უარყოფითი. უმაღლეს ხერხემლიან ცხოველებში ცნობილია, რამდენადაც ვიცით, ოჯახის მხოლოდ ორი ფორმა: მრავალცოლიანობა და ცალკეულ წყვილებად შეუღლება; ორივე შემთხვევაში დაშვებულია მხოლოდ ერთი მომწიფებული მამალი, მხოლოდ ერთი მეუღლე. მამლის მოშურნეობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს აკავშირებს და ზღუდავს ცხოველთა ოჯახს, ამ უკანასკნელს და ჯოგს ერთმანეთს უპირისპირებს. ჯოგი, საერთო ცხოვრების ეს უმაღლესი ფორმა, ერთ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება, მეორე შემთხვევაში სუსტდება ანდა ამძუნების დროს იშლება, უკეთეს შემთხვევაში კი შეფერხებას განიცდის თავის შემდგომ განვითარებაში მამლის მოშურნეობის გამო. მარტო ესაა საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ ცხოველთა ოჯახი და ადამიანთა პირველყოფილი საზოგადოება შეუთავსებელი მოვლენებია, რომ პირველყოფილი ადამიანები, რომელნიც ცხოველური მდგომარეობიდან უფრო მაღალი მდგომარეობისაკენ გზას იკაფავდნენ, ან სულ არ იცნობდნენ ოჯახს, ანდა, დიდი-დიდი, ისეთ ოჯახს იცნობდნენ, როგორიც ცხოველებში არ გვხვდება. ისეთ უიარაღო ცხოველს, როგორიცაა ადამიანი თავისი ქმნადობის პროცესში, კიდევ შეეძლო მცირე რაოდენობით თავის გატანა იზოლირებულად არსებობის პირობებშიც კი, როცა ურთიერთობის უმაღლეს ფორმას შეადგენს ცალკეული წყვილი, როგორც ამას ვესტერმარკი, მონადირეთა ცნობების მიხედვით, გორილასა და შიმპანზეს მიაწერს. მაგრამ იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო განვითარების პროცესში ცხოველური მდგომარეობიდან გამოსვლა და იმ უდიდესი პროგრესის განხორციელება, რასაც ბუნება გვიჩვენებს, საჭირო იყო კიდევ ერთი ელემენტი: თავდაცვის ის უნარი, რომელიც ცალკეულ ინდივიდს აკლდა, უნდა შეცვლილიყო ჯოგის გაერთიანებული და კოლექტიური მოქმედებით. იმ პირობებით, რომელშიც ამჟამად ადამიანის მსგავსი მაიმუნები ცხოვრობენ, ადამიანურ მდგომარეობაში გადასვლის ახსნა პირდაპირ შეუძლებელი იქნებოდა. ეს მაიმუნები უფ-

[1] Giraud — Teulon A., Les origines du mariage et de la famille. Genève, 1884. რედ.

რო გზაგადახვეული გვერდითი ხაზების შთაბეჭდილებას ახდენენ, რომელნიც თანდათანობით გადაგვარებისაკენ მიდიან და, ყოველ შემთხვევაში, დაქვეითების მდგომარეობაში იმყოფებიან. მარტო ეს გარემოება საკმარისია, რათა უკუვაგდოთ დასკვნების გასაკეთებლად ყოველივე პარალელის გავლება ამ ცხოველების ოჯახის ფორმებსა და პირველყოფილ ადამიანთა ოჯახის ფორმებს შორის. მომწიფებული მამლების ურთიერთ ატანა კი, განთავისუფლება მოშურნეობისაგან პირველი პირობა იყო ისეთი მოზრდილი და ხანგრძლივი ჯგუფების შესაქმნელად, რომელთა ფარგლებში შეიძლებოდა სწორედ მომხდარიყო ცხოველის გარდაქმნა ადამიანად. და, მართლაც, რას ვპოულობთ ჩვენ ოჯახის უძველესი, ყველაზე პირველყოფილი ფორმის სახით, რომლის არსებობაც ისტორიაში ჩვენ უცილობლად შეგვიძლია დავამტკიცოთ და რომელიც დღესაც აქა-იქ შეგვიძლია შევისწავლოთ? ჯგუფობრივ ცოლქმრობას, ცოლქმრობის ისეთ ფორმას, სადაც მამაკაცების და დედაკაცების მთელი ჯგუფი ეკუთვნიან ერთმანეთს და სადაც მხოლოდ ცოტა ადგილი რჩება მოშურნეობისათვის. შემდეგ, განვითარების მერმინდელ საფეხურზე ჩვენ ვპოულობთ მარტოოდენ მრავალქმრიანობის ფორმას, რომელიც სხვა ფორმებს გამორიცხავს, ფორმას, რომელიც კიდევ უფრო ეწინააღმდეგება მოშურნეობის ყოველივე გრძნობას და ამიტომ უცნობია ცხოველებისათვის. ამაგრამ რადგან ჯგუფობრივი ცოლქმრობის ფორმებს, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, იმდენად თავისებურად გართულებული პირობები ახლავს, რომ ეს პირობები აუცილებლად მიგვითითებენ სქესობრივი ურთიერთობის უფრო ადრინდელ, უფრო მარტივ ფორმებზე, და ამასთანავე, საბოლოო ანგარიშით, მიგვითითებენ უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობის იმ პერიოდის არსებობაზე, რომელიც ცხოველის მდგომარეობიდან ადამიანის მდგომარეობაში გადასვლას შეესაბამება, — ამიტომ ცხოველთა შეუღლების დამოწმებას ჩვენ სწორედ იმ პუნქტთან მივყევართ, რომლიდანაც მას ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავეშორებინეთ.

რას ნიშნავს უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობა? ეს ნიშნავს, რომ ამჟამად ან რომელიმე უფრო ადრინდელ დროში მოქმედი აკრძალვითი ხასიათის შეზღუდვებს არ ჰქონიათ მაშინ ძალა. ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ დაეცა ძოშურნეობით გამოწვეული შეზღუდვა. თუ კი რაიმე მტკიცედ დადგენილია, ეს ისაა, რომ მოშურნეობა შედარებით მოგვიანებით განვითარებული გრძნობაა. იგივე ითქმის სისხლის აღრევის შესახებ არსებულ წარმოდგენაზე. არა

მარტო და-ძმა იყო თავდაპირველად ცოლ-ქმარი, არამედ სქესობრივი ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის მრავალ ხალხში ამჟამადაც ნებადართულია. ბანკროფტი («ჩრდილო ამერიკის წყნარ ოკეანეს შტატების ადგილობრივი ტომები», 1875, ტ. [1]) ამოწმებს, რომ ასეთი ურთიერთობა არსებობდა ბერინგის სრუტესთან მცხოვრებ კავიატებში, ალიასკის მახლობლად მცხოვრებ კადიაკებში, ბრიტანეთის ჩრდილო ამერიკის შიგნით მოსახლე ტინეჰელებში; ლეტურნო იძლევა ამავე ფაქტის დამადასტურებელ შეჯამებულ ცნობებს ჩიპენვეი ინდიელების, ჩილიფლი კუკუსების, ინდო-ჩინეთის კარაიბების, კარენელების შესახებ; არაფერს ვამბობთ იმაზე, რასაც ძველი ბერძნები და რომაელები მოგვითხრობენ პართების, სპარსელების, სკვითების, ჰუნებისა და სხვ. შესახებ. ვიდრე სისხლის აღრევას აღმოაჩენდნენ (ეს კი აღმოჩენა იყო, და თანაც უაღრესად ძვირფასი), სქესობრივ ურთიერთობას მშობლებსა და შვილებს შორის შეუძლებელია უფრო შეტი ზიზღი გამოეწვია, ვიდრე სქესობრივ ურთიერთობას იმ პირთა შორის, რომელნიც სხვადასხვა თაობებს ეკუთვნოდნენ, და ეს ხომ ახლაც ხდება ყველაზე ფილისტერულ ქვეყნებშიც კი, მაგრამ დიდ აღშფოთებას არ იწვევს. სამოც წელს გადაცილებული ბებერი «ქალწულებიც» კი, თუ ისინი საკმაოდ მდიდარნი არიან, თხოვდებიან ზოგჯერ ოცდაათი წლის ვაჟკაცებზე, ხოლო თუ ოჯახის ყველაზე პირველყოფილ ფორმებს, რომელნიც ჩვენთვის ცნობილი არიან, ჩამოვაცილებთ მათთან დაკავშირებულ წარმოდგენებს სისხლის აღრევის შესახებ, — წარმოდგენებს, რომელნიც სრულიად განსხვავდებიან ჩვენი წარმოდგენებისაგან და ხშირად პირდაპირ ეწინააღმდეგებიან მათ, — მივიღებთ სქესობრივი ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მხოლოდ უწესრიგო ფორმა. უწესრიგო იმდენად, რამდენადაც შემდეგში ზნე-ჩვეულებით დაწესებული შეზღუდვანი ჯერ კიდევ არ არსებობდა. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს აუცილებლობა უწესრიგო უთიერთობისა ყოველდღიურ პრაქტიკაში. დროებით წყვილადი ცხოვრება, როგორც ეს დღეს ხდება უმეტეს წილად ჯგუფობრივ ცოლქმრობაშიც კი, სრულიადაც არაა გამორიცხული. და თუ ვესტერმარკი, უახლესი იმ მკვლევართაგან, რომელნიც ასეთ პირველყოფილ მდგომარეობას უარყოფენ, შეუღლებას უწოდებს ყოველ შემთხვევას, როცა

[1] Bancroft H. H., The native races of the pacific states of North America. Vol. I—V. New-York, 1875—1876. რედ.

ორივე სქესი დაწყვილებული რჩება ბავშვის დაბადებამდე, — უნდა ითქვას, ოომ ასეთი სახის შეუღლებას სულ ადვილად შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობის მდგომარეობაში და იგი სრულიად არ ეწინააღმდეგებოდა უწესრიგობას, ე. ი. ივ გარემოებას, რომ არსებობდა ზნე-ჩვეულების მიერ დაწესებული შეზღუდვანი სქესობრივი ურთიერთობისა. რა თქმა უნდა, ვესტერმარკი გამოდის იმ თვალსაზრისიდან, რომ «უწესრიგობა გულისხმობს ინდივიდუალურ მიდრეკილებათა დათრგუნვას», ასე რომ «მისი ყველაზე ნამდვილი ფორმა პროსტიტუცია არისო». მე კი, პირიქით, მგონია, რომ პირველყოფილი მდგომარეობის გაგება სრულიად შეუძლებელია მანამდე, ვიდრე მას საროსკიპოს სათვალეებით ვუცქერით. ჯგუფობრივი ცოლქმრობის განხილვისას ჩვენ ხელახლა დავუბრუნდებით ამ საკითხს.

მორგანის მიხედვით, უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობის ამ პირველყოფილი მდგომარეობიდან, ალბათ, ძალიან ადრე განვითარდა:

1. სისხლმონათესავე ოჯახი — ოჯახის პირველი საფეხური. აქ ცოლქმრული ჯგუფები დაყოფილია თაობათა მიხედვით: პაპები და დიდედები ოჯახის ფარგლებში ყველანი ერთმანეთისათვის ცოლქმარს წარმოადგენენ, ასევე მათი შვილებიც, ე. ი. მამები და დედები; აგრეთვე ამ უკანასკნელთა შვილები თავიანთი მხრივ საერთო ცოლქმრების მესამე წრეს შეადგენენ, მათი შვილები კი, ე. ი. პირველთა შვილისშვილის შვილები, — მეოთხე წრეს. მაშასადამე, ოჯახის ამ ფორმაში ურთიერთ ცოლქმრული უფლებები და მოვალეობანი (როგორც თანამედროვე ენით ვიტყოდით) გამორიცხულია ხხოლოდ წინაპრებსა და ჩამომავლებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის. ძმები და დები, ბიძაშვილები პირველი, მეორე და უფრო შორეული საფეხურისა, — ყველანი ერთმანეთის და-ძმანი არიან და სწორედ ამიტომ ერთმანეთის ცოლქმრებად ითვლებიან. და-ძმის ნათესაური დამოკიდებულება ოჯახის ამ საფეხურზე თავისთავად გულისხმობს მათ შორის სქესობრივი ურთიერთობის არსებობას [1]. ასეთი ოჯახის ტიპიური

[1] ერთ წერილში, რომელიც 1882 წლის გაზაფხულზეა დაწერილი, მარქსი უალრესად მკვეთრი სიტყვებით გამოთქვამს თავის გულისწყრომას პირველყოფილი ეპოქის იმ სრული გაყალბების გამო, რაც ვაგნერის «ნიბელუნგების» ტექსტშია მოცემული.» «განა ოდესმე გაგონილა, რომ ძმა და მოხვეოდეს როგორც საცოლეს?» ეაგნერის ამ «აეხორც ღმერთებს», რომელთაც თავიანთ მიჯნურობაში ცოტაოდენი სისხლის შერევით ჩვენი დროის შესაბამისი

მაგალითი იქნებოდა ერთი წყვილის შთამომავლობა, სადაც თავის მხრივ ყოველი შემდგომი ცალკეული საფეხურის შთამომავალნი ერთმანეთის ძმებად და დებად და სწორედ ამიტომ ქმრებად და ცოლებად ჩაითვლებოდნენ.

სისხლმონათესავე ოჯახი მოისპო. ყველაზე ველურ ხალხებშიც კი, რომელთა შესახებ ისტორია მოგვითხრობს, ვერ მოვნახავთ ასეთი ოჯახის ვერც ერთ უტყუარ მაგალითს. მაგრამ ასეთი ოჯახი რომ უნდა არსებულიყო, ამის აღიარებას გვაიძულებს ჰავაის კუნძულებზე არსებული და მთელს პოლინეზიაში დღესაც კიდევ ძალაში მყოფი ნათესაობის სისტემა, რომელიც სისხლიერი ნათესაობის ისეთ საფეხურებს გამოხატავს, როგორიც მხოლოდ ოჯახის ასეთი ფორმის არსებობის დროს შეიძლება წარმოიშვას; ამის აღიარებას გვაიძულებს ოჯახის მთელი შემდგომი განვითარება რომელიც გულისხმობს ამ ფორმას როგორც აუცილებელ თავდაპირველ საფეხურს.

პიკანტობა შეაქვთ, მარქსი უპასუხებს: «პირველყოფილ ეპოქაში და ცოლი იყო და ეს ზნეობრივად ითვლებოდა». (ენგელსის შენიშვნა).

ერთი ფრანგი მეგობარი და ვაგნერის თაყვანისმცემელი არ ეთანხმება ამ შენიშვნას, და აღნიშნავს, რომ უკვე უძველეს «ედდაში», რომელსაც ვაგნერი ეყრდნობოდა «ეგისდრეკაში», ლოკი ასე უსაყვედურებს ფრეიას: «ღმერთების წინაშე შენ ეხვეოდი საკუთარ ძმას». მაშასადამე, თითქოს აქედან გამომდინარეობს, რომ და-ძმის ცოლქმრობა უკვე მაშინ აკრძალული ყოფილა. მაგრამ «ეგისდრეკა» იქ დროის გამოხატულებას წარმოადგენს, როცა ძველი მითების რწმენა მოლიანად დამსუსტრეული იყო; იგი წმინდა ლუკიანისებური სატირაა ღმერთების მიმართ. თუ ლოკი იქ მეფისტოფელივით ფრეიას ასეთ საყვედურს ეუბნება, ეს უფრო ვაგნერის წინაადმდეგ ლაპარაკობს. აბასთან რამდენიმე ლექსის შემდეგ ლოკი ნიორდსაც ეუბნება: «შენს დასთან ერთად გააჩინე (ასეთი) ვაჟი» (vidh systur thinni gaztu slikan mög). მართალია, ნიორდი ანზე როდია, არამედ ვანეა. და ინგლინგა საგაში ის ლაპარაკობს, და-ძმის ცოლქმრობა ვანებს შორის ჩვეულებრივი მოვლენაა, რაც ანზებში არ ხდებაო. ეს იქნებოდა იმის მაჩვენებელი ნიშანი, რომ ვანები უფრო ძველი ღმერთები არიან, ვიდრე ანზები. ყოველ შემთხვევაში, ნიორდი ცხოვრობს ანზებს შორის, როგორც თავის თანასწორთა შორის და, ამრიგად, ეგისდრეკა უფრო იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ ღმერთების შესახებ ნორვეგიული ლეგენდების წარმოშობის ხანაში და-ძმის ცოლქმრობა, ღმერთებს შორის მაინც, არავითარ აღშფოთებას არ იწვევდა. თუ კი ვაგნერის გამართლება გვინდა, შეიძლება უკეთესი იქნებოდა ედდას ნაცვლად გოეტე დაგვემოწმებინა რომელიც თავის ბალადაში ღმერთსა და ბაიადერზე ასეთსავე შეცდომას უშვებს რელიგიური მიზნებით ნაკარნახევი იმ ჩვეულების შესახებ, რომლის თანახმად ქალი ვალდებული იყო მამაკაცს დანებებოდა ტაძარში, და ამ ჩვეულებას მეტისმეტად უახლოებს თანამედროვე პროსტიტუციას. (ენგელსის შენიშვნა მეოთხე გამოცემისათვის).

2. პუნალუა ოჯახი. თუ პირველი წინგადადგმული ნაბიჯი ოჯახის ორგანიზაციის საქმეში ის იყო, რომ მშობლები და შვილები გამორიცხულნი შეიქნენ სქესობრივი ურთიერთობიდან, მეორე ნაბიჯს წარმოადგენდა დებისა და ძმების გამორიცხვა ამ სქესობრივი ურთიერთობიდან. ეს ნაბიჯი, მონაწილეთა უფრო დიდი ასაკობრივი თანატოლობის გამო, შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანი, მაგრამ ამასთან უფრო ძნელიც იყო, ვიდრე პირველი. იგი თანდათანობით ხორციელდებოდა, დაიწყო, ალბათ, ღვიძლი და-ძმის გამორიცხვით სქესობრივი ურთიერთობიდან (ე. ი. დედის მხრიდან), ჯერ ცალკეულ შემთხვევებში, შემდეგ კი თანდათანობით წესად იქცა (ჰავაის კუნძულებზე გამონაკლის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ამ საუკუნეშიც) და დასრულდა იმით, რომ ცოლქმრობა აიკრძალა გვერდითი ხაზებითაც კი, ე. ი. როგორც ჩვენ ამას ვუწოდებთ, ღვიძლი და-ძმანის შვილებისა, შვილიშვილებისა და შვილიშვილის შვილებისათვის; ეს ნაბიჯი წარმოადგენს, მორგანის აზრით, «იმის საუცხოო ილუსტრაციას, თუ როგორ მოქმედებს ბუნებრივი შერჩევის პრინციპი». ეჭვს გარეშეა, რომ ის ტომები, რომლებშიც სისხლმონათესავე პირთა სქესობრივი ურთიერთობა ამ წინსვლით შეიზღუდა, უფრო სწრაფად და სრულყოფილად უნდა განვითარებულიყვნენ, ვიდრე ისინი, სადაც ძმებსა და დებს შორის ცოლქმრობა წესად და მოვალეობად დარჩა. ხოლო თუ როგორ ძლიერად იჩინა თავი ამ წინსვლის გავლენამ, ამას ამტკიცებს მისგან უშუალოდ გამომდინარე და თავდაპირველ მიზანზე უფრო შორს მიმავალი დაწესება გვარისა, რომელიც ქმნის დედამიწის ბარბაროს ხალხთა უმრავლესობის, თუ ყველასი არა, საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძველს, და რომლიდანაც ჩვენ საბერძნეთსა და რომში უშუალოდ გადავდივართ ცივილიზაციის ეპოქაში.

ყოველი პირველყოფილი ოჯახი სულ დიდი რამდენიმე თაობის შემდეგ აუცილებლად უნდა გათიშულიყო. პირველყოფილი კომუნისტური საერთო ოჯახური მეურნეობა, რომელიც ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ბარბაროსობის შუა საფეხურამდე ბატონობს, განსაზღვრავდა ოჯახური თემის მაქსიმალურ მოცულობას, რომელიც პირობებისდა მიხედვით იცვლებოდა, მაგრამ ყოველი ამა თუ იმ ადგილისათვის ეს მოცულობა საკმაოდ გარკვეული იყო. როგორც კი წარმოიშვა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სქესობრივი ურთიერთობა ერთი დედის შვილებს შორის დაუშვებელი იყო, მის გავლენას თავი უნდა ეჩინა ძველი სახლისეული თემების

(Hausgemeinden) (ეს თემები აუცილებლად როდი ემთხვეოდნენ ოჯახურ ჯგუფებს) ასეთი გათიშვისა და ახალი თემების დაარსების დროს. ერთი ან რამდენიმე წყება დებისა ხდებოდა ბირთვი ერთი თემისა, მათი ღვიძლი ძმები კი — ბირთვი მეორე თემისა. ასეთი ან მსგავსი გზით სისხლმონათესავე ოჯახისაგან წარმოდგა ოჯახის ის ფორმა, რომელსაც მორგანმა პუნალუა ოჯახი უწოდა. ჰავაის ჩვეულების მიხედვით რამდენიმე და ან ბიძაშვილი (პირველი, მეორე, მესამე საფეხური), განსაზღვრული რაოდენობა დებისა — ღვიძლი ან უფრო შორეული ნათესავები (ე. ი. ბიძაშვილები პირველი, მეორე, მესამე და ა. შ. საფეხურისა) — საერთო ცოლები იყვნენ მათი საერთო ქმრებისა, მაგრამ ამ უკანასკნელთა რიცხვიდან გამორიცხული იყვნენ მათი ძმები; ეს ქმრები ერთმანეთს უკვე ძმებს კი აღარ უწოდებდნენ, — და მათთვის აღარც იყო საჭირო ძმები ყოფილიყვნენ, — არამედ «პუნალუას», ე. ი. უახლოეს ამხანაგს, ასე ვთქვათ, associé-ს (თანამოზიარეებს). ასევე რამდენიმე ძმას, ღვიძლს თუ უფრო შორეულ ნათესავს, საერთო ცოლად ჰყავდა რამდენიმე ქალი, მაგრამ ა რ ა თავიანთი დები, და ეს ქალებიც ერთმანეთს უწოდებდნენ «პუნალუას». ასეთია ოჯახის წყობის ფორმაციის (Familienformation) ის კლასიკური ფორმა, რომელმაც შემდეგში მთელი რიგი სახეცვლილებანი განიცადა და რომლის არსებითი დამახასიათებელი ნიშანი იყო: ქმრებისა და ცოლების ერთობა გარკვეული ოჯახის ფარგლებში, საიდანაც გამორიცხული იყვნენ ცოლების ძმები, ჯერ ღვიძლი, შემდეგში კი უფრო შორეულ ნათესაობაში მყოფნიც, მეორე მხრივ კი, ასევე გამორიცხული იყვნენ ქმრების დებიც.

აი ოჯახის ეს ფორმა გადმოგვცემს უსრულესი სიზუსტით ნათესაობის იმ საფეხურებს, რომელთაც თავიანთი გამოხატულება ამერიკულ სისტემაში ჰპოვეს. დედაჩემის დების შვილები ჯერ კიდევ დედაჩემის შვილებიც არიან, ისევე როგორც მამიჩემის ძმების შვილები მამიჩემის შვილებიც არიან, ხოლო ყველა ისინი ჩემი დაძმანი არიან; მაგრამ დედაჩემის ძმების შვილები ახლა მისი ძმისწულები არიან, მამაჩემის დების შვილები — მისი დისწულები, ხოლო ყველა ისინი ჩემი ბიძაშვილებია. მართლაც, იმ დროს როდესაც დედაჩემის დების ქმრები ჯერ კიდევ მისი ქმრებიც არიან, ხოლო მამაჩემის ძმების ცოლები — მისი ცოლებიც, — იურიდიულად მაინც, თუ ყოველთვის ფაქტიურად არა, — ღვიძლ და-ძმას შორის სქესობრივი ურთიერთობის საზოგადოებრივმა დაგმობამ გამოიწვია და-ძმანის შვილების, რომელნიც მანამდე განურჩეველად

და-ძმებად ითვლებოდნენ. ორ კლასად დაყოფა: ერთნი რჩებიან ერთ-მანეთისათვის უწინდებურად და-ძმებად (არაღვიძლ და-ძმებად), მეორენი — ერთ შემთხვევაში ძმის შვილები, მეორეში — დის შვილები, უკვე ვ ე ღ ა რ ჩაითვლებიან და-ძმებად, მათ აღარ შეიძლება უკვე ჰყავდეთ საერთო მშობლები — არც საერთო მამა, არც საერთო დედა, არც ორივენი ერთად: ამიტომაც აქ პირველადაა, რომ აუცილებელი ხდება ძმისწულების და დისწულების, ბიძაშვილების თანრიგი, თანრიგი, რომელსაც წინანდელი ოჯახური წყობილების დროს არავითარი აზრი არ ექნებოდა. ნათესაობის ამერიკული სისტემა, რაც წმინდა უაზრობად გვეჩვენება ოჯახის ყოველი ფორმის დროს, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთცოლიანობის ესა თუ ის სახე, — უმცირეს წვრილმანებშიც კი თავის რაციონალურ ახსნა-განმარტებას და ბუნებრივ დასაბუთებას პოულობს პუნალუა ოჯახის მეოხებით. სწორედ იმდენად მაინც, რამდენადაც ნათესაობის ეს სისტემა იყო გავრცელებული, უნდა არსებულიყო პუნალუა ოჯახიც ანდა სხვა რომელიმე მისი მსგავსი ფორმა.

ოჯახის ამ ფორმის შესახებ, რომლის ნამდვილი არსებობაც ჰავაის კუნძულებზე დამტკიცებულია, ჩვენ, ალბათ, მთელი პოლინეზიიდან მივიღებდით ცნობებს, რომ ღვთისნიერ მისიონერებს, ისევე როგორც ნეტარხსენებულ ესპანელ ბერებს ამერიკაში, უნარი ჰქონოდათ ასეთ ანტიქრისტიანულ ურთიერთობაში მეტი რამ დაენახათ, ვიდრე უბრალო «საზიზღრობა» [1]. როცა იულიუს კეისარი ბრიტების შესახებ, რომელნიც მაშინ ბარბაროსობის შუა საფეხურზე იმყოფებოდნენ, მოგვითხრობს: «მათში ყოველ ათ ან თორმეტ მამაკაცს თავიანთი დედაკაცები საერთო ცოლებად ჰყავთ, ამასთან მეტწილად ძმებს ძმებთან ერთად და მშობლებს შვილებთან ერთადო», — ეს ყველაზე უკეთესად აიხსნება ჯგუფობრივი ცოლქმრობით. ბარბაროსობის პერიოდის დედებს არა ჰყავთ ათი-თორმეტი ვაჟი, საკმაოდ მომწიფებულნი ასაკობრივად იმისათვის, რომ საერთო ცოლები იყოლიონ, მაშინ როდესაც ნათესაობის

[1] უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობის კვალს, მისი ეგრეთწოდებული «ბაობში ჩასახვის» («Sumpfzeugung») კვალს, რაც ბახოფენმა, მისი ფიქრით, აღმოაჩინა, ნივცევართ — როგორც ამაში დღეს უკვე ეჭვის შეტანა აღარ შეიძლება — ჯგუფობრივ ცოლ-ქმრობამდე. «თუ ბახოფენს ეს «პუნალუა» ცოლქმრობა «უკანონოდ» მიაჩნია, მაშინ იმ ეპოქის ადამიანი მრავალ დღევანდელ კორწინებას დედის თუ მამის მხრიდან მახლობელ და შორეულ ბიძაშვილებს შორის ჩასთვლიდა სისხლის აღრეკად, სახელდობრ — როგორც ცოლქმრობას ღვიძლ და-ძმას შორის» (მ ა რ ქ ს ი). (ენ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

ამერიკული სისტემა, რომელიც პუნალუა ოჯახს შეეფერება, მრავალ ძმას იძლევა, რადგან ყოველი მამაკაცის ახლობელი და შორეული ბიძაშვილები მისი ძმები არიან. რაც შეეხება გამოთქმას «მშობლები შვილებთან ერთადო», ეს, შეიძლება, იულიუს კეისრის შემცდარი შეხედულება იყოს; მართალია, ამ სისტემის დროს არაა აბსოლუტურად გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ მამა და ვაჟიშვილი ან დედა და ქალიშვილი ერთსა და იმავე ცოლქმრულ ჯგუფში მოხვდნენ, მაგრამ სამაგიეროდ შეუძლებელია მამისა და მისი ქალიშვილის ან დედისა და მისი ვაჟიშვილის ერთად მოხვედრა. ასევე ადვილად გვიხსნის ჯგუფობრივი ცოლქმრობის ეს ან მსგავსი ფორმა ჰეროდოტესა და სხვა ძველი მწერლების ცნობებს ველურ და ბარბაროს ხალხებში ცოლთა ერთობის შესახებ. იგივე ითქმის იმის შესახებაც, რასაც უატსონი და კეი («ინდოეთის მოსახლეობა» [1]) აუდში (განგის ჩრდილოეთით) მცხოვრებ ტიკურების შესახებ გვაუწყებენ «ისინი ცხოვრობენ ერთად (ე. ი. სქესობრივი ურთიერთობის მხრივ), თითქმის განურჩევლად, დიდ თემებად, და თუ ორი ადამიანი მათ შორის ცოლქმრად ითვლება, მათი ცოლქმრული კავშირი მხოლოდ ნომინალურია».

როგორც ჩანს, უმრავლეს შემთხვევაში პუნალუა ოჯახიდან უშუალოდ წარმოიშვა გ ვ ა რ ი ს ინსტიტუტი. მართალია, მისთვის გამოსავალ მომენტს კლასთა ავსტრალიური სისტემაც იძლევა [2]; ავსტრალიელებს ჰყავთ გვარები, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არა აქვთ პუნალუა ოჯახი, არამედ მათში ჯგუფობრივი ცოლქმრობის უფრო ტლანქი ფორმა არსებობს.

ჯგუფობრივი ოჯახის ყოველი ფორმის დროს არავინ იცის ვინაა ბავშვის მამა, მაგრამ იციან ვინაა მისი დედა. თუმცა საერთო ოჯახის ყ ვ ე ლ ა ბავშვს დედაკაცი თავის შვილებს უწოდებს და მათ მიმართ დედობრივ ვალდებულებას გრძნობს, მაგრამ იგი მაინც განასხვავებს თავის ღვიძლ შვილებს სხვებისაგან. ამრიგად, ცხადია, რომ რაკი ჯგუფობრივი ცოლქმრობა არსებობს, წარმოშობის დადგენა შეიძლება მხოლოდ დ ე დ ი ს მხრიდან, მაშასადამე, აქ აღიარებულია მხოლოდ მ დ ე დ რ ო ბ ი თ ი ხ ა ზ ი. ასეც ხდება ნამდვილად ყველა ველურ და ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხში; და ბახოფენის მეორე დიდ დამსახურებას ის შეადგენს,

[1] W a t s o n J. F. and Kaye J. W., People of India. Vol. I — VI. London, 1868 — 1872. რ ე დ.

[2] აქ და ქვემოთ ლაპარაკია ავსტრალიის მკვიდრ მცხოვრებთა დიდ ცოლქმრულ ჯგუფებზე. რ ე დ.

რომ მან პირველმა აღმოაჩინა ეს. ამ აღიარებას, რომ წარმოშობა მხოლოდ და მხოლოდ დედის მიხედვით ირკვევა და მემკვიდრეობის იმ ურთიერთობას, რომელიც დროთა ვითარებაში მისგან გამომდინარეობს, იგი დედის უფლებას უწოდებს; სიმოკლის გულისთვის მე ვინარჩუნებ ამ სახელწოდებას; მაგრამ იგი არაა სწორი, რადგან საზოგადოების განვითარების ამ საფეხურზე ჯერ კიდევ ლაპარაკიც არ შეიძლება უფლებაზე იურიდიული აზრით.

თუ ავიღებთ ახლა პუნალუა ოჯახის ორი ტიპიური ჯგუფიდან ერთს, სახელდობრ, იმ ჯგუფს, რომელიც შედგება ღვიძლი და უფრო დაშორებული დებისაგან (ე. ი. ისეთებისაგან, რომელნიც წარმოდგებიან ღვიძლი დებისაგან პირველ, მეორე ან უფრო დაშორებულ მოდგმაში), მათი შვილებითა და მათი ღვიძლი და უფრო შორეული ძმებითურთ დედის მხრიდან (რომელნიც, ჩვენი წანამძღვარის მიხედვით, არ არიან მათი ქმრები), — მივიღებთ სწორედ იმ პირთა წრეს, რომელნიც შემდეგში გვევლინებიან გვარის წევრებად ამ ინსტიტუტის თავდაპირველ ფორმაში. მათ ყველას ერთი საერთო დედამთავარი ჰყავთ; ყოველი თაობის დედაკაცები, იმის გამო, რომ მათი წარმოშობა ამ დედამთავრისაგან მომდინარეობს, დები არიან. მაგრამ შეუძლებელია რომ ამ დების ქმრები მათი ძმები იყვნენ, მაშასადამე, შეუძლებელია, რომ ისინი ამ დედამთავრისაგან წარმოდგებოდნენ. მაშასადამე, აღარ შედიან ამ სისხლმონათესავე ჯგუფის შემადგენლობაში, მერმინდელ გვარში; მათი ბავშვები კი ეკუთვნიან ამ ჯგუფს, იმიტომ, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დედის მხრიდან წარმოშობას, **რადგან უეჭველი მხოლოდ** ესაა. როგორც კი სქესობრივი ურთი**ერთობის აკრძალვა** ყველა და-ძმას შორის, მდედრობითი მხრიდან **გვერდითი ხაზების** ყველაზე შორეულ ნათესავებს შორისაც კი, ერთხელვე დადგინდა და ძალაში შევიდა, ზემოაღნიშნული ჯგუფიც გვარად გადაიქცა, ე. ი. ჩამოყალიბდა როგორც მტკიცე წრე მდედრობითი ხაზით სისხლიერი ნათესავებისა, რომელთაც აღარ შეუძლიათ ერთმანეთის შერთვა, წრე, რომელიც ამიერიდან სულ უფრო და უფრო მტკიცდება სხვა საერთო საზოგადოებრივი და რელიგიური ხასიათის დაწესებულებათა მეოხებით და განსხვავდება ამავე ტომის სხვა გვარებისაგან. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ ვილაპარაკებთ. მაგრამ თუ ჩვენ ვხედავთ, რომ გვარი ვითარდება პუნალუა ოჯახიდან არა მარტო როგორც აუცილებელი, არამედ როგორც თავისთავად გასაგები მოვლენაც, მაშინ საფუძველი გვაქვს ვაღიაროთ თითქმის უცილობლად ის ფაქტი, რომ ოჯახის ეს

ფორმა ოდესღაც არსებობდა თითქმის ყველა ხალხში, სადაც კი შესაძლებელია გვაროვნული ინსტიტუტის არსებობის დადასტურება, ე. ი. იგი ჰქონია თითქმის ყველა ბარბაროს და კულტურულ ხალხს.

როცა მორგანი თავის წიგნს წერდა, ჯგუფობრივი ცოლქმრობის შესწავლის დარგში ჩვენი ცოდნა ჯერ კიდევ მეტად შეზღუდული იყო. ჯგუფობრივი ცოლქმრობის შესახებ ცოტა რამ ცნობილი იყო კლასებად ორგანიზებულ ავსტრალიელებში, და, გარდა ამისა, მორგანმა უკვე 1871 წელს გამოაქვეყნა მის ხელთ არსებული ცნობები ჰავაის პუნალუა ოჯახის შესახებ. პუნალუა ოჯახი იძლეოდა, ერთი მხრივ, ნათესაობის იმ სისტემის სრულ ახსნა-განმარტებას, რომელიც ამერიკელ ინდიელებში ბატონობდა; ეს სისტემა მორგანისათვის ყველა მისი გამოკვლევის გამოსავალ წერტილს წარმოადგენდა; მეორე მხრივ, პუნალუა ოჯახი შეადგენდა მზამზარეულ გამოსავალ წერტილს, საიდანაც შეიძლებოდა დედისუფლებიანი გვარის გამოყვანა. ბოლოს, პუნალუა ოჯახი წარმოადგენდა განვითარების ბევრად უფრო მაღალ საფეხურს, ვიდრე ავსტრალიური კლასები. ამიტომ გასაგები იყო, რომ მორგანი მას განვითარების იმ საფეხურად განიხილავდა, რომელიც აუცილებლად წინ უძღოდა წყვილად ცოლქმრობას, და თვლიდა, რომ იგი საყოველთაოდ გავრცელებული იყო უძველეს დროში. მას შემდეგ ჩვენ გავეცანით ჯგუფობრივი ცოლქმრობის მთელ რიგ სხვა ფორმებს და ამჟამად ვიცით, რომ მორგანი აქ ძალიან შორს წავიდა. მაგრამ მას მაინც ბედმა გაუღიმა იმ მხრივ, რომ თავისი პუნალუა ოჯახის სახით იგი წააწყდა ჯგუფობრივი ცოლქმრობის უმაღლეს, კლასიკურ ფორმას, სწორედ იმ ფორმას, საიდანაც ყველაზე მარტივად აიხსნება გადასვლა უფრო მაღალ ფორმაზე.

ჯგუფობრივი ცოლქმრობის შესწავლის დარგში ჩვენი ცოდნის გამდიდრებას ყველაზე მეტად უნდა ვუმადლოდეთ ინგლისელ მისიონერს — ლორიმერ ფაისონს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სწავლობდა ოჯახის ამ ფორმას მის კლასიკურ ნიადაგზე — ავსტრალიაში. განვითარების დაბალი საფეხური მან აღმოაჩინა ავსტრალიელ ზანგებში მაუნტ-გამბირის მახლობლად სამხრეთ ავსტრალიაში. აქ მთელი ტომი გაყოფილია ორ დიდ კლასად — ერთია კროკი, მეორე კუმიტე. სქესობრივი ურთიერთობა თვითეული ამ კლასის ფარგლებში სასტიკად აკრძალულია; პირიქით, ყოველი მამაკაცი ერთი კლასისა უკვე დაბადებიდანვე ქმარია მეორე კლასის ყოველი დედაკაცისა, ეს დედაკაცი კი მისი ცოლია

დაბადებიდანვე. ცალკეული ინდივიდები კი არა, არამედ მთელი ჯგუფებია ერთმანეთთან შეუღლებული, კლასი კლასთან. და უნდა აღინიშნოს, რომ აქ არსად ასაკის განსხვავების ან განსაკუთრებული სისხლიერი ნათესაობის გამო არ არსებობს რაიმე შეზღუდვა, გარდა იმ შეზღუდვისა, რომელიც გაპირობებულია ორ ეგზოგამიურ კლასად გათიშვით. ყოველი კროკი მამაკაცის კანონიერ ცოლად ითვლება ყოველი კუმიტე დედაკაცი; მაგრამ რადგან კროკი მამაკაცის ღვიძლი ქალიშვილი, როგორც კუმიტე დედაკაცის ქალიშვილი, დედის უფლების ძალით, თვითონაც კუმიტეა, ამიტომ იგი ამით ყოველი კროკის ცოლია დაბადებიდანვე, მაშასადამე, თავისი მამისაც. ყოველ შემთხვევაში, კლასების ორგანიზაცია იმ სახით, რა სახითაც იგი გვევლინება, ამას ხელს არ უშლის. მაშასადამე, ეს ორგანიზაცია ან იმ დროს წარმოიშვა, როცა, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის აღრევის შეზღუდვისადმი ბუნდოვანი მისწრაფება არსებობდა, მშობლებსა და შვილებს შორის სქესობრივ ურთიერთობაში ჯერ კიდევ ვერ ხედავდნენ რაიმე განსაკუთრებულად შემაძრწუნებელს, და ასეთ შემთხვევაში კლასების სისტემა უშუალოდ უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობის მდგომარეობიდან წარმოშობილა, — ანდა სქესობრივი ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის უკვე აკრძალული იყო ზნე-ჩვეულების მიერ, როცა საქორწინო კლასები წარმოიშვნენ, და ასეთ შემთხვევაში ახლანდელი მდგომარეობა იმაზე მიგვითითებს, რომ მანამდე სისხლმონათესავე ოჯახი არსებულა, და წარმოადგენს ამ ოჯახის დაძლევისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს. ეს უკანასკნელი უფრო დასაჯერებელია. რამდენადაც ვიცი, მაგალითები იმის შესახებ, რომ სქესობრივი ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის ავსტრალიაში არსებობდეს, არსადაა მოხსენებული, ხოლო ეგზოგამიის უფრო გვიანდელი ფორმაც, დედის უფლებიანი გვარი, ჩვეულებრივ უსიტყვოდ გულისხმობს ამ ურთიერთობის აკრძალვას, როგორც ისეთ რამეს, რაც გვარის ჩამოყალიბების დროს უკვე არსებობდა.

ორი კლასის სისტემა, გარდა სამხრეთ ავსტრალიის შაუნტგამბირის რაიონისა, გვხვდება აგრეთვე შორს აღმოსავლეთით მდინარე დარლინგის ხეობაში და ჩრდილო-აღმოსავლეთით კუინსლენდში, მაშასადამე, ფართოდაა გავრცელებული. ეს სისტემა კრძალავს ცოლქმრობას მხოლოდ და-ძმასა, ძმების შვილებსა და დების შვილებს შორის დედის მხრიდან, რადგან ისინი ერთ კლასს ეკუთვნიან; პირიქით, დისა და ძმის შვილებს შეუძლიათ ერთმანეთ-

თან შეუღლება. შემდგომ ნაბიჯს სისხლის აღრევის აკრძალვის მიმართულებით ჩვენ ვხვდებით ახალ სამხრეთ უელსში მდინარე დარლინგის ნაპირებზე მცხოვრებ კამილაროის ტომში, სადაც ორი თავდაპირველი კლასი გათიშულია ოთხ კლასად და ამ ოთხი კლასიდან თვითეული ასევე მთლიანად შეუღლებულია რომელიმე გარკვეულ მეორე კლასთან. პირველი ორი კლასი ერთი მეორის ცოლქმარია დაბადებიდანვე; იმისდა მიხედვით, პირველ კლასს ეკუთვნის დედა თუ მეორეს, მისი შვილები მესამე ან მეოთხე კლასში შედიან; უკანასკნელი ორი კლასის შვილები, მესამე და მეოთხე კლასისა, რომელნიც თავის მხრივ ერთმანეთთან შეუღლებულნი არიან, პირველი და მეორე კლასის შემადგენლობაში შედიან. ასე რომ ერთი თაობა ყოველთვის პირველ და მეორე კლასს ეკუთვნის, მომდევნო თაობა —მესამესა და მეოთხეს, შემდგომი მომდევნო, ე. ი. მესამე თაობა— ხელახლა პირველსა და მეორეს. ამის შესაბამისად და-ძმის შვილები (დედის მხრიდან) შეუძლებელია ცოლქმარნი იყვნენ, მაგრამ სამაგიეროდ და-ძმის შვილიშვილების შეუღლება შესაძლებელია. ეს თავისებურად რთული წესი კიდევ უფრო რთულდება დედისუფლებიანი გვარების—ყოველ შემთხვევაში უფრო ნაგვიანევი—შეკრით; მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ამაზე შევჩერდეთ. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ მისწრაფება სისხლის აღრევის აკრძალვისადმი სულ ახლად და ახლად იჩენს თავს, მაგრამ ეს ხდება ინსტინქტურად, სტიქიურად, ისე რომ მიზანი არაა ნათლად შეგნებული.

ჯგუფობრივი ცოლქმრობა, რომელიც აქ, ავსტრალიაში, ჯერ კიდევ კლასთა ცოლქმრობაა, ე. ი. მასობრივი შეუღლება ხშირად მთელ კონტინენტზე გაფანტული მამაკაცების მთელი კლასისა დედაკაცების ასევე ფართოდ გავრცელებულ კლასთან, –ეს ჯგუფობრივი ცოლქმრობა, თუ მას ახლოს განვიხილავთ, სრულიადაც არ გამოიყურება ისე შემაძრწუნებლად, როგორც ეს საროსკიპოს შეჩვეული ფილისტერის ფანტაზიას წარმოუდგენია. პირიქით, მრავალმა წელმა განვლო, სანამ მხოლოდ მიხვდებოდნენ მის არსებობას, სულ ახლახან კი კვლავ დაიწყეს მისი უარყოფა. ზერელე დამკვირვებელს იგი ეჩვენება მერყეე ერთცოლიანობად, ხოლო ალგ-ალაგ კი—მრავალცოლიანობად შემთხვევითი ცოლქმრული ღალატის გვერდით. კაცმა მთელი წლები უნდა მოანდომოს, როგორც ეს ფაისონმა და ჰაუიტმა ქნეს, იმას, რომ ამ ცოლქმრული ურთიერთობის პრაქტიკაში, რაშიც ჩვეულებრივი ევროპელი რაღაც იმის მსგავსს ხედავს, რაც მის მშობლიურ ქვეყანაში ხდება, აღმოაჩინოს მომწესრიგებელი კანონი,—კანონი, რომლის ძალითაც უცხო ავსტრა-

ლიელი ზანვი, რამდენიმე ათასი კილომეტრის მანძილზე თავისი სამშობლო მიაროდან, იმ ადამიანთა შორის, რომელნიც მისთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობენ, მაინც ხშირად ყოველ ბანაკში, ყოველ ტომში პოულობს დედაკაცებს, რომელნიც მზად არიან წინააღმდეგობის გაუწევლად და გულწრფელად დანებდნენ მას; ხოლო, ამავე კანონის თანახმად, ადამიანი, რომელსაც რამდენიმე ცოლი ჰყავს, ერთ-ერთ მათგანს ღამით სტუმარს უთმობს. იქ, სადაც ევროპელი უზნეობასა და უკანონობას ხედავს, სინამდვილეში სასტიკი კანონი ბატონობს. ეს დედაკაცები სტუმრის საქორწინო კლასს ეკუთვნიან და ამიტომ ისინი დაბადებიდანვე მისი ცოლები არიან; იგივე ზნეობრივი კანონი, რომელიც ორივეს ერთმანეთისათვის წინასწარ განკუთვნავს, საზოგადოებრივი მსჯავრის დადების დამუქრებით კრძალავს ყოველივე სქესობრივ ურთიერთობას ერთმანეთისათვის განკუთვნილი საქორწინო კლასების გარეშე. იქაც კი, სადაც დედაკაცებს იტაცებენ, როგორც ეს ხშირად ხდება და ზოგიერთ ადგილას წესადაა მიღებული, კლასების კანონს ზედმიწევნით იცავენ.

ქალის მოტაცებაში, სხვათა შორის, უკვე თავს იჩენს ერთცოლიანობაზე გადასვლის ერთგვარი კვალი, ყოველ შემთხვევაში წყვილადი ცოლქმრობის ფორმით: როცა ახალგაზრდა ვაჟი თავისი ამხანაგების დახმარებით ქალს იტაცებს ან წაიყვანს, ყველანი რიგრიგობით მასთან სქესობრივ ურთიერთობაში შედიან, მაგრამ ამის შემდეგ ქალი იმ ახალგაზრდა კაცის ცოლად ითვლება, რომელმაც მოტაცება მოაწყო. და, პირიქით, თუ მოტაცებული ქალი ქმარს გაექცევა და მას სხვა მამაკაცი დაეუფლება, იგი ამ უკანასკნელის ცოლი ხდება, ხოლო პირველი ჰკარგავს თავის უპირატეს უფლებას ქალის მიმართ. ამრიგად, ჯგუფობრივი ცოლქმრობის გვერდით და მის ფარგლებში, ცოლქმრობისა, რომელიც საერთოდ არსებობას განაგრძობს, ჩნდება სხვა პირთა გამომრიცხველი სქესობრივი ურთიერთობა, ცალკეულ წყვილთა შეერთება უფრო ხანგრძლივი ან ხანმოკლე დროით, ხოლო ამასთანავე ერთად მრავალცოლიანობაც, ასე რომ ჯგუფობრივი ცოლქმრობა აქაც გაქრობის გზაზეა დამდგარი, და საკითხი მხოლოდ იმას შეეხება, რა უფრო ადრე მოისპობა ევროპელების ზეგავლენით—ჯგუფობრივი ცოლქმრობა თუ ავსტრალიელი ზანგები, რომელნიც მას თავგამოდებით იცავენ.

შეუღლება მთელი კლასების მიხედვით, იმ სახით, როგორც ის ავსტრალიაში ბატონობს, ყოველ შემთხვევაში ჯგუფობრივი ცოლ-

ქმრობის მეტად დაბალი და პირველყოფილი ფორმაა, მაშინ როდესაც პუნალუა ოჯახი, რამდენადაც ვიცით, მისი განვითარების უმაღლესი საფეხურია. პირველი, როგორც ჩანს, მოხეტიალე ველურების საზოგადოებრივი განვითარების დონის შესაბამისი ფორმაა, მეორე კი კომუნისტური თემების უკვე შედარებით მყარ დასახლებას გულისხმობს და მას უშუალოდ ავყავართ განვითარების შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურზე. შეუღლების ამ ორ ფორმას შორის ჩვენ, უეჭველია, კიდევ ზოგიერთ შუალედ საფეხურს აღმოვაჩენთ; აქ ჩვენს წინაშე გადაშლილია ჯერ მხოლოდ ახალი, თითქმის ხელუხლებელი გამოკვლევის სფერო.

3. წ ყ ვ ი ლ ა დ ი ო ჯ ა ხ ი. ერთგვარ წყვილად შეუღლებას უფრო ხანგრძლივი თუ უფრო მოკლე ვადით ადგილი ჰქონდა უკვე ჯგუფობრივი ცოლქმრობის დროს ანდა კიდევ უფრო ადრე; მამაკაცს ჰყავდა ერთი მთავარი ცოლი (ჯერ კიდევ არც კი შეიძლება ითქვას — საყვარელი ცოლიო) მრავალ ცოლს შორის, და იგი ამ ცოლისათვის მთავარი ქმარი იყო სხვა ქმრებს შორის. ამ გარემოებამ ცოტათი როდი აუბნია გზაკვალი მისიონერებს, რომელნიც ჯგუფობრივ ცოლქმრობაში ხან ცოლთა უწესრიგო ერთობას, ხან კი ცოლქმრული ერთგულების დარღვევას ხედავენ. მაგრამ ჩვეულებაზე დამყარებული ასეთი წყვილადი შეუღლება სულ უფრო და უფრო უნდა განმტკიცებულიყო, რაც უფრო ვითარდებოდა გვარი და რაც უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდნენ «ძმებისა» და «დების» კლასები, რომელთა შორის შეუღლება ახლა შეუძლებელი იყო. ის ბიძგი, რომელიც გვარმა მისცა სისხლიერ ნათესავთა შორის შეუღლების შეზღუდვას, კიდევ უფრო წინ ეწეოდა წყვილადი შეუღლების საქმეს. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ეროკეზებში და ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე მდგომ სხვა მეტწილ ინდიელებში აკრძალულია შეუღლება ყ ვ ე ლ ა ნათესავს შორის, რომელთაც მათი სისტემა ითვლის, ასეთი ნათესავების სახეობანი კი რამდენიმე ასს უდრის. შეუღლების აკრძალვის ასეთი მზარდი დახლართულობის პირობებში ჯგუფობრივი ცოლქმრობა სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდებოდა; მას აძევებდა წ ყ ვ ი ლ ა დ ი ო ჯ ა ხ ი. ამ საფეხურზე მამაკაცი ერთ ცოლთან ცხოვრობს, მაგრამ ისე, რომ მრავალცოლიანობა და შეპარვის დროს ღალატი მამაკაცების უფლებად რჩება, თუმცა პირველ მოვლენას ეკონომიური მიზეზების გამო იშვიათად აქვს ადგილი; ამავე დროს კი დედაკაცებისაგან ცოლქმრობის მთელ მანძილზე უმეტესწილად მკაცრ ერთგულებას მოითხოვენ და ცოლქმრული ერთგულების დარღ-

ვევისათვის სასტიკად სჯიან. მაგრამ ცოლქმრული კავშირი რომელიმე მხარის მიერ ადვილად შეიძლება გაწყვეტილ იქნეს, შვილები კი უშინდებურად მხოლოდ დედას ეკუთვნიან.

ცოლქმრული კავშირიდან სისხლიერ ნათესავთა ამ გამორიცხვაშიც, რაც სულ უფრო და უფრო ძალაში შედის, მოქმედებას განაგრძობს ბუნებრივი შერჩევა. მორგანის სიტყვებით: «ცოლქმრობა იმ გვართა წევრებს შორის, რომელნიც სისხლიერი ნათესავები არ იყვნენ უფრო ძლიერ რასას წარმოშობდა, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად; ორი წინმიმავალი ტომი ერთმანეთს ეუღლებოდა და ახალ თაობებს თავის ქალა და ტვინი ბუნებრივად უდიდდებოდათ, ვიდრე ისინი ორივე ტომის ნიშს არ გააერთიანებდნენ». ამრიგად, გვაროვნული წყობილების მქონე ტომებს უნდა გაემარჯვნათ ჩამორჩენილებზე ანდა თავიანთი მაგალითით თან გაეყოლებინათ ისინი.

ამგვარად, ოჯახის განვითარება პირველყოფილ ეპოქაში მდგომარეობს იმ წრის განუწყვეტელ შევიწროებაში, რომელიც თავდაპირველად მთელ ტომს მოიცავდა და რომლის შიგნით ორივე სქესს შორის ცოლქმრული ერთობა ბატონობს. იმის გამო, რომ თანდათან ჯერ უფრო ახლობელი ნათესავების შეუღლება აიკრძალა შემდეგ უფრო და უფრო შორეულისა, ბოლოს, მოყვრებისაც კი,— ყოველი სახის ჯჯუფობრივი ცოლქმრობა ბოლოს და ბოლოს პრაქტიკულად შეუძლებული ხდება და საბოლოო შედეგად რჩება შეუღლებულთა მხოლოდ ერთი, ჯერ კიდევ სუსტად დაკავშირებული წყვილი, ის მოლეკული, რომლის დაშლასთან ერთად ისპობა ცოლქმრობა საერთოდ. უკვე აქედან ჩანს, თუ რა ცოტა საერთო ჰქონდა ერთცოლიანობის წარმოშობასთან ინდივიდუალურ სქესობრივ სიყვარულს ამ სიტყვის თანამედროვე აზრით. ამას კიდევ უფრო მეტად ადასტურებს ყველა იმ ხალხის პრაქტიკა, რომელნიც განვითარების ამ საფეხურზე დგანან. მაშინ როდესაც ოჯახის ადრინდელი ფორმების არსებობის დროს მამაკაცებს არასოდეს არ აკლდათ დედაკაცები, არამედ, პირიქით, საკმაოზე მეტიც ჰყავდათ ისინი, ახლა დედაკაცები იშვიათი და საძებარი გახდნენ. ამიტომ წყვილადი შეუღლების წარმოშობის დროიდან იწყება დედაკაცების მოტაცება და ყიდვა, რაც ფართოდ გავრცელებული სიმპტომია—მაგრამ მაინც სიმპტომები და მეტი არაფერი—მომხდარი, გაცილებით უფრო ღრმად მდებარე ცვლილებისა; მაგრამ ამ სიმპტომების საფუძველზე, რომელნიც მხოლოდ ხერხებია ცოლების მოპოვებისა, პედანტმა შოტლანდიელმა მაკ-ლენანმა «მოტაცებითი ქორწინებიდან» და «ყიდ-

ვითი ქორწინებიდან» ოჯახის განსაკუთრებული სახეები შეთხზა. და გარდა ამისა, ამერიკელ ინდიელებში და სხვა ტომებში (განვითარების იმავე საფეხურზე) შეუღლება ხდება არა თვით დასაქორწინებელ პირთა მონაწილეობით, რომელთაც ხშირად არც კი ეკითხებიან, არამედ ეს მათი დედების საქმეა. ამრიგად, ხშირად ერთმანეთისათვის სრულიად უცნობ პირებს ნიშნავენ და მათ დადებული გარიგების შესახებ მხოლოდ მაშინ ატყობინებენ, როცა დაქორწინების დღე ახლოვდება. ქორწინების წინ სასიძო საჩუქრებს აძლევს სასძლოს გვარის ნათესავებს (ე. ი. ნათესავებს დედის მხრიდან და არა მამას და მამის ნათესავებს); ეს საჩუქრები ითვლება ქალის დათმობისათვის გაღებულ გამოსასყიდად. ცოლ-ქმრის გაყრა შეიძლება, თუ ერთ-ერთი მხარე ამას მოისურვებს; მარამ ბევრ ტომში, მაგალითად, ირიკეზებში, თანდათან შემუშავდა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც უარყოფითად უყურებს ცოლ-ქმრის ასეთ გაყრას; ცოლ-ქმარს შორის უთანხმოების დროს შუამავლებად გამოდიან ორივე მხარის ნათესავები, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ჩარევა საქმეს ვერ შველის, გაყრა ხდება; ამასთან შვილები რჩებიან ცოლთან და ამის შემდეგ ცოლსაც და ქმარსაც ხელახლა დაქორწინების უფლება ეძლევათ.

წყვილადი ოჯახი, რომელიც თავისთავად ძალიან სუსტი და ძალიან მერყეევი იყო იმისათვის, რომ გამოეწვია საკუთარი ოჯახური მეურნეობის შექმნის მოთხოვნილება ანდა თუნდაც მარტო სურვილი ასეთი მეურნეობისა, სრულიადაც არ სპობს ადრინდელი დროიდან მემკვიდრეობით მიღებულ კომუნისტურ ოჯახურ მეურნეობას. მაგრამ კომუნისტური ოჯახური მეურნეობა ნიშნავს დედაკაცების ბატონობას სახლში, ისევე როგორც მარტოოდენ მშობელი დედის აღიარება, როცა მშობელი მამის უცილობლად ცოდნა შეუძლებელია, ნიშნავს დიდ პატივისცემას დედაკაცებისადმი, ე. ი. დედებისადმი. XVIII საუკუნის განმანათლებლობის ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებულ წარმოდგენათაგან ერთ-ერთი უაღრესად უაზრო წარმოდგენა ის შეხედულებაა, თითქოს საზოგადოების განვითარების დასაწყისში დედაკაცი მამაკაცის მონა იყო. დედაკაცს ყველა ველურ და ყველა ბარბაროს ტომში, რომელნიც ბარბაროსობის დაბალ, შუა და ნაწილობრივ კი აგრეთვე უმაღლეს საფეხურზე დგანან, არა მარტო თავისუფალი, არამედ მეტად საპატიო მდგომარეობა უჭირავს. თუ რას წარმოადგენს დედაკაცი ჯერ კიდევ წყვილადი შეუღლების დროს, ამის დამოწმება შეუძლია არტურ

რაიტს, რომელიც მრავალ წელს მისიონერად იყო სენეკას ტომის ოროკეზებს შორის. ის ამბობს: «რაც შეეხება მათ ოჯახებს, იმ ხანაში, როცა ისინი ჯერ კიდევ ძველ გრძელ სახლებში (რამდენიმე ოჯახის კომუნისტური მეურნეობა) ცხოვრობდნენ... იქ ყოველთვის ერთი რომელიმე კლანი (გვარი—Gens) ბატონობდა, ასე რომ დედაკაცებს თავიანთი ქმრები სხვა კლანებიდან (გვარებიდან) მოჰყავდათ... ჩვეულებრივ სახლში დედაკაცი ბატონობდა; სურსათის მარაგი საერთო იყო, მაგრამ ვაი იმ უბედურ ქმარს ან საყვარელს, რომელიც ძალიან ზარმაცი ან მოუხერხებელი იყო და თავისი წვლილი არ შეჰქონდა საერთო მარაგში. რამდენი შვილიც უნდა ჰყოლოდა ასეთ მამაკაცს ოჯახში ან რამდენიც უნდა ყოფილიყო მისი კუთვნილი ქონება, სულ ერთია მას ყოველ წუთში უნდა ჰქონოდა იმის მოლოდინი, რომ ბრძანებას მიიღებდა, შენი ბარგი-ბარხანა აიკარი და თავიდან გაგვეცალეო. ის ვერც კი გაბედავდა წინააღმდეგობის გაწევას; ოჯახში მისთვის აუტანელი მდგომარეობა იქმნებოდა, მას მხოლოდ ისღა რჩებოდა, რომ თავის საკუთარ კლანში (გვარში) დაბრუნებულიყო ანდა—რაც უფრო ხშირად ხდებოდა—რომელიმე სხვა კლანში ახლად დაქორწინებულიყო. დედაკაცები დიდ ძალას წარმოადგენდნენ კლანებში (გვარებში) და საერთოდ ყველგან: შემთხვევის დროს ისინი არ ერიდებოდნენ იმას, რომ მეთაური გადაეყენებინათ და უბრალო მეომრის მდგომარეობამდე დაექვეითებინათ». კომუნისტური ოჯახური მეურნეობა, რომელშიც მეტი ნაწილი დედაკაცებისა ან ყველანი ერთსა და იმავე გვარს, მაშინ როცა მამაკაცები სხვადასხვა გვარს ეკუთვნიან, რეალური საფუძველია პირველყოფილ ეპოქაში საყოველთაოდ გავრცელებული დედაკაცის იმ ბატონობისა, რომლის აღმოჩენაც ბახოფენის მესამე დამსახურებას შეადგენს. დამატებით აღვნიშნავ კიდევ, რომ მოგზაურთა და მისიონერთა ცნობები იმის შესახებ, რომ ველურ და ბარბაროს ხალხებში დედაკაცები დატვირთულნი არიან მძიმე შრომითო, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ზემონათქვამს. შრომის დანაწილება ორივე სქესს შორის გაპირობებულია არა დედაკაცის მდგომარეობით საზოგადოებაში, არამედ სულ სხვა მიზეზებით. ის ხალხები, რომლებშიც დედაკაცები იძულებულნი არიან გაცილებით მეტი იმუშაონ, ვიდრე ეს მათ შეეფერებათ ჩვენი წარმოდგენით, ხშირად გაცილებით უფრო მეტ ნამდვილ პატივისცემას იჩენენ დედაკაცების მიმართ, ვიდრე ჩვენი ევროპელები. ცივილიზაციის ეპოქის მანდილოსანს, რომელიც გარემოცულია მოჩვენებითი პატივისცემით და რომლის-

თვისაც უცხოა ყოველგვარი ნამდვილი შრომა, შეუდარებლად უფრო დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობა უკავია, ვიდრე ბარბაროსობის ეპოქის დედაკაცს, რომელიც მძიმე შრომას ასრულებდა, რომელიც თავის ხალხში ნამდვილ ქალბატონად (lady, frowa, Frau—ქალბატონი) ითვლებოდა და მართლაც თავისი მდგომარეობის ხასიათით ქალბატონი იყო.

საკითხი იმის შესახებ, განდევნილია თუ არა ამჟამად მთლიანად ამერიკაში ჯგუფობრივი ცოლქმრობა წყვილადი ცოლქმრობის მიერ, უნდა გადაწყვიტოს ამერიკის იმ ჩრდილო-დასავლეთელი და განსაკუთრებით კი სამხრეთელი ხალხების უფრო გულმოდგინე შესწავლამ, რომელნიც ჯერ კიდევ ველურობის უმაღლეს საფეხურზე დგანან. ამ სამხრეთ-ამერიკელ ხალხთა ცხოვრებიდან სქესობრივი თავისუფლების შესახებ ისეთი სხვადასხვა მაგალითები მოჰყავთ, რომელთა მიხედვით საეჭვოა ვივარაუდოთ, რომ აქ მთლიანად გადალახული იყოს ძველი ჯგუფობრივი ცოლქმრობა. ყოველ შემთხვევაში ყველა მისი კვალი არაა წაშლილი. სულ მცირე ორმოც ჩრდილო-ამერიკულ ტომში მამაკაცს, რომელიც ქ-ლს ირთავს, უფლება აქვს ასევე ამ ქალის ყველა უმცროსი დაც ცოლად შეირთოს, როგორც კი ისინი სათანადო ასაკს მიაღწევენ; ესაა ნაშთი ქმრების ერთობისა დების მთელი ჯგუფისათვის. კალიფორნიის ნახევარკუნძულის მცხოვრებლებზე კი (ველურობის უმაღლესი საფეხური) ბანკროფტი მოკვითხრობს, რომ მათ აქვთ ხოლმე დღესასწაულები, სადაც ერთად თავს იყრის რამდენიმე «ტომი» უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობის მიზნით. ცხადია, ეს ის გვარებია, რომელთაც ამ დღესასწაულებში შენარჩუნებული აქვთ ბუნდოვანი მოგონება იმ დროისა, როცა ერთი გვარის დედაკაცებს საერთო ქმრებად ჰყავდათ მეორე გვარის ყველა მამაკაცი და პირიქით. ასეთივე ზნე-ჩვეულებაა გაბატონებული ჯერ კიდევ ავსტრალიაში. ზოგიერთ ხალხში ხდება ხოლმე, რომ უფრო ხნიერი მამაკაცები, მეთაურები და ჯადოსან-ქურუმები, ცოლების გაერთიანებას თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ იყენებენ და ქალთა უმრავლესობის მონოპოლიზაციას ახდენენ; მაგრამ სამაგიეროდ განსაზღვრული დღესასწაულების დროს და დიდ სახალხო კრებებზე მათ კვლავ უნდა დაუშვან დედაკაცთა წინათ არსებული გაერთიანება და თავიანთ ცოლებს ნება დართონ ახალგაზრდა მამაკაცებთან ისიამოვნონ. ასეთი პერიოდული სატურნალიების[1] მთელი

[1] სატურნალიები (რომაელთა ღმერთის სატურნის სახელწოდებიდან)—მასობრივი დღესასწაულები ძველ რომში მიწათმოქმედების სამუშაოთა დამთავრების აღსანიშნავად. რედ.

რიგი მაგალითები, დღესასწაულებისა, როცა მოკლე ხნით ქვლავ ძალაში შედის ძველი თავისუფალი სქესობრივი ურთიერთობა, მოჰყავს ვესტერმარკს თავისი წიგნის 28—29 გვერდზე ინდოეთის ტომების ჰოს, სანტალის, პენჯას და კოტარის და ზოგიერთი აფრიკელი ხალხის და სხვების ცხოვრებიდან. აქედან ვესტერმარკს ის უცნაური დასკვნა გამოჰყავს, რომ ეს მოვლენა ნაშთია არა მის მიერ უარყოფილი ჯგუფობრივი ცოლქმრობისა, არამედ იმ ამძუნების პერიოდისა, რომელიც პირველყოფილ ადამიანს სხვა ცხოველებთან ერთად ახასიათებსო.

ჩვენ აქ მივადექით ბახოფენის მეოთხე დიდ აღმოჩენას: ეს აღმოჩენაა ფართოდ გავრცელებული გარდამავალი ფორმა ჯგუფობრივი ცოლქმრობიდან დაწყვილებულ ცოლქმრობაზე. ის, რასაც ბახოფენი გვიხატავს როგორც გამოსყიდვას ღმერთების ძველი მცნებების დარღვევისათვის,—გამოსყიდვას, რომლითაც დედაკაცი უბიწობის უფლებას იძენს,—სინამდვილეში მხოლოდ მისტიკური გამოხატულებაა იმ გამოსყიდვისა, რომლითაც დედაკაცი თავს იხსნის ძველად არსებული ქმრების ერთობისაგან და უფლებას იძენს მხოლოდ ერთ მამაკაცს დანებდეს. ეს გამოსყიდვა იმაში მდგომარეობს, რომ დედაკაცი განსაზღვრულ დროს უნდა დანებდეს მამაკაცს: ბაბილონელი ქალები წელიწადში ერთხელ უნდა დანებებოდნენ მამაკაცებს მილიტას ტაძარში; წინააზიის სხვა ხალხები თავიანთ ქალწულებს მთელი წლობით გზავნიდნენ ანაიტისის ტაძარში, სადაც ისინი თავისუფალ სიყვარულს ეძლეოდნენ არჩეულ ვაჟებთან ერთად, სანამ გათხოვების უფლებას მიიღებდნენ. ასეთი ზნე-ჩვეულებანი, რელიგიურ საბურველში გახვეული, საერთო მოვლენაა თითქმის ყველა აზიელი ხალხებისათვის, რომელნიც ხმელთაშუა ზღვასა და განგს შორის ცხოვრობენ. გამოსახსნელი მსხვერპლი, რომელიც გამოსყიდვის როლს ასრულებს, დროთა მსვლელობაში თანდათან ადვილდება, როგორც ამას უკვე ბახოფენი აღნიშნავს: «ყოველწლიურად განმეორებული მსხვერპლის მიტანა ადგილს უთმობს ერთჯერად ბეგარას, მატრონების ჰეტერიზმს მოსდევს ქალწულების ჰეტერიზმი, ქორწინების დროს განქალწულებას წინ უძღვის ქორწინებამდე განქალწულება; იმის მაგივრად, რომ ქალები განურჩევლად ყველა მამაკაცს დანებდნენ, ისინი მხოლოდ გარკვეულ პირებს ნებდებიან («დედის უფლება»[1] გვ. XIX). სხვა ხალხებში რელიგიური საბურველი არ არსებობს:

[1] Bachofen J. J., Das Mutterrecht. Stuttgart, 1861. რედ.

ძველი დროის ზოგიერთ ხალხში—თრაკიელებში, კელტებში და სხვ., ინდოეთის ბევრ მკვიდრ მცხოვრებლებში, მალაელ ხალხებში, წყნარი ოკეანის კუნძულების მცხოვრებლებში და სხვა მრავალ ამერიკელ ინდიელებში დღესაც კიდევ ქალიშვილები გათხოვებამდე უდიდესი სქესობრივი თავისუფლებით სარგებლობენ. განსაკუთრებით ასეთი მდგომარეობაა თითქმის ყველგან სამხრეთ ამერიკაში, რის დამოწმებაც ყველას შეუძლია, ვინც ცოტათი ამ ქვეყნის სიღრმეში შეჭრილა. მაგალითად, აგასიზი («მოგზაურობა ბრაზილიაში», ბოს, ტონი და ნიუ-იორკი, 1862[1], გვ. 266) ერთი მდიდარი ოჯახის შესახებ, რომელიც ინდიელებისაგან წარმოდგებოდა, შემდეგს მოგვითხრობს: როცა ის ქალიშვილს გაეცნო, მამის ვინაობა ჰკითხა-რადგან ფიქრობდა, რომ იგი იყო მისი დედის ქმარი, რომელიც, როგორც ოფიცერი, მონაწილეობას იღებდა ომში პარაგვაის წინააღმდეგ; მაგრამ დედამ ღიმილით უპასუხა: naô tem pai; he filha da fortuna—მას მამა არა ჰყავს, იგი შემთხვევის შვილია. «ასე ლაპარაკობენ ყოველთვის ინდიელი ან მეტისი ქალები თავიანთ უკანონო შვილებზე, ისე რომ არც თვითონ რცხვენიანთ, არც არავინ ჰკიცხავს მათ; და ეს სრულიადაც არაა გამონაკლისი შემთხვევა, გამონაკლისი, ეტყობა, უფრო საწინააღმდეგო მოვლენა უნდა იყოს. შვილები... ხშირად მხოლოდ თავიანთ დედას იცნობენ, რადგან მთელი ზრუნვა და პასუხისმგებლობა მას აწევს კისერზე; თავიანთი მამის შესახებ მათ არაფერი იციან, და ცოლსაც, როგორც ეტყობა, არასდროს აზრად არ მოსდის, რომ მას ან მის შვილებს რაიმე პრეტენზია აქვთ მამის მიმართ». ის, რაც აქ ცივილიზებულ ადამიანს უცნაურად ეჩვენება, დედის უფლების თანახმად და ჯგუფობრივი ცოლქმრობის დროს უბრალოდ წესს წარმოადგენს.

ზოგიერთ ხალხში კიდევ საქმროს მეგობრები და ნათესავები ან მაყრები თვით ქორწილის დროს აყენებენ საცოლეს მიმართ ძველი დროიდან ტრადიციით გადმოცემულ თავიანთ უფლებას, ამასთან საქმროს მხოლოდ უკანასკნელად უწევს რიგი. ასე იყო ძველად ბალეარის კუნძულებზე და აფრიკელ ავგილებში, ხოლო აბისინელ ბარეელებში დღესაც ასე ხდება. სხვა ხალხებში კიდევ რომელიმე თანამდებობის პირი, ტომის ან გვარის ხელმძღვანელი, კაზიკი, შამანი, ქურუმი, მთავარი, ანდა სულ ერთია რაც უნდა ერქვას მას, თემის წარმომადგენელია და სასძლოს მიმართ პირველი ღამის

[1] Agassiz l., A Journey in Brasil. Boston, 1886. რუდ.

უფლებით სარგებლობს. მიუხედავად ყოველი ახალრომანტიული ცდებისა—შეაობილონ ეს ფაქტი, ეს jus primae noctis (პირველი ღამის უფლება) დღესაც არსებობს კიდევ როგორც ჯგუფობრივი ცოლქმრობის ნაშთი ალიასკის მცხოვრებთა უმრავლესობაში (ბანკროფტი, «ადგილობრივი ტომები», I, 81), ჩრდილო მექსიკის ტაჰუელებში (იქვე, გვ. 584) და სხვა ხალხებში; პირველი ღამის უფლება არსებობდა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე—ყოველ შემთხვევაში თავდაპირველ კელტურ ქვეყნებში, სადაც იგი უშუალოდ ჯგუფობრივი ცოლქმრობიდან გადმოვიდა, მაგალითად, არაგონიაში. მაშინ როცა კასტილიაში გლეხი არასოდეს ყმა არ ყოფილა, არაგონიაში უსაზიზღრესი ბატონყმობა ბატონობდა ფერდინანდ კათოლიკეს 1486 წლის დეკრეტამდე. ამ დოკუმენტში ნათქვამია: «ჩვენ ვადგენთ და ვაცხადებთ, რომ ზემოხსენებულ ბატონებს (სენიორებს, ბარონებს)... აგრეთვე არა აქვთ უფლება, როცა გლეხი ცოლს ირთავს პირველ ღამეს ამ ქალთან დაიძინონ, ანდა, თავიანთი ბატონობის ნიშნად, ქორწინების ღამეს, როცა ქალი ლოგინში ჩაწვება, გადააბიჯონ ამ ლოგინს და ხსენებულ ქალს; ასევე ზემოხსენებულ ბატონებს არა აქვთ უფლება მოიმსახურონ გლეხის ქალიშვილი ან ვაჟიშვილი მათი სურვილის წინააღმდეგ, იქნება ეს სასყიდლით თუ უსასყიდლოდ» (ციტატი კატალონურ ორიგინალიდან მოყვანილი აქვს ზუგენჰაიმს, «ბატონყმობა», პეტერბურგი, 1861[1], გვ. 35).

შემდეგ, ბახოფენი უეჭველად მართალია, როცა დაჟინებით ამტკიცებს, რომ მის მიერ «ჰეტერიზმად», ანუ «ჭაობში ჩასახვად» («Sumpfzeugung») წოდებული მდგომარეობიდან ერთ ცოლიანობაზე გადასვლა არსებითად დედაკაცების შემწეობით მოხდა. რაც უფრო ჰკარგავდა ძველთაგან მემკვიდრეობით გადმოცემული სქესობრივი ურთიერთობა თავის ველურ პირველყოფილ გულუბრყვილო ხასიათს ცხოვრების ეკონომიური პირობების განვითარებასთან ერთად, მაშასადამე, პირველყოფილი კომუნიზმის დარღვევასა და მოსახლეობის მზარდ სიმჭიდროესთან ერთად, მით უფრო დამამცირებლად და მძიმე ასატანად უნდა ჩვენებოდა ეს ურთიერთობა დედაკაცებს; მით უფრო თავგამოდებით უნდა მოეწადინებინათ და მოეპოვებინათ მათ უბიწოების უფლება, მხოლოდ ერთ

[1] Sugenheim S., Geschichte der Aufhebung der Leibeigenschaft und Hörigkeit in Europa bis an die Mitte des neunzehnten Jahrhunderts. St. Petersburg, 1861. რედ.

მამაკაცთან დროებითი ან ხანგრძლივი შეუღლების უფლება, როგორც ერთგვარი ხსნა. ეს ნაბიჯი წინ შეუძლებელია მამაკაცებს გადაედგათ, გარდა ყოველივე დანარჩენისა, უკვე მარტო იმის გამო, რომ მათ საერთოდ არასოდეს, დღემდეც კი, თავში აზრად არ მოსვლიათ ფაქტიური ჯგუფობრივი ცოლქმრობის სიამოვნებაზე უარი ეთქვათ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დედაკაცებმა განახორციელეს წყვილად შეუღლებაზე გადასვლა, მამაკაცებმა შესძლეს მკაცრი მონოგამია შემოეღოთ, რა თქმა უნდა, მხოლოდ დედაკაცებისათვის.

წყვილადი ოჯახი წარმოიშვა ველურობისა და ბარბაროსობის მიჯნაზე, უმეტეს ნაწილად ველურობის უმაღლეს საფეხურზე, მხოლოდ აქა-იქ ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე. იგი ოჯახის დამახასიათებელი ფორმაა ბარბაროსობის პერიოდისათვის, ისევე როგორც ჯგუფობრივი ცოლქმრობა დამახასიათებელია ველურობისათვის, ხოლო მონოგამია—ცივილიზაციისათვის. იმისათვის, რომ იგი შემდგომ განვითარებულიყო მტკიცე მონოგამიად, საჭირო იყო სხვა მიზეზები, ვიდრე ისინი, რომელნიც დღემდე მოქმედებდნენ. უკვე წყვილად შეუღლებაში ჯგუფი დაყვანილ იქნა თავის უკანასკნელ ერთეულამდე, თავის ორატომულ მოლეკულამდე,—ერთ მამაკაცამდე და ერთ დედაკაცამდე. ბუნებრივმა შერჩევამ თავისი საქმე დაამთავრა იმით, რომ სულ უფრო და უფრო აღრმავებდა, სისხლიერი ნათესაობის გამორიცხვას ცოლქმრული ურთიერთობიდან; ამ მიმართულებით მას გასაკეთებელი აღარაფერი რჩებოდა. მაშასადამე, ახალი ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი მამოძრავებელი ძალები რომ არ ამოქმედებულიყვნენ, არ არსებობდა არავითარი მიზეზი იმისათვის, თუ რატომ უნდა წარმოშობილიყო წყვილადი შეუღლებიდან ოჯახის ახალი ფორმა. მაგრამ ეს მამოძრავებელი ძალები ამოქმედდნენ.

ჩვენ ახლა ვტოვებთ ამერიკას, წყვილადი ოჯახის ამ კლასიკურ ნიადაგს. არ არსებობს რაიმე ნიშანი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევდეს დავასკვნათ, რომ იქ ოჯახის უფრო მაღალი ფორმა განვითარებულიყოს, რომ ამ ქვეყნის აღმოჩენასა და დაპყრობამდე იქ ოდესმე მტკიცე მონოგამია არსებულიყოს სადმე. სხვა მდგომარეობას ვხედავთ ძველ ქვეყანაში.

აქ ცხოველების მოშინაურებამ და ჯოგების მოშენებამ მანამდე წარმოუდგენელი სიმდიდრის წყაროები შექმნეს და სრულიად ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი წარმოშვეს. ბარბაროსობის დაბალ საფეხურამდე მუდმივ სიმდიდრეს შეადგენდა თითქმის მხოლოდ სახლი,

ტანსაცმელი, ტლანქი სამკაული და საზრდოს მოსაპოვებლად და დასამზადებლად საჭირო ისეთი ხელსაწყოები, როგორიცაა: ნავი, იარაღები, უმარტივესი სახის საოჯახო ჭურჭელი. ადამიანი იძულებული იყო ყოველდღიურად ეზრუნა საზრდოს ხელახალი მოპოვებისათვის. ახლა კი ჩვენმა ხალხებმა, რომელნიც წინ მიიწევენ,—არიელებმა ინდოეთის «ხუთი მდინარის» და განგის ხეობაში, ისევე როგორც ამუ-დარიის და სირ-დარიის აუზის იმ დროს ჯერ კიდევ წყლით გაცილებით უფრო მდიდარ ველებში, სემიტებმა ევფრატისა და ტიგროსის ნაპირებზე—ცხენების, აქლემების, ვირების, რქიანი პირუტყვის, ცხვრების, თხების და ღორების ჯოგის სახით, ისეთი ქონება შეიძინეს, რომელიც მხოლოდ მეთვალყურეობას და უაღრესად პრიმიტიულ მოვლას მოითხოვდა, რათა სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობით გამრავლებულიყო და ადამიანისათვის რძის თუ ხორცის მეტად უხვი საკვები მიეცა. ამიერიდან საზრდოს მოპოვების ყველა წინანდელი საშუალება დაიჩრდილა; ნადირობა, წინათ რომ აუცილებლობას წარმოადგენდა, ახლა ფუფუნებად იქცა.

მაგრამ ვის ეკუთვნოდა ეს ახალი სიმდიდრე? თავდაპირველად, უეჭველია, გვარს. მაგრამ ჯოგის კერძო საკუთრება უკვე ადრე უნდა განვითარებულიყო. ძნელი სათქმელია, მოსეს ე. წ. პირველი წიგნის ავტორს როგორ ჰყავდა წარმოდგენილი მამამთავარი აბრამი მისი ჯოგების მფლობელად: იმ უფლების ძალით, რომელიც ეკუთვნოდა მას, როგორც ოჯახური თემის უფროსს, თუ იმის გამო, რომ იგი გვარის ფაქტიური მემკვიდრეობითი უფროსი იყო. უეჭველია მხოლოდ ის, რომ აბრამი ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ მესაკუთრედ ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით. უეჭველია შემდეგ ისიც, რომ უცილობელი ისტორიის მიჯნაზე ჩვენ ვხედავთ, რომ ჯოგი უკვე ყველგან ოჯახის მეთაურთა განსაკუთრებული საკუთრებაა, სრულიად ისევე როგორც ბარბაროსობის ეპოქის ხელოვნების ნაწარმოებნი, ლითონის ჭურჭელი, ფუფუნების საგნები და, ბოლოს, პირუტყვად ქცეული ადამიანები—მონები.

ეს იმიტომ, რომ ახლა მონობაც გამოიგონეს. ბარბაროსობის დაბალი საფეხურის ადამიანისათვის მონა უსარგებლო იყო. ამიტომაც ამერიკელი ინდიელები დამარცხებულ მტრებს სულ სხვანაირად ექცეოდნენ, ვიდრე ამას განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ჰქონდა ადგილი. მამაკაცებს ისინი ხოცავდნენ ანდა გამარჯვებულთა ტომში ძმებად ღებულობდნენ; დედაკაცებს ან ცოლებად ირთავდნენ ანდა რაიმე სახით თავიანთი ტომის წევრებად ღებულობ-

დნენ მათ გადარჩენილ შვილებთან ერთად. ადამიანის სამუშაო ძალა ამ საფეხურზე ჯერ კიდევ არ იძლევა მნიშვნელოვან ნაჭარბს მის შესანახად საჭირო ხარჯებთან შედარებით. მეჯოგეობის, ლითონის დამუშავების, ფეიქრობისა და, ბოლოს, მემინდვრეობის შემოღებასთან ერთად მდგომარეობა შეიცვალა. სამუშაო ძალას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჯოგები საბოლოოდ ოჯახთა მფლობელობაში გადავიდა იგივე ამბავი მოუვიდა, რაც ცოლებს, რომელნიც წინათ ასე ადვილი საშოვნელნი იყვნენ და რომელთაც ახლა საცვლელი ღირებულება შეიძინეს და ყიდვა-გაყიდვის საგანი გახდნენ. ოჯახი ისე სწრაფად როდი მრავლდებოდა, როგორც პირუტყვი. პირუტყვის მოსავლელად ახლა მეტი ადამიანი იყო საჭირო; ამ მიზნისათვის შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო სამხედრო ტყვეებად წამოყვანილი მტერი, რომელსაც ამასთანავე ისევე შეეძლო გამრავლება, როგორც თვით პირუტყვს.

ასეთმა სიმდიდრემ, როგორც კი იგი ერთხელვე ოჯახების კერძო მფლობელობაში გადავიდა და იქ სწრაფად გამრავლება იწყო, ძლიერად დაარტყა წყვილად ცოლქმრობაზე და დედისუფლებიან გვარზე დამყარებულ საზოგადოებას. წყვილადმა ცოლქმრობამ ახალი ელემენტი შეიტანა ოჯახში. მშობელი დედის გვერდით მან დააყენა უცილობელი მშობელი მამა, რომელიც ამასთან, ალბათ, უფრო უცილობელიც კი იყო, ვიდრე ზოგიერთი დღევანდელი «მამა». შრომის იმ დანაწილების მიხედვით, რომელიც იმ დროს ოჯახში არსებობდა, ქმარს წილად უწევდა საკვებისა და ამისათვის აუცილებელი შრომის იარაღების მოპოვება, მაშასადამე, ამ უკანასკნელთა მიმართ საკუთრების უფლებაც მას ენიჭებოდა; ისინი მას თან მიჰქონდა იმ შემთხვევაში, თუ ცოლს გაეყრებოდა, ცოლს კი ოჯახის ავეჯეულობა და ჭურჭელი რჩებოდა. მაშასადამე, მაშინდელი საზოგადოების ზნე-ჩვეულების თანახმად, ქმარი აგრეთვე კვების ახალი წყაროს—პირუტყვის, შემდეგში კი ახალი შრომის იარაღის—მონების მესაკუთრეც იყო. მაგრამ იმავე საზოგადოების ზნე-ჩვეულების მიხედვით მის შვილებს არ შეეძლოთ მამის მემკვიდრეობის მიღება, რადგან მემკვიდრეობის მიღების საქმე შემდეგნაირად იყო:

დედის უფლების მიხედვით, მაშასადამე, სანამ ადამიანის წარმოშობა მხოლოდ დედის ხაზით ითვლებოდა, და გვარში არსებული მემკვიდრეობის პირვანდელი წესის მიხედვით, გარდაცვლილი წევრის მემკვიდრეობას გვარში თავდაპირველად მისი მეგვარეები ღებულობდნენ. ქონება უნდა დარჩენილიყო გვარში. თუ ამ სიმ-

დიდრეში შემავალი საგნები უმნიშვნელო იყო, იგი პრაქტიკაში, ალბათ, ძველთაგანვე გადადიოდა უახლოეს მეგვარეებზე, მაშასადამე, სისხლიერ ნათესავებზე დედის მხრიდან. მაგრამ გარდაცვლილი მამაკაცის შვილები ეკუთვნოდნენ არა მამის, არამედ დედის გვარს; თავდაპირველად ისინი მემკვიდრეობას ღებულობდნენ დედის დანარჩენ სისხლიერ ნათესავებთან ერთად, შემდეგში კი, შესაძლებელია, — პირველ რიგში; მაგრამ მამის მემკვიდრეობის მიღება მათ არ შეეძლოთ, რადგან ისინი მის გვარს არ ეკუთვნოდნენ, მათი მამის ქონება კი მისსავე გვარში უნდა დარჩენილიყო. მაშასადამე, ჯოგის მფლობელის სიკვდილის შემდეგ მისი ჯოგი უნდა გადასულიყო უწინარეს ყოვლისა მის ძმებზე და დებზე და მისი დების შვილებზე ანდა მისი დეიდების შთამომავლობაზე; მისი საკუთარი შვილები კი არაფერს არ ღებულობდნენ მემკვიდრეობიდან.

ამრიგად, იმდენად, რამდენადაც სიმდიდრე იზრდებოდა, იგი ერთი მხრივ, ქმარს უფრო მნიშვნელოვან მდგომარეობას ანიჭებდა ოჯახში, ვიდრე ცოლს, მეორე მხრივ კი, წარმოშობდა მისწრაფებას გამოეყენებინათ ეს განმტკიცებული მდგომარეობა იმისათვის, რომ მემკვიდრეობის ტრადიციული წესი შვილების სასარგებლოდ შეეცვალათ. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, სანამ წარმოშობა დედის უფლების მიხედვით ითვლებოდა. მაშასადამე, იგი უნდა დამხობილიყო და დაემხო კიდეც. ეს სრულიადაც არ იყო ისე ძნელი როგორც დღეს გვეჩვენება. იმიტომ რომ ეს რევოლუცია — ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური რევოლუცია, რომელიც კი კაცობრიობას ოდესმე განუცდია, — გვარის არც ერთ ცოცხალ წევრს არ შეხებია და არც იყო საჭირო შეხებოდა. გვარის ყველა წევრს შეეძლო შემდეგშიაც იგივე დარჩენილიყო, რაც წინათ იყო. საკმარისი იყო უბრალო გადაწყვეტილება, რომ მომავლისათვის მამაკაცი წევრების შთამომავლობა უნდა დარჩეს გვარში, დედაკაცისა კი უნდა გამოირიცხოს იქიდან და მამის გვარში გადავიდესო. ამით დაირღვა წარმოშობის გამორკვევა მდედრობითი ხაზით და დედოპრივი მემკვიდრეობითი უფლება, და შემოღებულ იქნა წარმოშობის გამორკვევა მამრობითი ხაზით და მამობრივი მემკვიდრეობითი უფლება. ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ როგორ და როდის მოხდა ეს რევოლუცია კულტურულ ხალხებში. იგი სავსებით წინაისტორიულ ეპოქას უნდა მიეკუთვნოს. მაგრამ ასეთი რევოლუცია რომ მართლა მ ო მ ხ დ ა რ ა, ეს საკმაოდ და კიდეე უფრო მეტადაა დამტკიცებული იმ ცნობებით, რომელნიც განსა-

კუთრებით ბახოფენმა შეკრიბა დედის უფლების უამრავი ნაშთის შესახებ; თუ როგორ ადვილად ხდება ეს რევოლუცია, ჩვენ ამას ვხედავთ მთელი რიგი ინდიელი ტომების მაგალითზე, სადაც იგი მხოლოდ ახლახან მოხდა და დღესაც კიდევ ხდება ნაწილობრივ მზარდი სიმდიდრისა და ცხოვრების წესის შეცვლის (ტყეებიდან ტრამალებში გადასახლების) ზეგავლენით, ნაწილობრივ კი ცივილიზაციისა და მისიონერების მორალური ზემოქმედებით. მდინარე მისურის აუზის რვა ტომიდან ექვსი ტომი წარმოშობასა და მემკვიდრეობას აღიარებს მამრობითი ხაზით, ხოლო ორი ჯერ კიდევ მდედრობითი ხაზით. შოუნელებსა, მიამიელებსა და დელავარელებს შორის დამკვიდრდა ჩვეულება შვილებისათვის ეწოდებინათ მამის გვარიდან ერთ-ერთი გვარის სახელი და ამ გვარში გადაეყვანათ, რათა ისინი თავიანთი მამის მემკვიდრეები გამხდარიყვნენ. «ადამიანის თანდაყოლილი კაზუისტიკაა — შესცვალოს საგნები მათი სახელის შეცვლით, და გამონახოს საძრომი იმისათვის, რომ ტრადიციის ფარგლებში ტრადიცია ამსხვრიოს, როცა უშუალო ინტერესი ამისათვის საკმაო სტიმულს იძლევა!» (მარქსი). აქედან წარმოიშვა უიმედო არევდარევა, რის მოსპობაც შეიძლებოდა და მართლაც ნაწილობრივ მოისპო კიდეც მხოლოდ მამის უფლებაზე გადასვლით. «ეს გადასვლა საერთოდ ყველაზე ბუნებრივი ჩანს» (მარქსი). იმის შესახებ, თუ რისი თქმა შეუძლიათ შედარებითი იურისპრუდენციის სპეციალისტებს იმ წესზე, რომლითაც ეს გადასვლა მოხდა ძველი კონტინენტის კულტურულ ხალხებში, — ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, თითქმის მხოლოდ ჰიპოთეზებია, — იხ. მ. კოვალევსკი, «ნარკვევი ოჯახის და საკუთრების წარმოშობისა და განვითარების შესახებ», 1890[1].

დედის უფლების დამხობა მ დ ე დ რ ო ბ ი თ ი ს ქ ე ს ი ს მ ს ო ფ ლ ი ო - ი ს ტ ო რ ი უ ლ ი დ ა მ ა რ ც ხ ე ბ ა ი ყ ო. მამაკაცმა ოჯახშიც ხელთ იგდო გამგებლობის საქე, დედაკაცმა კი დაკარგა თავისი საპატიო მდგომარეობა, იგი გახდა მსახური, მონა მამაკაცის ჟინისა, უბრალო იარაღი შვილოსნობისა. დედაკაცის ეს დამცირებული მდგომარეობა, როგორც იგი განსაკუთრებით აშკარად მოსჩანს გმირული და — კიდევ უფრო მეტად — კლასიკური ეპოქის ბერძნებში, თანდათანობით ფარისეველურად შელამაზდა და

---

1 Kovalevsky M., Tableau des origines et de l'évolution de la famille et de la propriété. Stockholm, 1890. რ ე დ.

ფარისეველურად მიფუჩეჩდა, ალაგ-ალაგ აგრეთვე უფრო რბილი ფორმით შეიპოსა, მაკრამ იგი სრულიადაც არ მოსპობილა.

მაბაკაცების ამ წესით დამყარებული ერთძალაუფლებიანობის პირველი შედეგი თავს იჩენს პატრიარქალური ოჯახის იმ შუალედურ ფორმაში, რომელიც ახლა ჩნდება. მას ახასიათებს უმთავრესად არა მრავალცოლიანობა, რომელზეც ქვემოთ იქნება ლაპარაკი, არამედ «თავისუფალ და არათავისუფალ პირთა გარკვეული რაოდენობის ორგანიზება ისეთ ოჯახად, რომელიც ოჯახის უფროსის — მამის ბატონობას ემორჩილება. სემიტებში ოჯახის ამ უფროსს მრავალი ცოლი ჰყავს, არათავისუფალ პირებს ცოლები და შვილები ჰყავთ, მთელი ამ ორგანიზაციის მიზანს კი შეადგენს ჯოგების მოვლა გარკვეულ ტერიტორიაზე». აქ არსებითი მნიშვნელობისაა ოჯახის შემადგენლობაში არათავისუფალ პირთა შეყვანა და მამის ძალაუფლება; ამიტომ ამ ოჯახის ფორმის დასრულებულ ტიპს წარმოადგენს რომაული ოჯახი. სიტყვა familia თავდაპირველად არ ნიშნავს თანამედროვე ფილისტერის იდეალს, რომელიც სანტიმენტალობისა და ოჯახური კინკლაობისაგან შედგება. რომაელებში ეს სიტყვა თავდაპირველად არც კი იხმარებოდა ცოლ-ქმრისა და მათი შვილების მიმართ, არამედ მას მხოლოდ მონების მიმართ ხმარობდნენ. Famulus ნიშნავს შინაურ მონას, familia კი იმ მონათა ერთობლიობის გამომხატველია, რომელნიც ერთ მაბაკაცს ეკუთვნიან. ჯერ კიდევ გაიუსის დროს familia, id est patrimonium (ე. ი მემკვიდრეობა), ანდერძით გადადიოდა. ეს გამოთქმა რომაელებმა გამოიგონეს იმ ახალი საზოგადოებრივი ორგანიზმის აღსანიშნავად, რომლის მეთაური ცოლის, შვილების და მონათა გარკვეული რაოდენობის ბატონი იყო და რომელსაც, რომში არსებული მამის უფლების ძალით, ყველა მათგანის მოკვლისა და სიცოცხლის ჩუქების უფლება ჰქონდა. «მაშასადამე, ეს სიტყვა არაა ლათინური ტომების რკინით შეჯავშნილ იმ ოჯახურ სისტემაზე უფრო ძველი, რომელიც წარმოიშვა მიწათმოქმედების შემოღებასა და მონობის დაკანონების შემდეგ და მას შემდეგ, რაც არიელი იტალიკები ბერძნებს ჩამოშორდნენ». მარქსი უმატებს: «თანამედროვე ოჯახი ჩანასახში შეიცავს არა მარტო მონობას (servitus), არამედ ბატონყმობისაც, რადგან მას იმთავითვე დამოკიდებულება აქვს სამიწათმოქმედო ბეგარასთან. იგი შეიცავს მინიატურულად ყველა იმ ანტაგონიზმს, რომელნიც შემდეგში ფართოდ ვითარდებიან საზოგადოებისა და მის სახელმწიფოში».

ოჯახის ასეთი ფორმა ნიშნავს გადასვლას წყვილადი ცოლ-ქმრობიდან მონოგამიაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ცოლის ერთგულება და, მაშასადამე, მამა-შვილობის უეჭველობაც, ცოლი ქმრის აბსოლუტურ ძალაუფლებას ემორჩილება; თუ ქმარი ცოლს ჰკლავს, ამით ის მხოლოდ თავის უფლებას აწორციელებს.

პატრიარქალური ოჯახის განხილვით ჩვენ შევდივართ წერილობითი ისტორიის სფეროში და ამასთანავე ისეთ სფეროში, სადაც შედარებითს სამართლისმცოდნეობას ჩვენთვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია. და მართლაც, მან აქ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაგვადგმევინა წინ. ჩვენ მაქსიმ კოვალევსკის («ნარკვევი ოჯახისა და საკუთრების წარმოშობის და განვითარების შესახებ», სტოკჰოლმი, 1890, გვ. 60 — 100) უნდა ვუმადლოდეთ იმის დამტკიცებას, რომ პატრიარქალური სახლისეული თემი (patriarchalische Hausgenossenschaft), რომელსაც «ზადრუგას» (დაახლოებით შეიძლება ითარგმნოს როგორც ამბანაგობა) ან «ბრატსტვოს» (ძმობის) სახელწოდებით დღესაც კიდევ სერბიელებსა და ბულგარელებში, ხოლო შეცვლილი ფორმით აღმოსავლეთის ხალხებში ვპოულობთ, — წარმოადგენდა გარდამავალ საფეხურს ჯგუფობრივი ცოლქმრობიდან წარმომდგარ და დედის უფლებაზე დამყარებულ ოჯახსა და თანამედროვე მსოფლიოს ცალკეულ ოჯახს შორის. ყოველ შემთხვევაში ძველი ქვეყნის კულტურული ხალხებისათვის, არიელებისა და სემიტებისათვის ეს შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს.

სამხრეთ-სლავური ზადრუგა ასეთი ოჯახური თემის საუკეთესო ნიმუშია, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს. იგი მოიცავს ერთი ნამის შთამომავალთა რამდენიმე თაობას მათ ცოლებთან ერთად; ამასთან ისინი ყველანი ერთად ცხოვრობენ ერთ კომლად, თავიანთ მინდვრებს ერთად ამუშავებენ, იკვებებიან და იმოსებიან საერთო მარაგიდან და მოსავლის ნაგეტს ერთად ფლობენ. თემი ექვემდებარება მამასახლისის, დომაჩინის (domàcin) უმაღლეს მმართველობას, რომელიც მის საგარეო წარმომადგენლად ითვლება; მას უფლება აქვს წვრილი ნივთები გაასხვისოს, ხელშეკრულებს სალაროს, პასუხისმგებელია როგორც ამ უკანასკნელისათვის, ისე აგრეთვე მთელი მეურნეობის წესიერი მსვლელობისათვის. მას ირჩევენ და სრულიადაც სავალდებულო არაა იგი უხუცესი იყოს. დედაკაცები და მათი მუშაობა ექვემდებარება დიასახლისის, დომაჩიცას (domácica) ხელმძღვანელობას, რომელიც ჩვეულებრივ დომაჩინის მეუღლეა. მასაც აგრეთვე თემის გასათხოვარი ქალების საქმროების არჩევაში მნიშვნელოვანი, ხშირად გადამწყვეტი ხმა აქვს.

მაგრამ უმაღლესი ხელისუფლება თემში ეკუთვნის ოჯახის საბჭოს, ყველა სრულასაკოვანი წევრის, ქალებისა და მამაკაცების, კრებას. ამ კრებას ანგარიშს აბარებს მამასახლისი; კრებას გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილებანი, ასამართლებს წევრებს, გამოაქვს დადგენილებანი უფრო მნიშვნელოვანი ყიდვა-გაყიდვის, სახელდობრ, მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ და ა. შ.

დაახლოებით მხოლოდ ათი წლის წინათ დამტკიცდა, რომ ასეთი დიდი ოჯახური თემები რუსეთშიც განაგრძობენ არსებობას, ახლა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ისინი ისევე ღრმად არიან ფესვებგადგმული რუსი ხალხის ზნე-ჩვეულებებში, როგორც ობშჩინა ანუ სასოფლო თემი. ისინი გვხვდებიან უძველეს რუსულ კანონთა კრებულში, იაროსლავის «პრავდაში», — იმავე სახელწოდებით (ვერვი), როგორც დალმაციურ კანონებში; მათი და მათზე მითითებების მონახვა შეიძლება აგრეთვე პოლონურ და ჩეხურ ისტორიულ წყაროებში.

ჰოისლერის მიხედვით («გერმანული სამართლის დაწესებულებანი»[1]), გერმანელებშიც სამეურნეო ერთეულს თავდაპირველად წარმოადგენს არა ცალკეული ოჯახი თანამედროვე აზრით, არამედ სახლიანეული თემი («Hausgenossenschaft»), რომელიც მრავალი თაობისაგან, ანუ მრავალი ცალკეული ოჯახისაგან, შედგება და ამასთანავე ხშირად არათავისუფალ პირებსაც შეიცავს. რომაული ოჯახიც ამავე ტიპზე დაჰყავთ და ამის შესაბამისად უკანასკნელ დროს მეტად სადავოდ ხდიან როგორც მამასახლისის აბსოლუტურ ხელისუფლებას, ისე ოჯახის დანარჩენ წევრთა უუფლებობასაც მის მიმართ. კელტებს შორისაც ირლანდიაში, როგორც ჩანს, მსგავსი სახლისეული თემები არსებობდნენ; საფრანგეთში ასეთმა თემებმა ნივერნეში საფრანგეთის რევოლუციამდე გასძლეს parçonneries სახელწოდებით, ხოლო ფრანშ კონტეში ისინი დღესაც ჯერ კიდევ არ გამქრალან მთლად. ლუანის რაიონში (საონის და ლუარას დეპარტამენტი) შეხვდებით გლეხების დიდ სახლებს საერთო, მაღალი, სახურავამდე ამართული ცენტრალური დარბაზით, რომელსაც გარშემო არტყია დასაძინებელი ოთახები, სადაც 6 — 8 საფეხურიანი კიბეებით ადიან და სადაც ერთი და იმავე ოჯახის რამდენიმე თაობა ცხოვრობს.

---

[1] Heusler A., Institutionen des deutschen Rechts. Bd. I — II. Leipzig, 1885 — 1886. რედ.

ინდოეთში სახლისეული თემი, რომელიც მიწას კოლექტიურად ამუშავებს, უკვე მოხსენებულია ნეარქოსის მიერ ალექსანდრე დიდის ეპოქაში და იგი დღესაც არსებობს იმავე მხარეში, პენჯაბში, და მთელ ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში. კავკასიაში მისი არსებობის დამტკიცება თვითონ კოვალევსკიმ შესძლო. ალჟირში იგი ახლაც არსებობს კაბილებს შორის. როგორც ჩანს, იგი ამერიკაშიც არსებობდა; მისი აღმოჩენა სურთ — «calpullis-ში,» [1] რომელთაც სურიტა ძველ მექსიკაში აგვიწერს; პირიქით, კუნოვმა («Ausland») (№ 42-44, 1890) საკმაოდ ნათლად დაამტკიცა, რომ პერუში, როცა ეს ქვეყანა დაიპყრეს, რაღაც მარკის მაგვარი რამ არსებობდა (ამასთან საოცარია, რომ ამ მარკასაც marca ეწოდებოდა), სადაც ადგილი ჰქონდა დამუშავებული მიწის პერიოდულ გადანაწილებას, მაშასადამე, მიწის ინდივიდუალურ დამუშავებას.

ყოველ შემთხვევაში პატრიარქალური სახლისეული თემი საერთო მიწათმფლობელობით და მიწის საერთო დამუშავებით ახლა სულ სხვა მნიშვნელობას იძენს, ვიდრე წინათ. ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია საეჭვოდ მივიჩნიოთ ის მნიშვნელოვანი გარდამავალი როლი, რომელსაც იგი ასრულებდა ძველი ქვეყნის კულტურულ და ზოგიერთ სხვა ხალხში დედის უფლებაზე დამყარებულ ოჯახსა და ცალკეულ ოჯახს შორის არსებულ პერიოდში. ჩვენ ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით კოვალევსკის მიერ გაკეთებულ შემდგომ დასკვნას, რომ იგი წარმოადგენდა აგრეთვე გარდამავალ საფეხურს, საიდანაც განვითარდა სასოფლო თემი, ანუ სამარკო თემი, ცალკეული ოჯახების მიერ მიწის დამუშავებით და სახნავ-სათესის და სათიბების ჯერ პერიოდული, შემდეგ კი საბოლოო დანაწილებით.

რაც შეეხება ოჯახურ ცხოვრებას ამ სახლისეული თემების შიგნით, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში მაინც, სახლის უხუცესი, როგორც ცნობილია, ძალიან ბოროტად იყენებს თავის მდგომარეობას თემის ახალგაზრდა ქალების, განსაკუთრებით თავისი რძლების მიმართ, და ხშირად მათგან ჰარამხანას მართავს თავისთვის; ამას საკმაოდ მკერმეტყველურად ადასტურებენ რუსული ხალხური სიმღერები.

სანამ მონოგამიაზე გადავიდოდეთ, რომელიც დედის უფლების დამხობასთან ერთად სწრაფად ეითარდება, ორიოდე სიტყვას ვიტყვით კიდევ მრავალცოლიანობასა და მრავალქმრიანობაზე. ცოლქმრობის ორივე ეს ფორმა შეიძლება მხოლოდ გამონაკლისი

[1] «Calpullis» — აცტეკების ოჯახური თემი. რ ე დ.

იყოს, — ასე ვთქვათ, ფუფუნების ისტორიული პროდუქტი, — იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ ორივე ფორმას რომელიმე ქვეყანაში ერთიმეორის გვერდით ექნებოდა ადგილი, რაც, როგორც ცნობილია, არ ხდება. მაშასადამე, რადგანაც მრავალცოლიანობიდან გამორიცხულ მამაკაცებს არ შეუძლიათ თავი ინუგეშონ მრავალქმრიანობის გამო ზედმეტად დარჩენილი დედაკაცებით, ხოლო მამაკაცებისა და დედაკაცების რიცხვი, სოციალურ დაწესებულებათა მიუხედავად, დღემდე თითქმის თანაბარი იყო, ამიტომ შეუძლებელი იყო ცოლ-ქმრობის როგორც პირველი, ისე მეორე ფორმა საყოველთაოდ აღიარებული გამხდარიყო. მართლაც, ერთი მამაკაცის მრავალცოლიანობა, ცხადია, მონობის პროდუქტი იყო და მისაწვდომი მხოლოდ იმ ცალკეულ პირთათვის, რომელთაც განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავათ. სემიტურ-პატრიარქალურ ოჯახში თვით პატრიარქსა და, სულ დიდი, მის ორიოდე ვაჟს ჰყავს მრავალი ცოლი, დანარჩენები კი იძულებულნი არიან ერთი ცოლით დაკმაყოფილდნენ. ასეა დღესაც მთელს აღმოსავლეთში; მრავალცოლიანობა მდიდართა და წარჩინებულთა პრივილეგიაა და ცოლებს უმთავრესად მხევალთა ყიდვის გზით შოულობენ; ხალხის დიდი უმრავლესობა მონოგამიურ ოჯახებად ცხოვრობს. ასეთსავე გამონაკლისს წარმოადგენს მრავალქმრიანობა ინდოეთსა და ტიბეტში; მისი წარმოშობა ჯგუფობრივი ცოლქმრობიდან, რაც უეჭველად საინტერესოა, ჯერ კიდევ დაწვრილებით გამოსაკვლევია. სხვათა შორის, პრაქტიკულად მრავალქმრიანობა, როგორც ეტყობა, გაცილებით უფრო მოსათმენია, ვიდრე მაჰმადიანების ჰარამხანათა ეპვიანობით აღსავსე რეჟიმი. ყოველ შემთხვევაში ინდოეთის ნაირებში, მაგალითად, ყოველ სამ, ოთხ ან კიდევ მეტ მამაკაცს თუმცა ერთი საერთო ცოლი ჰყავს, მაგრამ თვითეულ მათგანს ამასთანავე შეიძლება სხვა სამ ან მეტ მამაკაცთან ერთად მეორე საერთო ცოლი ჰყავდეს, შემდეგ მესამე, მეოთხე და ა. შ. საკვირველია, რომ მაკ-ლენანმა ამ საქორწინო კლუბებში, რომელნიც მან ასწერა და რომელთა წევრებსაც შეუძლიათ ერთსა და იმავე დროს რამდენიმე კლუბში ითვლებოდნენ, ვერ აღმოაჩინა საკლუბო ქორწინების ახალი კატეგორია. სხვათა შორის საქორწინო კლუბების ეს ჩვეულება სრულიადაც არ წარმოადგენს ნამდვილ მრავალქმრიანობას; პირიქით, როგორც უკვე ჟირო-ტელონმა აღნიშნა, იგი ჯგუფობრივი ცოლქმრობის მხოლოდ განსაკუთრებული (spezialisierte) ფორმაა; მამაკაცებს აქ მრავალი ცოლი ჰყავთ, დედაკაცებს კი — მრავალი ქმარი.

4. მონოგამიური ოჯახი. იგი წარმოდგება წყვილადი ოჯახიდან, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, ბარბაროსობის შუა და უმაღლესი საფეხურის მიჯნაზე; მისი საბოლოო გამარჯვება ცივილიზაციის დაწყების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. იგი დამყარებულია ქმრის ბატონობაზე და მის გარკვეულად გამოხატულ მიზანს შეადგენს ისეთი შვილების გაჩენა, რომელთა წარმოშობაც ამა თუ იმ მამისაგან უცილობლად გამორკვეულია, ხოლო წარმოშობის ეს უეჭველობა აუცილებელი ხდება, იმიტომ, რომ შემდეგში შვილები, როგორც პირდაპირი მემკვიდრეები, მამის ქონებას უნდა დაეპატრონონ. წყვილადი ცოლქმრობისაგან იგი განსხვავდება ცოლქმრული კავშირის გაცილებით უფრო მეტი სიმტკიცით; ამ კავშირის გაწყვეტა ახლა უკვე აღარ შეიძლება რომელიმე მხარის სურვილით. ახლა უკვე, როგორც წესი, მხოლოდ ქმარს შეუძლია ჯერ კიდევ გაწყვიტოს ეს კავშირი და გააგდოს თავისი ცოლი. ღალატის უფლება ახლაც ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი რჩება მამაკაცისათვის, ყოველ შემთხვევაში, ზნე-ჩვეულების მიხედვით მაინც (ნაპოლეონის კოდექსი გარკვევით ანიჭებს ქმარს ამ უფლებას, სანამ იგი საყვარელს ოჯახში არ შეიყვანს), და საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ მსვლელობასთან ერთად ეს უფლება სულ უფრო და უფრო ფართოდ ხორციელდება; ხოლო თუ ცოლი ძველ სქესობრივ პრაქტიკას გაიხსენებს და მის განახლებას მოისურვებს, იგი გაცილებით უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე ოდესმე უწინ დასჯილა.

ოჯახის ახალ ფორმას მთელი თავისი სისასტიკით ჩვენ ვხედებით ბერძნებში. მაშინ როდესაც ქალ-ღმერთების მდგომარეობა მითოლოგიაში,—როგორც ამას მარქსი აღნიშნავს,— უფრო ადრინდელ პერიოდს გვიხატავს, როცა დედაკაცებს ჯერ კიდევ უფრო თავისუფალი, უფრო პატივსაცემი მდგომარეობა ეჭირათ,— გმირულ პერიოდში ჩვენ ვხედავთ, რომ დედაკაცი უკვე დამცირებულია მამაკაცის ბატონობისა და მხევლების მეტოქეობის გამო. საკმარისია წაიკითხოთ «ოდისეაში», თუ როგორ გააწყვეტინებს სიტყვას ტელემაკი თავის დედას და აიძულებს მას დადუმდეს. ტყვედ ჩავარდნილი ახალგაზრდა ქალები ჰომეროსის ნაწერებში გამარჯვებულთა ავხორცობის მსხვერპლნი ხდებიან: მხედართმთავრები რიგრიგობით და თავიანთი წარჩინების მიხედვით ტყვე ქალებიდან ყველაზე ლამაზებს თავისთვის ირჩევენ; მთელი «ილიადა», როგორც ცნობილია, აგებულია იმ დავის გარშემო, რომელიც აქილესსა და აგამემნონს შორის წარმოებს ერთი მხევლის გული-

სათვის. ჰომეროსის ყოველი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი გმირის გვერდით მოხსენებულია ახალგაზრდა ტყვე ქალიშვილი, რომელიც მისი კარავისა და სარეცლის მონაწილეა. ეს ახალგაზრდა ქალიშვილები თან მიჰყავთ აგრეთვე სამშობლოში და ცოლქმრის ოჯახში, როგორც, მაგალითად, ესქილეს აგამემნონმა კასანდრა წაიყვანა; ასეთ მხევლებთან გაჩენილი ვაჟები მამის მემკვიდრეობიდან მცირე წილს ღებულობენ და სავსებით თავისუფალ მოქალაქეებად ითვლებიან; ტევკროსი ტელამონის ასეთი ქორწინების გაოეშე ნაშობი ვაჟია და მას უფლება აქვს თავისი მამის სახელი ატაროს. კანონიერი ცოლისაგან მოითხოვენ, რომ ყოველივე ამას შეურიგდეს, თვითონ კი უბიწოება და მეუღლის ერთგულება მკაცრად დაიცვას. თუმცა გმირული ეპოქის ბერძენი ქალი უფრო მეტი პატივისცემით სარგებლობს, ვიდრე ცივილიზაციის ეპოქის ქალი, მაგრამ იგი მაინც, ბოლოს და ბოლოს, მამაკაცისათვის მხოლოდ დედაა მისი კანონიერი მემკვიდრე შვილებისა, მისი უფროსი დიასახლისია და მეთვალყურე იმ მხევლებისა, რომელნიც ამ მამაკაცს შეუძლია სურვილისამებრ თავის საყვარლებად აქციოს და ფაქტიურად აქცევს კიდეც. მონობის არსებობამ მონოგამიის გვერდით, ახალგაზრდა ლამაზი მხევლების არსებობამ, რომელნიც მამაკაცს ეკუთვნიან მთელი თავიანთი ავლადიდებით, იმთავითვე სპეციფიკური ხასიათი მისცა მონოგამიას იმით, რომ იგი აქცია მონოგამიად მხოლოდ დედაკაცისათვის და არა მამაკაცისათვის. ასეთ ხასიათს ინარჩუნებს იგი დღესაც.

გვიანდელი დროის ბერძნებს შორის უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან დორიელები და იონიელები. პირველთ, რომელთა კლასიკურ ნიმუშს სპარტა წარმოადგენს, შენარჩუნებული აქვთ ცოლქმრობის ისეთი ურთიერთობანი, რომელნიც ბევრ რამეში კიდევ უფრო არქაულია, ვიდრე თვით ჰომეროსის მიერ დასურათებული ურთიერთობანი. სპარტაში არსებობს წყვილადი ცოლქმრობა, რომელიც სახელმწიფოს მიერ იქაური შეხედულებების შესაბამისად სახეშეცვლილია და ბევრ რამეში ჯერ კიდევ ჯაუფობბრივ ცოლქმრობას მოგვაგონებს. უშვილო ცოლქმრები ერთმანეთს ეყრებიან; მეფე ანაქსანდრიდასმა (650 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომელსაც უშვილო ცოლი ჰყავდა, მეორე ცოლი მოიყვანა და ორ ოჯახობას ეწოდა; იმავე ხანაში მეფე არისტონმა, რომელსაც ორი უშვილო ცოლი ჰყავდა, მესამე მოიყვანა, მაგრამ სამაგიეროდ ერთ-ერთი წინანდელი გაუშვა. მეორე მხრივ, რამდენიმე ძმას შეეძლო ერთი საერთო ცოლი ჰყოლოდა; მამაკაცს, რო-

მელსაც თავისი მეგობრის ცოლი უფრო მოეწონებოდა, შეეძლო მას ჩაზიარებოდა; ურიგო საქმედ როდი იყო მიჩნეული, თუ ქმარი თავის ცოლს ჯანიან «ულაყს», — როგორც ამას ბისმარკი იტყოდა, — დაუთმობდა, თუნდაც იგი თანამოქალაქე არ ყოფილიყო. პლუტარქის ერთი ადგილიდან, სადაც სპარტელი ქალი თავის ქმართან აგზავნის დასტურის მისაღებად შეყვარებულ ვაჟს, რომელიც მას სიყვარულს სთხოვს, შეიძლება დავასკვნათ — შემანის მიხედვით — ის, რომ ზნე-ჩვეულება კიდევ უფრო თავისუფალიც კი ყოფილა. ამიტომ ცოლქმრული ერთგულების ნამდვილი დარღვევა, ცოლის ღალატი ქმრის ზურგს უკან, გაუგონარი ამბავი იყო. მეორე მხრივ, სპარტა, ყოველ შემთხვევაში მის საუკეთესო ხანაში, არ იცნობდა შინაურ მონობას, ყმა ჰელოტები განცალკევებულად ცხოვრობდნენ მამულებში, ამიტომ სპარტიატებისათვის[1] უფრო ნაკლებად არსებობდა ცთუნება მათი ცოლების ხელში ჩაგდებისა. ის, რომ ყველა ამ გარემოების გამო დედაკაცებს სპარტაში ბევრად უფრო პატივსაცემი ადგილი ეჭირათ, ვიდრე დანარჩენ ბერძენ ქალებს, სრულიად ბუნებრივია და სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. სპარტელი ქალები და რჩეული ათენელი ჰეტერები ერთადერთი ბერძენი ქალები იყვნენ, რომელთა შესახებ ძველები მოკრძალებით ლაპარაკობენ და რომელთა ნალაპარაკევს ისინი მოხსენიების ღირსად თვლიან.

სულ სხვა მდგომარეობას ვხედავთ იონიელებში, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ათენი. ახალგაზრდა ქალები სწავლობდნენ მხოლოდ დართვას, ქსოვას და კერვას, სულ დიდი — ცოტაოდენ წერას და კითხვას. ისინი თითქმის კარჩაკეტილნი ცხოვრობდნენ, ურთიერთობა ჰქონდათ მხოლოდ სხვა ქალებთან. ქალთა ოთახი მოთავსებული იყო სახლის განცალკევებულ ნაწილში, ზედა სართულში ან ფლიგელში, სადაც მამაკაცები, განსაკუთრებით უცხონი, ადვილად ვერ შეეიდოდნენ და სადაც დედაკაცები გადიოდნენ ხოლმე მამაკაცების სახლში მოსვლის დროს. მხევლის თანხლების გარეშე ქალები სახლიდან არ გადიოდნენ; სახლში მათ პირდაპირ დარაჯობდნენ. არისტოფანე იხსენიებს მოლოსის ძაღლებს, რომელნიც ეზოში ჰყავდათ ცოლქმრული ერთგულების დამრღვევთა დასაშინებლად, ხოლო აზიის ქალაქებში ქალების სამეთვალყურეოდ საჭურისები ჰყავდათ, რომელთაც უკვე ჰეროდოტეს დროს კუნ-

[1] სპარტიატები — ეს არის სრულუფლებიან მოქალაქეთა კლასი ძველ სპარტაში, განსხვავებით ჰელოტებისაგან. რედ.

ძულ ქიოსზე ამზადებდნენ გასაყიდად, და ეს, ვაქსმუტის აზრით, მარტო პარპაროსებისათვის როდი ხდებოდა. ევრიპიდე ცოლს აღნიშნავს სიტყვით oikurema, როგორც ოჯახში მომუშავე ნივთს (ეს სიტყვა საშუალო სქესისაა), და ათენელისათვის ცოლი,—გარდა იმისა, რომ შვილების გამჩენი იყო, უფროს შინამოსამსახურეს წარმოადგენდა და მეტს არაფერს. ქმარი გართული იყო თავისი ტანვარჯიშობით, საზოგადოებრივი საქმეებით, ცოლი კი ყოველივე ამას მოკლებული იყო; გარდა ამისა, ქმარს კიდევ ხშირად თავის განკარგულებაში ჰყავდა მხევლები, ხოლო ათენის აყვავების ხანაში მის ხელთ იყო ფართოდ გავრცელებული პროსტიტუცია, რომელსაც ყოველ შემთხვევაში სახელმწიფო ხელს უწყობდა. სწორედ ამ პროსტიტუციის ნიადაგზე განვითარდნენ საბერძნეთში დამახასიათებელი ხასიათის მქონე ბერძენი ქალები, რომელნიც თავიანთი ჭკუითა და მხატვრული გემოვნებით ისევე სცილდებოდნენ ანტიკური ქვეყნის ქალების საყოველთაო დონეს, როგორც სპარტელი ქალები თავიანთი ხასიათით. მაგრამ ის გარემოება, რომ ჯერ საპირო იყო ჰეტერად გახდომა, რათა შემდეგში ქალად გადაქცეულიყო, ათენური ოჯახისათვის ყველაზე სასტიკ გაკიცხვას წარმოადგენს.

ეს ათენური ოჯახი დროთა მსვლელობაში ისეთ ნიმუშად იქცა, რომლის მიხედვითაც არა მარტო დანარჩენი იონიელები, არამედ თანდათან მეტროპოლიისა და კოლონიათა მთელი ბერძნობაც თავის ოჯახურ ყოფაცხოვრებას აყალიბებდა. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამ კარჩაკეტილობისა და თვალყურის დევნებისა, ბერძენი ქალები მაინც საკმაოდ ხშირად პოულობდნენ იმის შემთხვევას, რომ მოეტყუებინათ თავიანთი ქმრები; ეს უკანასკნელნი კი, რომელთაც რცხვენოდათ გაემეღავნებინათ თავიანთი ცოლების მიმართ რაიმე სიყვარულის გრძნობა, დროს ატარებდნენ ჰეტერებთან ყოველგვარ სამიჯნურო კავშირსა და არშიყობაში. მაგრამ ცოლების დამცირება შურს იძიებდა მამაკაცებზე და ამცირებდა მათაც, სანამ ისინი, ბოლოს, გარყვნილების, ე. ი. ბიჭებისადმი არაბუნებრივი სიყვარულის ჭაობში არ ჩაეფლნენ და თავიანთ ღმერთებს, ისევე როგორც თავიანთ თავსაც, პატივი არ ახადეს განიმედის მითის შექმნით.

ასეთი იყო მონოგამიის წარმოშობა, რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია იგი ძველი ქვეყნის ყველაზე ცივილიზებული და ყველაზე განვითარებული ხალხის მიხედვით გამოვიკვლიოთ. იგი სრულიადაც არაა ნაყოფი ინდივიდუალური სქესობრივი სიყვარულისა, რომელ-

თანაც მას საერთო აბსოლუტურად არაფერი ჰქონდა, რადგან ცოლქმრობა უწინდებურად ანგარიშზე დამყარებულ ცოლქმრობად რჩებოდა. იგი იყო პირველი ოჯახური ფორმა, რომელიც ემყარებოდა არა ბუნებრივ, არამედ ეკონომიურ პირობებს, სახელდობრ— კერძო საკუთრების გამარჯვებას პირველყოფილ, ბუნებრივად აღმოცენებულ საერთო საკუთრებაზე. ქმრის ბატონობა ოჯახში და ისეთი შვილების გაჩენა, რომელნიც უეჭველად მისი უნდა ყოფილიყვნენ და მისი ქონების მემკვიდრენი უნდა გამხდარიყვნენ,—ასეთი იყო ის ერთადერთი მიზანი ერთცოლიანობისა, რასაც ბერძნები გულახდილად გამოთქვამდნენ. სხვა მხრივ კი, ერთცოლიანობა ბერძნებისათვის იყო ტვირთი, მოვალეობა ღმერთების, სახელმწიფოსა და საკუთარი წინაპრების მიმართ, მოვალეობა, რომელიც უნდა შესრულებულიყო. ათენში კანონი აიძულებდა მოქალაქეს არა მარტო ცოლის შერთვას, არამედ ქმრის მიერ ეგრეთწოდებულ ცოლქმრულ მოვალეობათა გარკვეული მინიმუმის შესრულებასაც.

ამრიგად, ერთცოლიანობა სრულიადაც არ გვევლინება ისტორიაში როგორც შერიგება მამაკაცსა და დედაკაცს შორის, და მით უფრო ნაკლებად გვევლინება იგი როგორც ამ შერიგების უმაღლესი ფორმა. პირქით. იგი გვევლინება როგორც დამონება ერთი სქესისა მეორის მიერ, როგორც გამოცხადება სქესთა ანტაგონიზმისა, რომელიც უცნობი იყო მანამდე მთელ წინანდელ ისტორიაში. ერთ ძველ, დაუბეჭდავ ხელნაწერში, რომელიც მარქსმა და მე 1846 წელს შევადგინეთ[1], მე ვნახულობ შემდეგ სიტყვებს: «შრომის პირველი დანაწილება მამაკაცსა და დედაკაცს შორის მოხდა შვილების გაჩენის მიზნით». დღეს მე შემიძლია ამას დავუმატო: კლასთა პირველი დაპირისპირება, რომელიც ისტორიაში ჩნდება, ემთხვევა ქმარსა და ცოლს შორის ანტაგონიზმის განვითარებას ერთცოლიანობის დროს, ხოლო პირველი კლასობრივი ჩაგვრა ემთხვევა მამრობითი სქესის მიერ მდედრობითი სქესის დამონებას. ერთცოლიანობა დიდი ისტორიული პროგრესი იყო, მაგრამ ამასთანავე ერთად იგი იწყებს, მონობასა და კერძო სიმდიდრესთან ერთად, იმ ეპოქას, რომელიც დღემდე გრძელდება, ეპოქას, რომელშიც ყოველი პროგრესი იმავე დროს შეფარდებითი რეგრესიცაა, რადგან ერთთა კეთილდღეობა და განვითარება მეორეთა ტანჯვისა და ჩაგვრის ხარჯზე ხორციელდება. ერთცოლია-

[1] ლაპარაკია «გერმანულ იდეოლოგიაზე». იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. IV. რედ.

ნობა ცივილიზებული საზოგადოების ის უჯრედია, რომლის მიხედვით ჩვენ უკვე შეგვიძლია შევისწავლოთ ის ანტაგონიზმები და წინააღმდეგობანი, რომელნიც ამ საზოგადოებაში მთლიანად ვითარდებიან.

სქესობრივი ურთიერთობის ძველი შეფარდებითი თავისუფლება სრულიადაც არ მოსპობილა წყვილადი ცოლქმრობის ანდა თუნდაც თვით ერთცოლიანობის გამარჯვებასთან ერთად. «ცოლქმრობის ძველი სისტემა, რომელიც «პუნალუა» ჯგუფების თანდათანობით მოსპობით სულ უფრო ვიწრო საზღვრებით შემოიფარგლა, ჯერ ნაინც იმ გარემოს წარმოადგენდა, რომელშიც ოჯახი ვითარდებოდა, და აფერხებდა მის წინსვლას ცივილიზაციის პირველ გარიჟრაჟამდე... ეს სისტემა, ბოლოს, გაქრა ჰეტერიზმის იმ ახალ ფორმაში, რომელიც ოჯახზე ჩამოწოლილი შავი აჩრდილივით სდევნის ადამიანებს ცივილიზაციის პერიოდშიც». ჰეტერიზმი მორგანს ესმის როგორც ერთცოლიანობის გვერდით არსებული სქესობრივი ურთიერთობა ქმრებისა გაუთხოვარ ქალებთან, ურთიერთობა შეუღლების გარეშე, რომელიც, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ფორმით ჰყვავის ცივილიზაციის მთელი პერიოდის მანძილზე და სულ უფრო და უფრო აშკარა პროსტიტუციად იქცევა. ეს ჰეტერიზმი უშუალოდ წარმოდგება ჯგუფობრივი ცოლქმრობიდან, ქალების იმ გამოსასყიდი მსხვერპლიდან, რომლითაც ისინი უბიწოების უფლებას ყიდულობდნენ. ფულის გულისათვის სხეულის დანებება თავდაპირველად რელიგიური აქტი იყო; იგი სიყვარულის ქალღმერთის ტაძარში ხდებოდა და ფული თავდაპირველად ტაძრის სალაროში მიდიოდა. ანაიტისის ჰიეროდულები[1] სომხეთში, აფროდიტესი კორინთოში, ისევე როგორც ტაძრებში მყოფი რელიგიური მოცეკვავე ქალები ინდოეთში, ე. წ. ბაიადერები (დამახინჯებული პორტუგალური სიტყვა bailadeira—მოცეკვავე ქალი) პირველი მეძავები იყვნენ. ეს სხეულის შეწირვა თავდაპირველად ყოველი ქალის მოვალეობა იყო, შემდეგში კი მას მხოლოდ ეს მოგვი ქალები ასრულებდნენ—როგორც ყველა დანარჩენი დედაკაცის წარმომადგენელნი. სხვა ხალხებში ჰეტერიზმი იმ სქესობრივი თავისუფლებიდან მომდინარეობს, რაც გასათხოვარ ქალებს ქორწინებამდე ჰქონდათ მინიჭებული, მაშასადამე, აქაც იგი ჯგუფობრივი ცოლქმრობის ნაშთია, მხოლოდ სხვა გზით ჩვენამდე

[1] ჰიეროდულები—მხევლები, რომელნიც მომსახურეობას ეწეოდნენ ტაძრებში. რედ.

მოსული. ქონებრივი უთანასწორობის გაჩენასთან ერთად, მაშასადამე, ბარბაროსობის უკვე უმაღლეს საფეხურზე, მონური შრომის გვერდით სპორადულად ჩნდება დაქირავებული შრომაც და იმავდროულად, როგორც მისი აუცილებელი თანამგზავრი, პროფესიული პროსტიტუცია თავისუფალი ქალებისა მხევალთა იძულებითი გაუპატიურების გვერდით. ამრიგად, მემკვიდრეობა, რომელიც ჯგუფობრივმა ცოლქმრობამ ცივილიზაციას უანდერძა, ორმაგია, ისევე როგორც ორმაგი, ფარისეველური, გათიშული, წინააღმდეგობრივია ყოველივე ის, რასაც ცივილიზაცია წარმოშობს: ერთი მხრივ, მონოგამია, მეორე მხრივ კი, ჰეტერიზმი მთელი თავისი უკიდურესი ფორმით—პროსტიტუციით. ჰეტერიზმი სწორედ ისეთივე საზოგადოებრივი დაწესებულებაა, როგორც ყოველი სხვა; იგი უზრუნველყოფს ძველი სქესობრივი ურთიერთობის შემდგომ არსებობას მამაკაცის სასარგებლოდ. ჰეტერიზმი, რომელსაც სინამდვილეში არათუ ითმენენ, არამედ განსაკუთრებით გაბატონებული კლასები ფართოდაც იყენებენ, სიტყვიერად გაკიცხულია. მაგრამ ეს გაკიცხვა სინამდვილეში ეხება არა ჰეტერიზმის მონაწილე მამაკაცებს, არამედ მხოლოდ დედაკაცებს; მათ შერისხვას უცხადებენ და საზოგადოებიდან აძევებენ, რათა ამ გზით ერთხელ კიდევ გამოაცხადონ, როგორც ძირითადი პრინციპი საზოგადოებისა, მამაკაცების უცილობელი ბატონობა მდედრობითს სქესზე.

მაგრამ ამასთანავე ერთად ვითარდება მეორე წინააღმდეგობა თვით მონოგამიის შიგნით. ქმრის გვერდით, რომელიც თავის არსებობას ჰეტერიზმით ალამაზებს, ათვალწუნებული ცოლი დგას. შეუძლებელია დაპირისპირების ერთი მხარე გვქონდეს მეორე მხარის გარეშე, ისევე როგორც შეუძლებელია ხელში მთელი ვაშლი გვეჭიროს მას შემდეგ, რაც მისი ნახევარი შეჭმულია. მაგრამ, როგორც ეტყობა, ასეთი როდი იყო მამაკაცების აზრი, სანამ ცოლებმა მათ ჭკუა არ ასწავლეს. ერთცოლიანობის გვერდით ჩნდება ორი უცვლელი საზოგადოებრივი დამახასიათებელი ფიგურა, რაც წინათ უცნობი იყო: ცოლის მუდმივი საყვარელი და მოტყუებული ქმარი. მამაკაცებმა გაიმარჯვეს დედაკაცებზე, მაგრამ გამარჯვებულთა დაგვირგვინება სულგრძელად იკისრეს დამარცხებულებმა. ერთცოლიანობისა და ჰეტერიზმის გვერდით გარდუვალ საზოგადოებრივ მოვლენად იქცა ღალატი, რომელიც აკრძალულია, მკაცრად ისჯება, მაგრამ აღმოუფხვრელია. კანონიერი მამისაგან შვილების წარმოშობის უცილობლობა ემყარებოდა, ისე როგორც უწინ, უკეთეს შემთხვევაში ზნეობრივ რწმენას, და იმისათვის,

რომ ეს გადაუწყვეტელი წინააღმდეგობა გადაეწყვიტათ, ნაპოლეონის კოდექსში შეტანილ იქნა მუხლი 312: «L'enfant conçu pendant le mariage a pour père le mari» — «ქორწინებაში ჩასახული ბავშვის მამას წარმოადგენს ქმარი». ასეთია სამი ათასი წლის მანძილზე არსებული ერთცოლიანობის უკანასკნელი შედეგი.

ამრიგად, იმ შემთხვევაში, როცა ინდივიდუალური ოჯახი თავის ისტორიულ წარმოშობას არ ღალატობს და როცა ქმრის აბსოლუტური ბატონობის მეოხებით მკაფიო გამოხატულებას პოულობს ნამაკაცსა და დედაკაცს შორის აღმოცენებული ანტაგონიზმი,—ეს ინდივიდუალური ოჯახი მცირე მასშტაბით გვაძლევს იმავე დაპირისპირებათა და წინააღმდეგობათა სურათს, რომელშიც მოძრაობს ცივილიზაციის დაწყებიდანვე კლასებად გათიშული საზოგადოება, საზოგადოება, რომელსაც არ ძალუძს გადაწყვიტოს და გადალახოს ეს წინააღმდეგობანი და ანტაგონიზმები. მე აქ, რა თქმა უნდა, ერთცოლიანობის მხოლოდ იმ შემთხვევებზე ვლაპარაკობ, როცა ცოლქმრული ცხოვრება ნამდვილად ამ დაწესებულების თავდაპირველი ხასიათისა და წესების შესაბამისად მიმდინარეობს, მაგრამ როცა ცოლი ქმრის ბატონობის წინააღმდეგ ჯანყდება. ყოველი ცოლქმრული ცხოვრება რომ ასე არ მიმდინარეობს, ეს არავინ იცის გერმანელ ფილისტერზე უკეთ, რომელიც თავის ბატონობას ოჯახში ისევე ცუდად იცავს, როგორც სახელმწიფოში, და რომლის ცოლიც, ამიტომ, სრულიად მართებულად თავის ხელში იღებს განგებლობის საჭეს, რის ღირსიც მისი ქმარი არ არის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გერმანელ ფილისტერს ჰგონია, რომ იგი ბევრად უფრო მაღლა დგას უბედურების თანამოზიარე თავის ფრანგ ამხანაგზე, რომელსაც უფრო ხშირად, ვიდრე თვითონ მას, უარესი ამბავი მოსდის ხოლმე.

სხვათა შორის, ინდივიდუალურ ოჯახს სრულიადაც არ მიუღია ყველგან და ყოველთვის ის კლასიკურად გამოკვეთილი ფორმა, რომელიც მას ბერძნებთან ჰქონდა. რომაელებში, რომელთაც—როგორც მსოფლიოს მომავალ დამპყრობთ — უფრო ფართო, თუმცაღა ნაკლებ გამახვილებული შეხედულება ჰქონდათ საგნებზე, ვიდრე ბერძნებს, ცოლი მეტი თავისუფლებით და პატივისცემით სარგებლობდა. რომაელს სწამდა, რომ ცოლქმრული ერთგულება უზრუნველყოფილი იყო იმით, რომ მისი ცოლის სიკვდილ-სიცოცხლის უფლება მის ხელთ იყო. გარდა ამისა, აქ ცოლსაც, ისევე როგორც ქმარს, შეეძლო სურვილისამებრ განქორწინება მოეთხოვა. მაგრამ უდიდესი პროგრესი ერთცოლიანობის განვითარებაში, უეჭველია,

მაშინ მოხდა, როცა გერმანელები ისტორიულ არენაზე გამოვიდნენ და იგი სახელდობრ, მიღწეულ იქნა იმიტომ, რომ მათ შორის, ალბათ სიღარიბის გამო, მონოგამია, როგორც ეტყობა, იმ დროს ჯერ კიდევ არ ყოფილა საესებით განვითარებული წყვილადი ცოლქმრობიდან. ჩვენ ამ დასკვნას ვაკეთებთ იმ სამი გარემოების საფუძველზე, რომელთაც ტაციტი იხსენიებს: ჯერ ერთი, მიუხედავად ცოლქმრობის სიწმინდის მკაცრად დაცვისა, — «ისინი კმაყოფილდებიან ერთი ცოლით, დედაკაცები უბიწონი არიანთ», — მათში მაინც გავრცელებული იყო მრავალცოლიანობა წარჩინებულ პირთა და ტომის მეთაურთა შორის, მაშასადამე, იმ მდგომარეობის მსგავსად, როგორიც ამერიკელებში იყო, სადაც წყვილადი ცოლქმრობა არსებობდა. მეორე, დედის უფლებიდან მამის უფლებაზე გადასვლა მათთან შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ცოტა ხნის წინათ, რადგან დედის ძმა — მამრობითი სქესის უახლოესი ნათესავი დედის უფლების თანახმად — ჯერ კიდევ თითქმის უფრო მახლობელ ნათესავად ითვლებოდა, ვიდრე საკუთარი მამა; ესეც აგრეთვე ამერიკელი ინდიელების თვალსაზრისს შეეფერება, რომელთა შორის მარქსმა, როგორც ხშირად თვითონ იტყოდა ხოლმე, გასაღები აღმოაჩინა ჩვენი საკუთარი შორეული წარსულის გასაგებად. დასასრულ, მესამე, გერმანელებში დედაკაცები დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ და საზოგადოებრივ საქმეებზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ, ეს კი პირდაპირ ეწინააღმდეგება მამაკაცების მონოგამიურ ბატონობას. თითქმის ყოველივე ამაში გერმანელები არ განსხვავდებიან სპარტელებისაგან, რომელთა შორის, როგორც ზემოთ დავინახეთ, წყვილადი ცოლქმრობა ასევე ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად დაძლეული. მაშასადამე, ამ მხრივაც გერმანელებთან ერთად მსოფლიო ბატონობა მოიპოვა სრულიად ახალმა ელემენტმა. ახალმა მონოგამიამ, რომელიც რომაელთა ქვეყნის ნანგრევებზე ხალხთა შერევის შედეგად განვითარდა, უფრო რბილი ფორმებით შემოსა ქმრის ბატონობა და დედაკაცებს, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად მაინც, გაცილებით უფრო საპატიო და უფრო თავისუფალი მდგომარეობა შეუქმნა, ისეთი მდგომარეობა, როგორსაც ძველი კლასიკური ეპოქა არასოდეს არ იცნობდა. ამით პირველად შეიქმნა იმის შესაძლებლობა, რომ მონოგამიის საფუძველზე, — მის შიგნით, მის გვერდით და მის წინააღმდეგ, გარემოებისდა მიხედვით, — მიღწეული ყოფილიყო უდიდესი ზნეობრივი პროგრესი, რომელსაც ჩვენ მას უნდა ვუმადლოდეთ: სახელდობრ, მიღწეული ყოფილიყო თანამედროვე ინდივიდუალუ-

რი სქესობრივი სიყვარული, რომელიც მთელი წინანდელი სამყაროსათვის უცნობი იყო.

მაგრამ ეს პროგრესი, უეჭველია, გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ გერმანელები ჯერ კიდევ წყვილადი ოჯახის პერიოდს განიცდიდნენ და მონოგამიაში გადაიტანეს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ქალის ის მდგომარეობა, რომელიც წყვილად ოჯახს წეეფერებოდა; ეს პროგრესი სრულიადაც არაა გამოწვეული გერმანელების ვითომდა ზღაპრული, სასწაულებრივი მიდრეკილებით ზნეობრივი სიწმინდისადმი, რომელიც არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ წყვილადი ცოლქმრობა სინამდვილეში თავისუფალია იმ მკვეთრი ზნეობრივი წინააღმდეგობებისაგან, რომელნიც დამახასიათებელია მონოგამიისათვის. პირიქით, გერმანელები თავიანთი გადაადგილების დროს, როცა ისინი განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთით, შავი ზღვის განაპირა ველების მომთაბარეებისაკენ მიიწევდნენ, ზნეობრივად ღრმად დაქვეითდნენ და ამ უკანასკნელთაგან, გარდა დახელოვნებული ცხენოსნობისა, ბილწი არაბუნებრივი მანკიერებანიც გადმოიღეს, რასაც გარკვევით ამოწმებს ამიანი ტაიფერების შესახებ, ხოლო პროკოფი — ჰერულების შესახებ.

მაგრამ თუ ოჯახის ყველა ცნობილი ფორმიდან მონოგამია ის ერთადერთი ფორმა იყო, რომლის პირობებშიც მარტოდმარტო შეიძლებოდა თანამედროვე სქესობრივი სიყვარული განვითარებულიყო, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სქესობრივი სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ ან უმთავრესად მასში განვითარდა როგორც ცოლქმრის სიყვარული ერთიმეორისადმი. თვით ბუნება მტკიცე ერთცოლიანობისა, ქმრის ბატონობის პირობებში, გამორიცხავდა ამას. ყველა ისტორიულად აქტიურ, ე. ი. ყველა გაბატონებულ კლასში ცოლქმრობა რჩებოდა იმად, რაც იგი წყვილად ცოლქმრობის დროიდან იყო, — მორიგებად, რომელსაც მშობლები აწყობდნენ. და პირველი ისტორიულად წარმოშობილი ფორმა სქესობრივი სიყვარულისა, როგორც ვნება, რომელიც ამასთან ყოველ ადამიანს (ყოველ შემთხვევაში გაბატონებული კლასებიდან) ახასიათებს, ვნება, როგორც უმაღლესი ფორმა სქესობრივი ინსტინქტისა — რაც სწორედ მის სპეციფიკურ ხასიათს შეადგენს, — ეს პირველი ფორმა სიყვარულისა, შუა საუკუნეების რაინდული სიყვარული, სრულიადაც არ იყო ცოლქმრული სიყვარული. პირიქით! თავისი კლასიკური სახით გამოხატული, პროვანსელებში, რაინდული სიყვარული აფრაგაშლილი მიექანება ცოლქმრული ერთგულების დარღვევისაკენ და პოეტებიც ამ ღალატს უმღერიან. პროვანსალური სასიყვარულო პოეზიის

უმაღლესი აყვავების გამოხატულებას წარმოადგენს «ალბა» (albas), გერმანულად განთიადის სიმღერები (Tagelieder). მკვეთრი ფერადებით ხატავენ ისინი, როგორ წევს რაინდი თავისი სატრფოს — სხვისი ცოლის — ლოგინში, გარეთ კი გუშაგი დგას, რომელიც ხმას აწვდის რაინდს, როგორც კი დილის რიჟრაჟი (alba) იწყება, რათა იგი შეუმჩნეველად გაიპაროს; განშორების სცენა ყველაზე ბრწყინვალე მომენტია სიმღერაში. ჩრდილოეთის ფრანგებმა და ასევე ყოჩაღმა გერმანელებმაც გადმოიღეს პოეზიის ეს სახე მისი შესაბამისი რაინდული სიყვარულის მანერით, და ჩვენმა მოხუცმა გერმანელმა ვოლფრამ ფონ ეშენბახმა ამავე საჩოთირო თემაზე სამი შესანიშნავი განთიადის სიმღერა დაგვიტოვა, რომელნიც უფრო მომწონან, ვიდრე მისი სამი გრძელი გმირული პოემა.

დაქორწინება თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ორნაირად ხდება. კათოლიკურ ქვეყნებში მშობლები უწინდებურად შეურჩევენ ხოლმე თავიანთ ახალგაზრდა ბურჟუა ვაჟს შესაფერ საცოლეს; ამას კი, რა თქმა უნდა, შედეგად მოსდევს ყველაზე სრული განვითარება იმ წინააღმდეგობისა, რასაც მონოგამია შეიცავს: უხვი ჰეტერიზმის გაძლიერება ქმრის მხრივ, უხვი ღალატი ცოლის მხრივ. კათოლიკურმა ეკლესიამაც, ალბათ, მხოლოდ იმიტომ გააუქმა განქორწინება, რომ დარწმუნდა, ღალატის წინააღმდეგ, ისევე როგორც სიკვდილის წინააღმდეგ, არავითარი წამალი არ არსებობსო. პროტესტანტულ ქვეყნებში, პირიქით, ბურჟუა მშობლების ვაჟს, საერთო წესის თანახმად, მეტი თუ ნაკლები თავისუფლება ენიჭება თავისი კლასიდან საცოლეს ამორჩევაში; ამიტომ აქ დაქორწინებას შეიძლება რამდენადმე სიყვარული დაედოს საფუძვლად და ეს, წესიერების გულისათვის, მუდამ იგულისხმება კიდეც, რაც პროტესტანტულ ფარისევლობას სრულიად შეესაბამება. აქ ჰეტერიზმს ქმარი არც ისე ენერგიულად მისდევს, ხოლო ცოლის მხრივ ღალატი უფრო იშვიათი მოვლენაა. მაგრამ რადგან ყოველი სახის ცოლქმრობაში ადამიანები ისეთივენი რჩებიან, როგორიც დაქორწინებამდე იყვნენ, პროტესტანტული ქვეყნების ბურჟუები კი უმეტეს ნაწილად ფილისტერები არიან, ამიტომ ეს პროტესტანტული მონოგამია, თუნდაც საშუალოდ საუკეთესო შემთხვევები ავიღოთ, მაინც მხოლოდ იმ მეტისმეტად მოსაწყენ ცოლქმრულ თანაცხოვრებას ქმნის, რასაც ოჯახურ ბედნიერებას უწოდებენ. ქორწინების ამ ორი სახის საუკეთესო სარკეს წარმოადგენს რომანი: კათოლიკური მანერისათვის — ფრანგული რომანი, პროტესტანტულისთვის კი — გერმანული. როგორც ერთ-

ში, ისე მეორეში «მამაკაცი მოიპოვებს ცოლს»: გერმანულში ახალგაზრდა ვაჟი — ქალიშვილს, ფრანგულში ქმარი — რქებს. ამასთან ყოველთვის როდია გარკვეული, რომელი მათგანია უფრო უარეს მდგომარეობაში. ამიტომაცაა სწორედ, რომ ფრანგ ბურჟუას გერმანული რომანის მოსაწყენი ამბავი არანაკლებად აშინებს, ვიდრე ფრანგული რომანის «უზნეობა» — გერმანელ ფილისტერს. თუმცა, უკანასკნელ დროს, მას შემდეგ, რაც «ბერლინი მსოფლიო ქალაქი ხდება», გერმანული რომანი უკვე ნაკლები მორიდებით ლაპარაკობს დიდი ხნის წინათ იქ კარგად ცნობილ ჰეტერიზმსა და ცოლქმრულ ღალატზე.

მაგრამ ორივე შემთხვევაში ქორწინება გაპირობებულია მონაწილე მხარეთა კლასობრივი მდგომარეობით და ამიტომ ყოველთვის ანგარიშზე დამყარებული ქორწინებაა. ეს ანგარიშიანი ქორწინება ორივე შემთხვევაში საკმაოდ ხშირად უტლანქეს პროსტიტუციად იქცევა ხოლმე — ზოგჯერ ორივე მხარისა, გაცილებით უფრო ხშირად კი ცოლისა, რომელიც ჩვეულებრივი კურტიზანისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ თავის სხეულს აქირავებს არა ნარდად, როგორც დაქირავებული დღიური მუშა, არამედ მას ერთხელ და სამუდამოდ ჰყიდის მონობაში. და ყველა ანგარიშიან ქორწინებას შეეხება ფურიეს სიტყვები: «როგორც გრამატიკაში ორი უარყოფა ერთ დადასტურებას იძლევა, ისე ქორწინების მორალში ორი პროსტიტუცია ერთ სათნოებას შეადგენს». სქესობრივი სიყვარული ქალთან ურთიერთობაში წესი ხდება და შეიძლება ნამდვილად ასეთი გახდეს კიდეც მხოლოდ დაჩაგრულ კლასებში, მაშასადამე, ამჟამად პროლეტარიატში, სულ ერთია არის ოფიციალურად აღიარებული ეს ურთიერთობა თუ არა. მაგრამ ასეთ შემთხვევებში გაბათილებულია აგრეთვე კლასიკური მონოგამიის ყველა საფუძველიც. აქ არ არსებობს არავითარი საკუთრება, რომლის შენარჩუნებისა და მემკვიდრეობით გადაცემის მიზნით შეიქმნა სწორედ მონოგამია და მამაკაცის ბატონობა; ამიტომ აქ არ არსებობს იმპულსიც მამაკაცის ამ ბატონობის დასამყარებლად. კიდევ მეტი, არ არსებობს აქ არც საშუალებანი ამისათვის; სამოქალაქო სამართალი, რომელიც ამ ბატონობას იცავს, არსებობს მხოლოდ შეძლებულთათვის და მათი ურთიერთობისათვის პროლეტარებთან; ეს კი ფული ღირს და მუშის სიღარიბის გამო მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმისათვის, თუ რა დამოკიდებულება აქვს მუშას თავის ცოლთან. აქ გადამწყვეტ როლს ასრულებენ სრულიად სხვა პირადი და საზოგადოებრივი ურთიერთო-

ბანი. და გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც მსხვილმა მრეწველობამ დედაკაცი ოჯახიდან შრომის ბაზარზე და ფაბრიკაში გადაისროლა და მას ძალიან ხშირად ოჯახის მარჩენლად ხდის, ყოველგვარი ნიადაგი გამოეცალა პროლეტარის სახლში ქმრის ბატონობის უკანასკნელ ნაშთს, თუ სათვალავში არ მივიღებთ იმ ერთგვარ უხეშობას ცოლებთან მოპყრობაში, რაც მონოგამიის შემოღების დროიდან დამკვიდრდა. ამრიგად, პროლეტარის ოჯახი აღარაა უკვე მონოგამიური ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, თუნდაც ორივე მხარე უაღრესად ვნებიანი სიყვარულითა და უმტკიცესი ერთგულებით იყოს გამსჭვალული და თუნდაც რომ იგი ყოველნაირი საეკლესიო და საერო წესით იყოს ნაკურთხი. ამიტომ მონოგამიის მუდმივი თანამგზავრნიც, ჰეტერიზმი და ცოლქმრული ღალატი, აქ სრულიად უმნიშვნელო როლს ასრულებენ; ცოლმა ფაქტიურად კვლავ მოიპოვა განქორწინების უფლება და თუ ცოლქმარი ერთმანეთს ვეღარ ეგუება, ისინი გაყრას ამჯობინებენ. მოკლედ რომ ვთქვათ, პროლეტარული ცოლქმრობა მონოგამიურია ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, მაგრამ სრულიადაც არა მისი ისტორიული გაგებით.

სხვათა შორის, ჩვენი იურისტები ფიქრობენ, რომ კანონმდებლობის პროგრესი სულ უფრო და უფრო ართმევს დედაკაცებს ყოველგვარ საფუძველს საჩივრისათვის. თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების საკანონმდებლო სისტემები სულ უფრო და უფრო აღიარებენ, რომ, ჯერ-ერთი, რათა ქორწინება კანონიერი იყოს, იგი უნდა წარმოადგენდეს ორივე მხარის მიერ ნებაყოფლობით დადებულ ხელშეკრულებას, და მეორე, ცოლქმრობის დროს ორივე მხარეს თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი უნდა ჰქონდეს. მაგრამ ეს ორივე მოთხოვნა რომ თანამიმდევრობით გატარებული იყოს, მაშინ დედაკაცებს ყველაფერი ექნებოდათ, რასაც კი მოისურვებენ.

ეს წმინდა იურიდიული არგუმენტაცია მთლიანად ემთხვევა იმ არგუმენტაციას, რომელსაც რადიკალი ბურჟუა-რესპუბლიკელი იყენებს, როცა ის პროლეტარს სიწყნარისაკენ მოუწოდებს. შრომითი ხელშეკრულება ორივე მხარემ ნებაყოფლობით უნდა დასდოსო. მაგრამ იგი ნებაყოფლობით დადებულად იმიტომ მიაჩნიათ, რომ კანონი ქაღალდზე ორივე მხარეს თანაბარ მდგომარეობაში აყენებს. ძალაუფლება, რომელსაც განსხვავებული კლასობრივი მდგომარეობა ერთ მხარეს ანიჭებს, ძალადობა, რომელსაც ეს ძალაუფლება ახდენს მეორე მხარეზე, ორივე მხარის ნამდვილი

ეკონომიური მდგომარეობა, — ყოველივე ეს კანონს არ შეეხება. და შრომის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ორივე მხარე კვლავ თანასწორუფლებიანი უნდა იყვნენ, თუ კი არც ერთ მხარეს გარკვევით თავის უფლებებზე უარი არ განუცხადებიაო. კანონს კვლავ რა ესაქმება იმასთან, რომ ეკონომიური მდგომარეობა აიძულებს მუშას უარი თქვას უკანასკნელ მოჩვენებითს თანასწორობაზეც კი.

ოლქმრობის საკითხში ყველაზე პროგრესული კანონიც კი მთლიანად დაკმაყოფილებულია, თუ რომ დაინტერესებულმა მხარეებმა ფორმალურად ოქმში შეტანით დაადასტურეს თავიანთი ნებაყოფლობითი შეუღლება. თუ რა ხდება იურიდიულ კულისებში, სადაც ნამდვილი ცხოვრება მიმდინარეობს, როგორ ხორციელდება ეს ნებაყოფლობითი თანხმობა, — ამაზე კანონსა და იურისტს შეუძლიათ თავი არ შეიწუხონ. მაგრამ აქ სხვადასხვა ქვეყნის სამართლის უბრალო შედარებას უნდა ეჩვენებინა იურისტისათვის, თუ რას წარმოადგენს ეს ნებაყოფლობითი თანხმობა. იმ ქვეყნებში, სადაც შვილებისთვის კანონით უზრუნველყოფილია მემკვიდრეობის სავალდებულო ნაწილის მიღება მშობლების ქონებიდან, სადაც, მაშასადამე, შეუძლებელია მათთვის მემკვიდრეობის წართმევა, — გერმანიაში, იმ ქვეყნებში, სადაც ფრანგული სამართალი მოქმედებს, და სხვა ქვეყნებში, — შვილები დაქორწინების დროს დამოკიდებულნი არიან მშობლების თანხმობაზე. იმ ქვეყნებში, სადაც ინგლისური სამართალი მოქმედებს, სადაც მშობლების თანხმობას დაქორწინების დროს კანონი არ მოითხოვს, მშობლებს სრულიად თავისუფლად შეუძლიათ თავიანთი ქონება ვისაც უნდათ გადასცენ, მათ შეუძლიათ, თუ მოისურვებენ, თავიანთ შვილებს მემკვიდრეობა წაართვან. მაგრამ ხომ ცხადია, რომ, მიუხედავად ამისა და სწორედ ამიტომაც, დაქორწინების თავისუფლება იმ კლასებში, რომელთაც მემკვიდრეობის გადასაცემად რაიმე გააჩნიათ, — ინგლისსა და ამერიკაში, — ერთი ბეწოთიც მეტი არ არის, ვიდრე საფრანგეთსა და გერმანიაში.

რაც შეეხება მამაკაცისა და დედაკაცის იურიდიულ თანასწორუფლებიანობას ოლქმრობაში, არც აქა გვაქვს საქმის უკეთესი მდგომარეობა. ორივე მხარის უფლებრივი უთანასწორობა, რომელიც წინანდელმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ გვიანდერძა, ქალის ეკონომიური ჩაგვრის მიზეზი კი არაა, არამედ მისი შედეგია. ძველ კომუნისტურ საოჯახო მეურნეობაში, რომელიც მრავალ ოლქმარს და მათ შვილებს მოიცავდა, ამ მეურნეობის გაძღოლა,

რაც დედაკაცებს ჰქონდათ დაკისრებული, ისეთივე საზოგადოებრივად აუცილებელი სარეწაო საქმიანობა იყო, როგორიც მამაკაცების მიერ კვების საშუალებათა მოპოვება. პატრიარქალური ოჯახის და კიდევ უფრო მეტად—მონოგამიური ინდივიდუალური ოჯახის წარმოშობასთან ერთად მდგომარეობა შეიცვალა. საოჯახო მეურნეობის გაძღოლამ დაჰკარგა თავისი საზოგადოებრივი ხასიათი. მასთან იგი აღარ შეეხებოდა უკვე საზოგადოებას. იგი კერძო სამსახურად იქცა; ცოლი მთავარი მოსამსახურე გახდა, იგი განიდევნა საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობიდან. მხოლოდ ჩვენი დროის მსხვილმა მრეწველობამ გაუკაფა ხელახლა მას—და ისიც მხოლოდ პროლეტარ ქალს—გზა საზოგადოებრივი წარმოებისაკენ. მაგრამ ამასთან, თუ იგი თავის მოვალეობას ოჯახის კერძო სამსახურში ასრულებს, მაშინ საზოგადოებრივი წარმოებიდან გამორიცხული რჩება და არაფრის შოვნა არ შეუძლია, ხოლო თუ სურს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ შრომაში და დამოუკიდებლად იშოვოს რამე, მაშინ მას არ შეუძლია თავისი ოჯახური მოვალეობანი შეასრულოს. და ამ მხრივ ქალის მდგომარეობა ერთნაირია როგორც ფაბრიკაში, ისე შრომის ყველა დარგში, მედიცინასა და ადვოკატურაშიც კი. თანამედროვე ინდივიდუალური ოჯახი დამყარებულია დედაკაცის აშკარა ან შენიღბულ ოჯახურ მონობაზე, თანამედროვე საზოგადოება კი წარმოადგენს მასას, რომელიც მთლიანად ინდივიდუალური ოჯახებისაგან—როგორც მისი მოლეკულებისაგან—შედგება. ქმარი დღეს უმრავლეს შემთხვევაში მშოვნელი, ოჯახის მარჩენალი უნდა იყოს, შეძლებული კლასების წრეში მაინც, და ეს ანიჭებს მას გაბატონებულ მდგომარეობას, რაც რაიმე განსაკუთრებულ იურიდიულ პრივილეგიებს არ საჭიროებს. რვი ოჯახში ბურჟუაა, ცოლი კი პროლეტარიატს წარმოადგენს. მაგრამ მრეწველობის დარგში ეკონომიური ჩაგვრის სპეციფიკური ხასიათი, რაც პროლეტარიატს ტვირთად აწევს, მთელი თავისი სიმძაფრით მხოლოდ მას შემდეგ იჩენს თავს, როცა კაპიტალისტების კლასის იურიდიული პრივილეგიები მოსპობილია და ორივე კლასის სრული იურიდიული თანასწორუფლებიანობა დამყარებულია; დემოკრატიული რესპუბლიკა არ სპობს ორივე კლასის დაპირისპირებას, პირიქით, იგი მხოლოდ ქმნის ნიადაგს, რომელზეც უნდა დამთავრდეს ბრძოლა ამ წინააღმდეგობის გადასაწყვეტად. ასევე თანამედროვე ოჯახში ცოლის მიმართ ქმრის ბატონობის თავისებური ხასიათი და აუცილებლობა, აგრეთვე წესიც ორივე სქესისათვის ნამდვილი საზოგადოებ-

რივი თანასწორობის დამყარებისა მხოლოდ მაშინ გამოაშკარავდება სავსებით, როცა ისინი იურიდიულად მთლიანად თანასწორუფლებიანი გახდებიან. მაშინ გამომჟღავნდება, რომ ქალის განთავისუფლების პირველ წინასწარ პირობას შეადგენს მთელი მდედრობითი სქესის ხელახლა დაბრუნება საზოგადოებრივი შრომისადმი, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს, რომ ინდივიდუალური ოჯახი აღარ წარმოადგენდეს საზოგადოების სამეურნეო ერთეულს.

* * *

ამრიგად, ჩვენ გვაქვს ცოლქმრობის სამი მთავარი ფორმა; ეს ფორმები საერთოდ და მთლიანად კაცობრიობის განვითარების სამ მთავარ სტადიას შეესაბამება. ველურობას შეესაბამება ჯგუფობრივი ცოლქმრობა, ბარბაროსობას—წყვილადი ცოლქმრობა, ცივილიზაციას—მონოგამია, რომელიც შევსებულია ცოლქმრული ერთგულების დარღვევითა და პროსტიტუციით. ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე წყვილად ცოლქმრობასა და მონოგამიას შორის შეჭრილია მამაკაცთა ბატონობა მხევლებზე და მრავალცოლიანობა.

როგორც მთელმა ჩვენმა მიმოხილვამ ცხადყო, იმ პროგრესის თავისებურება, რომელიც ფორმათა ამ თანამიმდევრულ ცვლაში ვლინდება, იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფობრივი ცოლქმრობისათვის დამახასიათებელი სქესობრივი თავისუფლება სულ უფრო და უფრო ერთმევა დედაკაცებს, მაგრამ არა მამაკაცებს. და, მართლაც, მამაკაცებისათვის ჯგუფობრივი ცოლქმრობა ფაქტიურად დღემდე არსებობს. რაც დედაკაცისათვის დანაშაულად ითვლება და რასაც მძიმე სამართლებრივი და საზოგადოებრივი შედეგები მოსდევს, ის მამაკაცისათვის რაღაც საპატიო რამედ ანდა, უარეს შემთხვევაში, ისეთ უმნიშვნელო მორალურ დაღად ითვლება, რასაც სიამოვნებით ატარებენ. მაგრამ რაც უფრო მეტად იცვლება ჩვენს ხანაში ტრადიციული ჰეტერიზმი კაპიტალისტური სასაქონლო წარმოების ზეგავლენით და ეგუება იგი ამ წარმოებას, რაც უფრო მეტად გადადის იგი აშკარა პროსტიტუციაში, მით უფრო მეტ დემორალიზაციას იწვევს იგი. ამასთან ის მამაკაცებს გაცილებით მეტად ხრწნის ზნეობრივად, ვიდრე დედაკაცებს. პროსტიტუცია ზნეობრივად აქვეითებს დედაკაცებს შორის მხოლოდ იმ უბედურთ, რომელნიც ძისი მსხვერპლნი ხდებიან, და მათაც არა იმდენად, როგორც ამას ჩვეულებრივ ფიქრობენ. პირიქით, იგი რყვნის ადამიანთა მოდგმის მთელი მამაკაცობის ხასიათს. ასე, მაგა-

ლითად, დიდხანს საქმროს მდგომარეობაში ყოფნა ათიდან ცხრა შემთხვევაში ცოლქმრული ღალატის ნამდვილი მოსამზადებელი სკოლაა.

მაგრამ ახლა ჩვენ ისეთ საზოგადოებრივ გადატრიალებას ვუახლოვდებით, როცა მონოგამიის დღემდე არსებული ეკონომიური საფუძვლები ისევე აუცილებლად გაქრება, როგორც მისი დამატების —პროსტიტუციის—საფუძვლებიც. მონოგამია წარმოიშვა იმის შედეგად, რომ მოხდა დიდი სიმდიდრის კონცენტრაცია ერთის ხელში, სახელდობრ—მამაკაცის ხელში, და იმ მოთხოვნილების გამო, რომ ეს სიმდიდრე მემკვიდრეობით გადასცემოდა ამ მამაკაცისა და არა სხვის შვილებს. ამისათვის საჭირო იყო ცოლის მონოგამია და არა ქმრისა, ასე რომ ცოლის ეს მონოგამია სრულიად არ უშლიდა ხელს ქმრის აშკარა თუ ფარულ პოლიგამიას. მაგრამ მომავალი საზოგადოებრივი გადატრიალება მტკიცე, მემკვიდრეობით გადასაცემი სიმდიდრის ყოველ შემთხვევაში განუზომლად უდიდეს ნაწილს მაინც—წარმოების საშუალებებს—საზოგადოებრივ საკუთრებად გადააქცევს და ამით მინიმუმამდე დაიყვანს მთელ ამ ზრუნვას იმის გარშემო, თუ ვის გადაეცეს მემკვიდრეობა. მაგრამ რადგან მონოგამია ეკონომიურმა მიზეზებმა წარმოშვეს, გაქრება თუ არა იგი ამ მიზეზების გაქრობასთან ერთად?

ამაზე შეიძლებოდა სამართლიანად გვეპასუხნა, რომ მონოგამია არათუ არ გაქრება, არამედ, პირიქით, მხოლოდ მაშინ განხორციელდება მთლიანად. ეს იმიტომ, რომ წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევასთან ერთად გაქრება აგრეთვე დაქირავებული შრომა, პროლეტარიატი, მაშასადამე, იმის აუცილებლობაც, რომ ქალების გარკვეული რიცხვი, რის გამოანგარიშებაც სტატისტიკურად შესაძლებელია, ფულის გულისათვის მამაკაცებს ნებდებოდეს. პროსტიტუცია ვაქრება, მონოგამია კი, მოსპობის ნაცვლად, ბოლოს, სინამდვილედ იქცევა მამაკაცებისათვისაც.

მაშასადამე, მამაკაცების მდგომარეობა ყოველ შემთხვევაში ძალიან შეიცვლება. მაგრამ დედაკაცების, ყ ვ ე ლ ა დედაკაცის, მდგომარეობაშიც მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდება. როცა წარმოების საშუალებანი საზოგადოებრივ საკუთრებაში გადავა, ინდივიდუალური ოჯახიც აღარ იქნება საზოგადოების სამეურნეო ერთეული. კერძო ოჯახური მეურნეობა საზოგადოებრივ მრეწველობად გადაიქცევა. ბავშვების მოვლა-პატრონობა და აღზრდა საზოგადოებრივი საქმე გახდება; საზოგადოება ერთნაირად იზრუნებს ყველა

ბავშვისათვის, სულ ერთია იქნებიან ისინი დაქორწინებული თუ დაუქორწინებელი მშობლების ბავშვები. ამით მოისპობა ის ზრუნვაც «შედეგების» გამო, რაც ამჟამად ყველაზე არსებითს საზოგადოებრივ მომენტს — მორალურსა და ეკონომიურს—შეადგენს, მომენტს, რომელიც ახალგაზრდა ქალს ხელს უშლის უშიშრად და მოუოიდებლად დანებდეს საყვარელ ვაჟს. ხომ არ იქნება ეს საკმაო საფუძველი იმისათვის, რომ თანდათანობით განვითარდება თავაზებული სქესობრივი ურთიერთობა და ამასთანავე ერთად უფრო ლმობიერი გახდება საზოგადოებრივი აზრი ქალწულის პატიოსნებისა და ქალის მორცხვობის მიმართ? და, ბოლოს, განა ჩვენ არ დავინახეთ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მონოგამია და პროსტიტუცია მართალია დაპირისპირებანია, მაგრამ გაუთიშავი დაპირისპირებანი, პოლუსები ერთი და იმავე საზოგადოებრივი წესწყობილებისა? განა შეიძლება პროსტიტუცია ისე გაქრეს, რომ თან არ ჩაიტანოს უფსკრულში მონოგამიაც?

ამ მოქმედებას იწყებს ახალი მომენტი, რომელიც მონოგამიის განვითარების ხანაში, სულ დიდი, მხოლოდ ჩანასახში არსებობდა, — ინდივიდუალური სქესობრივი სიყვარული.

შუა საუკუნეებამდე ინდივიდუალურ სქესობრივ სიყვარულზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. თავისთავად იგულისხმება, რომ ფიზიკური სილამაზე, ახლო დამოკიდებულებანი, ერთნაირი მიდრეკილებანი და ა. შ. სხვადასხვა სქესის ადამიანებში სქესობრივი ურთიერთობის სურვილს აღვიძებდნენ, რომ მამაკაცებისათვის, ისევე როგორც დედაკაცებისათვის, სულერთი როდი იყო, ვისთან გაბამდნენ ისინი ინტიმურ ურთიერთობას. მაგრამ აქედან ჩვენს სქესობრივ სიყვარულამდე ჯერ კიდევ უსასრულოდ დიდი მანძილია. შთელი ძველი ეპოქის მანძილზე დასაქორწინებელ პირთა შეუღლებას მშობლები ახდენდნენ და შეუღლებულნიც მშვიდად ურიგდებოდნენ ამას. ის მცირეოდენი ცოლქმრული სიყვარული, რომელსაც ძველი ეპოქა იცნობს, სუბიექტური მიდრეკილება კი არაა, არამედ ობიექტური მოვალეობაა, ქორწინების საფუძველი კი არაა, არამედ მისი დაძატებაა. სიყვარულის ურთიერთობას თანამედროვე გაგებით ძველად მხოლოდ ოფიციალური საზოგადოების გარეშე ჰქონდა ადგილი. მწყემსები, რომელთა მიჯნურობის სიხარულსა და ტანჯვას თეოკრიტე და მოსქოსი გვიმღერიან, ლონგოსის «დაფნისი და ქლოე», სულ მონები არიან, რომელნიც არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ სახელმწიფოს საქმეებში, თავისუფალი მოქალაქის ცხოვრების სფეროში. მაგრამ მონებს შორის

სამიჯნურო კავშირის გარდა ჩვენ ვხვდებით სამიჯნურო კავშირს მხოლოდ როგორც დაღუპვის გზაზე დამდგარი ძველი ქვეყნის გახრწნის პროდუქტს, ამასთან კავშირს ქალებთან, რომელნიც ასევე ოფიციალური საზოგადოების გარეშე იმყოფებიან—ჰეტერებთან, ე. ი. უცხოელ ან მონობიდან განთავისუფლებულ ქალებთან: ათენში—ამ უკანასკნელის დაღუპვის წინახანაში, რომში—იმპერიის ხანაში. თუ კი სამიჯნურო კავშირი თავისუფალ მოქალაქე ვაჟსა და ქალს შორის ნამდვილად მყარდებოდა, ეს მხოლოდ ცოლქმრული ღალატის წესით ხდებოდა. ხოლო ძველი დროის მიჯნურობის კლასიკური მომღერლისათვის, მოხუცი ანაკრეონისათვის, სქესობრივი სიყვარული, ამ სიტყვის ჩვენი გაგებით, იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა საყვარელი არსების სქესსაც კი.

ჩვენი სქესობრივი სიყვარული არსებითად განსხვავდება ძველი დროის ადამიანთა უბრალო სქესობრივი ენინისაგან, ეროსისაგან. ჯერ-ერთი, იგი გულისხმობს საყვარელი არსების თანაგრძნობას; ამ მხრივ ქალი მამაკაცის თანაბარია, მაშინ როცა ანტიკური ეროსის ხანაში მას ყოველთვის როდი ეკითხებოდნენ. მეორე, სქესობრივი სიყვარული დღეს იმდენად ინტენსიური და ხანგრძლივია, რომ ორივე მხარეს შეუყრელობა და განშორება თუ უდიდეს უბედურებად არა, დიდ უბედურებად მაინც ეჩვენება; ერთმანეთის დასაუფლებლად ქალ-ვაჟი დიდ რისკს ეწევიან, იქამდეც კი მიდიან, რომ თავიანთ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ, რასაც ძველ დროში მხოლოდ ცოლ-ქმრის ღალატის დროს თუ ჰქონდა ადგილი. და, ბოლოს, ჩნდება ახალი ზნეობრივი საზომი სქესობრივი ურთიერთობის შესაფასებლად: კითხულობენ არა მარტო იმას, ეს კავშირი ქორწინებით ნაკურთხი იყო, თუ ქორწინების გარეშე მოხდა, არამედ იმასაც, იგი ურთიერთ სიყვარულიდან წარმოიშვა თუ არაო? გასაგებია, რომ ფეოდალურ ან ბურჟუაზიულ პრაქტიკაში ამ ახალ საზომს უკეთესი დღე როდი ადგია. ვიდრე მორალის ყველა სხვა საზომს,—მას ანგარიშს არ უწევენ. მაგრამ მისი მდგომარეობა არც სხვებზე ცუდია: მასაც ისევე აღიარებენ, როგორც სხვებსაც—თეორიაში, ქაღალდზე. მეტის მოთხოვნა კი მას ჯერ-ჯერობით არ შეუძლია.

შუა საუკუნეებმა დაიწყო სქესობრივი სიყვარულის ვრძნობის განვითარება ცოლქმრული ღალატიდან, ე. ი. იქიდან, სადაც შეჩერდა ძველი სამყარო სქესობრივი სიყვარულის თავისი ჩანასახებით. ჩვენ უკვე დავასურათეთ რაინდული სიყვარული, რომელმაც

განთიადის სიმღერები შექმნა. ამ სიყვარულიდან, რომელსაც ცოლქმრობის დარღვევა სწადია, იმ სიყვარულამდე, რომელმაც ცოლქმრობას საფუძველი უნდა ჩაუყაროს, ჯერ კიდევ დიდი მანძილია, რომელიც რაინდობამ მთლად ბოლომდე ვერ გაიარა. მაშინაც კი, როცა თავქარიანი რომანელი ხალხებიდან სათნო გერმანელებზე გადავდივართ, ნიბელუნგების სიმღერაში ვპოულობთ, რომ მართალია კრიმჰილდას ფარულად არანაკლებ უყვარს ზიგფრიდი, ვიდრე ზიგფრიდს იგი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრიმჰილდა გუნტერს სიტყვებზე, რომ მან მისი თავი ერთ რაინდს აღუთქვა, რომელსაც არ ასახელებს, უბრალოდ უპასუხებს: «თქვენ თხოვნა არ გჭირიათ; როგორც მიბრძანებთ, მეც მუდამ ისე მოვიქცევი; ვისაც თქვენ, ხელმწიფევ, საქმროდ ამომირჩევთ, იმაზე სიამოვნებით დავინიშნები». ქალს აზრადაც არ მოსდის, რომ აქ მის სიყვარულს შეიძლება ანგარიში გაეწიოს. გუნტერი ისე თხოულობს ბრუნჰილდას, ხოლო ეტცელი—კრიმჰილდას, რომ მათ თვალითაც არ უნახავთ ისინი; ასევე იქცევა «გუდრუნში» ირლანდიელი ზიგებანტი, რომელიც ნორვეგიელ უტეს თხოულობს, ჰეტელ ჰეგელინგელი, რომელიც ჰილდა ირლანდიელს თხოულობს, ბოლოს ზიგფრიდ მორლანდიელი, ჰარტმუტ ორმანიელი და ჰერვიგ ზელანდიელი, რომელნიც გუდრუნს თხოულობენ; და პირველად აქ ვხედავთ, რომ ქალი, ე. ი. გუდრუნი, თავისუფლად ირჩევს საქმროს, სახელდობრ, ჰერვიგს. საერთო წესის თანახმად, ახალგაზრდა მთავრის საცოლეს ირჩევენ მისი მშობლები, თუ ისინი კიდევ ცოცხალნი არიან; წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ მთავარი არჩევს საცოლეს თავისი მსხვილი ვასალების რჩევა-დარიგებით, რომელთა აზრს ასეთ შემთხვევებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. და სხვანაირად არც შეიძლებოდა. რაინდისათვის ან ბარონისათვის, ისევე როგორც თვით მთავრისათვის, დაქორწინება პოლიტიკური აქტია, შემთხვევა თავისი ძლიერების გასადიდებლად ახალი კავშირების შემწეობით; გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აქ ს ა ხ ლ ი ს ინტერესებს და არა ცალკეული პირის სურვილს. როგორ შეიძლება, რომ სიყვარულმა ასეთ პირობებში უკანასკნელი სიტყვა თქვას დაქორწინების შესახებ?

ასეთივე იყო შუა საუკუნეების ქალაქების საამქროს ოსტატის მდგომარეობაც. სწორედ მისი დამცველი პრივილეგიები, სხვადასხვა დანათქვამთა შემცველი საამქრო წესები, ხელოვნური ზღუდეები, რომელნიც მას იურიდიულად სთიშავდნენ აქ—სხვა საამქროებისაგან, იქ—მისივე საამქროს ამხანაგებისაგან, და გარდა

ამისა—მისი ქარგლებისა და შეგირდებისაგან,—უკვე საკმაოდ ვიწროდ ფარგლავდნენ იმ წრეს, საიდანაც მას შესაფერი საცოლეს არჩევა შეეძლო. ხოლო რომელი იყო საცოლეებიდან ყველაზე შესაფერი, ამას ამ დახლართულ სისტემაში წყვეტდა უეჭველად არა მისი ინდივიდუალური სურვილი, არამედ ოჯახის ინტერესი.

ამრიგად, უმრავლეს შემთხვევაში დაქორწინება შუა საუკუნეების დასასრულამდე რჩებოდა იმად, რაც იგი იმთავითვე იყო,—ისეთ საქმედ, რომელსაც თვით მონაწილეები როდი წყვეტდნენ. დასაწყისში ადამიანები იბადებოდნენ უკვე დაქორწინებულნი—დაქორწინებულნი მეორე სქესის მთელ ჯგუფთან. ჯგუფობრივი ცოლქმრობის გვიანდელ ფორმებში ადგილი ჰქონდა, ალბათ, ასეთსავე მდგომარეობას, მხოლოდ ჯგუფის შევიწროება განუწყვეტლად მატულობდა. წყვილადი ცოლქმრობის დროს წესადაა, რომ დედები ერთმანეთს უთანხმდებიან თავიანთი შვილების დაქორწინების შესახებ; აქაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მოსაზრებანი იმ ახალი ნათესაური კავშირის გაბმის შესახებ, რამაც ახალგაზრდა შეუღლებულთ უფრო მტკიცე მდგომარეობა უნდა შეუქმნას გვარსა და ტომში. ხოლო როცა კერძო საკუთრებამ უპირატესობა მოიპოვა საზოგადოებრივი საკუთრების წინაშე და როცა მემკვიდრეობის მიღებით დაინტერესებასთან ერთად მამის უფლება და მონოგამია გაბატონდა,—მაშინ დაქორწინება მთლიანად დამოკიდებული გახდა ეკონომიური ხასიათის მოსაზრებებზე. ყიდვაზე დაფუძნებული ქორწინების ფ ო რ მ ა ქრება, მაგრამ არსებითად ასეთი ქორწინება სულ უფრო და უფრო ვრცელდება, ასე რომ არა მარტო დედაკაცს, არამედ მამაკაცსაც ფასი ედება არა მისი პირადი თვისებების, არამედ მისი ქონების მიხედვით. გაბატონებული კლასების პრაქტიკაში იმთავითვე გაუგონარ ამბავად რჩებოდა ის, რომ მონაწილეთა ურთიერთ სიმპათია დაქორწინების ისეთ საფუძვლად ყოფილიყო მიჩნეული, რომელიც ყველა სხვა მოსაზრებას გადააჭარბებდა. ასეთი რამ უკიდურეს შემთხვევაში რომანტიკაში თუ ხდებოდა ან კიდევ დაჩაგრულ კლასებში, რომელნიც სათვალავში მისაღები არ იყვნენ.

ასეთი იყო ის მდგომარეობა, რომელიც კაპიტალისტურ წარმოებას დახვდა, როცა იგი გეოგრაფიულ აღმოჩენათა დროიდან მსოფლიო ვაჭრობისა და მანუფაქტურის შემწეობით მსოფლიო ბატონობისათვის მზადებას შეუდგა. უნდა ვიფიქროთ, რომ დაქორწინების ეს წესი კაპიტალისტური წარმოებისათვის ყველაზე შესაფერი იყო, და ეს მართლაც ასე დარჩა. მაგრამ მსოფლიო ისტორიის ირონია უშრეტია—სწორედ კაპიტალისტურ წარმოებას ხვდა

წილად ამ წესის გადაჭრით დანგრევა. კაპიტალისტურმა წარმოებამ ყველაფერი საქონლად აქცია, ყველა უხსოვარდროინდელი, წარსულის მიერ ნაანდერძევი ურთიერთობა დაშალა, მემკვიდრეობით მიღებული ზნე-ჩვეულების, ისტორიული სამართლის ადგილას ყიდვა-გაყიდვა, «თავისუფალი» ხელშეკრულება დააყენა. ინგლისელ იურისტს ჰ. ს. მეინს ეგონა, რომ უდიდესი აღმოჩენა მოახდინა, როცა შენიშნა, მთელი ჩვენი პროგრესი, წინანდელ ეპოქებთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ from status to contract—მემკვიდრეობით მიღებული მდგომარეობიდან ნებაყოფლობითი ხელშეკრულებით დამყარებულ წესწყობილებაზე გადავედითო, რაც, რასაკვირველია,—რამდენადაც ეს საერთოდ მართალია,—უკვე ნათქვამი იყო «კომუნისტურ მანიფესტში».

მაგრამ ხელშეკრულების დასადებად საჭიროა ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ თავისუფლად განაგრძონ თავიანთი პიროვნება, მოქმედება და ქონება და რომელნიც ერთმანეთის მიმართ თანასწორუფლებიანი არიან. ასეთი «თავისუფალი» და «თანასწორი» ადამიანების შექმნა იყო სწორედ კაპიტალისტური წარმოების ერთ-ერთი უმთავრესი საქმე. თუმცა ეს თავდაპირველად ჯერ კიდევ მხოლოდ ნახევრად შეგნებული და თანაც რელიგიურ სამოსელში გახვეული წესით ხდებოდა, მაგრამ მაინც ლუთერანული და კალვინისტური რეფორმაციის დროიდან მტკიცედ ჩამოყალიბდა ის დებულება, რომ ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მთლიანად პასუხისმგებელი თავისი მოქმედებისათვის, თუ ეს მოქმედება მან სრულიად თავისუფალი ნებისყოფით ჩაიდინა, და რომ ზნეობრივი მოვალეობა გვიკარნახებს უზნეო საქმისადმი ყოველგვარ იძულებას წინააღმდეგობა გავუწიოთო. მაგრამ როგორ თავსდებოდა ეს დაქორწინების ადრინდელ პრაქტიკასთან? ბურჟუაზიული გაგების თანახმად, ქორწინება იყო ხელშეკრულება, იურიდიული გარიგება, თანაც ყველაზე მნიშვნელოვანი გარიგება, რადგან იგი მთელი სიცოცხლით განსაზღვრავდა ორი ადამიანის სხეულისა და სულის ბედიღბალს. იმ ხანაში მართალია ამ გარიგებას ფორმალურად ნებაყოფლობით სდებდნენ; მონაწილე მხარეთა თანხმობის გარეშე საქმის მოგვარება არ ხდებოდა. მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, თუ როგორ ხორციელდებოდა ეს თანხმობა და ვინ იყვნენ ნამდვილი დამქორწინებელნი. ხოლო თუ ყველა სხვა ხელშეკრულების დადებისას ნამდვილად თავისუფალ გადაწყვეტილებას მოითხოვდნენ, მაშინ რატომ არ უნდა მოეთხოვათ ეს თავისუფალი გადაწყვეტილება ქორწინების

ხელშეკრულების დადების დროსაც? განა ორ ახალგაზრდას, რომელთაც შეუღლება მოელოდათ, არ ჰქონდათ იმის უფლება, რომ თავიანთი თავის, თავიანთი სხეულის და ამ სხეულის ორგანოების თავისუფალი გამგებელნი ყოფილიყვნენ? განა სქესობრივი სიყვარული რაინდობის შემწეობით არ შემოვიდა მოდაში და განა, წინააღმდეგ რაინდული სიყვარულისა, რომელიც ცოლქმრულ ღალატთან იყო დაკავშირებული,—ცოლქმრული სიყვარული მისი მართებული ბურჟუაზიული ფორმა არ იყო? ხოლო თუ ცოლ-ქმრის მოვალეობა იყო ერთმანეთი ყვარებოდათ, განა ასევე შეყვარებულთა ვალდებულება არ იყო თვითონვე შეერთოთ ერთმანეთი და სხვისთვის არ მიეცათ თავის მაგივრად ამის გაკეთების უფლება? განა შეყვარებულთა ეს უფლება უფრო მაღლა არ იდგა, ვიდრე მშობლების, ნათესავების და სხვა ტრადიციულ მაკლერთა და მაჭანკალთა უფლება? თუ კი თავისუფალი პირადი ამორჩევის უფლება მოურიდებლად შეიჭრა ეკლესიისა და რელიგიის სფეროში, როგორ შეეძლო მას შეჩერებულიყო უფროსი თაობის იმ აუტანელი პრეტენზიის წინაშე, რომელიც მოითხოვდა, რომ უმცროსი თაობის სხეული, სული, ქონება, ბედნიერება და უბედურება უფროსი თაობის განკარგულებაში ყოფილიყო?

ეს საკითხები აუცილებლად უნდა დასმულიყო იმ ეპოქაში, როცა საზოგადოების ყველა ძველი კავშირი მოდუნდა და მემკვიდრეობით მიღებული ყველა წარმოდგენა შეირყა. მსოფლიო ერთბაშად თითქმის ათჯერ უფრო დიდი გახდა; დედამიწის ერთი მერვედის ნაცვლად ახლა მთელი დედამიწა გადაიშალა დასავლეთ ევროპის ადამიანთა თვალწინ, რომელნიც დანარჩენი შვიდი მერვედის ხელში ჩაგდებას ჩქარობდნენ. და სამშობლოს ძველ ვიწრო საზღვრებთან ერთად დაემხო აგრეთვე აზროვნების ტრადიციული შუასაუკუნოებრივი წესის ათასწლოვანი ჩარჩოებიც. ადამიანის გარეგან და შინაგან მხედველობას უსასრულოდ უფრო ფართო ჰორიზონტი გადაეშალა. რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა წესიერების რეპუტაციას და მთელ რიგ თაობათა მიერ ნაანდერძევ საპატიო ამქრულ პრივილეგიებს ახალგაზრდა კაცისათვის, რომელსაც ინდოეთის სიმდიდრენი, მექსიკისა და პოტოზის ოქროსა და ვერცხლის მადნები ეზიდავდნენ? ბურჟუაზიისათვის ეს იყო მოგზაური რაინდობის ხანა; ბურჟუაზიაც თავის რომანტიკას, თავის სატრფიალო გატაცებას განიცდიდა, მაგრამ ბურჟუაზიულ ყაიდაზე და საბოლოოდ ბურჟუაზიული მიზნებით.

ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ აღმავალმა ბურჟუაზიამ, განსაკუთრებით პროტესტანტულ ქვეყნებში, სადაც ყველაზე მეტად შეირყა არსებული წესწყობილება, სულ უფრო და უფრო აღიარა ხელშეკრულების დადების თავისუფლება ქორწინების მიმართაც და იგი ზემოაღწერილი სახით განახორციელა. ქორწინება კლასობრივ ქორწინებად დარჩა, მაგრამ კლასის ფარგლებში ქორწინების მონაწილეებს ამორჩევის ერთგვარი თავისუფლება მიენიჭათ. და ქალალდზე, როგორც მორალის თეორიაში, ისე პოეტურ აღწერილობაში, არაფერი იყო ისე ურყევი და მტკიცედ დადგენილი, როგორც შეხედულება, რომ ყოველი ქორწინება, რომელიც ურთიერთ სქესობრივ სიყვარულსა და ცოლ-ქმრის ნამდვილად თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებული არაა, უზნეოა, ერთი სიტყვით, სიყვარულზე დამყარებული შეუღლება გამოცხადდა ადამიანის უფლებად. სახელდობრ, არა მარტო მამაკაცის უფლებად (droit de l'homme), არამედ, გამონაკლისის სახით, დედაკაცის უფლებადაც (droit de la femme).

მაგრამ ადამიანის ეს უფლება ერთ რამეში განსხვავდებოდა ყველა დანარჩენ ეგრეთწოდებულ ადამიანის უფლებათაგან. მაშინ როდესაც ეს უკანასკნელნი პრაქტიკაში მხოლოდ გაბატონებული კლასით, ბურჟუაზიით შემოისაზღვრებოდა, ხოლო ჩაგრული კლასისათვის, პროლეტარიატისათვის, ისინი პირდაპირ თუ არაპირდაპირ გაარარავებული იყო, აქ კვლავ ისტორიის ირონია იჩენს თავს. გაბატონებული კლასი შებოჭილი რჩება გარკვეული ეკონომიური გავლენებით და ამიტომ მის წრეში მხოლოდ გამონაკლისს შემთხვევებში თუ ხდება ნამდვილად თავისუფალი დაქორწინება, მაშინ როდესაც დაჩაგრული კლასის წრეში, როგორც დავინახეთ, ასეთი დაქორწინება წესს შეადგენს.

მაშასადამე, დაქორწინების სრული თავისუფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება საყოველთაოდ განხორციელდეს, როცა კაპიტალისტური წარმოებისა და მის მიერ შექმნილ საკუთრების ურთიერთობათა მოსპობა თავიდან მოგვაშორებს ყველა იმ თანამედროვე ეკონომიურ მოსაზრებას, რომელნიც დღესაც კიდევ ესოდენ მძლავრ გავლენას ახდენენ მეუღლის არჩევაზე. მაშინ უკვე აღარ დარჩება არავითარი სხვა მოტივი, გარდა ურთიერთ თანაგრძნობისა.

რადგან სქესობრივი სიყვარული თავისი ბუნებით განსაკუთრებულია,—თუმცა ეს განსაკუთრებულობა ამჟამად მუდამ მხოლოდ ქალის მიმართ ხორციელდება,— ამიტომ სქესობრივ სიყვარულზე დამყარებული ქორწინება თავისი ბუნებით ერთცოლიანობაა. ჩვენ და-

ვინახეთ, რამდენად მართალი იყო ბახოფენი, როცა მას განვითარება ჯგუფობრივი ცოლქმრობიდან ერთცოლიანობისაკენ ისეთ პროგრესად მიაჩნდა, რომელსაც ჩვენ უმთავრესად დედაკაცებს უნდა ვუმადლოდეთ; მხოლოდ გადასვლა წყვილადი ცოლქმრობიდან მონოგამიაზე უნდა მიეწეროს მამაკაცებს; ისტორიულად ამ გადასვლამ არსებითად ის გამოიწვია, რომ გაუარესდა დედაკაცების მდგომარეობა და გაადვილდა მამაკაცების ღალატი. ხოლო თუ ამასთან ის ეკონომიური მოსაზრებანი მოისპობა, რომელთა გამო დედაკაცები მამაკაცების ამ ჩვეულებრივ ღალატს ურიგდებოდნენ,— ზრუნვა თავიანთი საკუთარი არსებობისათვის და კიდევ უფრო თავიანთი შვილების მომავლისათვის,—მაშინ ამით მიღწეული თანასწორუფლებიანობა დედაკაცისა, თუ მთელი წინანდელი გამოცდილების მიხედვით ვიმსჯელებთ, გაცილებით უფრო შეუწყობს ხელს იმას, რომ მამაკაცები ნამდვილ მონოგამიას დაადგნენ, ვიდრე იმას, რომ დედაკაცები პოლიანდრიის[1] მიმდევრები გახდნენ.

მაგრამ ამასთან მონოგამიას უეჭველად ჩამოშორდება ის დამახასიათებელი ნიშნები, რაც მას თავს მოახვია მისმა წარმოშობამ საკუთრების ურთიერთობიდან, სახელდობრ, ჩამოშორდება, ჯერ-ერთი, მამაკაცის ბატონობა, მეორე კი, ქორწინების დაურღვევლობა. მამაკაცის ბატონობა ცოლქმრობაში უბრალო შედეგია მისი ეკონომიური ბატონობისა და თავისთავად გაქრება ამ უკანასკნელთან ერთად. ქორწინების დაურღვევლობა ნაწილობრივ შედეგია იმ ეკონომიური მდგომარეობისა, რომელშიც მონოგამია წარმოიშვა, ნაწილობრივ კი იმ დროის ტრადიციაა, როცა ამ ეკონომიური მდგომარეობის კავშირი მონოგამიასთან ჯერ კიდევ მართებულად არ ესმოდათ და რელიგია მას გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. დღეს შეუღლების სიმტკიცე უკვე ათასნაირადაა დარღვეული. თუ ზნეობრივია მხოლოდ ის ქორწინება, რომელიც სიყვარულზეა დაფუძნებული, მაშინ ასევე ზნეობრივი რჩება მხოლოდ ის ცოლქმრობა, რომელშიც სიყვარული გრძელდება. მაგრამ ინდივიდუალური სქესობრივი სიყვარულით გატაცების ხანგრძლივობა მეტად სხვადასხვაა ინდივიდების მიხედვით, განსაკუთრებით მამაკაცებში, და როცა სიყვარულის გრძნობა სრულიად გამქრალია ან იგი ახალი ენებიანი სიყვარულით განდევნილია, მაშინ გაყრა ბედნიერებაა როგორც ორივე მხარისთვის, ისე საზოგადოებისთვი-

---

1 პოლიანდრია (ბერძნული სიტყვიდან პოლი—ბევრი და ანდროს — ქმარი, მამაკაცი)—შრავალქმრიანობა. რ ე დ.

საც. საჭიროა მხოლოდ ადამიანები დავიხსნათ გაყრის პროცესის უმაქნის სიბინძურეში თრევის აუცილებლობისაგან.

ამრიგად, ის, რაც ჩვენ ამჟამად შეგვიძლია ვივარაუდოთ იმ სქესობრივი ურთიერთობის ფორმების შესახებ, რომელიც კაპიტალისტური წარმოების მოსპობის შემდეგ დამყარდება, უმთავრესად უარყოფითი ხასიათისაა და უმრავლეს შემთხვევაში იმით განისაზღვრება, რაც უნდა მოისპოს. მაგრამ რა იქნება ახალი? ეს გადაწყდება მაშინ, როცა ახალი თაობა წარმოიშვება: თაობა მამაკაცებისა, რომელთაც არასოდეს თავიანთ ცხოვრებაში არ მოუხდებათ ფულით ან სხვა რაიმე სოციალური ძალის საშუალებით ქალის ყიდვა, და თაობა დედაკაცებისა, რომელთაც არასოდეს არ მოუხდებათ მამაკაცს სხვა რაიმე მოსაზრებით დანებდნენ, გარდა ნამდვილი სიყვარულით ნაკარნახევი მოსაზრებისა, ანდა საყვარელ ადამიანს უარი უთხრან წყაოლაზე რაიმე ეკონომიური შედეგების შიშით. როცა ეს ადამიანები მოვლენ, ისინი სრულიად აღარ შეიწუხებენ თავს იმით, რის გაკეთებასაც მათ დღეს სავალდებულოდ ეთვლიან; მათ თვითონ ეცოდინებათ, როგორ მოიქცნენ და ამის შესაბამისად თვითონვე შეიმუშავებენ თავიანთ საზოგადოებრივ აზრს ცალკე ყოველი მათგანის მოქმედებაზე,—მორჩა და გათავდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ მორგანს, რომელსაც საკმაოდ დავშორდით. ცივილიზაციის პერიოდში განვითარებული საზოგადოებრივი დაწესებულებების ისტორიული შესწავლა სცილდება მისი წიგნის ფარგლებს. ამიტომ იმაზე, თუ რა ბედი ეწია მონოგამიას ამ პერიოდის განმავლობაში, იგი სულ მოკლედ ჩერდება. მორგანიც მონოგამიური ოჯახის შემდგომ განვითარებაში ხედავს გარკვეულ პროგრესს, მიახლოებას სქესთა სრულ თანასწორუფლებიანობასთან, მაგრამ მას ეს ნიზანი მიღწეულად როდი მიაჩნია. მაგრამ,—ამბობს იგი,—«თუ ვაღიარებთ იმ ფაქტს, რომ ოჯახმა თანამიმდევრობით ოთხი ფორმა განვლო და ამჟამად მეხუთეში იმყოფება, მაშინ იბადება საკითხი, გასტანს თუ არა დიდხანს ეს ფორმა მომავალში? ერთადერთი შესაძლებელი პასუხი აქ ისაა, რომ იგი უნდა განვითარდეს იმდენადვე, რამდენადაც ვითარდება საზოგადოება, უნდა შეიცვალოს იმდენადვე, რამდენადაც იცვლება საზოგადოება, სწორედ ისევე, როგორც ეს დღემდე ხდებოდა. იგი საზოგადოებრივი სისტემის პროდუქტია და მისი კულტურული განვითარების დონეს ასახავს. რადგან მონოგამიური ოჯახი ცივილიზაციის დაწყების მომენტიდან უმჯობესდებოდა, განსაკუთ-

რებით შესამჩნევად კი თანამედროვე ეპოქაში გაუმჯობესდა, ამიტომ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, ვივარაუდოთ, რომ მას შემდგომი გაუმჯობესების უნარიც შესწევს, ვიდრე სქესთა თანასწორობა მიღწეული არ იქნება. ხოლო თუ აღმოჩნდება, რომ შორეულ მომავალში მონოგამიური ოჯახი ვერ შესძლებს საზოგადოების მოთხოვნები დააკმაყოფილოს, მაშინ შეუძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ, რა ხასიათის იქნება მისი მონაცვლე ფორმა».

III

ᲘᲠᲝᲙᲔᲖᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲘ

ახლა გადავდივართ მორგანის მეორე აღმოჩენაზე, რომელსაც, სულ მცირე, იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ოჯახის პირველყოფილი ფორმის რეკონსტრუქციას ნათესაობის სისტემათა საფუძველზე. მორგანმა დაამტკიცა, რომ ცხოველთა სახელებით აღნიშნული გვაროვნული კავშირები ამერიკელი ინდიელების ტომის შიგნით არსებითად იგივეა, რაც ბერძნების genea და რომაელების gentes; რომ ამერიკული ფორმა — თავდაპირველია, ხოლო ბერძნულ-რომაული — მერმინდელი, წარმოებულია; რომ უძველესი ეპოქის ბერძნებისა და რომაელების მთელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას გვარის, ფრატრიისა და ტომის სახით თავისი ზუსტი პარალელი მოეპოვება ამერიკულ ინდიურ ორგანიზაციაში; რომ გვარი ისეთი დაწესებულებაა, რომელიც საერთო მოვლენა იყო ყველა ბარბაროსისათვის, ვიდრე ცივილიზაციაში მათი შესვლა მოხდებოდა და შემდეგაც კი (რამდენადაც დღემდე არსებული ჩვენი წყაროების მიხედვით ამაზე მსჯელობა შეიძლება). ყოველივე ამის დამტკიცებით მორგანმა ერთბაშად გააშუქა ბერძენთა და რომაელთა უძველესი ისტორიის უძნელესი პუნქტები და ამავე დროს მოულოდნელად გაგვიმარტა პირველყოფილი ეპოქის იმ საზოგადოებრივი წესწყობილების ძირითადი ნიშნები, რომელიც სახელმწიფოს წარმოშობამდე არსებობდა. რაგინდ მარტივიც იყოს ეს აღმოჩენა, როცა იგი ერთხელ უკვე ცნობილია, მაინც მორგანმა იგი მხოლოდ ბოლო დროს მოახდინა; თავის პირველ თხზულებაში, რომელიც 1871 წელს გამოქვეყნდა, იგი ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდა ამ საიდუმლოებას, რომლის გახსნამაც მას შემდეგ რამდენიმე ხნით დაადუმა პირველყოფილი ეპოქის შემსწავლელი ინგლისელი ისტორიკოსები, რომელნიც საერთოდ ესოდენ დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ თავში.

ლათინური სიტყვა gens, რომელსაც მორგანი საყოველთაოდ ხმარობს ამ გვაროვნული კავშირის აღსანიშნავად, წარმოდგება, ისევე როგორც ტოლმნიშვნელი ბერძნული genos, საერთო-არიული ძირისაგან gan (გერმანულად kan, რადგან აქ, საერთო წესის მიხედვით, არიული g-ს ნაცვლად უნდა იყოს k), რაც ნიშნავს «შობას». Gens, genos, სანსკრიტულად dschanas, გოთურად (ზეაღნიშნული წესით) kuni, ძველსკანდინავურად და ანგლოსაქსონურად kyn, ინგლისურად kin, საშუალო ზემოგერმანულად künne, — ყველა ეს თანაბრად ნიშნავს გვარს, წარმოშობას. მაგრამ ლათინური gens და ბერძნული genos სპეციალურად ისეთი გვაროვნული კავშირის აღსანიშნავად იხმარება, რომელიც საერთო წარმოშობით (ამ შემთხვევაში ერთი საერთო მამამთავრისაგან) ამაყობს და გარკვეული საზოგადოებრივი და რელიგიური დაწესებულებების შემწეობით შეკავშირებულია განსაკუთრებულ თემად, რომლის წარმოშობა და ბუნება, მიუხედავად ამისა, დღემდე ყველა ჩვენი ისტორიკოსისათვის ბუნდოვანი რჩება.

პუნალუა ოჯახის განხილვისას უკვე დავინახეთ ზემოთ, თუ როგორია გვარის შემადგენლობა მის თავდაპირველ ფორმაში. გვარი შედგება ყველა იმ პირთაგან, რომელნიც პუნალუა ცოლქმრობის საშუალებით და მასში აუცილებლად გაბატონებულ წარმოდგენათა გამო რომელიმე გარკვეული დედამთავრის, გვარის დამაარსებლის აღიარებულ შთამომავლობას ქმნიან. რადგან ოჯახის ამ ფორმის არსებობისას მამის ვინაობა გამოურკვეველია, ამიტომ ძალაშია მხოლოდ მდედრობითი ხაზი. რადგან ძმებს დების შერთვა არ შეუძლიათ, არამედ მხოლოდ სხვა მოდგმის ქალები უნდა ითხოვონ, ამიტომ ამ უცხო ქალებთან გაჩენილი შვილები დედის უფლების ძალით გვარის გარეშე რჩებიან. მაშასადამე, გვაროვნული კავშირის ფარგლებში რჩებიან მხოლოდ ყოველი თაობის ქალიშვილების შთამომავალნი; ვაჟიშვილების შთამომავალნი კი თავიანთი დედების გვარებში გადადიან. რაღა მოსდის ამ სისხლმონათესავე ჯგუფს მას შემდეგ, როცა იგი ტომის შიგნით არსებული სხვა მსგავსი ჯგუფების მიმართ განსაკუთრებულ ჯგუფად ყალიბდება?

ამ თავდაპირველი გვარის კლასიკურ ფორმად მორგანი იღებს ირიკეზების გვარს, განსაკუთრებით სენეკას ტომის გვარს. ამ ტომში არსებობს რვა გვარი, რომელნიც ცხოველების ან ფრინველების სახელებს ატარებენ: 1) მგელი, 2) დათვი, 3) კუ, 4) წავი, 5) ირემი, 6) ღალღა, 7) ყანჩა, 8) შევარდენი. თვითეულ გვარში გაბატონებულია შემდეგი ზნე-ჩვეულება:

1. გვარი ირჩევს თავის «სახემს» (მამასახლისს მშვიდობიანი დროისათვის) და მეთაურს (მხედართმთავარს). სახემი თვითონ გვარის შემადგენლობიდან უნდა აერჩიათ და მისი თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო გვარში, რამდენადაც განთავისუფლებისთანავე ეს თანამდებობა დაუყოვნებლივ კვლავ უნდა დაეკავებინა სხვას. მხედართმთავარი შეიძლებოდა გვარის გარეშეც არჩეულიყო და დროებით მისი თანამდებობა სრულიად დაუკავებელიც დარჩენილიყო. სახემად არასდროს არ ირჩევდნენ წინანდელი სახემის ვაჟს, რადგან იროკეზებში გაბატონებული იყო დედის უფლება და, მაშასადამე, ვაჟი ეკუთვნოდა სხვა გვარს; მაგრამ ხშირად ირჩევდნენ ყოფილი სახემის ძმას ან მის დისწულს. არჩევნებში მონაწილეობდნენ ყველანი — მამაკაცებიც და დედაკაცებიც. მაგრამ არჩევნები უნდა დაემტკიცებინა დანარჩენ შვიდ გვარსაც და მხოლოდ ამის შემდეგ არჩეულ პირს ზეიმით აყენებდნენ თანამდებობაზე და სახელდობრ, ამას ახდენდა იროკეზების მთელი კავშირის საერთო საბჭო. ამ აქტის მნიშვნელობა ნათელი გახდება შემდეგში. სახემის ხელისუფლება გვარის შიგნით მამობრივი, წმინდა მორალური ხასიათის იყო; იძულების საშუალებანი მას არ გააჩნდა, ამასთანავე ერთად იგი თანამდებობის მიხედვით სენეკას ტომის საბჭოსა და ასევე იროკეზთა კავშირის საერთო საბჭოს წევრი იყო. სარდალს რაიმე ბრძანების გაცემა მხოლოდ საომარი ლაშქრობის დროს შეეძლო.

2. გვარს შეუძლია თავისი სურვილისამებრ გადააყენოს სახემი და სარდალი. ამასაც კვლავ ერთად წყვეტენ მამაკაცები და დედაკაცები. თანამდებობიდან გადაყენებულნი ხდებიან ამის შემდეგ უბრალო მეომრები, კერძო პირები, მსგავსად სხვებისა. სხვათა შორის, ტომის საბჭოს შეუძლია სახემიც გადააყენოს, გვარის სურვილის წინააღმდეგაც კი.

3. გვარის წევრებიდან არც ერთს არ შეუძლია იმავე გვარის წევრზე დაქორწინება. ასეთია გვარის ძირითადი წესი, ის კავშირი, რომელიც გვარს აერთებს; ეს უარყოფითი გამოხატულებაა იმ უაღრესად დადებითი სისხლიერი ნათესაობისა, მარტოოდენ რომლის ძალითაც გაერთიანებული ინდივიდები გვარად იქცევიან. ამ უბრალო ფაქტის აღმოჩენით მორგანმა პირველად გამოამჟღავნა გვარის ბუნება. თუ როგორ ნაკლებად ესმოდათ მანამდე გვარის რაობა, ამას ამტკიცებენ წინანდელი ცნობები ველურებისა და ბარბაროსების შესახებ, სადაც სხვადასხვა გაერთიანებებს, რომლებიც გვაროვნულ წყობილებას შეადგენენ, გაუგებლად და განურ-

ჩვეულად ურევენ ერთმანეთში ტომის, კლანის, ტუმის და სხვ. სახელწოდებით და ამასთან ხშირად მათ შესახებ ნათქვამია, ასეთი გაერთიანების შიგნით წევრებს შორის ქორწინება აკრძალულიაო. სწორედ ამან შექმნა კიდეც ის უნუგეშო არევდარევა, სადაც ბ-ნ მაკ-ლენანს შეეძლო ნაპოლეონის როლში გამოსულიყო და წესრიგი დაეშყარებინა მბრძანებლური განაჩენით: ყველა ტომი იყოფა ორად — ისეთებად, რომლის შიგნით დაქორწინება აკრძალულია (ეგზოგამიური ტომები), და ისეთებად, რომლის შიგნით იგი ნებადართულიაო (ენდოგამიური ტომები), და როცა მან ამ სახით საბოლოოდ დახლართა საქმის ვითარება, შემდეგ ხელი მიჰყო უაღრესად ღრმაზროვან გამოკვლევას იმის შესახებ, თუ მისი ამ ორი უაზრო კატეგორიიდან რომელი უფრო ძველია — ეგზოგამია თუ ენდოგამია. სისხლიერ ნათესაობაზე დაფუძნებული გვარის აღმოჩენასთან და აქედან გამომდინარე იმ დასკვნასთან ერთად, რომ ამ გვარის წევრებს შორის დაქორწინება შეუძლებელი იყო, ეს უაზრობაც თავისთავად მოისპო. თავისთავად იგულისხმება, რომ განვითარების იმ საფეხურზე. რომელზედაც ჩვენ იროკეზებს ვხედავთ, დაქორწინების აკრძალვა გვარის ფარგლებში დაურღვეველადაა დაცული.

4. გარდაცვალებულთა ქონება გადადიოდა დანარჩენ მეგვარეებზე, იგი გვარშივე უნდა დარჩენილიყო. თუ იროკეზების მიერ დატოვებული საგნები უმნიშვნელო ღირებულების იყო, მაშინ დარჩენილ მემკვიდრეობას ინაწილებდნენ მისი უახლოესი მეგვარე ნათესავები; მამაკაცის სიკვდილის შემთხვევაში მემკვიდრეობა რჩებოდა მის ღვიძლ ძმებს, დებს და დედის ძმებს, დედაკაცის სიკვდილის შემთხვევაში კი — მის შვილებს და ღვიძლ დებს, მაგრამ არა მის ძმებს. სწორედ იმავე მიზეზით ცოლ-ქმარი არ შეიძლებოდა ერთმანეთის მემკვიდრე ყოფილიყო, ასევე შვილებიც ვერ მიიღებდნენ მამის მემკვიდრეობას.

5. მეგვარეები ვალდებულნი იყვნენ ერთმანეთისათვის დახმარება გაეწიათ, დაეცვათ ერთმანეთი და განსაკუთრებით ერთიმეორეს დახმარებოდნენ უცხოელის მიერ მიყენებული შეურაცხყოფისათვის შურისძიებაში. ცალკეული ინდივიდი თავისი პირადი უშიშრობის დაცვის საქმეს გვარს ანდობდა და შეეძლო კიდეც მას დანდობოდა; ვინც მას შეურაცხყოფდა, ის მთელ გვარს აყენებდა შეურაცხყოფას. აქედან, გვარის სისხლიერი ნათესაობიდან, წარმოიშვა სისხლის აღების ვალდებულება, რაც უცილობლად იყო აღიარებული იროკეზების მიერ. თუ ვინმე უცხო გვარიდან გვარის

რომელიმე წევრს მოჰკლავდა, მოკლულის მთელი გვარი ვალდებული იყო სისხლი აეღო. პირველად მორიგებას შეეცდებოდნენ; მკვლელის გვარის საბჭო სათათბიროდ შეიკრიბებოდა და მოკლულის გვარის საბჭოს მშვიდობიანი გზით მორიგების წინადადებას მისცემდა, თანაც უმეტეს შემთხვევაში მწუხარებას გამოთქვამდა და მნიშვნელოვან საჩუქრებს შესთავაზებდა. თუ წინადადებას მიიღებდნენ, საქმე მოგვარებულად ჩაითვლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებული გვარი ნიშნავდა ერთ ან რამდენიმე შურისმაძიებელს, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ მკვლელისათვის ეთვალთვალებინათ და მოეკლათ. თუ ეს მოხდებოდა, მოკლულის გვარს ჩივილის უფლება არ ჰქონდა, საქმე გათავებულად ითვლებოდა.

6. გვარს აქვს გარკვეული სახელები ან სერიები სახელებისა, რომელთა ხმარება მთელს ტომში მხოლოდ მას შეუძლია, ასე რომ ცალკეული წევრის სახელი იმასაც გვიჩვენებს, თუ რომელ გვარს ეკუთვნის იგი. გვაროვნულ სახელთან იმთავითვე დაკავშირებულია გვარის უფლებებიც.

7. გვარს შეუძლია გარეშე პირები იშვილოს და ამ გზით ისინი მთელი ტომის წევრებად გახადოს. სამხედრო ტყვეები, რომელთაც არ ჰკლავდნენ, ამრიგად, ერთ-ერთ გვარში შვილად აყვანის შემწეობით სენეკას ტომის წევრები ხდებოდნენ და ამით გვარისა და ტოტის ყველა უფლებას იძენდნენ. შვილად აყვანა ხდებოდა გვარის ცალკეული წევრების წინადადებით: მამაკაცების წინადადებით, რომელნიც უცხოელს თავიანთ ძმად ან დად ღებულობდნენ, და დედაკაცების წინადადებით, რომელნიც უცხოელს თავიანთ შვილად აცხადებდნენ; ასეთი შვილად აყვანის დასადასტურებლად აუცილებელი იყო, რომ უცხოელის მიღება გვარში საზეიმო ვითარებაში მომზადარიყო. ხშირად ცალკეული გვარები, ამა თუ იმ განსაკუთრებული პირობების გამო დასუსტებულნი, კვლავ ძლიერდებოდნენ იმით, რომ მასობრივად იშვილებდნენ ხოლმე წევრებს სხვა რომელიმე გვარიდან, ამ უკანასკნელის თანხმობით. იროკეზებში უცხოელის ზეიმით მიღება გვარში ტოტის საბჭოს საჯარო სხდომაზე ხდებოდა, რის გამოც ეს ზეიმი ფაქტიურად რელიგიური ცერემონიის ხასიათს ღებულობდა.

8. ძველი დასადგენია, რომ ინდიელ გვარებს განსაკუთრებული რელიგიური დღესასწაულები ჰქონოდათ; მაგრამ ინდიელების რელიგიური ცერემონიები შეტნაკლებად დაკავშირებულია გვარებთან. იროკეზების ყოველწლიური იქვსი რელიგიური დღესასწაულის დროს ცალკეული გვარების სახემებსა და სარდლებს თავიან-

თი თანამდებობის მიხედვით «სარწმუნოების მცველთა» რიცხვს მიაკუთვნებდნენ ხოლმე და ისინი ქურუმთა ფუნქციებს ასრულებდნენ.

9. გვარს საერთო სასაფლაო აქვს. ნიუ-იორკის შტატის ირიკეზებს, რომელნიც თეთრკანიანების მიერ ყოველი მხრიდან შევიწროებულნი არიან, ეს საერთო სასაფლაო ამჟამად აღარა აქვთ, მაგრამ წინათ ჰქონიათ. დანარჩენ ინდიელებს დღესაც კიდევ შენარჩუნებული აქვთ ასეთი საერთო სასაფლაო, როგორც, მაგალითად, ირიკეზების ახლო მონათესავე ტუსკარორელებს, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქრისტიანები არიან, სასაფლაოზე თვითეული გვარისათვის განსაკუთრებული ადგილი აქვთ, ასე რომ შვილების გვერდით ასაფლავებენ დედას, მაგრამ არა მამას. ირიკეზებშიც მიცვალებულის დაკრძალვაში მთელი გვარი მონაწილეობს, ზრუნავს საფლავისათვის, საფლავზე წარმოსათქმელი სიტყვებისათვის და ა. შ.

10. გვარს აქვს საბჭო — გვარის ყველა სრულასაკოვანი წევრის, მამაკაცებისა და დედაკაცების, დემოკრატიული კრება, სადაც ყველა ხმის თანასწორი უფლებით სარგებლობს, ეს საბჭო ირჩევდა და გადააყენებდა ხოლმე სახემებს და სარდლებს, ასევე დანარჩენ «სარწმუნოების მცველთაც»; მას გამოჰქონდა გადაწყვეტილებანი გამოსყიდვასა (wergeld) ან სისხლის აღებაზე მოკლული მეგვარეებისათვის; მას შემოჰყავდა გვარში გარეშე პირები. ერთი სიტყვით, ის იყო სუვერენული ხელისუფლების მატარებელი გვარში.

ასეთია ტიპიური ინდიური გვარის უფლებანი. «ყველა მისი წევრი თავისუფალი ადამიანებია, ვალდებულნი ერთი მეორის თავისუფლება დაიცვან; მათ თანასწორი პირადი უფლებები აქვთ, არც სახემს, არც სარდალს არა აქვს რაიმე უპირატესობის პრეტენზია; ისინი ერთგვარი ძმები არიან, შეკავშირებულნი სისხლიერი ნათესაობით. თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა, — თუმცა ეს არასოდეს არ ყოფილა ფორმულირებული, — გვარის ძირითადი პრინციპები იყო, გვარი კი, თავის მხრივ, მთელი საზოგადოებრივი სისტემის ერთეული, ორგანიზებული ინდიური საზოგადოების საფუძველი იყო. ამით აიხსნება დამოუკიდებლობის და პირადი ღირსების ის შეუდრეკელი გრძნობა, რომელსაც ყველა აღიარებს ინდიელების კუთვნილებად».

ამერიკის აღმოჩენის დროს მთელი ჩრდილო ამერიკის ინდიელები ორგანიზებულნი იყვნენ გვარებად, დედის უფლების საფუძველზე. მხოლოდ ზოგიერთ ტომში, როგორც, მაგალითად, დაკოტას ტომებში, გვარები დაქვეითებულნი იყვნენ, ხოლო ზოგიერთ

სხვა ტომში, მაგალითად, ოჯიბვას, ომაჰას ტომებში, ისინი ორგანიზებულნი იყვნენ მამის უფლების მიხედვით.

მრავალ ინდიურ ტომში, სადაც ხუთ ან ექვსზე მეტი გვარია, ჩვენ ვხედავთ, რომ სამი, ოთხი ან მეტი გვარი გაერთიანებულია ერთ განსაკუთრებულ ჯგუფად; ასეთ ჯგუფს მორგანი, რომელიც ზუსტად თარგმნის ინდიურ სახელწოდებას მისი ბერძნული შესატყვისის შესაბამისად, უწოდებს ფრატრიას (ძმობას). მაგალითად, სენეკას ტომს აქვს ორი ფრატრია: პირველში შედის 1—4 გვარი, მეორეში — 5—8 გვარი. უფრო დაწვრილებითი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ეს ფრატრიები უმეტეს ნაწილად წარმოადგენენ პირველყოფილ გვარებს, რომლებადაც თავდაპირველად ტომი იყოფოდა; ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ გვარის შიგნით ქალ-ვაჟის დაქორწინება აკრძალული იყო და ყოველ ტომს აუცილებლად ორი გვარი მაინც უნდა ჰყოლოდა, რათა მას დამოუკიდებლად არსებობა შეძლებოდა. ტომის გამრავლებისდა კვალად ყოველი გვარი, თავის მხრივ, ორ ან კიდევ მეტ გვარად იყოფოდა, რომლებიც ახლა დამოუკიდებელნი ხდებოდნენ, მაშინ როდესაც თავდაპირველი გვარი, რომელშიც ყველა ქალიშვილისეული გვარი (Tochtergentes) შედის, ფრატრიის სახით არსებობას განაგრძობს. სენეკას ტომში და მეტწილ სხვა ინდიელებში ერთი ფრატრიის გვარები ძმისეულ გვარებად (Brudergentes) ითვლებიან, ხოლო მეორე ფრატრიის გვარები მათთვის ბიძაშვილისეულ გვარებს (Vettergentes) წარმოადგენენ, — სახელწოდებანი, რომელთაც ნათესაობის ამერიკულ სისტემაში, როგორც დავინახეთ, მეტად რეალური და მკაფიოდ გამოხატული მნიშვნელობა აქვთ. თავდაპირველად აგრეთვე არც ერთ სენეკელს არ შეეძლო თავისი ფრატრიის წევრს შეუღლებოდა, მაგრამ ეს ჩვეულება უკვე დიდი ხანია გადავარდა და მხოლოდ გვარის ფარგლებით შემოისაზღვრა. სენეკას ტომში არსებული გადმოცემის თანახმად, თავდაპირველ გვარებს, რომლებიდანაც სხვა გვარები წარმოიშვა, წარმოადგენდნენ «დათვი» და «ირემი». რაკი ერთხელ ეს ახალი წესჩვეულება დამკვიდრდა, შემდეგ იგი მოთხოვნილების მიხედვით იცვლებოდა; თუ რომელიმე ფრატრიის გვარები ამოწყდებოდა, ხშირად მის შესავსებად სხვა ფრატრიებიდან მთელი გვარები გადმოჰყავდათ. ამიტომ სხვადასხვა ტომში ერთი და იმავე სახელწოდების გვარები გვხვდება, რომელნიც სხვადასხვანაირად არიან დაჯგუფებული ფრატრიებში.

ფრატრიების ფუნქციები იროკეზებში ნაწილობრივ საზოგადოებრივი, ნაწილობრივ კი რელიგიური ხასიათისაა. 1) ბურთის თა-

მაშში ფრატრიები ერთი მეორის წინააღმდეგ გამოდიან; თვითეული ფრატრია თავის საუკეთესო მოთამაშეებს გამოჰყოფს ხოლმე, დანარჩენები კი თვალყურს ადევნებენ თამაშს, დაყოფილნი არიან ფრატრიების მიხედვით და ერთმანეთს ენაძლევებიან, თუ რომელი გაიმარჯვებს მათი მოთამაშეებიდან. 2) ტომის საბჭოში თვითეული ფრატრიის სახემები და სარდლები ერთად სხედან, ერთი ჯგუფი მეორის წინააღმდეგ, ყოველი ორატორი თვითეული ფრატრიის წარმომადგენლებს ისე ელაპარაკება, როგორც განსაკუთრებულ კორპორაციას. 3) თუ ტომში მკვლელობა მოხდებოდა, ხოლო მკვლელი და მოკლული ერთსა და იმავე ფრატრიას არ ეკუთვნოდნენ, დაზარალებული გვარი ხშირად თავის ძმისეულ გვარებს მიმართავდა; უკანასკნელნი მოიწვევდნენ ფრატრიის საბჭოს და მიმართავდნენ მეორე ფრატრიას როგორც მთლიან ერთეულს, რათა მასაც ასევე თავისი საბჭო მოეწვია საქმის მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის. მაშასადამე, აქ ფრატრია კვლავ გამოდის როგორც თავდაპირველი გვარი, გამოდის იმ იმედით, რომ საქმეს უფრო წაომატებით მოაგვარებს, ვიდრე მისგან წარმომდგარი უფრო სუსტი ცალკეული გვარი. 4) გამოჩენილ პირთა სიკვდილის შემთხვევაში დასაფლავებას და დაკრძალვის პროცესის მოწყობას კისრულობდა მოპირდაპირე ფრატრია, მაშინ როდესაც მიცვალებულის ფრატრიის წევრები დაკრძალვაში მონაწილეობდნენ როგორც მიცვალებულის ახლო ჰირისუფლები. როცა სახემი მოკვდებოდა, მოპირდაპირე ფრატრია ატყობინებდა ირიკეზების საკავშირო საბჭოს თანამდებობის განთავისუფლების შესახებ. 5) სახემის არჩევნების დროსაც ფრატრიის საბჭო ასევე გარკვეულ როლს ასრულებდა. არჩევნების დამტკიცება ძმისეული გვარების მიერ ისეთ რამედ ითვლებოდა, რაც, ალბათ, თავისთავად იგულისხმებოდა, მაგრამ მეორე ფრატრიის გვარებს შეეძლოთ ამის წინააღმდეგ წასულიყვნენ. ასეთ შემთხვევაში იკრიბებოდა ამ ფრატრიის საბჭო; თუ იგი ოპოზიციას მართებულად მიიჩნევდა, არჩევნები ბათილდებოდა. 6) წინათ ირიკეზებს განსაკუთრებული რელიგიური მისტერიები ჰქონდათ, რომელთაც თეთრები medicine-lodges [1] უწოდებდნენ. ამ მისტერიებს სენეკას ტომში ორი რელიგიური ამხანაგობა აწყობდა; ეს ამხანაგობანი ახალი წევრების მიღებას კურთხევის საგანგებო ცერემონიალით აწყობდნენ. ორი ფრატრიიდან თვითეულს ერთი ასეთი ამხანაგობა უწევდა. 7) თუ, — რაც თითქმის

[1] — ჯადოქართა კრებები. რ ე დ.

უეჭველია, — ოთხი linages (გვარი), რომელიც ტლასკალას ოთხი კვარტალის მოსახლეობას წარმოადგენდა — მისი დაპყრობის დროს, ოთხი ფრატრია იყო, მაშინ ამით დასტურდება, რომ ფრატრიები, ისევე როგორც ბერძენთა ფრატრიები და მსგავსი გვაროვნული კავშირები გერმანელებში, სამხედრო ერთეულებადაც ითვლებოდნენ; ეს ოთხი linages ბრძოლაში გამოდიოდა ცალ-ცალკე ერთეულებად დარაზმული; თვითეულ რაზმს საკუთარი სამხედრო ფორმა და დროშა ჰქონდა, საკუთარი ბელადი ჰყავდა.

როგორც რამდენიმე გვარი ერთ ფრატრიას შეადგენს, ასევე, რამდენიმე ფრატრია, გვაროვნული წყობილების კლასიკურ ფორმაში, ერთ ტომს შეადგენს; ზოგიერთ შემთხვევაში მნიშვნელოვნად შესუსტებულ ტომებს აკლიათ შუა რგოლი — ფრატრია. მაშ რა ახასიათებს ცალკეულ ინდიურ ტომს ამერიკაში?

1. საკუთარი ტერიტორია და საკუთარი სახელწოდება. ყოველ ტომს ჰქონდა, გარდა თავისი ნამდვილი სამოსახლო ადგილისა, კიდევ მნიშვნელოვანი ტერიტორია სანადიროდ და თევზის საჭერად. ამ ტერიტორიის საზღვრებს იქით იწყებოდა ფართო ნეიტრალური ზონა, რომელიც უახლოესი ტომის ტერიტორიამდე აღწევდა; ენით მონათესავე ტომებს შორის ეს ზონა უფრო ვიწრო იყო, ხოლო ენით არა მონათესავე ტომებში — უფრო ფართო. ეს ზონა იგივეა, რაც გერმანელების სანაპირო ტყე (Grenzwald), უდაბნო, რომელიც იულიუს კეისრის დროის სვევებმა თავიანთი ტერიტორიის ირგვლივ შექმნეს; ეს იგივეა, რაც დანიელებსა და გერმანელებს შორის მდებარე isarnholt-ი (დანიურად jarnved, limes Danicus). გერმანელებსა და სლავებს შორის მდებარე საქსონიის ტყე და branibor-ი (სლავურად — «დამცველი ტყე»), საიდანაც თავისი სახელწოდება მიიღო ბრანდენბურგმა. ამგვარი გაუკვეველი საზღვრებით გამოყოფილი ტერიტორია ტომის საერთო მიწას შეადგენდა, იგი ასეთად იყო მიჩნეული მეზობელი ტომების მიერ და მას თვითონ ტომი იცავდა დაპყრობისაგან. საზღვრების გაურკვევლობის პრაქტიკული უხერხულობა მეტწილად მხოლოდ მაშინ იჩენდა ხოლმე თავს, როცა ტომის მოსახლეობა ძალიან მრავლდებოდა. ტომის სახელწოდებანი, ეტყობა, უმეტეს შემთხვევაში უფრო შემთხვევითაა წარმომდგარი, ვიდრე შეგნებულად არჩეული; დროთა ვითარებაში ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ მეზობელი ტომები ამა თუ იმ ტომს სულ სხვა სახელს აერქმევდნენ და არა იმას, რასაც თვითონ იგი თავის თავს უწოდებდა; ასე იყო, მაგალითად, როცა გერმანელებმა თავიანთი პირველი ისტორიული სახელი «ვერმანელები» კელტებისაგან მიიღეს.

2. განსაკუთრებული, მხოლოდ ამ ტომისათვის დამახასიათებელი დიალექტი. სინამდვილეში ტომი და დიალექტი არსებითად ერთმანეთს ემთხვევა. ტომებისა და დიალექტების ახლად შექმნა გათიშვის შემწეობით ამერიკაში ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ხდებოდა და, საეჭვოა, რომ იგი დღესაც მთლად შეწყვეტილი იყოს. იქ, სადაც ორი შესუსტებული ტომი ერთ ტომად ერთიანდება, ხდება ხოლმე გამონაკლისის სახით, რომ ერთსა და იმავე ტომში ორ ახლომონათესავე დიალექტზე ლაპარაკობენ. ამერიკული ტომების საშუალო რიცხვი 2 000 სულზე ნაკლებია; მაგრამ ჩიროკეზები აღწევენ დაახლოებით 26000 სულს—უდიდესი რიცხვი შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ინდიელებისა, რომელნიც ერთსა და იმავე დიალექტზე ლაპარაკობენ.

3. უფლება—ზეიმით ჩააბარონ თანამდებობა გვარის მიერ არჩეულ სახეებსა და სარდლებს.

4. უფლება მათი გადაყენებისა, მათივე გვარის სურვილის წინააღმდეგაც კი. რადგან ეს სახეები და სარდლები ტომის საბჭოს წევრები არიან, ტომის ეს უფლებანი მათ მიმართ თავისთავად გასაგებია. იქ, სადაც ტომთა კავშირი ჩამოყალიბდა და მასში შემავალი მთელი ტომები წარმოდგენილნი იყვნენ საკავშირო საბჭოში, აღნიშნული უფლებანი ამ უკანასკნელზე გადავიდა.

5. საერთო რელიგიური წარმოდგენანი (მითოლოგია) და კულტის წესჩვეულებანი. «ინდიელები თავიანთ ბარბაროსულ ყაიდაზე მორწმუნე ხალხი იყო». მათი მითოლოგია ჯერ კიდევ სრულიადაც არაა კრიტიკულად შესწავლილი; თავიანთი რელიგიური წარმოდგენების — ყოველგვარი სულების — განსახიერება მათ უკვე ადამიანის სახით ეხატებოდათ, მაგრამ ბარბაროსობის დაბალი საფეხური, რომელზედაც ისინი იმყოფებოდნენ, ჯერ კიდევ არ იცნობს ხატოვან გამოსახულებებს, ეგრეთწოდებულ კერპებს. ეს იყო ბუნებისა და სტიქიის კულტი, რომელიც მრავალღმერთიანობისაკენ მიმავალი გზით ვითარდებოდა. სხვადასხვა ტომს თავისი რეგულარული დღესასწაულები ჰქონდა, კულტის გარკვეული ფორმებით, სახელდობრ, ცეკვითა და თამაშით; განსაკუთრებით ცეკვა ყველა რელიგიური დღესასწაულის არსებითი შემადგენელი ნაწილი იყო; ყოველი ტომი თავის დღესასწაულებს ცალკე აწყობდა.

6. ტომის საბჭო საერთო საქმეების განსახილველად. იგი შედგებოდა ცალკეული გვარების ყველა სახეისა და სარდლისაგან, მათი ნამდვილი წარმომადგენლებისაგან, რადგან მათი გადაყენება ყოველთვის შეიძლებოდა; საბჭოს სხდომები საჯარო იყო, მათ ესწრებოდნენ ტომის დანარჩენი წევრებიც, რომელთაც უფლება ჰქონ-

დათ კამათში მონაწილეობა მიეღოთ და თავიანთი აზრი გამოეთქვათ; გადაწყვეტილება გამოჰქონდა საბჭოს. ჩვეულებრივ ყოველ დამსწრეს შეეძლო, სურვილისამებრ, აზრი გამოეთქვა, დედაკაცებსაც შეეძლოთ თავიანთი შეხედულება წარმოედგინათ მათ მიერ არჩეული ორატორის მეშვეობით. იროკეზებში საბოლოო გადაწყვეტილება ერთხმად უნდა ყოფილიყო მიღებული, როგორც ეს ხდებოდა გერმანიის სამარკო თემებში ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტის დროს. საბჭოს მოვალეობას შეადგენდა განსაკუთრებით სხვა ტომებთან ურთიერთობის მოწესრიგება; იგი იღებდა და აგზავნიდა ელჩებს, აცხადებდა ომს და დებდა ზავს. თუ ომი ატყდებოდა, მასში უმეტეს ნაწილად მოხალისენი მონაწილეობდნენ. პრინციპულად თვითეული ტომი საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ყოველ სხვა ტომთან, რომელთანაც მას გარკვეული საზავო ხელშეკრულება არ ჰქონდა დადებული. საომარ ლაშქრობას ასეთი მტრების წინააღმდეგ უმეტეს ნაწილად ცალკეული გამოჩენილი მეომრები აწყობდნენ; ისინი გამართავდნენ ხოლმე სამხედრო ცეკვას და ვინც ამ ცეკვაში მონაწილეობას მიიღებდა, ამით აცხადებდა, რომ ის თანახმა იყო ლაშქრობაშიც მონაწილეობა მიეღო. რაზმი დაუყოვნებლივ ყალიბდებოდა და საბრძოლველად გადიოდა. ასევე ტომის იმ ტერიტორიას, რომელიც მტრის თავდასხმას განიცდიდა, უმეტეს ნაწილად მოხალისეთა რაზმები იცავდნენ. ასეთი რაზმების ლაშქრად წასვლა და ლაშქრობიდან დაბრუნება ყოველთვის იძლეოდა საბაბს საჯარო დღესასწაულთა მოსაწყობად. ტომის საბჭოს დასტური ასეთი ლაშქრობისათვის საჭირო არ იყო და მას არც მოითხოვდნენ და არც იძლეოდნენ. ეს იგივე კერძო ლაშქრობანია გერმანული რაზმებისა, როგორც მათ ტაციტი აგვიწერს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გერმანელებში ლაშქარს უკვე უფრო მუდმივი ხასიათი ჰქონდა მიღებული, რომ იგი შეადგენდა მტკიცე ბირთვს, რომელიც უკვე მშვიდობიანობის დროს ყალიბდებოდა და რომლის გარშემოც, ომის შემთხვევაში, დანარჩენი მოხალისეები იყრიდნენ თავს. ასეთი მეომარი რაზმები იშვიათად თუ ყოფილან მრავალრიცხოვანნი; ინდიელების ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპედიციები, შორეული ექსპედიციებიც კი, უმნიშვნელო მეომარი ძალების შემწეობით ხდებოდა. როცა რამდენიმე ასეთი რაზმი რაიმე დიდი ბრძოლისათვის გაერთიანდებოდა ხოლმე, თვითეული მათგანი მხოლოდ თავის საკუთარ ბელადს ემორჩილებოდა; ლაშქრობის გეგმის ერთიანობას კარგად თუ ცუდად ამ ბელადების საბჭო უზრუნველყოფდა. იმ აღწერის მიხედვით,

რომელსაც ამიან მარცელინი იძლევა, ამავე წესით აწარმოებდნენ ომს ალამანები ზემო ოაინზე IV საუკუნეში.

7. ზოგიერთ ტომს ჰყავს უმაღლესი მეთაური (Oberhäuptling), მაგრამ მისი უფლებამოსილობანი მეტად შეზღუდულია. ის ერთი სახელმთაგანია, რომელმაც ისეთ შემთხვევებში, როცა გადაუდებელი მოქმედებაა საჭირო, დროებითი ლონისძიებანი უნდა მიიღოს საბჭოს შეკრებამდე და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. ეს არის აღმასრულებელი ძალაუფლებით აღჭურვილი მოხელის სუსტი ჩანასახი, რომლის შემდგომი განვითარება უმეტეს ნაწილად უნაყოფო დარჩა; აღმასრულებელი ძალაუფლება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უმრავლეს შემთხვევაში, თუ ყველგან არა, უმაღლესი მხედართმთავრის (obersten Heerführer) ფუნქციიდან განვითარდა.

ტომობრივ გაერთიანებას ამერიკელი ინდიელების დიდი უმრავლესობა ვერ გასცილდა. მათი მცირერიცხოვანი ტომები, დაშორებულნი ერთმანეთისაგან ფართო მოსაზღვრე ზოლებით და დასუსტებულნი მუდმივი ომებით, ცოტაოდენი ხალხით უზარმაზარ ტერიტორიას იკავებდნენ. მონათესავე ტომებს შორის აქა-იქ კავშირები იქმნებოდა დროებითი გასაჭირის შემთხვევაში და ამ გაჭირვების მოხსნისთანავე ეს კავშირები ირღვეოდა. მაგრამ ცალკეულ ადგილებში თავდაცველად მონათესავე, მაგრამ დაქსაქსული ტომები კვლავ ერთიანდებოდნენ ხანგრძლივ კავშირებად და, ამრიგად, პირველ ნაბიჯს დგამდნენ ეროვნებათა შესაქმნელად. ასეთი კავშირის ყველაზე განვითარებულ ფორმას ჩვენ ვხვდებით შეერთებული შტატების იროკეზებში. იროკეზებმა მიატოვეს თავიანთი საშყოფელი ადგილი მისისიპის დასავლეთით, სადაც ისინი, ალბათ, დიდი დაკოტა ოჯახის შტოს შეადგენდნენ და ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ დასახლდნენ ახლანდელი ნიუიორკის შტატში; აქ ისინი გაიყვნენ ხუთ ტომად: სენეკა, კაიუგა, ონონდაგა, ონეიდა და მოჰავკი. ისინი მისდევდნენ მეთევზეობას, ნადირობას და პრიმიტიულ მებოსტნეობას; ცხოვრობდნენ სოფლებში, რომელთაც უმეტეს ნაწილად მესერი ჰქონდათ შემოვლებული. მათი რიცხვი არასოდეს არ აღემატებოდა 20.000 სულს; ყველა ხუთ ტომში რამდენიმე საერთო გვარი იყო; ისინი ლაპარაკობდნენ ერთი და იმავე ენის მონათესავე დიალექტზე და დასახლებულნი იყვნენ მთლიან ტერიტორიაზე, რომელიც ხუთ ტომს შორის ნაწილდებოდა. რადგან ეს ტერიტორია ახლად დაპყრობილი იყო, ამიტომ ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა ამ ტომების ჩვეულებადქცეული მჭიდროდ შეკავშირება მათ მიერ გაძევებული ტომების წინააღმდეგ; ეს შეკავშირება, სულ გვიან რომ ავიღოთ, XV

საუკუნის დასაწყისში ნამდვილ «მუდმივ კავშირად»—ფედერაციად განვითარდა, კავშირად, რომელმაც, შეძენილი ახალი ძალის შეგნებისთანავე, დაუყოვნებლივ შეტევაზე გადასვლა დაიწყო და როცა თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია, დაახლოებით 1675 წელს, დაიპყრო მის გარშემო მდებარე მნიშვნელოვანი ტერიტორიები და იქ მცხოვრები მოსახლეობა ნაწილობრივ განდევნა, ნაწილობრივ კი მოხარკედ გაიხადა. ირიკეზების კავშირი წარმოადგენს ყველაზე განვითარებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელსაც კი ინდიელებმა მიაღწიეს, რამდენადაც ისინი ბარბაროსობის დაბალ საფეხურს არ გასცილებიან (მაშასადამე, მექსიკელების, ახალმექსიკელებისა და პერუანელების გამოკლებით). კავშირის ძირითადი ნიშნები ასეთი იყო:

1. ხუთი სისხლმონათესავე ტომის მუდმივი კავშირი თვითეული ტომის ყველა შინაურ საქმეში სრული თანასწორობისა და დამოუკიდებლობის საფუძველზე. ეს სისხლიერი ნათესაობა კავშირის ნამდვილ საფუძველს შეადგენდა. ხუთი ტომიდან სამს ერქვა მამისეული ტომები (Vaterstämme) და ისინი ერთმანეთის ძმებად ითვლებოდნენ. დანარჩენ ორ ტომს ვაჟისეულ ტომებს (Sohnstämme) უწოდებდნენ და ისინიც ერთმანეთს შორის ძმისეულ ტოებად ითვლებოდნენ. სამი უხხიერესი გვარი—წარმოდგენილი იყვნენ ჯერ კიდევ ცოცხალი წევრებით ყველა ხუთ ტომში, დანარჩენი სამი გვარი კი – სამ ტომში; თვითეული ამ გვარის წევრები ყველანი ძმებად ითვლებოდნენ ხუთივე ტომში. საერთო ენა, რომელიც მხოლოდ კილოკავებით განსხვავდებოდა, საერთო წარმოშობის გამოხატულება და დამადასტურებელი საბუთი იყო.

2. კავშირის ორგანო იყო საკავშირო საბჭო, რომელიც შედგებოდა მდგომარეობითა და პატივით თანასწორი 50 სახემისაგან; ამ საბჭოს გამოჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილება კავშირის ყველა საქმეზე.

3. ეს 50 სახემი კავშირის დაარსების დროს ტომებისა და გვარების მიხედვით იყვნენ განაწილებულნი, როგორც მატარებელნი იმ ახალ თანამდებობათა, რომელნიც სპეციალურად კავშირის მიზნებისათვის იყო შექმნილი. სახემების თანამდებობის განთავისუფლების შემთხვევაში სათანადო გვარები ახლად ირჩევდნენ შემცველელ პირთ და ამ უკანასკნელთა გადაყენება მათ ყოველთვის შეეძლოთ; სახემის თანამდებობაზე დამტკიცების უფლება კი საკავშირო საბჭოს ეკუთვნოდა.

4. ეს საკავშირო სახემები სახემებად ითვლებოდნენ აგრეთვე თავიანთ ტომებში და მათ ტომის საბჭოში მონაწილეობისა და ხმის უფლება ჰქონდათ.

5. საკავშირო საბჭოს ყველა გადაწყვეტილება ერთხმად უნდა ყოფილიყო მიღებული.

6. ხმის მიცემა ხდებოდა ტომების მიხედვით, ასე რომ თვითეულ ტომს და თვითეულ ტომში საბჭოს ყველა წევრს ერთსულოვნად უნდა მიეცათ ხმა, რათა გადაწყვეტილებას ძალა ჰქონოდა.

7. ტომთა ხუთი საბჭოდან თვითეულს შეეძლო საკავშირო საბჭოს მოწვევა, ამ უკანასკნელს კი არ შეეძლო თავისი თაოსნობით შეკრებილიყო.

8. საბჭოს სხდომები იმართებოდა შეკრებილი ხალხის წინაშე; ყოველ ირიოკეზს შეეძლო სიტყვა აეღო; გადაწყვეტილება მხოლოდ საბჭოს გამოჰქონდა.

9. კავშირს არ ჰყავდა პერსონალური უმაღლესი მეთაური, აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში მდგომი პირი.

10. სამაგიეროდ კავშირს ჰყავდა ოთი მთავარსარდალი თანაბარი უფლებებითა და თანაბარი ძალით (სპარტელთა ორი «მეფისა», რომაელების ორი კონსულის მსგავსად).

ასეთი იყო ის საზოგადობრივი წესწყობილება, რომელშიც ირიოკეზებმა ოთხას წელიწადზე მეტი იცხოვრეს და დღესაც კიდევ ცხოვრობენ. ეს წესწყობილება მე დაწვრილებით აღვწერე—მორგანის მიხედვით, რადგან აქ შემთხვევა გვეძლევა შევისწავლოთ იმ საზოგადოების ორგანიზაცია, რომელიც ჯერ კიდევ არ იცნობს სახელმწიფოს. სახელმწიფო გულისხმობს, რომ არსებობს განსაკუთრებული საჯარო ხელისუფლება, გამოცალკევებული სახელმწიფოს მუდმივად შემადგენელ წევრთა მთელი ერთობლიობისაგან. ამიტომ მაურერი სწორ აღღოს იჩენს, როცა აღიარებს, გერმანული სამარკო წესწყობილება სახელმწიფოსაგან არსებითად განსხვავებული წმინდა საზოგადოებრივი დაწესებულებაა, თუმცა იგი შემდეგ უმეტეს ნაწილად სახელმწიფოს საფუძველს შეადგენდაო; ამიტომ მაურერი ყველა თავის ნაწარმოებში იკვლევს საჯარო ხელისუფლების თანდათანობითს წარმოშობას მარკების, სოფლების, მაპულების და ქალაქების თავდაპირველი ორგანიზაციიდან და ამ ორგანიზაციის გვერდით. ჩრდილო-ამერიკელი ინდიელების მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, როგორ ვრცელდება თანდათან უზარმაზარ კონტინენტზე ის ტომი, რომელიც თავდაპირველად მთლიანი იყო; როგორ გადაიქცევიან ტომები გათიშვის გზით ხალხებად, ტომთა მთელ ჯგუფებად; როგორ იცვლებიან ენები იმდენად, რომ არათუ გაუგებარნი ხდებიან ერთმანეთისათვის, არამედ პირვანდელი ერთიანობის თითქმის ყოველ ნიშანკვალსაც კი ჰკარგავენ; შემდეგ

ჩვენ ვხედავთ, როგორ ითიშებიან ტომების შიგნით ცალკეული გვარები რამდენიმე გვარად, როგორ რჩებიან შემონახული ძველი დედა-გვარები ფრატრიების სახით, და ამასთანავე ამ უძველესი გვარების სახელწოდებანი მაინც უცვლელი რჩებიან ძალიან დაშორებულ და ერთმანეთისაგან დიდი ხნის წინათ გათიშულ ტომებში —მგელი და დათვი ჯერ კიდევ ყველა ინდიელი ტომის უმრავლესობისათვის გვაროვნული სახელებია. და ყველას მათ შეესაბამება საერთოდ და მთლიანად ზემოთ აღწერილი საზოგადოებრივი სტრუქტურა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბევრი მათგანი ვერ მისულა ნათესაური ტომების კავშირამდე.

მაგრამ ჩვენ ვხედავთ აგრეთვე, რომ რაკი ერთხელ მოცემულია გვარი ძირითადი საზოგადოებრივი უჯრედის სახით, ამ უჯრედიდან თითქმის გარდუვალი აუცილებლობით,—რადგან ეს სრულიად ბუნებრივია,—ვითარდება გვარების, ფრატრიებისა და ტომის მთელი სტრუქტურა. სამივე ეს ჯგუფი სისხლიერი ნათესაობის სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენს, თვითეული მათგანი თავისთავად დამთავრებულია და თავის საკუთარ საქმეებს თვითონ აწესრიგებს, მაგრამ ამავე დროს მეორის დამთავრებაცაა. მათს გამგებლობაში შემავალ საქმეთა ფარგალი მოიცავს ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანის მთელ საზოგადოებრივ საქმიანობას. მაშასადამე, როცა ჩვენ რომელიმე ხალხში გვარს ძირითადი საზოგადოებრივი უჯრედის სახით ვნახულობთ, სრული საფუძველი გვაქვს ისიც ვეძიოთ, რომ მას ტომის ისეთივე ორგანიზაცია ექნება, როგორიც აქაა აღწერილი; და იქ, სადაც საკმაო წყაროები არსებობს, როგორც ეს ბერძნებსა და რომაელებს აქვთ, ჩვენ არა მარტო ვნახავთ ამ ორგანიზაციას, არამედ იმაშიც დავრწმუნდებით, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როცა ეს წყაროები არ გაგვაჩნია, შედარება ამერიკულ საზოგადოებრივ წყობილებასთან აგვიხსნის ყველა უძნელეს სადავო საკითხსა და გამოცანას.

და რა საუცხოო ორგანიზაციაა ეს გვაროვნული წყობილება, მიუხედავად მთელი მისი გულუბრყვილო სიმარტივისა! აქ არაა ჯარისკაცები, ჟანდარმები და პოლიციელები, არაა თავადაზნაურობა, მეფეები, მეფის მოადგილეები, პრეფექტები ან მსაჯულები, არაა ციხეები, არაა პროცესები, მაგრამ ყველაფერი თავისი წესით მიმდინარეობს. ყველა უთანხმოებას და დავას სწყვეტს იშათი კოლექტივი, ვისაც ისინი ეხება,—გვარი ან ტომი, ანდა ცალკეული გვარები ერთმანეთს შორის; და მხოლოდ როგორც უკიდურესი და იშვიათად ხმარებული საშუალება გამოყენებულია სისხლის

აღება, რომლის ცივილიზებულ ფორმას,—მხოლოდ ამ ცივილიზაციის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეებით,—წარმოადგენს ჩვენში აპკაჰად არსებული სიკვდილით დასჯა. თუმცა საერთო საქმეები ნაშინდელ წყობილებაში გაცილებით მეტია, ვიდრე ამჟამადაა,—ოჯახურ მეურნეობას ხომ მთელი რიგი ოჯახები ერთად და კომუნისტურად ეწევიან, მიწა მთელი ტომის საკუთრებაა, მხოლოდ პატარა ბახჩები აქვთ მათ დროებით სარგებლობაში გადაცემული ოჯახური მეურნეობისათვის,—მაგრამ მაინც მმართველობის ჩვენი გაბერილი და რთული აპარატის ნიშან-კვალიც კი არ ჩანს. ყველა საკითხს თვითონ დაინტერესებული პირები სწყვეტენ და უმრავლეს შემთხვევაში საუკუნოებრივი ადათის მიერ უკვე ყველაფერი მოწესრიგებულია. ღარიბებსა და გაჭირვებულთ შეუძლებელია იქ ადგილი ჰქონდეს—კომუნისტურმა ოჯახურმა მეურნეობამ და გვარმა იციან თავიანთი მოვალეობანი მოხუცებულთა, ავადმყოფთა და ომში დასახიჩრებულთა მიმართ. ყველანი თანასწორნი და თავისუფალნი არიან, დედაკაცებიც კი. მონები ჯერ კიდევ არ არსებობენ, ასევე, როგორც წესი, ჯერ კიდევ ადგილი არა აქვს უცხო ტომების დაპყრობას. როცა იროკეზებმა დაახლოებით 1651 წელს ერიელები და «ნეიტრალური ტომი» დაამარცხეს, მათ წინადადება მისცეს შესულიყვნენ კავშირში სწორუფლებიან წევრებად; მხოლოდ მაა შემდეგ, რაც დამარცხებულებმა ამაზე უარი განაცხადეს, ისინი განდევნილ იქნენ თავიანთი ტერიტორიიდან. ხოლო თუ რაგვარ მამაკაცებსა და დედაკაცებს წარმოშობს ასეთი საზოგადოება, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ყველა თეთრკანიანი, რომელთაც კი შემთხვევა ჰქონიათ გაურყვნელ ინდიელებს შეხვედროდნენ, აღტაცებულია ამ ბარბაროსების საკუთარი ღირსების გრძნობით, გულწრფელობით, ხასიათის სიმტკიცითა და სიმამაცით.

ამ სიმამაცის ნიმუშები სულ ცოტა ხნის წინათ აფრიკაში დავინახეთ. ზულუს-კაფრებმა ამ რამდენიმე წლის წინათ, ისე როგორც ნუბიელებმა ამ ორიოდე თვის წინათ[1],—ორივე ტომმა, რომლებშიც გვაროვნული წესწყობილება ჯერ კიდევ არ გამქრალა,—ისეთი რამ გააკეთეს, რის შესრულებაც არც ერთ ევროპულ ჯარს არ შეუძლია. ეს ტომები შეიარაღებულნი იყვნენ მხოლოდ შუბებით და სარტყორცნი სათხედებით, არ ჰქონდათ ცეცხლმსროლი იარაღი, მაგრამ ისინი, ინგლისის ქვეითი ჯარის—რომელიც მიჯრი-

1 ლაპარაკია ინგლისელების ომზე აფრიკელი ზულუსების წინააღმდეგ 1879 წ. და ნუბიელების წინააღმდეგ 1883 წ. რ ე დ.

ლი წყობილების მხრივ საყოველთაოდ აღიარებული იყო როგორც პირველი ჯარი მსოფლიოში—სწრაფადმსროლი თოფებიდან სეტყვასავით წამოსულ ტყვიის ცეცხლქვეშ ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ, ხშირად არღვევდნენ მოწინააღმდეგის რიგებს და უკუაქცევდნენ კიდეც მა'ს, მიუხედავად შეიარაღების კოლოსალური უთანაბრობისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სრულიად არ იხდიან სამხედრო ბეგარას და არ იციან, რა არის სამწყობრო სამსახური. თუ რის ატანა და შესრულება შეუძლიათ მათ, ამას მოწმობს ინგლისელების ჩივილი, კაფრი დღე-ღამეში მეტ მანძილს და უფრო ჩქარა გაირბენს, ვიდრე ცხენიო. «კაფრის ყოველი უწვრილესი კუნთი, მაგარი და წრთობილი, როგორც ფოლადი, წნული თასმის მსგავსად გამოირჩევაო», — ამბობს ერთი ინგლისელი მხატვარი.

ასე გამოიყურებოდნენ ადამიანები და ადამიანთა საზოგადოება, ვიდრე სხვადასხვა კლასებად საზოგადოების გათიშვა მოხდებოდა. და თუ ჩვენ მათ მდგომარეობას თანამედროვე ცივილიზებულ ადამიანთა დიდი უმრავლესობის მდგომარეობას შევადარებთ, დავინახავთ, რომ განსხვავება დღევანდელ პროლეტარსა და გლეხსა, ერთი მხრივ, და გვარის ძველ თავისუფალ წევრს შორის, მეორე მხრივ, უზარმაზარია.

ესაა საქმის ერთი მხარე. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ორგანიზაცია დასაღუპავად იყო განწირული. ტომის ფარგლებს იგი არ გასცილებია; ტომთა კავშირი უკვე მისი დამხობის დასაწყისს მოასწავებს, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ და როგორც ეს უკვე გამომჟღავნდა იროკეზების ცდებში—დაემორჩილებინათ სხვა ტომები. ყველაფერი, რაც ტომის გარეშე იყო, ის კანონის გარეშეც იყო. სადაც გარკვეული საზავო ხელშეკრულება არ იყო დადებული, იქ ტომებს შორის ომი იყო გაჩაღებული და ეს ომი ისეთი სისასტიკით წარმოებდა, რაც ადამიანს დანარჩენი ცხოველებისაგან განასხვავებს და რაც მხოლოდ შემდეგში მატერიალური ინტერესების ზეგავლენით შერბილდა. სრულ აყვავებაში მყოფი გვაროვნული წყობილება, როგორც ჩვენ იგი ამერიკაში დავინახეთ, გულისხმობდა უაღრესად განუვითარებელ წარმოებას, მაშასადამე, უაღრესად თხელ მოსახლეობას ფართოდ გაშლილ ტერიტორიაზე, მაშასადამე, იგი გულისხმობდა, რომ ადამიანი თითქმის მთლიანად დამორჩილებული იყო მისთვის უცხო, მისდამი დაპირისპირებული, გაუგებარი გარეშე ბუნების მიერ, რაც თავის ასახვას პოულობს ბავშვურ რელიგიურ წარმოდგენებში. ტომი ადამიანის ზღუ-

დედ რჩებოდა, ზღუდედ როგორც უცხო ტომის ადამიანის მიმართ,ისე თავისი თავის მიმართაც: ტომი, გვარი და მათი დაწესებულებანი წმინდა და ხელუხლებელნი იყვნენ, ისინი წარმოადგენდნენ ბუნების მიერ მოცემულ იმ უმაღლეს ძალას, რომელსაც ცალკეული პიროვნება უცილობლად ემორჩილებოდა თავის გრძნობებსა, აზრებსა და მოქმედებაში. რა რიგ იმპოზანტურადაც უნდა გვეჩვენონ ამ ეპოქის ადამიანები, ისინი მაინც სრულიად არ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, ისინი, როგორც მარქსი ამბობს, ჯერ კიდევ მიბმულნი არიან პირველყოფილი თემის ჭიპზე. ამ პირველყოფილი თემის ძალაუფლება უნდა შემუსვრილიყო და შეიმუსრა კიდეც. მაგრამ იგი შეიმუსრა ისეთ მოვლენათა ზეგავლენით, რომელნიც იმთავითვე გვეჩვენება დაქვეითებად, ცოდვაში ჩავარდნად ძველი გვაროვნული საზოგადოების მორალური სიმაღლიდან. უმდაბლესი გაუმაძღრობა, ტლანქი წყურვილი განცხრომისა, ბინძური სიძუნწე, საზოგადოებრივი ქონების ეგოისტური ძარცვა,—აი ის უმდაბლესი ინტერესები, რითაც მოინათლა ახალი, ცივილიზებული, კლასობრივი საზოგადოება; ქურდობა, ძალადობა, ვერაგობა, ღალატი—აი ის სამარცხვინო საშუალებანი, რომელნიც ძირს უთხრიან ძველ უკლასო გვაროვნულ წყობილებას და ამხობენ მას. და თვით ახალი საზოგადოებაც თავისი არსებობის ორი ათას ხუთასი წლის მანძილზე სხვა არაფერს წარმოადგენდა, თუ არა უმნიშვნელო უმცირესობის განვითარებას ექსპლოატირებული და ჩაგრული უმრავლესობის ხარჯზე; და იგი დღესაც ასეთი რჩება და კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

IV

ბერძნული გვარი

ბერძნები, ისევე როგორც პელასგები და სხვა თვისტომი ხალხები, უკვე წინაისტორიულ ხანიდან იყვნენ ორგანიზებულნი იმავე ორგანული რიგის მსგავსად, როგორც ამერიკელები: გვარი, ფრატრია, ტომი, ტომების კავშირი. ფრატრია შეიძლებოდა არ არსებულიყო, როგორც ეს დორიელებში იყო, ტომების კავშირი შესაძლოა ჯერ კიდევ ყველგან არ ყოფილიყო განვითარებული, მაგრამ ყველა შემთხვევაში გვარი ძირითად უჯრედს წარმოადგენდა. იმ ხანაში, როცა ბერძნები ისტორიულ არენაზე გამოდიან, ისინი ცივილიზაციის მიჯნაზე დგანან; მათსა და იმ ამერიკელ

ტომებს შორის, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი, განვითარების თითქმის ორი დიდი პერიოდი ძევს, რომლითაც გმირული ეპოქის ბერძნები

საერთო საღმრთო დღესასწაულები ჰქონდა, რომლებიც რეგულარულად მეორდებოდა; ეს დღესასწაულები ტარდებოდა კეთილშობილთა (ევპატრიდთა) წრიდან არჩეული ფილობასილევსის (ტომის უხუცესის) თავმჯდომარეობით.

ასე ლაპარაკობს გროტე. მარქსი კი უმატებს: «მაგრამ ბერძნულ გვარშიც აშკარად გამოიყურება ველური (მაგალითად, იროკეზი)». მას კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ, თუ ჩვენს გამოკვლევას განვაგრძობთ.

სახელდობრ, ბერძნული გვარის დამახასიათებელია კიდევ შემდეგი ნიშნები:

7. წარმოშობა ითვლება მამის უფლების მიხედვით.

8. დაქორწინების აკრძალვა გვარის შიგნით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დასაქორწინებელი ქალი მემკვიდრეა. ეს გამონაკლისი და მისი ფორმულირება კანონის სახით ადასტურებს, რომ ძველი წესი ჯერ კიდევ ძალაში იყო. ეს გამომდინარეობს აგრეთვე იმ საყოველთაოდ სავალდებულო წესიდან, რომ ქალი, როცა თხოვდებოდა, უარს ამბობდა თავისი გვარის რელიგიურ წესჩვეულებებზე და გადადიოდა თავისი ქმრის რელიგიურ წესჩვეულებებზე, რომლის ფრატრიაშიც იგი ეწერებოდა. ამის მიხედვით, და ასევე დიკეარქუსის ერთი ცნობილი ადგილის თანახმად, შეუღლება სხვა გვარის წევრებთან ჩვეულებრივი წესი იყო, ხოლო ბეკერი «ხარიკლში» პირდაპირ ამბობს, არავის არ ჰქონდა უფლება თავისი გვარის წევრებს შეუღლებოდაო.

9. უფლება გვარის მიერ უცხო პირის შვილად აყვანისა; ეს უფლება ხორციელდებოდა იმ გზით, რომ ამ პირს ოჯახი იშვილებდა ხოლმე, მაგრამ საჯარო ფორმალობათა დაცვით და მხოლოდ გამონაკლისის სახით.

10. უხუცესთა არჩევისა და გადაყენების უფლება. ყოველ გვარს რომ თავისი არქონტი ჰყავდა, ეს ჩვენთვის ცნობილია. იმის შესახებ კი, რომ ეს თანამდებობა გარკვეულ ოჯახებში მემკვიდრეობით გადადიოდაო, არსად არაფერია ნათქვამი. მუდამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბარბაროსობის ეპოქის დასასრულამდე არ იყო მტკიცედ დაცული თანამდებობათა მემკვიდრეობით გადაცემა, რომელიც სრულიად შეუთავსებელია იმ წესწყობილებასთან, როცა მდიდრებსა და ღარიბებს გვარის ფარგლებში სრულიად თანასწორი უფლებები ჰქონდათ.

არა მარტო გროტემ, არამედ ნიბურმაც, მომზენმაც და კლასიკური ეპოქის ყველა სხვა ისტორიკოსმაც ვერ გაართვეს თავი

გვარის საკითხს. მართალია, მათ გვარის მრავალი ნიშანი სრულიად მართებულად აღნიშნეს, მაგრამ მასში ისინი მუდამ ხედავდნენ ოჯახთა ჯგუფს და ამის გამო მათთვის შეუძლებელი იყო გვარის ბუნებისა და წარმოშობის გაგება. გვაროვნული წყობილების პირობებში ოჯახი არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ორგანიზაციული უჯრედი, რადგან ქმარი და ცოლი აუცილებლად ორ სხვადასხვა გვარს ეკუთვნოდნენ. გვარი მთლიანად შედიოდა ფრატრიაში, ფრატრია — ტომში; ოჯახი სანახევროდ ქმრის გვარში შედიოდა, სანახევროდ კი ცოლის გვარში. არც სახელმწიფოს საჯარო სამართალი სცნობს ოჯახს; დღემდე ოჯახი მხოლოდ სამოქალაქო სამართლისათვის არსებობს. მიუხედავად ამისა, მთელი ჩვენი ისტორიული მეცნიერება დღემდე იმ უაზრო ვარაუდიდან გამოდის, რომელიც განსაკუთრებით XVIII საუკუნეში გახდა უცილობელი და რომელიც ამბობს, მონოგამიური ინდივიდუალური ოჯახი, რომელიც საეჭვოა ცივილიზაციაზე უფრო ხნიერი იყოს, ის ბირთვია, რომლის გარშემო საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანდათანობითი კრისტალიზება მოხდაო.

«ბატონ გროტეს უნდა შევნიშნოთ, — უმატებს მარქსი, — რომ თუმცა ბერძნებს თავიანთი გვარები მითოლოგიიდან გამოჰყავდათ, მაგრამ ეს გვარები უფრო ხნიერი არიან, ვიდრე თვით მათ მიერვე შექმნილი მითოლოგია თავისი ღმერთებითა და ნახევარღმერთებით»-ო.

მორგანი ხშირად იმოწმებს გროტეს, რადგან იგი ავტორიტეტული და თანაც სრულიად საიმედო მოწმეა. გროტე მოგვითხრობს შემდეგ, რომ თვითეული გვარი ათენში იმ სახელს ატარებდა, რომელიც მას ნაგულისხმევი მამამთავრიდან გადმოცემოდა, რომ სოლონამდე საეთოდ, და სოლონის შემდეგაც, როცა ანდერძი არ არსებობდა, — მიცვალებულის მეგვარეები (gennêtes), მის ქონებას მემკვიდრეობით ღებულობდნენ და მკვლელობის შემთხვევაში პირველად მოკლულის ნათესავების, შემდეგ დანარჩენი მეგვარეების, და, ბოლოს, ფრატრიის წევრების უფლებასა და მოვალეობას შეადგენდა დამნაშავის დევნა სასამართლოს წესით. «ყოველივე ის, რაც ჩვენ უძველესი ათენური კანონების შესახებ ვიცით, გვარებად და ფრატრიებად დანაწილებაზეა დაფუძნებული».

საერთო წინაპრებისაგან გვარის წარმოშობის ახსნა «სკოლაში განსწავლული ფილისტერებისათვის» (მარქსი) თავსამტერევი საკითხი იყო; რადგან ისინი, რა თქმა უნდა, ამ წინაპრებს წმინდა მითად თვლიან, მათ პირდაპირ ვერას გზით ვერ აუხსნიათ, თუ

როგორ წარმოიშვა გვარი ერთიმეორის გვერდით მყოფი ოჯახებისაგან, რომელნიც თავდაპირველად ერთმანეთის ნათესავებიც კი არ იყვნენ, ამასთანავე კი ამ ამოცანის გადაწყვეტა საჭიროა იმისათვის, რათა ახსნილ იქნეს მხოლოდ გვარის არსებობა. და აი სიტყვების კორიანტელის მოჯადოებული წრიდან ისინი ვერ გასცილებიან შემდეგ დებულებას: მართალია, გენეალოგია მითია, მაგრამ გვარი არსებობს სინამდვილეში და, ბოლოს, გროტეს მიხედვით ვლებულობთ შემდეგს (ფრჩხილებში მარქსის ჩანართია): «ამ გენეალოგიაზე ჩვენ იშვიათად თუ გვესმის რამე, იმიტომ რომ მას საჯაროდ მხოლოდ გარკვეული, განსაკუთრებულად საზეიმო შემთხვევებში იხსენიებენ. მაგრამ უფრო უმნიშვნელო გვარებსაც თავიანთი საერთო რელიგიური წესჩვეულებანი ჰქონდათ (უცნაურია, ბ-ნო გროტე!), საერთო ზეადამიანური მამამთავარიც ჰყავდათ, საერთო გენეალოგიაც გააჩნდათ, სრულიად ისევე, როგორც უფრო სახელგანთქმულ გვარებს (რა ძალიან უცნაური ამბავია ყოველივე ეს, ბატონო გროტე, უ ფ რ ო უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო გ ვ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს!); ძირითადი გეგმა და ი დ ე ა ლ უ რ ი საფუძველი (მოწყალეო ხელმწიფეო, არა ი დ ე ა ლ უ რ ი, არამედ კარნალური, უბრალოდ — ხ ო რ ც ი ე ლ ი!) ერთნაირი იყო ყველა გვარისათვის».

მორგანის პასუხს ამ საკითხზე მარქსი დასკვნის სახით შემდეგნაირად გადმოსცემს. «სისხლიერი ნათესაობის სისტემა, რომელიც გვარის პირველყოფილ ფორმას შეესაბამება, — ბერძნებს კი, სხვა მომაკვდავთა მსგავსად, ეს ფორმა ოდესღაც ჰქონდათ, — უზრუნველყოფდა გვარების წევრთა ერთმანეთს შორის ნათესაურ ურთიერთობათა ცოდნას. ისინი ბავშვობიდანვე პრაქტიკულად ითვისებდნენ ამ უაღრესად მნიშვნელოვან ცოდნას. მონოგამიური ოჯახის წარმოშობისთანავე ყოველივე ეს დავიწყებას მიეცა. გვარის სახელწოდება ქმნიდა ისეთ გენეალოგიას, რომლის გვერდით ცალკეული ოჯახის გენეალოგია უმნიშვნელოდ მოჩანდა. ამიერიდან ამ სახელწოდებას უნდა დაედასტურებინა მის მატარებელთა საერთო წარმოშობის ფაქტი; მაგრამ გვარის გენეალოგია ისე შორს მიდიოდა დროთა სიღრმეში, რომ მის წევრებს უკვე აღარ შეეძლოთ თავიანთი ნამდვილი ნათესაობის დამტკიცება, გარდა მცირეოდენი შემთხვევებისა, როცა მათ უფრო უახლოესი საერთო წინაპრები ჰყავდათ. თვით სახელწოდება საერთო წარმოშობის დამამტკიცებელი საბუთია და თანაც უდავო დამამტკიცებელი საბუთი, თუ არ ჩავთვლით შვილად აყვანის შემთხვევებს. პირიქით, ფაქტიური უარყოფა ყოველგვარი ნათესაობისა გვარის წევრთა შორის, რო-

გორც ამას გროტე და ნიბური ჩადიან, უარყოფა, რომელიც გვარს წმინდა გამონაგონისა და პოეტური შემოქმედების ნაყოფად აქცევს, — ღირსია «იდეალური», ე. ი. კაბინეტში ჩაკეტილი მწიგნობარი სწავლულებისა. რადგან თაობათა ურთიერთკავშირი, განსაკუთრებით მონოგამიის წარმოშობის შემდეგ, შორეულ წარსულში გადადის და განვლილი სინამდვილე მითოლოგიის ფანტასტიკურ გამოხატულებებში პოულობს თავის ასახვას, ამიტომ გულუბრყვილო ფილისტერებს დასკვნა გამოჰქონდათ და დღესაც გამოაქვთ, ნამდვილი გვარები ფანტასტიკურმა გენეალოგიამ შექმნაო».

ფ რ ა ტ რ ი ა, ისევე როგორც ამერიკელებში, წარმოადგენდა დედაგვარს, რომელიც დანაწევრებული იყო მრავალ ქალიშვილისეულ გვარებად, რომელიც აერთიანებდა მათ და რომელსაც ყველა ისინი ხშირად ჯერ კიდევ საერთო მამამთავრისაგან გამოჰყავდა. ასე, მაგალითად, გროტეს მიხედვით, «ჰეკატეოსის ყველა წევრი — ასაკით ტოლნი — მეთექვსმეტე მუხლში ერთსა და იმავე ღმერთს აღიარებდა თავის მამამთავრად»; მაშასადამე, ამ ფრატრიის გვარები ყველანი ძმისეული გვარები იყვნენ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ფრატრია ჯერ კიდევ ჰომეროსს ჰყავს გამოყვანილი სამხედრო ერთეულის სახით იმ ცნობილ ადგილას, სადაც ნესტორი აგამემნონს ურჩევს: «დააწყვე ადამიანები ტომებად და ფრატრიებად ისე, რომ ფრატრია ფრატრიას მიეშველოს, ტომი კი — ტომსო». ფრატრიას, გარდა ამისა, უფლება ჰქონდა და ვალდებულიც იყო შური ეძია ფრატრიის წევრის მკვლელობისათვის, მაშასადამე, უფროა დრინდელ ხანაში მას სისხლის აღების ვალდებულებაც ეკისრებოდა. შემდეგ, მას ჰქონდა საერთო საკურთხევლები და დღესასწაულები, და საერთოდ მთელი ბერძნული მითოლოგიის განვითარება ბუნების ძველ-არიული კულტიდან, რაც მან თან მოიტანა, არსებითად გაპირობებული იყო გვარებითა და ფრატრიებით და ამ უკანასკნელთა ფარგლებში ხდებოდა. შემდეგ, ფრატრიას ჰყავდა უხუცესი (phratriarchos), ფრატრიარქი, რომელიც, დე კულანჟის მიხედვით, საერთო კრებებს იწვევდა, სავალდებულო გადაწყვეტილებებს ღებულობდა, მის ხელში იყო სასამართლო და ადმინისტრაციული ხელისუფლება, მერმინდელმა სახელმწიფომაც კი, რომელიც გვარს უგულებელყოფდა, ფრატრიას ადმინისტრაციული ხასიათის ზოგიერთი საზოგადოებრივი ფუნქცია დაუტოვა.

რამდენიმე მონათესავე ფრატრია შეადგენს ტომს. ატიკაში არსებობდა ოთხი ტომი, თვითეულ ტომში იყო სამ-სამი ფრატ-

რია, ხოლო თვითეულ ფრატრიაში ოცდაათი გვარი შედიოდა. ჯგუფების ასეთი ზუსტი შემოფარგვლა გულისხმობს შეგნებულ და გეგმაშეწონილ ჩარევას სტიქიურად შექმნილ წყობილებაში. თუ როგორ, როდის და რატომ მოხდა ეს, — ამაზე საბერძნეთის ისტორია დუმს. ამაზე თვით ბერძნებსაც მხოლოდ გმირულ ეპოქამდე შერჩათ მოგონებანი.

ენის დიალექტთა განახვავებანი ბერძნებში, რომელნიც მჭიდროდ იყვნენ დასახლებულნი შედარებით პატარა ტერიტორიაზე, უფრო ნაკლებად იყო განვითარებული, ვიდრე ამერიკის უზარმაზარ ტყეებში გაფანტულ ინდიელებში; მაგრამ საბერძნეთშიც ჩვენ ვხედავთ, რომ ერთ დიდ ერთეულად გაერთიანებულნი არიან მხოლოდ ის ტომები, რომელნიც ერთსა და იმავე ძირითად დიალექტზე ლაპარაკობენ; პატარა ატიკაშიც კი ვხვდებით განსაკუთრებულ დიალექტს, რომელიც შემდეგში გაბატონდა როგორც ბერძნული პროზის საყოველთაო ენა.

ჰომეროსის პოემებში ჩვენ ვხედავთ, რომ ბერძნული ტომები უმეტეს ნაწილად უკვე გაერთიანებული არიან პატარა ხალხებად, რომელთა ფარგლებშიც გვარები, ფრატრიები და ტომები მაინც ჯერ კიდევ მთლიანად ინარჩუნებენ თავიანთ დამოუკიდებლობას. ისინი უკვე გალავნით გამაგრებულ ქალაქებში ცხოვრობდნენ; მოსახლეობის რიცხვი იზრდებოდა ჯოგების გამრავლებასა, მიწათმოქმედების გაფართოებასა და ხელოსნობის წარმოშობასთან ერთად; ამასთან ერთად იზრდებოდა ქონებრივი განსხვავებანი და ამასთან დაკავშირებული არისტოკრატიული ელემენტიც ძველი, ბუნებრივად აღმოცენებული დემოკრატიის შიგნით. საბერძნეთის ცალკეული ხალხები დაუსრულებელ ომებს აწარმოებდნენ ერთმანეთში საუკეთესო მიწის ნაკვეთების ხელში ჩასაგდებად და აგრეთვე, რა თქმა უნდა, ნადავლის მოსაპოვებლად; სამხედრო ტყვეების დამონება უკვე მიღებული წესი იყო.

ამ ტომებისა და ხალხების წესწყობილება ასეთი იყო:

1. ხელისუფლების მუდმივი ორგანო იყო საბჭო, bulê, რომელიც თავდაპირველად, ეტყობა, გვარების უხუცესებისაგან შედგებოდა, ხოლო შემდეგში, როცა მათი რიცხვი მეტად გაიზარდა, — საგანგებოდ არჩეული პირებისაგან; ასეთი არჩევა კი არისტოკრატიული ელემენტის შექმნისა და გაძლიერების საბაბად იქცა; სწორედ ასეც გვიხატავს დიონისე გმირული ეპოქის საბჭოს, რომ იგი წარჩინებულთაგან (kratistoi) შედგებოდაო. საბჭოს გამოჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილება მნიშვნელოვან საკითხებზე.

ასე, მაგალითად, ესქილეს ცნობის მიხედვით, თებელთა საბჭოს გამოაქვს არსებული სიტუაციის პირობებში გადამწყვეტი დადგენილება — ეთეოკლე პატივისცემით დაასაფლაონ, პოლინიკეს გვამი კი ძაღლებს გადაუგდონ შესაჭმელად. შემდეგში, როცა სახელმწიფო შეიქმნა, ეს საბჭო სენატად გადაიქცა.

2. ს ა ხ ა ლ ხ ო კ რ ე ბ ა (agora). იროკეზებში ჩვენ ვნახულობთ, რომ ხალხი — მამაკაცები და დედაკაცები — გარს ეხვევა საბჭოს კრებას, მონაწილეობს დადგენილი წესრიგის მიხედვით საკითხების განხილვაში და, ამრიგად, საბჭოს კრების გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს. ჰომეროსის დროის ბერძნებში ეს «გარშემოხვევა» («Umstand»), ძველი გერმანული სასამართლოს ტერმინი რომ ვიხმაროთ, უკვე ნამდვილ სახალხო კრებად განვითარდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ძველ გერმანელებში. საბჭო კრებას იწვევდა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად; ყოველ მამაკაცს შეეძლო სიტყვა აეღო. გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა ხელის აწევით (ესქილეს «მფარველობის მთხოვნელნი») ან შეძახილით. კრებას ეკუთვნოდა საბოლოო ინსტანციაში სუვერენული ხელისუფლება, რადგან, როგორც შემანი ამბობს («საბერძნეთის სიძველენი»[1]), «როცა ლაპარაკია ისეთ საქმეზე, რომლის შესასრულებლად ხალხის დახმარებაა საჭირო, ჰომეროსი ვერ მიგვითითებს ვერც ერთ საშუალებაზე, რომელიც ხალხს თავისი სურვილის წინააღმდეგ ამას იძულებითი წესით გააკეთებინებს». სწორედ იმ ხანაში, როცა ყოველი სრულასაკოვანი მამაკაცი ტომში მეომრად ითვლებოდა, ჯერ კიდევ არ არსებობდა ხალხისაგან გამოცალკევებული საჯარო ხელისუფლება, რომელიც შეიძლებოდა მას დაპირისპირებოდა. პირველყოფილი დემოკრატია ჯერ კიდევ სრულ აყვავებას განიცდიდა და აქედან უნდა გამოვდიოდეთ, როცა მსჯელობა გვაქვს როგორც საბჭოს, ისე ბასილევსის ხელისუფლებასა და მდგომარეობაზე.

3. მ ხ ე დ ა რ თ მ თ ა ვ ა რ ი (basileus). მარქსი შენიშნავს ამის გამო: «ევროპის მეცნიერნი, რომელნიც მეტწილად სამეფო კარის ლაქიები არიან დაბადებიდანვე, ბასილევსს აქცევენ მონარქად ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. ამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს იანკი — რესპუბლიკელი მორგანი. იგი მეტად ირონიულად, მაგრამ სრულიად სამართლიანად ლაპარაკობს მირონის მწრთოლ-

[1] Schoemann G. F., Griechische Alterthümer, Bd. I—II. Berlin, 1855 – 1859. რუდ.

ვარე გლადსტონზე და მის «ქვეყნიერების სიბრძნეზე»[1]: «ბატონი გლადსტონი გმირული ეპოქის ბერძენ სარდლებს გვიხატავს როგორც მეფეებსა და მთავრებს და თანაც უმატებს, ისინი ჯენტლმენებიც იყვნენო; მაგრამ თვითონვე იძულებულია აღიაროს: საერთოდ ჩვენ ვხედავთ, რომ პირმშოს მემკვიდრეობის უფლება მათს ზნე-ჩვეულებასა თუ კანონში თითქოს საკმაოდ, მაგრამ არც თუ ძალიან მკვეთრადაა გამოხატული». უნდა ვიფიქროთ, თვით ბატონ გლადსტონსაც პირმშოს მემკვიდრეობის უფლება, რასაც თან ახლავს ასეთი დანათქვამები, ასეთად მოეჩვენება, რომელიც საკმარისად, თუმცალა არც ისე მკვეთრად, მოკლებულია ყოველგვარ ნიშვნელობას.

ჩვენ უკვე დავინახეთ, როგორი მდგომარეობა იყო უხუცესთა ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის მხრივ იროკეზებსა და ინდიელებში. ყველა თანამდებობა არჩევითი იყო უმეტეს ნაწილად გვარის შიგნით და ამდენად მემკვიდრეობითი ამ გვარის ფარგლებში. განთავისუფლებულ თანამდებობათა დაკავებისას თანდათან უპირატესობა მიეცა უახლოეს მეგვარე ნათესავს— ძმას ან დის ვაჟს, თუ კი რაიმე საფუძველი არ არსებობდა მისთვის გვერდი აევლოთ. მაშასადამე, თუ ბერძნებში მამის უფლების ბატონობისას ბასილევსის თანამდებობა ჩვეულებრივ ვაჟზე ან ერთ-ერთ ვაჟზე გადადიოდა, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ვაჟებს უფრო მეტი იმედი ჰქონდათ სახალხო არჩევნების გზით მემკვიდრენი გავხდებითო, და სრულიადაც არ ადასტურებს იმას, თითქოს ასეთი სახალხო არჩევნების გარეშე კანონიერი მემკვიდრეობის წესი არსებობდა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, რომ იროკეზებსა და ბერძნებს შორის გვარის ფარგლებში საკანგებო წარჩინებულ ოჯახთა პირველი ჩანასახი ჩნდება, ხოლო ბერძნებში, გარდა ამისა კიდევ, მომავალი მემკვიდრეობითი წინამძღოლების, ანუ მონარქიის პირველი ჩანასახი ვითარდება. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბერძნებში ბასილევსს ან ხალხი ირჩევდა ანდა იგი ხალხის მიერ აღიარებულ ორგანოებს — საბჭოს ან აგორას — უნდა დაემტკიცებინა როგორც ეს რომის «მეფის» (rex) მიმართ წესად იყო შემოღებული.

«ილიადაში» მამაკაცთა მბრძანებელი აგამემნონი გვეელინება არა როგორც უზენაესი მეფე ბერძნებისა, არამედ როგორც მთავარ-

[1] Gladstone W. E., Juventus mundi. The gods and men of the heroic age. London, 1869. რ ე დ.

სარდალი მოკავშირე ჯარისა ალყაშემორტყმული ქალაქის წინაშე. მის ამ მდგომარეობაზე მიუთითებს პოემის ცნობილ ადგილას ოდისევსი, როცა ბერძნებს შორის შუღლმა იჩინა თავი: არაა კარგი მრავალთა უფროსობა, ერთი უნდა იყოს მხედართმთავარიო და ა. შ. (ამას მოსდევს პოპულარული, შემდეგში ჩამატებული ლექსი, სადაც მოხსენებულია სამეფო კვერთხი). «ოდისევსი აქ ლექციას როდი კითხულობს მმართველობის ფორმის შესახებ, არამედ მთავარსარდლისადმი მორჩილებას მოითხოვს ომის დროს. ბერძნებს, რომელნიც ტროის გალავანთან მხოლოდ ჯარს წარმოადგენდნენ, სახალხო კრებაზე (agora) საკმაოდ დემოკრატიული წესები ჰქონდათ: აქილევსი, როცა ის საჩუქრებზე, ე. ი. ნადავლის განაწილებაზე ლაპარაკობს, ამ ამოცანას ყოველთვის აკისრებს არა აგამემნონს ან რომელიმე სხვა ბასილევსს, არამედ «აქაველების ვაჟებს», ე. ი. ხალხს. ეპითეტები: «ზევსისაგან შობილი», «ზევსისაგან ნასაზრდოები», არაფერს არ ამტკიცებენ, რადგან ყოველი გვარი წარმოსდგება ერთ-ერთი ღმერთისაგან, ხოლო ტომის მეთაურის გვარი—უკვე «უფრო წარჩინებული» ღმერთისაგან, ამ შემთხვევაში—ზევსისაგან. პირადად არათავისუფალი ადამიანებიც კი, როგორც, მაგალითად, ღორების მწყემსი ევმეოსი და სხვ. «ღვთაებრივნი» (dioi და theioi) არიან, და ეს ასეა «ოდისეაში», მაშასადამე, ბევრად უფრო გვიან იმ დროსთან შედარებით, რომელიც აღწერილია «ილიადაში»; იმავე «ოდისეაში» «გმირის» სახელი ეწოდება კიდევ ჰეროლდ მილიოსს, ისევე როგორც უსინათლო მომღერალ დემოდოკოსაც. მოკლედ, სიტყვა basileia, რომელსაც ბერძენი მწერლები ჰომეროსის ეგრეთწოდებული სამეფო ხელისუფლების აღსანიშნავად ხმარობენ, როცა მის გვერდით მეთაურთა საბჭო და სახალხო კრება არსებობს, მხოლოდ სამხედრო დემოკრატიას ნიშნავს (იმიტომ რომ ამ ხელისუფლების მთავარ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს სამხედრო ხელმძღვანელობა)» (მარქსი).

ბასილევსს, გარდა სამხედრო უფლებებისა, ქურუმისა და მსაჯულის სამსახურებრივი უფლებებიც ჰქონდა; უკანასკნელი არ იყო ზუსტად გარკვეული, პირველი კი მინიჭებული ჰქონდა მას როგორც ტომის ან ტომთა კავშირის უმაღლეს წარმომადგენელს. მოქალაქეობრივ უფლებებზე, მმართველობის უფლებებზე არასოდეს ლაპარაკიც კი არაა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბასილევსი თანაჰდებობის ძალით საბჭოს წევრად ითვლებოდა. ამრიგად, ეტიმოლოგიურად სრულიად მართებულია სიტყვა «ბასილევსი» ითარგმნოს გერმანული

სიტყვით «König», რადგან «König» (Kuning) წარმოდგება Kuni, Künne სიტყვისაგან და ნიშნავს «გვარის უხუცესს». მაგრამ სიტყვა «König»-ის (მეფე) თანამედროვე მნიშვნელობას ძველი ბერძნული «ბასილევსი» სრულიადაც არ შეესაბამება. თუკიდიდე ძველ basileia-ს გარკვევით უწოდებს patrikê-ს, ე. ი. გვარებისაგან წარმოშობილს და ამბობს, მას მტკიცედ განსაზღვრული, მაშასადამე, შეზღუდული უფლებები ჰქონდაო. არისტოტელე კი ლაპარაკობს, გმირული ეპოქის basileia თავისუფალ ადამიანთა წინამძღოლობას ნიშნავდა, ხოლო ბასილევსი მხედართმთავარი, მსაჯული და უზენაესი ქურუმი იყოო; მაშასადამე, მმართველობის ხელისუფლება ამ სიტყვის მერმინდელი გაგებით მას არ ჰქონია[1].

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ გმირული ეპოქის ბერძენთა წყობილებაში ძველ გვაროვნულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სასიცოცხლო ძალა, მაგრამ ვხედავთ უკვე მისი დარღვევის დასაწყისსაც; ეს იყო: ნამის უფლება და შვილების მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღება, რაც ხელს უწყობდა სიმდიდრის დაგროვებას ოჯახში და ოჯახის გაძლიერებას გვარის წინააღმდეგ; ქონებრივ განსხვავებათა უკუგავლენა საზოგადოებრივ წყობილებაზე მემკვიდრეობითი დიდკაცობისა და სამეფო ხელისუფლების პირველი ჩანასახების შექმნის შემწეობით; მონობა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ სამხედრო ტყვეებზე ვრცელდებოდა, ნაგრამ რომელიც უკვე იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ დაემონებინათ საკუთარი თანამეტომენი და თანამეგვარენიც კი; უკვე დაწყებული გადაგვარება ტომებს შორის არსებული ძველებური ომისა სისტემატურ ძარცვა-გლეჯად ხმელეთსა და ზღვაზე პირუტყვის, მონებისა და განძეულობის ხელში ჩასაგდებად და გადაქცევა მისი რეგულარული შემოსავლის წყაროდ; ერთი სიტყვით, სიმდიდ-

[1] როგორც ბერძნების ბასილევსი, ისე აცტეკების მთავარსარდალიც თანამედროვე მთავრით შეესცვალეს.

მორგანი პირველია, რომელიც ისტორიული თვალსაზრისით აკრიტიკებს ესპანელთა თავდაპირველად გაუგებრობაზე დამყარებულ და გაზვიადებულ, შემდეგში კი აშკარა მცდარ ცნობებს და ამტკიცებს, რომ მექსიკელები ბარბაროსობის შუა საფეხურზე იდგნენ,—მაგრამ უფრო მაღლა, ვიდრე ახალმექსიკელი პუებლო-ინდიელები,—და რომ მათი საზოგადოებრივი წყობილება, რამდენადაც დამახინჯებული ცნობებიდან შეიძლება დავასკვნათ, შემდეგნაირი იყო: არსებობდა სამი ტომის კავშირი, რომელსაც რამდენიმე სხვა ტომი დაუპყრია და მათთვის ხარკი დაუდვია; ამ კავშირს მართავდა საკავშირო საბჭო და საკავშირო მთავარსარდალი; ეს უკანასკნელი ესპანელებმა «იმპერატორად» აქციეს. (ენგელსის შენიშვნა).

რის, როგორც უმაღლესი სიკეთის, შექება და თაყვანისცემა და ამ სიმდიდრის ნაძალადევი დატაცების გასამართლებლად ძველი გვაროვნული წესწყობილების ბოროტად გამოყენება. ამ ეპოქას მხოლოდ ერთი რამ აკლდა: ისეთი დაწესებულება, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფდა ცალკეულ პირთა მიერ ახლადშეძენილ სიმდიდრეს გვაროვნული წყობილების კომუნისტური ტრადიციების წინააღმდეგ, რომელიც წინათ ესოდენ ნაკლებად დაფასებულ კერძო საკუთრებას არა მარტო აკურთხებდა და ამ კურთხევას ადამიანთა ყოველი საზოგადოების უმაღლეს მიზნად გამოაცხადებდა, არამედ რომელიც აგრეთვე საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარების ბეჭედსაც დაასვამდა საკუთრების შეძენის, მაშასადამე, სიმდიდრის განუწყვეტლად გაძლიერებული დაგროვების იმ ახალ ფორმებს, რომელნიც ერთი მეორეზე ვითარდებიან; ეს უნდა ყოფილიყო ისეთი დაწესებულება, რომელიც გაამარადისებდა არა მარტო საზოგადოების ახლად დაწყებულ გათიშვას კლასებად, არამედ შეძლებული კლასის უფლებასაც—ექსპლოატაცია გაეწია ღარიბთა კლასისათვის, და შეძლებული კლასის ბატონობასაც ღარიბთა კლასზე.

და ასეთი დაწესებულებაც გაჩნდა. გამოგონებულ იქნა სახელმწიფო.

V

ათენის სახელმწიფოს წარმოშობა

ძველს ათენში, ყოველ შემთხვევაში დაწყებითს სტადიაში მაინც, ყველაზე უკეთ შეიძლება კვალდაკვალ მიყოლა და გამოკვლევა იმისა, თუ როგორ განვითარდა სახელმწიფო გვაროვნული წყობილების ორგანოების ნაწილობრივ გარდაქმნით, ნაწილობრივ მათი განდეკნით და ახალი ორგანოების დანერგვით, ბოლოს კი, მათი მთლიანად შეცვლით სახელმწიფო ხელისუფლების ნამდვილი ორგანოებით; როგორ დაიკავა იმ ნამდვილი «შეიარაღებული ხალხის» ადგილი, რომელიც დამოუკიდებლად იცავდა თავს თავის გვარებსა, ფრატრიებსა და ტომებში, ამ სახელმწიფო ორგანოების ხელქვეითმა და, მაშასადამე, აგრეთვე ხალხის წინააღმდეგ მიმართულმა შეიარაღებულმა «საჯარო ხელისუფლებამ». ფორმათა ცვლა ძირითადად გადმოცემულია მორგანის მიერ, ანალიზი კი იმ ეკონომიური შინაარსისა, რომელიც ფორმათა ამ ცვლას წარმოშობს, უმეტეს ნაწილად მე უნდა დავუმატო.

გმირულ ეპოქაში ათენელთა ოთხ ტომს ატიკის ჯერ კიდევ განცალკევებული ტერიტორიები ეჭირა; მათ შემადგენელ თორმეტ ფრატრიასაც კი, როგორც ჩანს, ცალ-ცალკე საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა კეკროპსის თორმეტ ქალაქში. მმართველობის ორგანიზაცია იგივე იყო, რაც გმირულ ეპოქაში: სახალხო კრება, სახალხო საბჭო, ბასილევსი. იმ ხანაში, საიდანაც ნაწერი ისტორია იწყება, მიწა უკვე დაყოფილი და კერძო საკუთრებაში იყო გადასული, როგორც ეს ბარბაროსობის უმაღლესი საფეხურის დასასრულს უკვე შედარებით განვითარებულ სასაქონლო წარმოებას და ამ წარმოების შესაბამის საქონლით ვაჭრობას შეეფერება. ხორბლეულის გვერდით იწარმოებოდა აგრეთვე ღვინო და მცენარეული ზეთი; საზღვაო ვაჭრობა ეგეოსის ზღვაზე სულ უფრო და უფრო ეცლებოდათ ხელიდან ფინიკიელებს და იგი მეტნაწილად ატიკელი ბერძნების ხელში გადადიოდა. მიწათმფლობელობათა ყიდვა-გაყიდვის შემწეობით, მიწათმოქმედებასა და ხელოსნობასა, ვაჭრობასა და ნაოსნობას შორის შრომის დანაწილების შემდგომი განვითარების შემწეობით გვართა, ფრატრიათა და ტომთა წევრები სულ ბალე უნდა შერეულიყვნენ ერთმანეთში, ფრატრიისა და ტომის ტერიტორიაზე უნდა დასახლებულიყვნენ ისეთი მცხოვრებლები, რომელნიც მართალია თანამემამულენი იყვნენ, მაგრამ მაინც ამ კორპორაციებს არ ეკუთვნოდნენ, მაშასადამე, თავიანთ საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე უცხოელებ ად ითვლებოდნენ. ყოველი ფრატრია და ყოველი ტომი ხომ მშვიდობიან დროს თვითონ განაგებდა თავის საქმეებს და ამისათვის ათენის სახალხო საბჭოს ან ბასილევსს არ მიმართავდა. ხოლო ვინც ფრატრიის ან ტომის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, მაგრამ მათი წევრი არ იყო, მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ფრატრიისა და ტომის ამ მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიეღო.

ამან ისე დაარღვია გვაროვნული წყობილების ორგანოების ნორმალური მოქმედება, რომ უკვე გმირულ ეპოქაში საჭირო გახდა ღონისძიებათა მიღება ამის თავიდან ასაცილებლად. შემოღებულ იქნა კონსტიტუცია, რომელსაც თეზევსს მიაწერენ. ცვლილება უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობდა, რომ ათენში დაწესდა ცენტრალური მმართველობა, ე. ი. ნაწილი იმ საქმეებისა, რომელთაც მანამდე ტომები დამოუკიდებლად განაგებდნენ, საერთო მნიშვნელობის მქონე საქმეებად გამოცხადდა და იმ საერთო საბჭოს გადაეცა, რომლის სხდომები ათენში იმართებოდა. ამით ათენელებმა თავიანთ განვითარებაში ისეთი ნაბიჯი გადადგეს წინ, როგორიც

არასოდეს არ გადაუდგამს ამერიკის არც ერთ ადგილობრივ ხალხს: ერთიმეორის გვერდით მცხოვრები ტომების უბრალო კავშირის ნაცვლად მოხდა მათი ერთიან ხალხად შეერთება. ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა ათენის საყოველთაო სახალხო სამართალი, რომელიც ცალკეული ტომებისა და გვარების ადათობრივ სამართალზე უფრო მაღლა იდგა; ათენელმა მოქალაქემ, როგორც ასეთმა, მიიღო გარკვეული უფლებები და ახალი იურიდიული მფარველობა იმ ტერიტორიაზეც, სადაც იგი უცხო ტომიდან მოსულად ითვლებოდა. მაგრამ ამით პირველი ნაბიჯი გადაიდგა გვაროვნული წყობილების დასანგრევად, რადგან ეს პირველი ნაბიჯი იყო, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა შემდეგში ისეთი მოქალაქეების დაშვება, რომელნიც მთელს ატიკაში უცხო ტომის ადამიანებად ითვლებოდნენ და მთლიანად იმყოფებოდნენ და რჩებოდნენ ათენური გვაროვნული წყობილების გარეშე. მეორე ახალი საქმე, რომელიც თეზევსს მიეწერება, ეს იყო მთელი ხალხის—განურჩევლად გვარისა, ფრატრიისა და ტომისა—დაყოფა სამ კლასად: ევპატრიდებად ანუ კეთილშობილებად, გეომორებად ანუ მიწათმოქმედებად და დემიურგებად ანუ ხელოსნებად, და თანამდებობათა მიღების უფლებაც მინიჭება მარტოოდენ კეთილშობილთათვის. თუმცაღა ეს დაყოფა, გარდა კეთილშობილთა მიერ თანამდებობათა დაკავებისა, უშედეგოდ რჩებოდა, რადგან იგი სხვა მხრივ არავითარ უფლებრივ განსხვავებას კლასებს შორის არ აწესებდა, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნათლად ამჟღავნებს იმ ახალ საზოგადოებრივ ელემენტებს, რომელნიც შეუმჩნეველად განვითარდნენ. იგი გვიჩვენებს, რომ გარკვეულ ოჯახთა წევრების მიერ გვაროვნულ თანამდებობათა მიღება ჩვეულების მიხედვით უკვე გადაიქცა ამ ოჯახთა თითქმის უცილობელ უფლებად, საზოგადოებრივ თანამდებობათა მიღების უფლებად, რომ ამ ოჯახებმა, უამისოდაც ძლიერებმა თავიანთი სიმდიდრის წყალობით, თავიანთი გვარების გარეშე იწყეს განსაკუთრებულ პრივილეგიურ კლასად ჩამოყალიბება და რომ მათ ამ პრეტენზიებს ლოცვა-კურთხევა მისცა სახელმწიფომ, რომელიც ჯერ მხოლოდ ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა. შემდეგ იგი გვიჩვენებს, რომ შრომის დანაწილება მიწათმოქმედთა და ხელოსნებს შორის უკვე საკმაოდ განმტკიცებული იყო იმისათვის, რათა ეს დანაწილება საზოგადოებრივი მნიშვნელობის მხრივ შედავებოდა პირველობაში ძველ დანაწილებას გვარებისა და ტომების მიხედვით. დასასრულ, იგი საჯაროდ აცხადებს შეურიგებელ წინააღმდეგობას გვაროვნულ საზოგადოებასა

და სახელმწიფოს შორის; სახელმწიფოს შექმნის პირველი ცდა მდგომარეობს გვაროვნული კავშირის გაწყვეტაში, რაც იმ გზით ხდება, რომ ყოველი გვარის წევრები ითიშებიან პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ წევრებად, ხოლო ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, ორ კლასად, მათი ხელობის შესაბამისად და, ამრიგად, ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან.

ათენის შემდგომი პოლიტიკური ისტორია სოლონამდე საკმაოდ როდია ცნობილი. ბასილევსის თანამდებობამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა; სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგნენ კეთილშობილთა წრიდან არჩეული არხონტები. წარჩინებულთა ხელისუფლება სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ვიდრე იგი, დაახლოებით 600 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, აუტანელი არ გახდა. ამასთან ხალხის თავისუფლების დასათრგუნავად მთავარ საშუალებას წარმოადგენდა ფული და მევახშეობა. წარჩინებულთა მთავარი ადგილსამყოფელი ათენსა და მის მიდამოებში იყო, სადაც საზღვაო ვაჭრობა და ამასთან ერთად მეკობრეობა, რასაც შემთხვევის დროს ჯერ კიდევ მისდევდნენ, ამდიდრებდა მათ და ფულად სიმდიდრეს თავს უყრიდა მათს ხელში. აქედან განვითარების გზაზე შემდგარი ფულადი მეურნეობა იჭრებოდა სოფლის თემების ძველისძველ, ნატურალურ მეურნეობაზე დამყარებულ ყოფაცხოვრებაში და მას აზოტის მეავასავით შლიდა. გვაროვნული წყობილება აბსოლუტურად შეუთავსებელია ფულად მეურნეობასთან; ატიკის წვრილი გლეხების გაპარტახება დაემთხვა იმ ძველი გვაროვნული კავშირის შესუსტებას, რომელიც მათ იცავდა. ვალის ხელწერილი და მიწის დაგირავება (რადგან ათენელებმა უკვე იპოტეკაც გამოიგონეს) არც გვარს, არც ფრატრიას ანგარიშს არ უწევდა. ძველი გვაროვნული წყობილება კი არ იცნობდა არც ფულს, არც ბეს, არც ფულად ვალს. ამიტომ წარჩინებულთა ფულადმა ბატონობამ, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა, შეიმუშავა აგრეთვე ახალი ადათობრივი სამართალი, რათა უზრუნველეყო მევალე მოვალის წინააღმდეგ, რათა ეკურთხებინა წვრილი გლეხის ექსპლოატაცია ფულის მფლობელთა მიერ. ატიკის მინდვრებში ყველგან ბოძები იდგა, რომლებზეც წარწერა იყო გაკეთებული, ესა და ეს მიწის ნაკვეთი ამა და ამ პირს აქვს დაგირავებული ამა და ამ თანხაშიო. მიწა, რომელსაც ასეთი წარწერა არ ჰქონდა, უმეტეს ნაწილად უკვე გაყიდული იყო იპოტეკის ან პროცენტების ვადაზე გადაუხდელობის გამო და მევახშე-არისტოკრატის საკუთრებას წარმოადგენდა; გლეხს შეეძლო კმაყოფილი ყოფილიყო, თუ მას ნებას დარ-

თავდნენ მიწის ნაკვეთზე დარჩენილიყო როგორც მოიჯარე და თავისი შრომის პროდუქტის ერთი მეექვსედით ეცხოვრა, ხოლო დანარჩენი ხუთი მეექვსედი ახალი ბატონისათვის ეძლია საიჯარო ქირის სახით. კიდევ მეტი. თუ მიწის ნაკვეთის გაყიდვით ამოგებული თანხა ვალს არ ფარავდა ან თუ ვალი გირაოთი უზრუნველყოფილი არ იყო, მაშინ მოვალეს თავისი შვილები მონებად უნდა გაეყიდა უცხოეთში, რათა მევალე გაესტუმრებინა. შვილების გაყიდვა მამის მიერ—ასეთი იყო მამის უფლებისა და მონოგამიის პირველი ნაყოფი! ხოლო თუ სისხლისმწოველი ამით მაინც არ დაკმაყოფილდებოდა, მას შეეძლო თვით მოვალეც მონასავით გაეყიდა. ასეთი იყო ცივილიზაციის საამური განთიადი ათენელი ხალხისათვის.

წინათ, როცა ხალხის ცხოვრების პირობები ჯერ კიდევ გვაროვნულ წყობილებას შეესაბამებოდა, ასეთი გადატრიალება შეუძლებელი იყო; ახლა კი იგი მოხდა, მაგრამ არავინ იცის როგორ. დავუბრუნდეთ ერთი წუთით ჩვენს იროკეზებს. იქ წარმოუდგენელი იყო ის მდგომარეობა, რომელიც ახლა თავს მოეხვია ათენელებს, ასე ვთქვათ, მათი მონაწილეობის გარეშე და უეცველად მათი სურვილის წინააღმდეგ. საარსებო საშუალებათა წარმოების იმ წესს, რომელიც იქ წლიდან წლამდე უცვლელი რჩებოდა, არასოდეს არ შეეძლო წარმოეშვა ასეთი თითქოს გარედან თავს მოხვეული კონფლიქტები, ასეთი ანტაგონიზმი მდიდრებსა და ღარიბებს შორის, ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა შორის. იროკეზები ჯერ კიდევ ძალიან დაშორებულნი იყვნენ ბუნებაზე ბატონობას, მაგრამ ბუნების გარკვეულ საზღვრებში, რომელთაც მათთვის მნიშვნელობა ჰქონდათ, ისინი თავიანთი საკუთარი წარმოების ბატონ-პატრონნი იყვნენ. თუ არ ჩავთვლით მოუსავლიანობას მათს ბაღებში, თევზის მარაგის გამოლევას მათს ტბებსა და მდინარეებში და გარეული ფრინველისა და ნადირის გაქრობას მათს ტყეებში, — მათ წინასწარ იცოდნენ, რისი მიღების იმედი შეეძლოთ ჰქონოდათ თავიანთ საარსებო საშუალებათა მოპოვების იმ წესის პირობებში, რომელიც მათ გააჩნდა. მათ იცოდნენ, რომ მიიღებდნენ საარსებო საშუალებებს — ხან მცირე, ხან უხვი რაოდენობით; მაგრამ გაუთვალისწინებელი საზოგადოებრივი გადატრიალებანი შეუძლებელი იყო მაშინ, შეუძლებელი იყო გვაროვნული კავშირის დარღვევა, გათიშვა გვარის და ტომის წევრებისა ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ, ეოთი მეორის წინააღმდეგ მებრძოლ კლასებად. წარმოება მეტად ვიწრო ფარგლებში ტრიალებდა, მაგრამ მწარმო-

ებლები მთლიანად ფლობდნენ თავიანთ პროდუქტს. ეს იყო ბარბაროსული წარმოების უდიდესი უპირატესობა, რომელიც ცივილიზაციის წარმოშობისთანავე გაქრა, და უახლეს თაობათა ამოცანა იქნება ამ უპირატესობის კვლავ მოპოვება, მაგრამ უკვე ადამიანის მიერ ბუნების იმ მძლავრი დამორჩილების საფუძველზე, როპელიც ამჟამადაა მიღწეული, და იმ თავისუფალი ასოციაციის საფუძველზე, რაც ახლა გახდა შესაძლებელი.

სულ სხვანაირი იყო ბერძნების მდგომარეობა. ჯოგებისა და მდიდრული ავეჯეულობისა და ჟურჭლეულობის კერძო საკუთრების წარმოშობამ გამოიწვია ცალკეულ პირთა შორის პროდუქტების გაცვლა, პროდუქტების საქონლად გადაქცევა. და აქაა მთელი შემდგომი გადატრიალების ჩანასახი. როგორც კი ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მწარმოებლები თვითონ კი აღარ ხმარობდნენ უშუალოდ თავიანთ პროდუქტს, არამედ მისი გასხვისება იწყეს გაცვლის გზით, მათ დაკარგეს თავიანთი ბატონობა მასზე. მათ უკვე აღარ იცოდნენ რა მოუვიდოდა პროდუქტს, აქ წარმოიშვა იმის შესაძლებლობა, რომ პროდუქტი დროთა ვითარებაში გამოყენებული იქნებოდა მწარმოებლის წინააღმდეგ, მის საექსპლოატაციოდ და დასჩაგრავად. ამიტომ არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია ხანგრძლივად შეინარჩუნოს ბატონობა თავის საკუთარ წარმოებაზე და კონტროლი თავისი წარმოების პროცესის საზოგადოებრივი შედეგების მიმართ, თუ იგი არ მოსპობს პროდუქტების გაცვლას ცალკეულ პირებს შორის.

ხოლო თუ როგორ სწრაფად იჩენს თავს პროდუქტის ბატონობა მის მწარმოებელზე, როცა ცალკეულ პირთა შორის გაცვლა-გამოცვლა მყარდება და პროდუქტი კი საქონლად იქცევა, — ეს ათენელებმა საკუთარ თავზე განიცადეს. საქონლის წარმოებასთან ერთად გაჩნდა ცალკეულ პირთა მიერ თავიანთ ხარჯზე მიწის დამუშავება, ხოლო ამას სულ მალე ცალკეულ პირთა მიწის საკუთრებაც მოჰყვა. შემდეგ გაჩნდა ფული, საყოველთაო საქონელი, რომელზედაც ყველა სხვა საქონლის გაცვლა შეიძლებოდა. მაგრამ როცა ადამიანები ფულს იგონებდნენ, მათ ფიქრადაც კი არ მოსდიოდათ, რომ ისინი ამით კვლავ ახალ საზოგადოებრივ ძალას ქმნიდნენ, ერთიან, საყოველთაო მნიშვნელობის მქონე ძალას, რომლის წინაშე მთელ საზოგადოებას ქედი უნდა მოეხარა. და ამ ახალმა ძალამ, რომელიც მის საკუთარ შემქმნელთა დაუკითხავად და ნების წინააღმდეგ უეცრად აღმოცენდა, მთელი თავისი ახალგაზრდული სიტლანქით აგრძნობინა ათენელებს თავისი ბატონობა.

რა უნდა ექნა ხალხს? ძველი გვაროვნული წყობილება არა მარტო უძლური აღმოჩნდა ფულის ძლევამოსილი მსვლელობის წინაშე; მას აგრეთვე აბსოლუტურად არც იმის უნარი შესწევდა, რომ თავის ფარგლებში თუნდაც ადგილი მიეჩინა ისეთი რამეებისათვის, როგორიცაა ფული, კრედიტორები და მოვალეები, ვალების იძულებითი გადახდევინება. მაგრამ ახალი საზოგადოებრივი ძალა უკვე არსებობდა და კეთილ სურვილებს, დალოცვილი ძველი დროის დაბრუნების მხურვალე წყურვილს აღარ შეეძლო არც ფულის, არც მევახშეობის აღგვა პირისაგან მიწისა, გარდა ამისა, გვაროვნული წყობილების კედლებში მთელი რიგი სხვა, ნაკლებ მნიშვნელოვანი შენგრევებიც მოხდა. თაობიდან თაობაში სულ უფრო და უფრო ირეოდნენ ერთმანეთში სხვადასხვა გვარებისა და ფრატრიების წევრები ატიკის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით თვით ქალაქ ათენში, მიუხედავად იმისა, რომ ახლაც ათენელს შეეძლო გაეყიდა უცხო გვარის წევრებზე თავისი მიწის ნაკვეთები, მაგრამ არა თავისი საცხოვრებელი სახლი. მრეწველობისა და სავაჭრო ურთიერთობის შემდგომ განვითარებასთან ერთად სულ უფრო სრულად ვითარდებოდა შრომის დანაწილება წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის: მიწათმოქმედებასა, ხელოსნობასა, ხოლო თვით ხელოსნობის შიგნით — მის ურიცხვ ქვედარგებსა: ვაჭრობასა, ნაოსნობასა და სხვ. შორის; მოსახლეობა ახლა თავისი მოსაქმეობის მიხედვით საკმაოდ ჩამოყალიბებულ ჯგუფებად იყოფოდა; თვითეულ ამ ჯგუფს მთელი რიგი ისეთი ახალი საერთო ინტერესები ჰქონდა, რომელთათვისაც გვარისა და ფრატრიის ფარგლებში არ იყო ადგილი და რომელთა მომსახურებაც, მაშასადამე, ახალ თანამდებობათა შექმნას მოითხოვდა. მონების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა და იმ დროს, ალბათ, მან უკვე ბევრად გადააჭარბა თავისუფალი ათენელების რიცხვს. გვაროვნული წყობილება თავდაპირველად სრულიად არ იცნობდა მონობას და, მაშასადამე, არც იმ საშუალებას, რომლითაც მას შეეძლო ამ არათავისუფალ ადამიანთა მასა ლაგამამოდებული ჰყოლოდა. და, დასასრულ, ვაჭრობა უამრავ უცხოელს იზიდავდა ათენში, სადაც ეს უცხოელები ფულის ადვილად შეძენის გულისათვის სახლდებოდნენ; ძველი წესწყობილების ძალით ეს უცხოელებიც უუფლებონი და უმფარველონი იყვნენ და, მიუხედავად ტრადიციული შეწყნარებლობისა, ისინი შემაწუხებელ, გარეშე ელემენტს წარმოადგენდნენ ხალხში.

ერთი სიტყვით, გვაროვნული წყობილება დასასრულს უახლოვდებოდა. საზოგადოება დღითი დღე ვეღარ ეტეოდა მის ჩარჩოებში; ყველას თვალწინ შექმნილი უსაძაგლესი ბოროტებანიც კი არ შეეძლო მას არც შეეჩერებინა, არც მოესპო. ამასობაში კი შეუმჩნევლად სახელმწიფო განვითარდა. ახალმა ჯგუფებმა, რომლებიც შრომის დანაწილებამ წარმოშვა ჯერ ქალაქსა და სოფელს შორის, შემდეგ კი ქალაქად შროვის სხვადასხვა დარგებს შორის, ახალი ორგანოები შექმნეს თავიანთი ინტერესების დასაცავად; დაწესდა ყოველი სახის თანამდებობა. შემდეგ კი ახალგაზრდა სახელმწიფოს დასჭირდა უწინარეს ყოვლისა საკუთარი სამხედრო ძალა, რომელიც მეზღვაურ ათენელებში პირველ ყოვლისა შეიძლებოდა მხოლოდ საზღვაო ძალა ყოფილიყო, ცალკეული პატარა ომების საწარმოებლად და სავაჭრო გემების დასაცავად. სოლონამდე, მაგრამ არავინ იცის როდის, დაარსებულ იქნა ნავკრარიები, პატარა ტერიტორიული ოლქები, რიცხვით თორმეტი თვითეულ ტომში; თვითეულ ნავკრარიას უნდა აეგო, იარაღით აღეჭურვა და ეკიპაჟით დაეკომპლექტებინა თითო სამხედრო გემი და, გარდა ამისა, მოეცა ორი მხედარი ეს დაწესებულება ორნაირად უთხრიდა ძირს გვაროვნულ წყობილებას: ჯერ-ერთი იმით, რომ იგი ქმნიდა საჯარო ხელისუფლებას[1], რომელიც უკვე აღარ ემთხვეოდა უბრალოდ შეიარაღებული ხალხის ერთობლიობას; მეორე კი, იმით, რომ იგი საზოგადოებრივი მიზნით პირველად ჰყოფდა ხალხს არა ნათესაური ჯგუფების, არამედ ტერიტორიული ბინადრობის მიხედვით. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას, ქვემოთ დავინახავთ.

რადგან გვაროვნულ წყობილებას ექსპლოატირებული ხალხისათვის არავითარი დახმარების გაწევა აღარ შეეძლო, ამიტომ მხოლოდ ახლად წარმოშობილი სახელმწიფოს იმედიღა რჩებოდა. ამ უკანასკნელმაც მართლა გაუწია დახმარება ხალხს სოლონის კონსტიტუციის სახით და ამავე დროს თვითონაც გაძლიერდა ძველი წყობილების ხარჯზე. სოლონმა, — ჩვენ აქ არ გვაინტერესებს ის წესი, რითაც გატარდა მისი რეფორმა, რომელიც მიეკუთვნება 594 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, — დაიწყო მთელი რიგი

[1] გაზოთქმას «Öffentliche Gewalt» ლენინი თარგმნის ტერმინით «საჯარო ხელისუფლება» (იხ. ლენინის კრებული XIV, გვ. 332, რუს. გამოც.). ჩვენ ყველგან გვიყენებთ ლენინის ამ თარგმანს, თუმცა სხვა ადგილას (იხ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებ., ტომი XXI, გვ. 374 — 375, რუს. გამოც.) ლენინი პოპულარობის გულისათვის ამ გაზოთქმას თარგმნის ტერმინით «საზოგადოებრივი ხელისუფლება». რ ე დ.

ეგრეთწოდებული პოლიტიკური რევოლუციები, დაიწყო საკუთრების ურთიერთობაში შეჭრით. ყველა აქამდე მომხდარი რევოლუცია — ეს ისეთი რევოლუციები იყო, რომელნიც იცავდნენ საკუთრების ერთ რომელიმე სახეს საკუთრების მეორე სახის წინააღმდეგ. მათ არ შეუძლიათ ერთი სახის საკუთრება დაიცვან, თუ მეორე სახის საკუთრება არ შებღალეს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ფეოდალური საკუთრება მსხვერპლად შეეწირა ბურჟუაზიული საკუთრების გადარჩენას; რევოლუციაში, რომელიც სოლონმა მოახდინა, უნდა დაზარალებულიყო მევალეთა საკუთრება მოვალეთა საკუთრების ინტერესების სასარგებლოდ. ვალები პირდაპირ გაბათილებულად იქნა გამოცხადებული. დაწვრილებითი ცნობები ზუსტად არ მოგვეპოება, მაგრამ სოლონი თავის ლექსებში ტრაბახობს: დავალიანებული მიწის ნაკვეთებიდან საგირავნო ბოძები ავაყრევინე და ვალების გამო უცხოეთში გაყიდული და გაქცეული ადამიანები უკან დავაბრუნებინეო. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ საკუთრების უფლების აშკარა შებღალვის შემწეობით. და, მართლაც, ყველა ეგრეთწოდებული პოლიტიკური რევოლუცია, პირველიდან უკანასკნელამდე, იმის გულისათვის მოხდა, რომ დაცული და განხორციელებული ყოფილიყო ერთი სახის საკუთრება საკუთრების მეორე სახის კონფისკაციის — რასაც აგრეთვე ქურდობა ეწოდება — გზით. ამრიგად, ეჰვს გარეშეა, რომ კერძო საკუთრებამ ორი ათას ხუთასი წლის მანძილზე გაძლება მხოლოდ საკუთრების უფლების შებღალვის წყალობით შეძლო.

მაგრამ ახლა აუცილებელი იყო თავისუფალი ათენელების ასეთი ხელახალი დამონებისათვის ხელი შეეშალათ. ამას აღწევდნენ უწინარეს ყოვლისა საერთო ღონისძიებათა შემწეობით, მაგალითად, ისეთ სავალო ხელშეკრულებათა აკრძალვით, რომლებითაც მოვალის პიროვნება გირავდებოდა. შემდეგ დაწესდა მაქსიმალური ოდენობა იმ მიწის საკუთრებისა, რომლის ფლობაც ცალკეულ პირს შეეძლო, რათა ამით ერთგვარი საზღვარი მაინც დასდებოდა წარჩინებულ პირთა გაუმაძღარ სიხარბეს გლეხთა მიწისადმი. ბოლო შემდეგში ამას მოჰყვა თვით კონსტიტუციის (Verfassung) ცვლილებანი; ჩვენთვის აქ ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი:

საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა ოთხასი წევრის რაოდენობით, ას-ასი წევრით თვითეული ტომიდან; ძაშასადამე, აქ საფუძველად ჯერ კიდევ ტომი რჩებოდა. მაგრამ ეს იყო აგრეთვე ერთადერთი მხარე, საიდანაც ძველი წესწყობილების ნაშთი ახალ სახელმწიფო ორგანიზმში შევიდა. რაც შეეხება ყოველივე დანარჩენს,

სოლონმა მოქალაქენი ოთხ კლასად დაყო მათი მიწათმფლობელობისა და ამ მიწათმფლობელობიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით; 500, 300 და 150 მედიმნი ხორბალი (1 მედიმნი უდრის დაახლოებით 41 ლიტრს) მინიმალური მოცულობის შემოსავალი იყო პირველი სამი კლასისათვის; ვისაც ნაკლები ან სრულიად არ გააჩნდა მიწის საკუთრება, ის მეოთხე კლასში შედიოდა. ყველა თანამდებობის მიღება მხოლოდ უმაღლესი სამი კლასის წარმომადგენლებს შეეძლოთ, ხოლო უმაღლეს თანამდებობებს მხოლოდ პირველი კლასის წარმომადგენლები იკავებდნენ; მეოთხე კლასს კი მხოლოდ კრებაზე ლაპარაკისა და ხმის მიცემის უფლება ჰქონდა, მაგრამ აქ ირჩევდნენ ყველა მოხელეს, აქ უნდა ჩაებარებინათ მათ თავიანთი მოღვაწეობის ანგარიში, აქ მუშავდებოდა ყველა კანონი და აქ მეოთხე კლასი უმრავლესობას შეადგენდა. არისტოკრატიული პრივილეგიები ნაწილობრივ განახლებულ იქნა სიმდიდრის პრივილეგიათა სახით, მაგრამ ხალხი ინარჩუნებდა გადამწყვეტ ძალაუფლებას. შემდეგ, ოთხი კლასი ჯარის ახალი ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენდა. პირველი ორი კლასი იძლეოდა ცხენოსან ჯარს; მესამეს უნდა ემსახურნა მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარის სახით; მეოთხეს კი უნდა შეედგინა მსუბუქად შეიარაღებული მოძრავი ქვეითი ჯარი ანდა ფლოტში ემსახურნა და თანაც იგი, ალბათ, სამსახურისათის ჯამაგირსაც ღებულობდა.

მაშასადამე, აქ კონსტიტუციაში შედის სრულიად ახალი ელემენტი: კერძო საკუთრება. სახელმწიფოს მოქალაქეების უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრა ხდება მათი მიწის საკუთრების სიდიდის მიხედვით და რამდენადაც ქონების მქონე კლასები გავლენას პოულობენ, იმდენად იდევნება სისხლიერ ნათესაობაზე დამყარებული ძველი გაერთიანებანი; გვაროვნულმა წყობილებამ ახალი დამარცხება განიცადა.

მაგრამ პოლიტიკურ უფლებათა გაზომვა ქონების შესაბამისად სრულიადაც არ წარმოადგენდა ერთ-ერთ ისეთ ღონისძიებათაგანს, ურომლისოდაც სახელმწიფოს არ შეეძლო არსებობა. თუმცა ეს ღონისძიება მართლაც დიდ როლს ასრულებდა სახელმწიფოთა კონსტიტუციების ისტორიაში, მაგრამ მაინც ძალიან ბევრ სახელმწიფოს, და სწორედ ყველაზე უფრო განვითარებულთ, არ დასჭირვებია იგი. ათენშიც მან მხოლოდ წარმავალი როლი შეასრულა; არისტიდეს დროიდან თვითეულ მოქალაქეს თავისუფლად შეეძლო ყველა თანამდებობის დაკავება.

უახლოესი ოთხმოცი წლის განმავლობაში ათენის საზოგადოების განვითარებამ თანდათან ისეთი მიმართულება მიიღო, რომლითაც ეს განვითარება შემდგომი საუკუნეების მანძილზე კვლავ გრძელდებოდა. სოლონის წინადროინდელ ეპოქაში აყვავებულ მიწის მევახშეობას ბოლო მოეღო, ისევე როგორც მიწათმფლობელობის უსაზღვრო კონცენტრაციასაც. ვაჭრობა და ხელოსნობა მხატვრულ ხელოსნობასთან ერთად, რაც მონური შრომის საფუძველზე სულ უფრო და უფრო დიდი მასშტაბით ვითარდებოდა, მოსაქმეობის მთავარ დარგებად იქცა. ადამიანები უფრო განათლებულნი გახდნენ. ნაცვლად იმისა, რომ უწინდებური მკაცრი წესით ექსპლოატაცია გაეწიათ საკუთარი თანამოქალაქეებისათვის, ახლა ექსპლოატაციას უწევდნენ უმთავრესად მონებს და არაათენელ მყიდველებს. მოძრავი ქონება, ფულადი სიმდიდრე და სიმდიდრე მონებისა და გემების სახით სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, მაგრამ ახლა იგი უკვე აღარ წარმოადგენდა მარტო საშუალებას მიწის საკუთრების შესაძენად, როგორც ეს საერთო შეზღუდულობის პირველ ხანებში იყო, არამედ იგი თვითმიზანი გახდა. ამით, ერთი მხრივ, წარჩინებულთა ძველ ძალაუფლებას ძლევამოსილი მეტოქე გაუჩნდა მდიდარი მრეწველებისა და ვაჭრების ახალი კლასის სახით, ხოლო, მეორე მხრივ, ძველი გვაროვნული წყობილების ნაშთებს უკანასკნელი ნიადაგი გამოეცალა. გვარები, ფრატრიები და ტომები, რომელთა წევრები ახლა მთელს ატიკაში იყვნენ გაფანტულნი და ერთმანეთში არეულნი, ამით სრულიად გამოუსადეგნი გახდნენ პოლიტიკურ გაერთიანებათა როლისათვის; ათენელ მოქალაქეთა დიდი რაოდენობა არც ერთ გვარს არ ეკუთვნოდა; ესენი იყვნენ ჩამოსახლებულნი, რომლებმაც თუმცა მოქალაქეობის უფლებები მიიღეს, მაგრამ რომელნიც არც ერთ ძველ გვაროვნულ კავშირში არ მიუღიათ, მათ გვერდით იყვნენ აგრეთვე უცხოელი იმიგრანტები, რომელთა რიცხვი განუწყვეტლად იზრდებოდა და რომელნიც მხოლოდ მფარველობით სარგებლობდნენ.

ამავე დროს პარტიათა ბრძოლა გრძელდებოდა; წარჩინებულნი ცდილობდნენ თავიანთი წინანდელი პრივილეგიები კვლავ დაებრუნებინათ და მოკლე ხნით კიდეც მიაღწიეს გამარჯვებას, ვიდრე კლისთენეს რევოლუციამ (509 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) საბოლოოდ არ დაამხო იგი და მასთან ერთად გვაროვნული წყობილების უკანასკნელი ნაშთებიც.

კლისთენეს ახალი კონსტიტუცია სრულიად უგულებელყოფდა იმ ოთხ ძველ ტომს, რომელნიც გვარებსა და ფრატრიებზე იყვნენ დაფუძნებულნი. მათი ადგილი დაიკავა სრულიად ახალმა ორგანიზაციამ, რომელსაც საფუძვლად დაედო უკვე ნაკრარიებში ნაცადი დანაწილება მოქალაქეებისა მხოლოდ მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა უკვე არა გვაროვნული კავშირების წევრობას, არამედ მხოლოდ მუდმივი ბინადრობის ადგილს; ხალხი კი აღარ ნაწილდებოდა, არამედ ტერიტორია; მცხოვრებლები პოლიტიკურად ტერიტორიის უბრალო დანამატი ხდებოდნენ.

მთელი ატიკა დაყოფილ იქნა ას თვითმმართველ სათემო ოლქად, დემად. ყოველ დემში მცხოვრები მოქალაქეები (დემოტები) ირჩევდნენ თავიანთ უხუცესს (დემარხს) და მოლარეს, აგრეთვე ოცდაათ მსაჯულს, რომელთაც პატარა სადავო საკითხების გარჩევის უფლება ჰქონდათ. დემები ღებულობდნენ აგრეთვე საკუთარ ტაძარს და მფარველ ღმერთს ან გმირს, რომლისთვისაც ისინი ირჩევდნენ მოგვებს. უმაღლესი ხელისუფლება დემში დემოტების კრებას ეკუთვნოდა. როგორც მორგანი სამართლიანად შენიშნავს, ეს იყო ათენიკული თვითმმართველობის საწყალი თემის პირველსახე. ახლად წარმოშობილმა სახელმწიფომ ათენში იმავე ერთეულიდან დაიწყო, რომელთანაც მიდის თანამედროვე სახელმწიფო თავისი უმაღლესი განვითარების შედეგად.

ათი ასეთი ერთეული, დემი, შეადგენდა ტომს, რომელსაც, ძველი გვაროვნული ტომისაგან (Geschlechtsstamm) განსხვავებით, ახლა ტერიტორიული ტომი (Ortsstamm) ეწოდებოდა. ეს ტომი იყო არა მარტო თვითმმართველი პოლიტიკური ორგანიზაცია, არამედ სამხედრო ორგანიზაციაც; იგი ირჩევდა ფილარქსს, ანუ ტომის უხუცესს, რომელიც ცხენოსან ჯარს მეთაურობდა, ტაქსიარქსს, რომელიც ქვეითი ჯარის უფროსი იყო, და სტრატეგს, რომელიც ტომის ტერიტორიაზე შეკრებილი მთელი შეიარაღებული ჯარის მთავარსარდლად ითვლებოდა. შემდეგ, იგი იძლეოდა ხუთ სამხედრო გემს მისი შემადგენლობით და მეთაურობით და თავის მფარველად ღებულობდა რომელიმე ატიკელ გმირს, რომლის სახელსაც თვითონ ირქმევდა. ბოლოს, იგი ირჩევდა ორმოცდაათ წევრს ათენის საბჭოში.

ყოველივე ამის დაგვირგვინება იყო ათენის სახელმწიფო; მას მართავდა საბჭო, რომელიც შედგებოდა ათი ტომიდან არჩეული ხუთასი წარმომადგენლისაგან, ხოლო საბოლოო ანგარიშით — სა-

ხალხო კრება, სადაც ყოველ ათენელ მოქალაქეს შეეძლო მოსულიყო და ხმის უფლებით ესარგებლნა; ამასთანავე ერთად არქონტები და სხვა მოხელეები მმართველობის სხვადასხვა დარგებსა და სამოსამართლო საქმეებს განაგებდნენ. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური ათენში არ არსებობდა.

ამ ახალი კონსტიტუციისა და იმ გარემოების წყალობით, რომ მოქალაქეებად მიღებულ იქნა არასრულუფლებიან მცხოვრებთა დიდი რაოდენობა — ნაწილობრივ შემოხიზნული უცხოელები, ნაწილობრივ კი განთავისუფლებული მონები,— გვაროვნული წყობილების ორგანოები საზოგადოებრივი საქმეების ხელმძღვანელობიდან განიდევნა; ისინი კერძო ხასიათის კავშირებად და რელიგიურ ამხანაგობებად გადაგვარდნენ. მაგრამ ძველი გვაროვნული ეპოქის მორალური გავლენა, მემკვიდრეობით მიღებული შეხედულებანი და აზროვნების წესი ჯერ კიდევ დიდხანს ცოცხლობდნენ ტრადიციებში და მხოლოდ თანდათან ისპობოდნენ. ამან თავი იჩინა ერთ-ერთი მერმინდელი სახელმწიფოებრივი დაწესებულების შექმნის დროს.

ჩვენ დავინახეთ, რომ სახელმწიფოს არსებითი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ საჯარო ხელისუფლება ჩამოშორებულია ხალხის მასას. ათენს იმ ხანაში მხოლოდ სახალხო ჯარი ჰყავდა და ჰქონდა ფლოტი, უშუალოდ ხალხის მიერ შექმნილი; ჯარი და ფლოტი იცავდნენ მას გარეშე მტრისაგან და მორჩილებაში ჰყავდათ მონები, რომელნიც უკვე მაშინ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ. მოქალაქეთა მიმართ საჯარო ხელისუფლება თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ პოლიციის სახით, რომელიც ისევე ძველია, როგორც სახელმწიფო; ამიტომაც იყო, რომ XVIII საუკუნის გულუბრყვილო ფრანგები ლაპარაკობდნენ არა ცივილიზებულ, არაძალ პოლიციზებულ ხალხებზე (nations policées). მაშასადამე, ათენელებმა თავიანთ სახელმწიფოსთან ერთად დაარსეს პოლიციაც, ნამდვილი ჟანდარმერია ცხენოსანი და ქვეითი მშვილდოსნებისა — ლანდიეგერებისა (Landjäger), როგორც სამხრეთ გერმანიაში და შვეიცარიაში უწოდებენ ხოლმე. მაგრამ ამ ჟანდარმერიას მონებისაგან ადგენდნენ. პოლიციაში სამსახური თავისუფალ ათენელს ისე დამამცირებლად მიაჩნდა, რომ ერჩია შეიარაღებულ მონას დაეპატიმრებინა იგი, ვიდრე თვით მოეკიდნა ხელი ასეთი სამარცხვინო საქმისათვის. ჯერ კიდევ ჩანდა ძველ გვაროვნულ შეხედულებათა გავლენა. სახელმწიფოს არ შეეძლო უპოლიციოდ არსებობა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და

საკმაო მორალური ავტორიტეტით არ სარგებლობდა, რათა პატივსადები გაეხადა ის ხელობა, რომელიც გვაროვნული საზოგადოების ყოფილ წევრებს აუცილებლად საძაგელ რამედ ეჩვენებოდათ.

თუ რამდენად შეესაბამებოდა ათენელების ახალ საზოგადოებრივ მდგომარეობას სახელმწიფო, რომელიც ახლა თავისი მთავარი ნიშნების მიხედვით უკვე ჩამოყალიბებული იყო, ამას მოწმობს სიმდიდრის, ვაჭრობისა და მრეწველობის სწრაფი გაფურჩქვნა. კლასობრივი ანტაგონიზმი, რომელსაც ემყარებოდნენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური დაწესებულებანი, უკვე აღარ იყო ანტაგონიზმი წარჩინებულთა და მდაბიოთა შორის, არამედ ეს იყო ანტაგონიზმი მონებსა და თავისუფალ მოქალაქეებს შორის, შეხიზნულებსა და მკვიდრ მოქალაქეთა შორის. უმაღლესი აყვავების დროს ათენის თავისუფალ მოქალაქეთა საერთო რაოდენობა, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით, დაახლოებით 90000 სულისაგან შედგებოდა; გარდა ამისა ქალაქში ცხოვრობდა 365,000 მონა ორივე სქესისა და 45 000 შეხიზნული უცხოელი და განთავისუფლებული მონა. ამრიგად, თვითეულ სრულასაკოვან მამაკაც მოქალაქეზე, სულ ცოტა, 18 მონა და 2-ზე მეტი შეხიზნული მოდიოდა. მონების სიმრავლე იმით აიხსნება, რომ ბევრი მათგანი მანუფაქტურებში, დიდ შენობებში, ზედამხედველობის ქვეშ ერთად მუშაობდა. ბაგრამ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებასთან ერთად ხდებოდა სიმდიდრეთა დაგროვება და კონცენტრაცია რამდენიმე კაცის ხელში და მასობრივად გაღატაკება თავისუფალი მოქალაქეებისა, რომელთაც მხოლოდ შემდეგი არჩევანი რჩებოდათ: ან ხელი მოეკიდნათ ხელოსნობისათვის და ამით კონკურენცია გაეწიათ მონური შრომისათვის, რაც სამარცხვინოდ, დამამცირებლად ითვლებოდა და თანაც ნაკლები წარმატების იმედს იძლეოდა, ანდა ბოგანოებად გადაქცეულიყვნენ. ისინი არსებულ პირობებში აუცილებლად უკანასკნელ გზას ირჩევდნენ, და რადგან ისინი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ, ამით მათ ათენის მთელი სახელმწიფო დაღუპეს. ათენი დემოკრატიამ კი არ დაღუპა, როგორც ამას ევროპელი სკოლის პედანტები, მონარქების წინაშე მოლაკუცე მწიგნობრები ამტკიცებენ, არამედ მონობამ, რომელმაც თავისუფალი მოქალაქის შრომა საძულველი გახადა.

ათენელთა სახელმწიფოს წარმოშობა საერთოდ სახელმწიფოს შექმნის განსაკუთრებულად ტიპიური ნიმუშია, ჯერ ერთი, იმიტომ რომ მისი შექმნა ხდება წმინდა სახით, შინაგანი თუ გარე-

განი ძალდატანების ყოველგვარი ჩარევის გარეშე, — პიზისტრატეს მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას თავისი ხანმოკლე არსებობის არავითარი კვალი არ დაუტოვებია, — მეორეც, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მეტად განვითარებული ფორმა, დემოკრატიული რესპუბლიკა, უშუალოდ გვაროვნული საზოგადოებიდან წარმოიშვება და, ბოლოს, იმიტომ რომ ჩვენ საკმაოდ ვიცით ამ სახელმწიფოს შექმნის ყველა არსებითი დეტალი.

VI

გვარი და სახელმწიფო რომში

რომის დაარსების შესახებ არსებული თქმულებიდან ჩანს, რომ პირველად იქ დასახლებულან ერთ ტომად გაერთიანებული მთელი რიგი ლათინური გვარები (თქმულების თანახმად ასი გვარი); მალე ამ გვარებს შეერთებიან საბელების ერთი ტომი, რომელიც აგრეთვე ას გვარს ითვლიდაო, და შემდეგ კი სხვადასხვა ელემენტებისაგან შემდგარი მესამე ტომი, რომელსაც, თქმულების თანახმად, აგრეთვე ასი გვარი ჰყოლია. მთელი ეს ნაამბობი პირველი შეხედვით იმას მოწმობს, რომ აქ ბუნებრივად ჩამოყალიბებული არაფერი არ ყოფილა, გარდა გვარისა, და თვით ეს უკანასკნელიც ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ იმ დედა-გვარის განშტოებას წარმოადგენდა, რომელიც ძველ სამშობლოში არსებობას განაგრძობდა. ტომებს ზედ აჩნიათ იმის დაღი, რომ ისინი ხელოვნურად არიან წარმოქმნილნი, მაგრამ უმეტეს ნაწილად მათი მონათესავე ელემენტებისაგან და ძველი, ბუნებრივად აღმოცენებული, და არა ხელოვნურად შექმნილი ტომის ნიმუშის ყაიდაზე; თანაც გამორიცხული არაა იმის შესაძლებლობა, რომ თვითეული ამ სამი ტომის ბირთვი ნამდვილი, ძველი ტომი ყოფილიყოს. შუალედი რგოლი, ფრატრია, ათი გვარისაგან შედგებოდა და მას ეწოდებოდა კურია; მაშასადამე, მათი რიცხვი ოცდაათს უდრიდა.

რომაული გვარი რომ ისეთივე ინსტიტუტი იყო, როგორიც ბერძნული გვარი, — ეს საყოველთაოდ აღიარებულია; თუ ბერძნული გვარი იმ საზოგადოებრივი უჯრედის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს, რომლის პირველყოფილ ფორმას ჩვენ ამერიკელ წითელკანიანებში ვხედებით, იგივე ითქმის მთლიანად რომაულ გვარზეც. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია აქ მოკლედ მოვკრათ.

რომაულ გვარს, ყოველ შემთხვევაში ქალაქის არსებობის უძველეს ხანაში, შეეძლეგი წესწყობილება ჰქონია:

1. გვარის წევრების ურთიერთი მემკვიდრეობის უფლება; ქონება გვარის შიგნით რჩებოდა. რადგან რომაულ გვარში, ისევე როგორც გერმანულშიც, უკვე მამის უფლება ბატონობდა, მდედრობითი ხაზის შთამომავლობა გამორიცხული იყო მემკვიდრეობიდან. თორმეტი ცხრილის კანონით, რომის სამართლის იმ უძველესი წერილობითი ძეგლის მიხედვით, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, პირველ რიგში მემკვიდრეობას ღებულობდნენ შვილები როგორც პირდაპირი მემკვიდრენი; თუ შვილები არ იყვნენ, მემკვიდრეებად ითვლებოდნენ აგნატები (ნათესავები მამრობითი ხაზით); ხოლო თუ არც აგნატები აღმოჩნდებოდნენ, მემკვიდრეობა რჩებოდა თანამეგვარეებს. ყველა შემთხვევაში ქონება გვარშივე რჩებოდა. ჩვენ აქ ვხედავთ, რომ გვაროვნულ ზნე-ჩვეულებაში თანდათან იჭრება სიმდიდრის ზრდითა და მონოგამიით წარმოშობილი ახალი უფლებრივი ნორმები: მემკვიდრეობის უფლება, რომელიც თავდაპირველად თანაბარი იყო ყველა თანამეგვარისათვის, შემოფარგლული ხდება ჯერ — ალბათ, ადრევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ — პრაქტიკულად აგნატებით, ბოლოს კი შვილებითა და მათი მამრობითი ხაზის შთამომავლობით; თორმეტ ცხრილში კი ეს, რასაკვირველია, შებრუნებული სახით გვევლინება.

2. გვარს ჰქონდა საერთო სასაფლაო. კლავდიების პატრიციულმა გვარმა ქალაქ რეგილიდან რომში გადასახლებისას მიიღო მისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი და გარდა ამისა ქალაქში საერთო სამარხი ადგილი. ჯერ კიდევ ავგუსტუსის დროს ტევტობურგის ტყეში დაღუპილი ვარუსის თავი რომში მიიტანეს და საგვარეულო ყორღანში (gentilitius tumulus) დაასაფლავეს; მაშასადამე, გვარს (quinctilia — კვინკტილიებისა) ჯერ კიდევ განსაკუთრებული სასაფლაო ყორღანი ჰქონდა.

3. საერთო რელიგიური დღესასწაულები. ეს დღესასწაულები ცნობილია sacra gentilitia სახელწოდებით.

4. ვალდებულება, რომლის თანახმად არ შეიძლებოდა თანამეგვარეთა დაქორწინება გვარის შიგნით. ეს ვალდებულება, ეტყობა, არასდროს არ გადაქცეულა დაწერილ კანონად რომში, მაგრამ ჩვეულებად კი დარჩენილა. იმ უამრავი რომაელი ცოლქმრიდან, რომელთა სახელები და გვარები ჩვენამდე შემონახული დარჩა, არც ერთი არ ატარებს ისეთ საგვარეულო სახელს, რომელიც ერთი და იგივე იყოს ორივესთვის — ქმრისთვის და ცოლისთვის.

მემკვიდრეობის უფლებაც ამასვე ადასტურებს. ქალი გათხოვებისთანავე კარგავს თავის აგნატურ უფლებებს, გამოდის თავისი გვარიდან; არც მას, არც მის შვილებს არ შეუძლიათ მემკვიდრეობა მიიღონ მისი მამისაგან ან მამის ძმებისაგან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მამის გვარის სამემკვიდრეო ნაწილი დაიკარგებოდა. ამას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიგულისხმებთ, რომ ქალს არ შეუძლია თანამეგვარეზე გათხოვება.

5. მიწის საერთო მფლობელობა. ეს უკანასკნელი პირველყოფილ ეპოქაში მუდამ არსებობდა იმ დროიდან, როგორც კი დაიწყო სატომო მიწის დაყოფა. ლათინურ ტომებს შორის ჩვენ ვნახულობთ, რომ მიწა ნაწილობრივ ტომის, ნაწილობრივ გვარის მფლობელობაშია, ნაწილობრივ კი იგი ოჯახურ მეურნეობათა ხელშია, რომელნიც საეჭვოა, რომ იმ ხანაში ინდივიდუალური ოჯახები ყოფილიყვნენ. ამბობენ, მიწის პირველი დაყოფა ცალკეულ პირებს შორის რომულმა მოახდინაო და თვითეულს დაახლოებით თითო ჰექტარი (ორი იუგერა) შეხვდაო. მაგრამ ჩვენ მოგვიანებითაც ვნახულობთ, რომ მიწა გვარების საერთო მფლობელობაშია, თუ არაფერს ვიტყვით იმ სახელმწიფო მიწაზე, რომლის გარშემოც რესპუბლიკის მთელი შინაისტორია ტრიალებს.

6. თანამეგვარეები ვალდებულნი იყვნენ ერთმანეთისათვის მფარველობა და დახმარება გაეწიათ. ნაწერ ისტორიაში ამის შესახებ მხოლოდ ნაშთებიღაა დარჩენილი; რომის სახელმწიფო იმთავითვე ისეთი უპირატესი ძალით გამოვიდა არენაზე, რომ უსამართლობისაგან დაცვის უფლება მის ხელში გადავიდა. როცა აპიუს კლავდიუსი დააპატიმრეს, მთელმა მისმა გვარმა სამგლოვიარო ტანსაცმელი ჩაიცვა, იმათაც კი, ვინც მისი პირადი მტერი იყო. მეორე პუნიკური ომის [1] დროს გვარები გაერთიანდნენ თავიანთი დატყვევებული თანამეგვარეების გამოსახსნელად; სენატმა მათ ეს ა უ კ რ ძ ა ლ ა.

7. უფლება საგვარეულო სახელის ტარებისა. ეს უფლება იმპერიის ხანამდე შემოინახა; განთავისუფლებულ მონებს ნება ეძლეოდათ თავიანთი ყოფილი ბატონების საგვარეულო სახელი მიეღოთ, მაგრამ ამით მათ გვარის უფლებები არ ენიჭებოდათ.

---

[1] პ უ ნ ი კ უ რ ი ო მ ე ბ ი — რომის ომები პუნების, ე. ი. კართაგენის — ჩრდილოეთ აფრიკაში ფინიკიელთა კოლონიის — მცხოვრებთა წინააღმდეგ; ეს ომები ხდებოდა 264 წლიდან 146 წლამდე ჩვენს ერამდე. რ ე დ.

8. გვარის უფლება უცხოელების შვილად აყვანისა. ეს ხდებოდა ერთ-ერთი ოჯახის მიერ შვილად აყვანის გზით (ისევე როგორც ინდიელებში), რასაც თან მოსდევდა გვარში შვილად მიღება.

9. უფლება უხუცესის არჩევა-გადაყენებისა არსად არაა მოხსენებული. მაგრამ რადგან რომის არსებობის პირველ პერიოდში ყველა თანამდებობის დაკავება, დაწყებული არჩეული მეფიდან, არჩევით ან დანიშვნით ხდებოდა, და რადგან კურიათა ქურუმებსაც კურიები ირჩევდნენ, ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გვარების უხუცესთა (principes) მიმართაც ასეთივე მდგომარეობა იყო, თუმცა შესაძლებელია არჩევა ერთი და იმავე ოჯახიდან გვარში უკვე წესად იყო გადაქცეული.

ასეთი იყო რომაული გვარის უფლებები. იმ გარემოების გამოკლებით, რომ აქ უკვე დასრულებული იყო გადასვლა მამის უფლებაზე, ეს უფლებები ზედმიწევნით ასახავენ იროკეზული გვარის უფლებებსა და ვალდებულებებს; აქაც «ნათლად გამოიყურება იროკეზი».

მხოლოდ ერთი მაგალითით ნათელვყოთ, თუ როგორი არევ-დარევაა გაბატონებებული დღესაც კიდევ ჩვენს ყველაზე ცნობილ ისტორიკოსებში რომაული გვაროვნული წყობილების ცნებათა ირგვლივ. მომზენის ნაშრომში რესპუბლიკისა და ავგუსტუსის ეპოქის რომაული საკუთარი სახელების შესახებ («რომაული გამოკვლევანი», ბერლინი, 1864, ტ. I [1]) ნათქვამია შემდეგი: «გარდა მამრობითი სქესის ყველა თანამეგვარისა, მონების გამოკლებით, რასაკვირველია, მაგრამ შვილობილთა და გვარის მფარველობის ქვეშ მყოფი პირების ჩათვლით, საგვარეულო სახელი ქალებზეც ვრცელდება... ტომი (Stamm, როგორც მომზენი აქ სიტყვას gens თარგმნის) — ეს... არის კოლექტივი, წარმომდგარი საერთო — ნამდვილი ან სავარაუდო ანდა აგრეთვე ფიქციური — წინაპრებიდან, გაერთიანებული საერთო დღესასწაულებით, სასაფლაოთი და მემკვიდრეობით, კოლექტივი, სადაც ყველა პირადად თავისუფალ ინდივიდს, მაშასადამე, ქალებსაც, შეუძლიათ და ვალდებულნიც არიან ჩაირიცხონ. სიძნელეს წარმოადგენს მხოლოდ გათხოვილი ქალების საგვარეულო სახელის გამორკვევა. ეს სიძნელე, რასაკვირველია, არ არსებობდა, სანამ ქალს არ შეეძლო სხვანაირად გათხოვება, თუ არა თავისი გვარის წევრზე; ხოლო, როგორც დამტკი-

[1] Mommsen Th., Römische Forschungen. Ausg. 2. Bd. I — II. Berlin, 1864 — 1878. რედ.

ცებულია, დიდი ხნის განმავლობაში ქალისათვის უფრო ძნელი იყო თავისი გვარის ფარგლებს გარეთ, ვიდრე გვარის ფარგლებში გათხოვება, რადგან ეს უფლება გვარის გარეთ გათხოვებისა (gentis enuptio) მას ხომ ჯერ კიდევ VI საუკუნეში ჯილდოდ ეძლეოდა პირადი პრივილეგიის სახით... მაგრამ იქ, სადაც გვარის გარეთ ასეთ გათხოვებას ჰქონდა ადგილი, ქალი უძველეს დროში, ეტყობა, ქმრის ტომში უნდა გადასულიყო. უეჭველია, რომ ქალი ძველებური რელიგიური დაქორწინების დროს მთლიანად ქმრის უფლებრივ და საკრალურ თემში გადადის, ხოლო თავისი თემიდან გამოდის. ვინ არ იცის, რომ გათხოვილი ქალი თავის გვარში კარგავს მემკვიდრეობის აქტიურსა და პასიურ უფლებას, მაგრამ მემკვიდრეობითს კავშირში შედის თავის ქმართან, თავის შვილებთან და ქმრის მეგვარეებთან ერთად? და თუ იგი, ასე ვთქვათ, თავისი ქმრის შვილობილი ხდება და მის ოჯახში შედის, მაშინ როგორღა შეუძლია მას ქმრის გვარის მიმართ უცხო დარჩეს?» (გვ. 9—11).

ამრიგად, მომზენი ამტკიცებს, რომაელ ქალებს, რომელნიც ამა თუ იმ გვარს ეკუთვნოდნენ, თავდაპირველად მხოლოდ თავისი გვარის შ ი გ ნ ი თ შეეძლოთ გათხოვებაო, რომაული გვარი, მაშასადამე, ენდოგამიური იყო და არა ეგზოგამიურიო. ეს შეხედულება, რომელიც ეწინააღმდეგება ყოველივე იმას, რაც სხვა ხალხების გამოცდილების საფუძველზე ცნობილია, ემყარება, თუ მთლიანად არა, უმთავრესად მაინც, ლივიუსის იმ ერთადერთ ადგილს (წიგნი XXXIX, თავი 19), რომელმაც დიდი დავა გამოიწვია და რომლის თანახმად სენატს ქალაქის დაარსებიდან 568 წელს, ე. ი. 186 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დაუდგენია uti Feceniae Hispallae datio, deminutio, gentis enuptio, tutoris optio item esset quasi ei vir testamento dedisset; utique ei ingenuo nubere liceret, neu quid ei qui eam duxisset, ob id fraudi ignominiaeve esset, — რომ ფეცენია ჰისპალას უფლება აქვს თავისი ქონება სურვილისამებრ მოიხმაროს, დახარჯოს იგი, გათხოვდეს გვარის გარეშე და აირჩიოს თავისთვის მეურვე, ისე, თითქოს მის ქმარს (განსვენებულს) ანდერძით გადაეცეს მისთვის ეს უფლება; რომ მას შეუძლია თავისუფალ მოქალაქეზე გათხოვდეს და რომ იმას, ვინც მას შეირთავს, ეს არ უნდა ჩაეთვალოს ცუდ საქციელად ან სამარცხვინო საქმედ.

ამრიგად, უეჭველია, რომ აქ ფეცენიას, განთავისუფლებულ მხევალს, უფლება ეძლევა გვარის გარეშე გათხოვდეს. ასევე უეჭველად

გამომდინარეობს აქედან ისიც, რომ ქმარს უფლება ჰქონდა თავისი ცოლისათვის ეანდერძებინა, ჩემი სიკვდილის შემდეგ შეგიძლია გვარის გარეშე გათხოვდეო. მაგრამ რომელი გვარის გარეშე?

თუ ქალი ვალდებული იყო თავის გვარშივე გათხოვილიყო, როგორც ამას მომზენი ვარაუდობს, მაშინ იგი გათხოვების შემდეგაც ამ გვარში რჩებოდა. მაგრამ, ჯერ-ერთი, დასამტკიცებელია სწორედ ეს ვარაუდი გვარის ენდოგამიის შესახებ. მეორე, თუ ქალი თავის გვარში უნდა გათხოვილიყო. მამაკაციც ხომ, რასაკვირველია, თავის გვარშივე უნდა დაქორწინებულიყო, რადგან სხვანირად ის ცოლს ვერ შეირთავდა. მაგრამ მაშინ გამოდის, რომ ქმარს შეეძლო თავისი ცოლისათვის ანდერძის წესით გადაეცა ისეთი უფლება, რომელიც თვითონ მას თავისთვის არ გააჩნდა; ეს კი იურიდიული თვალსაზრისით უაზრობაა. მომზენიც გრძნობს ამას და ამიტომ შემდეგს ვარაუდობს: «გვარის გარეშე გათხოვებისათვის იურიდიულად, ალბათ, საჭირო იყო არა მარტო იმის ნებართვა, ვის ხელშიც ძალაუფლება იყო, არამედ ყველა თანამეგვარის ნებართვაც» (გვ. 10, შენიშვნა). ეს, ჯერ-ერთი, ძალიან გაბედული ვარაუდია, მეორე კი, იგი ეწინააღმდეგება მოყვანილი ადგილის ნათელ ტექტს; სენატი აძლევს ქალს ამ უფლებას ქმრის მაგივრად, იგი აძლევს მას გარკვევით არც მეტს, არც ნაკლებს იმაზე, რის მიცემაც მისთვის ქმარს შეეძლო, მაგრამ რასაც სენატი ქალს აძლევს, ეს არის აბსოლუტური უფლება, სრულიად თავისუფალი სხვა შეზღუდვებისაგან; ასე რომ თუ ქალი ამ უფლებას გამოიყენებს, მაშინ ამან მის ახალ ქმარსაც ზიანი არ უნდა მიაყენოს; სენატი ახლანდელ და მომავალ კონსულებსაც და პრეტორებსაც კი ავალებს იმისათვის იზრუნონ, რომ ქალისათვის აქედან რაიმე უსამართლობა არ შეიქმნას. მაშასადამე, მომზენის მოსაზრება ჩანს, სრულიად მიუღებელია.

ანდა დავუშვათ შემდეგი: ქალი თხოვდებოდა სხვა გვარის მამაკაცზე, მაგრამ თვითონ თავის წინანდელ გვარში რჩებოდა. მაშინ, ზემოთ ციტირებული ადგილის თანახმად, მის ქმარს უფლება ექნებოდა ცოლისათვის ნება დაერთო მისივე საკუთარი გვარის გარეშე გათხოვილიყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას უფლება უნდა ჰქონოდა იმ გვარის საქმეთა გამგებლობა-განკარგულებისა, რომელსაც თვითონ სრულიადაც არ ეკუთვნოდა. ეს ისეთი უაზრობაა, რომ ამაზე ლაპარაკიც კი არ ღირს.

მაშასადამე, დაგვრჩენია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ქალი პირველი დაქორწინებისას სხვა გვარის ძამაკაცზე გათხოვილა და ამ გათხოვების შემწეობით უცილობლად ქმრის გვარში გადასულა, როგორც ეს მომზენს მართლაც შესაძლებლად მიაჩნია ასეთი შემთხვევებისათვის. მაშინ საქმის მთელი ვითარება ერთბაშად ნათელი ხდება. ქალს, რომელიც გათხოვების გამო თავის ძველ გვარს ეთიშება და ქმრის ახალ გვაროვნულ კავშირში შედის, სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია ამ კავშირში. მართალია, ის გვარის წევრია, მაგრამ ამ გვართან არ არის სისხლიერი ნათესაობით დაკავშირებული; თვით ხასიათი მისი მიღებისა იმთავითვე გაპორიცხავს მის მიმართ დაქორწინების ყოველგვარ აკრძალვას იმ გვარის ფარგლებში, რომელშიც ის სწორედ გათხოვების გზით შევიდა; შემდეგ, იგი მიღებულია გვარის საქორწინო კავშირში, მემკვიდრეობით ღებულობს ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ამ უკანასკნელის ქონებას, ე. ი. გვარის წევრის ქონებას. რა შეიძლება იყოს იმ წესზე უფრო ბუნებრივი, რომ ქონება დარჩეს გვარში და ამ მიზნით, მაშასადამე, ქალი ვალდებული იყოს თავისი პირველი ქმრის თანამეგვარეზე გათხოვდეს და არა სხვაზე? ხოლო თუ გამონაკლისი უნდა მოხდეს, მაშინ ვინ შეიძლება იყოს საკმაოდ კომპეტენტური იმისათვის, რომ მას ამის უფლებამოსილობა მისცეს, თუ არა მისი პირველი ქმარი, რომელმაც მას ეს ქონება უანდერძა? იმ მომენტში, როცა ქმარი ცოლს ქონების ნაწილს ანდერძით უტოვებს და ამავე დროს ნებას აძლევს ქონების ეს ნაწილი გათხოვების გზით ან გათხოვების შედეგად სხვა გვარში გადაიტანოს, ეს ქონება ჯერ კიდევ ქმარს ეკუთვნის; მაშასადამე, ქმარი ნამდვილად მხოლოდ თავის საკუთრებას განაგებს. რაც შეეხება თვითონ ცოლს და მის დამოკიდებულებას თავისი ქმრის გვარისადმი, ის ხომ აჰ გვარში სწორედ მისმა ქმარმა შეიყვანა თავისუფალი ნებისყოფის აქტით — დაქორწინებით. მაშასადამე, ასევე ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ სწორედ ქმარია ის შესაფერი პიროვნება, რომელსაც შეუძლია უფლება მისცეს მას გავიდეს ამ გვარიდან მეორე დაქორწინების შეეწეობით. ერთი სიტყვით, საქმე მარტივი და თავისთავად გასაგები აღმოჩნდება, როგორც კი უკუვაგდებთ უცნაურ წარმოდგენას ენდოგამიური რომაული გვარის შესახებ და მორგანთან ერთად ვაღიარებთ, რომ რომაული გვარი თავდაპირველად ეგზოგამიური იყო.

რჩება კიდევ ერთი უკანასკნელი მოსაზრება, რომელმაც აგრეთვე თავისი მომხრეები ჰპოვა, და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მე

ტი მომხრეებიც: ციტირებული ადგილი თითქოს მხოლოდ იმას ლაპარაკობს, «რომ განთავისუფლებულ მოახლე ქალებს (libertae) სპეციალური ნებართვის მიუღებლად არ შეეძლოთ გვარის გარეშე გათხოვილიყვნენ (e gente enubere) ანდა სხვა რაიმე აქტი ჩაედინათ, რომელიც დაკავშირებული იყო ოჯახური უფლებების დაკარგვასთან (capitis deminutio minima) და გამოიწვევდა libertae-ს გასვლას გვაროვნული კავშირიდან» (ლანგე, «რომის სიძველენი», ბერლინი, 1856, I[1], გვ. 195, სადაც ჩვენ მიერ ლივიუსიდან ციტირებული ადგილის გამო დამოწმებულია გუშკე). თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ აღნიშნული ციტატი უკვე სრულიად არაფერს არ ამტკიცებს თავისუფალი რომაელი ქალების მდგომარეობის შესახებ, და მაშინ მით უმეტეს ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ რომაელი ქალები ვალდებულნი იყვნენ გვარის ფარგლებში გათხოვილიყვნენ.

გამოთქმა enuptio gentis მხოლოდ ამ ერთ ადგილას გვხვდება ლივიუსის თხზულებაში და სხვაგან არსად მთელს რომაულ ლიტერატურაში; სიტყვა enubere (გარეთ დაქორწინება) მხოლოდ სამჯერ გვხვდება, ასევე ლივიუსის თხზულებაში, და ისიც არა გვართან დაკავშირებით. ის ფანტასტიკური აზრი, თითქოს რომაელ ქალებს მხოლოდ თავისი გვარის შიგნით შეეძლო გათხოვება, წარმოშობილია მარტოოდენ ამ ერთი ადგილის წყალობით. მაგრამ ეს აზრი აბსოლუტურად ვერ უძლებს კრიტიკას. მართლაც, ან ეს ადგილი შეეხება განთავისუფლებული მოახლე ქალებისათვის გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შეზღუდვებს და მაშინ ის არაფერს ამტკიცებს თავისუფალი ქალების (ingenuae) მიმართ; ანდა მას ძალა აქვს თავისუფალი ქალების მიმართაც, და მაშინ იგი უფრო იმას ადასტურებს, რომ ქალი, როგორც წესი, თავისი გვარის გარეთ თხოვდებოდა, მაგრამ გათხოვებისთანავე ქმრის გვარში გადადიოდა; მაშასადამე, იგი ლაპარაკობს მომზენის წინააღმდეგ და მორგანის სასარგებლოდ.

ჯერ კიდევ თითქმის სამასი წლის შემდეგ რომის დაარსებიდან, გვაროვნული კავშირი ისე მტკიცე იყო, რომ ერთმა პატრიციულმა გვარმა, სახელდობრ, ფაბიელთა გვარმა, სენატის ნებართვით შეძლო საკუთარი ძალებით სამხედრო ლაშქრობა დაეწყო მეზობელი ქალაქის ვეის წინაღმდეგ. 306 ფაბიელი გასულა სალაშქროდ და

[1] Lange L., Römische Alterthümer. Bd. I-III. Berlin, 1856-1871. რედ.

ყველანი ჩასაფრებულმა რაზმმა დახოცაო; ერთადერთი ყრმა გადარჩენილა, რომელმაც ფაბიების გვარი განაგრძოო.

ათი გვარი შეადგენდა, როგორც ზემოთ ვთქვით, ფრატრიას, რომელსაც აქ კურია ერქვა; კურიას უფრო მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფუნქციები ჰქონდა, ვიდრე ბერძნულ ფრატრიას. თვითეულ კურიას საკუთარი რელიგიური წესები, სალოცავები და საკურთხევლები ჰქონდა და თავისი ქურუმები ჰყავდა; ეს უკანასკნელნი, მთლიანად აღებულნი, რომაელი ქურუმების ერთ-ერთ კოლეგიას შეადგენდნენ. ათი კურია შეადგენდა ერთ ტომს, რომელსაც, ალბათ, დანარჩენი ლათინური ტომების მსგავსად, თავდაპირველად ერთი არჩეული უხუცესი — მხედართმთავარი და უმაღლესი ქურუმი ჰყავდა. სამივე ტომი, მთლიანად აღებული, შეადგენდა რომაელ ხალხს — populus romanus.

ამრიგად, რომაელ ხალხს მხოლოდ ის მიეკუთვნებოდა, ვინც რომელიმე გვარის და ამ გვარის შემწეობით რომელიმე კურიის და ტომის წევრი იყო. ამ ხალხის თავდაპირველი საზოგადოებრივი წყობილება შემდეგი სახის იყო: საზოგადოებრივ საქმეებს თავდაპირველად განაგებდა სენატი, რომელიც, როგორც ეს პირველად სწორად შეამჩნია ნიბურმა, სამასი გვარის უხუცესთაგან შედგებოდა; სწორედ ამიტომ მათ, როგორც გვარების უხუცესთ, ერქვათ მამები, patres, ხოლო მათ კრებულს — სენატი (უხუცესთა საბჭო, სიტყვისაგან senex — მოხუცი). იმ გარემოებამ, რომ ჩვეულებად იქცა უხუცესთა არჩევა მუდამ ყოველი გვარის ერთი და იმავე ოჯახიდან, აქაც შექმნა პირველი გვაროვნული არისტოკრატია; ეს ოჯახები თავიანთ თავს პატრიციებს უწოდებდნენ და იმის პრეტენზიას ჩემულობდნენ, რომ მხოლოდ და მხოლოდ მათ ჰქონდათ სენატში შესვლისა და ყველა სხვა თანამდებობის მიღების უფლება. იმ ამბავმა, რომ დროთა მსვლელობაში ხალხი შეურიგდა ამ პრეტენზიას და ეს უკანასკნელი მოქმედ უფლებად იქცა, თავისი გამოხატულება ჰპოვა ლეგენდაში, რომელიც გადმოგვცემს, პირველ სენატორებსა და მათ შთამომავლობას პატრიციატი მთელი მისი პრივილეგიებითურთ რომულმა უბოძაო. სენატს, ათენის bulē-ს მსგავსად, გადამწყვეტი ხმა ჰქონდა ბევრ საქმეში და იგი ყველაზე მნიშვნელოვან საქმეებს, განსაკუთრებით ახალ კანონებს წინასწარ განიხილავდა და ამზადებდა. ახალ კანონებს საბოლოოდ ღებულობდა სახალხო კრება, რომელსაც ეწოდებოდა comitia curiata (კურიების კრება). ხალხი შეკრების დროს კურიებად იყო დაჯგუფებული, თვითეულ კურიაში კი დაჯგუფება, ალბათ, გვარების მიხედ-

ვით ხდებოდა; საკითხების გადაწყვეტისას ოცდაათი კურიიდან თვითეულს თიდო ხმა ჰქონდა. კურიათა კრება ღებულობდა ან უარყოფდა ყველა კანონს, ირჩევდა ყველა უმაღლესი თანამდებობის პირს rex-ის (ეგრეთწოდებული მეფის) ჩათვლით, აცხადებდა ომს (მაგრამ ზავს სენატი კრავდა) და როგორც უმაღლესი სამსჯავრო ინსტანციას საბოლოო გადაწყვეტილება გაძოჰქონდა მხარეთა აპელაციის შესახებ ყველა შემთხვევაში, როცა საქმე რომელიმე რომაელი მოქალაქის მიმართ გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს შეეხებოდა. დასასრულ, სენატისა და სახალხო კრების გვერდით იდგა rex-ი, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა ბერძნულ ბასილევსს და სრულიადაც არ წარმოადგენდა თითქმის თვითმპყრობელ მეფეს, როგორადაც მას მოპზენი გვიხატავს[1]. ისიც მხედართმთავარი იყო, უმაღლესი ქურუმი და თავმჯდომარე ზოგიერთ სასამართლოში. საშოქალაქო მმართველობის დარგში უფლებები ანუ ძალაუფლება მოქალაქეთა სიცოცხლის თავისუფლებისა და საკუთრების მიმართ მას სრულიადაც არ ჰქონია, თუ კი მხოლოდ ეს უფლებები არ გამომდინარეობდა მხედართმთავრის დისციპლინური ძალაუფლებიდან ანდა სასამართლოს თავმჯდომარის იმ ძალაუფლებიდან, რაც მას მინიჭებული ჰქონდა განაჩენის სისრულეში მოსაყვანად. rex-ის თანამდებობა მეტკვიდრეობითი როდი იყო; პირიქით, მას, ალბათ, წინამორბედის წინადადებით, ჯერ კურიების პირველი კრება ირჩევდა, ხოლო შეძდეგ მეორე კრებაზე ზეიმით ჩააბარებდნენ თანამდებობას. რომ მისი გადაყენებაც შეიძლებოდა, ამას ადასტურებს ტარკვინიუს ამაყის ბედი.

მაშასადამე, როგორც გმირული ეპოქის ბერძნებს, ასევე ეგრეთწოდებული მეფეების დროის რომაელებსაც ჰქონიათ საბჭედრო დემოკრატია, რომელიც გვარებსა, ფრატრიებსა და ტო-

---

[1] ლათინური rex იგივეა, რაც კელტერ-ირლანდიური righ (ტომის უხუცესი) და გოთური reiks; რომ ეს უკანასკნელი სიტყვა. ისევე როგორც თაუდაპირველად ჩვენი Fürst-იც (ე. ი. ინგლისურად — first. დანიურად — förste, პირველი), აგრეთვე გვარის ან ტომის უხუცესს ნიშნავდა, სათლად ჩანს იქიდან, რომ გოთებს უკვე IV საუკუნეში ჰქონიათ შემდგომში დროის მეფის, მთელი ხალხის მხედართმთავრის აღსანიშნავად განსაკუთრებული სიტყვა: thiudans. არტაქსერქსეს და ირიდს ულფილას ბიბლიის თარგმანში თარსოდეს არ ეწოდება reiks, არამედ მხოლოდ thiudans, იმპერატორ ტიბერიუსის სახელმწიფოს კი ეწოდება არა reiki, არამედ thiudinassus. გოთური თიუდახსის სახელში ანუ, როგორც ჩვენ არაბუსტად ვთარგმნით, მეფე თიუდარეიკსის, თეოდორიხის, ე. ი. დიტრიხის სახელში, ორივე ეს სახელწოდება შეერთებულია. (ენგელსის შენიშვნა).

მებზე ყოფილა დამყარებული და მათგან განვითარებულა. მართალია, კურიები და ტომები ნაწილობრივ ხელოვნურ ქმნილებებს წარმოადგენდნენ, მაგრამ შექმნილნი იყვნენ იმ საზოგადოების ნამდვილი, ბუნებრივად აღმოცენებული ნიმუშების მიხედვით, რომლიდანაც ისინი წარმოიშვნენ და რომელიც მათ ყოველი მხრიდან გარს ერტყა. მართალია, ბუნებრივად განვითარებულმა პატრიციულმა არისტოკრატიამ უკვე მკვიდრი ნიადაგი მოიპოვა, მართალია, მეფეები ცდილობდნენ თანდათანობით გაეფართოებინათ თავიანთი უფლებამოსილობანი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ სცვლის კონსტიტუციის თავდაპირველ ძირითად ხასიათს, გადამწყვეტი კი სწორედ ესაა.

ამავე დროს კი როგორც ქალაქ რომის, ისე დაპყრობის გზით გაფართოებული რომაელთა ტერიტორიის მოსახლეობა იზრდებოდა ნაწილობრივ იმიგრაციის შემწეობით, ნაწილობრივ კი დაპყრობილი, უმთავრესად ლათინური, ოლქების მცხოვრებთა შემატებით. ეს ახალი ქვეშევრდომნი ყველანი (კლიენტების საკითხს აქ არ ვეხებით) ძველი გვარების, კურიებისა და ტომების გარეშე იდგნენ და, მაშასადამე, populus romanus-ის, საკუთრივ რომაელი ხალხის, ნაწილს არ შეადგენდნენ. ისინი პიროვნულად თავისუფალი ადამიანები იყვნენ, შეეძლოთ მიწის საკუთრების შეძენა, უნდა ეხადათ გადასახადი და სამხედრო სამსახური შეესრულებინათ. მაგრამ მათ არ შეეძლოთ რაიპე თანამდებობის დაკავება, არ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება არც კურიების კრებაზე, არც დაპყრობილი სახელმწიფო მიწების დაყოფაში. ისინი წარმოადგენდნენ პლებსს, რომელიც მოკლებული იყო ყოველივე საჯარო უფლებას. თავიანთი განუწყვეტლად მზარდი რიცხვის, თავიანთი საძხედრო გაწვრთვნისა და შეიარაღების შემწეობით ისინი გადაიქცნენ საშიშ ძალად, რომელიც დაუპირისპირდა ძველ populus-ს, ახლა მტკიცედ დაცულს ყოველგვარი გარედან მოსული ნაპატისაგან. ამას ისიც ემატებოდა, რომ მიწათმფლობელობა, როგორც ჩანს, თითქმის თანაბრად ყოფილა განაწილებული populus-სა და პლებსს შორის, მაშინ როდესაც სავაჭრო და სამრეწველო სიმდიდრე, რომელიც, მართალია, ჯერ კიდევ არ იყო ძლიერად განვითარებული, უმთავრესად პლებსის ხელში იყო დაგროვილი.

იმ დიდი წყვდიადის გამო, რომლითაც მოცულია რომის მთელი ლეგენდარული უძველესი ისტორია, წყვდიადისა, რასაც მნიშვნელოვნად აძლიერებენ შემდგომი დროის იმ იურიდიულად განათლებული მწერლების რაციონალისტურ-პრაგმატული განმარ-

ტების ცდები და ცნობები, რომელთა ნაწარმოებებს წყაროებად ვიყენებთ. — შეუძლებელია რაიმე გარკვეულის თქმა იმ რევოლუციის დროსა, მსვლელობასა და საბაბზე, რომელმაც ბოლო მოუღო ძველ გვაროვნულ წყობილებას. უეჭველია მხოლოდ ის, რომ ამ რევოლუციის მიზეზი პლებსსა და populus-ს შორის არსებული ბრძოლა იყო.

ახალმა კონსტიტუციამ, რომელსაც მეფე სერვიუს ტულიუსს მიაწერენ და რომელიც ბერძნულ ნიმუშებს, განსაკუთრებით სოლონის კანონმდებლობას ეყრდნობოდა, შექმნა ახალი სახალხო კრება, სადაც მონაწილეობდნენ ან საიდანაც გამორიცხული იყვნენ განურჩევლად populus-ი და პლებეები, იმისდა მიხედვით, ასრულებდნენ ისინი სამხედრო სამსახურს თუ არა. მთელი სამხედრო ვალდებული მოსახლეობა მამრობითი სქესისა თავისი ქონების მიხედვით დაყოფილი იყო ექვს კლასად. ხუთი კლასიდან თვითეულისათვის ქონების მინიმუმი იყო: I — 100000 ასსი, II — 75 000, III — 50 000, IV — 25 000, V — 11 000 ასსი, რაც, დიურო დე-ლა- მალიუსის გამოანგარიშებით, დაახლოებით უდრიდა 14 000, 10 500, 7000, 3600 და 1570 მარკას. მეექვსე კლასი, პროლეტარები, შედგებოდა მცირე შეძლების მქონე პირთაგან, რომელნიც თავისუფალნი იყვნენ სამსახურისაგან და გადასახადებისაგან. ცენტურიათა ახალ სახალხო კრებაზე (comitia centuriata) მოქალაქენი სამხედრო ყაიდაზე ეწყობოდნენ, რაზმებად ლაგდებოდნენ თავიანთ ცენტურიებში ას-ას კაცად, ამასთან თვითეულ ცენტურიას თითო ხმა ჰქონდა. მაგრამ პირველ კლასს გამოჰყავდა 80 ცენტურია, მეორეს — 22, მესამეს — 20, მეოთხეს — 22, მეხუთეს — 30, მეექვსე, თავაზიანობის გულისთვის, ასევე ერთ ცენტურიას ადგენდა. ამას ემატებოდნენ კიდევ ყველაზე მდიდარი მოქალაქეებისაგან შედგენილი ცხენოსნები, რომელთაც 18 ცენტურია გამოჰყავდათ; ცენტურიათა რიცხვი უდრიდა 193; ხმების უმრავლესობას ქმნიდა 97 ცენტურია. მაგრამ ცხენოსნებსა და პირველ კლასს ერთად ჰქონდათ 98 ხმა, ე. ი. უმრავლესობა; როცა ისინი ერთსულოვნად გამოდიოდნენ, დანარჩენებს არც კი ეკითხებოდნენ, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულად ითვლებოდა.

ცენტურიათა ამ ახალ კრებაზე გადავიდა ახლა კურიების წინანდელი კრების ყველა პოლიტიკური უფლება (ზოგიერთი ნომინალური უფლების გამოკლებით); ამით კურიები და მათი შემადგენელი გვარები, ისევე როგორც ათენშიც, დაყენილ იქნენ უბრალო კერძო რელიგიურ გაერთიანებათა მდგომარეობამდე და ასე-

თი გაერთიანებების სახით ისინი ჯერ კიდევ კარგა ხანს ღაფავ-დნენ სულს, მაშინ როდესაც კურიების კრებამ სულ მალე მთლიანად შეწყვიტა თავისი არსებობა. იმისათვის, რომ სამი ძველი გვაროვნული ტომიც სახელმწიფო მართვა-გამგეობიდან გაეძევებინათ, შედგენილ იქნა ოთხი ტერიტორიული ტომი; აქედან თვითეული ტომი ქალაქის ერთ-ერთ უბანში ცხოვრობდა და აღჭურვილი იყო მთელი რიგი პოლიტიკური უფლებებით.

ასე დაინგრა რომშიც, ჯერ კიდევ ეგრეთწოდებული მეფის ხელისუფლების გაუქმებამდე, ის ძველი საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც დაფუძნებული იყო პირადი სისხლიერი ნათესაობის კავშირზე, და მის ნაცვლად შეიქმნა ახალი, ნამდვილი სახელმწიფოებრივი წესწყობილება, რომელსაც საფუძვლად დაედო ტერიტორიული დაყოფა და ქონებრივი სხვაობა. საჯარო ხელისუფლება აქ თავმოყრილი აღმოჩნდა სამხედროვალდებული მოქალაქეების ხელში და იგი მიმართული იყო არა მარტო მონების წინააღმდეგ, არამედ სამხედრო სამსახურიდან და შეიარაღებიდან გამორიცხული ეგრეთწოდებული პროლეტარების წინააღმდეგაც.

ამ ახალი წყობილების ფარგლებში, რამაც თავისი შემდგომი განვითარება მხოლოდ მაშინ მიიღო, როცა გაძევებულ იქნა უკანასკნელი მეფე, ნამდვილი სამეფო ხელისუფლების უზურპატორი, ტარკვინიუს ამაყი, და როცა მეფე შესცვალა ორმა თანაბარი ძალაუფლებით აღჭურვილმა მხედართმთავარმა (კონსულმა) (ისევე როგორც იროკეზებში), — ამ წყობილების ფარგლებში მოძრაობს რომის რესპუბლიკის მთელი ისტორია ყველა მისი ბრძოლით პატრიციებსა და პლებეებს შორის თანამდებობათა მიღებისა და სახელმწიფო მიწებით სარგებლობაში მონაწილეობისათვის, პატრიციული არისტოკრატიის საბოლოო გათქვეფით იმ მსხვილი მიწათმფლობელებისა და ფულის მაგნატების ახალ კლასში, რომელთაც თანდათანობით შთანთქეს სამხედრო სამსახურით გაჩანაგებული გლეხების მიწათმფლობელობა, რომელნიც მონების შემწეობით ამუშავებდნენ ამ გზით შექმნილ უზარმაზარ მამულებს, რომელთაც გააუკაცურეს იტალია და ამით გზა გაუკაფეს არა მარტო იმპერატორის ხელისუფლებას, არამედ მის მემკვიდრეებსაც — გერმანელ ბარბაროსებს.

VII

ბბაკი კელტებსა და გერმანელებში

ადგილის სიმცირე ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით განვიხილოთ ის გვაროვნული დაწესებულებანი, რომელნიც დღესაც არსებობენ კიდევ სხვადასხვა ველურ და ბარბაროსულ ხალხებში უფრო წმინდა თუ უფრო შერეული ფორმით, ანდა განვიხილოთ მათი კვალი აზიის კულტურული ხალხების ძველ ისტორიაში. ისინი ამა თუ იმ სახით ყველგან გვხვდება. საკმარისია რამდენიმე მაგალითი; ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გავიგებდით, რა არის გვარი, მაკ-ლენანმა, რომელმაც ყველაზე მეტი ჯაფა გასწია იმისათვის, რომ იგი შემცდარად გაეგო, დაამტკიცა გვარის არსებობა და საერთოდ სწორად აღწერა იგი კალმიკებსა, ჩერქეზებსა, ნენცებსა (Samojeden) და სამ ინდიელ ხალხში: ვარალებსა, მაგარებსა და მუნიპურიებში. ამ ცოტა ხნის წინათ მ. კოვალევსკიმ იგი აღმოაჩინა და აღწერა ფშავებსა, ხევსურებსა, სვანებსა და სხვა კავკასიურ ტომებში. აქ ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოთ ზოგიერთი მცირე შენიშვნით კელტებსა და გერმანელებში გვარის არსებობის შესახებ.

დღემდე შემონახულ უძველეს კელტურ კანონებში გვარი ჯერ კიდევ სრულიად ცოცხლადაა წარმოდგენილი; ირლანდიაში ის დღესაც კიდევ ცოცხლობს, ინსტინქტურად მაინც, ხალხის შეგნებაში, მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა იგი ძალდატანებით დაშალეს; შოტლანდიაში იგი სრულ აყვავებაში იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა ხანაში და აქაც იგი მხოლოდ ინგლისელების იარაღმა, კანონმდებლობამ და სასამართლოებმა მოსპეს.

ძველი უელსური კანონები, დაწერილნი მრავალი საუკუნის **წინათ, ვიდრე** ინგლისელები უელსს დაიპყრობდნენ, არა უგვიანეს **XI საუკუნისა**, მოწმობენ, რომ მთელი სოფლები მიწას ჯერ კიდევ ერთად ამუშავებდნენ, თუმცაღა ეს მხოლოდ წინათ საყოველთაოდ გავრცელებული ზნე-ჩვეულების იშვიათ ნაშთს წარმოადგენდა; თვითეულ ოჯახს ჰქონდა ხუთი აკრი, რასაც დამოუკიდებლად ამუშავებდა; გარდა ამისა, ერთ ნაკვეთს ერთად ამუშავებდნენ და მოსავალს ინაწილებდნენ. ირლანდიისა და შოტლანდიის ანალოგიური მოვლენების მიხედვით ეჩვს გარეშეა, რომ ეს სოფლის თემები წარმოადგენენ გვარებს ან გვარების ქვეგანყოფილებებს, თუნდაც უელსის კანონების ხელახალმა შემოწმებამ, რისთვისაც მე დრო არა მაქვს (ჩემი ამონაწერები ეკუთვნიან 1869 წელს), ეს პირდაპირ არ დაადასტუროს. მაგრამ უელსური წყაროები, და

მათთან ერთად ირლანდიურიც, პირდაპირ ამტკიცებენ, რომ კელტებში წყვილადი ცოლქმრობა მეთერთმეტე საუკუნეში ჯერ კიდევ სრულიადაც არ ყოფილა განდევნილი მონოგამიის მიერ. უელსში მხოლოდ შვიდი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ აღარ შეიძლებოდა განქორწინება ან, უკეთ რომ ვთქვათ, გაფრთხილების მიცემა განქორწინების შესახებ. თუ შვიდ წელიწადს მხოლოდ სამი ღამე აკლდა, ცოლ-ქმარს კიდევ შეეძლო გაყრილიყო. მაშინ ხდებოდა ქონების გაყოფა: ცოლი ყოფდა, ქმარი კი ირჩევდა თავის ნაწილს. ავეჯეულობის გაყოფა ხდებოდა გარკვეული, მეტად კურიოზული წესების მიხედვით. თუ განქორწინებას ქმარი მოითხოვდა, მას ცოლისთვის უნდა დაებრუნებინა მისი მზითევი და ზოგიერთი სხვა საგანიც; ხოლო თუ ამას ცოლი მოითხოვდა, მაშინ იგი ნაკლებს ღებულობდა. შვილებიდან ქმარი ღებულობდა ორ ბავშვს, ცოლი — ერთს, სახელდობრ, საშუალოს. თუ ცოლი გაყრის შემდეგ სხვაზე გათხოვდებოდა, ხოლო პირველი ქმარი მის ისევ უკან დაბრუნებას მოითხოვდა, იგი მასთან უნდა დაბრუნებულიყო, თუნდაც მას ცალი ფეხი უკვე შედგმული ჰქონოდეს ახალ საქორწინო სარეცელზე. მაგრამ თუ ქალ-ვაჟი შვიდ წელიწადს ერთად იცხოვრებდა, ისინი ცოლ-ქმარი ხდებოდნენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათი ქორწინება წინასწარ გაფორმებული არ იყო. ქალიშვილების უბიწოება დაქორწინებამდე სრულიადაც არ იყო მკაცრად დაცული და მას არც მოითხოვდნენ; ამის შესახები წესები მეტად ფრივოლური ხასიათისაა და სრულიად არ შეესაბამებიან ბურჟუაზიულ მორალს. თუ ქალი დაარღვევდა ცოლქმრულ ერთგულებას, ქმარს შეეძლო იგი გაელახა (სამიდან ეს ერთი შემთხვევა იყო, როცა მას ამის უფლება ეძლეოდა, სხვა შემთხვევებში იგი ამისთვის დაისჯებოდა), მაგრამ ამის შემდეგ მას უკვე უფლება აღარ ჰქონდა სხვა დაკმაყოფილება მოეთხოვნა, რადგან «ერთი და იმავე დანაშაულისათვის დაწესებულია ან დანაშაულის გამოსყიდვა, ან შურისძიება, მაგრამ არა ორივე ერთად». მიზეზები, რომლის ძალითაც ცოლს უფლება ჰქონდა განქორწინება მოეთხოვნა ისე, რომ თავისი უფლებებიდან არაფერი დაკარგოდა გაყოფის დროს, მეტად სხვადასხვაგვარი იყო: საკმარის მიზეზად ითვლებოდა, თუ ქმარს ცუდი სუნი ჰქონდა პირში. პირველი ღამის უფლების გამოსასყიდი ფული (gobr merch, საიდანაც წარმოდგება შუა საუკუნეების სახელწოდება marcheta, ფრანგულად — marquette), რომელსაც ტომის მეთაურს ან მეფეს აძლევდნენ, დიდ როლს ასრულებს კანონთა კოდექსში. ქალები ხმის უფლებით

სარგებლობდნენ სახალხო კრებებზე. ამას დავუმატებთ, რომ ირლანდიაშიც დადასტურებულია ასეთივე წესების არსებობა, რომ იქაც ასევე ფართოდ გავრცელებული ყოფილა დროებითი შეუღლება და რომ ცოლისათვის განქორწინების დროს უზრუნველყოფილი იყო ზუსტად განსაზღვრული, დიდი უპირატესობანი, სანაზღაუროც კი ოჯახურ მეურნეობაში მის მიერ გაწეული მუშაობისათვის; რომ იქაც გვხვდება «პირველი ცოლი» სხვა ცოლების გვერდით და მემკვიდრეობის გაყოფის დროს არავითარ განსხვავებას არ ჰქონდა ადგილი დაქორწინებულ და დაუქორწინებელ ბშობელთა შვილებს შორის. ამრიგად, ჩვენ ვღებულობთ ისეთი წყვილადი ცოლქმრობის სურათს, რომ მასთან შედარებით ჩრდილოეთ ამერიკაში არსებული წყვილადი ცოლქმრობის ფორმა მკაცრი გვეჩვენება, რაც, სხვათა შორის, XI საუკუნეში გასაკვირველ მოვლენად არ უნდა ჩაითვალოს იმ ხალხში, რომელიც ჯერ კიდევ იულიუს კეისრის დროს ჯგუფობრივ ცოლქმრობას მისდევდა.

ირლანდიური გვარის (sept, ტომს ერქვა clainne, კლანი) არსებობას ადასტურებენ და აგვიწერენ არა მარტო ძველი კანონთა კრებულები, არამედ XVIII საუკუნის ინგლისელი იურისტებიც, რომელნიც გაგზავნილნი იყვნენ ირლანდიაში იმისათვის, რომ კლანების მიწები ინგლისის მეფის დომენებად (საუფლისწულო მიწებად) ექციათ. მიწა ამ უკანასკნელ დრომდე კლანის ან გვარის საერთო საკუთრება იყო, რამდენადაც იგი უკვე მეთაურებს თავიანთ კერძო დომენებად არ ჰქონდათ გადაქცეული. როცა გვარის რომელიმე წევრი კვდებოდა, მაშასადამე, ერთ-ერთი მეურნეობა ისპობოდა, უხუცესი (caput cognationis, როგორც მას ინგლისელი იურისტები უწოდებდნენ) მთელ მიწას ხელახლა ანაწილებდა დარჩენილ ოჯახურ მეურნეობებს შორის. ეს ხელახალი გადანაწილება საერთოდ, როგორც ეტყობა, გერმანიაში მოქმედი წესების მიხედვით ხდებოდა. დღესაც აქა-იქ კიდევ გვხვდება სოფლის მინდვრები, რომელნიც ე. წ. «rundale»-ს სისტემას ექვემდებარებიან, ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ კი ასეთი მინდვრები ძალიან ბევრი იყო. გლეხები, ცალკეული მოიჯარენი იმ მიწისა, რომელიც წინათ მთელ გვარს ეკუთვნოდა, შემდეგ კი ინგლისელმა დამპყრობლებმა იგდეს ხელთ, იჯარას იხდიან სათითაოდ თავიანთი ნაკვეთისათვის, მაგრამ თავიანთი ნაკვეთების მთელ სახნავ-სათეს მიწას და სათიბებს აერთიანებენ, ანაწილებენ მათ ადგილმდებარეობისა და ხარისხის მიხედვით კონებად, «Gewanne»-ბად, როგორც მათ მოზელის ხეობაში უწოდებენ, და თვითეულ წევრს მის კუთვნილ

ხვედრს აძლევენ თვითეულ კონში; ჭაობიანი ადგილები და საძოვრები საერთო სარგებლობაში რჩება. ჯერ კიდევ ორმოცდაათი წლის წინათ დროგამოშვებით, ხანდახან ყოველწლიურად, მიწების გადანაწილება ხდებოდა. «rundale»-ს სისტემისადმი დაქვემდებარებული ასეთი სოფლის სამეჯნო გეგმა სრულიად ისე გამოიყურება, როგორც რომელიმე გერმანული საკომლო თემის (Gehöferschaft) რუკა მოზელის ნაპირას ან ჰოხვალდში. გვარი «factions»[1]-შიც განაგრძობს სიცოცხლეს. ირლანდიელი გლეხები ხშირად იყოფიან ისეთ პარტიებად, რომელნიც ერთი შეხედვით თითქოს სრულიად უაზრო განსხვავებებზე არიან დაფუძნებულნი, ინგლისელებისათვის სავსებით გაუგებარნი არიან, და რომელთაც თითქოს არავითარი სხვა მიზანი არა აქვთ, გარდა მათთვის საყვარელი საზეიმო ცემატყეპისა, რითაც ერთი პარტია მეორეს უმასპინძლდება. ეს არის დაშლილი გვარების ხელოვნური გამოცოცხლება, მათი რაღაც მერმინდელი სამაგიერო, რაც თავისებურად ადასტურებს მემკვიდრეობით მიღებული გვაროვნული ინსტინქტის გამძლეობას. სხვათა შორის ზოგიერთ ადგილებში თანამეგვარეები დღესაც კიდევ საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ ერთად თავიანთ ძველ ტერიტორიაზე; ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში საგრაფო მონაგანის მცხოვრებთა უმრავლესობა მხოლოდ ოთხ გვარს (Familiennamen) ატარებდა, ე. ი. ოთხი გვარისაგან ანუ კლანისაგან [2] წარმოდგებოდა.

---

[1] «პარტიებში». რ ე დ.

[2] რამდენიმე დღის განმავლობაში, რაც მე ირლანდიაში გავატარე, კვლავ ნათლად დავინახე, თუ როგორ ღრმადაა ჯერ კიდევ გამსჭვალული იქ სოფლის მოსახლეობა გვაროვნული ეპოქის წარმოდგენებით; მიწათმფლობელი, რომლის მოიჯარეც გლეხია, ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ კლანის ერთგვარ მეთაურად მიაჩნია, მეთაურად, რომელიც ვალდებულია მიწა ყველას ინტერესების სასარგებლოდ განაგოს; გლეხი უხდის მას ხარკს საიჯარო კირის სახით, მაგრამ გაჭირვების შემთხვევაში გლეხმაც მისგან დახმარება უნდა მიიღოს. ასევე სავალდებულოდაა იქ მიჩნეული, რომ ყოველი უფრო შეძლებული ადამიანი უნდა ეხმარებოდეს თავის უფრო ნაკლები შეძლების მქონე მეზობლებს, როცა ისინი გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ასეთი დახმარება მოწყალება როდია, იგი კანონის ძალით ეკუთვნის კლანის უფრო ღარიბ წევრს უფრო მდიდარი თანამგვარისაგან ან მეთაურისაგან. გასაგებია ეკონომისტებისა და იურისტების ჩივილი, შეუძლებელია ირლანდიელ გლეხს თანამედროვე ბურჟუაზიული საკუთრების იდეა ჩავაგონოთო; საკუთრება, რომელსაც მხოლოდ უფლებები აქვს, ხოლო ვალდებულებანი კი არავითარი, პირდაპირ ვერ თავსდება ირლანდიელის თავში. მაგრამ გასაგებია ისიც, თუ რატომ ხდება, რომ ირლანდიელები, როცა ისინი ასეთი გულუბრყვილო გვაროვნული წარმოდგენებით უეცრად ინგლისისა ან ამე-

შოტლანდიაში გვაროვნული წყობილების დაღუპვა ემთხვევა 1745 წლის აჯანყების ჩახშობას. ჯერ კიდევ გამოსაკვლევი რჩება ის, თუ ამ წყობილების რა როგოლს წარპოადგენს სპეციალურად შოტლანდიური კლანი; მაგრამ იგი რომ ასეთ როგოლს შეადგენს, ეს ეჭვს გარეშეა. ვალტერ სკოტის რომანებში მთიანი შოტლანდიის ეს კლანი ცოცხლად გვიდგება თვალწინ. ეს კლანი, — ამბობს მორგანი, «გვარის საუცხოო ნიმუშია თავისი ორგანიზაციით და თავისი სულით, საოცარი მაგალითია გვაროვნული ცხოვრების ბატონობისა გვარის წევრებზე... მათს შუღლსა და მათს სისხლის აღებაში, ტერიტორიის დაყოფაში კლანების მიხედვით, მათს საერთო მიწათსარგებლობაში, კლანის წევრების ერთგულებაში მეთაურისა და ერთმანეთის მიმართ ჩვენ ვხედავთ ყველგან გვაროვნული საზოგადოების ნიშნებს, რომელნიც კვლავ ვლინდებიან ხოლმე... წარმოშობის გამორკვევა ხდებოდა მამის უფლების მიხედვით, ასე რომ მამაკაცების შვილები კლანში რჩებოდნენ, მაშინ როდესაც დედაკაცის შვილები მათი მამების კლანებში გადადიოდნენ». მაგრამ შოტლანდიაში რომ წინათ დედის უფლება ყოფილა გაბატონებული, ამას ის ფაქტი ამტკიცებს, რომ, ბედას სიტყვებით, პიქტების სამეფო ოჯახში მემკვიდრეობის გადაცემა დედის ხაზით ხდებოდა. პუნალუა ოჯახის გადანაშთიც კი შემონახული დარჩა როგორც უელსელებში, ისე სკოტებშიც შუა საუკუნეებამდე პირველი ღამის უფლების სახით; ამ უფლებით სარგებლობა შეეძლო, თუ იგი გამოსყიდული არ იყო, ყოველი პატარძლის მიმართ კლანის მეთაურს ან მეფეს როგორც წინანდელი საერთო ქმრების უკანასკნელ წარმომადგენლს.

* * *

ეჭვს გარეშეა, რომ ხალხთა გადასახლების ხანამდე გერმანელები გვარებად ყოფილან ორგანიზებულნი. როგორც ეტყობა, ტერიტორია დუნაისა, რაინსა, ვისლასა და ჩრდილოეთის ზღვებს შორის მათ დაიკავეს მხოლოდ რამდენიმე საუკუნით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე; კიმბრები და ტეეტონები ჯერ კიდევ მთლია-

---

რიკის დიდ ქალაქებში ამოჰყოფენ თავს და ისეთ წრეში აღმოჩნდებიან, სადაც სულ სხვა შეხედულებები არსებობს მორალსა და სამართალზე, — ასეთ ირლანდიელებს სულ ადვილად საკუთარი თავგზა ებნევათ მორალისა და სამართლის საკითხების გაგებაში, ყოველივე ნიადაგი ეცლებათ ფეხქვეშ და ხშირად ისინი მასობრივად დემორალიზაციის მსხვერპლნი ხდებიან. (ენგელსის შენიშვნა მეოთხე გამოცემისათვის).

ნად გადასახლების პროცესში იმყოფებობდნენ, სვევები კი მტკიცედ დაბინავებულან გარკვეულ მიწა-წყალზე მხოლოდ იულიუს კეისრის დროს. უკანასკნელთა შესახებ იულიუს კეისარი გარკვევით ლაპარაკობს, ისინი გვარებად და მონათესავე ჯგუფებად (gentibus cognationibusque) დასახლდნენო, იულიუსთა გვარის (gens Julia) რომაელისთვის კი ამ სიტყვას gentibus სრულიად გარკვეული და უდავო მნიშვნელობა აქვს. იგი შეეხებოდა ყველა გერმანელს; დაპყრობილ რომაულ პროვინციებში დასახლებაც კი, ეტყობა, ჯერ კიდევ გვარების მიხედვით ხდებოდა. «ალამანურ სახალხო კანონებში» დადასტურებულია, რომ დაპყრობილ მიწაზე დუნაის სამხრეთით ხალხი გვარების (genealogiae) მიხედვით დასახლებულა; genealogiae აქ ნახმარია სრულიად იმავე მნიშვნელობით, როგორც შემდეგში მარკა ან სოფლის თემი. ამას წინათ კოვალევსკიმ აზრი გამოთქვა, ეს genealogiae წარმოადგენდნენ დიდ სახლისეულ თემებს, რომელთა შორის მიწა განაწილებული იყო და რომლებიდანაც მხოლოდ შემდეგში სოფლის თემით განვითარდაო. მაშინ ხომ იგივე შეიძლებოდა გვეთქვა fara-ზეც, იმ გამოთქმაზე, რომლითაც ბურგუნდები და ლანგობარდები, — მაშასადამე, ერთი გოთური და ერთი ჰერმინონიული ანუ ზემოგერმანული ტომი,—აღნიშნავენ, თუ ზედმიწევნით არა, დაახლოებით მაინც, იმავეს, რასაც სიტყვა genealogiae «ალამანურ კანონთა კრებულში» ნიშნავს. ის, თუ რას ვხედავთ აქ სინამდვილეში: გვარს თუ სახლისეულ თემს — ჯერ კიდევ უფრო დაწვრილებით გამოსაკვლევია.

კითხვაზე: ჰქონდა თუ არა ყველა გერმანელს გვარის აღმნიშვნელი საერთო სახელი, და თუ ჰქონდა, სახელდობრ, როგორი, —ენობრივი ძეგლები დადებითს პასუხს არ იძლევიან. ეტიმოლოგიურად ბერძნულ genos-ს, ლათინურ gens-ს შეესაბამება გოთური kuni, შუა საუკუნეების ზემოგერმანული Künne, და ეს სიტყვა იმავე აზრით იხმარება. დედის უფლების ეპოქაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ დედაკაცის აღმნიშვნელი სახელი იმავე ძირიდან წარმოდგება: ბერძნულად gyne, სლავურად Zena, გოთურად qvino, ძველსკანდინავურად kona, kuna. ლანგობარდებსა და ბურგუნდებში გვხვდება, როგორც უკვე ვთქვით, სიტყვა fara, რომელიც გრიმს გამოჰყავს ჰიპოთეზური ძირიდან fisan, რაც შობას ნიშნავს. მე ვამჯობინებდი იგი გამომეყვანა — და ეს უფრო ნათელი იქნებოდა — faran-იდან, რაც ნიშნავს სვლას, ხეტიალს, უკანდაბრუნებას, სიტყვიდან, რაც მოხეტიალე ხალხის იმ გარკვეულ ნაწილს აღნიშნავს, რომელიც, თავისთავად იგულისხმება,

მხოლოდ ნათესავებისაგან შედგებოდა, — სიტყვიდან, რომელიც მრავალსაუკუნოვანი ხეტიალის დროს ჯერ აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ დასავლეთისაკენ თანდათანობით თვით გვაროვნულ კოლექტივზე გადავიდა. — შემდეგ, გოთური sibja, ანგლო-საქსური sib, ძველი ზემოგერმანული sippia, sippa — ნათესავები (Sippe). ძველსკანდინავურ ენაში გვხვდება მხოლოდ მრავლობითი რიცხვი sifjar — ნათესავები; მხოლოობითში ეს სიტყვა გვხვდება მხოლოდ როგორც ქალღმერთის სახელი — Sif. — დასასრულ, ჰილდებრანდის სიმღერაში კიდევ ერთი სხვა გამოთქმა გვხვდება, სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც ჰილდებრანდი ჰადუბრანდს ეკითხება: «ვინაა მამაშენი ამ ხალხის მამაკაცებს შორის... ან რომელი გვარიდან ხარ?» («eddo huêlihhes cnuosles du sîs»). თუ კი გვარის ცნების გამოსახატავად საერთო გერმანული სიტყვა არსებობდა, ასეთი იყო, ალბათ, გოთური kuni; ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს არა მარტო იგივეობა მონათესავე ენების შესაბამის გამოთქმასთან, არამედ ის გარემოებაც, რომ მისგან წარმოსდგება სიტყვა kuning — მეფე, რომელიც თავდაპირველად გვარის ან ტომის უხუცესს აღნიშნავს. Sibja (ნათესავები), როგორც ეტყობა, აქ სათვალავში მისაღები არაა; ყოველ შემთხვევაში, sifiar ძველსკანდინავურ ენაზე ნიშნავს არა მარტო სისხლიერ ნათესავებს, არამედ მოყვრებსაც, ე. ი. სულ ცოტა ორი გვარის წევრებს მაინც გულისხმობს; მაშასადამე, თვით სიტყვა sif შეუძლებელია გვარის გამომხატველი ყოფილიყო.

როგორც მექსიკელებსა და ბერძნებში, ასევე გერმანელებშიც ცხენოსანთა ესკადრონიც და ქვეითი ჯარის სოლისებრი რაზმეულიც საბრძოლო წესით დაწყობის დროს გვაროვნული ჯგუფების მიხედვით ნაწილდებოდნენ; როცა ტაციტი ლაპარაკობს: ოჯახებისა და ნათესაური ჯგუფების მიხედვით, ეს გაურკვეველი გამოთქმა იმით აიხსნება, რომ მის დროს გვარი რომში უკვე დიდი ხანია აღარ წარმოადგენდა ცოცხალ გაერთიანებას.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტაციტის ერთ ადგილს, სადაც ნათქვამია: დედის ძმა ისე უყურებს თავის დისწულს როგორც თავის ვაჟს; კიდევ მეტი, ზოგიერთს ნათესაობა, რომელიც ბიძასა და დისწულს აკავშირებს, უფრო წმინდად და მჭიდროდ მიაჩნია, ვიდრე კავშირი მამასა და შვილს შორის, ასე რომ როცა მძევლებს თხოულობენ, დისწული უფრო დიდ საწინდარს წარმოადგენს, ვიდრე საკუთარი ვაჟი იმ ადამიანისა, რომლის შებოჭვაც საწინდრით სურთო. აქ ჩვენ გვაქვს ცოცხალი ნიმუში დედის

უფლების მიხედვით ორგანიზებული, მაშასადამე, თავდაპირველი გვარისა, და თანაც რაღაც ისეთი, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია გერმანელებისათვის[1]. თუ ასეთი გვარის წევრი საკუთარ ვაჟს რაიმე საზეიმო აღთქმის საწინდრად მისცემდა და ეს ვაჟი მამის მიერ ხელშეკრულების დარღვევის მსხვერპლი გახდებოდა, ეს მხოლოდ თვითონ მამის საქმე იყო. მაგრამ თუ მსხვერპლი დისწული იყო, ამით უკვე შებღალული იყო უწმინდესი გვაროვნული სამართალი. ბავშვისა თუ ქაბუკის უახლოესი ნათესავი გვარიდან, რომელიც უმთავრესად — სხვებთან შედარებით — ვალდებული იყო იგი დაეცვა, მისი სიკვდილის მიზეზი იქნებოდა; მას არ უნდა მიეცა იგი მძევლად ანდა ხელშეკრულება უნდა შეესრულებინა. გერმანელებში რომ ჩვენ გვაროვნული წყობილების სხვა კვალიც არ აღმოგვეჩინა, ეს ერთი ადგილი საკმარისი იქნებოდა.

ერთ ადგილს ძველსკანდინავური «Völuspâ»-დან — სიმღერიდან ღმერთების მწუხრსა და სამყაროს დაღუპვის შესახებ — კიდევ უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი 800 წლით უფრო გვიანაა შექმნილი. ამ «წინასწარმეტყველი ქალის ხილვაში», სადაც, როგორც ახლა ბანგმა და ბუგემ დაამტკიცეს, ქრისტიანობის ელემენტებიცაა ჩაქსოვილი, იმ საყოველთაო გადაგვარებისა და ზნეობრივი დაქვეითების ეპოქის აღწერისას, რომელიც დიდი კატასტროფის შესავალს წარმოადგენს, ნათქვამია:

Broedhr munu berjask	ok at bönum verdask,
munu systrungar	sifjum spilla.

---

1 თავისი ბუნებით განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირი ბიძასა და დისწულს შორის, — კავშირი, რომელიც დედის უფლების დროიდან მომდინარეობს და ბევრ ხალხში გვხვდება,—ბერძნებისათვის ცნობილია მხოლოდ გმირული პერიოდის მითოლოგიაში. დიოდორეს მიხედვით (IV,34) მელეაგრე ჭკლავს თესტიუსის ვაჟებს, თავისი დედის ალთეას ძმებს. ალთეა ამ საქციელში ისეთ მძიმე დანაშაულს ხედავს, რომ მკვლელს, ე. ი. თავის საკუთარ შვილს, წყევლის და სიკვდილს უსურვებს. «ღმერთებმა, როგორც გადმოგვცემენ, შეისმინეს მისი თხოვნა და მელაგრეს სიცოცხლეს ბოლო მოუღეს». იმავე დიოდორეს გადმოცემით (10,44), არგონავტები ჰერაკლეს წინამძღოლობით თრაკიის სანაპიროზე გადმოსხდებიან და იქ აღმოაჩენენ, რომ ფინეუსი, წაკეზებული თავის ახალი ცოლის მიერ, საშინლად სტანჯავს თავის ორ ვაჟს, რომლებიც მას გაყრილი ცოლისაგან, ბორეადელი კლეოპატრასაგან ჰყავდა. მაგრამ არგონავტებს შორის აღმოჩნდებიან ბორეადელებიც, კლეოპატრას ძმები, მაშასადამე, წამებულთა დედის ძმები. ისინი მაშინვე გამოესარჩლებიან თაეიანთ დისწულებს, ანთავისუფლებენ მათ და ხოცავენ დარაჯებს. (ენგელსის შენიშვნა).

«ძმები ერთმანეთს მტრობას დაუწყებენ და ერთიმეორეს დახოცავენ, დ ე ბ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი ნათესაობის კავშირს გასწყვეტენ». Sistrungar — ნიშნავს დეიდის ვაჟს და ის გარემოება, რომ ისინი, დეიდისშვილები, სისხლის ნათესაობას ერთმანეთს შორის უარყოფენ, პოეტს კიდევ უფრო დიდ დანაშაულად მიაჩნია, ვიდრე ძმის მკვლელობა. დანაშაულის ეს გაძლიერება გამოხატულია სიტყვით systrungar, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს ნათესაობას დედის მხრიდან. ამის ნაცვლად რომ syskina-börn — და-ძმის შვილები ან syskina - synir — და-ძმის ვაჟები ყოფილიყო, მაშინ მეორე სტრიქონი პირველის მიმართ გაძლიერება კი არა, არამედ შერბილება იქნებოდა. მაშასადამე, ვიკინგების დროსაც კი, როცა «Völuspá» წარმოიშვა, სკანდინავიაში ჯერ კიდევ მოსპობილი არ ყოფილა დედის უფლების მოგონება.

სხვა მხრივ ტაციტის დროს, იმ გერმანელებში მაინც, რომელთაც იგი ყველაზე ახლოს იცნობდა, დედის უფლებას უკვე დათმობილი ჰქონდა ადგილი მამის უფლებისათვის; მემკვიდრეობა მამიდან შვილებზე გადადიოდა; ვისაც შვილები არ ჰყავდა, მის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ ძმები და ბიძები მამისა და დედის ხაზით. დედის ძმის დაშვება მემკვიდრეობის მონაწილედ დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ ზნე-ჩვეულებასთან და ამტკიცებს აგრეთვე, თუ როგორი ახალი მოვლენა იყო ჯერ კიდევ იმ დროს მამის უფლება გერმანელებში. დედის უფლების კვალი შუა საუკუნეების გვიანდელ ხანაშიც კი გვხვდება. ეტყობა, ჯერ კიდევ იმ ეპოქაში, განსაკუთრებით როცა საკითხი ყმას ეხებოდა, არც ისე ძალიან სარწმუნოდ და გამორკვეულად მიაჩნდათ მამიდან წარმოშობა; ამიტომ, როცა ფეოდალი რამდენიმე ქალაქისაგან მოითხოვდა გაქცეული ყმის უკან დაბრუნებას, მოპასუხის ყმობა, მაგალითად, აუგსბურგში, ბაზელსა და კაიზერსლაუტერნში, ფიცით უნდა დაედასტურებინა მის ექვს უახლოეს სისხლიერ ნათესავს, თანაც ექვსივენი მხოლოდ დედის მხრიდან უნდა ყოფილიყვნენ (მაურერი, «ქალაქის წყობილება», I [1], გვ. 381).

კვდომის პროცესში მყოფი დედის უფლების კიდევ ერთ ნაშთს წარმოადგენს აგრეთვე გერმანელების ის პატივისცემა მდედრობითი სქესისადმი, რომელიც რომაელებისათვის თითქმის გაუგებარი იყო. გერმანელებთან ხელშეკრულების დადების დროს კეთილ-

[1] Maurer G. L., Geschichte der Städteverfassung in Deutschland. Bd. I—IV. Erelangen. 1869—1871. რედ.

შობილი ოჯახის ქალიშვილები ყველაზე საიმედო მძევლებად იყვნენ მიჩნეულნი; აზრი იმის შესახებ, რომ მათი ცოლებისა და ქალიშვილების ჩავარდნა ტყვეობაში ან მონობაში, შესაძლებელია, გერმანელებისათვის საშინელია და ყველაფერზე უფრო მეტად აღვივებს მათ ვაჟკაცობას ბრძოლაში; ქალში ისინი რაღაც წმინდასა და წინასწარმეტყველურს ხედავენ; უმნიშვნელოვანეს საქმეებშიც კი ქალის რჩევა-დარიგებას ანგარიშს უწევენ; მაგალითად, ველედა, ბრუქტერების ქურუმი ქალი ლიპეს კუთხიდან, ბატავიელთა მთელი იმ ამბოხების სულისჩამდგმელი იყო, რომლის დროსაც ბატავიელთა ბელადი ცივილისი გერმანელებსა და ბელგებს სათავეში ჩაუდგა და რომაელთა ბატონობა მთელს გალიაში შეარყია. სახლში ცოლის ბატონობა, როგორც ეტყობა, უცილობელია; რასაკვირველია, ყველა საოჯახო სამუშაოს შესრულება მას, მოხუცებსა და ბავშვებს ეკისრებათ; ქმარი ნადირობს, სვამს ან უსაქმოდ ატარებს დროს. ასე ლაპარაკობს ტაციტი; მაგრამ რადგან იგი არ ამბობს, ვინ ამუშავებს მიწას, და გარკვევით აცხადებს, მონები მხოლოდ ღალას იხდიდნენ, მაგრამ არავითარ საბატონო შრომას არ ეწეოდნენო, ცხადია, უნდა ვიფიქროთ, რომ სრულასაკოვანი მამაკაცების მასა იძულებული იყო ის მცირეოდენი სამუშაო მაინც შეესრულებინა, რასაც მიწათმოქმედება მოითხოვდა.

ქორწინების ფორმა იყო, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, წყვილადი ცოლქმრობა, რომელიც თანდათანობით მონოგამიას უახლოვდებოდა. მკაცრ მონოგამიას ეს ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა, რადგან წარჩინებულთა მრავალცოლიანობა ნებადართული იყო. ქალიშვილების უბიწოებას საერთოდ მტკიცედ იცავდნენ (წინააღმდეგ კელტებისა);ასევე ტაციტი განსაკუთრებით გულთბილად ლაპარაკობს ცოლქმრული კავშირის დაურღვევლობაზე გერმანელებში. გაყრის საბაბად მას მოჰყავს მხოლოდ ცოლის მრუშობა. მაგრამ მისი ნაამბობი ბევრ ხარვეზს სტოვებს აქ და, გარდა ამისა, მეტისმეტად აშკარაა, რომ მისი მიზანია გარყვნილი რომაელები სათნოების სარკეში ჩაახედოს. ერთი რამ უეჭველია: თუნდაც რომ გერმანელები თავიანთ ტყეებში სათნოების ასეთი არაჩვეულებრივი რაინდები ყოფილიყვნენ, საკმარისი იყო მხოლოდ მცირეოდენი ურთიერთობა გარესამყაროსთან, რათა ისინი დანარჩენი ევროპელი საშუალო ადამიანების დონემდე დაქვეითებულიყვნენ. ზნე-ჩვეულებათა სიმკაცრის უკანასკნელი კვალი გაცილებით უფრო ჩქარა გაქრა რომაელთა სამყაროს საზღვრებში, ვიდრე გერმანული ენა. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია წავიკითხოთ გრიგოლ ტურელი. თ

ვისთავად გასაგებია, რომ გერმანელთა ულრან ტყეებში შეუძლებელია გაბატონებული ყოფილიყო ისე გაფაქიზებულად და გადაჭარბებულად ხორციელი სიამოვნება, როგორც ეს რომში იყო; და, ამრიგად, გერმანელებს ამ მხრივაც რომაელებთან შედარებით საკმაო და იმდენად თვალსაჩინო უპირატესობა რჩებათ, რომ საჭირო აღარაა მათ მივაწეროთ ისეთი თავშეკავება ხორციელ საქმეებში, რომელიც არსად და არასოდეს არ ყოფილა საერთო წესი მთელი ხალხისათვის.

გვაროვნული წყობილებიდან გამომდინარეობდა იმის ვალდებულება, რომ ადამიანს მემკვიდრეობით უნდა მიეღო მამის ან ნათესავის არა მარტო მეგობრული კავშირი, არამედ მტრული დამოკიდებულებაც სხვებთან; ასევე მემკვიდრეობით გადადიოდა ვირა, ე. ი. გამოსასყიდი ჯარიმა, სისხლის აღების ნაცვლად, ადამიანის მოკვლისა ან დასახიჩრებისათვის. ეს ვირა, რომელიც ჯერ კიდევ წინა თაობაში სპეციფიკურ გერმანულ დაწესებულებად იყო მიჩნეული, ახლა ასეულობით ხალხებში დადასტურებულია როგორც სისხლის აღების შერბილების საყოველთაო ფორმა, რომელიც გვაროვნული წყობილებიდან გამომდინარეობს. მას, ისევე როგორც სტუმართმოყვარეობის ვალდებულებას, სხვათა შორის, ამერიკელ ინდიელებშიც ვხვდებით; სტუმართმოყვარეობის ის აღწერა, რომელსაც ტაციტი იძლევა («გერმანია», თავი 21), თითქმის წვრილმანებშიც კი ემთხვევა ინდიელთა სტუმართმოყვარეობის აღწერას, რასაც მორგანი იძლევა.

ცხარე და დაუსრულებელი კამათი იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა უკვე საბოლოოდ დაყოფილი ტაციტის დროის გერმანელებს თავიანთი სახნავი მიწა და როგორ უნდა გავიგოთ ამასთან დაკავშირებული სათანადო ადგილები, — ახლა წარსულს ეკუთვნის. მას შემდეგ, რაც დამტკიცებულია, რომ თითქმის ყველა ხალხში არსებობდა სახნავი მიწების საერთო დამუშავება გვარის მიერ, ხოლო, შემდეგში კომუნისტური ოჯახური თემის მიერ, — რაც იულიუს კეისრის დამოწმებით სვევებს კიდევ ჰქონიათ, — და რომ ეს წესი შეცვლილა ცალკეულ ოჯახებს შორის მიწის განაწილებით და მისი პერიოდულად ხელახალი გადანაწილებით, მას შემდეგ, რაც დადგენილია, რომ სახნავი მიწის ეს პერიოდული გადანაწილება თვით გერმანიაში აქ-იქ დღემდე შენარჩუნებულია, — ამ დავაზე ლაპარაკიც კი აღარ ღირს. თუ გერმანელები 150 წლის მანძილზე, რითაც იულიუს კეისრის აღწერა ტაციტის დამოწმებისაგან დაშორებულია, გადავიდნენ მიწის საერთო დამუშავები-

დან, რასაც იულიუს კეისარი გარკვევით მიაწერს სვევებს (დანაწილებული ან კერძო სახნავი მიწები მათ სრულიად არ აქვთო, ამბობს იგი), მიწის დამუშავებაზე ცალკეულ მეურნეობათა მიერ ამ მიწის ყოველწლიური გადანაწილებით, — ეს მართლაც საკმაოდ მნიშვნელოვანი პროცესია; გადასვლა მიწის საერთო დამუშავებიდან მიწის სრულ საკუთრებაზე ასეთი მოკლე დროის განმავლობაში და გარედან ყოველგვარი ჩარევის გარეშე, პირდაპირ შეუძლებელია. მაშასადამე, ტაციტის ნათქვამში მე მხოლოდ იმას ვხედავ, რასაც იგი რამდენიმე სიტყვით ამბობს; ისინი იცვლიან (ან ხელახლა ანაწილებენ) დამუშავებულ მიწას ყოველ წელიწადს და ამასთან საკმაოდ რჩება თავისუფალი სათემო მიწა. ეს მიწათმოქმედებისა და მიწათსარგებლობის ის საფეხურია, რომელიც სავსებით შეესაბამება გერმანელთა მაშინდელ გვაროვნულ წყობილებას.

წინა აბზაცს მე უცვლელად ვტოვებ, იმ სახით, როგორც ის წინანდელ გამოცემებშია მოცემული. ამ ხნის განმავლობაში საკითხი სხვანაირად შეტრიალდა. მას შემდეგ, რაც კოვალევსკიმ (იხ. ზემოთ, გვ. 44 [1]) დაამტკიცა, რომ თუ ყველგან არა, ყოველ შემთხვევაში ფართოდ ყოფილა გავრცელებული პატრიარქალური სახლისეული თემი როგორც შუალედი საფეხური დედისუფლებიან კომუნისტურ ოჯახსა და თანამედროვე იზოლირებულ ოჯახს შორის, საკითხი უკვე აღარა დგას ისე, როგორც იგი იდგა ჯერ კიდევ მაურერიდან დაწყებული და ვაიცით გათავებული, — მიწის საერთო საკუთრება თუ კერძო საკუთრება, — ახლა საკითხი დგას საერთო საკუთრების ფ ო რ მ ი ს შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ იულიუს კეისრის დროს სვევებში არსებობდა არა მარტო მიწის საერთო საკუთრება, არამედ მიწის ერთად დამუშავებაც საერთო ხარჯზე. ჯერ კიდევ დიდ ხანს შეიძლება საკამათოდ დარჩეს, სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა გვარი, სახლისეული თემი ანდა მათ შორის მდებარე კომუნისტური ნათესაური ჯგუფი, თუ, ნიადაგის პირობებისდა მიხედვით, სამივე ჯგუფი არსებობდა. მაგრამ აი კოვალევსკი ამტკიცებს, ტაციტის მიერ აღწერილი წესწყობილება არა მარკის ან სოფლის თემის, არამედ სახლისეული თემის არსებობას გულისხმობსო; მხოლოდ ამ სახლისეული თემიდან

[1] **გვერდი ენგელსის მიერ ნაჩვენებია მეოთხე გამოცემის მიხედვით, ამ ტომში იხ. გვ. 276. რ ე დ.**

შემდეგში ბევრად უფრო გვიან, მოსახლეობის ზრდის შედეგად, სოფლის თემი განვითარდაო.

ამ შეხედულების თანახმად, გერმანელთა მოსახლეობა იმ ტერიტორიაზე, რომელიც მათ რომაელების დროს დაუკავებიათ ან შემდეგში რომაელებისათვის წაურთმევიათ, შედგებოდა არა სოფლებისაგან, არამედ დიდი ოჯახური თემებისაგან; ამ დიდი ოჯახების შემადგენლობაში შედიოდა რამდენიმე თაობა, რომელნიც სათანადო მიწის ნაკვეთს ამუშავებდნენ და ახლომახლო მდებარე ცარიელ ადგილებს მეზობლებთან ერთად იყენებდნენ როგორც საერთო მარკას. მაშინ ტაციტის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია დამუშავებული მიწის ცვლაზე, შეიძლებოდა მართლაც აგრონომიული აზრით გაგვეგო: თემი ყოველწლიურად ხნავდა სხვა ნაკვეთს, გასული წლის ნაყანევ მიწას კი ასვენებდა ან, გაბალახიანების მიზნით, სრულიად თავისუფლად უშვებდა. თხელი მოსახლეობის პირობებში ცარიელი ადგილები მუდამ საკმაო რაოდენობით რჩებოდა, ასე რომ ყოველივე დავა მიწის გულისათვის ზედმეტი იყო. მხოლოდ საუკუნეების შემდეგ, როცა სახლისეული თემების წევრთა რიცხვი ისე გაიზარდა, რომ წარმოების მაშინდელ პირობებში საერთო მეურნეობის გაძღოლა შეუძლებელი გახდა, სახლისეული თემები დაიშალა; აქამდე საერთო მფლობელობაში მყოფი სახნავ-სათესი მიწები და სათიბები უკვე ცნობილი წესის მიხედვით დაყოფილ იქნა ახლად წარმოშობილ ცალკეულ ოჯახურ მეურნეობებს შორის, თავდაპირველად დროებით, შემდეგში კი — ერთხელ და სამუდამოდ, მაშინ როდესაც ტყეები, საძოვრები და წყალი საერთო სარგებლობაში დარჩა.

რუსეთისათვის განვითარების ასეთი მსვლელობა ისტორიულად **სრულიად** დამტკიცებული ჩანს. რაც შეეხება გერმანიას და, მეორე რიგში, დანარჩენ გერმანულ ქვეყნებს, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ეს ვარაუდი მრავალმხრივ უკეთესად განმარტავს წყაროებს და უფრო ადვილად წყვეტს სიძნელეებს, ვიდრე დღემდე გავრცელებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით სოფლის თემის არსებობა ჯერ კიდევ ტაციტის ხანას მიეკუთვნება. უძველესი დოკუმენტები, როგორიცა, მაგალითად, Codex Laureshamensis[1], საერთოდ ბევრად უკეთ შეიძლება ავხსნათ სახლისეული თემის შემწეობით, ვიდრე სასოფლო-სამარკო თემის საშუალებით. მეორე

[1] Codex Laureshamensis — ქალაქ ლორხის საადგილ-მამულო წიგნი. რ ე დ.

მხრივ, ეს ახსნა-განმარტება კვლავ ახალ სიძნელეებს და ახალ, ჯერ კიდევ გადასაწყვეტ საკითხებს წარმოშობს. აქ მხოლოდ ახალ გამოკვლევებს შეუძლიათ ამ საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტა; მაგრამ მე არ შემიძლია უარვყო, რომ სახლისეული თემი, როგორც შუალედი საფეხური, ადვილად შეიძლება აგრეთვე არსებულიყო გერმანიასა, სკანდინავიასა და ინგლისში.

მაშინ როდესაც იულიუს კეისრის დროს გერმანელებს ნაწილობრივ მხოლოდ ახლახან ჰქონდათ დაკავებული მკვიდრი საცხოვრებელი ტერიტორია, ნაწილობრივ კი ასეთ ტერიტორიას ეძებდნენ, ტაციტის დროს ისინი უკვე მთელი საუკუნით ადრე მკვიდრი მობინადრენი იყვნენ; ამის შესაბამისად უეჭველია, რომ ადგილი ჰქონდა გარკვეულ პროგრესს საარსებო საშუალებათა წარმოებაში. ისინი ცხოვრობენ ძელურ სახლებში (Blockhäuser); მათი ტანსაცმელი ჯერ კიდევ მეტად პრიმიტიულია, ეს ტყის მცხოვრებთა ტანისამოსია: უხეში შალის ლაბადა, ცხოველის ტყავი; წარჩინებული პირები და ქალები იცვამენ ტილოს საცვალს. მათი საჭმელია: რძე, ხორცი, ტყის ხილი და, როგორც პლინიუსი უმატებს, შვრიის ფაფა (რომელიც დღესაც კელტების ნაციონალურ კერძს წარმოადგენს ირლანდიასა და შოტლანდიაში). მათს სიმდიდრეს შეადგენს პირუტყვი, მაგრამ ცუდი ჯიშისა: ურჩო ხარები და ძროხები, პატარა ტანის, უთვალადო; პატარა ჯაგლაგა და ჩორთითმავალი ცხენები. ფულს იშვიათად ხმარობდნენ, ისიც მხოლოდ რომაულს. ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობას გერმანელები არც ამზადებდნენ და არც აფასებდნენ, რკინა იშვიათი იყო და, როგორც ეტყობა, ყოველ შემთხვევაში რაინისა და დუნაის ნაპირებზე მცხოვრებ ტომებში დამოუკიდებლად კი არ ეწეოდნენ მის ამოღებას, არამედ თითქმის მარტო ვარედან შემოჰქონდათ. რუნული დამწერლობა (რაც ბერძნული ან ლათინური ასოების წაბაძვა იყო) ცნობილი იყო მხოლოდ როგორც საიდუმლო დამწერლობა და მარტო რელიგიური ჯადოქრობისათვის იხმარებოდა. ჯერ კიდევ ჩვეულებად ჰქონდათ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა. ერთი სიტყვით, აქ ჩვენს წინაშეა ისეთი ხალხი, რომელიც ეს-ეს არის ბარბაროსობის შუა საფეხურიდან უმაღლეს საფეხურზე ასულა. მაგრამ მაშინ როდესაც რომაელებთან უშუალოდ მოსაზღვრე ტომებში დამოუკიდებელი, მეტალურგიული და საფეიქრო წარმოების განვითარება რომაული მრეწველობის პროდუქტების ადვილად შემოზიდვის გამო დაბრკოლებულა, უეჭველია, ასეთი წარმოება განვითარებულა ჩრდილო-აღმო-

საკლეთში, ბალტიის ზღვის ნაპირას. შლეზვიგის ჭაობებში აღმოჩენილი საჭურველი — გრძელი რკინის მახვილი, აბჯარი, ვერცხლის მუზარადი და სხვ. — მეორე საუკუნის დასასრულის რომაულ მონეტებთან ერთად, და ხალხთა გადასახლების წყალობით გავრცელებული გერმანული ლითონის ნაწარმი — ეს საკმაოდ განვითარებული და სრულიად თავისებური ხელოვნების პროდუქტებია იმ შემთხვევებშიც კი, როცა ისინი თავდაპირველად რომაული ნიმუშების მიბაძვით არიან დამზადებული. ცივილიზებულ რომის იმპერიაში გადასახლებამ გერმანელთა ტომების ამ ადგილობრივ წარმოებას ბოლო მოუღო ყველგან, გარდა ინგლისისა. თუ როგორ ერთნაირად წარმოშობილა და შემდგომ განვითარებულა ეს წარმოება, ამას გვიჩვენებს, მაგალითად, ბრინჯაოს სამაჯურები; ბურგუნდიაში, რუმინეთში და აზოვის ზღვაზე აღმოჩენილი სამაჯურები შესაძლებელია იმავე სახელოსნოდან იყოს გამოსული, საიდანაც ინგლისური და შვედური სამაჯურებია მიღებული, ყველანი კი უეჭველად გერმანული წარმოშობის არიან.

ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურს შეეფერება გერმანელთა მმართველობის ორგანიზაციაც ყველგან არსებობდა, ტაციტის მიხედვით, უხუცესთა (principes) საბჭო, რომელიც წყვეტდა უფრო პატარა საქმეებს, უფრო მნიშვნელოვან საქმეებს კი სახალხო კრებაზე გადასაწყვეტად აშზადებდა. სახალხო კრება ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე, ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც მას ვიცნობთ, სახელდობრ, ამერიკელებში, არსებობს მხოლოდ გვარისათვის, მაგრამ არა ტომისათვის ანდა ტომების კავშირისათვის. უხუცესნი (principes) ჯერ კიდევ მკვეთრად განირჩევიან მხედართმთავრებისაგან (duces), სწორედ ისევე როგორც ირიკეზებში. პირველნი ცხოვრობენ უკვე ნაწილობრივ ტომის წევრების საპატიო ძღვნით, რომელიც შედგება პირუტყვისაგან, პურისაგან და ა. შ.; უხუცესთ ირჩევენ, ისევე როგორც ამერიკაში, უმეტეს ნაწილად ერთი და იმავე ოჯახიდან; მამის უფლებაზე გადასვლა, ისევე როგორც საბერძნეთსა და რომში, ხელს უწყობს არჩევითი საწყისის თანდათან გადაქცევას მემკვიდრეობის უფლებად და ამით წარჩინებულთა ოჯახის წარმოშობას თვითეულ გვარში. ეს უძველესი, ეგრეთწოდებული ტომობრივი არისტოკრატია მეტწილად დაიღუპა ხალხთა გადასახლების დროს ანდა სულ მალე ამის შემდეგ. მხედართმთავრებს ირჩევდნენ არა წარმოშობის, არამედ მხოლოდ ვარგისობის მიხედვით. მათ მცირე ძალაუფლება ჰქონდათ და თავიანთი მაგალითით უნდა მოეხდინათ გავლენა;

ნამდვილ დისციპლინარულ ძალაუფლებას ჯარში ტაციტი გარკვევით ქურუმებს მიაწერს. ნამდვილი ხელისუფლება სახალხო კრების ხელში იყო. თავმჯდომარეობს მეფე ან ტომის უხუცესი; ხალხს გამოაქვს გადაწყვეტილება: უარყოფითი — დრტვინვით, დადებითი — მოწონების შეძახილით და იარაღის ჟღარუნით. სახალხო კრება ამავე დროს სამსჯავროცაა; აქ შემოდის საჩივრები, აქვე ირჩევა ისინი და აქვე გამოაქვთ სიკვდილის განაჩენი, ამასთან სიკვდილით სჯიან მხოლოდ სიმხდალისათვის, ღალატისათვის და არაბუნებრივი სქესობრივი გარყვნილებისათვის. გვარებსა და სხვა ქვეგანყოფილებებშიც მთელი კრება ასამართლებს უხუცესის თავმჯდომარეობით, რომელიც, ისევე როგორც ყველა გერმანულ თავდაპირველ სასამართლოში, მხოლოდ პროცესის ხელმძღვანელი და კითხვების მიმცემი უნდა ყოფილიყო; განაჩენი გერმანელებში იმთავითვე და ყველგან მთელ კოლექტივს გამოჰქონდა.

იულიუს კეისრის დროიდან ტომთა კავშირები შეიქმნა; ზოგიერთ მათგანს უკვე მეფე ჰყავდა; უმაღლესი მთავარსარდალი, ისევე როგორც ბერძნებსა და რომაელებში, უკვე ტირანული ხელისუფლებისაკენ მიილტვოდა და ზოგჯერ კიდეც აღწევდა მას. თუმცა ასეთი ბედნიერი უზურპატორები სრულიადაც არ ყოფილან შეუზღუდველი მბრძანებლები; მაგრამ ისინი უკვე იწყებდნენ გვაროვნული წყობილების ბორკილების დამსხვრევას. მაშინ როდესაც განთავისუფლებულ მონებს საერთოდ დაქვემდებარებული მდგომარეობა ეკავთ, რადგან მათ არ შეეძლოთ რომელიმე გვარის წევრები ყოფილიყვნენ, ახალი მეფეების ხელში ზოგიერთი ასეთი გამორჩეული პირი ხშირად მაღალ თანამდებობას, სიმდიდრესა და პატივს აღწევდა. ასეთივე ამბავი ხდებოდა რომის იმპერიის დაპყრობის შემდეგაც; ეს დაპყრობა მოახდინეს მხედართმთავრებმა, რომელნიც ახლა დიდი ქვეყნების მეფეები გახდნენ. ფრანკებში მეფის მონები და განთავისუფლებულნი დიდ როლს ასრულებდნენ ჯერ სასახლეში, შემდეგ კი სახელმწიფოში; ახალი თავადაზნაურობა უმეტეს ნაწილად მათგან წარმოდგება.

ერთმა დაწესებულებამ შეუწყო ხელი სამეფო ხელისუფლების წარმოშობას: ეს იყო ლაშქარი. უკვე ამერიკელ წითელკანიანებში დავინახეთ, თუ როგორ იქმნებიან გვაროვნული წყობილების გვერდით კერძო გაერთიანებანი იმ მიზნით, რომ საკუთარი რისკით ომი აწარმოონ. გერმანელებში ეს კერძო გაერთიანებანი უკვე მუდმივ კავშირებად იქცნენ. სარდალი, რომელსაც ერთგვარი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, თავის გარშემო იკრებდა დავლის მაძი-

ებელ ახალგაზრდობას; ახალგაზრდობა და სარდალი ერთმანეთს ერთგულებას აღუთქვამდნენ. სარდალი ინახავდა და ასაჩუქრებდა ახალგაზრდებს, აწესებდა გარკვეულ იერარქიას მათ შორის; უმნიშვნელო ლაშქრობისათვის განკუთვნილი იყო მცველთა რაზმი და ბრძოლისათვის მუდამ მზადმყოფი ჯარი, უფრო დიდი ლაშქრობისათვის კი ოფიცერთა მზა კადრი არსებობდა. რაგინდ სუსტიც უნდა ყოფილიყო ეს ლაშქარი, და მართლაც იგი ასეთად გვევლინება შემდეგში, მაგალითად, ოდოაკრის ლაშქარი იტალიაში, მაინც მასში მოჩანდა ძველი სახალხო თავისუფლების დაქვეითების ჩანასახი, და სწორედ ასეთი როლი შეასრულა მან ხალხთა გადასახლების დროს და მის შემდეგაც. ეს იმიტომ, რომ, ჯერ-ერთი, ეს ლაშქარი ხელს უწყობდა სამეფო ხელისუფლების წარმოშობას; მეორე კი, როგორც უკვე ტაციტი აღნიშნავს, მისი ორგანიზაციის შენარჩუნება შეიძლებოდა მხოლოდ განუწყვეტელი ომებითა და ყაჩაღური თარეშით. ძარცვა-გლეჯა მიზნად იქცა. თუ ლაშქრის წინამძღოლს მახლობლად არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი, იგი თავისი რაზმით სხვა ხალხებში გადადიოდა, სადაც ომი წარმოებდა და დავლის მიღების იმედიც იყო; გერმანელი ტომებისაგან შედგენილი დამხმარე ჯარები, რომელნიც რომაული დროშით გერმანელების წინააღმდეგაც კი მასობრივად იბრძოდნენ, ნაწილობრივ ასეთი ლაშქრებისაგან შედგებოდა. სამხედრო დაქირავების სისტემა — ეს სამარცხვინო ლაქა და შეჩვენება გერმანელებისათვის — აქ უკვე მოცემული იყო თავისი პირველი ფორმით. რომის იმპერიის დაპყრობის შემდეგ მეფეთა ამ მოლაშქრეებმა, არათავისუფალ პირებსა და რომაელ კარის მსახურებთან ერთად, მერმინდელი თავადაზნაურობის მეორე მთავარი შემადგენელი ნაწილი შექმნეს.

ამასადამე, საერთოდ თუ ავიღებთ, ხალხებად გაერთიანებულ გერმანულ ტომებში ისეთივე მმართველობის ორგანიზაცია არსებობდა, როგორიც გმირული ეპოქის ბერძნებში და ეგრეთწოდებულ მეფეთა დროის რომაელებში განვითარდა: სახალხო კრება, გვარის უხუცესთა საბჭო და მხედართმთავარი, რომელიც უკვე ნამდვილი სამეფო ხელისუფლებისაკენ მიისწრაფის. ეს იყო მმართველობის ყველაზე განვითარებული ორგანიზაცია, რომელიც კი საერთოდ გვაროვნული წესწყობილების პირობებში შეიძლებოდა განვითარებულიყო. ეს იყო ბარბაროსობის უმაღლესი საფეხურის მმართველობის სანიმუშო ორგანიზაცია. საკმარისი იყო საზოგადოება გასცილებოდა იმ საზღვრებს, რომლის ფარგლებშიც ეს

ორგანიზაცია თავის დანიშნულებას უპასუხებდა, და გვაროვნულ წესწყობილებასაც ბოლო ეღებოდა; იგი იმსხვრეოდა, მის ადგილს სახელმწიფო იკავებდა.

VIII

გერმანელების სახელმწიფოს შექმნა

გერმანელები, ტაციტის დამოწმებით, მეტად მრავალრიცხოვანი ხალხი იყო. ცალკეული გერმანული ხალხების რიცხვის შესახებ დაახლოებით წარმოდგენას ვღებულობთ იულიუს კეისრის ცნობებიდან; რაინის მარცხენა ნაპირას გადმოსული უზიპეტებისა და ტენქტერების რიცხვს, დედაკაცებისა და ბავშვების ჩათვლით, იგი განსაზღვრავს 180 000 სულის რაოდენობით, მაშასადამე, თვითეულ ცალკეულ ხალხს უწევს დაახლოებით 100000 სული,[1] რაც უკვე გაცილებით მეტია, ვიდრე, მაგალითად, იროკეზების მთელი რიცხვი მათი აყვავების ხანაში, როცა ისინი, მართალია, ძლივს თუ აღწევდნენ 20000 სულს, მაგრამ მთელ ქვეყანას შიშის ზარს სცემდნენ, დიდი ტბებიდან დაწყებული ოჰაიოსა და პოტომაკამდე. თუ შევეცდებით რაინის მახლობლად დასახლებული, უფრო ცნობილი ხალხების დაჯგუფებას იმ ცნობების მიხედვით, რაც ჩვენ მათ შესახებ მოგვეპოვება, მაშინ ყოველი ასეთი ცალკეული ხალხი გეოგრაფიულ რუკაზე საშუალოდ დაიკავებს დაახლოებით პრუსიის ადმინისტრაციული ოლქის ოდენა ტერიტორიას, ე. ი. დაახლოებით 10000 კვადრატულ კილომეტრს, ანუ 182 კვადრატულ გეოგრაფიულ მილს. მაგრამ რომაელების Germania Magna[2] ვისლამდე, მოიცავს, მრგვალი ციფრებით რომ გამოვხატოთ, 500 000 კვადრატულ კილომეტრს. თუ ცალკეული ხალხების საშუალო რიცხვს 100 000 კაცის რაოდენობით ავიღებთ, მთელი დიდი გერმა-

[1] აქ ნავარაუდევ რიცხვს ადასტურებს დიოდორეს ერთი ადგილი გალიის კელტების შესახებ: «გალიაში მრავალი ხალხი ცხოვრობს, რომელთა რაოდენობა თანაბარი არაა. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვან ხალხში სულთა რაოდენობა დაახლოებით 200 000 შეადგენს, ყველაზე მცირერიცხოვანში კი — 50000» (Diodorus Siculus, V, 25). მაშასადამე, საშუალოდ — 125 000; გალიის ცალკეული ხალხები, მათი განვითარების უფრო მაღალი დონის გამო, უეჭველია, რამდენადმე უფრო მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე გერმანელები. (ენგელსის შენიშვნა).

[2] — დიდი გერმანია. რედ.

ნიის მცხოვრებთა საერთო ოდენობა დაახლოებით ხუთ მილიონამდე იქნებოდა; ხალხთა ბარბაროსული ჯგუფისათვის ეს მნიშვნელოვანი ციფრია. ჩვენი დღევანდელი პირობებისათვის კი — 10 სული კვადრატულ კილომეტრზე, ანუ 550 ერთ კვადრატულ გეოგრაფიულ მილზე — მეტად მცირეა. მაგრამ ამით სრულიადაც არ ამოიწურება იმ დროს მცხოვრები გერმანელების რიცხვი. ჩვენ ვიცით, რომ კარპატების გასწვრივ დუნაის შესართავამდე ცხოვრობდნენ გოთური ტომის გერმანელი ხალხები — ბასტარნები, პევკინები და სხვები, იმდენად მრავალრიცხოვანნი, რომ პლინიუსს ისინი გერმანელების მეხუთე მთავარ ტომად მიაჩნდა და რომ ამ ხალხებს, რომელნიც უკვე 180 წლის განმავლობაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაქირავებული მეომრების სახით მაკედონიის მეფის პერსეოსის ჯარებში იმყოფებოდნენ, ჯერ კიდევ ავგუსტუსის ეფობის პირველ წლებში ადრიანოპოლის მიდამოებამდე მიეღწევიათ. თუ მათ რიცხვს მხოლოდ ერთი მილიონი სულის რაოდენობით ვიანგარიშებთ, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გერმანელების რიცხვი ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყების დროს, სულ ცოტა, ექვსი მილიონი მაინც იქნებოდა.

მას შემდეგ, რაც ისინი გერმანიაში დასახლდნენ, მოსახლეობა სულ უფრო ჩქარი სისწრაფით უნდა გამრავლებულიყო; ამის დასადასტურებლად საკმარისი იქნებოდა მარტო ის წარმატებანი წარმოების განვითარების დარგში, რაც ზემოთ იყო აღნიშნული. შლეზვიგის ჭაობებში ნახული ნივთები, თუ მათში აღმოჩენილი რომაული მონეტების მიხედვით ვიმსჯელებთ, მესამე საუკუნეს ეკუთვნის. მაშასადამე, ამ დროისათვის ბალტიის ზღვის ნაპირებზე უკვე არსებულა ლითონისა და საფეიქრო ნაწარმის განვითარებული წარმოება, უკვე გაჩაღებული ყოფილა სავაჭრო ურთიერთობა რომის იმპერიასთან და მდიდრებს შორის ცნობილი ყოფილა ფუფუნება; ყოველივე ეს კი უფრო მჭიდრო მოსახლეობის ნიშნებია. მაგრამ ამავე ხანაში იწყება აგრეთვე გერმანელების საერთო შეტევა რაინის, რომის მოსაზღვრე სანგრებისა და დუნაის მთელი ხაზით, ჩრდილოეთის ზღვიდან მოყოლებული შავზღვამდე, რაც პირდაპირ ადასტურებს იმას, რომ მოსახლეობა სულ უფრო და უფრო მატულობს და თავისი საზღვრების გაფართოებისაკენ მიილტვის. სამასი წელიწადი გრძელდებოდა ის ბრძოლა, რომლის განმავლობაში გოთური ხალხების მთელი მთავარი ტომი (სკანდინაველი გოთებისა და ბურგუნდების გამოკლებით) სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაიძრა და ფართოდ გაშლილი შეტე-

ვითი ხაზის მარცხენა ფრთა შექმნა; ამ ხაზის ცენტრში ზემოგერმანელები (ჰერმინონები) გაიჭრნენ ზემო დუნაისაკენ, ხოლო მარჯვენა ფრთაზე ისტევონები, ახლა ფრანკებად წოდებულნი, — რაინისაკენ; ინგევონებს წილად ხვდათ ბრიტანეთის დაპყრობა. მეხუთე საუკუნის დასასრულს გერმანელებისათვის გზა ხსნილი იყო დაუძლურებულ, სისხლისაგან დაცლილ და უმწეო რომის იმპერიაში შესაჭრელად.

ზემოთ ჩვენ ანტიკური ბერძნული და რომაული ცივილიზაციის აკვანთან ვიდექით. ახლა კი მის სამარესთან ვდგევართ. ხმელთაშუა ზღვის ბასეინის ყველა ქვეყანას შეეხო რომის მსოფლიო ბატონობის მანიველირებელი შალაშინი, და ეს ასეული წლების მანძილზე მოხდა. იქ, სადაც ბერძნულ ენას წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, ყველა ნაციონალურ ენას ადგილი უნდა დაეთმო შერყვნილი ლათინურისათვის; გაქრა ყოველგვარი ნაციონალური სხვაობა, აღარ არსებობდნენ უკვე გალები, იბერიელები, ლიგურელები, ნორიკელები — ყველანი რომაელებად იქცნენ. რომის მმართველობამ და რომის სამართალმა ყველგან დაშალეს ძველი გვაროვნული კავშირები და ამით მოსპეს ადგილობრივი და ნაციონალური თვითმოქმედების უკანასკნელი ნაშთები. ახლად გამომცხვარი რომაული მოქალაქეობა ამის სამაგიეროდ ვერაფერს იძლეოდა; იგი გამოხატავდა არა ეროვნულობას, არამედ ამ ეროვნულობის უქონლობას. ახალი ერების ელემენტები ყველგან იყო გაბნეული; სხვადასხვა პროვინციების ლათინური დიალექტები სულ უფრო და უფრო ითიშებოდნენ ერთმანეთისაგან. ბუნებრივი საზღვრები, რომლებმაც ოდესღაც იტალია, გალია, ესპანეთი, აფრიკა დამოუკიდებელ მხარეებად აქციეს, ჯერ კიდევ არსებობდა და კიდევ იგრძნობდა. მაგრამ არსად ჩანდა ძალა, რომელიც შეძლებდა ამ ელემენტების ახალ ერებად შედუღებას; არსად ჩანდა ჯერ კიდევ ნიშანკვალი განვითარების უნარისა, წინააღმდეგობის ძალისა, სულაც რომ არაფერი ვთქვათ შემოქმედებითს ენერგიაზე. ადამიანთა უდიდესი მასისათვის უზარმაზარ ტერიტორიაზე ერთადერთ გამაერთიანებელ ძალას წარმოადგენდა რომის სახელმწიფო, ეს უკანასკნელი კი დროთა მსვლელობაში ამ მასის უბოროტესი მტერი და მჩაგვრელი გახდა. პროვინციებმა გაანადგურეს რომი; თვითონ რომი პროვინციულ ქალაქად გადაიქცა, სხვა ქალაქების მსგავსად; მართალია, იგი პრივილეგირებული ქალაქი იყო, მაგრამ უკვე ეღარ ბრძანებლობდა, აღარ წარმოადგენდა უკვე მსოფლიო იმპერიის ცენტრს, იგი რეზიდენციაც კი აღარ იყო იმ იმპერატორ-

ბისა და მათი ნაცვალთათვის, რომელნიც ახლა კონსტანტინეპოლსა, ტრირსა და მილანოში ცხოვრობდნენ. რომის სახელმწიფო უზარმაზარ, რთულ მანქანად იქცა და მისი დანიშნულება მარტოოდენ ის იყო, რომ ქვეშევრდომთათვის სისხლი გამოეწოვა. გადასახადები, სახელმწიფო ბეგარა და ყოველნაირი გამოსაღები მოსახლეობის მასას სულ უფრო და უფრო საშინელ სიღატაკეში აგდებდა; ეს ჩაგვრა ძლიერდებოდა და აუტანელი ხდებოდა ნაცვალთა, გადასახადის ამკრეფთა და ჯარისკაცების გამოძალვათა შემწეობით. აი რა მოჰყვა შედეგად რომის სახელმწიფოს და მის მსოფლიო ბატონობას: იგი თავის არსებობას იმით ასაბუთებდა, რომ შიგნით წესრიგს იცავდა, ხოლო გარედან ბარბაროსებს იგერიებდა; მაგრამ მისი წესრიგი უარესი იყო, ვიდრე ყველაზე საშინელი უწესრიგობა, ხოლო ბარბაროსებს, რომელთაგანაც მოქალაქეთა დაცვას იგი ვითომდა კისრულობდა, ეს მოქალაქენი მხსნელებად მოელოდნენ.

არანაკლებ უნუგეშო იყო საზოგადოების მდგომარეობა. უკვე რესპუბლიკის უკანასკნელი ხანიდან დაწყებული რომაელთა ბატონობა დაპყრობილი პროვინციების ულმობელ ექსპლოატაციად გადაიქცა; იმპერიამ ეს ექსპლოატაცია არათუ არ მოსპო, არამედ, პირიქით, იგი სისტემად აქცია. რაც უფრო მეტ დაქვეითებას განიცდიდა იმპერია, მით უფრ იზრდებოდა გადასახადები და ბეგარა, მით უფრო უსირცხვილოდ ძარცვავდნენ და აძვალტყავებდნენ მოხელეები ხალხს. ვაჭრობა და მრეწველობა არასოდეს არ ყოფილა ხალხებზე გაბატონებულ რომაელთა საქმე; მხოლოდ მევახშეობის დარგში გადააჭარბეს მათ ყოველივე იმას, რაც კი მათზე ადრე ან მათს შემდეგ ყოფილა. ის, რაც მათ დახვდა და რაც ვაჭრობიდან შემონახული იყო, განადგურდა მოხელეთა გამოძალვის მეოხებით; ხოლო რაც გადარჩა, ის უწევს იმპერიის აღმოსავლურ, ბერძნულ ნაწილს, რომელიც ჩვენი განხილვის ფარგლებს გარეშეა. საყოველთაო გაღატაკება, სავაჭრო ურთიერთობის შემცირება, ხელოსნობის, ხელოვნების დაქვეითება, მოსახლეობის შემცირება, ქალაქების დაქვეითება, მიწათმოქმედების უფრო დაბალ საფეხურზე დაბრუნება, — ასეთი იყო რომის მსოფლიო ბატონობის საბოლოო შედეგი.

მიწათმოქმედებამ, რომელიც წარმოების გადამწყვეტი დარგი იყო მთელს ძველ მსოფლიოში, ახლა კვლავ უფრო დიდი მნიშვნელობა მოიპოვა, ვიდრე ოდესმე. იტალიაში მამულების უზარმაზარ

კომპლექსებს (ლატიფუნდიებს), რომელთაც რესპუბლიკის უკანასკნელი ხანიდან თითქმის მთელი ტერიტორია ეჭირათ, ორნაირად იყენებდნენ: ან საძოვრებისათვის, სადაც მოსახლეობის ადგილი ცხვრებმა და ხარებმა დაიკავეს, რომელთა მოვლა ორიოდე მონას მოითხოვდა, ანდა ვილებად, სადაც აუარებელი მონების შემწეობით მებაღეობას ეწეოდნენ დიდი მასშტაბით — ნაწილობრივ მათი მფლობელის ფუფუნების საგნების საწარმოებლად, ნაწილობრივ კი ქალაქის ბაზრებზე გასასაღებლად. დიდი საძოვრები შენახული დარჩა და გაფართოვდა კიდეც. მამულები-ვილები და მათი მებაღეობა დაქვეითდა მათი მფლობელების გაღარიბებასა და ქალაქების გაპარტახებასთან ერთად. ლატიფუნდიების მეურნეობა, რომელიც მონურ შრომაზე იყო დაფუძნებული, უკვე აღარ იძლეოდა შემოსავალს; მაგრამ იმ ეპოქაში იგი მსხვილი მიწათმოქმედების ერთადერთი შესაძლებელი ფორმა იყო. წვრილი მეურნეობა კვლავ გახდა მიწათმოქმედების ერთადერთი ხელსაყრელი ფორმა. ვილები ერთი მეორის მიყოლებით პატარა პარცელებად ქუცმაცდებოდა და ეძლეოდა ან მემკვიდრეობითს მოიჯარეებს, რომელნიც გარკვეულ თანხას იხდიდნენ, ანდა მოზიარეებს — patriarii-ებს, რომელნიც უფრო მმართველები იყვნენ, ვიდრე მოიჯარეები და თავიანთი შრომისათვის წლიური პროდუქტის მეექვსედ ანდა სულ მხოლოდ მეცხრედ ნაწილს ღებულობდნენ. უმთავრესად კი ეს წვრილი პარცელები ეძლეოდა კოლონებს, რომელნიც გარკვეულ წლიურ თანხას იხდიდნენ, მიმაგრებულნი იყვნენ მიწის ნაკვეთზე და თავიანთ პარცელასთან ერთად ყიდვა-გაყიდვის საგანს შეადგენდენ; თუმცა ისინი მონები არ იყვნენ, მაგრამ არც თავისუფალ მოქალაქეებად ითვლებოდნენ; მათ არ შეეძლოთ თავისუფალ მოქალაქეებს შეუღლებოდნენ და მათი ერთმანეთს შორის შეუღლება კანონიერ ცოლქმრობად კი არ იყო მიჩნეული, არამედ იგი, მსგავსად მონების ცოლქმრობისა, უბრალო თანაცხოვრებად (contubernium) ითვლებოდა. ისინი შუა საუკუნეების ყმების წინამორბედები იყვნენ.

ანტიკურმა მონობამ თავისი დრო მოჭამა. არც მსხვილ მიწათმოქმედებაში, არც ქალაქის მანუფაქტურაში იგი უკვე აღარ იძლეოდა ისეთ შემოსავალს, რომელსაც დახარჯული შრომის ანაზღაურება შეეძლო, — ბაზარიც მისი პროდუქტებისათვის გაქრა. წვრილ მიწათმოქმედებასა და წვრილ ხელოსნობაში კი, რაზედაც დაყვანილ იქნა იმპერიის აყვავების ხანის კოლოსალურ მიწათმფლობელურ მეურნეობათა წარმოება, აღარ იყო უკვე ადგილი მრავალ-

რიცხოვანი მონებისათვის. მხოლოდ იმ მონებს, რომლებიც მდიდართა ოჯახურ მეურნეობას და ამ მდიდართა ფუფუნებაში ყოფნას ემსახურებოდნენ, რჩებოდათ კიდევ ადგილი საზოგადოებაში. მაგრამ მოპაკვდავ მონობას ჯერ კიდევ საკმაო ძალა შესწევდა იმისათვის, რომ ყოველი მწარმოებელი შრომა აღიარებული ყოფილიყო ყველას მიერ ისეთ მონურ საქმედ, რომელიც თავისუფალ რომაელებს, — ახლა კი ყველანი ასეთები იყვნენ, — არ შეეფერებოდა. ამის შედეგი იყო, ერთი მხრივ, ზედმეტი, მძიმე ტვირთად ქცეული განთავისუფლებული მონების რიცხვის ზრდა, მეორე მხრივ კი, ალაგ კოლონების, ალაგ კი გაღატაკებული თავისუფალი მოქალაქეების (ამერიკის ყოფილი მონური შტატების poor whites [1] მსგავსად) რიცხვის გადიდება. ქრისტიანობას სრულიად არაფითარი ბრალი არ მიუძღვის ანტიკური მონობის თანდათანობითს კვდომაში. საუკუნეების მანძილზე იგი ეგუებოდა რომის იმპერიაში მონობის არსებობას და შემდეგშიც მას არასდროს ხელი არ შეუშლია მონებით ვაჭრობაში ქრისტიანებისათვის, არც გერმანელებისათვის ჩრდილოეთში, არც ვენეციელებისათვის ხმელთაშუა ზღვაზე, არც კიდევ მერმინდელი ზანგებით ვაჭრობისათვის. [2] მონობა ველარ ანაზღაურებდა თავის ხარჯებს და ამიტომ მოისპო. მაგრამ მოპაკვდავმა მონობამ თავისი შხამიანი ნესტარი დასტოვა მწარმოებელი შრომისადმი თავისუფალ მოქალაქეთა ზიზღში. ეს იყო ის გამოუვალი ჩიხი, რომელშიც რომაელთა სამყარო მოექცა: მონობა ეკონომიურად შეუძლებელი გახდა, თავისუფალ ადამიანთა შრომა მორალურად საძულველი იყო. პირველს უკვე აღარ შეეძლო ყოფილიყო, მეორე კი ჯერ კიდევ ვერ გამხდარიყო ძირითადი ფორმა საზოგადოებრივი წარმოებისა. ამ მდგომარეობიდან გამოყვანა მხოლოდ რადიკალურ რევოლუციას შეეძლო.

არც პროვინციებში იყო უკეთესი მდგომარეობა. ყველაზე მეტი ცნობები გვაქვს გალიის შესახებ. კოლონების გვერდით აქ ჯერ კიდევ არსებობდნენ თავისუფალი წვრილი გლეხები. იმისათვის, რომ თავიანთი თავი უზრუნველეყოთ მოხელეების, მსაჯულებისა და მევახშეების ძალმომრეობისაგან, ისინი ხშირად მიმართავდნენ რო-

[1] — თეთრი ლატაკების. რედ.

[2] ეპისკოპოს ლიუტპრანდე კრემონელის დამოწმებით, X საუკუნეში ვერდენში, მაშასადამე, წმინდა გერმანიის იმპერიაში, მრეწველობის მთავარ დარგს წარმოადგენდა სპეტრისების ფაბრიკაცია, რომლებიც დიდი მოგების მიღების მიზნით ესპანეთში მიჰყავდათ მაგრების ჰარამხანებისათვის. (ენგელსის შენიშვნა).

შელიმე მძლავრი პიროვნების მფარველობას, პატრონატს; ასე იქ-ცეოდნენ არა მარტო ცალკეული გლეხები, არამედ მთელი თემე-ბიც, ასე რომ იმპერატორებმა IV საუკუნეში ამ მფარველობის ძიების ასაკრძალავად მრავალჯერ გამოსცეს ბრძანებულებანი. მაგ-რამ რას აძლევდა ეს მფარველობის მაძიებელს? პატრონი მათ პირობას უყენებდა, რომ მისთვის უნდა გადაეცათ თავიანთი მი-წის ნაკვეთების საკუთრების უფლება, თვითონ კი სამაგიეროდ გარანტიას აძლევდა მათ, რომ ამ მიწის ნაკვეთებით ისინი სიკვდი-ლამდე ისარგებლებდნენ. ეს ხრიკი აითვისა წმინდა ეკლესიამ და მას გულმოდგინეთ იყენებდა იგი IX და X საუკუნეებში ღვთის სა-მეფოსა და საკუთარი მიწათმფლობელობის გასაფართოებლად. მარ-თალია, დაახლოებით 475 წელს ეპისკოპოსი სალვანუს მარსელე-ლი ჯერ კიდევ აღშფოთებას გამოთქვამს ასეთი ძარცვის წინააღ-მდეგ და მოგვითხრობს, რომ რომაელი მოხელეებისა და მსხვილი მიწათმფლობელების ძალმომრეობა ისე აუტანელი გახდა, რომ ბევრი «რომაელი» უკვე ბარბაროსების მიერ დაკავებულ ადგილებში გარ-ბის და იქ დასახლებულ რომაელ მოქალაქეებს არაფრის ისე არ ეშინიათ, როგორც იმისა, რომ ისევ რომაელების ბატონობის ქვეშ არ მოხვდენო. იმას, რომ მშობლები იმ ხანაში თავიანთ შვილებს ხშირად სიღარიბის გამო მონებად ჰყიდდნენ, მოწმობს ამის საწინააღმდეგოდ გამოცემული კანონი.

გერმანელმა ბარბაროსებმა რომაელებს იმის სანაზღაუროდ, რომ ისინი მათი საკუთარი სახელმწიფოსაგან გაათავისუფლეს, მთელი მიწების მესამედი წაართვეს და ერთმანეთს შორის დაინაწილეს. მიწების დანაწილება მოხდა გვაროვნული წყობილების წესების მი-ხედვით; იმის გამო, რომ დამპყრობელთა რიცხვი შედარებით მცი-რე იყო, მიწის დიდი ნაკვეთები დაუყოფელი რჩებოდა, ნაწილობრივ მთელი ხალხის, ნაწილობრივ კი ცალკეული ტომებისა და გვარების მფლობელობაში. თვითეული გვარის ფარგლებში სახნავ-სათესი მიწა და სათიბები თანაბარ ნაკვეთებად ნაწილდებოდა ცალკეულ ოჯახურ მეურნეობებს შორის წილის ყრით; ხდებოდა თუ არა შემდეგში ხელახალი გადანაწილება, ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით; ყოველ შემთხვევაში იგი სულ მალე გადავარდა ხმარებიდან რომის პროვინ-ციებში და ცალკეული ნაკვეთები გადაიქცა გასასხვისებელ კერძო საკუთრებად — ალოდად. ტყე და საძოვარი გაუყოფელი დარჩა საერთო სარგებლობაში. ეს სარგებლობა ტყითა და საძოვრებით, ასევე დაყოფილი მიწის დამუშავების წესი მოწესრიგებული იყო ძველი ადათითა და მთელი თემის დადგენილებებით. რაც უფრო

ხანგრძლივად ცხოვრობდა გვარი თავის სოფელში და რაც უფრო ითქვიფებოდნენ თანდათან ერთმანეთში გერმანელები და რომაელები, მით უფრო იჩრდილებოდა კავშირის ნათესაური ხასიათი ტერიტორიული მომენტით; გვარი ქრებოდა სამარკო თემში, სადაც, რასაკვირველია, ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირად ჩანს იმის ნიშნები, რომ ეს მარკა წარმოშობილია თემის წევრთა ნათესაური ურთიერთობიდან. ასე შეუმჩნევლად, ყოველ შემთხვევაში, იმ ქვეყნებში, სადაც სამარკო თემი შენახული დარჩა — ჩრდილოეთ საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიასა და სკანდინავიაში, — გვაროვნული ორგანიზაცია გადადიოდა ტერიტორიულში და ამით შეინარჩუნა მან კიდეც სახელმწიფოსთან შეგუების უნარი, მაგრამ მას მაინც შერჩა თავისი ბუნებრივად ჩამოყალიბებული დემოკრატიული ხასიათი. რომელიც მთელი გვაროვნული წყობილების დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს და, ამრიგად, იმ გადაგვარებაშიც კი, რაც მას შემდეგში თავს მოახვიეს, კიდევ დარჩა შემონახული მისი ნაშთები და, მაშასადამე, იარაღი ჩაგრულთა ხელში, რაც დღემდე ცოველმყოფელია.

ამრიგად, თუ სისხლიერმა კავშირმა გვარში მალე დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ეს იმის შედეგი იყო, რომ დაპყრობის გამო გვარის ორგანოები გადაგვარდა, ასევე ტომსა და მთელ ხალხშიც. ჩვენ ვიცით, რომ დაპყრობილ ხალხზე ბატონობა გვაროვნულ წყობილებასთან შეუთავსებელია. აქ ამას დიდი მასშტაბით ვხედავთ. გერმანელ ხალხებს, რომელნიც რომაული პროვინციების ბატონები გახდნენ, ამ თავიანთი ბატონობისათვის ორგანიზებული სახე უნდა მიეცათ. მაგრამ არც იმის შესაძლებლობა იყო, რომ რომაელთა მასები გვაროვნულ ორგანიზაციებში შეეწოვათ და არც იმისა, რომ მათზე ამ უკანასკნელთა შემწეობით ებატონათ. მმართველობის იმ ადგილობრივი რომაული ორგანოების სათავეში, რომელნიც დასაწყისში მეტწილად განაგრძობდნენ არსებობას, საჭირო იყო რომის სახელმწიფოს ნაცვლად სხვა რომელიმე ახალი ხელისუფლების დაყენება, და ასეთ ხელისუფლებად მხოლოდ და მხოლოდ სხვა სახელმწიფო შეიძლებოდა ყოფილიყო. ამიტომ გვაროვნული ორგანიზაციის ორგანოები სახელმწიფოებრივ ორგანოებად უნდა გადაქცეულიყვნენ, თანაც ეს გარემოებათა ზეგავლენით რაც შეიძლება მალე უნდა მომხდარიყო. დამპყრობელი ხალხის უახლოესი წარმომადგენილი კი მხედართმთავარი იყო. დაპყრობილი ტერიტორიის დაცვა შიგნით და გარეთ მისი ძალაუფლების გაძლიერებას მოითხოვდა. დადგა მომენ-

ტი, როცა მხედართმთავრის ხელისუფლება სამეფო ხელისუფლებად უნდა გადაქცეულიყო, და ეს გადაქცევა კიდეც მოხდა.

ავიღოთ ფრანკების სამეფო. აქ სალიელი ფრანკების ძლევამოსილ ხალხს არა მარტო დიდი რომაული სახელმწიფო დომენები ჩაუვარდა ხელში სრულ საკუთრებად, არამედ ის დიდი მიწის ნაკვეთებიც, რომელნიც ჯერ კიდევ არ იყო დაყოფილი უფრო დიდსა და პატარა საოლქო თუ სამარკო თემებს შორის, — სახელდობრ, მის ხელში გადავიდა ყველა უფრო მოზრდილი ტყის მასივები. პირველი საქმე ფრანკთა მეფისა, რომელიც უბრალო მთავარსარდლიდან ნამდვილ მონარქად გადაიქცა, ის იყო, რომ მას ეს სახალხო საკუთრება უნდა გადაექცია საუფლისწულო ქონებად, მოეპარა იგი ხალხისათვის და დაერიგებინა საჩუქრის თუ ნაწყალობევის სახით თავისი ამალისათვის. ეს ამალა, რომელიც თავდაპირველად მისი პირადი მებრძოლი რაზმელებისა და ჯარის სხვა დაბალი მეთაურებისაგან შედგებოდა, სულ მალე შეივსო და გაძლიერდა არა მარტო რომაელებით, ე. ი. გარომაელებული გალებით, რომელნიც მისთვის მალე აუცილებელნი გახდნენ მათი წერაკითხვის ცოდნის, განათლებისა, რომანული სალაპარაკო და ლათინური სამწერლობო ენის, ასევე ადგილობრივი სამართლის ცოდნის გამო; იგი შეივსო აგრეთვე მონებით, ყმებით და განთავისუფლებული მონებით, რომელნიც მის კარისკაცთა შტატს შეადგენდნენ და რომელთა წრიდანაც იგი თავის ფავორიტებს ირჩევდა. ყველა მათ თავდაპირველად მეტწილად საჩუქრად ეძლეოდათ სახალხო მიწების ნაკვეთები, შემდეგში კი ეს ნაკვეთები მათ სარგებლობაში გადადიოდა ბენეფიციების[1] სახით, პირველად უმრავლეს შემთხვევებში მეფის მთელი სიცოცხლის მანძილზე, და ამ გზით იქმნებოდა ხალხის ხარჯზე ახალი არისტოკრატიის საფუძველი.

კიდევ მეტი. დიდად გაფართოებული სახელმწიფოს მართვა ძველი გვაროვნული წესწყობილების საშუალებებით შეუძლებელი იყო; უხუცესთა საბჭოს, თუ კი იგი დიდი ხანია გამქრალი არ იყო, აღარ შეეძლო შეკრება და მისი ადგილი მალე მეფის მუდმივმა დაახლოებულმა პირებმა დაიკავეს; ძველი სახალხო კრება რჩებოდა მოსაჩვენებლად, მაგრამ ისიც თანდათან დაბალი სამხედრო

---

[1] ბ ე ნ ე ფ ი ც ი ე ბ ი (ლათინურიდან beneficium — წყალობა, ჯილდო) — მიწის ნაკვეთები, რომელთაც საჩუქრად ღებულობდნენ ფრანკების მეფის ლაშქრის წევრები თავიანთ მფლობელობაში. რ ე დ.

უფროსებისა და ახლად წარმოშობილ წარჩინებულთა კრება ხდებოდა. თავისუფალი მიწათმფლობელი გლეხები, რომელნიც ფრანკი ხალხის მასას შეადგენდნენ, მუდმივი სამოქალაქო და დაპყრობითი ომებით, განსაკუთრებით კარლოს დიდის დროს წარმოებული დაპყრობითი ომებით, — სწორედ ისევე დაუძლურდნენ და დაბეჩავდნენ, როგორც უწინ რომაელი გლეხები რესპუბლიკის უკანასკნელ ხანებში. ეს გლეხები, რომელნიც თავდაპირველად მთელ ჯარს, ხოლო საფრანგეთის დაპყრობის შემდეგ — მის ბირთვს შეადგენდნენ, ისე გაღარიბდნენ IX საუკუნის დასაწყისში, რომ ხუთიდან ძლივს ერთ გლეხს თუ შეეძლო ლაშქრად წასვლა. მეფის მიერ უშუალოდ გაწვეული თავისუფალი გლეხების ლაშქრის ადგილი დაიკავა ჯარმა, რომელიც შედგებოდა ახლად წარმოშობილ დიდგვაროვანთა სამსახურში მყოფი პირებისაგან, მათ რიცხვში აგრეთვე ყმა გლეხებისაგან, იმათი შთამომავლებისაგან, ვინც ადრე მეფის გარდა სხვა ბატონს არ იცნობდა, ხოლო კიდევ უფრო ადრე საერთოდ არავითარ ბატონს, მეფესაც კი არ იცნობდა. კარლოსის მემკვიდრეთა მეფობის დროს ფრანკ გლეხთა წოდების გაპარტახება დამთავრდა შინაომებით, სამეფო ხელისუფლების დასუსტებით და დიდკაცობის შესაბამისი ძალმომრეობით, რასაც ზედ დაეპატა კიდევ კარლოსის მიერ ოლქებში დაყენებული გრაფები, რომელნიც ცდილობდნენ თავიანთი თანამდებობანი სამემკვიდრეოდ გაეხადათ; ბოლოს, იგი დამთავრდა ნორმანების თავდასხმებით. ორმოცდაათი წლის შემდეგ კარლოს დიდის სიკვდილიდან ფრანკების სამეფო ისევე უმწეოდ იყო განრთხმული ნორმანების ფეხქვეშ, როგორც ოთხი საუკუნის წინათ რომის იმპერია ფრანკების ფეხქვეშ.

მაგრამ არა მარტო გარეგანი უძლურება, არამედ შინაგანი საზოგადოებრივი წესრიგიც ან, უკეთ რომ ვთქვათ, უწესრიგობაც, თითქმის ისეთივე იყო. თავისუფალი ფრანკი გლეხები ისეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როგორშიც მათი წინამორბედნი, რომაელი კოლონები იმყოფებოდნენ. ომებითა და ძარცვა-გლეჯით გაჩანაგებულნი, ისინი იძულებულნი იყვნენ მფარველობისათვის ახლად წარმოშობილი დიდკაცობისათვის ან ეკლესიისთვის მიემართნათ, რადგან სამეფო ხელისუფლება იმდენად სუსტი იყო, რომ მათი დაცვა არ შეეძლო; მაგრამ ეს მფარველობა მათ ძვირად უჯდებოდათ. ისინი იძულებული იყვნენ, როგორც ამას უწინ გალიელი გლეხები შერებოდნენ, თავიანთი მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლება თავიანთი მფარველისათვის გადაეცათ და ამ მიწის ნა-

კვეთს უკანვე ღებულობდნენ ძალარით სხვადასხვა და ცვალებად ფორმებში, მაგრამ მუდამ მხოლოდ იმ პირობით, რომ სამაგიეროდ გარკვეული სამსახური უნდა შეესრულებინათ და ხარკი ეხადათ; რაკი გლეხები ერთხელვე ასე დამოკიდებულნი გახდებოდნენ, ისინი თანდათან კარგავდნენ თავიანთ პირად თავისუფლებასაც; რამდენიმე თაობის შემდეგ ისინი მეტწილად უკვე ყმები იყვნენ. თუ რა სწრაფად ქრებოდა თავისუფალ გლეხთა წოდება, ამას გვიჩვენებს სენ-ჟერმენ დე პრეს საabატოს ადგილ-მამულის ანაწერი, შედგენილი ირმინონის მიერ; ეს საabატო მაშინ პარიზის მახლობლად იყო, ახლა კი იგი თვით პარიზშია. ამ საabატოს ვრცელ და გარემიდამოებში გაფანტულ ადგილ-მამულზე ჯერ კიდევ კარლოს დიდის სიცოცხლეში ცხოვრობდა 2788 კომლი, დასახლებული თითქმის მარტოოდენ ფრანკებით, რომელნიც გერმანულ სახელებს ატარებდნენ. ამ რიცხვში შედიოდა 2080 კოლონი, 35 ლიტი, 220 მონა და მხოლოდ 8 თავისუფალი მოსახლე! ჩვეულება, რომელიც სალვინიუსმა ღვთისსაწინააღმდეგოდ აღიარა, ჩვეულება, რომლის თანახმად მფარველი აიძულებდა გლეხს თავისი მიწის ნაკვეთი მისთვის გადაეცა საკუთრებად, ხოლო შემდეგ ამ ნაკვეთს გლეხსვე უბრუნებდა, რათა ამ უკანასკნელს მხოლოდ თავის სიცოცხლეში ესარგებლნა, — ეს ჩვეულება ახლა ეკლესიის მიერ ყველგან გამოყენებული იყო პრაქტიკულად გლეხების მიმართ. საabატონო ბეგარა ახლა სულ უფრო და უფრო ჩვეულებრივი მოვლენა ხდებოდა; ამ ბეგარის პირველ სახეს წარმოადგენდნენ როგორც რომაული «ანგარიები», იძულებითი სამუშაოები სახელმწიფოსათვის, ისე აგრეთვე გერმანული მარკის წევრთა სამუშაო ბეგარა, რომელიც მათ უნდა შეესრულებინათ ხიდებისა და გზების გასაკეთებლად და სხვა საერთო მიზნებისათვის. მაშასადამე, მოსახლეობის მასა ოთხასი წლის შემდეგ, როგორც ჩანს, უკანვე დაუბრუნდა თავის დასაabამითს მდგომარეობას.

მაგრამ ეს ამბავი მხოლოდ ორ რამეს ამტკიცებდა: ჯერ-ერთი იმას, რომ საზოგადოების ფენებად დაყოფა და საკუთრების განაწილება სავსებით შეესაabამებოდა დაქვეითების გზაზე მდგომი რომის იმპერიის მიწათმოქმედებისა და მრეწველობის წარმოების მაშინდელ დონეს, მაშასადამე, ეს გარდუვალი იყო; მეორე ის, რომ წარმოების ეს დონე შემდგომი ოთხასი წლის განმავლობაში არსებითად არც დაქვეითებულა, არც ამაღლებულა, მაშასადამე, მან იმავე აუცილებლობის ძალით საკუთრების კვლავ ისეთივე განაწილება და მოსახლეობის ისეთივე კლასები წარმოშვა. ქალაქმა რო-

მის იმპერიის არსებობის უკანასკნელ საუკუნეებში დაკარგა თავისი წინანდელი ბატონობა სოფელზე და მან იგი ვეღარც დაიბრუნა გერმანელების ბატონობის პირველ საუკუნეებში. ეს გულისხმობს როგორც მიწათმოქმედების, ისე მრეწველობის განვითარების დაბალ საფეხურს. ასეთი საერთო მდგომარეობა აუცილებლად წარმოშობს ძალაუფლების მქონე მსხვილ მიწათმფლობელებს და დამოკიდებულ წვრილ გლეხებს. თუ რამდენად ნაკლები შესაძლებლობა იყო იმისათვის, რომ ასეთი საზოგადოებისათვის თავს მოეხვიათ, ერთი მხრივ, რომაული ლატიფუნდიების მეურნეობა მონებითურთ, მეორე მხრივ კი, უახლესი მსხვილი მეურნეობა საბატონო შრომითურთ, ამას ამტკიცებს კარლოს დიდის უზარმაზარი, მაგრამ თითქმის უშედეგოდ დარჩენილი ექსპერიმენტები იმპერატორის ცნობილი ვილების მიმართ. ეს ექსპერიმენტები მხოლოდ მონასტრებმა განაგრძეს და მხოლოდ მათთვის აღმოჩნდნენ ისინი ნაყოფიერი; მაგრამ მონასტრები წარმოადგენდნენ უცოლქმრობაზე დაფუძნებულ არანორმალურ საზოგადოებრივ ორგანიზმებს; მათ შეეძლოთ გამონაკლისის სახით შედეგების მოცემა, მაგრამ სწორედ ამიტომ თვითონაც გამონაკლისებად უნდა დარჩენილიყვნენ.

მაგრამ მაინც ამ ოთხასი წლის მანძილზე წინსვლას ჰქონდა ადგილი. თუ ამ პერიოდის დასასრულშიც თითქმის იმავე მთავარ კლასებს ვპოულობთ, რომლებიც დასაწყისშიც გვხვდება, ადამიანები ხომ, რომელნიც ამ კლასებს შეადგენდნენ, მაინც სხვანაირი გახდნენ. გაქრა ანტიკური მონობა, გაქრნენ გაჩანაგებული ლატაკი თავისუფალი მოქალაქეები, რომელთაც სძაგდათ შრომა როგორც მონური საქმე. რომაელ კოლონსა და ახალ ყმას შუა თავისუფალი ფრანკი გლეხი იდგა. დაღუპვისაკენ დაქანებული რომაული სამყაროს «უსარგებლო მოგონებანი და ამაო ბრძოლა» უკვე მკვდარი და დასამარებული იყო. IX საუკუნის საზოგადოებრივი კლასები ჩამოყალიბდნენ არა დაღუპვისაკენ დაქანებული ცივილიზაციის დახავსებულობის ვითარებაში, არამედ ახალი ცივილიზაციის ბშობიარობის ტკივილებში. ახალი თაობა — ბატონებიც და მსაურნეც — თავიანთ რომაელ წინამორბედებთან შედარებით ვაჟკაცების თაობა იყო. ურთიერთობა 'მძლავრ მიწათმფლობელებსა და მათზე დამოკიდებულ გლეხებს შორის, ურთიერთობა, რომელმაც რომაელთა ანტიკური სამყარო გამოუვალ ჩიხში მოაქცია და დაღუპა, ახლა ახალი განვითარების ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა. შემდეგ, რაგინდ უნაყოფოდაც უნდა გვეჩვენებო-

დეს ეს ოთხასი წელიწადი, ამ პერიოდმა ერთი დიდი შედეგი დაგვიტოვა: თანამედროვე ეროვნებანი, დასავლეთი ევროპის კაცობრიობის ახალი ფორმირება და დანაწილება მომავალი ისტორიისათვის. გერმანელებმა მართლაც ხელახლა გამოაცოცხლეს ევროპა და ამიტომ სახელმწიფოების დაშლა, რაც გერმანულ პერიოდში ხდებოდა, დამთავრდა არა ნორმანებისა და სარკინოზების მიერ დაპყრობით, არამედ იმით, რომ ბენეფიციებმა და მფარველობის ურთიერთობამ (კომენდაციები) შემდგომი განვითარება ჰპოვეს ფეოდალიზმის სახით და ხალხი ისე დიდად გამრავლდა, რომ თითქმის ორასი წლის შემდეგ ჯვაროსანთა ლაშქრობის დროს ძლიერი სისხლის გაღება უზიანოდ იქნა გადატანილი.

მაგრამ რა იყო ის საიდუმლო ჯადოქრული საშუალება, რომლითაც გერმანელებმა მომაკვდავ ევროპას ახალი სასიცოცხლო ძალა ჩაბერეს? იყო თუ არა ეს განსაკუთრებული, გერმანული ტომის თანდაყოლილი სასწაულმოქმედი ძალა, როგორც ამას ჩვენი შოვინისტური ისტორიოგრაფია თხზავს? სრულიადაც არა. გერმანელები წარმოადგენდნენ, განსაკუთრებით მაშინ, მაღალი ნიჭით დაჯილდოებულ არიელ ტომს, და თანაც ისინი სრული სასიცოცხლო განვითარების სტადიაში იმყოფებოდნენ. მაგრამ ევროპა გააახალგაზრდავა არა მათმა სპეციფიკურმა ეროვნულმა თვისებებმა, არამედ უბრალოდ მათმა ბარბაროსობამ, მათმა გვაროვნულმა წყობილებამ.

მათი პირადი უნარი, მამაცობა, მათი თავისუფლებისმოყვარეობა და დემოკრატიული ინსტინქტი, რომელიც ყველა საზოგადოებრივ საქმეში თავის საკუთარ საქმეს ხედავდა, — ერთი სიტყვით, ის თვისება, რაც რომაელებმა დაჰკარგეს და რასაც შეეძლო მხოლოდ რომაული სამყაროს შლამიდან ახალი სახელმწიფოები შეექმნა და ახალ ეროვნებათათვის გაზრდის შესაძლებლობა მიეცა, — რა იყო ყოველივე ეს, თუ არა უმაღლესი საფეხურის ბარბაროსის დამახასიათებელი ნიშნები, თუ არა მისი გვაროვნული წყობილების ნაყოფი?

თუ გერმანელებმა მონოგამიის ანტიკური ფორმა გარდაქმნეს, ოჯახში მამაკაცის ბატონობა შეარბილეს, ქალს უფრო მაღალი მდგომარეობა მიანიჭეს, ვიდრე ეს ოდესმე კლასიკურ ქვეყანაში ყოფილა, — რამ შეაძლებინა ეს მათ, თუ არა მათმა ბარბაროსობამ, თუ არა მათმა გვაროვნულმა ზნე-ჩვეულებებმა, მათმა ჯერ კიდევ ცოცხალმა ტრადიციებმა დედის უფლების ეპოქიდან?

თუ მათ, სულ მცირე, სამ უმნიშვნელოვანეს ქვეყანაში მაინც, გერმანიაში, ჩრდილო საფრანგეთსა და ინგლისში, შესძლეს გადაერჩინათ და გადაეტანათ ფეოდალურ სახელმწიფოში ნამდვილი გვაროვნული წყობილების ნაშთი სამარკო თემების სახით და ამით დაჩაგრულ კლასს, გლეხებს, მისცეს შუა საუკუნეების უმკაცრესი ბატონყმობის პირობებშიც კი, ლოკალური შეკავშირების შესაძლებლობა და წინააღმდეგობის გაწევის საშუალება, რაც ვერც ანტიკურმა მონებმა და ვერც თანამედროვე პროლეტარებმა მზა სახით ვერ ჰპოვეს, — მაშინ რით იყო ეს გამოწვეული, თუ არა მათი ბარბაროსობით, თუ არა მარტოოდენ გვარებად დასახლების იმ წესით, რომელიც ბარბაროსობის პერიოდისთვისაა დამახასიათებელი?

და, დასასრულ, თუ გერმანელებმა შესძლეს განევითარებინათ და საყოველთაო მოვლენად ექციათ კაბალური დამოკიდებულების ის უფრო რბილი ფორმა, რომელიც მათს სამშობლოში უკვე არსებობდა რასაც სულ უფრო და უფრო იღებდა მონობა რომის იმპერიაშიც, ფორმა, რომელიც, — როგორც ეს პირველად ფურიემ აღნიშნა, — დამონებულთ იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ თანდათან ვანთავისუფლდნენ ისინი როგორც კლასი (fournit aux cultivateurs des moyens d' affranchissement collectif et progressif), — ფორმა, რომელიც ამის წყალობით უფრო მაღლა დგას მონობაზე, რომლის დროსაც შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული პირის განთავისუფლება ერთბაშად გარდამავალი მდგომარეობის გაუვლელად (მონობის მოსპობას ძლევამოსილი ამბოხების გზით ძველი ქვეყანა არ იცნობს), მაშინ როდესაც შუა საუკუნეების ყმებმა მართლაც განახორციელეს თანდათანობით თავიანთი განთავისუფლება როგორც კლასისა, — ვის უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ ყოველივე ამას, თუ არა მათს ბარბაროსობას, ბარბაროსობას, რომლის ძალითაც მათ არ მიიყვანეს ეს კაბალური დამოკიდებულება სავსებით განვითარებულ მონობამდე, არც ანტიკურ შრომითს მონობამდე, არც აღმოსავლურ ოჯახურ მონობამდე.

ყოველივე ის, რაც გერმანელებმა რომაელთა სამყაროს ცხოველმყოფელი და ნაყოფიერი დაამყნეს, — ეს იყო ბარბაროსობა. მართლაც, მხოლოდ ბარბაროსებს შესწევდათ იმის უნარი, რომ დაღუპვისკენ დაქანებული ცივილიზაციის მიხრწნილი ქვეყნიერება გაეახალგაზრდავებინათ. და ბარბაროსობის უმაღლესი საფეხური, რომელსაც გერმანელებმა მიაღწიეს და რომელზეც ისინი ავიდნენ ხალხთა გადასახლების წინ, სწორედ რომ ყველაზე ხელსაყრელი იყო ამ პროცესისათვის. ამით აიხსნება ყველაფერი.

IX

ბარბაროსობა და ცივილიზაცია

გვაროვნული წყობილების დაშლა ჩვენ განვიხილეთ სამი დიდი ხალხის — ბერძნების, რომაელებისა და გერმანელების — ცალკეულ მაგალითებზე. დასასრულ გამოვიკვლიოთ ის საყოველთაო ეკონომიური პირობები, რომლებმაც საზოგადოების გვაროვნულ ორგანიზაციას ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე უკვე ძირი გამოუთხარეს, ხოლო ცივილიზაციის გაჩენასთან ერთად მთლიანად მოსპეს იგი. აქ მარქსის «კაპიტალი» ისევე აუცილებელი იქნება ჩვენთვის, როგორც მორგანის წიგნიც.

გვარი, რომელიც ველურობის შუა საფეხურზე წარმოიშვა, ხოლო ველურობის უმაღლეს საფეხურზე შემდგომი განვითარების გზით წავიდა, თავის აყვავებას აღწევს, რამდენადაც ამაზე მსჯელობის შესაძლებლობას ჩვენს ხელთ არსებული წყაროები იძლევა, ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე. მაშასადამე, ჩვენც განვითარების ამ საფეხურიდან დავიწყებთ.

აქ, სადაც ამერიკელი წითელკანიანები ჩვენთვის მაგალითს წარმოადგენენ, ჩვენ ვპოულობთ მთლიანად განვითარებულ გვაროვნულ წყობილებას; ტომი გაყოფილი იყო რამდენიმე, უმეტეს ნაწილად ორ გვარად; ამ თავდაპირველი გვარებიდან თვითეული იყოფა, მოსახლეობის ზრდის შესაბამისად, რამდენიმე ქალიშვილისეულ გვარად, რომელთა მიმართ დედისეული გვარი ფრატრიად გვევლინება; თვითონ ტომი იყოფა რამდენიმე ტომად, თვითეულ მათგანში ჩვენ მეტწილად კვლავ ძველ გვარებს ვნახულობთ; კავშირი შეიცავს, ცალკეულ შემთხვევებში მაინც, მონათესავე ტომებს. ეს მარტივი ორგანიზაცია სავსებით შეესაბამება იმ საზოგადოებრივ პირობებს, რომლებმაც იგი წარმოშვეს. იგი სხვა არაფერია, თუ არა ამ საზოგადოებრივი პირობების დამახასიათებელი, ბუნებრივად წარმოშობილი დაჯგუფება; მას შესწევს ძალა მოაგვაროს ყველა კონფლიქტი, რომლებიც კი შესაძლებელია წარმოიშვან ამ სახით ორგანიზებული საზოგადოების შიგნით. გარესამყაროსთან წარმოშობილ კონფლიქტებს წყვეტს ომი; ეს ომი შეიძლება ტომის განადგურებით დამთავრდეს, მაგრამ არასოდეს მისი დამონებით. გვაროვნული წყობილების სიდიადე, მაგრამ ამასთანავე ერთად მისი შეზღუდულობაც იმაშია, რომ აქ არ არსებობს ადგილი ბატონობისა და დამონებისათვის. გვაროვნული წყობილების შიგნით ჯერ კიდევ არ არსებობს განსხვავება უფლებებსა და მოვალეობებს შორის. ინდიელისათვის არ არსებობს საკითხი,

წარმოადგენს საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა, სისხლის აღება ან მისი გამოსყიდვა უფლებას თუ მოვალეობას; ასეთი საკითხი მას ისევე უაზროდ მოეჩვენებოდა, როგორც იმის კითხვა, რას წარმოადგენს ჯამა, ძილი, ნადირობა — უფლებას თუ მოვალეობას? ასევე შეუძლებელია აქ ადგილი ჰქონდეს ტომისა და გვარის დაყოფას სხვადასხვა კლასებად. და ამას მივყევართ ჩვენ ამ წყობილების ეკონომიური ბაზისის გამოკვლევისაკენ.

მოსახლეობა მეტისმეტად თხელია; იგი უფრო მჭიდროდაა შეჯგუფებული მხოლოდ ტომის საცხოვრებელ ადგილას, რომლის გარშემოც ფართო ზოლადაა გაშლილი უწინარეს ყოვლისა სანადირო ტერიტორია, შემდეგ ნეიტრალური დამცველი ტყე, რომელიც ამ ტომს სხვა ტომებისაგან ჰყოფს. შრომის დანაწილება პირდაპირ ბუნებრივადაა აღმოცენებული; იგი არსებობს მხოლოდ სქესთა შორის. მამაკაცი ომობს, ნადირობს და თევზაობს, დადის, საკვებს შოულობს და ყოველივე ამისათვის საჭირო ხელსაწყოს ამზადებს. დედაკაცი სახლს უვლის, საჭმელსა და ტანისამოსს ამზადებს — ხარშავს, ქსოვს, ჭყერავს. თვითეული მათგანი ბატონ-პატრონია თავის დარგში: მამაკაცი — ტყეში, დედაკაცი — სახლში. თვითეული მათგანი მის მიერ დამზადებული და ხმარებული იარაღების მესაკუთრეა: მამაკაცის კუთვნილებაა იარაღები, სანადირო თუ სათევზაო ხელსაწყო, დედაკაცისა — საოჯახო ჭურჭელ-ავეჯეულობა. ოჯახურ მეურნეობას კომუნისტურ საწყისებზე აწარმოებს რამდენიმე, ხშირად მრავალი ოჯახი[1]. ის, რაც ერთად კეთდება და მოიხმარება, საერთო საკუთრებაა: სახლი, ბაღი, ნავი. აქ, მაშასადამე, და მხოლოდ აქ ჯერ კიდევ, ნამდვილად არსებობს ცივილიზებული საზოგადოების იურისტებისა და ეკონომისტების მიერ შეთხზული «თვით ნამოღვაწარი საკუთრება», — უკანასკნელი მცდარი იურიდიული საფუძველი, რომელსაც ჯერ კიდევ ეყრდნობა თანამედროვე კაპიტალისტური საკუთრება.

მაგრამ ადამიანები ყველგან როდი შეჩერებულან ამ საფეხურზე. აზიაში მათ ნახეს ცხოველები, რომელთა მოშინაურება და უკვე მოშინაურებულთა შემდგომი მოშენება შეიძლებოდა. ველურ ფურკამეჩზე უნდა ენადირნათ, მოშინაურებული კი ყოველწლიურად

[1] ბასსაკუთრებით ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, — იხ. ბანკროფტი. დედოფალ შარლოტეს კუნძულზე მცხოვრებ ჰაიდას ტომში ჯეხვდება ერთ ჭერქვეშ მოთავსებული ოჯახური მეურნეობანი, რომელნიც 700-დე სულს ითვლიან. ნუტკელებში ერთ ჭერქვეშ მთელი ტომები ცხოვრობდნენ. (ენგელსის შენიშვნა).

იძლეოდა ზაქს და, გარდა ამისა, რძესაც. ზოგიერთმა უფრო მოწინავე ტომმა—არიელებმა, სემიტებმა, შესაძლოა უკვე ტურანელებმაც — თავისი შრომის მთავარ დარგად გაიხადა ჯერ მოშინაურება პირუტყვისა და მხოლოდ შემდეგში მისი მოშენება და მოვლა. მეჯოგე ტომები გამოეთიშნენ ბარბაროსების დანარჩენ მასას: ეს იყო შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება. მეჯოგე ტომების მიერ ნაწარმოები საარსებო საშუალებანი არა მარტო უფრო მეტი იყო, ვიდრე სხვა ბარბაროსებისა, არამედ უფრო სხვანაირიც. მათ, დანარჩენებთან შედარებით, გაცილებით მეტი რაოდენობით ჰქონდათ არა მარტო რძე, რძის პროდუქტები და ხორცი, არამედ აგრეთვე ტყავეულობა, მატყლი, თივთიკი და ნართი და ქსოვილი, რომელიც ნედლი მასალის რაოდენობის გადიდებასთან ერთად თანდათან მატულობდა. ამან პირველად გახადა შესაძლებელი რეგულარული გაცვლა. განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურებზე შეიძლება ადგილი ჰქონოდა მხოლოდ შემთხვევითი ხასიათის გაცვლას; განსაკუთრებულ დახელოვნებას იარაღისა და ხელსაწყოს დამზადებაში შეუძლია გამოიწვიოს შრომის დროებითი დანაწილება. ასე, მაგალითად, ბევრ ადგილას აღმოჩენილ იქნა ქვის იარაღის დამამზადებელი სახელოსნოების უეჭველი ნაშთები გვიანდელი ქვის საუკუნიდან; ხელოსნები, რომელნიც აქ თავიანთ დახელოვნებას ავითარებდნენ, ალბათ, მთელი საზოგადოების ხარჯზე მუშაობდნენ, როგორც ამას ახლაც აკეთებენ კიდევ გვაროვნული თემების მუდმივი ხელოსნები ინდოეთში. განვითარების ამ საფეხურზე შეიძლებოდა გაცვლა წარმოშობილიყო მხოლოდ ტომის ფარგლებში, და თანაც იგი გამონაკლისის სახით იშვიათ მოვლენად რჩებოდა. აქ კი, მეჯოგე ტომების გამოყოფის შემდეგ, პირიქით, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა პირობა მზადაა იმისათვის, რათა სხვადასხვა ტომების წევრთა შორის გაცვლა დამყარდეს, განვითარდეს და განმტკიცდეს როგორც მუდმივი წესი. თავდაპირველად გაცვლა ტომებს შორის გვართა უხუცესების მეშვეობით ხდებოდა; შემდეგში კი, როცა უკვე დაიწყო ჯოგების გადასვლა განცალკევებულ საკუთრებაში, სულ უფრო და უფრო სჭარბობდა გაცვლა ცალკეულ პირთა შორის, და იგი, ბოლოს, გაცვლის ერთადერთი ფორმა გახდა. მაგრამ მთავარი საგანი, რომელსაც მეჯოგე ტომები თავიანთ მეზობლებს უცვლიდნენ, პირუტყვი იყო; პირუტყვი გახდა საქონელი, რომლითაც აფასებდნენ ყველა სხვა საქონელს და რომელსაც სიამოვნებით ღებულობდნენ გაცვლის დროს ყველა საქონელში, — ერთი სიტყვით, პი-

რუტყვმა მიიღო ფულის ფუნქცია და უკვე ამ საფუძველზე იგი ფულის როლს ასრულებდა. ასეთი აუცილებლობითა და სისწრაფით ვითარდებოდა უკვე საქონელგაცვლის დასაწყისშივე მოთხოვნილება განსაკუთრებულ საქონელზე — ფულზე.

მეგალეოპა, რომელიც დაბალ საფეხურზე მდგომი აზიელი ბარბაროსებისთვის ალბათ უცხო იყო, აღმოცენდა მათში არა უგვიანეს შუა საფეხურისა, როგორც მემინდვრეობის წინამორბედი. ტურანის ზეგანის კლიმატურ პირობებში მწყემსური ცხოვრება შეუძლებელია უიმისოდ, თუ პირუტყვის საკვები ხანგრძლივი და მკაცრი ზამთრისათვის მომზარაგებული არაა; მაშასადამე, მემდელეობა და პურეულის კულტურა აქ აუცილებელი პირობა იყო. იგივე ითქმის შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე. მაგრამ თუ თავდაპირველად მარცვლეული პირუტყვისათვის მოჰყავდათ, სულ მალე იგი საკვები გახდა ადამიანისთვისაც. დამუშავებული მიწა ჯერ კიდევ ტომის საკუთრებად რჩებოდა, თავდაპირველად იგი ეძლეოდა სარგებლობისათვის ჯერ გვარს, შემდეგ სახლისეულ თემებს, ბოლოს, ცალკეულ პირებს; მათ შეეძლოთ ამ მიწის მფლობელობის გარკვეული უფლებები ჰქონოდათ და მეტი არაფერი.

სან�წველო საქმიანობის დარგში მიღწეულ მონაპოვართა შორის ამ საფეხურზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ორი რამ: პირველი — საფეიქრო დაზგა, მეორე — ლითონის მადნის გადადნობა და ლითონის დამუშავება. სპილენძი და კალა და მათგან გამონადნობი ბრინჯაო უმნიშვნელოვანესი ლითონები იყო; ბრინჯაო იძლეოდა გამოსადეგ ხელსაწყოსა და იარაღს, მაგრამ მას არ შეეძლო ქვის იარაღის განდევნა; ეს მხოლოდ რკინას შეეძლო, მაგრამ რკინის მოპოვება ჯერ კიდევ არ იცოდნენ. დაიწყეს ოქროსა და ვერცხლის გამოყენება სამკაულისა და ძვირფასეულობისათვის და, ეტყობა, ოქრო-ვერცხლს უკვე უფრო მეტი ფასი ჰქონია, ვიდრე სპილენძსა და ბრინჯაოს.

წარმოების გადიდებამ ყველა დარგში — მეჯოგეობასა, მიწათმოქმედებასა და შინახელოსნობაში — ადამიანის სამუშაო ძალას შესაძლებლობა მისცა პროდუქტების უფრო მეტი რაოდენობა ეწარმოებინა, ვიდრე ეს მის შესანახავად აუცილებელი იყო. ამავე დროს იგი ზრდიდა იმ შრომის ყოველდღიურ რაოდენობას, რომელიც გვარის, სახლისეული თემის ან ცალკეული ოჯახის თვითეულ წევრს წილად ხვდებოდა. ახალი მუშახელის მიზიდვა სასურველი გახდა. ამ მუშახელს ომი იძლეოდა; დაიწყეს სამხედრო ტყვეების მონებად გადაქცევა. შრომის პირველმა დიდმა

საზოგადოებრივმა დანაწილებამ შრომის ნაყოფიერების და, მაშასადამე, სიმდიდრის ზრდასთან და წარმოების ასპარეზის გაფართოებასთან ერთად, არსებულ ერთობლივ ისტორიულ პირობებში, გარდუვალი აუცილებლობით გამოიწვია მონობის დამყარება. შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილებიდან წარმოიშვა საზოგადოების პირველი დიდი დაყოფაც ორ კლასად—ბატონებად და მონებად, ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა კლასებად.

თუ როგორ და როდის მოხდა ჯოგების გადასვლა ტომის ან გვარის საერთო მფლობელობიდან ცალკეული ოჯახების მეთაურთა საკუთრებაში, ამის შესახებ ჩვენ დღემდე არაფერი ვიცით. მაგრამ არსებითად ეს გადასვლა ამ საფეხურზე უნდა მომხდარიყო. ჯოგებისა და სხვა ახალი სიმდიდრის გაჩენასთან ერთად კი ოჯახში რევოლუცია მოხდა. სარეწაო მუშაობა მუდამ მამაკაცის საქმე იყო, სარეწავისათვის საჭირო საშუალებებს იგი აწარმოებდა და ისინი მის საკუთრებას შეადგენდნენ. ჯოგები ახალი სარეწაო საშუალებანი იყო; პირუტყვის თავდაპირველი მოშინაურება, ხოლო შემდეგში მისი მოვლა მამაკაცის საქმე იყო. ამიტომ პირუტყვი მამაკაცს ეკუთვნოდა; მასვე ეკუთვნოდა გაცვლის გზით პირუტყვში მიღებული საქონელიც და მონებიც. მთელი ის ნამეტი, რასაც ახლა სარეწავი იძლეოდა, მამაკაცის კუთვნილება იყო; დედაკაციც მონაწილეობდა მის მოხმარებაში, მაგრამ საკუთრებაში მას წილი არ ედო. «ველური» — მეომარი და მონადირე—ოჯახში კმაყოფილდებოდა მეორე ადგილით, პირველი ადგილი დედაკაცს ეპირა; «უფრო მშვიდმა» მწყემსმა, რომელიც თავისი სიმდიდრით ყოყოჩობდა, პირველი ადგილი დაიკავა, დედაკაცი კი მეორე ადგილზე დასწია. ამ უკანასკნელს ჩივილი არ შეეძლო. შრომის დანაწილებამ ოჯახში მოაწესრიგა საკუთრების განაწილება მამაკაცსა და დედაკაცს შორის; იგი იგივე დარჩა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთლად თავდაყირა დააყენა ახლა მანამდე არსებული ოჯახური ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ შრომის დანაწილება ოჯახის გარეთ სხვაგვარი გახდა. იგივე მიზეზი, რომელიც წინათ უზრუნველყოფდა დედაკაცის ბატონობას სახლში, ე. ი. დედაკაცის საქმიანობას ოჯახური მუშაობით შემოფარგლავდა, — ეს მიზეზი ახლა მამაკაცის ბატონობას ამყარებდა ოჯახში; დედაკაცის ოჯახურმა შრომამ დაჰკარგა ახლა თავისი მნიშვნელობა მამაკაცის სარეწაო შრომასთან შედარებით; მამაკაცის შრომა ყველაფერი იყო, დედაკაცის მუშაობა კი — უმნიშვნელო დანამატი. უკვე აქ მეღავნდება, რომ დედაკაცის განთავისუფლება, მისი გათა-

ნაბრება მამაკაცთან, შეუძლებელი საქმეა და ასევე შეუძლებელი დარჩება მანამდე, სანამ დედაკაცი გამოთიშულია საზოგადოებრივი მწარმოებელი შრომისაგან და შემოსაზღვრულა ოჯახური კერძო შრომით. ქალის განთავისუფლება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა მას შესაძლებლობა მიეცემა დიდი, საზოგადოებრივი მასშტაბით მიიღოს მონაწილეობა წარმოებაში და როცა ოჯახში მუშაობა მას მხოლოდ ცოტა დროს წაართმევს. ეს კი პირველად შესაძლებელი გახდა მხოლოდ თანამედროვე მსხვილი მრეწველობის შემოწეობით, რომელიც არა თუ შესაძლებელს ხდის ქალის შრომის ფართოდ გამოყენებას, არამედ პირდაპირ მოითხოვს მას და თანაც ცდილობს კერძო ოჯახური შრომა სულ უფრო და უფრო საზოგადოებრივ მწარმოებელ შრომად გაადაქციოს.

სახლში მამაკაცის ფაქტიური ბატონობის დამყარებისთანავე მოისპო მისი ერთძალაუფლებიანობის უკანასკნელი ზღუდე. ეს ერთძალაუფლებიანობა დაადასტურა და გაამარადისა დედის უფლების დამხობამ, მამის უფლების შემოღებამ, წყვილადი ცოლქმრობიდან მონოგამიაზე თანდათანობითმა გადასვლამ. ამან კი ბზარი შექმნა ძველ გვაროვნულ წყობილებაში: ინდივიდუალური ოჯახი გახდა ძალა, თანაც ისეთი მრისხანე ძალა, რომელიც გვარს დაუპირისპირდა.

შემდგომ ნაბიჯს ავყავართ ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე, ე. ი. იმ პერიოდში შევყავართ, რომელშიც ყველა კულტურულმა ხალხმა თავისი გმირული ეპოქა უნდა განვლოს: ეპოქა რკინის მახვილისა, და ამასთანავე ერთად რკინის გუთნისა და ცულისა. ადამიანის სამსახურში ჩადგა რკინა, უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი ყველა იმ ნედლეულიდან, რომელთაც რევოლუციური როლი შეასრულეს ისტორიაში, უკანასკნელი—კარტოფილის გამოყენებამდე. რკინის წყალობით შესაძლებელი გახდა მეშინდვრეობა ვრცელ ფართობებზე, ტყით დაფარული ვრცელი ადგილების გაკაფვა და დამუშავება; რკინამ ხელოსანს ისეთი მტკიცე და მკრელი იარაღი მისცა, რომელსაც ვერ უძლებდა ვერც ერთი ქვა, ვერც ერთი იმ დროს ცნობილი ლითონი. ყოველივე ეს ერთბაშად როდი მომხდარა; პირველი რკინა ხშირად ბრინჯაოზე უფრო რბილი იყო. ამიტომ ქვის იარაღი მხოლოდ ნელნელა ქრებოდა. ქვის ცულებს ჩვენ ვხვდებით არა მარტო ჰილდებრანდის სიმღერაში, არამედ 1066 წელს ჰასტინგსთან გამართულ ბრძოლაშიც ამ იარაღს ჯერ კიდევ ხმარობდნენ. მაგრამ პროგრესი ახლა შეუჩერებლივ მიმდინარეობდა, ნაკლები წყვეტილებით და

უფრო სწრაფად. ტომების ან ტომთა კავშირის მთავარი საცხოვრებელი ადგილი გახდა ქალაქი, რომელიც ქვისა თუ აგურის სახლებს გარს ავლებდა ქვის კედლებს და კოშკებით და ქონგურებით ამკობდა; ეს იყო უდიდესი პროგრესი სამშენებლო ხელოვნების დარგში, მაგრამ ამასთანავე ეს იყო გაზრდილი საშიშროებისა და დაცვის საჭიროების მომასწავებელი ნიშანიც. სიმდიდრე სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ როგორც სიმდიდრე ცალკეული პირებისა; ფეიქრობასა, ლითონის დამუშავებასა და ხელოსნობის სხვა დარგებში, რომელნიც სულ უფრო და უფრო განცალკევებულნი ხდებოდნენ ერთმანეთისაგან, თანდათან მზარდი მოცულობით ვითარდებოდა პროდუქტების დამზადების მრავალფეროვნება და დახელოვნება; მიწათმოქმედება ხორბალთან, ჭოტოვან მცენარეებთან და ხილთან ერთად ახლა ზეთსაც და ღვინოსაც იძლეოდა, რომელთა დამზადება ადამიანმა უკვე ისწავლა. ასეთი სხვადასხვაგვარი საქმიანობის შესრულება ერთსა და იმავე პირს უკვე აღარ შეეძლო; მოხდა შ რ ო მ ი ს მ ე ო რ ე დ ი დ ი დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა: ხელოსნობა გამოეყო მიწათმოქმედებას. წარმოებისა და მასთან ერთად შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის გამო მატულობდა ადამიანის სამუშაო ძალის მნიშვნელობა; მონობა, რომელიც განვითარების წინა საფეხურზე ჯერ მხოლოდ წარმოშობის პროცესში იყო და სპორადულ ხასიათს ატარებდა, ახლა საზოგადოებრივი სისტემის არსებითი შემადგენელი ნაწილი ხდება; მონები უკვე აღარ არიან უბრალო დამხმარენი; მათ ახლა ათეულობით ერეკებიან მინდვრებსა და სახელოსნოებში სამუშაოდ. წარმოების ორ დიდ და მთავარ დარგად, მიწათმოქმედებად და ხელოსნობად, დაყოფასთან ერთად ჩნდება წარმოება უშუალოდ გაცვლისათვის,—საქონლის წარმოება; ხოლო საქონლის წარმოებასთან ერთად ჩნდება ვაჭრობაც არა მარტო ტომის შიგნით და ტომის საზღვრებზე, არამედ უკვე ზღვისიქითა ქვეყნებთანაც. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ მეტად განუვითარებელი იყო; ძვირფასი ლითონები თანდათან ხდება მთავარი და საყოველთაო საქონელი — ფული, მაგრამ ლითონს ჯერ კიდევ არ სჭრიან, არამედ მას მხოლოდ უბრალოდ წონის მიხედვით სცვლიან.

თავისუფალთა და მონათა განსხვავების გვერდით ჩნდება განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის, შრომის ახალ დანაწილებასთან ერთად ჩნდება საზოგადოების ახალი დაყოფა კლასებად. ქონებრივი განსხვავებანი ოჯახთა ცალკეულ მეთაურებს შორის ძირს უთხრის ძველ კომუნისტურ სახლისეულ თემს ყველგან, სადაც კი ის მანამდე შემონახული დარჩა; მასთან ერთად ქრება

მიწის ერთად დამუშავებაც ამ თემის ხარჯზე. სახნავი მიწა ცალკეულ ოჯახებს ეძლევათ სარგებლობისათვის—ჯერ დროებით, შემდეგ კი საუდამოდ; გადასვლა სრულ კერძო საკუთრებაზე ხდება თანდათანობით და წყვილადი ცოლქმრობის მონოგამიაში გადასვლის პარალელურად. ინდივიდუალური ოჯახი უკვე საზოგადოების სამეურნეო ერთეული ხდება.

მოსახლეობის მზარდი სიმჭიდროვე აიძულებს ადამიანებს უფრო მტკიცედ შეკავშირდნენ როგორც შიგნით, ისე გარეთ. მონათესავე ტომების კავშირი ყველგან აუცილებელი ხდება; სულ მალე აუცილებელი ხდება აგრეთვე მათი შეერთება და ამით ტომების გათიშული ტერიტორიების შეერთება მთელი ხალხის ერთ საერთო ტერიტორიად. ხალხის მხედართმთავარი—rex, basileus, thiudans—აუცილებელი, მუდმივი თანამდებობის პირი ხდება. ჩნდება სახალხო კრება იქ, სადაც იგი ჯერ კიდევ არ არსებობდა. მხედართმთავარი, საბჭო, სახალხო კრება შეადგენენ სამხედრო დემოკრატიად განვითარებული გვაროვნული საზოგადოების ორგანოებს. ეს დემოკრატია სამხედროა იმიტომ, რომ ომი და ორგანიზაცია ომისათვის ახლა ხალხის ცხოვრების რეგულარული ფუნქციები ხდება. მეზობელთა სიმდიდრე სიხარბეს წარმოშობს იმ ხალხებში, რომლებისთვისაც სიმდიდრის შეძენა უკვე ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს შეადგენს. ისინი ბარბაროსები არიან: მათთვის ძარცვა-გლეჯა უფრო იოლ და უფრო საპატიო საქმედაც კი ითვლება, ვიდრე შემოქმედებითი შრომა. ომს, რომელიც უწინ მხოლოდ იმისათვის ხდებოდა, რომ თავდასხმებისათვის შური ეძიათ, ანდა იმისათვის, რომ გაეფართოვებინათ ტერიტორია, რომელიც უკვე აღარ კმაროდა,—ამ ომს ახლა მხოლოდ ძარცვა-გლეჯის გულისათვის აწარმოებენ, იგი შემოსავლის მუდმივი წყარო ხდება. ახლად გამაგრებულ ქალაქებს ამაოდ როდი არტყია გარს მრისხანე კედლები: მათს თხრილებში გვაროვნული წყობილების სამარეა პირდაღებული, ხოლო მათი კოშკები უკვე ცივილიზაციას ებჯინებიან. ასეთივე ამბავი ხდება საზოგადოების შიგნითაც. მტაცებლური ომები აძლიერებენ როგორც უმაღლესი მთავარსარდლის, ისე ხელქვეითი სამხედრო მეთაურების ძალაუფლებას; სამხედრო მეთაურების მემკვიდრეთა არჩევა, რაც ჩვეულების თანახმად ერთი და იმავე ოჯახებიდან ხდებოდა, თანდათანობით გადადის, განსაკუთრებით მამის უფლების დამყარების შემდეგ, მემკვიდრულ ხელისუფლებაში, რომელსაც ჯერ ითმენენ, შემდეგ მოითხოვენ, ბოლოს კი ძალით ითვი-

სებენ; საფუძველი ჩაეყარა მემკვიდრულ სამეფო ხელისუფლებას და მემკვიდრულ არისტოკრატიას. ასე სცილდებიან თანდათანობით გვაროვნული წყობილების ორგანოები თავიანთ ფესვებს ხალხში, გვარში, ფრატრიაში, ტომში, და მთელი გვაროვნული წყობილება თავის წინააღმდეგობად იქცევა: ტომების ორგანიზაციიდან, რომელიც თავის საკუთარ საქმეებს თავისუფლად აწესრიგებდა, გვაროვნული წყობილება მეზობლების ძარცვა-გლეჯისა და ჩაგვრის ორგანიზაციად იქცევა, ხოლო ამის შესაბამისად მისი ორგანოები, რომელნიც ხალხის ნებისყოფის იარაღს წარმოადგენდნენ, გადაქცეულია ბატონობისა და ჩაგვრის დამოუკიდებელ იარაღად, იარაღად, რომელიც მიმართულია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ ეს არასდროს არ მოხდებოდა, სიმდიდრისადმი ხარბ მისწრაფებას რომ გვარის წევრები მდიდრებად და ღარიბებად არ გაეთიშა, რომ «ქონებრივ განსხვავებას ერთი და იმავე გვარის ფარგლებში ინტერესთა ერთობა გვარის წევრებს შორის ანტაგონიზმად არ ექცია» (მარქსი) და რომ მონობის ფართო გავრცელებას უკვე ის აზრი არ შეექმნა, რომ საარსებო საშუალებათა მოპოვება საკუთარი შრომით მხოლოდ მონის შესაფერ საქმიანობად ჩაითვლება და იგი ძარცვა-გლეჯაზე უფრო სამარცხვინოა.

* * *

. ახლა ჩვენ მივადექით ცივილიზაციის ზღურბლს. ცივილიზაცია იწყება ახალი წინსვლით შრომის დანაწილებაში. განვითარების დაბალ საფეხურზე ადამიანები აწარმოებდნენ მხოლოდ უშუალოდ საკუთარი მოხმარებისათვის; გაცვლის აქტები იშვიათი და ცალკეული შემთხვევები იყო; გაცვლის საგანს შეადგენდა მხოლოდ შემთხვევით დარჩენილი ნამეტი. ბარბაროსობის შუა საფეხურზე მეჯოგე ხალხებში ჩვენ პირუტყვის სახით უკვე ისეთ ქონებას ვხედებით, რომელიც ჯოგის გარკვეული სიდიდის პირობებში ერთგვარ ნამეტს იძლევა საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ; ამასთანავე ჩვენ ვხედავთ შრომის დანაწილებასაც მეჯოგე ხალხებსა და იმ ჩამორჩენილ ტომებს შორის, რომელთაც ჯოგები არა ჰყავთ; ამრიგად, ერთიმეორის გვერდით არსებობს წარმოების ორი სხვადასხვა საფეხური და, მაშასადამე, რეგულარული გაცვლის პირობებიც. ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე ხდება შრომის შემდგომი დანაწილება მიწათმოქმედებასა და ხელოსნობას შორის; ამას მოსდევს ის, რომ შრომის პროდუქტების ნაწილი სულ უფრო მეტი და მეტი რაოდენობით მზადდება უშუალოდ

გაცვლისათვის, ამით კი გაცვლა ცალკეულ მწარმოებლებს შორის სასიცოცხლო აუცილებლობად იქცევა საზოგადოებისათვის. ცივილიზაცია შრომის დანაწილების ყველა იმ სახეობას, რაც კი მანამდე წარმოშობილა, განამტკიცებს და აძლიერებს, განსაკუთრებით ქალაქისა და სოფლის წინააღმდეგობის გამწვავებით (ამასთან ეკონომიურად ბატონობა შეუძლია ქალაქს სოფელზე, როგორც ეს ძველად იყო, ანდა სოფელს — ქალაქზე, როგორც ეს შუა საუკუნეებში იყო), და თანაც უმატებს შრომის მესამე დანაწილებას, ცივილიზაციის დამახასიათებელ და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დანაწილებას: იგი ქმნის კლასს, რომელიც უკვე წარმოებას კი აღარ მისდევს, არამედ მხოლოდ პროდუქტების გაცვლას, — ქმნის ვაჭრებს. ყველა წინათ არსებული ტენდენცია, მიმართული კლასების შექმნისაკენ, ჯერ კიდევ დაკავშირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ წარმოებასთან; ამ ტენდენციების მიხედვით წარმოებაში მონაწილე ადამიანები იყოფოდნენ ხელმძღვანელებად და შემსრულებლებად. ანდა უფრო მსხვილ და უფრო წვრილ მწარმოებლებად. აქ პირველად ჩნდება კლასი, რომელიც არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს წარმოებაში, მაგრამ საერთოდ და მთლიანად ხელთ იგდებს წარმოების ხელმძღვანელობას და მწარმოებლებს ეკონომიურად იმორჩილებს; იგი ხდება აუცილებელი შუამავალი ყოველ ორ მწარმოებელს შორის და ორივეს ექსპლოატაციას უწევს. იმ საბაბით, რომ თითქოს მწარმოებლები თავისუფლდებიან გაცვლასთან დაკავშირებული შრომისა და რისკისაგან, რომ ფართოვდება მათი პროდუქტების გასაღების შესაძლებლობა უაღრესად შორეულ ბაზრებამდე და ამით თითქოს მოსახლეობის ყველაზე სასარგებლო კლასი იქმნება, — ყალიბდება პარაზიტების კლასი, ნამდვილი საზოგადოებრივი მუქთახორების კლასი; ეს კლასი თავის სინამდვილეში მეტად უმნიშვნელო სამსახურის ასანაზღაურებლად ნაღებს ხდის როგორც შინაურ, ისე უცხოურ წარმოებას, სწრაფად იძენს უდიდეს სიმდიდრეს და ამ სიმდიდრის შესაბამის საზოგადოებრივ გავლენას; და სწორედ ამიტომ ცივილიზაციის პერიოდში პარაზიტების კლასი სულ უფრო მეტ საპატიო მდგომარეობას აღწევს და სულ უფრო მეტად იმორჩილებს წარმოებას, ვიდრე, ბოლოს, თვითონვე არ წარმოშობს საკუთარ პროდუქტს—პერიოდულ საეკონომიო კრიზისებს.

რა თქმა უნდა, განვითარების იმ საფეხურზე, რომელიც ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, ვაჭართა ახალგაზრდა კლასს ჯერ კიდევ არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმ დიად საქმეებზე, რო-

მელთა შესრულებაც მას მომავალში მოელის. მაგრამ ეს კლასი იქმნება და აუცილებელი ხდება, და ეს საკმარისია. მასთან ერთად კი ჩნდება ლ ი თ ო ნ ი ს ფ უ ლ ი, მოჭრილი მონეტა, ლითონის ფულთან ერთად კი იქმნება ახალი საშუალება არამწარმოებელი კლასის ბატონობისა მწარმოებელ კლასზე და მის წარმოებაზე. აღმოაჩინეს საქონელთა საქონელი, რომელიც ფარულად ყველა სხვა საქონელს შეიცავს, ჯადოქრული საშუალება, რომელიც შეიძლება სურვილისამებრ ყოველგვარ სანატრელ და სასურველ საგნად გადაიქცეს. ვისაც ეს საშუალება ჰქონდა, ის წარმოების მთელ სამყაროზე ბატონობდა; ხოლო ვის ჰქონდა იგი უწინარეს ყოვლისა? ვაჭარს. ფულის კულტი მის საიმედო ხელში იყო. მან იკისრა იმის ახსნა-განმარტება, რომ ყოველმა საქონელმა და მასთან ერთად ყოველმა საქონელმწარმოებელმა მოწიწებით უნდა მოიდრიკოს მუხლი ფულის წინაშე და მას თაყვანი სცეს. მან პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ სიმდიდრის ყველა სხვა ფორმა მხოლოდ მოჩვენებაა სიმდიდრის—როგორც ასეთის—ამ განსახიერების წინაშე. არასოდეს შემდეგში ფულის ძალა ისეთი პირველყოფილი სიტლანქითა და ისეთი ძალმომრეობით არ გამომჟღავნებულა, როგორც მის ამ სიყრმის პერიოდში. ფულზე საქონლის ყიდვას უშუალოდ მოჰყვა ფულის სესხება, ხოლო ფულის სესხებასთან ერთად გაჩნდა სარგებელი და მევახშეობა. და შემდგომი დროის არც ერთ კანონმდებლობას ისე შეუბრალებლად და უიმედოდ არ ჩაუგდია მევახშე-კრედიტორის კლანჭებში მოვალე, როგორც ეს ძველი ათენისა და ძველი რომის კანონდებლობამ ჩაიდინა,—ორივე ეს კანონმდებლობა კი წარმოიშვა სპონტანურად როგორც ადათობრივი სამართალი, მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური იძულების შედეგად.

საქონლისა და მონების სახით არსებული სიმდიდრის გვერდით, ფულადი სიმდიდრის გვერდით გაჩნდა აგრეთვე მიწის სიმდიდრეც. ცალკეულ პირთა უფლება, რომელიც მათ გვარის ან ტომის მიერ თავდაპირველად მიცემული მიწის პარცელების მფლობელობას ანიჭებდა, იმდენად განმტკიცდა, რომ ახლა ეს პარცელები მათ სამემკვიდრეო საკუთრებას შეადგენდა. რასაც ისინი უკანასკნელ დროს პირველ რიგში ესწრაფოდნენ—ეს იყო სწორედ განთავისუფლება მიწის პარცელისა გვაროვნული თემის იმ უფლებებისაგან, რომელნიც მათთვის ბორკილებად იქცა. ეს ბორკილები მალე გაქრა, მაგრამ სულ მალე ამის შემდეგ გაქრა ახალი

მიწის საკუთრებაც. მიწის სრული, თავისუფალი საკუთრება ნიშნავდა არა მარტო მიწის დაუბრკოლებელი და შეუზღუდველი ფლობის შესაძლებლობას, არაჰედ იგი ნიშნავდა ამ მიწის გასხვისების შესაძლებლობასაც. ვიდრე მიწა გვარის საკუთრება იყო, ეს შესაძლებლობა არ არსებობდა. მაგრამ როცა ახალმა მიწათმფლობელმა საბოლოოდ მოიშორა გვარის და ტომის უმაღლესი საკუთრების ბორკილები, მან გაწყვიტა ის კავშირიც, რომელიც მას მანამდე განუყრელად აკავშირებდა მიწასთან. თუ რას ნიშნავდა ეს, მისთვის ნათელი გახადა მიწის კერძო საკუთრებასთან ერთად შემოღებულმა ფულმა. მიწას შეეძლო ახლა გასაყიდი და დასაგირავებელი საქონელი გამხდარიყო. მიწის საკუთრების დამყარებისთანავე უკვე იპოტეკაც შემოიღეს (იხ. ათენი). როგორც ჰეტერიზმი და პროსტიტუცია მოსდევს კვალდაკვალ მონოგამიას, ასევე მიწის საკუთრებას ამიერიდან აუცილებლად თან მოსდევს იპოტეკა. თქვენ გინდოდათ სრული, თავისუფალი, გასასხვისებელი მიწის საკუთრება. — ძალიან კარგი, აი ინებეთ: «შენ ეს გსურდა, ჟორჟ დანდენ!»

ამრიგად, ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად, ფულთან, ფულის მცვახშეობასთან, მიწის საკუთრებასა და იპოტეკასთან ერთად სწრაფად ხდებოდა სიმდიდრის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია მცირერიცხოვანი კლასის ხელში, ხოლო ამასთან ერთად განუწყვეტლად მატულობდა მასების გაღატაკება და სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ღარიბთა რიცხვი. მდიდართა ახალი არისტოკრატია ავიწროებდა და საბოლოოდ უკანა რიგში აყენებდა ძველ გვაროვნულ არისტოკრატიას (ათენში, რომში, გერმანელებში), თუ კი იგი მხოლოდ იმთავითვე არ ემთხვეოდა ამ გვაროვნულ არისტოკრატიას. და ამ დაყოფასთან ერთად, ე. ი. თავისუფალი მოქალაქეების კლასებად დაყოფასთან ერთად, რაც ქონების მიხედვით ხდებოდა, არაჩვეულებრივად იზრდებოდა, განსაკუთრებით საბერძნეთში, მონების[1] რიცხვი, რომელთა იძულებითი შრომა იმ საფუძველს წარმოადგენდა, რომელზედაც აღმართული იყო მთელი საზოგადოების ზედნაშენი.

ახლა ვნახოთ, რა მოუვიდა გვაროვნულ წყობილებას ამ საზოგადოებრივი გადატრიალების დროს. იგი უძლური აღმოჩნდა იმ

[1] მონების რიცხვი ათენში იხ. ზემოთ, გვ. 117. კორინთაში ამ ქალაქის აყვავების ხანაში მონების რიცხვი აღწევდა 460000-დე, ეგინაში—470000-დე; ორივე შემთხვევაში მონათა რიცხვი ათჯერ აღემატებოდა თავისუფალი მოსახლეობის რიცხვს. (ენგელსის შენიშვნა)—ყველაფერი აღნიშნული აქვს ენგელსს მეოთხე გამოცემის მიხედვით. ამ ტომში იხ. გვ. 324.

ახალი ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც მის დაუხმარებლად აღმოცენდნენ. გვაროვნული წყობილების წანამძღვარი ის იყო, რომ ერთი გვარის ან ერთი ტომის წევრები ერთად ცხოვრობდნენ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე და ეს ტერიტორია მხოლოდ მათ მიერ იყო დასახლებული. ეს მდგომარეობა უკვე დიდი ხანია შეწყდა. ყველგან გვარები და ტომები ერთმანეთში არეულნი იყვნენ, ყველგან თავისუფალ მოქალაქეთა შორის მონები, კლიენტები, უცხოელები ცხოვრობდნენ. ბინადრობა, რასაც ადამიანებმა მხოლოდ ბარბაროსობის შუა საფეხურის დასასრულს მიაღწიეს, ხშირად ირღვეოდა საცხოვრებელი ადგილის გადანაცვლებისა და ცვალებადობის გამო, რაც გამოწვეული იყო სავაჭრო საქმიანობით, ხელობის გამოცვლით და მიწის საკუთრების გასხვისებით. გვაროვნულ გაერთიანებათა წევრებს უკვე აღარ შეეძლოთ შეკრებილიყვნენ საკუთარი საერთო საქმეების გადასაწყვეტად; ასე თუ ისე ისინი ერთად აგვარებდნენ კიდევ ისეთ უმნიშვნელო საქმეებს, როგორიც იყო, მაგალითად, რელიგიური დღესასწაულების გადახდა. იმ მოთხოვნილებებისა და ინტერესების გვერდით, რომელთა უზრუნველსაყოფად მოწოდებულნი იყვნენ სათანადო უნარით აღჭურვილი გვაროვნული გაერთიანებანი, წარმოების პირობებში მომხდარი გადატრიალებისა და აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი სტრუქტურის ცვლილების შედეგად წარმოიშვა ისეთი ახალი მოთხოვნილებანი და ინტერესები, რომელნიც არა მარტო უცხო იყო ძველი გვაროვნული წყობილებისათვის, არაშედ მას ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა. შრომის დანაწილებით წარმოშობილ ხელოსანთა ჯგუფების ინტერესები, ქალაქის განსაკუთრებული მოთხოვნილებანი წინააღმდეგ სოფლის მოთხოვნილებებისა—ახალ ორგანოებს მოითხოვდნენ; მაგრამ თვითეული ეს ჯგუფი სხვადასხვა გვარის, ფრატრიისა და ტომის ადამიანებისაგან შედგებოდა, იგი უცხოელებსაც კი შეიცავდა; მაშასადამე, ეს ორგანოები უნდა შექმნილიყო გვაროვნული წყობილების გარეშე, მის გვერდით და ამით მის წინააღმდეგაც. და ყოველ გვაროვნულ გაერთიანებაში, თავის მხრივ, თავს იჩენდა ეს შუხლა ინტერესებისა, რაც თავის უმაღლეს წერტილს აღწევდა ერთსა და იმავე გვარისა და ერთსა და იმავე ტომის მდიდრებისა და ღარიბების, მევახშეებისა და მოვალეების გაერთიანებაში. ამას დაერთო ახალი, გვაროვნული ჯგუფებისათვის უცხო მოსახლეობის მასა, რომელიც შეიძლებოდა ძალად გადაქცეულიყო ქვეყანაში, როგორც ეს რომში მოხდა; თანაც იგი იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ მისი თანდათანობით გათ-

ქვეფა სისხლმონათესავე გვარებსა და ტომებში არ შეიძლებოდა. ამ მასას უპირდაპირდებოდნენ გვაროვნული გაერთიანებანი როგორც კარჩაკეტილი, პრივილეგირებული კორპორაციები; პირველყოფილი, ბუნებრივად აღმოცენებული დემოკრატია გადაიქცა საძულველ არისტოკრატიად. დასასრულ, გვაროვნული წყობილება ისეთი საზოგადოებიდან აღმოცენდა, რომელიც არავითარ შინაგან ანტაგონიზმებს არ იცნობდა და იგი შეგუებული იყო მხოლოდ ასეთ საზოგადოებასთან. მას იძულების არავითარი სხვა საშუალება არ გააჩნდა, გარდა საზოგადოებრივი აზრისა. აქ კი ისეთი საზოგადოება წარმოიშვა, რომელიც, თავისი ცხოვრების მთელი ეკონომიური პირობების გამო, აუცილებლად უნდა გათიშულიყო თავისუფალ მოქალაქეებად და მონებად, ექსპლოატატორ მდიდრებად და ექსპლოატირებულ ღარიბებად, — საზოგადოება, რომელსაც არათუ არ შეეძლო ეს ანტაგონიზმები კვლავ შეერიგებინა, არამედ ისინი სულ უფრო და უფრო უნდა გაემწვავებინა. ასეთ საზოგადოებას არსებობა შეეძლო ან მხოლოდ ამ კლასებს შორის წარპოებულ განუწყვეტელ და აშკარა ბრძოლაში, ანდა ისეთი მესამე ძალის ბატონობის პირობებში, რომელიც, როგორც ვითომდა ერთიმეორის წინააღმდეგ მებრძოლ კლასებზე მაღლა მდგომი, მათ აშკარა შეჯახებებს ახშობდა და, უკეთეს შემთხვევაში, კლასობრივი ბრძოლა დასაშვებად მიაჩნდა მხოლოდ ეკონომიურ დარგში, ეგრეთწოდებულ კანონიერ ფორმაში. გვაროვნულმა წყობილებამ თავისი დრო მოჭამა. იგი დაშალა შრომის დანაწილებამ და მისმა შედეგმა — საზოგადოების კლასებად დაყოფამ. იგი სახელმწიფომ შესცვალა.

* * *

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ის სამი მთავარი ფორმა, რომლითაც სახელმწიფო ყალიბდება და გვაროვნული წყობილების ნანგრევებზე აღიმართება. ათენი ყველაზე წმინდა, ყველაზე კლასიკურ ფორმას წარმოადგენს: აქ სახელმწიფო წარმოიშვება უშუალოდ და უმთავრესად იმ კლასობრივი ანტაგონიზმებიდან, რომელნიც თვით გვაროვნული საზოგადოების წიაღში ვითარდებიან. რომში გვაროვნული საზოგადოება იქცევა კარჩაკეტილ არისტოკრატიად, რომელსაც გარს არტყია მრავალრიცხოვანი, გვაროვნული საზოგადოების გარეშე მყოფი, უუფლებო, მაგრამ ვალდებულებებით დატვირთული პლებსი; პლებსის გამარჯვება ამხობს ძველ გვაროვნულ წყობილებას და მის ნანგრევებზე აღმართავს სახელმწი-

ფოს, რომელშიც მალე გვაროვნული არისტოკრატიაც და პლებსიც სრულიად ქრებიან. ბოლოს, რომის იმპერიის გერმანელ დამპყრობლებში სახელმწიფო წარმოიშვება როგორც უშუალო შედეგი იმ ვრცელი უცხო ტერიტორიების დაპყრობისა, რომლებზეც ბატონობისათვის გვაროვნულ წყობილებას არავითარი საშუალება აღარ გააჩნია. მაგრამ რადგან ამ დაპყრობასთან არაა დაკავშირებული არც სერიოზული ბრძოლა წინანდელ მოსახლეობასთან, არც კიდევ უფრო პროგრესული დანაწილება შრომისა, რადგან დაპყრობილ ხალხთა და დამპყრობელთა ეკონომიური განვითარების დონე თითქმის ერთნაირია, მაშასადამე, საზოგადოების ეკონომიური საფუძველი უწინდელი რჩება, ამიტომ გვაროვნულ წყობილებას შეუძლია განაგრძოს არსებობა მთელი საუკუნეების მანძილზე სამარკო წესწყობილების შეცვლილი, ტერიტორიული ფორმით; მას შეუძლია გარკვეული დროის განმავლობაში შესუსტებული ფორმით განახლება განიცადოს თვით გვიანდელი თავადაზნაურობისა და პატრიციების გვარებშიც, გლეხთა გვარებშიც კი, როგორც ამას, მაგალითად, დიტმარშენში[1] ვხედავთ.

ამრიგად, სახელმწიფო სრულიადაც არ არის ისეთი ძალა, რომელიც საზოგადოებას გარედან აქვს თავს მოხვეული; ასევე ნაკლებადაა იგი «ზნეობრივი იდეის სინამდვილე», «სახე და სინამდვილე გონებისა», როგორც ამას ჰეგელი ამტკიცებს. პირიქით, სახელმწიფო საზოგადოების პროდუქტია განვითარების გარკვეულ საფეხურზე; სახელმწიფო აღიარებაა იმისა, რომ ეს საზოგადოება გაიხლართა გადაუწყვეტელ წინააღმდეგობაში თავის თავთან, გაითიშა შეურიგებელ წინააღმდეგობებად, რომელთაგანაც თავის დაღწევა მას არ ძალუძს. ხოლო იმისათვის, რომ ამ წინააღმდეგობებმა, კლასებმა თავიანთი ანტაგონისტური ეკონომიური ინტერესებით, არ გაანადგურონ ერთმანეთი და საზოგადოება უნაყოფო ბრძოლაში, აუცილებელი გახდა ისეთი ძალა, რომელიც თითქოს საზოგადოებაზე მაღლა დგას, ძალა, რომელმაც უნდა შეანელოს კონფლიქტი და «წესრიგის» ჩარჩოებში დააკავოს იგი; ეს ძალა კი, რომელიც საზოგადოებიდან გამოვიდა, მაგრამ საზოგადოებაზე მაღ-

---

[1] პირველი ისტორიკოსი, რომელსაც დაახლოებითი წარმოდგენა მაინც ჰქონდა გვარის რაობაზე, ნიბური იყო, და როგორც ამ წარმოდგენას, ისე თავის პირდაპირ აქედან გამომდინარე შეცდომებს იგი უნდა უმადლოდეს იმ გარემოებას, რომ ის იცნობდა დიტმარშეის გვაროვნულ თემებს. (ენგელსის შენიშვნა).

ლა დგება და საზოგადოებას სულ უფრო და უფრო შორდება, სახელმწიფოა.

ძველ გვაროვნულ ორგანიზაციასთან შედარებით სახელმწიფოს ახასიათებს ის, რომ, ჯერ-ერთი, სახელმწიფოს ქვეშევრდომნი დანაწილებულნი არიან ტერიტორიის მიხედვით. ძველი გვაროვნული კავშირები, რომელნიც სისხლიერი ნათესაობის საფუძველზე იყვნენ შექმნილნი და შეკავშირებულნი, როგორც დავინახეთ, არასაკმარისი აღმოჩნდნენ. უმეტეს ნაწილად იმიტომ, რომ მათი არსებობის წინაპირობა, ე. ი. გვარის წევრების კავშირი გარკვეულ ტერიტორიასთან, უკვე დიდი ხანია გაქრა. ტერიტორია დარჩა, მაგრამ ადამიანები მოძრავნი გახდნენ. მაშასადამე, ამოსავალი წერტილი გახდა ტერიტორიული დაყოფა და მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ თავიანთი საზოგადოებრივი უფლებანი და მოვალეობანი იქ განეხორციელებინათ, სადაც ისინი სახლდებოდნენ, გვარისა და ტოტის განურჩევლად. მოქალაქეთა ასეთი ორგანიზაცია საკხოვრებელი ადგილის მიხედვით საყოველთაოდ მიღებულია ყველა სახელმწიფოში. ამიტომაც იგი ბუნებრივ მოვლენად გვეჩვენება; მაგრამ ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი შეუპოვარი და ხანგრძლივი ბრძოლები იყო საჭირო, ვიდრე იგი დამკვიდრდებოდა ათენსა და რომში გვარების მიხედვით აგებული ძველი ორგანიზაციის ადგილზე.

მეორე დამახასიათებელი თვისებაა ისეთი საჯარო ხელისუფლების დამყარება, რომელიც უკვე აღარ ემთხვევა უშუალოდ მოსახლეობას, როცა ეს მოსახლეობა თვითონვე ახდენს თავისი თავის ორგანიზებას როგორც შეიარაღებული ძალა. ეს განსაკუთრებული, საჯარო ხელისუფლება აუცილებელია იმიტომ, რომ მოსახლეობის თვითმოქმედი შეიარაღებული ორგანიზაცია შეუძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც საზოგადოება კლასებად გაითიშა. მონებიც მოსახლეობის შემადგენლობაში შედიან; 90 000 ათენელი მოქალაქე 365 000 მონის მიმართ მხოლოდ პრივილეგირებულ კლასს წარმოადგენს. ათენის დემოკრატიის სახალხო ჯარი არისტოკრატიული საჯარო ხელისუფლება იყო მონების წინააღმდეგ და ეს მონები მას მორჩილებაში ჰყავდა; მაგრამ იმისათვის, რომ მოქალაქეებიც მორჩილებაში ჰყოლოდათ, აუცილებელი შეიქნა ჟანდარმერია, როგორც ეს უკვე ზემოთ ითქვა. ეს საჯარო ხელისუფლება ყოველ სახელმწიფოში არსებობს. იგი შედგება არა მარტო შეიარაღებული ადამიანებისაგან, არამედ ყოველი სახის ნივთიერი დანამატისა, ციხეებისა და იძულებითი დაწესებულებები-

საგან, რაც გვაროვნული საზოგადოების წყობილებისათვის უცნობი იყო. იგი შეიძლება მეტად უმნიშვნელო, თითქმის შეუმჩნეველი იყოს ისეთ საზოგადოებებში, სადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი ჯერ კიდევ განუვითარებელია, და შორეულ მხარეებში, როგორც ამას ზოგჯერ აქა-იქ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვხედავთ. მაგრამ ეს საჯარო ხელისუფლება ძლიერდება იმ ზომით, რა ზომითაც კლასობრივი წინააღმდეგობანი სახელმწიფოს შიგნით მწვავდება და რამდენადაც ერთიმეორის მოსაზღვრე სახელმწიფოები უფრო დიდი და უფრო დასახლებული ხდებიან; გადაავლეთ თვალი თუნდაც ჩვენს დღევანდელ ევროპას, სადაც კლასობრივმა ბრძოლამ და დაპყრობათა კონკურენციამ საჯარო ხელისუფლება იმდენად დაძაბული გახადა და ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, რომ იგი მთელ საზოგადოებას და სახელმწიფოსაც კი ჩაყლაპვას უქადის.

ამ საჯარო ხელისუფლების შესანახად აუცილებელია მოქალაქეთა დაბეგვრა გარკვეული შესატანით—გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი თ. გვაროვნული საზოგადოებისათვის გადასახადები სრულიად უცნობი იყო. ჩვენ კი მათ დღეს საკმაოდ კარგად ვიცნობთ. ცივილიზაციის განვითარების გამო აღარც ეს გადასახადები კმარა; სახელმწიფო ფამასუქებს იძლევა მომავლისათვის, ფულს სესხულობს, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ვ ა ლ ებ ს იღებს. ამის შესახებ ბებრუხანა ევროპას ბევრი რამ შეუძლია გვიამბოს.

საჯარო ხელისუფლებითა და გადასახადების აკრეფის უფლებით აღჭურვილი მოხელეები, როგორც საზოგადოების ორგანოები, საზოგადოებაზე მ ა ღ ლ ა დგებიან. ის თავისუფალი, ნებაყოფლობითი პატივისცემა, რომლითაც გვაროვნული წყობილების ორგანოებს ეპყრობოდნენ, ამ მოხელეებს უკვე აღარ აკმაყოფილებს, კიდეც რომ შეეძლოთ მათ დღეს ასეთი პატივისცემის მოხვეჭა; ეს მოხელეები ისეთი ხელისუფლების მატარებელნი არიან, რომელიც საზოგადოებისათვის თანდათან უცხო ხდება; მათ პატივისცემა უნდა მოიპოვონ ისეთი განსაკუთრებული კანონების საშუალებით, რომელთა ძალითაც ისინი რაღაც წმინდანნი და ხელუხლებელნი ხდებიან. ცივილიზებული სახელმწიფოს ყველაზე უბადრუკ პოლიციელს უფრო მეტი «ავტორიტეტი» აქვს, ვიდრე გვაროვნული საზოგადოების ყველა ორგანოს, ერთად აღებულთ; მაგრამ ცივილიზაციის ეპოქის ყველაზე ძლიერ მთავარს და გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს ან მთავარსარდალს შეშურდებოდა ის ძალდაუტანებელი და უცილობელი პატივისცემა, რომლითაც გვარის ყველაზე მოკრძალებულ უხუცესს ეპყრობიან. უკანასკნე-

ლი დგას საზოგადოების შიგნით, მაშინ როდესაც პირველნი იძულებულნი არიან რაღაცას წარმოადგენდნენ საზოგადოების გარეშე და საზოგადოებაზე მაღლა იდგნენ.

• რადგან სახელმწიფო კლასების წინააღმდეგობათა ლაგამის ამოდების მოთხოვნილებიდან წარმოიშვა, რადგან იგი ამასთანავე ამ კლასების შეჯახებებში წარმოიშვა, ამიტომ იგი, როგორც წესი, იმ უძლიერესი, ეკონომიურად გაბატონებული კლასის სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოსავე დახმარებით პოლიტიკურადაც გაბატონებული კლასი ხდება და ამ გზით ახალ საშუალებებს იძენს დაჩაგრული კლასის დასათრგუნავად და საექსპლოატაციოდ: ამრიგად, ანტიკური სახელმწიფო იყო, უწინარეს ყოვლისა, მონათმფლობელთა სახელმწიფო—სახელმწიფო მონების დასათრგუნავად, ისევე როგორც ფეოდალური სახელმწიფო იყო ორგანო თავადაზნაურობისა ყმა გლეხების დასათრგუნავად, ხოლო თანამედროვე წარმომადგენლობითი სახელმწიფო იმ იარაღს წარმოადგენს, რომლითაც კაპიტალი დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას ეწევა. მაგრამ გამონაკლისის სახით გვხვდება ისეთი პერიოდები, როცა მებრძოლი კლასები ძალთა ისეთ წონასწორობას აღწევენ, რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლება ამ ორივე კლასის მიმართ ერთგვარ დამოუკიდებლობას იძენს როგორც მოჩვენებითი შუამავალი მათ შორის. ასეთია XVII და XVIII საუკუნეების აბსოლუტური მონარქია, რომელიც თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის წონასწორობას ამყარებს; ასეთია საფრანგეთის პირველი და განსაკუთრებით მეორე იმპერიის ბონაპარტიზმი, რომელიც პროლეტარიატს ბურჟუაზიის წინააღმდეგ აქეზებდა, ხოლო ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ. უახლეს მიღწევას ამ დარგში, როცა გაბატონებულიც და დამორჩილებულიც ერთნაირად კომიკურად გამოიყურებიან, წარმოადგენს ბისმარკული ნაციის ახალი გერმანული იმპერია: აქ კაპიტალისტები და მუშები გაწონასწორებულნი არიან ერთი მეორის მიმართ და მათ თანაბრად ატყუებენ პრუსიის გარანგებულ პროვინციელ იუნკერთა ინტერესების სასარგებლოდ.

გარდა ამისა, ისტორიულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში მოქალაქეთათვის მინიჭებული უფლებები შეფარდებულია მათს ქონებრივ მდგომარეობასთან და ამით პირდაპირ ნათქვამია, რომ სახელმწიფო ის ორგანიზაციაა, რომელიც იცავს მქონებელთა კლასს უქონელთა კლასისაგან. ასე იყო უკვე ათენსა დ რომში, სადაც ქონების მიხედვით ხდებოდა კატეგორიებად დაყოფა; ასევე

იყო შუა საუკუნეების ფეოდალურ სახელმწიფოშიც, სადაც პოლიტიკური მდგომარეობა მიწათმფლობელობის ოდენობით განისაზღვრებოდა. ეს თავის გამოხატულებას პოულობს თანამედროვე წარმომადგენლობითი სახელმწიფოების საარჩევნო ცენზშიც. მაგრამ ქონებრივი მდგომარეობის განსხვავების ეს პოლიტიკური აღიარება სრულიადაც არაა არსებითი. პირიქით, იგი სახელმწიფოებრივი განვითარების დაბალი საფეხურის დამახასიათებელია. სახელმწიფოს უმაღლესი ფორმა, დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ჩვენს თანამედროვე საზოგადოებრივ პირობებში სულ უფრო და უფრო გარდუვალი აუცილებლობა ხდება და სახელმწიფოს იმ ფორმას წარმოადგენს, რომლის დროსაც შეიძლება მხოლოდ მოხდეს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლის ბოლომდე დაყვანა,—ეს დემოკრატიული რესპუბლიკა ოფიციალურად უკვე აღარ იცნობს ქონებრივ განსხვავებას. ამ სახელმწიფოებრივი ფორმის დროს სიმდიდრე თავის ძალაუფლებას არაპირდაპირ, მაგრამ მით უფრო მტკიცედ ახორციელებს: ეს ხდება, ერთი მხრივ, მოხელეთა პირდაპირი მოსყიდვის ფორმით (ამის კლასიკური ნიმუშია ამერიკა) მეორე მხრივ, მთავრობისა და ბირჟის კავშირის ფორმით, რაც მით უფრო ადვილად ხორციელდება, რაც უფრო მეტად იზრდება სახელმწიფო ვალი და რაც უფრო მეტად უყრიან თავს თავიანთ ხელში აქციონერთა საზოგადოებანი არა მარტო ტრანსპორტს, არამედ თვით წარმოებასაც და იმავე ბირჟას თავიანთ ცენტრად იხდიან. ამის ნათელ მაგალითს, გარდა ამერიკისა, საფრანგეთის უახლესი რესპუბლიკა იძლევა, და წესიერმა შვეიცარიამაც კი თავისი წვლილი შეიტანა ამ დარგში. მაგრამ მთავრობისა და ბირჟის ამ ძმური კავშირისათვის რომ დემოკრატიული რესპუბლიკა სრულიად არაა საჭირო, ამას ადასტურებს, გარდა ინგლისისა, გერმანიის ახალი იმპერია, სადაც ვერ ვიტყვით, ვინ უფრო მაღლა ასწია საყოველთაო საარჩევნო უფლებამ: ბისმარკი თუ ბლაიხრედერი. ბოლოს, მქონებელი კლასი ბატონობს უშუალოდ საყოველთაო საარჩევნო უფლების შემწეობით. სანამ დაჩაგრული კლასი — ამ შემთხვევაში, მაშასადამე, პროლეტარიატი — ჯერ კიდევ არ მომწიფებულა იმდენად, რომ თავი გაინთავისუფლოს, იგი, ე. ი. მისი უმრავლესობა, არსებულ საზოგადოებრივ წესწყობილებას ერთადერთ შესაძლებელ წესწყობილებად აღიარებს და პოლიტიკურად კაპიტალისტთა კლასის მაჩანჩალა, მისი უკიდურესი მემარცხენეფრთა იქნება. მაგრამ რამდენადაც ეს კლასი უფრო მწიფდება

თვითგანთავისუფლებისათვის, იმდენად იგი ყალიბდება საკუთარი პარტიის სახით, ირჩევს თავის და არა კაპიტალისტების წარმომადგენლებს. ამრიგად, საყოველთაო საარჩევნო უფლება მუშათა კლასის სიმწიფის მაჩვენებელია. მეტის მოცემა მას არ შეუძლია და ვერც მოგვცემს ვერასდროს ახლანდელ სახელმწიფოში; მაგრამ ესეც საკმარისია. იმ დღეს, როცა საყოველთაო საარჩევნო უფლების თერმომეტრი მუშების დუღილის წერტილს გვიჩვენებს, მუშებსაც, ისევე როგორც კაპიტალისტებსაც, ეცოდინებათ, რა უნდა გააკეთონ.

ამრიგად, სახელმწიფო დასაბამიდანვე როდი არსებობდა. იყვნენ ისეთი საზოგადოებანი, რომელნიც უიმისოდ სძლებდნენ, რომელთაც სახელმწიფოზე და სახელმწიფო ხელისუფლებაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ეკონომიური განვითარების გარკვეულ საფეხურზე, რომელიც აუცილებლად დაკავშირებული იყო საზოგადოების კლასებად გათიშვასთან, სახელმწიფო ამ გათიშვის გამო აუცილებლობად იქცა. ახლა ჩვენ სწრაფი ნაბიჯით ვუახლოვდებით წარმოების განვითარების ისეთ საფეხურს, როცა ამ კლასების არსებობა არათუ აღარ წარმოადგენს აუცილებლობას, არამედ იგი წარმოების პირდაპირ დაბრკოლებად იქცევა. კლასები ისეთივე გარდუვალობით გაქრებიან, როგორი გარდუვალობითაც ისინი წარსულში წარმოიშვნენ. კლასების გაქრობასთან ერთად გარდუვალად გაქრება სახელმწიფოც. საზოგადოება, რომელიც ახლებურად მოაწყობს წარმოებას მწარმოებელთა თავისუფალი და თანასწორი ასოციაციის საფუძველზე, მთელ სახელმწიფო მანქანას იქ მოათავსებს, სადაც მაშინ მისი ნამდვილი ადგილი იქნება: სიძველეთა მუზეუმში, ჯარასა და ბრინჯაოს ცულის გვერდით.

* * *

ამრიგად, ზემონათქვამის მიხედვით, ცივილიზაცია საზოგადოებრივი განვითარების იმ საფეხურს წარმოადგენს, რომელზედაც შრომის დანაწილება, აქედან გამომდინარე გაცვლა ცალკეულ პირებს შორის და ამ ორივე პროცესის გამაერთიანებელი სასაქონლო წარმოება სრულ გაშლა-განვითარებას აღწევენ და მთელ წინანდელ საზოგადოებაში გადატრიალებას ახდენენ.

წარმოება საზოგადოებრივი განვითარების ყველა წინანდელ საფეხურზე არსებითად საერთო იყო; ასევე მოხმარებაც იმაში გამოიხატებოდა, რომ პროდუქტები პირდაპირ ნაწილდებოდა უფრო

დიდი თუ უფრო პატარა კომუნისტური თემების შიგნით. წარმოების ეს ერთობა ხორციელდებოდა მეტად ვიწრო ფარგლებში, მაგრამ იგი იწვევდა მწარმოებელთა ბატონობას მათი წარმოების პროცესზე და გამომუშავებულ პროდუქტზე. მათ იციან, რა ემართება პროდუქტს: ისინი თვითონ ხმარობენ პროდუქტს, ეს უკანასკნელი არ გადის მათი ხელიდან; ხოლო ვიდრე წარმოება ამ საფუძველზე ხდება, იგი ვერ გაუსწრებს ზრდაში მწარმოებლებს, ვერ წარმოშობს მოჩვენებითს, მათთვის უცხო ძალებს, როგორც ეს ჩვეულებრივად და გარდუვალად ცივილიზაციის ეპოქაში ხდება.

მაგრამ წარმოების ამ პროცესში ნელ-ნელა მკვიდრდება შრომის დანაწილება. იგი ძირს უთხრის წარმოებისა და მითვისების ერთობას, იგი გაბატონებულ წესად ხდის კერძო მითვისებას და ამასთანავე ერთად წარმოშობს პროდუქტების გაცვლას ცალკეულ პირთა შორის; თუ როგორ ხდება ეს, ჩვენ ზემოთ განვიხილეთ. თანდათანობით სასაქონლო წარმოება გაბატონებული ფორმა ხდება.

სასაქონლო წარმოების პირობებში, ე. ი. ისეთი წარმოების დროს, როცა პროდუქტი უკვე საკუთარი მოხმარებისათვის კი აღარ მზადდება, არამედ გაცვლისათვის, პროდუქტები აუცილებლად ხელიდან ხელში გადადის. მწარმოებელი გაცვლისას თავის პროდუქტს სხვას აძლევს; მან უკვე აღარ იცის, რა დაემართება მის პროდუქტს. როგორც კი მწარმოებლებს შორის შუამავლის როლში ფული და ფულთან ერთად ვაჭარი გამოდის, გაცვლის პროცესი კიდევ უფრო დახლართული, ხოლო პროდუქტების საბოლოო ბედი კიდევ უფრო გაურკვეველი ხდება. ვაჭრები ძალიან ბევრია, და არც ერთმა მათგანმა არ იცის, რას აკეთებს მეორე. საქონელი ახლა არა მარტო ხელიდან ხელში, არამედ ბაზრიდან ბაზარშიც გადადის; მწარმოებლებმა დაკარგეს ბატონობა საკუთარი ცხოვრების პირობების ერთობლივ წარმოებაზე, მაგრამ ეს ბატონობა ვერც ვაჭრებმა მიიღეს. პროდუქტები და წარმოება შემთხვევის ანაბარა რჩება.

მაგრამ შემთხვევითობა მხოლოდ ერთი პოლუსია ურთიერთდამოკიდებულებისა, მის მეორე პოლუსს აუცილებლობა ჰქვია. ბუნებაში, სადაც ასევე თითქოს შემთხვევითობა არსებობს, ჩვენ უკვე დიდი ხანია აღმოვაჩინეთ ყოველ ცალკეულ დარგში შინაგანი აუცილებლობა და კანონზომიერება, რომელიც ამ შემთხვევითობაში გზას იკაფავს. ხოლო რასაც ბუნების მიმართ ძალა აქვს,

იგი საზოგადოების მიმართაც ძალაში რჩება. რაც უფრო ნაკლებად ექვემდებარება რომელიმე საზოგადოებრივი საქმიანობა, მთელი რიგი საზოგადოებრივი პროცესები ადამიანთა შეგნებულ კონტროლს, რაც უფრო ალარ ემორჩილებიან ისინი მის ძალაუფლებას, რაც უფრო წმინდა შემთხვევითი ხასიათის მოვლენად გვეჩვენება ეს საქმიანობა, მით უფრო მეტი ბუნებრივი აუცილებლობით ვლინდება ამ შემთხვევითობაში მისი დამახასიათებელი შინაგანი კანონები. ასეთივე კანონები ბატონობენ სასაქონლო წარმოებისა და საქონელგაცვლის შემთხვევითი ხასიათის მოვლენებზე: ცალკეულ მწარმოებელს და გაცვლის მონაწილეს ისინი უპირდაპირდებიან როგორც უცხო, თავდაპირველად როგორც უცნობი ძალებიც კი, რომელთა ბუნება ჯერ კიდევ გულდასმით შესასწავლი და გამოსაკვლევია. სასაქონლო წარმოების ეს ეკონომიური კანონები სახეს იცვლიან წარმოების ამ ფორმის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, მაგრამ საერთოდ და მთლიანად ცივილიზაციის მთელი პერიოდი მათი ბატონობის ნიშნით მიმდინარეობს. დღესაც კიდევ პროდუქტი ბატონობს მწარმოებლებზე; დღესაც კიდევ მთელი საზოგადოებრივი წარმოების რეგულირება ხდება არა საერთო მოფიქრებული გეგმის მიხედვით, არამედ იმ ბრმა კანონების მიერ, რომელნიც სტიქიური სიძლიერით მეღავნდებიან, საბოლოოდ კი ვლინდებიან პერიოდული სავაჭრო კრიზისების ქარტეხილში.

ჩვენ დავინახეთ, რომ წარმოების განვითარების შედარებით ადრინდელ საფეხურზე ადამიანის სამუშაო ძალას შეუძლია საგრძნობლად უფრო მეტი პროდუქტი შექმნას იმასთან შედარებით, რაც მწარმოებლის არსებობისათვისაა აუცილებელი, და რომ განვითარების ეს საფეხური ძირითადად სწორედ ის საფეხურია, რომელზედაც ჩნდება შრომის დანაწილება და პროდუქტების გაცვლა ცალკეულ პირებს შორის. ამის შემდეგ კი დიდ ხანს ალარ გაუვლია იმ დიდი «ჭეშმარიტების» აღმოჩენამდე, რომ ადამიანიც შეიძლება საქონელს წარმოადგენდეს, რომ შესაძლებელია ადამიანის ძალაც გაცვლისა და მოხმარების საგანი გახდეს, თუ კი ადამიანს მონად გადააქცევდნენ. ადამიანებს ჯერ ვერც კი მოესწროთ გაცვლის დაწყება, რომ თვითვე გაცვლის საგანი გახდნენ. აქტიური სუბიექტი პასიურ ობიექტად იქცა, — სულერთია სურდათ ეს ადამიანებს თუ არა.

მონობის წარმოშობისთანავე, რომელმაც ცივილიზაციის ხანაში უმაღლეს განვითარებას მიაღწია, მოხდა საზოგადოების პირველი დიდი გათიშვა ექსპლოატატორულ და ექსპლოატირებულ კლასე-

ბად. ეს გათიშვა გრძელდებოდა ცივილიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში. მონობა ექსპლოატაციის პირველი ფორმაა, რომელიც ანტიკურ სამყაროს ახასიათებს; მას მოსდევს: ბატონყმობა შუა საუკუნეებში, დაქირავებული შრომა კი ახალ ხანაში. ასეთია დამონების ის სამი დიდი ფორმა, რომელიც დამახასიათებელია ცივილიზაციის სამი დიდი ეპოქისათვის; თავდაპირველად აშკარა, ხოლო შემდეგში შენიღბული მონობა ცივილიზაციას მუდამ თან ახლავს.

სასაქონლო წარმოების იმ საფეხურისათვის, რომლითაც ცივილიზაცია იწყება, ეკონომიურად დამახასიათებელია: 1) ლითონის ფულის და მასთან ერთად ფულადი კაპიტალის, პროცენტისა და მევახშეობის შემოღება, 2) ვაჭრების გაჩენა, რომლებიც შუამავალი კლასის როლს ასრულებენ მწარმოებლებს შორის, 3) მიწის საკუთრებისა და იპოტეკის გაჩენა, 4) მონური შრომის — როგორც წარმოების გაბატონებული ფორმის — წარმოშობა. ოჯახის ახალი ფორმა, რომელიც ცივილიზაციას შეესაბამება და ცივილიზაციასთან ერთად თავის ბატონობას საბოლოოდ ამყარებს, — ეს არის მონოგამია, მამაკაცის ბატონობა დედაკაცზე, და ინდივიდიალური ოჯახი როგორც საზოგადოების სამეურნეო ერთეული. ცივილიზებული საზოგადოების შემაკავშირებელია სახელმწიფო, რომელიც ყველა ტიპიურ პერიოდში გამოუკლებლივ გაბატონებული კლასის სახელმწიფოს წარმოადგენს და ყველა შემთხვევაში არსებითად დაჩაგრული, ექსპლოატირებული კლასის დათოგუნვის მანქანად რჩება. ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია კიდევ შემდეგი: ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ განმტკიცდა წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის, როგორც საფუძველი შრომის მთელი საზოგადოებრივი დანაწილებისა; მეორე მხრივ კი, ის, რომ შემოღებულ იქნა ანდერძი, რომლის შემწეობითაც მესაკუთრეს შეუძლია თავისი საკუთრება განაგოს სიკვდილის შემდეგაც. ეს ინსტიტუტი, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ძველ გვაროვნულ წყობილებას, ათენში უცნობი იყო სოლონამდე; რომში იგი უკვე ადრევე შემოიღეს, მაგრამ თუ როდის, — ჩვენ არ ვიცით[1]; გერმანელებში ის

[1] ლასალის «შეძენილ უფლებათა სისტემის» მეორე ნაწილი უმთავრესად იმ დებულების გარშემო ტრიალებს, რომ რომაული ანდერძი ისევე ძველია, როგორც თვით რომი, რომ რომის ისტორიისათვის არასოდეს «არ არსებულა ისეთი დრო, როცა ანდერძი არ სცოდნოდათ», რომ ანდერძი უფრო რომის წინაპერიოდში მიცვალებულის კულტიდან წარმოიშვაო. ლასალს, როგორც მართლმორწმუნე ძველ ჰეგელიანელს, რომის სამართლის ნორმები რომაელთა საზოგადოებრივი ურთი-

ხუცებმა შემოიღეს იმ მიზნით, რომ პატიოსან გერმანელს შესაძლებლობა ჰქონოდა თავისი სამემკვიდრეო ნაწილი დაუბრკოლებლად ეკლესიისათვის ეანდერძნა.

ამ წყობილების საფუძველზე ცივილიზაციამ ისეთი საქმეები გააკეთა, რის გაკეთებაც ძველ გვაროვნულ საზოგადოებას არასგზით არ შეეძლო. მაგრამ მან ეს იმის შემწეობით მოიმოქმედა, რომ ადამიანთა უმდაბლესი ინსტინქტები და ვნებანი აამოძრავა და ისინი ადამიანის დანარჩენ მიდრეკილებათა ხარჯზე განავითარა. ცივილიზაციის მამოძრავებელი ძალა მისი გაჩენიდან დღევანდლამდე უმდაბლესი სიხარბე იყო; მისი ერთადერთი, განმსაზღვრელი მიზანი იყო სიმდიდრე, სიმდიდრე და კიდევ სიმდიდრე, მაგრამ სიმდიდრე არა საზოგადოებისა, არამედ აი ამ ცალკეული სულმდაბალი ინდივიდისა. ხოლო თუ ამ საზოგადოების წიაღში თანდათან ვითარდებოდა მეცნიერება და მეორდებოდა ხელოვნების უპალლესი აღვავების პერიოდები, ეს მხოლოდ იმიტომ ხდებოდა, რომ უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი დროის ყველა მონაპოვარი სიმდიდრის დაგროვების დარგში.

რადგან ცივილიზაციის საფუძველი ისაა, რომ ერთი კლასი მეორე კლასის ექსპლოატაციას ეწევა, ამიტომ ცივილიზაციის მთელი განვითარება მუდმივ წინააღმდეგობაში მიმდინარეობს. ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი წარმოებაში მოასწავებს იმავდროულად ნაბიჯის უკან გადადგმას ჩაგრული კლასის, ე. ი. დიდი უმრავლესობის მდგომარეობაში. ყოველი კეთილდღეობა ერთისა აუცილებელი უბედურებაა მეორისათვის, ყოველი ახალი განთავისუფლება ერთი კლასისა ახალი ჩაგვრაა მეორე კლასისათვის. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითს წარმოადგენს მანქანების შემოღება, რომლის შედეგებიც ახლა საყოველთაოდ ცნობილია. თუ ბარბაროსებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, ძლიერძლიერობით შეიძლებოდა უფლებათა და ვალდებულებათა გარჩევა, ცივილიზაცია ყველაზე გონებაჩლუნგ ადამიანსაც კი ნათლად განუმარტავს მათ შორის არსებულ.

ერთობიდან კი არ გამოჰყავს, არამედ ნებისყოფის «სპეკულაციური ცნებიდან» და ამასთან ზემოაღნიშნულ, სრულიად არაისტორიულ მტკიცებამდე მიდის. ეს არც გასაკვირია ისეთ წიგნში, რომელიც იმავე სპეკულაციური ცნების საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდის, რომ რომაული მემკვიდრეობის პირობებში ქონების გადაცემა წმინდა მეორეხარისხოვან საქმედ იყო მიჩნეულიო. ლასალს არა თუ სწამს რომაელი იურისტების, განსაკუთრებით უფრო ადრინდელი ხანის იურისტების, ილუზია, არამედ მათ იგი ამ მხრივ აგარებს კიდეც. (ენგელსის შენიშვნა).

განსხვავებასა და წინააღმდეგობას, როცა იგი ერთ კლასს თითქმის ყველა უფლებას ანიჭებს, მეორეს კი, პირიქით, თითქმის ყველა ვალდებულებას აკისრებს.

მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. რაც გაბატონებული კლასისთვის კარგია, კარგი უნდა იყოს მთელი საზოგადოებისათვისაც, რომელთანაც გაბატონებული კლასი თავის თავს აიგივებს. მაშასადამე, რაც უფრო წინ მიდის ცივილიზაცია, მით უფრო იძულებულია იგი სიყვარულის საბურველი გადააფაროს მის მიერ აუცილებლობით წარმოშობილ უკეთესმართ მოვლენებს, შეალამაზოს ანდა ტყუილად უარყოს ისინი, — ერთი სიტყვით პრაქტიკაში შემოიღოს პირობითი ფარისეველობა, რომელიც უცნობი იყო როგორც საზოგადოების პირველყოფილი ფორმებისათვის, ისე ცივილიზაციის პირველი საფეხურებისათვისაც და რომელიც, ბოლოს, თავის უმაღლეს წერტილს აღწევს შემდეგი დებულების მტკიცებაში: ჩაგრული კლასის ექსპლოატაციას ექსპლოატატორთა კლასი მხოლოდ და მხოლოდ თვით ექსპლოატირებული კლასის საკეთილდღეოდ ეწევა; ხოლო თუ ექსპლოატირებულ კლასს ეს არ ესმის და აჯანყებასაც კი იწყებს, ეს ყველაზე საშინელი უმადურობაა კეთილისმყოფელთა, ექსპლოატატორთა მიმართ[1].

ახლა კი, დასასრულ, მოვისმინოთ მორგანის მსჯელობა ცივილიზაციაზე: «ცივილიზაციის დამყარების დროიდან სიმდიდრე ისე უზომოდ გაიზარდა, მისი ფორმები ისე მრავალფეროვანი გახდა, მისი გამოყენება კი ისეთი ფართოა და მას ისე მოხერხებულად მართავენ მესაკუთრეთა ინტერესების სასარგებლოდ, რომ ეს სიმდიდრე, ხალხისადმი დაპირისპირებული, უძლეველ ძალად იქცა. ადამიანის გონება უმწეო და მოჯადოებული დგას თავისი საკუთარი ქმნილების წინაშე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დადგება დრო, როცა ადამიანის გონება განმტკიცდება სიმდიდრეზე გასაბატონებლად, როცა იგი დაადგენს როგორც სახელმწიფოს დამოკიდებულებას საკუთრებასთან, რომელსაც სა-

[1] თავდაპირველად განზრახვა მქონდა ცივილიზაციის ის ბრწყინვალე კრიტიკა, რომელიც შაოლ ფურიეს ნაწერებში გაბნეულად გვხვდება, მორგანისა და ჩემი საკუთარი კრიტიკის გვერდით მომეყვანა. სამწუხაროდ, ამისათვის დრო არა მაქვს. შევნიშნავ მხოლოდ, რომ უკვე ფურიეს მონოგამია და მიწის საკუთრება ცივილიზაციის მთავარ განმასხვავებელ ნიშნებად მიაჩნია და რომ მათ იგი უწოდებს მდიდართა ომს ღარიბთა წინააღმდეგ. ფურიეს ახრებში ჩვენ უკვე ვხედავთ აგრეთვე იმის ღრმად გაგებას, რომ ყველა ნაკლოვან, წინააღმდეგობებით გათიშულ საზოგადოებაში ცალკეული ოჯახები (les familles incohérentes) სამეურნეო ერთეულებს წარმოადგენენ. (ენგელსის შენიშვნა).

ხელმწიფო იცავს, ისე მესაკუთრეთა უფლებების საზღვრებსაც. საზოგადოების ინტერესები უცილობლად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეულ პირთა ინტერესები, და მათ შორის სამართლიანი და ჰარმონიული ურთიერთობა უნდა დამყარდეს. მარტოოდენ სიმდიდრის გამოკიდება არ შეადგენს კაცობრიობის საბოლოო დანიშნულებას, თუ კი მხოლოდ პროგრესი მომავლისათვისაც კანონი დარჩება, ისევე როგორც იგი წარსულისათვის იყო. ცივილიზაციის დაწყებიდან განვლილი დრო მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ დროისა, რომელიც კაცობრიობამ განვლო, მცირედი ნაწილი იმ დროისა, რომლის გავლაც მას მომავალში კვლავ მოუწევს. ჩვენს წინაშე აღმართულია საზოგადოების დაშლა, როგორც დასრულება იმ ისტორიული სარბიელისა, რომლის ერთადერთ საბოლოო მიზანს სიმდიდრე შეადგენს; ეს იმიტომ, რომ ასეთი სარბიელი თავისივე საკუთარი მოსპობის ელემენტებს შეიცავს. დემოკრატია მმართველობაში, ძმობა საზოგადოების შიგნით, უფლებათა თანასწორობა, საყოველთაო განათლება აკურთხებენ საზოგადოების შემდგომ, უმაღლეს საფეხურს, რომლის დასამყარებლად განუწყვეტლად მუშაობს გამოცდილება, გონება და მეცნიერება. ეს იქნება ძველი გვარების თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის აღორძინება, — მაგრამ აღორძინება უმაღლესი ფორმით» (მორგანი, «ძველი საზოგადოება», გვ. 552).

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ 1884 წ. მარტსა და ივნისში.

პირველად გამოვიდა ცალკე გამოცემად ციურიხში 1884 წელს.
მეოთხე, შევსებული გამოცემა გამოვიდა შტუტგარტში 1892 წელს.

იბეჭდება 1892 წლის გამოცემის ტექსტის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან.

ფ. ენგელსი

მარქსი და «ახალი რაინის გაზეთი»

(1848 — 1849)

როდესაც თებერვლის რევოლუციამ იფეთქა, გერმანული კომუნისტური პარტია, როგორც ჩვენ მას ვუწოდებდით, შედგებოდა პატარა ბირთვისაგან, ფარულ საპროპაგანდისტო საზოგადოებად ჩამოყალიბებულ კომუნისტთა კავშირისაგან. კავშირი ფარული იყო მხოლოდ იმიტომ, რომ იმ დროს გერმანიაში კავშირების და კრებების თავისუფლება არ არსებობდა. გარდა საზღვარგარეთ არსებულ მუშათა საზოგადოებებისა, რომლებიდანაც ჰკრებავდა კავშირი თავის ძალებს, თვით გერმანიაში მას ჰყავდა დაახლოებით ოცდაათი თემი, ანუ სექცია, და, გარდა ამისა, ცალკეული წევრები მრავალ ადგილას. მაგრამ ამ მცირერიცხოვან მებრძოლ ოაზმს ჰყავდა, მარქსის სახით, პირველხარისხოვანი ბელადი, რომელსაც ყველა ხალისით ემორჩილებოდა, და, მისი მეოხებით, ჰქონდა პრინციპული და ტაქტიკური პროგრამა, რომელსაც დღესაც შენარჩუნებული აქვს მთელი თავისი მნიშვნელობა: «კომუნისტური მანიფესტი».

აქ ჩვენთვის მნიშვნელოვანია პირველ რიგში პროგრამის ტაქტიკური ნაწილი. მისი ზოგადი დებულებანი შემდეგი იყო:

«კომუნისტები არ წარმოადგენენ რაიმე განსაკუთრებულ პარტიას, სხვა მუშათა პარტიების მოპირისპირეს.

მათ არ აქვთ არავითარი ისეთი ინტერესები, რომლებიც განცალკევებული იყოს მთელი პროლეტარიატის ინტერესებისაგან.

ისინი არ აყენებენ არავითარ განსაკუთრებულ პრინციპებს, რომელთა თანახმადაც მათ პროლეტარული მოძრაობის ჩამოყალიბება სურდეთ.

კომუნისტები მხოლოდ იმით განირჩევიან დანარჩენი პროლეტარული პარტიებისაგან, რომ, ერთი მხრივ, პროლეტარების სხვა-

დასხვა ეროვნულ ბრძოლებში ისინი წინ აყენებენ და იცავენ მთელი პროლეტარიატის საერთო, ეროვნებისაგან დამოუკიდებელ, ინტერესებს; და, მეორე მხრივ, იმით, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, რომლებსაც გაივლის ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ისინი მუდამ ერთობლივი მოძრაობის ინტერესებს იცავენ.

მაშასადამე, კომუნისტები პრაქტიკულად წარმოადგენენ ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების ყველაზე უფრო შეუპოვარ, მუდამ წინ მისწრაფებულ ნაწილს; თეორიულად კი მათ ის უპირატესობა აქვთ პროლეტარიატის დანარჩენ მასასთან შედარებით, რომ შეგნებული აქვთ პროლეტარული მოძრაობის პირობები, მსვლელობა და საერთო შედეგები»[1].

კერძოდ გერმანული პარტიის შესახებ კი პროგრამაში ნათქვამი იყო:

«გერმანიაში, რამდენადაც ბურჟუაზია რევოლუციურად გამოდის, კომუნისტური პარტია იბრძვის ბურჟუაზიასთან ერთად აბსოლუტური მონარქიის, ფეოდალური მიწის საკუთრებისა და წვრილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მაგრამ ეს პარტია ერთი წუთითაც არ უგულებელჰყოფს მუშებში რაც შეიძლება ნათელი შეგნების გამომუშავებას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არსებული მტრული დაპირისპირების შესახებ, რათა გერმანიის მუშებს შეეძლოთ მაშინვე ბურჟუაზიის საწინააღმდეგო იარაღად გამოიყენონ ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობები, რომლებიც უნდა მოჰყვეს თან ბურჟუაზიის გაბატონებას, რათა, გერმანიაში რეაქციული კლასების დამხობისთანავე, დაწყებულ იქნეს ბრძოლა თვით ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გერმანიას კომუნისტები თავის მთავარ ყურადღებას აქცევენ იმიტომ, რომ გერმანიაში ბურჟუაზიული რევოლუციის წინადღეა და ა. შ («მანიფესტი», თავი IV)»[2].

არასოდეს არც ერთი ტაქტიკური პროგრამა ისე არ გაშართლებულა, როგორც ეს. მან, რევოლუციის წინადღეს წამოყენებულმა, გაუძლო გამოცდას ამ რევოლუციის მხრივ; და მას შემდეგ ყოველთვის, როდესაც რომელიმე მუშათა პარტია თავის მოქმედებაში მისგან გადაუხვევდა, იგი ისჯებოდა თვითეული გადახვევისათვის. და დღეს, თითქმის ორმოცი წლის შემდეგ, იგი წარმოადგენს გზისმაჩვენებელ ძაფს ევროპის ყველა შეუ-

[1] კურსივი ამ ციტატაში ეკუთვნის ენგელსს. იხ. ამ გამოცემის პირველი ტომი, გვ., 26. რედ.
[2] იხ. ამ გამოცემის პირველი ტომი, გვ. 49. რედ.

პოვარი და შეგნებული მუშათა პარტიისთვის—მადრიდიდან დაწყებული პეტერბურგამდე.

თებერვლის მოვლენებმა პარიზში დააჩქარა მოახლოებული გერმანული რევოლუცია და ამით გამოცვალა მისი ხასიათიც. გერმანიის ბურჟუაზიამ, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი ძალით გაემარჯვა, გაიმარჯვა საფრანგეთის მუშათა რევოლუციის ბუქსირზემას ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ დაეძლია თავისი ძველი მოწინააღმდეგეები — აბსოლუტური მონარქია, ფეოდალური მიწათმფლობელობა, ბიუროკრატია, მშიშარა წვრილი ბურჟუაზია, რომ უკვე ბრძოლა უნდა ეწარმოებინა ახალი მტრის—პროლეტარიატის—წინააღმდეგ. მაგრამ აქ დაუყონებლივ გამოაშკარავდა, ინგლისსა და საფრანგეთთან შედარებით, მეტისმეტად ჩამორჩენილი ეკონომიური ურთიერთობისა და, ამის გამო, ასევე ძალიან ჩამორჩენილი კლასობრივი მდგომარეობის გავლენა გერმანიაში.

გერმანიის ბურჟუაზიას, რომელმაც ეს იყო დაიწყო თავისი მსხვილი მრეწველობის შექმნა, არ ჰქონდა არც ძალა, არც განმცდელობა იმისათვის, რომ დაეპყრო თავისთვის აბსოლუტური ბატონობა სახელმწიფოში; მას არც ამ ბატონობის არსებითი მოთხოვნილება ჰქონდა; პროლეტარიატი, ამავე ზომით განუვითარებელი, სრულს გონებრივ მონობაში აღზრდილი, უორგანიზაციო, რომელსაც ჯერ უნარიც კი არ ჰქონდა დამოუკიდებელი ორგანიზაციისთვის, მხოლოდ ბუნდოვანად გრძნობდა ღრმა წინააღმდეგობას თავისი ინტერესებისა ბურჟუაზიის ინტერესების მიმართ. ამიტომ, პროლეტარიატი თუმცა არსებითად საშიში მოწინააღმდეგე იყო ბურჟუაზიისა, მაგრამ იგი, მაინც მის პოლიტიკურ მაჩანჩალად რჩებოდა. ბურჟუაზია, დაშინებულია არა იმით, რაც იყო გერმანიის პროლეტარიატი, არამედ იმით, რადაც გახდომას იგი იმუქრებოდა და რაც უკვე იყო საფრანგეთის პროლეტარიატი, თავის ხსნას ხედავდა ყოველ, სრულიად მხდლურ კომპრომისშიაც კი მონარქიასთან და თავადაზნაურობასთან; პროლეტარიატს კი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა თავისი ისტორიული როლი შეგნებული, თავისი დიდი მასის სახით პირველ ხანებში უნდა დაეჭირა ბურჟუაზიის მოწინავე, უკიდურესი მარცხენა ფრთის ადგილი. გერმანიის მუშებს ჯერ უნდა მოეპოვებინათ ბრძოლით ის უფლებები, რომლებიც აუცილებელი იყო მათთვის, რათა დამოუკიდებლად ჩამოყალიბებულიყვნენ როგორც კლასობრივი პარტია; მათ უნდა მოეპოვნებინათ ბეჭდვის, კავშირებისა და კრებების თავისუფლება,—უფლებები, რომლებიც თვითონ ბურჟუაზიას უნდა

მოეპოვებინა თავისი საკუთარი ბატონობის ინტერესებიდან გამომდინარე. მაგრამ რომლებსაც იგი, მუშების შიშით, ახლა სადავოდ უხდიდა მუშებს. კომუნისტთა კავშირის რამდენიმე ასეული დაქსაქსული წევრი დაიფანტა მოძრაობაში მოყვანილ იმ უამრავ მასაში. აი, ამიტომ იყო, რომ გერმანიის პროლეტარიატი პირველად პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა როგორც უკიდურესი დემოკრატიული პარტია.

ამან განსაზღვრა ჩვენი დროშა, როდესაც ჩვენ შევუდექით დიდი გაზეთის დაარსებას გერმანიაში. ეს დროშა შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ დროშა დემოკრატიისა, მაგრამ, ისეთი დემოკრატიის, რომელიც წინ წამოაყენებდა ყველგან, ყველა ცალკეულ შემთხვევაში, სპეციფიკურ პროლეტარულ ხასიათს, რაც მას ჯერ კიდევ არ შეეძლო ერთხელ და სამუდამოდ დაეწერა თავის დროშაზე. თუ ჩვენ ამას არ ვინდომებდით, თუ არ ვისურვებდით მივმხრობოდით მოძრაობას მის არსებულ, უაღრესად პროგრესულ, ფაქტიურად პროლეტარულ ფლანგზე და წინ წაგვეწია იგი, მაშინ ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩებოდა, რომ კომუნიზმი გვექადაგა რომელიმე მივარდნილი კუთხის ფურცელში და, მოქმედების დიდი პარტიის ნაცვლად, დაგვეარსებინა პატარა სექტა. მაგრამ უდაბნოში მქადაგებლების როლისათვის ჩვენ უკვე აღარ ვვარგოდით: ამისათვის როდი შეგვისწავლია საკმაოდ კარგად უტოპისტები. ამისათვის როდი შეგვიდგენია ჩვენი პროგრამა.

როდესაც ჩვენ კელნში მოვედით, იქ უკვე წარმოებდა მზადება დემოკრატების მხრივ და ნაწილობრივ კომუნისტების მხრივაც დიდი გაზეთის შესაქმნელად. უნდოდათ იგი ვიწრო-ადგილობრივ, კელნის გაზეთად ექციათ, ხოლო ჩვენ ბერლინში გადავესახლებინეთ. მაგრამ არ გასულა 24 საათი, რომ ჩვენ, განსაკუთრებით მარქსის წყალობით, დავიპყარით პოზიციები: გაზეთი გახდა ჩვენი, მაგრამ იმ პირობით, რომ რედაქციაში შევიყვანდით ჰაინრიხ ბიურგერსს. ამ უკანასკნელმა ერთი სტატია კი დაწერა (№ 2-ში), მაგრამ მას მეორე აღარ მოჰყოლია.

ჩვენ სწორედ კელნი გვჭირდებოდა და არა ბერლინი. ჯერ ერთი, კელნი ცენტრი იყო რაინის ოლქისა, რომელმაც საფრანგეთის რევოლუცია გაიარა, რომელმაც ნაპოლეონის კოდექსის მეოხებით თანამედროვე სამართლის გაგება შეითვისა, რომელშიაც ყველაზე უფრო განვითარებული იყო მსხვილი მრეწველობა და რომელიც მაშინ საზოგადოდ ყოველმხრივ გერმანიის ყველაზე უფრო მოწინავე ნაწილს შეადგენდა. ჩვენ საკუთარი გა-

მოცდილებით ძალიან კარგად ვიცნობდით მაშინდელ ბერლინს მისი ახლად წარმოშობილი ბურჟუაზიით, მის ენამკვახე, მაგრამ მშიშარა, მუცელზე მხოხავი წვრილი ბურჟუაზიით, მისი ჯერ კიდევ სრულიად განუვითარებელი მუშებით, მისი უამრავი ბიუროკრატებით, მისი აზნაურებით და კარისკაცებით, მისი ყველა თავისებურებებით, როგორც ქალაქს, რომელიც მარტოოდენ «რეზიდენციას» წარმოადგენს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ ბერლინში მოქმედებდა უბადრუკი პრუსიული საერობო სამართალი და პოლიტიკური პროცესები ირჩეოდა პროფესიონალური მოსამართლეების მიერ; რაინზე კი მოქმედებდა ნაპოლეონის კოდექსი, რომელიც არ იცნობს პრესის საქმეების გამო წარმომდგარ პროცესებს, ვინაიდან იგი წინასწარ ცენზურას აწესებს, და თუ კაცი არ ჩაიდენდა პოლიტიკურ დანაშაულს და მარტოოდენ სამართლის ნორმას დაარღვევდა, იგი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ექვემდებარებოდა. ბერლინში რევოლუციის შემდეგ ახალგაზრდა შლეფელს სულ უმნიშვნელო რამისთვის ერთი წელიწადი მიუსაჯეს, რაინზე კი ჩვენ პრესის უცილობელი თავისუფლებით ვსარგებლობდით, და უკანასკნელ შესაძლებლობამდე გამოვიყენეთ იგი.

და ასე, ჩვენ გაზეთის გამოცემას შევუდექით 1848 წლის 1 ივნისს ძალიან შეზღუდული სააქციო კაპიტალით, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო შემოტანილი; და თვით აქციონერებიც არ იყვნენ საიმედონი: პირველი ნომრის შემდეგ აქციონერთა ნახევარმა დაგვანება თავი, ხოლო თვის ბოლოს აღარავინ არ დარჩენილა.

რედაქციის კონსტიტუცია უბრალოდ მარქსის დიქტატურას წარმოადგენდა. დიდი ყოველდღიური გაზეთისთვის, რომელიც განსაზღვრულ საათზე უნდა გამოდიოდეს და რომელსაც განსაზღვრულ შეხედულებათა გატარება სწადია, სხვაგვარი კონსტიტუცია შეუძლებელიც არის. ამასთან ჩვენთვის მარქსის დიქტატურა ამ საკითხში თავისთავად იგულისხმებოდა და უცილობელი რამ იყო, და ჩვენც ყველანი ხალისით ვღებულობდით მას. განსაკუთრებით მისი გამჭრიახობისა და მტკიცე პოზიციის წყალობით იყო ის, რომ გაზეთი რევოლუციური წლების ყველაზე სახელგანთქმულ გერმანულ ორგანოდ იქცა.

«ახალი რაინის გაზეთის» პოლიტიკური პროგრამა ორი მთავარი პუნქტისაგან შედგებოდა: გერმანიის ერთიანი, განუყოფელი,

დემოკრატიული რესპუბლიკა და რუსეთთან ომი, რომელსაც პოლონეთის აღდგენა უნდა მოეტანა.

წვრილბურჟუაზიული დემოკრატია მაშინ ორ ფრაქციად იყოფოდა: ჩრდილო-გერმანიისა, რომელსაც დემოკრატიული პრუსიის იმპერატორი სურდა, და სამხრეთ-გერმანიისა, რომელიც მაშინ თითქმის სავსებით სპეციფიკურ ბადენურ დემოკრატიას წარმოადგენდა და რომელსაც სურდა შვეიცარიის ნიმუშის მიხედვით გერმანიის გადაქცევა ფედერატიულ რესპუბლიკად. ჩვენ ორივე ფრაქციასთან დაგვჭირდა ბრძოლა. პროლეტარიატის ინტერესს ერთნაირად ეწინააღმდეგებოდა როგორც გერმანიის გაპრუსიელება, ისე მისი მრავალ წვრილ სახელმწიფოდ დაქუცმაცება. ეს ინტერესი მოითხოვდა გერმანიის ერთ ერად გაერთიანებას, რასაც მარტოოდენ შეეძლო გაეწმინდა ძველთაგან გადმოცემული ყოველგვარი დაბრკოლებებისაგან ბრძოლის ველი, სადაც პროლეტარიატს და ბურჟუაზიას ერთმანეთთან შეჭიდებაში უნდა გაეზომა თავიანთი ძალა. მაგრამ ამავე დროს პროლეტარიატის ინტერესებს გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა გერმანიის გაერთიანება პრუსიის მეთაურობით. პრუსიის სახელმწიფო მთელი მისი წყობილებით, მისი ტრადიციებით და მისი დინასტიით წარმოადგენდა სწორედ რევოლუციის ერთადერთ სერიოზულ შინაგან მოწინააღმდეგეს, რომელიც უნდა დაემხო რევოლუციას გერმანიაში; გარდა ამისა, პრუსიას შეეძლო გერმანიის გაერთიანება მხოლოდ მისი დაგლეჯის გზით, გერმანული ავსტრიის გამორიცხვის გზით. პრუსიის სახელმწიფოს დაშლა, ავსტრიის სახელმწიფოს დანგრევა, გერმანიის ნამდვილი გაერთიანება რესპუბლიკის სახით, — აი, მხოლოდ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვენი რევოლუციური პროგრამა უახლოეს დროში. ამის განხორციელება შეიძლებოდა რუსეთთან ომის გზით, და მხოლოდ ასეთი გზით. ამ უკანასკნელ პუნქტს მე კიდევ დავუბრუნდები.

ისე კი გაზეთის ტონი სრულიადაც არ იყო საზეიმო, სერიოზული ან აღტაცებული. ჩვენ მარტოოდენ უბადრუკი მოწინააღმდეგეები გვყავდნენ, და ჩვენ მათ ყველას, გამოუკლებლივ, უაღრესი ზიზღით ვეპყრობოდით. შეთქმულების მომწყობ მონარქიას, კამარილიას, თავადაზნაურობას, «Kreuzzeitung-ს»,—ერთი სიტყვით, მთელ გაერთიანებულ «რეაქციას», რომელიც ფილისტერის ესოდენ ზნეობრივ აღშფოთებას იწვევდა, ჩვენ მხოლოდ დავცინოდით და მასხარად ვიგდებდით. მაგრამ უკეთ არ ვექცეოდით იმ ახალ კერპებსაც, რომელნიც რევოლუციასთან ერთად წარმოდგნენ: მარტის მინისტრებს, ფრანკფურტისა და ბერლინის კრე-

ბებს, როგორც მათ მარჯვენა, ისე მარცხენა ფრთას. გაზეთის პირველივე ნომერი იწყებოდა სტატიით, რომელიც სასაცილოდ იღებდა ფრანკფურტის პარლამენტის არარაობას, მასში წარმოთქმული გრძელ-გრძელი სიტყვების უმიზნობას, მისი მხდალი რეზოლუციების გამოუსადეგობას. ეს სტატია ჩვენ ნახევარ აქციონერებად დაგვიჯდა. ფრანკფურტის პარლამენტი სადისკუსიო კლუბიც კი არ იყო; იქ თითქმის სრულიად არ იყო დებატები, არამედ ჩაარაკრაკებდნენ ხოლმე წინასწარ დამზადებულ აკადემიურ მოსაზრებებს და იღებდნენ რეზოლუციებს, რომლებსაც უნდა აღეფრთოვანებინა გერმანელი ფილისტერი, მაგრამ რომელიც არავის არ აინტერესებდა.

ბერლინის კრებას უკვე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი დაპირისპირებული იყო რეალურ ძალას, დებატებს აწარმოებდა და დადგენილებებს იღებდა არა ფუჭს და ყოველგვარ ნიადაგს მოკლებულს, როგორც ამას ფრანკფურტის კრება ჩადიოდა. ამიტომ მას გაზეთში მეტი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. მაგრამ მარცხენა ფრთის ბერლინელ კერპებსაც—შულცე-დელიჩს, ბერენდს, ელსნერს, შტაინს და სხვ.—ნაკლებ მწვავედ არ ვკიდებდით ხელს, ვიდრე ფრანკფურტელებს. ჩვენ დაუზოგავად ვამხელდით მათ გაუბედაობას, სიმხდალეს და წვრილმან ანგარიშიანობას, და ვუმტკიცებდით, თუ როგორ თანდათან ღალატობდნენ ისინი თავიანთი კომპრომისებით რევოლუციას. ეს, რა თქმა უნდა, შეძრწუნებას იწვევდა დემოკრატიულ წვრილ ბურჟუებში, რომელთაც ეს კერპები საკუთარი მოხმარებისათვის შეიქმნეს. მაგრამ ეს შეძრწუნება იმის მაჩვენებელი იყო, რომ ჩვენ სწორად ვურტყამდით მიზანში.

ასევე გამოვდიოდით ჩვენ წვრილი ბურჟუაზიის მიერ გულმოდგინედ გავრცელებული ილუზიის წინააღმდეგ, რომ თითქოს რევოლუცია მარტის დღეებით დასრულდა და ახლა მისი ნაყოფიღა იყო მოსაკრეფი. ჩვენთვის თებერვალს და მარტს შეიძლებოდა ნამდვილი რევოლუციის მნიშვნელობა ჰქონოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იქნებოდნენ არა დასრულება, არამედ, პირიქით, გამოსავალი წერტილი ხანგრძლივი რევოლუციური მოძრაობისათვის, რომელშიაც—როგორც საფრანგეთის დიდი გადატრიალების დროს—ხალხი, თავისი ბრძოლის მსვლელობაში, უფრო და უფრო მეტად განვითარდებოდა, პარტიები უფრო და უფრო მკვეთრად განცალკევდებოდნენ ერთმანეთისაგან, ვიდრე ისინი სავსებით არ დაემთხვეოდნენ დიდ კლასებს: ბურჟუაზიას, წვრილ ბურჟუაზიას, პროლეტარიატს, ხოლო პროლეტარიატი მთელ რიგ

ბრძოლებში თანდათან პოზიციას პოზიციაზე არ დაიპყრობდა. ამიტომ ჩვენ აგრეთვე დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოვდიოდით ყველგან, როცა კი მას სურდა მიეჩქმალა თავისი კლასობრივი წინააღმდეგობა პროლეტარიატთან ამ საყვარელი ფრაზით: «ჩვენ ხომ ყველას ერთი და იგივე გვსურს, ყველა უთანხმოება გაუგებრობის შედეგია». მაგრამ რაც უფრო ნაკლებ ვაძლევდით წვრილ ბურჟუაზიას შესაძლებლობას ყალბი აზრი ჰქონოდა ჩვენი პროლეტარული დემოკრატიის შესახებ, მით უფრო მშვიდი და თავდაბალი ხდებოდა იგი ჩვენს მიმართ. და საზოგადოდ, რაც უფრო მკვეთრად და გაბედულად გამოდიან წვრილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მით უფრო მორჩილად იხრის იგი ქედს, მით უფრო მიდის იგი დათმობებზე მუშათა პარტიის მიმართ. ამაში ჩვენ დავრწმუნდით.

დასასრულ, ჩვენ ვამხელდით სხვადასხვა ეგრეთწოდებული ეროვნული კრებების პარლამენტურ კრეტინიზმს (როგორც ამას მარქსი უწოდებდა). ამ ვაჟბატონებმა ხელიდან გაუშვეს ძალაუფლების ყველა საშუალება, ეს საშუალებები ნაწილობრივ ნებაყოფლობით გადასცეს ისევ მთავრობებს. ახლად მოღონიერებული რეაქციური მთავრობების გვერდით ბერლინშიც და ფრანკფურტშიც არსებობდნენ უილაჯო კრებები, რომელთაც, მიუხედავად ამისა, წარმოედგინათ, რომ მათი უძლური რეზოლუციები ქვეყნიერებას გადაბრუნებდა. ამ იდიოტური თავმოტყუების მსხვერპლნი იყვნენ ყველანი, უკიდურესი მარცხენა ფრთის გამოუკლებლივ. ჩვენ კი მათ შევძახოდით ხოლმე: თქვენი პარლამენტური გამარჯვება თან დაემთხვევა თქვენს ნამდვილ დამარცხებასო.

ასეც მოხდა როგორც ბერლინში, ისე ფრანკფურტში. როცა «მარცხენა» ფრთამ უმრავლესობა მიიღო, მთავრობამ გარეკა მთელი კრება; მთავრობას შეეძლო გაეკეთებინა ეს, რადგან კრებამ ხალხის თვალში მთელი თავისი ნდობა დაჰკარგა.

როდესაც შემდეგში მე წავიკითხე ბუჟარის წიგნი მარატის[1] შესახებ, დავინახე, რომ ჩვენ ბევრ რამეში შეუგნებლად ვბაძავდით ნამდვილ (როიალისტების მიერ გაუყალბებელ) «ხალხის მეგობრის» დიად მაგალითს და ყველა ის შმაგიანი გოდება და ისტორიის გაყალბება, რამაც მთელი ასი წლის მანძილზე დაამახინჯა მარატის გამოსახულება, აიხსნება მხოლოდ ამით, რომ მარატი

[1] მხედველობაშია ალფრედ ბუჟარის წიგნი: «მარატი—ხალხის მეგობარი», რომელიც გამოვიდა პარიზში 1865 წ. რედ.

შეუბრალებლად ხდიდა ნიღაბს მაშინდელ კერპებს — ლაფაიეტს, ბაიის და სხვებს და ააშკარავებდა მათ, როგორც რევოლუციის უკვე ჩამოყალიბებულ მოღალატეებს, და კიდევ იმით, რომ ის, ჩვენსავით, რევოლუციას დამთავრებულად არ თვლიდა და უნდოდა იგი პერმანენტულად ექცია.

ჩვენ აშკარად ვაცხადებდით, რომ ის მიმართულება, რომლის წარმომადგენლებიც ჩვენ ვიყავით, მხოლოდ მაშინ შეძლებდა ბრძოლის დაწყებას ჩვენი ნამდვილი პარტიული მიზნების მისაღწევად, როდესაც სახელმწიფო მართვა-გამგეობას ხელთ იგდებდა უკიდურესი პარტია გერმანიაში არსებულ ოფიციალურ პარტიათაგან: მაშინ ჩვენ მის მიმართ ოპოზიციას შევადგენდით.

მაგრამ მოვლენებმა იზრუნა იმისათვის, რომ გერმანელ მოწინააღმდეგეებზე დაცინვის გვერდით ადგილი დაეჭირა აღგზნებულ ვნებიანობასაც. პარიზის მუშების 1848 წლის ივნისის აჯანყებამ ჩვენ მოგვისწრო პოზიციებზე მდგომთ. პირველი გასროლისთანავე ჩვენ გადაჭრით აჯანყებულთა მხარეზე დავდექით. მათი დამარცხების შემდეგ მარქსმა დამარცხებულებს უძღვნა ერთ-ერთი თავისი უძლიერესი სტატია[1].

აქ ჩვენ მიგვატოვეს უკანასკნელმა აქციონერებმა. მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ კმაყოფილი ვიყავით, რომ გერმანიაში და თითქმის მთელ ევროპაში ჩვენი გაზეთი იყო ერთადერთი გაზეთი, რომელსაც მაღლა ეჭირა დამარცხებული პროლეტარიატის დროშა იმ მომენტში, როდესაც ყველა ქვეყნის ბურჟუაზია და მეშჩანები ცილისწამების ლაფს ასხამდნენ დამარცხებულებს.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა მარტივი იყო: მხარისდაჭერა ყველა რევოლუციური ხალხისათვის, მოწოდება რევოლუციური ევროპისადმი საყოველთაო ომი ეწარმოებინა ევროპული რეაქციის უდიდესი დასაყრდენის — რუსეთის — წინააღმდეგ. 24 თებერვლიდან ჩვენთვის ნათელი იყო, რომ რევოლუციას ჰყავს მხოლოდ ერთი ჰეშმარიტად საშინელი მტერი, — რუსეთი, და რომ ეს მტერი მით უფრო იძულებული იქნება ჩაერიოს ბრძოლაში, რაც უფრო საერთო ევროპული გახდება რევოლუცია. ვენის, მილანის, ბერლინის მოვლენებს უნდა შეეკავებინა თავდასხმა რუსეთის მხრივ, მაგრამ ამ თავდასხმის აუცილებლობა მით უფრო უეჭველი ხდებოდა, რაც უფრო უახლოვდებოდა რევოლუცია რუსეთს. თუ მოხერხდებოდა, რომ გერმანიას ომი დაეწყო რუსეთის წინააღმდეგ, — ჰაბსბურგებს

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. VI, стр. 198 — 201. რედ.

და ჰოჰენცოლერნებს აღსასრული დაუდგებოდათ, და რევოლუცია გაიმარჯვებდა მთელ ხაზზე.

ეს პოლიტიკა გატარებულია გაზეთის ყველა ნომერში იმ მომენტამდე, როდესაც რუსები ნამდვილად შეეიდნენ უნგრეთში, რამაც სავსებით დაადასტურა ჩვენი წინასწარმეტყველება და გამოიწვია რევოლუციის დამარცხება.

როდესაც, 1849 წლის გაზაფხულზე, გადამჭრელი ბრძოლა მოახლოვდა, გაზეთის ტონი ყოველ ნომერში სულ უფრო და უფრო მწვავე და მძაფრი ხდებოდა. სილეზიის გლეხებს ვილჰელმ ვოლფმა «სილეზიის მილიარდში» (რვა სტატია) მოაგონა, თუ როგორ მოატყუეს ისინი, ფეოდალური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების დროს, მთავრობის დახმარებით, მებატონეებმა როგორც ფულის მხრივ, ისე მამულებში, და მოითხოვა ერთი მილიარდი ტალერის აღნაზღაურება.

ამავე დროს აპრილში მთელი რიგი მოწინავე სტატიების სახით გამოვიდა მარქსის მონოგრაფია «დაქირავებული შრომა და კაპიტალი»[1], რომელშიაც გარკვევით იყო მითითებული ჩვენი პოლიტიკის სოციალურ მიზანზე. თვითეული ნომერი, გაზეთის თვითეული ექსტრა გამოცემა მიუთითებდა დიად ბრძოლაზე, რომელიც მზადდებოდა, წინააღმდეგობათა გამწვავებაზე საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიასა და უნგრეთში. განსაკუთრებით აპრილის და მაისის ექსტრა გამოცემები სავსე იყო მოწოდებით ხალხის მიმართ: მზად იყავით ბრძოლისათვისო.

მთელ გერმანიაში უკვირდათ, თუ როგორ ვწერდით ჩვენ ყველა ამას ასე მოურიდებლად, და ამასთან პრუსიის პირველხარისხოვან ციხე-სიმაგრეში მისი 8 000 კაცზე მეტი შემცველი გარნიზონისა და მთავარი სადარაჯოს წინაშე. მაგრამ 8 თოფი და 250 ვაზნა რიდაქციის ოთახში და ასოთამწყობთა წითელი იაკობინური არახჩინები ჩვენს სადგომს აფიცრობის თვალში ისეთი ციხის სახეს აძლევდა, რომელიც ახირებულად ვერ აიღებოდა.

დაბოლოს, 1849 წლის 18 მაისს დადგა აღსასრული.

აჯანყება დრეზდენსა და ელბერფელდში ჩაახშვეს, აჯანყებას იზერლონში ალყა შემოარტყეს. რაინის პროვინცია და ვესტფალია ჯარისკაცებით იყო სავსე, რომელნიც, რაინის მხარის პრუსიის ოლქების დაძლევის შემდეგ პფალცის და ბადენის წინააღმდეგ უნდა დაძრულიყვნენ. მაშინ მთავრობამ, როგორც იქნა, გა-

[1] იხ. ამ გამოცემის ტ. I, გვ. 57 — 98. რედ.

ბედა ჩვენთვის ხელის წავლება. რედაქციის წევრების ერთი ნაწილი სამართალში მისცეს, სხვანი როგორც არაპ-უსიელები განდევნილი უნდა ყოფილიყვნენ. ჩვენ უღონონი ვიყავით ამის წინააღმდეგ, ვინაიდან მთავრობის უკან არმიის მთელი კორპუსი იდგა. იძულებული ვიყავით ჩვენი ციხე გადაგვეცა, მაგრამ იგი ჩვენ ისე დავტოვეთ, რომ თან წავიღეთ იარაღი და ბარგი, წავედით დაფ-დაფის ცემით და უკანასკნელი წითელი ნომრის გაშლილი დროშით, სადაც ჩვენ ვაფრთხილებდით კელნის მუშებს უიმედო ჯანყებისაგან და ვეუბნებოდით: «ახალი რაინის გაზეთის» რედაქტორები გეთხოვებიან და მადლობას გიძღვნიან თქვენ მათ მიმართ გამოცხადებული თანაგრძნობისათვის. მათი უკანასკნელი სიტყვა იქნება ყველგან და ყოველთვის: «მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა!»

ასე დაასრულა თავისი არსებობა «ახალი რაინის გაზეთმა», — ცოტათი ადრე, მისი დაარსებიდან ერთი წლის გასვლამდე. მისი, თითქმის უსახსრებოდ დაწყებულის, — ის მცირეოდენი ფულადი თანხა, რომელიც მას შეჰპირდნენ, არ ყოფილა, როგორც აღვნიშნე, შემოტანილი, — ტირაჟი სექტემბერში უკვე თითქმის 5000 აღწევდა. საალყო წესების შემოღებისას კელნში იგი დახურეს; ოქტომბრის შუაში მას ისევ თავიდან უნდა დაეწყო ყველაფერი. მაგრამ 1849 წლის მაისში, როდესაც იგი აკრძალეს, მას ისევ ჰყავდა 6 000 ხელმომწერი, მაშინ როდესაც «Kölnische Zeitung»-ს იმ დროს, მისივე სიტყვით, ჰყავდა არა უმეტეს 9 000-სა. არც ერთ გერმანულ გაზეთს, — არც მანამდე, არც შემდეგ, — არ ჰქონია ისეთი ძალა და გავლენა, არ მოუხერხებია პროლეტარული მასების ისე ელექტრონისებურად აღგზნება, როგორც «ახალი რაინის გაზეთს».

და ეს უმთავრესად მ ა რ ქ ს ი ს მეოხებით იყო.

როდესაც გაზეთს დაარტყეს, რედაქცია გაიფანტა. მ ა რ ქ ს ი გაემგზავრა პარიზს, სადაც მზადდებოდა დასასრული, რომელიც 1849 წლის 13 ივნისს დადგა; ვ ი ლ ჰ ე ლ მ ვ ო ლ ფ ი ახლა თავისი ადგილი დაიკავა ფრანკფურტის პარლამენტში. — იმ მომენტში როდესაც ამ კრებას ეს არჩევანი ჰქონდა: ან ზემოდან უნდა გარეკილიყო, ან და მიჰკედლებოდა რევოლუციას, მე პფალცში წავედი და ადიუტანტი გავხდი ვილიხის მოხალისეთა რაზმში.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ 1884 წლის თებერვალ—მარტის დამდეგს. დაიბეჭდა გაზეთში «Socialdemokrat» 1884 წ. 13 მარტს.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით თარგმნილი გერმანულიდან.

ფ. ენგელსი

კომუნისტთა კავშირის ისტორიისათვის

კელნის კომუნისტების გასამართლებით 1852 წელს დასრულდა დამოუკიდებელი გერმანული მუშათა მოძრაობის პირველი პერიოდი. ეს პერიოდი ამჟამად თითქმის დავიწყებულია. ამავე დროს კი იგი 1836 წლიდან 1852 წლამდე გრძელდებოდა და ეს მოძრაობა გაიშალა თითქმის ყველა კულტურულ ქვეყანაში, იმიტომ რომ საზღვარგარეთ ყველგან ბევრი გერმანელი მუშა მოიპოვებოდა. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. თანამედროვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობა არსებითად წარმოადგენს უშუალო გაგრძელებას მაშინდელი გერმანული მუშათა მოძრაობისა, რომელიც საზოგადოდ პირველი საერთაშორისო მუშათა მოძრაობა იყო და საიდანაც გამოვიდა ბევრი იმ პირთაგან, რომელნიც შემდგომ ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ მუშათა საერთაშორისო ასოციაციაში. ხოლო «კომუნისტური მანიფესტის» თეორიული პრინციპები, რომლებიც კომუნისტთა კავშირმა 1847 წელს თავის დროშას დააწერა, ამჟამად ევროპის და ამერიკის მთელი პროლეტარული მოძრაობის უძლიერეს ინტერნაციონალურ შემაკავშირებელ საშუალებას შეადგენს.

დღემდე ამ მოძრაობის დალაგებული ისტორიისათვის არსებობს მხოლოდ ერთი მთავარი წყარო. ესაა ვერმუტისა და შტიბერის ეგრეთწოდებული შავი წიგნი — «XIX საუკუნის კომუნისტური შეთქმულებანი» — ბერლინი, 2 ნაწილი, 1853 და 1854 წ.წ. ეს სრულიად ცრუ, ჩვენი საუკუნის ორი ყოვლად საზიზღარი პოლიციელი არამზადას განზრახი სიყალბეებით სავსე ნათითხნი დღესაც არსებით წყაროს წარმოადგენს ყველა არაკომუნისტური თხზულებისათვის იმ დროის შესახებ.

ის, რის მოცემაც მე აქ შემიძლია, მხოლოდ მონასახია და ისიც, რამდენადაც საქმე შეეხება თვით კავშირს; მე ვიძლევი მხოლოდ

იმას, რაც აბსოლუტურად საჭიროა «მხილებათა»[1] გასაგებად. მე კიდევ იმედი მაქვს მოვახერხო დამუშავება მარქსის და ჩემ მიერ შეკრებილი მდიდარი მასალისა, რომელიც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სიჭაბუკის სახელოვანი პერიოდის ისტორიას შეეხება.

* * *

გერმანელი ემიგრანტების მიერ 1834 წელს პარიზში დაარსებულ დემოკრატიულ-რესპუბლიკურ განწირულთა კავშირს, რომელიც ფარულად არსებობდა, 1836 წელს გამოეყვნენ უკიდურესი, მეტწილად პროლეტარული ელემენტები და შეადგინეს ახალი ფარული კავშირი— «ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ თ ა კ ა ვ შ ი რ ი». თავდაპირველმა კავშირმა, რომელშიაც მხოლოდ იაკობ ვენედეის მსგავსი ყველაზე უფრო უქნარა ელემენტები დარჩნენ, მალე სულ მიიძინა: 1840 წელს, როდესაც პოლიციამ მისი რამდენიმე სექციის კვალს მიაგნო გერმანიაში, მისი აჩრდილიღა თუ იყო დარჩენილი. პირიქით, ახალი კავშირი შედარებით სწრაფად ვითარდებოდა. თავდაპირველად იგი შეადგენდა გერმანულ ყლორტს ბაბუვისტური[2] ტრადიციების მომბრე ფრანგული მუშური კომუნიზმისა, რომელიც იმ დროს პარიზში ყალიბდებოდა; ახალი კავშირი აყენებდა ქონების ერთობის მოთხოვნას, როგორც «თანასწორობის» აუცილებელ შედეგს. სამართლიანთა კავშირს იგივე მიზნები ჰქონდა. რაც მის თანამედროვე პარიზის ფარულ საზოგადოებებს. ეს იყო ნახევრად პროპაგანდისტული, ნახევრად შეთქმულების საზოგადოება, ამასთან, პარიზი მიჩნეული იყო ყოველთვის რევოლუციური მოქმედების ცენტრად, თუმცა ამავე დროს სრულიადაც არ იყო გამორიცხული შემთხვევის მიხედვით აჯანყების მომზადება გერმანიაშიც. მაგრამ რადგან პარიზი გადამწყვეტი ბრძოლების ასპარეზად რჩებოდა, ამიტომ კავშირი მაშინ ფაქტიურად მარტოოდენ გერმანული შტო იყო საფრანგეთის ფარულ საზოგადოებათა, სახელდობრ, ბლანკის და ბარბესის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი წლის დროთა საზოგადოებისა, რომელთანაც იგი მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა. ფრანგებმა დაიწყეს აჯანყება 1839 წლის 12 მაისს; მათ-

[1] ენგელსის ეს ნაშრომი დაწერილია, როგორც შესავალი მარქსის წიგნის «მხილებანი კომუნისტთა კელნის პროცესის» მესამე გამოცემისა. იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. VIII, стр. 503 — 558. რედ.

[2] ბ ა ბ უ ვ ი ზ მ ი—გრაკ ბაბეფის მოძღვრება. ბაბეფი XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდის ფრანგი უტოპისტ-კომუნისტი. რ ე დ.

თან ერთად გამოვიდნენ კავშირის სექციებიც, და ამრიგად, მათთან ერთად განიცადეს საერთო დამარცხება.

გეომანელთაგან დააპატიმრეს სახელდობრ, კარლ შაპერი და ჰენრიხ ბაუერი. ლუი ფილიპეს მთავრობა დაკმაყოფილდა იმით, რომ ისინი ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ გააძევა, და შაპერი და ბაუერი ლონდონს გაემგზავრნენ. შაპერი იყო ვაილბურგელი (ნასაუში); იგი, გისენის მეტყველობის ინსტიტუტის სტუდენტი, 1832 წელს, მონაწილეობდა გეორგ ბიუხნერის მიერ მოწყობილ შეთქმულებაში, 1833 წლის 3 აპრილს მონაწილეობდა ფრანკფურტის პოლიციის საჯუშაგოზე თავდასხმაში, 1834 წლის თებერვალში გაიქცა საზღვარგარეთ და მონაწილეობას იღებდა მაძინის გალაშქრებაში სავოიაზე. გოლიათის აგებულებისა, გაბედული და ენერგიული, ყოველთვის მზად მყოფი გაეწირა ცხოვრების სიტკბოებანი და სიცოცხლეც კი, იგი წარმოადგენდა პროფესიული რევოლუციონერის სამაგალითო ნიმუშს იმ როლის შესაბამისად, რომელსაც ასრულებდა ოცდათიან წლებში. როგორც გვიჩვენებს მისი განვითარება «დემაგოგიდან»[1] კომუნისტად, მისთვის, თუმცა ერთგვარი ძძიძე აზროვნების პატრონი იყო, სრულიადაც არ იყო მიუწვდომელი თეორიულ საკითხების უფრო ღრმა გაგება და იგი მით უფრო მტკიცედ ♦დგა იმას, რასაც ერთხელ აღიარებდა. სწორედ ამიტომ მისი რევოლუციური სიფიცხე ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდა მის გონებას, მაგრამ შემდეგ თვითონ იგი ამჩნევდა ყოველთვის თავის შეცდომებს და აშკარად აღიარებდა ამას. იგი მთლიანი ადამიანი იყო, და ის, რაც მან გერმანიის მუშათა მოძრაობის საძირკველის ჩასაყრელად გააკეთა, არასოდეს ♦რ იქნება დავიწყებული.

ჰენრიხ ბაუერი, ფრანკონიიდან, მეჩექმე იყო; ის იყო ცოცხალი, რიხიანი და სიტყვამოსწრებული მომცრო კაცი, რომლის პატარა სხეულში აგრეთვე ბევრი მოხერხებულობა და გაბედულობა იმალებოდა.

ლონდონში მისი მოსვლის შემდეგ, სადაც შაპერი, რომელიც პარიზში ასოთამწყობად იყო, ენებს ასწავლიდა და ამით პოულობდა საარსებო საშუალებას, მათ ორივემ ხელახლა განასაკვეს კავშირის გაწყვეტილი ძაფები და ლონდონი კავშირის ცენტრად აქ-

[1] ასე უწოდებდნენ გერმანიის ხელისუფალნი ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების წარმომად.ენლებს XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში. 1819 წელს გერმანიის ყველა სახელმწიფოში შეიქმნა სპეციალური კომისია «დემაგოგების ფერაგობათა» გამოსაძიებლად. რ ე დ.

ციეს. აქ, და შეიძლება უფრო ადრეც პარიზში, მათ შეუერთდა ი ო ს ე ბ მ ო ლ ი, მესაათე კელნიდან; ეს იყო საშუალო ტანის ჰერკულესი,—რამდენჯერ მას შაპერთან ერთად ძლევამოსილად დაუცავს დარბაზის კარი ასეული მოწინააღმდეგის პირისპირ, რომელნიც მის შემტვრევას ლამობდნენ,—ეს იყო კაცი, რომელიც ენერგიით და გაბედულობით ყოველ შემთხვევაში არ ჩამოუვარდებოდა თავის ორ ამხანაგს, ხოლო გონებით ორივეს სჯობდა. იგი არა მარტო დაბადებით დიპლომატი იყო, რასაც ამტკიცებს რწმუნებულის სახით მისი მრავალი გამგზავრების შედეგები, მისთვის თეორიული საკითხებიც უფრო მისაწვდომი იყო. სამივეს მე გავეცანი ლონდონში 1843 წელს. ესენი იყვნენ პირველი რევოლუციონერი პროლეტარები, რომელნიც მე მენახა. და როგორ დაცილებულიც არ იყო ჩვენი მაშინდელი შეხედულებანი, — მათ შეზღუდულ გამათანაბრებელ კომუნიზმს[1] მე მაშინ ვუპირისპირებდი არა მცირე ოდენობის ასევე შეზღუდულ ფილოსოფიურ ქედმაღლობას, — მე მაინც არასოდეს არ დამავიწყდება ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე ამ სამმა ნამდვილმა ადამიანმა მოახდინა, იმ დროს, როცა მე ჯერ კიდევ მსურდა მხოლოდ, რომ კაცი გავმხდარიყავი.

ლონდონში, ისე როგორც ნაკლები ზომით შვეიცარიაშიც, კავშირების და კრებების თავისუფლებამ კარგი სამსახური გაუწია მათ. უკვე 1840 წლის 7 თებერვალს დაარსებულ იქნა ლეგალური გერმანული საგანმანათლებლო მუშათა საზოგადოება, რომელიც დღემდე არსებობს. ეს საზოგადოება შეადგენდა კავშირისთვის ახალი წევრების მოპოების ადგილს, და რადგან კომუნისტები, როგორც ყოველთვის, საზოგადოების ყველაზე უფრო მოქმედი და გონებაგახსნილი წევრები იყვნენ, ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობა მთლიანად კავშირის ხელში იყო მოქცეული. მალე კავშირმა უკვე რამდენიმე თემი ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ «ლოჟა» გაიჩინა ლონდონში. იგივე სავსებით მიზანშეწონილი ტაქტიკა იყო გამოყენებული შვეიცარიაში და სხვა ადგილებში. ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა მუშათა საზოგადოებების დაარსება, ამგვარადვე ხდებოდა მათი გამოყენება. იქ, სადაც ეს კანონით აკრძალული იყო, კავშირის წევრები მომღერლების, გიმნასტების და სხვა მსგავს საზოგადოებაში შედიო-

[1] გამათანაბრებელ კომუნიზმად მე მესმის, როგორც უკვე ზემოთაა ნათქვამი, კომუნიზმი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ან უპირატესად, თანასწორობის მოთხოვნას ეყრდნობა. (ენ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

დნენ. ურთიერთკავშირს ინარჩუნებდნენ მეტწილად კავშირის მუდამ წამსვლელ-მომსვლელი წევრების საშუალებით, რომელნიც, როცა ეს საჭირო იყო, ემისარებადაც გამოდიოდნენ. ორივე შემთხვევაში კავშირს დიდ დახმარებას უწევდა მთავრობათა სიბრძნე, რომელნიც ყოველ მათთვის არასასურველ მუშას — და ასეთებში ათიდან ცხრა კავშირის წევრი იყო — განდევნის გზით ემისარად აქცევდნენ.

კავშირი, რომელიც კვლავ აღორძინდა, მნიშვნელოვნად გავრცელდა. კერძოდ შვეიცარიაში ვაიტლინგმა, ავგუსტ ბეკერმა (რომელიც ფრიად თვალსაჩინო ჭკუის პატრონი იყო, მაგრამ, ბევრ გერმანელსავით, შინაგანი თავდაუჭერლობის გამო დაიღუპა) და სხვებმა შეჰქმნეს ძლიერი ორგანიზაცია, რომელსაც ბეტნაკლებ ვაიტლინგის კომუნისტური სისტემისადმი ჰქონდა მიდრეკილება. აქ არაა ადგილი ვაიტლინგის კომუნიზმის საკრიტიკოდ. ხოლო, რაც შეეხება იმ მნიშვნელობას, რომელიც ამ კომუნიზმს ჰქონდა როგორც გერმანიის პროლეტარიატის პირველ დამოუკიდებელ თეორიულ მოძრაობას, — მე დღესაც ხელს ვაწერ 1844 წელს პარიზის «Vorwärts»-ში დაბეჭდილ მარქსის შემდეგ სიტყვებს: «აბა სად მოეძებნება (გერმანიის) ბურჟუაზიას, მისი ფილოსოფოსების და მწიგნობრების ჩათვლით, ისეთი ნაწარმოები ბურჟუაზიის განთავისუფლების — პოლიტიკური განთავისუფლების — შესახებ, რომელიც შეედრებოდეს ვაიტლინგის ჰარმონიისა და თავისუფლების გარანტიებს»? საკმარისია შეადაროთ გერმანიის პოლიტიკური ლიტერატურის ბანალური და მხდლური საშუალობა გერმანელი მუშების ამ უმაგალითო და ბრწყინვალე დებიუტს, საკმარისია შეადაროთ პროლეტარიატის ეს გიგანტური ბავშვის ფეხსაცმელი ბურჟუაზიის ქონდრისკაკურ გახეხილ პოლიტიკურ ფეხსაცმელს, რომ ამ თხუპნიას ატლეტის ფიგურა უწინასწარმეტყველოთ». ეს ატლეტის ფიგურა ამჟამად ჩვენ წინ დგას, თუმცა მას ჯერ სრულიადაც არ დაუსრულებია თავისი ზრდა.

გერმანიაშიც, აგრეთვე, მრავალი სექცია არსებობდა. არსებულ გარემოებათა გამო ეს სექციები წარმავალ ხასიათს ატარებდნენ, მაგრამ წარმოშობილი სექციების რიცხვი გაცილებით ჭარბობდა მოსპობილთა რიცხვს. პოლიციამ მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ, 1846 წლის ბოლოს, აღმოაჩინა ბერლინში (მენტელი) და მაგდებურგში (ბეკი) კავშირის კვალი, მაგრამ ვერ შესძლო მას უფრო შორს მიჰყოლოდა.

1848 წელს ჯერ კიდევ პარიზში მყოფმა ვაიტლინგმა, შვეიცარიაში წასვლამდე თავი მოუყარა გაფანტულ ელემენტებს.

კავშირის ძირითად ბირთვს თერძები შეადგენდნენ. გერმანელი თერძები ყველგან იყვნენ, შვეიცარიაში, ლონდონში, პარიზში. პარიზში თერძებს შორის გერმანული ენა ისე იყო გაბატონებული, რომ მე ვიცნობდი იქ 1846 წელს ერთ ნორვეგიელ თერძს, რომელიც საფრანგეთში მოვიდა ზღვით პირდაპირ დრონტჰაიმიდან და რომელმაც წლინახევრის განმავლობაში თითქმის ერთი ფრანგული სიტყვაც ვერ შეითვისა, მაგრამ ჩინებულად ისწავლა გერმანული. პარიზის თემებიდან 1847 წელს ორი თემი უმთავრესად თერძებისაგან შედგებოდა, ერთი — მეავეჯე დურგლებისაგან.

მას შემდეგ, რაც სიმძიმის ცენტრი პარიზიდან ლონდონში იქნა გადატანილი, პირველ რიგში წარმოდგა ახალი მომენტი: კავშირი გერმანულიდან თანდათან გახდა ინტერნაციონალური. მუშათა საზოგადოებაში შედიოდნენ, გერმანელების და შვეიცარიელების გარდა, იმ ეროვნებათა წევრებიც, რომლებსაც გერმანული ენა უცხოელებთან გაგებინების საშუალებად ემსახურებოდა. ესენი იყვნენ სკანდინავიელები, ჰოლანდიელები, უნგრელები, ჩეხები, სამხრეთის სლავიანები, აგრეთვე რუსები და ელზასელები. 1847 წელს მუდმივი სტუმარი იყო, სხვათა შორის, ერთი ინგლისელი გვარდიის გრენადერი ფორმაში. საზოგადოებამ მალე თავის თავს «კომუნისტური მუშათა გამანათლებელი საზოგადოება» უწოდა და საწევრო ბარათებზე დევიზი: «ადამიანები ყველანი ძმები არიან», სულ ცოტა რომ ვთქვათ, ოც ენაზე მაინც იყო დაწერილი, თუმცა, მართალია, აქა-იქ არა უშეცდომოდ. ისევე, როგორც ლეგალურმა საზოგადოებამ, ფარულმა კავშირმაც მალე მიიღო უფრო ინტერნაციონალური ხასიათი; თავდაპირველად, მართალია, მხოლოდ შეზღუდული აზრით: პრაქტიკულად, — მისი წევრების ეროვნული სხვადასხვაობის გამო, თეორიულად, — იმ რწმენის გამო, რომ ყოველი რევოლუცია, რათა იგი ძლევამოსილი იქნეს, ევროპული უნდა იყოს. ამაზე უფრო შორს არ მიდიოდნენ, მაგრამ საფუძველი ჩაყრილი იყო.

საფრანგეთის რევოლუციონერებთან საზოგადოებას მჭიდრო კავშირი ჰქონდა გაბმული ლონდონელი ემიგრანტების — 1839 წლის 12 მაისის ბრძოლის მონაწილეების — მეშვეობით. ასევე პოლონელ რადიკალებთან. ოფიციალური პოლონური ემიგრაცია, ისე, როგორც მაძინი, რასაკვირველია, უფრო მოწინააღმდეგეები იყვნენ, ვიდრე მოკავშირეები. ინგლისელი ჩარტისტები, მათი მოძრაობის

სპეციფიკურად ინგლისური ხასიათის გამო, განზე იყვნენ დარჩენილი როგორც არარევოლუციონერები. კავშირის ლონდონელი ხელმძღვანელები ახლოლდ შეეძებში დაუკავშირდნენ მათ ჩემი მეშვეობით.

მოვლენათა მსვლელობის ცვლილებასთან ერთად კავშირის ხასიათი ასევე სხვა მხრივაც იცვლებოდა. თუმცა პარიზს ჯერ ისევ უკჭერდნენ — და იმ დროს სრული საფუძვლით — როგორც რევოლუციის სამშობლოს, მაგრამ მაინც უკვე განთავისუფლებული იყვნენ პარიზელ შეთქმულებზე დამოკიდებულებისაგან. კავშირის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მისი თვითშეგნებაც. გრძნობდნენ, რომ მოძრაობა უფრო და უფრო ფესვს იდგამდა გერმანიის მუშათა კლასში და რომ ეს გერმანელი მუშები ისტორიულად მოწოდებული იყვნენ, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპის მუშების მედროშენი ყოფილიყვნენ. ვაიტლინგის სახით მათ ჰყავდათ კომუნიზმის თეორეტიკოსი, რომელიც შეიძლებოდა თამამად დამდგარიყო მისი მაშინდელი ფრანგი კონკურენტების გვერდით. დაბოლოს, 12 მაისის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ უკვე დრო იყო ხელი აეღოთ აჯანყებათა მოხდენის ცდებისაგან. და თუ მაინც ყოველ მოვლენას ჯერ კიდევ ისე ხსნიდნენ, როგორც მოახლოებული ქარიშხალის მაჩვენებელს, თუ ძველ ნახევრად კონსპირატორულ წესდებას იცავდნენ, ამის მიზეზი იყო უმთავრესად ძველ რევოლუციონერთა ჯიუტობა, რომელიც კონფლიქტში მოდიოდა უფრო სწორ შეხედულებასთან, რაც უკვე გზას იკვალავდა.

პირიქით, კავშირის სოციალურ დოქტრინას, მთელ მის საერთო გაურკვევლობასთან ერთად, ერთი ძალიან დიდი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ ეს ნაკლი დამყარებული იყო საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. კავშირის წევრები, რამდენადაც ისინი საერთოდ მუშები იყვნენ, არსებითად თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ხელოსნებს წარმოადგენდნენ. კაცი, რომელიც მათ ექსპლოატაციას ეწეოდა, მსხვილ მსოფლიო ქალაქებშიც კი მეტწილად მხოლოდ წვრილი ოსტატი იყო. თვით მეთერძეობის სარეწაოში ექსპლოატაცია დიდი მასშტაბით, ამჟამად ეგრეთწოდებული საკონფეკციო მრეწველობაში, რომელიც სათერძო ხელოსნობის შინამრეწველობად გადაქცევის გზით შეიქმნა და რომელიც მსხვილი კაპიტალისტისათვის მუშაობს, მაშინ, ლონდონშიც კი, მხოლოდ წარმოშობის პროცესში იყო. ერთი მხრივ, ამ ხელოსნების ექსპლოატატორი იყო წვრილი ოსტატი; მეორე მხრივ, თვით ისინი იმედოვნებდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს წვრილი ოსტატები გახდებოდნენ. ამასთან მაშინდელი გერ-

მანელი ხელოსანი გახვეული იყო მემკვიდრეობით მიღებულ მრავალ ამქრულ წარმოდგენებში. ეს ხელოსნები ჯერ კიდევ არ იყვნენ ნამდვილი პროლეტარები: ისინი წარმოადგენდნენ თანამედროვე პროლეტარიატში გარდამავალ ნაწილს წვრილი ბურჟუაზიისა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო პირდაპირ წინააღმდეგობაში ბურჟუაზიასთან, ე. ი. მსხვილ კაპიტალთან, და ამ ხელოსნებისათვის დიდად სასახელოა ის გარემოება, რომ მათ ინსტინქტურად შესძლეს წინასწარ განეჭვრიტათ შემდგომი განვითარება და ჩამოყალიბებულიყვნენ, თუმცა არა სრული შეგნებით, პროლეტარიატის პარტიად. მაგრამ აუცილებელი იყო, რომ მათი ძველი ხელოსნური ცრურწმენა მათ ფეხს გამოსდებდა ხოლმე ყოველთვის, როდესაც საკმე არსებული საზოგადოების კონკრეტულ კრიტიკას, ე. ი. ეკონომიური ფაქტების ანალიზს შეეხებოდა. მე არ მგონია, რომ მთელ კავშირში მაშინ ყოფილიყოს ერთი კაციც კი, რომელსაც ოდესმე წაეკითხოს პოლიტიკური ეკონომიის თუნდ ერთი წიგნი. მაგრამ ეს ბევრს არაფერს უშლიდა: «თანასწორობა», «ძმობა» და «სამართლიანობა» შველოდა მათ ყოველი თეორიული დაბრკოლების დაძლევაში.

ამასობაში კავშირის და ვაიტლინგის კომუნიზმის გვერდით შეიქმნა ახალი კომუნიზმი, პირველისაგან არსებითად განსხვავებული. მანჩესტერში რომ ვცხოვრობდი, მე პირდაპირ ცხვირით დავეჯახე იმას, რომ ეკონომიური ფაქტები, რომლებიც დღემდე ისტორიულ თხზულებებში სრულიად არავითარ ან მხოლოდ საცოდავ როლს თამაშობს, წარმოადგენს, ყოველ შემეხვევაში თანამედროვე მსოფლიოსათვის, გადამწყვეტ ისტორიულ ძალას; რომ ეკონომიური ფაქტები შეადგენს საფუძველს, რომელზედაც წარმოიშობიან თანამედროვე კლასობრივი წინააღმდეგობანი; რომ ეს კლასობრივი წინააღმდეგობანი ყველა ქვეყანაში, სადაც მათ, მსხვილი მრეწველობის შეოხებით, სრულ განვითარებას მიაღწიეს, — მაშასადამე, განსაკუთრებით ინგლისში, — წარმოადგენენ, თავის მხრივ, საფუძველს პოლიტიკური პარტიების შექმნისათვის, პარტიული ბრძოლისათვის, და ამით — მთელი პოლიტიკური ისტორიისათვის. მარქსი არა მარტო მივიდა იმავე შეხედულებამდე, არამედ მან იგი უკვე განაზოგადა კიდეც «გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიურ ჟურნალში» (1844 წ.)[1] იმ აზრით,

[1] «Deutsch-Französische Jahrbücher»—რადიკალური ჟურნალი, რომელსაც მარქსი ა. რუგესთან, მემარცხენე ჰეგელიანელთან, ერთად სცემდა პარიზში 1844 წ. რედ.

რომ საერთოდ არა სახელმწიფო განსაზღვრავს და აწესრიგებს სამოქალაქო საზოგადოებას, არამედ სამოქალაქო საზოგადოება — სახელმწიფოს. რომ, მაშასადამე. პოლიტიკა და მისი ისტორია უნდა აიხსნას ეკონომიური ურთიერთობით და მათი განვითარებით და არა პირიქით. როდესაც მე 1844 წლის ზაფხულში მარქსი ვინახულე პარიზში, გამოირკვა ჩვენი სრული თანხმობა ყველა თეორიულ დაოგზი. იმ დროიდან იწყება ჩვენი ერთად მუშაობა. როდესაც ჩვენ 1845 წლის გაზაფხულზე ისევ შევხვდით ბრიუსელში ეოთმანეთს, მარქსს, ზემოაღნიშნული ძირითადი დებულებებიდან ვამომდინარე, უკვე დასრულებული ჰქონდა მთავარ ხაზებში ისტორიის თავისი მატერიალისტური თეორიის განვითარება და ჩვენ შევუდექით ამ ახლად აღმოჩენილ შეხედულებათა დეტალურ დამუშავებას ბევრი სხვადასხვა მიმართულებით.

მაგრამ ამ აღმოჩენას, რომელმაც ისტორიულ მეცნიერებაში გადატრიალება მოახდინა, რომელიც, როგორც ვხედავთ, არსებითად მარქსის საქმეს შეადგენდა და რომელშიაც მე მხოლოდ ძალიან მცირეოდენი მონაწილეობა შემიძლია მივაწერო ჩემ თავს, უშუალო მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი მუშათა მოძრაობისათვის. კომუნიზმი, ფრანგებსა და გერმანელებში არსებული, ჩარტიზმი, ინგლისელებში არსებული, უკვე აღარ ჩანდა რაღაც შემთხვევითობად, რომელიც ასევე შეიძლებოდა არც არსებულიყო. ეს მოძრაობანი ახლა წარმოადგენდნენ თანამედროვე დაჩაგრული კლასის — პროლეტარიატის — ერთიან მოძრაობას, როგორც გაბატონებული კლასის — ბურჟუაზიის — წინააღმდეგ მისი ისტორიულად აუცილებელი ბრძოლის მეტნაკლებ განვითარებულ ფორმებს, კლასობრივი ბრძოლის ფორმებს, რომლებიც ყველა წინანდელი კლასობრივი ბრძოლისაგან იმით განსხვავდებიან, რომ დღევანდელ დაჩაგრულ კლასს, პროლეტარიატს, არ შეუძლია თავისი განთავისუფლების განხორციელება უიმისოდ, თუ ამავე დროს მთელი საზოგადოება არ გაანთავისუფლა კლასებად დაყოფისაგან და ამით კლასობრივი ბრძოლისაგანაც. და კომუნიზმი ამიერიდან ნიშნავდა არა რაც შეიძლება სრულყოფილი საზოგადოებრივი იდეალის შეთხზვას ფანტაზიის გზით, არამედ პროლეტარიატის ბრძოლის ბუნების, პირობების და იქიდან გამომდინარე საერთო მიზნების გაგებას.

ჩვენ სრულიადაც არ გვქონდა აზრად ახალი მეცნიერული შედეგები სქელტანიანი წიგნებით მიგვერთმია მხოლოდ და მხოლოდ «სწავლულთა» საზოგადოებისათვის. პირიქით. ჩვენ ორივენი უკვე

ლრმად ვიყავით ჩაფლული პოლიტიკურ მოძრაობაში; უკვე გვყავდა მომხრეები ინტელიგენციაში, განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიაში, და საკმაო კავშირი გვქონდა ორგანიზებულ პროლეტარიატთან. ჩვენ მოვალეობად გვაწვა მეცნიერულად დაგვესაბუთებინა ჩვენი შეხედულებანი, მაგრამ აგრეთვე ნაკლებ მნიშვნელოვანი არ იყო ჩვენთვის ჩვენს შეხედულებათა სისწორეში დაგვერწმუნებინა ევროპის პროლეტარიატი და პირველ ყოვლისა გერმანიის პროლეტარიატი. როდესაც თვით ჩვენთვის ყველაფერი ნათელი შეიქნა, ჩვენ შევუდექით მუშაობას. ბრიუსელში ჩვენ დავაარსეთ გერმანული მუშათა საზოგადოება და ხელში ჩავიგდეთ «ბრიუსელის გერმანული გაზეთი», რომელიც თებერვლის რევოლუციამდე ჩვენს ორგანოდ დარჩა. ინგლისის ჩარტისტების რევოლუციურ ნაწილთან ჩვენ კავშირი გვქონდა დაჭერილი ჯულიან ჰარნის მეშვეობით, რომელიც რედაქტორი იყო ამ მოძრაობის ცენტრალური ორგანო — «Northern Star»-ისა, რომლის თანამშრომელი მეც ვიყავი. ჩვენ ერთგვარ კოალიციაში ვიყავით აგრეთვე ბრიუსელის დემოკრატებთან (მარქსი «დემოკრატიული ასოციაციის»[1] ვიცეპრეზიდენტი იყო) და ფრანგ სოციალ-დემოკრატებთან «Réforme»-დან[2], რომელსაც მე ვუგზავნიდი ცნობებს ინგლისური და გერმანული მოძრაობის შესახებ. ერთი სიტყვით, ჩვენი კავშირი რადიკალურ და პროლეტარულ ორგანიზაციებთან და პრესის ორგანოებთან საკმაოდ შეესაბამებოდა ჩვენს სურვილს.

სამართლიანთა კავშირთან ჩვენი დამოკიდებულება ასეთი იყო: კავშირის არსებობა ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცოდით; 1843 წელს შაპერმა წინადადება მომცა შევსულიყავი კავშირში, მაგრამ მაშინ მე, რასაკვირველია, უარი ვთქვი. მაგრამ ჩვენ მაშინ არა მარტო მუდმივი მიწერ-მოწერა გვქონდა ლონდონელებთან, არამედ უფრო მჭიდრო დამოკიდებულებაშიც ვიყავით დ-რ ევერბეკთან, პარიზის თემების მაშინდელ ხელმძღვანელთან. კავშირის შინაგან საქმეებში არ ვიყავით ჩახედული, მაგრამ მაინც ყველა მნიშვნელოვან ამპავს ვტყობილობდით. მეორე მხრივ, ჩვენ სიტყვიერად, წერილობით და პრესის საშუალებით ზემოქმედებას ვახდენდით კავშირის ყველაზე

[1] «დემოკრატიული ასოციაცია» — საზოგადოება, რომელიც საერთაშორისო ხასიათს ატარებდა და ბელგიის დემოკრატებს აერთიანებდა ბრიუსელში მცხოვრებ პოლიტიკურ ემიგრანტებთან, დაარსებულ იქნა 1847 წ. სექტემბერში. რედ.

[2] «Réforme» («რეფორმა»)—ყოველდღიური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პარიზში 1843 წლიდან 1850 წლის იანვრამდე. რედ.

უფრო გავლენიანი წევრების თეორიულ შეხედულებებზე. იმავე მიზანს ემსახურებოდა სხვადასხვა ლითოგრაფიული ცირკულარები, რომლებსაც განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა საკითხი წარმოშობის სტადიაში მყოფი კომუნისტური პარტიის შინაგან საქმეებს შეეხებოდა, ჩვენ ვუგზავნიდით ჩვენს მეგობრებს და კორესპონდენტებს მთელს მსოფლიოში. ამ ცირკულარებში ზოგჯერ საქმე კავშირსაც შეეხებოდა. ასე, მაგალითად, ერთი ახალგაზრდა ვესტფალელი სტუდენტი ჰერმან კრიგე, რომელიც ამერიკაში გაემგზავრა და იქ გაბოდიოდა როგორც კავშირის ემისარი, დაუახლოვდა გადარეულ ჰაოო ჰარინგს იმ მიზნით, რომ კავშირის მეშვეობით გადატრიალება გამოეწვია სამხრეთ ამერიკაში; მან დააარსა გაზეთი, რომელშიაც კავშირის სახელით «სიყვარულზე» დაფუძნებულ, სიყვარულით აღსავსე, უზომოდ სენტიმენტალურ კომუნიზმს ქადაგებდა. ჩვენ გამოვედით მის წინააღმდეგ ერთ ცირკულარში, რომელმაც დაუყოვნებლივ მოახდინა გავლენა: კრიგე გაჰქრა კავშირის ასპარეზიდან.

უფრო გვიან ბრიუსელში ვაიტლინგი მოვიდა. მაგრამ ეს უკვე ადარ იყო ის გულუბრყვილო, ახალგაზრდა ქარგალი-თერძი, რომელიც, გაოცებული თავისი საკუთარი ნიჭით, ცდილობს ნათლად წარმოიდგინოს, რა სახე ექნება კომუნისტურ საზოგადოებას. ეს იყო დიდი ადამიანი, რომელსაც სდევნიდნენ მოშურნეები მისი უპირატესობის გამო, რომელსაც ყველგან მეტოქეები, ფარული მტრები და ხიფანგი ეჩვენებოდა; ქვეყნიდან ქვეყნად დევნილი წინასწარმეტყველი, ვაიტლინგი ჯიბით ატარებდა ქვეყნად ციური სასუფეველის დამყარების ზზა რეცეპტს და თავში ის აზრი ჰქონდა გამოსახული, რომ ყველა ამ მისი რეცეპტის მოპარვას ცდილობდა. ვაიტლინგი უკვე ლონდონში წაეჩხუბა კავშირის ყველა წევრს, ის ვერავის ვერ შეეგუა ბრიუსელშიც, სადაც მას მარქსი და მისი ცოლი არაჩვეულებრივი ზეადამიანური მოთმინებით ეპყრობოდნენ. ამიტომ იგი მალე ამერიკაში წავიდა, რათა იქ ეცადა წინასწარმეტყველის როლში გამოსვლა.

ყველა ეს გარემოება ხელს უწყობდა იმ გადატრიალებას, რომელიც შეუმჩნევლად ხდებოდა კავშირში და განსაკუთრებით ლონდონელ ხელმძღვანელებს შორის. არასაკმარისობა მანამდე არსებულ კომუნისტურ შეხედულებებისა, როგორც ფრანგული პრიმიტიული გამათანაბრებელი კომუნიზმისა, ისე ვაიტლინგური კომუნიზმისა, სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა მათვის. იმ გარემოებამ, რომ ვაიტლინგს კომუნიზმი გამოჰყავდა ადრინდელი ქრისტიანობიდან, რაგინდ გენიალურიც არ უნდა ყოფილიყო ცალკეუ-

ლი დებულებები «ღარიბ ცოდვილის სახარებაში», იქამდე მიიყვანა საქმე შვეიცარიაში, რომ მოძრაობა უმთავრესად ხელში უვარდებოდა ჯერ ისეთ ბრიყვებს, როგორიც ალბრეხტი იყო, და შემდეგ კი ისეთ ანგარებიან წინასწარმეტყველ-შარლატანებს, როგორიც იყო კულმანი. რამდენიმე ბელეტრისტის მიერ გავრცელებულ «ჭეშმარიტ სოციალიზმს»,—ფრანგული სოციალისტური თეორიების თარგმანს გაფუჭებულ ჰეგელიანურ-გერმანულ ენაზე და სენტიმენტალურ-ოცნებებურ კაცთმოყვარეობაზე (იხ. განყოფილება გერმანული ანუ «ჭეშმარიტი» სოციალიზმის შესახებ «კომუნისტურ მანიფესტში»), — ამ სოციალიზმს, რომელიც ჰერმან კრიგეს მიერ იყო შეტანილი კავშირში, და შესატყვისი ლიტერატურული ვარჯიშით იკვებებოდა, უკვე ამ თავისი ნერწყვიანი უილაჯობის გამო, ზიზღი უნდა გამოეწვია კავშირის ძველ რევოლუციონერებში. მანამდე არსებულ თეორიულ წარმოდგენათა უმწეობისა და იქიდან გამომდინარე პრაქტიკულ შეცდომათა გამო — ლონდონში უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ ჩვენი, მარქსისა და ჩემი, ახალი თეორიის სისწორეში. ამ შეხედულების გავრცელებას უეჭველად ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ლონდონელ ბელადებს შორის იყო ორი კაცი, რომელნიც თავიანთი თეორიული შემეცნების უნარით მნიშვნელოვანად სჯობნიდნენ ზემოთ დასახელებულთ; ესენი იყვნენ მხატვარი-მინიატურისტი კარლ პფენდერი ჰაილბრონიდან და თერძი გეორგ ეკარიუსი ტიურინგიიდან [1].

დაბოლოს, 1847 წლის გაზაფხულზე მოლი გამოცხადდა ბრიუსელში მარქსთან და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ ჩემთან პარიზში, რათა თავისი ამხანაგების სახელით ჩვენ განმეორებით მივეწვიეთ კავშირში შესასვლელად. ისინი,—როგორც იგი ამბობდა,—დარწმუნებული იყვნენ როგორც ჩვენ შეხედულებათა საერთო სისწორეში, ისე კავშირის ძველი შეთქმულებითი ტრადიციებისა და ფორმებისგან განთავისუფლების აუცილებლობაში. თუ ჩვენ ვისურვებდით კავშირში შესვლას, ჩვენ მოგვეცემოდა შესაძლებლობა კავში-

[1] პფენდერი დაახლოებით ამ რვა წლის წინათ გარდაიცვალა ლონდონში. ეს იყო მახვილი, ორიგინალური გონების ადამიანი, დაჯილდოებული ენამახვილობით, ირონიით, დიალექტიკით. ეკარიუსი, როგორც ცნობილია, შემდეგში მრავალი წლის განმავლობაში გენერალური მდივანი იყო მუშათა საერთაშორისო ასოციაციისა, რომლის წევრები იყვნენ, სხვათა შორის, კომუნისტთა კავშირის შემდეგი ძველი წევრები: ეკარიუსი, პფენდერი, ლესნერი, ლოხნერი, მარქსი და ენგელსი. შემდეგში ეკარიუსმა მთელი თავისი მოღვაწეობა მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის პროფესიულ მოძრაობას შესწირა. (ენგელსის შენიშვნა).

რის ყრილობაზე გაგვევითარებინა ჩვენი კრიტიკული კომუნიზმი მანიფესტის სახით, რომელიც შემდეგ გამოქვეყნებული იქნებოდა როგორც კავშირის მანიფესტი; ამასთან ჩვენ შეგვეძლებოდა ხელი შეგვეწყო იმისათვის, რომ კავშირის დაძველებული ორგანიზაცია შეგვეცვალა ახალი, უფრო მიზანშეწონილი და დროის პირობების წესაფეი ორგანიზაციით.

რომ გერმანიის მუშათა კლასისათვის ორგანიზაცია აუცილებელი იყო თუნდაც პროპაგანდის მიზნებისათვის და რომ ეს ორგანიზაცია, რამდენადაც მას არა მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი ექნებოდა, გერმანიის გარეთაც კი შეიძლებოდა მარტოოდენ ფარული ორგანიზაცია ყოფილიყო, ამაში ჩვენ ეჭვიც არ გვეპარებოდა. მაგრამ ასეთი ორგანიზაცია უკვე არსებობდა სწორედ კავშირის სახით. ის, რაც ჩვენ აქამდე კავშირის ნაკლოვანებად მიგვაჩნდა, დღეს ნაკლოვანებად მიაჩნდათ თვით კავშირის წარმომადგენლებსაც. თვით ჩვენ გვიწვევდნენ იმისათვის, რომ მონაწილეობა მიგვეღო მისი რეორგანიზაციის საქმეში. განა შეგვეძლო ამაზე უარი გვეთქვა? რასაკვირველია, არა. ამრიგად, ჩვენ შევედით კავშირში. მარქსმა მოაწყო ბრიუსელში კავშირის თემი ჩვენი უახლოესი მეგობრებისაგან, მაშინ როდესაც მე პარიზის სამ თემში ვმუშაობდი.

1847 წლის ზაფხულში ლონდონში შედგა კავშირის პირველი კონგრესი, რომელ ზედაც ვ. ვოლფი ბრიუსელის თემების წარმომადგენელი იყო, ხოლო მე — პარიზისა. აქ უშინარეს ყოვლისა გატარდა კავშირის რეორგანიზაცია. ყველაფერი, რაც კი მასში დარჩენილი იყო ძველი მისტიკური სახელწოდებისა შეთქმულობითი დროიდან, მოსპობილ იქნა; კავშირი ახლა შედგებოდა თემებისა, ოლქებისა, ხელმძღვანელი ოლქებისა, ცენტრალური კომიტეტისა და კონგრესისაგან; სწორედ ამ დროიდან ეწოდა კავშირს კომუნისტთა კავშირი. «კავშირის მიზანია: ბურჟუაზიის დამხობა, პროლეტარიატის გაბატონება, ძველ კლასთა ანტაგონიზმზე დამყარებული ბურჟუაზიული საზოგადოების მოსპობა და ახალი საზოგადოების დაფუძნება უკლასებოდ და კერძო საკუთრების გარეშე». — ასე ნეტყველებს პირველი პარაგრაფი. თვით ორგანიზაცია საუსტრით დემოკრატიული იყო, არჩევითი კომიტეტებით, რომელთა გამოცვლა ყოველთვის შეიძლებოდა; უკვე მარტო ეს გზას ეღობავდა ყოველ მისწრაფებას შეთქმულობისადმი, რომელიც დიქტატურას მოითხოვდა, და კავშირი — ყოველ შემთხვევაში ჩვეულებრივი მშვიდობიანი დროისათვის — წმინდა საპროპაგანდო საზოგადოებად გადაიქცა. ეს ახალი წესდება გადაეცა — ასე დემოკ-

რატიულად იქცეოდნენ ახლა — თემებს განსახილველად, რის შემდეგ იგი ერთხელ კიდევ განხილულ და საბოლოოდ მიღებულ იქნა 1847 წლის 8 დეკემბერს მეორე კონგრესის მიერ. იგი დაბეჭდილია ვერმუტთან და შტიბერთან. ტ. I, გვ. 239, დამატება X.

მეორე კონგრესი შედგა იმავე წლის ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის დასაწყისში. მას დაესწრო მარქსიც, რომელიც ხანგრძლივ დისკუსიებში — კონგრესი გაგრძელდა, სულ ცოტა, ათი დღე — ახალ თეორიას იცავდა. ყველა აზრთა წინააღმდეგობა და ეჭვი, ბოლოს, დაძლეულ იქნა, და ახალი პრინციპები ერთხმად იქნა მიღებული. მარქსს და მე დაგვავალეს მანიფესტის გამომუშავება. ეს დავალება უახლოეს დროში იქნა შესრულებული, და მანიფესტი, თებერვლის რევოლუციამდე რამდენიმე კვირით ადრე, გაიგზავნა ლონდონს დასაბეჭდად. მას შემდეგ მან მოიარა მთელი მსოფლიო, გადაითარგმნა თითქმის ყველა ენაზე და დღესაც წარმოადგენს სახელმძღვანელოს სხვადასხვა ქვეყნების პროლეტარული მოძრაობისათვის. კავშირის ძველი ლოზუნგის ნაცვლად: «ადამიანები ყველანი ძმები არიან», ადგილი დაიჭირა ახალმა საბრძოლო ლოზუნგმა: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!», რომელმაც აშკარად გამოაცხადა ბრძოლის საერთაშორისო ხასიათი. ჩვიდმეტი წლის შემდეგ ეს ლოზუნგი, როგორც მუშათა საერთაშორისო ასოციაციის საბრძოლო მოწოდება, გრგვინვად გაისმა მთელ მსოფლიოში, და ამჟამად, ყველა ქვეყნის მებრძოლ პროლეტარიატს დაწერილი აქვს იგი თავის დროშაზე.

იფეთქა თებერვლის რევოლუციამ. ლონდონის ცენტრალურმა კომიტეტმა მყისვე გადასცა თავისი უფლებები ბრიუსელის ხელმძღვანელ ოლქს. მაგრამ ეს დადგენილება ბრიუსელში მიღებულ იქნა იმ დროს, როდესაც იქ უკვე ფაქტიურად საალყო მდგომარეობა ბატონობდა და გერმანელებს აღარსად შეეძლოთ კრებების გამართვა. ჩვენ უკვე ყველანი მზად ვიყავით პარიზში გადასასვლელად, და ახალმა ცენტრალურმა კომიტეტმა ამიტომ დაადგინა აგრეთვე დაშლილიყო, ყველა თავისი უფლებამოსილება მარქსისათვის გადაეცა და რწმუნებულება მიეცა მისთვის, რომ მან [illegible] შეექმნა პარიზში ახალი ცენტრალური კომიტეტი. ვერც კი მოასწრო იმ ხუთმა კაცმა, რომელთაც ეს დადგენილება მიიღეს (1848 წლის 3 მარტს), ერთმანეთისგან განშორება, რომ მარქსის ბინაში შეიჭრა პოლიცია, დაატუსაღა იგი და აიძულა მეორე დღესვე საფრანგეთში წასულიყო, სადაც იგი თვითონაც აპირებდა წასვლას.

მალე ჩვენ ყველანი კვლავ შევხვდით ერთმანეთს პარიზში. იქ შედგენილ იქნა შემდეგი, ახალი ცენტრალური კომიტეტის წევრების მიერ ხელმოწერილი, დოკუმენტი, რომელიც გავრცელებულ იქნა მთელ გერმანიაში და საიდანაც ბევრმა ახლაც შეიძლება ზოგი რამ ისწავლოს:

კომუნისტური პარტიის მოთხოვნები გერმანიაში[1].

1. მთელი გერმანია ცხადდება ერთიან, განუყოფელ რესპუბლიკად.

3. ხალხის წარმომადგენლებს ჯამაგირი ეძლევათ, რათა მუშასაც შეეძლოს გერმანელი ხალხის პარლამენტში მონაწილეობა.

4. ხალხის საყოველთაო შეიარაღება.

7. სამეფო და სხვა ფეოდალური მამულები, ყველა სამადნე, მაღარო და სხვა სახელმწიფოს საკუთრებად იქცევა. ამ მიწებზე იწარმოება მეურნეობა მთელი საზოგადოების სასარგებლოდ, დიდი მასშტაბით და უახლესი დამხმარე საშუალებების შემწეობით, რომლებსაც მეცნიერება იძლევა.

8. გლეხთა მიწებზე არსებული იპოტეკები ცხადდება სახელმწიფო საკუთრებად. ამ იპოტეკების სარგებელს გლეხები სახელმწიფოს უხდიან.

9. იმ ოლქებში, სადაც იჯარაა გავრცელებული, საადგილმამულო რენტა ანუ საიჯარო გადასახდელი სახელმწიფოს ეძლევა გადასახადის სახით.

11. სახელმწიფო იღებს თავის ხელში ტრანსპორტის ყველა საშუალებას: რკინიგზებს, არხებს, ორთქლის გემებს, გზებს, ფოსტას და სხვ. ესენი იქცევიან სახელმწიფოს საკუთრებად და გაიცემიან არამქონებელი კლასის განკარგულებაში.

14. მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვა.

15. მაღალი პროგრესიული გადასახადების შემოღება და მოხმარების საგნებზე გადასახადის მოსპობა.

16. ნაციონალური სახელოსნოების მოწყობა. სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა მუშის არსებობის პირობებს და თავის თავზე იღებს შრომის უნარმოკლებულთა მიმართ მზრუნველობას.

---

[1] ენგელსს აქ ციტირებული აქვს «მოთხოვნების» უმნიშვნელოვანესი პუნქტები. სრულად კი იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. V, стр. 585—586. რედ.

17. საყოველთაო და უსასყიდლო სახალხო განათლება.

გერმანიის პროლეტარიატის, წვრილი ბურჟუაზიის და გლეხთა წოდების ინტერესი მოითხოვს მთელი ენერგიით ხელის შეწყობას ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარებისათვის; ვინაიდან მხოლოდ მათი განხორციელების გზით მრავალმილიონ ადამიანებს, რომელნიც დღემდე გერმანიაში ექსპლოატაციას განიცდიდნენ ერთ მუჭა პირთა მიერ და რომელთა ჩაგვრასაც მომავალშიც შეეცდებიან, შეუძლიათ მიაღწიონ იმ უფლებას და ძალას, რაც მათ, როგორც ყველა სიმდიდრის მწარმოებელთ, შეჰფერით.

კომიტეტი: **კარლ მარქსი, კარლ შაპერი,**
გ. ბაუერი, ფ. ენგელსი, ი. მოლი, გ. ვოლფი.

პარიზში იმ დროს რევოლუციური ლეგიონების მანია იყო მოდებული. ესპანელები, იტალიელები, ბელგიელები, ჰოლანდიელები, პოლონელები, გერმანელები ერთიანდებოდნენ რაზმებად, რათა თავთავიანთი სამშობლო გაენთავისუფლებინათ. გერმანელთა ლეგიონს წინამძღოლობდნენ ჰერვეგი, ბორნშტედტი, ბერნშტეინი. რადგან ყველა უცხოელი მუშა უშუალოდ რევოლუციის შემდეგ არა მარტო უმუშევარი დარჩა, არამედ მათ აგრეთვე თავს ესხმოდა მოსახლეობა, ამიტომ ბევრი ხალხი მიაწყდა ლეგიონებს. ახალი მთავრობა ლეგიონებში ხედავდა საშუალებას უცხო მუშების თავიდან მოსაცილებლად და ამიტომ მათ აძლევდა l'etape du soldat ე. ი. ბინებს მოგზაურობის მიმართულებით და სამგზავრო ულუფას 50 სანტიმის რაოდენობით დღეში, საზღვრამდე, სადაც მჭერმეტყველი საგარეო საქმეთა მინისტრი გულაჩუყებული ლამარტინი, რომელიც ყოველთვის მზად იყო ცრემლი გადმოეფრქვია, უკვე პოულობდა შემთხვევას იმისათვის, რათა ისინი სათანადო მთავრობების ხელში ჩაეგდო.

ჩვენ სრულიად გადაჭრით წინააღმდეგი ვიყავით ამ რევოლუციობანას თამაშობისა. გერმანიის მაშინდელ გამძაფრებულ დულილში შიჭრა და ამით რევოლუციის შეტანა გარედან ძალდატანებით ნიშნავდა ძირის გამოთხრას რევოლუციისათვის თვით გერმანიაში, მთავრობის გაძლიერებას და თვით ლეგიონერების—ამის თავმდები იყო ლამარტინი — უიარაღოდ გადაცემას გერმანიის ჯარების ხელში. ხოლო ვენასა და ბერლინში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლეგიონის ორგანიზაცია უკვე სულ მთლად უმიზნო შეიქნა; მაგრამ, რადგან ერთხელ დაიწყეს თამაში, მას განაგრძობდნენ.

ჩვენ დავაარსეთ გერმანული კომუნისტური კლუბი, სადაც მუშებს ვურჩევდით, რომ ინინი ლეგიონში არ შესულიყვნენ, თითოთითოდ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და იქ ემოქმედათ მოძრაობის ინტერესებისათვის. ჩვენმა ძველმა მეგობარმა ფლოკონმა, რომელიც დროებითი მთავრობის წევრი იყო, ჩვენ მიერ გასაგზავნი მუშებისათვის ისეთივე საგზაო შელავათები მოგვიხერხა, როგორიც ლეგიონერებს ჰქონდათ დაპირებული. ამგვარად, ჩვენ უკან გავგზავნეთ გერმანიაში სამასიდან ოთხასაძდე მუშა, რომელთა შორის კავშირის წევრები დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ.

როგორც შეიძლებოდა ეს წინასწარ დაგვენახა, კავშირი მეტისმეტად სუსტი ბერკეტი აღმოჩნდა ახლა ხალხის მასების ამოხეთქილი მოძრაობის პირისპირ. კავშირის იმ წევრთა სამმა მეოთხედმა, რომელნიც წინათ საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ, სამშობლოში დაბრუნებისას შეიცვალა თავისი საცხოვრებელი ადგილი; მათი წინანდელი თემები აპის გამო მეტწილად დაიშალა, და მათ კავშირთან ყოველი ურთიერთობა დაჰკარგეს. მათ შორის უფრო პატივმოყვარე ნაწილი არც კი შეეცადა კავშირთან კვლავ გაება ურთიერთობა, არამედ თვითეული თავის სამყოფელ ადგილას თავისი რისკით აწყობდა პატარა სეპარატულ მოძრაობას. დასასრულ, პირობები იმდენად სხვადასხვა იყო თვითეულ ცალკე პატარა სახელმწიფოში, თვითეულ პროვინციაში, თვითეულ ქალაქში, რომ კავშირს მარტოოდენ სრულიად ზოგადი დირექტივების მიცემა შეეძლო; მაგრამ ამ დირექტივების გავრცელება ბევრად უკეთესად შეიძლებოდა პრესის საშუალებით. ერთი სიტყვით, იმ მიზეზების მოსპობის მომენტიდან, რომელნიც აუცილებელს ხდიდნენ ფარულ კავშირს, თვით ფარულმა კავშირმაც, როგორც ასეთმა, დაჰკარგა ყოველი მნიშვნელობა. და ამას ყველაზე ნაკლებ იმ ადამიანების გაკვირვება შეეძლო, რომლებმაც ეს იყო შეთქმულებითი ხასიათის უკანასკნელი ნაშთი მოაცილეს ამ ფარულ კავშირს.

მაგრამ ახლა დამტკიცდა, რომ კავშირი ჩინებული სკოლა იყო რევოლუციური მოქმედებისათვის. რაინზე, სადაც «ახალი რაინის გაზეთი» მტკიცე ცენტრს წარმოადგენდა, ნასაუში, რაინის ჰესენში და ა. შ. — ყველგან კავშირის წევრები ედგნენ სათავეში უკიდურეს დემოკრატიულ მოძრაობას. იგივე იყო ჰამბურგშიაც. სამხრეთ გერმანიაში ამას ხელს უშლიდა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ბატონობა. ბრესლავლში დიდი წარმატებით მოქმედებდა 1848 წ. ზაფხულამდე ვილჰელმ ვოლფი; მან მიიღო აგრეთვე სილეზიაში ფრანკფურტის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატის

მანდატი. დასასრულ, ასოთამწყობმა სტეფანე ბორნმა, რომელიც ბრიუსელსა და პარიზში მუშაობდა როგორც კავშირის აქტიური წევრი, ბერლინში დაარსა მუშათა ძმობა, რომელიც მნიშვნელოვნად გავრცელდა და 1850 წლამდე არსებობდა. ბორნი, ძალიან ნიჭიერი ყმაწვილი კაცი იყო, მაგრამ ძალიან ჩქარობდა დიდ პოლიტიკურ პიროვნებად გახდომას. იგი «უძმობილდებოდა» ყოველგვარ ნაყარ-ნუყარა ხალხს, ოღონდ თავის ირგვლივ ბრბო შემოეკრიბა და სრულიად არც წარმოადგენდა ისეთ კაცს, რომელსაც შეეძლო ერთიანობის შეტანა მოწინააღმდეგე ტენდენციებში და სინათლისა — ქაოსში. მის მიერ დაარსებული ძმობის ოფიციალურ გამოცემებში უაღრესად აჭრელებულადაა შერეული «კომუნისტური მანიფესტის» შეხედულებები აჰკრულ მოგონებებთან და ამჰკრულ მისწრაფებებთან, ლეი ბლანისა და პრუდონის შეხედულებათა ნაფლეთებთან, პროტექციონიზმთან და ა. შ., — ერთი სიტყვით, ამ ხალხს სურდა ყველას გული მოეგო. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ გაფიცვებს, პროფესიულ კავშირებს, საწარმოო ამხანაგობების ორგანიზაციას. და სრულიად ივიწყებდნენ, რომ საქმე შეეხებოდა უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური გამარჯვებებით მოპოებას ისეთი პირობებისა, რომლებშიაც მარტოოდენ შესაძლებელია ყველა ამის მტკიცედ განხორციელება. შემდეგში, როცა რეაქციის გამარჯვებამ «ძმობის» ხელმძღვანელებს აგრძნობინა რევოლუციურ ბრძოლაში ჩაბმის აუცილებლობა, მათ ირგვლივ თავმოყრილი, გზადაბნეული მასა, რა თქმა უნდა ჩამოცილდა მათ. ბორნი მონაწილეობდა დრეზდენის 1849 წლის მაისის ამბოხებაში, და ბედნიერად გადარჩა. პროლეტარიატის დიად რევოლუციურ ბრძოლაში კი მუშათა ძმობას თავი ისე ეჭირა, როგორც სრულიად განცალკევებულ კავშირს, რომელიც უფრო მეტად ქაღალდზე არსებობდა და იმდენად მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა, რომ რეაქციამ მხოლოდ 1850 წელს ჩათვალა საჭიროდ მისი დაშლა, ხოლო მისი გადარჩენილი შტოებისა — კიდევ რამდენიმე წლით უფრო გვიან. ბორნი, რომლის ნამდვილი გვარი ბუტერმილხია, არ გამხდარა დიდი პოლიტიკური ფიგურა, არამედ პატარა შვეიცარიელი პროფესორია, რომელიც მარქსს კი აღარ თარგმნის ხელოსნურ-ამჰკრულ ენაზე, არამედ უწყინარ რენანს თავის საკუთარ მოტკბილო გერმანულ ენაზე.

1849 წლის 13 ივნისით პარიზში, მაისის ამბოხების დამარცხებით გერმანიაში და რუსების მიერ უნკრეთის რევოლუციის გასრესით დასრულდა 1848 წლის რევოლუციის ფრიად მნიშვნელო-

ვანი პერიოდი. მაგრამ რეაქციის გამარჯვება ჯერ კიდევ სრულიადაც არ იყო საბოლოო. საჭირო იყო რეორგანიზაცია გაფანტული რევოლუციური ძალებისა და მასთან ერთად კავშირის ძალებისაც. შექმნილი პირობები ისევე როგორც 1848 წლამდე, შეუძლებელს ხდიდა პროლეტარიატის ყოველგვარ აშკარა ორგანიზაციას; მაშასადამე, საჭირო შეიქნა ორგანიზაციის მოწყობა ისევ ფარულად.

1849 წლის შემოდგომაზე წინანდელი ცენტრალური კომიტეტების და კონგრესების წევრთა უმრავლესობა ისევ ლონდონში აღმოჩნდნენ. აკლდნენ მხოლოდ შაპერი და მოლი. შაპერი ვისბადენში იყო დატუსაღებული და ლონდონში მოვიდა მისი გამართლების შემდეგ 1850 წლის გაზაფხულზე. მოლი კი, მას შემდეგ, რაც მან რამდენიმე ფრიად სახიფათო პარტიული დავალება და სააგიტაციო მგზავრობა შეასრულა, — დაბოლოს იგი პრუსიის არმიაში, რაინის პროვინციაში ცხენოსან თოფჩებს აგროვებდა პფალცის არტილერიისთვის,[1] — ვილიხის კორპუსის ბეზანსონის მუშათა რაზმში შევიდა და ბრძოლაში მურგთან, როტენფელსის ხიდის წინ, ტყვია თავში მოხვდა და მოკვდა. სამაგიეროდ ვილიხი გამოვიდა ასპარეზზე. ვილიხი ერთი იმ გრძნობით კომუნისტთაგანი იყო, რომლებსაც 1845 წლიდან დაწყებული, ასე ძალიან ხშირად შეხვდებოდა ადამიანი დასავლეთ გერმანიაში და უკვე მარტო ამიტომ იგი ინსტინქტურ, ფარულ ოპოზიციაში იდგა ჩვენი კრიტიკული მიმართულებისადმი. მაგრამ ეს ცოტაა. ვილიხი ნამდვილი წინასწარმეტყველი იყო, იგი დარწმუნებული იმაში, რომ მას ბედად ეწერა გამხდარიყო გერმანიის პროლეტარიატის განმათავისუფლებელი, როგორც ასეთი, პირდაპირ პრეტენდენტობდა როგორც პოლიტიკურ დიქტატურაზე, ისე სამხედრო დიქტატურაზეც. ადრინდელი ქრისტიანული კომუნიზმის გვერდით, რომელსაც ადრე ვაიტლინგი ქადაგებდა, შეიქმნა, ამრიგად, ერთგვარი კომუნისტური ისლამი. თუმცა ესეცაია, რომ ამ ახალი რელიგიის პროპაგანდა ჯერჯერობით არ სცილდებოდა იმ ემიგრანტულ ყაზარმას, რომელსაც ვილიხი მეთაურობდა.

ამრიგად, მოხდა კავშირის ხელახლა ორგანიზება, გამოიცა «მიმართვა» 1850 წლის მარტისა, და ჰაინრიხ ბაუერი გაიგზავნა გერმანიაში ემისარად. ეს მიმართვა, რომელიც მარქსის და ჩემ

[1] ოგულისხმება იმ რევოლუციური არმიის არტილერია, რომელიც ბადენ-პფალცის აჯანყების დროს 1849 წლის მაის-ივნისში პრუსიის მთავრობის ჯარების წინააღმდეგ იბრძოდა. რ ე დ.

მიერ იყო რედაქტირებული, დღესაც საინტერესოა, იმიტომ რომ წვრილბურჟუაზიული დემოკრატია ახლაც ის პარტიაა, რომელიც ევროპის უახლოეს შერყევისას — და ეს მალე იქნება (ინტერვალები ევროპულ რევოლუციებს შორის: 1815, 1830, 1848 — 1852, 1870, ჩვენს საუკუნეში 15-იდან 18 წლამდე გრძელდება) — გერმანიაში უეჭველად პირველი უნდა ჩაუდგეს სათავეში ხელისუფლებას, როგორც საზოგადოების მხსნელი კომუნისტური ბუშებისაგან. მაშასადამე, ზოგი რამ, რაც იქ ნათქვამია, ეგუება დღევანდელ მომენტსაც. ჰაინრიხ ბაუერის გამგზავრება სრული წარმატებით დაგვირგვინდა. ეს პატარა მხიარული მეჩექმე ბუნებით დიპლომატი იყო. მან ისევ მოუყარა თავი აქტიურ ორგანიზაციაში კავშირის ყოფილ წევრებს, რომელნიც ნაწილობრივ მოსწყდნენ, ნაწილობრივ კი თავისი საკუთარი შეხედულებისამებრ ეწეოდნენ მუშაობას; მან, სახელდობრ, მიიზიდა აგრეთვე მუშათა ძმობის მაშინდელი ბელადებიც. კავშირმა იწყო ხელმძღვანელი როლის შესრულება მუშების, გლეხების და გერმანსტურ საზოგადოებებში გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე 1848 წლამდე, ასე რომ შემდეგ მორიგ (სამ თვეში ერთხელ) მიმართვას თემებისადმი, 1850 წლის ივნისში დაბეჭდილს, შეეძლო აღენიშნა, რომ სტუდენტმა შურცმა ბონიდან (შემდეგში ამერიკის ექს-მინისტრმა), რომელიც წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ინტერესებისთვის მოგზაურობდა გერმანიაში, «ნახა, რომ ყველა ვარგისი ელემენტი უკვე კავშირის ხელში იმყოფება». კავშირი უეჭველად ერთადერთი რევოლუციური ორგანიზაცია იყო, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიაში.

მაგრამ ის, თუ საით უნდა წარემართა ამ ორგანიზაციას თავისი საქმიანობა, დამოკიდებული იყო უმთავრესად იმაზე, გამართლდებოდა თუ არა იმედი რევოლუციის ახალი აზვირთების შესახებ. ეს კი 1850 წლის განმავლობაში სულ უფრო და უფრო ნაკლებ მოსალოდნელი ხდებოდა და შეუძლებელიც კი. 1847 წლის სამრეწველო კრიზისი, რომელმაც 1848 წლის რევოლუცია მოამზადა, დაძლეული იყო; დაიწყო სამრეწველო აყვავების ახალი, მანამდე გაუგონარი პერიოდი. ყველასათვის, ვისაც მხედველობა ჰქონდა და თვალებს განგებ არ ხუჭავდა, ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ 1848 წლის რევოლუციური გრიგალი თანდათან ქრებოდა.

«ასეთ საყოველთაო აყვავებისას, როდესაც ბურჟუაზიული საზოგადოების საწარმოო ძალები იმდენად ლაღად ვითარდებიან, რამდენა-

დაც ეს საერთოდ შესაძლებელია ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩარჩოებში, ჰეშმარიტ რევოლუციაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. ასეთი რევოლუცია შესაძლებელია მხოლოდ იმ პერიოდებში, როდესაც ორივე ეს ფაქტორი, თანამედროვე საწარმოო ძალები და წარმოების ბურჟუაზიული ფორმები, ერთიმეორის მიმართ წინააღმდეგობაში ვარდებიან. გაუთაკებელ შეხლა-შემოხლას, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს კონტინენტალური წესრიგის პარტიის ცალკეული ფრაქციების წარმომადგენლებს შორის და ერთმანეთის შერცხვენას, სრულიადაც არ მივყევართ ახალ რევოლუციებისაკენ; პირიქით, ეს შეხლა-შემოხლა მხოლოდ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველი ამ მომენტში მეტად მტკიცეა და, რაც რეაქციამ არ იცის, მეტად ბურჟუაზიულია. ბურჟუაზიული განვითარების შეფერხების ყველა რეაქციული ცდა ისევე **ეფეკველად დაიმსხვრევა ამ საფუძველზე, როგორც დემოკრატების მთელი ზნეობრივი აღშფოთება და მგზნებარე პროკლამაციები».** ასე ვწერდით მარქსი და მე 1850 წლის მაის-ოქტომბრის მიმოხილვაში», რომელიც დაბეჭდილია «ახალი რაინის გაზეთში, პოლიტიკურ-ეკონომიურ მიმოხილვაში», რვეული V და VI, ჰამბურგი 1850, გვ. 153[1].

მაგრამ მდგომარეობის ასეთი საღი გაგება ბევრს მწვალებლობად ეჩვენებოდა იმ წლებში, როდესაც ლედრიუ-როლენი, ლუი ბლანი, მაძინი, კოშუტი, და ნაკლებ მნიშვნელოვან გერმანელ მნათობთაგან—რუგე, კინკელი, გეგი და სხვა მისთანანი, ათეულობით ირაზმებოდნენ ლონდონში მომავალ დროებით მთავრობებად არა მარტო თავთავიანთი სამშობლოსათვის, არამედ მთელი ევროპისთვისაც და ყველაფერი მხოლოდ იმაზე დაყავდათ, რომ რევოლუციური სესხის სახით ამერიკაში საჭირო სახსრები ეშოვნათ ევროპის რევოლუციის განსახორციელებლად და, თავისთავად იგულისხმება, მასთან ერთად თვალის ერთ დახამხამებაში სხვადასხვა რესპუბლიკების დასაარსებლად. ვინლა შეიძლება გააკვირვოს იმ ფაქტმა, რომ აქ ანკესზე წამოეგო ისეთი კაცი, როგორიც ვილიხი იყო, რომ თვით შაპერმაც კი თავისი ძველი რევოლუციური აგზნებულობის გამო თავი გააბრიყვებინა, და რომ ლონდონის მუშების უმრავლესობა, მეტწილად თვით ემიგრანტები, მათ გაჰყვნენ რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მკეთებელთა ბანაკში? მოკლედ,—თავდაჭერილობა, რომელსაც ჩვენ ვიცავდით, არ უდგე-

[1] იხ. ამ გამოცემის პირველი ტომი, გვ. 248. რედ.

ბოდა ამ ადამიანების გულს; მათ უნდოდათ ხელი მიეყოთ რევოლუციის კეთებისთვის. ჩვენ სრულიად გადაჭრით უარი ვთქვით ამაზე. მოხდა განხეთქილება. შემდგომ ამბებზე «მხილებანი» მოგვითხრობენ. შემდეგ ამას მოჰყვა ჯერ ნოტიუნგის დაპატიმრება, მერე ჰაუპტისა (ჰამბურგში), რომელიც მოღალატე გახდა და რომელმაც კელნის ცენტრალური კომიტეტის წევრები გასცა; იგი უნდა გამოსულიყო პროცესში მთავარ მოწმედ, მაგრამ მის ნათესავებს არ უნდოდათ ასეთი სირცხვილი გადახდენოდათ თავს და იგი გაამგზავრეს რიო-დე-ჟანეიროში, სადაც შემდეგში მოეწყო როგორც ვაჭარი და, თავისი დამსახურების სანაცვლოდ, მიიღო ჯერ პრუსიის და შემდეგ გერმანიის გენერალური კონსულის თანამდებობა. ჰაუპტი ახლა ისევ ევროპაში არის [1].

«მხილებათა» უკეთ გასაგებად მე ვიძლევი კელნის ბრალდებულთა სიას: 1) პ. გ. რეზერი, სიგარის წარმოების მუშა; 2) ჰაინრიხ ბიურგერსი, რომელიც შემდგომ გარდაიცვალა, როგორც ლანდტაგის პროგრესისტული დეპუტატი; 3) პეტერ ნოტიუნგი, თერძი,—გარდაიცვალა ამ რამდენიმე წლის წინათ, როგორც ფოტოგრაფი ბრესლავლში; 4) ვ. ი. რეიფი; 5) დ-რი ჰერმან ბეკერი, ამჟამად ობერ-ბურგომისტრი კელნში და ზედა პალატის წევრი; 6) დ-რი როლანდ დანიელსი, ექიმი, — გარდაიცვალა პროცესიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჭლექით, რომლითაც საპყრობილეში დაავადდა; 7) კარლ ოტო, ქიმიკოსი; 8) დ-რი აბრამ იაკობი, — ამჟამად ექიმი ნიუ-იორკში; 9) დ-რი ი. ი. კლაინი, ამჟამად ექიმი და ქ. კელნის ხმოსანი; 10) ფერდინანდ ფრაილიგრატი, თუმცა იგი მაშინ უკვე ლონდონში იყო; 11) ი. ლ. ერჰარტი, ნოქარი; 12) ფრიდრიხ ლესნერი, თერძი, ახლა ლონდონში ცხოვრობს. მათგან ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, რომლის საჯარო სხდომები გრძელდებოდა 1852 წლის 4 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე, სახელმწიფო ღალატის ცდისათვის რეზერს, ბიურგერსს და ნოტიუნგს ექვს-ექვსი წლით ციხეში პატიმრობა მიუსაჯეს, რეიფს, ოტოს და ბეკერს—

[1] შაპერი გარდაიცვალა სამოციანი წლების ბოლოს ლონდონში. ვილიხი მონაწილეობას იღებდა სამოქალაქო ომში ამერიკაში და წარჩინება მიიღო; მერფრისბოროსთან (ტენესი) ბრძოლაში, სადაც ბრიგადის გენერალი იყო, დაიჭრა მკერდში, მაგრამ განიკურნა; იგი დაახლოებით ამ ათი წლის წინათ გარდაიცვალა ამერიკაში. სხვა მოხსენებულ პიროვნებათაგან აღვნიშნავ კიდევ, რომ ჰაინრიხ ბაუერი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ავსტრალიაში, ვაიტლინგი და ეფერბეკი გარდაიცვალნენ ამერიკაში. (ენგელსის შენიშვნა).

ხუთ-ხუთი წლით; ლესნერს — სამი წლით; დანიელსი, კლაინი, იაკობი და ერჰარტი გამართლებულ იქნენ.

კელნის პროცესით მთავრდება გერმანული კომუნისტური მუშათა მოძრაობის ეს პირველი პერიოდი. უშუალოდ განაჩენის შემდეგ ჩვენ დავშალეთ ჩვენი კავშირი; რამდენიმე თვის შემდეგ ვილიხ — შაპერის განცალკევებულმა კავშირმაც სამუდამოდ განისვენა.

* * *

იმ დროებას დღეს მთელი თაობით ვართ დაცილებული. მაშინ გერმანია ხელოსნებისა და ხელით მუშაობაზე დამყარებული შინამრეწველობის ქვეყანა იყო; ახლა კი იგი დიდი სამრეწველო ქვეყანაა, რომელიც განუწყვეტელი სამრეწველო გადატრიალების მდგომარეობაში იმყოფება. მაშინ ცალ-ცალკე უნდა გეძებნათ ისეთი მუშები, რომლებსაც შეგნებული ჰქონდათ თავისი მდგომარეობა როგორც მუშებისა და თავისი ისტორიულ-ეკონომიური წინააღმდეგობა კაპიტალის მიმართ, იმიტომ რომ თვით ეს წინააღმდეგობა მაშინ მხოლოდ ისახებოდა. ახლა კი გერმანიის მთელ პროლეტარიატს განსაკუთრებულ კანონებს უქვემდებარებენ მარტოოდენ იმისათვის, რომ რამდენადმე მაინც შენელდეს მისი განვითარების პროცესი, რომელსაც იგი მიჰყავს მისი, როგორც დაჩაგრული კლასის, მდგომარეობის სრულ შეგნებამდე. მაშინ იმ მცირეოდენ ადამიანებს, რომლებმაც პროლეტარიატის ისტორიული როლის შეგნებას მიაღწიეს, ფარულად უნდა ემუშავნათ, მალულად უნდა შეკრებილიყვნენ პატარ-პატარა ჯგუფებად 3-იდან 20 კაცამდე. ახლა კი გერმანიის პროლეტარიატს აღარ ესაჭიროება არავითარი ოფიციალური ორგანიზაცია, არც აშკარა, არც ფარული[1]; უბრალო, თავისთავად გასაგები შეკავშირება ერთნაირად მოაზროვნე კლასობრივ ამხანაგებისა საკმარისია იმისათვის, რომ ყოველგვარი წესდებების, კომიტეტების, გადაწყვეტილებების და სხვა ხელშესახები ფორმების გარეშე, შერყეულ იქნეს მთელი გერმანიის იმპერია. ბისმარკი მედიატორული მოსამართლეა ევროპაში, გერმანიის საზღვრებს იქით; მაგრამ ქვეყნის შიგნით დღითიდღე იზრდება უფრო და უფრო საშიშრად გერმანიის პროლეტარიატის

[1] ენგელსის ეს სიტყვები წარმოადგენს ირონიულ გამოწვევას ბისმარკის პოლიტიკისა, რომელიც მიმართული იყო პროლეტარული პარტიის აკრძალვისა და მუშათა მოძრაობის ჩახშობისაკენ. რ ე დ.

მრისხანე ატლეტური ფიგურა, რომელსაც მარქსი უკვე 1844 წელს წინასწარ ხედავდა, ის ბუმბერაზი, რომელიც ველარ ეტევა ვიწრო, ფილისტერზე გამოჭრილ სახელმწიფოებრივ შენობაში და რომლის ძალუმი აგებულება და ფართო ბეჭები მაგრდება და უცდის იმ მომენტს, როდესაც მისთვის საკმარისი იქნება მარტოოდენ წამოდგომა, რათა ნანგრევებად აქციოს საიმპერიო კონსტიტუციის მთელი შენობა. კიდევ მეტიც. ევროპის და ამერიკის პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობა ახლა ისე მომაგრდა, რომ არათუ მისი პირველი ვიწრო ფორმა, — ფარული კავშირი, — არამედ მეორე, გაცილებით უფრო ფართო ფორმაც, — აშკარა საერთაშორისო მუშათა ასოციაციაც,—შემბორკველი შეიქნა მისთვის; საკმარისია სოლიდარობის უბრალო გრძნობა, თავისი კლასობრივი მდგომარეობის შესახებ შეხედულების ერთნაირობაზე დამყარებული, რომ შეიქმნას ყველა ქვეყნის და ენის მუშებში პროლეტარიატის ერთი დიადი პარტია და მხარი დაუჭირონ მას. მოძღვრებას, რომლის წარმომადგენლად 1847 წლიდან 1852 წლამდე კავშირი იყო და რომელსაც მაშინ ბრძენი ფილისტერები მხრების აჩეჩვით უცქერდნენ და დამთხვეულთა ბოდვად, რამდენიმე ცალკეული სექტანტის ფარულ მოძღვრებად თვლიდნენ, ახლა უამრავი მომხრეები ჰყავს მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, როგორც ციმბირის სამადნეების ტუსაღებს შორის, ისე კალიფორნიის ოქროსმთხრელთა შორის; ხოლო ამ მოძღვრების დამაარსებელი, ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტად სძულდათ და რომელსაც ყველაზე მეტ ცილს სწამებდნენ მისი თანამედროვენი, კარლ მარქსი, იმ დროს, როდესაც იგი გარდაიცვალა, ძველი და ახალი ქვეყნის პროლეტარიატის მრჩეველი იყო; მას მიმართავდნენ მუდამ და იგი ყოველთვის მზად იყო დახმარების გასაწევად.

ლონდონი, 1885 წ. 8 ოქტომბერი.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ როგორც შესავალი კარლ მარქსის წიგნისა «მხილებანი კომუნისტთა კელნის პროცესის შესახებ» მეორე გამოცემისათვის, რომელიც გამოვიდა ციურიხში 1885 წ.
პირველად გამოქვეყნდა გაზეთ «Sozialdemokrat»-ში 1885 წ.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

ფ. ენგელსი

ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული

წინასიტყვაობა

თავისი თხზულების—«პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» წინასიტყვაობაში (ბერლინი, 1859) კარლ მარქსი მოგვითხრობს, როგორ გადავწყვიტეთ ჩვენ ორივემ 1845 წ. ბრიუსელში ერთად დაგვემუშავებინა «ჩვენი შეხედულება»,—სახელდობრ, მარქსის მიერ შემუშავებული ისტორიის მატერიალისტური გაგება,—«საწინააღმდეგოდ იმ იდეოლოგიური შეხედულებებისა, რომელნიც არსებობდნენ გერმანულ ფილოსოფიაში, ნამდვილად კი ანგარიში გაგვეწიერებინა ჩვენს წინანდელ ფილოსოფიურ სინდისთან. ეს განზრახვა შესრულებულ იქნა ჰეგელსშემდგომი ფილოსოფიის კრიტიკის სახით. ხელნაწერი, ორი სქელი ტომი მერვედი თაბახის ფორმატისა, უკვე დიდი ხანია მისული იყო გამოცემის ადგილას ვესტფალიაში, რომ ჩვენ ცნობა მივიღეთ,—შეცვლილი გარემოებანი მისი დაბეჭდვის ნებას არ იძლევიანო. ჩვენ მით უფრო ადვილად დავეთანხმეთ ხელნაწერი თაგვების მღრღნელ კრიტიკას, რომ ჩვენს მთავარს მიზანს—თავისთვის საკითხის გამორკვევას—მივაღწიეთ.

მას შემდეგ ორმოც წელზე მეტმა განვლო, და მ ა რ ქ ს ი გარდაიცვალა ისე, რომ არც მას, არც მე შემთხვევა არ მოგვეცემია დასახელებულ საგანს დავბრუნებოდით. ალაგ-ალაგ ჩვენ გამოგვითქვამს

ჰეგელისადმი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ დაწვრილებით ამ საგანზე არსად დაგვიწერია. ხოლო ფოიერბახს, რომელიც მაინც ზოგიერთის მხრივ საშუალო რგოლს წარმოადგენს ჰეგელის ფილოსოფიასა და ჩვენს მსოფლმხედველობას შორის, შემდეგ არასოდეს არ დავბრუნებივართ.

ამ ხნის განმავლობაში კი მარქსის მსოფლმხედველობამ მომხრეები მოიპოვა გერმანიის და ევროპის გარეთ, მთელი განათლებული კაცობრიობის ლიტერატურაში. მეორე მხრივ, კლასიკური გერმანული ფილოსოფია დღეს უცხოეთში, განსაკუთრებით ინგლისსა და სკანდინავიაში, ერთგვარ აღორძინებას განიცდის, და თვით გერმანიაში, როგორც ჩანს, ყველას მობეზრდა ის გლახაკური ეკლექტური შეჭამადი, რასაც იქ უნივერსიტეტებში ფილოსოფიის სახელით აწვდიან.

ამ პირობებში სულ უფრო და უფრო საჭიროდ მეჩვენებოდა მოკლედ და სისტემატურ ფორმაში გადმომეცა ჩვენი დამოკიდებულება ჰეგელის ფილოსოფიისადმი, გადმომეცა როგორც მისგან ჩვენი ამოსვლის, ისე მასთან გათიშვის ისტორია. აგრეთვე ვფიქრობდი, რომ ჩვენზე სინიდისის ვალი დარჩა გადაუხდელი: სრული აღიარება იმ გავლენისა, რომელიც ჩვენზე, ჰეგელის მომდევნო ფილოსოფოსებს შორის, ყველაზე მეტად ფოიერბახმა იქონია ჩვენი ქარიშხლის და შეტევის პერიოდში. ამიტომ, როცა «Neue Zeit»-ის რედაქციამ წინადადება მომცა კრიტიკულად გამერჩია შტარკეს წიგნი ფოიერბახის შესახებ, მე სიამოვნებით გამოვიყენე ეს შემთხვევა. ჩემი შრომა დაიბეჭდა აღნიშნული ჟურნალის 1886 წლის მე-4 და მე-5 რვეულში, ახლა კი გადავხედე და ცალკე ამონაბეჭდის სახით ვაქვეყნებ.

სანამ ამ სტრიქონებს დასაბეჭდად გავგზავნიდი, მოვნახე და ერთხელ კიდევ გადავათვალიერე 1845—46 წლების ძველი ხელნაწერი[1]. იქ დამთავრებული არაა ის განყოფილება, რომელიც ფოიერბახს შეეხება. დამთავრებული ნაწილი შეიცავს ისტორიის მატერიალისტური გაგების გადმოცემას, რომელიც მხოლოდ იმას ამტკიცებს, რამდენად არასრული ყოფილა ჩვენი მაშინდელი ცოდნა ეკონომიური ისტორიის დარგში. იქ მოცემული არაა თვით ფოიერბახის მოძღვრების კრიტიკა; ამიტომ ეს ხელნაწერი გამოუსადეგარი აღმოჩნდა ჩემი ახლანდელი მიზნისათვის. მაგრამ, სამაგიე-

[1] ლაპაოაკია «გერმანულ იდეოლოგიაზე», იხ. K. Marx u Ф. Энгельс, Соч., т. IV. რედ.

ბა, რომელიც დაფუძნებული იყო პირადი სისხლით ნათესაობის კავშირზე. და მის ნაცვლად შეიქმნა ახალი. ნამდვილი სახელმწიფოებრივი წესწყობილება, რომელსაც საფუძვლად დაედო ტერიტორიული დაყოფა და ქონებრივი სხვაობა. საჯარო ხელისუფლება აქ თავმოყრილი აღმოჩნდა სამხედროვალდებული მოქალაქეების ხელში და იგი მიმართული იყო არა მარტო მონების წინააღმდეგ, არამედ სამხედრო სამსახურიდან და შეიარაღებიდან გამორიცხული ეგრეთწოდებული პროლეტარების წინააღმდეგაც.

ამ ახალი წყობილების ფარგლებში, რამაც თავისი შემდგომი განვითარება მხოლოდ მაშინ მიიღო, როცა გაძევებულ იქნა უკანასკნელი მეფე, ნამდვილი სამეფო ხელისუფლების უზურპატორი, ტარკვინიუს ამაყი, და როცა მეფე შეცვალა (ისევე როგორც ეროკეზებში), ორმა თანაბარი ძალაუფლებით აღჭურვილმა მხედართმთავარმა (კონსულმა).—ამ წყობილების ფარგლებში მოძრაობს რომის რესპუბლიკის მთელი ისტორია ყველა მისი ბრძოლით პატრიციებსა და პლებეებს შორის თანამდებობათა მიღებისა და სახელმწიფო მიწებით სარგებლობისათვის, პატრიციული არისტოკრატიის საბოლოო გათქვეფით იმ მსხვილი მიწათმფლობელებისა და ფულის მაგნატების ახალ კლასში, რომელთაც თანდათანობით შთანთქეს სამხედრო სამსახურით გაჩანაგებული გლეხების მიწათმფლობელობა, რომელნიც მონების შემწეობით ამუშავებდნენ ამ გზით შექმნილ უზარმაზარ მამულებს, რომელთაც გააუკაცურეს იტალია და ამით გზა გაუკაფეს არა მარტო იმპერატორის ხელისუფლებას, არამედ მის მემკვიდრეებსაც — გერმანელ ბარბაროსებს.

VII

გვარი კელტებსა და გერმანელებში

ადგილის სიმცირე ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით განვიხილოთ ის გვაროვნული დაწესებულებანი, რომელნიც დღესაც არსებობენ კიდევ სხვადასხვა ველურ და ბარბაროსულ ხალხებში უფრო წმინდა თუ უფრო შერეული ფორმით, ანდა განვიხილოთ მათი კვალი აზიის კულტურული ხალხების ძველ ისტორიაში. ისინი ამა თუ იმ სახით ყველგან გვხვდება. საკმარისია რამდენიმე მაგალითი; ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გავიგებდით, რა არის გვარი, მაკ-ლენანმა, რომელმაც ყველაზე მეტი ჯაფა გასწია იმისათვის, რომ იგი შემცდა-

რად გაეგო, დაამტკიცა გვარის არსებობა და საერთოდ სწორად აღწერა იგი კალმიკებსა, ჩერქეზებსა, ნენცებსა (Samojeden) და სამ ინდოელ ხალხში: ვარალებსა, მაგარებსა და მუნიპურიებში. ამ ცოტა ხნის წინათ მ. კოვალევსკიმ იგი აღმოაჩინა და აღწერა ფშავებსა, ხევსურებსა, სვანებსა და სხვა კავკასიურ ტომებში. აქ ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ზოგიერთი მცირე შენიშვნით კელტებსა და გერმანელებში გვარის არსებობის შესახებ.

დღემდე შემონახულ უძველეს კელტურ კანონებში გვარი ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსეა; ირლანდიაში ის დღესაც კი ცოცხლობს. ინსტინქტურად მაინც, ხალხის შეგნებაში, მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა იგი ძალდატანებით დაშალეს; შოტლანდიაში გასული საუკუნის შუა წლებიც კი მისი სრული აყვავების ხანა იყო და აქაც იგი მხოლოდ ინგლისელების იარაღმა, კანონმდებლობამ და სასამართლოებმა მოსპეს.

ძველი უელსური კანონები, დაწერილნი მრავალი საუკუნის წინათ, ვიდრე ინგლისელები უელსს დაიპყრობდნენ, მაგრამ არა უგვიანეს XI საუკუნისა, მოწმობენ, რომ მთელი სოფლები მიწას ჯერ კიდევ ერთად ამუშავებდნენ. თუმცალა ეს მხოლოდ წინათ საყოველთაოდ გავრცელებული ადათ-წესის იშვიათ ნაშთს წარმოადგენდა; თვითეულ ოჯახს ჰქონდა ხუთი აკრი, რასაც დამოუკიდებლად ამუშავებდა; გარდა ამისა, ერთ ნაკვეთს ერთად ამუშავებდნენ და მოსავალს ინაწილებდნენ. ირლანდიისა და შოტლანდიის ანალოგიური მოვლენების მიხედვით ეჭვს გარეშეა, რომ ეს სოფლის თემები წარმოადგენენ გვარებს ან გვარების ქვეგანყოფილებებს, თუნდაც უელსის კანონების ხელახალმა შემოწმებამ, რისთვისაც მე დრო არა მაქვს (ჩემი ამონაწერები ეკუთვნიან 1869 წელს), ეს პირდაპირ არ დაადასტუროს. მაგრამ უელსური წყაროები, და მათთან ერთად ირლანდიურიც, პირდაპირ ამტკიცებენ, რომ კელტებში წყვილადი ცოლქმრობა მეთერთმეტე საუკუნეში ჯერ კიდევ სრულიადაც არ ყოფილა განდევნილი მონოგამიის მიერ. უელსში მხოლოდ შვიდი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ აღარ შეიძლებოდა განქორწინება ან, უკეთ რომ ვთქვათ, გაფრთხილების მიცემა განქორწინების შესახებ. თუ შვიდ წელიწადს მხოლოდ სამი ღამე აკლდა, ცოლ-ქმარს კიდევ შეეძლო გაყრილიყო. მაშინ ხდებოდა ქონების გაყოფა: ცოლი ყოფდა, ქმარი კი ირჩევდა თავის ნაწილს. ავეჯეულობის გაყოფა ხდებოდა გარკვეული, მეტად კურიოზული წესების მიხედვით. თუ განქორწინებას ქმარი მოითხოვდა, მას ცოლისათვის უნდა დაებრუნებინა მისი მზითევი და ზოგიერთი სხვა საკანიც; ხოლო თუ ამას

ნიაში ემისარად. ეს მიმართვა, რომელიც მარქსის და ჩემ მიერ იყო რედაქტირებული, დღესაც საინტერესოა, იმიტომ რომ წვრილბურჟუაზიული დემოკრატია ახლაც ის პარტიაა, რომელიც ევროპის უახლოეს შერყევისას — და ეს მალე იქნება (ინტერვალები ევროპულ რევოლუციებს შორის: 1815, 1830, 1848 — 1852, 1870, ჩვენს საუკუნეში 15-იდან 18 წლამდე გრძელდება) — გერმანიაში უეჭველად პირველი უნდა ჩაუდგეს სათავეში ხელისუფლებას, როგორც საზოგადოების მხსნელი კომუნისტური მუშებისაგან. მაშასადამე, ზოგი რამ, რაც იქ ნათქვამია, ეგუება დღევანდელ მომენტსაც. ჰაინრიხ ბაუერის გამგზავრება სრული წარმატებით დაგვირგვინდა. ეს პატარა მხიარული მეჩექმე პუნებით დიპლომატი იყო. მან ისევ მოუყარა თავი აქტიურ ორგანიზაციაში კავშირის ყოფილ წევრებს, რომელნიც ნაწილობრივ მოსწყდნენ, ნაწილობრივ კი თავისი საკუთარი შეხედულებისამებრ ეწეოდნენ მუშაობას; მან, სახელდობრ, მიიზიდა აგრეთვე მუშათა ძმობის მაშინდელი ბელადებიც. კავშირმა იწყო ხელმძღვანელი როლის შესრულება მუშების, გლეხების და გიმნასტურ საზოგადოებებში გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე 1848 წლამდე, ასე რომ, შემდეგ მორიგ (სამ თვეში ერთხელ) მიმართვას თემებისადმი, 1850 წლის ივნისში დაბეჭდილს, შეეძლო აღენიშნა, რომ სტუდენტმა შურცმა ბონიდან (შემდეგში ამერიკის ექს-მინისტრმა), რომელიც წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ინტერესებისთვის მოგზაურობდა გერმანიაში, «ნახა, რომ ყველა ვარგისი ელემენტი უკვე კავშირის ხელში იმყოფება». კავშირი უეჭველად ერთადერთი რევოლუციური ორგანიზაცია იყო, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიაში.

მაგრამ ის, თუ საით უნდა წარემართა ამ ორგანიზაციას თავისი საქმიანობა, დამოკიდებული იყო უმთავრესად იმაზე, გამართლდებოდა თუ არა იმედი რევოლუციის ახალი აზვირთების შესახებ. ეს კი 1850 წლის განმავლობაში სულ უფრო და უფრო ნაკლებ მოსალოდნელი ხდებოდა და შეუძლებელიც კი. 1847 წლის სამრეწველო კრიზისი, რომელმაც 1848 წლის რევოლუცია მოამზადა, დაძლეული იყო; დაიწყო სამრეწველო აყვავების ახალი, მანამდე გაუგონარი პერიოდი. ყველასათვის, ვისაც მხედველობა ჰქონდა და თვალებს განგებ არ ხუჭავდა, ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ 1848 წლის რევოლუციური გრიგალი თანდათან ქრებოდა.

«ასეთ საყოველთაო აყვავებისას, როდესაც ბურჟუაზიული საზოგადოების საწარმოო ძალები იმდენად ლაღად ვითარდებიან, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია ბურჟუაზიულ ურთიერთო-

მათ უნდოდათ ხელი მიეყოთ რევოლუციის კეთებისთვის. ჩვენ სრულიად გადაჭრით უარი ვთქვით ამაზე. მოხდა განხეთქილება. შემდეგომ ამპეპზე „«მხილებანი» მოგვითხრობენ. შემდეგ ამას მოჰყვა ჯერ ნოტიუნგის დაპატიმრება, მერე ჰაუპტისა (ჰამბურგში), რომელიც მოღალატე გახდა და რომელმაც კელნის ცენტრალური კომიტეტის წევრები გასცა; იგი უნდა გამოსულიყო პროცესში მთავარ მოწმედ, მაგრამ მის ნათესავებს არ უნდოდათ ასეთი სირცხვილი გადახდენოდათ თავს და იგი გაამგზავრეს რიო-დე-ჟანეიროში, სადაც შემდეგში მოეწყო როგორც ვაჭარი და, თავისი დამსახურების სანაცვლოდ, მიიღო ჯერ პრუსიის და შემდეგ გერმანიის გენერალური კონსულის თანამდებობა. ჰაუპტი ახლა ისევ ევროპაში არის[1].

«მხილებათა» უკეთ გასაგებად მე ვიძლევი კელნის ბრალდებულთა სიას: 1) პ. გ. რეზერი, სიგარის წარმოების მუშა; 2) ჰაინრიხ პიურკერსი, რომელიც შემდგომ გარდაიცვალა, როგორც ლანდტაგის პროგრესისტული დეპუტატი; 3) პეტერ ნოტიუნგი, თერძი, — გარდაიცვალა ამ რამდენიმე წლის წინათ, როგორც ფოტოგრაფი ბრესლავლში; 4) ვ. ი. რეიფი; 5) დ-რი ჰერმან ბეკერი, ამჟამად ობერ-ბურგომისტრი კელნში და ზედა პალატის წევრი; 6) დ-რი როლანდ დანიელსი, ექიმი, — გარდაიცვალა პროცესიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჭლექით, რომლითაც საპყრობილეში დაავადდა; 7) კარლ ოტო. ქიმიკოსი; 8) დ-რი აბრამ იაკობი,—ამჟამად ექიმი ნიუიორკში; 9) დ-რი ი. ი. კლაინი, ამჟამად ექიმი და ქ. კელნის ხმოსანი; 10) ფერდინანდ ფრაილიგრატი, თუმცა იგი მაშინ უკვე ლონდონში იყო; 11) ი. ლ. ერჰარტი, ნოქარი; 12) ფრიდრიხ ლესნერი, თერძი, ახლა ლონდონში ცხოვრობს. მათგან ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, რომლის საჯარო სხდომები გრძელდებოდა 1852 წლის 4 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე, სახელმწიფო ღალატის ცდისათვის რეზერს, ბიურგერსს და ნოტიუნგს ექვს-ექვსი წლით ციხეში პატიმრობა მიუსაჯა, რეიფს, ოტოს და ბეკერს — ხუთ-ხუთი წლით; ლესნერს — სამი წლით; დანიელსი, კლაინი, იაკობი და ერჰარტი გამართლებულ იქნენ.

---

[1] შაბერი გარდაიცვალა სამოცდაათი წლების ბოლოს ლონდონში. ვილიხი მონაწილეობას იღებდა სამოქალაქო ომში ამერიკაში და წარჩინება მიიღო; მერფრისბორისთან (ტენესი) ბრძოლაში, სადაც ბრიგადის გენერალი იყო, დაჭრა მკერდში, მაგრამ გასიკურნა; იგი დაახლოებით ამ ათი წლის წინათ გარდაიცვალა ამერიკაში. სხვა მოხსენებულ პიროვნებათაგან აღვნიშნავ კიდევ, რომ ჰაინრიხ ბაუერი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ავსტრალიაში, ვაიტლინგი და

კელნის პროცესით მთავრდება გერმანული კომუნისტური მუშათა მოძრაობის ეს პირველი პერიოდი. უშუალოდ განაჩენის შემდეგ ჩვენ დავშალეთ ჩვენი კავშირი; რამდენიმე თვის შემდეგ ვილიხ — შაპერის განცალკევებულმა კავშირმაც სამუდამოდ განაცვენა.

* * *

იმ დროებას დღეს მთელი თაობით ვართ დაცილებული. მაშინ გერმანია ხელოსნებისა და ხელით მუშაობაზე დამყარებული შინამრეწველობის ქვეყანა იყო; ახლა კი იგი დიდი სამრეწველო ქვეყანაა, რომელიც განუწყვეტელი სამრეწველო გადატრიალების მდგომარეობაში იმყოფება. მაშინ ცალ-ცალკე უნდა გეძებნათ ისეთი მუშები, რომლებსაც შეგნებული ჰქონდათ თავისი მდგომარეობა როგორც მუშებისა და თავისი ისტორიულ-ეკონომიური წინააღმდეგობა კაპიტალის მიმართ, იმიტომ რომ თვით ეს წინააღმდეგობა მაშინ მხოლოდ ისახებოდა. ახლა კი გერმანიის მთელ პროლეტარიატს განსაკუთრებულ კანონებს უქვემდებარებენ მარტოოდენ იმისათვის, რომ რამდენადმე მაინც შენელდეს მისი გაერთიანების პროცესი, რომელსაც იგი მიჰყავს მისი, როგორც დაჩაგრული კლასის, მდგომარეობის სრულ შეგნებამდე. მაშინ იმ მცირეოდენ ადამიანებს, რომლებმაც პროლეტარიატის ისტორიული როლის შეგნებას მიაღწიეს, ფარულად უნდა ემუშავნათ, მალულად უნდა შეკრებილიყვნენ პატარ-პატარა ჯგუფებად 3-იდან 20 კაცამდე. ახლა კი გერმანიის პროლეტარიატს აღარ ესაჭიროება არავითარი ოფიციალური ორგანიზაცია, არც აშკარა, არც ფარული[1]; უბრალო, თავისთავად გასაგები შეკავშირება ერთნაირად მოაზროვნე კლასობრივ ამხანაგებისა საკმარისია იმისათვის, რომ ყოველგვარი წესდებების, კომიტეტების, გადაწყვეტილებების და სხვა ხელშესახები ფორმების გარეშე, შერყეულ იქნეს მთელი გერმანიის იმპერია. ბისმარკი მედიატორული მოსამართლეა ევროპაში, გერმანიის საზღვრებს იქით; მაგრამ ქვეყნის შიგნით დღითიდღე იზრდება გერმანიის პროლეტარიატის სულ უფრო მრისხანე ატლეტური ფიგურა, რომელსაც მარქსი უკვე 1844 წელს წინასწარ ხედავდა, ის ბუმბერაზი, რომელიც ველარ ეტევა ვიწრო, ფილისტერზე ვამოჭრილ სახელმწიფოებრივ

[1] ენგელსის ეს სიტყვები წარმოადგენს ირონიულ გამოწვევას ბისმარკის პოლიტიკისა, რომელიც მიმართული იყო პროლეტარული პარტიის აკრძალვისა და მუშათა მოძრაობის ჩახშობისაკენ. რ ე დ.

ბათა ჩარჩოებში, ჭეშმარიტ რევოლუციაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. ასეთი რევოლუცია შესაძლებელია მხოლოდ იმ პერიოდებში, როდესაც ორივე ეს ფაქტორი, თანამედროვე საწარმოო ძალები და წარმოების ბურჟუაზიული ფორმები, ერთიმეორის მიმართ წინააღმდეგობაში ვარდებიან. გაუთავებელ შეხლა-შემოხლას, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს კონტინენტალური წესრიგის პარტიის ცალკეული ფრაქციების წარმომადგენლებს შორის და ერთმანეთის შერცხვენას, სრულიადაც არ ვიკუვავართ ახალ რევოლუციებისაკენ; პირიქით, ეს შეხლა-შემოხლა მხოლოდ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველი ამ მომენტში მეტად მტკიცეა და, რაც რეაქციამ არ იცის, მეტად ბურჟუაზიულია. ბურჟუაზიული განვითარების შეფერხების ყველა რეაქციული ცდა ისევე უეჭველად დაიმსხვრევა ამ საფუძველზე, როგორც დემოკრატების მთელი ზნეობრივი აღშფოთება და მგზნებარე პროკლამაციები». ასე ვწერდით მარქსი და მე 1850 წლის მაის—ოქტომბრის მიმოხილვაში», რომელიც დაბეჭდილია «ახალი რაინის გაზეთში, პოლიტიკურ-ეკონომიურ მიმოხილვაში», რვეული V და VI, ჰამბურგი 1850. გვ. 153[1].

მაგრამ მდგომარეობის ასეთი სალი გაგება ბევრს მწვალებლობად ეჩვენებოდა იმ წლებში, როდესაც ლედრიუ-როლენი, ლუი ბლანი, მაძინი, კოშუტი, და ნაკლებ მნიშვნელოვან გერმანელ მნათობთაგან — რუგე, კინკელი, გეგი და სხვა მისთანანი, ათეულობით ქმნიდნენ ლონდონში მომავალ დროებით მთავრობებს არა მარტო თავთავიანთი სამშობლოსათვის, არამედ მთელი ევროპისთვისაც და ყველაფერი მხოლოდ იმაზე დაყავდათ, რომ რევოლუციური სესხის სახით ამერიკაში საჭირო სახსრები ეშოვნათ ევროპის რევოლუციის განსახორციელებლად და, თავისთავად იგულისხმება, მასთან ერთად თვალის ერთ დახამხამებაში სხვადასხვა რესპუბლიკების დასაარსებლად. ვინღა შეიძლება გააკვირვოს იმ ფაქტმა, რომ აქ ანკესზე წამოეგო ისეთი კაცი, როგორიც ვილიხი იყო, რომ თვით შაპერმაც კი თავისი ძველი რევოლუციური აგზნებულობის გამო თავი გააბრიყვებინა, და რომ ლონდონის მუშების უმრავლესობა, მეტწილად თვით ემიგრანტები, მათ გაჰყვნენ რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მკეთებელთა ბანაკში? მოკლედ, — თავდაჭერილობა, რომელსაც ჩვენ ვიცავდით, არ უდგებოდა ამ ადამიანების გულს;

[1] იხ. ამ გამოცემის პირველი ტომი, გვ. 249. რედ.

შენობაში და რომლის ძალუმი აგებულება და ფართო ბეჭები მაგრდება და უცდის იმ მომენტს, როდესაც მისთვის საკმარისი იქნება მარტოოდენ წამოდგომა, რათა ნანგრევებად აქციოს საიმპერიო კონსტიტუციის მთელი შენობა. კიდევ მეტიც. ევროპის და ამერიკის პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობა ახლა ისე მომაგრდა, რომ არათუ მისი პირველი ვიწრო ფორმა, — ფარული კავშირი, — არამედ მეორე, გაცილებით უფრო ფართო ფორმაც, — აუკარა საერთაშორისო მუშათა ამხანაგობაც, — შემბორკველი შეიქნა მისთვის; საკმარისია თავისი კლასობრივი მდგომარეობის შესახებ შეხედულების ერთნაირობაზე დამყარებული სოლიდარობის უბრალო გრძნობა, რომ შეიქმნას ყველა ქვეყნის და ენის მუშებში პროლეტარიატის ერთი დიადი პარტია და მხარი დაუჭირონ მას მოძღვრებას. რომლის წარმომადგენლად 1847 წლიდან 1852 წლამდე კავშირი იყო და რომელსაც მაშინ ბრძენი ფილისტერები მხრების აჩეჩვით უცქერდნენ და დამთხვეულთა ბოდვად, რამდენიმე ცალკეული სექტანტის ფარულ მოძღვრებად თვლიდნენ, ახლა უამრავი მომხრეები ჰყავს მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, როგორც ციმბირის სამადნეების ტუსაღებს შორის, ისე კალიფორნიის ოქროსმაძიებელთა შორის; ხოლო ამ მოძღვრების დამაარსებელი, ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტად სძულდათ და რომელსაც ყველაზე მეტ ცილს სწამებდნენ მისი თანამედროვენი, კ ა რ ლ მ ა რ ქ ს ი, იმ დროს, როდესაც იგი გარდაიცვალა, ძველი და ახალი ქვეყნის პროლეტარიატის მრჩეველი იყო; მას მიმართავდნენ მუდამ და იგი ყოველთვის მზად იყო დახმარების გასაწევად.

ლონდონი, 1885 წ. 8 ოქტომბერი.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ როგორც ჰესავალი კარლ მარქსის წიგნისა «მხილებანი კომუნისტთა კელნის პროცესის ჰესახებ» მესამე გამოცემისათვის, რომელიც გამოვიდა ციურიხში 1885 წ. ირველად გამოქვეყნდა გაზეთ «Sozialdemokrat»-ში 1885 წ.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან.

ფ. ენგელსი

ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული

წინასიტყვაობა

თავისი თხზულების — «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» წინასიტყვაობაში (ბერლინი, 1859) კარლ მარქსი მოგვითხრობს, როგორ გადავწყვიტეთ ჩვენ ორივემ 1845 წ. ბრიუსელში «ერთად დაგვემუშავებინა ჩვენი შეხედულებები», — სახელდობრ, უპირატესად მარქსის მიერ შემუშავებული ისტორიის მატერიალისტური გაგება, — «გერმანული ფილოსოფიის იდეოლოგიურ შეხედულებათა საწინააღმდეგოდ, ნამდვილად კი ანგარიში გავუსწორებინა ჩვენს წინანდელ ფილოსოფიურ სინდისთან. ეს განზრახვა შესრულებული იქნა ჰეგელის შემდგომი ფილოსოფიის კრიტიკის სახით. ხელნაწერი, ორი სქელი ტომი მერვედი თაბახის ფორმატისა, უკვე დიდი ხანია მისული იყო გამოცემის ადგილას ვესტფალიაში, რომ ჩვენ ცნობა მივიღეთ — შეცვლილი გარემოებანი მისი დაბეჭდვის ნებას არ იძლევიანო. ჩვენ მით უფრო ადვილად დავუტოვეთ ხელნაწერი თაგვების მღრღნელ კრიტიკას, რომ ჩვენ მთავარ მიზანს — თავისთვის საკითხის გამორკვევას — მივაღწიეთ».

მას შემდეგ ორმოც წელზე მეტმა განვლო, და მ ა რ ქ ს ი გარდაიცვალა ისე, რომ არც მას, არც მე შემთხვევა არ მოგვცემია დასახელებულ საგანს დავბრუნებოდით. ცალკეულ გარემოებათა გამო ჩვენ გამოვითქვამს აზრი ჰეგელისადმი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ დაწვრილებით ამ საგანზე არსად დაგვიწერია. ხო-

ლო ფოიერბახს, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით მაინც შუალედურ როლს წარმოადგენს ჰეგელის ფილოსოფიასა და ჩვენს მსოფლმხედველობას შორის, შემდეგ არასოდეს არ დავბრუნებიკართ.

ამ ხნის განმავლობაში კი მარქსის მსოფლმხედველობამ მომხრეები მოიპოვა გერმანიის და ევროპის გარეთ, მთელი განათლებული კაცობრიობის ლიტერატურაში. მეორე მხრივ, კლასიკური გერმანული ფილოსოფია დღეს უცხოეთში, განსაკუთრებით ინგლისსა და სკანდინავიაში, ერთგვარ აღორძინებას განიცდის, და თვით გერმანიაში, როგორც ჩანს, ყველას მობეზრდა ის ეკლექტური-მათხოვრული შეჭამანდი, რასაც იქ უნივერსიტეტებში ფილოსოფიის სახელით აწვდიან.

ამ პირობებში სულ უფრო და უფრო საჭიროდ მეჩვენებოდა მოკლედ და სისტემატური ფორმით გადმომეცა ჩვენი დამოკიდებულება ჰეგელის ფილოსოფიისადმი, გადმომეცა როგორც მისგან ჩვენი ამოსვლის, ისე მასთან გათიშვის ისტორია. აგრეთვე ვფიქრობდი, რომ ჩვენზე სინდისის ვალი გადაუხდელი დარჩა: სრული აღიარება იმ გავლენისა, რომელიც ჩვენზე ჰეგელის მომდევნო ფილოსოფოსებიდან ყველაზე მეტად ფოიერბახმა იქონია ჩვენი ქარიშხლის და შეტევის პერიოდში. ამიტომ, როცა «Neue Zeit»-ის რედაქციამ წინადადება მომცა კრიტიკულად გამერჩია შტარკეს წიგნი ფოიერბახის შესახებ. მე სიამოვნებით გამოვიყენე ეს შემთხვევა. ჩემი შრომა დაიბეჭდა აღნიშნული ჟურნალის 1886 წლის მე-4 და მე-5 რვეულში. ახლა კი გადავხედე და ცალკე ამონაბეჭდის სახით ვაქვეყნებ.

სანამ ამ სტრიქონებს დასაბეჭდად გავგზავნიდი, მოვნახე და ერთხელ კიდევ გადავათვალიერე 1845—1846 წლების ძველი ხელნაწერი[1]. იქ დამთავრებული არაა ის განყოფილება, რომელიც ფოიერბახს შეეხება. დამთავრებული ნაწილი შეიცავს ისტორიის მატერიალისტური გაგების გადმოცემას, რომელიც იმას ამტკიცებს მხოლოდ, თუ რამდენად არასაკმარისი იყო ჩვენი მაშინდელი ცოდნა ეკონომიური ისტორიის დარგში. იქ მოცემული არაა თვით ფოიერბახის მოძღვრების კრიტიკა; ამიტომ ეს ხელნაწერი გამოუსადეგარი აღმოჩნდა ჩემი ახლანდელი მიზნისათვის. მაგრამ, სამაგიეროდ, მარქსის ერთ ძველ რვეულში აღმოვაჩინე თერთმეტი თეზისი ფოიერბახის შესახებ. მე მათ დამატებაში ვბეჭდავ. ეს თეზისები წარმოადგენენ

[1] ლაპარაკია «გერმანულ იდეოლოგიაზე», იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. IV. — Ред.

ნაჩქარევად დაწერილ შენიშვნებს, რომლებიც სრულიადაც არ ყოფილა დასაბეჭდად განზრახული და შემდგომ უნდა დამუშავებულიყო, მაგრამ ისინი მეტად ძვირფასნი არიან როგორც პირველი დოკუმენტი, სადაც ახალი მსოფლმხედველობის გენიალური ჩანასახია მოცემული.

ფრიდრიხ ენგელსი

ლონდონი, 1888 წ. 21 თებერვალი.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ მისი წიგნის «ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული» ცალკე გამოცემისათვის, რომელიც გამოვიდა შტუტგარტში 1888 წელს.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან.

ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული

I

ამ თხზულებას[1] გადავყავართ იმ ეპოქაში, რომელიც ჩვენგან მხოლოდ ერთი თაობითაა დაშორებული, მაგრამ იმდენად უცხო გახდა გერმანიის ახლანდელი თაობისათვის, თითქოს მას შემდეგ მთელ საუკუნეს გაევლოს. მაგრამ ეს იყო ეპოქა გერმანიის მზადებისა 1848 წლის რევოლუციისათვის; და ყოველივე რაც ჩვენში მას შემდეგ მოხდა, წარმოადგენს მხოლოდ 1848 წლის გაგრძელებას, მხოლოდ რევოლუციის ანდერძის ასრულებას.

ისევე როგორც მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთში, მეცხრამეტე საუკუნის გერმანიაშიც ფილოსოფიური რევოლუცია წინ უძღოდა პოლიტიკურ გადატრიალებას. მაგრამ როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეს ფილოსოფიური რევოლუციები! ფრანგები აშკარად ებრძვიან მთელ ოფიციალურ მეცნიერებას, ეკლესიას, ხშირად აგრეთვე სახელმწიფოს; მათი ნაწერები საზღვარგარეთ იბეჭდება, ჰოლანდიაში ან ინგლისში, თვით ისინი კი ხშირად ბასტილიაში ამოჰყოფენ ხოლმე თავს. პირიქით, გერმანელები პროფესორები არიან. სახელმწიფო მათ ახალგაზრდობის აღმზრდელებად ნიშნავს, მათი ნაწერები სახელმძღვანელოებადაა მიღებული, ხოლო მთელი ამ ფილოსოფიური ევოლუციის გვირგვინი, ჰეგელის სისტემა, ერთგვარად პრუსიული სამეფო სახელმწიფო ფილოსოფიის ხარისხამდეც კი არის ამაღლებული! ნუთუ რევოლუცია ამ პროფესორების უკან იმალებოდა, მათი პედანტურ-ბნელი სიტყვების უკან, მათ მძიმე, მოსაწყენ პერიოდებში? განა ლიბერალები, რომელნიც მაშინ რევოლუციის მომხრეებად ითვლებოდნენ, ამ გონების დამაბნელებელი ფილოსოფიის გააფთრებული მოწინააღმდეგეები არ იყვნენ? მაგრამ რასაც ვერც მთავრობა ხედავდა, ვერც ლიბერალები, მას

[1] «ლ უ დ ვ ი გ ფ ო ი ე რ ბ ა ხ ი», თხზულება ფილ. დ-რის კ. ნ. შტარკესი, ფერდ. ენკეს გამოცემა, შტუტგარტი, 1885. (ე ნ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა.)

უკვე 1833 წელს, ყოველ შემთხვევაში, ერთი ადამიანი მაინც ამჩნევდა; მართალია, მას ჰაინრიხ ჰაინე ერქვა[1].

ავიღოთ ერთი მაგალითი. არც ერთ ფილოსოფიურ დებულებას არ დაუმსახურებია, ერთი მხრივ, ჭკუამოკლე მთავრობების ისეთი მადლობა, ხოლო, მეორე მხრივ, არანაკლებ ჭკუამოკლე ლიბერალების ისეთი გულისწყრომა, როგორიც ჰეგელის ცნობილმა დებულებამ: «ყოველივე, რაც ნამდვილია, გონიერია, და ყოველივე, რაც გონიერია, ნამდვილია». ეს ხომ აშკარა გამართლება იყო ყოველივე არსებულისა, ფილოსოფიური კურთხევა დესპოტიზმისა, პოლიციური სახელმწიფოსი, მეფის ბრძანებულებამ დაქვემდებარებული სამართლისა, ცენზურისა. ასე ფიქრობდა ფრიდრიხ ვილჰელმ III; ასე ფიქრობდნენ მისი ქვეშევრდომები. მაგრამ ჰეგელის აზრით, ყოველივე, რაც არსებობს, სრულიადაც არ არის უეჭველად ნამდვილი. ნამდვილობის ატრიბუტი მისი აზრით მხოლოდ იმას ეკუთვნის, რაც ამასთანავე აუცილებელიცაა; «სინამდვილე თავის გაშლაში თავს იჩენს როგორც აუცილებლობა»; მთავრობის ამა თუ იმ ღონისძიებას — ჰეგელს თვით მოჰყავს «ცნობილი გადასახადის შემოღების» მაგალითი — იგი სრულიადაც არ აღიარებს აგრეთვე ნამდვილად, მაგრამ აუცილებელი საბოლოო ანგარიშით გონიერიც აღმოჩნდება ხოლმე, და იმდროინდელი პრუსიის სახელმწიფოს მიმართ გამოყენებული ჰეგელის დებულება, მაშასადამე, მხოლოდ შემდეგს ამბობს: ეს სახელმწიფო გონიერია, იგი გონებას შეესატყვისება იმდენად, რამდენადაც იგი აუცილებელია; ხოლო თუ იგი მაინც უვარგისად გვეჩვენება და თავისი უვარგისობის მიუხედავად არსებობას განაგრძობს, ეს უვარგისობა მთავრობისა ქვეშევრდომების უვარგისობით აიხსნება და მართლდება. იმდროინდელ პრუსიელებს ისეთი მთავრობა ჰყავდათ, როგორიც მათ დაიმსახურეს.

ამრიგად, ნამდვილობა ჰეგელის მიხედვით სრულიადაც არ წარმოადგენს განსაზღვრული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური მდგომარეობის ატრიბუტს ყოველ დროსა და ყოველ პირობებში. პირიქით, რომის რესპუბლიკა ნამდვილი იყო, მაგრამ ნამდვილი იყო აგრეთვე მისი შემცვლელი რომის იმპერია. საფრანგეთის მონარქია 1789 წელს ისე არანამდვილი გახდა, ე. ი. ისე განძარცული ყოველი აუცილებლობისგან, ისე უგუნური, რომ იგი უნდა მოესპრ

---

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს ჰაინეს შენიშვნები «გერმანული ფილოსოფიური რევოლუციის» შესახებ, რომელსაც შეიცავს 1833 წ. დაწერილი ნაწერები «რელიგიისა და ფილოსოფიის ისტორიისათვის გერმანიაში». რ ე დ.

დიდ რევოლუციას, რომლის შესახებ ჰეგელი ყოველთვის უდიდესი აღტაცებით ლაპარაკობს. მაშასადამე, აქ მონარქია არანამდვილი იყო, ხოლო რევოლუცია ნამდვილი. სრულიად ასევე, განვითარების მსვლელობაში ყოველივე, რაც წინათ ნამდვილი იყო, არანამდვილი ხდება, ჰკარგავს თავის აუცილებლობას, თავის არსებობის უფლებას, თავის გონიერებას. მომაკვდავი სინამდვილის ადგილს ახალი, ცხოველმყოფელი სინამდვილე იჭერს, მშვიდობიანად, თუ ძველი იმდენად ჭკვიანია, რომ წინააღმდეგობის გაუწევლად კვდება, ძალდატანებით, თუ იგი ეწინააღმდეგება ამ აუცილებლობას. ამრიგად, ჰეგელის ეს დებულება თვით ჰეგელის დიალექტიკის წყალობით თავის დაპირისპირებულობად იქცევა: ყოველივე, რაც კაცობრიობის ისტორიის დარგში ნამდვილია, დროის განმავლობაში უგუნური ხდება, მაშასადამე, იგი უგუნურია უკვე თავისი ბუნებით, წინდაწინვე უგუნურებითაა აღბეჭდილი; ხოლო ყოველივე, რაც ადამიანის თავში გონიერია, მოწოდებულია ნამდვილი გახდეს, როგორც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იგი არსებულ მოჩვენებითს სინამდვილეს. თეზისი, რომელიც ყოველივე სინამდვილის გონიერებას აღიარებს, ჰეგელის აზროვნების მეთოდის ყველა წესის მიხედვით მეორე თეზისში გადადის: ყოველივე, რაც კი არსებობს, დაღუპვის ღირსია.

მაგრამ სწორედ იმაში მდგომარეობდა ჰეგელის ფილოსოფიის ჭეშმარიტი მნიშვნელობა და რევოლუციური ხასიათი (ჩვენ აქ დავკმაყოფილდებით ამ ფილოსოფიის, როგორც კანტის შემდგომი ფილოსოფიური მოძრაობის დაგვირგვინების, განხილვით), რომ მან ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღო იმ შეხედულებას, თითქოს ადამიანის აზროვნების და მოქმედების შედეგებს საბოლოო მნიშვნელობა ჰქონდეს. ჭეშმარიტება, რომელიც ფილოსოფიამ უნდა შეიცნოს, ჰეგელს უკვე არ ეჩვენებოდა მზამზარეულ დოგმატურ დებულებათა კრებულად, რომელიც, რაკი იგი ერთხელ აღმოჩენილია, უნდა გავიზეპიროთ; მისთვის ჭეშმარიტება იყო თვით შემეცნების პროცესში, ხანგრძლივ ისტორიულ განვითარებაში მეცნიერებისა, რომელიც შემეცნების ქვედა საფეხურებიდან ზედაზე ადის, მაგრამ არასოდეს არ აღწევს ეგრეთწოდებულ აბსოლუტური ჭეშმარიტების აღმოჩენის პუნქტს, რომლის იქით იგი ვეღარსად წავა და სადაც მას მხოლოდ ისღა დარჩება, რომ ხელები დაიკრიფოს და მოპოვებულ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას გაოცებით მიაშტერდეს. ეს ითქმის არა მარტო ფილოსოფიური, არამედ ყოველი შემეცნების და აგრეთვე პრაქტიკული მოქმედების დარგის შესახებ. ისევე როგორც შემეცნებას, არც ისტორიას შეუძლია დასასრული ჰპოვოს

კაცობრიობის სრულყოფილ იდეალურ მდგომარეობაში; სრულქმნილი საზოგადოება, სრულქმნილი «სახელმწიფო» მხოლოდ ფანტაზიაში შეიძლება არსებობდეს; პირიქით, ერთიმეორის მომდევნო ისტორიული მდგომარეობანი მხოლოდ წარმავალი საფეხურები არიან ადამიანთა საზოგადოების დაუსრულებელ განვითარებაში ქვედა საფეხურიდან ზედა საფეხურისაკენ. ყოველი საფეხური აუცილებელია, მაშასადამე, მართებულიც იმ დროისა და პირობებისათვის, რომელთა მეოხებით იგი წარმოიშვა. მაგრამ იგი მოძველებული და უმართებულო ხდება ახალ, უფრო მაღალ პირობებში, რომელნიც თანდათან მის საკუთარ წიაღში ვითარდებიან; იგი იძულებულია ადგილი დაუთმოს უფრო მაღალ საფეხურს, რომელიც თავის მხრივ ასევე ინგრევა და ემხობა. როგორც ბურჟუაზია მსხვილი წარმოების, კონკურენციისა და მსოფლიო ბაზრის შემწეობით პრაქტიკულად არღვევს ყველა განმტკიცებულ, საუკუნეების მიერ ნაკურთხ დაწესებულებებს, ისე ეს დიალექტიკური ფილოსოფია არღვევს ყველა წარმოდგენას საბოლოო აბსოლუტურ ჭეშმარიტებასა და მის შესაბამის აბსოლუტურ ადამიანურ ურთიერთობაზე. დიალექტიკური ფილოსოფიისათვის არაფერი არსებობს ერთხელ და საბოლოოდ ჩამოყალიბებული, აბსოლუტური, წმინდა; იგი ყოველივესა და ყველაფერში წარმავლობის ნიშანს ხედავს. მისთვის არაფერი არსებობს გარდა ქმნადობისა და განადგურების შეუწყვეტელი პროცესისა, გარდა უმდაბლესიდან უმაღლესისაკენ დაუსრულებელი სვლისა; თვით ეს ფილოსოფია მხოლოდ ამ პროცესის უბრალო ანარეკლია ადამიანის ტვინში, მაგრამ დიალექტიკურ ფილოსოფიას თავისი კონსერვატული მხარეც აქვს: იგი სცნობს განსაზღვრული შემეცნებისა და საზოგადოების საფეხურების მართებულობას მათს დროსა და პირობებში და მხოლოდ ამდენად ამ მსოფლმხედველობის კონსერვატიზმი რელატიურია, მისი რევოლუციური ხასიათი კი აბსოლუტური, — ესაა ერთადერთი აბსოლუტი, რომლისთვისაც მასში კიდევ რჩება ადგილი.

ჩვენთვის საჭირო არ არის აქ იმის განხილვა, საკუთრივ ეთანხმება თუ არა ეს მსოფლმხედველობა ბუნებისმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობას, რომელიც თვით დედამიწის არსებობას შესაძლებელ დასასრულს, ხოლო მის ბინადრებს თითქმის უეჭველ გაქრობას უწინასწარმეტყველებს და, მაშასადამე, აღიარებს, რომ კაცობრიობის ისტორიას ექნება არა მარტო აღმავალი, არამედ დაღმავალი შტოც. ჩვენ ყოველ შემთხვევაში, ჯერ ძლიერ დაშორებული ვართ იმ მობრუნების წერტილს, რომლის შემდეგ საზოგადოების

ისტორია დაღმა დაექანება, და არ შეგვიძლია ჰეგელის ფილოსოფიას მოვთხოვოთ, შეხებოდა საკითხს, რომელიც დღის წესრიგში არ დაუსვამს მისი დროის ბუნებისმეცნიერებას.

მაგრამ აქ საჭიროა ერთი რამ შევნიშნოთ: ზემოაღნიშნული შეხედულებანი თვით ჰეგელს ასე მკაფიოდ როდი აქვს გამოთქმული. ისინი წარმოადგენენ მისი მეთოდის აუცილებელ დასკვნას, მაგრამ ეს დასკვნა ასე ნათლად თვით მას არასოდეს გაუკეთებია. ეს აიხსნება იმ უბრალო მიზეზით, რომ იგი იძულებული იყო სისტემა აეგო, ხოლო ფილოსოფიური სისტემისაგან ჩვეულებრივ მოითხოვენ, რომ იგი რაიმეგვარი აბსოლუტური ჭეშმარიტებით დამთავრდეს. ამიტომ რამდენიც არ შეეცადა ჰეგელი, განსაკუთრებით თავის «ლოგიკაში», ხაზგასმით აღნიშნა, ძუძმივი ჭეშმარიტება მხოლოდ ლოგიკური (შესაბამისად: ისტორიული) პროცესია და სხვა არაფერია, იგი იძულებული გახდა დასასრული მიეცა ამ პროცესისათვის, იმიტომ რომ სადმე ხომ უნდა დაემთავრებინა თავისი სისტემა. «ლოგიკაში» ეს დასასრული მას შეუძლია ხელახლა დასაწყისად გახადოს, იმიტომ რომ აქ საბოლოო პუნქტი, აბსოლუტური იდეა, რომელიც აბსოლუტურია იმდენად, რამდენადაც ჰეგელს აბსოლუტურად არაფრის თქმა არ შეუძლია მის შესახებ, თავის თავს «გადესხვისება» (ე. ი. იქცევა) ბუნებად, ხოლო შემდეგ სულში, ე. ი. აზროვნებასა და ისტორიაში, ხელახლა თავის თავს უბრუნდება. მაგრამ მთელი ფილოსოფიის საბოლოო ნაწილში ამგვარი უკან დაბრუნებისთვის დასაწყისისკენ მხოლოდ ერთი გზაღა რჩებოდა. სახელდობრ, საჭირო იყო ისტორიის დასასრულის ისე წარმოდგენა, თითქოს კაცობრიობა სწორედ ამ აბსოლუტური იდეის შემეცნებამდე მიდის და აცხადებს, აბსოლუტური იდეის ეს შემეცნება ჰეგელის ფილოსოფიაშია მიღწეულიო. მაგრამ ამ გზით ჰეგელის სისტემის მთელი დოგმატური შინაარსი აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ცხადდებოდა და წინააღმდეგობაში ვარდებოდა მისსავე დიალექტიკურ მეთოდთან, რომელიც არღვევს ყოველივე დოგმატურს. ამრიგად, რევოლუციურ მხარეს აზშობდა უზომოდ გაზრდილი კონსერვატული მხარე. და ეს ითქმის არა მარტო ფილოსოფიური შემეცნებისა, არამედ ისტორიული პრაქტიკის შესახებაც. კაცობრიობა, რომელიც ჰეგელის სახით აბსოლუტური იდეის შემეცნებამდე ამაღლდა, პრაქტიკულადაც ისე შორს უნდა წასულიყო, რომ შეძლებოდა ამ აბსოლუტური იდეის სინამდვილეში გატარება. მაშასადამე, აბსოლუტურ იდეას თავისი თანამედროვეებისათვის ერთობ მაღალი პრაქტიკული პოლიტიკური მოთხოვნები როდი უნდა წარედგინა. აი ამიტომ «სა-

მართლის ფილოსოფიის» დასასრულში ჩვენ ვგებულობთ, რომ აბსოლუტური იდეა უნდა განხორციელდეს იმ წოდებრივ მონარქიაში, რომელსაც ფრიდრიხ ვილჰელმ III ასე დაჟინებით და ასე ამაოდ აღუთქვამდა თავის ქვეშევრდომებს, ე. ი. განხორციელდეს, მაშასადამე, შეძლებული კლასების შეზღუდულ, ზომიერ და არაპირდაპირ — გერმანიის იმდროინდელ წვრილბურჟუაზიულ ურთიერთობასთან შეფარდებულ — ბატონობაშია. ამასთანავე სპეკულაციური გზით კიდევ თავადაზნაურობის აუცილებლობას გვიმტკიცებენ.

ამგვარად, სისტემის მარტოოდენ შინაგანი აუცილებლობანიც საკმაოდ ნათელჰყოფენ, — რატომ მივიდა აზროვნების ეს უკიდურესი რევოლუციური მეთოდი მეტისმეტად მშვიდობიან პოლიტიკურ დასკვნამდე. ამ დასკვნის სპეციფიკური ფორმა კი იმ გარემოებით აიხსნება, რომ ჰეგელი გერმანელი იყო და თავის თანამედროვე გოეთესავით გვარიანი ფილისტერიც. თავიანთ დარგებში როგორც გოეთე, ისე ჰეგელი ოლიმპიელი ზევსნი იყვნენ, მაგრამ გერმანულ ფილისტერობას მთლიანად ვერც ერთმა მათგანმა თავი ვერ დააღწია.

მაგრამ ყოველივე ამან ჰეგელის ფილოსოფიას ხელი ვერ შეუშალა ბევრად უფრო ფართო სფერო დაეპყრო, ვიდრე რომელიმე წინანდელმა სისტემამ დაიპყრო და ამ სფეროში ისეთი აზრთა სიმდიდრე განევითარებინა, რომელიც დღესაც გვაოცებს. სულის ფენომენოლოგია (რომელსაც შეგვიძლია სულის ემბრიოლოგიის და პალეონტოლოგიის პარალელი ვუწოდოთ, ინდივიდუალური ცნობიერების განვითარება მის სხვადასხვა საფეხურზე, განხილული როგორც იმ საფეხურების შემოკლებული რეპროდუქცია, რომელნიც ადამიანის ცნობიერებას ისტორიულად გაუვლია), ლოგიკა, ბუნების ფილოსოფია, სულის ფილოსოფია, დამუშავებული მის ცალკე ისტორიულ ქვეფორმებში, ე. ი. ისტორიის, სამართლის, რელიგიის ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია, ესთეტიკა და სხვა — ყველა ამ სხვადასხვაგვარ ისტორიულ დარგში ჰეგელი ცდილობს განვითარების შინაგანი ძაფი აღმოაჩინოს და აღნიშნოს; და რადგან იგი იყო არა მარტო შემოქმედი გენიოსი, არამედ აგრეთვე ენციკლოპედიური ცოდნის ადამიანიც, ივი ყველგან ეპოქის შემქმნელად გვევლინება. თავისთავად გასაგებია, რომ «სისტემის» საჭიროებანი მას ხშირად აიძულებდნენ იმ ნაძალადევი კონსტრუქციებისათვის მიემართა, რომელთა გამო დღემდე ასე საშინლად გაჰკივიან მისი უბადრუკი მოწინააღმდეგეები. მაგრამ ეს კონსტრუქციები მხოლოდ მისი შემოქმედების ჩარჩოსა და ხარაჩოს წარმოადგენენ; ვინც აქ კი

არ ჩერდება უსარგებლოდ, არამედ თვით ამ უზარმაზარ შენობაში იჭრება ღრმად, იქ აურაცხელ განძს პოულობს, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის სრულ ღირებულებას. ყველა ფილოსოფოსის შემოქმედებაში სწორედ «სისტემაა» წარმავალი, იმიტომ რომ სისტემა წარმოდგება ადამიანის გონების წარუვალი მოთხოვნილებიდან, რომელიც ყველა წინააღმდეგობათა დაძლევას მოითხოვს. მაგრამ ყველა წინააღმდეგობა რომ მართლაც ერთხელ და სამუდამოდ მოსპობილიყო, ეგრეთწოდებულ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას მივაღწევდით, მსოფლიო ისტორია კიდეც დამთავრდებოდა და იმავე დროს იძულებულიც იქნებოდა გაგრძელებულიყო, თუმცა გასაკეთებელი აღარაფერი ექნებოდა; ესეც ახალი გადაუჭრელი წინააღმდეგობაა. რაკი ჩვენ გავიგეთ, — და გავიგეთ, უწინარეს ყოვლისა, თვით ჰეგელის შემწეობით, — რომ ფილოსოფიისაგან ყველა წინააღმდეგობათა გადაჭრის მოთხოვნა ერთ რომელიმე ფილოსოფოსს ისეთ საქმეს დააკისრებდა, რომლის შესრულება მხოლოდ მთელ კაცობრიობას შეუძლია თავის წინსვლაში, ამიტომ მთელ ფილოსოფიას ამ სიტყვის წინანდელი მნიშვნელობით ბოლო ეღება. ჩვენ თავს ვანებებთ «აბსოლუტურ ჭეშმარიტებას», რომლის მიღწევა ამ გზით ცალკეულ ადამიანს არ ძალუძს, და სამაგიეროდ ვეძებთ ხელმისაწვდომ რელატიურ ჭეშმარიტებას პოზიტიურ მეცნიერებათა გზით და მათი შედეგების განზოგადებას დიალექტიკური აზროვნების საშუალებით. ჰეგელით საერთოდ თავდება ფილოსოფია, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ მან თავის სისტემაში დიდებულად შეაჯამა მთელი ფილოსოფიის განვითარება, ხოლო, მეორე მხრივ, იმიტომ, რომ იგი, თუმცა შეუგნებლად, გვიჩვენებს გზას, რომელსაც ამ სისტემათა লაბირინტიდან მსოფლიოს ნამდვილი პოზიტიური შემეცნებისაკენ მივყავართ.

ადვილი გასაგებია, რა უზარმაზარი გავლენა უნდა მოეხდინა ჰეგელის სისტემას გერმანიის ფილოსოფიურად შეფერადებულ ატმოსფეროში. ეს იყო ტრიუმფალური მსვლელობა, რომელიც რამდენიმე ათეული წელიწადი გაგრძელდა და ჰეგელის სიკვდილსაც არ შეუჩერებია. პირიქით, «ჰეგელიანობის» უდავო ბატონობამ სწორედ 1830 და 1840 წლებს შუა მიაღწია უმაღლეს წერტილს და მეტნაკლებად თვით მის მოწინააღმდეგეებსაც გადაედო; სწორედ ამ დროს ჰეგელის შეხედულებანი შეგნებულად თუ შეუგნებლად უხვად შეიჭრნენ სხვადასხვა მეცნიერებაში და გაჟღინთეს თვით პოპულარული ლიტერატურა და ყოველდღიური პრესა, საიდანაც საშუალო «განათლებული ცნობიერება» თავისი აზროვნების მასალას

ღებულობს. მაგრამ ეს გამარჯვება მთელ ფრონტზე მხოლოდ შინაგანი ომის დასაწყისი იყო.

ჰეგელის მოძღვრება, მთლიანად აღებული, როგორც დავინახეთ, ბევრ თავისუფალ ადგილს სტოვებს სხვადასხვა პრაქტიკული პარტიული შეხედულებისთვის. ხოლო თეორიით დაინტერესებულ იმდროინდელ გერმანიაში, უწინარეს ყოვლისა, ორ საგანს ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა: რელიგიასა და პოლიტიკას. იმას, ვინც უმთავრესად ჰეგელის სისტემას აფასებდა, შეეძლო საკმაოდ კონსერვატორი ყოფილიყო ორივე დარგში; ხოლო იმას, ვინც მთავარ მნიშვნელობას დიალექტიკურ მეთოდს აძლევდა, შეეძლო რელიგიაშიც და პოლიტიკაშიც უკიდურეს ოპოზიციას მიმხრობოდა. თვით ჰეგელი, მიუხედავად იმისა, რომ მის ნაწერებში იშვიათი არაა რევოლუციური გულისწყრომის აფეთქება, როგორც ვიცნეკა, მთლიანად უფრო კონსერვატიული ბანაკისკენ იხრებოდა: თავის სისტემაზე ხომ მას მეტი «აზრის მძიმე შრომა» დაეხარჯა, ვიდრე მეთოდზე. ოცდაათიანი წლების დასასრულს მისი სკოლის გათიშვა თანდათან უფრო გამოაშკარავდა. მართლმორწმუნე პიეტისტებთან და ფეოდალურ რეაქციონერებთან ბრძოლაში მემარცხენე ფრთა, ეგრეთწოდებული ახალგაზრდა ჰეგელელები, თანდათან უარს ამბობდნენ ყოველდღიური მწვავე სადღეისო საკითხების მიმართ ფილოსოფიურ-გულგრილ მოპყრობაზე, რისთვისაც მთავრობა ითვლიდა მათ მოძღვრებას და მფარველობდა კიდეც მას; ხოლო როცა 1840 წელს ფრიდრიხ ვილჰელმ IV სახით ტახტზე მართლმორწმუნე ფარისევლობა და ფეოდალურ-თვითმპყრობელური რეაქცია ავიდა, აშკარა პარტიული პოზიციის დაჭერა აუცილებელი გახდა. ბრძოლა წინანდებურად ფილოსოფიური იარაღით წარმოებდა, მაგრამ არა განყენებული ფილოსოფიური მიზნებისათვის; საქმე უკვე პირდაპირ ეხებოდა მემკვიდრეობით მიღებული რელიგიისა და არსებული სახელმწიფოს მოსპობას. და თუ «Deutsche Jahrbücher»-ში[1] პრაქტიკული საბოლოო მიზნები უმთავრესად კიდევ ფილოსოფიურ სამოსელში იყო გახვეული, 1842 წელს «Rheinische Zeitung»-ში ახალგაზრდა ჰეგელელების სკოლა აშკარად გამოვიდა როგორც აღ-

---

[1] «Deutsche Jahrbücher für Wissenschaft und Kunst» («მეცნიერებისა და ხელოვნების გერმანული ყოველწლიური ჟურნალი») — ახალგაზრდა ჰეგელელების ორგანო, გამოდიოდა ლაიფციგში 1841—1843 წლებში, ა. რუგესა და �eტერმაიერის redაქციით. რ ედ.

ძავალი რადიკალური ბურჟუაზიის ფილოსოფია; იკი ფილოსოფიურ წამოსასხამს მხოლოდ ცენზურის თვალების ასახვევად ხმარობდა.

მაკრამ პოლიტიკა მაშინ მეტად ეკლიანი სარბიელი იყო და ამიტომ ბრძოლა უმთავრესად რელიგიის წინააღმდეგ მიიმართა; თუმცა იმ დროს, განსაკუთრებით 1840 წლიდან, რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა, არაპირდაპირ, პოლიტიკური ბრძოლაც იყო. პირველი ბიძგი ამ ბრძოლას მისცა შტრაუსის «იესოს ცხოვრებამ», რომელიც 1835 წელს გამოიცა. ამ წიგნში წარმოდგენილია სახარების მითების წარმოშობის თეორია, რომლის წინააღმდეგ შემდეგ გამოვიდა ბრუნო ბაუერი. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა: სახარების მთელი რიგი მოთხრობები თვით მათი ავტორებისაგან არის შეთხზულიო. შტრაუსისა და ბაუერის კამათი მიმდინარეობდა ფილოსოფიური ბრძოლის სახით «თვითცნობიერებასა» და «სუბსტანციას» შორის; საკითხი, თუ როგორ წარმოიშვნენ სახარების იგავები სასწაულებზე, აღმოცენდნენ ისინი ქრისტიანული თემის წიაღში არაცნობიერ-ტრადიციული მითოლოგიური შემოქმედების წყალობით, თუ ეს იგავები თვით მახარობლებმა მოიგონეს, შემდეგნაირად გაფართოვდა: რა არის მთავარი მოქმედი ძალა მსოფლიო ისტორიაში — «სუბსტანცია» თუ «თვითცნობიერება»; ბოლოს მოვიდა შტირნერი, თანამედროვე ანარქიზმის წინასწარმეტყველი (მისგან ბევრი რამ ისესხა ბაკუნინმა) და სუვერენული «თვითცნობიერება» დაჩრდილა თავისი სუვერენული «ერთადერთით»[1].

ჩვენ აღარ გამოვუდგებიო დაწვრილებით ჰეგელის სკოლის დაშლის ამ მხარის განხილვას. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი: პოზიტიური რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკულმა საჭიროებამ განსაკუთრებით თავგამოდებულ ახალგაზრდა ჰეგელელთა მასა ინგლისურ-ფრანგული მატერიალიზმისაკენ დააბრუნა. და, აი აქ, მათ კონფლიქტი მოუვიდათ თავისივე სკოლის სისტემასთან. მაშინ, როცა მატერიალიზმი ერთადერთ სინამდვილედ ბუნებას თვლის, ჰეგელის სისტემაში ბუნება მხოლოდ აბსოლუტური იდეის «გასხვისებას», თითქოს ამ იდეის დაქვეითებას წარმოადგენს; ყოველ შემთხვევაში, აზროვნება და მისი ნააზრევი პროდუქტი, იდეა პირველადი რამაა, ბუნება კი — წარმოებული, მხოლოდ იდეის დაქვეითების წყალობით არსებული. ახალგაზრდა ჰე-

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს მაქს შტირნერის (კასპარ შმიდტის ფსეუდონიმია) წიგნი: «ერთადერთი და მისი საკუთრება», რომელიც გამოიცა 1845 წ.

გელელები, სურდათ თუ არ სურდათ, ამ წინააღმდეგობათა ქსელში გაიხლართნენ.

მაშინ გამოვიდა ფოიერბახის თხზულება «ქრისტიანობის არსება»[1]. მან ერთი დაკვრით გადალახა ეს წინააღმდეგობა იმით, რომ მატერიალიზმი სრულიად მოურიდებლად ხელახლა ტახტზე აიყვანა. ბუნება არსებობს ყოველი ფილოსოფიისაგან დამოუკიდებლადო; იგია საფუძველი, რომელზედაც აღმოცენებულნი ვართ ჩვენ. თვით ბუნების პროდუქტი — ადამიანებიო; ბუნებისა და ადამიანების გარეშე არაფერი არ არსებობს და უზენაესი არსებანი, რომელნიც ჩვენმა რელიგიურმა ფანტაზიამ შეჰქმნა, ჩვენი საკუთარი არსების ფანტასტიკური გამონაკრთომები არიანო. ჯადო მოიხსნა; «სისტემა» აფეთქდა და განზე გადავარდა, წინააღმდეგობა, როგორც მხოლოდ წარმოდგენაში არსებული რამ, მოიხსნა. ვინაც ამ წიგნის განმათავისუფლებელი გავლენა პირდაპირ არ განუცდია, არც შეუძლია მისი წარმოდგენა. აღფრთოვანება იყო საყოველთაო: ჩვენ ყველანი მაშინვე ფოიერბახიანელები გავხდით. «წმინდა ოჯახში»[2] შეიძლება იმის წაკითხვა, თუ როგორი აღტაცებით მიესალმა მარქსი ახალ შეხედულებას და რა ძლიერი გავლენა მოახდინა მასზე ამ შეხედულებამ, მისი მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნების მიუხედავად.

ფოიერბახის წიგნის თვით ნაკლოვანებანიც კი იმ დროს ხელს უწყობდნენ მის გავლენას. ბელეტრისტული, ალაგ-ალაგ თვით მაღალფარდოვანი სტილი ამ წიგნისათვის უზრუნველყოფდა ფართო მკითხველ საზოგადოებას და ყოველ შემთხვევაში მკითხველისათვის ერთგვარ დასვენებას წარმოადგენდა აბსტრაქტული და ბუნდოვანი ჰეგელიანობის მრავალი წლის ბატონობის შემდეგ. იგივე შეიძლება ითქვას სიყვარულის უზომო გალმერთებაზე: ამ გაზვიადების პატიება, თუ გამართლება არა, შეიძლებოდა იმ გარემოებით, რომ ეს ერთგვარი რეაქცია იყო «წმინდა აზროვნების» სუვერენიტეტის წინააღმდეგ, რომელიც აუტანელი გახდა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფოიერბახის ამ ორ სუსტ მხარეს ჩაეჭიდა «ჭეშმარიტი სოციალიზმი», რომელიც 1844 წლიდან შავი ჭირივით მოედო გერმანიის «განათლებულ» საზოგადოებას და რომელმაც მეცნიერული კვლევა-ძიება ბელეტრისტული ფრაზით შესცვალა. ხოლო

---

[1] ფოიერბახის წიგნი «ქრისტიანობის არსება» გამოიცა 1841 წ. ლაიფციგში. რ ე დ.

[2] См. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., 2 изд., т. 2, стр. 3—230. ა ე დ.

29 — რჩეული ნაწერები, ტ. II

წარმოების ეკონომიური გარდაქმნის გზით პროლეტარიატის განთავისუფლების ადგილას დააყენა კაცობრიობის განთავისუფლება «სიყვარულის» შემწეობით; ერთი სიტყვით, იგი ძნელად მოსანელებელ ბელეტრისტიკასა და სიყვარულის შესახებ ლაზღანდარობაში ჩაეფლო. ამ სოციალიზმის ტიპიური წარმომადგენელი ბ. კარლ გრიუნი იყო.

არ უნდა დავივიწყოთ კიდევ ერთი რამ: ჰეგელის სკოლა დაიშალა, მაგრამ ჰეგელის ფილოსოფია ჯერ კიდევ არ იყო კრიტიკულად დაძლეული. შტრაუსმა და ბაუერმა ცალ-ცალკე სხვადასხვა მხარეები აიღეს და პოლემიკურად ერთმანეთს დაუპირდაპირეს. ფოიერბახმა კი სისტემა დაამსხვრია და უბრალოდ განზე გადააგდო. მაგრამ ამა თუ იმ ფილოსოფიის ყალბად გამოცხადება სრულიადაც არ ნიშნავს მის დაძლევას. არც შეიძლებოდა უბრალო უგულებელყოფით ისეთი ძლიერი ნაწარმოების გაბათილება, როგორიც ჰეგელის ფილოსოფიაა, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა ერის სულიერ განვითარებაზე. საჭირო იყო მისი «მოხსნა», როგორც ეს თვით ამ ფილოსოფიას ესმოდა, ე. ი. კრიტიკას მისი ფორმა უნდა მოესპო, ხოლო მის მიერ მოპოვებული შინაარსი გადაერჩინა. ქვევით დავინახავთ, როგორ გადაიჭრა ეს ამოცანა.

მაგრამ 1848 წლის რევოლუციამ ისევე უცერემონიოდ დროებით განზე გადასდო ყოველი ფილოსოფია, როგორც ფოიერბახმა თავისი ჰეგელი. ამასთან ერთად ფოიერბახიც უკანა რიგში იქნა ჩაყენებული.

II

მთელი ფილოსოფიის, განსაკუთრებით უახლესი ფილოსოფიის უდიდეს ძირითად საკითხს აზროვნებისა და მყოფობის ურთიერთობის საკითხი წარმოადგენს. ჯერ კიდევ იმ მეტად შორეული დროიდან, როცა ადამიანს არავითარი ცოდნა არ ჰქონდა თავისი საკუთარი სხეულის აგებულების შესახებ, სიზმრების [1] ზეგავლენით მან ის წარმოდგენა შეიმუშავა, რომ მისი აზროვნება და შეგრძნება მისი

[1] დღესაც ველურებსა და დაბალ საფეხურზე მდგომ ბარბაროსებს შორის საყოველთაოდ გავრცელებულია წარმოდგენა: სიზმარში ნახული ადამიანთა სახეები სულები არიან, რომელნიც სხეულს სტოვებენ ღროებითო; ამიტომ ნამდვილ ადამიანს პასუხისმგებლად ხდიან იმ მოქმედებისათვის, რომელიც სიზმარში ნახულმა ადამიანმა მძინარის მიმართ ჩაიდინა. ეს შეიძჩნია, მაგ., იმტურნმა 1884 წ. გვიანის ინდიელებს შორის. (ენგელსის შენიშვნა.)

სხეულის მოქმედებით კი არაა გამოწვეული, არამედ განსაკუთრებული, ამ სხეულში მობინადრე სულით, რომელიც სიკვდილის შემდეგ მას სტოვებსო; ამ დროიდან ადამიანი უნდა დაფიქრებულიყო ამ სულისა და გარესამყაროს ურთიერთობაზე. თუ სული სიკვდილის დროს სხეულს ეთიშება და სიცოცხლეს განაგრძობს, საჭირო აღარ არის მისთვის განსაკუთრებული სიკვდილის გამოგონება; ასე წარმოიშვა წარმოდგენა სულის უკვდავებაზე, რაც განვითარების იმ საფეხურზე სანუგეშოს არაფერს შეიცავდა, არამედ უფრო ბედისწერას ჰგავდა, რის წინააღმდეგ არაფრის გაკეთება არ შეიძლება და რაც საკმაოდ ხშირად, მაგალითად, ბერძნებში, ნამდვილ უბედურებად ითვლებოდა. პირადი უკვდავების მოსაწყენი წარმოდგენა გამოიწვია არა რელიგიური ნუგეშის მოთხოვნილებამ, არამედ იმ გარემოებამ, რომ ადამიანმა, აღიარა რა სულის არსებობა, საერთო შეზღუდულობის გამო ვერ შეძლო აეხსნა, რა ემართებოდა სულს სხეულის სიკვდილის შემდეგ. სრულიად ამგვარადვე, ბუნებრივი ძალების გაპიროვნების გზით, წარმოიშვნენ პირველი ღმერთები, რომლებმაც რელიგიათა შემდგომ განვითარებაში სულ უფრო და უფრო არაამქვეყნიური სახე მიიღეს; ბოლოს აბსტრაქციის პროცესის — კინაღამ ვთქვი დესტილაციის პროცესისა-ვითქი — შედეგობით, რაც სრულიად ბუნებრივია გონებრივი განვითარების მსვლელობაში, ადამიანების თავში მრავალი, მეტად თუ ნაკლებად შეზღუდული და ერთიმეორის შემზღუდავი ღმერთებისაგან წარმოიშვა წარმოდგენა მონოთეისტური რელიგიების ერთადერთი ღმერთის შესახებ.

მაშასადამე, მთელი ფილოსოფიის უდიდეს საკითხს: რა დამოკიდებულებაა აზროვნებასა და მყოფობას შორის, სულსა და ბუნებას შორის, ისევე როგორც ყველა რელიგიას, ფესვები ველური ადამიანის შეზღუდულ და უმეცარ წარმოდგენებში აქვს. მაგრამ ეს საკითხი მთელი თავისი სიმძაფრით მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა დასმულიყო, მას მთელი თავისი მნიშვნელობა მხოლოდ მას შემდეგ შეეძლო მოეპოვებინა, როცა ევროპის კაცობრიობა გამოფხიზლდა ქრისტიანული შუა საუკუნეების ხანგრძლივი ზამთრის ძილისაგან. აზროვნებისა და მყოფობის დამოკიდებულების საკითხმა, რამაც შუა საუკუნეების სქოლასტიკაშიც უკვე დიდი როლი შეასრულა, საკითხმა იმის შესახებ, თუ რა არის პირველადი, სული თუ ბუნება, — ამ საკითხმა ეკლესიის წინააღმდეგ მწვავე ხასიათი მიიღო: ქვეყანა ღმერთის მიერაა შექმნილი თუ იგი დასაბამიდან არსებობს?

ფილოსოფოსები ორ დიდ ბანაკად გაიყვნენ იმისდა მიხედვით, თუ როგორ უპასუხებდნენ ისინი ამ საკითხს. ვინც აღიარებდა, რომ სული ბუნებაზე ადრე არსებობდა და, მაშასადამე, საბოლოოდ, ასე თუ ისე ქვეყნის შექმნას სცნობდა — ზოგიერთი ფილოსოფოსის, მაგ.. ჰეგელის, ნაწერებში ეს შექმნა კიდევ უფრო დახლართულად და უაზროდაა წარმოდგენილი, ვიდრე ქრისტიანობაში — მათ იდეალიზმის ბანაკი შეადგინეს. სხვები კი, ვინც ბუნების პირველადობას აღიარებდნენ, მატერიალიზმის სხვადასხვა სკოლას მიემხრნენ.

ეს ორი გამოთქმა: იდეალიზმი და მატერიალიზმი თავდაპირველად სხვას არაფერს ნიშნავს, და აქაც ჩვენ მათ მხოლოდ ამ აზრით ვხმარობთ. ქვემოთ დავინახავთ, რა არევდარევა ხდება ხოლმე, როცა ამ ცნებებში სხვა რამე შეაქვთ.

მაგრამ აზროვნებისა და ყოფიერების დამოკიდებულების საკითხს სხვა მხარეც აქვს: როგორი დამოკიდებულება აქვთ ჩვენს აზრებს ჩვენი გარემომცველი სამყაროს შესახებ თვით ამ სამყაროსადმი? შეუძლია თუ არა ჩვენს აზროვნებას ნამდვილი სამყაროს შეცნობა, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ჩვენს წარმოდგენებსა და ცნებებში ნამდვილ სამყაროზე სინამდვილის სწორი სურათი მივიღოთ? ფილოსოფიურ ენაზე ამას აზროვნების და მყოფობის იგივეობის საკითხი ჰქვია, და ფილოსოფოსების დიდი უმრავლესობა მას დადებითად უპასუხებს. მაგალითად, თავისთავად იგულისხმება, რომ ჰეგელი მას დადებით პასუხს აძლევს: იმიტომ რომ ნამდვილ სამყაროში ჩვენ სწორედ მის აზრისმიერ შინაარსს შევიცნობთ, სწორედ იმას, რაც სამყაროს იმ აბსოლუტური იდეის თანდათანობით განხორციელებად ხდის, რომელიც სადღაც დასაბამიდან არსებობდა, სამყაროსგან დამოუკიდებლად და სამყაროს გაჩენამდე. თავისთავად იგულისხმება, რომ აზროვნებას შეუძლია იმის შეცნობა, რაც იმთავითვე აზროვნების შინაარსს წარმოადგენს. ასევე თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი მსჯელობით ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რასაც ფარულად უკვე ვგულისხმობდით წანამძღვარში. მაგრამ ამან ჰეგელს ხელი არ შეუშალა თავის მტკიცებიდან აზროვნებისა და ყოფიერების იგივეობისაზე ის დასკვნა გამოეტანა, რომ, რაკი ჩემი აზროვნება მართებულად აღიარებს ჩემსავე ფილოსოფიას, მაშასადამე, ეს ერთადერთი სწორი ფილოსოფია ყოფილა, რომ აზროვნებისა და ყოფიერების იგივეობის გასამართლებლად კაცობრიობამ ეს ფილოსოფია დაუყოვნებლივ თეორიიდან პრაქტიკაში უნდა გადაიტანოს და მთელი ქვეყნიერება ჩემი პრინციპების მიხედ-

ვით უნდა გარდაქმნასო. ესაა ილუზია, რომელიც ჰეგელს ახასიათებს თითქმის ყველა ფილოსოფოსთან ერთად.

მაგრამ არიან ისეთი ფილოსოფოსებიც, რომელნიც უარყოფენ სამყაროს შეცნობის ან, ყოველ შემთხვევაში, მის ამომწურავად შეცნობის შესაძლებლობას. ახალ ფილოსოფოსებს შორის მათ რიცხვს ეკუთვნიან იუმი და კანტი, რომელთაც მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ფილოსოფიურ განვითარებაში. გადამწყვეტი სიტყვა ამ შეხედულების გასაბათილებლად უკვე ჰეგელმა თქვა, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია იდეალისტური თვალსაზრისით; ფოიერბახის მიერ დამატებული მატერიალისტური მოსაზრებანი უფრო გონებამახვილურია, ვიდრე ღრმააზროვანი. ხოლო ყველაზე კარგად როგორც ამ, ისე ყველა სხვა ფილოსოფიურ ახირებულობას თვით პრაქტიკა არღვევს, სახელდობრ, ექსპერიმენტი და მრეწველობა. თუ ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ ჩვენს მიერ ბუნების ამა თუ იმ მოვლენის გაგების სისწორე იმით, რომ თვითონ შევქმნით, გამოვიწვევთ მას მისივე პირობებიდან და ამასთან ვაიძულებთ ჩვენს მიზნებსაც ემსახუროს, მაშინ კანტისეულ მიუწვდომელ «საგანს თავისთავად» ბოლო ეღება. მცენარეთა და ცხოველთა სხეულებში შექმნილი ქიმიური ნივთიერებანი რჩებოდნენ ასეთ «საგნებად თავისთავად», სანამ ორგანულმა ქიმიამ არ დაიწყო მათი ერთიმეორეზე მიყოლებით დამზადება; ამით «საგანი თავისთავად» გადაიქცა საგნად ჩვენთვის, როგორც მოუვიდა, მაგალითად, ენდროს საღებავ ნივთიერებას, ალიზარინს, რომელსაც დღეს მინდორში კი აღარ ვეძებთ, ენდროს ფესვებში, არამედ ბევრად უფრო იაფად და ადვილად ვამზადებთ ქვანახშირის კუპრიდან.. სამასი წლის განმავლობაში კოპერნიკის მზის სისტემა მხოლოდ ჰიპოთეზა იყო, რომლის მხარეზე ასი, ათასი, ათიათასი შანსი იყო ერთის წინააღმდეგ, მაგრამ იგი მაინც ჰიპოთეზა იყო; მაგრამ როცა ლეევერიემ თვით ამ სისტემის მონაცემების მიხედვით არათუ დამტკიცა კიდევ ერთი უცნობი პლანეტის არსებობის აუცილებლობა, არამედ მისი ადგილიც კი გამოიანგარიშა ცის სივრცეში, და როცა გალემ შემდეგ ეს პლანეტა[1] მართლაც აღმოაჩინა, კოპერნიკის სისტემა დამტკიცებულ იქნა. თუ, ამისდა მიუხედავად, ნეოკანტიანელები გერმანიაში კანტის შეხედულებათა გამოცოცხლებას ფიქრობენ, ხოლო აგნოსტიკოსები ინგლისში იუმისას (რომლის შეხედულებანი იქ არასოდეს არ აღ-

[1] ლაპარაკია პლანეტა ნეპტუნზე, რომელიც აღმოჩენილ იქნა 1846 წ. ბერლინის ობსერვატორიის დამკვირვებელ იოჰან გალეს მიერ. რ ე დ.

მოფხვრილა), მაშინ, როცა თეორიისა და პრაქტიკის მიერ უარყოფილია როგორც ერთი, ისე მეორე, — ეს, მეცნიერული თვალსაზრისით, უკანსკვლაა, ხოლო პრაქტიკულად მორცხვი ცდაა მატერიალიზმი უკანა კარებიდან შემოუშვან, ხოლო საზოგადოების დასანახად კი უარყონ.

მაგრამ ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, დეკარტედან ჰეგელამდე და ჰობსიდან ფოიერბახამდე, ფილოსოფოსებს წინ მარტოოდენ წმინდა აზროვნების ძალა როდი ეწეოდა, როგორც ეს თვით მათ ჰქონდათ წარმოდგენილი. პირიქით, ნამდვილად მათ ბუნებისმეცნიერებისა და მრეწველობის ძალოვანი და აჩქარებული წარმატება მიაქანებდა წინ. მატერიალისტების ნაწერებში ეს პირდაპირ თვალში გეცემათ; მაგრამ იდეალისტური სისტემებიც სულ უფროდაუფრო ივსებიან მატერიალისტური შინაარსით და ცდილობენ სულისა და მატერიის წინააღმდეგობა პანთეისტურად შეარიგონ; ისე რომ, ბოლოს ჰეგელის სისტემა მეთოდითაც და შინაარსითაც იდეალისტურად ყირამალა დაყენებულ მატერიალიზმს წარმოადგენს.

ახლა გასაგებია, რომ შტარკე ფოიერბახის დახასიათებაში, უწინარეს ყოვლისა, იკვლევს მის პოზიციას ამ ძირითადი საკითხის — აზროვნების და მყოფობის დამოკიდებულების საკითხის მიმართ. მოკლე შესავლის შემდეგ, სადაც წინანდელი, განსაკუთრებით, კანტის და მისი მომდევნო ფილოსოფოსების შეხედულებანი ზედმეტად შძიმე ფილოსოფიური ენითაა გადმოცემული, სადაც ავტორი ჰეგელს არ მიუზღავს ჯეროვანს; იძლევა რა მისი ნაწერების ცალკეული ადგილების მეტად ფორმალისტურ გარჩევას, დაწვრილებით არის მოთხრობილი თვით ფოიერბახის «მეტაფიზიკის» განვითარების მსვლელობა, როგორც ეს განვითარება ამ ფილოსოფოსის საოთანადო ნაწერებში თანდათანობით იხატებოდა. ეს ნაწილი მეტად გულმოდგინედ და ნათლად არის შესრულებული, მხოლოდ, ისევე, როგორც მთელი წიგნი, დამძიმებულია ფიზიკოსფიური გამოთქმების ბალასტით, რომელიც ყველგან სრულიადაც არ იყო აუცილებელი. ეს ბალასტი მით უფრო ხელშემშლელია, რომ ავტორი არ მიმდევს ერთი რომელიმე სკოლის მიერ, თუნდ თვით ფოიერბახის მიერ, მიღებულ ტერმინოლოგიას, არამედ ერთმანეთში ურევს ახვადასხვა, განსაკუთრებით დღეს მოარული სენივით გავრცელებულ ფილოსოფიურ მიმართულებათა ტერმინებს.

ფოიერბახის განვითარების მსვლელობა არის ჰეგელიანელის გადაქცევა მატერიალისტად; თუმცა უნდა ითქვას, სავსებით მართლ-

მორწმუნე ჰეგელიანელი იგი არასოდეს არ ყოფილა. ამ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე იგი სავსებით გაეთიშა თავისი წინამორბედის იდეალისტურ სისტემას. დაუძლეველი ძლიერებით ფოიერბახი იმ აზრმა შეიპყრო, რომ ჰეგელისეული «აბსოლუტური იდეის» დაუსაბამო არსებობა, «ლოგიკური კატეგორიების წინაარსებობა» სამყაროს გაჩენამდე, მხოლოდ ფანტასტიკური ნაშთია სამყაროს მიღმა მყოფი შემოქმედების რწმენისა; რომ ერთადერთი ნამდვილი სამყარო ის ნივთიერი, გრძნობადი სამყაროა, რომელსაც თვით ჩვენ ვეკუთვნით და რომ ჩვენი ცნობიერება და აზროვნება, რაგინდ ზეგრძნობადად არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი, წარმოადგენს ნივთიერი, სხეულებრივი ორგანოს — ტვინის პროდუქტს. მატერია კი არ არის სულის პროდუქტი, არამედ თვით სული არის მატერიის მხოლოდ უმაღლესი პროდუქტი. ეს, რასაკვირველია, წმინდა მატერიალიზმია. მაგრამ აქ ფოიერბახი ბორძიკს იწყებს. მას არ შეუძლია გადალახოს ჩვეულებრივი ფილოსოფიური ცრურწმენა მატერიალიზმის წინააღმდეგ, ცრურწმენა არა მატერიალიზმის არსების, არამედ მხოლოდ მისი სახელის წინააღმდეგ. იგი ამბობს: «ჩემთვის მატერიალიზმი ადამიანის არსების და ცოდნის შენობის საძირკველია; მაგრამ იგი ჩემთვის ის არ არის, რაც არის ფიზიოლოგისთვის, ბუნებისმეცნიერისათვის ვიწრო აზრით, მაგ., მოლეშოტისთვის, და რაც აუცილებლად უნდა იყოს მათი თვალსაზრისისა და სპეციალობის მიხედვით, ე. ი. ჩემთვის მატერიალიზმი არ არის თვით შენობა. თუ ამ წერტილიდან უკან წავალთ, სავსებით ვეთანხმები მატერიალისტებს. თუ წინ — არა».

ფოიერბახი აქ მატერიალიზმს, როგორც მატერიისა და სულის დამოკიდებულების განსაზღვრულ გაგებაზე დამყარებულ ზოგად მსოფლმხედველობას, ურევს მატერიალიზმის იმ განსაკუთრებულ ფორმასთან, რომელშიც ეს მსოფლმხედველობა განსაზღვრულ ისტორიულ საფეხურზე გამოიხატა. სახელდობრ, XVIII საუკუნეში. კიდევ მეტი: იგი მატერიალიზმს ურევს ამ უკანასკნელის იმ გაუხამსებულ, ვულგარულ სახესთან, როგორც განაგრძობს დღეს არსებობას XVIII საუკუნის მატერიალიზმი ბუნებისმეცნიერთა და ექიმთა თავებში და როგორც მას ორმოცდაათიან წლებში მოხეტიალე მქადაგებლები ბიუხნერი, ფოგტი და მოლეშოტი ქადაგებდნენ. მაგრამ მატერიალიზმმაც, იდეალიზმის მსგავსად, განვითარების სხვადასხვა საფეხური განვლო. ყოველ ეპოქისშემქმნელ აღმოჩენასთან ერთად, თუნდაც ბუნებისმეცნიერების სფეროში, მატერიალიზმმა აუცილებლად თავისი ფორმა უნდა შეესცვალოს; ხოლო მას შემდეგ,

რაც ისტორიაც მატერიალისტურ განხილვას დაექვემდებარა, აქაც განვითარების ახალი გზები გაიხსნა.

წარსული[1] საუკუნის მატერიალიზმი უმთავრესად მექანიკური იყო, იმიტომ რომ ბუნებისმეცნიერების დარგებიდან იმ დროისათვის ერთიერთ დამთავრებას მხოლოდ მექანიკამ, სახელდობრ, მხოლოდ ზეცისა და დედამიწის მყარი სხეულების მექანიკამ, მოკლედ სიმძიმის მექანიკამ მიაღწია. ქიმია ახლად ფეხადგმული იყო, ამ დარგში ჯერ კიდევ ფლოგისტონის თეორიას მისდევდნენ. ბიოლოგია ბავშვის არტახებს არ გასცილებოდა; მცენარისა და ცხოველის ორგანიზმი ჯერ ნაკლებ იყო გამოკვლეული და მას წმინდა მექანიკური მიზეზებით ხსნიდნენ; როგორც დეკარტეს თვალში ცხოველი, ისე XVIII საუკუნის მატერიალისტების თვალში ადამიანი მხოლოდ მანქანა იყო. კლასიკური ფრანგული მატერიალიზმის ერთი სპეციფიკური, მაგრამ იმ დროისათვის აუცილებელი შეზღუდულობა ის არის, რომ იგი მარტოოდენ მექანიკის მასშტაბით უდგებოდა ქიმიური და ორგანული ბუნების პროცესებს, რომელთა დარგში მექანიკური კანონები თუმცა განაგრძობენ მოქმედებას, მაგრამ უკანა რიგში დგებიან სხვა, უფრო მაღალი კანონების წინაშე.

ამ მატერიალიზმის მეორე სპეციფიკური შეზღუდულობა იმაში მდგომარეობდა, რომ მას უნარი არ ჰქონდა სამყარო გაეგო როგორც პროცესი, როგორც განუწყვეტლივ ისტორიულ განვითარებაში მყოფი მატერია. ეს ნაკლი შეეფერებოდა ბუნებისმეცნიერების იმდროინდელ მდგომარეობას და მასთან დაკავშირებულ ფილოსოფიური აზროვნების მეტაფიზიკურ, ე. ი. ანტიდიალექტიკურ, მეთოდს. ბუნება რომ მუდმივ მოძრაობაში იმყოფება, ეს მაშინაც იცოდნენ. მაგრამ ეს მოძრაობა იმდროინდელი გაგებით მუდმივ ერთსა და იმავე წრეში ტრიალს წარმოადგენდა და ამიტომ წინ არ მიდიოდა; იგი მუდამ ერთსა და იმავე შედეგებს იძლეოდა. ასეთი წარმოდგენა მაშინ აუცილებელი იყო. კანტის თეორია მზის სისტემის წარმოშობისა ახლად შემუშავებული იყო და ჯერ კიდევ უბრალო კურიოზად ითვლებოდა. დედამიწის განვითარების ისტორია, გეოლოგია, ჯერ კიდევ სავსებით უცნობი იყო და მეცნიერულად მაშინ ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა იმ შეხედულების დადგენა, რომ დღევანდელი ცოცხალი არსებანი მარტივიდან რთულისაკენ ხანგრძლივი განვითარების შედეგები არიან. მაშასადამე, ბუნებაზე არაისტორიული შეხედულება აუცილებელი იყო, და ამ ნაკლისთვის XVIII სა-

[1] — XVIII საუკუნის. რ ე დ. .

უკუნის ფილოსოფოსებს საუკეთესო როდი ეთქმის, მით უმეტეს, რომ მისგან არც ჰეგელი იყო თავისუფალი. ჰეგელის მიხედვით ბუნება, როგორც იდეის უბრალო «გასხვისება», მოკლებულია დროში განვითარების უნარს; მას შეუძლია თავისი მრავალფეროვნება მხოლოდ სივრცეში გაშალოს, ისე რომ იგი ერთსა და იმავე დროში და ერთიმეორის გვერდით შლის ყველა მასში მოთავსებულ განვითარების საფეხურებს და იძულებულია მარად ერთი და იგივე პროცესი გაიმეოროს. და ამ უაზრობას, ე. ი. განვითარებას არა დროში, — რომელიც ყოველი განვითარების ძირითადი პირობაა, არამედ სივრცეში, ჰეგელი თავზე ახვევდა ბუნებას სწორედ იმ დროს, როცა საკმაოდ დამუშავებული იყო გეოლოგია, ემბრიოლოგია, მცენარეთა და ცხოველთა ფიზიოლოგია და ორგანული ქიმია, და როცა ყველგან ამ ახალ მეცნიერებათა საფუძველზე განვითარების შემდგომი თეორიის გენიალურმა მიხვედრებმა იჩინა თავი (მაგ., გოეთე და ლამარკი). მაგრამ სისტემა ამას მოითხოვდა, და სისტემის გულისთვის კი მეთოდს თავის თავისთვის უნდა ეღალატნა.

ასეთივე არაისტორიული შეხედულება იყო გაბატონებული ისტორიის დარგშიც. აქ ყურადღება მიჯაქვული იყო ბრძოლაზე შუა საუკუნეების ნაშთების წინააღმდეგ. შუა საუკუნეები მიჩნეული იყო ისტორიის მსვლელობის უბრალო შეწყვეტად ათასწლოვანი საყოველთაო ბარბაროსობის მიერ: ვერავინ ვერ ხედავდა შუა საუკუნეებში წინ გადადგმულ დიდ ნაბიჯებს — ევროპის კულტურული სფეროს გაფართოებას, დიდი, სიცოცხლისუნარიანი ერების წარმოშობას ერთიმეორის მეზობლად, ბოლოს, უზარმაზარ ტექნიკურ მიღწევებს XIV და XV საუკუნეებში. ამის გამო შეუძლებელი იყო სწორი შეხედულება დიდ ისტორიულ კავშირზე, და ისტორია, უკეთეს შემთხვევაში, ფილოსოფოსის მოსახმარად დალაგებული მაგალითებისა და ილუსტრაციების კრებულს ჰგავდა.

ვულგარიზატორები, რომელთაც ორმოცდაათიან წლებში გერმანიაში მატერიალიზმის დამტარებლების როლი იკისრეს, ერთი ნაბიჯითაც ვერ გასცილდნენ თავიანთი მასწავლებლების მოძღვრების საზღვრებს. ბუნებისმეცნიერების ყოველ ახალ წარმატებას ისინი განიხილავდნენ მხოლოდ როგორც ახალ საბუთს სამყაროს შემქმნელის არსებობის წინააღმდეგ; ხოლო თეორიის შემდგომი განვითარება მართლაც მათი საქმიანობის გარეშე დარჩა. თუ იდეალიზმი ამ დროისათვის სრულიად გამოიფიტა, ხოლო 1848 წლის რევოლუციის მიერ სასიკვდილოდ დაიჭრა, მას სანუგეშოდ რჩებოდა ის, რომ მატერიალიზმი ამ დროს კიდევ უფრო დაბლა დაეცა.

ფოიერბახი სრულიად მართალი იყო, როცა თავიდან იხსნიდა ყოველივე პასუხისმეებლობას ასეთი მატერიალიზმისთვის; მაგრამ მას უფლება არ ჰქონდა ერთმანეთში აერია მოხეტიალე მქადაგებლების მოძღვრება და მატერიალიზმი საერთოდ.

მაგრამ აქ ორი რამ უნდა აღინიშნოს. ერთი, რომ ფოიერბახის სიცოცხლეში ბუნებისმეცნიერება ჯერ კიდევ იმ ცხარე დუღილის პროცესს განიცდიდა, რომელიც რამდენადმე მხოლოდ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში დამთავრდა. შეგროვილ იქნა უთვალავი, ახალი მეცნიერული მასალა, მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ დროს გახდა შესაძლებელი ამ მოზღვავებულ აღმოჩენათა ქაოსის დალაგება და მოწესრიგება. მართალია, ფოიერბახი სამი უდიდესი აღმოჩენის, სახელდობრ, უჯრედის, ენერგიის გარდაქმნისა და დარვინის სახელით წოდებული განვითარების თეორიის აღმოჩენის თანამედროვე იყო, მაგრამ როგორ შეეძლო სოფელში განმარტოებულ ფილოსოფოსს მეცნიერებისთვის სათანადოდ ოვალყური ედევნებინა და ისეთი აღმოჩენები დაეფასებინა, რომელთაც თვით ბუნებისმეცნიერები ნაწილობრივ საკამათოდ თვლიდნენ, ხოლო ნაწილობრივ სათანადოდ ვერ იყენებდნენ? ამაში ბრალი მიუძღვის მხოლოდ უბადრუკ გერმანულ პირობებს, რომელთა წყალობით ფილოსოფიის კათედრები ძალად ბრძენ რწყილისჭყლეტია ეკლექტიკოსებს ეჭირათ, მაშინ როცა ფოიერბახი, რომელიც ყველა მათზე მაღლა იდგა ციხე-კოშკივით, ჩლუნგდებოდა და ეანგდებოდა მივარდნილ სოფელში. ფოიერბახის ბრალი არ არის, რომ მისთვის მიუწვდომელი დარჩა დღეს შესაძლებელი ისტორიული შეხედულება ბუნებაზე, რომელიც სპობს ფრანგული მატერიალიზმის ყველა ცალმხრიობას.

მეორე, ფოიერბახი სრულიად მართალია, როცა ამბობს, მარტოოდენ საბუნებისმეტყველო მატერიალიზმი «ადამიანის ცოდნის შენობის საძირკველს წარმოადგენს და არა თვით შენობასო», იმიტომ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო ბუნებაში, არამედ აგრეთვე ადამიანთა საზოგადოებაშიც, ამ უკანასკნელს კი თავისი განვითარების ისტორია და თავისი მეცნიერება აქვს არა ნაკლებ, ვიდრე ბუნებას. მაშასადამე, ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერება, ე. ი. ეგრეთწოდებული ისტორიულ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა კომპლექსი, მატერიალისტურ საფუძველს შეთანხმებოდა და მისი რეკონსტრუქცია ამის შესაბამისად მომხდარიყო. მაგრამ ფოიერბახს ბედმა არ არგუნა ამის შესრულება. აქ იგი, «საფუძვლის» მიუხედავად ტრადიციული

იდეალისტური ბორკილებით იყო შებოჭილი, და ამას თვითონ აღიარებდა, როცა ამბობდა: «თუ ამ წერტილიდან უკან წავალთ, სავსებით ვეთანხმები მატერიალისტებს, თუ წინ — არა». მაგრამ ეს სწორედ თვით ფოიერბახი იყო, რომელიც აქ, საზოგადოებრივ სფეროში, «წინ» არ მიდიოდა, თავის 1840 და 1844 წლის თვალსაზრისს ვერ შორდებოდა, უმთავრესად იმიტომ, რომ განდეგილეთ ცხოვრობდა. ეს ადამიანი, რომელსაც საზოგადოებრივი წრე უფრო სჭირდებოდა, ვიდრე სხვა რომელიმე ფილოსოფოსს, იძულებული იყო თავისი აზრები მარტოობაში შეემუშავებინა და არა მეგობრულ, ან მტრულ შეხვედრებში თავისი ზომის ადამიანებთან. ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ, რამდენად იდეალისტი დარჩა იგი ამ დარგში.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შტარკე ფოიერბახის იდეალიზმს იქ არ ეძებს, სადაც საჭიროა. «ფოიერბახი იდეალისტია, მას სწამს კაცობრიობის წინსვლა» (გვ. 19). — «საფუძვლად, ყველაფრის საძირკვლად მაინც იდეალიზმი რჩება. რეალიზმი მხოლოდ შეცდომებისაგან გვიფარავს, როცა ჩვენს იდეალურ მისწრაფებას მივდევთ. განა თანაგრძნობა, სიყვარული და აღფრთოვანება ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისათვის იდეალური ძალები არ არიან?» (გვ. VIII).

ერთი, რომ იდეალიზმის სახელით აქ სხვა არაფერია მონათლული, თუ არა იდეალური მიზნებისაკენ მისწრაფება. ეს მიზნები, აუცილებლობის გზით, სულ დიდი, კანტის იდეალიზმსა და მის «კატეგორიულ იმპერატივთან» თუა დაკავშირებული; მაგრამ თვით კანტმა თავის ფილოსოფიას იმიტომ კი არ უწოდა «ტრანსცენდენტალური იდეალიზმი», რომ იქ სხვათა შორის ზნეობრივ იდეალებზეც არის ლაპარაკი, არამედ სრულიად სხვა მოსაზრებების გამო, როგორც ეს შტარკესაც ეხსომება. ეს ცრურწმენა, თითქოს ფილოსოფიური იდეალიზმი ზნეობრივი, ე. ი. საზოგადოებრივი იდეალების რწმენაში მდგომარეობდეს, წარმოდგა ფილოსოფიის გარეშე, გერმანელი ფილისტერების წრეში, რომელნიც მათთვის საჭირო ფილოსოფიური განათლების ნამცეცებს შილერის ლექსებში ჰკრებდნენ. არავის არ გაუკრიტიკებია უფრო მძაფრად კანტის უილაჯო «კატეგორიული იმპერატივი» (უილაჯო, იმიტომ, რომ იგი შეუძლებელს ითხოვს, მაშასადამე, ვერაფერს აღწევს რაიმე ნამდვილს), არავის არ გაუმასხარავებია ისე სასტიკად შილერის მიერ ნასაზრდოები ფილისტერული ოცნება განუხორციელებელ იდეალებზე, როგორც ეს ჰეგელმა ჰქნა (იხ., მაგ., მისი «ფენომენოლოგია»), ჰეგელი კი დასრულებული იდეალისტი იყო.

მეორე. შეუძლებელია გვერდი აუარო იმ გარემოებას, **რომ** ყველაფერმა. რაც ადამიანს ამოქმედებს, აუცილებლად მის თავში უნდა გაიაროს: თვით ჭამა-სმას ადამიანი მის თავში შეგრძნებული შიმშილისა და წყურვილის გავლენით იწყებს და იმავე თავში შეგრძნებული გაძღომის ვავლენით ათავებს. გარე სამყაროს ზემოქმედება ადამიანის თავში აღიბეჭდება, აისახება გრძნობების, აზრების, ზრახვების, ნებელობითი გარკვეულობის, ერთი სიტყვით, «იდეალურ მისწრაფებათა» სახით, და ამდენად წარმოადგენენ ისინი «იდეალურ ძალებს». და თუ ადამიანს იდეალისტად ხდის ის გარემოება, რომ იგი «იდეალურ მისწრაფებებს მისდევს» და «იდეალური ძალების» გავლენას ექვემდებარება, მაშინ ყოველი რამდენადმე ნორმალურად განვითარებული ადამიანი ბუნებით იდეალისტი ყოფილა. და გაუგებარია, მატერიალისტები **საზოგადოდ როგორღა** არსებობენ?

მესამე, იმ რწმენას, რომ კაცობრიობა, — ყოველ შემთხვევაში ამჟამად, — საერთოდ და მთლიანად წინსვლის გზას ადგიაო, აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო მატერიალიზმის და იდეალიზმის დაპირისპირებულობასთან. ფრანგ მატერიალისტებს ეს რწმენა თითქმის ფანატიზმამდე ჰქონდათ განვითარებული, არანაკლებ, ვიდრე დეისტებს ვოლტერსა და რუსოს, და მას საკმაოდ ხშირად უდიდეს პირად მსხვერპლსაც კი სწირავდნენ. თუ ვინმეს მთელი თავ-სი სიცოცხლე «ჭეშმარიტებისა და სამართლის სამსახურისათვის» მიუძღვნია, ამ გამოთქმის საუკეთესო მნიშვნელობით, ეს იყო, მაგალითად, დიდრო. თუ შტარკე ყოველივე ამას იდეალიზმად აცხადებს, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მისთვის სიტყვა «მატერიალიზმს» და მთელ დაპირისპირებულობას ორივე მიმართულებას შორის აქ ყოველივე აზრი დაუკარგავს.

შეიძლება ეს შეუგნებლადაც ხდებოდეს, მაგრამ შტარკე აქ ფაქტიურად მიუტევებელ დათმობაზე მიდის ფილისტერების ცრურწმენისადმი «მატერიალიზმის» სახელწოდების წინააღმდეგ. ეს ცრურწმენა ფილისტერებში ხუცების მრავალწლოვანმა ქადაგებამ ჩანერგა. მატერიალიზმი ფილისტერს ესმის როგორც ღორმუცელობა, ლოთობა, გართობა, ავხორცობა და ქედმაღლობა, ანგარება, სიძუნწე, სიხარბე, მოგების ძიება და საბირჟო გაიძვერობა, ერთი სიტყვით, ამ ცნებაში მთელი ის ჭუჭყიანი ბიწიერება შეაქვს, რომლითაც თვით სტკბება ფარულად; პირიქით, იდეალიზმი მისთვის არის სათნოების რწმენა, მთელი კაცობრიობის სიყვარული და საზოგადოდ «უკეთესი ქვეყანა», რასაც იგი სხვების გასაგონად

აქვს, მაგრამ რაც თვით მას მხოლოდ მაშინ სწამს, როცა ჩვეულებად ქცეული «მატერიალისტური» ექსცესების შემდეგ ნაბახუსევია ან გაკოტრებული და თავის საყვარელ სიმღერას დაჰღილინებს: რა არის ადამიანი? — ნახევრად მხეცი, ნახევრად ანგელოზი.

სხვა მხრივ შტარკე გულმოდგინედ ცდილობს ფოიერბახი დაიცვას იმ დოცენტების თავდასხმისა და ჭკუის დარიგებისაგან, რომელნიც დღეს გერმანიაში ხმაურობენ ფილოსოფოსების სახელით. ამას, რასაკვირველია, მნიშვნელობა აქვს ადამიანებისათვის, რომელთაც აინტერესებთ კლასიკური გერმანული ფილოსოფიის გადაგვარებული შთამომავლობა; თვით შტარკეს ეს შეიძლება აუცილებლად ჩვენებოდა. ჩვენ კი მკითხველს შევიბრალებთ.

III

ფოიერბახის ნამდვილი იდეალიზმი მის რელიგიის ფილოსოფიასა და ეთიკაში მჟღავნდება. ფოიერბახს რელიგიის გაუქმება როდი სურს, მას მხოლოდ მისი სრულქმნა უნდა. თვით ფილოსოფია უნდა შთაინთქას რელიგიაში. «კაცობრიობის პერიოდები მხოლოდ რელიგიური ცვლილებებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ესა თუ ის ისტორიული მოძრაობა მხოლოდ მაშინაა საფუძვლიანი, როცა იგი ადამიანის გულში იჭრება ხოლმე. გული რელიგიის ფორმა როდია, ასე რომ ვერ ვიტყვით — რელიგია გულშიაც უნდა იყოსო; გული რელიგიის არსებაა» (ციტატი მოყვანილი აქვს შტარკეს, გვ. 168). ფოიერბახის მიხედვით რელიგია არის გრძნობიერი, გულისხმიერი დამოკიდებულება ადამიანსა და ადამიანს შორის, დღემდე ეს დამოკიდებულება ჭეშმარიტებას ეძებდა სინამდვილის ფანტასტიკურ ასახვაში, ერთი ან მრავალი ღმერთის შემწეობით, რომელნიც თავიანთი მხრივ ადამიანურ თვისებათა ფანტასტიკურ ანარეკლს წარმოადგენენ; დღეს კი იგი პირდაპირ და უშუალოდ იხატება სიყვარულში «მე»-სა და «შენ»-ს შორის. ამრიგად, ფოიერბახისათვის ბოლოს და ბოლოს სქესობრივი სიყვარული მისი ახალი სარწმუნოების აღსარების ერთ-ერთი, თუ არა ერთადერთი, უმაღლესი ფორმაა.

გრძნობიერი დამოკიდებულება ადამიანებს შორის, განსაკუთრებით სხვადასხვა სქესის ადამიანებს შორის, არსებობს კაცობრიობის დასაბამიდანვე, კერძოდ, სქესობრივმა სიყვარულმა უკანასკნელი რვა საუკუნის განმავლობაში ისეთი მნიშვნელობა მოიპოვა და ისეთი ადგილი დაიჭირა, რომ იგი მთელი პოეზიის ღერძად იქცა. არსე-

ბული პოზიტიური რელიგიები კმაყოფილდებიან იმით, რომ ომაულეს სანქციას აძლევენ სქესობრივი სიყვარულის სახელმწიფოებრივად მოწესრიგებას, ე. ი. საქორწინო კანონმდებლობას; ეს რელიგიები რომ ხვალ სრულიად გამქრალიყვნენ, სიყვარულისა და მეგობრობის პრაქტიკაში სრულიად არავითარი ცვლილება არ მოხდებოდა. მართლაც, საფრანგეთში 1793 წელსა და 1798 წელს შეა ქრისტიანული სარწმუნოება ფაქტიურად ისე მოისპო, რომ თვით ნაპოლეონს დიდი წინააღმდეგობისა და სიძნელის გადალახვა მოუხდა მის ხელახლა შემოსაღებად. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში როდი წარმოშობილა მოთხოვნილება ეს ხარვეზი ფოიერბახის ახალი რელიგიის მსგავსი რამით შევსებულიყო.

ფოიერბახის იდეალიზმი აქ იმაში მდგომარეობს, რომ მას ურთიერთ სიმპათიებზე დაყრდნობილი ადამიანური დამოკიდებულება, სქესობრივი სიყვარული, მეგობრობა, თანაგრძნობა, თავგანწირვა და სხვ. ისე ვერ წარმოუდგენია, როგორც ყველა ეს თავისთავად არსებობს, წარსულის მიერ ნაანდერძევი რომელიმე განსაკუთრებული რელიგიური სისტემის გარეშე. იგი ამტკიცებს, რომ ეს დამოკიდებულება მხოლოდ მაშინ პოულობს თავის სრულ მნიშვნელობას, როცა მას «რელიგიის» სახელით აკურთხებენო. მისთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ ეს წმინდა ადამიანური დამოკიდებულებანი არსებობენ, არამედ იმას, რომ ისინი ახალ, ჭეშმარიტ რელიგიად იქნან აღიარებული. ისინი სრულყოფილნი არიან მხოლოდ მაშინ, როცა მათ რელიგიის ბეჭედი აზისო. სიტყვა რ ე ლ ი გ ი ა წარმოდგება სიტყვიდან religare[1] და თავდაპირველად კ ა ვ შ ი რ ს ნიშნავდაო. მაშასადამე, ორი ადამიანის ყოველი ურთიერთკავშირი რელიგიაა. ასეთი ეტიმოლოგიური ოინები იდეალისტური ფილოსოფიის უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენს. სიტყვას ის მნიშვნელობა კი არ ეძლევა, რომელიც მას ნამდვილი ხმარების ისტორიული განვითარების გზით შეუძენია, არამედ რაც მას წარმოშობის ეტიმოლოგიური ძალით უნდა ჰქონოდა. ამრიგად, სქესობრივი სიყვარული და სქესობრივი კავშირი «რელიგიის» სახელწოდებით ზეცაში აჰყავთ, რათა ენიდან არ გაჰქრეს იდეალისტური ხსოვნისათვის ძვირფასი სიტყვა — რელიგია. სწორედ ასევე ლაპარაკობდნენ ლუი ბლანის მიმართულების პარიზელი რეფორმისტები ორმოციან წლებში; მათ ირელიგიო ადამიანი რაღაც საშინელებად მიაჩნდათ და ჩვენ გვეუბნებოდნენ: Donc, l'ath-

[1] [illegible]

éisme c'est votre religion![1] როცა ფოიერბახი ცდილობს ჭეშმარიტი რელიგია ბუნების არსებითად მატერიალისტური გაგების საფუძველზე ააგოს, ეს იმას ჰგავს, რომ თანამედროვე ქიმია ჭეშმარიტ ალქიმიად წარმოვიდგინოთ. თუ რელიგია შეიძლება უღმერთოდ არსებობდეს, რატომ არ შეიძლება ალქიმია ფილოსოფიური ქვის გარეშე არსებობდეს? ამასთან ესეცაა, რომ ალქიმიასა და რელიგიას შუა მართლაც მჭიდრო კავშირი არსებობს. ფილოსოფიურ ქვას მრავალი ისეთი თვისება აქვს, რომელიც ღმერთს მოვაგონებს და, როგორც კოპის და ბერტელოს მიერ მოყვანილი ცნობები ამტკიცებს, ეგვიპტელ-ბერძენმა ალქიმიკოსებმა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ და მეორე საუკუნეში თავიანთი წვლილი შეიტანეს ქრისტიანული მოძღვრების შემუშავებაში.

უდავოდ მცდარია ფოიერბახის მტკიცება, რომ «კაცობრიობის პერიოდები მხოლოდ რელიგიური ცვლილებებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან». დიდ ისტორიულ გარდატეხებს თან სდევდა რელიგიური ცვლილებები, მხოლოდ რამდენადაც ლაპარაკია სამ, დღემდე არსებულ მსოფლიო რელიგიაზე — ბუდიზმზე, ქრისტიანობასა და ისლამზე. ძველ, ბუნებრივად აღმოცენებულ ტომობრივ და ეროვნულ რელიგიებს პროპაგანდისტული ხასიათი არ ჰქონდათ და წინააღმდეგობის ძალას ჰკარგავდნენ, როგორც კი ისპობოდა ამ ტომებისა და ხალხების დამოუკიდებლობა. გერმანელებში ამისათვის საკმაო აღმოჩნდა, რომ ისინი მხოლოდ შეხებოდნენ ხრწნად რომის მსოფლიო იმპერიას და მსოფლიო ქრისტიანულ რელიგიას, რომელიც ის იყო რომმა მიიღო როგორც მისი ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი მდგომარეობის შესაფერი სარწმუნოება. მხოლოდ ამ, მეტად თუ ნაკლებად, ხელოვნურად აღმოცენებული მსოფლიო რელიგიების, განსაკუთრებით ქრისტიანობისა და ისლამის, შესახებ შეიძლება ითქვას, ზოგადი ისტორიული მოძრაობა რელიგიურ ელფერს ღებულობსო. თვით ქრისტიანობის სფეროში ნამდვილი უნივერსალური მნიშვნელობის რევოლუციები ასეთ ელფერს მხოლოდ ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ საფეხურზე ღებულობდნენ, ე. ი. მეცამეტე საუკუნიდან მეჩვიდმეტე საუკუნემდე. ეს გარემოება აიხსნება არა ადამიანის გულის თვისებებით და არა მისი რელიგიური მოთხოვნილებებით, როგორც ეს ფოიერბახს ჰგონია, არამედ მთელი შუა საუკუნეების წინა ისტორიით, რომელიც არ იცნობდა იდეოლოგიის სხვა ფორმას,

[1] მაშასადამე, ათეიზმი თქვენი რელიგია არისს ტ ე ლ.

გარდა რელიგიისა და თეოლოგიისა. ხოლო, როცა XVIII საუკუნეში ბურჟუაზია იმდენად მოღონიერდა, რომ თავისი საკუთარი კლასობრივი თვალსაზრისის შესაფერი იდეოლოგია შექმნა, მან თავის დიდსა და დამთავრებულ რევოლუციაში, საფრანგეთის დიდ რევოლუციაში, მხოლოდ იურიდიულ და პოლიტიკურ იდეებს მიმართა, რელიგიის გულისთვის კი თავი მხოლოდ იმდენად შეიწუხა, რამდენადაც იგი მას წინ ეღობებოდა. ბურჟუაზიას აზრადაც არ მოსვლია — საჭიროა ახალი რელიგიის დამყარება ძველის ადგილასო; ცნობილია, როგორ დამარცხდა ამ მხრივ რობესპიერი [1].

იმ საზოგადოებაში, რომელშიაც ჩვენ დღეს იძულებული ვართ ვიცხოვროთ და რომელიც კლასობრივ წინააღმდეგობასა და კლასობრივ ბატონობაზეა დამყარებული, ნამდვილი ადამიანური გრძნობიერების გამოვლინების შესაძლებლობა ადამიანთა ურთიერთობაში ისედაც საკმაოდ მცირეა, ამ წინააღმდეგობისა და კლასობრივი ბატონობის წყალობით; ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს, რომ ეს შესაძლებლობა კიდევ უფრო შევამციროთ ამ გრძნობის რელიგიად გადაქცევის გზით. სწორედ ასევე, ჩვეულებრივმა ისტორიოგრაფიამ, განსაკუთრებით გერმანიაში, უკვე საკმაოდ დაგვიბნელა დიდი ისტორიული კლასობრივი ბრძოლების გაგება; არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ ამ ბრძოლის ისტორია საეკლესიო ისტორიის უბრალო დამატებად ვაქციოთ და ამით მისი გაგება სრულიად შეუძლებელი გავხადოთ. აქედან უკვე ჩანს, რამდენად დაშორებული ვართ დღეს ფოიერბახისაგან. დღეს სრულიად შეუძლებელია მისი თხზულების იმ «უმშვენიერესი» ადგილების გადაკითხვა, სადაც ავტორი სიყვარულის ახალ რელიგიას ქებათა ქებას უძღვნის.

ერთადერთი რელიგია, რომელიც ფოიერბახმა სერიოზულად გამოიკვლია—ქრისტიანობაა, ეს დასავლეთის მსოფლიო რელიგია, რომელიც მონოთეიზმზეა დაფუძნებული. იგი ამტკიცებს, რომ ქრისტიანული ღმერთი მხოლოდ ადამიანის ფანტასტიკური ანარეკლია. მაგრამ თავის მხრივ, ეს ღმერთი ხანგრძლივი აბსტრაქციის პროცესის ნაყოფია და მრავალი წინანდელი ტომობრივი და ეროვნული ღმერთების კონცენტრირებულ კვინტესენციას წარმოადგენს. ამისდა მიხედვით ქრისტიანულ ღმერთში ასახული ადამიანიც ნამდვილი ადამიანი კი

[1] იგულისხმება რობესპიერის ცდა, რომ «უზენაესი არსების» რელიგია დაეარსებინა. რ ე დ.

არაა, არამედ მრავალი ნამდვილი ადამიანის კვინტესენცია, აბსტრაქტული ადამიანია, მაშასადამე, თვითაც აზროვნებითი სახეა. იგივე ფოიერბახი, რომელიც ყოველ სტრიქონში გვიქადაგებს გრძნობელობას და კონკრეტულ, რეალურ სინამდვილეში ჩაშვებას, უკიდურესად აბსტრაქტული ხდება, როცა სხვა რომელიმე ადამიანურ ურთიერთობას ეხება, გარდა წმინდა სქესობრივი ურთიერთობისა.

ყოველ ადამიანურ ურთიერთობას მის თვალში მხოლოდ ერთი მხარე აქვს: მორალი. აქაც ფოიერბახი გასაოცარ სიღარიბეს იჩენს ჰეგელთან შედარებით. ჰეგელის ეთიკა, ანუ მოძღვრება ზნეობაზე, სამართლის ფილოსოფიაა და სამ ნაწილს შეიცავს: 1. აბსტრაქტულ სამართალს, 2. მორალურობას და 3. ზნეობრივ ურთიერთობას, რომელსაც ეკუთვნის ოჯახი, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო. რამდენადაც აქ ფორმა იდეალისტურია, იმდენად შინაარსი რეალისტურია. აქ მორალთან ერთად შემოფარგლულია სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკის დარგიც. ფოიერბახი სწორედ პირიქით იქცევა. იგი ფორმით რეალისტია, მისი ამოსავალი წერტილი ადამიანია, მაგრამ კრინტსაც არ სძრავს იმ სამყაროზე, რომელშიც ეს ადამიანი ცხოვრობს, და ამიტომ მისი ადამიანი იმავე აბსტრაქტულ ადამიანად რჩება, როგორც რელიგიის ფილოსოფიაში მოგვეცალინა. ეს ადამიანი დედის საშოდან კი არაა დაბადებული, იგი მონოთეისტური რელიგიების ღმერთიდან გამოფრინდა პეპელასავით. ამიტომ იგი ნამდვილ, ისტორიულად წარმოშობილ და ისტორიულად განსაზღვრულ ქვეყანაში როდი ცხოვრობს; მართალია, მას ურთიერთობა აქვს სხვა ადამიანებთან, მაგრამ თვითეული მათგანიც მასავით აბსტრაქტული არსებაა. რელიგიის ფილოსოფიაში მამაკაცსა და დედაკაცთან მაინც გვქონდა საქმე. ეთიკაში კი ეს უკანასკნელი განსხვავებაც ჰქრება. მართალია, ფოიერბახის ნაწერებში ალაგ-ალაგ ასეთი დებულებებიც გვხვდება: «სასახლეში სხვანაირად აზროვნებენ, ვიდრე ქოხში». — «თუ შიმშილისა და სიღარიბის გამო სხეულში მასაზრდოებელი ნივთიერება არა გაქვს, არც თავში, გრძნობებსა და გულში გექნება მასალა ზნეობისთვის». — «პოლიტიკა ჩვენი რელიგია უნდა გახდეს» და სხვა. მაგრამ ფოიერბახს სრულიად არ ეხერხება ამ დებულებათა გამოყენება, ისინი უბრალო ფრაზებად რჩებიან, და თვით შტარკე იძულებულია აღიაროს, რომ პოლიტიკა ფოიერბახისთვის გადაულახავი ზღუდე იყო, ხოლო «საზოგადოების მეცნიერება, სოციოლოგია terra incognita»[1].

---

[1] უცნობი ქვეყანა. რ ე დ.

ასევე ზერელეა ფოიერბახი ჰეგელთან შედარებით სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებულობის განხილვაში. — «ზოგიერთს ჰგონია, — ამბობს ჰეგელი, — რომ არაჩვეულებრივად ღრმა აზრს ვამოხატავს, თუ იტყვის, ადამიანი ბუნებით კეთილიაო; ავიწყდებათ, რომ ბევრად ღრმა აზრია სიტყვებში: ადამიანი ბუნებით ბოროტია». ჰეგელისთვის ბოროტება ფორმაა, რომელშიც ისტორიული განვითარების მამოძრავებელი ძალა მყღავნდება. ამაში ორმაგი აზრია დამალული: ერთი მხრივ, ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი აუცილებლად რაიმე სიწმინდის შეურაცხყოფაა, ამბოხებაა ძველი, დროგოჭმული, მაგრამ ჩვეულების მიერ ნაკურთხი მდგომარეობის წინააღმდეგ; მეორე მხრივ, კლასობრივი წინააღმდეგობის წარმოშობის შემდეგ ისტორიული განვითარების მამოძრავებლად ადამიანის უმდაბლესი გულისთქმა გახდა, სიხარბე და ბატონობის სიყვარული; ამის განუწყვეტელ დასაბუთებას, მაგალითად, ფეოდალიზმისა და ბურჟუაზიის ისტორია წარმოადგენს. ფოიერბახს კი აზრადაც არ მოსდის ზნეობრივი ბოროტების ისტორიული როლის განხილვა. მისთვის ისტორია საზოგადოდ უცხო და ბნელი ასპარეზია. თვით მისი გამოთქმა: «ადამიანი, რომელიც პირველად ბუნებიდან გამოვიდა, ადამიანი კი არა, უფრო წმინდა ბუნებრივი არსება იყო. ადამიანი ადამიანის, კულტურის, ისტორიის პროდუქტია», — თვით ეს გამოთქმა უნაყოფოდ დარჩა ფოიერბახისთვის.

ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, რომ მორალის შესახებ ფოიერბახი მეტისმეტად მჭლე აზრებს გვამცნობს. ადამიანს თანდაყოლილი აქვს მისწრაფება ბედნიერებისადმი და ამიტომ იგი მორალის საფუძველი უნდა გახდესო. მაგრამ ეს მისწრაფება ბედნიერებისადმი ორგვარ შესწორებას განიცდის. ერთს ჩვენი მოქმედების ბუნებრივი შედეგების მხრივ: შეზარხოშებული ადამიანი მეორე დღეს ნაბახუსევია, ჩვეულებად ქცეულ გადაჭარბებულ სიამოვნებას ავადმყოფობა მოსდევს. მეორე შესწორებას ჩვენი მოქმედების საზოგადოებრივი შედეგები იწვევს: თუ პატივისცემით არ მოვეპყარით სხვა ადამიანების ამგვარსავე მისწრაფებას ბედნიერებისადმი, ისინი წინააღმდეგობას გაგვიწევენ და ჩვენს მისწრაფებას შეაფერხებენ. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ გვინდა დავაკმაყოფილოთ მისწრაფება ბედნიერებისადმი, ჩვენი ყოფაქცევის შედეგების სწორი აწონდაწონა უნდა ვისწავლოთ და სხვების ამგვარსავე მისწრაფებას პატივი ვცეთ. მაშასადამე, ფოიერბახის მორალის ძირითადი ნორმები, საიდანაც ყოველივე დანარჩენი გამომდინარეობს, გონივრულად თავის შეკავება და სიყვარულია — კიდევ და კიდევ სიყვარუ-

ლი — სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. და არც ფოიერბახის გონებამახვილ მოსაზრებებს, არც შტარკეს გადაჭარბებულ შექებას არ ძალუძს ამ ორი-სამი დებულების უშინაარსობისა და ზერელობის მიჩქმალვა.

განკერძოებულ ადამიანს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეუძლია დააკმაყოფილოს თავისი მისწრაფება ბედნიერებისადმი, ისიც ნაკლები სარგებლობით თავისი თავისა და სხვებისათვის. საჭიროა, რომ მას კავშირი ჰქონდეს გარე სამყაროსთან და აგრეთვე არ აკლდეს აღნიშნული მისწრაფების დასაკმაყოფილებელი საშუალებანი: საჭმელი, მეორე სქესის პიროვნება, წიგნები, საუბარი, კამათი, საქმიანობა, მოსახმარი და დასამუშავებელი საგნები. ფოიერბახის მორალი ან იმას გულისხმობს, რომ ეს საგნები და საშუალებანი იმთავითვე უკვე ყოველ ადამიანს ჰქვს მიცემული, ანდა ადამიანებს გამოუსადეგ კეთილ დარიგებებს აძლევს, ეს დარიგებები გახვრეტილ გროშად არ ღირს იმ ადამიანებისათვის, რომელნიც მოკლებულნი არიან აღნიშნულ საშუალებებს. ამას თვით ფოიერბახი ადასტურებს მოურიდებლად: «სასახლეში სხვანაირად აზროვნებენ, ვიდრე ქოხში. თუ შიმშილისა და სიღარიბის გამო სხეულში მასაზრდოებელი ნივთიერება არა გაქვს, არც თავში, გრძნობებსა და გულში გექნება მასალა ზნეობისათვის».

როგორ მდგომარეობაშია ადამიანების თანასწორი უფლება ბედნიერებაზე? ფოიერბახი აბსოლუტურად აუენებს ამ მოთხოვნილებას, როგორც აუცილებელს ყოველი დროისა და ყოველი გარემოებისათვის. მაგრამ რა დროიდან არის ეგი ყველას მიერ აღიარებული? განა ძველ დროში მონებსა და მათ პატრონებს შორის, შუა საუკუნეებში ყმებსა და ბატონებს შორის ოდესმე სიტყვა დაძრულა ბედნიერებისადმი მისწრაფების სწორუფლებიანობაზე? განა ჩაგრული კლასების მისწრაფება ბედნიერებისადმი ულმობლად და «კანონის ძალით» ყოველთვის გაბატონებული კლასების ბედნიერებას არ შესწირვია? — რა თქმა უნდა, მაგრამ ეს უზნეობა იყო, დღეს კი თანასწორი უფლებაა აღიარებულიო. — დიახ, აღიარებულია სიტყვიერად, როცა ბურჟუაზია თავის ბრძოლაში ფეოდალიზმის წინააღმდეგ და კაპიტალისტური წარმოების წარმოშობის პროცესში იძულებული გახდა ყოველი წოდებრივი, ე. ი. პირადი, პრივილეგიები მოესპო და პიროვნების იურიდიული სწორუფლებიანობა შემოეღო ჯერ კერძო, ხოლო შემდეგ თანდათან სახელმწიფო სამართლის დარგშიც. მაგრამ ფდეალური უფლებები საკმაო არ არის ბედნიერებისაკენ მისწრაფების გამოსაკვებად. ეგი უფრო

მატერიალური საშუალებებით საზრდოობს და აი, კაპიტალისტური წარმოება ზრუნავს იმისათვის, რომ სწორუფლებიან პირთა დიდ უმრავლესობას მხოლოდ ხელმოკლე ცხოვრების აუცილებელი სახსარი მიეცეს, მაშასადამე, უმრავლესობის ბედნიერებისაკენ მისწრაფებას იმაზე მეტად არ სცემს პატივს, ვიდრე მონობა ან ბატონყმობა სცემდა. ან, ვანა დღეს ბედნიერების სულიერ საშუალებათა, განათლების საშუალებათა საქმე უკეთეს მდგომარეობაშია? განა მითიური პიროვნება არ არის თვით «სადოვასთან გამარჯვებული მასწავლებელი»?[1]

კიდევ მეტს ვიტყვით. ფოიერბახის მორალის თეორიის მიხედვით, საფონდო ბირჟა უმაღლესი ზნეობის ტაძარი ყოფილა, თუკი სპეკულაცია სწორი ანგარიშით ხდება. თუ ჩემი მისწრაფება ბედნიერებისადმი ბირჟაში მიმიყვანს და იქ მე ჩემი მოქმედების შედეგებს ისე სწორად ავწონი, რომ მხოლოდ სიამოვნებას მივიღებ და არაფერს დავკარგავ, ე. ი. მუდამ მოგებული ვიქნები, ფოიერბახის ზნეობრივი ნორმა შესრულებული იქნება. ამ შემთხვევაში არ ვაფერხებ არც სხვის მისწრაფებას ბედნიერებისაკენ, იმიტომ რომ ისიც ნებაყოფლობით მოვიდა ბირჟაზე და როცა ჩემთან სასპეკულაციო საქმეს იწყებს, ისევე მიჰყვება ბედნიერებისაკენ მისწრაფებას, როგორც მე. ხოლო თუ მან ფული წააგო, ამით მხოლოდ თავისი მოქმედების უზნეობას ამტკიცებს, რადგან ცუდად უანგარიშია. მე მას დამსახურებულ სასჯელს მივუსჯი და შემიძლია ჩემი თავით ვიამაყო თანამედროვე რადამანტოსივით[2]. ბირჟაზეც სიყვარულია გაბატონებული, რამდენადაც ეს სანტიმენტალური ფრაზა არაა, იმიტომ რომ თვითეული ადამიანი თავისი ბედნიერებისკენ მისწრაფების დაკმაყოფილებას თავის მოყვასში პოულობს, და სწორედ ეს უნდა შეასრულოს სიყვარულმა, ამაშია მისი პრაქტიკული განხორციელება. და თუ მე საბირჟო თამაშობის დროს ჩემი ოპერაციების შედეგებს სწორად ვითვალისწინებ, მაშასადამე, წარმატებით ვთამაშობ, მაშინ ფოიერბახის მორალის უმკაცრეს მოთხოვნილებებსაც ვასრულებ და, ამას გარდა, ვმდიდრდები კიდეც. სხვანაირად რომ ვთქვათ, ფოიერბახის მორალი დღევანდელი კაპიტა-

[1] გამოთქმა. რომელიც იხმარება გერმანიის ბურჟუაზიულ პუბლიცისტიკაში სადოვასთან (პრუსია — ავსტრიის ომში 1866 წელს) პრუსიელების გამარჯვების შემდეგ და რომელიც იმ აზრს შეიცავდა, რომ ამ ბრძოლაში თითქოს განათლების პრუსიულმა სისტემამ გაიმარჯვა. რ ე დ.

[2] **რადამანტოსი,** ბერძნული მითის თანახმად, მისი სამართლიანობისათვის დანიშნულ იქნა მსაჯულად ჯოჯოხეთში. რ ე დ.

ლისტური საზოგადოების თარგზეა გამოჭრილი, თუმცა ეს შეიძლება მის სურვილსა და მოლოდინს ეწინააღმდეგებოდეს.

მაგრამ სიყვარული! — დიახ, სიყვარული ყველგან და ყოველთვის ჯადოქარია, რომელმაც ფოიერბახის შეხედულებით პრაქტიკული ცხოვრების ყველა სიძნელე უნდა გადალახოს და მერე სად? დიამეტრალურად საწინააღმდეგო ინტერესებით გათიშულ საზოგადოებაში. ამგვარად, ამ ფილოსოფიიდან მისი რევოლუციური ხასიათის უკანასკნელი ნაშთი ჰქრება და მხოლოდ ძველი ჰანგი რჩება: გიყვარდეთ ერთმანეთი, გადაეხვიეთ ერთმანეთს სქესისა და წოდების განურჩევლად. ეს არის საყოველთაო თავბრუდახვევა შერიგებისა.

ერთი სიტყვით, ფოიერბახის მორალის თეორიასაც იგივე მოუვიდა, რაც ყველა მის წინამორბედს. იგი ყველა დროისა, ყველა ხალხისა, ყველა მდგომარეობისათვისაა გამოჭრილი, და სწორედ ამიტომ არსად და არასოდეს არ გამოდგება. ნამდვილ სამყაროში იგი ისევე უძლურია, როგორც კანტის კატეგორიული იმპერატივი. სინამდვილეში ყოველ კლასს, თვით ყოველ პროფესიას თავისი საკუთარი მორალი აქვს, რომელსაც იგი ყოველთვის არღვევს, როცა ამის გაკეთება დაუსჯელად შეუძლია; ხოლო სიყვარული, რომელმაც ყოველივე უნდა გაერთიანოს, მეღავნდება ომებსა, შუღლსა, დავასა, ოჯახურ კინკლაობასა, ცოლ-ქმრის გაყრასა და ერთი ადამიანის მიერ მეორის რაც შეიძლება მეტ ექსპლოატაციაში.

მაგრამ როგორ მოხდა, რომ თვით ფოიერბახისათვის სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა იმ ძალოვანმა ბიძგმა, რომელიც მან მისცა გონებრივ მოძრაობას? სრულიად უბრალოდ. ფოიერბახმა ვერ ნახა გზა, რომელიც მისთვის საძულველი აბსტრაქციების სამეფოდან ცოცხალი სინამდვილისაკენ მიდიოდა. იგი მაგრად ეჭიდება ბუნებასა და ადამიანს, მაგრამ ბუნებაც და ადამიანიც მისთვის ცარიელი სიტყვები რჩებიან. მას არ შეუძლია რაიმე გარკვეული თქვას ნამდვილი ბუნებისა და ნამდვილი ადამიანის შესახებ. საჭირო იყო ადამიანის განხილვა მის ისტორიულ მოქმედებაში, რათა ფოიერბახის განყენებული ადამიანიდან ნამდვილ ცოცხალ ადამიანზე გადავსულიყავით. მაგრამ ფოიერბახი ამას ეწინააღმდეგებოდა და ამიტომ 1848 წელი, რომელიც მან ვერ გაიგო, მისთვის ნამდვილი ქვეყნიერებისაგან სრულ გათიშვას და განდეგილად ქცევას ნიშნავდა. ამაში ბრალი, უმთავრესად, იმავე გერმანიის პირობებს მიუძღვის, რომელთაც იგი ასე საცოდავ ბოლომდე მიიყვანეს.

მაგრამ ნაბიჯი, რომელიც ფოიერბახმა ვერ გადადგა, მაინც

უნდა გადადგმულიყო: ფოიერბახის ახალი რელიგიის დედაარსი აბსტრაქტული ადამიანის კულტი, უნდა შეცვლილიყო მეცნიერების მიერ, რომელიც ნამდვილ ადამიანს და მის ისტორიულ განვითარებას შეისწავლიდა. ფოიერბახის თვალსაზრისის ასეთი განვითარება და თვით ფოიერბახის გადალახვა მარქსმა დაიწყო 1845 წ. წიგნში: «წმინდა ოჯახი».

IV

შტრაუსი, ბაუერი, შტირნერი, ფოიერბახი ჰეგელის ფილოსოფიის ნაყარი ყლორტები იყვნენ, რამდენადაც ფილოსოფიურ ნიადაგზე იდგნენ. შტრაუსმა თავისი «იესოს ცხოვრებისა» და «დოგმატიკის» შემდეგ რენანისებურად ფილოსოფიურ და საეკლესიო ისტორიულ ბელეტრისტიკას მიჰყო ხელი. ბაუერმა მნიშვნელოვანი რამ მხოლოდ ქრისტიანობის წარმოშობის ისტორიაში გააკეთა. შტირნერი უბრალო კურიოზი დარჩა მას შემდეგაც კი, რაც ბაკუნინმა იგი პრუდონს შეურია და ეს ნარევი «ანარქიზმის» სახელით ნონათლა. მხოლოდ ფოიერბახი იყო გამოჩენილი ფილოსოფოსი. მაგრამ მისთვის არა მარტო გადაულახავ ზღუდედ, ხელუხლებელ წმიდათა წმიდად დარჩა ე. წ. ფილოსოფია, როგორც თითქოსდა ყველა ცალკე მეცნიერებათა მაღლა მდგომი, როგორც მათი გამაერთიანებელი მეცნიერებათა მეცნიერება, იგი როგორც ფილოსოფოსიც შუა გზაზე შეჩერდა, მატერიალისტი იყო ქვემოდან, იდეალისტი ზემოდან; ჰეგელი კრიტიკულად კი არ დასძლია, არამედ განზე გადააგდო, როგორც გამოუსადეგი რამ, ხოლო თვით ჰეგელის სისტემის ენციკლოპედიურ სიმდიდრეს ვერაფერი დაუპირდაპირა პოზიტიური, გარდა მაღალფარდოვანი სიყვარულის რელიგიისა და მჭლე, უილაჯო მორალისა.

მაგრამ ჰეგელის სკოლის დაშლიდან წარმოდგა კიდევ ერთი მიმართულება, ერთადერთი, რომელმაც მართლა ნაყოფი მოიტანა. ეს მიმართულება უმთავრესად მარქსის სახელთანაა დაკავშირებული [1]

[1] აქ ჩემს თავს ნებას მივცემ პირადი განმარტება დავუმატო. უკანასკნელ დროს ხშირად აღუნიშნავთ ჩემი მონაწილეობა ამ თეორიის შემუშავებაში. ამიტომ არ შემიძლია აქ ორიოდე სიტყვა არ ვთქვა ამ საკითხის ამოსაწურავად. ეს თვით არ შემიძლია უარვყო, რომ ადრეც, და მარქსთან ორმოცი წლის თანამშრომლობის დროსაც, ერთგვარი დამოუკიდებელი მონაწილეობა მიეიღე როგორც თეორიის დასაბუთებაში, რომელზედაც იქ ლაპარაკია, ისე, განსაკუთ-

ჰეგელის ფილოსოფიასთან გათიშვა აქაც მატერიალისტური თვალსაზრისისაკენ დაბრუნებით მოხდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მიმართულების მიმდევრებმა გადაწყვიტეს ნამდვილი სამყარო, ე. ი. ბუნება და ისტორია, გაეგოთ ისე, როგორც იგი ეჩვენება ყველას, ვინც მას წინასწარ აკვიატებული იდეალისტური შენათხზის მიხედვით არ უცქერის; მათ გადაწყვიტეს შეუბრალებლად უკუეგდოთ ყოველი იდეალისტური შენათხზი, რომელიც არ ეთანხმება ფაქტებს, თუკი მათ ნამდვილ და არა ფანტასტიკურ კავშირში განვიხილავთ. და სწორედ ამაში მდგომარეობს საერთოდ მატერიალიზმი. ეს მიმართულება იმით განირჩეოდა, რომ აქ ადამიანები მატერიალისტურ მსოფლმხედველობას პირველად მოეპყრნენ ნამდვილად სერიოზულად და იგი, ყოველ შემთხვევაში ძირითად ხაზებში, თანამიმდევრულად გაატარეს ცოდნის ყველა დარგში.

(მათ ჰეგელი უბრალოდ განზე როდი მიუგდიათ. პირიქით, ხელი ჩასჭიდეს ჰეგელის ფილოსოფიის ზემოაღნიშნულ რევოლუციურ მხარეს, დიალექტიკურ მეთოდს. მაგრამ ეს მეთოდი გამოუსადეგი იყო იმ სახით, რომელიც მას ჰეგელმა მისცა. ჰეგელისთვის დიალექტიკა ცნების თვითგანვითარებაა. აბსოლუტური ცნება არათუ დასაბამიდან არსებობს — არავინ იცის სად, — იგი მთელი არსებული სამყაროს ნამდვილ, ცხოველმყოფელ სულს წარმოადგენს. იგი თავის თავისკენ ვითარდება, ყველა მასში მოთავსებულ ქვესაფეხურს გაივლის, რომელიც დაწვრილებით «ლოგიკაში» არის განხილული; შემდეგ თავის თავს «გაასხვისებს», რამდენადაც ბუნებად იქცევა, სადაც ახალი განვითარების გზას გაივლის თავის თავის შეუცნობლად, ბუნებრივი აუცილებლობით შენიღბული, ბოლო, ბოლოს, ადამიანში ხელახლა თვითცნობიერებას უბრუნდება; ისტორიაში ეს თვითცნობიერება თანდათან ისევ გამომუშავდება უხეში მდგომა-

---

რებით, მის შემუშავებაში. მავრამ სახელმძღვანელო ძირითადი იდეების უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით ეკონომიურ და ისტორიულ დარგში და სპეციალურად მათი საბოლოოდ გამოკვეთილი ჩამოყალიბება მარქსს ეკუთვნის. ჩემ მიერ შეტანილი წვლილი მარქსსაც ადვილად შეეძლო უჩემოდ შეეტანა. გარდა. შეიძლება, ორიოდე სპეციალური საკნისა. მე კი არასოდეს არ შემეძლო იმის გაკეთება, რაც მარქსმა გააკეთა. მარქსი უფრო მაღლა იდგა, უფრო შორს ხედავდა, უფრო ფართო ჰორიზონტის პატრონი იყო და უფრო სწრაფად ჰკრეტდა. ვიდრე ჩვენ ყველანი. მარქსი გენიოსი იყო, ჩვენ დანარჩენნი კი, საუკეთესო შემთხვევაში, ტალანტები ვიყავით. უმისოდ ჩვენი თეორია დღეს სრულიადაც ის არ იქნებოდა, რაც არის. ამიტომ ეს თეორია სამართლიანად ატარებს მის სახელს. (ენგელსის შენიშვნა.)

რეობიდან. სანამ, ბოლოს, ჰეგელის ფილოსოფიაში აბსოლუტური ცნება ხელახლა სავსებით თავისთავს დაუბრუნდებოდეს. მაშასადამე, ჰეგელის მიხედვით, ბუნებასა და ისტორიაში გამომჟღავნებული დიალექტიკური განვითარება, ე. ი. მიზეზობრივი კავშირი წინსვლისა, რომელიც, ყოველი გადახვევ-გადმოხვევისა და დროებითი უკანდახევის მიუხედავად, დაბალი საფეხურიდან მაღალზე ადის, მხოლოდ ცნების პროგრესული თვითმოძრაობის ასახვას წარმოადგენს, ეს თვითმოძრაობა დასაბამიდან ხდება, არავინ იცის სად, მაგრამ ხდება, ყოველ შემთხვევაში, სავსებით დამოუკიდებლად ყოველი მოაზროვნე ადამიანის ტვინისაგან. საჭირო იყო ამ იდეოლოგიური უკულმართობის გასწორება. ჩვენ ხელახლა მატერიალისტურად შევხედეთ ჩვენს თავში არსებულ ცნებებს, განვიხილეთ ისინი როგორც ნამდვილი საგნების ასახვა, იმის მაგივრად, რომ ნამდვილი საგნები აბსოლუტური ცნების ამა თუ იმ საფეხურის ასახვად მიგვეჩნია. ამით დიალექტიკა გადაიქცა მეცნიერებად, რომელიც იკვლევს როგორც ვარეგანი სამყაროს, ისე ადამიანური აზროვნების მოძრაობის ზოგად კანონებს: ესაა კანონების ორი რიგი, რომელნიც არსებითად იდენტურნი არიან, გამოხატულებით კი განსხვავდებიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანის გონებას მათი შეგნებულად გამოყენება შეუძლია, მაშინ როცა ბუნებასა და დღემდე უმეტესად თვით კაცობრიობის ისტორიაშიც ისინი შეუგნებლად, გარეგნული აუცილებლობის სახით, უსასრულო რიგის მოჩვენებით შემთხვევითობათა გარემოცვაში მოქმედებენ. ამრიგად, ცნებათა დიალექტიკა თვით გადაიქცა მხოლოდ ნამდვილი სამყაროს დიალექტიკური მოძრაობის ცნობიერ ანარეკლად, და ამით ჰეგელის დიალექტიკა ყირამალა გადატრიალდა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ყირამალა გადატრიალებული ფეხზე დადგა. მაგრამ გასაოცარია, რომ ეს მატერიალისტური დიალექტიკა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ჩვენი საუკეთესო შრომის ხელსაწყო და ჩვენი უმახვილესი იარაღი იყო, მარტო ჩვენ როდი აღმოგვიჩენია; იგი ჩვენსა და თვით ჰეგელისაგან დამოუკიდებლად აღმოაჩინა აგრეთვე ერთმა გერმანელმა მუშამ — იოსებ დიცგენმა [1].

ამრიგად, ხელახლა აღდგენილ იქნა ჰეგელის ფილოსოფიის რევოლუციური მხარე, ამასთან განთავისუფლებული იდეალისტური ჩარჩოებისაგან, რომელმაც ჰეგელს ხელი შეუშალა თანამიმდევ-

[1] იხ. «ადამიანის გონებრივი შრომის არსება, დაწერილი ფიზიკური მუშაკის მიერ». ჰამბურგი, მაისნერის გამოც. (ენგელსის შენიშვნა.)

რულად გაეტარებინა იგი. ერთი მთავარი ძირითადი აზრი ჰეგელის შემდეგ ისე დამკვიდრდა ჩვეულებრივ ცნობიერებაში, რომ მას ამ ზოგადი ფორმით ვერავინ უარჰყოფს: ეს ის აზრია, რომ სამყაროს უნდა შევხედოთ არა როგორც მზამზარეული ს ა გ ნ ე ბ ი ს კომპლექსს, არამედ როგორც პ რ ო ც ე ს ე ბ ი ს კომპლექსს, სადაც ერთი შეხედვით თითქოს უცვლელი ს ა გ ნ ე ბ ი, ისევე როგორც მათი აზროვნებითი ასახვანი ჩვენს თავში, ანუ ცნებები, აღმოცენებისა და განადგურების შეუწყვეტელ ცვალებადობას განიცდიან; ამ ცვალებადობაში, მოჩვენებითი შემთხვევებისა და დროებითი უკანდახევის მიუხედავად, ბოლოს მაინც პროგრესული განვითარება ხდება. მაგრამ ერთია ამ აზრის სიტყვიერად აღიარება, და მეორე — მისი ნამდვილი გამოყენება კვლევა-ძიების ყოველ ცალკე შემთხვევაში. ხოლო თუ ყველა ძიების დროს მუდამ ამ თვალსაზრისით ვიხელმძღვანელებთ, საბოლოო პასუხების და მუდმივი ჭეშმარიტების მოთხოვნა ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნება; არასოდეს არ დაგვავიწყდება, რომ ყოველი ჩვენ მიერ შეძენილი ცოდნა აუცილებლად შეზღუდულია, რომ იგი დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომლებშიც იგი შეგვიძენია; ჩვენ უკვე აღარ გვაკრთობს ძველი, დღემდე კიდევ არსებული მეტაფიზიკის დაუძლეველი წინააღმდეგობანი ჭეშმარიტებასა და ცდომილებას, სიკეთესა და ბოროტებას, იგივეობასა და განსხვავებას, აუცილებლობასა და შემთხვევითობას შორის. ჩვენ ვიცით, რომ ამ წინააღმდეგობებს შედარებითი მნიშვნელობა აქვთ: იმას, რაც ახლა ჭეშმარიტებად არის მიჩნეული, ფარული მხარე აქვს, რომელიც მომავალში გამოაშკარავდება, როგორც შეცდომა, ისევე როგორც ის, რაც ახლა შეცდომადაა აღიარებული, ჭეშმარიტ მხარეს შეიცავს, რომლის წყალობით იგი წინათ ჭეშმარიტებად შეიძლებოდა ჩათვლილიყო; ბოლოს ჩვენ ვიცით, რომ აუცილებლობა წმინდა შემთხვევითობათაგან შედგება და ეს მოჩვენებითი შემთხვევითობა ფორმაა, რომლის უკან აუცილებლობა იმალება, და სხვა.

კვლევა-ძიებისა და აზროვნების ძველ მეთოდს, რომელსაც ჰეგელი «მეტაფიზიკურს» უწოდებს, რომელსაც უმთავრესად საქმე ჰქონდა ს ა გ ნ ე ბ თ ა ნ როგორც რაღაც მზამზარეულთან და დამთავრებულთან და რომლის ნაშთები ჯერ კიდევ ღრმად ზის ადამიანთა თავებში, თავის დროზე დიდი ისტორიული გამართლება ჰქონდა. საჭირო იყო საგნების გამოკვლევა, სანამ პროცესების გამოკვლევა გახდებოდა შესაძლებელი. ჯერ ის უნდა გაგვეგო, რას წარმოადგენდა ესა თუ ის საგანი, სანამ მასში მიმდინარე ცვლილე-

ბების ათვისებას შევძლებდით. ასე ხდებოდა ბუნებისმეცნიერებაში. ძველი მეტაფიზიკა, რომელიც საგნებს მზამზარეულად თვლიდა, წარმოდგა ბუნებისმეცნიერებიდან, რომელიც მკვდარი და ცოცხალი ბუნების საგნებს იკვლევდა როგორც მზამზარეულ მოვლენებს. ხოლო როცა ეს კვლევა-ძიება იმდენად გაფართოვდა, რომ შესაძლებელი გახდა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა, ე. ი. იმ ცვლილებათა სისტემატური ვამოკვლევა, რომელთაც ეს საგნები განიცდიან ბუნებაში, მაშინ ძველი მეტაფიზიკის სასიკვდილო საათმა დაჰკრა ფილოსოფიის დარგშიც. მართლაც, თუ ბუნებისმეცნიერება XVIII საუკუნის დასასრულამდე უმთავრესად იყო შ ე მ გ რ ო ვ ე ბ ე ლ ი მეცნიერება დამთავრებული საგნების შესახებ, იგი ჩვენს საუკუნეში არსებითად მ ო მ წ ე ს რ ი გ ე ბ ე ლ მეცნიერებად იქცა, პროცესების მეცნიერებად, მეცნიერებად ამ საგნების წარმოშობისა, განვითარებისა და იმ ურთიერთკავშირის შესახებ, რომელიც ბუნების ამ პროცესებს ერთ დიდ მთლიანობად აერთებს. ფიზიოლოგია, რომელიც მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმების პროცესებს იკვლევს; ემბრიოლოგია, რომელიც ცალკე ორგანიზმის განვითარებას სწავლობს ჩანასახის მდგომარეობიდან მომწიფებამდე; გეოლოგია, რომელიც დედამიწის ზედაპირის თანდათანობით წარმოშობას სწავლობს და სხვ. — ყოველი მათგანი ჩვენი საუკუნის პირმშოა.

ბუნების პროცესების ურთიერთკავშირის შემეცნებამ განსაკუთრებით სამი დიდი აღმოჩენის შემწეობით გადადგა უზარმაზარი ნაბიჯი:

პირველი იყო უჯრედის აღმოჩენა, როგორც ისეთი ერთეულისა, რომლის გამრავლებისა და დიფერენციაციისაგან ვითარდება მცენარისა და ცხოველის მთელი სხეული. ამ აღმოჩენამ არა მარტო დაგვარწმუნა იმაში, რომ ყველა უმაღლესი ორგანიზმის განვითარება და ზრდა ერთ ზოგად კანონს ექვემდებარება, არამედ, ამას გარდა, უჯრედის ცვალებადობის უნარმა გვიჩვენა გზა, რომლითაც ხდება არა მარტო ორგანიზმების ინდივიდუალური განვითარება, არამედ ამაზე მეტიც — მათი სახის ცვლილებაც.

მეორე აღმოჩენა იყო ენერგიის გარდაქმნის კანონი, რომელმაც დაგვიმტკიცა, რომ ყველა, განსაკუთრებით არაორგანულ ბუნებაში მოქმედი, ეგრეთწოდებული ძალები, მექანიკური ძალა და მისი დამატება, ეგრეთწოდებული პოტენციური ენერგია, სითბო, გამოსხივება (სინათლე და სხივური სითბო), ელექტრობა, მაგნეტიზმი, ქიმიური ენერგია, მხოლოდ უნივერსალური მოძრაობის გამოხატუ-

ლების სხვადასხვა ფორმას წარმოადგენენ, ისინი ერთმანეთში გადადიან რაოდენობის განსაზღვრული შეფარდების მიხედვით, ისე რომ, როცა ერთი მათგანის განსაზღვრული რაოდენობა ისპობა, მეორის განსაზღვრული რაოდენობა ჩნდება და, ამრიგად, ბუნების მთელი მოძრაობა ერთი ფორმიდან მეორე ფორმად გარდაქმნის შეუწყვეტელ პროცესს წარმოადგენს.

ბოლოს, მესამე აღმოჩენა დარვინს ეკუთვნის; მან პირველად დაამტკიცა სისტემატურად, რომ დღეს ჩვენს გარშემო არსებული ორგანიზმები, მათ შორის ადამიანიც, ხანგრძლივი განვითარების პროცესის შედეგად წარმოიშვნენ რამდენიმე თავდაპირველად ერთუჯრედიანი ჩანასახებიდან, ხოლო ეს ჩანასახები თავიანთი მხრივ ქიმიურად წარმოშობილი პროტოპლაზმიდან ან ცილიდან განვითარდნენ.

ამ სამი დიდი აღმოჩენისა და ბუნებისმეცნიერების სხვა მნიშვნელოვან წარმატებათა წყალობით ჩვენ შეგვიძლია გამოვარკვიოთ არა მარტო ის კავშირი, რომელიც ბუნებაში ცალკე დარგების პროცესებს შორის არსებობს, არამედ ისიც, რომელიც ამ ცალკე დარგებს აკავშირებს. ამრიგად, თვით ემპირიული ბუნებისმეცნიერების მიერ მოპოვებული ფაქტები საშუალებას გვაძლევენ ბუნებაში არსებული კავშირის ერთი მთლიანი და საკმაოდ სისტემატური სურათი შევადგინოთ. ასეთი ზოგადი სურათის შედგენა წინათ ეგრეთწოდებული ნატურფილოსოფიის ამოცანას შეადგენდა. მაგრამ იგი ამას აღწევდა მხოლოდ იმით, რომ მისთვის ჯერ კიდევ უცნობი ნამდვილი კავშირის მაგივრად იდეალურ, ფანტასტიკურ კავშირს თხზავდა. ხოლო ფაქტების დანაკლისს აზროვნებითი საბეებით ანაზღაურებდა, ნამდვილ ხარვეზებს მხოლოდ ფანტაზიაში ავსებდა. ამ გზით მან ზოგიერთი გენიოსური აზრი გამოთქვა, ზოგიერთი შემდგომი აღმოჩენა წინასწარ განჭვრიტა, მაგრამ, როგორც ეს სხვაგვარად შეუძლებელი იყო, ბევრი უაზრობაც გამოაფინა. დღეს კი, როცა საკმარისია ბუნების კვლევა-ძიების შედეგებს მხოლოდ დიალექტიკურად, ე. ი. მათი საკუთარი კავშირის თვალსაზრისით შევხედოთ, რათა ჩვენი დროისთვის დამაკმაყოფილებელი «ბუნების სისტემა» მივიღოთ, დღეს, როცა ამ კავშირის დიალექტიკური ხასიათის შეგნებამ თვით ბუნებისმეცნიერთა მეტაფიზიკურად გამობრძმედილი თავები გამსჭვალა მათი სურვილის წინააღმდეგ, ნატურფილოსოფია საბოლოოდ დასამარებულია. მისი გამოცოცხლების ყოველი ცდა არა მარტო ზედმეტი, არამედ უკანდახევის მომასწავებელიც იქნებოდა.

(მაგრამ რაც ითქმის ბუნებაზე, რომელიც ამიერიდან ჩვენ გვესმის როგორც ისტორიული განვითარების პროცესი, იგივე ითქმის აგრეთვე საზოგადოების ისტორიის ყოველ დარგზე და ყველა იმ მეცნიერებაზე, რომელთაც ადამიანურ (და ღვთაებრივ) საგნებთან აქვთ საქმე.) აქაც ისტორიის, სამართლის, რელიგიის და სხვ. ფილოსოფია იმაში მდგომარეობდა, რომ ნამდვილი კავშირის მაგივრად, რომელიც მოვლენებში უნდა იქნეს გამომჟღავნებული, იგი ფილოსოფოსის მიერ მოგონილ კავშირს აბამდა; (ისტორიას მთლიანად, ისევე როგორც ყოველ მის ცალკეულ ნაწილს იდეების თანდათანობით განხორციელებად თვლიდნენ, ამასთან, რასაკვირველია, ეს იდეები თვით ამა თუ იმ ფილოსოფოსის საყვარელი იდეები იყო. ამ თვალსაზრისის მიხედვით ისტორია შეუგნებლად, მაგრამ აუცილებლად რომელიმე წინასწარგარკვეული იდეალური მიზნისკენ მიისწრაფოდა; ჰეგელისთვის, მაგალითად, ასეთი მიზანი მისი აბსოლუტური იდეის განხორციელება იყო) და შეუდრეკელი მისწრაფება ამ მიზნისაკენ, მისი აზრით, ისტორიულ მოვლენათა შინაგან კავშირს შეადგენდა. ამგვარად, ნამდვილი, ჯერ კიდევ უცნობი კავშირის ადგილს ახალი, შეუცნობელი ან თანდათან ცნობიერებისაკენ მიმავალი მისტიკური განგება იჭერდა. მაშასადამე, აქაც, ისევე როგორც ბუნების სფეროში, საჭირო იყო მოგონილი ხელოვნური კავშირის მაგივრად ნამდვილი ურთიერთობის აღმოჩენა; ეს ამოცანა, ბოლოს და ბოლოს, მოძრაობის ზოგადი კანონების აღმოჩენას უდრიდა, რომელნიც ადამიანთა საზოგადოების ისტორიას განაგებენ.

მაგრამ საზოგადოების განვითარების ისტორია ერთ პუნქტში არსებითად განსხვავდება ბუნების განვითარების ისტორიისაგან. ბუნებაში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ადამიანის უკუმოქმედებას ბუნებაზე) შეუგნებელი, ბრმა ძალები მოქმედებენ ერთიმეორეზე და ზოგადი კანონი მხოლოდ მათ ურთიერთქმედებაში აშკარავდება. აქ არსად ჩანს შეგნებულად დასახული მიზანი არც ურიცხვ, მოჩვენებით შემთხვევითობაში, რომელნიც ზედაპირზე ჩანან, არც საბოლოო შედეგებში, რომელნიც ამ შემთხვევითობათა შინაგან კანონზომიერებას ამჟღავნებენ. პირიქით, საზოგადოების ისტორიაში ცნობიერებით დაჯილდოებული ადამიანები მოქმედებენ, რომელთაც განსაზღვრული მიზნებისაკენ მოსაზრება ან ვნება ამოძრავებს; აქ არაფერი ხდება შეგნებული განსაზღვრის, სასურველი მიზნის გარეშე. მაგრამ რარიგ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ეს განსხვავება განსაკუთრებით ცალკე ეპოქების და ამბების ისტო-

რიული გამოკვლევისათვის, მას არ ძალუძს შეცვალოს ის ფაქტი, რომ ისტორიის მსვლელობას შინაგანი ზოგადი კანონები განაგებს. მართლაც, აქაც, მოვლენათა ზედაპირზე, ცალკე პირების შეგნებულად დასახული მიზნების მიუხედავად, მთლიანად და საკუთრივ მოჩვენებითი შემთხვევითობა მეფობს. სასურველი იშვიათად სრულდება: უმეტეს შემთხვევაში ადამიანის მიერ დასახული მიზნები ან ერთიმეორეს ეჯახებიან და ეწინააღმდეგებიან ან მიუღწეველნი არიან თავისთავად ან საშუალებათა ნაკლებობის გამო. ამრიგად, ურიცხვ ცალკე მისწრაფებათა და ცალკე მოქმედებათა შეჯახება ისტორიულ ასპარეზზე ისეთ მდგომარეობას ქმნის, რომელიც საკუთრივ ჰგავს არაცნობიერ ბუნებაში გაბატონებულ მდგომარეობას. მოქმედთა მიზნები სურვილითაა დასახული, მაგრამ შედეგები, რომელნიც მოქმედებათაგან ნამდვილად გამომდინარეობენ, სრულიადაც არასასურველია, ან თუმცა შეიძლება თავდაპირველად თითქოს დასახულ მიზნებს შეეფერებოდნენ, ბოლოს მაინც არასასურველ შედეგებს იწვევენ. ამრიგად, საერთოდ გვეჩვენება, თითქოს ისტორიულ მოვლენებსაც შემთხვევითობა განაგებს. მაგრამ სადაც ზედაპირზე შემთხვევითობა ბატონობს, იქ თვით ეს შემთხვევითობა ყოველთვის ფარულ, შინაგან კანონებს ექვემდებარება, და საქმე მხოლოდ ისაა, რომ ეს კანონები აღმოვაჩინოთ.

ადამიანები ქმნიან თავიანთ ისტორიას, როგორიც უნდა იყოს მისი მსვლელობა: თვითეული ადამიანი თავის საკუთარ, შეგნებულად დასახულ მიზანს მისდევს; მრავალი სხვადასხვა მიმართულებით მოქმედი მისწრაფება და მათი მრავალმხრივი ზემოქმედება გარესამყაროზე შედეგად ისტორიას იძლევა. მაშასადამე, საკითხავია, რა სურთ ამ მრავალ ცალკეულ პიროვნებებს? ნებისყოფა განისაზღვრება ან ვნებათაღელვით ან მოფიქრებით. მაგრამ ის ბერკეტები, რომელნიც უშუალოდ ვნებათაღელვას ან მოფიქრებას განსაზღვრავენ, სხვადასხვაგვარნი არიან. ისინი ნაწილობრივ შეიძლება გარეგანი საგნები იყვნენ, ნაწილობრივ იდეალური მოტივები: პატივმოყვარეობა, «აღფრთოვანება ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისათვის», პირადი სიძულვილი ან კიდევ სხვადასხვანაირი პირადი ჟინი. მაგრამ, ერთი მხრივ, ჩვენ დავინახეთ, რომ ისტორიაში მოქმედი მრავალი ცალკე მისწრაფება უმეტეს ნაწილად წინასწარ დასახულს კი არა, პირდაპირ საწინააღმდეგო შედეგს იწვევს; ამიტომ მოტივებს საერთო შედეგისათვის მხოლოდ დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს. მეორე მხრივ, ახალი საკითხი იბადება: როგორი მამოძრავებელი ძალები იმალებიან ამ მოტივების უკან,

როგორია ის ისტორიული მიზეზები, რომელნიც მოქმედ ადამიანთა თავებში ასეთ მოტივებად იქცნენ?

ძველ მატერიალიზმს თავისთავისთვის არასოდეს არ დაუსვამს ეს კითხვა. მისი თვალსაზრისი ისტორიაზე, თუკი მას საერთოდ ჰქონდა ასეთი თვალსაზრისი, ამის გამო არსებითად პრაგმატისტული იყო და ყოველივეს მოქმედების მოტივებით ზომავდა, ისტორიულ მოღვაწეებს ზოგს კეთილშობილად თვლიდა, ზოგს არაკეთილშობილად, ამათგან, მისი აზრით, პირველნი ჩვეულებრივ მარცხდებიან, ხოლო მეორენი იმარჯვებენ. აქედან ძველი მატერიალიზმისათვის ის გამომდინარეობს, რომ ისტორია ბევრს არაფერს გვასწავლის სანუგეშოსო; ხოლო ჩვენთვის კი ის გამომდინარეობს, რომ ისტორიის ასპარეზზე ძველი მატერიალიზმი თავის თავს ღალატობს, რადგან იგი მოქმედ იდეალურ მამოძრავებელ ძალებს უკანასკნელ მიზეზებად თვლის, იმის მაგივრად, რომ გამოარკვიოს, რა იმალება მათ უკან, რა არის ამ მამოძრავებელი ძალების მამოძრავებელი ძალა. (ძველი მატერიალიზმის არათანამიმდევრულობა იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ იგი ი დ ე ა ლ უ რ ი მამოძრავებელი ძალების არსებობას აღიარებდა, არამედ იმაში, რომ უფრო შორს არ მიდიოდა და ამ უკანასკნელთა მამოძრავებელ მიზეზებს არ არკვევდა.) პირიქით, ისტორიის ფილოსოფია, განსაკუთრებით როგორც იგი ჰეგელის მიერაა წარმოდგენილი, აღიარებს, რომ ისტორიული მოღვაწეების როგორც აშკარად შესამჩნევი, ისე ნამდვილად მოქმედი მოტივები სრულიადაც არ წარმოადგენენ ისტორიული მოვლენების უკანასკნელ მიზეზებს, ამ მოტივების უკან სხვა მამოძრავებელი ძალები დგას და საჭიროა მათი გამორკვევა; მაგრამ ისტორიის ფილოსოფია ამ ძალებს თვით ისტორიაში კი არ ეძებდა, არამედ ისინი გარედან, ფილოსოფიური იდეოლოგიიდან შეჰქონდა ისტორიაში. მაგალითად, იმის მაგივრად, რომ ძველი საბერძნეთის ისტორია მისი საკუთარი ამბების შინაგანი კავშირით ახსნას, ჰეგელი უბრალოდ ამტკიცებს, იგი მხოლოდ «მშვენიერი ინდივიდუალობის ფორმების» შემუშავებაა, «ხელოვნების ნაწარმოების» როგორც ასეთის განხორციელებაა და მეტი არაფერიო. ამასთან დაკავშირებით იგი ძველ ბერძნებზე მრავალ მშვენიერ და ღრმა აზრს გამოთქვამს, მაგრამ დღეს ჩვენი დაკმაყოფილება აღარ შეიძლება ასეთი ახსნა-განმარტებით, იგი უბრალო ფრაზებია და მეტი არაფერი.

(მაშასადამე, როცა საქმე ეხება იმ მამოძრავებელი ძალების გამოკვლევას, რომელნიც შეგნებულად თუ შეუგნებლად (ძალიან

ხშირად შეუგნებლად) ისტორიულ მოღვაწეთა მოტივების უკან დგანან და ისტორიის ნამდვილი უკანასკნელი მამოძრავებელი ძალები არიან, ყურადღება უნდა მიექცეს არა იმდენად ცალკეულ, თუნდ უშესანიშნავესი ადამიანების მოტივებს, რამდენადაც იმ მოტივებს, რომელნიც ხალხთა დიდ მასებს, მთელ ერებს და თვითეულ ერში კიდევ მთელ კლასებს ამოძრავებენ; აქაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა ხანმოკლე აფეთქება და სწრაფწარმავალი აღგზნება, არამედ დიდი ისტორიული ცვლილების გამომწვევი ხანგრძლივი მოქმედება. ერთადერთი გზა იმ კანონების შესაცნობად, რომელნიც ისტორიაში ბატონობენ საერთოდ ან ცალკეულ პერიოდებსა და ქვეყნებს განაგებენ, იმ მამოძრავებელი მიზეზების გამოკვლევაა, რომელნიც მოქმედი მასებისა და მათი ბელადების, ე. წ. დიდი ადამიანების, თავებში შეგნებული მოტივების სახით იხატებიან ნათლად ან ბუნდოვნად, უშუალოდ ან იდეოლოგიურ, თვით ფანტასტიკურ სამოსელში გახვეული. ადამიანის თავში უნდა განვლოს ყველაფერმა, რაც მას ამოძრავებს; მაგრამ თუ როგორ სახეს მიიღებს ეს მის თავში, დიდად არის დამოკიდებული გარემოებაზე. მუშები დღეს მანქანებს აღარ ამტვრევენ, როგორც ამას, მაგ., 1848 წელს რაინის პროვინციაში შვრებოდნენ. მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მანქანების კაპიტალისტურ გამოყენებას შეურიგდნენ.

მაგრამ თუ ყველა წინანდელ ეპოქაში ისტორიის ამ მამოძრავებელი მიზეზების გამოკვლევა თითქმის შეუძლებელი იყო, შედეგებთან მათი კავშირის დახლართულობისა და დაფარულობის გამო, ჩვენმა თანამედროვე ეპოქამ ეს კავშირი იმდენად გაამარტივა, რომ შესაძლებელი გახდა საიდუმლოების ახსნა. ინგლისში მსხვილი მრეწველობის შემოღების დროიდან, მაშასადამე, 1815 წელს ევროპაში დამყარებული ზავის შემდეგ, არავისთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ამ ქვეყანაში მთელი პოლიტიკური ბრძოლის ღერძს წარმოადგენდა ბატონობისადმი ორი კლასის მისწრაფება, ერთი კლასი იყო მიწათმფლობელი არისტოკრატია (landed aristocracy), ხოლო მეორე — ბურჟუაზია (middle class). საფრანგეთშიც ბურბონების აღდგენის შემდეგ შეგნებაში იგივე ფაქტი შეიჭრა. რესტავრაციის ეპოქის ისტორიკოსები ოგიუსტ ტიერიდან დაწყებული გიზოსა, მინიესა და ლუი-ადოლფ ტიერამდე, ყველგან ამ გარემოებას აღნიშნავენ და მას, შუა საუკუნეების შემდეგ, საფრანგეთის ისტორიის გასაღებად თვლიან. 1830 წლიდან კი ბატონობისათვის მესამე მებრძოლად ორივე სახელმწიფოში

მუშათა კლასი, პროლეტარიატი, იქნა აღიარებული. ურთიერთობა მეტისმეტად გამარტივდა; ყოველი თვალხილული ადამიანისათვის აშკარა გახდა, რომ თანამედროვე ისტორიის მამოძრავებელი ძალა, განსაკუთრებით ზემოდასახელებულ ორ ყველაზე უფრო დაწინაურებულ ქვეყანაში, ამ სამი დიდი კლასის ბრძოლასა და ინტერესთა შეჯახებაში მდგომარეობს.

მაგრამ როგორ წარმოიშვნენ ეს კლასები? თუ ერთი შეხედვით კიდევ შეიძლებოდა მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის წარმოშობის ახსნა, ყოველ შემთხვევაში თავდაპირველად, პოლიტიკური მიზეზებით, სახელდობრ, ძალადობით, — ასეთი ახსნა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს აღარ უდგებოდა. სრულიად აშკარა იყო, რომ ამ ორი დიდი კლასის წარმოშობა და განვითარება წმინდა ეკონომიური მიზეზებით აიხსნებოდა. აშკარა იყო ისიც, რომ ბრძოლა მიწათმფლობელობასა და ბურჟუაზიას შორის, ისევე როგორც ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიური ინტერესებისათვის წარმოებდა, პოლიტიკური ხელისუფლება კი მხოლოდ ამ ინტერესების დასაცავი საშუალება იყო. ბურჟუაზია და პროლეტარიატი წარმოიშვნენ ეკონომიური ურთიერთობის, უფრო სწორად, წარმოების წესის ცვლილების წყალობით. ამ ორი კლასის განვითარება გამოიწვია ჯერ საამქრო ხელოსნობის გადასვლამ მანუფაქტურაში, ხოლო შემდეგ მანუფაქტურისა — მსხვილ მრეწველობაში, რომელიც ორთქლითა და მანქანებით მუშაობს. განსაზღვრულ საფეხურზე ბურჟუაზიის მიერ ამოძრავებული ახალი მწარმოებელი ძალები — უწინარეს ყოვლისა შრომის დანაწილება და მრავალი ასეთი ნაწილობრივი მუშის შეერთება ერთ მთლიან მანუფაქტურაში — და მათი შემწეობით განვითარებული აღებ-მიცემობის პირობანი და მოთხოვნილებანი შეუთავსებელი გახდნენ არსებულ, ისტორიულად ნაანდერძევ და დაკანონებულ წარმოების წესთან, ე. ი. ფეოდალური საზოგადოებრივი წესწყობილების ამქრულ და ურიცხვ სხვა პირად და ადგილობრივ პრივილეგიებთან (რომელნიც უპრივილეგიო წოდებათათვის ასევე ურიცხვ ბორკილებს წარმოადგენდნენ). ბურჟუაზიის სახით წარმოდგენილი მწარმოებელი ძალები აჯანყდნენ წარმოების იმ წესის წინააღმდეგ, რომლის წარმომადგენლები ფეოდალური მიწათმფლობელები და ამქრის ოსტატები იყვნენ. ცნობილია, როგორ დამთავრდა ეს ბრძოლა. ფეოდალური ბორკილები დაიმსხვრა: ინგლისში თანდათან, საფრანგეთში ერთის დაკვრით, გერმანიას კი მათთვის ჯერ კიდევ სავსებით თავი ვერ გაურთმევია. მაგრამ რო-

გორც განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ფეოდალური წარმოების წესს მანუფაქტურა შეეჯახა, ისე მის ადგილას დამყარებულ ბურჟუაზიულ წარმოების წესს ამჟამად უკვე მსხვილი მრეწველობა ეჯახება. ეს მრეწველობა შებოჭილია ამ წყობილებით, კაპიტალისტური წარმოების წესის ვიწრო ჩარჩოებით. იგი, ერთი მხრივ, ხალხის უდიდეს მასებს განუწყვეტლივ აპროლეტარებს, ხოლო მეორე მხრივ, პროდუქტების უფრო და უფრო დიდ მასას აწარმოებს, ისე რომ შეუძლებელი ხდება მათი გასაღება. ჭარბი წარმოება მასობრივ სიღატაკეს იწვევს, მასობრივი სიღატაკე ჭარბ წარმოებას — ასეთია ის უაზრო წინააღმდეგობა, რომელსაც მსხვილი მრეწველობა მიადგა და რომელიც დაჟინებით მოითხოვს, რომ მწარმოებელი ძალები ბორკილებისაგან განთავისუფლდეს წარმოების წესის შეცვლის საშუალებით.

ამგვარად, უახლესი ისტორიისათვის მაინც დამტკიცებულია, რომ ყოველი პოლიტიკური ბრძოლა კლასობრივი ბრძოლაა, ხოლო ყოველი კლასობრივი განმათავისუფლებელი ბრძოლა, მისი აუცილებელი პოლიტიკური ფორმის მიუხედავად, — იმიტომ რომ ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა, — ბოლოს და ბოლოს, ეკონომიური განთავისუფლების გარშემო ტრიალებს. მაშასადამე, უახლეს ისტორიაში მაინც, სახელმწიფო, პოლიტიკური წესწყობილება, დაქვემდებარებული ელემენტია, ხოლო სამოქალაქო საზოგადოება, ეკონომიური ურთიერთობის სამეფო — განმსაზღვრელი ელემენტი. ტრადიციული შეხედულება კი, რომელსაც ჰეგელიც იზიარებდა, სახელმწიფოს განმსაზღვრელ ელემენტად თვლიდა, სამოქალაქო საზოგადოებას კი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ელემენტად. პირველი შეხედვით ეს თითქოს სწორია. მართლაც, როგორც თვითეული ცალკე ადამიანის სამოქმედო მოტივმა მის თავში უნდა გაიაროს და მისი ნებისყოფის სტიმულად იქცეს, რათა მოქმედება გამოიწვიოს, ისევე სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნილებებმაც, სულ ერთია რომელი კლასიც უნდა ბატონობდეს, სახელმწიფოს ნებისყოფაში უნდა განვლოს, რათა კანონის ფორმაში საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობა მოიპოვოს. ესაა საქმის ფორმალური მხარე, რომელიც თავისთავად ვასაგებია. მაგრამ იბადება კითხვა: როგორია ამ ფორმალური ნებისყოფის შინაარსი, იქნება იგი ცალკე პირისა თუ მთელი სახელმწიფოსი, საიდან წარმოღგება ეს შინაარსი, რატომ ხდება, რომ ადამიანებს სწორედ ეს სურთ და არა სხვა რაიმე. პასუხის ძიების დროს ვხედავთ, რომ თანამედროვე ისტორიაში სახელმწიფოებრივი ნების-

ყოფა. საერთოდ და მთლიანად, განისაზღვრება სამოქალაქო საზოგადოების ცვალებადი მოთხოვნილებებით, ამა თუ იმ კლასის ბატონობით, ხოლო საბოლოო ანგარიშით მწარმოებელი ძალებისა და გაცვლითი ურთიერთობის განვითარებით.

თუ ჩვენს დროშიც, როცა წარმოების და მიმოსვლის საშუალებანი ასე ძალოვნად არიან განვითარებულნი, სახელმწიფო არ წარმოადგენს დამოუკიდებელ დარგს, რომელიც დამოუკიდებლად ვითარდებოდეს, არამედ მისი როგორც არსებობა, ისე განვითარება საბოლოო ანგარიშით საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიურ პირობებზეა დამოკიდებული, მით უმეტეს ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო ყველა წინანდელ ეპოქაში, როცა ადამიანის მატერიალური ცხოვრების წარმოებისათვის ასეთი მდიდარი დამხმარე საშუალებანი არ არსებობდნენ, მაშასადამე, ამ წარმოების აუცილებლობას კიდევ მეტი ბატონობა უნდა ჰქონოდა ადამიანზე. თუ დღესაც, მსხვილი მრეწველობისა და რკინიგზების ეპოქაში, სახელმწიფო, საერთოდ და მთლიანად, მხოლოდ წარმოებაში გაბატონებული კლასის ეკონომიური საჭიროების გამომხატველია კონცენტრირებული ფორმით, ეს მით უმეტეს უნდა ყოფილიყო იმ ეპოქაში, როცა ადამიანთა მთელი თაობა იძულებული იყო თავისი სასიცოცხლო დროის გაცილებით უფრო დიდი ნაწილი მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის შეეწირა და, მაშასადამე, ბევრად უფრო დამოკიდებული იყო ამ მოთხოვნილებებზე, ვიდრე ჩვენ ვართ დღეს. ეს აშკარად მტკიცდება წინანდელი ეპოქების ისტორიის კვლევა-ძიებით, თუკი ეს კვლევა-ძიება საკითხის ამ მხარეს სერიოზულ ყურადღებას აქცევს; მაგრამ აქ, რასაკვირველია, ჩვენ ასეთ კვლევა-ძიებას ვერ შევუდგებით.

თუ სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი სამართალი ეკონომიური ურთიერთობით განისაზღვრება, მაშინ, რასაკვირველია, იგივე უნდა ითქვას სამოქალაქო სამართალზეც, რომელიც არსებითად აკანონებს მხოლოდ არსებულ, მოცემულ გარემოებაში ნორმალურ, ეკონომიურ ურთიერთობას კერძო პირებს შორის. მაგრამ ფორმა, რომელშიაც ეს დაკანონება ხდება, შეიძლება მეტად სხვადასხვაგვარი იყოს. შესაძლებელია, მაგალითად, როგორც ეს მოხდა ინგლისში მთელი მისი ეროვნული განვითარების მსვლელობასთან შეფარდებით, ძველი ფეოდალური სამართლის ფორმების უმეტესი ნაწილის შენარჩუნება და მათთვის ბურჟუაზიული შინაარსის მიცემა, თვით ფეოდალური სახელებისთვის პირდაპირ ბურჟუაზიული აზრის მიკუთვნება. მაგრამ შესაძლებელია მოხდეს ისე, როგორც

კონტინენტურ დასავლეთ ევროპაში, სადაც საფუძვლად მიიღეს პირველი მსოფლიო სამართალი საქონლის მწარმოებელთა საზოგადოებისა, ე. ი. რომაული სამართალი. ამ სამართალს შეუდარებლად მკაფიოდ აქვს შემუშავებული უბრალო საქონელმფლობელთა ყველა არსებითი სამართლებრივი ურთიერთობა (მყიდველი და გამყიდველი, კრედიტორი და მოვალე, ხელშეკრულება, ვალდებულება და სხვ.). ამასთანავე, შეიძლება ჯერ კიდევ წვრილბურჟუაზიული და ნახევრადფეოდალური საზოგადოების სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ ან უბრალო იურიდიული პრაქტიკით ეს სამართალი ამ საზოგადოების დონემდე დაემდაბლებინათ (ზოგადი გერმანული სამართალი) ან იგი ვითომდა განათლებული, ზნეობრივად გაფაქიზებული იურისტების შემწეობით გადაემუშავებინათ ამ საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაფერ კანონთა კრებულად, რომელიც ასეთ შემთხვევაში იურიდიულადაც არადამაკმაყოფილებელი იქნება (პრუსიის საერობო სამართალი). ბოლოს, შეიძლება, დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, იმავე რომაული სამართლის საფუძველზე, ბურჟუაზიული საზოგადოების ისეთი კლასიკური კანონთა კრებული შემუშავდეს, როგორიცაა ფრანგული სამოქალაქო კოდექსი. მაშასადამე, თუ სამოქალაქო სამართლის ნორმები მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიური პირობების იურიდიულ გამოხატულებას წარმოადგენენ, ეს გამოხატვა გარემოების მიხედვით ხან კარგად ხდება, ხან ცუდად.

სახელმწიფო წარმოადგენს პირველ იდეოლოგიურ ძალას, რომელიც ადამიანებს იმორჩილებს. საზოგადოება ქმნის ორგანოს თავისი საერთო ინტერესების დასაცავად შინაგანი და გარეგანი თავდასხმისაგან. ეს ორგანო სახელმწიფოებრივი ხელისუფლებაა. მაგრამ წარმოშობისთანავე ეს ორგანო დამოუკიდებელი ხდება საზოგადოების მიმართ, ეს დამოუკიდებლობა მატულობს მით უფრო, რაც უფრო იქცევა სახელმწიფო ერთი რომელიმე კლასის ორგანოდ და პირდაპირ ამ კლასის ბატონობას ახორციელებს. დაჩაგრული კლასის ბრძოლა გაბატონებული კლასის წინააღმდეგ აუცილებლად პოლიტიკურ ხასიათს იღებს, იგი უწინარეს ყოვლისა ამ უკანასკნელის პოლიტიკური ბატონობის წინააღმდეგაა მიმართული. ამ პოლიტიკურ ბრძოლასა და მის ეკონომიურ საფუძველს შორის კავშირის არსებობის შეგნება სუსტდება და შეიძლება სრულიადაც გაქრეს. შეიძლება თვით ბრძოლის მონაწილეებმა ეს შეგნება შეინარჩუნონ, მაგრამ ისტორიკოსებს იგი თითქმის ყოველთვის აკლიათ, ძველი მემატიანეებიდან, რომელნიც რომის რესპუბლიკაში წარმოებულ

ბრძოლას აღწერდნენ, მხოლოდ აპიანე გვეუბნება ნათლად და გარკვევით, თუ რისთვის ხდებოდა ეგი: მიწათმფლობელობის გულისთვისო.

მაგრამ სახელმწიფო მაშინვე ახალ იდეოლოგიას ქმნის, როგორც კი საზოგადოებისაგან დამოუკიდებელ ძალად იქცევა. პროფესიული პოლიტიკოსების, სახელმწიფო სამართლის თეორეტიკოსებისა და სამოქალაქო სამართლის იურისტების აზროვნებაში ეკონომიურ ფაქტებთან კავშირი სრულიად იკარგება. რადგან ყოველ ცალკე შემთხვევაში ეკონომიურმა ფაქტებმა იურიდიული მოტივების ფორმა უნდა მიიღონ, რათა კანონის სახით ჩამოყალიბდნენ, და რადგან ამასთანავე, თავისთავად გასაგებია, ანგარიში ეწევა მთელ უკვე არსებულ სამართლებრივ სისტემას, ამიტომ გვეჩვენება, რომ იურიდიული ფორმა თითქოს ყველაფერია, ხოლო ეკონომიური შინაარსი არაფერი. სახელმწიფო სამართალი და კერძო სამართალი ვანიხილებიან როგორც თავისთავადი დარგები, რომელთაც დამოუკიდებელი ისტორიული განვითარება აქვთ, რომელნიც თავისთავად ექვემდებარებიან სისტემატურ დალაგებას და ამას კიდეც საჭიროებენ ყველა შინაგანი წინააღმდეგობის თანამიმდევრულად აღმოფხვრის გზით.

კიდევ უფრო მაღალი, ე. ი. მატერიალურ-ეკონომიურ საძირკველს კიდევ უფრო დაშორებული იდეოლოგიები ფილოსოფიისა და რელიგიის ფორმას ღებულობენ. აქ წარმოდგენათა კავშირი მათი მატერიალური არსებობის პირობებთან კიდევ უფრო დახლართული და ბუნდოვანი ხდება შემაერთებელი რგოლების წყალობით. მაგრამ ეს კავშირი მაინც არსებობს. როგორც მთელი აღორძინების ხანა, მეთხუთმეტე საუკუნის შუა წლებიდან დაწყებული, ისე იმ დროიდან ხელახლა გამოღვიძებული ფილოსოფია არსებითად ქალაქების, ე. ი. ბიურგერობის განვითარების ნაყოფი იყო; ეს ფილოსოფია მხოლოდ თავისებურად გამოხატავდა იმ აზრებს, რომლებიც მსხვილ პურჟუაზიაში გარდამავალ წვრილ და საშუალო ბიურგერთა წოდებას შეეფერებოდნენ. ეს ნათლად ჩანს წარსული (XVIII) საუკუნის ფრანგ და ინგლისელ მოაზროვნეებთან, რომელნიც ხშირად ერთსა და იმავე დროს ეკონომისტებიც იყვნენ და ფილოსოფოსებიც, ხოლო რაც შეეხება ჰეგელის სკოლას, ეს ჩვენ ზემოთ დავამტკიცეთ.

მაგრამ თვალი გადავავლოთ რელიგიასაც, რომელიც ყველაზე შორს დგას მატერიალური ცხოვრებისაგან და თითქოს ყველაზე უცხოცაა მისთვის. რელიგია მეტად ადრინდელ, პირველყოფილ ხანაში წარმოიშვა ადამიანის უვიცი, ველური წარმოდგენებიდან თა-

ვისთავისა და გარეგანი ბუნების შესახებ. მაგრამ ყოველი იდეოლოგია, რაკი იგი უკვე წარმოშობილია, არსებულ წარმოდგენათა მასალის გამოყენებით ვითარდება და თავის მხრივ მის შემდგომ დამუშავებას იწვევს; უამისოდ იგი არ იქნებოდა იდეოლოგია, ე. ი. მას საქმე არ ექნებოდა აზრებთან როგორც დამოუკიდებელ არსებებთან, რომელნიც დამოუკიდებლად ვითარდებიან და მხოლოდ თავიანთ საკუთარ კანონებს ემორჩილებიან. ადამიანებს შეცნობილი როდი აქვთ, რომ მათ თავში წარმოებული აზროვნების პროცესს, ბოლოს, ცხოვრების მატერიალური პირობები განსაზღვრავენ. წინაღმდეგ შემთხვევაში ყოველ იდეოლოგიას ბოლო მოეღებოდა ეს პირვანდელი რელიგიური წარმოდგენანი, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში ერთნაირნი არიან მონათესავე ხალხების ჯგუფში, ჯგუფის დაყოფის შემდეგ თვითეულ ხალხში. ცხოვრების პირობების მიხედვით, თავისებურად ვითარდებიან. ეს პროცესი ხალხთა ერთი ჯგუფისათვის, სახელდობრ. არიელებისათვის (ე. წ. ინდოევროპიელებისათვის) შედარებითი მითოლოგიის მიერ დაწვრილებითაა გამოკვლეული. თვითეული ხალხის მიერ შექმნილი ღმერთები ეროვნული ღმერთები იყვნენ, მათი მეუფება არ სცილდებოდა მათ მიერ დასაცავი ეროვნული ტერიტორიის საზღვარს. რომლის იქით სხვა ღმერთების მბრძანებლობა იწყებოდა. ეს ღმერთები ერის წარმოდგენაში არსებობდნენ, ვიდრე თვით ერი ცხოვრობდა; ისინი ემხობოდნენ ერების დამხობასთან ერთად. ძველი ერების ასეთი დამხობა გამოიწვია რომის მსოფლიო იმპერიამ, რომლის წარმოშობის ეკონომიურ პირობებს აქ ვერ განვიხილავთ. ძველი ეროვნული ღმერთები ჩამოქვეითდნენ, ეს ბედი არ ასცდა თვით რომაულ ღმერთებს, რომელნიც ქალაქ რომის ვიწრო ზომაზე იყვნენ გამოჭრილი. მსოფლიო იმპერიის შევსების საჭიროება მსოფლიო რელიგიით აშკარად ჩანს იმაში, რომ რომი შეეცადა შინაური ღმერთების გვერდით ყველა ცოტად თუ ბევრად პატივსადები უცხო ღმერთის თაყვანისცემა შემოეღო და საკურთხეველი აეკო. მაგრამ იმპერატორების დეკრეტებით შეუძლებელია ახალი მსოფლიო სარწმუნოების შექმნა. ახალი მსოფლიო სარწმუნოება, ქრისტიანობა, უკვე შეუმჩნეველად იყო წარმოშობილი განზოგადოებული აღმოსავლური, სახელდობრ, ებრაული თეოლოგიისა და გავულგარებული ბერძნული, განსაკუთრებით სტოიკური, ფილოსოფიის შერწყმისაგან. დღეს მხოლოდ რთული კვლევა-ძიების გზით შეიძლება გავიგოთ, როგორი იყო ქრისტიანობის პირვანდელი სახე, იმიტომ რომ ჩვენ იგი იმ ოფიციალური ფორმით გვაქვს გადმოცემული, როგორიც მას მისცა ნიკეის

6

ფოიერბახს რელიგიური არსება ადამიანურ არსებაზე დაჰ-ყავს. მაგრამ ადამიანური არსება როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. თავის სინამდვილეში იგი საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობაა.

ამიტომ ფოიერბახი, რომელიც ამ ნამდვილი არსების კრიტიკას არ აწარმოებს, იძულებულია:

1. განყენება მოახდინოს ისტორიული მსვლელობისაგან, ფიქსაცია უყოს რელიგიურ გრძნობას (Gemüt) თავისთავად და ადამიანური ინდივიდი იგულისხმოს აბსტრაქტულად, იზოლირებულად.

2. ამიტომ ადამიანური არსება, მისი აზრით, შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ როგორც «მოდგმა», როგორც შინაგანი, მუნჯი ერთობლიობა, რომელიც მხოლოდ ბუნებრივად აკავშირებს მრავალ ინდივიდს.

7

ამიტომ ფოიერბახი ვერ ხედავს, რომ თვით «რელიგიური გრძნობა» საზოგადოებრივი პროდუქტია და რომ განყენებული პიროვნება, რომელსაც იგი ანალიზს უკეთებს, სინამდვილეში საზოგადოების განსაზღვრულ ფორმას ეკუთვნის.

8

საზოგადოებრივი ცხოვრება არსებითად პრაქტიკულია. ყველა მისტერია, რომელსაც თეორია მისტიციზმისკენ მიჰყავს, თავის რაციონალურ ახსნას პოულობს ადამიანის პრაქტიკასა და ამ პრაქტიკის გაგებაში.

9

უმაღლესი პუნქტი, რომელსაც მჭვრეტელობითი მატერიალიზმი აღწევს, ე. ი. მატერიალიზმი, რომელსაც გრძნობადობა არ ესმის როგორც პრაქტიკული მოქმედება, ესაა ცალკე ინდივიდთა ჭვრეტა «საზოგადოებაში».

10

ძველი მატერიალიზმის თვალსაზრისი «სამოქალაქო» საზოგადოებაა; ახალი მატერიალიზმის თვალსაზრისია ადამიანთა საზოგადოება ანუ განსაზოგადოებული კაცობრიობა.

11

ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარტავდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შეცვლილ იქნეს.

დაწერილია კ. მარქსის მიერ 1845 წ. გაზაფხულზე.
პირველად გამოაქვეყნა ფ. ენგელსმა 1888 წ. თავისი შრომის «ლუდვიგ ფოიერბახის» ცალკე გამოცემის დამატებაში.

იბეჭდება 1888 წ. ცალკე გამოცემის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია კ. მარქსის ხელნაწერთან.
თარგმანი გერმანულიდან.

ფ. ენგელსი

წინასიტყვაობა შრომისა «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში»

ეს წიგნი, რომელიც ამ გამოცემით გერმანელი საზოგადოებისათვის კვლავ ხელმისაწვდომი ხდება, პირველად 1845 წლის ზაფხულს გამოქვეყნდა. როგორც ლირსების, ისე ნაკლის მხრივ იგი ავტორის ახალგაზრდობის აშკარა დაღს ატარებს. მაშინ მე ოცდათხი წლის ვიყავი. ამჟამად სამჯერ უფრო ხნიერი ვარ, და როდესაც ამ ახალგაზრდობის დროინდელ ნაშრომს ხელახლა ვკითხულობ, ვფიქრობ, რომ მისი სრულიადაც არ უნდა მრცხვენოდეს. ამიტომ მე არც ვაპირებ ახალგაზრდობის ეს დაღი წავშალო მასში. კვლავ ვაწვდი მკითხველს ამ ნაშრომს უცვლელად. მხოლოდ ზოგიერთი, არა მთლად ნათელი, ადგილები უფრო მკვეთრად გამოვთქვი და აქა იქ მოკლე სტრიქონქვეშა შენიშვნები დავუმატე, რომელიც მიმდინარე (1892) წლით არის აღნიშნული.

ამ წიგნის-ბედის შესახებ მხოლოდ ის უნდა აღვნიშნო, რომ 1885 წელს იგი ნიუ-იორკში გამოიცა ინგლისურ ენაზე (თარგმნილი ქ-ნ ფლორენს კელი-ვიშნევეცკაიას მიერ) და რომ ეს თარგმანი ისევ გამოიცა 1892 წელს ლონდონში სვან ზონენშაინის და კომპ. მიერ. ამერიკული გამოცემის წინასიტყვაობა საფუძვლად დაედო ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობას, ხოლო ეს უკანასკნელი— ახლანდელი გერმანული გამოცემის წინასიტყვაობას. თანამედროვე მსხვილი მრეწველობა მის მიერ მოცულ ყველა ქვეყანაში ისე ძლიერ ითანასწორებს ეკონომიურ ურთიერთობებს, რომ გერმანელი მკითხველისათვის იმაზე მეტი არაფერი მაქვს სათქმელი, რაც ამერიკელი და ინგლისელი მკითხველისთვის მითქვამს.

ამ წიგნში აღწერილი საქმის ვითარება ამჟამად, ყოველ შემთხვევაში რამდენადაც ეს ინგლისს შეეხება, მეტწილად წარსულს ეკუთვნის. თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის კანონი, თუმცა იგი საერთოდ აღიარებულ სახელმძღვანელოებში გარკვევით არ არის გამოთქმული, ის არის, რომ რაც უფრო ვითარდება კაპიტალისტური წარმოება, მით უფრო შეუთავსებელი ხდება იგი მოტყუების და სიცრუის წვრილმან პრაქტიკასთან, რაც მისი განვითარების დაბალ საფეხურებს ახასიათებს. წვრილმანი გაიძვერობა პოლონელი ებრაელისა, რომელიც ევროპული ვაჭრობის წარმომადგენელია მისი განვითარების უდაბლეს საფეხურზე. იგივე ხერხები, რომლებიც მას სამშობლოში საუცხოო სამსახურს უწევს და იქ საყოველთაო გამოყენებას პოულობს, აღარაფრად გამოადგება მას, როგორც კი ის ჰამბურგსა ან ბერლინში ამოჰყოფს თავს. ამგვარადვე, რომელიმე კომისიონერი, ებრაელი ან ქრისტიანი, მანჩესტერის ბირჟაზე ბერლინიდან ან ჰამბურგიდან მისული, მალე რწმუნდებოდა, ყოველ შემთხვევაში ასე იყო ამ ცოტა ხნის წინათ, რომ თუ ნართის ან ქსოვილის ხელსაყრელად ყიდვა უნდოდა, მას, უწინარეს ყოვლისა, ხელი უნდა აეღო იმ თუმცა ცოტათი გაფაქიზებულ, მაგრამ მაინც უგვანო საქციელსა და ეშმაკობაზე, რომელიც მის სამშობლოში ყოველგვარი კომერციული სიბრძნის მწვერვალად ითვლებოდა. მართალია, მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად ბევრი რამ შეიცვალა გერმანიაშიც, და სახელდობრ, ფილადელფიაში გერმანელების მიერ განცდილი სამრეწველო კრახის შემდეგ[1] ფასი დაეკარგა თვით ძველგერმანულ კეთილმეზრანურ წესსაც: ადამიანებს მხოლოდ ამებს, თუ მათ ჯერ კარგ ნიმუშებს გავუგზავნით, ხოლო შემდეგ — ცუდ საქონელსო. და მართლაც, ამ თაღლითობას და გაიძვერობას გასავალი აღარ აქვს დიდ ბაზარზე, სადაც დრო ფულია, სადაც განსაზღვრულ სიმაღლემდე განვითარდა კომერციული მორალი, გამომდინაოე არა სათნო ფანტაზიებიდან, არამედ უბრალო სურვილიდან: ფუჭად არ ჩაიაროს დრომ და შრომამ. და სწორედ ასეთივე ცვლილება მოხდა ინგლისში ფაბრიკანტების დამოკიდებულებაში მუშებთან.

1847 წლის კრიზისის შემდეგ საქმიანობის გამოცოცხლება ახალი სამრეწველო ეპოქის დასაწყისი იყო. პორის კანონებია გაუქმებამ და აქედან აუცილებლად გამომდინარე შემდგომმა საფინანსო

[1] ფილადელფიაში (აშშ) 1876 წ. მოეწყო მსოფლიო სამრეწველო გამოფენა. რ ე დ.

რეფორმებმა სასურველი გასაქანი მისცა ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობას. უშუალოდ ამას შემდეგ კალიფორნიისა და ავსტრალიის ოქროს საბადოები იქნა აღმოჩენილი. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა კოლონიური ბაზრების უნარი ინგლისის მრეწველობის პროდუქტების შეწოვისა. ლანკაშირის მექანიკურმა საქსოვმა დაზგამ ერთბაშად მოუღო ბოლო რამდენიმე მილიონ ინდოელ ფეიქარს. ჩინეთი თანდათან ღია ბაზრად იქცეოდა. მაგრამ ყველაზე მეტად ამერიკა კითარდებოდა, ვითარდებოდა ისეთი სისწრაფით, რაც უჭაგალითო იყო თვით ამ გიგანტური ტემპების ქვეყნისთვის; მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამერიკა მაშინ მხოლოდ კოლონიური ბაზარი იყო და ამასთანავე ყველაზე დიდი ბაზართაგანი, ე. ი. ქვეყანა, რომელსაც გაჰქონდა ნედლეული და საზღვარგარეთიდან— ამ შემთხვევაში ინგლისიდან — შემოჰქონდა სამრეწველო პროდუქტები.

ყოველივე ამას თან დაერთო ისიც, რომ წინა პერიოდის დამლევს შემოღებული ახალი მიმოსვლის საშუალებანი—რკინიგზები და ოკეანის ორთქლის გემები – ახლა საერთაშორისო მასშტაბით განხორციელდა და ამით მათ ფაქტიურად შექმნეს ის, რაც აქამდე მხოლოდ ჩანასახის სახით არსებობდა: მსოფლიო ბაზარი. ეს მსოფლიო ბაზარი იმ დროს ჯერ კიდევ რამდენიმე უმთავრესად ან მარტოოდენ მიწათმოქმედი ქვეყნებისაგან შედგებოდა, რომლებიც შეჯგუფებულნი იყვნენ ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრის—ინგლისის ირგვლივ. ინგლისი მოიხმარდა მათი ნედლეულის გარდაქმნის უდიდეს ნაწილს და სამაგიეროდ აწვდიდა მათთვის საჭიროო სამრეწველო ნაწარმთა მნიშვნელოვან ნაწილს. მაშასადამე, გასაკვირველი არ არის, რომ ინგლისის სამრეწველო პროგრესი კოლოსალური და გაუგონარი იყო, იმდენად ძლიერი, **რომ 1844** წლის მდგომარეობა ამჟამად შედარებით უმნიშვნელოდ **და თითქმის** პირველყოფილად გვეჩვენება.

მაგრამ რა ზომითაც ეს პროგრესი ხდებოდა, იმავე ზომით მსხვილი ინდუსტრიაც, გარეგნული შეხედულებით, მორალური ხდებოდა. ფაბრიკანტების კონკურენცია ერთმანეთს შორის მუშების წვრილმანი გაქურდვით ხელსაყრელი აღარ იყო. მრეწველობის ზრდამ წინ გაუსწრო ფულის მოხვეჭის ამ უბადრუკ საშუალებებს; ნილიონერ ფაბრიკანტს უფრო მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა საკეთებელი, ვიდრე ის, რომ დრო დაეკარგა ასეთ წვრილმან თაღლითობაზე. ასეთი რამ გამოსადეგი იყო მხოლოდ ფულზე ხელმოკლე წვრილი ხალხისათვის, რომელიც ყოველ გროშს უნდა

გამოდევნებოდა, რათა კონკურენციას არ წაელეკა. ასე გაქრა საფაბრიკო ოლქებიდან ეგრეთწოდებული truck system, ხოლო პარლამენტში გაატარდა ბილი ათსაათიანი სამუშაო დღის შესახებ და აგრეთვე მთელი რიგი წვრილი რეფორმები; ყოველივე ეს პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა თავისუფალი ვაჭრობისა და აღვირახსნილი კონკურენციის სულს, მაგრამ ამავე დროს კიდევ უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებდა მსხვილ კაპიტალისტს ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში მყოფ მის კოლეგებთან კონკურენციაში.

შემდეგ. რაც უფრო დიდია სამრეწველო საწარმო, რაც უფრო მეტი მუშაა მასში ჩაბმული, მით უფრო მეტია ზარალი და კომერციული სიძნელეები მუშებთან ყოველი კონფლიქტის დროს. ამიტომ დროთა ვითარებაში გაჩნდა ახალი სული ფაბრიკანტებს შორის, განსაკუთრებით მსხვილ ფაბრიკანტებში. მათ ისწავლეს ზედმეტი კინკლაობისთვის გვერდის ავლა, ანგარიშის გაწევა ტრედ-უნიონების არსებობისა და ძალისთვის და, ბოლოს, აღმოაჩინეს კიდევაც, რომ გაფიცვა, თუ ის თავის დროზეა მოწყობილი, მშვენიერი საშუალებაა მათი საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. ამან გამოიწვია, რომ მსხვილი ფაბრიკანტები, წინათ რომ ბელადობას ეწეოდნენ მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში, ახლა პირველნი მოუწოდებდნენ მშვიდობიანობისა და ჰარმონიისაკენ. და საამისოდ მათ საკმაო საფუძველიც ჰქონდათ.

ყველა ეს დათმობა სამართლიანობისა და ადამიანობისადმი სინამდვილეში წარმოადგენდა მხოლოდ საშუალებას მცირეოდენთა ხელში კაპიტალის კონცენტრაციის დასაჩქარებლად და წვრილი კონკურენტების გასათელავად, რომელთაც ასეთი დამატებითი მოგების გარეშე არ შეეძლოთ არსებობა. მუშის იმ წვრილმანმა შეეიწროებამ, რასაც ადგილი ჰქონდა წინა წლებში, არა მარტო დაჰკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა ამ მცირეოდენთათვის, არამედ ახლა ეს ფართოდ დაყენებული საწარმოს შემაფერხებელიც კი გახდა. ამრიგად, კაპიტალისტური წარმოების განვითარება თავისთავად საკმარისი შეიქნა, ყოველ შემთხვევაში მრეწველობის უმთავრეს დარგებში,—ვინაიდან ნაკლებმნიშვნელოვან დარგებში ეს სრულიადაც არ მომხდარა,—იმისათვის, რომ ყველა ის წვრილი შეეიწროება მოსპობილიყო, რომელიც წინათ მუშის მდგომარეობას აუარესებდა. და, ამრიგად, თანდათან წინა რიგში დადგა ის უმთავრესი ძირითადი ფაქტი, რომ მუშათა კლასის სიღატაკის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა ცალკეულ ნაკლოვანებებში, არამედ **თვით კაპიტალისტურ სისტემაში.** მუშა თავის სამუშაო

ძალას კაპიტალისტზე ჰყიდის განსაზღვრული დღიური ქირით. რამდენიმე საათის მუშაობის შემდეგ იგი უკვე ახდენს ამ ქირის რეპროდუქციას. მაგრამ შრომითი ხელშეკრულების თანახმად მან კიდევ მთელი რიგი საათები უნდა იმუშაოს, რათა თავისი სამუშაო დღე შეავსოს. ღირებულება, რასაც ზედმეტი შრომა ამ დამატებით საათებში აწარმოებს, არის ზედმეტი ღირებულება, რომელიც კაპიტალისტს არად უღირს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის ჯიბეში კი მიდის. ასეთია საფუძველი სისტემისა, რომელიც თანდათან უფრო ანაწევრებს ცივილიზებულ საზოგადოებას, ერთი მხრივ, რამდენიმე როტშილდად და ვანდერბილტად, წარმოების და მოხმარების ყველა საშუალებათა მესაკუთრეებად, ხოლო, მეორე მხრივ,— დაქირავებულ მუშათა ვეება მასად, მარტოოდენ თავიანთი სამუშაო ძალის მესაკუთრეებად. და რომ ამის მიზეზია არა ესა თუ ის მეორეხარისხოვანი სიდუხჭირე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თვით სისტემა, ეს ფაქტი ამჟამად ყველაზე ნათლადაა დამტკიცებული კაპიტალიზმის განვითარებით ინგლისში.

შემდეგ. ხოლერის, ტიფის, ყვავილის და სხვა ეპიდემიების მრავალგზისმა გავრცელებამ ნათლად დაანახვა ინგლისელ ბურჟუას აუცილებელი საჭიროება ქალაქების გაჯანსაღებისა, თუ მას არ სურს ამ ეპიდემიების მსხვერპლი გახდეს მთელ თავის ოჯახთან ერთად. ამიტომაა, რომ ამ წიგნში აღწერილი უსაშინელესი პირობები ამჟამად აღარ არსებობს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად გვეცემა თვალში. მოწყობილია ან გაუმჯობესებულია კანალიზაცია, ფართო ქუჩებია გაკვანილი მთელ რიგ თვით უცუდეს უბნებშიც კი. «პატარა ირლანდია»[1] გაჰქრა, ჯერი ახლა «სევენ დაილზ»-ზეა[2] მიმდგარი. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას? მაინც მთელი რაიონები, რომელნიც 1844 წ. მე კიდევ შემეძლო ამეწერა როგორც თითქმის იდეალიური რაიონები, ამჟამად, ქალაქების ზრდასთან ერთად, ამკვარივე დაცემულ, აუტანელ და ღატაკურ პირობებშია ჩავარდნილი. მართალია, ახლა უკვე აღარ ითმენენ ღორებსა და ნაგვის გროვას. ბურჟუაზიამ შემდგომ წარმატებებს მიაღწია მუშათა კლასის ღატაკური მდგომარეობის შენიღბვის ხელოვნებაში, მაგრამ რაც შეეხება მუშათა ბინებს, ამ მხრივ რომ არსებითი გაუმჯობესება არ მომხდარა, ამას მოწმობს

[1] მანჩესტერის ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოუწყობელი მუშათა უბანი XIX საუკუნის 40-იან წლებში. რ ე დ.

[2]. მუშათა უბანი ლონდონის ცენტრში. რ ე დ.

სამეფო კომისიის 1885 წ. ანგარიში «ღარიბთა საბინაო პირობების შესახებ». და ასეთივე მდგომარეობაა სხვა მხრივაც. პოლიციის ბრძანებები პანტასავით ცვივა; მაგრამ მათ შეუძლიათ მხოლოდ მუშათა სიღატაკის შემოფარგვლა, მოსპობა კი—არა.

მაგრამ მაშინ როდესაც ინგლისი გასცილდა ჩემს მიერ აღწერილი კაპიტალისტური ექსპლოატაციის ადრინდელ მდგომარეობას, სხვა ქვეყნებმა მხოლოდ ახლა მიაღწიეს მას. საფრანგეთი, გერმანია და, უპირველეს ყოვლისა, ამერიკა საშიში მეტოქეები არიან, რომლებიც, როგორც ეს 1844 წელს წინასწარ განვჭვრიტე, თანდათან არღვევენ ინგლისის სამრეწველო მონოპოლიას. მათი მრეწველობა, ინგლისის მრეწველობასთან შედარებით, ახალგაზრდაა, მაგრამ იგი გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ეს უკანასკნელი, და ამჟამად მან თითქმის განვითარების იმავე საფეხურს მიაღწია, რომელზედაც იყო ინგლისის მრეწველობა 1844 წელს. ამერიკის მიმართ ეს შედარება განსაკუთრებით საოცარია. რაკაკვირველია, ამერიკის მუშათა კლასის ცხოვრების გარეგანი პირობები ფრიად განსხვავებულია, მაგრამ იქაც და აქაც ერთი და იგივე ეკონომიური კანონები მოქმედებს, და შედეგები, თუ ყოველმხრივ იდენტური არა, ერთი და იმავე რიგის მაინც უნდა იყოს. ამიტომ ვპოულობთ ამერიკაში იმავე ბრძოლას უფრო მოკლე, კანონით დაწესებული სამუშაო დღისთვის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვებისათვის ფაბრიკებში; ვპოულობთ პროდუქტებით ანაზღაურების სისტემის სრულ აყვავებას და კოტეჯების სისტემას სოფლად, რომელთაც მეწარმეები (bosses), კაპიტალისტები და მათი წარმომადგენლები მუშათა კლასის დამონების საშუალებად იყენებენ. როდესაც 1886 წელს ამერიკულ გაზეთებში ვკითხულობდი ცნობებს პენსილვანიელ მაღაროელთა დიდი გაფიცვის შესახებ კონელსვილის ოლქში, ასე მეგონა, თითქოს ჩემს მიერ აღწერილ, ჩრდილოეთ ინგლისში 1844 წელს მომხდარ, ნახშირის მაღაროელთა გაფიცვას ვკითხულობდი. იგივე მოტყუება მუშებისა ყალბი ზომა-წონით; პროდუქტებით ანაზღაურების იკივე სისტემა; იგივე ცდა მოტეხონ მაღაროელთა წინააღმდეგობა კაპიტალისტების სულ უკანასკნელი გამანადგურებელი საშუალებით: მუშათა გამოსახლებით კომპანიის კუთვნილი ბინებიდან.

არც ამ გამოცემაში და არც ინგლისურში არ ვცდილვარ წიგნი შემეკუებინა საქმის ახლანდელი ვითარებისათვის, ე. ი. ცალ-ცალკე ჩამომეთვალა 1844 წლის შემდეგ მომხდარი ცვლილე-

ბები. ეს აიხსნება ორი გარემოებით. ჯერ ერთი, ამისთვის საჭირო გახდებოდა წიგნის მოცულობის ორჯერ გაზრდა. ხოლო მეორე, მარქსის «კაპიტალის» პირველ ტომში დაწვრილებითაა აღწერილი ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობა დაახლოებით 1865 წ., ე. ი. იმ დროისათვის, როდესაც ინგლისის სამრეწველო აყვავებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ასე რომ მე მომიხდებოდა მარქსის ნათქვამის გაპეორება.

საჭიროც არაა იმის აღნიშვნა, რომ ამ წიგნში გატარებული საერთო თეორიული თვალსაზრისი—ფილოსოფიური, ეკონომიური და პოლიტიკური მხრივ—მთლიანად არ ემთხვევა ჩემს ახლანდელ თვალსაზრისს. 1844 წელს ჯერ კიდევ არ არსებობდა თანამედროვე ინტერნაციონალური სოციალიზმი, რომელიც მას შემდეგ მეცნიერებად განვითარდა უპირველეს ყოვლისა და თითქმის მხოლოდ მარქსის მიღწევების მეოხებით. ჩემი წიგნი მისი ემბრიონალური განვითარების მხოლოდ ერთ ფაზას წარმოადგენს. და როგორც ადამიანის ჩანასახი თავისი განვითარების უადრეს საფეხურებზე ჯერ კიდევ ჩვენი წინაპრების—თევზების—ლაყუჩისებური რკალების რეპროდუქციას ახდენს, ასევე ეს წიგნი ყველგან ამჟღავნებს თანამედროვე სოციალიზმის წარმოშობის კვალს ერთ-ერთი მისი წინაპრიდან—გერმანული კლასიკური ფილოსოფიიდან. ასე, მაგ., წიგნში (განსაკუთრებით ბოლოში) დიდი დოზით არის მოცემული მტკიცება იმის შესახებ, რომ კომუნიზმი არის არა უბრალო პარტიული დოქტრინა მუშათა კლასისა, არამედ—თეორია, რომლის საბოლოო მიზანს შეადგენს მთელი საზოგადოების, კაპიტალისტების ჩათვლით, განთავისუფლება თანამედროვე ურთიერთობათა ვიწრო ჩარჩოებისაგან. აბსტრაქტული აზრით ეს მტკიცება სწორია, მაგრამ პრაქტიკაში იგი უსარგებლოა და კიდევ მეტიც. რამდენადაც მქონებელი კლასები არა თუ არ გრძნობენ განთავისუფლების მოთხოვნილებას, არამედ მთელი ძალღონითაც ეწინააღმდეგებიან მუშათა კლასის თვითგანთავისუფლებას, ამდენად მუშათა კლასმა დამოუკიდებლად უნდა მოამზადოს და განახორციელოს სოციალური რევოლუცია. 1789 წ. ფრანკი ბურჟუებიც ბურჟუაზიის განთავისუფლებას მთელი კაცობრიობის განთავისუფლებად აცხადებდნენ; მაგრამ თავადაზნაურობას და სასულიერო წოდებას არ სურდა ამის დაჯერება; და თუმცა ეს მტკიცება მაშინ, რამდენადაც საქმე ფეოდალიზმს შეეხებოდა, უდავო აბსტრაქტულ ისტორიულ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა, მაინც იგი წმინდა სანტიმენტალურ ფრაზად გადაიქ-

ცა და მთლად გაჭქრა რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში. ამჟამადაც საკმაოდ მოიპოვებიან ადამიანები, რომელნიც ვითომდა თავიანთი მიუდგომელი თვალსაზრისის სიმაღლიდან მუშებს ყოველგვარ კლასობრივ წინააღმდეგობასა და კლასობრივ ბრძოლაზე მაღლა მდგომ სოციალიზმს უქადაგებენ. მაგრამ ასეთები ან გამოუცდელები არიან, რომელებმაც ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლონ, ანდა ისინი მუშათა კლასის დაუძინებელი მტრები, ცხვრის ქურქში გახვეული მგლები არიან.

დიდი სამრეწველო კრიზისების ციკლად ჩემს წიგნში აღებულია ხუთი წელი. ციკლის ხანგრძლივობის ასეთი განსაზღვრა გამომდინარეობდა მოვლენების მსვლელობიდან 1825 წლიდან 1842 წლამდე. მაგრამ მრეწველობის ისტორიამ 1842 წლიდან 1868 წლამდე დაამტკიცა, რომ ნამდვილად ეს პერიოდი ათწლიანია, რომ შუალედი კრიზისები მეორეხარისხოვანი ხასიათის იყო და 1842 წლიდან ისინი თანდათან გაჭქრნენ. 1868 წლიდან საქმის ვითარება ისევ შეიცვალა; მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

მე აზრადაც არ მომსვლია ტექსტიდან ამოვეშალა მრავალი წინასწარმეტყველება და განსაკუთრებით წინასწარმეტყველება მოახლოებული სოციალური რევოლუციის შესახებ ინგლისში, რაც ჩემი ახალგაზრდული სიფიცხით იყო მაშინ ნაკარნახევი. არავითარი საფუძველი არა მაქვს იმისათვის, რომ ჩემი ნაშრომი და თვით საკუთარი თავი იმაზე უკეთ წარმოვიდგინო, ვიდრე ჩვენ ორივენი ვიყავით მაშინ. საკვირველი ის კი არაა, რომ მრავალი ამ წინასწარმეტყველებათაგანი არ ახდა, არამედ ის, რომ მრავალი მათგანი ასრულდა და ინგლისის მრეწველობის კრიტიკული შდგომარეობა, კონტინენტური და განსაკუთრებით ამერიკული კონკურენციის გამო,—რასაც მაშინ, მართალია, მეტად ახლო მომავლისათვის ვწინასწარმეტყველებდი,—მას შემდეგ მართლაც დადგა. ამ პუნქტის მხრივ მე ვალდებული ვარ წიგნი შევეფარდო საქმის თანამედროვე ვითარებას. ამ მიზნით აქ მოვიყვან ჩემს წერილს, რომელიც დაიბეჭდა ინგლისურად ჟურნალში «Commonweal» 1885 წლ. 1 მარტს და გერმანულად ჟურნალ «Neue Zeit»-ის იმავე წლის ივნისის ნომერში (მე-6 რვეული).

«ორმოცი წლის წინათ ინგლისი იდგა კრიზისის წინაშე, რომლის გადაჭრა, აშკარა იყო, რომ მხოლოდ ძალადობით შეიძლებოდა. მრეწველობის გიგანტურმა და სწრაფმა განვითარებამ დიდად წინ გაუსწორა უცხოეთის ბაზრების გაფართოებას და მოთხოვნის ზრდას. ყოველ ათ წელიწადში წარმოების განვითარება ძალადო-

ბით ირღვეოდა საყოველთაო სავაჭრო კრიზისით, რასაც, ქრონიკული შეფერხების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, თან მოსდევდა აყვავების ხანმოკლე პერიოდი, რათა დამთავრებულიყო ისევ ციებ-ცხელების ხასიათის ჭარბი წარმოებით და ბოლოს ახალი კრახით. კაპიტალისტთა კლასი ხმამაღლა მოითხოვდა ხორბლის ვაჭრობის თავისუფლებას და ამის მიღწევას იმუქრებოდა იმ მიზნით, რომ უკანვე დააბრუნებდა ქალაქების დამშეულ მოსახლეობას სოფლებში, საიდანაც ის მოვიდა, მაგრამ დააბრუნებდა, როგორც ჯონ ბრაიტმა თქვა, «არა როგორც ილაჯგაწყვეტილს, რომელიც პურს მათხოვრობს, არამედ როგორც არბიას, რომელიც მტრის ტერიტორიაზე შლის ბანაკს». ქალაქების მუშათა მასები მოითხოვდნენ მონაწილეობას პოლიტიკურ ხელისუფლებაში, მოითხოვდნენ სახალხო ქარტიას; მუშებს მხარს უჭერდა წვრილი ბურჟუაზიის უმრავლესობა, და მათ შორის ერთადერთი განსხვავება ახლოდ ის იყო, ქარტია ძალადობის გზით მოეპოვებინათ თუ კანონის საშუალებით. ამასობაში დაიწყო 1847 წლის სავაჭრო კრიზისი და შიმშილობა ირლანდიაში, და ამათთან ერთად წარმოიშვა რევოლუციის პერსპექტივაც.

«1848 წლის საფრანგეთის რევოლუციამ იხსნა ინგლისის ბურჟუაზია. ძლევამოსილი ფრანგი მუშების სოციალისტურმა ლოზუნგებმა შეაშინა ინგლისის წვრილი ბურჟუაზია და დეზორგანიზაცია შეიტანა ინგლისის მუშათა მოძრაობაში, რაც ვიწრო, მაგრამ პრაქტიკულ ინტერესთა ფარგლებში სწარმოებდა. სწორედ იმ მომენტში, როდესაც ჩარტიზმს მთელი თავისი ძალლონე უნდა განეკითარებინა, მან შინაგანი მარცხი განიცადა, რაც წინ უსწრებდა მის გარეგან მარცხს 1848 წლის 10 აპრილს. მუშათა კლასის პოლიტიკური საქმიანობა უკანა რიგზე დადგა. კაპიტალისტთა კლასმა მთელ ფრონტზე გაიმარჯვა.

«1831 წლის საპარლამენტო რეფორმა წარმოადგენდა კაპიტალისტთა მთელი კლასის გამარჯვებას მიწათმფლობელ არისტოკრატიაზე. სახორბლო ბაჟების გაუქმება იყო მრეწველი კაპიტალისტების გამარჯვება არა მარტო მსხვილ მიწათმფლობელობაზე, არამედ კაპიტალისტთა იმ ჯგუფზეც, რომელთა ინტერესები მეტნაკლებ იდენტური ან მჭიდროდ დაკავშირებული იყო ამ მიწათმფლობელობის ინტერესებთან, ე. ი. ბანკირების, ბირჟის ხალხის, რანტიერთა და ა. შ. ინტერესებთან. თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავდა გადატრიალებას ინგლისის მთელ საშინაო და საგარეო, საფინანსო და სავაჭრო პოლიტიკაში მრეწველი კაპიტა-

ლისტების ინტერესებთან შეფარდებით,— იმ კლასისა, რომელიც ახლა ერს წარმომადგენლობდა. და ეს კლასი სერიოზულად შეუდგა საქმეს. სამრეწველო წარმოების ყოველგვარი დაბრკოლება დაუნდობლად ისპობოდა. საბაჟო ტარიფი და მთელი საგადასახადო სისტემა სრულიად გარდაიქმნა. ყოველივე დაემორჩილა ერთ მიზანს, მაგრამ ისეთ მიზანს, რომელსაც მრეწველი კაპიტალისტებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ყოველგვარი ნედლი მასალის და განსაკუთრებით მუშათა კლასის ყოველგვარ საარსებო საშუალებათა გაიაფებას; ნედლი მასალის წარმოებას და ხელფასის დაბალ დონეზე შეჩერებას, თუ მის კიდევ უფრო შემცირებას არა. ინგლისი «მსოფლიო სახელოსნად» უნდა გადაქცეულიყო; მთელი დანარჩენი ქვეყნები ინგლისისთვის იგივე უნდა გამხდარიყო, რაც უკვე იყო ირლანდია, ე. ი. მის სამრეწველო ნაწარმთა გამსაღებელი ბაზარი და მისთვის ნედლი მასალისა და სურსათის მიმწოდებელი. ინგლისი— მიწათმოქმედი მსოფლიოს დიდი სამრეწველო ცენტრი, მრეწველობის მზე, რომლის გარშემო ბრუნავს ხორბლისა და ბამბის მწარმოებელი პლანეტები, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდება. რა დიდებული სანახაობაა!

«მრეწველი კაპიტალისტები შეუდგნენ ამ თავიანთი დიადი მიზნის განხორციელებას იმ ძლიერი, საღი გონებით და სიძულვილით ტრადიციული პრინციპებისადმი, რომლითაც ისინი მუდამ გამოირჩეოდნენ ფილისტერობით დაავადებული თავიანთი კონტინენტური კონკურენტებისაგან. ჩარტიზმი სულს ღაფავდა. სამეურნეო საქმიანობის ხელახლა აყვავებას, რაც ბუნებრივი და თითქმის გარდაუვალი იყო 1847 წლის კრახის დამთავრების შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალ ვაჭრობას მიაწერდნენ. ამ ორი გარემოების გამო ინგლისის მუშათა კლასი გახდა პოლიტიკური მაჩანჩალა «დიდი ლიბერალური პარტიისა», რომელსაც ფაბრიკანტები ხელმძღვანელობდნენ. ეს ერთხელ მიღწეული ხელსაყრელი მდგომარეობა უნდა გამარადისებულიყო. ჩარტისტების მხურვალე ოპოზიციამ არა თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ, არამედ ერის ერთადერთ სასიცოცხლო საკითხად ამ თავისუფალი ვაჭრობის გადაქცევის წინააღმდეგ, ფაბრიკანტებს დაანახვა და დღითიდღე უფრო და უფრო უჩვენებს იმას, რომ მუშათა კლასის დაუხმარებლად ბურჟუაზია ვერასოდეს ვერ შესძლებს სრულ სოციალურ და პოლიტიკურ ბატონობას ერზე. ასე თანდათან იცვლებოდა ორივე კლასის ურთიერთდამოკიდებულება. საფაბრიკო კანონები, რაც ერთ დროს საფრთხობელა იყო ფაბრიკანტებისათვის,

ახლა მათ მიერ არა მარტო ნებაყოფლობით სრულდებოდა, არა-ზედ. მეტნაკლებ, მრეწველობის ყველა დარგზე გავრცელდა. ტრედ-უნიონებს, ბცირე ხნის წინათ ჯერ კიდევ სახელგატეხილთ რო-გორც ჯოჯოხეთის ქმნილებას, ფაბრიკანტები ახლა ელოლიავებოდ-ნენ და მფარველობას უწევდნენ, როგორც უაღრესად კანონიერ დაწესებულებებს და სასარგებლო საშუალებას მუშებში საღ ეკო-ნომიურ წეხედულებათა გასავრცელებლად. გაფიცვებიც კი, რო-მელთაც ისინი 1848 წლამდე ებრძოდნენ, ახლა ზოგჯერ ფრიად სასარგებლოდ იქნა მიზნეული, განსაკუთრებით თუ ბატონი ფაბ-რიკანტები თვით გამოიწვევდნენ მათ თავიანთთვის ხელსაყრელ დროს. იმ კანონებიდან, რომლებიც მუშას ართმევდნენ თანაბარ უფლებას მის დამქირავებელთან შედარებით, ყველაზე უფრო აღმაშ-ფოთებელი კანონები მაინც გაუქმდა; ხოლო ოდესღაც საშიში სახალხო ქარტია ძირითადად იმავე ფაბრიკანტების პოლიტიკურ პროგრამად გადაიქცა, რომლებიც უკანასკნელ დრომდე მის შემო-ღებას ეწინააღმდეგებოდნენ. საარჩევნო ცენზის გაუქ-მება და საიდუმლო კენჭისყრა საკანონმდებლო წესით გატარდა. 1867 და 1884 წლების საპარლამენტო რეფორმა ძლიერ უახლოვდება საყოველთაო საარჩევნო უფლებას, ყოველ შემთხვევაში ისეთს, როგორიც ამჟამად გერმანიაში არსებობს; საარჩევნო ოლქების პროექტი, რომელსაც პარლამენტი ამჟამად იხილავს, თანაბარ საარჩევნო ოლქებს ქმნის, ყოველ შემთხვევაში საერთოდ არანაკლებ თანაბარს, ვიდრე არის საფ-რანგეთსა ან გერმანიაში. უახლოესი მომავლის უცილობელ მონა-პოვრად დაისახა დეპუტატებისათვის გასამრჯელოს მიცემა და უფრო მოკლე ხანგრძლივობა მანდატებისა, თუ პარ-ლამენტის ყოველწლიურად არჩევა არა; და, ყოველივე ამასთან ერთად არიან ადამიანები, რომელნიც ამბობენ ჩარტიზმი მოკვდაო.

«1848 წლის რევოლუციას, როგორც მრავალ მის წინამორ-ბედს, საოცარი ბედი ხვდა. როგორც კარლ მარქსი იტყოდა, იგივე ადამიანები, რომლებმაც იგი დათრგუნეს, მისივე ანდერძის აღმსრულებელნი გახდნენ. ლუი ნაპოლეონი იძულებული იყო ერ-თიანი და დამოუკიდებელი იტალია შეექმნა; ბისმარკი იძულებუ-ლი იყო ერთგვარი გადატრიალება მოეხდინა გერმანიაში და უნგრეთისთვის განსაზღვრული დამოუკიდებლობა მიეცა, ხოლო ინგლისელ ფაბრიკანტებს სხვა არაფერი რჩებოდათ, თუ არ ის, რომ სახალხო ქარტიისთვის კანონის ძალა მიეცათ.

«მრეწველი კაპიტალისტების ამ ბატონობის შედეგები ინგლისისთვის პირველად განსაცვიფრებელი იყო. მრეწველობა ისევ გამოცოცხლდა და თანამედროვე მრეწველობის ამ აკვნისათვისაც კი გაუგონარი სისწრაფით განვითარდა. ორთქლის და მანქანების გამოყენებით მიღებული ყველა წინანდელი დიდი წარმატებანი არარაობას წარმოადგენდა წარმოების უპძლავრეს აღორძინებასთან შედარებით ოცი წლის განმავლობაში, 1850 წლიდან 1870 წლამდე, შეზიდვა-გაზიდვის ვეება ციფრებით, კაპიტალისტების ხელში დაგროვილი უამრავი სიმდიდრით და გიგანტურ ქალაქებში კონცენტრირებული ადამიანთა სამუშაო ძალით. მართალია, ეს აღმავლობა წყდებოდა, როგორც წინათ, კრიზისების გამეორებით ყოველ ათ წელიწადში; კრიზისი დადგა 1857 წელს და 1856 წელსაც; მაგრამ ასეთი შეწყვეტა ითვლებოდა როგორც ბუნებრივი გარდაუვალი მოვლენა, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია და რაც, ბოლოს და ბოლოს, ისევ მოწესრიგდება.

«როგორი იყო მუშათა კლასის მდგომარეობა ამ პერიოდში? გაუმჯობესება დგებოდა ხანგამოშვებით, უმრავლესობისთვისაც კი. მაგრამ ეს გაუმჯობესება ყოველთვის ისევ ძველ დონეზე დაიყვანებოდა უმუშევართა რეზერვიდან მოდენილი დიდი მასის, ახალი მანქანების მიერ მუშების განუწყვეტელი გაძევებისა და იმ სოფლის მეურნეობის მუშების ქალაქად გადმოსახლების გამო, რომლებსაც ახლა მანქანები აგრეთვე თანდათან აძევებდნენ.

«ხანგრძლივ გაუმჯობესებას ვპოულობთ მუშათა კლასის მხოლოდ ორ პრივილეგიურ ჯგუფში. პირველი მათგანია საფაბრიკო მუშები. კანონის მიერ თუნდაც შედარებით რაციონალური სამუშაო დღის დაწესებამ მათი ფიზიკური ჯანმრთელობა ისევ აღადგინა და მათ ერთგვარი მორალური უპირატესობა მისცა, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს მათი კონცენტრაცია ერთ ადგილას. მათი მდგომარეობა, ეჭვს გარეშეა, უკეთესია, ვიდრე 1848 წლამდე იყო. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ მათ მიერ მოწყობილი ყოველი ათი გაფიცვიდან ცხრა თვით ფაბრიკანტების მიერ არის ხოლმე გამოწვეული საკუთარი ინტერესებისათვის, როგორც ერთადერთი საშუალება წარმოების შესაზღუდავად. თქვენ ვერასოდეს ვერ დაითანხმებთ ფაბრიკანტებს, რომ მათ სამუშაო დრო შეამცირონ, თუნდაც მათი საქონელი გაუსაღებელი რჩებოდეს; მაგრამ მუშები თუ გაფიცვას გამოაცხადებენ, ყველა კაპიტალისტი გამოუკლებლივ თავის ფაბრიკას დახურავს,

«მეორე ჯგუფია მსხვილი ტრედ-უნიონები. ეს არის ორგანიზაციები წარმოების ისეთ დარგებში. სადაც მარტოოდენ ან მეტწილად ასაკოვანი მამაკაცების შრომა გამოიყენება. მათი ორგანიზაციული ძალის გატეხვა აქამდე ვერ შეძლო ვერც ქალებისა და ბავშვების შრომისა და ვერც მანქანების კონკურენციამ. მანქანათმშენებელი მუშების, ხეროების, დურგლების და ამშენებელი მუშების—თვითეული მათგანის ორგანიზაცია თავისთავად იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია, როგორც ამას, მაგ., ამშენებელი მუშები ჩადიან, წარმატებით გაუწიონ წინააღმდეგობა მანქანების შემოღებას. მათი მდგომარეობა, უეჭველია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 1848 წლის შემდეგ; ამას საუკეთესოდ მოწმობს ის გარემოება, რომ ოხუთმეტ წელზე მეტია, რაც არა მარტო დამქირავებელნი ემადლიერებიან მათ, არამედ ისიც მეტისმეტად კმაყოფილი არიან დამქირავებლებით. ისინი არისტოკრატიას წარმოადგენენ მუშათა კლასში; მათ შეძლეს შედარებით კომფორტაბელური მდგომარეობის მოპოვება, და ეს მდგომარეობა მათ საბოლოოდ მიაჩნიათ. ესენი არიან ბატონების ლეონე ლევის და გიფენის (აგრეთვე პატივცემული ლუიო ბრენტანოს) სამაგალითო მუშები, და ისინი მართლაც ფრიად საამო და დასაყოლიებელი ადამიანები არიან ყოველი გონიერი კაპიტალისტისთვის, კერძოდ, და კაპიტალისტთა კლასისთვის, საერთოდ.

«მაგრამ რაც შეეხება მუშათა ფართო მასებს, მათი სიღატაკის და არსებობის არაუზრუნველყოფილობის დონე ამჟამადაც იგივეა, თუ უფრო დაბალი არა, რაც წინათ იყო. ლონდონის ისტ ენდი წარმოადგენს თანდათან გაფართოებულ ჭაობს უსაზღვრო სიღატაკის, სასოწარკვეთილებისა და შიმშილობისა—უმუშევრობის პერიოდში, ხოლო ფიზიკური და მორალური დაცემისა—მუშაობის დროს. და იგივეა ყველა სხვა დიდ ქალაქში, მუშათა პრივილეგიური უმცირესობის გამოკლებით; იგივეა წვრილ ქალაქებსა და სოფლებში. კანონი, რომელიც სამუშაო ძალის ღირებულებას ზღუდავს აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასით, და მეორე კანონი, რომელსაც, როგორც წესი, ამ ძალის საშუალო ფასი საარსებო საშუალებათა მინიმუმზე დაჰყავს,—ორივე ეს კანონი მოქმედებს იმ ავტომატური მანქანის უძლეველი ძალით, რომელიც მუშებს თავისი ბორბლებით სრესს.

«ასეთი იყო, მაშასადამე, თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკით შექმნილი მდგომარეობა 1847 წლიდან და სამრეწველო კაპიტალისტების ბატონობით ოცი წლის განმავლობაში. მაგრამ შემდეგ

მდგომარეობა შებრუნდა. 1866 წლის კრიზისის შემდეგ, მართლაც დადგა მოკლე და სუსტი სამეურნეო გამოცოცხლება დაახლოებით 1873 წელს; მაგრამ ეს დიდხახს არ გაგრძელებულა. მართალია, სრული კრიზისი არ დამდგარა მაშინ, როცა ეს მოსალოდნელი იყო—1877 ან 1876 წელს, მაგრამ 1876 წლიდან მრეწველობის ყველა მთავარი დარგი ქრონიკულ შეფერხებულ მდგომარეობაშია. არ დგება არც სრული კრახი და არც დიდი ხნის სანუკვარი სამეურნეო აყვავება, რომლის მოლოდინის უფლება ჩვენ გვქონდა როგორც კრახის დადგომამდე, ისე მის შემდეგ. მომაკვდინებელი შეფერხება, ქრონიკული ავსება ყველა დარგის ყველა ბაზრისა,—ასეთია მდგომარეობა, რომელშიც უკვე დაახლოებით ათი წელია ვცხოვრობთ. საიდან წარმოდგება იგი?

«თავისუფალი ვაჭრობის თეორიის საფუძველს შეადგენდა შემდეგი დებულება: ინგლისი უნდა შეიქნეს მიწათმოქმედი მსოფლიოს ერთადერთი დიდი სამრეწველო ცენტრიო. მაგრამ ფაქტებმა ეს მოლოდინი სრულიადაც არ გაამართლა. თანამედროვე მრეწველობის პირობები—ორთქლის ძალა და მანქანა—შეიძლება ყველგან შეიქმნას, სადაც კი მოიპოვება საწვავი მასალა, განსაკუთრებით ნახშირი; ხოლო ნახშირი, ინგლისს გარდა, მოეპოვება სხვა ქვეყნებსაც: საფრანგეთს, ბელგიას, გერმანიას, ამერიკას, თვით რუსეთსაც კი. და ამ ქვეყნებში ადამიანები სრულიადაც არ არიან იმ აზრის, რომ ისინი, ინგლისელი კაპიტალისტების დიდებისა და სიმდიდრის გულისათვის ირლანდიელ დამშეულ მოჯარეებად გადაიქცნენ. მათ ააგეს ფაბრიკები და იწყეს წარმოება არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ მთელი დანარჩენი მსოფლიოსათვის; და ამის შედეგად სამრეწველო მონოპოლია, რასაც ინგლისი თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ფლობდა, აქამად სამუდამოდ მოისპო.

«მაგრამ ინგლისის სამრეწველო მონოპოლია ინგლისში არსებული საზოგადოებრივი წყობილების ქვაკუთხედია. ამ მონოპოლიის ბატონობის დროსაც კი ბაზრების გაფართოება კვალდაკვალ ვერ მისდევდა ინგლისის მრეწველობის მზარდ პროდუქტიულობას; ამის შედეგი იყო კრიზისები ყოველ ათ წელიწადში. ამქამად კი ახალი ბაზრები დღითიდღე იშკიათად ჩნდება, იმდენად იშვიათად, რომ ცდილობენ თვით კონგოს ზანგებსაც კი თავს მოახვიონ ცივილიზაცია მანჩესტერის ჩითის, სტაფორდშირის თიხის ჭურჭლეულის და ბირმინგამის ლითონის ნაწარმთა სახით. რაღა იქნება მაშინ, როცა კონტინენტური და განსაკუთრებით ამერიკული საქონლის

მზარდი მასა გამოვა ბაზარზე. როდესაც ლომის წილი, რაც ჯერ კიდევ ინგლისის ფაბრიკებს ეკუთვნის მსოფლიოს მომარაგებაში, წლიდან წლამდე შემცირდება. დაე, ამას პასუხი გასცეს თავისუფალმა ვაჭრობამ, ამ უნივერსალურმა საშუალებამ!

«მე არა ვარ პირველი, რომელიც ამას აღნიშნავს. უკვე 1883 წელს, ბრიტანეთის ასოციაციის ყრილობაზე საუტპორტში ეკონომიური სექციის პრეზიდენტმა ბ-მა ინგლის პალგრეივმა პირდაპირ განაცხადა, რომ მსხვილ მოგებათა მიღების დღეები ინგლისში უკვე გაქრა და მრეწველობის სხვადასხვა მსხვილ დარგთა შემდგომი განვითარება შეჩერდაო. თითქმის იმის თქმაც შეიძლება, რომ ინგლისი უძრავ მდგომარეობაში გადადის.

«მაგრამ რით დაბოლოვდება ყოველივე ეს? კაპიტალისტურ წარმოებას არ შეუძლია სტაბილური იყოს, იგი უნდა იზრდებოდეს და ფართოვდებოდეს, ანდა—უნდა მოკვდეს. უკვე ამჟამად ინგლისის ხვედრი ლომის წილის შეზღუდვა მსოფლიო ბაზრის მომარაგებაში ნიშნავს შეფერხებას, სილატაკეს, კაპიტალის სიჭარბეს, ერთი მხრივ, და უსაქმო მუშათა სიჭარბეს, მეორე მხრივ. რაღა იქნება, როდესაც წარმოების წლიური მატება სრულიად შეწყდება? ეს არის კაპიტალისტური წარმოების აქილევსის ტერფი. მისი სასიცოცხლო პირობაა მუდმივი გაფართოების აუცილებლობა, და ეს მუდმივი გაფართოება ახლა შეუძლებელი ხდება. კაპიტალისტური წარმოება გამოუვალ ჩიხში ემწყვდევა. ყოველ წელს ინგლისის წინაშე სულ უფრო და უფრო მკვეთრად დგება საკითხი: ან ერი უნდა დაიღუპოს, ან კაპიტალისტური წარმოება. რომელს შეხვდება ამ ორში ეს ხვედრი?

«რა ითქმის მუშათა კლასზე? თუ ვაჭრობისა და მრეწველობის გაუგონარი აყვავების დროსაც კი, 1848 წლიდან 1868 წლამდე, მან ასეთი სილატაკე გამოიარა, თუ მაშინაც კი მუშათა დიდი უმრავლესობისათვის, უკეთეს შემთხვევაში, მდგომარეობის მხოლოდ დროებითი გაუმჯობესება დადგა, და მხოლოდ უმნიშვნელო, პრივილეგიურმა და «მფარველობაგაწეულმა» უმცირესობამ მიიღო ხანგრძლივი გაუმჯობესება, რაღა იქნება მაშინ, როდესაც ეს ბრწყინვალე პერიოდი საბოლოოდ დამთავრდება, როდესაც თანამედროვე შევიწროებული მდგომარეობა არა მარტო უფრო გაძლიერდება, არამედ როდესაც მომაკვდინებელი შეფერხების მზარდი მდგომარეობა ინგლისის მრეწველობის ქრონიკულ, ნორმალურ მდგომარეობად გადაიქცევა.

«ეშმარიტება ასეთია: სანამ ინგლისის სამრეწველო მონოპოლია გრძელდებოდა, ინგლისის მუშათა კლასი განსაზღვრული ზომით მონაწილეობას იღებდა ამ მონოპოლიით გამოწვეულ სარგებლობაში. ეს სარგებელი მუშებში მეტად არათანაბრად ნაწილდებოდა: პრივილეგიური უმცირესობა ნთქავდა მის დიდ ნაწილს, მაგრამ, ხანგამოშვებით, უმრავლესობასაც ცოტა რამ ხვდებოდა. ამიტომ მოხდა, რომ ოუენიზმის გაქრობის შემდეგ ინგლისში აღარ იყო სოციალიზმი. მონოპოლიის მოსპობასთან ერთად ინგლისის მუშათა კლასის ეს პრივილეგიური მდგომარეობა მოისპობა. ერთ მშვენიერ დღეს იგი, პრივილეგიური და ხელმძღვანელი უმცირესობის გამოუკლებლად, დაინახავს, რომ იმავე დონეზეა, როგორც სხვა ქვეყნების მუშები. და ამიტომ ინგლისში სოციალიზმი ისევ გაჩნდება».

ასე ვწერდი 1885 წელს. ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობაში 1892 წლის 11 იანვარს მე განვაგრძობდი:

«მხოლოდ ცოტა რამ მინდა დავუმატო საქმის ვითარების იმ აწერილობას, რომელიც მე 1885 წ. წარმოვადგინე. საჭიროც არაა იმის თქმა, რომ ამჟამად «ინგლისში სოციალიზმი მართლაც ისევ გაჩნდა», გაჩნდა მასობრივად: ყოველნაირი ელფერის სოციალიზმი, სოციალიზმი შეგნებული და შეუგნებელი, სოციალიზმი პროზაში და პოეზიაში, სოციალიზმი მუშათა კლასისა და ბურჟუაზიისა. მართლაც ეს ყოველგვარ საფრთხობელაზე უფრო საფრთხობელა, სოციალიზმი, არათუ რესპექტაბელური შეიქმნა, არამედ კოხტადაც გამოეწყო და არხეინად გამოიჭიმა სალონების სავარძლებში. ეს ერთხელ კიდევ იმას მოწმობს, რაოდენ გაუსწორებლად მერყევია «კარგი საზოგადოების» ეს საშინელი დესპოტი, ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრი, და კიდევ ზედმეტად ამართლებს იმ სიძულვილს, რომლითაც ჩვენ, წარსული თაობის სოციალისტები, მუდამ ვიყავით გამსჭვალული მის მიმართ. თუმცა, ესეცაა, ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს უკმაყოფილონი ვიყოთ ამ ახალი სიმპტომით.

«მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანად, ვიდრე ამ წუთიერ მოდას, მე ვთვლი ამ წყალ-წყალა სოციალიზმით ბურჟუაზიულ წრეებში თავმომწონეობას,—ხოლო ლონდონის ისტ-ენდის გამოფხიზლება, ინგლისში საერთოდ სოციალიზმის წარმატებებზე უფრო მნიშვნელოვანიც კია. უკიდურესი სიღატაკის ეს ცენტრი უკვე აღარ წარმოადგენს დამდგარ ჭაობს, როგორც იგი ამ ექვსი წლის წინათ იყო. თავისი გარინდებული სასოწარკვეთილება მან თავი-

დან მოიშორა; იკი აღსდგა და «ახალი უნიონიზმის», ე. ი. «არა-კვალიფიციურ» მუშათა ფართო მასების ორგანიზაციის კერად გადაიქცა. თუმცა ამ ორგანიზაციამ, ზოგიერთი მხრივ, «კვალიფიციური» მუშების ძველი კავშირების ფორმა მიიღო, მაგრამ აოსებითად იგი მაინც სხვა ხასიათისაა. ძველი კავშირები ინარჩუნებენ იმ ეპოქის ტრადიციებს, როდესაც ისინი წარმოიშვნენ; დაჭირავებული შრომის სისტემა მათ მიაჩნიათ როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, მარადიული ფაქტი, რომელიც მათ, უკეთეს შემთხვევაში, შეუძლიათ მაოლოდ შეარბილონ თავიანთ წევრთა ინტერესების სასარგებლოდ. ახალი კავშირები კი, პირიქით, ისეთ დროს წარმოიშვნენ, როდესაც ხელფასის სისტემის მარადულობის რწმენა უკვე საგრძნობად შეერყა. მათი დამაარსებელნი და ხელმძღვანელნი შეგნებული სოციალისტები იყვნენ ან სოციალისტები გრძობით; მასები, რომლებიც მათკენ მიისწრაფიან და რომლებსაც ემყარება მათი ძალა, ტლანქი, გაუთლელი იყვნენ და მუშათა კლასის არისტოკრატია მათ ზევიდან დაცქეროდა. მაგრამ მათ ერთი განუზომელი უპირატესობა აქვთ: მათი გონება ჯერ კიდევ ხელუხლებელ ნიადაგს წარმოადგენს, სრულიად თავისუფალს მემკვიდრეობით გადმოცემულ, «რესპექტაბელურ» ბურჟუაზიულ ცრურწმენათაგან, რაც პრივილეგიურ «ძველ უნიონისტებს» თავს რეტს ასხამდა. და ამჟამად ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ახალი კავშირები თანდათან სათავეში უდგებიან მუშათა მოძრაობას საერთოდ და თან მდიდარ და ამაყ «ძველ» ტრედ-უნიონებს ბუქსირით ეზიდებიან.

«ეჭვს გარეშეა, ლონდონის ისტ-ენდის მოღვაწეებმა კოლოსალური შეცდომები დაუშვეს; მაგრამ იგივე ჩაიდინეს მათმა წინამორბედებმაც, ამასვე სჩადიან ამჟამად დოქტრინერი სოციალისტები, რომელნიც მათ წინაშე ცხვირს მაღლა იწევენ. დიდი კლასი, ისე როგორც დიდი ერი, არაფერზე არ სწავლობს ისე სწრაფად, როგორც საკუთარი შეცდომების შედეგებზე. და მიუხედავად ყოველგვარი შეცდომისა წარსულში, აწმყოში, და მომავალში, ლონდონის ისტ ენდის გამოფხიზლება რჩება როგორც ერთ-ერთი უდიდესი და უნაყოფიერესი მოვლენა ჩვენი საუკუნის დასასრულისა, და მოხარული ვარ და ვაძაყობ, ამას რომ ძოვესწარი».

მას შემდეგ, რაც ეს სტრიქონები დავწერე, ექვსი თვე გავიდა, და ინგლისის მუშათა მოძრაობამ ისევ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. სამპარლამენტო არჩევნებმა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა, ნათლად უჩვენა ორივე ოფიციალურ პარტიას, კონსერ-

ვატორებსა და ლიბერალებს, რომ მათ ახლა ანგარიში უნდა გაუწიონ მესამე პარტიას, მუშათა პარტიას. ეს მუშათა პარტია მხოლოდ ახლა ყალიბდება და მას ჯერ კიდევ უხდება ყოველგვარ მემკვიდრეობით გადმოცემულ შეხედულებათა — ბურჟუაზიულ, ძველ-უნიონისტურ და დოქტრინერულ სოციალისტურ შეხედულებათა — თავიდან მოშორება, რათა, დაბოლოს, შესაძლებელი გახდეს ყველასათვის საერთო ნიადაგზე გაერთიანება. და, მიუხედავად ამისა, მათი გამაერთიანებელი ინსტინქტი უკვე ამჟამად იმდენად ძლიერია, რომ მან ინგლისისთვის აქამდე გაუგონარი საარჩევნო შედეგები მოიტანა. ლონდონში თავის კანდიდატურას აყენებს ორი მუშა და ორივე თავს აშკარად აცხადებს სოციალისტად; ლიბერალებმა ვერ გაბედეს მათ წინააღმდეგ თავიანთი კანდიდატები წამოეყენებინათ, და ეს ორი სოციალისტი, ხმის დიდი, მოულოდნელი უმრავლესობით გავიდა. მიდლსბროში მუშა-კანდიდატი გამოვიდა ლიბერალისა და კონსერვატორის წინააღმდეგ და ორივეზე გაიმარჯვა; მუშათა ახალმა კანდიდატებმა კი, რომლებიც ლიბერალებთან კავშირს ჰკრავდნენ, ერთის გარდა, ყველამ მარცხი განიცადა. წინანდელი ეგრეთწოდებული მუშათა წარმომადგენლებიდან, ე. ი. იმათგან, რომელთაც შეუნდობენ იმას, რომ ისინი მუშათა კლასს ეკუთვნიან, რადგან თვით ისინი სიამოვნებით ჩაახრჩობდნენ მათს ასეთ წარმოშობას თავიანთი ლიბერალიზმის ოკეანეში, ძველი უნიონიზმის ყველაზე გამოჩენილმა წარმომადგენელმა, ჰენრი ბროდ-ჰერსტმა, სრული მარცხი განიცადა იმიტომ, რომ რვასაათიანი სამუშაო დღის წინააღმდეგ გამოვიდა. გლაზგოს ორ საარჩევნო ოლქში, სალფორდის ერთ საარჩევნო ოლქში და რამდენიმე სხვა ოლქში მუშათა დამოუკიდებელი კანდიდატები გამოვიდნენ ორივე ძველი პარტიის კანდიდატების წინააღმდეგ; მათ მარცხი განიცადეს. მაგრამ დამარცხდნენ აგრეთვე ლიბერალების კანდიდატებიც. ერთი სიტყვით, მსხვილი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში მუშები გადაჭრით გამოვიდნენ ორივე ძველ პარტიასთან ყოველგვარი კავშირის წინააღმდეგ და პირდაპირ თუ არაპირდაპირ ისეთ შედეგებს მიაღწიეს, რომლის მსგავსს ადგილი არ ჰქონია აქამდე არც ერთ არჩევნებში. და მუშათა სიხარული ამის გამო აუწერელია. მათ პირველად დაინახეს და იგრძნეს, რა შეუძლიათ, თუ თავიანთ საარჩევნო უფლებას თავისი კლასის ინტერესებისათვის გამოიყენებენ. ცრურწმენა «დიდი ლიბერალური პარტიისადმი», რაც ინგლისის მუშებში თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში ბატონობდა, დაირღვა. მუშებმა

დამაჯერებელი მაგალითებიდან დაინახეს, რომ ისინი, გადამჭრელ ძალას წარმოადგენენ ინგლისში, თუ მათ სურთ და იციან, რაც სურთ; 1892 წლის არჩევნები ამ ცოდნის და სურვილის დასაწყისია. დანარჩენზე კონტინენტის მუშათა მოძრაობა იზრუნებს; გერმანელები და ფრანგები, რომელთაც პარლამენტებში და მუნიციპალურ საბჭოებში უკვე ამ მრავალი წარმომადგენელი ჰყავთ, თავიანთი შემდგომი წარმატებით საკმაო შეჯიბრებას გამოიწვევენ ინგლისელებში. და როდესაც უკვე ახლო მომავალში აღმოჩნდება, რომ ამ ახალ პარლამენტს არ შეიძლება რაიმე საერთო ჰქონდეს ბ-ნ გლადსტონთან და ბ-ნ გლადსტონს — ამ პარლამენტთან, ინგლისის მუშათა პარტია მაშინ უკვე იმდენად ორგანიზებული იქნება, რომ ბოლოს მოუღებს ამ ორი ძველი პარტიის ქანაობიას თამაშს, რომელნიც ერთიმეორეს ცვლიან მართველობის საჭესთან, რათა გაამარადისონ ბურჟუაზიის ბატონობა.

ლონდონი, 1892 წლის 21 ივლისი.

ფ. ენგელსი

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ მისი წიგნის: «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში» მეორე გერმანული გამოცემისათვის, რომელიც გამოვიდა შტუტგარტში 1892 წ.

იბეჭდება 1892 წ. გამოცემის ტექსტის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან.

ფ. ენგელსი

გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში

ბურჟუაზიულ და რეაქციულ პარტიებს მეტისმეტად უკვირთ ის, რომ ამჟამად სოციალისტების წინაშე დღის წესრიგში უეცრად ყვილგან გლეხთა საკითხი წამოიჭრა. ნამდვილად კი მათ ის უნდა უკვირდეთ, რომ ეს უკვე დიდი ხნით ადრე არ მოხდა. ირლანდიიდან სიცილიამდე, ანდალუზიიდან რუსეთამდე და ბულგარეთამდე, გლეხი არის მოსახლეობის, წარმოებისა და პოლიტიკური ძალის ფრიად არსებითი ფაქტორი. გამონაკლისს შეადგენს დასავლეთ ევროპის მხოლოდ ორი ოლქი. საკუთრივ დიდ ბრიტანეთში მსხვილმა მიწათმფლობელობამ და მსხვილმა მიწათმოქმედებამ სავსებით განდევნა გლეხი, რომელიც თავისი მეურნეობით ცხოვრობდა. იგივე პროცესი ოსტელბიის პრუსიაში საუკუნეების მანძილზე გრძელდება და აქაც გლეხს, ყოველ შემთხვევაში, ეკონომიური და პოლიტიკური თვალსაზრისით, თანდათან «აძევებენ», ან უკანა რიგში სწევენ.

როგორც პოლიტიკური ძალის ფაქტორი გლეხი დღემდე თავს იჩენს მეტწილად მხოლოდ თავისი აპათიით, რომლის ფესვები სოფლის ცხოვრების განმარტოებულობაშია. მოსახლეობის ფართო მასის ეს აპათია უძლიერესი დასაყრდენია არა მარტო საპარლამენტო კორუპციისა პარიზსა და რომში, არამედ რუსული დესპოტიზმისაც. მაგრამ ეს აპათია სრულებითაც არ არის დაუძლეველი. მას შემდეგ რაც მუშათა მოძრაობა წარმოიშვა, დასავლეთ ევროპის ბურჟუებისათვის, განსაკუთრებით იქ, სადაც გლეხთა პარცელური საკუთრება სჭარბობს, არც თუ ისე ძნელი იყო ეპვი და სიძულვილი აღეძრათ გლეხებში სოციალისტი მუშებისადმი იმით, რომ

დაეხატათ ეს უკანასკნელნი გლეხის ფანტაზიის წინაშე როგორც partageux, როგორც «გაყოფის» მომხრენი, როგორც ზარმაცი, ხარბი ქალაქელები, რომლებსაც თვალი უჭირავთ გლეხის საკუთრებაზე. 1848 წლის თებერვლის რევოლუციის ბუნდოვანი სოციალისტური სწრაფვანი მალე აღგავა ფრანგი გლეხების რეაქციულმა კენჭის ყრამ. გლეხს სურდა, რომ იგი არ შეეწუხებინათ. ამიტომაც აქ მან თავისი მოგონებათა საგანძურიდან გამოამზეურა ლეგენდა გლეხთა იმპერატორ ნაპოლეონზე და მეორე იმპერია შექმნა. ყველამ ვიცით, თუ რა დაუჯდა ფრანგ ხალხს გლეხების მარტო ეს საგმირო საქმე; ამ საგმირო საქმის შედეგებისაგან ფრანგი ხალხი დღესაც იტანჯება.

მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. წარმოების კაპიტალისტური ფორმის განვითარებამ სასიცოცხლო ნერვი გადაუჭრა წვრილ წარმოებას სოფლის მეურნეობაში; ეს წვრილი წარმოება იღუპება და შეუჩერებლივ ეცემა. ჩრდილო და სამხრეთ ამერიკისა და ინდოეთის კონკურენციამ გამო ევროპის ბაზარი იაფი პურით აივსო, ისევენად იაფით, რომ არც ერთ ადგილობრივ მწარმოებელს არ შეეძლო მისთვის კონკურენციის გაწევა. მსხვილ მიწათმფლობელსა და წვრილ გლეხს, ორივეს ერთნაირად მოელის დაღუპვა. და რადგან ისინი ორივენი მიწისმფლობელნი და სოფლის მცხოვრებნი არიან, ამიტომ მსხვილი მიწათმფლობელი თავის თავს წვრილი გლეხის ინტერესებისათვის მოწინავე მებრძოლად აცხადებს და წვრილი გლეხიც — საერთოდ და მთლიანად — ცნობს მას, მისი, ე. ი. გლეხის, ინტერესებისათვის მებრძოლად.

ამასობაში კი დასავლეთში გაიზარდა ძლიერი სოციალისტური მუშათა პარტია. თებერვლის რევოლუციის დროინდელი ბუნდოვანი წინათგრძნობანი და მისწრაფებანი უფრო ნათელნი გახდნენ, უფრო გაფართოვდნენ და გაღრმავდნენ, გადაიქცნენ მეცნიერების ყველა მოთხოვნების დამაკმაყოფილებელ პროგრამად, გარკვეული, ხელშესახები მოთხოვნების შემცველ პროგრამად. ამ მოთხოვნებს იცავენ გერმანიის, საფრანგეთის და ბელგიის პარლამენტში მუდმივ რიცხვმზარდი სოციალისტი დეპუტატები. სოციალისტური პარტიის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა უკვე საკმაოდ მოახლოვებულია. მაგრამ, პოლიტიკური ძალაუფლება რომ დაიპყროს, ეს პარტია ჯერ უნდა წავიდეს ქალაქიდან სოფლად, უნდა ძალა გახდეს სოფლად. სოციალისტურ პარტიას, რომელიც იმით განირჩევა ყველა დანარჩენ პარტიებისაგან, რომ მას ნათლად ესმის ეკონომიური მიზეზების კავშირი პოლიტიკურ შედეგებთან, რომელმაც

სწორედ ამის მეოხებით უკვე დიდი ხანია აღმოაჩინა ცხვრის ქურქში გახვეული მგელი — მსხვილი მიწათმფლობელი, რომელიც გლეხს თავის მეგობრობას სთავაზობს, — განა ამ პარტიას შეუძლია დაღუპვისათვის განწირული გლეხი გულდამშვიდებით დატოვოს მისი ცრუდამცველების ხელში იმდრომდე, ვიდრე გლეხი სამრეწველო მუშების პასიური მოწინააღმდეგედან აქტიური მოწინაღმდეგე არ გახდება? და აი აქ არის ჩვენთვის გლეხთა საკითხის ცენტრი.

I

სოფლის მოსახლეობა, რომელსაც შეგვიძლია მივმართოთ, შესდგება ფრიად განსხვავებული შემადგენელი ნაწილებისაგან, რომელნიც, თავის მხრივ, ერთმანეთისაგან ცალკეული ადგილების მიხედვით განსხვავდებიან.

გერმანიის დასავლეთ ნაწილში, ისევე როგორც საფრანგეთსა და ბელგიაში, გაბატონებულია წვრილი წარმოება პარცელური გლეხებისა, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მესაკუთრენი არიან, უმცირეს შემთხვევაში კი — თავიანთი მიწის პატარა ნაკვეთის მოიჯარენი.

ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში — ქვემო საქსონიასა და შლეზვიგ-ჰოლშტაინში — სჭარბობენ მსხვილი და საშუალო გლეხები, რომლებიც საქმეს ვერ ართმევენ თავს მოჯამაგირე მამაკაცების და ქალებისა და თვით დღიური მუშის გარეშე. იგივე ხდება ბავარიის ერთ ნაწილშიც.

ოსტელბიის ჰრუსია და მეკლენბურგი წარმოადგენენ მსხვილი მიწათმფლობელობისა და მსხვილი წარმოების მხარეს, სადაც არიან შინამოსამსახურეები, მოჯამაგირეები და დღიური მუშები; ხოლო აქა-იქ შედარებით მცირე და მუდამ კლებადი რაოდენობით გვხვდება წვრილი და საშუალო გლეხობა.

შუა გერმანიაში, ადგილმდებარეობისდა მიხედვით, სხვადასხვა პროპორციით გვხვდება წარმოებისა და მიწათმფლობელობის ყველა ამ ფორმათა ნარევი. ამასთან არც ერთი ფორმათაგანი არ სჭარბობს რამდენადმე მაინც დიდ ფართობზე.

გარდა ამისა, მოიპოვება სხვადასხვა სიდიდის ადგილები, სადაც საკუთარი თუ იჯარით აღებული სახნავი მიწა საკმარისი არ არის ოჯახის გამოსაკვებად და წარმოადგენს მხოლოდ შინამრეწველობის ბაზისს. ეს შესაძლებლობას იძლევა მეტად მცირე, ამ პირობების გარეშე წარმოუდგენელი დაბალი ხელფასისათვის, რომელიც უცხოუ-

რი საქონლის ყოველგვარი კონკურენციის მიუხედავად, მუდმივად უზრუნველყოფს ამ პროდუქტების გასაღებას.

სოფლის მოსახლეობის რომელი ამ თანრიგთაგანი შეიძლება მოზიდულ იქნეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში? ჩვენ ამ საკითხს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზოგადად ვიკვლევთ; ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ მკვეთრად გამოსახულ ფორმებს; ადგილის სიმცირე ნებას არ გვაძლევს შევჩერდეთ სოფლის მოსახლეობის შუალედ საფეხურებსა და შერეული შემადგენლობის შემთხვევებზე.

დავიწყოთ წვრილი გლეხით. მთელი გლეხობიდან ეს თანრიგი საერთოდ ყველაზე მნიშვნელოვანია, და არა მარტო დასავლეთ ევროპისათვის. არა, თვით მთელი ამ საკითხის მიმართ სიმძიმის ცენტრი გლეხთა სწორედ ამ თანრიგშია. რაკი გავარკვიეთ ჩვენი დამოკიდებულება წვრილი გლეხებისადმი, ჩვენ გვაქვს უკვე ყველა საყრდენი პუნქტი იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ჩვენი დამოკიდებულება სოფლის მოსახლეობის დანარჩენი შემადგენელი ნაწილებისადმი.

წვრილი გლეხი ჩვენ აქ გვესმის როგორც მესაკუთრე ან მოიჯარე — განსაკუთრებით კი მესაკუთრე — მიწის პატარა ნაკვეთისა, რომელიც იმაზე მეტი არ არის, რაც გლეხს, საერთო წესისამებრ, თავისი საკუთარი ოჯახის დახმარებით შეუძლია დაამუშაოს და არც იმაზე ნაკლებია, რაც მის ოჯახს გამოკვებავს. ამრიგად, ეს წვრილი გლეხი, ისე როგორც წვრილი ხელოსანიც, არის მუშა, რომელიც თანამედროვე პროლეტარისაგან იმით განსხვავდება, რომ ჯერ კიდევ ფლობს თავისი შრომის საშუალებებს; მაშასადამე, ეს არის ნაშთი წარმოების ისეთი წესისა, რომელიც უკვე ჩაბარდა წარსულს. თავისი წინაპრისაგან, რომელიც იყო ყმა, დამოკიდებული, ან — იშვიათსა და გამონაკლის შემთხვევაში — თავისუფალი, მაგრამ ღალისა და საბატონო ბეგარის მოვალე გლეხი, იგი სამმხრივ განსხვავდება. ჯერ-ერთი, იმით, რომ საფრანგეთის რევოლუციამ იგი გაანთავისუფლა ფეოდალური გადასახადისა და ბეგარისაგან, რის ვალდებულიც ის მებატონის წინაშე იყო და უმრავლეს შემთხვევაში — რაინის მარცხენა ნაპირას მაინც — უზრუნველყო მისთვის გლეხური ნაკვეთი როგორც თავისუფალი საკუთრება. მეორეც, იმით, რომ მან დაკარგა მფარველი თვითმმართველი თემის სახით, რომლის წევრიც ის იყო და ამასთან ერთად დაკარგა თავისი წილიც იმ მიწებით სარგებლობის უფლებისა, რომლებიც წინათ თემს ეკუთვნოდა. სათემო მიწები გლეხს თაღლითურად წაართვა ნაწილობრივ მისმა ყოფილმა ფეოდალმა ბატონმა, ნაწი-

ლობრივ კი ლიბერალურმა, რომის სამართალზე დაფუძნებულმა ბიუროკრატიულმა კანონმდებლობამ, და ამით თანამედროვე წვრილ გლეხს შესაძლებლობა წაერთვა საკვების უკიდეველად შეინახოს თავისი მუშა-პირუტყვი. მეურნეობრივად კი სათემო მიწებით სარგებლობის უფლების დაკარგვა ჭარბად აღემატება ფეოდალურ გადასახადთა გაუქმებას. განუწყვეტლივ იზრდება იმ გლეხების რიცხვი რომელთაც არ შეუძლიათ იყოლიონ საკუთარი მუშა პირუტყვი. მესამეც, დღევანდელი გლეხი იმით განირჩევა, რომ მან სანახევროდ დაჰკარგა თავისი წინანდელი პროდუქტიული სამუშაო. წინათ ის თავის ოჯახთან ერთად თვითონ აწარმოებდა მის მიერვე მოპოებული ნედლეულისაგან მრეწველობის იმ პროდუქტების მეტწილს, რაც მას ესაჭიროებოდა. მის დანარჩენ საჭიროებებს აკმაყოფილებდნენ მისი სოფლელი მეზობლები, რომლებიც მიწათმოქმედებასთან ერთად ხელოსნობასაც მისდევდნენ და საფასურს მეტწილად მათთვის გაცვლის წესით მიცემული პროდუქტებისა ანდა სამაგიეროდ გაწეული სამსახურის სახით იღებდნენ. ოჯახი, და კიდეე უფრო მეტად სოფელი თვითონ იკმაყოფილებდა თავს, ამზადებდა თითქმის ყველაფერს, რაც კი საჭირო იყო მისთვის. ეს თითქმის სრული ნატურალური მეურნეობა იყო, ფული შეიძლება ითქვას, სრულებით არ სჭირდებოდათ. კაპიტალისტურმა წარმოებამ ფულადი მეურნეობისა და მსხვილი მრეწველობის საშუალებით ბოლო მოუღო ამას და თუ სათემო მიწა გლეხის არსებობის პირველი ძირითადი პირობა იყო, სამრეწველო დამხმარე სარეწი მეორე ასეთ პირობას წარმოადგენდა. და აი გლეხიც თანდათანობით ღრმად ეფლობა გაჭირვებაში. გადასახადები, მოუსავლობა, მემკვიდრეებს შორის ქონების გაყოფა, სასამართლო პროცესები — ყოველივე ეს გლეხებს ერთიმეორის მიყოლებით მევახშეებს აკენ ერეკება. დავალიანება თანდათან სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებს და თვითეულისათვის სულ უფრო და უფრო მძიმე ხდება; ერთი სიტყვით, ჩვენი წვრილი გლეხი, ისე როგორც წარმოების დროგამოვლილი წესის ყოველი გადმონაშთი, შეუჩერებლად დაღუპვისაკენ მიექანება. ის მომავალი პროლეტარია.

როგორც ასეთი, ის თითქოს სიამოვნებით უნდა უგდებდეს ყურს სოციალისტურ პროპაგანდას. მაგრამ ამას ჯერ-ჯეროობით ხელს უშლის მის ძვალსა და რბილში გამჯდარი საკუთრების გრძნობა, და რაც უფრო უმძიმდება წვრილ გლეხს ბრძოლა თავისი პატარა, საფრთხეში მოქცეული მიწის ნაკვეთისათვის, მით უფრო ჯიუტი თავგანწირვით ებღაუჭება იგი ამ მიწას, მით უფრო მეტად

ხედავს იგი სოციალ-დემოკრატიაში, რომელიც ელაპარაკება მას მთელი საზოგადოების ხელში მიწის საკუთრების გადაცემაზე, ისეთივე საშიშ ძტერს, როგორიც არის მევახშე და ადვოკატი. რა საშუალებებით უნდა ებრძოლოს სოციალ-დემოკრატია ამ ცრურწმენას? რა შეუძლია შესთავაზოს მან ამ დაღუპვის გზაზე დამდგარ წვრილ გლეხს ისე, რომ არ უღალატოს თავის თავს?

აქ ჩვენ, მარქსისტული მიმართულების ფრანკი სოციალისტების აგრარული პროგრამის სახით, პრაქტიკული საყრდენი წერტილი გვაქვს, და ეს პროგრამა მით უფრო საყურადღებოა, რომ იგი წვრილი გლეხური მეურნეობის კლასიკური ქვეყნიდან მომდინარეობს.

1892 წელს მარსელის კონგრესზე მიღებულ იქნა პარტიის პირველი აგრარული პროგრამა. იგი უმიწაწყლო სასოფლო-სამეურნეო მუშებისათვის (ე. ი. მოჯამაგირეებისა და შინამოსამსახურეებისათვის) მოითხოვს: პროფესიული კავშირებისა და სათემო საბჭოების მიერ დაწესებულ ხელფასის მინიმუმს; სოფლის სარეწაო სასამართლოებს, სანახევროდ მუშებისაგან შემდგარს; სათემო მიწების გაყიდვის აკრძალვას და სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემას თემებისათვის, რომლებმაც მთელი ეს მიწა, თავისი საკუთარიცა და იჯარით აღებულიც — საერთო ძალღონით დასამუშავებლად უნდა გადასცენ სასოფლო-სამეურნეო მუშების უმიწაწყლო ოჯახების ასოციაციებს, ამასთან უნდა აიკრძალოს დაქირავებული მუშების მოხმარება და დაწესდეს თემის მხრივ კონტროლი; პენსიებს მოხუცებისა და ინვალიდებისათვის; ეს პენსიები უნდა იფარებოდეს მსხვილ მიწათმფლობელობაზე შეწერილი საგანგებო გადასახადით.

წვრილი გლეხებისათვის, რომლებსაც აქ მოიჯარეებსაც აკუთვნებენ, პროგრამა მოითხოვს: თემის მიერ სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეძენას გლეხებისათვის მისაქირავებლად თვითღირებულების მიხედვით; გლეხთა ამხანაგობების დაარსებას სასუქის, სადრენაჟო მილების, თესლისა და სხვათა საყიდლად და პროდუქტების გასაყიდად; მოსპობას გადასახადისა, რასაც ახდევინებენ ერთი კაცის ხელიდან მეორის ხელში მიწის ისეთი ნაკვეთის გადასვლის დროს, რომელთა ღირებულება 5000 ფრანკს არ აღემატება; ირლანდიური ნიმუშის მიხედვით საშუამდგომლო სასამართლოების დაარსებას მეტისმეტად დიდი საიჯარო ფასების დასაწევად და იმისათვის, რომ სამუშაოდან წამსვლელ მოიჯარეებსა თუ მოზიარეებს (métayers) აუნაზღაურდეს მათი შრომის შედეგად

მომხდარი მიწის ნაკვეთის ღირებულების აწევა; გაუქმებას სამოქალაქო კანონთა კოდექსის 2102 მუხლისა, რომელიც მიწათმფლობელს მოსავალზე ყადაღის დადების უფლებას აძლევს, და მევალეებისათვის მოუმკელი პურის გირაოდ აღების უფლების აკრძალვას; აკრძალვას სამიწათმოქმედო იარაღების, მოსავლის, თესლის, საუქის, მუშა-პირუტყვის. — ერთი სიტყვით, ყოველივე იმის გირაოდ აღებისა, რაც გლეხს თავისი მეურნეობის გასაძღოლად ესაჭიროება; მიწების უკვე მოძველებული საერთო დავთარის რევიზიის მოხდენას, ჯერ-ჯერობით კი ადგილობრივ რევიზიას თვითეულ თემში; დასასრულ პროგრამა მოითხოვს უფასო სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას და კვლევითი სასოფლო-სამეურნეო სადგურების დაარსებას.

ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხთა ინტერესების სასარგებლოდ პროგრამა — მუშებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს ჩვენ აქ ჯერ-ჯერობით არ შევეხებით — არც თუ ისე შორს მიდის. ამ მოთხოვნათა ნაწილი სხვა ქვეყნებში უკვე განხორციელებულია. საშუამავლო სასამართლოები მოიჯარეებისათვის გარკვეულად ირლანდიური ნიმუშის მიხედვით ეწყობა. გლეხთა ამბიანაგობანი უკვე არსებობენ რაინისპირა ოლქებში. დავთრების რევიზია მთელი დასავლეთ ევროპის ლიბერალებისა და თვით ბიუროკრატებისათვისაც კი მუდმივი კეთილი სურვილია. პროგრამის დანარჩენი მუხლებიც შეიძლება ასევე განხორციელდეს არსებული კაპიტალისტური წყობილებისათვის რაიმე დიდი ზიანის მიუყენებლად. ამას ჩვენ ვამბობთ მხოლოდ პროგრამის დასახასიათებლად, სრულებითაც არა მისდამი სასაყვედუროდ, — პირიქით.

ამ პროგრამის შემწეობით პარტიამ ისეთ წარმატებებს მიაღწია საფრანგეთის სხვა და სხვა კუთხის გლეხობაში, რომ — თანახმად ანდაზისა: მადა ჭამის დროს მოდისო — ჩვენმა ფრანგმა ამხანაგებმა მოინდომეს გლეხების გემოვნებასთან პროგრამის კიდევ უფრო მეტი შეგუება. ამასთან ისინი, რა თქმა უნდა, გრძნობდნენ რომ ეს გზა სახიფათოა. განა შეიძლება დაეხმარო გლეხს, — არა როგორც მომავალ პროლეტარს, არამედ როგორც ახლანდელ გლეხ-მესაკუთრეს, — ისე, რომ არ დაარღვიო საერთო სოციალისტური პროგრამის ძირითადი პრინციპები? ასეთი საწინააღმდეგო აზრის თავიდან ასაცილებლად, პროგრამის ახალ პრაქტიკულ წინადადებებს წაემძღვარა თეორიული დასაბუთება, რითაც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ წარმოების კაპიტალისტური წესის დროს წვრილი გლეხური საკუთრების დაცვა დაღუპვისაგან სოციალიზმის პრინ-

ციას შეადგენსო, თუმცა თვით ავტორებისთვისაც სავსებით ნათელია, რომ ეს დაღუპვა აუცილებელია. სწორედ ამ დასაბუთებას, ისევ როგორც თვით ნანტის კონგრესზე ამა წლის სექტემბერში მიღებულ მოთხოვნებს, განვიხილავთ ჩვენ ახლა უფრო ახლოს.

დასაბუთება ასე იწყება:

«მუშათა პარტია მხედველობაში იღებს, რომ პარტიის საერთო პროგრამის ზუსტი მნიშვნელობის თანახმად, მწარმოებლები მხოლოდ იმდენად შეიძლება თავისუფალნი იყვნენ, რამდენადაც მათ წარმოების საშუალებანი მოეპოვებათ»;

«მუშათა პარტია მხედველობაში იღებს, რომ თუ მრეწველობის დარგში წარმოების ეს საშუალებანი უკვე იმდენად არის კაპიტალისტურად ცენტრალიზებული, რომ მხოლოდ კოლექტიური ან საზოგადოებრივი ფორმით შეიძლება დაუბრუნდეს მწარმოებლებს, სრულიად სხვაგვარადაა საქმე — ყოველ შემთხვევაში თანამედროვე საფრანგეთში მაინც—სოფლის მეურნეობის დარგში, სადაც წარმოების საშუალებანი, სახელდობრ, მიწა, ძალიან ბევრ ადგილას ჯერ კიდევ ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს ცალკეულ მწარმოებელთა ხელში;

«მუშათა პარტია მხედველობაში იღებს, რომ ეს მდგომარეობა, რომელიც პარცელური საკუთრებით ხასიათდება, მართალია, გარდუვალად უნდა დაილუპოს (est fatalement appelè à disparaître), მაგრამ მიუხედავად ამისა, სოციალიზმი მაინც არ არის მოწოდებული დააჩქაროს ეს დაღუპვა, რადგან მისი ამოცანა ხომ იმაში არ მდგომარეობს, რომ საკუთრება გამოაცალკევოს შრომისაგან, არამედ, პირიქით, იმაში, რომ ერთ და იმავე ხელში შეაერთოს ყოველი წარმოების ორივე ეს ფაქტორი, რომელთა გაყოფას შედეგად მოსდევს პროლეტარებად ქცეულ მუშაკთა მონობა და სიღატაკე.

«მუშათა პარტია მხედველობაში იღებს, რომ თუ ერთი მხრივ, სოციალიზმის ვალია კვლავ დაუმკვიდროს მიწის დამმუშავებელ პროლეტარებს—კოლექტიური თუ საზოგადოებრივი ფორმით — მსხვილი მამულების მფლობელობა მათი ახლანდელი მუქთახორა მესაკუთრეების ექსპროპრიაციის შემდეგ, მეორე მხრივ, სოციალიზმის მეორე, არანაკლებ გადაუდებელი ვალია ის, რომ საზინის, მევახშისა და ახლადწარმოშობილ მსხვილ მემამულეთა მხრივ ხელყოფის წინააღმდეგ მხარი დაუჭიროს საკუთარი შრომით მცხოვრებ გლეხთა მიწის წერილ მფლობელობას.

«მუშათა პარტია მხედველობაში იღებს, რომ ასევე მიზანშეწონილია ეს დაცვა გავრცელდეს იმ მწარმოებლებზედაც, რომლებიც სხვის მიწას ამუშავებენ როგორც მოიჯარენი და მოზიარენი (métayers) და რომლებიც, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც თვითონვე დაქირავებული მუშის ექსპლოატაციას ეწევიან, ამას მათ რამდენადმე აიძულებს ის ექსპლოატაცია, რომელიც თვითონ აწევთ ტვირთად,—

«მუშათა პარტიამ, რომელიც წინააღმდეგ ანარქისტებისა, საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის იმედებს ამყარებს არა სიღატაკის ზრდასა და გავრცელებაზე, არამედ მოელის შრომისა და მთელი საზოგადოების განთავისუფლებას მხოლოდ ქალაქისა და სოფლის მუშების დარაზმვისა და მათი ძალღონის შეერთებისაგან, იმისაგან, რომ ისინი თავის ხელში აიღებენ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ძალაუფლებას,—ამ მუშათა პარტიამ შემდეგი აგრარული პროგრამა მიიღო, რათა მისი საშუალებით საერთო მტრის,—მიწათმფლობელური ფეოდალიზმის—წინააღმდეგ საერთო ბრძოლისათვის გააერთიანოს სოფლის წარმოების ყველა ელემენტი და ყველა სახის საქმიანობა, რომლებიც სხვადასხვა იურიდიული საფუძველით ნაციონალურ ნიადაგს ამუშავებენ».

უფრო ახლო განვიხილოთ ეს დასაბუთება:

უწინარეს ყოვლისა, ფრანგული პროგრამის ის დებულება, რომ მწარმოებელთა თავისუფლების წანამძღვარს წარმოების საშუალებათა ფლობა წარმოადგენს, აქვე უნდა შეივსოს აბზაცით იმის შესახებ, რომ წარმოების საშუალებათა ფლობა მხოლოდ ორი ფორმითაა შესაძლებელი – ინდივიდუალური მჯლობელობის ფორმით, რომელიც არასოდეს და არსად არ არსებულა ყველა მწარმოებლისათვის საერთო მოვლენის სახით და რომელსაც სამრეწველო პროგრესი დღითიდღე სულ უფრო და უფრო გამორიცხავს,ანდა კოლექტიური მფლობელობის სახით, ე. ი. იმ ფორმით, რომლის მატერიალური და ინტელექტუალური წანამძღვრები უკვე შექმნილია თვით კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებით; და რომ, მაშასადამე, საჭიროა პროლეტარიატის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ წარმოების საშუალებანი კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ მფლობელობაში გადავიდნენ.

ამრიგად, წარმოების საშუალებათა კოლექტიური მფლობელობა აქ წამოყენებულია, როგორც ერთადერთი მთავარი მიზანი, რომლისკენაც უნდა ვისწრაფოდეთ, და არა მარტო მრეწველობის

დარგში, სადაც ნიადაგი უკვე მომზადებულია, არამედ ყველგან, მაშასადამე — მიწათმოქმედებაშიც. პროგრამის თანახმად ინდივიდუალური მფლობელობა არასოდეს და არსად არ არსებულა ყველა მწარმოებელთათვის საერთო მოვლენის სახით; სწორედ ამიტომ და აგრეთვე იმიტომაც, რომ სამრეწველო პროგრამას უამისოდაც ინდივიდუალური მფლობელობა მოსპობისაკენ მიყავს, სოციალიზმი დაინტერესებულია სრულიადაც არა მის მხარდაჭერაში, არამედ მის მოსპობაში, იმიტომ რომ იქ, სადაც და რამდენადაც იგი არსებობს, კოლექტიური მფლობელობა შეუძლებელი ხდება. თუ კი პროგრამას იმოწმებ, მაშინ უნდა დაიმოწმო მთლიანად მთელი პროგრამა, რაც არსებითად სცვლის ნანტის კონგრესის ციტირებულ დებულებას, ვინაიდან მარტოოდენ ეს პროგრამა განსაზღვრავს ამ დებულებაში გამოთქმულ ზოგადისტორიულ ჭეშმარიტებას ისეთი პირობებით, რომლებშიც მხოლოდ შეუძლია ახლა ამ ჭეშმარიტებას შეინარჩუნოს ძალა დასავლეთ ევროპისა და ჩრდილო ამერიკისათვის.

წარმოების საშუალებათა ფლობა ცალკეული მწარმოებლების მიერ უკვე ველარ ანიჭებს მათ ნამდვილ თავისუფლებას. ხელოსნობა ქალაქებში უკვე განადგურებულია, ხოლო ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც ლონდონია, იგი სრულიადაც გამქრალია, შეცვლილია მსხვილი მრეწველობით, ოფლის გამოწურვის სისტემით და უბადრუკი გაიძვერობით, რომელთათვის გაკოტრება არსებობის საშუალებაა. წვრილი გლეხი, რომელიც თავისი შრომით ცხოვრობს, არც უზრუნველყოფილია თავისი მიწის ნაჭრის ფლობის მხრივ და არც თავისუფალია. ის, ასევე მისი სახლიც, მისი კარმიდამოც, მინდორ-ველიც მევახშეს ეკუთვნის; მისი არსებობა უფრო არასაიმედოა, ვიდრე პროლეტარისა, რომელსაც იშვიათად მაინც აქვს უშფოთველი დღეები, რასაც მუდამ მოკლებული არიან დავალიანებით ტანჯული მონები. ამოშალეთ სამოქალაქო კანონთა კოდექსის 2102 მუხლი, უზრუნველჰყავით გლეხები სამიწათმოქმედო იარაღებით, საქონლით და სხვ. კანონით გარუსხვისებადი ინვენტარით—და თქვენ მაინც ვერ ახსნით მას იმ გამოუვალი მდგომარეობიდან, როცა ის იძულებულია «ნებაყოფლობით» გაჰყიდოს თავისი პირუტყვი, მევახშეს მიჰყიდოს თავისი საკუთარი თავი, სხეულიც და სულიც, რათა ერთი წუთით გაიგრძელოს ვალის გადახდის ვადა. თქვენი ცდა—დაიცვათ წვრილი გლეხის საკუთრება, მის თავისუფლებას კი არ იცავს, არამედ მხოლოდ მონობის განსაკუთრებულ ფორმას; იგი აჭიანურებს ისეთ მდგომა-

რეობას, რომელშიც მას არც სიცოცხლე შეუძლია, და არც სიკვდილი, ამიტომ თქვენი პროგრამის პირველ აბზაცზე მითითება აქ სრულებით უადგილოა.

დასაბუთებაში ნათქვამია, რომ თანამედროვე საფრანგეთში წარმოების საშუალებანი, სახელდობრ, მიწა, ძალიან ბევრ ადგილს ჯერ კიდევ ცალკეული მწარმოებლის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს, ხოლო სოციალიზმის ამოცანა იძაში კი არ მდგომარეობს, რომ საკუთრება შრომისაგან გამოაცალკევოს, არამედ, პირიქით, იმაში, რომ ყოველი წარმოების ორივე ეს ფაქტორი ერთსა და იმავე ხელში შეაერთოს.— როგორც უკვე აღინიშნა, ეს უკანასკნელი, ამგვარი ზოგადი სახით, არავითაო შემთხვევაში არ წარმოადგენს სოციალიზმის ამოცანას; უფრო მეტიც, სოციალიზმის ამოცანა იხოლოდ ის არის, რომ წარმოების საშუალებანი კოლექტიურ მფლობელობაში გადაეცეს მწარმოებლებს. როგორც კი უგულებელვყოფთ ამას, ზემოხსენებული დებულება უმალვე იმ მცდარ აზრამდე მიგვიყვანს, თითქოს სოციალიზმი მოწოდებული იყოს წვრილი გლეხის ახლანდელი მოჩვენებითი მფლობელობა მინდორ-ველებისა, ნამდვილ საკუთრებად გადააქციოს, ე. ი. წვრილი მოიჯარე მესაკუთრედ გახადოს, ხოლო ვალებში ჩაფლული მესაკუთრე ვალებისაგან გაანთავისუფლოს. სოციალიზმი, რა თქმა უნდა, დაინტერესებულია იმით, რომ გლეხური საკუთრების ეს ყალბი გარეგნობა გაჰქრეს, ოღონდ ამ გზით კი არა.

ყოველ შემთხვევაში, საქმე იქამდე მივიდა, რომ პროგრამის იმ ნაწილში, სადაც მოყვანილია დასაბუთება, შესაძლებელი გახდა განაცხადონ, რომ სოციალიზმის ვალია, და თანაც აუცილებელი ვალიც, «საკუთარი შრომით მცხოვრებ გლეხთა მიწის წვრილი მფლობელობა ხაზინის, მევახშისა და ახლადწარმოშობილ მსხვილ მემამულეთა მხრივ ხელყოფისაგან დაიცვას». ამით დასაბუთება სოციალიზმის აუცილებელ მოვალეობად აცხადებს გაატაროს ისეთი რამ, რაც წინა აბზაცში მან შეუძლებლად აღიარა. იგი ავალებს სოციალიზმს «დაიცვას» გლეხის პაოცელური საკუთრება, თუმცა თვითონვე აცხადებს, რომ ეს საკუთრება «გარდაუვალად დასაღუპავადაა განწირული». ხაზინა, მევახშე, ახლადწარმოშობილი მსხვილი მემამულეები, სხვა რა არის ეს, თუ არა ის იარაღი, რომლითაც კაპიტალისტური წარმოება ამ გარდაუვალ დაღუპვას ანხოციელებს? თუ რა საშუალებებით უნდა დაეცვა «სოციალიზმს» გლეხი ამ საჭებისაგან, ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ.

მაგრამ საჭიროა არა მარტო წვრილი გლეხის საკუთრების დაცვა. «ასევე მიზანშეწონილია, ეს დაცვა გავრცელდეს იმ მწარმოებლებზედაც, რომლებიც სხვის მიწას აძუშავებენ როგორც მოიჯარენი თუ მოზიარენი (métayers) და რომლებიც იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თვითონვე დაქირავებული მუშის ექსპლოატაციას ეწევიან, ამას მათ რამდენადმე აიძულებს ის ექსპლოატაცია, რომელიც თვითონ აწევთ ტვირთად». აქ ჩვენ უკვე სავსებით მერყევ ნიადაგზე გადავდივართ. სოციალიზმი მიმართულია სპეციალურად დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის წინააღმდეგ. აქ კი სოციალიზმის გადაუდებელ ამოცანად გამოცხადებულია იმ ფრანგი მოიჯარეების დაცვა, რომელნიც «დაქირავებული მუშის ექსპლოატაციას ეწევიან»,—ასეა სიტყვასიტყვით ნათქვამი! და ეს იმიტომ, რომ ამ მოიჯარეებს რამდენადმე აიძულებს «ექსპლოატაცია, რომელიც თვითონ აწევთ ტვირთად».

რა ადვილი და სასიამოვნოა თავქვე დაშვება, თუ კი ერთხელ ფეხი შედგი დაქანებულ სიბრტყეზე! მერე და, ფრანგ სოციალისტებთან რომ გერმანელი მსხვილი და საშუალო გლეხი მივიდეს და სთხოვოს მიშუამდგომლე გერმანიის პარტიის გამგეობის წინაშე, რათა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დამიცვას მოჯამაგირე კაცების და ქალების ექსპლოატაციის საქმეშიო და საამისოდ მოიმიზეზოს ის «ექსპლოატაცია», რომელიც თვითონ აწევს ტვირთად» მევახშის, გადასახადის ამკრეფის, პურის სპეკულანტისა და პირუტყვით მოვაჭრის მხრივ,—რას უპასუხებენ ისინი ამ გლეხს? ანდა ვინაა იმის თავდები, რომ ჩვენი მსხვილი აგრარიებიც არ გაუგზავნიან მათ გრაფ კანიცს (მანაც ხომ ანალოგიური წინადადება შეიტანა პურის იმპორტის გასახელმწიფოებრივების შესახებ), რათა აგრეთვე თხოვონ სოციალისტებს დაცვა სოფლის მუშების ექსპლოატაციის საქმეში და საამისოდ მოიმიზეზოს ის «ექსპლოატაცია, რომელიც თვითონ აწევთ ტვირთად» ბირჟის, მევახშის, პურის სპეკულანტის მხრივ?

თუმცაღა აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენ ფრანგ მეგობრებს არ ჰქონიათ ისეთი ბოროტი განზრახვები, როგორც ეს შეიძლება მოგვეჩვენოს. ზემოხსენებულ აბზაცში მხედველობაშია მხოლოდ ერთი სრულიად განსაკუთრებული შემთხვევა, სახელდობრ, შემდეგი: საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ისევე როგორც ჩვენს შაქრის ჭარხლის რაიონებში, გლეხებს მიწებს იჯარით აძლევენ ვალდებულებით—მეტად მძიმე პირობებში მოიყვანონ შაქრის ჭარხალი: ამ გლეხებმა ჭარხალი უნდა გარკვეულ ქარხანას მიჰ-

ყიდონ და ისიც იმ ფასში, რასაც ეს ქარხანა დააწესებს, უნდა იყიდონ განსაზღვრული თესლი, გამოიყენონ მტკიცედ დაწესებული სასუქის განსაზღვრული რაოდენობა და ყოველივე ამასთან ერთად ჭარხლის ჩაბარების დროს ამ გლეხებს უსინდისოდ ატყუებენ. ყველაფერი ეს ჩვენ კარგად ვიცით გერმანიაშიც. მაგრამ თუ ფრანგ სოციალისტებს სურდათ გამოჭქომაგებოდნენ სწორედ ამ თანრიგის გლეხებს, მაშინ მათ ეს პირდაპირ და გარკვეულად უნდა ეთქვათ. მაგრამ იმ სახით, რა სახითაც ეს დებულება მოცემულია ასეთი უსაზღვროდ ზოგადი ფორმულირებით, ეს აბზაცი პირდაპირი დარღვევაა არა მარტო საფრანგეთის სოციალისტების პროგრამისა, არამედ სოციალიზმის ძირითადი დებულებისაც საზოგადოდ, და მაშინ მისმა ავტორებმა დაე თავიანთ თავს დააბრალონ, თუკი ეს დაუდევარი რედაქცია ყოველმხრივ იქნება გამოყენებული მათთვის არასასურველი აზრით.

ასეთივე ყალბი მნიშვნელობით შეიძლება გაგებულ იქნეს დასაბუთების დასკვნითი სიტყვები, რომელთა მიხედვით მუშათა სოციალისტური პარტიის ამოცანაა «გააერთიანოს საერთო მტრის— მიწათმფლობელი ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სოფლის წარმოების ყველა ელემენტი და ყოველგვარი საქმიანობა, რომლებიც სხვა და სხვა იერიდიული საფუძვლით სარგებლობას იღებენ ნაციონალურ მიწა-წყლიდან». მე გადაჭრით უარვყოფ იმას, თითქოს რომელიმე ქვეყნის მუშათა სოციალისტური პარტიის წინაშე იდგეს ამოცანა—მიიღონ თავიანთ წრეში, გარდა სოფლის პროლეტარებისა და წვრილი გლეხებისა, აგრეთვე საშუალო და მსხვილი გლეხობაც, ანდა მსხვილი მამულების მოიჯარეებიც კი, კაპიტალისტური მესაქონლენი და ნაციონალური მიწა-წყლის დანარჩენი კაპიტალისტური ექსპლოატატორები. დაე ფეოდალური მიწათმფლობელობა ყველა მათთვის საერთო მტერი იყოს. ჩვენ შეგვიძლია გარკვეულ საკითხებში მათთან ერთად ვიაროთ, ჩვენ შეგვიძლია გარკვეული მიზნებისათვის ერთხანს მათთან მხარდამხარ ვიბრძოლოთ. ჩვენს პარტიაში ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ცალკეული პირები ყოველი საზოგადოებრივი კლასებიდან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია მივიღოთ საერთო ინტერესებით დაკავშირებული ჯგუფები კაპიტალისტებისა, საშუალო ბურჟუაზიისა ან საშუალო გლეხებისა. აქაც არც თუ ისეთი ბოროტი განზრახვაა ჩვენი ავტორებისა, როგორც ეს გვეჩვენება; ყოველივე ამის შესახებ ისინი უთუოდ არც კი დაფიქრებულან;

მაგრამ, სამწუხაროდ, განზოგადოებით გატაცებამ ისინი წაიტყუა და ამიტომ ნულარ უკვირთ, რომ მათ მათსავე სიტყვაში იპერენ.

დასაბუთებას მოსდევს ახალი დამატებანი პროგრამისადმი. მათ ასეთივე დაუდევარი რედაქცია ახასიათებთ, როგორც თვით დასაბუთებას.

ის მუხლი, რომლის მიხედვითაც თემებმა სასოფლო-სამეურნეო მანქანები უნდა შეიძინონ და თვითღირებულებით გლეხებს მიაქირაონ, იმ მხრივ იცვლება, რომ, ჯერ-ერთი, ეს თემები ამ მიზნით სახელმწიფოსაგან სუბსიდიებს ღებულობენ და, მეორეც, მათ მანქანები უფასოდ უნდა დაუთმონ წვრილ გლეხებს. ეს შეძდგომი დათმობა სრულებითაც ვერ მოუტანს რაიმე დიდ სარგებლობას იმ წვრილ გლეხებს, რომელთა სახნავ-სათესი და თვით მეურნეობის გაძღოლის წესი მანქანების გამოყენების მხოლოდ მცირეოდენ საშუალებას იძლევა.

შემდეგ: «ყველა არსებული არაპირდაპირი თუ პირდაპირი გადასახადების მაგივრად ერთიანი პროგრესიული გადასახადის შემოღება ყოველ შემოსავალზე, რომელიც 3000 ფრანკს აღეჭატება».— ასეთი მოთხოვნა უკვე მრავალი წელია გვხვდება თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში. მაგრამ ის გარემოება, რომ ამ მოთხოვნას სპეციალურად წვრილი გლეხის ინტერესებისათვის აყენებენ, ახალი რამეა და მხოლოდ იმას ამტკიცებს, თუ რა ცუდად არის გაგებული მისი ნამდვილი მნიშვნელობა. ავიღოთ, მაგალითად, ინგლისი. სახელმწიფო ბიუჯეტი იქ 90 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. აქედან $13^1/_2$ მილიონიდან 14 მილიონამდე გირვანქა სტერლინგს იძლევა საშემოსავლო გადასახადი, ხოლო დანარჩენ 76 მილიონიდან მხოლოდ მცირე ნაწილი საწარმოთა (ფოსტა, ტელეგრაფი, შტემპელის მოსაკრებელი) დაბეგვრისაგან შემოდის, მაგრამ უდიდესი ნაწილი შემოდის მასობრივი მოხმარების საგნებზე დადებული გადასახადებისაგან, იმ გზით, რომ ყოველ ნაბიჯზე წვრილ-წვრილად შეუმჩნეველი, მაგრამ საერთო ჯამში მრავალი მილიონის მომცემი ოდენობით—ჭკვეცენ ყველა მოქალაქეთა შემოსავალს, უმთავრესად კი ღარიბებისას. და არა გვგონია თანამედროვე საზოგადოებაში არსებობდეს სხვა საშუალებები სახელმწიფო ხარჯების დაფარვის შესაძლებლობა. ვთქვათ, ინგლისში მთელი ეს 90 მილიონი იკრიფება 120 გირვ. სტ. (3 000 ფრანკი) და კიდევ მეტ შემოსავალზე შეწერილი პირდაპირი პროგრესიული გადასახადის საშუალებით. საშუალო წლიური დანაგროვი, მთელი ნაციონალური სიმდიდრის ყოველ-

წლიური მატება, გიფენის მიხედვით, 1865-1875 წლებში 240 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. დავუშვათ, რომ ახლა ეს მატება 300 მილიონს უდრის წელიწადში; ამ შემთხვევაში 90 მილიონი საგადასახადო ტვირთი მთელი დანაგროვის თითქმის მესამედს შთანთქავდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არც ერთ მთავრობას, გარდა სოციალისტურისა, არ შეუძლია რაიმე ამის მსგავსის გატარება; ხოლო, როდესაც ხელისუფლების საქმეს სოციალისტები აიღებენ, მათ მოუხდებათ ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელთა გვერდით ეს საგადასახადო რეფორმა მხოლოდ დროებითი, სრულიად უმნიშვნელო ნაწილობრივი ავანსის გადასახადის როლს შეასრულებს, ხოლო წვრილი გლეხების წინაშე სულ სხვა პერსპექტივები გადაიშლება.

პროგრამის ავტორები, როგორც ჩანს, თვითონაც მიხვდნენ, რომ გლეხებს დიდხანს მოუხდებოდათ ამ საგადასახადო რეფორმის ლოდინი და ამიტომ «ჯერ-ჯერობით» (en attendant) გლეხებს სთავაზობენ: «ძოისპოს მიწის გადასახადი ყველა იმ გლეხისათვის, ვინც თავისი შრომით ცხოვრობს, და შემციოდეს ეს გადასახადი ყველა დაგირავებული მიწისათვის».—ამ მოთხოვნის მეორე ნაწილი შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ უფრო მსხვილ გლეხურ ნაკვეთებზე, რომელთა დამუშავება შეუძლებელია ცალკეული ოჯახის ძალღონით; ამრიგად, იგი ხელსაყრელია ისევ იმ გლეხებისათვის, რომლებიც «დაქირავებული მუშის ექსპლოატაციას ეწეკიან».

შემდეგ: «ნადირობისა და თევზის ჭერის სრულიად შეუზღუდველი თავისუფლება, ოღონდ იმ ერთი პირობით, რომ დაზოგვით მოეპყრან ნადირს, თევზსა და ნათესს». ეს ძლიერ პოპულარულად ჟღერს, მაგრამ წინადადების მეორე ნაწილი აბათილებს წინა ნაწილს. განა ახლაც კი ბევრი კურდღელი, კაკაბი, ქარიყლაპია და ჭანარი მოუდის მთელ სოფელში თვითეული გლეხის ოჯახს? განა იმდენი მოდის, რომ შეიძლებოდეს თვითეულ გლეხს წელიწადში სანადაროდ და სათევზაოდ ერთ დღეზე მეტი ერგოს?

«დაკანონებული და ჩვეულებრივი სარგებლის შემცირება»—მაშასადამე, ახალი კანონები მევახშის წინააღმდეგ, ახალი ცდა იმ პოლიციური ღონისძიების გასატარებლად, რომელიც ორი ათასი წლის მანძილზე ყველგან და ყოველთვის მარცხს განიცდიდა. თუ წვრილი გლეხი ისეთ მდგომარეობაში ეარდება, რომ მისთვის მევახშისადმი მიმართვა ნაკლები ბოროტებაა, მაშინ მევახშეც ყოველთვის გამონახავს საშუალებას—ისე გამოსწოროს მას სისხლი, რომ აიცილოს მევახშეობის წინააღმდეგ მიმართული კანონის

მოქმედება. ამ ღონისძიებას, უკეთეს შემთხვევაში, შეუძლია გული დაუმშვიდოს გლეხს, სარგებლობა კი არავითარი არ მოაქვს მისთვის; პირიქით, იგი სწორედ მაშინ გაუძნელებს მას კრედიტს, როდესაც გლეხისთვის ის უაღრესად საჭირო იქნება.

«უფასო სამკურნალო დახმარება და წამლების მიწოდება თვითღირებულებით»—ეს ყოველ შემთხვევაში სპეციალურად გლეხური მოთხოვნა არ არის; გერმანული პროგრამა უფრო შორს მიდის და მოითხოვს აგრეთვე უფასო წამლებსაც.

«გაწვეულ მეთადარიგე ჯარისკაცთა ოჯახებისათვის საზღაურის მიცემა ამ ჯარისკაცთა მთელი სამსახურის დროის განმავლობაში»—უკვე მოქმედებს გერმანიასა და ავსტრიაში, თუმცა მეტად არადამაკმაყოფილებელი სახით, და ესეც არაა აგრეთვე სპეციალური გლეხური მოთხოვნა.

«ასუქის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და პროდუქტების გადასაზიდი ტარიფის შემცირება»—ძირითადად უკვე გატარებულია გერმანიაში, მაგრამ, უმთავრესად... მსხვილ მიწისმფლობელთა სასარგებლოდ.

«დაუყოვნებლივი მოსამზადებელი მუშაობა იმისათვის, რომ შედგენილი იქნეს გეგმა საზოგადოებრივი სამუშაოებისა ნიადაგის გასაუმჯობესებლად და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ასამაღლებლად»; ყოველივე ეს ბუნდოვანი სიტყვების და მშვენიერი დაპირებების ფარგლებს არ სცილდება და უწინარეს ყოვლისა, აგრეთვე მსხვილი მიწათმფლობელობის ინტერესებს ემსახურება.

ერთი სიტყვით, მთელი ამ მრავლისაღმთქმელი თეორიული დასაბუთების შედეგ ახალი აგრარული პროგრამის პრაქტიკული წინადადებები, სრულებით ვერ გვიხსნიან, თუ როგორ შესძლებს საფრანგეთის მუშათა პარტია ხელი შეუწყოს წვრილ გლეხს, რათა მან შეინარჩუნოს თავისი პარცელური საკუთრება, რაც მისივე გამოთქმით, გარდუვალად დასაღუპავად არის განწირული.

II

ერთ საკითხში ჩვენი ფრანგი ამხანაგები, უეჭველად, მართალნი არიან: წვრილი გლეხის ნეგა-სურვილის წინააღმდეგ რაიმე მტკიცე გადატრიალება საფრანგეთში შეუძლებელია. ოღონდ, მე მგონია, რომ იმისათვის, რათა გლეხთან დაახლოებულიყვნენ, ამ ამხანაგებმა საქმეს ხელი სწორად ვერ მოჰკიდეს.

როგორც ეტყობა, ისინი გამოდიან იმ მისწრაფებიდან, რომ დაუყოვნებლივ მიიზიდონ გლეხი თავიანთ მხარეს და შეძლებისდაგვარად უახლოეს საერთო არჩევნებშიც კი. ამის მიღწევას ისინი

იმედოვნებენ მხოლოდ ძლიერ გაბედული ფართო დაპირებებით, რომელთა დასასაბუთებლად ისინი იძულებულნი არიან კიდევ უფრო გაბედული თეორიული მოსაზრებანი მოიშველიონ. მაგრამ უფრო ახლოს თუ ჩაუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ეს ფართო დაპირებები თავის თავს ეწინააღმდეგებიან (დაპირება ისეთი მდგომარეობისათვის ხელისშეწყობისა, რომლის შესახებაც თვითონვე აცხადებენ, რომ გარდუვალად დასაღუპავადაა განწირულიო) და რომ ცალკეული ღონისძიებები ან სრულებით არ შეიძლება პრაქტიკულად განხორციელდნენ (კანონები მევახშეობის შესახებ), ან— ისინი წარმოადგენენ მუშების საერთო მოთხოვნებს, ან სასარგებლონი არიან აგრეთვე მსხვილი მიწათმფლობელობისთვისაც, ანდა, ბოლოს, მათ სულაც არა აქვთ სერიოზული მნიშვნელობა წვრილი გლეხისათვის; ასე რომ პროგრამის წმინდა პრაქტიკული ნაწილი თვითონვე ასწორებს შემცდარ შესავალს და გარეგნულად საშინელი მალალფარდოვანი სიტყვები დასაბუთებისა საქმით უწყინარ ღონისძიებებამდე დაჰყავს.

პირდაპირ ვიტყვით: იმ ცრურწმენების არსებობის გამო, რომლებიც გამომდინარეობენ გლეხის ეკონომიური მდგომარეობიდან, მისი აღზრდიდან, კარჩაკეტილი ცხოვრებიდან და რომელთაც ხელს უწყობენ ბურჟუაზიული პრესა და მსხვილი მიწათმფლობელები, ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ დაუყოვნებლივ მივიმხროთ წვრილ გლეხთა მასა, თუ მათ იმას დავპირდებით, რისი შესრულებაც ჩვენ წინასწარ ვიცით, რომ არ შეგვიძლია, სახელდობრ: ჩვენ უნდა დავპირდეთ არა მხოლოდ იმას, რომ დავიცავთ მათს საკუთრებას ყოველგვარ მდგომარეობაში, მათზე მოწოლილი ყველა ეკონომიური ძალის წინააღმდეგ, არამედ იმასაც, რომ გავანთავისუფლებთ იმ ჩაგვრისგანაც, რომელიც მათ ახლაც უკვე აწევთ კისრად: მოიჯარეს ვაქცევთ თავისუფალ მესაკუთრედ, ხოლო იპოთეკით წელში გაწყვეტილ მფლაკუთრეს გავანთავისუფლებთ ვალებისაგან. ჩვენ კიდევაც რომ შეგვეძლოს ამის შესრულება, ამით ისევ იმ მდგომარეობას დავუბრუნდებოდით, საიდანაც კვლავ გარდაუვალი აუცილებლობით დღევანდელი მდგომარეობა განვითარდებოდა. ჩვენ კი არ გავანთავისუფლებდით გლეხს, არამედ მხოლოდ მცირე ხნით გადავდებდით მის დაღუპვას.

ჩვენს ინტერესებს სრულებითაც არ შეადგენს ის, რომ მივიმხროთ გლეხი დღეს, რათა ხვალ იგი კვლავ ჩამოგვშორდეს, როცა არ შეგვიძლია ჩვენი დაპირებების შესრულება. გლეხი, რომელიც ჩვენგან მისი პარცელური საკუთრების სამუდამოდ დამკვიდრებას მოითხოვს, არ გამოგვადგება ჩვენი პარტიის წევრად,

ისევე როგორც წვრილი ხელოსანი ოსტატი, რომელსაც სურს სამუდამოდ დაიმკვიდროს თავისი მდგომარეობა როგორც ოსტატისა. ასეთი ადამიანების ადგილი ანტისემიტებშია. დაე წავიდნენ ისინი ანტისემიტებთან, დაე მიიღონ მათგან დაპირება, რომ ისინი დაიცავენ მათ წვრილ მეურნეობას; როდესაც ეს ადამიანები გაიგებენ, თუ რა მნიშვნელობა აქვთ ამ ბრწყინვალე ფრაზებს, თუ რა ჰანგებს უკრავენ ანტისემიტური ვიოლინები, მაშინ ისინი სულ უფრო და უფრო მიხვდებიან, რომ ჩვენ, ვინც ნაკლებს ვპირდებით და სულ სხვა მიმართულებით ვეძებთ ხსნას, უფრო საიმედო ხალხი ვართ. ფრანგებთან რომ ისეთი ანტისემიტური ჟურნალისტიანი დემაგოგია ხდებოდეს, როგორც ჩვენთან ხდება, არა გვგონია მაშინ მათ ნანტის კონგრესის შეცდომა ჩაედიოთ.

მაშ, როგორია ჩვენი დამოკიდებულება წვრილი გლეხისადმი? და როგორ უნდა მოვექცეთ მას იმ დღეს, როცა ჩვენ ხელთ გადმოვა სახელმწიფო ძალაუფლება?

ჯერ-ერთი, სავსებით მართალია საფრანგეთის პროგრამის დებულება, ხომ ჩვენ წინასწარ ვხედავთ წვრილი გლეხის აუცილებელ დაღუპვას, მაგრამ სრულებითაც არ ვართ მოწოდებული დავაჩქაროთ იგი ჩვენი ჩარევით.

მეორეც, ასევე ცხადია, რომ მაშინ, როცა ჩვენ სახელმწიფო ძალაუფლებას დავიპყრობთ, ჩვენ არ ვიფიქრებთ იმაზე, რომ ძალით მოვახდინოთ წვრილი გლეხის ექსპროპრიაცია (სულერთია, ანაზღაურებით, თუ უამისოდ), როგორც ჩვენ იძულებული ვიქნებით მოვახდინოთ ეს მსხვილი მიწათმფლობელების მიმართ. ჩვენი ამოცანა წვრილი გლეხის მიმართ, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მაში კერძო წარმოება და კერძო მფლობელობა საამხანაგო გავხადოთ, მაგრამ არა ძალით, არამედ მაგალითით და ამ მიზნით საზოგადოებრივი დახმარების შეთავაზებით. და აი მაშინ, ჩვენ, რა თქმა უნდა, უკვე საკმარისად გვექნება იმის საშუალებები, რათა ეუჩვენოთ წვრილ გლეხს ის სარგებლობა, რომელიც მისთვის ახლაც კი უკვე ნათელი უნდა იყოს.

უკვე თითქმის ამ ოცი წლის წინათ ამგვარივე გეგმები წამოაყენეს დანიის სოციალისტებმა, რომელთა ქვეყანაში, ნამდვილად რომ ითქვას, მხოლოდ ერთი ქალაქია—კოპენჰაგენი, ასე რომ ამ ქალაქის გარდა პროპაგანდის წარმოება მათ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ გლეხებს შორის უხდებათ. ამა თუ იმ სოფლის ან მრეველის გლეხებმა,— დანიაში მრავალი ცალკეული დიდი კომლია —თავისი მიწები ერთ მსხვილ მამულად უნდა შეაერთონ და სა-

ერთო ხარჯით დაამუშაონ იგი, ხოლო შემოსავალი გაიყონ დაბანდებული მიწის, ფულის და შრომის პროპორციულად. დანიაში წვრილი მიწისმფლობელობა მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. მაგრამ თუ ჩვენ ამ იდეას პარცელური მეურნეობის დარგს მივუყენებთ, დავინახავთ, რომ პარცელების შეერთებით და მთელ შეერთებულ ფართობზე მსხვილი მეურნეობის გაძღოლის დროს, ნაწილი მუშა-ხელისა, რომელიც აქამდე დაბანდებული იყო, ზედმეტი აღმოჩნდება. შრომის სწორედ ამ დაზოგვაშია მსხვილი მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა. ამ მუშახელისათვის სამუშაოს გამონახვა შეიძლება ორი გზით: ან გლეხთა ამხანაგობის განკარგულებაში უნდა გადავიდეს მიწის ახალი ნაკრები მეზობელი მსხვილი მამულებიდან; ანდა უნდა მიეცეს მათ სახსრები და შესაძლებლობა დამხმარე სამრეწველო მუშაობისათვის, თუნდაცდა უპირატესად საკუთარი მოხმარებისათვის. ორივე შემთხვევაში მათი ეკონომიური პირობები გაუმჯობესდება და ამავე დროს ეს უზრუნველყოფს ცენტრალური საზოგადოებრივი ძალაუფლებისათვის აუცილებელ გავლენას, რათა გლეხთა ამხანაგობა თანდათან უმაღლეს ფორმად აქციოს და როგორც მთლიანად ამხანაგობის, ისევე მისი ცალკეული წევრების უფლებები და მოვალეობები გაუთანაბროს მთელი კოლექტივის დანარჩენ ნაწილთა უფლებებსა და მოვალეობებს. თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს კერძოდ თვითეულ ცალკე შემთხვევაში, დამოკიდებული იქნება უკვე ამა თუ იმ შემთხვევის გარემოებაზე და იმ პირობებზე, რომლებშიც ჩვენ პოლიტიკურ ძალაუფლებას დავიპყრობთ. შესაძლოა, რომ ჩვენ, ამ გზით, შეეძლებთ უფრო მეტი უპირატესობანი შევთავაზოთ ამ ამხანაგობებს: ნაციონალური ბანკის მიერ თავის თავზე მათი საიპოთეკო ვალის მთელი თანხის აღება სარგებლის მნიშვნელოვანი შემცირებით; დახმარების გაცემა საზოგადოებრივი სახსრებიდან მსხვილი წარმოების მოსაწყობად (დახმარება გაიცემა არა აუცილებლად ან არა მხოლოდ ფულის სახით, არამედ საჭირო პროდუქტებითაც: მანქანებით, ხელოვნური სასუქით და ა. შ.) და სხვა უპირატესობანი.

ყველა ამასთან თავიდათავი მაინც ის არის, რომ გლეხს აშკარად დავანახვოთ, რომ ჩვენ მხოლოდ იმ გზით შეგვიძლია გადავარჩინოთ, შევუნარჩუნოთ მას მისი კარ-მიდამო და ადგილ-მამული, თუ ამ ადგილ-მამულს საამხანაგო მფლობელობად და საამხანაგო წარმოებად გადავაქცევთ. გლეხები დაღუპვისაკენ მიჰყავს სწორედ ერთპიროვნულ მეურნეობას, რომელიც ერთპიროვნული მფლობე-

ლობითაა გაპირობებული. თუ ისინი დაიჟინებენ სწორედ თავიანთ აჰ ერთპიროვნულ მეურნეობას, მაშინ ისინი აუცილებლად დაჰკარგავენ კარ-მიდამოსაც და მიწის ნაკვეთსაც; მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა განდევნის მათ მოძველებული წარმოების წესს. ასეთია საქმის ვითარება. და აი მივდივართ ჩვენ და გლეხებს შესაძლებლობას ვაძლევთ თვითონ გაუძღვნენ მსხვილ მეურნეობას, აბა კაპიტალისტთა სასარგებლოდ, არამედ თავისი საკუთარი საერთო სარგებლობისათვის. განა არ შეიძლება ნათლად ვუჩვენოთ გლეხს, რომ ეს მათ ინტერესებში შედის, რომ ეს მათი ხსნის ერთადერთი საშუალებაა?

ჩვენ არ შეგვიძლია და ვერასოდეს ვერ შევძლებთ, რომ დავპირდეთ პარცელურ გლეხს ერთპიროვნული საკუთრებისა და ერთპიროვნული მეურნეობის შენარჩუნებას კაპიტალისტური წარმოების ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დავპირდეთ, რომ მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ ძალმომრეობით არ შევიჭრებით მათ საკუთრების ურთიერთობებში. შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია იმის მომხრენი ვიყოთ, რომ კაპიტალისტებისა და მსხვილი მიწათმფლობელების ბრძოლა წვრილი გლეხის წინააღმდეგ ახლაც კი რაც შეიძლება ნაკლებ გაიძვერული ხერხებით წარმოებდეს და რომ შეძლებისდაგვარად დაბრკოლებები შევუქმნათ აშკარა ძარცვა-გლეჯასა და ბოტყუებას, რაც მეტისმეტად ხშირად ხდება. ამის მიღწევა მხოლოდ გამონაკლისის სახით მოხერხდება. წარმოების განვითარებული კაპიტალისტური წესის დროს არც ერთმა ადამიანმა არ იკის, სად თავდება პატიოსანი მოგება და სად იწყება თაღლითობა. მაგრამ ყოველთვის დიდი განსხვავება იქნება იმაში, თუ ვის ხელში იქნება პოლიტიკური ძალაუფლება,—მომტყუებლის თუ ბოტყუებულის მხარეზე. ჩვენ კი გადაჭრით ვდგავართ წვრილი გლეხის მხარეზე; ჩვენ ყველა შესაძლებელ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ გლეხის ხვედრი უფრო ასატანი გახდეს და რომ გაჭუადვილოთ მას ამხანაგობაზე გადასვლა, თუ ის ამას გადაწყვეტს, და ვადასაც კი ვინცემთ მას თავის პარცელაზე ამის მოსაფიქრებლად, თუ ის ჯერ კიდევ ვერ შესძლებს მიიღოს ეს გადაწყვეტილება. ჩვენ ამას გავაკეთებთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ზრომით მცხოვრები წვრილი გლეხის გადმოსვლა ჩვენ მხარეზე შესაძლებლად მიგვაჩნია, არამედ პარტიის პირდაპირი ინტერესების გამოც. რაც უფრო ადრე იქნება იმ გლეხების რიცხვი, რომლებსაც ჩვენ ნამდვილად საშუალებას მივცემთ არ გადა-

იქცნენ პროლეტარებად და რომლებსაც ჩვენ ჯერ კიდევ როგორც გლეხებს ჩვენ მხარეზე გადმოვიბირებთ, მით უფრო სწრაფად და იოლად მოხდება საზოგადოებრივი გადატრიალება. ჩვენთვის უსარგებლოა ამ გადატრიალების დაცდა იმ დრომდე, სანამ კაპიტალისტური წარმოება ყველგან თავისი განვითარების უკიდურეს შედეგებს მიაღწევს, სანამ უკანასკნელი წვრილი ხელოსანი და უკანასკნელი წვრილი გლეხი მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას მსხვერპლად შეეწირება. ის მატერიალური მსხვერპლი, რომელიც ამ მიზნით საზოგადოებრივი სახსრებიდან გლეხების ინტერესებისათვის უნდა გავიღოთ, კაპიტალისტური ეკონომიკის თვალსაზრისით შეიძლება პირდაპირ გადაყრილ ფულად იქნეს მიჩნეული, მაშინ როდესაც ეს იქნება კაპიტალის შესანიშნავი გამოყენება, იმიტომ რომ შესაძლებელია ამ მსხვერპლის გაღებამ ათჯერ უფრო დიდი თანხები დაზოგოს, ვინემ საჭირო იქნებოდა ერთობლივად საზოგადოების გარდაქმნისათვის ხარჯების გაწევის დროს. ამ მხრივ, ჩვენ შეგვიძლია, მაშასადამე, მეტად გულუხვი ვიყოთ გლეხების მიმართ. აქ ზედმეტია დაწვრილებით შევეხოთ საკითხს და ამ მიმართულებით გარკვეული წინადადებები წამოვაყენოთ; აქ შეიძლება ლაპარაკი იყოს მხოლოდ სულ ზოგად, ძირითად ხაზებში.

ამრიგად, ჩვენ ძალიან ცუდ სამსახურს გავუწევდით არა მხოლოდ პარტიას, არამედ წვრილ გლეხებსაც კი, თუ მათ ისეთი დაპირებებით გავბერავდით, რომლებიც გლეხებს ცოტაოდენ საბაბს მაინც მისცემდნენ ეფიქრნათ, რომ ჩვენ ვაპირებთ ხანგრძლივ შევინარჩუნოთ პარცელური საკუთრება. ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ პირდაპირ დაგვეხურა გლეხებისათვის ვანთავისუფლების გზა და პარტია ჩამოგვექვეითებინა უგვანო ანტისემიტიზმის დონემდე. პირიქით. ჩვენი პარტიის ვალია—ყოველთვის და ყველგან განუმარტოს გლეხებს მათი მდგომარეობის აბსოლუტური უიმედობა, ვიდრე კაპიტალიზმი ბატონობს, აბსოლუტური შეუძლებლობა შეინარჩუნონ მათ პარცელური საკუთრება, როგორც ასეთი, აბსოლუტური რწმენა იმისა, რომ კაპიტალისტური მსხვილი წარმოება ისევე ვასრესს მათ უძლურ მოძველებულ წვრილ წარმოებას, როგორც რკინიგზის მატარებელი—ურიკას. თუ ასე მოვიქცევით, ჩვენ ვიმოქმედებთ აუცილებელი ეკონომიური განვითარების შესაბამისად, ეს კი გონებას გაუხსნის წვრილ გლეხებს ჩვენი სიტყვების გასაგებად.

თუმცა, მე არ შემიძლია ეს საკითხი დავტოვო ჩემი იმ ღრმა რწმენის გამოუთქმელად, რომ ნანტის პროგრამის ავტორებიც არსებითად ემხრობიან იმავე შეხედულებას, რასაც ძე. ისინი საკმაოდ შოსპეკერტელნი არიან იმისათვის, რათა გაიგონ, რომ ახლა წვრილი პარცელებად დანაწილებული მიწაც კოლექტიურ მფლობელობაში უნდა გადავიდეს. ისინი თვითონვე აღიარებენ, რომ პარცელურ საკუთრებას გაქრობა მოელის. ნანტის კონგრესზე ნაციონალური საბჭოს მოხსენება, შედგენილი ლაფარგის მიერ, ასევე სავსებით ადასტურებს ამ აზრს. გერმანულ ენაზე იგი გამოქვეყნდა ბერლინის «Sozialdemokrat»-ში ამა წლის 18 ოქტომბერს. უკვე თვით წინააღმდეგობა ნანტის პროგრამის გამოთქმებისა აშკარავებს, რომ მისი ავტორები ნამდვილად იმას არ ამბობენ, რისი თქმაც სურთ. თუ მათ ვერ გაუგებენ და მათს განცხადებებს ბოროტად გამოიყენებენ,—როგორც ეს კიდევაც მოხდა სინამდვილეში,—ეს, რა თქმა უნდა, მათივე ბრალია. ყოველ შემთხვევაში, მათ უფრო დაწვრილებით უნდა განმარტონ თავიანთი პროგრამა, ხოლო საფრანგეთის შემდგომ ყრილობას მოუხდება მისი საფუძვლიანად გადასინჯვა.

ახლა გადავიდეთ უფრო მსხვილი გლეხების საკითხზე. აქ ჩვენ ვხედავთ—უმთავრესად მემკვიდრეობის გაყოფის გამო, მაგრამ აგრეთვე დავალიანების და მიწის იძულებითი გაყიდვის გამოც,—მთელ რიგ გარდამავალ საფეხურებს პარცელურიდან მსხვილ გლეხამდე, რომელსაც შეუნარჩუნებია მთელი თავისი ძველი ნაკვეთი და გაუფდიდებია კიდეც. იმ ადგილებში, სადაც საშუალო გლეხი პარცელურ გლეხებს შორის ცხოვრობს, იგი თავისი ინტერესებითა და შეხედულებებით რამდენადმე მაინც არსებითად არ განირჩევა მათგან; მას ხომ საკუთარმა გამოცდილებამ უჩვენა, თუ რამდენი გლეხი, ისეთივე როგორიც ის არის, ჩამოქვეითდა წვრილი გლეხის მდგომარეობამდე. იქ კი, სადაც საშუალო და მსხვილი გლეხები სჭარბობენ და სადაც მეურნეობის გასაძღოლად ყველგან საჭირო ხდება მოჯამაგირეების მოხმარება, საქმის ვითარება სულ სხვანაირია. მუშათა პარტია, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა უნდა გამოექომაგოს დაქირავებულ მუშებს, ე. ი. მოჯამაგირეებს და დღიურ მუშებს. მას მარტო ამის გამოც არ შეუძლია მისცეს გლეხებს რაიმე ისეთი დაპირებები, რომელნიც მუშების დაქირავებული მონობის არსებობის შენარჩუნებას გულისხმობენ. მაგრამ, სანამ იარსებებენ მსხვილი და საშუალო გლეხები, როგორც ასეთნი, ისინი დაქირავებული მუშის გარეშე თავს ვერ გაართმევენ

საქმეს. და თუ ჩვენი მხრივ უაზრობა იქნებოდა პარცელური გლეხებისათვის იმის იმედის მიცემა, რომ ისინი თავიანთ არსებობას განაგრძობენ, როგორც პარცელური გლეხები, მსხვილი და საშუალო გლეხებისათვის ამის დაპირება უკვე პირდაპირ ღალატი იქნებოდა.

ჩვენ აქაც იგივე მსგავსება გვაქვს ქალაქის ხელოსნებთან. თუმცა ხელოსნებმა გლეხებზე უფრო მეტი გაჩანაგება განიცადეს, მაგრამ მათ შორის მაინც მოიძებნება კიდევ ისეთები, რომლებთანაც შეგირდებს გარდა ქარგლებიც მუშაობენ, ანდა რომლებთანაც შეგირდები ქარგლების სამუშაოს ასრულებენ. ამ ოსტატ-ხელოსანთაგან ისინი, ვისაც სამუდამოდ სურთ ასეთებად დარჩნენ, დაე წავიდნენ ანტისემიტებთან, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ არც იქ უშველიან მათ. დანარჩენები კი, ვინც თავიანთი წარმოების წესის გარდუვალ დაღუპვას ხედავენ, დაე მოვიდნენ ჩვენთან, მაგრამ ამასთან მზად უნდა იყვნენ მომავალში ის ხვედრი გაიზიარონ, რომელიც ყველა სხვა მუშას მოელის. იგივე ითქმის მსხვილი და საშუალო გლეხების მიმართაც. ჩვენ, რა თქმა უნდა, მათი მოჯამაგირეები და დღიური მუშები უფრო გვაინტერესებს, ვიდრე თვით ისინი. თუ ამ გლეხებს სურთ, რომ ჩვენ მივცეთ მათ მათი მეურნეობის შემდგომი არსებობის გარანტია, ამას ჩვენ ვერაფრით ვერ დავპირდებით. მაშინ მათი ადგილი ანტისემიტებში იქნება, გლეხთა ჟავშირის წევრებსა და სხვა ამგვარ პარტიებში, რომელნიც განსაკუთრებულ სიამოვნებას გრძნობენ იმაში, რომ ყველაფერს დაპირდნენ და არაფერი არ შეასრულონ. ჩვენ მტკიცედ ვიცით ის ეკონომიური ჭეშმარიტება, რომ მსხვილი და საშუალო გლეხიც აუცილებლად უნდა დაღუპოს კაპიტალისტური მეურნეობის კონკურენციამ და ხორბლის იაფმა ოკეანეს-იქითურმა წარმოებამ; ამას მოწმობს თვით ამ გლეხების სულ უფრო მზარდი დავალიანება და ჩამოქვეითება, რასაც საყოველთაოდ ვხედავთ. ამ დაქვეითების წინააღმდეგ ჩვენ ვერაფერს გავხდებით, მხოლოდ იმას თუ ვურჩევთ, რომ აქაც შეაერთონ მეურნეობანი საამხანაგო საწარმოებად, რომლებშიც შესაძლებელი იქნება სულ უფრო და უფრო მოისპოს დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია და რომელნიც თანდათანობით შეიძლებოდა გადაგვექცია დიდ საერთო-ნაციონალური საწარმოო ამხანაგობის ნაწილებად, რომლებსაც თანაბარი უფლებები და ვალდებულებები ექნებოდათ. თუ ეს გლეხები შეიგნებენ წარმოების მათი ახლანდელი წესის დაღუპვის აუცილებლობას, თუ ისინი საჭირო დასკვნებს გამოიყვანენ აქედან, მაშინ დაე ისინი მოვიდნენ ჩვენთან და

ჩვენი ვალი იქნება მათაც შეძლებისდაგვარად გავუადვილოთ წარმოების ახალ წესზე გადასვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებულნი ვიქნებით საკუთარი ბედისამარა მივატოვოთ ისინი და მივპართოთ მათს დაქირავებულ მუშებს, რომლებშიც ჩვენ აშკარად მოვიპოვებთ თანაგრძნობას. ძალდატანებითს ექსპროპრიაციაზე ჩვენ, ალბათ, აქაც უარს ვიტყვით, თუმცაღა, ესეც არის, შეგვიძლია იმის იმედი ვიქონიოთ, რომ ეკონომიური განვითარება ამ შუბლმაგრებსაც ასწავლის ჭკუა-გონებას.

სულ მარტივად არის საქმე მხოლოდ მსხვილი მიწათმფლობელობის მიმართ. აქ ჩვენს წინაშე სრულიად დაუფარავი კაპიტალისტური საწარმოა, და რადგან ასეა, ამ მხრივ არავითარი ეჭვი ალარ შეიძლება გვქონდეს. აქ ჩვენს წინაშეა სოფლის პროლეტარიატის მასა, და ჩვენი ამოცანა ნათელია. როგორც კი ჩვენი პარტია სახელმწიფო ძალაუფლებას დაიპყრობს, მან პირდაპირ უნდა მოახდინოს მსხვილ მიწათმფლობელთა ექსპროპრიაცია, ისევე როგორც მრეწველ მეფაბრიკეებისა. ის, თუ როგორ მოხდება ეს ექსპროპრიაცია, გამოსყიდვით თუ გამოუსყიდველად, მეტწილად დამოკიდებული იქნება არა ჩვენზე, არამედ იმ გარემოებებზე, რომლებშიც ჩვენ ძალაუფლებას დავიპყრობთ, აგრეთვე განსაკუთრებით თვით ბატონ მსხვილ მიწათმფლობელთა მოქმედებაზე. ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ, რომ გამოსყიდვა არავითარ გარემოებებში არ არის დასაშვები; მარქსს ჩემთვის (და მერე რა ხშირად!) გამოუთქვამს თავისი აზრი: ჩვენ ყველაზე იაფად ის დაგვიჯდებოდა, რომ შეგვეძლოს მთელი ამ ხროვისაგან თავის გამოსყიდვა. მაგრამ ჩვენ აქ ამას არ შევეხებით. ამრიგად, საზოგადოებისთვის დაბრუნებულ მსხვილ მამულებს ჩვენ სარგებლობაში გადავცემთ საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ ამხანაგობებად გაერთიანებულ სოფლის მუშებს, რომლებიც ამჟამად უკვე ამუშავებენ ამ მიწებს. თუ რა პირობებით გადავცემთ ჩვენ ამ მიწებს, ამის შესახებ ახლა გარკვეულს ვერაფერს ვიტყვით. ყოველ შემთხვევაში, კაპიტალისტური მეურნეობის გადაქცევა საზოგადოებრივ მეურნეობად აქ უკვე სავსებით მომზადებულია და შეიძლება მოხდეს ერთბაშად, ისევე როგორც, მაგალითად, ბ-ნ კრუპის ან ბ-ნ ფონ შტუმის ქარხნებისა. ხოლო ამ სამიწათმოქმედო ამხანაგობათა მაგალითი დაარწმუნებს საამხანაგო მსხვილი მეურნეობების უპირატესობაში წინააღმდეგობის გამწევ უკანასკნელ პარცელურ გლეხებს და, ალბათ, ზოგიერთ მსხვილ გლეხსაც.

მაშასადამე, აქ ჩვენ შეგვიძლია სოფლის პროლეტარებს ისეთივე ბრწყინვალე პერსპექტივა გადავუშალოთ, როგორიც სამრეწველო მუშების წინაშეა გადაშლილი. ამიტომ ოსტელბიის პრუსიის სოფლის მუშების ჩვენ მხარეს მოზიდვა ჩვენთვის მარტო დროის საქმეა— და ისიც ძლიერ მოკლე დროისა. ხოლო როდესაც ოსტელბიის სოფლის მუშები ჩვენ მხარეს იქნებიან, მთელ გერმანიაში მაშინვე სულ სხვა სიო დაჰბერავს. ოსტელბიის სოფლის მუშების ფაქტიურად ნახევრად ყმაგლეხური მდგომარეობა არის მთავარი საფუძველი პრუსიის იუნკრების ბატონობისა და მასთან ერთად გერმანიაში სპეციფიკურ პრუსიული ბატონობისაც. სწორედ ოსტელბიის იუნკრებმა, რომლებიც სულ უფრო და უფრო ვალებში ეფლობიან, ღარიბდებიან და პარაზიტულად ცხოვრობენ სახელმწიფოსა თუ სხვის ხარჯზე და ამიტომ მით უფრო გაბოროტებით ებღაუჭებიან თავიანთ ბატონობას, შეჰქმნეს და ხელს უწყობენ ბიუროკრატიისა და არმიის ოფიცერთა შემადგენლობის სპეციფიკურ პრუსიულ ხასიათს; იუნკრების ქედმაღლობის, გონებაშეზღუდულობის და გულზვაობის გამო პრუსიელი ერის გერმანული იმპერია—თუმცა აშკარაა, რომ დღევანდელ მომენტში იგი აუცილებელია, როგორც ნაციონალური ერთიანობის ერთადერთი ამჟამად შესაძლებელი ფორმა—ასეთი საძულველი გახდა თავის სამშობლოში, ხოლო საზღვარგარეთ, მიუხედავად მისი ბრწყინვალე გამარჯვებებისა, ასეთი ნაკლები პატივისცემით ეპყრობიან მას. ამ იუნკერთა ძალა იმაზეა დამყარებული, რომ შვიდ ძველი პრუსიული პროვინციის მთლიან ტერიტორიაზე, მაშასადამე, მთელი იმპერიის თითქმის მთელ მესამედში, მათ თავიანთ განკარგულებაში აქვთ მიწის საკუთრება, რომელსაც აქ თან ახლავს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალაუფლება; და არა მარტო მიწის საკუთრება, არამედ შაქრის ჭარხლისა და არაყის სახდელი ქარხნების მეშვეობით ამ ოლქია მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგებიც. დანარჩენი გერმანიის არც მსხვილი მიწათმფლობელები და არც მსხვილი მრეწველები არ არიან ასეთ ხელსაყრელ მდგომარეობაში; არც პირველთ და არც უკანასკნელთ თავიანთ განკარგულებაში არა აქვთ მთელი ერთიანი სამეფო. ისინი გაფანტულნი არიან დიდ სივრცეზე და კონკურენციას უწევენ როგორც ერთმანეთს, ისევე მათ გარშემო მყოფ დანარჩენ საზოგადოებრივ ელემენტებს, ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობისათვის ბრძოლაში. მაგრამ პრუსიელ იუნკერთა ეს მდგომარეობა, რაც მათ ძალაუფლებას აძლევს ხელში, სულ უფრო და უფრო ჰკარგავს ეკონომიურ საფუძველს. დაეალიანება და გალა-

ტაკება, მიუხედავად ყოველგვარი სახელმწიფოებრივი დახმარებისა (ხოლო ფრიდრიხ II დროიდან კი ეს დახმარება იუნკერთა თვითეულ ნორმალურ ბიუჯეტში შედის), აქაც შეუჩერებლივ ვრცელდება; ხოლო, მარტო კანონმდებლობით შემოღებული და ჩვეულებით განმტკიცებული ფაქტიურად ნახევრად ბატონყმური წესები და ამის გამო სოფლის მუშების უსაზღვრო ექსპლოატაცია შესაძლებლობას აძლევს წყალწაღებულ იუნკრობას ზედაპირზე იტივტივოს. გადაისროლეთ სოციალ-დემოკრატიის თესლი ამ მუშების წრეში, გაამხნევეთ ისინი და შეაკავშირეთ თავიანთი უფლებებისათვის საბრძოლველად,—და იუნკერთა ბატონობასაც ბოლო მოელება. ეს უდიდესი რეაქციული ძალა, რომელიც გერმანიისათვის ისეთივე ბარბაროსული დაპყრობითი ელემენტია, როგორიც რუსეთის ცარიზმია მთელი ევროპისათვის, ისე დაიჩუტება, როგორც გახვრეტილი ბუშტი. პრუსიული არმიის «რჩეული ლეგიონები» სოციალ-დემოკრატიულნი გახდებიან, და მაშინ ძალთა თანაფარდობაში ისეთი ძვრა მოხდება, რომელიც თავის თავში სრულ გადატრიალებას შეიცავს. მაგრამ სწორედ ამიტომაც ოსტელბიის სოფლის პროლეტარების ჩვენ მხარეზე მოზიდვა უფრო დიდი მნიშვნელობისაა, ვინემ დასავლეთ გერმანიის წვრილი გლეხებისა ანდა სამხრეთ გერმანიის საშუალო გლეხებისაც კი. აქ, ოსტელბიის პრუსიაში არის ჩვენთვის გადამწყვეტი ბრძოლის ველი და ამიტომ მთავრობა და იუნკრობა ყველა ზომებს მიიღებენ იმისათვის, რომ ჩვენ აქ არ შეგვიშვან. და თუ, როგორც გვემუქრებიან, კვლავ ხელს მოჰკიდებენ ახალ რეპრესიულ ზომებს ჩვენი პარტიის გავრცელების წინააღმდეგ, ამას უწინარეს ყოვლისა იმისათვის მოიმოქმედებენ, რათა ოსტელბიის სოფლის პროლეტარიატი ჩვენი პროპაგანდისაგან დაიცვან. ჩვენთვის ეს სულ ერთია. ჩვენ ამ პროლეტარიატს მაინც დავიპყრობთ.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ
1894 წ. ნოემბერში.
დაიბეჭდა ჟურნალ «Neue Zeit»-ში
1894 წ.

იბეჭდება ჟურნალის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

კ. მარქსი და ფ. ენგელსი

წერილები

მარქსი—პ. ანენკოვს

ბრიუსელი, 28 დეკემბერი 1846 წ.

ჩემს წიგნებით მოვაჭრეს წარსულ კვირამდე რომ არ დაეგვიანებინა ჩემთვის ბ-ნი პრუდონის წიგნის—«სიღატაკის ფილოსოფიის»—გამოგზავნა, თქვენ უკვე დიდიხანია მიიღებდით ჩემს პასუხს თქვენს 1 ნოემბრის წერილზე. წიგნი ორი დღის განმავლობაში სასწრაფოდ გადავიკითხე, რათა შესაძლებლობა მქონოდა მაშინვე მეცნობებინა თქვენთვის ჩემი აზრი. რადგან წიგნი ნაჩქარევად გადავიკითხე, ამიტომ დეტალებზე შეჩერება არ შემიძლია. მე შემიძლია ვილაპარაკო მხოლოდ ზოგად შთაბეჭდილებაზე, რომელიც მან ჩემზე მოახდინა. თუ გნებავთ, მე შემიძლია ამ წიგნის შესახებ უფრო დაწვრილებით შემდეგ წერილში მოგწეროთ.

გულახდილად ვაღიარებ, რომ წიგნი საერთოდ ცუდ, ძალიან ცუდ წიგნად მიმაჩნია. თქვენ თვითონ ოხუნჯობთ თქვენს წერილში «გერმანული ფილოსოფიის დაღის» გამო, რითაც თავი მოაქვს ბ-ნ პრუდონს ამ უფორმო და პრეტენციოზულ ნაწარმოებში, მაგრამ თქვენ ფიქრობთ, რომ ფილოსოფიურმა შხამმა ვერ მოწამლა პრუდონის ეკონომიური გამოკვლევები. მეც შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ პრუდონის ეკონომიურ გამოკვლევათა შეცდომების მიზეზად მისი ფილოსოფია ჩავთვალო. ბ-ნი პრუდონი იმიტომ კი არ იძლევა პოლიტიკური ეკონომიის მცდარ კრიტიკას, რომ სასაცილო ფილოსოფიის პატრონია, არამედ ის სასაცილო ფილოსოფიით იმიტომ გვიმასპინძლდება, რომ ვერ გაუგია თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება მის გადაბმულობაში

(engrénement), თუ იმ სიტყვას ვიხმართ, რომელსაც, ბ-ნი პრუდონი, ისევე როგორც ბევრ სხვა რამესაც, ფურიესაგან სესხულობს.

რატომ ლაპარაკობს ბ-ნი პრუდონი ღმერთზე, საყოველთაო გონებაზე, კაცობრიობის უპიროვნო გონებაზე, რომელიც არასოდეს არ სცდება, რომელიც მუდამ თავის თავის თანატოლი იყო, რომლის შესახებაც საჭიროა მხოლოდ სწორი წარმოდგენა შეიმუშავო, რათა ჭეშმარიტებას დაეუფლო? რატომ მიმართავს იგი ზერელედ ათვისებულ ჰეგელიანობას, რათა თავი ღრმა მოაზროვნედ მოგვაჩვენოს?

გამოცანის ამოსახსნელ გასაღებს იგი თვითონვე იძლევა. ბ-ნი პრუდონი ისტორიაში ხედავს საზოგადოებრივ ევოლუციათა გარკვეულ მწკრივს: მას მიაჩნია, რომ ისტორიაში პროგრესი ხორციელდება. ბოლოს, იგი ფიქრობს, რომ ადამიანებმა როგორც ცალკეულმა პიროვნებებმა, არ იცოდნენ, თუ რას აკეთებდნენ. რომ მათ მცდარად ჰქონდათ წარმოდგენილი თავიანთი საკუთარი მოძრაობა, ე. ი. რომ, ერთი შეხედვით, მათი საზოგადოებრივი განვითარება, მათი ინდივიდიალური განვითარებისაგან განსხვავებულ, განცალკევებულ, დამოუკიდებელ მოვლენად მოჩანს. მას არ ძალუძს ეს ფაქტები ახსნას და სწორედ აქ ჩნდება ჰიპოთეზა იმ საყოველთაო გონების შესახებ, რომელიც თავის თავს ავლენს. ბმაზე ადვილი არა არის რა, როგორც მისტიკური მიზეზების, ე. ი. ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული ფრაზების გამოგონება, ბაგრამ განა ბ-ნი პრუდონი, იმის აღიარებით, რომ მას სრულიად არ გაეგება კაცობრიობის ისტორიული განვითარება,— ამას კი ის აღიარებს, როცა მიმართავს მკვირალა სიტყვებს საყოველთაო გონებაზე, ღმერთზე და სხვ.,—განა იგი ამით იმავდროულად აუცილებლად იმასაც არ აღიარებს, რომ მას არც ეკონომიური განვითარების გაგების უნარი შესწევს?

რა არის საზოგადოება, როგორიც უნდა იყოს მისი ფორმა? პროდუქტი ადამიანთა ურთიერთქმედობისა. თავისუფალნი არიან თუ არა ადამიანები ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმის არჩევაში? სრულიადაც არა. აიღეთ ადამიანთა ~~საწარმოო~~ ძალების განვითარების განსაზღვრული საფეხური და თქვენ მიიღებთ გაცვლისა და მოხმარების შესაბამის ფორმას. აიღეთ წარმოების, გაცვლის, მოხმარების განვითარების განსაზღვრული საფეხური და თქვენ მიიღებთ საზოგადოებრივი წყობილების შესაბამის ფორმას, ოჯახის, წოდებათა ან კლასთან შესაბამის ორგანიზაციას, ერთი სიტყვით, შესაბამის საპოლიტიკო საზოგადოებას. აიღეთ ასეთი

სამოქალაქო საზოგადოება და თქვენ მიიღებთ შესაბამის პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მხოლოდ ოფიციალური გამოხატულებაა. აი ამას ბ-ნი პრუდონი ვერასოდეს ვერ გაიგებს, რადგან მას სჯერა, რომ რაღაც დიდ საქმეს აკეთებს, როცა სახელმწიფოდან სამოქალაქო საზოგადოებას, ე. ი. საზოგადოების ოფიციალური რეზუმედან ოფიციალურ საზოგადოებას მიმართავს.

საჭირო არაა დავუმატოთ, რომ ადამიანები არ არიან თავისუფალნი თ ა ვ ი ა ნ თ ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ თ ა არჩევაში, რომელნიც მთელი მათი ისტორიის საფუძველს წარმოადგენენ. ეს იმიტომ, რომ ყოველი საწარმოო ძალა მოპოვებული ძალაა, წინანდელი საქმიანობის ნაყოფი. ამრიგად, საწარმოო ძალები ადამიანთა პრაქტიკული ენერგიის შედეგია, მაგრამ თვით ეს ენერგია განსაზღვრულია იმ პირობებით, რომლებშიაც ადამიანები ჩაყენებულნი არიან უკვე მოპოვებული საწარმოო ძალების მიერ, ამ ადამიანებამდე არსებული იმ საზოგადოებრივი ფორმის მიერ, რომელიც მათ არ შეუქმნიათ და რომელიც წინათაობის ნამოქმედარს წარმოადგენს. ეს უბრალო ფაქტის წყალობით, რომ ყოველი შემდგომი თაობა მზად პოულობს წინა თაობის მიერ მოპოვებულ საწარმოო ძალებს და იყენებს მას ნედლ მასალად ახალი წარმოებისათვის, იქმნება კავშირი ადამიანთა ისტორიაში, იქმნება კაცობრიობის ისტორია, რომელიც მით უფრო ხდება კაცობრიობის ისტორიად, რაც უფრო განვითარებულია ადამიანთა საწარმოო ძალები და, მაშასადამე, მათი საზოგადოებრივი ურთიერთობა. აქედან აუცილებელი დასკვნა: ადამიანთა საზოგადოებრივი ისტორია ყოველთვის მხოლოდ მათი ინდივიდუალური განვითარების ისტორიაა, სულერთია, აქვთ მათ ეს შეგნებული თუ არა. მათი მატერიალური ურთიერთობა შეადგენს ყველა მათი ურთიერთობის საფუძველს. ეს მატერიალური ურთიერთობა მხოლოდ აუცილებელი ფორმაა, რომელშიაც ხორციელდება მათი მატერიალური და ინდივიდუალური საქმიანობა.

ბ-ნი პრუდონი ერთმანეთში ურევს იდეებსა და ნივთებს. ადამიანები არასოდეს არ ამბობენ უარს იმაზე, რაც მოუპოვებიათ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი არასოდეს არ იტყვიან უარს იმ საზოგადოებრივ ფორმაზეც, რომელშიც მათ მოიპოვეს გარკვეული საწარმოო ძალები. პირიქით, რათა მიღწეული შედეგები არ მოესპოთ, რადგან ცივილიზაციის ნაყოფი არ დაჰკარგონ, ადამიანები იძულებულნი არიან შესცვალონ ყველა მემკვიდრეობით მიღებული საზოგადოებრივი ფორმა იმ მომენტიდან, როცა მათი

ურთიერთობის (commérce) წესი უკვე აღარ შეეფერება მოპოვებულ საწარმოო ძალებს. მე ვხმარობ აქ სიტყვას «commèrce» უაღრესად ფართო აზრით, იმ აზრით, რა აზრითაც ვხმარობთ გერმანულში სიტყვას «Verkehr». მაგალითად: პრივილეგიები, საამქროებისა და კორპორაციების დაწესება, შუა საუკუნეების რეგლამენტაციის მთელი რეჟიმი — წარმოადგენდა საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც შეესაბამებოდა მხოლოდ მოპოვებულ საწარმოო ძალებს და საზოგადოების წინათ არსებულ მდგომარეობას, საიდანაც ეს დაწესებულებანი წარმოიშვნენ. კორპორაციული წყობილებისა და რეგლამენტაციის რეჟიმის მფარველობის ქვეშ დაგროვდა კაპიტალები, განვითარდა საზღვაო ვაჭრობა, დაარსდა კოლონიები, და ადამიანები დაკარგავდნენ თვით ნაყოფს ყოველივე ამისა, მათ რომ მოეწდომებინათ იმ ფორმების შენარჩუნება, რომელთა მფარველობის ქვეშ ეს ნაყოფი მომწიფდა. ამიტომაც დაიგრგვინა ორმა მეხმა, — 1640 და 1688 წლის რევოლუციებმა. ყველა ძველი ეკონომიური ფორმა, მათი შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობა, პოლიტიკური წყობილება, რომელიც ძველი სამოქალაქო საზოგადოების ოფიციალურ გამოხატულებას წარმოადგენდა — ყოველივე ეს ინგლისში დამსხვრეულ იქნა. ამრიგად, ეკონომიური ფორმები, რომლებშიაც ადამიანებს წარმოება, მოხმარება, გაცვლა უხდებათ, წარმავალი და ისტორიული ფორმებია. ახალი საწარმოო ძალების მოპოვებასთან ერთად ადამიანები სცვლიან თავიანთ წარმოების წესს, ხოლო წარმოების წესთან ერთად სცვლიან ყველა იმ ეკონომიურ ურთიერთობას, რომელიც მარტოოდენ წარმოების ამ განსაზღვრული წესის აუცილებელ ურთიერთობას წარმოადგენდა.

სწორედ ეს ვერ გაიგო ბ-ნმა პროდუნმა და მით უფრო ვერ დაამტკიცა იგი ბ-ნი პრუდონი, რომელსაც არ შესწევს უნარი კვალდაკვალ მიჰყვეს ისტორიის ნამდვილ მოძრაობას, გვიმასპინძლდება ფანტასმაგორიით, რომელიც დიალექტიკური ფანტასმაგორიის პრეტენზიას აცხადებს. პუდონი არ გრძნობს იმის საჭიროებას, რომ XVII, XVIII ან XIX საუკუნეზე ილაპარაკოს, რადგან მისი ისტორია ფანტაზიის ბურუსიან სფეროში მიმდინარეობს და დროისა და სივრცის გარეშე ნავარდობს. ერთი სიტყვით, ეს ჰეგელური ნაგავია, ეს არ არის ისტორია, არ არის საერო ისტორია, ადამიანთა ისტორია, არამედ სამღვთო ისტორიაა — ისტორია იდეებისა. მისი თვალსაზრისით, ადამიანი მხოლოდ იარაღია, რომელსაც იდეა ანუ მარადიული გონება იმისათვის იყენებს, რომ თვით განვი-

თარდეს. ე ვ ო ლ უ ც ი ე ბ ი, რომლებზეც ბ-ნი პრუდონი ლაპარაკობს, გაგებულია ისეთ ევოლუციებად, რომელნიც აბსოლუტური იდეის მისტიკურ წიაღში მიმდინარეობენ. თუ ჩამოაგლეჯთ საბურველს მის მისტიკურ ფრაზეოლოგიას, დაინახავთ, რომ ბ-ნი პრუდონი მხოლოდ იმ წესწყობილებას აგვიწერს, რომლის მიხედვითაც მის თავში ეკონომიური კატეგორიები ლაგდება. დიდი შრომა არ დამჭირდება იმის დასამტკიცებლად, რომ ეს წესწყობილება მეტად არეული თავის წესწყობილებაა.

ბ-ნი პრუდონი თავის წიგნს იწყებს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე მსჯელობით, რაც მის საყვარელ საგანს შეადგენს. ამჯერად მე არ შევჩერდები ამ მსჯელობის გარჩევაზე.

მარადიული გონების მთელი რიგი ეკონომიური ევოლუციები იწყება შ რ ო მ ის დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი თ. ბ-ნი პრუდონისთვის შრომის დანაწილება სრულიად მარტივი რამაა. მაგრამ განა კასტური წყობილება არ წარმოადგენდა შრომის განსაზღვრულ დანაწილებას? განა ამქრული წყობილება შრომის დანაწილების სხვაგვარი სახე არ იყო? და განა შრომის დანაწილება მანუფაქტურულ პერიოდში, რომელიც ინგლისში XVII საუკუნის ნახევრიდან იწყება და XVIII საუკუნის დასასრულს მთავრდება, ასევე მთლიანად არ განსხვავდებოდა შრომის იმ დანაწილებისაგან, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე მსხვილ მრეწველობაში?

ბ-ნ პრუდონს ისე ნაკლებად გაეგება საგნის დედაარსი, რომ იმასაც კი უყურადღებოდ ტოვებს, რასაც ჩვეულებრივი ეკონომისტებიც კი არ ივიწყებენ. როცა შრომის დანაწილებაზე ვმსჯელობთ, საჭირო არაა მსოფლიო ბ ა ზ ა რ ზ ე ვილაპარაკოთო. კარგი. მაგრამ განა შრომის დანაწილება XIV და XV საუკუნეებში, როცა ჯერ კიდევ არ იყო კოლონიები, როცა ევროპისათვის ამერიკა ჯერ კიდევ არ არსებობდა, ხოლო აღმოსავლეთ აზიასთან კავშირი მხოლოდ მარტო კონსტანტინოპოლის მეშვეობით არსებობდა, — ძირფესვიანად განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო XVII საუკუნეში არსებული შრომის დანაწილებისაგან, როცა უკვე სავსებით განვითარებული კოლონიები არსებობდა?

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. განა ხალხთა მთელი შინაგანი ორგანიზაცია, მთელი მათი საერთაშორისო ურთიერთობა სხვა რამეს წარმოადგენს, თუ არა შრომის დანაწილების გარკვეული სახის გამოსახულებას? და განა ყოველივე ეს არ უნდა იცვლებოდეს შრომის დანაწილების ცვლილებასთან ერთად?

ბ-ნ პრუდონს ისე ნაკლებად გაუგია შრომის დანაწილების საკითხი, რომ იგი არც კი იხსენიებს ქალაქისა და სოფლის გათიშვას, რაც, მაგალითად, გერმანიაში IX საუკუნიდან XII საუკუნემდე ხდებოდა. და რადგან ბ-ნმა პრუდონმა არ იცის ამ გათიშვის არც წარმოშობა და არც განვითარება, ამიტომ იგი მისთვის მარადიული, უცვლელი კანონია. მთელი წიგნის მანძილზე იგი ისე მსჯელობს, თითქოს წარმოების განსაზღვრული წესის ამ ქმნილებას უკუნითი უკუნისამდე ეწეროს არსებობა. ყველაფერი, რასაც პრუდონი შრომის დანაწილებაზე ლაპარაკობს, მარტოოდენ რეზიუმეა და ისიც მეტად ზერელე, მეტად ძრასრული რეზიუმე იმისა, რაც მასზე ადრე ადამ სმიტს და ათასს სხვას უთქვამს.

მეორე ევოლუცია (მარადიული გონებისა) — ეს მანქანებია. კავშირი შრომის დანაწილებასა და მანქანებს შორის ბ-ნ პრუდონის მსჯელობაში სავსებით მისტიკურია. შრომის დანაწილების თვითეულ წესს წარმოების სპეციფიკური იარაღები ჰქონდა. მაგალითად, XVII საუკუნის ნახევრიდან XVIII საუკუნის ნახევრამდე ადამიანები ყველაფერს ხელით როდი აკეთებდნენ. მათ ჰქონდათ ინსტრუმენტები, თანაც მეტად რთული ინსტრუმენტები, როგორიცაა, მაგალითად, სართავი დაზგა, ხომალდი, ბერკეტი და სხვა და სხვა.

ამიტომ იმაზე უფრო სასაცილო არა იქნება რა, თუ მანქანების წარმოშობას საერთოდ შრომის დანაწილების შედეგად მივიჩნევთ.

აღვნიშნავ გაკვრით კიდევ, რომ ბ-ნმა პრუდონმა, რომელმაც ვერ გაიგო მანქანების წარმოშობის ისტორია, კიდევ უფრო ნაკლებად გაიგო მათი განვითარების ისტორია. შეიძლება ითქვას, რომ 1825 წლამდე, — პირველი საყოველთაო კრიზისის ხანამდე, — მოხმარების მოთხოვნილებები საერთოდ უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე წარმოება, და რომ მანქანების განვითარება ბაზრის მოთხოვნილების აუცილებელი შედეგი იყო. 1825 წლიდან მოყოლებული მანქანების გამოგონება და გამოყენება მხოლოდ იმ ომის შედეგი იყო, რომელიც მეწარმეებსა და მუშებს შორის წარმოებდა. მაგრამ ეს ითქმის მხოლოდ ინგლისზე. რაც შეეხება ევროპის ერებს, ისინი იძულებულნი გახდნენ მანქანები გამოეყენებინათ იმ საკონკურენციო ბრძოლის გამო, რომელსაც ინგლისელები მათ წინააღმდეგ ეწეოდნენ როგორც მათ საკუთარ შინა ბაზარზე, ისე მსოფლიო ბაზარზეც. ბოლოს, რაც შეეხება ჩრდილო ამერიკას, აქ მანქანების შემოღება გამოიწვია როგორც სხვა ხალხებთან კონკურენციამ, ისე მუშახელის ნაკლებობამაც, ე. ი. შეუსაბამობამ ჩრდილო

ამერიკის მოსახლეობის რაოდენობასა და ამ ქვეყნის სამრეწველო მოთხოვნილებათა შორის. ამ ფაქტებიდან შეგიძლიათ დაასკვნათ, თუ რა გონებამახვილობას იჩენს ბ-ნი პრუდონი, როცა იგი შელოცვით მოუხმობს კონკურენციის აჩრდილს, როგორც მესამე ევოლუციას, როგორც მანქანის ანტითეზისს.

დასასრულ, საერთოდ სრული აბსურდია შრომის დანაწილების, კონკურენციის, კრედიტის და სხვათა გვერდით მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ეკონომიურ კატეგორიად გამოაცხადო.

მანქანა ისევე ნაკლებადაა ეკონომიური კატეგორია, როგორც ხარი, რომელიც გუთანს ეწევა. მანქანის თანამედროვე გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა ჩვენი თანამედროვე ეკონომიური წყობილების ერთ-ერთი ურთიერთობათაგანია. მაგრამ მანქანების ექსპლოატაციის წესი თვით მანქანებისაგან სრულიად განსხვავებული რამეა. დენთი დენთად რჩება, სულერთია, გამოიყენებთ მას ადამიანისათვის ჭრილობის მისაყენებლად თუ მიყენებული ჭრილობის მოსარჩენად.

ბ-ნი პრუდონი თავის თავს აჭარბებს, როდესაც იგი თავის გონებაში ქმნის კონკურენციას, მონოპოლიას, გადასახადს თუ პოლიციას, ვაჭრობის ბალანსს, კრედიტს, საკუთრებას სწორედ იმ წესრიგით, როგორც მე ჩამოვთვალე. თითქმის ყველა საკრედიტო დაწესებულება უკვე განვითარებული იყო ინგლისში XVIII საუკუნის დამდეგს, ჯერ კიდევ მანქანის გამოგონებამდე. სახელმწიფო კრედიტი მხოლოდ ახალი ხერხი იყო გადასახადთა გასადიდებლად და იმ ახალ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომელნიც ბურჟუაზიული კლასის ხელში ძალაუფლების გადასვლამ შექმნა. ს ა კ უ თ რ ე ბ ა, დასასრულ, შეადგენს უკანასკნელ კატეგორიას ბ-ნ პრუდონის სისტემაში. რეალურ სამყაროში, პირიქით, შრომის დანაწილება და ბ-ნი პრუდონის ყველა დანარჩენი კატეგორია საზოგადოებრივი ურთიერთობანია, რომელთა ერთობლიობა შეადგენს იმას, რასაც დღეს ს ა კ უ თ რ ე ბ ა ეწოდება; ამ ურთიერთობათა გარეშე ბურჟუაზიული საკუთრება სხვა არაფერია, თუ არა მეტაფიზიკური ანუ იურიდიული ილუზია. სხვა ეპოქის საკუთრება, ფეოდალური საკუთრება, სულ სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა წრეში ვითარდება. როდესაც ბ-ნი პრუდონი საკუთრებას დამოუკიდებელ ურთიერთობად განსაზღვრავს, მეთოდოლოგიურ შეცდომაზე უფრო დიდ შეცდომას უშვებს. იგი ცხადად ამჟღავნებს, რომ ვერ შეუცვნია ის კავშირი, რომელიც აერთიანებს ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი წარმოების ყველა ფორმას, რომ ვერ გაუგია განსაზღვრული ეპოქის წარმოების ფორმების ი ს ტ ო რ ი უ ლ ი და წ ა რ მ ა ვ ა ლ ი ხასიათი. ბ-ნ პრუდონს, რო-

მელიც ვერ ხედავს, რომ ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულებანი ისტორიული განვითარების პროდუქტს წარმოადგენენ, რომელსაც არ ესმის არც მათი წარმოშობა და არც მათი განვითარება, შეუძლია მხოლოდ მათი დოგმატიკური კრიტიკა აწარმოოს.

ამიტომაც ბ-ნი პრუდონი იძულებულია განვითარების ასახსნელად ფიქციას მიმართოს. მას წარმოუდგენია, რომ შრომის დანაწილება, კრედიტი, მანქანები და სხვ., ყველაფერი იმისათვისაა გამოგონილი, რათა მის აკვიატებულ იდეას, თანასწორობის იდეას ემსახუროს. მისი ახსნა-განმარტება უაღრესად გულუბრიყვილოა. მთელი ეს ამბები გამოგონილია თანასწორობისათვის, მაგრამ, საუბედურო, მათ თანასწორობის წინააღმდეგ იბრუნეს პირი. ამით ამოიწურება მთელი მისი არგუმენტაცია, ე. ი. ის იღებს სრულიად თვითნებურ ჰიპოთეზს, და რადგან ნამდვილი განვითარება და მისი ფიქცია ყოველ ფეხის ნაბიჯზე ერთიმეორეს ეწინააღმდეგება, აქედან ასკვნის, წინააღმდეგობა არსებობსო. ამავე დროს ის მალავს, რომ წინააღმდეგობა არსებობს მხოლოდ მის აკვიატებულ იდეებსა და ნამდვილ მოძრაობას შორის.

ამრიგად, ბ-ნმა პრუდონმა, უმთავრესად იმის გამო, რომ მას ისტორიული ცოდნა არ გააჩნია, ვერ გაიგო, რომ როდესაც ადამიანები თავიანთ საწარმოო ძალებს ანვითარებენ, ე. ი. როდესაც ცხოვრობენ, ისინი ქმნიან ერთმანეთს შორის გარკვეულ ურთიერთობებს და, რომ ამ ურთიერთობათა ხასიათი აუცილებლად იცვლება ამ საწარმოო ძალთა ცვლილებასა და ზრდასთან ერთად. მან ვერ გაიგო, რომ ეკონომიური კატეგორიები ამ რეალურ ურთიერთობათა აბსტრაქციებია მხოლოდ, რომ ისინი მხოლოდ იმდენად არიან ჭეშმარიტებანი, რამდენადაც ეს ურთიერთობანი არსებობენ. ამრიგად, პრუდონი იმავე შეცდომას სჩადის, რასაც სჩადიან ბურჟუაზიული ეკონომისტები, როცა ისინი ამ ეკონომიურ კატეგორიებში ხედავენ მარადიულ კანონებს და არა ისტორიულ კანონებს, რომელნიც კანონებს წარმოადგენენ საწარმოო ძალთა განვითარების მხოლოდ რომელიმე გარკვეული სტადიისათვის. მაშასადამე, ნაცვლად იმისა, რომ პოლიტიკურ-ეკონომიური კატეგორიები განიხილოს როგორც ნამდვილ, წარმავალ, ისტორიულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა აბსტრაქციები, ბ-ნი პრუდონი, საკითხის მისტიკური გაუკუღმართების შედეგად, ნამდვილ ურთიერთობაში ხედავს ამ აბსტრაქციათა მხოლოდ ხორცშესხმულობას. თვით ეს აბსტრაქციები ფორმულებია, რომელნიც სამყაროს დასაბამიდანვე მამა ღმერთის წიაღში თვლემდნენ.

მაგრამ აქ ჩვენი კეთილი ბ-ნი პრუდონი დიდ გონებრივ კრუნ-ჩხვებს განიცდის. თუ ყველა ეს ეკონომიური კატეგორია ღვთის გულის ემანაციაა, თუ იგი ადამიანთა ფარული და მარადიული სიცოცხლეა, მაშინ როგორ ხდება, ჯერ ერთი, ის, რომ არსებობს განვითარება, და, მეორე ის, რომ ბ-ნი პრუდონი კონსერვატორი არაა? ამ აშკარა წინააღმდეგობებს იგი ხსნის ანტაგონიზმის მთელი სისტემით.

ანტაგონიზმის ამ სისტემის გასაშუქებლად ავიღოთ მაგალითი.

მ ო ნ ო პ ო ლ ი ა კარგია, რადგან ის ეკონომიური კატეგორიაა, მაშასადამე, ღვთის ემანაციაა. კონკურენციაც კარგია, რადგან ისიც ასევე ეკონომიური კატეგორიაა. მაგრამ ის, რაც კარგი არაა, ესაა მონოპოლიის სინამდვილე და კონკურენციის სინამდვილე. და ამაზე უარესი კიდევ ისაა, რომ მონოპოლია და კონკურენცია ერთიმეორეს ნთქავენ. რა უნდა ვქნათ? რადგან ღვთის ეს ორივე მარადიული აზრი ერთიმეორეს ეწინააღმდეგება, ამიტომ, ბ-ნი პრუდონის წარმოდგენით, ცხადია, რომ ღვთის წიაღშიც აგრეთვე ამ ორი აზრის სინთეზიც მოიპოვება, — სინთეზი, რომელშიც მონოპოლიის ბოროტება კონკურენციით წონასწორდება და — პირიქით. ამ ორივე იდეას შორის ბრძოლას ის შედეგი მოჰყვება, რომ გამომჟღავნდება მათი მხოლოდ კარგი მხარე. საჭიროა მხოლოდ გამოვტაცოთ ღმერთს ეს საიდუმლო აზრი, შემდეგ კი გამოვიყენოთ იგი და ყველაფერი შესანიშნავ წესრიგზე იქნება. საჭიროა აღმოვაჩინოთ სინთეზური ფორმულა, რომელიც კაცობრიობის უპიროვნო გონების წყვდიადშია დაფარული. ბ-ნი პრუდონი ერთ წამსაც კი არ ყოყმანობს, რათა ამ საიდუმლოების აღმომჩენად მოგვევლინოს.

მაგრამ გადაავლეთ თვალი ერთ წამს ნამდვილ ცხოვრებას. თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებაში თქვენ ნახავთ არა მარტო კონკურენციასა და მონოპოლიას, არამედ მათ სინთეზსაც, რომელიც წარმოადგენს არა ფ ო რ მ უ ლ ა ს, არამედ მ ო ძ რ ა ო ბ ა ს. მონოპოლია წარმოშობს კონკურენციას, კონკურენცია წარმოშობს მონოპოლიას. მაგრამ ეს განტოლება არა თუ არ სპობს თანამედროვე მდგომარეობის სიძნელეს, როგორც ეს ბურჟუაზიულ ეკონომისტებს წარმოუდგენიათ, არამედ უფრო ძნელსა და უფრო დახლართულ მდგომარეობას ჰქმნის. მაშასადამე, როდესაც თქვენ სცვლით იმ საფუძველს, რომელზედაც დაყრდნობილია თანამედროვე ეკონომიური ურთიერთობა, როდესაც სპობთ წარმოების თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე წ ე ს ს, თქვენ სპობთ არა მარტო კონკურენციას, მონოპოლიასა და მათ ანტაგონიზმს, არამედ მათ ერთიანობასაც, მათ

სინთეზსაც, — მოძრაობას, რომელშიც ხდება კონკურენციისა და მონოპოლიის ნამდვილი გაწონასწორება.

ახლა წარმოგიდგენთ ბ-ნ პრუდონის დიალექტიკის ერთ ნიმუშს. V თავისუფლება და მონობა შეადგენს ანტაგონიზმს. მე არ მჭირდება თავისუფლების არც კარგსა და არც ცუდ მხარეებზე ლაპარაკი. რაც შეეხება მონობას, საჭირო არაა მის ცუდ მხარეებზე ვილაპარაკო. ეოთადერთი, რაც ასახსნელია, ეს არის მონობის კარგი მხარე. ლაპარაკია არა არაპირდაპირ მონობაზე, არა პროლეტარის მონობაზე; ლაპარაკია პირდაპირ მონობაზე, შავკანიანთა მონობაზე სურინამში, ბრაზილიაში, ჩრდილო ამერიკის სამხრეთ ოლქებში.

პირდაპირი მონობა ჩვენი თანამედროვე ინდუსტრიალიზმის ღერძია, როგორც მანქანები, კრედიტი და სხვ. უმონობოდ არ არსებობა, უბამბოდ არ არის თანამედროვე მრეწველობა. მონობამ ფასი მოუპოვა კოლონიებს, კოლონიებმა შეჰქმნეს მსოფლიო ვაჭრობა, ხოლო მსოფლიო ვაჭრობა მსხვილი მანქანური მრეწველობის აუცილებელი პირობაა. ამიტომ ზანგებით ვაჭრობის დამყარებამდე კოლონიები ძალიან მცირე პროდუქტებს აძლევდნენ ძველ ქვეყანას და მათ შესამჩნევად არ შეუცვლიათ მსოფლიოს სახე. მაშასადამე, მონობა უაღრესი მნიშვნელობის ეკონომიური კატეგორიაა. მონობის გარეშე ჩრდილო ამერიკა, ეს ყველაზე პროგრესული ქვეყანა, პატრიარქალურ ქვეყნად გადაიქცეოდა. ამოშალეთ ხალხთა რუკიდან მარტო ჩრდილო ამერიკა და თქვენ მიიღებთ ანარქიას, ვაჭრობისა და თანამედროვე ცივილიზაციის სრულ დაცემას. მონობის მოსპობა კი იქნებოდა ამერიკის ამოშლა ხალხთა რუკიდან. ამრიგად, სწორედ იმიტომ, რომ მონობა ეკონომიური კატეგორიაა, ჩვენ მას ქვეყნიერების დასაბამიდან ყველა ხალხში ვხედებით. თანამედროვე ხალხებმა შესძლეს მხოლოდ შენიღბვა მათთან არსებული მონობისა და აშკარად შემოიღეს იგი ახალ ქვეყანაში. როგორ მოიქცევა კეთილი ბ-ნი პრუდონი მონობაზე ამ მსჯელობის შემდეგ? იგი დაიწყებს თავისუფლებისა და მონობის სინთეზის ძებნას, ჭეშმარიტი ზომიერების ძებნას, სხვა სიტყვებით: მონობასა და თავისუფლებას შორის წონასწორობის ძებნას.

ბ-ნმა პრუდონმა ძალიან კარგად გაიგო, რომ ადამიანები აწარმოებენ მაუდს, ტილოს, აბრეშუმის ქსოვილებს, და დიდი დამსახურებაა მისი მხრივ, რომ მან ასეთი უბრალო რამ გაიგო! მაგრამ რაც ბ-ნმა პრუდონმა ვერ გაიგო, ეს არის ის, რომ ადამიანები, მათი საწარმოო ძალების მიხედვით, ჰქმნიან საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელშიც ისინი მაუდსა და ტილოს აწარ-

შოებენ. კიდევ უფრო ნაკლებ გაიგო ბ-ნმა პრუდონმა ის, რომ ადამიანები, რომელნიც ჰქმნიან საზოგადოებრივ ურთიერთობას მათი მატერიალური წარმოების შესაბამისად, ჰქმნიან აგრეთვე იდეებს, კატეგორიებს, ე. ი. ამავე საზოგადოებრივ ურთიერთობათა აბსტრაქტულ, იდეალურ გამოსახულებებს. ამრიგად, კატეგორიები ისევე ნაკლებად არიან მარადიულნი, როგორც ის ურთიერთობანი, რომელთაც ისინი გამოსახავენ. ისინი ისტორიული და წარმავალი პროდუქტებია. ბ-ნი პრუდონისათვის, პირიქით, აბსტრაქციები, კატეგორიები პირველად მიზეზს წარმოადგენენ. მისი აზრით ისტორიას ჰქმნიან სწორედ ისინი, და არა ადამიანები. აბსტრაქცია, კატეგორია, აღებული როგორც ასეთი, ე. ი. ადამიანებისა და მათი მატერიალური ქმედობისაგან მოწყვეტილად, რა თქმა უნდა, უკვდავია, უცვლელია, უმოძრაოა; იგი წმინდა გონების ნაყოფია, რაც ახლოლდ იმას ნიშნავს, რომ აბსტრაქცია, აღებული როგორც ასეთი, აბსტრაქტულია. მომხიბლავი ტავტოლოგიაა!

ამრიგად, ბ-ნი პრუდონისათვის კატეგორიების ფორმით განხილული ეკონომიური ურთიერთობანი, მარადიული ფორმულებია, რომელთაც არც დასაბამი გააჩნიათ და არც განვითარება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბ-ნი პრუდონი პირდაპირ არ ამტკიცებს, რომ ბურჟუაზიული ცხოვრება მისთვის მარადიული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ამას იგი არაპირდაპირ ამბობს, როცა აღმერთებს იმ კატეგორიებს, რომელნიც ბურჟუაზიულ ურთიერთობას იდეათა ფორმით გამოსახავენ. ბურჟუაზიული საზოგადოების პროდუქტები მას მიაჩნია თავისთავად წარმოშობილ, საკუთარი სიცოცხლით დაჯილდოებულ, მარადიულ არსებად, როგორც კი ისინი მას თვალწინ წარმოუდგებიან აზროვნების კატეგორიათა სახით, აზრის სახით. ამრიგად, იგი ვერ სცილდება ბურჟუაზიული ჰორიზონტის ფარგლებს. რადგან იგი ბურჟუაზიული იდეებით ხელმძღვანელობს და ეს იდეები მარადიულ ჭეშმარიტებად მიაჩნია, ამიტომ ის ეძებს ამ იდეათა სინთეზს, მათ წონასწორობას, და ვერ ამჩნევს, რომ მათი გაწონასწორების თანამედროვე წესი ერთადერთი შესაძლებელი წესია.

სინამდვილეში პრუდონი იმას აკეთებს, რასაც ყველა კეთილი ბურჟუა. ისინი ყველანი გვეუბნებიან, რომ კონკურენცია, მონოპოლია და სხვ. პრინციპში, ე. ი. აბსტრაქტული იდეის სახით აღებული, ცხოვრების ერთადერთ საფუძველს წარმოადგენენ, მაგრამ პრაქტიკაში ბევრნაირად არ არიან დამაკმაყოფილებელნი. მათ ყვე-

ლას კონკურენცია სწადიათ, მაგრამ კონკურენციის სამწუხარო შედეგების გარეშე. მათ ყველას სწადიათ შეუძლებელი, ე. ი. ბურჟუაზიული ცხოვრების პირობები, მაგრამ ამ პირობების აუცილებელი შედეგების გარეშე. ყველა მათ არ ესმით, რომ წარმოების ბურჟუაზიული ფორმა ისტორიული და წარმავალი ფორმაა, სწორედ ისევე, როგორც ფეოდალური ფორმაც წარმავალი იყო. ეს შეცდომა იქიდან წარმოდგება, რომ მათთვის ადამიანი-ბურჟუა ყოველი საზოგადოების ერთადერთი შესაძლებელი საფუძველია; იგი წარმოდგება იქიდან, რომ მათ ვერ წარმოუდგენიათ ისეთი საზოგადოებრივი წყობილება, სადაც ადამიანი აღარ იქნება ბურჟუა.

ამიტომ ბ-ნი პრუდონი აუცილებლად დოქტრინერია. ის ისტორიული მოძრაობა, რომელიც თანამედროვე სამყაროში გადატრიალებას ახდენს, მისთვის დაყვანილია სამართლიანი წონასწორობის, ორი ბურჟუაზიული იდეის სინთეზის აღმოჩენის პრობლემაზე. ოსტატური ხერხით ეს მარჯვე ყმაწვილი ფარდას ხდის ღვთის ფარულ აზრს, ორი იზოლირებული იდეის ერთიანობას, რომელნიც განცალკევებულნი არიან მხოლოდ იმიტომ, რომ ბ-ნმა პრუდონმა განაცალკევა ისინი პრაქტიკული ცხოვრებისაგან, თანამედროვე წარმოებისაგან, რომელიც ამ იდეებით გამოსახულ რეალობათა შეხამებაა. იმ დიადი ისტორიული მოძრაობის ადგილას, რასაც წარმოშობს კონფლიქტი ადამიანთა მიერ უკვე მოპოვებულ საწარმოო ძალთა და ადამიანების იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შორის, რომელნიც უკვე აღარ შეესაბამებიან ამ საწარმოო ძალებს; იმ საშინელი ომების ადგილას, რომელნიც მზადდება თვითეული ერის სხვადასხვა კლასებს, და სხვადასხვა ერებს შორის; მასების იმ პრაქტიკული რევოლუციური მოქმედების ადგილას, რომელსაც ერთადერთს შეუძლია იმ შეჯახებათა გადაწყვეტა — ამ უაღრესად ფართო, ხანგრძლივი და რთული მოძრაობის ადგილას ბ-ნი პრუდონი აყენებს საკუთარი თავის ახირებულ მოძრაობას. ამრიგად, გამოდის, რომ ისტორიას ჰქმნიან სწავლულები, ადამიანები, რომელთაც შესწევთ უნარი შოსტა

მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენენ, საჭირო აღარაა პრაქტიკული ცხოვრების შეცვლა იმისათვის, რომ კატეგორიები შეიცვალოს. სრულიად პირიქით: უნდა შევცვალოთ კატეგორიები და ამის შედეგი არსებული საზოგადოების შეცვლა იქნებაო.

ბ-ნ პრუდონს სურს წინააღმდეგობანი შეარიგოს და არც კი კითხულობს, არის თუ არა საჭირო თვით ამ წინააღმდეგობათა საფუძვლის დამხობა. ყველაფერში იგი იმ პოლიტიკოს დოქტრინერს ჰგავს, რომელსაც სურს შენარჩუნებულ იქნეს მეფეც, დეპუტატთა პალატაც და ლორდთა პალატაც, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების შემადგენელი ნაწილები, როგორც მარადიული კატეგორიები. პრუდონი მხოლოდ ახალ ფორმულას ეძებს იმისათვის, რათა გააწონასწოროს ეს ძალები (რომელთა წონასწორობაც სწორედ თანამედროვე მოძრაობაში მდგომარეობს, სადაც ერთ-ერთი ამ ძალთაგან ხან იმარჯვებს სხვებზე და ხან კი თვითონ ხდება სხვების მონა). ამგვარადვე XVIII საუკუნეში ბევრი შუათანა მოაზროვნე ცდილობდა ნამდვილი ფორმულა მოენახა, რათა წონასწორობა დაემყარებინა საზოგადოებრივ წოდებებსა, თავადაზნაურობასა, მეფესა, პარლამენტებსა და სხვ. შორის, მაგრამ მეორე დღეს უკვე აღარც მეფე იყო, აღარც პარლამენტი და აღარც თავად-აზნაურობა. ამ ანტაგონიზმის ნამდვილი წონასწორობა იყო, დამხობა ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომელნიც ამ ფეოდალურ დაწესებულებათა და მათი ანტაგონიზმის საფუძველს შეადგენდნენ.

რადგან ბ-ნი პრუდონი ერთ მხარეზე აყენებს მარადიულ იდეებს, წმინდა გონების კატეგორიებს, ხოლო მეორე მხარეზე—ადამიანებს და მათ პრაქტიკულ ცხოვრებას, რომელიც, მისი აზრით, ამ კატეგორიების გამოყენებას წარმოადგენს, ამიტომ მის სისტემაში თავიდანვე ნახავთ დუალიზმს ცხოვრებასა და იდეებს შორის, სულსა და სხეულს შორის, დუალიზმს, რომელიც მრავალი ფორმით მეორდება. თქვენ ხედავთ ახლა, რომ ეს ანტაგონიზმი მხოლოდ უუნარობაა ბ-ნ პრუდონისა, რომელსაც არ ძალუძს გაიგოს მის მიერ გაღმერთებული კატეგორიების მიწიერი წარმოშობა და მიწიერი ისტორია.

წერილი ძალიან გამიგრძელდა და აღარ შემიძლია შევჩერდე პრუდონის სასაცილო ბრალდებებზე კომუნიზმის წინააღმდეგ. დამეთანხმებით, ყოველ შემთხვევაში, რომ იმ ადამიანს, რომელმაც საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობა ვერ გაიგო, კიდევ უფრო ნაკლებ შეუძლია გაიგოს მოძრაობა, რომელიც ცდილობს დაამ-

ხოს ეს საზოგადოება, გაიგოს ამ რევოლუციური მოძრაობის ლიტერატურული გაშოსახულებანი.

ერთადერთი პუნქტი, რომელშიც ბ-ნ პრუდონს საესებით ვეთანხმები, ესაა მისი ზიზღი სოციალისტური სანტიმენტალობისადმი. ჯერ კიდევ მასზე ადრე მე ბევრი მტერი შევიძიხე იმით, რომ სასაცილოდ ვიღებდი ცხვრისებურ, სანტიმენტალურ, უტოპიურ სოციალიზმს. მაგრამ განა უცნაური ილუზიებით არ ირთობს თავს ბ-ნი პრუდონი, როცა ის თავის წვრილ ბურჟუის სანტიმენტალობას — მხედველობაში მაქვს მისი დეკლამაციები ოჯახური კერის, ცოლქმრული სიყვარულის შესახებ და ყველა მისი უხამსობა, —უპირისპირებს სოციალისტურ სანტიმენტალობას, რომელიც ფურიეს ნაწერებში, მაგალითად, ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე ჩვენი ყვითელი პრუდონის პრეტენზიებით აღსავსე სისულელეები? იგი თვითონ იმდენად გრძნობს თავისი არგუმენტების არარაობას, თავის სრულ უუნარობას იმსჯელოს ასეთ საგნებზე, რომ უცბად თავდავიწყებით შეაგდება, გაჰკივის, აცხადებს პატიოსანი კაცის გულისწყრომას, დუღს და გადმოდის, იწყევლება, ბრალსა სდებს სხვებს, ჰგოდებს საძრახობაზე, ილანძღება, მკერდში მჯიღს იცემს, თავს იქებს ღვთისა და ადამიანთა წინაშე, რომ იგი სუფთაა სოციალისტური სიბილწისაგან! იგი სერიოზულად როდი აკრიტიკებს სოციალისტურ სანტიმენტალობას ანუ იმას, რაც მას სანტიმენტალობად მიაჩნია. იგი, როგორც წმინდანი, როგორც პაპი, შეაჩვენებს საწყალ ცოდვილებს და დიდებას უგალობს წვრილ ბურჟუაზიას და ოჯახური კერის უბადრუკ, სასიყვარულო და პატრიარქალურ ილუზიებს. და ეს სრულიადაც არაა შემთხვევითი ამბავი. ბ-ნი პრუდონი თავიდან ფეხებამდე წვრილი ბურჟუაზიის ფილოსოფოსი და ეკონომისტია. წვრილი ბურჟუა განვითარებულ საზოგადოებაში აუცილებლად თავისი მდგომარეობის მეოხებით, ერთი მხრივ, სოციალისტი ხდება; მეორე მხრივ კი, — ეკონომისტი, ე. ი. იგი დაბრმავებულია მსხვილი ბურჟუაზიის დიდსაჩინოებით, და ხალხის ტანჯვასაც თანაუგრძნობს. იგი ერთსა და იმავე დროს ბურჟუაც არის და ხალხიც. გულში ის ამაყობს იმით, რომ იგი პირუთვნელია, რომ მან ჰპოვა ჭეშმარიტი წონასწორობა, რომელსაც იმის პრეტენზია აქვს, რომ ზომიერ შუათანობისაგან განსხვავდება. ასეთი წვრილი ბურჟუა აღმერთებს წინააღმდეგობას, რადგან წინააღმდეგობა მთელი მისი არსების საფუძველია, თვით იგი მოქმედებაში ხორცშესხმული საზოგადოებრივი წინააღმდეგობაა. მან თეორიაში უნდა გაამართლოს ის,

რასაც იგი პრაქტიკაში წარმოადგენს და ბ-ნ პრუდონს ეკუთვნის ეს დამსახურება, რომ იგი საფოანგეთის წვრილი ბურჟუაზიის მეცნიერი მესაყვირეა, რაც ნამდვილი დამსახურებაა, რადგან წვრილი ბურჟუაზია განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იქნება ყველა იმ სოციალური რეკოლუციისა, რომლებიც მზადდება.

მე მინდოდა ამ წერილთან ერთად გამომეგზავნა თქვენთვის ჩემი წიგნი პოლიტიკური ეკონომიის შესახებ, მაგრამ დღეძდე ვერ შევძელი დამებეჭდა ეს ნაშრომი და აგრეთვე გერმანიის ფილოსოფოსებისა და სოციალისტების კრიტიკა, რაზედაც მე თქვენ ბრიუსელში გეოაპარაკეთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დიდ დაბრკოლებას ხვდება გერმანიაში აძგვარი გამოცემა, ჯერ ერთი, პოლიციის მხრივ, და მეორე,—გამომცემლობის მხრივ, რომლებიც დაინტერესებული წარმომადგენლები არიან ყველა იმ მიმართულებისა, რომელთაც მე ვებრძვი. ხოლო რაც შეეხება ჩვენს საკუთარ პარტიას, იგი არა მარტო ღარიბია, არამედ, გარდა ამისა, გერმანიის კომუნისტური პარტიის დიდი ნაწილი გაჯავრებულიცაა ჩემზე იმის გამო, რომ მე მის უტოპიებსა და დეკლამაციებს ვეწინააღმდეგები...

მარქსი — ვეიდემაიერს

ლონდონი, 5 მარტი 1852 წ.

რაც შემეხება მე, მე არ მეკუთვნის არც თანამედროვე საზოგადოებაში კლასების არსებობისა და არც მათ შორის ბრძოლის აღმოჩენის დამსახურება. ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა დიდი ხნით ჩემზე ადრე გადმოსცეს კლასთა ამ ბრძოლის ისტორიული განვითარება, ხოლო ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა — კლასების ეკონომიური ანატომია. ის ახალი, რაც მე გავაკეთე, იმის დამტკიცება იყო, რომ 1) კლასთა არსებობა დაკავშირებულია წარმოების განვითარების მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ ფაზებთან; 2) რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლად მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურამდე; 3) რომ თვით ეს დიქტატურა წარმოადგენს მხოლოდ გადასვლას ყოველგვარი კლასების მოსპობაზე და უკლასო საზოგადოებაზე...

მარქსი—ენგელსს

ლონდონი, 16 აპრილი 1856 წ.

...გუშინწინ «People's Paper»[1]-ის წლისთავის გამო პატარა ბანკეტი იყო. ამჯერად მე დავთანხმდი მათ მიწვევას, რადგან ეს დროულად მეჩვენა, მით უფრო, რომ მთელი ემიგრაციიდან მარტო მე ვიყავი მიპატიჟებული (რაზედაც გამოცხადებული იყო გაზეთში) და პირველი სადღეგრძელოც მე მერგო წარმოსათქმელად, სახელდობრ, პროლეტარიატის სუვერენიტეტისათვის ყველა ქვეყანაში. მე წარმოვთქვი ინგლისურად პატარა სიტყვა, მაგრამ დასაბეჭდად არ მივცემ[2]. მიზანი, რომელიც მე მქონდა დასახული, მიღწეულია. ბ-ნი ტალანდიე, რომელსაც $2^1/_2$ შილინგის გადახდა დასჭირდა შესასვლელი ბილეთის საყიდლად, და დანარჩენი ფრანგი და სხვა ემიგრანტების ხროვა დარწმუნდა, რომ ჩვენ ჩარტისტების ერთადერთი ახლობელი მოკავშირეები ვართ და რომ, თუ ჩვენ საჯარო დემონსტრაციებისაგან თავს ვიკავებთ და ფრანგებს ვუტოვებთ იმის თავისუფლებას, რომ ჩარტიზმს საჯაროდ ელლლიავონ, მაინც ყოველ წუთს ჩვენს ხელთ არის ძალა ისევ დავიკავოთ ისტორიულად უკვე ჩვენი კუთვნილი ადგილი. ეს მით უფრო აუცილებელი გახდა, რომ 25 თებერვლის მიტინგზე, რომელსაც პია თავმჯდომარეობდა, გამოვიდა გერმანელი უვიცი შერცერი (old boy) და ქეშმარიტად საშინელ მეშჩანურ ყაიდაზე დაიწყო ბეზღობა გერმანელი «სწავლულების», «გონებრივი შუშაკების», რომლებმაც მიატოვეს ისინი, უვიცები და აიძულეს თავი შეერცხვინათ სხვა ერების წინაშე. შენ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ პარიზიდან იცნობ შერცერს. მე კვლავ რამდენჯერმე შევხვედი მეგობარ შაპერს და მონანიე ცოდვილი ვპოვე მასში. კარჩაკეტილ ცხოვრებას, რომელსაც იგი ეწევა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, თითქოს რამდენადმე უფრო გაუმახვილებია მისი გონების ძალა. შენ გესმის, რომ ყოველ შემთხვევისათვის კარგია ხელთ გვყავდეს ეს კაცი და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია

[1] «Peoples Paper» («ხალხური გაზეთი»)—ჩარტისტების ორგანო, გამოდიოდა ლონდონში 1852 წლიდან 1858 წლამდე ე. ჯონსის რედაქციით. რედ.

[2] მარქსის სიტყვა დაბეჭდილი იქნა ბანკეტის შესახებ ანგარიშში, რომელიც მოთავსებული იყო «Peoples Paper»-ის 1856 წ. 19 აპრილის ნომერში. იხ. ამ გამოცემის პირველი ტომის გვ. 402-404. რედ.

ზელიდან გამოვგლიჯოთ იგი ვილიხს. შაპერი ახლა საშინლად გააფთრებულია ვინდმილსტრიტის[1] უვიცებზე.

შენს წერილს გადავცემ სტეფენს. ლევის წერილი შენთან უნდა დაგეტოვებინა. ასე მოეპყარი საერთოდ ყველა წერილს, რომლის დაბრუნებაც მე არ გთხოვო. რაც ნაკლებად გაივლიან ფოსტაში ეს წერილები, მით უკეთესია. მე სავსებით ვეთანხმები შენ აზრს რაინის ოლქზე. ჩვენთვის ისაა საბედისწერო, რომ მერმისს როცა ვაკვირდები. ისეთ რამეს ვხედავ. რასაც «სამშობლოს ღალატის» სუნი ექნება. იმაზე, თუ რა მსვლელობას მიიღებს საქმეები ბერლინში, დამოკიდებული იქნება, იძულებული გავხდებით თუ არა ჩვენ, ისეთსავე მდგომარეობაში მოკხვდეთ, როგორშიც მოექცნენ ძველ რევოლუციაში მაინცის კლუბისტები[2]. ეს ადვილი როდი იქნება. ჩვენ ხომ კარგად ვიცნობთ ყოჩაღ ფრანგ ძამიებს რაინის იქითა მხარეზე! გერმანიაში ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რომ გლეხთა ომის რაიმე მეორე გამოცემით ზურგი გავმაგროს პროლეტარულ რევოლუციას. მაშინ ჩინებულად იქნება საქმე...

მარქსი—ენგელსს

ლონდონი, 25 სექტემბერი 1857 წ.

...შენი «ა რ მ ი ა»[3] ძალიან კარგია, მხოლოდ მისმა მოცულობამ გამაოცა, რადგან ასე ბევრი მუშაობა შენთვის მავნებელი უნდა იყოს. რომ მცოდნოდა გვიან ღამემდე იმუშავებდი, მე ვარჩევდი ჯანდაბისთვის მიმეცა მთელი ეს წამოწყება.

ა რ მ ი ი ს ისტორია ყველაზე უფრო თვალნათლივ ამტკიცებს ჩვენი შეხედულების სისწორეს საწარმოო ძალთა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა კავშირის შესახებ. საერთოდ არმია მნიშვნელოვანია ეკონომიური განვითარებისათვის. მაგალითად, ხელფასი პირველად სრული სახით არმიაში განვითარდა ძველ ხალხებში. ასევე რომაელებში peculium castrense[4] პირველი უფლე-

[1] ვინდმილსტრიტზე ლონდონში გერმანული მუშათა განმანათლებელი კავშირის ზენობა იყო. რ ე დ.

[2] მარქსს მხედველობაში ჰყავს იაკობინელთა კლუბის წევრები ქალაქ მაინცში; ისინი მ ე ბრნენ საფრანგეთის რევოლუციურ ჯარს, რომელმაც მაინცი დაიკავა 1792 წელს. ო ე დ.

[3] ენგელსის სტატია «არმია», დაბეჭდილი «ახალ ამერიკულ ენციკლოპედიაში». რ ე დ.

[4]—საბანაკო ქონება. რ ე დ.

ბრივი ფორმა იყო, რომლითაც აღიარეს არა ოჯახის მამის მოძრავი საკუთრება. ამგვარადვე წარმოიშვა პირველად ამქრული წყობილება fabri ის[1] კორპორაციაში. აქვე ვხედავთ პირველად დიდი ზომით მანქანების გამოყენებასაც. ლითონების განსაკუთრებული ღირებულებაცა და მათი მოხმარებაც ფულის სახით თავდაპირველად, როგორც ეტყობა, დამყარებული იყო მათ სამხედრო მნიშვნელობაზე, როგორც კი განვლო გრიმის ქვის პერიოდმა. შრომის დანაწილება მრეწველობის ერთი დარგის შიგნით პირველად გატარებული იყო აგრეთვე არმიებში. ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ფორმების მთელი ისტორია მოკლედ და ძკვეთრად აქ არის რეზუმირებული. თუ შენ ოდესმე დრო დაგირჩა, ეს საკითხი ამ თვალსაზრისით უნდა დაამუშავო.

ჩემი აზრით, შენს გადმოცემაში გამორჩენილია ზოგიერთი პუნქტი: 1) ნამდვილი დაქირავებული ჯარის—დიდი ზომით — პირველი და ერთბაშად გაჩოჩენა კართაგენელებში (მე გადავხედავ ჩვენი პირადი გამოყენების მიზნით ერთი ბელინელის ნაწერს კართაგენელთა ჯარის შესახებ, რაზედაც ცნობა მხოლოდ ახლახან მივიღე); 2) სამხედრო საქმის განვითარება იტალიაში XV საუკუნესა და XVI-ის დასაწყისში. სწორედ იტალიაში შემუშავდა ტაქტიკური ხერხები. აქვე შევნიშნავ: მაკიაველის ფლორენციის ისტორიაში მოცემულია მეტისმეტად ჰუმორისტული აღწერილობა იმისა, თუ როგორ იბრძოდნენ კონდოტიერები. მე იქიდან ამოგიწერ ადგილებს ანდა თუ მე შენთან მოვედი ბრაიტონს (როდის?), უკეთესია, მე თვით მოგიტან მაკიაველის ტომს. მისი ფლორენციის ისტორია შედევრია. ბოლოს, 3) აზიური სამხედრო სისტემა იმ სახით, როგორც იგი პირველად სპარსელებში ჩნდება; შემდეგში ის მრავალნაირად შეცვლილი სახით გვევლინება მონღოლებში, თურქებში და სხვ...

მარქსი—ლ. კუგელმანს

ლონდონი, 23 თებერვალი 1865 წ.

გუშინ მივიღე თქვენი წერილი, რომელიც ჩემთვის ფრიად საინტერესოა და რომელზედაც ახლა მუხლობრივ გაგცეთ პასუხს.

უპირველეს ყოვლისა მე მინდა მოკლედ გადმოგცეთ ჩემი და-

1—ჯართან არსებული ხელოსნების. რედ.

მოკიდებულება ლასალთან. მისი აგიტაციის დროს ჩვენი ურთიერთობა შეწყდა[1]:) მისი ახირებული მკვეხარობისა და თავის ქების გამო, რასაც ამავე დროს ზედ ერთოდა მისი უსირცხვილო პლაგიატობა ჩემი და სხვ. თხზულებებიდან; 2) იმიტომ რომ მე მისი პოლიტიკური ტაქტიკა გადაჭრით დავგმე; 3) იმიტომ რომ მე აქ, ლონდონში, ჯერ კიდევ მის მიერ აგიტაციის დაწყებამდე დაწვრილებით განვუმარტე და «დავუმტკიცე», რომ «პრუსის სახელმწიფოს» უშუალო სოციალისტური ჩარევა უაზრობაა. ჩემდამი მოწერილ თავის წერილებში (1848—1863), ასევე ჩემთან პირად შეხვედრებშიაც, თავს მუდამ ჩემს მიერ წარმოდგენილი პარტიის მომხრედ აცხადებდა. მაგრამ როგორც კი ლონდონში (1862 წ. დამლევს) დარწმუნდა, რომ ჩემთან მას თავისი ხრიკები და თამაში არ გაუვიდოდა, მაშინ მან გადაწყვიტა ჩემსა და ძველი პარტიის წინააღმდეგ თავისი თავი «მუშათა დიქტატორად» გამოეცხადებინა. მიუხედავად ყოველივე ამისა, მე ვაღიარებდი მის აგიტატორულ დამსახურებას, თუმცა მისი მოკლე სარბიელის დასასრულს თვით მისი აგიტაციაც სულ უფრო და უფრო ორპოფულად მეჩვენებოდა. მისმა უეცარმა სიკვდილმა, ძველმა მეგობრობამ, გრაფის მეუღლის ჰაცფელდის მწუხარებით სავსე წერილებმა, გულისწყრომამ, რომელიც გამოწვეული იყო ბურჟუაზიული გაზეთების ლაჩრული უტიფრობით იმ ადამიანის მიმართ, რომლისაც ასე ეშინოდათ მისი სიცოცხლის დროს, ყველა ამან მე მაიძულა გაიძვერა ბლინდის წინააღმდეგ გამომექიენებინა მოკლე განცხადება, რომელიც არ ეხებოდა ლასალის მოღვაწეობის შინაარსს. (ჰაცფელდმა განცხადება «Nordstern[1]»-ში გაგზავნა). იმავე მიზეზებითა და იმ იმედით, რომ (გაზეთს) ჩამოვაშორებდით იმ ელემენტებს, რომლებიც მე სახიფათოდ მიმაჩნდნენ, მე და ენგელსმა «Social-Demokrat[2]»-ს თანამშრომლობა აღვუთქვით (გაზეთმა მოათავსა დამფუძნებელი მანიფესტის თარგმანები და გაზეთის სურვილის თანახმად, პრუდონის სიკვდილის გამო პრუდონზე სტატია დავწერე) და მის შემდეგ, რაც შვაიცერმა ჩვენ თავისი რედაქციის დამაკმაყოფილებელი პროგრამა გამოგვიგზავნა, ნება დავრთეთ თანამშრომლებად გამოვეცხადებინეთ. შემდეგ, ჩვენთვის გარან-

---

1 «Nordstern» («ჩრდილოეთის ვარსკვლავი») — ლასალიანური მიმართულების ყოველკვირეული გაზეთი; გამოდიოდა ჰამბურგში 1860—1866 წ.წ. რედ.

2 «Social-Demokrat» («სოციალ-დემოკრატი») — გამოდიოდა ლასალიანელი ფ.-ბ. შვაიცერის ხელმძღვანელობით ბერლინში 1864 წ. დამლევიდან. რედ

ტიას ის გარემოებაც წარმოადგენდა, რომ ვ. ლიბკნეხტი რედაქციის არაოფიციალური წევრი იყო. ამასობაში მალე ცხადი გახდა,—ამის საბუთები ხელთ ჩაგვივარდა,—რომ ლასალს პარტიისათვის მართლაც ეღალატნა. მას ფორმალური ხელშეკრულება დაუდვია ბისმარკთან (ამასთან, რასაკვირველია, მას არავითარი გარანტია თავისთვის ხელთ არ ჰქონია). 1864 წლის სექტემბრის დამლევს ჰამბურგს უნდა წასულიყო და იქ (ჭკუაზე შეშლილ შრამთან და პრუსიის პოლიციის ჯაშუშ მართან ერთად) ბისმარკს უნდა «აეძულებინა» შლეზვიგ-ჰოლშტაინის შემოსაერთებლად, ე. ი. ეს შემოერთება «მუშათა» სახელით გამოეცხადებინა და სხვა. სამაგიეროდ ბისმარკი შეპირდა საყოველთაო საარჩევნო უფლებასა და ზოგიერთ სოციალისტურ თვალთმაქცობას. ვაი, რომ ლასალს ამ კომედიის გათამაშების შესაძლებლობა არ მიეცა! იგი მას უაღრესად სასაცილოდ გამასხარავებულად წარმოადგენდა და ყველა ამგვარ ცდას სამუდამოდ ბოლო მოეღებოდა.

ლასალი ამ შემცდარ გზაზე იმიტომ მოხვდა, რომ იგი ბატონ მიქელის მსგავსად «რეალური პოლიტიკოსი» გახლდათ, ოღონდ დიდი ყალიბისა და ეფრო ძლიერი მიზნებით! (გაკვრით მინდა შევნიშნო, მე დიდი ხანია კარგად გავუსინჯე კბილი მიქელს და მისი გამოსვლა იმით ავხსენი, რომ პატარა ჰანოველი ვექილისათვის ნაციონალური კავშირი[1] წარმოადგენს იმის საუცხოო საბაბს, რათა სიტყვა წარმოსთქვას მთელი გერმანიის გასაგონად, თავისი პაწია უბნის ფარგლებს გადაღმა, თავის ოთხ კედელს იქით და თავისი პიროვნების ამგვარად ამაღლებული «რეალობა», უკუქმედებით თავის ჰანოველის სამშობლოს შიგნით აღიარების ღირსი გახადოს, ამასთან «პრუსიის» მფარველობის ქვეშ ჰანოველი მირაბოს როლი გაითამაშოს). ისევე როგორც მიქელმა და მისმა ახლანდელმა მეგობრებმა პრუსიის პრინც-რეგენტის მიერ გამოცხადებულ «ახალ ერას» ხელი ჩასჭიდეს ინისათვის, რომ ნაციონალურ კავშირად შეყრილიყვნენ და «პრუსიის მწვერვალს» მიტმასნებოდნენ, ისევე როგორც ისი-

[1] ნაციონალური კავშირი—დაარსდა 1859 წლის შემოდგომაზე, იყო გერმანიის მსხვილი ბურჟუაზიის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ის ისახავდა პრუსია ჰეგემონიით ყველა გერმანული სახელმწიფოს გაერთიანებას, ავსტრიის გამოკლებით. შემდეგში ნაციონალური კავშირი მხარს უჭერდა ბისმარკის პოლიტიკას. რედ.

ნი საერთოდ პ რ უ ს ი ი ს მ ფ ა რ ვ ე ლ ო ბ ი ს ქვეშ თავის «მოქალაქურ სიამაყეს» ანვითარებდნენ, ასევე ლასალსაც უნდოდა, რომ ბრანდენბურგელ ფილიპე მეორესთან პროლეტარული მარკიზ პოზას როლი გაეთამაშებინა, ხოლო ბისმარკი შუამავლად გამოსულიყო მასა და პრუსიის სამეფო ხელისუფლებას შორის. ლასალი მხოლოდ ბაძავდა ნაციონალური კავშირის ვაჟბატონებს. მაგრამ თუ ამ უკანასკნელებმა «პრუსიის» რეაქცია ბურჟუაზიის ინტერესებისათვის გამოიწვიეს, ლასალი ხელს ართმევდა ბისმარკს პროლეტარიატის ინტერესებისათვის. ნაციონალური კავშირის ვაჟბატონები იქდენად უფრო მართალი იყვნენ, ვიდრე ლასალი, რამდენადაც ბურჟუა მიჩვეულია მხოლოდ უშუალოდ მის ცხვირწინ მდებარე სახეირო ინტერესები მიიჩნიოს «რეალობად» და რამდენადაც ეს კლასი ფაქტიურად ყველგან კომპრომისს მიმართავდა, თვით ფეოდალიზმთანაც კი, მაშინ როდესაც მუშათა კლასი თვით საგანთა ბუნების თანახმად აუცილებლად პატიოსნად «რევოლუციური» უნდა იყოს.

ისეთი თეატრალური თავმოწონე ბუნების ადამიანისათვის, როგორიც ლასალი იყო (მაგრამ რომლის მოსყიდვა ისეთი ფუჭი რამეებით, როგორიცაა თანამდებობანი, ბურგმაისტერობა და ა. შ. არ შეიძლებოდა), ძალიან წარმტაცი იყო აზრი: უშუალო ღვაწლი პროლეტარიატისათვის, ფერდინანდ ლასალის მიერ ჩადენილი! ნამდვილად კი მან არაფერი არ იცოდა ამგვარი ღვაწლის ნამდვილი ეკონომიური პირობების შესახებ, იმისათვის, რომ თვითონ თავის თავს კრიტიკულად მისდგომოდა. მეორე მხრივ, იმ ბინძური «რ ე ა ლ უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ი ს» შედეგად, რომლის გამო გერმანიის ბურჟუაზია 1849-1859 წლების რეაქციას ითმენდა და ხალხის გამოყეყეჩების უბრალო მაყურებელი იყო, გერმანიის მუშები ძალიან «დ ე მ ო რ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი» იყვნენ იმისათვის, რომ აღტყინებით არ შეგებებოდნენ ბაზრის ასეთ მყვირალა მაცხოვარს, რომელიც მათ ერთი ნახტომით აღთქმულ ქვეყანაში გადაყვანას პირდებოდა!

ამრიგად, აღვადგინოთ ისევ ზემოთ გაწყვეტილი საუბრის ძაფი! როგორც კი «Social-Demokrat»-ი დაარსდა, მაშინვე აღმოჩნდა, რომ ბებერ ჰაცფელდს სურდა ლასალის «ანდერძის» დაგვიანებით შესრულება. მას ვაგენერის საშუალებით («Kreuzzeitung»-იდან) კავშირი ჰქონდა ბისმარკთან. მან უკანასკნელის (ბისმარკის) განკარგულებაში გადასცა (გერმანიის საყოველთაო) «მუშათა კავშირი», «Social-Demokrat» და სხვ. შლეზვიგ-ჰოლშტაინის ანექსია

«Social-Demokrat»-ში უნდა გამოცხადებულიყო, ხოლო ბისმარკი საერთოდ მკაცრველად ეღიარებინა. მთელი ეს მშვენიერი გეგმა იმან ჩაფუშა, რომ ჩვენ ბერლინში და «Social Demokrat»-ის რედაქციაში ლიბკნეხტი გვყავდა, თუმცა ენგელსსა და მე არ მოგვწონდა გაზეთის ოდაქცია, ლასალის მლიქვნელი კულტი, ხანგამოშვებით კეკლუცობა ბისმარკთან და სხვ., მაგრამ მაინც, რასაკვირველია, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ეოთ ხანს ოფიციალური კავშირი შეგვენარჩუნებინა გაზეთთან, რათა ხელი შეგვეშალა ბებელი ჰაცფელდის ინტრიგებისა და მუშათა პარტიის სრული სახელგატეხისათვის. ამიტომ ჩვენ თავი ისე გვეჭირა, ვითომც არაფერი ყოფილიყოს, თუმცა კერძო სახით «Social-Demokrat»-ს მუდამ ვწერდით, რომ მათ ისევე უნდა ეწარმოებინათ ბრძოლა ბისმარკის წინააღმდეგ, როგორც პროგრესისტების წინააღმდეგ. ჩვენ იმასაც კი ვითვალწინებდით, რომ გაბერილი ფუქსავატი ტაკი-მასხაოა ბერნჰარდ ბეკერი, რომელმაც სოლიად სერიოზულად შეიშნო ის ნიშვნელობა, რომელიც მან მემკვიდრეობით მიიღო ანდერძის სახით ლასალისაგან, მუშათა საერთაშორისო ასოციაციის წინააღმდეგ ინტრიგას აწყობდა.

ამასობაში ბატონ შვაიცერის სტატიები «Social Demokrat»-ში სულ უფრო და უფრო ბისმარკულ ხასიათს იღებდა. მე ჯერ კიდევ ადრევე ვწერდი მას, რომ პროგრესისტების დაშინება შეიძლება «კოალიციების საკითხში», მაგრამ პრუსიის მთავრობა არასოდეს და არაფრის გულისთვის არ დათანხმდება კოალიციის შესახებ კანონების სრულს გაუქმებაზე. იმიტომ რომ ამას მოჰყვებოდა ბიუროკრატიზმის გარღვევა, მუშებისათვის სამოქალაქო უფლებების მინიჭება, შინაყმათა წესდების მოსპობა, თავადაზნაურთა პრაქტიკაში შემოღებულ მათრახისა და წკეპლის ხმარების გაუქმება სოფლად და სხვ. და სხვა, რასაც ბისმარკი არასოდეს არ დაუშვებს და რაც საერთოდ შეუთავსებელია პრუსიის მოხელეთა ბიუროკრატიულ სახელმწიფოსთან. მე ისიც დავუმატე, რომ თუ პალატა უარყოფს კოალიციების კანონს, მთავრობა ფრაზებს მიმართავს (მაგალითად. ასეთ ფრაზებს, რომ სოციალური საკითხი «უფრო ღრმა» ღონისძიებებს მოითხოვს და სხვ). რათა ამ კანონებს ძალა შეუნარჩუნოს. ყველაფერი ეს დადასტურდა. ხოლო რა ჰქნა ბატონმა ფონ შვაიცერმა? მან დაწერა სტატია ბისმარკის სასარგებლოდ და მთელი თავისი გმირული სიმამაცე ისეთი ნამცე-

ციით პაწია არსებათა წინააღმდეგ შემოინახა, როგორიც არიან შულცე, ფაუხერი და ა. შ.

მე მწამს, რომ შვაიცერს და სხვებს პატიოსანი განზრახვები აქვთ, მაგრამ ისინი «რეალური პოლიტიკოსები» არიან. მათ სურთ არსებულ პირობებს ანგარიში გაუწიონ და «რეალური პოლიტიკის» ეს პრივილეგია არ უნდათ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ბატონ მიქელს და კომპ. დაუთმონ. (ამ უკანასკნელთ, ეტყობა, სურთ შეინარჩუნონ პრუსიის მთავრობასთან თანამშრომლობის უფლება). მათ იციან, რომ მუშათა გაზეთები და მუშათა მოძრაობა პრუსიაში (მაშასადამე, დანარჩენ გერმანიაშიც) მხოლოდ პოლიციის წყალობით აოსებობს. მაშასადამე, მათ სურთ გარეშოებანი იმ სახით მიიღონ, როგორც არიან, არ უნდათ, რომ მთავრობა გააღიზიანონ, სრულიად ისევე როგორც ჩვენს «რესპუბლიკელ» რეალურ პოლიტიკოსებს, რომლებსაც სურთ ჰოჰენცოლერნთა იმპერატორი «თან იყოლიონ». მაგრამ რადგანაც მე «რეალური პოლიტიკოსი» არა ვარ, ამიტომ საჭიროდ ვცანი ენგელსთან ერთად საჯარო განცხადებით უარი მეთქვა «Social-Demokrat»-ში თანამშრომლობაზე (ამ განცხადებას თქვენ მალე ნახავთ რომელიმე გაზეთში).

ამასთანავე აქედან თქვენ ხედავთ, თუ რატომ არაფრის გაკეთება არ შეიძლია ამჟამად პრუსიაში. იქაურმა მთავრობამ პირდაპირ უარჰკო პრუსიაში ჩემი მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენა. აგიტაციის ნებას მეიქ მხოლოდ მაშინ დამრთავენ, თუ ეს აგიტაცია ბატონ ფონ ბისმარკისათვის ღირსსასურველ ფორმას მიიღებს.

მე ასჯერ ვამჯობინებ ჩემს აგიტაციასაქ «საერთაშორისო ასოციაციის»[1] საშუალებით. ინგლისელ პროლეტარიატზე გავლენა პირდაპირია და უაღრესად მნიშვნელოვანი. ჩვენ აქ ახლა მოქმედებაში მოგვყავს საყოველთაო საარჩევნო უფლების საკითხი, რასაც აქ, რა თქმა უნდა, სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრუსიაში.

მთლიანად ამ ასოციაციის წარმატებამ აქ, პარიზში, ბელგიაში, შვეიცარიასა და იტალიაში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მხოლოდ გერმანიაში მიწევენ წინააღმდეგობას, რასაკვირველია, ლასალის მიმდევრები, რომელთაც 1) უგუნურად ეშინიათ თავიანთი გაელენის დაკარგვისა, 2) იციან, რომ მე აშკა-

[1] ლაპარაკია პირველ ინტერნაციონალზე. რედ.

რა მოწინააღმდეგე ვარ იმისა, რასაც გერმანელები «რეალურ პოლიტიკას» უწოდებენ. (ეს იმ ჟურნალის «რეალობაა», რომელიც ეგზომ შორს სტოვებს უკან გერმანიას ყველა ცივილიზებულ ქვეყნებთან შედარებით).

ვინაიდან ყოველი ადამიანი, ვინც კი 1 შილინგად საწევრო ბილეთს შეიძენს, შეიძლება გახდეს ასოციაციის წევრი, ვინაიდან ფრანგებმა (ასევე ბელგიელებმაც) ინდივიდუალური წევრობის ეს ფორმა აირჩიეს, იმიტომ რომ მათი კანონი უკრძალავთ მათ «ასოციაციის» სახით მოგვემხრონ ჩვენ, ვინაიდან გერმანიაშიც სწორედ ასეთი ვითარებაა,—ამიტომ ახლა მე გადავწყვეტე ჩემს აქაურ მეგობრებს, აგრეთვე მეგობრებს გერმანიაში, მივმართო წინადადებით—ყველგან შექმნან პატარა საზოგადოებანი, სულ ერთია რამდენი წევრი ეყოლებათ; თვითეული წევრი ამგვარი საზოგადოებისა შეიძენს ინგლისურ საწევრო ბილეთს. იმის გამო, რომ ინგლისური საზოგადოება ლეგალურია, ამ მეთოდს თვით საფრანგეთშიაც კი არ ხვდება დაბრკოლება. მე ძალიან მინდოდა, რომ თქვენც, თქვენთან ყველაზე ახლოს მყოფ ადამიანებთან ერთად, ამ გზით დაკავშირებოდით ლონდონს...

მარქსი—ლ. კუგელმანს

ლონდონი, 9 ოქტომბერი 1866 წ.

...მე ძალიან ვშიშობდი ჟენევის პირველი კონგრესის გამო, მაგრამ ჩემი მოლოდინის მიუხედავად ეგი მთლიანად კარგად ჩატარდა [1]. მისმა გაელენამ საფრანგეთში, ინგლისსა და ამერიკაში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მე არ შემეძლო და არც მინდოდა კონგრესზე წასვლა, მაგრამ ლონდონის დელეგატთა პროგრამა კი დავწერე. მე განზრახ შემოვფარგლე ეგი ისეთი პუნქტებით, რომლებზედაც შესაძლებელია მუშების უშუალო შე-

1 პირველი ინტერნაციონალის ჟენევის კონგრესი, რომელიც 1866 წ 3-8 სექტემბერს ზესდგა, პრუდონისტების გადამწყვეტი დამარცხებით დამთავრდა. კონგრესზე დამტკიცდა მარქსის მიერ დაწერილი ინტერნაციონალის წესდება, ხოლო მიღებულ რეზოლუციებს საფუძვლად დაედო მარქსის მიერ შედგენილი ინსტრუქცია. რედ.

თანხმება და თანამშრომლობა და რომლებიც კლასობრივი ბრძოლის მოთხოვნილებებსა და მუშების კლასად დარაზმვას უშუალო საზრდოს და ბიძგს მისცემენ. ბატონ პარიზელებს ცარიელი პრუდონისტული ფრაზებით აქვთ თავები სავსე. ისინი მეცნიერებაზე ლაყბობენ და არაფერი კი არ იციან. ისინი ზიზღით უყურებენ ყოველგვარ რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ს მოქმედებას, ე. ი. თვით კლასობრივი ბრძოლიდან გამომდინარე მოქმედებას, ზიზღით უცქერიან ყოველგვარ კონცენტრირებულ საზოგადოებრივ მოძრაობას, მაშასადამე, ისეთ მოძრაობასაც, რომელიც პოლიტიკური საშუალებებითაც შეიძლება ჩატარდეს (როგორც, მაგალითად, სამუშაო დღის კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ი თ შემოკლება). თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა და ანტიგუვერნამენტალიზმის[1] ანუ ავტორიტეტთა წინააღმდეგ მიმართული ინდივიდუალიზმის ს ა ბ ა ბ ი თ ეს ვაჟბატონები, რომლებიც 16 წელიწადს დამშვიდებით ითმენდნენ და ითმენენ ყოველად სამარცხვინო დესპოტიზმს, ფაქტიურად მხოლოდ პრუდონისტულად იდეალიზებულ, ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ მეურნეობას ქადაგებენ! პრუდონმა დიდი ზიანი მოიტანა. პირველად მისმა მოჩვენებითმა კრიტიკამ და მისმა მოჩვენებითმა დაპირისპირებამ უტოპისტების წინააღმდეგ (თვითონ პრუდონიც მთლოდ და მხოლოდ წვრილ-ბურჟუაზიული უტოპისტია, მაშინ როდესაც ისეთი ადამიანების უტოპიებში, როგორც იყვნენ ფურიე, ოუენი და სხვ. ახალი ქვეყნის წინათგრძნობა და ფანტასტიკური გამოხატულებაა) მოაჯადოვა და გაიტაცა «ბრწყინვალე ახალგაზრდობა», სტუდენტები, შემდეგ მუშები, განსაკუთრებით პარიზელები, რომლებიც როგორც ფუფუნების საგნების დამამზადებელი მუშები, ძველ ბინძურ ნაგავთან «ძალიან» არიან დაკავშირებული, ისე რომ თითონაც არ იციან ეს. უვიცებმა, ამპარტავნებმა, კადნიერებმა, მოლაყბეებმა და ცრუ პათოსით გაბერილებმა, როცა ისინი დიდი რაოდენობით გამოცხადდნენ კონგრესზე, რაც სრულებით არ შეესაბამებოდა მათი წევრების რიცხვს, კინაღამ ყველაფერი დაღუპეს. ანგარიშში მე მათ მოვცხებ როგორც ჯერ არს, ოღონდ პირდაპირ არ ვახსენებ.

დიდი სიხარული მომანიჭა ამერიკელი მუშების კონგრესმა, რომელიც ერთდროულად მიმდინარეობდა ბალტიმორში. იქ ლოზუნგად წამოყენებული იყო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის

[1] ფრანგული სიტყვიდან «gouvernement»—«მთავრობა»—ყოველგვარი მთავრობის უარყოფა. რ ე დ.

ორგანიზაცია, და ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ ჩემს მიერ ენენვისათვის გამომუშავებულ მოთხოვნილებათა უმეტესობა მუშათა სწორი აღლოს წყალობით იქაც წაძოაყენეს.

აკაურპა მოძრაობამ რეფორმისათვის[1], რაც ჩვენმა ცენტრალურმა საბჭომ წარმოშვა (რაშიაც ჩემი შრომის დიდი წვლილი ჩავდე), ახლა სულ უფრო და უფრო დიდ ფარგლებს მიაღწია და უკვე დაუძლეველ ხასიათს იღებს. მე ყოველთვის კულისებს უკან ვიმყოფებოდი და ამ საქმის გამო მეტს აღარ ვწუხვარ, რაკილა იგი კარგად მიდის.

მარქსი — ლ. კუგელმანს

ლონდონი, 11 ივლისი 1868 წ.

...რაც შეეხება «Centralblatt»-ს, იქ მოთავსებული სტატიის[2] ავტორი ჩემდამი უდიდეს დათმობაზე მიდის, როცა აღიარებს, რომ თუ ღირებულების ცნებას საზოგადოდ რაიმე აზრს მივცემთ, მაშინ ჩემს დასკვნებს აუცილებლად უნდა დაეთანხმონ. ეს უბადრუკი ვერ ხედავს, რომ ჩემს წიგნში სულაც რომ არ იყოს თავი «ღირებულების» შესახებ, რეალურ ურთიერთობათა ანალიზში, რომელსაც მე ვიძლევი, მაინც მოცემული იქნებოდა ღირებულების ნამდვილი ურთიერთობის დამტკიცება და დასაბუთება. ლაყბობას ღირებულების ცნების დამტკიცების აუცილებლობაზე საფუძვლად უდევს მხოლოდ სრული უცოდინარობა, როგორც საგნისა, რომელზედაც ლაპარაკია, ისე მეცნიერული მეთოდისაც. თვითეულმა ბავშვმაც კი იცის, რომ ყოველი ერი შიმშილით ამოწყდებოდა, თუ კი ის მუშაობას შეაჩერებდა, არ ვლაპარაკობ ერთი წლით, თუნდ რამდენიმე კვირითაც კი. ასევე ყველამ იცის, რომ იმ პროდუქტთა მასისათვის, რომლებიც მოთხოვნილებათა სხვადასხვა მასას შეეფერება, საჭიროა საზოგადოებრივი ერთობლივი შრომის სხვადასხვა და რაოდენობრივად განსაზღვრული მასა. თავის თავად ცხადია, რომ საზოგადოებრივი შრომის გარკვეული პროპორ-

[1] მოძრაობა ინგლისში საარჩევნო ფფლების რეფორმისათვის, მოძრაობა, რომელიც დამთავრდა 1867 წლის რეფორმით. რ ე დ.

[2] იგულისხმება «კაპიტალის» შესახებ დაწერილი რეცენზია, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ «Literarisches Centralblatt»-ის («ცენტრალური ლიტერატურული გაზეთი»-ს № 28-ში, ლაიფციგი 1868 წ. რ ე დ.

ციით დაყოფის ეს აუცილებლობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოისპოს საზოგადოებრივი წარმოების განსაზღვრული ფორმით; შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მისი გამოვლინების ფორმა. ბუნების კანონების მოსპობა საერთოდ შეუძლებელია, სხვადასხვა ისტორიულ პირობებში შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ფორმა, რომლითაც ეს კანონები ვლინდება. ხოლო ის ფორმა, რომელითაც შრომის ეს პროპორციული დანაწილება ვლინდება, ისეთ საზოგადოებრივ წყობილებაში, სადაც საზოგადოებრივი შრომის კავშირი შრომის ინდივიდუალურ პროდუქტთა კერძო გაცვლის სახით არსებობს, არის სწორედ ამ პროდუქტთა საცვლელი ღირებულება.

მეცნიერების ამოცანა სწორედ ისაა, რომ ახსნას, როგორ ვლინდება ღირებულების კანონი, მაშასადამე, თუ მოვინდომებდით ერთბაშად «აგვეხსნა» ყველა ის მოვლენა, რომლებიც თითქოს ამ კანონს ეწინააღმდეგება, მაშინ მოგვიხდებოდა მეცნიერება მეცნიერებაზე ადრე მოგვეცა. რიკარდოს შეცდომაც სწორედ ისაა, რომ თავისი წიგნის პირველ თავში, სადაც ღირებულებაზეა ლაპარაკი, წინასწარ მოცემულად გულისხმობს ყველა იმ შესაძლებელ კატეგორიას, რომლებიც ჯერ კიდევ ახსნილი უნდა იქნენ, რათა დამტკიცდეს მათი ადექვატობა ღირებულების კანონთან.

მეორე მხრივ, როგორც თქვენ სწორად აღნიშნეთ, თეორიის ისტორია, რა თქმა უნდა, ამტკიცებს, რომ ღირებულების ურთიერთობის გაგება მუდამ ერთი და იგივე იყო, მხოლოდ უფრო ნათელი ან უფრო ბუნდოვანი, ილუზიებში უფრო ძლიერად გახვეული ან მეცნიერულად უფრო განსაზღვრული. რადგან თვით აზროვნების პროცესი გარკვეული ურთიერთობიდან წარმოიშვება, თვითონ ბუნებრივი პროცესია, ამიტომ ნამდვილად შემძეცნებელი აზროვნება მუდამ მხოლოდ ერთი და იგივე შეიძლება იყოს, და განსხვავდება მხოლოდ ხარისხით, იმისდა მიხედვით, თუ როგორია განვითარების და კერძოდ, აზროვნების ორგანოს განვითარების სიმწიფე. სხვა ყველაფერი მიეთ-ქოეთია.

ეულგარულ ეკონომისტს არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, რომ გაცვლის ნამდვილი, ყოველდღიური ურთიერთობანი და ღირებულების სიდიდენი არ შეიძლება უშუალოდ იდენტური იყოს. ბურჟუაზიული საზოგადოების დედაარსი ხომ სწორედ ისაა, რომ მასში არ არსებობს a priori წარმოების არავითარი შეგნებული, საზოგადოებრივი რეგულირება. გონივრული და ბუნებრივად აუცილებელი ვლინდება მხოლოდ როგორც ბრმად

მოქმედი საშუალო. ვულგარულ ეკონომისტს კი ჰგონია, რომ დიდი აღმოჩენა მოახდინა და ამაყობს იმით, რომ შინაგანი კავშირის ახსნას დაუპირისპირა ის ფაქტი, რომ საგნები მოვლენებში სხვაგვარად გამოიყურებიან. სინამდვილეში კი იგი იმით ამაყობს, რომ მოჩვენებას ჩასჭიდებია და საბოლოო ჭეშმარიტებად მიაჩნია. რაღა საჭიროა მაშინ საზოგადოდ მეცნიერება?

მაგრამ აქ კიდევ სხვა რამეც იმალება. საგანთა კავშირის გაგებასთან ერთად იმსხვრევა არსებული წესწყობილების მუდმივი და განუწყვეტელი აუკილებლობის ყოველგვარი თეორიული რწმენა, იმსხვრევა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ამ წყობილების დანგრევა პრაქტიკულად მოხდებოდეს. მაშასადამე, აქ უკვე გაბატონებული კლასების აბსოლუტური ინტერესი მოითხოვს უაზრო არევდარევის გამარადისებას. მაშ რისთვის უხდიან გასამრჯელოს სიკოფანტ მოლაყბეებს, რომელთაც მეცნიერებაში სხვა ვერავითარი ხერხისთვის ვერ მიუმართავთ, გარდა იმისა, რომ იკვეხნიან, პოლიტიკურ ეკონომიაში საერთოდ აზროვნება ნებადართული არ არისო?

მაგრამ საკმარისია და საკმარისზე მეტიც. ყოველ შემთხვევაში ეს იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად დაქვეითდნენ ბურჟუაზიის ეს ხუცესები; მუშებმა და თვით მეფაბრიკეებმა, ვაჭრებმაც კი, გაიგეს ჩვენი წიგნი და გაერკვნენ მასში, მაშინ როდესაც ეს «მწიგნობარი მეცნიერნი» (!) ჩვიან, რომ მე მათ გონებას შეუფერებელ მოთხოვნას ვუყენებ...

მარქსი—ლ. კუგელმანს

ლონდონი, 12 აპრილი 1871 წ.

გუშინ ჩვენ მივიღეთ არც თუ ისე სანუგეშო ცნობა იმის შესახებ, რომ ლაფარგი (არა ლაურა) ამჟამად პარიზში იმყოფება.

თუ გადახედავ ჩემი «თვრამეტი ბრიუმერის» უკანასკნელ თავს, დაინახავ, რომ საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ ცდად მე ვაცხადებ: არა სამხედრო-ბიუროკრატიული მანქანის ერთი ხელიდან მეორეში გადაცემას, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, არამედ მის დამსხვრევას; აი სწორედ ეს არის კონტინენტზე ყოველი ნამდვილი ხალხური რევოლუციის წინაპირობა. ასეთია სწორედ ჩვენი გმირული პარიზელი პარტიული ამხანაგების ცდა.

რა მოქნილობა, რა ისტორიული ინიციატივა, რა თავგანწირვის უნარია ამ პარიზელებში! ექვსი თვის შიმშილობისა და ნგრევის შემდეგ, რაც შინაური ღალატისაგან უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე გარეშე მტრის მიერ, ისინი ჯანყდებიან, პრუსიული ხიშტებით გარშემორტყმულნი, თითქოს საფრანგეთსა და გერმანიას შორის ომი არასოდეს არ ყოფილიყოს, და, მტერი თითქოს პარიზის ჭიშკართან არ მდგარიყოს! ისტორიამ არ იცის ამგვარი სიდიადის სხვა მაგალითი. თუ ისინი დამარცხდებიან, ამაში დამნაშავე სხვა არა იქნება რა, თუ არა მათი «დიდსულოვნობა». მას შემდეგ რაც ჯერ ვინუამ და შემდეგ პარიზის ნაციონალური გვარდიის რეაქციულმა ნაწილმა ასპარეზი თვითონ დასცალა, (საჭირო იყო დაუჯოვნებლივ ვერსალზე გალაშქრება. სინდისიანობის გამო მომენტი ხელიდან გაუშვეს. არ უნდოდათ სამოქალაქო ომის დაწყება, თითქოს მახინჯმა გადაგვარებულმა ტიერმა თვით არ დაიწყო სამოქალაქო ომი, როდესაც პარიზს განიარაღება დაუპირა. მეორე შეცდომა: ცენტრალურმა კომიტეტმა ძალიან ადრე აიღო ხელი თავის ძალაუფლებაზე, რათა კომუნისათვის დაეთმო ადგილი. ესეც კვლავ «პატიოსანი» წვრილმანობის გამო! რაც არ უნდა მოხდეს, პარიზის ახლანდელი აჯანყება, ივნისის აჯანყებიდან მოკიდებული, ჩვენი პარტიის ბრწყინვალე ღვაწლს წარმოადგენს,—თუნდაც იგი დათრგუნვილ იქნეს ძველი საზოგადოების მგლების, ღორებისა და სულმდაბალი ძაღლების მიერ. დაე შეადარონ ამ პარიზელ ზეცის მოიერიშეებს გერმანულ-პრუსიული წმინდა რომაული იმპერიის ზეციერი მონები მისი მოძველებული მასკარადებით, რომელთაც ყაზარმის, ეკლესიის, პროვინციელი იუნკრების და ყველაზე მეტად კი ფილისტერობის სუნი უდით.

ამასთანავე დროზე უნდა შევნიშნო. დოკუმენტების ოფიციალურ გამოცემაში იმ სუბსიდიების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ლუი ბონაპარტის სალაროდანაა გაცემული, არის ცნობა, რომ ფოგტმა 1859 წ. აგვისტოს მიიღო 40000 ფრანკი. ეს ფაქტი მე ლიბკნეხტს შევატყობინე შემდგომ გამოსაყენებლად.

შენ შეგიძლია გამომიგზავნო ჰაკსტჰაუზენი, ვინაიდან ამ უკანასკნელ ხანს უნებლად ვიღებ სხვადასხვა ბროშურებს და სხვ. მისთ. არა მარტო გერმანიიდან, არამედ თვით პეტერბურგიდანაც კი.

მადლობას მოგახსენებთ სხვადასხვა გაზეთების გამოგზავნისათვის (გთხოვთ მეტი გამომიგზავნოთ, რადგან რაღაც მინდა დავწერო გერმანიაზე, რაიხსტაგზე და სხვ.)...

მარქსი—ლ. კუგელმანს

ლონდონი, 17 აპრილი 1871 წ.

შენი წერილი მივიღე. ამჟამად მე აუარებელი საქმეები მაქვს. ამიტომ მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ვწერ. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, როგორ შეიძლია შეადარო 1849 წ. 13 ივნისის [1] და სხვ. ყაიდის წვრილ-ბურჟუაზიული დემონსტრაციები პარიზის ახლანდელ ბრძოლას.

რასაკვირველია, მსოფლიო ისტორიის გაკეთება ძალიან მოსახერხებელი იქნებოდა, ბრძოლას რომ მხოლოდ შეუმცდარი ხელშეშეწყობი შანსების პირობით იწყებდნენ. მეორე მხრივ, ისტორიას ძალიან მისტიკური ხასიათი ექნებოდა, «შემთხვევითობანი» რომ არავითარ როლს არ თამაშობდნენ. ეს შემთხვევითობანი, რა თქმა უნდა, განვითარების თვით საერთო მსვლელობაში შედიან და მათ კვლავ სხვა შემთხვევითობანი აწონასწორებენ. მაგრამ დაჩქარება და დაყოვნება ძალიან არის დამოკიდებული ამგვარ «შემთხვევითობათაგან», რომლებშიაც მონაწილეობას იღებს აგრეთვე ისეთი «შემთხვევა», როგორიცაა ადამიანთა ხასიათი, იმ ადამიანებისა, რომლებიც დასაწყისში სათავეში უდგანან მოძრაობას.

გადამწყვეტი არახელსაყრელი «შემთხვევა» ამჟამად არასგზით არ უნდა ვეძიოთ საფრანგეთის საზოგადოების საერთო პირობებში, არამედ იმაში, რომ პრუსიელები საფრანგეთში იმყოფებიან და პარიზს ზედ მისდგომიან. ეს პარიზელებმა ძალიან კარგად იცოდნენ. მაგრამ ეს იცოდნენ აგრეთვე ვერსალის ბურჟუაზიულმა გაიძვერებმა. სწორედ ამიტომ დააყენეს მათ პარიზელები ალტერნატივის წინაშე: ან მიეღოთ ბრძოლა ან უბრძოლველად დამორჩილებოდნენ. მუშათა კლასის დემორალიზაცია უკანასკნელ შემთხვევაში უფრო დიდი უბედურება იქნებოდა, ვიდრე «წინამძღოლთა» დაღუპვა, რამდენიც არ უნდა იყოს მათი რიცხვი. მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტთა კლასთან და მისი ინტერესების

[1] 1849 წ. 13 ივნისს პარიზში შედგა მთის პარტიის მიერ მოწყობილი საპროტესტო დემონსტრაცია საფრანგეთის ჯარების მხრივ ორმის რესპუბლიკის ძალდატანებითი დამბობის წინააღმდეგ. ეს დემონსტრაცია თითქმის ყოველგვარი სიძნელის გარეშე იქნა გაფანტული და მან დაარტყა მხოლოდ საფრანგეთის წვრილბურჟუაზიული რევოლუციური დემოკრატიის გაკოტრება. რ ე დ.

გამომხატველ სახელმწიფოსთან პარიზის კომუნის წყალობით ახალ ფაზაში შევიდა. როგორც არ უნდა წავიდეს საქმე უშუალოდ ახლა, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ახალი გამოსავალი წერტილი მაინც მოპოვებულია.

კ. მარქსი — ფ. ბოლტეს

ლონდონი, 23 ნოემბერი 1871 წ.

...ინტერნაციონალი იმისათვის დაარსდა, რომ სოციალისტური თუ ნახევრად სოციალისტური სექტები მუშათა კლასის ნამდვილი საბრძოლო ორგანიზაციით შეეცვალა. თავდაპირველი წესდებანი და დამფუძნებელი მანიფესტი ერთი შეხედვითვე მიუთითებს ამაზე. მეორე მხრივ, ინტერნაციონალი ვერ განმტკიცდებოდა, ისტორიის მსვლელობას რომ უკვე არ გაენადგურებინა სექტანტობა. სოციალისტური სექტანტობის განვითარება და მუშათა ნამდვილი მოძრაობის განვითარება მუდამ შებრუნებულ ურთიერთობაში იმყოფებიან. სექტებს (ისტორიული) გამართლება მანამ აქვთ, სანამ მუშათა კლასი დამოუკიდებელი ისტორიული მოძრაობისათვის არ მომწიფებულა. როგორც კი ის ამ სიმწიფეს მიაღწევს, ყველა სექტა არსებითად რეაქციული ხდება. ამასთანავე ინტერნაციონალის ისტორიაში იგივე გამეორდა, რასაც ისტორია ყველგან გვიჩვენებს. დრომოჭმული და მოძველებული ცდილობს კვლავ აღსდგეს და ახლად წარმოშობილი ფორმის შიგნით კვლავ განმტკიცდეს.

ინტერნაციონალის ისტორიაც ასევე გენერალური საბჭოს განუწყვეტელი ბრძოლა იყო სექტებისა და დილეტანტური ცდების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ მუშათა კლასის ნამდვილი მოძრაობის წინააღმდეგ თვით ინტერნაციონალის შიგნით განჰტკიცებულიყვნენ. ეს ბრძოლა სწარმოებდა კონგრესებზე, მაგრამ უფრო მეტად გენერალური საბჭოს სპეციალურ თათბირებზე ცალკეული სექტების წინააღმდეგ.

ვინაიდან პარიზში ასოციაციის თანადამაარსებელნი პრუდონისტები (მუტუალისტები) [1] იყვნენ, ამიტომ ბუნებრივია, რომ

[1] მუტუალისტები—ასე უწოდებდნენ პრუდონისტებს, იმიტომ რომ მათ წამოაყენეს «ურთიერთდახმარების» («mutuel»—საურთიერთო) ლოზუნგი. რედ.

პირველ წლებში პარიზში მოძრაობის საქმე მათ ეპყრათ ხელთ. შემდეგში მათ წინააღმდეგ ჩამოყალიბდა, რასაკვირველია, კოლექტივისტური, პოზიტივისტური და სხვ. ჯგუფები.

გერმანიაში—ლასალელთა დაჯგუფები. მე თვითონ ორი წლის განმავლობაში ვაწარმოებდი მიწერ-მოწერას ყბადაღებულ შვაიცეროთან და ურყევად დაუმტკიცე მას, რომ ლასალელთა ორგანიზაცია უბრალო სექტანტური ორგანიზაციაა და, როგორც ასეთი, მტრულად უყურებს მუშათა ნამდვილ მოძრაობის ორგანიზაციას, რომლისკენაც ინტერნაციონალი მიისწრაფის. მაგრამ შვაიცერს თავისი «მიზეზი» ჰქონდა იმისათვის, რომ ეს არ გაეგო.

1868 წლის დამლევს ინტერნაციონალში შევიდა რუსი ბაკუნინი იმ მიზნით, რომ ინტერნაციონალის შიგნით, თავისი ხელმძღვანელობით შეექმნა მეორე ინტერნაციონალი —«სოციალისტური დემოკრატიის ალიანსის» სახელწოდებით. იგი,—ყოველგვარ თეორიულ ცოდნას მოკლებული ადამიანი,—იმას იჩემებდა, რომ ამ განსაკუთრებულ ორგანიზაციაში ინტერნაციონალია მეცნიერული პროპაგანდის წარმომადგენელი ყოფილიყო და სურდა, მეცნიერული პროპაგანდა ამ მეორე ინტერნაციონალის სპეციალურ მოწოდებად ექცია ინტერნაციონალის შიგნით.

მისი პროგრამა ყოველმხრიდან ზერელედ და სახელდახელოდ აქეთ-იქიდან ამოკრეფილი დომხალი იყო—კლასთა თანასწორობა (!), მემკვიდრეობის უფლების გაუქმება როგორც სოციალური მოძრაობის გამოსავალი წერტილი (სენსიმონისტური უაზრობა), ათეიზმი, როგორც დოგმა, ნაკარნახები და დაწესებული ინტერნაციონალის წევრებისათვის, ხოლო როგორც მთავარი დოგმა (პრუდონისტულად) პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობისაგან თავის შეკავება.

ამ ბავშვურმა ანაბანამ გამოხმაურება ჰპოვა (და ერთგვარი მხარდაჭერა ახლაც აქვს) იტალიასა და ესპანეთში, სადაც მუშათა მოძრაობის რეალური პირობები ჯერ კიდევ ნაკლებად არის განვითარებული, აგრეთვე რომანულ შვეიცარიასა და ბელგიაში ზოგიერთ მედიდურ, პატივმოყვარე და ქარაფშუტა დოქტრინერთა შორის.

ბატონ ბაკუნინისათვის მისი დოქტრინა (პრუდონის, სენ-სიმონისა და სხვათა ნამოწყალებისაგან შეთითხნილი აბდაუბდა) მეორეხარისხოვანი საქმეა—უბრალო საშუალება მისი პირადი გან-

დიდებისათვის. მაგრამ თეორიულად თუ იგი ნულია, სამაგიეროდ როგორც ინტრიგანი თავის სტიქიაშია.

გენერალური საბჭო მთელი წლების განმავლობაში ებრძოდა ამ შეთქმულებას (რომელსაც გარკვეულ პუნქტში მხარს უჭერდნენ ფრანგი პრუდონისტები, განსაკუთრებით, სამხრეთ საფრანგეთში). და ბოლოს მან კონფერენციის რეზოლუციებით — 1, 2 და 3, IX, XVI და XVII[1] — დიდი ხნის ნამზადები ლახვარი ჩასცა.

თავისთავად გასაგებია, რომ გენერალური საბჭო მხარს არ დაუჭერს ამერიკაში იმას, რასაც ევროპაში ებრძვის. 1, 2, 3 და IX რეზოლუციები ნიუ-იორკის კომიტეტს ახლა კანონიერ იარაღს აძლევს ხელთ, რათა ბოლო მოუღოს ყოველგვარ სექტანტობასა და დილეტანტურ ჯგუფებს, ხოლო საჭირო შემთხვევაში გარიცხოს კიდევაც ისინი...

...მუშათა კლასის პოლიტიკურ მოძრაობას, რასაკვირველია, საბოლოო მიზნად დასახული აქვს თავისთვის პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა, ხოლო ამისათვის, რა თქმა უნდა, აუცილებელია მუშათა კლასის წინასწარი ორგანიზაცია, რომელსაც განვითარების გარკვეულ წერტილამდე მიუღწევია და თვით მისი ეკონომიური ბრძოლიდან აღმოცენებულა.

მაგრამ, მეორე მხრივ, ყოველგვარი მოძრაობა, რომელშიაც მუშათა კლასი როგორც კლასი გაბატონებული კლასების წინააღმდეგ გამოდის და ცდილობს «გარედან დაწოლით» აიძულოს ის, პოლიტიკური მოძრაობაა. მაგალითად, იმის ცდა, რომ რომელიმე ცალკეულ ფაბრიკაში ან მრეწველობის რომელიმე ცალკეულ დარგში გაფიცვების და სხვ. საშუალებით აიძულონ ცალკეული კაპიტალისტები, რათა მათ სამუშაო დრო შეკვეცონ, წმინდა ეკონომიური მოძრაობაა; პირიქით, ისეთი მოძრაობა, რომელსაც მიზნად დასახული აქვს, რომ აიძულოს რვასაათიანი სამუშაო დღის კანონის გამოცემა და სხვ. მისთ., პოლიტიკური მოძრაობაა, და ამრიგად, მუშათა განცალკევებული ეკონომიური მოძრაობებიდან

---

1 მარქსის მიერ აღნიშნული რეზოლუციები პირველი ინტერნაციონალის ლონდონის კონფერენციისა (1871 წ. სექტემბერი) შემდეგი საკითხებისადმი აოის მიძღვნილი: ინტერნაციონალის განმტკიცება, ცენტრალიზმის გაძლიერება და გენერალური საბჭოს ხელმძღვანელი როლი; პოლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის აუცილებლობა და პოლიტიკური ბრძოლის განუყრელი კავშირი ეკონომიურ ბრძოლასთან; ფრაქციული ბაკუნისტური დაჯგუფების ლიკვიდაცია. რედ.

ყველგან აღმოცენდება პოლიტიკური მოძრაობა, ე. ი. ისეთი კლასის მოძოაობა, რომელიც ცდილობს თავისი ინტერესები გაატაროს საყოველთაო ფორმით, ე. ი. ისეთი ფორმით, რომელსაც საყოველთაო, საზოგადოებრივად მაიძულებელი ძალა გააჩნია. თუ ეს მოძოაობანი ერთგვარ წინასწარ ორგანიზაციას გულისხმობენ, მეორე მხრივ, ისინი ამდენადვე ამ ორგანიზაციის განვითარების საშუალებასაც წარმოადგენენ.

სადაც მუშათა კლასს ჯერ კიდევ საკმაოდ არ განუვითარებია თავისი ორგანიზაცია იმისათვის, რომ გადამწყვეტი ლაშქრობა დაიწყოს გაბატონებული კლასების კოლექტიური ძალაუფლების, ე. ი. პოლიტიკური ძალაუფლების წინააღმდეგ, იქ საჭიროა ყოველ შემთხვევაში საამისოდ მოვამზადოთ იგი იმით, რომ ვაწარმოოთ მუდმივი აგიტაცია ამ ხელისუფლების წინააღმდეგ და დავიკავოთ მტრული პოზიცია გაბატონებული კლასების პოლიტიკის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშათა კლასი მათ ხელში სათამაშო ბურთად დარჩება, როგორც ეს საფრანგეთში სექტემბრის რევოლუციამ დაამტკიცა და რამდენადმე ახლაც მტკიცდება იმ თამაშით, რომელსაც ბატონი გლადსტონი და კომპ. ინგლისში ახერხებს.

ენგელსი — ტ. კუნოს

ლონდონი, 24 იანვარი 1872 წ.

ბაკუნინი, რომელიც 1868 წლამდე ინტერნაციონალის წინააღმდეგ ინტრიგას ეწეოდა, ბერნის მშვიდობიანობის კონგრესზე[1] ფიასკოს განცდის შემდეგ შევიდა ინტერნაციონალში და მის შიგნით მაშინვე დაიწყო შეთქმულებების მოწყობა გენერალური საბჭოს წინააღმდეგ. ბაკუნინს თავისებური თეორია აქვს, პრუდონიზმისა და კომუნიზმის დომხალივით არეული ხარახურა, ამასთან მის პრუდონიზმში პირველ ყოვლისა მთავარი ისაა, რომ იგი თავიდან მოსაშორებელ მთავარ ბოროტებად თვლის არა კაპიტალს, მაშასადამე, არა საზოგადოებრივი განვითარების შედეგად წარმოშობილ კლასობრივ დაპირისპირებას კაპიტალისტებსა და

1 ენგელსი გულისხმობს ბურჟუაზიული ზავისა და თავისუფლების ლიგის კონგრესს ბერნში; ამ ლიგის ერთ-ერთი ხელმძღვანელი 1868 წ. ოქტომბრამდე ბაკუნინი იყო. რედ.

დაქირავებულ მუშებს შორის, არამედ სახელმწიფოს. მაშინ როდესაც სოციალ-დემოკრატიული მუშების დიდი მასა ჩვენთან ერთად იმ აზრისაა, რომ სახელმწიფო ძალაუფლება სხვა არაფერია, თუ არა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გაბატონებულმა კლასებმა—მიწათმფლობელებმა და კაპიტალისტებმა შეჰქმნეს იმისათვის, რომ თავიანთი საზოგადოებრივი პრივილეგიები დაიცვან, ბაკუნინი ამტკიცებს, რომ სახელმწიფომ შეჰქმნა კაპიტალი, კაპიტალისტი თავის კაპიტალს მხოლოდ სახელმწიფოს მოწყალებით ფლობს. მაშასადამე, რადგან სახელმწიფო მთავარი ბოროტებაა, ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოისპოს სახელმწიფო და კაპიტალი მაშინ თავის თავად გაემგზავრება ეშმაკთან. ჩვენ კი პირუკუ ვამბობთ: მოსპეთ კაპიტალი, მოსპეთ წარმოების მთელი საშუალებების მცირეთა ხელში თავმოყრა, და მაშინ სახელმწიფოც თვითონვე გაუქმდება. განსხვავება არსებითია: სახელმწიფოს გაუქმება წინასწარი სოციალური გადატრიალების გარეშე—უაზრობაა; კაპიტალის მოსპობა კი სწორედ სოციალური გადატრიალებაა და წარმოების მთელი წესის შეცვლას შეიცავს. მაგრამ რადგანაც ბაკუნინისათვის სახელმწიფო ძირითადი ბოროტებაა, ამიტომ არ უნდა გაკეთდეს ისეთი არაფერი, რაც სახელმწიფოს არსებობას ხელს შეუწყობს, რა სახის სახელმწიფოც არ უნდა იყოს იგი,—რესპუბლიკა იქნება, მონარქია თუ სხვა რამ. მაშასადამე, აქედან გამომდინარეობს სრული განზე დგომა ყოველგვარი პოლიტიკისაგან. პოლიტიკური აქტის ჩადენა, განსაკუთრებით კი არჩევნებში მონაწილეობა, პრინციპისადმი ღალატია. საჭიროა პროპაგანდის წარმოება, სახელმწიფოს გინება, ორგანიზება, და როცა, დასასრულ, ყველა მუშას, მაშასადამე, უმრავლესობას, შენს მხარეზე გადმოიყვან, მაშინ ყველა სახელმწიფო დაწესებულება მოისპობა, სახელმწიფო ვაუქმდება და მის ადგილს დაიპერს ინტერნაციონალის ორგანიზაცია. ამ დიად აქტს, რომლითაც ათასწლიანი სამეფო დაიწყება, სოციალური ლიკვიდაცია ეწოდება.

ეს ყველაფერი უკიდურესად რადიკალურად ჟღერს და იმდენად მარტივია, რომ ხუთ წუთში შეიძლება მისი ზეპირად დასწავლა,—აი რატომ მოიპოვა ასე მალე ბაკუნინის ამ თეორიამ თანაგრძნობა იტალიასა და ესპანეთში ახალგაზრდა ვექილთა, ექიმთა და სხვა დოქტრინერთა შორის. მაგრამ მუშათა მასას ვერასოდეს ვერავინ ვერ დაარწმუნებს იმაში, რომ მისი ქვეყნის საზოგადო საქმეები იმავე დროს მისი საკუთარი საქმეები არაა, ისინი ბუნებით პოლი-

ტიკურად აქტიურნი არიან და ვისაც სურს ისინი გაასულელონ, პოლიტიკისაგან განზე უნდა იდგეთო, ისინი მას საბოლოოდ მიატოვებენ. ბუშებისათვის პოლიტიკისაგან თავშეკავების ქადაგება ყველა გარემოებაში ნიშნავს ძათ ხუცებისა ან ბურჟუაზიული რესპუბლიკელების ხელში ჩაგდებას.

ვინაიდან ინტერნაციონალი, ბაკუნინის აზრით, პოლიტიკური ბრძოლისათვის კი არაა შექმნილი, არამედ იმისათვის, რომ სოციალური ლიკვიდაციის დროს ძველი სახელმწიფო ორგანიზაციის ადგილი მაშინვე დაიკავოს, ამიტომ იგი რამდენადაც შეიძლება მეტად უნდა მიუახლოვდეს მომავალი საზოგადოების ბაკუნინისეულ იდეალს. ამ საზოგადოებაში, უპირველეს ყოვლისა, არ არსებობს არავითარი ავტორიტეტი, ვინაიდან ავტორიტეტი—სახელმწიფო — აბსოლუტური ბოროტებაა. (რასაკვირველია, ისინი არ გვეუბნებიან, თუ როგორ სურთ ამ ვაჟბატონებს საბოლოო ინსტანციაში გადამწყვეტი ნებისყოფის გარეშე, ერთიანი ხელმძღვანელობის გარეშე აამუშაონ ფაბრიკები, აწარმოონ მოძრაობა რკინიგზებზე, მართონ გემი). შეწყდება აგრეთვე უმრავლესობის ხელისუფლება უმცირესობაზე. ყოველი ინდივიდუუმი, ყოველი თემი ავტონომიურია, მაგრამ ბაკუნინი კვლავ არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ შეიძლება თუნდაც ორი კაცისაგან შემდგარი საზოგადოება არსებობდეს ისე, რომ თვითეულმა მათგანმა თავისი ავტონომიიდან არაფერზე უარი არ თქვას.

მაშასადამე, ინტერნაციონალიც სწორედ ამ ნიმუშის მიხედვით უნდა მოეწყოს. თვითეული სექცია ავტონომიურია, ხოლო თვითეულ სექციაში ავტონომიურია თვითეული ინდივიდუუმი. ეშმაკსაც წაუღია ბაზელის დადგენილებანი[1], რომელიც გენერალურ საბჭოს მის დამღუპველ და თვით მის დემმორალიზებელ ავტორიტეტს ანიჭებს! თუნდაც ეს ავტორიტეტი ნებაყოფლობით იყოს მინიჭებული, იგი უნდა მოისპოს, სწორედ იმიტომ რომ იგი ავტორიტეტია.

ასეთია მოკლედ მთელი ამ თვალისახვევის მთავარი პუნქტები. მაგრამ ვინ არიან ბაზელის დადგენილებათა ავტორები? თვითონ ბ. ბაკუნინი და კომპანია!

---

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს I ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესის რეზოლუციები 1869 წ. 6—12 სექტემბერს. რედ.

როდესაც ამ ვაჟბატონებმა ბაზელის კონგრესზე დაინახეს, რომ ვერ მოახერხებენ თავიანთი გეგმის განხორციელებას—გენერალური საბჭოს ჟენევაში გადატანას, ე. ი. თავის ხელში ჩაგდებას,—მაშინ მათ სხვაგვარად დაიწყეს მოქმედება. მათ დაარსეს სოციალისტური დემოკრატიის ალიანსი, ინტერნაციონალური საზოგადოება დიდი ინტერნაციონალის შ ი გ ნ ი თ იმ საბაბით, რომელსაც თქვენ ახლა კელავ შეხვდებით იტალიის ბაკუნისტურ პრესაში მაგალითად, «Proletario»-ში, «Gazzettino Rosa»-ში: ფიცი ლათინური რასებისათვის უფრო ნათელი პროგრამაა საჭირო, ვიდრე გულცივი, აუჩქარებელი ჩრდილოელებისათვის. ამ პატარა გეგმამ მარცხი განიცადა გენერალური საბჭოს წინააღმდეგობის გამო, რომელსაც რასაკვირველია, არ შეეძლო დაეშვა რაიმე ცალკე ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ორგანიზაციის არსებობა ინტერნაციონალის შ ი გ ნ ი თ. მას შემდეგ იგივე გეგმა ხელახლა იჩენდა ხოლმე თავს სხვადასხვა ფორმით ბაკუნინისა და მისი მომარეების იმ მისწრაფებასთან დაკავშირებით, რომ ინტერნაციონალის პროგრამა ბაკუნინის პროგრამით შეეცვალათ. მეორე მხრივ, რეაქცია, დაწყებული ჟიულ ფავრითა და ბისმარკით და გათავებული მაძინით, როდესაც საქმე ინტერნაციონალზე თავდასხმებს ეხებოდა, ყოველთვის სწორედ ბაკუნინის ცარიელ და მკვეხარა ფრაზიორობას ესხმოდა თავს. აქედან მაძინისა და ბაკუნინის წინააღმდეგ მიმართული 5 დეკემბრის დეკლარაციის აუცილებლობა; ეს დეკლარაციაც აგრეთვე დაბეჭდილი იყო «Gazzettino Rosa»-ში.

ბაკუნინშჩინის ბირთვი შედგება რამდენიმე ათეული იურელისაგან[1], რომელსაც სულ 200 მუშა თუ მისდევს; ავანგარდს წარმოადგენენ ახალგაზრდა იტალიელი ვექილები, ექიმები და ჟურნალისტები, რომლებიც ახლა ყველგან იტალიის მუშების წარმომადგენლების სახით გამოდიან; ცალკეული ამგვარი პირები გამოდიან აგრეთვე ბარსელონასა და მადრიდში და აქა-იქ თითოროოლა კაცი ლიონსა და ბრიუსელში, მათ შორის მუშა თითქმის არავინაა; აქ მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარი რობენია.

კონფერენცია,[2] რომელიც იმ აუცილებლობის გამო იქნა მოწვეული, რომ კონგრესის მოწვევა შეუძლებელი გახდა, მათთვის საბაბს წარმოადგენდა; ხოლო რაკიდა შვეიცარიაში იქ მყოფ

[1] იურას, შვეიცარიის მთიანი ადგილის, მცხოვრებლები. რ ე დ.

[2] პირველი ინტერნაციონალის ლონდონის კონფერენცია 1871 წ. 17—23 სექტემბერს. ო ე დ.

ფრანგ ემიგრანტთა უმრავლესობა მათ მხარეზე გადავიდა,—რადგან მათ (პოუდონისტებმა) იქ ბევრი რამ საერთო ნახეს, აგრეთვე პირადი მოტივებითაც,—აპიტომ ეს კამპანია წამოიწყეს. რასაკვირველია, ინტერნაციონალში ყველგან შეიძლება გამოინახოს უკმაყოფილო უმცირესობა და არცნობილი გენიოსები—უსაფუძვლოდ როდი ჰქონდათ მათი იმედი. ამჟამად მათი საბრძოლო ძალები ასეთია:

1. თვითონ ბაკუნინი—ამ კომპანიის ნაპოლეონი.

2. ორასი იურელი და ფრანგული სექციების 40—50 წევრი (ემიგრანტები ჟენევაში).

3. ბრიუსელში გინსი, «Liberté»-ს რედაქტორი, რომელიც აშკარად მაინც არ გამოდის მათ მხარეზე.

4. აქ—«1871 წლის ფრანგული სექციის» ნარჩენები, რომელსაც ჩვენ არასოდეს არ ვცნობდით, და რომელიც უკვე სამ ერთმანეთისადმი მტრულ ნაწილად გაიყო; შემდეგ გერმანული სექციიდან (დაახლოებით 20-მდე გამოგდებული (ინტერნაციონალიდან მასობრივი გამოსვლის წინადადების გამო) ბ. ფონ შვაიცერის ტიპის ლასალელები, რომლებიც როგორც უკიდურესი ცენტრალიზაციისა და ძლიერი ორგანიზაციის დამცველები განსაცვიფრებლად ჰგვანან ანარქისტებისა და ავტონომისტების კავშირს.

5. ესპანეთში ბაკუნინის რამდენიმე პირადი მეგობარი და მიმდევარი, რომელთაც ძლიერი გავლენა ჰქონდათ თეორიულად მაინც მუშებზე, განსაკუთრებით ბარსელონაში. მაგრამ, მეორე მხრივ, ესპანელები დიდ ყურადღებას აქცევენ ორგანიზაციას და როდესაც იგი სხვებს არა აქვთ, თვალში ეცემათ. შეუძლია თუ არა ბაკუნინს აქ წარმატების იმედი ჰქონდეს, ეს გამოირკვევა მხოლოდ ესპანეთის კონგრესზე აპრილში, მაგრამ, რადგანაც იქ მუშები ჭარბად იქნებიან, ამიტომ მე არ ვშიშობ.

6. დასასრულ, იტალიაში, რამდენადაც მე ვიცი, ტურინის, ბოლონიის და ჯირჯენტის სექციებმა გამოთქვეს აზრი კონგრესის ვადამდე მოწვევის შესახებ. ბაკუნისტური პრესა ამტკიცებს, რომ მათ მიემხრო 20 იტალიური სექცია, მაგრამ მე ისინი არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში ხელმძღვანელობა თითქმის ყველგან ბაკუნინის მეგობართა და მიმდევართა ხელში იმყოფება, რომლებიც დიდ ხმაურს სტეხენ; მაგრამ საქმის უფრო ზუსტად გამორკვევით, ალბათ, აღმოჩნდება, რომ მათ მხარეზე ცოტა ხალხია, რადგან ბოლოს და ბოლოს იტალიელი მუშების უდიდესი რაოდენობა ჯერ კიდევ მაძინისტებისაგან შედგება და მაძინისტებად დარჩებიან

მანამდე, სანამ ინტერნაციონალი იქ გაიგივებული იქნება პოლიტიკისაგან თავშეკავებასთან.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში იტალიაში საქმე ისეა, რომ იქ ინტერნაციონალში ჯერჯერობით ბაკუნისტები არიან მდგომარეობის ბატონ-პატრონი. გენერალური საბჭო არც ფიქრობს სამდურავი გამოთქვას ამის გამო; იტალიელებს უფლება აქვთ იმდენი სისულელე ჩაიდინონ, რამდენიც ნებავთ, და გენერალური საბჭო ამის წინააღმდეგ მხოლოდ მშვიდობიანი კამათით იმოქმედებს. მათ აგრეთვე უფლება აქვთ კონგრესის სასარგებლოდ გამოთქვან აზრი იურელების ყაიდაზე, თუმცა, რა თქმა უნდა, უაღრესად გასაკვირია იმ სექციების მხრივ, რომლებიც (ინტერნაციონალს) ახლახან მიემხრნენ, და ჯერ კიდევ არაფერი არ იციან; მაშინვე გარკვეულ მხარეს დადგომა ასეთ საკითხში, განსაკუთრებით მანამდე, სანამ ო რ ი ვ ე მხარეს მოუსმენდნენ! მე ამაზე ტურინელებს უკვე მოვახსენე გულახდილად ჩემი შეხედულება და ამასვე ვიზამ სხვა სექციების მიმართაც, რომლებმაც ასეთივე აზრი გამოთქვეს. ვინაიდან ყოველგვარი ასეთი განცხადება შეერთების შესახებ წარმოადგენს ცირკულარში აღნიშნულ ცრუ ბრალდებათა და ცილისწამებათა არაპირდაპირ მოწონებას გენერალური საბჭოს წინააღმდეგ, რომელიც მალე თავის ცირკულარს გამოუშვებს ამ საკითხის გამო. თუ თქვენ მ ი ს გ ა მ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ა მ დ ე შესძლებთ ხელი შეუშალოთ მილანელების მსგავსსავე განცხადებას, ამით თქვენ ჩვენი სურვილების შესრულებას დაეხმარებით.

ყველაზე უფრო კომიკური ისაა, რომ იგივე ტურინელები, რომლებიც იურელებს მიემხრნენ და, მაშასადამე, ჩვენ აქ ავტორიტარიზმს გვისაყვედურებენ, ახლა უცბად გენერალური საბჭოსაგან მოითხოვენ, რომ იგი ბრძანებლური ტონით გამოვიდეს ტურინის «მუშათა ფედერაციის» წინააღმდეგ, რომელიც მეტოქეობას უწევს მას, და ამასთან ისეთი სახით გამოვიდეს, როგორც ეს მას ჯერ არასოდეს არ გაუკეთებია, რომ განდევნოს ბეგელი «Ficcanaso»-დან, რომელიც ინტერნაციონალში არც კი შედის და სხვა მისთ. და ყველაფერი ეს მანამდე, სანამ ჩვენ მოვუსმენდეთ «მუშათა ფედერაციას», მანამდე, სანამ გავიგებდეთ, თუ რას იტყვის ი გ ი ამ საკითხზე.

წარსულ ორშაბათს მე თქვენ გამოგიგზავნეთ «Rèvolution Sociale» მასში დაბეჭდილი იურას ცირკულარით, ჟენევის «Egalitè»-ს ერთი ნომერი (სამწუხაროდ მე არ მაქვს აღარც ერთი ნომერი ჟენევის ფედერალური კომიტეტის პასუხით, რომელიც 20-ჯერ უფრო მეტ

მუშებს წარმოადგენს, ვიდრე იურელები) და ერთი ნომერი «Volksstaat», რომლიდანაც თქვენ დაინახავთ, თუ რას ფიქრობენ ამ ისტორიის შესახებ გერმანიაში. საქსონიის საოლქო ყრილობა—120 დელეგატი 60 ადგილიდან—ერთხმად მიემხრო გენერალურ საბჭოს.

ბელგიის კონგრესი (25—26 დეკემბერი) მოითხოვს წესდების გადასინჯვას, მაგრამ მორიგ კონგრესზე (სექტემბერში). საფრანგეთიდან ჩვენ ყოველდღიურად ვიღებთ მოწონების გამოხატულებებს. აქ ინგლისში, ყველა ეს ინტრიგები, თავისთავად იგულისხმება, რომ ვერავითარ სათანადო ნიადაგს ვერ ჰპოვებენ. და, რასაკვირველია, გენერალური საბჭო არ მოიწვევს საგანგებო კონგრესს რამდენიმე მოინტრიგე და მედიდური პიროვნების საამებლად. სანამ ეს ვაებატონები კანონიერ ნიადაგზე დგანან, მანამ გენერალური საბჭო სიამოვნებით უტოვებს მათ მოქმედების თავისუფლებას—ეს მეტისმეტად სხვადასხვაგვაროვანი ელემენტებისაგან შემდგარი კოალიცია თავისთავად დაიშლება; მაგრამ როგორც კი ისინი წესდების ან კონგრესების დადგენილებათა საწინააღმდეგო რამეს შეუდგებიან, გენერალური საბჭო თავის მოვალეობას შეასრულებს.

თუ წარმოიდგენ, რა მომენტში იწყებენ ეს ადამიანები თავიანთ შეთქმულებას,—სწორედ იმ დროს, როდესაც ინტერნაციონალი ყველგან უსასტიკეს დევნას განიცდის,—ვერასგზით ვერ მოიშორებ კაცი თავიდან იმ აზრს, რომ ამ საქმეში საერთაშორისო პოლიციის ვაებატონები არიან ჩარეული. ნამდვილად ეს ასეც არის. ბეზიეში ექვეველ ბაკუნისტებს თავიანთ კორესპონდენტად პოლიციის მთავარი კომისარი ჰყავთ. ორი გამოჩენილი ბაკუნისტი, ალბერ რიშარ ლიონელი და ლებლანი, აქ იყვნენ, მათ ერთ მუშას, შოლიე ლიონელს მიმართეს და განუცხადეს, რომ ტიერის ჩამოგდების ერთადერთი საშუალება ბონაპარტეს კვლავ ტახტზე აყვანა არისო, და ამიტომ ბონაპარტისეულ ფულებს ხარჯავენ იმისათვის, რომ ბონაპარტისტული რესტავრაციის სასარგებლოდ ემიგრანტთა შორის პროპაგანდა აწარმოონ. აი რას უწოდებენ ეს ვაებატონები პოლიტიკისაგან თავშეკავებას! ბისმარკის მიერ სუბსიდირებული «Neuer Social-Demokrat» ბერლინში იმავე ჰანგს მღერის. რამდენად არის ამ საქმეში ჩარეული რუსეთის პოლიცია, ამ საკითხს მე ჯერჯერობით ღიად ვტოვებ, მაგრამ ბაკუნინი ძლიერ იყო ნეჩაევის ისტო-

რიაში გაბმული (ის, მართალია, ამას უარყოფს, მაგრამ ჩვენ-აქ ნამდვილი რუსული ანგარიშები გვაქვს ხელთ და რაკილა მარქსს და მე რუსული გვესმის, ამიტომ ჩვენ იგი თვალებს ვერ აგვიხვევს). ნეჩაევი კი ან რუსი აგენტი პროვოკატორია, ანდა, ყოველ შემთხვევაში, მოქმედებდა როგორც ასეთი; გარდა ამისა, ბაკუნინის რუს მეგობართა შორის ყოველგვარი საეჭვო პიროვნებებია.

ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენ ადგილი დაჰკარგეთ; მე განგებ გწერდით, რომ თქვენ თავი აგერიდებინათ ყველაფრისათვის, რაც კი ამას გამოიწვევდა. თქვენი ყოფნა მილანში ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ინტერნაციონალისათვის, ვიდრე ის უნიშვნელო ეფექტი, რომელიც შეიძლება საჯარო გამოსვლით იქნეს გამოწვეული: იდუმალი მოქმედებითაც ბევრი რამის გაკეთება შეიძლება და სხვ. მისთ. მე თუ შევძლებ თარგმანების საქმეში დაგეხმაროთ, უდიდესი სიამოვნებით გავაკეთებ ამას. ოღონდ მითხარით, რომელი ენებიდან რომელ ენებზე შეგიძლიათ თარგმნა და რითი შეიძლება ვიყო თქვენთვის სასარგებლო.

ამრიგად, პოლიციელმა ძაღლებმა ჩემი ფოტოგრაფიაც დააკავეს. გიგზავნით მეორეს და გთხოვთ თქვენიც გამომიგზავნოთ ორი ცალი: ერთი იმისათვის არის განზრახული, რომ ფროლაინ მარქსი წავაქეზო თქვენთვის მომცეს თავისი მამის ერთი ფოტოგრაფია (მხოლოდ მას აქვს კიდევ რამდენიმე კარგი ცალი).

ერთხელ კიდევ გთხოვთ ფრთხილად იყავით ყველა იმ პირთან, რომლებიც ბაკუნინთან არიან დაკავშირებული. ყველა სექტა იმით გამოირჩევა, რომ მათი წევრები ერთმანეთს მტკიცედ ჩასჭიდებიან და ინტრიგას ეწევიან. თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ყოველი თქვენი ცნობა მაშინვე ბაკუნინს გადაეცემა. მის ერთ-ერთ პრინციპს იმის მტკიცება წარმოადგენს, რომ თავისი სიტყვისადმი ერთგულება და სხვა ამის მსგავსი რამეები სხვა არაფერია, თუ არა ბურჟუაზიული ცრურწმენანი, რომელთაც ჭეშმარიტი რევოლუციონერი საქმის ინტერესების სასარგებლოდ არაფრად უნდა აგდებდესო. რუსეთში ის ამას აშკარად ამბობს, დასავლეთ ევროპაში კი ეს მისი საიდუმლო მოძღვრებაა.

მომწერეთ რაც შეიძლება მალე. თუ მოვახერხებთ მივაღწიოთ იმას, რომ მილანის სექციამ მონაწილეობა არ მიიღოს იტალიური სექციების საერთო გუნდში, ეს ძალიან კარგი იქნება...

ენგელსი—ა. ბებელს

ლონდონი, 20 ივნისი 1873 წ.

რადგან ლიბკნეხტის წერილი ჯერ კიდევ მარქსთან არის და ამ წუთს ვერ უპოვნია, ამიტომ მე ჯერ თქვენს წერილზე გიპასუხებთ.

ჩვენ შეგვაშინა არა ჰეპნერმა, არამედ კომიტეტის მიერ ხელმოწერილმა იორკის წერილმა ჰეპნერისადმი, რომ თქვენი პატიმრობის ფაქტს პარტიული ხელმძღვანელობა—სამწუხაროდ ლასალური თავიდან ბოლომდე—იმისათვის გამოიყენებს, რათა «Volksstaat»-ი გადააქციოს ერთგვარ «პატიოსან» «Neuer Social-Demokrat»-ად. იორკმა აშკარად აღიარა ეს გეგმები, ხოლო რადგან კომიტეტმა რედაქტორების დანიშვნისა და გადაყენების უფლება მიითვისა, საფრთხე საკმაოდ დიდი იყო. ჰეპნერის მომავალმა გასახლებამ ამ გეგმებს შემდგომი საბაბი მისცა. ამგვარ ვითარებაში ჩვენ ზედმიწევნით უნდა გვცოდნოდა, როგორი იყო საქმის მდგომარეობა. ამიტომაც გაიბა სწორედ ეს მიწერ-მოწერა.

...რაც შეეხება პარტიის დამოკიდებულებას ლასალელებთან, თქვენ, რასაკვირველია, უფრო უკეთესად შეგეძლოთ აგეწონ-დაგეწონათ, თუ ცალკეულ შემთხვევებში როგორი ტაქტიკა აჯობებდა. მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე შემდეგიც: როდესაც, თქვენს მსგავსად, რამდენადმე მეტოქეობა უხდებათ გერმანიის მუშათა საყოველთაო კავშირთან, ადვილად შეიძლება მოხდეს, რომ მეტოქეს მეტი ყურადღება მიაქციო და მიეჩვიო ყველაფერში უპირველეს ყოვლისა მასზე იფიქრო. მაგრამ როგორც გერმანიის მუშათა საყოველთაო კავშირი, ასევე მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია, ორივე ერთად აღებული, გერმანიის მუშათა კლასის ხომ ჯერ კიდევ ძალიან პატარა უმცირესობას წარმოადგენს. ჩვენი შეხედულებით, რომელიც მრავალი წლის გამოცდილებით არის შემოწმებულ-დადასტურებული, სწორი ტაქტიკა პროპაგანდისა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მოწინააღმდეგეს აქა-იქ ცალკეული ადამიანები და წვერთა ჯგუფი ჩამოვაცილოთ და ჩვენსკენ გადმოვიბიროთ, არამედ იმაში, რომ დიდ, მოძრაობაში ჯერ კიდევ ჩაუბმელ, მასაზე მოვახდინოთ ზეგავლენა. ერთი ახალთახალი ძალა, რომელსაც ჩვენ თვითონ ამოვიყვანთ ჯერ კიდევ ხელუხლებელი წრიდან, უფრო მეტი ღირს, ვიდრე ჩვენსკენ

გადმოსული ათი ლასალელი, რომელთაც პარტიაში მუდამ თან მოაქვთ თავიანთი ყალბი შეხედულებების თესლი. რომ შეიძლებოდეს და რომ ხერხდებოდეს მასების მიღება ისე, რომ თან ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი მ ე თ ა ე ურ ე ბ ი არ მოსდევდნენ, კიდევ არა უშავდა რა. მაგრამ მუდამ სართად ამგვარი მეთაურების მთელი ხროვის თან წამოყვანა გვიხდება; ეს «მეთაურები» კი თუ თავიანთ ადრინდელ შეხედულებებთან არა, თავიანთ ადრინდელ საჯარო გამოსვლებთან მაინც არიან დაკავშირებული და ამიტომ ყველას წინაშე სურთ, რადაც არ უნდა დაჯდეს, დაამტკიცონ, აჩვენონ, რომ მათ თავიანთი ძველი პრინციპებისათვის არ ულალატნიათ, რომ, პირიქით, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პ ა რ ტ ი ა ჭ ე შ მ ა რ ი ტ ლასალელობას ჰქადაგებს. სწორედ ეს იყო უბედურება აიზენახშიაც[1]—მაშინ შეიძლება ეს უბედურება გვერდ აუვლელიც იყო, მაგრამ ამ ელემენტებმა პარტიას უდავოდ ზიანი მიაყენეს და მე ალარ ვიცი, ხომ არ იქნებოდა პარტია, უკიდურეს შემთხვევაში, დღესაც არანაკლებ ძლიერი უიმათოდაც, ვინც მას მაშინ შემოუერთდა? ყოველ შემთხვევაში მე უბედურებად ჩავთვლიდი, ამ ელემენტებმა მაშველი ძალა რომ მიიღონ.

არ შეიძლება შეკდომაში შევაყვანინოთ თავი «გაერთიანებაზე» ყვირილით. სწორედ ისინი, ვისაც ყველაზე მეტად აკერიათ პირზე ეს სიტყვა, წარმოადგენენ განხეთქილების უდიდეს მოთავეებს, ისე როგორც ახლა სწორედ შვეიცარიის იურელი ბაკუნისტები, ყოველგვარი განხეთქილების წამოწყებნი, გაერთიანების მეტს სხვას არაფერს გა'ყვირიან. გაერთიანების ეს ფანატიკოსები ან შეზღუდული გონების ადამიანები არიან, რომელთაც სურთ, რომ ყველაფერი აურიონ ერთმანეთში ერთ გაურკვეველ ფაფასავით, რომელიც საკმარისია სულ ცოტა დაილექოს, რომ ეს ერთ ქოთანში თავმოყრილი სხვადასხვა ელემენტები უფრო მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს (გერმანიაში ამის მშვენიერი მაგალითი გაქვთ იმ ადამიანების სახით, რომლებიც მუშებისა და წვრილი ბურჟუების შერიგებას ჰქადაგებენ); ანდა ისეთი ადამიანები არიან, რომელთაც სურთ, შეუგნებლად (როგორც, მაგალითად, მიულბერგერს) თუ შეგნებულად, გააყალბონ მოძრაობა. აი რატომ არის, რომ ყველაზე დიდი სექტანტები და ყველაზე დიდი ჩხუბის თავები და არამზადები გარკვეულ მომენტებში ყველაზე მეტად გაჰყვირიან

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს 1869 წ. აიზენახის ყრილობა, რომელზედაც ჩამოყალიბდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. რ ე დ.

ბოლმე გაერთიანებაზე. ჩვენს სიცოცხლეში არავისაგან არ გვინახავს იმდენი მზაკვრობა და უსიამოვნობა, რამდენიც ამ გაერთიანებაზე შეყვრალებისაგან.

რასაკვირველია, ყოველ პარტიულ ხელმძღვანელობას წარმატება სურს, და ეს ძალიან კაოგიც აოის. მაგრამ არის ისეთი გარემოებანიც, როდესაც საჭიროა სიმამაცე, რათა უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისათვის წ უ თ ი ე რ ი წარმატება გასწირო. სახელდობრ, ისეთი პარტია, როგორიც ჩვენი პარტიაა, რომლის საბოლოო წარმატება ესოდენ აბსოლუტურად უდავოა და უზრუნველყოფილი, და რომელიც ჩვენი ცხოვრების მანძილზე და ჩვენს თვალწინ ეგზომ კოლოსალურად განვითარდა, არასგზით არ საჭიროებს ყოველთვის და უთუოდ წუთიერ წარმატებას. აიღეთ, მაგალითად, ინტერნაციონალი. კომუნის შემდეგ მას კოლოსალური წარმატება ჰქონდა. თავზარდაცემული ბურჟუები მას ყოველად ძლიერად სთვლიდნენ. ინტერნაციონალის წევრთა დიდი რაოდენობა ფიქრობდა, რომ ეს სამუდამოდ ასე იქნებოდა. ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით, რომ ბუშტი უ ნ დ ა გაესკდარიყო. ყოველნაირი ვიგინდარა ბრბო მიეტმასნა ინტერნაციონალს. მასში შემავალი სექტანტები გათავხედდნენ, თავს გაუვიდათ, ინტერნაციონალის სახელით ბოროტმოქმედებ დნენ და იმედოვნებდნენ, რომ მათ უდიდესი სისულელეების და სისაძაგლის ნება მიეცემოდათ. ჩვენ ამას ვერ მოვითმენდით. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ბუშტი ერთხელაც უნდა გამსკდარიყო და ამიტომ იმას კი არ ვცდილობდით, რომ კატასტროფა გადაგვეწია, გადაგვედო, არამედ იმაზე ვზრუნავდით, რომ ინტერნაციონალი იქიდან სუფთა და უზადო გამოგვეყვანა. ჰააგაში ბუშტი გასკდა და თქვენ იცით, რომ კონგრესის წევრთა უმრავლესობა შინ გულგატეხილი და იმედგაცრუებული წავიდა. მაგრამ თითქმის ყველა იმ იმედგაცრუებულთ, რომელთაც ეგონათ, რომ ინტერნაციონალში საყოველთაო ძმობისა და შერიგების იდეალს ნახავდნენ, თავიანთ სახლებში ხომ უფრო მწვავე ჩხუბი ჰქონდათ, ვიდრე ჰააგაში ატყდა! ახლა სექტანტი ჩხუბის თავნი შერიგებას ჰქადაგებენ და საქვეყნოდ გაჰყვირიან, რომ ჩვენ აუტანელნი, შეუთავსებელნი და დიქტატორები ვართ! მაგრამ ჩვენ რომ ჰააგაში შემრიგებლურად გამოვსულიყავით, ჩვენ რომ განხეთქილების ჩამოვარდნა მიგვეფუჩეჩებინა,—რა შედეგს მივიღებდით? სექტანტები, სახელდობრ, ბაკუნისტები მთელ ერთ წელიწადს შესაძლებლობას მიიღებდნენ ინტერნაციონალის სახელით კიდევ ბევრად უფრო დიდი სისულელეები და ურცხვობა ჩაედინათ; ყველაზე უფრო

განვითარებული ქვეყნების მუშები ზიზღით შეაქცევდნენ ინტერნაციონალს ზურგს; ბუშტი არ გასკდებოდა, იგი ნელ-ნელა დაიჩუტებოდა ნემსებით დაჩხვლეტილი და მაშინ უახლოესი კონგრესი, რომელსაც აუცილებლად კრიზისი მოჰყვებოდა, უსაძაგლეს პიროვნებათა სასკანდალო აურზაურად გადიქცეოდა, რადგან პ რ ი ნ ც ი პ ი უკვე განწირული იქნებოდა ჰააგაში! მაშინ კი ინტერნაციონალი უდავოდ დაიღუპებოდა და დაიღუპებოდა «გაერთიანებით»! ამის ნაცვლად ჩვენ ახლა ჩვენდა სასახელოდ თავიდან ჩამოვიცილეთ დამპალი ელემენტები; (უკანასკნელ გადამწყვეტ სხდომაზე მყოფი კომუნის წევრები ამბობენ, რომ კომუნის არც ერთ სხდომას არ მოუხდენია ასეთი საშინელი შთაბეჭდილება, როგორც ევროპის პროლეტარიატის ამ მოღალატეთა გასამართლებამ მოახდინა); ჩვენ მათ საშუალება მივეცით ათი თვის განმავლობაში მთელი თავიანთი ძალღონით ეცრუათ, ცილისწამება, ინტრიგა ეწარმოებინათ და მერე, რა გამოვიდა? ისინი, ინტერნაციონალის დიდი უმრავლესობის ვითომდა წარმომადგენლები, ახლა თვითონვე აცხადებენ, რომ მათ ვეღარ გაუბედიათ მომავალ კონგრესზე მოსვლა. (დაწვრილებით სტატიაში, რომელიც ამასთან ერთად იგზავნება «Volksstaat»-ისათვის). ჩვენ რომ ერთხელ კიდევ მოგვიხდებოდეს მოქმედება, საერთოდ და მთლიანად სხვაგვარად არც მოვიქცეოდით; ტაქტიკური შეცდომები, რასაკვირველია, ყოველთვის მოსალოდნელია.

ყოველ შემთხვევაში, მე მწამს, რომ გავა დრო და საუკეთესო ელემენტები ლასალელთა შორის თავიანთი ფეხით მოვლენ თქვენთან, და ამიტომ გონივრული არ იქნება კაცმა ნაყოფი მოწყვიტოს მანამ, სანამ არ დამწიფებულა, როგორც ეს ვაი-გამაერთიანებელებს სურთ.

თუმცა ჯერ კიდევ მოხუცმა ჰეგელმა თქვა: პარტია თავის სიცოცხლისუნარიანობას იმით ამტკიცებს, რომ გ ა ნ ხ ე თ ქ ი ლ ე ბ ი ს მ ო ხ დ ე ნ ა და ამ განხეთქილების გადატანა შეუძლიაო. პროლეტარიატის მოძრაობა აუცილებლად განვითარების სხვადასხვა საფეხურს გადის; თვითეულ საფეხურზე ადამიანთა ერთი ნაწილი შეჩერდება ხოლმე და წინ აღარ მიდის. მხოლოდ ამით აიხსნება ის, თუ რატომ არის, რომ «პროლეტარიატის სოლიდარობა» სინამდვილეში ყველგან ხორციელდება სხვადასხვა პარტიული ჯგუფების სახით, რომლებიც ერთმანეთს ისევე სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან, როგორც ქრისტიანული სექტები ებრძოდნენ ერთმანეთს რომის იმპერიაში საშინელი დევნის პერიოდში.

თქვენ აგრეთვე არც ის უნდა დაივიწყოთ, რომ თუ «Neuer Social-Demokrat»-ს მეტი აბონენტები ჰყავს, ვიდრე «Volksstaat»-ს, ეს იმით აიხსნება, რომ ყოველი სექტა აუცილებლად ფანატიკურია და ამ ფანატიზმით, განსაკუთრებით ისეთ მხარეებში, სადაც იგი ახალია, (როგორც, მაგალითად, გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირი შლეზვიგ-ჰოლშტაინში), ის ბევრად უფრო დიდ წუთიერ წარმატებებს აღწევს, ვიდრე ის პარტია, რომელიც ყოველგვარი სექტანტური უხიაკობის გარეშე უბრალოდ ნამდვილ მოძღაობას წარმოადგენს. სამაგიეროდ ფანატიზმი დიდხანს არ გრძელდება.

უნდა დავამთავრო, ფოსტა მიდის. სასწრაფოდ კიდევ ერთი რამ: მარქსი ლასალს ხელს ვერ მოჰკიდებს მანამ, სანამ ფრანგული თარგმანი[1] დამთავრდება (დაახლოებით ივლისის დამლევს), ამასთან იგი აუცილებლად საჭიროებს დასვენებას, რადგან ძალიან გადაღლილია...

ენგელსი — ფ. ა. ზორგეს

ლონდონი, 12 — 17 სექტემბერი 1874 წ.

... შენი გასვლით ძველი ინტერნაციონალი სრულიად დაიხურა და ბოლო მოეღო. და ეს კარგიცაა. იგი მეორე იმპერიის პერიოდს ეკუთვნოდა, როდესაც მთელს ევროპაში გაბატონებული ჩაგვრა ხელახლად გამოღვიძებულ მუშათა მოძრაობისაგან ერთიანობასა და ყოველგვარი შინაგანი პოლემიკისაგან თავშეკავებას მოითხოვდა. ეს ისეთი მომენტი იყო, როდესაც პროლეტარიატის საერთო კოსმოპოლიტურ ინტერესებს შეეძლოთ პირველ რიგში წამოწეულიყვნენ; გერმანია, ესპანეთი, იტალია, დანია სწორედ ის იყო ჩაებნენ მოძრაობაში ანდა ებმებოდნენ მასში. მოძრაობის თეორიული ხასიათი მთელს ევროპაში, ე. ი. მასებში, 1864 წელს სინამდვილეში ჯერ კიდევ ძალიან ბუნდოვანი იყო. გერმანული კომუნიზმი ჯერ კიდევ არ არსებობდა როგორც მუშათა პარტია, პრუდონიზმი ძალიან სუსტი იყო იმისათვის, რომ თავისი უცნაური და ახირებული ჟინიანობა დაეწყო, ბაკუნინის ახალი სულელური აბდაუბდა ჯერ კიდევ მის საკუთარ თავშიაც არ არსებობდა; თვით

[1] ლაპარაკია «კაპიტალის» I ტომის ფრანგულ ენაზე თარგმნის შესახებ. რ ე დ.

ინგლისის ტრედ-უნიონების ბელადებსაც შესაძლებლად მიაჩნდათ მოძრაობაში ჩაბმულიყვნენ წესდების შესავალში გამოთქმული პროგრამის საფუძველზე. პირველ დიდ წარმატებას უნდა აეფეთქებინა ყველა ფრაქციის ეს გულუბრყვილო თანამშრომლობა. ეს წარმატება კომუნა იყო, რომელიც ინტელექტუალურად უსათუოდ ინტერნაციონალის პირმშო იყო, თუმცა ინტერნაციონალს თითიც არ გაუნძრევია იმისათვის, რომ იგი შეექმნა; ამდენად სრულიად სამართლიანად აკისრებდნენ პასუხისმგებლობას ინტერნაციონალს კომუნის გამო. როდესაც კომუნის წყალობით ინტერნაციონალი ევროპაში მორალურ ძალად იქცა, მაშინვე კინკლაობა დაიწყო. ყოველ მიმართულებას უნდოდა, რომ წარმატება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. რღვევა, რომელიც გარდაუვალი იყო, დაიწყო. შურიანობამ იმ ადამიანების მზარდი ძლიერების მიმართ, რომლებიც ნამდვილად მზად იყვნენ, განეგრძოთ მუშაობა ძველი ფართო პროგრამის საფუძველზე, — გერმანელი კომუნისტების მიმართ გაღვიძებულმა შურიანობამ, — ბელგიელი პრუდონისტები ბაკუნინელი ავანტურისტების ხელში ჩააგდო. ჰააგის კონგრესი ფაქტიურად დასასრულს წარმოადგენდა, და კერძოდ ორივე პარტიისათვის. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ინტერნაციონალის სახელით კიდევ რაიმეს გაკეთება შეიძლებოდა, ამერიკა იყო, ამიტომაც საღმა ინსტინქტმა უკარნახა უმაღლესი ხელმძღვანელობის გადატანა ამერიკაში. მაგრამ ახლა ინტერნაციონალის პრესტიჟი იქაც ამოიწურა და ყოველივარი შემდგომი ძალღონის დახარჯვა იმისთვის, რომ მას ახალი სიცოცხლე შთაბერონ, სისულელე და ძალთა უნაყოფო გაფლანგვა იქნებოდა. ინტერნაციონალი ათი წლის განმავლობაში ევროპის ისტორიას ერთი მხრივ ფლობდა, სახელდობრ, იმ მხრივ, რომელშიაც მომავალია ჩანერგილი, და მას შეუძლია ამაყად გადახედოს თავის მუშაობას. მაგრამ მან თავისი ძველი ფორმით თავისი დრო მოჭამა. იმისათვის, რომ შეიქმნას ახალი ინტერნაციონალი ძველის ყაიდაზე, ყველა ქვეყნის ყველა პროლეტარული პარტიის კავშირი, საჭირო იქნებოდა, როგორც ეს 1849 — 1864 წლებში მოხდა, მუშათა მოძრაობის საყოველთაო დათრგუნვა. მაგრამ საამისოდ ახლა პროლეტარული სამყარო ბევრად უფრო დიდი, ბევრად უფრო ვრცელი გახდა. მე მწამს, რომ მომავალი ინტერნაციონალი — მას შემდეგ, რაც მარქსის ნაწარმოებნი წლების განმავლობაში თავის ზეგავლენას მოახდენენ — პირდაპირ წმინდა კომუნისტური იქნება და სწორედ ჩვენს პრინციპებს აღიარებს...

მარქსი და ენგელსი — ა. ბებელს, ვ. ლიბკნეხტს, ვ. ბრაკეს და სხვებს

(«ცირკულარული წერილი»)

ლონდონი, 17 — 18 სექტემბერი 1879 წ.

... სამი ციურიხელის მანიფესტი

ამასობაში მოგვიეიდა ჰოხბერგის «Jahrbuch», რომელშიაც მოთავსებულია სტატია: «გერმანიის სოციალისტური მოძრაობის რეტროსპექტიული მიმოხილვა»[1]. ეს სტატია, როგორც თვითონ ჰოხბერგმა მითხრა, დაწერილია სწორედ ციურიხის კომისიის სამი წევრის მიერ. აქ მოცემულია დღემდე გავლილი მოძრაობის მათი აუთენტური კრიტიკა და ამიტომ მათი აუთენტური პროგრამაც ახალი ორგანოს პოზიციისათვის, რამდენადაც ეს პოზიცია მათგან არის დამოკიდებული.

დასაწყისშივე ვკითხულობთ:

«მოძრაობა, რომელსაც ლასალი უყურებდა, როგორც მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოძრაობას, რომლისკენაც იგი მოუწოდებდა არა მარტო მუშებს, არამედ ყველა პატიოსან დემოკრატს, რომელსაც წინ გაუძღვებოდნენ მეცნიერების დამოუკიდებელი წარმომადგენელნი და ყველა, ჭეშმარიტი ადამიანური სიყვარულით გამსჭვალული ადამიანი, იოჰან ბაპტისტ შვაიცერის ხელმძღვანელობით ინდუსტრიულ მუშათა ინტერესებისათვის ცალმხრივ ბრძოლამდე დაქვეითდა».

მე არ შეუუდგები იმის ძიებას, შეეფერება თუ არა და რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს. ის განსაკუთრებული საყვედური, რომელსაც აქ შვაიცერს უყენებენ, იმაში მდგომარეობს, რომ მან, შვაიცერმა, ლასალიზმი, რომელიც აქ გაგებულია როგორც ბურჟუაზიული, დემოკრატიულ-ფილანტროპული მოძრაობა, ინდუსტრიული მუშების ინტერესთა ცალმხრივ ბრძოლამდე ჩამოაქვეითა; მაშინ როდესაც შვაიცერმა მისი ხასიათი, როგორც

---

1 ჰოხბერგის, ბერნშტაინის და შრამის მიერ დაწერილი და სოციალ-რეფორმისტულ ჟურნალ «Jahrbuch für Sozialwissenschaft und Sozialpolitik-ში» («ყოველწლიური კრებული სოციალური მეცნიერებისა და პოლიტიკისათვის») დაბეჭდილი სტატია. რ ე დ.

ინდუსტრიული მუშების კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, გ ა ა ღ რ მ ა ვ ა. შემდეგ მას, შვაიცერს, უსაყვედურებენ, რომ მან «ბურჟუაზიულ დემოკრატიას ხელი ჰკრა». მაგრამ რა უნდა გაეკეთებინა ბურჟუაზიულ დემოკრატიას სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში? თუ ბურჟუაზიული დემოკრატია «პატიოსანი ადამიანებისაგან» შედგება, მაშინ მას არც შეიძლება დაებადოს სურვილი პარტიაში შესვლისა, ხოლო თუ მას მიუხედავად ამისა მაინც სურს პარტიაში შესვლა, ეს მხოლოდ ამისათვის, რომ იგი ააყროლოს.

ლასალელთა პარტიამ «ამჯობინა ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო ც ა ლ მ ხ რ ი ვ ი წესით მოიქცეს ისე, როგორც მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა». თვითონ ეს ვაჟბატონები, რომელნიც ამას წერენ, ისეთი პარტიის წევრებს წარმოადგენენ, რომელიც ყველაზე უფრო ცალმხრივი წესით ისე იქცევა, როგორც მუშათა პარტია, და მათ ამ პარტიაში ახლა ოფიციალური თანამდებობანი და ხარისხები უჭირავთ. ეს სრული შეუთავსებლობაა. თუ ისინი ისევე ფიქრობენ, როგორც წერენ, მაშინ უნდა გამოვიდნენ პარტიიდან, ყოველ შემთხვევაში ხელი მაინც უნდა აიღონ თანამდებობებსა და წოდებებზე. ხოლო თუ ისინი ამას არ აკეთებენ, მაშინ ამით იმასაც აღიარებენ, რომ მათ განზრახული აქვთ თავიანთი ოფიციალური მდგომარეობა გამოიყენონ პარტიის პროლეტარული ხასიათის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამრიგად, პარტია თავის თავს თვითონვე ღალატობს, როდესაც მათ ოფიციალურ თანამდებობებზე სტოვებს.

მაშასადამე, ამ ვაჟბატონების აზრით, სოციალ-დემოკრატიული პარტია უნდა იყოს ა რ ა ცალმხრივი მუშათა პარტია, არამედ «ყველა ჭეშმარიტი ადამიანური სიყვარულით გამსჭვალული ადამიანების» ყოველმხრივი პარტია. იმისათვის, რომ ეს დაამტკიცოს, მან, უწინარეს ყოვლისა, ხელი უნდა აიღოს უხეშ პროლეტარულ ვნებებზე და განათლებული ფილანტროპული ბურჟუების ხელმძღვანელობით «კარგი გემოვნება შეიქმნას» და «კარგი ტონი შეითვისოს» (გვ. 85). მაშინ ზოგიერთ ბელადთა «უკადრისი ქცევის მანერები» ადგილს დაუთმობენ თავაზიან «ბურჟუაზიულ მანერებს». (თითქოს გარეგნულად უკადრისი მანერები იმათი, ვინც აქ იგულისხმება, ყველაზე მცირე რამ არ იყოს, რაშიაც მათ შეიძლება უსაყვედურონ!). მაშინ გაჩნდებიან აგრეთვე «უ თ ვ ა ლ ა ვ ი მ ო მ ხ რ ე ნ ი ც გ ა ნ ა თ ლ ე ბ უ ლ ი და შ ე ძ ლ ე ბ უ ლ ი კლასებიდან. სწორედ ისინი უნდა იქნენ მიზიდული, რათა... აგიტაციამ ხ ე ლ შ ე ს ა ხ ე ბ წ ა რ მ ა ტ ე ბ ე ბ ს მიაღწიოს». გერმანული სოცია-

ლიზმი «მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მასების დაპყრობას და ამასთან სრულიად არ აქცევდა ყურადღებას ენერგიულ (!) პროპაგანდას საზოგადოების ეკრეთწოდებულ მაღალ ფენებში». ვინაიდან «პარტიას ჯერ კიდევ არ ჰყავს ისეთი ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ რაიხსტაგში მისი წარმომადგენლობა». მაგრამ «სასურველია და აუცილებელი მანდატები ისეთ ადამიანებს მიენდოს, რომელთაც საკმაო დრო და შესაძლებლობა ექნებათ იმისათვის, რომ საფუძვლიანად აითვისონ სათანადო საკითხები. უბრალო მუშასა და წვრილ ხელოსანს... ამისთვის მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით აქვთ საჭირო მოცალეობა». მაშასადამე, ამოირჩიეთ ბურჟუა!

მოკლედ: მუშათა კლასს არ შეუძლია თვითონ გაინთავისუფლოს თავი. ამისათვის იგი უნდა დაემორჩილოს «განათლებულ და შეძლებულ» ბურჟუათა ხელმძღვანელობას, რადგან მხოლოდ მათ აქვთ «დრო და შესაძლებლობა» შეისწავლონ ის, რაც მუშებს სარგებლობას მოუტანს. და, მეორეც, არავითარ შემთხვევაში, არ უნდა შეეებრძოლოთ ბურჟუაზიას, არამედ იგი ენერგიული პროპაგანდით ჩვენს მხარეზე უნდა გადმოვიყვანოთ.

მაგრამ თუ გვსურს საზოგადოების მაღალი ფენები ან მისი ჩვენდამი კეთილგანწყობილი ელემენტები დავიპყროთ, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაშინოთ ისინი. და აი სამი ციურიხელი ფიქრობს, რომ დამამშვიდებელი აღმოჩენა მოახდინეს.

«სწორედ ახლა, სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული კანონის ზეგავლენით, პარტია გვიჩვენებს, რომ მას განზრახული არა აქვს ძალდატანებითი სისხლიანი რევოლუციის გზით იაროს, არამედ მან გადასწყვიტა... კანონიერების, ე. ი. რეფორმის გზას დაადგეს». ამრიგად, თუ 500 — 600 ათასი სოციალ-დემოკრატი ამომრჩეველი (მთელ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის $^1/_{10}$ — $^1/_8$-მდე), ისიც მთელ ვრცელ ქვეყანაში გაბნეული, იმდენად გონიერია, რომ თავით კედლის გარღვევას არ მოინდომებს და ერთი ათის წინააღმდეგ «სისხლიანი რევოლუციის» მოხდენას არ შეეცდება, ამით ის იმას დაამტკიცებს, რომ ის მთელი მომავლისათვის ერთხელ და სამუდამოდ ხელს იღებს გამოიყენოს რაიმე დიდი მოვლენა საგარეო პოლიტიკაში, მისგან გამოწვეული უცაბედი რევოლუციური აზვირთება, თვით ამ ნიადაგზე წარმოშობილ შეჯახებაში ხალხის მიერ მოპოვებული გამარჯვებაც კი! თუ ბერლინი ოდესმე კვლავ იმდენად გაუნათლებელი აღმოჩნდება,

რომ 18 მარტს[1] წამოიწყებს, მაშინ სოციალ-დემოკრატები, იმის ნაცვლად, რომ «ბარიკადების წყურვილით შეპყრობილ ნაყარნუყარ ბრბოსავით», (გვ. 88) ბრძოლაში მონაწილეობა მიიღონ, პირიქით, უნდა «კანონიერების გზას დაადგნენ», აჯანყება დააშოშმინონ, ბარიკადები მოხსნან და საჭირო შემთხვევაში დიდებულ მხედრობასთან ერთად ცალმხრივი, ტლანქი, გაუნათლებელი მასის წინააღმდეგ გაილაშქრონ. თუ ეს ვაჟბატონები იმის მტკიცებას დაიწყებენ, ჩვენ ეს არ გვიფქრიაო, მაშ რის თქმა უნდოდათ?

მაგრამ ჯერ კიდევ სადაა, უარესი შემდეგ ნახე.

«მაშასადამე, რაც უფრო მშვიდი, საქმიანი, დაფიქრებული გამოვა ის (პარტია) არსებული მდგომარეობის თავის კრიტიკაში და მისი შეცვლის წინადადებებში, მით უფრო ნაკლებ იქნება შესაძლებელი გამეორდეს ამჟამად (სოციალისტთა წინააღმდეგ კანონის შემოღების დროს) მარჯვე სვლა, რითაც შეგნებულმა რეაქციამ წითელი აჩრდილით დაშინებულ ბურჟუაზიას კისერი მოუგრიხა» (გვ. 88).

იმისათვის, რომ ბურჟუაზიას შიშის უკანასკნელი ნიშან-წყალიც კი გავუქარვოთ, მას ნათლად და დამაჯერებლად უნდა დავუმტკიცოთ, რომ წითელი აჩრდილი ნამდვილად მხოლოდ აჩრდილია და არ არსებობს. მაგრამ რაშია წითელი აჩრდილის საიდუმლოება, თუ არა ბურჟუაზიის შიშში მასა და პროლეტარიატს შორის გარდაუვალი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გამო? იმის შიშში, რომ თანამედროვე კლასობრივი ბრძოლა აუცილებლად უნდა გადაწყდეს. მოსპეთ კლასობრივი ბრძოლა და ბურჟუაზიასა და «ყველა დამოუკიდებელ ადამიანს» «შიში აღარ ექნებათ პროლეტარიატთან ერთად ხელიხელჩაკიდებული იარონ! მაგრამ ამით სწორედ პროლეტარიატი დარჩება მოტყუებული.

მაშასადამე, დაე პარტიამ თავისი წყნარი, მორიდებული და გულშემატკივარი ქცევით დაამტკიცოს, რომ მან ერთხელ და სამუდამოდ ხელი აიღო იმ «უკადრის და თავგასულ მოქმედებებზე», რომლებიც სოციალისტთა წინააღმდეგ კანონის შემოღების საბაბი გახდნენ. თუ ის თავისი ნებასურვილით აღუთქვამს, რომ მხოლოდ ამ კანონის ფარგლებში იმოქმედებს, მაშინ ბისმარკი და ბურჟუაზია სიკეთეს იზამენ და უკვე ზედმეტად ქცეულ კანონს გააუქმებენ!

---

[1] იგულისხმება რევოლუციური საბარიკადო ბრძოლა ბერლინში 1848 წლის 18 — 19 მარტს. რედ.

«დაე გაგვიგონ როგორც ჯერ არს», ჩვენ არ გვინდა «ხელი ავიღოთ ჩვენა პარტიასა და ჩვენს პროგრამაზე, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბრავალი წლის განმავლობაში გვეყოფა სამუშაო, თუ კი მთელს ჩვენს ძალღონეს, მთელს ჩვენს ენერგიას მივმართავთ გარკვეული მახლობელი მიზნების მისაღწევად, რომელთა მიღწევაც კი შეიძლება და რომელნიც ყოველნაირ პირობებში უნდა იქნენ მიღწეული მანამდე, ვიდრე შეიძლებოდეს უფრო შორეული სურვილების განხორციელებაზე ფიქრი». მაშინ ჩვენ შემოგვიერთდებიან მასობრივად ბურჟუები, წვრილი ბურჟუები და მუშები, რომელთაც «ახლა აფრთხობს... მეტისმეტად თავგასული მოთხოვნები».

პროგრამაზე ხელი კი არ უნდა იქნეს აღებული, არამედ მხოლოდ გადადებული უნდა იქნეს მისი განხორციელება... განუსაზღვრელი დროისათვის. მას აღიარებენ, მაგრამ, კერძოდ, აღიარებენ არა თავიანთთვის, არა იმისათვის, რომ მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე მას მისდიონ, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთ შემდეგ შვილებსა და შვილისშვილებს დაუტოვონ მემკვიდრეობად. მანამდე კი «მთელ თავიანთ ძალღონეს და ენერგიას» ჯერჯერობით იყენებენ ყოველგვარ წვრილმან ხარახურაზე და კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების შეკეთებაზე, რათა ამით შთაბეჭდილება შეიქმნეს, რომ რაღაცა მაინც კეთდება და ამავე დროს აღარც ბურჟუაზია დაფრთხება. განა ბევრად უკეთესი არაა «კომუნისტ» მიქელის ქცევა, რომელიც, დარწმუნებულია რა, ურყევად, რომ კაპიტალისტური საზოგადოების დამხობა რამდენიმე ასეულ საუკუნეში გარდაუვალია, ამ საფუძველზე მარჯვედ ეწევა სპეკულაციას, ხელს უწყობს, თავისი წვლილი შეაქვს 1873 წლის კრახში[1] და მართლაც რაღაცას აკეთებს არსებული წესწყობილების დასამხობად.

კარგი ტონის მეორე დარღვევას წარმოადგენდა აგრეთვე «გადაჭარბებული თავდასხმები გრიუნდერებზე», რომლებიც «მხოლოდ და მხოლოდ თავისი დროის შვილები» იყვნენო; ამიტომ «უკეთესი იქნებოდა ადგილი არ ჰქონოდა... ლანძღვა-გინებას შტრაუ-ბერგისა და სხვა მისი მსგავსი პირების მიმართო». სამწუხაროდ, ყველა ადამიანი «მხოლოდ თავისი დროის შვილია», და თუ ეს საკმარისი საბუთია თავის გასამართლებლად, მაშინ

[1] 1873 წლის კრახით დამთავრდა ე. წ. «გრიუნდერობის» პერიოდი, გააფთრებული სპეკულაციისა და საბირჟო თამაშის პერიოდი, რომელიც მოჰყვა 1870 — 1871 წ. წ. საფრანგეთ-პრუსიის ომის დამთავრებას. რ ე დ.

თავდასხმაც აღარ შეიძლება ვინმეს წინააღმდეგ, ყოველგვარი პოლემიკა, ყოველგვარი ბრძოლა ჩვენის მხრივ შეწყვეტილი უნდა იქნეს; ჩვენ მშვიდად უნდა მივიღოთ ჩვენი მოწინააღმდეგეების ყოველგვარი პანლური, ვინაიდან, ჩვენ, ბრძენებმა, კარგად ვიცით, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი «მხოლოდ თავისი დროის შვილები» არიან და სხვაგვარად არც შეუძლიათ მოიქცნენ, თუ არა ისე, როგორც იქცევიან. იმის ნაცვლად, რომ ერთი ათად მივაგოთ მათ საპასუხო პანლური, ჩვენ, პირიქით, უნდა შევიბრალოთ საცოდავნი.

სწორედ ასევე საზარალო იყო ჩვენი მხრივ კომუნისათვის მხარდაჭერა, რადგან ამან «ჩვენ ჩამოგვაშორა ჩვენი მრავალი კეთილისმყოფელი ადამიანი და საერთოდ გაზარდა ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს ს ი ძ უ ლ ვ ი ლ ი ჩ ვ ე ნ დ ა მ ი». შემდეგ კიდევ პარტია «მთლად უდანაშაულო როდი გახლავთ ოქტომბრის კანონის შემოღებაში [1], ვინაიდან მან არასაჭირო სახით გაზარდა ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს ს ი ძ უ ლ ვ ი ლ ი».

აი როგორი გახლავთ სამი ციურიხელი ცენზორის პროგრამა. ის გაურკვევლად არაფერს არ სტოვებს, განსაკუთრებით ჩვენთვის, ვინაიდან ჩვენ 1848 წლიდან ძალიან კარგად ვიცნობთ ამგვარ სიტყვებს. ესენი არიან წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელნი, რომელნიც შიშით აყვანილნი აცხადებენ, რომ თავისი რევოლუციური მდგომარეობით იძულებულმა პროლეტარიატმა შეიძლება «ღრმად შესტოპოსო». ნაცვლად გაბედული პოლიტიკური ოპოზიციისა, საყოველთაო შუამავლობა; ნაცვლად ბრძოლისა მთავრობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ცდა მისი შეგონებისა და გადმობირებისა; ნაცვლად მედგარი წინააღმდეგობისა ზემოდან დაწყებული დევნის მიმართ, წუნარი მორჩილება და აღიარება იმისა, რომ სასჯელი სამართლიანად დავიმსახურეო. ყველა ისტორიულ აუცილებელ კონფლიქტებს განმარტავენ როგორც გაუგებრობას და ყოველგვარი დისკუსია მთავრდება რწმუნებით იმის შესახებ, რომ არსებითად ჩვენ შორის არავითარი უთანხმოება არ არსებობსო. იმ ადამიანებს, რომლებიც 1848 წელს ბურჟუაზიული დემოკრატების სახით გამოდიოდნენ, ახლა ასევე წარმატებით შეუძლიათ თავიანთ თავს სოციალ-დემოკრატები უწოდონ: ისე როგორც პირველთათვის დემოკრატიული რესპუბლიკა, ასევე ამ უკა-

[1] ლაპარაკია სოციალისტების საწინააღმდეგო საგანგებო კანონზე, რომელიც ბისმარკმა შემოიღო 1878 წ. ოქტომბერში. რ ე დ.

ნასკნელთათვის კაპიტალისტური წყობილების დამხობა შორეული მიუღწეველი მომავლის საქმეა, რომელსაც აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს აწმყოს პოლიტიკური პრაქტიკისათვის; ამიტომ შეიძლება შუამავლობა, შემთანხმებლობა, დათმობა, ფილანტროპობა, რამდენიც გულს სურს. ასეთივეა ვითარება პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლის მიმართ. ქალალდზე ამ ბრძოლას აღიარებენ, რადგან მისი უარყოფა უკვე აღარ შეიძლება, მაგრამ პრაქტიკულად მას ჩქმალავენ, აფუჩეჩენ, ასუსტებენ. სოციალ-დემოკრატიული პარტია არ უნდა იყოს მუშათა პარტია, მან თავს არ უნდა დაიტეხოს ბურჟუაზიის სიძულვილი ანდა საერთოდ ვინმეს სიძულვილი; მან, უწინარეს ყოვლისა, ენერგიული პროპაგანდა უნდა აწარმოოს ბურჟუაზიის წრეში; იმის ნაცვლად, რომ დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს თავგასულ, ბურჟუაზიის დამაფრთხობელ და ჩვენი თაობისათვის მიუღწეველ მიზნებს, უკეთესია მთელი თავისი ძალღონე და ენერგია მიმართოს იმ წვრილბურჟუაზიული ჯღანებიანი რეფორმების განხორციელებისაკენ, რომლებიც ძველ საზოგადოებრივ წყობილებას განამტკიცებენ და მით, შესაძლებელია, საბოლოო კატასტროფას გადააქცევენ თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ განხორციელებული და შესძლებისდაგვარად მშვიდობიანი გარდაქმნის პროცესად. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც დაუცხრომელი საქმიანობის მოჩვენებით არა მარტო თვითონ არაფერს აკეთებენ, არამედ ცდილობენ სხვასაც ხელი შეუშალონ და საერთოდ, ყბედობის გარდა, არაფერი გაკეთდეს; ადამიანები, რომელთა შიში ყოველგვარი მოქმედების წინაშე 1848 და 1849 წლებში ყოველ ნაბიჯზე ამუხრუჭებდა მოძრაობას და ბოლოს დამარცხებამდე მიიყვანეს იგი; ადამიანები, რომლებიც ხედავენ რეაქციას და შემდეგ ძალიან განცვიფრებული რჩებიან, როდესაც საბოლოოდ ჩიხში მომწყვდეული აღმოჩნდებიან, სადაც აღარც წინაალმდეგობაა შესაძლებელი და აღარც გაქცევა; ესენი ის ადამიანები არიან, რომლებსაც სურთ ისტორია თავიანთ ვიწრო, გონებაშეზღუდული ფილისტერის თვალთახედვის არეში ჩასჭედონ, მაგრამ რომელთაც ისტორია ყურადღებასაც არ აქცევს და თავისი გზით განაგრძობს წინსვლას.

რაც შეეხება მათ სოციალისტურ მრწამსს, იგი უკვე საკმაოდ არის გაკრიტიკებული «კომუნისტური პარტიის მანიფესტში», თავში: «გერმანული ანუ ქეშმარიტი სოციალიზმი»[1]. სადაც კლა-

[1] იხ. ამ გამოცემის პირველი ტომის გვ. 40–43. რედ.

სობრივი ბრძოლა თავიდან აცილებულია როგორც არასასიამოვნო «უხეში» მოვლენა, იქ სოციალიზმის ბაზისად სხვა აღარაფერი რჩება, გარდა «ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობისა» და ცარიელი ფრაზებისა «სამართლიანობის» შესახებ.

თვითონ განვითარების პროცესმა დაუდო საფუძველი იმ აუცილებელ მოვლენას, რომ მებრძოლ პროლეტარიატს უერთდებიან აგრეთვე აქამდე გაბატონებული კლასიდან გამოსული ცალკეული ადამიანები და მას განათლების ელემენტებს აწვდიან. ჩვენ ეს ნათლად გამოვთქვით უკვე «მანიფესტში». მაგრამ აქ ორი რამ უნდა შევნიშნოთ:

ჯერ ერთი, იმისათვის, რომ პროლეტარულ მოძრაობას მართლა სარგებლობა მოუტანონ, ამ ადამიანებმა თან განათლების ნამდვილი ელემენტები უნდა მოიყოლიონ. სწორედ ამას ვერ ვიტყვით გერმანელ ბურჟუაზიულ ახალმოქცეულთა მიმართ; არც «Zukunft»-ს, არც «Neue Gesellschaft»-ს[1] არაფერი მოუციათ ისეთი, რასაც მოძრაობა ერთი ნაბიჯით მაინც წინ წაეწიოს. მათ აბსოლუტურად არ გააჩნიათ არავითარი ფაქტიური ან თეორიული მასალა, რომელიც განათლებას ხელს უწყობდეს. ამის ნაცვლად ადგილი აქვს ცდებს, რომ ზერელედ შეთვისებული სოციალისტური აზრები შეუთანხმონ სრულიად სხვადასხვანაირ თეორიულ თვალსაზრისებს, რომელნიც ამ ბატონებს უნივერსიტეტებიდან თუ საიდღანაც მოუტანიათ და რომელთაგან თვითეული ერთი მეორეზე უფრო არეული და აბნეულ-დაბნეული იყო იმ ლპობისა და რღვევის პროცესის გამო, რომელშიაც დღეს გერმანული ფილოსოფიის ნაშთები იწყოფება. იმის მაგიერ, რომ ახალი მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, ჯერ თვითონ შეესწავლათ საფუძვლიანად, თვითეული მათგანი, პირიქით, ცდილობდა იგი გარედან თანმოტანილი თვალსაზრისისათვის მიეყენებინა, სახელდახელოდ აკოწიწებდა საკუთარ პრივატმეცნიერებას და მყისვე სხვისი სწავლების პრეტენზიით გამოდიოდა. ამიტომაც ამ ბატონებს თითქმის იმდენივე თვალსაზრისი გააჩნიათ, რამდენიც თავი; იმის მაგიერ, რომ ერთი რომელიმე საკითხი მაინც გაერკვიათ, მათ მხოლოდ საშინელი არევ-დარევა შეიტანეს, საბედნიეროდ, თითქმის მხოლოდ ერთმანეთს შორის. პარტიას ძალიან კარგად შეუძლია იოლად

[1] «Zukunft» («მომავალი») და «Neue Gesellschaft» («ახალი საზოგადოება») — სოციალ-რეფორმისტული ჟურნალები; პირველი გამოდიოდა ციურიხში 1877—1880 წ.წ., მეორე — ბერლინში 1877 — 1878 წწ. რედ.

წავიდეს ამგვარ განმანათლებელთა გარეშეც, რომელთა პირველი პრინციპი ისაა, რომ სხვას ასწავლონ ის, რაც თვითონ არ უსწავლიათ.

მეორეც. როდესაც პროლეტარულ მოძრაობას უერთდებიან სხვა კლასების წარმომადგენელნი, მათ, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვებათ, რომ ისინი თან ნუ მოიტანენ ნურავითარ ბურჟუაზიულ, წვრილბურჟუაზიულ და ა. შ. ცრუ აზრებს, არამედ პირდაპირ და უსიტყვოდ შეითვისონ პროლეტარული მსოფლმხედველობა. ამ ვაჟბატონების თავები კი, როგორც დამტკიცდა, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული წარმოდგენებით არის გატენილი. ისეთ წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში, როგორიც გერმანიაა, ამ წარმოდგენებს უთუოდ თავისი გამართლება აქვს, მაგრამ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რიგებს გარეთ. როცა ეს ვაჟბატონები აყალიბებენ სოციალ-დემოკრატიულ წვრილბურჟუაზიულ პარტიას, ეს მათი სრული უფლებაა; მაშინ შეიძლებოდა მათთან მოლაპარაკების წარმოება, გარკვეულ პირობებსა და გარემოებებში მათთან შეთანხმება და სხვა., მაგრამ მუშათა პარტიაში ისინი უცხო და ყალბ ელემენტს წარმოადგენენ. თუ არის საბუთი მათი ჯერჯერობით შეწყნარებისა და პარტიაში მათი გაჩერების მოთმენისა, მხოლოდ იმიტომ რომ არსებობს ერთგვარი ვალდებულება მათი მხოლოდ და მხოლოდ მოთმენისა იმ პირობით, რომ არ მიეცეთ მათ ნება პარტიის ხელმძღვანელობაზე გავლენისა, შეგნებული გვქონდეს, რომ მათთან კავშირის გაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ დროის საკითხია. თუმცა ეს დროც უკვე, როგორც ვხედავთ, დადგა. როგორ ითმენს ამის შემდეგ კიდევ პარტია ზემოაღნიშნული სტატიის ავტორებს თავის რიგებში, ჩვენთვის სრულიად გაუგებარია. ხოლო თუ ამგვარ ადამიანებს მეტად თუ ნაკლებად ხელთ ჩაუვარდათ პარტიის ხელმძღვანელობა, მაშინ პარტია პირდაპირ დასაჭურისებული იქნება და პროლეტარულ ენერგიასაც ბოლო მოეღება.

რაც შეგვეხება ჩვენ, მთელი ჩვენი წარსულის თანახმად ჩვენ მხოლოდ ერთი გზაღა დაგვრჩენია. ჩვენ თითქმის 40 წლის განმავლობაში პირველ რიგში ვაყენებდით კლასობრივ ბრძოლას როგორც ისტორიის უშუალო მამოძრავებელ ძალას, ხოლო სპეციალურად კლასობრივ ბრძოლას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის როგორც თანამედროვე სოციალური გადატრიალების მძლავრ ბერკეტს; ამიტომ ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია იმ ადამიანებთან ერთად ვიაროთ, რომელთაც სურთ ეს კლასობრივი ბრძოლა მოძრაობი-

დან ამოშალონ. ინტერნაციონალის დაარსების დროს ჩვენ გარკვევით ჩამოვაყალიბეთ საბრძოლო ძახილი: მუშათა კლასის განთავისუფლება თვით მუშათა კლასის საქმე უნდა იყოს. მაშასადამე, ჩვენ არ შეგვიძლია იმ ადამიანებთან ერთად ვიაროთ, რომლებიც აშკარად აცხადებენ, რომ მუშები მეტისმეტად გაუნათლებელნი არიან იმისათვის, რომ თავი გაინთავისუფლონ და მხოლოდ ზევიდან უნდა განთავისუფლდნენ ფილანტროპული მსხვილი და წვრილი ბურჟუების მიერო. თუ ახალი პარტიული ორგანო ისეთ მიმართულებას დაადგება, რომელიც ამ ვაჟბატონების შეხედულებებს შეესაბამება, თუ იგი ბურჟუაზიული იქნება და არა პროლეტარული, მაშინ ჩვენ, სამწუხაროდ, მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ საქვეყნოდ გამოვიდეთ განცხადებით მის წინააღმდეგ და ბოლო მოვუღოთ თქვენთან იმ სოლიდარობას, რომლითაც ჩვენ დღემდე გერმანიის პარტიას წარმოვადგენდით საზღვარგარეთ. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ საქმე ·ა ქ ა მ დ ე არ მივა...

ენგელსი — კ. შმიდტს

ლონდონი, 5 აგვისტო 1890 წელი.

... ავბედითი მორიც ვირტის მიერ დაწერილი აზრი პაულ ბარტის[1] წიგნის შესახებ მე წავიკითხე ვენის «Deutsche Worte»-ში და ამ კრიტიკამ თვითონ წიგნზეც არასასიამოვნო შთაბეჭდილება შემიქმნა. მე მას გადავხედავ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ, თუ მორიცხენს სწორად მოჰყავს ის ადგილი, სადაც ბარტი ამტკიცებს, თითქოს მან მარქსის ყველა თხზულებაში არსებობის მატერიალურ პირობებზე ფილოსოფიისა და სხვ. დამოკიდებულების მხოლოდ ერთადერთი მაგალითის პოვნა შესძლო, სახელდობრ, ის, რომ დეკარტე ცხოველებს მანქანებად აცხადებსო, მაშინ, ჩემში მხოლოდ სიბრალული აღიძვრის იმ ადამიანის მიმართ, ვისაც ამგვარი რამეების წერა შეუძლია. და თუ ამ ადამიანს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ, თუ არსებობის მატერიალური პირობები პირველ მიზეზს წარმოადგენენ, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ იდეოლოგიური სფეროები თავის მხრივ უკუგავლენას, მაგრამ მეორად გავლენას ახდენენ ამ მატერიალურ პირობებზე, მაშინ იგი ვერავი-

1 ლაპარაკია პ. ბარტის წიგნზე «ჰეგელისა და ჰეგელიანელების ისტორიის ფილოსოფია მარქსამდე და ჰარტმანამდე ჩათელით». რ ე დ.

თარ შემთხვევაში ვერ შესძლებდა ვერც იმ საგნის გაგებას, რომელზედაც ის წერს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველაფერი ეს მაინც მეორე ხელიდან გამომდინარეობს, და მორიცხენი კი სახიფათო მეგობარია; ისტორიის მატერიალისტურ გაგებას ახლა მრავალი ისეთი მეგობარიც ჰყავს, რომლებისათვისაც იგი საბაბს წარმოადგენს იმისათვის, რომ ისტორია არ შეისწავლონ. სწორედ ისე, როგორც მარქსმა უკანასკნელი 70-იანი წლების ფრანგ «მარქსისტებზე» თქვა: «ყველაფერი, რაც მე ვიცი, ეს ისაა, რომ მე მარქსისტი არა ვარ».

აი «Volks-Tribüne»-შიაც იყო დისკუსია მომავალ საზოგადოებაში პროდუქტთა განაწილების შესახებ, იმაზე, რომ ეს განაწილება შრომის რაოდენობის მიხედვით მოხდება თუ სხვანაირად. საკითხს აქაც ძალიან «მატერიალისტურად» მიუდგნენ, წინააღმდეგ ცნობილი იდეალისტური ფრაზებისა სამართლიანობის შესახებ. მაგრამ საკვირველია, რომ თავში არავის არ მოსვლია აზრად ის, რომ განაწილების ხერხი არსებითად დამოკიდებულია გასანაწილებელი პროდუქტების რაოდენობაზე და, რომ ეს რაოდენობა, რა თქმა უნდა, იცვლება წარმოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციის პროგრესთან ერთად, შაშასადამე, განაწილების ხერხიც უნდა იცვლებოდეს. მაგრამ დისკუსიის ყველა მონაწილეს «სოციალისტური საზოგადოება» ჰგონია არა როგორც განუწყვეტლივ ცვალებადი და წინსვლაში მყოფი საზოგადოება, არამედ როგორც სტაბილური რამ, როგორც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი რამ, რომელსაც, მაშასადამე, განაწილების ხერხი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი უნდა ჰქონდეს. თუ გონივრულად ვიმსჯელებთ, შეიძლება მხოლოდ: 1) შეეცადოთ აღმოვაჩინოთ განაწილების ის ხერხი, რომლითაც უნდა დაწყებულ იქნეს, და 2) შეეცადოთ ვიპოვოთ ის საერთო ტენდენცია, რომლის მიხედვითაც მოხდება შემდგომი განვითარება. მაგრამ ამაზე მე ერთ სიტყვასაც ვერ ვნახულობ მთელ კამათში.

საერთოდ, ბევრი ახალგაზრდა მწერლისათვის გერმანიაში სიტყვა «მატერიალისტური» წარმოადგენს უბრალო ფრაზას, რომელსაც ეტიკეტივით იყენებენ ყველაფრის მიმართ და თავს არ იწუხებენ შემდგომი შესწავლისათვის, ე. ი. ამ ეტიკეტს მიაწებებენ და ჰგონიათ, რომ საქმე ამით ამოიწურა. მაგრამ ჩვენი გაგება ისტორიისა, უწინარეს ყოვლისა, სახელმძღვანელოა შესწავლისათვის და არა ბერკეტი ჰეგელიანელობის ყაიდაზე კონსტრუირებისათვის. მთელი ისტორია ხელახლა უნდა იქნეს შესწავლილი, დეტალურად უნდა იქნეს გამოკვლეული სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმა-

ციების არსებობის პირობები, ვიდრე შეეცდებოდეთ გამოვიყვანოთ იქიდან მათი შესაბამი პოლიტიკური, კერძო-იურიდიული, ესთეტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური და სხვა შეხედულებანი. ამ მხრივ დღემდე ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული, იმიტომ რომ მასზე ძალიან მცირერიცხოვანი ადამიანები მუშაობდნენ სერიოზულად. აქ ჩვენ დიდი დახმარება გვჭირდება, ასპარეზი უსაზღვროდ დიდია და ვისაც სერიოზულად მუშაობა უნდა, ბევრი რამის გაკეთება და თავის გამოჩენა შეუძლია. მაგრამ ამის ნაცვლად ბევრი ახალგაზრდა გერმანელი ისტორიული მატერიალიზმის ფრაზას (ხომ შეიძლება ყველაფერი ფრაზად გარდაიქმნეს) მხოლოდ იმისთვის იყენებს, რომ რაც შეიძლება სწრაფად, სისტემატურად ააგოს თავისი საკუთარი, შედარებით ღარიბი ისტორიული ცოდნა (ეკონომიური ისტორია ხომ ჯერ კიდევ არტახებშია!) და შემდეგ ამაყად უცქიროს თავის გმირულ ღვაწლს. და აი მაშინ შეიძლება გამოჩნდეს ვინმე ბარტი და ხელიც კი მოჰკიდოს იმას, რაც მის წრეში ყოველ შემთხვევაში, უბრალო ფრაზამდე არის დაქვეითებული.

მაგრამ ყველაფერი ეს გამოსწორდება. ჩვენ გერმანიაში ახლა საკმაოდ ძლიერნი ვართ იმისათვის, რომ ბევრ რამეს გავუძლოთ. სოციალისტების საწინააღმდეგო კანონის ერთ-ერთი დიდი დამსახურება ჩვენთვის ის იყო, რომ მან ჩვენ სოციალისტურად ელფერდაკრული გერმანელი «მეცნიერის» აბეზარობისაგან გაგვანთავისუფლა. ახლა ჩვენ საკმაოდ ძლიერნი ვართ იმისათვის, რომ ეს გერმანელი «მეცნიერიც» მოვინელოთ, რომელიც კვლავ ძალიან გამედიდურდა. თქვენ თვითონ მართლაც რალაც გაგიკეთებიათ და ამიტომ შეამჩნევდით, თუ რა ცოტა არის ახალგაზრდა ლიტერატორთა შორის, რომლებიც პარტიას მიემხრნენ, ისეთნი, რომლებიც ირჯებიან და სწავლობენ პოლიტიკურ ეკონომიას, პოლიტიკური ეკონომიის ისტორიას, ვაჭრობის ისტორიას, მრეწველობის, მიწათმოქმედების, საზოგადოებრივი ფორმაციების ისტორიას. ბევრი მაურერის მხოლოდ სახელს იცნობს! ჟურნალისტის ურცხვობამ ყველაფერი უნდა სძლიოს, ხოლო შედეგებიც მას შეეფერება. ამ ვაკბატონებს წარმოუდგენიათ, რომ მუშებისათვის ყველაფერი გამოდგება. ნეტავ იცოდნენ მათ, რომ მარქსი თავის საუკეთესო შრომებსაც კი არასაკმარისად თვლიდა მუშებისათვის და დანაშაულად მიაჩნდა მათთვის ისეთი რამის მიწოდება, რაც ყველაზე უკეთესი არ იქნებოდა!..

ენგელსი — ი. ბლოხს

ლონდონი, 21—22 სექტემბერი 1890 წ.

[... ისტორიის მატერიალისტური გაგების თანახმად გამსაზღვრელი მომენტი ისტორიულ პროცესში საბოლოო ანგარიშით ნამდვილი ცხოვრების წარმოება და კვლავწარმოებაა. არც მარქსი და არც მე ამაზე მეტს არასოდეს არ ვამტკიცებდით. თუ ახლა ვინმე ამ დებულებას იმ აზრით დაამახინჯებს, თითქოს ეკონომიური მომენტი ერთადერთ გამსაზღვრელ მომენტს წარმოადგენსო, ამით ის ამ დებულებას არაფრისმთქმელ, აბსტრაქტულ, უაზრო ფრაზად გადააქცევს. ეკონომიური მდგომარეობა ბაზისია, მაგრამ ისტორიული ბრძოლების მსვლელობაზე ზეგავლენას ახდენენ აგრეთვე და მრავალ შემთხვევაში უმთავრესად მის ფორმას განსაზღვრავენ ზედნაშენის სხვადასხვა მომენტები: კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკური ფორმები და მისი შედეგები — კონსტიტუციები, რომლებიც მოპოვებული გამარჯვების შემდეგ გამარჯვებული კლასის მიერ იქმნება და ა. შ., სამართლის ფორმები და ყველა ამ ნამდვილი ბრძოლების თვით ასახვაც კი მონაწილეთა ტვინში, პოლიტიკური, იურიდიული, ფილოსოფიური თეორიები, რელიგიური შეხედულებანი და მათი შემდგომი განვითარება დოგმათა სისტემად. აქ ჩვენ გვაქვს ყველა ამ მომენტის ურთიერთ ზემოქმედება, რომელშიაც საბოლოოდ გზას იკაფავს, როგორც აუცილებელი რამ, ეკონომიური მოძრაობა, უსაზღვროდ ბრავალ შემთხვევითობაში (ე. ი. უამრავ საგნებსა და მოვლენებში, რომელთა შინაგანი კავშირი ერთმანეთისაგან იმდენად დაშორებულია, ანდა იმდენად ძნელი აღმოსაჩენია და დასამტკიცებელი, რომ ჩვენ შეგვიძლია იგი უყურადღებოდ დავტოვოთ, არარსებულად მივიჩნიოთ). წინააღმდეგ შემთხვევაში თეორიის მიყენება რომელიმე ისტორიული პერიოდის მიმართ უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე პირველი ხარისხის მარტივი განტოლების გადაწყვეტა.

ჩვენს ისტორიას ჩვენ თვითონ ვქმნით, მაგრამ, ჯერ ერთი, ჩვენ მას ვქმნით ფრიად გარკვეულ წანამძღვრებსა და პირობებში. მათ შორის ეკონომიური წანამძღვარნი და პირობანი საბოლოო ანგარიშით გადამწყვეტია. მაგრამ პოლიტიკური პირობები და სხვ., თვით ადამიანთა თავში დაბუდებული ტრადიციაც კი, გარკ-

ვეულ როლს თამაშობენ, თუმცა არა გადამწყვეტს. პრუსიული სახელმწიფოც აგრეთვე ისტორიული, საბოლოო ანგარიშით ეკონომიური მიზეზების წყალობით წარმოიშვა და განვითარდა. მაგრამ ძნელად თუ შეიძლება პედანტობის გარეშე კაცმა ამტკიცოს, რომ ჩრდილოეთ გერმანიის უამრავ წვრილ სახელმწიფოთა შორის სწორედ ბრანდენბურგი იყო ეკონომიური აუცილებლობით და არა აგრეთვე სხვა მომენტებითაც (უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ბრანდენბურგი ფლობდა რა პრუსიას, იგი გაიხლართა პოლონეთის საქმეებსა და ამით კი საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებში, რომლებიც გადამწყვეტ მომენტებს წარმოადგენდნენ აგრეთვე ავსტრიის სამეფო კარის ძლიერების ჩამოყალიბებაში) იმისათვის განკუთვნილი, რომ დიდი სახელმწიფოს როლი ეთამაშნა, სახელმწიფოსი, რომელშიაც განხორციელდა ეკონომიური, ენობრივი, ხოლო რეფორმაციის შემდეგ აგრეთვე რელიგიური განსხვავება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ძნელად თუ მოახერხებს ვინმე, ისე რომ სასაცილო არ შეიქნეს, მხოლოდ ეკონომიური მიზეზებით ახსნას წარსულისა და აწმყოს ყოველი პაწია გერმანული სახელმწიფოს არსებობა; ან ეკონომიურად ახსნას ბგერათა ზემოგერმანული გადანაცვლების წარმოშობა, რაც კიდევ უფრო აფართოებს გერმანიის იმ გეოგრაფიულ გაყოფას, რომელიც გამოწვეულია სუდეტებიდან ტაუნუსამდე გაჭიმული მთაგრეხილით.

მაგრამ, მეორეც, ისტორია ისე იქმნება, რომ საბოლოო შედეგი მუდამ მრავალ ცალკეულ ნებისყოფათა კონფლიქტიდან მიიღება, ამასთან, თვითეული ასეთი ნებისყოფა ცხოვრების კერძო პირობებისაგან იქცევა იმად, რაც არის. ამრიგად, არსებობენ უამრავი ურთიერთ გადაჯვარედინებული ძალები, ძალთა პარალელოგრამების დაუსრულებელი ჯგუფი, საიდანაც გამომდინარეობს საერთო ტოლქმედი — ისტორიული მოვლენა, — რომელიც კვლავ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი მთლიანი, არაცნობიერად და არანებისმიერად მოქმედი ძალის ნაყოფი. ვინაიდან ეს, რაც ერთს სურს, დაბრკოლებას აწყდება სხვანი მხრით, და ის, რაც საბოლოოდ მიიღება, წარმოადგენს ისეთ რამეს, რაც არავის არ სურდა. ასე მიმდინარეობს დღემდე ისტორია ბუნებრივ-ისტორიული პროცესის მსგავსად და არსებითად მოძრაობის იმავე კანონებს ემორჩილება. მაგრამ იმ გარემოებიდან, რომ ცალკეულ ადამიანთა ნებისყოფანი, რომელთაგან თვითეულს სურს ის, რისკენაც ის მიისწრაფის ფიზიკური კონსტიტუციისა

და გარეგანი, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიური პირობების (ან თავისი საკუთარი პირადი ანდა საერთო-საზოგადოებრივი პირობების) იძულებით, ვერ აღწევენ იმას, რაც მათ სურთ, არამედ ერთ საერთო საშუალო რაღაცაში, საერთო ტოლქმედში ერთდებიან, აქედან მაინც არ უნდა დავასკვნათ, რომ ისინი (ნებისყოფანი) ნულს უდრიან. პირიქით, თვითეული ნებისყოფა მონაწილეობს ტოლქმედში და ამდენად მასშია მოქცეული.

შემდეგ, მე გთხოვთ ეს თეორია შეისწავლოთ პირველწყაროებიდან და არა სხვების საშუალებით, ეს მართლაც ბევრად ადვილია. მარქსს თითქმის ისეთი არა დაუწერია რა, სადაც ეს თეორია როლს არ ასრულებდეს. მაგრამ ამ თეორიის გამოყენების განსაკუთრებით საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს «ლუი ბონაპარტეს 18 ბრიუმერი»[1]. «კაპიტალშიც» აგრეთვე მრავალი მითითებაა. შემდეგ შემიძლია აგრეთვე მიგითითოთ ჩემს თხზულებებზე: «ბატონ ევგენი დიურინგის მიერ მოხდენილი გადატრიალება მეცნიერებაში» და «ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული»[2], სადაც მე, რამდენადაც ვიცი, ყველა არსებულ გადმოცემათა შორის ისტორიული მატერიალიზმის ყველაზე უფრო დაწვრილებითი გადმოცემა მაქვს მოცემული.

[მარქსსა და მე ნაწილობრივ ბრალი მიგვიძღვის იმაში, რომ ახალგაზრდობა ხანდახან ეკონომიურ მხარეს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ეს მას ეკუთვნის. ჩვენ იძულებული ვიყავით მოწინააღმდეგეთა საპირისპიროდ მათ მიერ უარყოფილი მთავარი პრინციპისათვის გაგვესვა ხაზი, და ამიტომ ყოველთვის არ იყო საკმაო დრო, ადგილი და საბაბი ურთიერთზემოქმედებაში მონაწილე დანარჩენი მომენტებიც სათანადოდ დაგვეფასებინა.] მაგრამ როგორც კი საქმე რომელიმე ისტორიული პერიოდის გამოსახვამდე, ე. ი. პრაქტიკულ გამოყენებამდე მივიდოდა, მდგომარეობა იცვლებოდა, და აღარავითარი შეცდომა აღარ იყო შესაძლებელი. საწუხაროდ, ძალიან ხშირია, როდესაც ფიქრობენ, რომ ახალი თეორია სავსებით შეიგნეს და მისი გამოყენება პირდაპირ შეუძლიათ მაშინვე, როგორც კი ძირითადი დებულებები შეითვისეს და ისიც არა ყოველთვის სწორად. მე ეს შემიძლია ბევრ ახალ «მარქსისტს» საუკეთესო, ვინაიდან ამის გამო ხომ საკვირველი არევ-დარევაც წარმოშობილა...

[1] იხ. ამ გამოცემის პირველი ტომის გვ. 262 — 383. რ ე დ.
[2] იხ. ამ ტომის გვ. 430—483. რ ე დ.

ენგელსი — კ. შმიდტს

ლონდონი, 27 ოქტომბერი 1890 წ.

ესარგებლობ პირველი თავისუფალი წუთით, რათა გიპასუხოთ. ვფიქრობ, ძალიან კარგს იზამთ, თუ დათანხმდებით გაზეთ «Züricher Post»-ში თანამშრომლობის წინადადებაზე. თქვენ იქ ბევრი რამ შეგიძლიათ ისწავლოთ ეკონომიკის დარგში, განსაკუთრებით, თუ მუდამ გემახსოვრებათ, რომ ციურიხი მხოლოდ ფულისა და სპეკულაციის მესამე ხარისხის ბაზარია, და ამიტომ იქ მიღებული ყველა შთაბეჭდილება ორმაგი და სამმაგი ანარეკლის გამო შესუსტებული და განზრახ გაყალბებულიც კია. მაგრამ თქვენ პრაქტიკულად გაეცნობით მთელ მექანიზმს და იძულებული გახდებით თვალყური ადევნოთ საბირჟო ანგარიშებს პირდაპირ ლონდონიდან, ნიუ-იორკიდან, პარიზიდან, ბერლინიდან, ვენიდან და ა. შ., მაშინ მსოფლიო ბაზარი თვალწინ გადაგეშლებათ მის ანარეკლში, როგორც ფულისა და ფასიანი ქაღალდების ბაზარი. ეკონომიურ, პოლიტიკურ და სხვა ანარეკლს იგივე ემართება, რაც ანარეკლს ადამიანის თვალში, ისინი პრიზმაში გაივლიან და ამიტომ გადაბრუნებული სახით, თავდაყირა წარმოგვიდგებიან. გვაკლია მხოლოდ ის ნერვული აპარატი, რომელიც ჩვენი წარმოდგენისათვის მათ კვლავ ფეხზე დააყენებდა. მრეწველობისა და მსოფლიო ბაზრის მოძრაობას მებირჟე ფულის ბაზრისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მხოლოდ გადაბრუნებულ ანარეკლში ხედავს და აქ მისთვის შედეგი მიზეზად იქცევა. მე ამას ჯერ კიდევ 40-იან წლებში მანჩესტერში დავაკვირდი: ლონდონის ბირჟის ანგარიშები აბსოლუტურად უვარგისი იყო იმისათვის, რომ მათი მიხედვით წარმოგვედგინა მრეწველობის განვითარების მსვლელობა და ამ მრეწველობის პერიოდული მაქსიმუმები და მინიმუმები, იმიტომ რომ ამ ბატონებს სურდათ ყველა მოვლენა აეხსნათ ფულის ბაზრის კრიზისებით, რომელნიც თვითონ ხომ მეტწილად მხოლოდ სიმპტომებს წარმოადგენდნენ. მაშინ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ უარეყოთ მრეწველობის კრიზისთა წარმოშობა პერიოდული ჭარბწარმოებიდან, და ამიტომ საქმეს ამასთანავე ჰქონდა ტენდენციური მხარეც, რომელიც საბაბს იძლეოდა დამახინჯებისათვის. ახლა ეს პუნქტი, ჩვენთვის მაინც, ერთხელ და სამუდამოდ მოხსნილია, და თანაც უდავო ფაქტია, რომ ფუ-

ლის ბაზარსაც შეიძლება ჰქონდეს თავისი საკუთარი კრიზისები, რომლის დროსაც პირდაპირი მოშლილობანი მრეწველობის დარგში მხოლოდ დაქვემდებარებულ როლს თამაშობენ ანდა სრულიადაც არავითარ როლს არ ასრულებენ. აქ ბევრი რამ ჯერ კიდევ დასადგენი და გამოსაკვლევია, განსაკუთრებით ისტორიულად ამ უკანასკნელი 20 წლისათვის.

I სადაც შრომის დანაწილება საზოგადოებრივი მასშტაბით არსებობს. იქ შრომის ცალკეული პროცესებიც ერთიმეორის მიმართ დამოუკიდებელნი ხდებიან. საბოლოო ანგარიშით წარმოებაა გადამწყვეტი. მაგრამ, როგორც კი პროდუქტებით ვაჭრობა საკუთრივ წარმოებას გამოეყოფა და მისგან დამოუკიდებელი ხდება, იგი მისდევს თავის საკუთარ მოძრაობას, რომელზეც, მართალია, საერთოდ და მთლიანად წარმოების მოძრაობა ბატონობს, მაგრამ, რომელიც ცალკეულ კერძო შემთხვევებსა და ამ საყოველთაო დამოკიდებულების ფარგლებში მაინც იმ თავის საკუთარ კანონებს მისდევს, რომელნიც ამ ახალი ფაქტორის ბუნების დამახასიათებელნი არიან; ამ მოძრაობას თავისი საკუთარი ფაზები აქვს და თავის მხრივ, იგი წარმოების მოძრაობაზე უკუგავლენას ახდენს. ამერიკის აღმოჩენა გამოწვეული იყო ოქროს წყურვილით, რომელიც ჯერ კიდევ მანამდე პორტუგალელებს აფრიკისაკენ ერეკებოდა (შდრ. ზეტბერის «ძვირფასი ლითონების წარმოება»), რადგან ევროპის მრეწველობა, რომელიც ასე მძლავრად ვითარდებოდა XIV და XV საუკუნეებში, და მისი შესაბამი ვაჭრობა გაცვლის უფრო მეტ საშუალებებს მოითხოვდა, რის მოცემაც გერმანიას — ვერცხლის უდიდეს ქვეყანას 1450—1550 წლებში არ შეეძლო. ინდოეთის დაპყრობა პორტუგალელების, ჰოლანდიელების და ინგლისელების მიერ 1500—1800 წლებში მიზნად ისახავდა შემოზიდვას ინდოეთიდან, ინდოეთში შეზიდვაზე კი არავინ არ ფიქრობდა. და მაინც რა უზარმაზარი უკუგავლენა მოახდინეს მრეწველობაზე წმინდა ვაჭრობის ინტერესებით გამოწვეულმა ამ აღმოჩენებმა და დაპყრობებმა: მხოლოდ ამ ქვეყნებში გაზიდვის საჭიროებამ შეჰქმნა და განავითარა მსხვილი მრეწველობა.

ასეთივეა ფულის ბაზრის მდგომარეობაც. როგორც კი ფულით ვაჭრობა საქონლით ვაჭრობას გამოეყოფა, იგი იძენს — გარკვეულ პირობებსა და საზღვრებს შიგნით, რომელთაც წარმოება და საქონლით ვაჭრობა განსაზღვრავენ — განვითარებას, აქვს საკუთარი ბუნებით განსაზღვრული განსაკუთრებული კანონები და ფაზები. ხოლო როცა ამას ისიც დაემატება, რომ ფულით ვაჭ-

რობა ამ თავის შემდგომ განვითარებაში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ხარჯზე განვითარდება ისე, რომ ეს ფასიანი ქაღალდები არა მარტო სახელმწიფო ქაღალდებს წარმოადგენენ, არამედ მათ დაემატება კიდევ სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა აქციებიც, და, ამრიგად, ფულით ვაჭრობა მოიპოვებს პირდაპირ ბატონობას წარმოების იმ ერთ ნაწილზე, რომელიც საერთოდ და მთლიანად მასზე ბატონობს, — მაშინ ფულით ვაჭრობის უკუქმედება წარმოებაზე კიდევ უფრო ძლიერდება და რთულდება. ბანკირები არიან რკინიგზების, მაღაროების, სამადნოების და სხვ. მესაკუთრენი. წარმოების ეს საშუალებანი ორმაგ ხასიათს იღებენ; მათი მუშაობა უნდა შეეგუოს ხან უშუალო წარმოების ინტერესებს, ხან კი აქციონერთა მოთხოვნებს, რამდენადაც თვითონ ისინი ბანკირები არიან. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ჩრდილო-ამერიკის რკინიგზები, რომელთა მთელი მუშაობა ამჟამად დამოკიდებულია ვიღაც ჯეი გულდის, ვანდერბილტის და სხვათა საბირჟო ოპერაციებზე, რომლებიც სრულიად უცხოა ცალკეული გზის, როგორც სამიმოსვლო საშუალების, საქმიანობისა და ინტერესებისათვის. და აქაც კი, ინგლისში, ჩვენ ვხედავდით ათეული წლების მანძილზე სხვადასხვა სარკინიგზო საზოგადოებათა ბრძოლას მათი ტერიტორიების საზღვრების დასადგენად, ბრძოლას, რომელიც უამრავი ფულის ფლანგვას იწვევდა, არა წარმოებისა და მიმოსვლის ინტერესებისათვის, არამედ მარტოოდენ იმ მეტოქეობის გამო, რომლის მიზანიც მხოლოდ ის იყო, რომ აქციების მფლობელ ბანკირთათვის საბირჟო ოპერაციები გაეადვილებინა.

ამ რამდენიმე შენიშვნით იმის თაობაზე, თუ როგორ მესმის მე წარმოების დამოკიდებულება საქონლით ვაჭრობისადმი და ორივეს დამოკიდებულება ფულით ვაჭრობისადმი, ძირითადად უკვე გიპასუხეთ თქვენს შეკითხვაზე საერთოდ ისტორიული მატერიალიზმის შესახებ. ამ საკითხის გაგება ყველაზე ადვილად შეიძლება შრომის დანაწილების თვალსაზრისით. საზოგადოება წარმოშობს გარკვეულ საერთო ფუნქციებს, ურომლისოდაც იგი ოლად ვერ წავა. ამისათვის მოწოდებული ადამიანები ქმნიან შრომის დანაწილების ახალ დარგს საზოგადოების შიგნით. ამასთანავე მათ უჩნდებათ განსაკუთრებული ინტერესები აგრეთვე იმათ საწინააღმდეგოდაც, ვინც ისინი უფლებებით აღჭურვა; ისინი მათ მიმართ დამოუკიდებელი ხდებიან და სახელმწიფოც ჩნდება. შემდეგ იგივე ხდება, რაც საქონლით ვაჭრობის და უფრო გვიან ფულით

ვაჭრობის დროს: ახალი დამოუკიდებელი ძალა საერთოდ და მთლიანად უნდა მიჰყვებოდეს წარმოების მოძრაობას, მაგრამ ეს ძალა, თავის მხრივ, გავლენას ახდენს წარმოების პირობებსა და მსვლელობაზე მისთვის დამახასიათებელი, ე. ი. მის მიერ ერთხელ მიღებული და თანდათანობით შემდგომ განვითარებული შეფარდებითი დამოუკიდებლობის ძალით. ეს არის ორი უთანასწორო ძალის ურთიერთქმედობა: ერთი მხრივ, ეკონომიური მოძრაობისა, მეორე მხრივ კი, ახალი პოლიტიკური ძალაუფლებისა, რომელიც რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვის და რომელსაც აგრეთვე, რაკი მან ერთხელ ფეხი მოიკიდა, საკუთარი მოძრაობაც გააჩნია. ეკონომიური მოძრაობა საერთოდ და მთლიანად იკაფავს გზას, მაგრამ მანაც უნდა განიცადოს აგრეთვე თვით მის მიერვე შექმნილი და შეფარდებითი დამოუკიდებლობის მქონე პოლიტიკური მოძრაობის უკუმოქმედება. ეკონომიურ მოძრაობაზე გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, სახელმწიფო ძალაუფლების მოძრაობა, მეორე მხრივ, ამ სახელმწიფო ძალაუფლებასთან ერთდროულად წარმოშობილი ოპოზიცია. ისე, როგორც ფულის ბაზარში აისახება საერთოდ და მთლიანად, და ზემოალნიშნული შენიშვნებით, სამრეწველო ბაზრის მოძრაობა და, რა თქმა უნდა, აისახება უკუღმართად, ასევე მთავრობასა და ოპოზიციას შორის არსებულ ბრძოლაში აისახება უკვე აქამდე არსებული და მებრძოლი კლასების ბრძოლა. მაგრამ ასევე უკუღმართად უკვე პირდაპირ კი არა, არამედ არაპირდაპირ, არა როგორც კლასთა ბრძოლა, არამედ როგორც ბრძოლა პოლიტიკური პრინციპებისათვის, და თანაც ისე უკუღმართად, რომ საჭირო გახდა ათასეული წლები, ვიდრე შეეძლებდით გამოგვეცნო, თუ რაში იყო საქმე.

სახელმწიფო ძალაუფლების უკუმოქმედება ეკონომიურ განვითარებაზე შეიძლება იყოს სამგვარი: ის შეიძლება მოქმედებდეს იმავე მიმართულებით, — მაშინ საქმე უფრო სწრაფად მიდის; იგი შეიძლება ეკონომიური განვითარების წინააღმდეგ მოქმედებდეს, — მაშინ ის, როგორც ეს დღესდღეობით ყოველ დიდ ხალხში ხდება, დიდი ხნით კრახს განიცდის; ან მას შეუძლია ეკონომიურ განვითარებას გარკვეული მიმართულებით გზა გადაუკრას და სხვა მიმართულება მოახვიოს თავს. ეს შემთხვევა საბოლოოდ ზემოალნიშნული ორი შემთხვევიდან ერთ-ერთ შემთხვევაზე დაიყვანება. მაგრამ ცხადია, რომ მეორე და მესამე შემთხვევაში პოლიტიკურ ძალაუფლებას შეუძლია უდიდესი ზიანი მიაყენოს ეკონომიურ გან-

ვითარებას და ძალთა და საშუალებათა მასობრივი გაფლანგვა გამოიწვიოს.

გარდა ამისა, არის კიდევ დაპყრობებისა და ეკონომიური რესურსების ტლანქი განადგურების შემთხვევა, რის გამოც უწინ გარკვეულ ვითარებებში შეიძლებოდა დაღუპულიყო ამა თუ იმ ტერიტორიის და ერის მთელი ეკონომიური განვითარება. ახლა ასეთ შემთხვევებს დიდ ხალხში მაინც, საწინააღმდეგო შედეგები მოსდევს: ხანდახან დამარცხებული საბოლოოდ ზოგჯერ უფრო მოგებული რჩება ეკონომიურადაც, პოლიტიკურადაც და მორალურადაც, ვიდრე გამარჯვებული.

იგივე ითქმის სამართალზეც. როგორც კი საჭირო ხდება შრომის ახალი დანაწილება, რომელიც პროფესიონალ იურისტებს წარმოშობს, მაშინვე კვლავ ჩნდება ახალი დამოუკიდებელი დარგი, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად დამოკიდებულია წარმოებასა და ვაჭრობაზე, — მაინც გააჩნია განსაკუთრებული უნარი იმისა, რომ უკუიმოქმედოს ამ დარგებზე. თანამედროვე სახელმწიფოში სამართალი არა მარტო უნდა შეესაბამებოდეს საერთო ეკონომიურ მდგომარეობას, არა მარტო მისი გამოხატულება უნდა იყოს, არამედ ის უნდა იყოს აგრეთვე შ ი ნ ა გ ა ნ ა დ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი გამოხატულება და მისი შინაგანი წინააღმდეგობანი მასვე არ უნდა სცემდეს სახეში. ხოლო იმისათვის, რომ ამას მიაღწიონ, ეკონომიურ ურთიერთობათა ასახვის სიზუსტეს სულ უფრო და უფრო არღვევენ. ამგვარი მოვლენა იმდენად უფრო ხშირად გვხვდება, რამდენადაც უფრო იშვიათად ხდება, რომ კანონთა კოდექსი წარმოადგენს ერთი რომელიმე კლასის ბატონობის მკვეთრ, შეურბილებელ და გაუყალბებელ გამოხატულებას, ეს კი ისეთი რამ იქნებოდა, რაც «სამართლის იდეას» ეწინააღმდეგება. 1792 — 1796 წწ. ეპოქის რევოლუციური ბურჟუაზიის წმინდა, თანამიმდევრული სამართლის იდეა ხომ უკვე ნაპოლეონის კოდექსშია მრავალმხრივ გაყალბებული, ხოლო ის, რაც მასში უკვე განხორციელებულია, ყოველდღიურად უნდა განიცდიდეს ყოველგვარ შერბილებას პროლეტარიატის მზარდი ძალის შემწეობით. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ ნაპოლეონის კოდექსი კანონთა ის კრებული ყოფილიყოს, რომელიც საფუძვლად დაედო ყველა ახალ კოდიფიკაციას მსოფლიოს ყველა ნაწილში. ჭეშმარიტად, «სამართლის განვითარების» მსვლელობა მეტწილად მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ ცდილობენ თავიდან აიცილონ ის წინააღმდეგობანი, რომელნიც გამომდინარეობენ ეკონომიურ ურთიერთობა-

თა იურიდიულ პრინციპებში უშუალო გადატანიდან, და დაამყარონ ჰარმონიული სამართლის სისტემა. მაგრამ მერე შემდგომი ეკონომიური განვითარების ზეგავლენა და მაიძულებელი ძალა კვლავ ნუდამ არღვევენ ამ სისტემას და მას ახალ წინააღმდეგობებში ხლართავენ (მე აქ ჯერჯერობით მხოლოდ სამოქალაქო სამართალზე ვლაპარაკობ).

ეკონომიური ურთიერთობების ასახვა სამართლის პრინციპების სახით აუცილებლად ასევე თავდაყირაა დაყენებული. ეს ასახვა ისე ხდება, რომ ეს პროცესი მოქმედ პირთა ცნობიერებამდე ვერ აღწევს; იურისტს წარმოუდგენია, რომ ის აპრიორული დებულებებით ხელმძღვანელობს, მაშინ როდესაც ეს დებულებანი მხოლოდ ეკონომიურ ანარეკლს წარმოადგენენ. ამრიგად, ყველაფერი თავდაყირა დგას. რომ ეს თავდაყირა დგომა, რომელიც, ვიდრე ის ჯერ კიდევ შემეცნებული არაა, ჰქმნის იმას, რასაც ჩვენ იდეოლოგიურ შეხედულებას ვუწოდებთ, თავის მხრივ უკუგავლენას ახდენს ეკონომიურ ბაზისზე და რომ გარკვეულ საზღვრებში მას შეუძლია იგი შეცვალოს, ეს მე მგონია, თავისთავად იგულისხმება. სამემკვიდრეო სამართლის საფუძველი, თუ ოჯახის განვითარების ერთნაირ საფეხურს ვიგულისხმებთ, ეკონომიურია. მიუხედავად ამისა, ძალიან ძნელი იქნება იმის დამტკიცება, რომ, მაგალითად, ინგლისში ანდერძთა აბსოლუტურ თავისუფლებას, ანდა საფრანგეთში ამ თავისუფლების ძლიერ შეზღუდვას, ყველა თავის დეტალში მხოლოდ ეკონომიური მიზეზები ჰქონდეს. მაგრამ ერთიც და მეორეც მნიშვნელოვნად მოქმედებენ ეკონომიკაზე იმით, რომ გავლენას ახდენენ ქონების განაწილებაზე.

[რაც შეეხება იმ იდეოლოგიურ დარგებს, რომლებიც კიდევ უფრო მაღლა არიან ჰაერში ჩამოკიდებულნი, — რელიგია, ფილოსოფია და ა. შ., მათ აქვთ წინაისტორიული შინაარსი, ისტორიული პერიოდის მიერ ნახული და ათვისებული, შინაარსი, რომელსაც ჩვენ დღეს უარზობას ვუწოდებდით. ამ სხვადასხვა ყალბ წარმოდგენას ბუნებაზე, თვით ადამიანის არსებაზე, სულებზე, ჯადოსნურ ძალებზე და ა. შ. უმეტესწილად მხოლოდ უარყოფითი ეკონომიური პირობები უდევთ საფუძვლად; წინაისტორიული პერიოდის დაბალ ეკონომიურ განვითარებას თავისი დამატების სახით, ხოლო ზოგჯერ პირობისა და მიზეზის სახითაც კი შემცდარი წარმოდგენები ჰქონდა ბუნებაზე. და თუმცა ეკონომიური მოთხოვნილება იყო და დროთა ვითარებაში სულ უფრო მეტად და მეტად ხდებოდა მთავარი მამოძრავებელი ძალა ბუნების პროგრესული

შემეცნებისა, — მაინც პედანტობა იქნებოდა, რომ ყველა ამ პირველყოფილ უაზრობის ასახსნელად ეკონომიური მიზეზები გვეძებნა. მეცნიერებათა ისტორია ამ უაზრობის თანდათანობითი მოშორების ისტორიაა, ანდა მისი ახალი, მაგრამ მაინც სულ უფრო და უფრო ნაკლებად აბსურდული უაზრობით შეცვლის ისტორიაა. ის ადამიანები, რომლებიც ამაზე ზრუნავენ, კვლავ შრომის დანაწილების განსაკუთრებულ სფეროს ეკუთვნიან, და მათ ჰგონიათ, რომ ისინი დამოუკიდებელ დარგს ამუშავებენ. და რამდენადაც ისინი შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შიგნით დამოუკიდებელ ჯგუფს ჰქმნიან, იმდენად მათი ნაწარმოებები, მათი შეცდომების ჩათვლით, უკუგავლენას ახდენენ მთელ საზოგადოებრივ განვითარებაზე, ეკონომიურზეც კი. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ისინი მაინც თვითონ კვლავ ეკონომიური განვითარების გაბატონებული გავლენის ქვეშ იმყოფებიან. მაგალითად, ფილოსოფიაში ამის დამტკიცება ყველაზე ადვილია მისი ბურჟუაზიული პერიოდისათვის. ჰობსი პირველი თანამედროვე მატერიალისტი იყო (XVIII საუკუნის აზრით), მაგრამ აბსოლუტისტი იყო იმ ხანაში, როცა აბსოლუტური მონარქია მთელს ევროპაში აყვავების პერიოდს განიცდიდა, ხოლო ინგლისში ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება. ლოკი რელიგიაში ისე, როგორც პოლიტიკაშიც 1688 წლის კლასობრივი კომპრომისის პირმშო იყო. ინგლისელი დეისტები და მათი უფრო თანამიმდევარი განმგრძობნი — ფრანგი მატერიალისტები, ბურჟუაზიის ნამდვილი ფილოსოფოსები იყვნენ, ფრანგები ბურჟუაზიული რევოლუციის ფილოსოფოსებიც კი იყვნენ. გერმანულ ფილოსოფიაში კანტიდან ჰეგელამდე მოჩანს გერმანელი ბურჟუაზიული ფილისტერი ხან დადებითად, ხან უარყოფითად. მაგრამ ყველა ეპოქის ფილოსოფიას, როგორც შრომის დანაწილების განსაკუთრებულ დარგს, წანამძღვარად აქვს გარკვეული სააზროვნო მასალა, რომელიც მას წინამორბედებისაგან გადმოეცა და რომლიდანაც ის გამოდის. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებს მაინც შეუძლიათ ფილოსოფიაში პირველი როლი შეასრულონ: მე-18 საუკუნის საფრანგეთი ინგლისის მიმართ, რომლის ფილოსოფიასაც ფრანგები ეყრდნობოდნენ, ხოლო შემდეგ გერმანია პირველი ორის მიმართ. მაგრამ, როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაში ფილოსოფია და ლიტერატურის საყოველთაო გაფურჩქვნა მაშინდელი ეპოქის ეკონომიური აღმავლობის შედეგი იყო. ეკონომიური განვითარების საბოლოო უპირატესობა ამ დარგებშიც ჩემთვის უდავოა, მაგრამ მას ადგილი აქვს თვით ამა თუ

იმ ცალკეული დარგის მიერ ნაკარნახევი პირობების ფარგლებში: ფილოსოფიაში, მაგალითად, ეს ხდება იმ გზით, რომ ეკონომიური გავლენანი (რომლებიც თავიანთ მოქმედებას მეტწილად კვლავ პოლიტიკურ და ა. შ. სამოსელში ახვევენ) მოქმედებენ იმ არსებულ ფილოსოფიურ მასალაზე, რომელიც წინამორბედთაგან არის გადმოცემული. ეკონომიკა აქ არაფერს არ ქმნის ხელახლა, მაგრამ იგი განსაზღვრავს არსებული საზროვნო მასალის შეცვლისა და შემდგომი განვითარების სახეს და ამასაც კი იგი აკეთებს უმეტეს ნაწილად არაპირდაპირ, მაშინ როდესაც ფილოსოფიაზე უდიდეს პირდაპირ გავლენას ახდენენ პოლიტიკური, იურიდიული და მორალური რეფლექსები. რელიგიის შესახებ ყველაზე აუცილებელი მე უკვე ვთქვი ფოიერბახის შესახებ დაწერილ ბროშურის უკანასკნელ თავში.

მაშასადამე, თუ ბარტი ფიქრობს, რომ ჩვენ უარვყოფდით ეკონომიური მოძრაობის პოლიტიკურ და სხვ. ანარეკლთა ყველა და ყოველგვარ უკუგავლენას თვით ამ მოძრაობაზე, იგი უბრალოდ ქარის წისქვილებს ებრძვის. საჭიროა მხოლოდ მან ჩაიხედოს ან მარქსის «18 ბრიუმერში», სადაც ლაპარაკია თითქმის მარტოოდენ იმ განსაკუთრებულ როლზე, რომელსაც პოლიტიკური ბრძოლები და მოვლენები ასრულებენ, რა თქმა უნდა, ეკონომიური პირობებისაგან მათი საყოველთაო დამოკიდებულების ფარგლებში; ან ნახოს «კაპიტალი», მაგალითად, განყოფილება სამუშაო დღის შესახებ, სადაც ნაჩვენებია, თუ რა გადამწყვეტ გავლენას ახდენს კანონმდებლობა, რომელიც თავად ხომ პოლიტიკურ აქტს წარმოადგენს, ანდა ნახოს ის განყოფილება, რომელიც მიძღვნილია ბურჟუაზიის ისტორიისადმი (24-ე თავი). მაშ, რატომლა ვიბრძვით ჩვენ პროლეტარიატის პოლიტიკური დიქტატურისათვის, თუ კი პოლიტიკური ძალაუფლება ეკონომიურად უძლურია? ძალადობა (ე. ი. სახელმწიფო ძალაუფლება) აგრეთვე ეკონომიური ძალაც არის!

მაგრამ ახლა მე დრო არა მაქვს იმისათვის, რომ თვით წიგნი გავაკრიტიკო. ჯერ უნდა გამოვიდეს («კაპიტალის») III ტომი,[1] თანაც ამის გაკეთება ჩინებულად შეუძლია, მაგალითად, ბერნშტაინს.

რაც ყველა ამ ვაუბატონებს აკლიათ—ეს არის დიალექტიკა. ისინი მუდამ აქ მხოლოდ მიზეზს ხედავენ, იქ—შედეგს. ისინი ვერ ხედავენ, რომ ეს ცარიელი აბსტრაქციაა, რომ ნამდვილ სამყაროში

[1] მარქსის «კაპიტალი». რედ.

ასეთი მეტაფიზიკური, პოლარული დაპირისპირებანი მხოლოდ კრიზისების დროს არსებობს, ვერ ხედავენ, რომ მთელი დიადი პროცესი ძალთა ურთიერთქმედების ფორმით მიმდინარეობს,— თუმცაღა ურთიერთმოქმედი ძალები მეტად არათანასწორნი არიან: ეკონომიური მოძრაობა მათ შორის ყველაზე ძლიერი, ყველაზე თავდაპირველი, ყველაზე გადამწყვეტია,—რომ აქ აბსოლუტური არაფერია, არამედ ყველაფერი შეფარდებითია. მათთვის ჰეგელი არ არსებობდა.

ენგელსი—ფ. მერინგს

ლონდონი, 14 ივლისი 1893 წ.

მხოლოდ დღეს შევძელი, როგორც იქნა, მადლობა მოგახსენოთ თქვენ მიერ თავაზიანად გამოგზავნილი წიგნისათვის «ლეგენდა ლესინგზე». მე მინდა არა მარტო წიგნის მიღების ფორმალური დასტური გამოგიგზავნოთ, არამედ იმავე დროს რაღაც ვთქვა თვით წიგნზე, მის შინაარსზე. ესაა მიზეზი პასუხის დაგვიანებისა.

მე ვიწყებ ბოლოდან—დანართიდან ისტორიული მატერიალიზმის შესახებ[1], რომელშიაც მთავარი ფაქტები თქვენ ჩინებულად და დამაჯერებლად გადმოეცით ყველა იმათთვის, ვინც კი თავისუფალია წინასწარ აკვიატებული აზრისაგან. თუ კი რამ ნაკლს ვპოულობ მე მასში, ეს ისაა, რომ თქვენ მე უფრო მეტ დამსახურებას მომაწერთ, ვიდრე მეკუთვნის, თუნდაც ყველაფერი ის რომ ჩავთვალო, რასაც მე შეიძლება დროთა განმავლობაში დამოუკიდებლად აღმოვაჩენდი,— მაგრამ რაც მარქსმა, რომელსაც უფრო სწრაფი და გამჭრიახი თვალი და უფრო ფართო ჰორიზონტი ჰქონდა, ბევრად ადრე აღმოაჩინა. ის, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება ორმოცი წლის განმავლობაში ისეთ ადამიანთან ერთად ემუშავნა, როგორიც მარქსი იყო, ასეთი ადამიანის სიცოცხლეში, ჩვეულებრივ ვერ სარგებლობს იმ აღიარებით, რისი იმედიც მას თითქოს უნდა ჰქონოდა, მაგრამ როდესაც დიდი ადამიანი გარდაიცვლება, მაშინ მის უფრო ნაკლებ მნიშვნელოვან თანამებრძოლს ადვილად დაუწყებენ ხოლმე გადაჭარბებით შეფასებას, და აი, როგორც ჩანს, მეც სწორედ ახლა ეგ მხვდა წილად; ისტორია საბოლოოდ

[1] მერინგის სტატია «ისტორიული მატერიალიზმის შესახებ» დაიბეჭდა 1893 წ. მისი წიგნის «ლეგენდა ლესინგზე» დანართის სახით. რ ე დ.

ყოველივე ამას მოაწესრიგებს, მაგრამ მანამდე მე ცოცხალიც აღარ ვიქნები და აღარც არაფერი მეცოდინება.

გარდა ამისა, აკლია კიდევ მხოლოდ ერთი პუნქტი, რომელიც არც მარქსის და არც ჩემს შრომებში, როგორც წესი, საკმაოდ არაა ხაზგასმული, და ამ მიმართულებით ბრალი ჩვენ ყველას ერთნაირად მიგვიძღვის. სახელდობრ, ჩვენ ყველანი მთავარ მნიშვნელობას ვანიჭებდით პოლიტიკური, იურიდიული და სხვა იდეოლოგიური წარმოდგენებისა და ამ წარმოდგენებით განპირობებული მოქმედებების გამოყვანას ძირითადი ეკონომიური ფაქტებიდან, რომლებიც მათ საფუძვლად უდევს და ასევე უნდა მოქცეულიყავით. ამასთან შინაარსის გულისთვის ჩვენ მაშინ უყურადღებოდ ვტოვებდით ფორმალურ მხარეს: როგორ და რა წესით, რა გზით ხდება ამ წარმოდგენების წარმოქმნა და სხვ. ამან შემდეგ ჩვენს მოწინააღმდეგეებს სასურველი საბაბი მისცა საიმისოდ, რომ იგი არასწორად გაეგოთ და, აგრეთვე გაეყალბებინათ, რის თვალსაჩინო მაგალითს პაულ ბარტი წარმოადგენს.

იდეოლოგია ისეთი პროცესია, რომელსაც ეგრეთწოდებული მოაზროვნე ასრულებს, თუმცა ცნობიერებით, მაგრამ ყალბი ცნობიერებით. ნამდვილი მამოძრავებელი ძალები, რომელნიც მას ამოძრავებენ, მისთვის უცნობი რჩებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არც იქნებოდა იდეოლოგიური პროცესი. ამრიგად, მას წარმოდგენილი აქვს ყალბი ანუ მოჩვენებითი მამოძრავებელი ძალები. ვინაიდან ის აზროვნებითი პროცესია, ამიტომ როგორც მისი შინაარსი, ისე მისი ფორმა წმინდა აზროვნებიდან, ან თავისი საკუთარი ან წინამორბედების აზროვნებიდან გამოჰყავს. ის მარტოოდენ საზროვნო მასალით მუშაობს, რომელიც მას პირდაპირ მიაჩნია როგორც აზროვნებით წარმოშობილი და მეტს არ იკვლევს უფრო დაშორებული, აზროვნებისაგან დამოუკიდებელი პროცესის მიხედვით. ეს მას თავისთავად გასაგებად მიაჩნია, ვინაიდან მას ჰგონია, რომ ყოველგვარი ადამიანური მოქმედება საბოლოო ანგარიშით აზროვნებაზეა დაფუძნებული, იმიტომ რომ აზროვნების საშუალებით ხდება.

ისტორიულ იდეოლოგს (ისტორიული აქ უბრალოდ შემკრებელობით ცნებას ნიშნავს: პოლიტიკური, იურიდიული, ფილოსოფიური, თეოლოგიური და მოკლედ ყველა იმ დარგისათვის, რომელიც საზოგადოებას და არა მარტო ბუნებას ეკუთვნის)— ისტორიულ იდეოლოგს, მაშასადამე, თვითეულ მეცნიერულ სფეროში გარკვეული მასალა გააჩნია, რომელიც წინანდელ თაობათა

აზროვნებიდან დამოუკიდებლად წარმოშობილა და ამ ერთიმეორის მომდევნო თაობათა გონებაში დამოუკიდებელი განვითარების გზები გაუვლია. რასაკვირველია, ამ განვითარებაზე შეიძლება ზეგავლენა მოეხდინათ თანაგამსაზღვრელ მიზეზთა სახით გარეგან ფაქტებსაც, რომელნიც ამა თუ იმ სფეროს ეკუთვნიან, მაგრამ ეს ფაქტები, მდუმარე უსიტყვო აღიარების თანახმად, მაინც კვლავ აზროვნებითი პროცესის ნაყოფნი არიან, და, ამრიგად, ჩვენ ისევ მაინც წმინდა აზროვნების სფეროში ვრჩებით, რომელიც თვით ყველაზე შეუპოვარ ფაქტებსაც კი თითქოს ბედნიერად ინელებს.

სახელმწიფო კონსტიტუციების, სამართლის სისტემების, თეითეული ცალკე დარგის იდეოლოგიური წარმოდგენების ფორმათა დამოუკიდებელი ისტორიის ეს მოჩვენებითობა უპირველეს ყოვლისა აბრმავებს სწორედ ადამიანთა უმრავლესობას. თუ ლუთერი და კალვინი «სძლევენ» ოფიციალურ კათოლიკურ რელიგიას, ჰეგელი «სძლევს» კანტსა და ფიხტეს, თუ რუსო თავისი რესპუბლიკური «საზოგადოებრივი ხელშეკრულებით» არაპირდაპირ «სძლევს» კონსტიტუციონალისტ მონტესკიეს, ეს არის პროცესი, რომელიც თეოლოგიის, ფილოსოფიის, სახელმწიფოს თეორიის ფარგლებში რჩება, აზროვნების ამ დარგების ისტორიაში ეტაპს წარმოადგენს და აზროვნების სფეროდან სრულიად არ გამოდის. ხოლო მას შემდეგ, რაც ამას ზედ დაერთო ბურჟუაზიული ილუზია კაპიტალისტური წარმოების მარადისობისა და აბსოლუტური სრულქმნილობის შესახებ, მას შემდეგ ფიზიოკრატებისა და ადამ სმიტის მიერ მერკანტილისტების თვით «ძლევაც» კი მხოლოდ აზრის შიშველ გამარჯვებად ითვლება, არა შეცვლილი ეკონომიური ფაქტების ანარეკლად აზროვნებაში, არამედ როგორც მუდმივ უცვლელად და ყველგან არსებულ ფაქტიურ პირობათა საბოლოოდ მოპოვებულ სწორ გაგებად; გამოდის, რომ რიჩარდ ლომგულსა და ფილიპე ავგუსტს, ჯვაროსანთა ლაშქრობაში ჩარევის ნაცვლად, ვაჭრობის თავისუფლება რომ შემოეღოთ, მაშინ ხუთასი წლის სიღატაკე და სირეგვნე თავიდან იქნებოდა აცილებული.

საქმის ამ მხარეს, რაც მე აქ მხოლოდ გაკვრით შემიძლია აღვნიშნო, ჩვენ ყველანი, მე მგონია, ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით, ვიდრე ის ამის ღირსი იყო. ეს ძველი ისტორიაა: დასაწყისში ყოველთვის შინაარსის გულისათვის ფორმას ყურადღებას არ აქცევენ. როგორც ვთქვი, მე თითონაც ასე ვიქცეოდი და შეცდომა მუდამ მხოლოდ შემდეგ მეცემოდა ხოლმე თვალში. ამიტომ მე არა

თუ აზრადაც არ მაქვს ამისათვის თქვენ გისაყვედუროთ, ამასთანავე, როგორც უფრო ძველ თანადამნაშავეს ამის უფლებაც კი არა მაქვს, პირიქით, მე მხოლოდ მინდოდა მიმექცია მომავლისათვის თქვენი ყურადღება ამ პუნქტზე.

ამასთან არის აგრეთვე დაკავშირებული იდეოლოგების სულელური წარმოდგენა: რადგან ჩვენ სხვადასხვა იდეოლოგიურ სფეროს, რომლებიც ისტორიაში რაღაც როლს თამაშობენ, დამოუკიდებელ ისტორიულ განვითარებას არ ვანიჭებთ, ამით ჩვენ უარვყოფთ ამასთანავე მათს ყოველგვარ ზემოქმედებას ისტორიაზე. ამას საფუძვლად უდევს ჩვეულებრივი არადიალექტიკური წარმოდგენა მიზეზსა და შედეგზე, როგორც უცვლელად ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ პოლუსებზე, საფუძვლად უდევს მათი ურთიერთზემოქმედების აბსოლუტური უგულებელყოფა; ეს ვაჟბატონები ხშირად თითქმის განზრახ ივიწყებენ, რომ ისტორიული მოვლენა, რაკიღა იგი ერთხელ წარმოიშვა სხვა, საბოლოო ანგარიშით ეკონომიური ფაქტებისაგან, თავის მხრივაც აგრეთვე გავლენას ახდენს და შეუძლია თავის გარემოზე და თვით თავის საკუთარ მიზეზებზეც კი უკუმოქმედოს. ასე, მაგალითად, ბარტი მღვდლების წოდებისა და რელიგიის შესახებ, თქვენს შრომაში, გვ. 475. მე ძალიან მომეწონა ის, რომ თქვენ ასე გაუსწორდით ამ დაუჯერებლად ბილწ სუბიექტს. და აი სწორედ მას ნიშნავენ ისტორიის პროფესორად ლაიპციგში! იქ ხომ მოხუცი ვაკსმუტი იყო, მართალია, ისიც ასეთივე გონებაშეზღუდული კაცია, მაგრამ ფაქტების დარგში ძალიან დიდი ალღო მაინც გააჩნია და სულ სხვა ყაიდის კაციცაა!

წიგნის შესახებ კი საერთოდ მე შემიძლია მხოლოდ ის გავიმეორო, რაც არა ერთხელ მითქვამს სტატიების თაობაზე, როდესაც ისინი «Neue Zeit»-ში ქვეყნდებოდა; ის ერთ-ერთი საუკეთესო გადმოცემაა, რაც კი რამ არსებობს პრუსიის სახელმწიფოს გენეზისის შესახებ, შემიძლია ვთქვა, რომ ის არის თვით ერთადერთი კარგი გადმოცემა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სწორად ხსნის ყველა ურთიერთკავშირს, თვით წვრილმან საკითხებსაც კი. მე მხოლოდ იმას ვწუხვარ, რომ თქვენ მაშინვე ერთბაშად ვერ მისწვდით მთელ შემდგომ განვითარებას თვით ბისმარკამდე, და უნებურად ვიმედოვნებ, რომ თქვენ ამას სხვა დროს გააკეთებთ და დაწყებული კურფიურსტ ფრიდრიხ-ვილჰელმიდან, ვიდრე მოხუც ვილჰელმამდე, მწყობრი დალაგებით მოგვცემთ საერთო სურათს. თქვენ ხომ წი-

ნასწარი სამუშაო უკვე ჩაატარეთ და, ძირითად საკითხებში მაინც, შეიძლება ითქვას, საბოლოოდაც. ეს კი უნდა გაკეთდეს მანამდე, სანამ მთელი მოძველებული ნაგებობა დაემხობოდეს. თუმცა მონარქიულ-პატრიოტული ლეგენდების დამსხვრევა არც წარმოადგენს აბსოლუტურად აუცილებელ წინაპირობას იმ მონარქიის მოსასპობად, რომელიც კლასობრივ ბატონობას ნიღბავს (ვინაიდან წ მ ი ნ დ ა, ბურჟუაზიული რესპუბლიკა გერმანიაში გავლილი ეტაპი აღმოჩნდა ისე, რომ ვერც კი მოასწრო წარმოშობა), მაგრამ იგი ამგვარი მოსპობისათვის მაინც ერთ-ერთ ყველაზე ძლიერად მოქმედი ბერკეტია.

მაშინ თქვენ უფრო მეტი გასაქანი და უფრო მეტი სპეციალური საბაბი გექნებათ პრუსიის ადგილობრივი ისტორიის, როგორც საერთო გერმანული საცოდავი ბედის ნაწილის, გამოსახატავად. აი სწორედ ეს არის ის პუნქტი, რომელშიაც მე ცოტა არ იყოს თქვენ არ გეთანხმებით. სახელდობრ, არ გეთანხმებით გერმანიის დაქუცმაცებისა და XVI საუკუნის გერმანული ბურჟუაზიული რევოლუციის დამარცხების მიზეზების თქვენს გაგებაში. თუ ჩემი «გლეხთა ომის» ისტორიული შესავალის ხელახლა გადამუშავების შემთხვევა მომეცა, რაც, იმედი მაქვს, მომავალ ზამთარს მოხდება, მაშინ მე იქ შევძლებ განვავითარო სათანადო მომენტები. იმიტომ კი არა, რომ მე თქვენს მიერ მოყვანილ მიზეზებს არასწორად ვთვლიდე, არამედ მათ გვერდით მე ვაყენებ სხვა მიზეზებსაც და რამდენადმე სხვაგვარად გადავაჯგუფებ მათ.

გერმანიის ისტორიის შესწავლის დროს, ისტორიისა, რომელიც ერთ მთლიან უბადრუკობას წარმოადგენს, მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ მხოლოდ საფრანგეთის ისტორიის სათანადო ეპოქებთან შედარება გვაძლევს სწორ მასშტაბს, ვინაიდან იქ სწორედ იმის საწინააღმდეგო ხდება, რაც ჩვენში. იქ ნაციონალური სახელმწიფოს წარმოშობა ხდება ფეოდალური სახელმწიფოს დაქუცმაცებული წევრებისაგან, ჩვენში კი ამ დროს სწორედ ყველაზე უკიდურესი დაცემულობის პერიოდია, იქ—იშვიათი ობიექტური ლოგიკა მთელი პროცესის მსვლელობაში, ჩვენში კი—სულ უფრო და უფრო უიმედო რღვევა. იქ—შუა საუკუნეების პერიოდში უცხოელთა შემოსევა ინგლისელი დამპყრობელით არის წარმოდგენილი, რომელიც პროვანსული ეროვნულობის სასარგებლოდ ერევა ჩრდილო-ფრანგული ეროვნულობის წინააღმდეგ. ინგლისელებთან ომები იქ თავისებურ ოცდაათწლიან ომს წარმოადგენენ, მაგრამ იქ ეს

ომები უცხოელი ინტერვენტების განდევნითა და სამხრეთის ჩრდილოეთისადმი დამორჩილებით მთავრდება. შემდეგ ამას მოსდევს ცენტრალური ხელისუფლების ბრძოლა თავის უცხო სამფლობელოებზე დაყრდნობილი ბურგუნდიის ვასალის წინააღმდეგ, რომლის როლიც შეესატყვისება ბრანდენბურგ-პრუსიის როლს, მაგრამ ეს ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების გამარჯვებით და ნაციონალური სახელმწიფოს შექმნით მთავრდება. ჩვენში კი სწორედ ამ მომენტში ნაციონალური სახელმწიფო საბოლოოდ ირღვევა (თუ კი «გერმანულ სამეფოს» წმინდა რომის იმპერიის ფარგლებში შეიძლება ვუწოდოთ ნაციონალური სახელმწიფო) და იწყება გერმანიის მიწების დიდი მასშტაბით გაძარცვა. ეს გერმანელებისათვის უაღრესად სამარცხვინო შედარებაა, მაგრამ მით უფრო ჭკუის სასწავლოა, და მას შემდეგ, რაც ჩვენმა მუშებმა გერმანია კვლავ ისტორიული მოძრაობის პირველ რიგებში დააყენეს, ჩვენ შეგვიძლია რამდენადმე უფრო ადვილად გადავყლაპოთ წარსულის სირცხვილი.

გერმანული განვითარების სრულიად თავისებურ განმასხვავებელ ნიშანს კიდევ ის წარმოადგენს, რომ იმპერიის ის ორი შემადგენელი ნაწილი, რომელთაც ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს შორის გაიყვეს მთელი გერმანია, არც ერთი და არც მეორე წმინდა გერმანული არაა, არამედ ისინი იყვნენ კოლონიები დაპყრობილ სლავურ მიწებზე; ავსტრია—ბავარიის კოლონია, ბრანდერბურგი—საქსონიის კოლონია; და ძალაუფლება მათ თვით გერმანიაში მხოლოდ იმით მოიპოვეს, რომ თავიანთ უცხო, არაგერმანულ სამფლობელოებს ეყრდნობოდნენ: ავსტრია—უნგრეთს (აღარაფერს ვამბობთ ბოჰემიაზე), ბრანდენბურგი—პრუსიას. დასავლეთის საზღვარზე, რომელსაც ყველაზე მეტი ხიფათი მოელოდა, ამის მსგავსი არაფერი არ ყოფილა, ჩრდილოეთის საზღვარზე გერმანიის დაცვა დანიელებისაგან თვითონ დანიელებსვე მიანდეს, ხოლო სამხრეთი იმდენად ნაკლებ საჭიროებდა დაცვას, რომ მათ, ვისაც უნდა საზღვრები დაეცვათ—შვეიცარიელებმა,—თვითონვე შესძლეს გერმანიას გამოჰყოფოდნენ!

მაგრამ მე ყოველგვარმა მჯელობამ გამიტაცა; დაე ეს ყბედობა თქვენ იმის დასტურად მაინც გამოგადგეთ, თუ რა ცხოვლად დამაინტერესა თქვენმა შრომამ...

ენგელსი—ნ. ფ. დანიელსონს

ლონდონი, 17 ოქტომბერი 1893 წ.

... დიდი მადლობელი ვარ «ნარკვევების»[1] ეგზემპლარებისათვის; სამი მათგანი ისეთ მეგობრებს გავუგზავნე, რომელთაც შეფასება შეუძლიათ. მე მიხარია ის, რომ ეხედავ, წიგნმა მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება მოახდინა და ფაქტიურად სენსაციაც კი გამოიწვია, რაც სრულიად დამსახურებულია. რუსებს შორის, რომლებიც მე მხვდებოდნენ, იგი საუბრის მთავარ თემას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ გუშინ ერთი მათგანი მწერდა: ჩვენში, რუსეთში, დავა სწარმოებს «კაპიტალიზმის ბედზე რუსეთში». ბერლინის «Sozialpolitisches Centralblatt»[2]-ში ვიღაც ბატონმა პ. სტრუვემ გრძელი სტატია მოათავსა თქვენი წიგნის შესახებ; მე მას ერთ პუნქტში უნდა დავეთანხმო, რომ ჩემთვისაც განვითარების თანამედროვე კაპიტალისტური ფაზა რუსეთში იმ ისტორიული პირობების გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს, რომლებიც ყირიმის ომმა შეჰქმნა, იმ გზის შედეგს, რომლითაც განხორციელდა 1861 წლის ცვლილებები აგრარულ ურთიერთობაში და საერთოდ ევროპის პოლიტიკური სტაგნაციით. მაგრამ სტრუვე გადაჭრით არაა მართალი იმაში, რომ ის რუსეთის ახლანდელ მდგომარეობას შეერთებული შტატების მდგომარეობას ადარებს, რითაც მას სურს უარყოს ის, რასაც იგი თქვენს პესიმისტურ შეხედულებებს უწოდებს მომავლის შესახებ. ის ამბობს, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის დამლუპველი შედეგები რუსეთში ისევე ადვილად იქნება გადალახული, როგორც შეერთებულ შტატებში. ამასთან ის სრულიად ივიწყებს, რომ შეერთებული შტატები იმთავითვე თანამედროვე ბურჟუაზიული იყო; რომ შეერთებული შტატები დაარსებულია წვრილი ბურჟუებისა და გლეხების მიერ, რომლებიც ევროპის ფეოდალიზმს გაექცნენ, რათა წმინდა ბურჟუაზიული საზოგადოება შეექმნათ, მაშინ როდესაც, პირიქით, რუსეთში გვაქვს პირველყოფილი კომუნისტური ხასიათის ფუნდამენტი, გვაროვნული საზოგადოება, რომელიც უსწრებდა ცივილიზაციის ეპოქას და, რომელიც, მართალია, ფაქტიურად უკვე ნანგრევებად ქცეულა, მაგრამ მაინც

[1] ნიკოლაი-ონ. «Очерки нашего пореформенного общественного хозяйства. ს-პეტერბურგი, 1893. რ ე დ.

[2] გამოც. მესამე წელიწადი, № 1, 1 ოქტომბერი, 1893 წ. (ენგელსის შენიშვნა).

ამ ფუნდამენტს, იმ მასალას წარმოადგენს, რომელზეც კაპიტალისტური რევოლუცია (ვინაიდან იგი ნაძდვილი სოციალური რევოლუციაა) ბოქაქედებს და მუშაობს. ამერიკაში ფულის მეურნეობა საუკუნეზე მეტია, რაც დამყარდა, მაშინ როდესაც რუსეთში ნატურალური მეურნეობა თითქმის ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე საერთო წესს წარმოადგენდა. აქიტომ ცხადია, რომ ცვლილება რუსეთში ბევრად უფრო ძალდატანებითი, ბევრად უფრო გადამჭრელი უნდა იყოს და მას შეუდარებლად უფრო დიდი ტანჯვა უნდა სდევდეს თან, ვიდრე ამერიკაში.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, მე მაინც მგონია, რომ თქვენ საქმეს უფრო მუქ ფერებში ხედავთ, ვიდრე ეს ფაქტიურად მართლდება. უეჭველია, რომ პირველყოფილი აგრარული კომუნიზმის გადასვლა კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზმზე არ შეიძლება მოხდეს საშინელი გარდატეხის გარეშე თვით საზოგადოების შიგნით. არ შეიძლება მოხდეს მთელი კლასების გაქრობისა და მათი სხვა კლასებად გარდაქმნის გარეშე; ხოლო თუ რა უზარმაზარი ტანჯვა, ადამიანთა სიცოცხლისა და საწარმოო ძალთა გაფლანგვა მოსდევს მას აუცილებლად, ეს ჩვენ დასავლეთ ევროპაში დავინახეთ, თუმცა შედარებით ნაკლები მასშტაბით. მაგრამ აქედან დიდი და უაღრესად ნიჭიერი ხალხის სრულ დაღუპვამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა. ის სწრაფი მატება მოსახლეობისა, რომელსაც თქვენ მიჩვეული ხართ, შეიძლება შეფერხდეს; ტყეების უგუნურმა გაჩანაგებამ, ძველ მემამულეთა ისე, როგორც გლეხთა ექსპროპრიაციასთან ერთად, შეიძლება საწარმოო ძალთა კოლოსალური გაფლანგვა გამოიწვიოს; მაგრამ საბოლოოდ ეს მილიონზე მეტი მოსახლეობა საკმაო შინაგან ბაზარს ჰქმნის ფრიად მნიშვნელოვანი მსხვილი მრეწველობისათვის; და თქვენში, ისე როგორც ყველგან, საბოლოოდ ყველაფერი თავის თავად გათანაბრდება, რასაკვირველია, თუ კაპიტალიზმი დასავლეთ ევროპაში საკმაოდ დიდხანს გაგრძელდება.

თქვენ თვითონ აღიარებთ, რომ «სოციალური პირობები რუსეთში ყირიმის ომის შემდეგ არ იყო ხელსაყრელი წარმოების იმ ფორმის განვითარებისათვის, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ ჩვენი წარსული ისტორიიდან. მე უფრო შორს წავიდოდი და ვიტყოდი, რომ რუსეთში, ისე როგორც სხვაგანაც, შეუძლებელი იქნებოდა პირველყოფილი აგრარული კომუნიზმიდან განვითარებულიყო უფრო მაღალი სოციალური ფორმა, თუ კი ეს უფრო მაღალი ფორმა უკვე არ არსებობდა სხვა

რომელიმე ქვეყანაში და ნიმუშის სახით გამოყენებული არ იქნებოდა. ვინაიდან ეს უფრო მაღალი ფორმა — ყველგან, სადაც კი ის ისტორიულად შესაძლებელია, — წარმოების კაპიტალისტური ფორმისა და მის მიერ შექმნილი დუალისტური სოციალური ანტაგონიზმის აუცილებელ შედეგს წარმოადგენს, ამიტომ იგი არ შეიძლება უშუალოდ პირველყოფილი აგრარული თემიდან განვითარდეს, თუ არა უკვე სხვაგან არსებული მაგალითის წაბაძვით. დასავლეთ ევროპა 1860—1870 წლებში ამგვარი გადატრიალებისათვის რომ მომწიფებული ყოფილიყო, ეს გადატრიალება მაშინ ინგლისში, საფრანგეთში და ა. შ. რომ დაწყებულიყო, მაშინ რუსებზე იქნებოდა ჯერი მიმდგარი, რათა ეჩვენებინათ, თუ რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო მათი თემიდან, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ მეტნაკლებად ხელშეუხებელი იყო. მაგრამ დასავლეთი გაჩერებული იყო, ამგვარი გადატრიალების მოხდენა არ უცდია, ხოლო კაპიტალიზმი სულ უფრო და უფრო ჩქარა ვითარდებოდა. ასე რომ, რუსეთს სხვა არჩევანი აღარ ჰქონდა, გარდა შემდეგისა: ან უნდა განვითარებინა თემი წარმოების ისეთ ფორმად, რომლისაგანაც მას მთელი რიგი შუალედი ისტორიული სტადიები ჰყოფდა და რის განსახორციელებლადაც მაშინ თვით დასავლეთშიაც კი არ იყო პირობები მოიწიფებული,—მაშასადამე, ცხადია, რომ ეს შეუძლებელი ამოცანა იყო,—ანდა კაპიტალიზმის მიმართულებით უნდა განვითარებულიყო; განა სხვა რაღა დარჩენოდა, თუ არა ეს უკანასკნელი შესაძლებლობა?

რაც შეეხება თემს, იგი შესაძლებელია მხოლოდ იქამდე, სანამ ქონებრივი განსხვავება მის წევრებს შორის მცირეა. როგორც კი ეს განსხვავებანი გაიზრდება, როგორც კი მისი ზოგიერთი წევრი უფრო მდიდარი წევრების დავალიანებულ მონად გადაიქცევა, მაშინ ძისი შემდგომი არსებობაც შეუძლებელია. სოლონამდე ათენელმა კულაკებმა და სოფლის წურბელებმა ისეთივე ულმობელობითა და დაუნდობლობით გაანადგურეს ათენური გვარი, როგორც თქვენი ქვეყნის კულაკები და სოფლის წურბლები ანგრევენ თემს. მე ვშიშობ, რომ ეს დაწესებულება განწირულია დასაღუპად. მაგრამ, მეორე მხრივ, კაპიტალიზმი ახალ პერსპექტივებს და ახალ იმედებს შლის. შეხედეთ, თუ რა ჭქნა და რას აკეთებს იგი დასავლეთში. დიდი ერი, ისეთი როგორც თქვენი ერია, ყოველგვარ კრიზისს გადაიტანს. არ არსებობს ისეთი დიდი

ისტორიული უბედურება, რომელსაც თან არ მოსდევდეს რაიმე ამანაზღაურებელი, სამაგიერო ისტორიული პროგრესი, მხოლოდ მოქმედების სახე იცვლება. დაე აღსრულდეს გარდუვალი წილხვედრი!..

ენგელსი ~~ბ. შტარკენბურგს~~

ლონდონი, 25 იანვარი, 1894 წ.

მოწყალეო ხელმწიფევ!

გიპასუხებთ თქვენს კითხვებზე:

1. ეკონომიურ ურთიერთობებში, რომელთაც ჩვენ საზოგადოების ისტორიის განმსაზღვრელ ბაზისად ვთვლით, ვგულისხმობთ იმ წესს, რომლითაც გარკვეული საზოგადოების ადამიანები თავიანთ საარსებო საშუალებებს აწარმოებენ და ერთმანეთს შორის პროდუქტებს ცვლიან (რამდენადაც შრომის დანაწილება არსებობს). ამრიგად, მასში შედის წარმოებისა და ტრანსპორტის მთელი ტექნიკა. ეს ტექნიკა განსაზღვრავს, ჩვენი შეხედულების თანახმად, აგრეთვე გაცვლის წესსაც, შემდეგ, პროდუქტთა განაწილების წესსაც და, ამრიგად, გვაროვნული საზოგადოებრივი წყობილების დაშლის შემდეგ, აგრეთვე კლასებად დაყოფასაც, მაშასადამე, ბატონობისა და დამონების ურთიერთობებს, მაშასადამე, სახელმწიფოს, პოლიტიკას, სამართალსა და ა. შ.; ეკონომიურ ურთიერთობათა ცნებაში შედის აგრეთვე გეოგრაფიული საფუძველიც, რომელზეც ეს ურთიერთობანი ვითარდება, და ეკონომიური განვითარების ადრინდელ სტადიათა ნაშთები, ფაქტიურად წარსულიდან გადმოსულნი, რომელნიც შენახული რჩებიან ხშირად მხოლოდ ტრადიციის ან ინერციის ძალის მეოხებით, და აგრეთვე, რა თქმა უნდა, ის გარემო, რომელიც გარს არტყია საზოგადოების ამ ფორმას.

თუ ტექნიკა, როგორც თქვენ ამტკიცებთ, მეტწილად მეცნიერების მდგომარეობაზეა დამოკიდებული, მაშინ მეცნიერება გაცილებით მეტადაა დამოკიდებული ტექნიკის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებზე. როცა საზოგადოებას ტექნიკის მოთხოვნილება უჩნდება, მაშინ ეს მოთხოვნილება გაცილებით უფრო წინ სწევს მეცნიერებას, ვიდრე ათეული უნივერსიტეტი. მთელი ჰიდროსტატიკა (ტორიჩელი და ა. შ.) გამოწვეული იყო მთის ნაკადების მოწესრიგების საჭიროებით იტალიაში მე-16 და მე-17

საუკუნეებში. ელექტრობის შესახებ გონივრული რამ ჩვენ მხოლოდ მას შემდეგ გავიგეთ, რაც აღმოჩენილ იქნა მისი ტექნიკური გამოყენების გზა. გერმანიაში, სამწუხაროდ, მიეჩვივნენ მეცნიერებათა ისტორიის ისეთნაირად წერას, თითქოს ისინი ზეციდან ჩამოვარდნილიყვნენ.

2. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისტორიულ განვითარებას საბოლოოდ ეკონომიური პირობები განსაზღვრავენ. რასა კი თვითონ ეკონომიური ფაქტორია. მაგრამ აქ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ორი პუნქტი:

ა) ბოლიტიკური, სამართლებრივი, ფილოსოფიური, რელიგიური, ლიტერატურული, მხატვრული და სხვ. განვითარება დაფუძნებულია ეკონომიურ განვითარებაზე, მაგრამ ყველა ესენი გავლენას ახდენენ აგრეთვე ერთიმეორეზე და ეკონომიურ საფუძველზეც. საქმის ვითარება სულაც არაა ისე, თითქოს მხოლოდ ეკონომიური მდგომარეობაა ერთადერთი აქტიური მიზეზი, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი—მარტო პასიური შედეგი. არა, აქ არის ურთიერთმოქმედება იმ ეკონომიური აუცილებლობის საფუძველზე, რომელიც საბოლოოდ მუდამ იკაფავს გზას. სახელმწიფო, მაგალითად, გავლენას ახდენს მფარველობითი ბაჟების, ვაჭრობის თავისუფლების, კარგი თუ ცუდი საფინანსო სისტემის საშუალებით. გერმანელი მეშჩანინის საშინელი მიდუნებულობა და უძლურებაც კი, რაც შედეგი იყო გერმანიის ეკონომიურად უმწეო მდგომარეობისა 1648-1830 წლების პერიოდში და რაც გამოიხატა ჯერ პიეტიზმში, შემდეგ კი სანტიმენტალობაში და მეფეებისა და თავადაზნაურობის წინაშე მონურ ფორთხვაში, გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე. ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი დაბრკოლება ახალი აღმავლობის გზაზე და ეს დაბრკოლება მხოლოდ იმის გამო შეირყა, რომ რევოლუციურმა ომებმა და ნაპოლეონის ომებმა ქრონიკული სიღატაკე გაამწვავეს. მაშასადამე, არა ეკონომიური მდგომარეობის ავტომატური მოქმედება, როგორც ეს ზოგიერთს საქმის გასაადვილებლად წარმოუდგენია, არამედ ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ ისტორიას, მაგრამ ქმნიან გარკვეულ, მათს გამაპირობებელ გარემოში, იმ უკვე არსებულ ფაქტიურ ურთიერთობათა საფუძველზე, რომელთა შორის ეკონომიური პირობები, რა გინდ დიდიც იყოს მათზე დანარჩენი—პოლიტიკური და იდეოლოგიური—პირობების გავლენა, საბოლოოდ მაინც გადამწყვეტნი არიან და იმ ძაფს შეადგენენ, რომელიც წითელ ზოლად გასდევს

მთელ განვითარებას და რომელსაც ერთადერთს მივყავართ ამ განვითარების გაგებამდე.

ბ) ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ ისტორიას, მაგრამ დღემდე ისინი მას ჰქმნიდნენ არა ერთიანი საერთო ნებისყოფით, ერთიანი გეგმის მიხედვით, თვით გარკვეული, განსაზღვრული, მოცემული საზოგადოების ფარგლებშიც კი. მათი მისწრაფებანი ერთმანეთს ეჯვარედინებიან და სწორედ ამიტომ ყოველ ასეთ საზოგადოებაში ბატონობს აუცილებლობა, რომლის დამატება და გამოვლენის ფორმა შემთხვევითობაა. აუცილებლობა, რომელიც ყოველგვარი შემთხვევითობის მეშვეობით იკაფავს გზას,—საბოლოოდ ეკონომიური აუცილებლობაა. აქ ჩვენ მივადექით ეგრედწოდებული დიდი პიროვნებების საკითხს. ის გარემოება, რომ სწორედ ესა თუ ის დიდი პიროვნება ამა თუ იმ ქვეყანაში გარკვეულ ხანაში ჩნდება, რასაკვირველია, წმინდა შემთხვევითობაა, მაგრამ თუ ამ პიროვნებას მოვიშორებთ, გაჩნდება მოთხოვნა მისი სხვა პიროვნებით შეცვლისა და ასეთი შემცველელიც გამოჩნდება, ავად თუ კარგად, ბაგრამ დროთა ვითარებაში გამოჩნდება. რომ ნაპოლეონი, სწორედ ეს კორსიკელი, ის სამხედრო დიქტატორი იყო, რომელსაც ომით დაუძლურებული საფრანგეთის რეპუბლიკა საჭიროებდა, — ეს შემთხვევითობა იყო. მაგრამ ნაპოლეონი რომ არ ყოფილიყო, მის როლს სხვა ვინმე შეასრულებდა. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ყოველთვის, როცა კი ასეთი ადამიანი საჭირო ხდებოდა, იგი გამოინახებოდა ხოლმე: კეისარი, ავგუსტუსი, კრომველი და ა. შ. თუ ისტორიის მატერიალისტური გაგება მარქსმა აღმოაჩინა, ტიერი, მინიე, გიზო, ყველა ინგლისელი ისტორიკოსი 1850 წლამდე იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ ამ გაგებისაკენ ბევრი ისწრაფოდა, ხოლო მორგანის მიერ იმავე გაგების აღმოჩენა იმას ადასტურებს, რომ საამისოდ დრო უკვე მომწიფებული იყო და იგი სწორედ აღმოჩენილი უნდა ყოფილიყო.

ეს ითქმის ყველა სხვა შემთხვევითობაზე და ყოველივე იმაზე, რაც შემთხვევითობად გვეჩვენება ისტორიაში. რაც უფრო შორდება ეკონომიურ საფუძველს ის დარგი, რომელსაც ჩვენ ვიკვლევთ, და რაც უფრო უახლოვდება იგი წმინდა აბსტრაქტულ იდეოლოგიურ სფეროს, მით უფრო მეტ შემთხვევითობას ვხედავთ მის განვითარებაში, მით უფრო ზიგზაგისებურია მისი მრუდი. მაგრამ თუ დახაზავთ ამ მრუდის საშუალო ღერძს, დაინახავთ, რომ რაც უფრო გრძელია შესასწავლი პერიოდი, რაც უფრო ფართოა გამოსაკვლევი სფერო, მით უფრო უახლოვდება ეს ღერძი ეკონო-

მიური განვითარების ღერძს, მით უფრო მის პარალელურად მიდის იგი.

გერმანიაში სწორ გაგებას ის უდიდესი დაბრკოლება ეღობება წინ, რომ ლიტერატურაში ადგილი აქვს ეკონომიური ისტორიის შეუწყნარებელ უგულებელყოფას. ძალიან ძნელია არა მარტო ის, რომ გადაეჩკიო სკოლაში შესისლხორცებულ შეხედულებებს ისტორიის განვითარებაზე, არამედ კიდევ უფრო ძნელია შეაგროვო მასალა, რომელიც ამისთვის აუცილებელია. ვის წაუკითხავს, მაგალითად, თუნდაც მოხუცი გ. ფონ-გიულიხი[1], რომელსაც თავის მშრალი მასალების კრებულში ესოდენ ძვირფასი რამ აქვს მოთავსებული უამრავი პოლიტიკური ფაქტების გასაგებად!

საერთოდ კი, მე ვფიქრობ, რომ იმ საუცხოო ნიმუშს, რომელიც მარქსმა მოგვცა «18 ბრიუმერში», თქვენთვის საკმაოდ სრული პასუხი უნდა მოეცა თქვენს კითხვებზე და ეს სწორედ იმიტომ, რომ ის პრაქტიკული მაგალითია. ასევე მე ვფიქრობ, რომ ამ კითხვების მეტი ნაწილი განხილულია «ანტი-დიურინგში», ნაწილი I, თავი 9—11, და ნაწილი II, თავი 2—4, აგრეთვე ნაწილი III, თავი 1 ანდა შესავალში, გარდა ამისა «ფოიერბახის» უკანასკნელ თავშიც.

გთხოვთ ზემონათქვამიდან თვითეულ სიტყვას ძალიან ჩხრეკას ნუ დაუწყებთ, არამედ მუდამ მხედველობაში იქონიოთ საერთო კავშირი; სამწუხაროდ, დრო არ მქონდა, რომ თქვენთვის ყველაფერი ისე ნათლად და მკაფიოდ გადმომეცა, როგორც საჭიროა, თუ კი გამოსაქვეყნებლადაა განზრახული.

---

[1] უნგელსს მხედველობაში აქვს გ. გიულიხის მრავალტომიანი ნაშრომი «ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო სახელმწიფოთა ვაჭრობის, მრეწველობის და მიწათმოქმედების აღწერა», რომელიც გამოვიდა იენაში 1830—1845 წწ. რ ე დ.

ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი

მნიშვნელოვან სახელთა საძიებელი

ა

ა გ ა ს ი ზ ი (Agassiz), ლ უ ი (1807 — 1873) — შვეიცარიელი, მთელი რიგი შრომების ავტორი ზოოლოგიასა, გეოლოგიასა და პალეონტოლოგიაში — 245.

ა ვ გ უ ს ტ უ ს ი (63 ჩვ. წელთაღრიცხვამდე — 14 ჩვ. წელთაღრიცხვით) — რომის პირველი იმპერატორი — 326, 356, 614.

ა ლ ბ რ ე ხ ტ ი (Albrecht) («წინასწარმეტყველი») (1788 — 1844) — ვაიტლინგის ერთ-ერთი მიმდევარი, ქადაგებდა ქრისტეანულ სოციალიზმს შვეიცარიაში — 417.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე ლ ი (356—323 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — 255.

ა მ ი ა ნ მ ა რ ც ე ლ ი ნ ი (დაახლ. 330 — დაახლ. 400) — ანტიოქიელი ბერძენი, დაცემის პერიოდის რომის ისტორიკოსი — 266, 294.

ა ნ ა კ რ ე ო ნ ი (VI ს. შუახანა ჩვ. წ-მდე) — ძველი საბერძნეთის პოეტი-ლირიკოსი — 275.

ა ნ ა ქ ს ა გ ო რ ი (500 — 428 ჩვ. წ.-მდე) — ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი-მატერიალისტი — 104, 130.

ა ნ ა ქ ს ა ნ დ რ ი დ ი — სპარტელთა მეფე — 258.

ა ნ ე ნ კ ო ვ ი, პ ა ვ ლ ე ვ ა ს ი ლ ი ს-ძ ე (1812 — 1887) — რუსი ლიბერალი მემამულე, ლიტერატორი; ჰქონდა მიმოწერა მარქსთან — 533.

ა პ ი ა ნ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ი (II ს. ჩვ. წელთაღრიცხვით) — «რომის ისტორიის» ავტორი — 477.

ა პ ი უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს ი (V ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, გადმოცემით ე. წ. თორმეტი ტაბულის კანონების ერთ-ერთი შემდგენელი — 327.

ა რ ი ს ტ ი დ ე (დაახლ. 540 — დაახლ. 467 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის პოლიტიკური მოღვაწე, არისტოკრატიული პარტიის მომხრე, ათენიდან გაძეგებული — 320.

ა რ ი ს ტ ო ნ ე — სპარტელთა მეფე — 259.

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე (384 — 322 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი — 144, 310.

ა რ ი ს ტ ო ფ ა ნ ე (დაახლ. 450 — დაახლ. 385 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის დრამატურგი, პოლიტიკურ თემებზე სატირიკული კომედიების ავტორი — 259.

ა რ კ რ ა ი ტ ი (Arkwright), რ ი ჩ ა რ დ (1732 — 1792) — სართავი მანქანის გამომგონებელი — 120.

ა უ ე რ ი (Auer), ი გ ნ ა ც (1846 —

1907)—გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის წევრი, ოპორტუნიზმის ერთ-ერთი ლიდერი — 5, 7.

ბ

ბაბეფი (Babeuf), ფრანსუა ნოელ (ვრაკხი) (1760 — 1797) — ფრანგი რევოლუციონერი, კომუნისტ-უტოპისტი, ორგანიზატორი «თანასწორთა შეთქმულებისა», რომლის გამომჟღავნების შემდეგ იგი სიკვდილით დასჯეს — 131.

ბაილი (Bailly), ჟან-სილვენ (1736—1793)—საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პოლიტიკური მოღვაწე, ჟირონდისტი — 403.

ბაკლენდი (Buckland), უილიამ (1784 — 1856) — ინგლისელი გეოლოგი — 107.

ბაკუნინი, მიხეილ ალექსანდრეს-ძე (1814 — 1876) — 6, 7, 39, 54, 441, 463, 564, 566 — 568, 570, 578.

ბანგი (Bang), კატრინუს (1822 — 1898) — სკანდინავიური ლიტერატურის ისტორიკოსი, ნორგეგიელი, პროფესორი ქრისტიანიაში — 345.

ბანკროფტი (Bankroft), ჰუბერ (1832 — 1918) — ამერიკელი ეთნოგრაფი, ჩრდილოეთ ამერიკის ტომების მკვლევარი — 227, 243, 246, 370.

ბარბესი (Barbés), არმან (1809 — 1870) — ფრანგი რევოლუციონერი, წვრილბურჟუაზიული დემოკრატი — 407.

ბარტი (Barth), პაულ (1858 — 1922) — გერმანელი ბურჟუაზიული პუბლიცისტი; ილაშქრებდა მარქსიზმის წინააღმდეგ — 589, 591, 602, 604, 607.

ბაუერი (Bauer), ბრუნო (1809 — 1882) — გერმანელი პუბლიცისტი, მემარცხენე ჰეგელიანელი — 178, 441, 443, 445.

ბაუერი (Bauer), ჰენრიხ — გერმანელი მუშა, სამართლიანთა კავშირის გამოჩენილი მოღვაწე, კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი — 408, 409, 421, 424, 425.

ბახოფენი (Bachofen), იოჰანიაკობ (1815 — 1887) — შვეიცარიელი იურისტი და ისტორიკოსი, რომის სამართლის პროფესორი ბაზელში, პირველყოფილი სამართლის მკვლევარი—197, 198—201, 203, 206, 209, 222, 232, 233, 242, 244, 246, 251, 281.

ბებელი (Bebel), ავგუსტ (1840 — 1913) — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და გამოჩენილი მოღვაწე — 5, 7, 33, 43, 574, 580.

ბედა ღირსპატივსაცემი (დაახლ. 672 — 735) — ინგლისელი ბერი ბენედიქტინელი, მთელი რიგი ქრონიკებისა და ბიოგრაფიების ავტორი — 322.

ბეილი (Bayle), პიერ (1647 — 1706) — ფრანგი ფილოსოფოს-სკეპტიკოსი — 481.

ბეკერი (Becker), ავგუსტ (1814 — 1875) — გერმანელი პუბლიცისტი, ვაიტლინგელთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი შვეიცარიაში — 410.

ბეკერი (Becker), ბერნჰარდ (1826 — 1882) — საყოველთაო გერმანელი მუშათა კავშირის თავმჯდომარე ლასალის სიკვდილის შემდეგ — 8, 554.

ბეკერი (Becker), ვილჰელმ-ადოლფ (1796 — 1846) — გერმანელი ისტორიკოსი, კლასიკური არქეოლოგიის პროფესორი ლაიპციგში — 427.

ბეკერი (Becker), ჰერმან (1820 — 1885) — კომუნისტთა კავშირის წევრი, შემდეგში ნაციონალ-ლიბერალი — 302.

ბეკი (Beck), ალექსანდრე— მკერავი; სამართლიანთა კავშირის თემის ერთ-ერთი ორგანიზატორი მაგდებურგში — 410.

ბეკონი (Bacon), ფრენსის (1561 — 1626) — ინგლისელი ფილოსოფოსი-მატერიალისტი, პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოსი — 105, 107, 146.

ბემე (Böhme), იაკობ (1575 — 1624) — გერმანელი ფილოსოფოს-მისტიკოსი — 105.

ბერენდსი (Behrends), იულიუს — ბერლინელი ასოთამწყობი, ბურჟუაზიული დემოკრატი, 1848 წ. რევოლუციის მონაწილე — 401.

ბერვი, ვასილი ვასილის-ძე (ფსევდონიმი ფლეროვსკი) (1829 — 1918) — რუსი პუბლიცისტი-ნაროდნიკი, ავტორი წიგნისა «მუშათა კლასის მდგომარეობა რუსეთში» (1869) — 52.

ბერთელო (Berthelot), მარსელენ (1827 — 1907) — ფრანგი ქიმიკოსი, ორგანულ ნივთიერებათა პირველი სინთეზების ავტორი — 456.

ბერი (Baer), კარლ მაქსიმეს-ძე (1792 — 1876) — რუსი აკადემიკოსი, მეცნიერული ემბრიოლოგიის დამაარსებელი — 72.

ბერნშტაინი (Bernstein), ედუარდ (1850 — 1932) — გერმანელი სოციალ-დემოკრატი, უკიდურესი ოპორტუნისტი; ენგელსის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა მარქსიზმის რევიზიით — 602.

ბერნშტაინი (Börnstein), ჰენრიხ (1805 — 1892) — გერმანელი წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატი; 1848 წ. იმყოფებოდა პარიზში — 421.

ბისმარკი (Bismarck), ოტო (1815—1898)—20, 21, 41, 45, 167, 253, 387, 428, 498 , 552 — 554, 569, 572, 583, 606.

ბიუკლერი (Bückler), იოჰან (1779 — 1803) — ცნობილი რაინელი ყაჩაღი, მეტსახელად ჰანსტუავმძრობელი — 57.

ბიურგერსი (Bürgers), ჰენრიხ (1820 — 1878) — გერმანელი ჟურნალისტი, კომუნისტთა კავშირის წევრი, კომუნისტთა კელნის პროცესის ერთ-ერთი ბრალდებული; შემდეგში პროგრესისტი — 378, 427.

ბიუხნერი (Büchner), გეორგ (1813 — 1837)—გერმანელი დრამატურგი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე; ადამიანის უფლებათა საიდუმლო საზოგადოების დამაარსებელი ჰესენსა და დარმშტადტში (1834) — 408.

ბიუხნერი (Büchner), ლუდვიგ (1824 — 1899) — გერმანელი ექიმი, ბუნებისმეტყველების პოპულარიზატორი, ფილოსოფიაში ვულგარული მატერიალისტი— 448.

ბლაიხრედერი (Bleichröder), ჰერსონ (1822 — 1893) — გერმანიის ბანკის უფროსი ბერლინში, პრუსიის მთავრობის ფინანსიური ოპერაციების მონაწილე და ბისმარკის პირადი ბანკირი — 387.

ბლანი (Blanc), ლუი (1811 — 1882) — ფრანგი წვრილბურჟუაზიული სოციალისტი — 423, 426, 456.

ბლანკი (Blanqui), ლუიოგიუსტ (1805 — 1881) — ფრანგი რევოლუციონერი, კომუნისტ-უტოპისტი — 407.

ბლინდი (Blind), კარლ (1826 — 1907) — გერმანელი წვრილბურჟუაზიული ჟურნალისტი, 1848 წ. რევოლუციის მონაწილე; შემდეგში ნაციონალ-ლიბერალი და ბისმარკის მომხრე — 551.

ბლოხი (Bloch), იოსებ — ჟურნალ «Sozialistische Monatshefte»-ს რედაქტორი — 592.

ბოლინგბროკი (Bolingbroke), ჰენრი სენტ-ჯონ (1678 — 1751) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, კონსერვატორი; ფილოსოფიაში — მატერიალისტ-დეისტი — 117.

ბოლტე (Bolte), ფრიდრიხ — გერმანელი სოციალისტი, I ინტერნაციონალის მოღვაწე ამერიკაში — 563.

ბორნი (Born), სტეფანე (ნამდვილი გვარი ბუტერმილხ) (1824 — 1898) — გერმანელი მუშა, კომუნისტთა კავშირის წევრი, 1848 წ. რევოლუციის მონაწილე — 423.

ბორნშტედტი (Bornstedt), ადალბერტ (1808 — 1851) — გერმანელი პუბლიცისტი, პრუსიის მთავრობის საიდუმლო აგენტი საფრანგეთში — 421.

ბრაიტი (Bright), ჯონ (1811 — 1889) — ინგლისელი ლიბერალი, გაჭრობის თავისუფლების მომხრე; კობდენთან ერთად მეთაურობდა პარის კანონების წინააღმდეგ ბრძოლის ლიგას — 124, 499.

ბრაკე (Bracke), ვილჰელმ (1842 — 1880) — გერმანელი სოციალ-დემოკრატი, აიზენახელთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი — 5, 7, 33, 37, 580.

ბრენტანო (Brentano), ლუიო (1844 — 1931) — პოლიტიკური ეკონომიის გერმანელი პროფესორი, «კათედერ-სოციალისტი»; გაიფთრებით ესხმოდა თავს მარქსს გერმანელ ფაბრიკანტთა კავშირის ორგანოში — 127, 500.

ბროდჰერსტი (Broadhurst), ჰენრი (1840 — 1911) — ინგლისელი ტრედუნიონისტი, ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსი — 505.

ბრუნო (Bruno), ჯორდანო (1548 — 1600) — აღორძინების ეპოქის იტალიელი ფილოსოფოსი, რელიგიის წინააღმდეგ მებრძოლი — 64.

ბუგე (Bugge), სოფუს (1833 — 1907) — პროფესორი ოსლოში, ძველსკანდინაური ლიტერატურის ძეგლების კომენტატორი და გამომცემელი — 345.

ბუჟარი (Bougeart), ალფრედ (1815 — 1882) — ფრანგი პუბლიცისტი და ისტორიკოსი, მარატის შესახებ ორტომიანი წიგნის ავტორი — 402.

ბურბონები — საფრანგეთის სამეფო დინასტია, რომელიც მეფობდა საფრანგეთში XVI ს. დამლევიდან 1792 წლამდე და რესტავრაციის პერიოდში (1814—1930) — 473.

ბუშე (Buchez), ფილიპ-ჟოზეფ (1796 — 1865) — «კათოლიკური სოციალიზმის» იდეოლოგი საფრანგეთში, სენ-სიმონის მოწაფე; ქადაგებდა სამრეწველო კოოპერატივების შექმნას სახელმწიფოს დახმარებით — 25, 37.

ბ

გაიბ (Geib), ავგუსტ (1842 — 1879) — გერმანელი სოციალ-დემოკრატი; 1874 წლიდან რაიხსტაგის წევრი — 5, 7.

გაიუსი (II საუკ. ჩვ. წ-მდე) — რომაელი იურისტი, რომის სამართალში ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელოს შემდგენელი — 252.

გალე (Galle), **იოჰან-გოტფრიდ** (1812 — 1910) — გერმანელი ასტრონომი, რომელმაც 1846 წ. აღმოაჩინა პლანეტა ნეპტუნი — 446.

გეგი (Gögg), **ამანდ** (1820 — 1897) — გერმანელი დემოკრატი, 1849 წ. ბადენის რევოლუციური მთავრობის წევრი, მშვიდობისა და თავისუფლების ბურჟუაზიულ-პაციფისტური ლიგის ერთ-ერთი ლიდერი — 37, 426.

გერცენი, ალექსანდრე ივანეს-ძე (1812 — 1870) — 51, 53.

გიზო (Guizot), **ფრანსუა-პიერ** (1787 — 1874) — ფრანგი ბურჟუაზიული ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, მონარქისტი — 178, 473, 614.

გიულიხი (Gülich), **გუსტავ** (1791—1847)—გერმანელი ისტორიკოსი-ეკონომისტი — 615.

გიფენი (Giffen), **რობერტ** (1837 — 1910) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და სტატისტიკოსი — 173, 502, 521.

გლადსტონი (Gladstone), **რობერტსონ** — უ. გლადსტონის ძმა, ლივერპულელი კომერსანტი, ფრიტრედერი — 29.

გლადსტონი (Gladstone), **უილიამ** (1809 — 1898) — გამოჩენილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, ლიბერალური პარტიის ლიდერი XIX ს. მეორე ნახევარში — 308, 506, 566.

გოეთე (Goethe), **იოჰან-ვოლფგანგ** (1749 — 1832) — 229, 438, 450.

გრიგორ ტურელი (დაახლ. 540 — 594) — 573 წლიდან ეპისკოპოსი ქ. ტურში (გალია), ფრანკების ისტორიკოსი — 347.

გრიმი (Grimm), ძმები — **იაკობ** (1786 — 1863) და **ვილჰელმ** (1786 — 1859) — გერმანელი ფილოლოგები, გერმანული ენისა და ლიტერატურის მკვლევარები — 343.

გრიუნი (Grün), **კარლ-თეოდორ** (1817 — 1887) — გერმანელი პუბლიცისტი, ქ. წ. «ჭეშმარიტი სოციალიზმის» ერთ-ერთი წარმომადგენელი — 443.

გროვი (Grove), **უილიამ რობერტ** (1811 — 1896) — ინგლისელი ბუნებისმეტყველი — 70.

გროტი (Grote), **ჯორჯ** (1794 — 1871) — ინგლისელი ისტორიკოსი — 301, 303.

გულდი (Gould), **ჯეი** (1836 — 1892) — ამერიკელი ბანკირი, რკინიგზის მაგნატი — 597.

დ

დალტონი (Dalton), **ჯონ** (1766—1844) — ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, ატომური თეორიის დამფუძნებელი ქიმიაში — 71.

დანიელსი (Daniels), **როლანდ** (1819 — 1855) — კელნელი ექიმი, კომუნისტთა კავშირის წევრი, ერთ-ერთი ბრალდებული კომუნისტთა კელნის პროცესზე — 428.

დანიელსონი, ნიკოლოზ ფრანცის ძე (ფსევდონიმი ნიკოლაი-ონ) (1844 — 1918) — რუსი ეკონომისტი, ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგი, «კაპიტალის» პირველი მთარგმნელი რუსულ ენაზე — 609.

დანტე ალიგიერი (1265 — 1321) — 177.

დარვინი (Darwin), ჩარლზ (1809—1882) — 72, 78, 84, 86, 93, 148, 190, 207, 451, 467.

დეკარტე (Descartes), რენე (1596 — 1650) — ფრანგი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი; ფილოსოფიაში — დუალისტი, ფიზიკაში — მექანიკური მატერიალისტი — 65, 144, 447, 449, 589.

დემოკრიტე (დაახლ. 460 — 370 ჩვ. წ.-მდე) — ძველი ბერძენი ფილოსოფოს-მატერიალისტი, ატომისტიკის ერთ-ერთი დამაარსებელი — 104.

დემოსთენე (დაახლ. 384 — 322 ჩვ. წ.-მდე) — ძველი ბერძენი ორატორი — 301.

დეპრე (Deprez), მარსელ (1843 — 1918) — ფრანგი ინჟენერი, ცნობილი თავისი შრომებით ელექტრობაში — 191.

დიდრო (Diderot), დენი (1713—1784) — 144, 453.

დიზრაელი (Disraeli), ბენიამინ, ლორდი ბეკონსფილდი (1804 — 1881) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი, კონსერვატული პარტიის ლიდერი — 125.

დიკეარხე (IV საუკ. ჩვ. წ.-მდე) ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი, არისტოტელეს მოწაფე — 302.

დიოდორე სიციელელი (I საუკ. ჩვ. წ.-მდე) — ძველი ბერძენი ისტორიკოსი, ავტორი შრომისა აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის ისტორიაში — 345, 355.

დიონისე ჰალიკარნასელი (I საუკ. ჩვ. წ. მდე) — **რომაელი ისტორიკოსი, წარმოშობით ბერძენი — 306.**

დიცი (Dietz), გილჰელმ (1843 — 1922) — **გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, სოციალ-დემოკრატიული წიგნთგამომცემლობის მფლობელი შტუტგარდტში — 43, 45.**

დიურერი (Dürer), ალბრეხტ (1471 — 1528) — 63.

დიურინგი (Dühring), ევგენი (1833 — 1921) — 100, 101.

დიუროდელამალ (Düreau de la Malle), ადოლფ (1777 — 1857) — ფრანგი ისტორიკოსი, ავტორი შრომებისა ძველი რომისა და ჩრდილოეთ აფრიკის ეკონომიკაში — 336.

დიცგენი (Dietzgen), იოსებ (1828 — 1888) — **გერმანელი პროლეტარული ფილოსოფოს-მატერიალისტი, კომუნისტთა კავშირის წევრი, პროფესიით მუშა-მეტყავე — 466.**

დოდუელი (Dodwell), ჰენრი გარდაიცვალა 1784 წ.) — ინგლისელი ფილოსოფოს-მატერიალისტი — 106.

დრეიპერი (Draper), ჯონ უილიამ (1811 — 1882) — ამერიკელი ბუნებისმეტყველი და ისტორიკოსი — 82.

დუნს სკოტი, იოან (დაახლ. 1265 — 1308) — ფრანციისკანელი ბერი, ინგლისური სქოლასტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი გვიანდელი წარმომადგენელი — 104.

ე

ევერბეკი (Ewerbeck) ავგუსტ-ჰერმან (1816 — 1860) — **გერმანელი ექიმი, კომუნისტთა კავშირის წევრი — 415, 427.**

ევკლიდე (IV — III საუკ. ჩვ. **წ.-მდე) — ძველი ბერძენი მათემატიკოსი — 64.**

ევრიპიდე (480 — 406 ჩვ. წ.-მდე) — ძველი ბერძენი დრამატურგი — 260.

ეკარიუსი (Eccarius), გეორგ (1818 — 1889) — გერმანელი მუშა-მკერავი, კომუნისტთა კავშირის წევრი, I ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს წევრი; შემდეგში ინგლისური ტრედ-უნიონისტური მოძრაობის მონაწილე — 417.

ეკატერინე II (1729 — 1796) — რუსეთის იმპერატორი (1762 — 1796) — 58.

ელსნერი (Elsner), კარლ-ფრიდრიხ (1809 — 1894) — გერმანელი დემოკრატი, პუბლიცისტი, პრუსიის ნაციონალური კრების წევრი (1848), ლიბერალური ბურჟუაზიის ერთ-ერთი ლიდერი ბრესლავლში — 401.

ენგელსი, ფრიდრიხ (1820 — 1895) — 7, 41, 45, 106, 128, 178, 179, 195, 210, 417, 421, 432, 506, 548, 549, 551, 554, 555.

ერჰარდტი (Frhardt), იოჰან ლუდვიგ (დაიბ. 1820 წ.) — ერთ-ერთი ბრალდებული კომუნისტთა კელნის პროცესზე, გამართლებულ იქნა სასამართლოს მიერ — 427.

ესპინასი (Espinas), ალფრედ (1844 — 1922) — ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი — 223, 224.

ესქილე (525—456 ჩვ. წ.-მდე) — ძველი ბერძენი დრამატურგი — 198, 199, 258, 307.

ეშენბახი, ვოლფრამ — იხ. ვოლფრამ ფონ ეშენბახი.

ვ

ვაგენერი (Wagener), ჰერმან (1815—1889) — გერმანელი პუბ-

ლიცისტი, ბისმარკის მიმდევარი — 554.

ვაგნერი (Wagner), რიხარდ (1813 — 1883) — გერმანელი კომპოზიტორი — 229.

ვაიტლინგი (Weitling), ვილჰელმ (1808 — 1871) — გერმანელი ხელოსანი, გერმანული უტოპიური გამთანაბრებელი კომუნიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, იმყოფებოდა ფურიეს გავლენის ქვეშ — 143, 410 — 413, 416, 424, 426.

ვაიცი (Waitz), გეორგ (1813 — 1886) — შუასაუკუნეების გერმანელი ისტორიკოსი — 349.

ვარიუსი, პუბლიუს კვინტილიუს (მოკლეს 9 წ. ჩვ. წელთაღრიცხვით) — რომაელი მეფისნაცვალი გერმანიაში — 326.

ვახსმუთი (Wachsmuth), ვილჰელმ (1784 — 1866) — გერმანელი ისტორიკოსი, პროფესორი ლაიპციგში; მთელი რიგი შრომების ავტორი ანტიკურობასა და ევროპის ისტორიაში — 260, 606.

ვეიდემაიერი (Weydemeyer), იოსებ (1818 — 1866) — გერმანელი რევოლუციონერი, კომუნისტი, მარქსის მეგობარი; 1851 წ. ემიგრაციაში წავიდა ამერიკაში — 547.

ვენედეი (Venedey), იაკობ (1805 — 1871) — გერმანელი რადიკალური პუბლიცისტი, შემდეგში ზოგიერი ლიბერალი — 407.

ვერმუთი (Wermuth) — პრუსიის პოლიციის მოხელე — 306, 419.

ვესტერმარკი (Westermarck), ედუარდ - ალექსანდრე (1862 — 1939) — სოციოლოგი და ეთნოგრაფი, ჰელსინგფორსის უნივერსიტეტის პროფესორი — 223, 225, 226, 244.

ვესტფალენი (Westphalen), ფერდინანდ ფონ (1799 — 1876) — ჟენი მარქსის მამით ძმა; 1850 — 1858 წ.წ. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი; რეაქციონერი — 178.

ვილიხი (Willich), ავგუსტ (1810 — 1878) — პრუსიელი ოფიცერი, კომუნისტთა კავშირის წევრი და «მემარცხენეთა» ფრაქციის მეთაური, რომელიც 1848 წ. რევოლუციის შემდეგ გამოვიდა მარქსის წინააღმდეგ — 405, 424 — 427, 549.

ვილჰელმ I (1797 — 1888) — პრუსიის მეფე (1861 — 1888) და გერმანიის იმპერატორი (1871 — 1888) — 606.

ვინუა (Vinoy), ჟოზეფ (1800 — 1880) — ფრანგი გენერალი, რომელიც ვერსალის არმიას მეთაურობდა პარიზის კომუნის დროს— 551.

ვიქტორია (1819 — 1901) — ინგლისის დედოფალი (1837 — 1901) — 142.

ვოლტერი (Voltaire), ფრანსუა-მარი (არუე) (1694 — 1778) — 453, 481.

ვოლფი (Wolff), ვილჰელმ (1809 — 1864) — გერმანელი პუბლიცისტი, კომუნისტი, მარქსისა და ენგელსის ახლო მეგობარი, რომელსაც მარქსმა მიუძღვნა «კაპიტალის» I ტომი — 404, 405, 418, 421, 422.

ვოლფი (Wolff), კასპარ-ფრიდრიხ (1733 — 1794) — გერმანელი ანატომი და ფიზიოლოგი — 72.

ვოლფრამ ფონ ეშენბახი (Wolfram von Eschenbach) (1170 — 1220) — შუასაუკუნეების გერმანელი პოეტი — 267.

ზ

ზეტბერი (Soetbeer), ადოლფ (1814 — 1892) — გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და სტატისტიკოსი; გერმანიაში ოქროს ვალიუტის შემოღების ერთ-ერთი ინიციატორი — 596.

ზიკინგენი (Sickingen), ფრანც (1481 — 1523) — გერმანელი რაინდი, 1522 წ. მსხვილი თავადების წინააღმდეგ წვრილი აზნაურობის აჯანყების მეთაური — 113.

ზორგე (Sorge), ფრიდრიხ-ალბერტ (1828 — 1906) — გერმანელი სოციალისტი, 1848 წ. რევოლუციის მონაწილე, I ინტერნაციონალისა და მუშათა მოძრაობის მოღვაწე ამერიკაში; მარქსისა და ენგელსის მეგობარი — 578.

ზუგენჰაიმი (Sugenheim), სამუელ (1811 — 1877) — გერმანელი ისტორიკოსი — 246.

თ

თეოკრიტე (III ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ძველი ბერძენი ბუკოლიკური პოეტი — 274.

თუკიდიდე (დაახლ. 460 — 400 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ძველი ბერძენი ისტორიკოსი — 310.

ი

იაკობი (Jacoby), აბრამ (დაიბ. 1832 წ.)—კელნელი ექიმი, კომუნისტთა კავშირის წევრი, ერთ-ერთი ბრალდებული კომუნისტთა კელნის პროცესზე — 427.

იაროსლავი (ბრძენი) (978 — 1054) — კიევის თავადი (1019 — 1054) — 254.

იოანე საქსონელი (ლიტერატურული ფსევდონიმი ფილალეტი) (1801 — 1873) — პრინცი,

შემდეგ საქსონიის მეფე (1854 — 1873), დანტეს მთარგმნელი — 177.

ორკი (York), თეოდორ (1830 — 1874) — გერმანელი სოციალ-დემოკრატი, გერმანიის ლასალური საყოველთაო მუშათა კავშირის წევრი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი აიზენახში; ცდილობდა ლასალელებთან გაერთიანებას — 574.

ორმინონი (გარდაიცვალა დაახლ. 825 წლ.) — ფრანგი ბერი-ბენედიქტიანელი, შეადგინა ე. წ. «პოლიპტიკა» — IX ს. დასაწყისში სენ-ჟერმენ დე პრეს მონასტრის მფლობელობაში არსებული მიწების აღწერა — 365.

უმი (Hume), დავიდ (1711 — 1776) — ინგლისელი ფილოსოფოსი — აგნოსტიკოსი, სუბიექტური იდეალისტი — 446, 447.

ჰ

კალვინი (Calvin), ჟან (1509 — 1564) — რეფორმაციის იდეოლოგი შვეიცარიაში — 64, 114, 480, 605.

კამპჰაუზენი (Camphausen), ლუდოლფ (1803 — 1890) — რაინის ლიბერალური ბურჟუაზიის ერთ-ერთი ლიდერი, მეთაურობდა პრუსიის მინისტრთა საბჭოს 1848 წ. მარტის რევოლუციის შემდეგ — 177.

კანიცი (Kanitz), ჰანს — ვილჰელმ — ალექსანდრე (1841 — 1913) — პრუსიელი კონსერვატორი, რაიხსტაგის წევრი (1889 — 1913); 1894 წ. შეიტანა წინადადება ხორბლის ფასის ხელოვნური დადგენის შესახებ, მთელი შემოტანილი პურის შესყიდვის გზით («კანიცის წინადადება») — 518.

კანტი (Kant), იმანუელ (1724 — 1804) — 68, 69, 71, 72, 110, 139, 148, 335, 446, 447, 452, 462, 601, 605.

კარლეილი (Carlyle), ტომას (1795 — 1881) — ინგლისელი კონსერვატორი მწერალი და ფილოსოფოსი — 133.

კარლოს I (1600 — 1649) — ინგლისის მეფე (1625 — 1649) — 115.

კარლოს დიდი (742 — 814) — ფრანკთა მეფე, 800 წელს გამოცხადებულ იქნა გერმანიის იმპერატორად — 364 — 366.

კარტრაიტი (Gartwright), ედმუნდ (1743 — 1823) — ინგლისელი მექანიკოსი, პირველი მექანიკური საქსოვი დაზგის გამომგონებელი — 120.

კაუცკი (Kautsky), კარლ (1854 — 1938) — 42.

კეი (Kaye), ჯონ უილიამ (1814—1876) — ინგლისელი პუბლიცისტი, მთელი რიგი შრომების ავტორი ინდოეთის უახლესი ისტორიის დარგში — 233.

კეისარი, გაიუს იულიუს (100 — 44 ჩვ. წ.-მდე) — 206, 217, 232, 291, 340, 343, 348 — 351, 355, 614.

კელი — ვიშნევეცკაია (Kelly — Wischnewetzky), ფლორენს (1860 — 1932) — ამერიკელი სოციალისტი ქალი, შემდეგში ბურჟუაზიული რეფორმისტი — 488.

კეპლერი (Kepler), იოჰან (1571—1630) — გერმანელი ასტრონომი — 65.

კინკელი (Kinkel), გოტფრიდ (1815 — 1882) — გერმანელი პოეტი, წვრილბურჟუაზიული დემოკრატი, 1849 წ. ბადე-

ნის აჯანყების მონაწილე; რეაქციის წლებში ინგლისში ცხოვრობდა — 426.

კიუვიე (Cuvier), ჟორჟ (1769 — 1832) — ფრანგი ბუნებისმეტყველი, შედარებითი ანატომიისა და პალეონტოლოგიის შემქმნელი — 69.

კლაინი (Klein), იოჰან — იაკობ — კელნელი ექიმი, ერთ-ერთი ბრალდებული კომუნისტთა კელნის პროცესზე — 427.

კლისთენე (VI ს. დასასრული ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის სახელმწიფო მოღვაწე — 321.

კობდენი (Cobden), რიჩარდ (1804 — 1865) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ლიბერალი, ფრიტრედერი, პურის კანონების წინააღმდეგ ბრძოლის ლიგის დამაარსებელი — 124.

კოვალევსკი, მაქსიმ მაქსიმეს-ძე (1851 — 1916) — რუსი სოციოლოგი, ისტორიკოსი და იურისტი; ცნობილია თავისი გამოკვლევებით პირველყოფილ-გვაროვნულ ურთიერთობათა დარგში — 102, 251, 253, 255, 338, 343, 349.

კოლინსი (Collins), ანტონი (1676 — 1729) — ინგლისელი ფილოსოფოს-მატერიალისტი — 106.

კოლუმბი, ქრისტეფორე (დაბლ. 1446 — 1506) — 97.

კოპერნიკი, ნიკოლოზი (1473 — 1543) — 64, 67, 446.

კოპი (Kopp), ჰერმან—ფრანც (1817 — 1892) — გერმანელი ქიმიკოსი — 456.

კოუარდ (Coward), უილიამ (1657 — 1725) — ინგლისელი ფილოსოფოს-მატერიალისტი, ექიმი — 106.

კოშუტი (Kossuth), ლუდვიგ (1802 — 1894) — უნგრეთის ნაციონალურ - გამანთავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, 1848 წ. რევოლუციაში მეთაურობდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ელემენტებს — 426.

კრიგე (Kriege), ჰერმან (1820 — 1850) — გერმანელი რადიკალური ჟურნალისტი, ვაიტლინგის მომხრე, სამართლიანთა კავშირის ნიუ-იორკის ჯგუფის ორგანიზატორი — 416.

კრომველი (Cromwell), ოლივერ (1599 — 1658) — 115, 614.

კუგელმანი (Kugelmann), ლუდვიგ (1830 — 1902) — ჰანოველელი ექიმი, 1848 წ. რევოლუციის მონაწილე, I ინტერნაციონალის წევრი; მიწერ-მოწერა ჰქონდა მარქსთან—550, 556, 558, 560, 562.

კულანჟე — იხ. ფიუსტელ დე კულანჟე.

კულმანი (Kuhlmann), გეორგ (დაიბ. 1812 წ.) — ვაიტლინგური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი შვეიცარიაში, «ჭეშმარიტი სოციალისტი»; შემდეგში ავსტრიის მთავრობის სამსახურში მყოფი პროვოკატორი აღმოჩნდა — 418.

კუნო (Kuno), თეოდორ-ფრიდრიხ (1847 — 1934) — გერმანელი სოციალისტი, I ინტერნაციონალის წევრი, 1872 წ. ჰაგის კონგრესის მონაწილე, სადაც ატარებდა მარქსის ხაზს; შემდეგში მუშათა მოძრაობის მონაწილე ამერიკაში — 566.

კუნოვი (Cunov), ჰენრიხ (1862 — 1936) — რევიზიონიზმის ერთ-ერთი თეორეტიკოსი გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში; ეთნოგრაფი, მთელი რიგი თხზულე-

ბების ავტორი პირველყოფილ ისტორიაში — 255.

ლ

ლ ა ვ უ ა ზ ი ე (Lavoisier), ა ნ ტ უ ა ნ-ლ ო რ ა ნ (1743 — 1794) — გამოჩენილი ფრანგი ქიმიკოსი — 71.

ლ ა ი ბ ნ ი ც ი (Leibniz), გ ო ტ ფ რ ი დ-ვ ი ლ ჰ ე ლ მ (1646 — 1716) — 65.

ლ ა მ ა რ კ ი (Lamarck), ჟ ა ნ-ბ ა ტ ი ს ტ (1744 — 1829) — ფრანგი ბუნებისმეტყველი, ევოლუციონისტი, დარვინის წინამორბედი — 72, 450.

ლ ა მ ა რ ტ ი ნ ი (Lamartine), ა ლ ფ ო ნ ს (1790 — 1869) — ფრანგი პოეტი, ლიბერალური ბურჟუა; 1848 წ. ფაქტიურად განაგებდა რა დროებით მთავრობას, უღალატა დემოკრატიული ელემენტების ინტერესებს — 180, 421.

ლ ა ნ გ ე (Lange), ლ უ დ ვ ი გ (1825 — 1885) — გერმანელი ფილოლოგი — 332.

ლ ა ნ გ ე (Lange), ფ რ ი დ რ ი ხ-ა ლ ბ ე რ ტ (1828 — 1875) — გერმანელი პუბლიცისტი, მუშათა კლასის შესახებ სოციალ-რეფორმისტული წიგნის ავტორი — 23.

ლ ა პ ლ ა ს ი (Laplace), პ ი ე რ-ს ი მ ო ნ (1749 — 1827) — ფრანგი მათემატიკოსი და ასტრონომი — 67, 69, 74, 108, 148.

ლ ა ს ა ლ ი (Lassalle), ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ (1825 — 1864) — 5, 12, 13, 20, 22 — 24, 36, 37, 40, 43, 44, 391, 551 — 555, 578, 580.

ლ ა თ ა მ ი (Latham). რ ო ბ ე რ ტ-გ ო რ დ ო ნ (1812—1888) — ინგლისელი ექიმი, ლინგვისტი და ეთნოგრაფი; მთელი რიგი თხზულებების ავტორი შედარებით ეთნოგრაფიაში — 203.

ლ ა ფ ა ი ე ტ ი (La Fayette), მ ა რ ი-ჟ ო ზ ე ფ (1757 — 1834) — ფრანგი გენერალი, ლიბერალური ბურჟუაზიის ერთ-ერთი ბელადი 1789 წ. რევოლუციის პერიოდში; 1792 წ. გაიქცა საზღვარგარეთ — 403.

ლ ა ფ ა რ გ ი (Lafargue), პ ო ლ (1842 — 1911) — ფრანგი სოციალისტი, მარქსის სიძე, საფრანგეთის მუშათა მოძრაობაში მარქსისტული ფრთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი — 102, 528, 560.

ლ ე ბ ო კ ი (Lubbock), ჯ ო ნ (1834—1913) (1899 წლიდან ლორდ ა ვ ბ ე რ ი) — ინგლისელი ბიოლოგი, დარვინისტი, ეთნოლოგი, არქეოლოგი — 204, 205, 207.

ლ ე დ რ ი უ-რ ო ლ ე ნ ი (Ledru-Rollin), ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ-ო გ ი უ ს ტ (1807 — 1874) — ფრანგი ბურჟუაზიული რესპუბლიკელი, წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ერთ-ერთი ბელადი — 426.

ლ ე ვ ე რ ი ე (Leverrier), ურ ბ ე ნ-ჟ ო ზ ე ფ (1811 — 1877) — ფრანგი ასტრონომი — 446.

ლ ე ვ ი (Levi), ლ ე ო ნ ე (1821 — 1888) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და სტატისტიკოსი — 500.

ლ ე ო ნ ა რ დ ო დ ა ვ ი ნ ჩ ი (1452 — 1519) — 63.

ლ ე ს ნ ე რ ი (Lessner), ფ რ ი დ რ ი ხ (1825 — 1910) — გერმანელი მუშა-მკერავი, კომუნისტთა კავშირის წევრი, 1848 წ. რევოლუციის მონაწილე, მარქსისა და ენგელსის მეგობარი, ემიგრანტი ლონდონში, I ინტერნაციონალის მოღვაწე — 417, 427.

ლ ე ტ ო ო ნ ო (Letourneau), შ ა რ ლ (1831 — 1902) — ფრანგი სოციოლოგი და ეთნოგრაფი — 222, 223, 227.

ლიაელი (Lyell), ჩარლზ (1797 — 1875) — ინგლისელი გეოლოგი, გეოლოგიაში განვითარებაზე მოძღვრების ფუძემდებელი — 70.

ლიბკნეხტი (Liebknecht), კილჰელმ (1826 — 1900) — გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II ინტერნაციონალის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი — 5, 7, 33, 39, 41, 43. 45. 552, 554, 561. 574, 580.

ლივ

მარატი (Marat), ჟან-პოლ (1743—1793) — რევოლუციური წვრილი ბურჟუაზიის ერთ-ერთი გამოჩენილი ბელადი საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში — 20, 402.

მარი (Marr) ვილჰელმ (1819—1904) — გერმანელი პუბლიცისტი ჰამბურგიდან, ვაიტლინგის მოძრაობის მონაწილე; 70-იან წლებში სასტიკი ანტისემიტი და რეაქციონერი გახდა — 552.

მარქსი, კარლ (1818—1883) — 5, 6, 9, 35—45, 100—102, 106, 118, 153—155, 162, 163, 177—185, 187—189, 207, 208, 209, 220, 228, 232, 251, 252, 257, 261, 265, 300, 302, 303, 307, 309, 369, 377, 395, 399, 401—405, 407, 410, 413—421, 424—427, 429—432, 441, 463, 464, 481, 494, 498, 530, 573, 578, 580, 589—591, 594, 602, 603, 614, 615.

მაურერი (Maurer), გეორგ-ლუდვიგ (1790—1872)—გერმანელი ისტორიკოსი, ძველი და შუა საუკუნეების გერმანიის საზოგადოებრივი წყობის მკვლევარი — 55, 296, 346, 349, 591.

მაძინი (Mazzini), ჯუზეპე (1805—1872)—იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე, იტალიის ნაციონალური დამოუკიდებლობისა და გაერთიანებისათვის მებრძოლი — 408, 411, 426, 569.

მედლერი (Mädler), იოჰან-ჰენრიხ (1794—1874) — გერმანელი ასტრონომი — 68, 74, 80.

მეინი (Maine), ჰენრი (1822—1888)—ინგლისელი ისტორიკოსი, ძველი სამართლის მკვლევარი, პროფესორი კემბრიჯში — 278.

მენტელი (Mentel), ქრისტიან-ფრიდრიხ (დაიბ. 1812 წ.)—ბერლინელი მკერავი; სამართლიანთა კავშირის წევრი ბერლინში, ერთ-ერთი ბრალდებული კომუნისტთა კელნის პროცესზე; განთავისუფლების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა ამერიკაში — 410.

მერინგი (Mehring), ფრანც (1846—1919)—გერმანელი სოციალ-დემოკრატი, ლიტერატურის მცოდნე და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიკოსი — 603.

მეტერნიხი (Metternich), კლემენს-ვენცელ (1773—1859)—ავსტრიის რეაქციონერი მინისტრი, ევროპის სახელმწიფოთა საღვთო კავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორი — 167.

მინიე (Mignet), ფრანსუა-ოგიუსტ (1796—1884)—ლიბერალური მიმართულების ფრანგი ბურჟუაზიული ისტორიკოსი — 473, 614.

მირაბო (Mirabeau), ონორე-გაბრიელ (1749 — 1791) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ოპოზიციური თავადაზნაურობისა და მსხვილი ბურჟუაზიის ბელადი XVIII საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში — 552.

მიულბერგერი (Mülberger), არტურ (1847—1907) — გერმანელი ექიმი, პრუდონისტი — 575.

მიუნცერი (Münzer), ტომას (დაახლ. 1490—1525)—რეფორმაციის დროის გერმანელი კომუნისტი-უტოპისტი, 1525 წ. გერმანიაში გლეხთა აჯანყების ბელადი — 131.

მიქელი (Miquel), იოჰან (1828—1901) — პრუსიელი ბანკირი, ნაციონალ-ლიბერალი;

ახალგაზრდობაში კომუნისტთა კავშირის წევრი იყო; რაიხსტაგის წევრი (1867—1877 და 1887—1890). ფინანსთა მინისტრი (1890—1901)—552, 555, 584.

მოლეშოტი (Moleschott), იაკობ (1822—1893)—ფიზიოლოგი, წარმოშობით ჰოლანდიელი; ვულგარული მატერიალიზმის წარმომადგენელი — 448.

მოლი (Moll), იოსებ (1812—1849)—კელნელი მესაათე, კომუნისტთა კავშირის წევრი: მოკლეს ბადენის აჯანყების დროს—409. 417, 421, 424.

მომზენი (Mommsen), თეოდორ (1817—1903) — გერმანელი ისტორიკოსი; მთელი რიგი შრომების ავტორი რომის ისტორიასა და რომის სამართლის ისტორიაში, რაიხსტაგის წევრი, ლიბერალი — 302, 328—334.

მონტალამბერი (Montalembert), შარლ (1810—1870) — ფრანგი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, კათოლიკური პარტიის ბელადი—63.

მონტესკიე (Monetesquieu), **შარლ** (1689—1755) — ფრანგი ისტორიკოსი და მწერალი, კონსტიტუციური მონარქიის იდეოლოგი — 605.

მორგანი (Morgan), ლიუისენრი (1818—1881)—ამერიკელი მეცნიერი, ეთნოგრაფი და პირველყოფილი საზოგადოების ისტორიკოსი — 193—196, 203, 205—213, 218, 220, 221, 228—231, 235, 240, 262, 282—286, 289, 296, 303, 307, 310, 312, 322, 331, 342, 348, 369, 393, 394, 614.

მორელი (Morelly)—ფრანგი აბატი, უტოპიური გამთანაბრებელი კომუნიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი XVIII საუკუნეში — 131.

მოსქოსი (II ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ძველი ბერძენი ბუკოლიკური პოეტი — 274.

მუდი (Moody). დუაიტ (1837 — 1899) — ამერიკელი ევანგელისტი, მოქადაგე, ახალგაზრდობის ქრისტიანული კავშირის დამაარსებელი — 122.

ნ

ნაპოლეონ I (1769—1821) — 108, 136, 141, 167, 257, 264, 286, 398, 455, 508, 570, 599, 614.

ნაპოლეონ III (ლუი ბონაპარტე) (1808—1873) — საფრანგეთის იმპერატორი (1852—1870)—28, 121, 182, 498, 561, 572.

ნაპოლეონ, ჟოზეფ, პრინცი (1822 — 1891) — ნაპოლეონ III-ის ბიძაშვილი, ცნობილი პლონ-პლონის მეტსახელით — 182.

ნეარქოსი (IV ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლი და მისი ფლოტის ადმირალი, ინდოეთში ლაშქრობის მონაწილე — 255.

ნეპერი (Neper), ჯონ (1550—1617) — შოტლანდიელი მათემატიკოსი — 65.

ნეჩაევი, სერგო გენადისძე (1847—1882) — რუსი რევოლუციონერი, ანარქისტი—573.

ნიბური (Niebuhr), ბარტოლდ-გეორგ (1776 — 1831) — გერმანელი ისტორიკოსი, ძველი რომის მკვლევარი — 302, 305, 333, 383.

ნიკოლაი — ონი — იხ. დანიელსონი.

ნიუტონი (Newton), ისააკ (1642—1727) — 65—69, 148, 150.

ნ ო ტ ი უ ნ გ ი (Nothjung), პ ე ტ ე რ (1821 — 1880) — მკერავი, შემდეგ ფოტოგრაფი, კელნის მუშათა კავშირის წევრი; ერთ-ერთი ბრალდებული კომუნისტთა კელნის პროცესზე, შემდეგში ლასალელი — 426, 427.

ო

ო დ ო ა კ რ ი (გარდ. 493 წ.) — გერმანელი მხედართმთავარი, ოსტგოთების მეფე იტალიაში (476—493) — 354.

ო კ ე ნ ი (Oken), ლ ო რ ე ნ ც (1779—1851) — გერმანელი ბუნებისმეტყველი და ნატურფილოსოფოსი — 72.

ო ტ ო (Otto), კ ა რ ლ-ვ უ ნ ი ბ ა ლ დ ი (დაიბ. დაახლ. 1810 წ.) — ქიმიის დოქტორი, კომუნისტთა კავშირის წევრი, ერთ-ერთი ბრალდებული კომუნისტთა კელნის პროცესზე — 427.

ო უ ე ნ ი (Owen), რ ო ბ ე რ ტ (1771—1858) — 107, 132, 134, 139—142, 485, 557.

პ

პ ა გ ა ნ ი ნ ი, ნ ი კ ო ლ ო (1784—1840) — გამოჩენილი იტალიელი ვიოლინისტი და კომპოზიტორი — 86.

პ ა ვ ი ა (Pavia), რ ო დ რ ი გ ე ს (1827—1895) — ესპანელი გენერალი, 1873—74 წ.წ. აჯანყების ჩამქრობი — 59.

პ ა ლ გ რ ე ი ვ ი (Palgrave), რ ო ბ ე რ ტ ჰ ა რ ი ინ გ ლ ი ს (1827—1919)—ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ჟურნალ «Economist»-ის რედაქტორი (1877—1883) — 502.

პ ა ლ მ ე რ ს ტ ო ნ ი (Palmerston), ჰ ე ნ რ ი ჯ ო ნ (1784—1865) — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ლიბერალური პარტიის ყველაზე რეაქციული ელემენტების ლიდერი — 181.

პ ე რ ს ე ო ს ი — მაკედონიის უკანასკნელი მეფე (179—168 ჩვ. წ.-მდე); აწარმოებდა ბრძოლას რომთან მაკედონიის დამოუკიდებლობისათვის — 356.

პ ე ტ რ ე I (დიდი) (1672 — 1725)— 49.

პ ე ტ რ ე III (1728—1762)—რუსეთის მეფე (1761—1762)—58.

პ ი ა (Pyat), ფ ე ლ ი ქ ს (1810 — 1889) — ფრანგი ჟურნალისტი და ლიტერატორი, წვრილბურჟუაზიული რადიკალი, 1848 წ. რევოლუციისა და პარიზის კომუნის მონაწილე — 548.

პ ი ზ ი ს ტ რ ა ტ ე (დაახლ. 600—527 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ათენელი ტირანი 560 წლიდან — 325.

პ ლ ი ნ ი უ ს უ ფ რ ო ს ი, გ ა ი უ ს ს ე კ უ ნ დ უ ს (დაახლ. 24—79 ჩვ. წ.) — რომაელი გეოგრაფი — 351, 356.

პ ლ უ ტ ა რ ქ ი (დაახლ. 46—120 ჩვ. წ.) — ბერძენი მწერალი, მორალისტი — 259.

პ რ ი ს ტ ლ ი (Priestley), ჯ ო ზ ე ფ (1733—1804) — ინგლისელი ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი-მატერიალისტი — 106.

პ რ ო კ ო ფ ი ი (VI ს. ჩვ. წელთაღრიცხვით) — ბიზანტიელი ისტორიკოსი, აღწერა ლაშქრობანი ველიზარისა, რომლებშიც თვითონ მონაწილეობდა — 266.

პ რ უ დ ო ნ ი (Proudhon), პ ი ე რ-ჯ ო ზ ე ფ (1809—1865)—38, 178, 423, 463, 533—547, 551, 557, 563, 564.

პ ტ ო ლ ე მ ე ი, კ ლ ა ე დ ი უ ს (II საუკ. ჩვ. წ.) — ბერძენი გეომეტ-

რი, ასტრონომი და ფიზიკოსი — 64.
პუგაჩევი, ემელიანე (დაახლ. 1744—1775) — 58.
პფენდერი (Pfänder), კარლ (დაახლ. 1818—1876) — გერმანელი მუშა, მხატვარი-მინიატურისტი, კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და I ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს წევრი, მარქსის მომხრე— 417.

ჟ

ჟიროტელონი (Giraud-Teulon), ალექსის (დაიბ. 1839 წ.) — პირველყოფილი საზოგადოების ისტორიკოსი, პროფესორი ჟენევაში, ბაზოფენის მოწაფე — 207, 209, 223, 225, 256.

რ

რაიტი (Wrigth), არტურ (1803—1875) — ამერიკელი მისიონერი, ეთნოგრაფი, ლ. მორგანის ერთ-ერთი კორესპონდენტი — 242.
რაიფი (Reiff), ვილჰელმ-ოსეფ (დაიბ. 1824 წ.) — ერთ-ერთი ბრალდებული კომუნისტთა კელნის პროცესზე, კავშირიდან გარიცხული იქნა ჯერ კიდევ 1850 წ. — 427.
რაფაელი სანტი (1483 — 1520) — 86.
რეზერი (Röser), პეტერ-გერჰარტი (1814—1865) — გერმანელი მუშა-მესიგარეტე, ერთ-ერთი ბრალდებული კომუნისტთა კელნის პროცესზე—427.
რენანი (Renan), ერნესტ (1823—1892)—ფრანგი ფილოსოფოს-იდეალისტი და ისტორიკოსი, ავტორი ნარკვევებისა ქრისტიანობის ისტორიაში—423, 463.
რიკარდო (Ricardo), დავით (1772—1823) — 36, 559.
რიშარი (Richard), ალბერ (1846—1925) — ლიონში რევოლუციური მოძრაობის მონაწილე; ბაკუნინის მიმდევარი, იბრძოდა მარქსისა და I ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს წინააღმდეგ — 572.
რიჩარდ I (ლომგული) (1157 — 1199) — ინგლისის მეფე (1189—1199) — 605.
რობენი (Robin), პოლ (დაიბ. 1837 წ.) — I ინტერნაციონალის საფრანგეთის სექციის წევრი, ბაკუნისტი — 569.
რობესპიერი (Robespierre), მაქსიმილიენ (1758—1794)— 457.
რუგე (Ruge), არნოლდ (1802 — 1880) — გერმანელი რადიკალური პუბლიცისტი, მემარცხენე ჰეგელიანელი, 1848—1850 წ.წ. გამოდიოდა როგორც წვრილბურჟუაზიული დემოკრატი; 60-იან წლებში მიემხრო ბისმარკს და პრუსიის მთავრობისაგან ღებულობდა პენსიას — 178, 426.
რუსო (Rousseau), ჟან-ჟაკ (1712—1778) — 11, 130, 133, 144, 453, 605.

ს

სალვიანუს მარსელელი (დაახლ. 400—484) — ეპისკოპოსი მარსელში (გალია), გამოჩენილი ორატორი და ისტორიკოსი — 361, 365.
სანკი (Sankey), აირა დეივიდ (1840—1908) — ამერიკელი ევანგელისტი, მუდის თანამოღვაწე — 122.
სეკი (Secchi), ანჯელო (1818 — 1878) — იტალიელი ასტრონომი — 74, 79, 81.

ხენ-სიმონი (Saint-Simon), ანრი (1760—1825)—132, 134—138, 149, 564.

ხერვეტი (Servet), მიშელ (1511 — 1553) — ესპანელი ექიმი, რომელმაც მნიშვნელოვანი აღმოჩენები მოახდინა სისხლის მიმოქცევის დარგში; კალვინის ბრძანებით თავისუფალ-აზროვნებისათვის დასწვეს ჟენევაში — 64.

ხერვიუს ტულიუსი — რომის მეფე, რომელიც გადმოცემის თანახმად ცხოვრობდა VI ს. ჩვ. წ.-მდე — 336.

სკალდინი, ვ. (ფ. პ. ელენევის ფსევდონიმი) (1828 — 1902) — რუსი პუბლიცისტი, «ოტეჩესტვენნიე ზაპისკის» თანამშრომელი — 56.

სკოტი (Scott), ვალტერ (1771—1832) — 342.

სმიტი (Smith), ადამ (1723 — 1790) — 538, 605.

სოლონი (VI ს. ჩვ. წ.-მდე)—ათენელი კანონმდებელი, 594 წ. ჩვ. წ.-მდე დასაწყისი მისცა ათენის კონსტიტუციას — 303, 314, 318, 319, 320, 336, 391, 611.

სოსიური (Saussure), ანრი დე (1829—1905) — შვეიცარიელი ბუნებისმეტყველი და მოგზაური — 223.

სპინოზა (Spinoza), ბარუხ (ბენედიქტი) (1632—1677) — ჰოლანდიელი ფილოსოფოსი, მატერიალისტი — 67, 144.

სტრუვე, პეტრე ბერნარდის-ძე (1870—1944) — ბურჟუაზიული პუბლიცისტი და ეკონომისტი, «ლეგალური მარქსისტი», რომელიც მალე გადავიდა რევიზიონიზმში და შემდეგ მონარქისტთა რიგებში — 609.

სტიუარტები — სამეფო დინასტია — შოტლანდიისა (1371 წ.-დან), შემდეგ ინგლისისა (1613—1714) — 117.

სურიტა (Zurita), ჰერონიმო (1512—1580)—ესპანელი ისტორიკოსი — 255.

ტ

ტაილორი (Tylor), ედუარდ ბერნეტ (1832—1917)—ინგლისელი ანთროპოლოგი, პირველყოფილი კულტურის ისტორიკოსი — 197.

ტალანდივ (Talandier), პიერ-თეოდორ-ალფრედ (1822—1890) — ფრანგი ბურჟუაზიული რესპუბლიკელი; 1851 წ. ემიგრაციაში წავიდა ინგლისში — 548.

ტარკვინიუს ამაყი—რომის უკანასკნელი მეფე, გადმოცემით მეფობდა 534 — 510 წ.წ. ჩვ. წ.-მდე. — 334, 337.

ტაციტი, პუბლიუს კორნელიუს (დაახლ. 55—120 ჩვ. წ.) — რომაელი ისტორიკოსი — 195, 206, 216, 265, 293, 344—355.

ტიბერიუსი, კლავდიუს ნერონ (42 ჩვ. წ.-მდე — 37 ჩვ. წ.) — რომის იმპერატორი (14—37 ჩვ. წ.) — 334.

ტიერი (Thiers), ლუი-ადოლფ (1797—1877) — ფრანგი ბურჟუაზიული ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, პარიზის კომუნის ჯალათი — 473, 561, 572.

ტიერი (Thierry), ოგიუსტენ (1795 — 1856) — ფრანგი ლიბერალური ისტორიკოსი — 473, 614.

ტკაჩევი, პეტრე ნიკიტას-ძე (1844—1885) — რუსი წვრილბურჟუაზიული რევოლუციონერი, ჟენევაში უშვებდა

ჟურნალ «ნაბატს» (1875—1881)— 46, 47, 50, 51, 53—59.

ტოლკე (Tölcke). კარლ-ვილ-ჰელმ (1817 — 1893) — გერმანელი სოციალისტი, ლასალური საყოველთაო გერმანული მუშათა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი — 33, 40.

ტომსონი (Thomson), უილიამ (1824—1907) (1892 წლიდან ლორდ კელვინი) — ინგლისელი ფიზიკოსი — 90.

ტორვალდსენი (Thorwaldsen), ბერტელ (1770—1844) — დანიელი სკულპტორი — 86.

ტორიჩელი (Torricelli). ევანგელისტა (1608—1647)—იტალიელი ფიზიკოსი და მათემატიკოსი — 65, 612.

უ

უატი (Watt), ჯემს (1736—1819) — ინგლისელი ფიზიკოსი, ინჟენერი, გამომგონებელი, თანამედროვე ორთქლის მანქანის ერთ-ერთი შემქმნელი — 120.

უატსონი (Watson), ჯონ ფორბს (1827—1892) — ავტორი მთელი რიგი შრომებისა ინდოეთის უახლეს ისტორიაში — 233.

ულფილა (დაახლ. 311—383) — ეპისკოპოსი, გოთური ანბანის შემდგენელი — 334.

ფ

ფავრი (Favre), ჟიულ (1809 — 1880) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ბურჟუაზიული რესპუბლიკელი, ნაციონალური თავდაცვის მთავრობის წევრი (1870 — 1871), პარიზის კომუნის სასტლიანი ჩახშობის მონაწილე— 569.

ფაისონი (Fison), ლორიმერ (1832—1907)—ინგლისელი მისიონერი ფიჯის კუნძულებზე და ავსტრალიაში. მეცნიერული ავსტრალიათმცოდნეობის ერთ-ერთი პიონერი — 235, 237.

ფაუხერი (Faucher), იულიუს (1820—1878) — გერმანელი ვულგარული ეკონომისტი, ფრიტრედერი; 1861 წლიდან პრუსიის დეპუტატთა პალატის წევრი, პროგრესისტი — 555.

ფერდინანდ V (კათოლიკი) (1452—1516) კასტილიისა და არაგონიის მეფე (1479—1516); მისი მეფობით იწყება ესპანეთის პოლიტიკური ძლიერების პერიოდი — 246.

ფილალეტი — იხ. იოჰან საქსონელი.

ფილიპე II (1527—1598) — ესპანეთის მეფე (1556—1598) — 553.

ფილიპე II ავგუსტი (1165—1223)—საფრანგეთის მეფე (1180 — 1223) — 605.

ფიუსტელ დე კულანჟ (Fustel de Coulanges), ნიუმადენი (1830—1889) — ანტიკურობის ფრანგი ისტორიკოსი — 306.

ფიშერი (Fischer), რიხარდ (1855—1926) — გერმანელი სოციალ-დემოკრატი, გაზეთ «Vorwärts»-ის რედაქციის ერთ-ერთი მუშაკი; შემდეგში ცენტრისტი — 45.

ფიხტე (Fichte) იოჰან-გოტლიბ (1762 — 1814) — 605.

ფლეროვსკი — იხ. ბერვი, ვ. ვ.

ფლოკონი (Flocon), ფერდინან (1800 — 1866) — ფრანგი წვრილბურჟუაზიული პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე — 179, 422.

ფოგტი (Vogt), კარლ (1817 — 1895) — გერმანელი ვულგარული

მატერიალისტი, პროლეტარული და კომუნისტური მოძრაობის მოსისხლე მტერი, ბონაპარტისტი — 182, 448, 561.

ფოიერბახი (Feuerbach), ლუდვიგ (1804—1872)—430—432, 442, 443, 446 — 448, 451. 452, 454—463, 484—487, 602.

ფორსტერი (Forster), უილიამ (1818 — 1886) — ინგლისელი ფაბრიკანტი, ლიბერალი, 1861 წლიდან პარლამენტის წევრი — 123, 124.

ფრაილიგრატი (Freiligrath), ფერდინანდ (1810—1876)— გერმანელი რევოლუციური პოეტი, «ახალი რაინის გაზეთის» რედაქციის წევრი, კომუნისტთა კავშირის წევრი; 50-იან წლებში მიემხრო გერმანელ ემიგრანტთა წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს; გერმანიაში დაბრუნდა 1868 წ. — 427.

ფრიდრიხ II (1712 — 1786) — პრუსიის მეფე (1740—1786) — 532.

ფრიდრიხ-ვილჰელმ (1620 — 1688) — ბრანდენბურგის კურფიურსტი (1640—1688) — 606.

ფრიდრიხ-ვილჰელმ III (1770—1840) — პრუსიის მეფე (1797—1840) — 167, 177, 434, 438.

ფრიდრიხ-ვილჰელმ IV (1795 — 1861) — პრუსიის მეფე (1840—1861) — 440.

ფრიმანი (Freeman), ედუარდ ავგუსტ (1823—1892) — ინგლისელი ლიბერალური ისტორიკოსი — 195.

ფურიე (Fourier), შარლ (1772 — 1837) — 132, 134, 133. 139, 161, 164, 165, 209, 268, 368. 393. 533. 546. 557.

შ

შაპერი (Schapper), კარლ (1813 — 1870) — სამართლიანთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი; 1850 წ. კომუნისტთა კავშირის გათიშვის დროს «მემარცხენეთა» ერთ-ერთი ლიდერი იყო, ვილიხთან ერთად მარქსის წინააღმდეგ გამოდიოდა — 408, 415, 421, 424, 427, 428, 548.

შაფტსბერი (Shaftesbury), ანტონი ეშლი კუპერ (1671 — 1713) — ინგლისელი ფილოსოფოსი, დეისტი, ლოკის მიმდევარი — 117.

შემანი (Schömann), გეორგ-ფრიდრიხ (1793—1879) — გერმანელი ფილოლოგი, ანტიკურობის ისტორიკოსი — 259, 307.

შერცერი (Scherzer), ანდრეას (1807—1879)—გერმანელი მუშა-მკერავი ბავარიიდან, ვაიტლინგელი, ლონდონის გერმანელ მუშათა გამანათლებელი კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი — 548.

შვაიცერი (Schweitzer), იოჰან-ბაპტისტ (1833—1875)— გერმანელი ჟურნალისტი, ლასალის სიკვდილის შემდეგ საოთავეში ჩაუდგა საყოველთაო გერმანელ მუშათა კავშირს — 45, 551, 554, 564, 570, 580.

შილერი (Schiller), იოჰან-ფრიდრიხ (1759 — 1805) — 453.

შლეფელი (Schlöffel), გუსტავ-ადოლფ (1828—1849) — გერმანელი დემოკრატი, 1849 წ. ბადენის აჯანყების მონაწილე — 399.

შმიდტი (Schmidt), კონრად (1863 — 1932) — გერმანელი სოციალ-დემოკრატი, რევიზიონისტი — 589, 595.

შრამმ (Schramm), რუდოლფ (1813 — 1882) — გერმანელი პუბლიცისტი, ბურჟუაზიული დემოკრატი, პრუსიის მემარცხენე ნაციონალური კრების წევრი (1848), გვიან—ბისმარკის მიმდეკარი — 552.

შტაინი (Stein), ლორენც (1815—1890) — გერმანელი სამართლის მკოდნე და ეკონომისტი. «სოციალური მონარქიის» მომხრე, ცნობილია როგორც ავტორი შრომისა «სოციალიზმი და კომუნიზმი თანამედროვე საფრანგეთში», რომელიც გამოვიდა 1842 წ. — 401.

შტარკე (Starcke), კარლ ნიკოლაი (დაბ. 1858 წ.) — დანიელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი — 431, 433, 447, 452—455, 458, 460.

შტარკენბურგი (Starkenburg), ჰაინც—გერმანელი სოციალისტი — 612.

შტიბერი (Stieber), ვილჰელმ (1818—1882)—პრუსიის პოლიტიკური პოლიციის უფროსი, კომუნისტთა კელნის პროცესის ერთ-ერთი ორგანიზატორი — 406, 419.

შტირნერი (Stirner), მაქს (კასპარ შმიდტის ფსევდონიმი) (1806—1856)—მემარცხენე ჰეგელიანელი, ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმისა და ანარქიზმის ფილოსოფოსი — 441, 463.

შტრაუსი (Strauss), დავიდ (1808 — 1874) — მემარცხენე ჰეგელიანელი, ავტორი წიგნისა «იესოს ცხოვრება», რომელშიაც მოცემულია სახარების ისტორიული კრიტიკა — 441, 443, 463.

შტრუსბერგი (Stroussberg), ბეტელ-ჰენრიხ (1823 — 1884) — გერმანელი. მსხვილი ფინანსისტი-სპეკულიანტი — 584.

შულცე-დელიჩი (Schulze-Delitzsch), ფრანც-ჰერმან (1808-1883)—გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, პროგრესისტი, ცდილობდა გერმანიის მუშათა მოძრაობა წაემართა წარმოებითი-ხელოსნური კოოპერაციის გზით — 401, 555.

შურცი (Schurz), კარლ (1829—1906) — გერმანელი წერილ-ბურჟუაზიული დემოკრატი, ბადენის აჯანყების მონაწილე, ემიგრანტი ამერიკაში; იქ მონაწილეობდა სამოქალაქო ომში; შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად იყო ესპანეთში, იყო სენატორი, შინაგან საქმეთა მინისტრი — 425.

ც

ცეზარი, გაიუს იულიუს— იხ. კეისარი.

ციცილის, იულიუს (I საუკ. ჩვ. წ.)—ბელადი გერმანული ტომის ბატავებისა, რომელიც აჯანყდა რომის წინააღმდეგ 68 წელს— 347.

ჯ

ჯოული (Joule), ჯემს (1818 — 1889) — ინგლისელი ფიზიკოსი— 70.

ჰ

ჰაზენკლევერი (Hasenclever), ვილჰელმ (1837—1889) — ლასალელი, გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირის თავმჯდომარე (1871) — 33, 40.

ჰაინე (Heine), ჰაინრიხ (1797—1856) — 434.

ჰანზემანი (Hansemann), დავიდ-იუსტუს (1790—1864)—

რაინის ლიბერალური ბურჟუაზიის ერთ-ერთი ლიდერი 1848 წ. — 177.

ჰანს-ტყავმძრობელი — იხ. ბიუკლერი, იოჰან.

ჰარინგი (Harring), ჰარო (1798 — 1870) — გერმანელი პოეტი, დემოკრატიული მიმართულების პუბლიცისტი — 416.

ჰარნი (Harny), ჯორჯ ჯულიან (1817—1897) — მემარცხენე ფრთის ბელადი ჩარტისტულ მოძრაობაში — 415.

ჰარტლი (Hartley), დავით (1705—1757) — ინგლისელი ექიმი, ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი; მატერიალისტი, ლოკის მიმდევარი, დეისტი — 106.

ჰასელმანი (Hasselmann), ვილჰელმ (დაიბ. 1844 წ.) — გერმანიის ლასალური საყოველთაო მუშათა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი; 1880 წელს გაირიცხა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან როგორც ანარქისტი — 20, 33, 40.

ჰაუიტი (Howitt) ალფრედ-უილიამ (1830—1908) — ავსტრალიელი ანტროპოლოგი და ავსტრალიის ისტორიკოსი — 237.

ჰაუპტი (Haupt), ვილჰელმ (დაიბ. 1833 წ.) — მიცემული იყო პასუხისგებაში კომუნისტთა კელნის პროცესზე; გასცა ცენტრალური კომიტეტის წევრები კელნში; სასამართლომდე ვაიქცა პარიზილიაში — 426.

ჰაქსტჰაუზენი (Haxthausen), აგგუსტ (1792—1866) პრუსიელი ჩინოვნიკი და მწერალი, რომელმაც იმოგზაურა რუსეთში (1843—1844) და აღწერა რუსეთის თემური წყობილების ნაშთები მიწის საკითხებში — 53, 561.

ჰაცფელდი (Hatzfeld), სოფია (1805—1881) — ფ. ლასალის მეგობარი და მისი მომხრე ქალი — 552, 553.

ჰეგელი (Hegel), გეორგ-ფრიდრიხ-ვილჰელმ (1770—1831) — 110, 129, 139, 144, 148—150, 383, 430—441, 443—447, 450, 453, 458, 459, 463 — 466, 469, 471, 474, 577, 601, 603, 605.

ჰენრიხ VII (1457—1509) — ინგლისის მეფე (1485—1509) — 116.

ჰენრიხ VIII (1491—1547)—ინგლისის მეფე (1509—1547) — 116.

ჰეპნერი (Hepner), ადოლფ (1846 — 1923) — გერმანელი სოციალ-დემოკრატი, «Volksstaat»-ის რედაქციის წევრი, შემდგომ ემიგრანტი ამერიკაში — 574.

ჰერაკლიტე (VI ს. დასასრ. — V საუკ. დასაწყისი ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ძველი ბერძენი ფილოსოფოს-მატერიალისტი და დიალექტიკოსი — 145.

ჰერვეგი (Herwegh), გეორგ-ფრიდრიხ (1817—1875)—გერმანელი რევოლუციონერი პოეტი— 421.

ჰეროდოტე (დაახლ. 484—დაახლ. 425 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) — ძველი ბერძენი ისტორიკოსი — 233, 259.

ჰერშელი (Herschel), უილიამ (1738—1822) — ინგლისელი ასტრონომი — 69.

ჰინსი (Hins), ეჟენ (1839—1923) — I ინტერნაციონალის ბელგიის სექციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ბელგიის ფედერალური სამჭოს წევრი, პრუდონისტი, გვიან—ბაკუნისტი—570.

ჰობსი (Hobbes), თომას (1588—1679)—ინგლისელი ფილოსოფოს-მატერიალისტი — 105, 106, 117, 447, 601.

ჰოისლერი (Heusler), ანდრეას (1834 — 1921) — შვეიცარიელი იურისტი, მთელი რიგი შრომების ავტორი შვეიცარიული და გერმანული სამართლის დარგში — 254.

ჰომეროსი (დაახლ. IX ს. ჩვ. წ.-მდე) — ძველი ბერძენი პოეტი, რომელსაც მიეწერება პოემები «ილიადა» და «ოდისეა» — 217, 257, 258. 305—307.

ჰოჰენცოლერნები — დინასტია, რომელიც მეფობდა ბრანდენბურგ-პრუსიაში (1415—1918) და გერმანიის იმპერიაში (1871—1918) — 404, 555.

ჰოხბერგი (Höchberg), კარლ (ფსევდონიმი რიხტერი). (1853 — 1885) — გერმანელი ჟურნალისტი, სოციალ-ფილანტროპი, რომელიც აფინანსებდა მთელ რიგ სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებს — 580.

ჰუმბოლდტი (Humboldt), ალექსანდრე (1769—1859)— გერმანელი ბუნებისმეტყველი და გეოგრაფი — 178.

ჰუშკე (Huschke), გეორგ-ფილიპ (1801—1886)—გერმანელი, სამართლის ისტორიკოსი, ავტორი შრომებისა რომის სამართალსა და თეოლოგიაში, პროფესორი ბრესლავლში — 332.

საგანთა საძიებელი

ა

აბსტრაქცია — 540.
აგნოსტიციზმი — 104, 108—111, 446—447.
აგრარული საკითხი — 507—508, 515—520, 523 — 532.
ავსტრია — 608.
ა.ზროვნება — 89, 106, 149, 151, 443—446, 448, 481—482, 484, 559, 604—605.
ამერიკა — 29—30, 122—123, 386—388, 489—490, 493, 538—539, 542, 597, 609—610.
— ამერიკის პროლეტარიატი — 493.
ამჭრელი წყობა — 154, 158—160, 276—277, 473—474, 535—536, 537, 549—550.
ანარქია წარმოებისა — 129, 156 — 157, 159 — 161, 163—164, 165, 169—170, 173—175, 390, 558—559.
ანარქიზმი — 171, 566—568.
«ანტი-დიურინგი» ენგელსისა — 100—101, 594, 615.
ანტიური საზოგადოება — 390—392.
— ძველ საბერძნეთში — 216—217, 257—260, 300—324, 382—383, 391.
— ძველ რომში — 252, 254, 264, 325—327, 331—337, 356—361, 365—366, 382—383, 391, 477, 478.
არმია — 549—550.
აუცილებლობა და შემთხვევითობა — 80—81, 83, 149, 389—390, 464—466, 469—470, 562, 592, 614.
აქციონერული საზოგადოებანი — 166—168, 176, 387.
აღზრდა — 29—30.
აღორძინება — 61—63, 477.
ახალგაზრდა ჰეგელიანელები — 440—443, 462.
«ახალი რაინის გაზეთი» — 180—181, 191—192, 398—405, 422—423.

ბ

ბავშვთა შრომა — 31.
ბაზარი — 163—164.
— მსოფლიო ბაზარი — 21, 161, 436, 492, 501—502, 537.
ბაზისი და ზედნაშენი — 126—128, 151—152, 190, 474—475, 534 — 535, 542, 590, 592, 597—598, 600, 603—604, 612—613.
ბაკუნისტები — 8, 59, 183—184, 564, 566—573, 575—577, 579.
ბანკები — 596—597.
ბარბაროსობა — 211 — 218,

230, 232—234, 239, 241—243, 247—249, 257, 262—263, 272, 283, 292, 295—296, 302, 312, 316, 351—355, 368—377, 381.
«ბატონი ფოგტი» მარქსისა — 182.
ბატონყმობა—170, 364 — 365, 368, 390.
ბირეა — 386—388, 595, 597.
ბლანკიზმი, ბლანკისტები — 407.
ბონაპარტიზმი — 182, 386.
ბუნება — 150, 441, 449, 452, 468 — 469, 470.
— და ადამიანი—10, 76—77, 86—88, 94 — 95, 168 — 169, 174, 176, 211, 316.
ბუნებისმეტყველება — 61, 63—73, 78—80, 82, 96—97, 110—111, 145, 147—148, 150, 436—437, 447, 449—451, 466—468.
ბურჟუაზია — 19 — 20, 46, 47, 97, 112—114, 122, 126—127, 130—131, 151, 154—155, 167, 172, 175—176, 185 — 187, 278—280, 396, 435—436, 456—457, 473—474, 497—498.
— მისი წარმოშობა — 131, 184 — 186.
— მისი როლი ფეოდალიზმის დამსხვრევისა და საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში — 19, 46, 112—115, 154—156, 185, 456—457, 460—461, 473—474.
— და თავადაზნაურობა—131, 184—186, 472—474, 480, 552—553.
— და პროლეტარიატი (მათი ბრძოლა) — იხ. პროლეტარიატი.
ბურჟუაზიული დემოკრატია — 27—29, 37—38.
ბურჟუაზიული საზოგადოება — 13, 26—29, 61, 115, 119, 126, 129, 133—134, 138, 139—140, 165—166, 172, 174—175, 187, 189, 191, 208—209, 271, 385, 418—419, 425, 456—458, 516.

გ

გადასახადები — 29, 385.
განმანათლებლები XVIII ს. —129—133, 138—139, 144.
განუწყვეტელი რევოლუცია — 401.
გაღატაკება პროლეტარიატისა — 162.
გაცვლა — 102—103, 153, 156, 159, 164—165, 174, 316, 371—372, 377, 388—390, 474—475, 534, 559—560, 611.
გერმანია—25, 28—29, 29—30, 34, 54—55, 100, 102—103, 113—115, 124, 127—128, 350, 386, 387—388, 395—400, 403—405, 407, 421, 425, 426—429, 431, 433, 440, 473—474, 480, 482 — 483, 490, 493, 498, 522, 531 — 532, 536 — 537, 548 — 549, 551—556, 564, 587—588, 591, 592—593, 596, 601, 606—608, 612—613.
— პრუსიელობა, მისი რეაქციული როლი — 400, 531—532.
— გერმანიის გაერთიანება — 400, 420, 482.
— გერმანიის პროლეტარიატი—34—36, 128, 396—397, 412, 418, 428 — 429, 553.
— გერმანიის ბურჟუაზია — 128, 396—399, 553.
— გერმანიის გლეხობა — 507, 509.
— გერმანელი იუნკერობა — 386 — 387, 531—532, 583—584.
— გერმანელი წვრილი ბურჟუაზია — 398—399, 612—613.
— მუშათა მოძრაობა გერმანიაში — იხ. მუშათა მოძრაობა.
გერმანელები — 217, 254, 264—266, 291, 292—294, 307,

342—356, 361—363, 366—368, 382, 391, 456.

«გერმანული იდეოლოგია» მარქსისა და ენგელსისა — 262, 430, 431, 546, 547.

გვაროვნული წყობა — 206—208, 230, 232—235, 240, 248, 283—314, 317—323, 325—328, 331—337, 338—348, 351—354, 361—362, 367—372, 374, 377, 381—382, 611—612.

— დედისეული გვარი — 198—201, 203, 207—208, 233—236, 245, 249—251, 255, 264—265, 284—285, 288, 296—297, 300—301, 342, 343—347, 349, 374.

— მამისეული გვარი — 199, 207—208, 251, 257, 264, 277, 301, 302, 310, 325—326, 342, 345—346, 352, 374.

გლეხთა ომი გერმანიაში — 61, 113—114, 128, 132, 480.

«გლეხთა ომი გერმანიაში» ენგელსისა — 607—608.

გლეხობა — 113—114, 507, 509, 523—524.

— წვრილი — 508, 509—511, 516—517, 521—526.

— საშუალო და მსხვილი — 509, 527—530.

— სოფლის მეურნეობის პროლეტარიატი — 512, 529 — 532.

— და ბურჟუაზიული რევოლუცია — 115.

— და პროლეტარული რევოლუცია — 549.

«გოთას პროგრამის კრიტიკა» მარქსისა—5—7, 42—43.

დ

«დამფუძნებელი მანიფესტი და წესდება მუშათა საერთაშორისო ამხანაგობისა» — 13, 19, 20, 183, 551, 563.

დარვინიზმი — 72—73, 78, 84, 86, 148, 190, 208, 451, 455—456.

დაქირავებული შრომა — იხ. შრომა.

«დაქირავებული შრომა და კაპიტალი» მარქსისა — 404.

დიალექტიკა — 144, 148, 150, 466, 482, 602.

— მარქსის მატერიალისტური დიალექტიკა — დაპირისპირებული ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკისადმი — 464—465.

— დიალექტიკა და მეტაფიზიკა — 144—148, 466—467, 602.

— საგნებისა და მოვლენების ურთიერთკავშირი — 144—145, 148, 467, 470, 592, 597—598, 602, 606, 612—613.

იხ. ავრეთვე მიზეზი და შედეგი.

— როგორც მოძღვრება განვითარების შესახებ — 73, 435—436.

— დაპირისპირებულთა ერთიანობა და ბრძოლა — 130—131, 147, 157, 261, 264, 273, 541, 602.

— საზოგადოებრივ ცხოვრებაში — 12—13, 16, 19, 47, 154, 161, 194, 392—393.

— დიალექტიკა ბუნებათმეცნიერებაში — 73 — 76, 82, 93 — 94, 146—147, 150, 467 — 468.

დიალექტიკური მატერიალიზმი — 150, 463—464, 486—487.

— მისი შემეცნების თეორია — 109—110, 445—447, 453.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები — 97, 114, 161, 186, 279, 470.

ე

ენერგიის გარდაქმნის კანონი — 70, 82, 450, 468.
ეკონომიკა — 112, 126—127, 151—152, 154, 186, 190, 414, 473—475, 592—593, 595—602, 606, 612—615.
იხ. აგრეთვე ბაზისი და ზედნაშენი.
ეკონომისტები ბურჟუაზიული — 18—19, 22, 23, 78, 151—152, 187, 191, 193, 539—540, 543, 547, 559—560, 605.
ექსპლუატაცია — 152—153, 166, 188—189, 386, 390—394, 518.
ექსპროპრიაცია
— წვრილი მესაკუთრეების — 99, 138.
— ექსპროპრიატორების — 530.

ვ

გაჭართა კლასი — 378—379, 389, 391.
ვაჭრობა — 542, 596.
ველურობა — 211 — 213, 218, 233—234, 246—247, 369, 444.

ზ

ზედმეტი ღირებულება — 24, 153, 188, 191, 209, 492.

თ

თავადაზნაურობა — 184—186, 354.
«თავისუფლება» ბურჟუაზიული — 30.
თავისუფლება ვაჭრობისა — 125, 496—497, 501—502.
თანასწორობა — 16—17, 40, 132.
— თანასწორობის ბურჟუაზიული გაგება — 131.
თემი — 185, 510 — 511.
— ოჯახური (შინაური) — 102, 230, 252—255, 343, 348—351, 376.
— სოფლის — 253 — 255, 343, 349—350.
— ინდური — 54—55.
— გერმანული (მარკა) — 54—55, 102, 296 — 297, 343, 362, 365, 368, 382.
— რუსული — 51—57, 609—611.
თეორია და მისი მნიშვნელობა — 135, 396, 483.
— თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა — 191, 484, 486.

«თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» მარქსისა — 181, 560, 594, 602, 615.

ი

იდეალიზმი — 93, 149—151, 342, 444, 484.
— და მატერიალიზმი — იხ. მატერიალიზმი.
— ისტორიის იდეალისტური გაგება — 151—152, 185, 469, 471, 534, 537, 545, 605.
იდეები, მათი როლი საზოგადოებრივ განვითარებაში — 186, 542.
იდეოლოგია — 126—127, 186, 190, 456, 477—480, 481, 589—591, 592, 599—601, 603—605, 612—615.
იხ. აგრეთვე მეცნიერება, რელიგია, ფილოსოფია.
ინგლისი — 13, 104, 107, 112, 115—120, 123, 125, 127, 139, 143, 472, 473, 476, 481, 482, 489, 490, 492, 493, 494, 495—496, 499, 500—504, 520—521, 537, 538, 539, 597, 601.
— ინგლისის პროლეტარიატი — 121, 123—125, 127, 493—494, 496—497, 498—503.
ინგლისის ბურჟუაზია — 106, 116 — 117, 119 — 125, 472, 490, 491—492, 495 — 497.

ინგლისის გლეხობა — 115, 507.
— ინგლისის მიწის არისტოკრატია — 115—116, 119—125, 472.
— ინგლისის სამრეწველო მონოპოლია — 490, 493. 496—497, 502—503.
— მუშათა მოძრაობა ინგლისში — იხ. მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ა.
ინ დ ო ე თ ი — 55, 255, 256, 371, 596.
ინ დ ო ე ლ ე ბ ი — 194, 205, 207, 212, 214—219, 235, 237—243, 248, 251, 264, 283—298, 301, 307, 308, 315—316, 348, 354, 369—370.
ინ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ა — 21, 34—36, 179, 183, 406, 411, 429.
ინ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი და მ ი ს ი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა — 20—21, 183—184. 191, 406, 418. 419, 429, 555, 563—564, 567, 569, 571—572, 575—578, 578—579, 589.
— ინტერნაციონალის დაარსება — 183.
— ჯენერალური საბჭო — 183, 418, 558, 563—566, 569—572.
— მარქსი და ენგელსი როგორც ინტერნაციონალის დამაარსებელნი და ბელადები — 183, 191.
— ჟენევის კონგრესი — 557.
— ბაზელის კონგრესი — 568.
— ლონდონის კონფერენცია—564—566, 569.
ჰაგის კონგრესი — 5, 183, 575—576, 579.
— ბრძოლა ბაკუნიზმთან — იხ. ბაკუნიზმი.
— ბრძოლა პრუდონიზმთან — იხ. პრუდონიზმი.
ი რ ლ ა ნ დ ი ა — 54, 254, 338, 340—341, 496—497.
ი ს ტ ო რ ი ა — 12—13, 77, 148—149, 150—151, 184—185, 186, 190, 194, 434, 468—472, 534, 563, 564, 593—594, 613—615.
ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი — 77, 103, 111—113, 152—155, 184—187, 190, 193—194, 413—414, 430. 449, 451, 470—472, 482, 534—535, 547, 589—593, 597—600, 603—605, 612—615.

კ

კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ე ბ ა ბ უ ნ ე ბ ა ს ა და ი ს ტ ო რ ი ა შ ი — 148—149, 159—160, 389—390, 469—470, 472, 534, 541, 559.
კ ა ნ ტ ი ა ნ ე ლ ო ბ ა — 110, 445—447, 452—453.
კ ა ნ ტ-ლ ა პ ლ ა ს ი ს თ ე ო რ ი ა მ ზ ი ს ს ი ს ტ ე მ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს ა — 67—69, 74. 139, 148, 449.
კ ა პ ი ტ ა ლ ი — 153. 165—166, 176, 188, 567.
— კაპიტალის კონცენტრაცია — 165, 491—492.
— და დაქირავებული შრომა — 129, 131, 162, 187 — 188, 491—492.
«კ ა პ ი ტ ა ლ ი» მარქსისა—8, 36—37, 102, 155, 163, 182, 189, 193, 369, 494, 558, 561. 578, 594, 603.
კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი — 99. 134, 154, 160, 169—170, 277, 462, 473, 492, 611.
— კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი — 77—78, 139, 158—159, 161—169, 172, 174—176, 473—474, 492, 502, 610—611.
— მისი დაღუპვის გარდუვალობა და სოციალიზმი — 153, 163—164, 168—170, 172, 176, 187—188, 475.
კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი დ ა გ რ ო-

ვების საყოველთაო კანონი — 162—163.
ქელტები — 254, 338—342, 355.
ქლასები და ქლასობრივი ბრძოლა — 20, 24, 28, 98, 111, 136, 151—153, 171—173, 185, 188, 194, 264, 310, 382, 385, 387, 388, 413—415, 475, 477, 545, 547, 565, 583, 591, 598, 611—612.
— ქლასობრივი ბრძოლა როგორც ისტორიის მამოძრავებელი ძალა — 111, 151, 185—186, 194, 474—475, 547, 589.
— თანამედროვე ქლასების წარმოშობა — 47, 98, 171, 194, 373, 377—382, 391, 413, 474.
— ანტაგონისტური ქლასობრივი წინააღმდეგობანი — 129, 130, 159, 175, 185—186, 264, 324, 382—384, 396, 413, 456.
— პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიასთან — იხ. პროლეტარიატი.
— ქლასების მოსპობა სოციალიზმის დროს — 24, 46—47, 98, 170—172, 176, 388, 547.
ქომუნიზმი. მეცნიერული — იხ. მეცნიერული სოციალიზმი.
ქომუნისტთა კავშირი — 178—179, 395, 398, 406—427, 428—429.
ქომუნისტთა ქელნის პროცესი — 406, 427—428.
«ქომუნისტთა ქელნის პროცესის მხილებანი» მარქსისა — 9, 181, 407, 426—428.
ქომუნისტები — 395—396.
«ქომუნისტური მანიფესტი» — იხ. «ქომუნისტური პარტიის მანიფესტი».
«ქომუნისტური პარტიის მანიფესტი» მარქსისა და ენგელსისა — 19—21, 38, 102, 179, 278, 395—396, 406, 417, 419, 586.
ქომუნისტური საზოგადოება — 14—15, 17, 27, 176, 187, 273, 388, 420, 547.
ქონკურენცია — 114, 154, 159, 175, 436, 490, 529.
— და მონოპოლია — 166, 541, 543.
ქოოპერატიული მოძრაობა — 24—26, 53, 143.
ქრედიტი — 539.
ქრიზისები ქაპიტალისტური — 163—168, 172—175, 187, 390, 494—495, 499, 501, 595—596.

ლ

ლასალელობა — 5—6, 12—13, 19—20, 22—23, 29—30, 33—37, 39, 43—45, 551—556, 564, 570, 575, 580—581.
«ლუდვიგ ფოიერბახი» ენგელსისა — 432, 594, 602, 615.

მ

მალთუსელობა — 23, 36.
მანუფაქტურა — 62, 103, 139, 154, 157, 161, 175, 185, 474, 482, 537.
მანქანები — 76—77, 97, 103, 154—155, 161—164, 175, 185, 393, 474, 538, 550.
მატერია — 71, 73, 80, 92—93, 105—107, 448—459.
— და მოძრაობა — 71, 80—83, 105, 468.
— და ცნობიერება — 64, 83, 106, 448.
მატერიალიზმი — 120, 150, 442, 445, 448—450, 463.
— და იდეალიზმი — 442, 445—447.
— ინგლისური მატერიალიზმი — 104—106, 116—118, 145, 601.
— XVIII ს. ფრანგული მატერია-

ლიზმი — 67, 106, 117—118, 144, 433, 448, 449, 453, 601.
— ფოიერბახის მეტერიალიზმი — 442 — 444, 453, 454 — 465, 484—487.
— ვულგარული მატერიალიზმი — 448, 450.
მატერიალური პირობები არსებობისა — 172, 185, 477, 478, 589.
მატერიალისტური გაგება ისტორიისა — იხ. ისტორიული მატერიალიზმი.
მეტაფიზიკა — 66—68, 71, 144—146, 449, 466—467.
მეცნიერება — 104, 113, 191, 435—436, 483, 613.
მეცნიერული სოციალიზმი — 46, 129, 151—156, 176, 182, 186, 189, 190—192, 415, 417—419, 429, 430, 464, 483, 494, 547.
— ისტორიული წარმოშობა — 414—415, 430—432.
მიზეზი და შედეგი — 147, 602, 606, 613.
მიწათმოქმედება — 155, 375—377.
მიწათმფლობელობა — 13, 386, 473, 507, 530.
მოთხოვნა და მიწოდება — 99, 175.
მონარქია — 61.
— აბსოლუტური — 114, 119, 386, 601.
მონობა — 97, 170, 248—249, 256, 312, 317 321, 324, 359 — 360, 368, 373, 376—377, 390, 542.
მონოპოლია — იხ. კონკურენცია.
მორალი ბურჟუაზიული — 462.
მოძრაობა — იხ. მატერია და მოძრაობა.
მრეწველობა — 19—20, 62, 103, 133—134, 139, 151, 154, 161 — 163, 175, 185, 268, 271, 374, 428, 436, 446, 472—475, 482, 488—492, 517, 537, 542.
«მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში» ენგელსისა — 162, 488, 491—496.
მუშათა მოძრაობა — 127, 151, 395—396, 414, 563, 565.
— მისი საერთაშორისო ხასიათი — 20—22, 180, 182—185, 406 — 407, 419, 429.
— ამერიკაში — 557.
— ინგლისში — 127, 496 — 497, 405—406, 555, 558.
— გერმანიაში — 127—128, 406, 428, 483, 555, 564.
— საფრანგეთში — 563.
— მარქსი და ენგელსი როგორც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ბელადები — 190—192, 429, 555, 589.
მუშათა პარტია საფრანგეთისა — 522.
— აგრარული პროგრამა — 512 — 523, 527.
«მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა» — იხ. ინტერნაციონალი პირველი.

ნ

ნატურალური მეურნეობა — 160, 185, 314, 510, 610.
ნაციონალიზაცია
— მიწის — 420.
— ტრანსპორტის — 167—168, 420.

ო

ომი
— და პროლეტარიატის დამოკიდებულება მასთან — 36.
— სამოქალაქო — 561.
— ყირიმის ომი 1854—1856 წ.წ. — 609, 610.

— ავსტრია-იტალიის ომი 1859 წ. 182.
ოუენიზმი — 132, 134, 139—143, 485.
ოჯახი და ქორწინება — 194, 197—198, 211, 220—222, 240, 252, 264, 271—274, 282, 374—375, 391, 485.
— სისხლმონათესავე ოჯახი — 229—231, 236—237.
— პუნალუა ოჯახი და ჯგუფობრივი ქორწინება — 205, 208, 219—221, 225, 230—240, 243—246, 256, 259, 262, 272, 276, 284, 342.
— წყვილადი ოჯახი და ქორწინება — 218—219, 235, 237—243, 247, 249, 253, 256, 259, 264, 266, 272, 277, 338, 340, 346, 374, 376.
— პატრიარქალური ოჯახი — 252—253, 256, 272.
— მონოგამია — 247, 252, 255—257, 260—269, 272—273, 276, 280—282, 305, 374, 376, 390.
— ოჯახი და ქორწინება კაპიტალიზმის დროს — 134, 267—272, 278—280.
— პროლეტარული ქორწინება — 268—269.
— ოჯახი და ქორწინება სოციალიზმის დროს — 273, 280—281.
«ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა» — ენგელსისა — 45, 193, 196—198.

პ

პარიზის კომუნა, მისი ისტორიული მნიშვნელობა — 22, 34, 38, 560—562, 576, 579.
— კომუნა როგორც სახელმწიფოს ახალი ტიპი — 38.
— შეცდომები და დამარცხების მიზეზები — 561.
პარტია პროლეტარიატისა — 7—8, 31, 39, 388, 395—397, 419, 429, 508, 563, 565, 574—577, 581, 586, 588.
პარცელური მეურნეობა — 509, 522, 525, 527.
პირველყოფილი კომუნიზმი — 230, 241, 247, 271, 298, 348—349, 370, 389.
პირველყოფილი საზოგადოება — 46, 194, 207, 299, 314 — 315.
პიროვნების როლი ისტორიაში — 472, 562, 592—594, 614.
პოლიტიკა და პოლიტიკური ბრძოლა მუშათა კლასისა — 388, 422, 556, 565, 568.
პოლიტიკური ეკონომია — 187, 189, 208, 489.
— კლასიკური — 99, 559.
— ვულგარული — 559.
«პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» მარქსისა — 182, 430.
პრაქტიკა როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმი — 446—447, 484—487.
პროლეტარიატი — 19 — 20, 46, 47, 134, 169, 175—176, 187, 271, 273, 280, 388, 413—415, 472, 551, 563, 565, 587.
— მისი ისტორიული როლი — 13, 20, 161, 176, 187, 191, 413—415.
— წარმოშობა — 121, 130—131.
— მდგომარეობა კაპიტალიზმის დროს — 159, 162, 163, 491.
იხ. იგრეთვე გაღატაკებაპროლეტარიატისა.
— ბრძოლა ბურჟუაზიასთან — 20, 37, 98, 151, 387, 396, 413—415,

473, 538, 562, 565, 581, 583, 588.
პროლეტარიატის დიქტატურა — 27, 170, 176, 523, 530, 547, 565, 602.
პროლეტარული რევოლუცია — 34, 46, 47, 57, 98, 170, 176, 272, 280, 419, 425—426, 474, 547, 548, 561, 583.
პროფესიონალური კავშირები — 37.
იხ. აგრეთვე ტრედ-უნიონები.
პრუდონიზმი, პრუდონისტები — 533. 543—547, 557, 558, 564, 566, 578 — 579.
პრუსია, პრუსაკობა — იხ. გერმანია.

რ

«რაინის გაზეთი» — 177—178, 191, 441.
რევოლუციე — 51, 319.
— ბურჟუაზიული — 115, 134, 152, 474, 481.
— პროლეტარული, სოციალისტური — იხ. პროლეტარული რევოლუცია.
რევოლუცია ბურჟუაზიული ინგლისში XVII ს. — 115, 119, 132, 481, 536.
რევოლუცია ბურჟუაზიული საფრანგეთში XVIII ს. — 115, 118—120, 132, 133, 134. 135, 137, 318. 457, 494, 510.
რევოლუცია 1848 წ. — 419, 421, 423—425, 498.
რევოლუცია 1848 წ. გერმანიაში — 115, 180—181, 396—397, 400—405, 422.
რევოლუცია 1848 წ. საფრანგეთში — 120, 396, 496, 508, 562.
— პროლეტარიატის ივნისის აჯანყება — 403, 562.
— პროლეტარიატი რევოლუციაში — 120.
რელიგია — 93, 97, 117, 125—126, 292, 444, 455—458, 477—479, 481, 485—487, 600—602.
რესპუბლიკა ბურჟუაზიული — 28, 131, 287, 387—388.
რეფორმაცია — 61, 113—114, 131, 278, 457, 480—481.
— რუსეთი — 46—60, 253, 255, 350, 403—404, 609—611.
— რუსეთის გლეხობა — 47—51, 55, 56—58.
— რუსეთის თავადაზნაურობა — 47—48.
— რუსეთის პროლეტარიატი — 47.
— რუსეთის ბურჟუაზია — 50.
— რუსეთის ცარიზმი, მისი რეაქციული როლი — 55, 403.
— საგლეხო რეფორმა 1861 წ. — 48, 50, 56, 59, 609.
— კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში — 50, 55—57, 609—611.
— რევოლუციის პერსპექტივები რუსეთში და მისი საერთაშორისო მნიშვნელობა — 46, 51, 59—60.

ს

საგაფიცვო მოძრაობა — 565.
საზოგადოება — 89—90, 452, 534.
— საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები — [illegible]
— სამოქალაქო საზოგადოება — 413, 476, 486—487, 534.
იხ. აგრეთვე პირველყოფილი საზოგადოება, ფეოდალიზმი, ბურჟუაზიული საზოგადოება, სოციალისტური საზოგადოება, კომუნისტური საზოგადოება.
საკუთრება — 319, 539.

ე

ენერგიის გარდაქმნის კანონი — 74 — 75, 86, 458, 474 — 475.
ეკონომიკა — 117, 132, 157, 159, 192, 197 — 198, 421, 480 — 482, 598 — 599, 601 — 609, 612, 617 — 620.
იხ. აგრეთვე ბაზისი და ზედნაშენი.
ეკონომისტები ბურჟუაზიული — 20, 24, 25, 82, 157, 194, 198, 200, 547, 550 — 551, 554, 566—567, 611.
ექსპლუატაცია — 158 — 159, 171, 193 — 195, 391, 396 — 398, 525.
ექსპროპრიაცია
— წვრილი მესაკუთრეების — 103, 180.
— ექსპროპრიატორების — 537.

ვ

ვაჭართა კლასი — 383 — 384, 395, 396.
ვაჭრობა — 549, 602 — 603.
ველურობა — 218 — 220, 224, 240 — 241, 253 — 254, 279, 374—375, 451.

ზ

ზედმეტი ღირებულება — 24, 158, 194 — 195, 198, 215, 499.

თ

თავადაზნაურობა — 191 — 192, 359 — 360.
«თავისუფლება» ბურჟუაზიული — 31 — 32.
თავისუფლება ვაჭრობისა — 130, 504 — 505, 508 — 509.
თანასწორობა — 17 — 18, 41, 137 — 138.
— თანასწორობის ბურჟუაზიული გაგება — 136.
თემი — 191, 517 — 518.
— ოჯახური (შინაური) — 108, 237, 259 — 262, 349 — 350, 355 — 357, 381.
— სოფლის — 261 — 262, 349 — 350, 355 — 356.
— ინდური — 58 — 59, 262.
— გერმანული (მარკა) — 58, 107 — 108, 303, 349 — 350, 367 — 368, 371, 373, 388.
— რუსული — 54 — 61, 615 — 617.
თეორია და მისი მნიშვნელობა — 141, 402 — 403, 489—490.
— თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა — 198, 489 — 490, 491 — 492, 493 — 494.
«თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» მარქსისა — 187, 567, 600, 608, 620.

ი

იდეალიზმი — 97, 155 — 157, 448 — 449, 451 — 452, 491 — 492.
— და მატერიალიზმი — იხ. მატერიალიზმი.
— ისტორიის იდეალისტური გაგება — 157, 191, 476, 478, 541, 543 — 544, 552, 611.
იდეები, მათი როლი საზოგადოებრივ განვითარებაში — 192, 550.
იდეოლოგია — 131 — 133, 192, 197 — 198, 463 — 464, 484 — 486, 487 — 488, 595 — 597, 598 — 599, 605 — 607, 610 — 612, 618 — 620.
იხ. აგრეთვე მეცნიერება, რელიგია, ფილოსოფია.
ინგლისი — 14, 109, 112 — 113, 117, 120—125, 128, 130, 132 —133, 145, 147 — 148, 393, 479, 480,

482, 487, 489, 497, 499, 500, 501, 502 — 504, 506, 508 — 512, 527, 543, 544, 545, 546, 603, 606 — 607.
— ინგლისის პროლეტარიატი — 126, 130 — 131, 132 — 133, 500 — 501, 504, 506 — 510, 513.
ინგლისის ბურჟუაზია — 112, 121 — 122, 124 — 132, 479, 492, 499, 503 — 504.
— ინგლისის გლეხობა — 120, 514.
— ინგლისის მიწის არისტოკრატია — 120 — 121, 124 — 130, 479.
— ინგლისის სამრეწველო მონოპოლია — 497, 503, 504, 508 — 510.
— მუშათა მოძრაობა ინგლისში — იხ. მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ა.
ი ნ დ ო ე თ ი — 58, 262, 263, 377, 602.
ი ნ დ ი ე ლ ე ბ ი — 202, 212, 214, 220, 221 — 226, 242, 246 — 250, 255 — 256, 258, 272, 290 — 305, 308, 314, 315, 322 — 323, 354, 360, 375 — 376.
ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ა — 22, 37 — 38, 185, 189, 413, 418, 436.
ინტერნაციონალი პ ი რ ვ ე ლ ი და მ ი ს ი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა — 21 — 23, 189 — 190, 199, 413, 425, 426, 436, 562, 569—571, 573, 575, 578, 582 — 583, 584 — 586, 595.
— ინტერნაციონალის დაარსება — 189.
— გენერალური საბჭო — 189 — 190, 424, 564, 570 — 571, 575 — 578.
— მარქსი და ენგელსი როგორც ინტერნაციონალის დამაარსებელნი და ბელადები — 189, 199.
— ჟენევის კონგრესი — 563 — 564.
— ბაზელის კონგრესი — 575.
— ლონდონის კონფერენცია — 571 — 572, 576.
— ჰაგის კონგრესი — 6, 189 — 190, 582 — 583, 585.
— ბრძოლა ბაკუნიზმთან — იხ. ბაკუნიზმი.
ბრძოლა პრუდონიზმთან — იხ. პრუდონიზმი.
ი რ ლ ა ნ დ ი ა — 57 — 58, 261, 345, 347 — 348, 504.
ი ს ტ ო რ ი ა — 13, 81, 82, 154, 155—158, 191, 192, 197, 202, 442 — 443, 476 — 479, 541 — 543, 570, 596, 599 — 600, 618 — 620.
ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი — 81 — 82, 109, 117, 157 — 161, 191 — 193, 197, 200 — 202, 421, 437, 456, 458 — 459, 476 — 488, 541 — 542, 554, 594 — 600, 603 — 606, 610, 617 — 620.

კ

კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ე ბ ა ბ უ ნ ე ბ ა ს ა დ ა ი ს ტ ო რ ი ა შ ი — 154 — 155, 164 — 166, 394 — 395, 476 — 477, 479, 541 — 542, 547 — 548, 565 — 566.
კ ა ნ ტ ე ლ ო ბ ა — 115, 453—454, 459—460.
კ ა ნ ტ — ლ ა პ ლ ა ს ი ს თ ე ო რ ი ა მ ზ ი ს ს ი ს ტ ე მ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს ა — 71 — 73, 78, 145, 154, 456.
კ ა პ ი ტ ა ლ ი — 158, 170 — 172, 181 — 182, 195, 573.
— კაპიტალის კონცენტრაცია — 170, 498.
— და დაჭირავებული შრომა — 135, 137, 168, 194 — 195, 499.
«კ ა პ ი ტ ა ლ ი» მარქსისა — 9, 38, 107 — 108, 161, 169, 188, 195, 200, 374, 501, 565, 567, 584, 600, 608.
კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი — 103, 140, 160, 166, 175, 176 — 177, 284, 468, 480 — 481, 499, 617.
— კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი — 82, 145, 163 — 165, 167 — 174, 178, 180 — 181, 193 — 194, 480 — 481, 499, 509, 616.
— მისი დაღუპვის გარდუვალობა და სოციალიზმი — 158, 169, 174 —

175, 177 — 178, 181 — 182, 193, 481.
კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონი — 168.
კელტები — 261, 344 — 348, 361.
კლასები და კლასობრივი ბრძოლა — 21, 25 — 26, 30, 101 — 102, 117, 143, 157 — 158, 177 — 178, 191, 194 — 195, 202, 271, 318, 387 — 388, 390, 391 — 392, 393, 421 — 422, 481, 483 — 484, 551, 554, 572, 589 — 590, 598, 604, 617 — 618.
— კლასობრივი ბრძოლა როგორც ისტორიის მამოძრავებელი ძალა — 117, 157, 191 — 192, 201 — 202, 480 — 482, 554, 594 — 595.
— თანამედროვე კლასების წარმოშობა — 50, 101 — 102, 177, 201 — 202, 378, 381 — 388, 396, 421, 480 — 481.
— ანტაგონისტური კლასობრივი წინააღმდეგობანი — 135, 136 — 137, 164, 180 — 181, 192 — 193, 271, 331, 387 — 390, 402, 421, 463 — 464.
— პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიასთან — იხ. პროლეტარიატი.
— კლასების მოსპობა სოციალიზმის დროს — 25, 49 — 50, 101 — 102, 175 — 178, 182, 393 — 394, 554.
კომუნიზმი მეცნიერული — იხ. მეცნიერული სოციალიზმი.
კომუნისტთა კავშირი — 185, 401, 404, 413—436.
კომუნისტთა კელნის პროცესი — 413, 434 — 435.
«კომუნისტთა კელნის პროცესის მხილებანი» მარქსისა — 10, 187, 414, 434.
კომუნისტები — 401 — 402.
«კომუნისტური მანიფესტი» — იხ. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი».
«კომუნისტური პარტიის მანიფესტი» მარქსისა და ენგელსისა — 20 — 22, 40, 107, 185, 285, 401 — 403, 413, 424, 426, 592 — 593.
კომუნისტური საზოგადოება — 15 — 17, 18 — 19, 28, 82, 181 — 182, 193 — 194, 280 — 281, 394, 425, 554.
კონკურენცია — 119, 160, 165, 181, 443, 497 — 498, 536.
— და მონოპოლია — 171 — 172, 548—549, 550 — 551.
კოოპერატიული მოძრაობა — 26—27, 56, 148—149.
კრედიტი — 56, 169, 546.
კრიზისები კაპიტალისტური — 169 — 173, 178 — 181, 193, 395, 502 — 503, 506, 508, 509, 601 — 602.

ლ

ლასალელობა — 5 — 6, 14 — 15, 20 — 21, 23 — 25, 29 — 32, 35 — 39, 41 — 42, 45 — 47, 558 — 562, 571, 576, 580 — 581, 586 — 587.
«ლუდვიგ ფოიერბახი» ენგელსისა — 438, 600, 608, 621.

მ

მალთუსელობა — 24, 38.
მანუფაქტურა — 66, 108, 145, 160, 163, 166, 180, 191 — 192, 480 — 481, 488, 544.
მანქანები — 81, 101, 108 — 109, 160 — 161, 167 — 169, 180, 191—192, 398, 480, 545—546, 557.
მატერია — 75, 77 — 78, 84, 86—87, 110, — 111, 455 — 456.
— და მოძრაობა — 75, 84 — 87, 110, 474 — 475.

— და ცნობიერება — 68, 87, 111, 455.
მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი — 125, 156, 448 — 449, 452, 454 — 456, 470—471.
— და იდეალიზმი — 448 — 449, 451—453.
— XVII ს. ინგლისური მატერიალიზმი — 109 — 112, 121 — 122, 152, 607.
— XVIII ს. ფრანგული მატერიალიზმი — 71, 112, 123, 150, 156, 440, 455, 456, 460, 607.
— ფოიერბახის მეტაფიზიკური მატერიალიზმი — 449 — 450, 455, 458 — 459, 461 — 470, 491 — 494.
— ვულგარული მატერიალიზმი — 455, 457 — 458.
მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი პ ი რ ო ბ ე ბ ი ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ა — 177 — 178, 191, 484, 485, 595.
მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი გ ა გ ე ბ ა ი ს ტ ო რ ი ი ს ა — იხ. ის ტ ო რ ი ულ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი.
მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ა — 69 — 71, 75, 150—152, 456, 473 — 474.
მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა — 67 — 68, 110 — 111, 118,198, 442, 489 — 490, 618.
მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი — 49 — 50, 135, 158 — 160, 181 — 182, 188 — 189, 192, 195—196, 197 — 198, 422, 424 — 425, 436, 437, 470 — 471, 489 — 490, 501, 554.
— ისტორიული წარმოშობა — 421 — 422, 437 — 439.
მ ი ზ ე ზ ი დ ა შ ე დ ე გ ი — 153, 608, 612, 618—619.
მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა — 161, 381 — 382.
მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა — 14, 392, 480, 514, 537.
მ ო ო ხ ო ვ ნ ა დ ა მ ი წ ო დ ე ბ ა — 103, 180 — 181.
მ ო ნ ა რ ქ ი ა — 65.
— აბსოლუტური — 119, 124, 392, 607.
მ ო ნ ო ბ ა — 101, 176, 255 — 256, 264 — 265, 275, 317 — 318, 324, 328, 331, 365 — 367, 373 — 374, 378, 381 — 383, 396, 549.
მ ო ნ ო პ ო ლ ი ა — იხ. კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ა.
მ ო რ ა ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი — 469.
მ ო ძ რ ა ო ბ ა — იხ. მ ა ტ ე რ ი ა დ ა მ ო ძ რ ა ო ბ ა.
მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა — 20 — 21, 66, 108, 139 — 140, 145, 157, 160, 167 — 170, 180 — 181, 192, 275 — 276, 278, 379, 420, 435, 443, 454, 479 — 482, 488, 495 — 499, 523, 544, 549.
«მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ინ გ ლ ი ს შ ი» ენგელსისა — 168, 495, 499 — 503.
მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ა — 132 — 133, 156 — 157, 402, 421, 570, 572.
— მისი საერთაშორისო ხასიათი — 22, 185, 189 — 190, 413 — 414, 426, 436.
— ამერიკაში — 436, 564.
— ინგლისში — 132 — 133, 503 — 504, 511 — 513, 562, 564 — 565.
— გერმანიაში — 133 — 134, 413 — 414, 435, 489 — 490, 562, 570.
— საფრანგეთში — 571.
— პარტსი და ენგელსი როგორც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ბელადები — 197, 198 — 199, 435—436, 562, 595.
მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს ა — 529.
— აგრარული პროგრამა — 519 — 531, 535.
«მ უ შ ა თ ა ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა» — იხ. ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი.

ნ

ნატურალური მეურნეობა — 165—166, 191, 321 — 322, 518, 616.
ნაციონალიზაცია
— მიწის — 427.
— ტრანსპორტის — 173, 427.

ო

ომი
— და პროლეტარიატის დამოკიდებულება მასთან — 38.
— სამოქალაქო — 567.
— ყირიმის ომი 1854 — 1856 წწ. — 615, 616.
— ავსტრია-იტალიის ომი 1859 წ.—188.
ოუენიზმი — 138, 140, 146 — 149, 492.
ოჯახი და ქორწინება — 201, 204 — 205, 218, 227 — 229, 247 — 248, 259 — 260, 271 — 272, 278 — 280, 288 — 289, 380—381, 396, 492.
— სისხლმონათესავე ოჯახი — 235 — 239, 243 — 244.
— პუნალუა ოჯახი და ჯგუფობრივი ქორწინება — 212 — 214, 226 — 228, 233, 237 — 247, 250 — 254, 263, 265 — 266, 269, 279, 284, 291, 346, 349.
— წყვილადი ოჯახი და ქორწინება — 225 — 226, 242, 245 — 250, 254, 257, 259 — 260, 263, 265 — 266, 272, 273, 279, 284, 345 — 346, 354, 380, 381.
— პატრიარქალური ოჯახი—204, 259—261, 263, 279, 290.
— მონოგამია — 253 — 254, 259—260, 262 — 265, 267 — 276, 279 — 281, 283 — 284, 287 — 290, 312, 379 — 380, 381, 396.
— ოჯახი და ქორწინება კაპიტალიზმის დროს — 140, 274 — 280, 284 — 288.
— პროლეტარული ქორწინება — 275—276.
— ოჯახი და ქორწინება სოციალიზმის დროს — 280 — 281, 288 — 289.
«ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა» — ენგელსისა — 48, 200, 203.

პ

პარიზის კომუნა, მისი ისტორიული მნიშვნელობა — 23, 36, 40, 567 — 569, 582, 585.
— კომუნა როგორც სახელმწიფოს ახალი ტიპი — 40.
— შეცდომები და დამარცხების მიზეზები — 567 — 568.
პარტია პროლეტარიატისა — 8 — 9, 32, 41 — 42, 393, 402 — 404, 425 — 426, 435—436, 515 — 516, 569 — 570, 572, 580 — 584, 592, 594.
პარცელური მეურნეობა — 516, 529 — 530, 532, 534.
პირველყოფილი კომუნიზმი — 237, 248 — 249, 254—255, 277 — 278, 305, 355 — 356, 376, 394.
პირველყოფილი საზოგადოება — 50, 201 — 202, 215, 306, 322 — 323.
პიროვნების როლი ისტორიაში — 479, 569, 598 — 600, 619 — 620.
პოლიტიკა და პოლიტიკური ბრძოლა მუშათა კლასისა — 393, 429 — 430, 563 — 564, 572, 574.
პოლიტიკური ეკონომია — 194, 196, 215, 496.
— კლასიკური — 103, 566.
— ვულგარული — 566.
«პოლიტიკური ეკონომი-

ის კრიტიკისათვის» მარქსისა — 188, 437.
პრაქტიკა როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმი — 452 — 454, 491 — 493.
პროლეტარიატი — 20 — 22, 49 — 50, 141, 175, 180 — 182, 193 — 194, 278, 280, 287, 393, 421 — 422, 479, 560, 569 — 570, 572, 592 — 593.
— მისი ისტორიული როლი — 13, 21—22, 167, 181 — 182, 193, 198, 421 — 422.
— წარმოშობა — 126, 137, 480.
— მდგომარეობა კაპიტალიზმის დროს— 164, 168, 194 — 195, 499.
იხ. აგრეთვე გაღატაკება პროლეტარიატისა.
— ბრძოლა ბურჟუაზიასთან — 21 — 22, 39, 101 — 102, 157 — 158, 392, 402 — 403, 420 — 422, 480, 545, 569, 572, 587, 589, 594 — 595.
პროლეტარიატის დიქტატურა — 28, 175, 181 — 182, 531, 537, 554, 572, 608.
პროლეტარული რევოლუცია — 36, 49 — 50, 60 — 61, 102, 175, 181 — 182, 280, 425, 432 — 434, 481, 554, 556, 567 — 568, 589.
პროფესიული კავშირები—39. იხ. აგრეთვე ტრედ-უნიონები.
პრუდონიზმი, პრუდონისტები — 540 — 541, 550 — 554, 564, 565, 571, 573 — 574, 585 — 586.
პრუსია, პრუსიელობა— იხ. გერმანია.

რ

«რაინის გაზეთი» — 183 — 184, 199, 447.
რევოლუცია — 54, 326.
— ბურჟუაზიული — 120, 141, 160, 480, 487.
— პროლეტარული, სოციალისტური — იხ. პროლეტარული რევოლუცია.
რევოლუცია ბურჟუაზიული ინგლისში XVII ს. — 120, 123, 137, 487, 543.
რევოლუცია ბურჟუაზიული საფრანგეთში XVIII ს. — 120, 123 — 125, 137, 138, 140 — 141, 142 — 143, 326, 464, 501 — 502, 517.
რევოლუცია 1848—1849 წწ. — 426, 428 — 429, 430 — 432, 506.
რევოლუცია 1848 — 1849 წწ. გერმანიაში — 120, 186 — 187, 402 — 403, 406 — 412, 429—430.
რევოლუცია 1848 წ. საფრანგეთში — 126 — 127, 403, 503, 515, 568.
— პროლეტარიატის ავანგარდის აჯანყება — 409, 568.
— პროლეტარიატი რევოლუციაში — 126 — 127.
რელიგია — 97, 101, 122, 131 — 132, 286, 299, 451 — 452, 462 — 465, 484 — 485, 487 — 488, 492—493, 606.
რესპუბლიკა ბურჟუაზიული — 29, 136, 278, 392 — 393.
რეფორმაცია — 67, 119—120, 137, 285, 463, 486 — 488.
რუსეთი — 47, 49 — 60, 62 — 63, 261, 262, 356, 409 — 410, 615 — 617.
— რუსეთის გლეხობა — 50 — 54, 57, 58, 60 — 63.
— რუსეთის თავადაზნაურობა — 51 — 52, 55.
— რუსეთის პროლეტარიატი — 50, 55,
— რუსეთის ბურჟაზია — 53.
— რუსეთის ცარიზმი, მისი რეაქციული როლი — 59, 539, 409.

— საგლეხო რეფორმა 1861 წ. — 52, 54, 59, 63, 615.
— კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში — 53, 59 — 60, 615 — 617.
— რევოლუციის პერსპექტივები რუსეთში და მისი საერთაშორისო მნიშვნელობა — 49, 54, 62 — 63.

ს

საარსებო საშუალებანი — 168, 170 — 171, 194, 197, 201, 218, 322, 508, 617 — 618.
სააქციო საზოგადოება — 145, 171 — 173, 181, 393.
საგაფიცვო მოძრაობა — 572.
საზოგადოება — 14, 94 — 95, 393, 458 — 459, 541 — 542.
— საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები — 596 — 597.
— სამოქალაქო საზოგადოება — 421, 481, 494, 542.
იხ. აგრეთვე პირველყოფილი საზოგადოება, ფეოდალიზმი, ბურჟუაზიული საზოგადოება, სოციალისტური საზოგადოება, კომუნისტური საზოგადოება.
საკუთრება — 326, 546.
— თემური — 54, 57 — 61, 102, 518.
— ფეოდალური — 326, 546.
— ბურჟუაზიული — 136, 326, 546.
— მიწის — 319, 323, 385 — 386, 396, 517, 538.
— კერძო — 104, 161, 201, 268, 284, 318 — 319, 323, 326 — 327, 355, 381, 385.
— საკუთრების დამოკიდებულება — 202.
სამართალი, მისი ეკონომიური ფესვები — 15, 17 — 19, 124, 482 — 484, 598, 605 — 606, 618.
«სამოქალაქო ომი საფრანგეთში» მარქსისა — 189.
სამრეწველო რევოლუცია — 125 — 126, 145, 160 — 161, 180, 192, 616.
სამუშაო დღე — 608.
სამუშაო ძალა — 11, 19, 158, 170, 194 — 195.
— სამუშაო ძალის ღირებულება — 24 — 25, 158, 194 — 195, 508.
საფრანგეთი — 123 — 125, 127 — 128, 141 — 143, 145, 192, 393, 440, 462, 479, 480, 487, 500, 524, 525 — 526, 529, 569, 607, 613.
— საფრანგეთის პროლეტარიატი — 403 — 404, 564.
— საფრანგეთის ბურჟუაზია — 127 — 128, 141 — 143, 192, 487 — 488, 501 — 502.
— საფრანგეთის გლეხობა — 515, 524 — 525.
— ივლისის მონარქია საფრანგეთში — 128.
— მეორე იმპერია საფრანგეთში — 128, 392, 584.
— რესპუბლიკის გამოცხადება 1870 წ. 4 სექტემბერს და «ნაციონალური თავდაცვის» მთავრობა — 572.
— მუშათა მოძრაობა საფრანგეთში — იხ. მუშათა მოძრაობა.
იხ. აგრეთვე 1848 წ. რევოლუცია საფრანგეთში, პარიზის კომუნა.
საქონელი — 108, 161 — 162, 194, 323, 377, 394 — 395.
საყოველთაო საარჩევნო უფლება — 393, 505, 562.
საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი — 19, 50 — 51, 140, 159 — 161, 170 — 176, 177 — 178, 180 — 182, 193 — 194, 432 — 433, 480 — 482, 541 — 543, 546 — 550, 551 — 552, 556 — 557, 616.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო — 27, 29 — 30, 40, 97,175 — 176, 202, 303 — 304, 310, 318 — 321, 325 — 327, 329—330, 388 — 391, 393—394, 396 — 397, 421, 481 — 484, 573 — 574, 603 — 605, 608, 618, 619.

— მისი კლასობრივი არსი — 175 — 176, 389 — 392, 396 — 397, 481—484, 573 — 574.

— წარმოშობა — 201 — 202, 318 — 321, 325, 330 — 332, 344, 361, 368 — 369, 388, 483, 603.

— ანტიკური — 176, 329 — 331, 333—334, 363 — 364, 388, 392.

— ფეოდალური — 175 — 176, 391 — 392.

— ბურჟუაზიული — 27 — 29, 171 — 176, 181 — 182, 392 — 393.

— და პროლეტარული რევოლუცია, ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევის აუცილებლობა — 181, 567 — 568.

— სახელმწიფოს კვდომა — 40, 175 — 176, 182, 393 — 394.

— პროლეტარული — იხ. პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა. იხ. აგრეთვე მონარქია, რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა.

ს ე ნ-ს ი მ ო ნ ი ზ მ ი — 138, 140 — 143.

ს ე ქ ტ ა ნ ტ ო ბ ა — 570—572, 579—580, 581 — 584.

ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი

— მეცნიერული — იხ. მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი.

— «ჟეშმარიტი» — 424, 449 — 450, 593.

— კრიტიკულ-უტოპიური — 138—141, 148 — 149, 158, 414 — 417, 423 — 424, 564.

«ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა უ ტ ო პ ი ი დ ა ნ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ა კ ე ნ» ენგელსისა — 105 — 109.

ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა გ ე რ მ ა ნ ი ი ს ა — 105, 107.

— ოპორტუნიზმი გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში — 22 — 23, 24 — 25, 27, 46—47, 586—595.

— პარტიის გოთას პროგრამა — 5 — 6, 8, 11 — 16, 20 — 34, 35 — 43.

— პარტიის ერფურტის პროგრამა — 45.

— ს. დ. და კანონი სოციალისტების წინააღმდეგ — 46, 589 — 590, 597.

ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა გ ე რ მ ა ნ ი ი ს ა (ა ი ზ ე ნ ა ხ ე ლ ე ბ ი) — 8, 35 — 36, 42.

ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა — 16 — 20, 41, 171, 175 — 180, 181 — 182, 596. იხ. აგრეთვე კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა.

ტ

ტ ა ქ ტ ი კ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ა — 401 — 403, 580 — 581.

ტ რ ე დ-უ ნ ი ო ნ ე ბ ი — 132 — 133, 148 —149, 498, 505, 507, 511 — 512, 585.

უ

უ მ უ შ ე ვ რ ო ბ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს დ რ ო ს (სარეზერვო არმია) — 167 — 168, 170, 181.

ფ

ფ ე ო დ ა ლ ი ზ მ ი — 117 — 118, 160, 165 — 166, 180, 191, 372, 480 — 481, 486.

ფ ი ლ ი ს ტ ე რ ო ბ ა — 131, 271, 435 — 436, 445, 459 — 461.

ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა — 72, 446, 450 —

452, 484, 488 — 489, 606 — 609, 610 — 611.
იხ. აგრეთვე დიალექტიკური მატერიალიზმი, მატერიალიზმი, იდეალიზმი.
«ფილოსოფიის სიღატაკე» მარქსისა — 40, 185.
ფრანკები, ფრანკთა საშეფო — 359 — 360, 368 — 372.
ფული და ფულის მიმოქცევა — 170 — 171, 321, 323 — 324, 377, 384 — 386, 394 — 395, 396, 601.
ფურიერიზმი — 138, 140, 144 — 145, 170, 398 — 399.

ქ

ქალაქი და სოფელი — 191, 303, 325, 380, 382, 383, 387, 397, 545.
ქალთა შრომა — 32, 379.
ქალი
— პირველყოფილ საზოგადოებაში — 205, 207 — 208, 248 — 250, 277— 278, 379.
— ძველ საბერძნეთში — 206, 258 — 259, 264 — 268.
გერმანელებთან — 272 — 273, 353 — 354, 373.
— კაპიტალიზმის დროს — 275 — 276, 278 — 280.
— მისი განთავისუფლების პირობები— 278 — 279, 280 — 281, 288, 379.
ქრისტიანობა — 101, 127, 366, 463 — 465, 485 — 488.

ღ

ღირებულება — 565 — 566.
— სახმარი — 11, 13 — 14.
— გაცვლითი — 565 — 566.

უ

უოფიერება და ცნობიერება — 81, 141 157, 450 — 452.

შ

შემთხვევითობა — იხ. აუცილებლობა და შემთხვევითობა.
შვეიცარია — 30, 39, 393.
შრომა — 11 — 14, 18 — 19, 88, 90, 93 — 95, 177, 194, 201.
— შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში — 80 — 82, 88 — 97, 99.
— საზოგადოებრივი — 12 — 14, 161— 163, 177, 180, 565 — 566.
— საზოგადოებრივად აუცილებელი — 194, 565.
— დაქირავებული — 24 — 25, 162 — 164, 175 — 176, 180, 270, 273, 390 — 391, 517.
შრომის დანაწილება— 19, 30, 108, 162, 177, 319 — 320, 324, 376, 378 — 379, 381 — 384, 387, 388, 394 — 397, 480, 544 — 547, 557, 565, 602 — 605, 617 — 618.
შრომის საშუალებანი— იხ. წარმოების იარაღები.
შუა საუკუნეები — 117— 119, 127, 160 — 161, 162, 165 — 166, 175 — 176, 180, 191, 282 — 284, 353 — 354, 373, 383 — 384, 396, 451, 457, 463, 486, 543, 613— 614.

ჩ

ჩარტიზმი — 126, 131, 157, 419, 421 — 422, 503, 504, 555.

ც

ცივილიზაცია — 216, 218, 220, 224 — 225, 237, 254, 264.

270, 271, 279, 290, 374, 383 — 386, 394 — 400.

ძ

ძალდატანება, მისი როლი ისტორიაში — 177, 605, 608.

წ

წარმოება — 80 — 82, 158 — 159, 160 — 161, 177 — 178, 180—181, 192 — 197, 201, 218, 323, 393—395, 541—543, 554, 598, 602—603.
— სასაქონლო — 108, 124, 162, 164 — 166, 179 — 180, 216, 279, 319, 323, 381, 394 — 396.
— კაპიტალისტური — 24, 108, 140, 158 — 159, 160 — 161, 169, 175, 176 — 177, 180 — 182, 284 — 285, 467 — 468, 496, 499, 509, 518, 533 — 534, 546 — 547.
— და განაწილება — 15 — 20, 175, 596, 618.
წარმოების იარაღები — 11 — 12, 14, 161, 545.
წარმოების საშუალებანი — 19, 161, 163 — 164, 170 — 182, 194, 482, 521 — 522, 523, 602 — 603.
— წარმოების საშუალებათა გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად — 16—17, 20, 174 — 179, 181 — 182, 280, 522 — 524.
წარმოების წესი — 19 — 20, 102, 117, 160, 161, 170 — 171, 174 — 175, 322, 480 — 481, 543, 617 — 618.
— კაპიტალისტური — 19 — 20, 102 — 103, 145, 158 — 167, 169 — 171, 173 — 175, 178, 193 — 195, 197—198, 480 — 481, 515, 534, 548 — 549, 551, 616.
წვრილი ბურჟუაზია — 408, 553—554, 591.
— წვრილბურჟუაზიული დემოკრატია — 29 — 30, 36, 406, 407 — 408, 432 — 433, 592 — 594.
«წიდა ოჯახი» მარქსისა და ენგელსისა — 109 —112, 184, 449, 470.

ჭ

ჭარბი წარმოება — 181, 481.
ჭეშმარიტება — 442.
— აბსოლუტური და შეფარდებითი — 442 — 443, 446, 473.

ხ

ხელახნობა — 66, 108, 160 — 161, 162, 165 — 166, 191 — 192, 380 — 382, 419 — 420, 435, 480—481, 523.
ხელფასი — 24 — 25, 38, 168, 556 — 557.

ჰ

ჰეგელობა — 150, 155 — 156, 157 — 158, 440 — 457, 459, 465 — 466, 471 — 472, 473, 476, 478, 596.

შინაარსი

	გვ.
კ. მარქსი. გოთას პროგრამის კრიტიკა	5 — 48
ფ. ენგელსის წინასიტყვაობა	5
კ. მარქსი. წერილი ვ. ბრაკეს. 1875 წ. 5 მაისი	8
კ. მარქსი. შენიშვნები გერმანიის მუშათა პარტიის პროგრამის შესახებ	11
I	11
II	23
III	25
IV	27
ფ. ენგელსი. წერილი ა. ბებელს. 1875 წ. 18 — 28 მარტი	35
ფ. ენგელსი. წერილი კაუცკის. 1891 წ. 23 თებერვალი	44
ფ. ენგელსი. რუსეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის შესახებ	49
ფ. ენგელსი. «ბუნების დიალექტიკის» შესავალი . . .	65
ფ. ენგელსი. შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში	88
ფ. ენგელსი. სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ	105 — 182
შესავალი ინგლისური გამოცემისათვის	105
სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ	
I	135
II	150
III	159

ფ. ენგელსი. კარლ მარქსი 183

ფ. ენგელსი. სიტყვა, წარმოთქმული მარქსის საფლავზე . 197

ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა . . . . . 200 — 400

წინასიტყვაობა 1884 წლის პირველი გამოცემისათვის . . . 200
წინასიტყვაობა 1891 წლის მეოთხე გამოცემისათვის . . . 202

ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა

I. კულტურის წინაისტორიული საფეხურები . . . 218
I. ველურობა 218
II. ბარბაროსობა 220
II. ოჯახი 225
III. იროკეზული გვარი 290
IV. ბერძნული გვარი 307
V. ათენის სახელმწიფოს წარმოშობა 313
VI. გვარი და სახელმწიფო რომში 332
VII. გვარი კელტებსა და გერმანელებში 344
VIII. გერმანელების სახელმწიფოს შექმნა 361
IX. ბარბაროსობა და ცივილიზაცია 374

ფ. ენგელსი. მარქსი და «ახალი რაინის გაზეთი» (1848 — 1849) 401

ფ. ენგელსი. კომუნისტთა კავშირის ისტორიისათვის . . 413

ფ. ენგელსი. ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული . . . . . 437 — 490

წინასიტყვაობა 437

ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული

I 440
II 450
III 461
IV 470

კ. მარქსი. თეზისები ფოიერბახის შესახებ 491

ფ. ენგელსი. წინასიტყვაობა ბროშურა «მეზობელთა კლასის მდგომარეობა ინგლისში» 495

ფ. ენგელსი. ბლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში . . . . . 514 — 537

I 516
II 529

პ. მარქსი და ფ. ენგელსი. წერილები . . . . . 540 — 621

მარქსი — პ. ჯ. ანენკოვს. 1846 წ. 28 დეკემბერი 540
მარქსი — ი. ვაიდემაიერს. 1852 წ. 5 მარტი 554
მარქსი — ენგელსს. 1856 წ. 16 აპრილი 555
მარქსი — ენგელსს. 1857 წ. 25 სექტემბერი 556
მარქსი — ლ. კუგელმანს. 1865 წ. 23 თებერვალი 557
მარქსი — ლ. კუგელმანს. 1866 წ. 9 ოქტომბერი 563
მარქსი — ლ. კუგელმანს. 1868 წ. 11 ივლისი 565
მარქსი — ლ. კუგელმანს. 1871 წ. 12 აპრილი 567
მარქსი — ლ. კუგელმანს. 1871 წ. 17 აპრილი 568
მარქსი — ფ. ბოლტეს. 1871 წ. 23 ნოემბერი 569
ენგელსი — ტ. კუნოს. 1872 წ. 24 იანვარი 573
ენგელსი — ა. ბებელს. 1873 წ. 20 ივნისი 580
ენგელსი — ფ. ა. ზორგეს. 1874 წ. 12 — 17 სექტემბერი . . . 584
მარქსი და ენგელსი — ა. ბებელს, ვ. ლიბკნეხტს, ვ. ბრაკეს და სხვებს (*«ცირკულარული წერილი»*) 1879 წ. 17 — 18 სექტემბერი 586
ენგელსი — კ. შმიდტს. 1890 წ. 5 ავგისტო 595
ენგელსი — ი. ბლოხს. 1890 წ. 21 — 22 სექტემბერი 598
ენგელსი — კ. შმიდტს. 1890 წ. 27 ოქტომბერი 601
ენგელსი — ფ. მერინგს. 1893 წ. 14 ივლისი 609
ენგელსი — ნ. ფ. დანიელსონს. 1893 წ. 17 ოქტომბერი . . . 614
ენგელსი — ~~ბ. შტარკენბურგს~~. 1894 წ. 25 იანვარი ბორგიუსი . . . 617
მნიშვნელოვან სახელთა საძიებელი 624
საგანთა საძიებელი 647

პ/მგ. გამოშვებისათვის ზ. ჭარბალაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VI-64 წ. ქაღალდის ზო
მა 60×90¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 41,5. სალრ.-სააღრიცხ
თაბახი 36,88. ტირაჟი 5 000. შეკვ. № 72.

ფასი 1 მან. 20 კაპ.

ბეჭდვითი ხელოვნების კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5

К. МАРКС, Ф. ЭНГЕЛЬС

Избранные произведения

в двух томах

ТОМ

II

(На грузинском языке)

Издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси
1964